

თსუ, პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტი

სამეცნიერო შრომების კრებულები

IX

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი
გ. ბურდული, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი,
ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნა-
თელაური, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუს-
კივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი 2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

**PROCEEDINGS OF
SCIENTIFIC WORKS
OF PAATA GUGUSHVILI
INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU**

IX

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, R. Sarchimelia

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF TSU**

TBILISI 2016

UDC (ჯსკ) 061.62: 33(479.22)(045)

ვ - 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

**© PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY, 2017**

ISSN 1987 - 6904

ISBN 978-9941-13-599-6

წინასიტყვაობა

2016 წელს შესრულდა ინსტიტუტის შვიდწლიანი (2015-2021) სამეცნიერო პროგრამის – „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“ (ხელმძღვანელი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რამაზ აბესაძე), მეორე გარდამავალი თემა: „ევროკავშირისა და მასში შემავალი ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა“.

თემის ფარგლებში დამუშავდა 8 სამეცნიერო პრობლემა: პრობლემა 1. ევროკავშირისა და საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა (მაკროეკონომიკის განყოფილება. ხელმძღვანელი: აკად. დოქტორი ნანული არევაძე); პრობლემა 2. ინოვაციური პოლიტიკის თეორიული პრობლემები (ეკონომიკური თეორიის განყოფილება. ხელმძღვანელი: პროფესორი ალფრედ კურატაშვილი); პრობლემა 3. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის სექტორული პრობლემები (სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება. ხელმძღვანელი: ემდ, ვახტანგ ბურდული); პრობლემა 4. ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა (ბიზნესის კვლევის განყოფილება. ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ბერულავა); პრობლემა 5. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის ფინანსური ბერკეტები (ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება. ხელმძღვანელი: აკად. დოქტორი თეა ლახარაშვილი); პრობლემა 6. ევროკავშირის ინოვაციური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა (საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება. ხელმძღვანელი: იზა ნათელაური); პრობლემა 7. ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკა (ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება. ხელმძღვანელი: აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე); პრობლემა 8. ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკა (აგრარულ პრობლემათა ლაბორატორია. ხელმძღვანელი: აკად. დოქტორი ზურაბ რევიშვილი).

კვლევის ძირითადი შედეგები: გაანალიზებულია ევროკავშირის, ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-სა და იაპონიის საინოვაციო პოლიტიკა; გაანალიზებულია და გამოვლენილია საქართველოს საინოვაციო პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. კერძოდ, კვლევის ამოცანების ფარგლებში გამოკვლეულია:

1. ევროკავშირის ერთიანი სამეცნიერო პოლიტიკა (ევროპის ერთიანი კვლევითი სისტემა (European Research Area – ERA Seqmna); მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; ფუნდამენტური კვლევების სტიმულირება; სამეცნიერო კადრები; კერძო სექტორში კვლევების მხარდაჭერა და ა. შ.);

2. ინოვაციის ტრენდები ევროპაში (the Trend Chart on Innovation in Europe);
3. ევროპული ინოვაციური ტაბლოდები (the European Innovation Scoreboard);
4. ევროკავშირის პოლიტიკა განათლების სფეროში (უწყვეტი განათლება და მისი პრინციპები, განათლების სახელწიფო მხარდაჭერა და სხვ.);

5. პარტნიორობის ახალი ფორმები კერძო ბიზნესს, მთავრობასა და აკადემიურ წრეებს შორის;

6. ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკა;

7. ევროკავშირის რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა;

8. ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა;

9. მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკა ევროკავშირში;

10. ევროკავშირის პოლიტიკა კვლევების კომერციალიზაციის დარგში;
11. ევროკავშირის პოლიტიკა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში;
12. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა;
13. ევროკავშირში შემავალი ცალკეული ქვეყნების საინოვაციო პოლიტიკა;
14. საქართველოს საინოვაციო პოლიტიკა და სხვ.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი

პრობლემა 1.

რამაზ აბესაძე

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა¹

ევროკავშირის ჩამოყალიბება და მისი ინოვაციური პოლიტიკის საწყისები

ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაციული პროცესი დაიწყო მათი მონაწილეობით **“მარშალის გეგმის”** განხორციელებაში (1947-1951). შემდეგ 1951 წელს ექვსმა ევროპულმა სახელმწიფომ (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) დააარსა **“ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება”**. ევროკავშირის შექმნა 12 ევროპული ქვეყნის მიერ გამოცხადდა მაასტრიხტის ხელშეკრულებით, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის იანვრიდან. ამჟამად ევროკავშირში უკვე 28 სახელმწიფოა.

ევროკავშირის ფარგლებში ადრევე (1974 წლიდან) შეიქმნა რამდენიმე მსხვილი კვლევითი ცენტრი, რომელთა ამოცანა ყველაზე აქტუალურ და რთულ სამეცნიერო-კვლევით პრობლემათა გადაჭრაა. მოგვიანებით მათ დაემატა სხვა ცენტრები.

ერთიანი ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება ევროპაში დაიწყო ჯერ კიდევ 1983 წელს სამეცნიერო სფეროში **“ჩარჩო-პროგრამების”** (**“framework programmes”**) დაფინანსებით, რომელიც დღესაც გრძელდება.

ევროკავშირში ინტეგრაციული კავშირების განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა ევროპის ერთიანი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და ინოვაციური სივრცის ჩამოყალიბების პროცესი.

1995 წელს ევროკომისიამ განსახილველად წარმოადგინა ეგრეთ წოდებული **“ინოვაციების მწვანე წიგნი”** (**“Green Paper on Innovation”**). ამ დოკუმენტში ევროპაში ინოვაციური საქმიანობის პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქნა აღიარებული. მასში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ევროპა ჩამორჩა აშშ-სა და იაპონიას მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით და რომ მსოფლიო კონკურენციაში გასამარჯვებლად აუცილებელია ინოვაციური საქმიანობის გაძლიერება. ამის შემდეგ ევროპულ სტრუქტურებში დამკვიდრდა პრაქტიკა, დრო და დრო შეიმუშაონ დოკუმენტი **“მწვანე წიგნის”** მსგავსად, რომელიც ქვეყნდება და დაინტერესებულ სუბიექტებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები. განხილვის შემდეგ გამოიცემა დირექტიული ხასიათის დოკუმენტი, რომელსაც **“თეთრ წიგნს”** უწოდებენ. იგი ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის გაძლიერებას.

ევროპის ერთიანი ინოვაციური სივრცის შექმნა და განვითარება

2000 წელს ევროკომისიის ფილიპ ბასკინის მიერ წამოყენებული იქნა ინიციატივა ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის (European Research Area) შექმნის შესახებ, რომლის მთავარი ამოცანები ძირითადად იყო: ინვესტიციების გაზრდა ცოდნის სფეროში; წამყვანი სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნა; ეროვნული და ევროპული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების კოორდინაცია; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კოოპერაციის ხელშემწყობი გაერთიანებების შექმნა; სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის როლის გაზრდა; ევროპულ დონეზე მეცნიერთა კარიერისათვის ხელშეწყობა; ევროპულ მკვლევართა მობილურობის გაზრდა; რეგიონთა აქტივიზაციის ზრდა ევროპულ

¹ ფაქტობრივი მონაცემები აღებულია შემდეგი წყაროებიდან [1; 2; 3; 4; 5; 6]

კვლევებში; კომპანიათა ინოვაციური განვითარებისათვის ხელის შეწყობა სარისკო კაპიტალდაბანდებით და სხვა.

იმავე წელს ლისაბონში შეიკრიბნენ ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურები, რომელთაც მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც 2010 წლისათვის ევროკავშირი მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე უნდა გასულიყო. შემდგომ ამ რეზოლუციას ეწოდა “**ლისაბონის დეკლარაცია**”, ხოლო დასახულ მიზნებს, რომლებშიც ასახვა პოვა ფილიპ ბასკინის ინიციატივებმა – “**ლისაბონის სტრატეგია**”.

ლისაბონის სტრატეგიის მიხედვით, დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე 2010 წლისათვის უნდა გაზრდილიყო მშპ-ს 3 პროცენტამდე ყველა ქვეყნის მიხედვით, ამასთან, კერძო სექტორის წილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული დანახარჯების ორი მესამედი.

ლისაბონის სტრატეგიის განხორციელებაში არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების გამო, მათ შორის კვლევებისა და შემუშავებების სფეროში, 2005 წელს ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟ. ბაროზუმ მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო ლისაბონის ახალი სტრატეგია და რომელშიც, სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან ერთად, მოითხოვებოდა ინვესტიციების ზრდა კვლევებსა და შემუშავებებზე, წარმოებაში ინოვაციითა დაქარება, ეკოლოგიური ინოვაციების ყოველმხრივი გავრცელება, წარმოების ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლება.

ევროკავშირის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, ევროკომისია მრავალწინადადებს შეიმუშავებს, მაგრამ მათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს წევრი-ქვეყნებისათვის. ამიტომ შეიმუშავებული იქნა “**კოორდინაციის დია მეთოდი**” (**Open method of coordination, OMC**), რის მიხედვითაც განისაზღვრება სახელმწიფოთა მიერ შეთანხმებული პოლიტიკა. ეს მეთოდი გამოყენებული იქნა კვლევებისა და შემუშავებათა სფეროშიც. მაგალითად, 2003 წელს ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ამ მეთოდის გამოყენებით შეფასებულიყო 2010 წლისათვის მიღწევა თუ არა კვლევებისა და შემუშავებათა დაფინანსება მშპ-ს 3 პროცენტს. შედეგები ანალიზისათვის გადაეცა ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების კომიტეტს (**Comité de Recherche Scientifique et Technique, CREST**, რომელსაც 2010 წელს ეწოდა “ევროპული კვლევითი სივრცის კომიტეტი” (**European Research Area Committee, ERAC**)). 2006 წელს აღნიშნულმა კომიტეტმა ამ მეთოდის გამოყენების მეშვეობით გამოაქვეყნა ანგარიში ინვესტიციების ზრდის შესახებ კვლევებისა და შემუშავების სფეროში. ანგარიშში მოცემული იყო რეკომენდაციები, საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისას გამოეყენებინათ კვლევებისა და შემუშავებათა მასტიმულირებელი ბერკეტები; დაექარებინათ ცოდნის გადაცემა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან და უნივერსიტეტებიდან ეკონომიკაში და სხვ. ERAC-ი ასევე მონაწილეობს ევროპის კვლევებისა და ინოვაციების სფეროს ერთიანი სტრატეგიების შემუშავებაში. ბოლო წლებში მან მოამზადა რიგი დოკუმენტებისა კვლევების ერთიანი ევროპული სივრცის განვითარების სტრატეგიის შესახებ 2020 წლამდე, ასევე მოამზადა მიმოხილვა ევროპის ცალკეული ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის შესახებ და სხვ.

შემდგომში კვლავ არაერთი დოკუმენტი მომზადდა ევროპის კვლევითი სფეროს განვითარების სტრატეგიის და წევრი ქვეყნების კვლევითი ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

ევროკავშირის კვლევითი სფეროს განვითარების გზაზე მნიშვნელოვანია “**ლიუბლიანას პროცესი**” (2008), რომელიც გულისხმობს პარტნიორობას ევროკავშირის წევრ-ქვეყნებსა და ასოცირებულ წევრებს შორის ევროკომისიისა და ევროკავშირის სხვა სტრუქტურების მონაწილეობით.

ევროკავშირში თავიდანვე გათვითცნობიერებული იყო ის საკითხი, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამისათვის ინოვაციების განხორციელება დამოკიდებული იყო შესაბამისი კადრების აღზრდაზე, ამიტომ დაიწყო განათლების სისტემის სრულყოფა, რასაც წინ უძღოდა შესაბამისი ერთიანი პოლიტიკის შემუშავება.

1988 წელს ევროპაში ყველაზე ძველი ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლისთავის იუბილის დღეებში მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საერთო დეკლარაციას, რომელსაც ეწოდა **“უნივერსიტეტების დიდი ქარტია” (Magna Charta Universitatum)** და რომელშიც გამოხატული იქნა პოზიცია უნივერსიტეტების საქმიანობის შემდგომი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, აღიარებული იქნა უნივერსიტეტთა ავტონომიურობის პრინციპი, ამასთან, მათ იმედი უნდა ჰქონოდათ საზოგადოების ყოველმხრივი მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსურის. ასევე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტთა შორის თანამშრომლობაზე პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების მომზადების, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობისა და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში. შემდგომ გაგრძელდა ბოლონიის დეკლარაციასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა მიმართულებით: უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი პირობების შექმნა; სწავლების პერიოდების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სწავლების ციკლების ხანგრძლივობის განსაზღვრა; სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში; სტუდენტთა შრომითი მოწყობა, დიპლომების ურთიერთაღიარება და სხვ.

1997 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა კონვენციას კვალიფიკაციის აღიარების შესახებ, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით.

კონვენციის თანახმად, უნივერსიტეტების ავტონომიურობის აღიარებასთან ერთად, უნდა მომხდარიყო სამართლებრივი ნორმების გარკვეული უნიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო დიპლომებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ურთიერთაღიარებასთან.

“ლისაბონის კონვენცია” ასევე აღიარებდა ადრე ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ მიღებულ შემდეგ კონვენციებს: **ევროპის კონვენცია დიპლომების ეკვივალენტურობის შესახებ (1953); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ეკვივალენტურობის შესახებ (1956); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო კვალიფიკაციის აკადემიური აღიარების შესახებ (1959); ევროპის კონვენცია საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ეკვივალენტურობის შესახებ (1990); ევროპის კონვენცია სასწავლო კურსების, უმაღლესი განათლების დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების აღიარების შესახებ ევროპის სახელმწიფოებში (1979).**

1998 წელს ხელი მოეწერა **“სორბონის დეკლარაციას”**, რომლის მთავარი მიზანი იყო ევროპის უმაღლესი განათლების ერთიანი ღია სივრცის შექმნა.

სორბონის დეკლარაციის შემდეგ 1999 წელს მიღებული იქნა საყოველთაოდ ცნობილი **“ბოლონიის დეკლარაცია”**, რომელშიც საუბარია უნივერსიტეტების მიერ კადრების მომზადებაზე ერთიანი ევროპული შრომის ბაზრისათვის. ბოლონიის პროცესი მოითხოვდა სერიოზულ გარდაქმნებს უნივერსიტეტების სტრუქტურაში, სასწავლო გეგმებში, სწავლების პროცესებში. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სწავლების ორი საფეხური – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, შემდეგ კი დაემატა დოქტორანტურა, რომელიც ანიჭებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს (**ლათინურად Philosophiae doctor, შემოკლებით PhD**).

ბოლონიის პროცესს დღეისათვის მიერთებულია შემდეგი ქვეყნები: ავსტრია (1999), აზერბაიჯანი (2005), ალბანეთი (2003), ანდორა (2003), ბელგია (1999), ბოსნია და ჰერცეგოვინა (2003), ბულგარეთი (1999), გერმანია (1999), დანია

(1999), დიდი ბრიტანეთი (1999) ირლანდია (1999), ესტონეთი (1999), ესპანეთი (1999), თურქეთი (2001), ისლანდია (1999), იტალია (1999), კვიპროსი (2001), ლატვია (1999), ლიტვა (1999), ლიხტენშტეინი (1999), ლუქსემბურგი (1999), მაკედონია (2003), მალტა (1999), მოლდოვა (2005), მონტენეგრო (2007), ნიდერლანდები (1999), ნორვეგია (1999), პოლონეთი (1999), პორტუგალია (1999), რუმინეთი (1999), რუსეთის ფედერაცია (2003), საბერძნეთი (1999), საფრანგეთი (1999), საქართველო (2005), სერბეთი (2003), სლოვაკეთის რესპუბლიკა (1999), სლოვენია (1999), სომხეთი (2005), უკრაინა (2005), უნგრეთი (1999), ფინეთი (1999), შვეიცარია (1999), შვეცია (1999), ჩერნოგორია (2007), ჩეხეთის რესპუბლიკა (1999), წმინდა საყდარი ვატიკანი (2003), ხორვატია (2001), ყაზახეთი (2010).

ბოლონიის პროცესსა და ინოვაციური განვითარების მჭიდრო კავშირზე მეტყველებს 2006 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი – **“ცოდნიდან პრაქტიკისაკენ. ევროკავშირის ფართო ინოვაციური სტრატეგია”** (**“Putting knowledge into practice: A broad-based innovation strategy for the European Union”**), რომელშიც აღიარებულია, რომ ინოვაციური განვითარების საფუძველია განათლება და მეცნიერება, მათი კავშირი პრაქტიკასთან ანუ ეკონომიკასთან (ბიზნესთან).

ბოლონიის პროცესის ინოვაციურ განვითარებასთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს ასევე ის, რომ ამ პროცესის მიზნებში ჩართული იქნა მოთხოვნა სტუდენტების აუცილებელი მონაწილეობის შესახებ სამეცნიერო კვლევებში, კვალიფიკაციის ევროპული სტრუქტურის შემუშავებისას განისაზღვრა ისეთი კომპეტენციები, რომლებიც ინოვაციური საქმიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული. სწავლების პერიოდს დაემატა მესამე საფეხური – დოქტორანტურა.

ბოლონიის პროცესის შესაბამისად შემუშავდა დოკუმენტი – **“უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის შეფასების სტანდარტები და რეკომენდაციები”** (**Standards and Guidelines for quality assurance in the European Higher Education Area**). 2008 წელს კი შეიქმნა **“უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ევროპული რეგისტრი”** (**European Quality Assurance Register for Higher Education, EQAR**)

2006 წელს მიღებული იქნა ჩარჩო-პროგრამა კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების შესახებ, რომელიც გათვლილი იყო 2007-2013 წლებზე და მოიცავდა 3 პროგრამას: **ინოვაციური მეწარმეობის განვითარების პროგრამა (Entrepreneurship and Innovation Programme, EIP);** საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა (**ICT Policy Support Programme, ICTPSP**); **ევროპის ინტელექტუალური ენერჯეტიკის პროგრამა (Intelligent Energy-Europe Programme, IEEP).**

პირველი პროგრამა ითვალისწინებდა ინოვაციების მხარდაჭერას: მრეწველობაში, მომსახურების სფეროში, მცირე ბიზნესში, რეგიონულ ეკონომიკაში, ეკოტექნოლოგიების განვითარებაში, სამეწარმეო კადრების აღზრდაში, ინოვაციური ქსელური სისტემების განვითარებაში და სხვ.

მეორე პროგრამა ითვალისწინებდა: ევროკავშირის ერთიანი ინფორმაციული სივრცის შექმნას; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შიგა ბაზრის გაძლიერებასა და ინოვაციურ განვითარებას; ინფორმაციული საზოგადოების განვითარებას და სხვ.

მესამე პროგრამაში მთავარი ყურადღება ეთმობოდა ენერჯის ეფექტიანობისა და რაციონალური გამოყენების საკითხებს, ასევე ახალი და განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარებას, ენერჯის გარემოზე ნეგატიური გავლენის შემცირებას და სხვ.

ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს მიერ 2006 წელს მიღებული იქნა

“მე-7 ჩარჩო-პროგრამა კვლევების, ტექნოლოგიური განვითარებისა და დემონსტრაციული საქმიანობის შესახებ (2007-2013)”. მისი ბიუჯეტი შეადგენდა 50,5 მილიარდ ევროს, რომლის 15% მოდიოდა ინოვაციურ პროექტებზე. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა “ევროპის კვლევითი საბჭო”, რომლის შემადგენლობაშია ევროპის 22 ძალიან მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერი. იგი მოიცავს 4 ბლოკს: კოოპერაცია (Cooperation); იდეები (Ideas); კადრები (People); რესურსები (Capacities). ყველა ბლოკი გაჟღერებულია სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების განხორციელებისადმი მხარდაჭერით მეცნიერების, ეკონომიკისა და ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. იგი მოიცავს ღონისძიებათა ფართო სპექტრს და სფეროებს: წყალბადის, ბიო-, ნანო-, საინფორმაციო-კომუნიკაციური და სხვა მაღალი ტექნოლოგიების განვითარებას; მდგრადი გარემოს შენარჩუნებას; ფუნდამენტურ კვლევებს კოსმოსის ათვისების სფეროში; ადამიანისეული კაპიტალის რაოდენობრივ ზრდასა და თვისებრივ განვითარებას, სამეცნიერო კადრების ყოველმხრივ მხარდაჭერას; კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას: კვლევითი პოტენციალის განვითარებას რეგიონებში; მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური რესურსების განვითარებას და მრავალ სხვა სფეროს.

საინტერესოა **“ცოდნის რეგიონების”** მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონული კლასტერების შექმნისა და განვითარების სტიმულირებას, რომელთა შემადგენლობაში შედის კვლევითი ორგანიზაციები და მეცნიერებატექნოლოგიური საწარმოები. საერთოდ, რეგიონებში კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად ევროკავშირის პოლიტიკის მიზანია, სუსტ რეგიონებს გაუწიონ ეკონომიკური დახმარება. ამისათვის შექმნილია სტრუქტურული ფონდები. თუ რომელიმე რეგიონში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 75 პროცენტზე ნაკლები აღმოჩნდება მთელი ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მაშინ ასეთ რეგიონში დახმარება მიემართება.

კვლევითი ინფრასტრუქტურის გვერდის შესადგენად შეიქმნა **“კვლევითი ინფრასტრუქტურის ევროპის სტრატეგიული ფორუმი” (European Strategic Forum in Research Infrastructures, ESFRI)**. 2004 წელს ფორუმი შეუდგა **“საგზაო რუკის”** შედგენას შემდგომი 10-20 წლისათვის. “საგზაო რუკის” პირველი პროექტი ითვალისწინებდა 35 საკვლევო ინფრასტრუქტურის ახალ ობიექტს. 2008 წელს აღნიშნულ რუკაზე უკვე 44 ობიექტი აღინიშნებოდა.

ევროკავშირში ინოვაციური განვითარების მთავარი მიზანია კვლევების შედეგების დანერგვა ეკონომიკაში. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ფორმაა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა, რომლის განსახორციელებლად აქ შეიქმნა ვერტე ვოდეუელი **ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმები**. მისი მთავარი დანიშნულებაა მასშტაბური პროექტების შესრულება ეკონომიკის სფეროში. პროექტის ინიციატორის როლს, როგორც წესი, ასრულებს მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ლიდერების ჯგუფი. რადგანაც პროექტი ითვალისწინებს რომელიმე დარგის ინოვაციურ განვითარებას, პარტნიორობა შეადგენლობაში აუცილებლად შედის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდებიან ევროკავშირის ბიუჯეტიდან.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი პლატფორმების (ისეთები, როგორცაა მაგალითად: წყალბადი და სითბური ელემენტები; აერონავტიკა და საჰაერო ტრანსპორტი; ინოვაციური მედიცინა; ნანოელექტრონიკა; ჩაშენებული კომპიუტერული სისტემები; გარემოს მდგრადობისა და უსაფრთხოების გლობალური მონიტორინგი) განსახორციელებლად ევროკომისია მიზანშეწონილად თვლის, დამატებითი ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს მათ. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ამ ახალმა ფორმამ მიიღო **“ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივების სახელწოდება” (Joint Technology Initiatives)**.

2007 წელს პარტნიორობის მიმართულებით ევროკომისიამ შეიმუშავა კიდევ ერთი პროგრამა – **“წამყვანი ევროპული ბაზრების განვითარება” (Lead Market Initiative)**, რომელიც ითვალისწინებდა იმ ბაზრების ინოვაციურ განვითარებას, რომლებზედაც მოსახლეობის დიდი მოთხოვნა იყო (ელექტრონული მომსახურება ჯანდაცვის სფეროში; ინოვაციური სამშენებლო ბაზარი; დამცავი ტანსაცმელი; ბიომასალებისგან მიღებული პროდუქცია; ნარჩენების უტილიზაცია; განახლებადი ენერჯორესურსები).

2005 წელს წარმოიშვა ევროპის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების იდეა. აქ, უმაღლეს განათლებასთან ერთად, უნდა მიეღოთ სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. მაშასადამე, ამ ინსტიტუტში უნდა გაერთიანებულიყო უმაღლესი განათლება, მეცნიერება და ინოვაციები. 2008 წელს, ევროპარლამენტისა და ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ასეთი ინსტიტუტი დაარსდა და მას **“ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი” (European Institute of Innovation and Technology, EIT)** ეწოდა.

ინსტიტუტის წესდების მიხედვით, საქმიანობა უნდა განხორციელდეს პარტნიორობის საფუძველზე. პარტნიორები უნდა იყვნენ უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის სფეროდან. ამ პარტნიორობას ეწოდა **“ცოდნისა და ინოვაციების საზოგადოება” (Knowledge and Innovation Communities, KICs)**. აღსანიშნავია, რომ პარტნიორობას აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია ევროკავშირის ბიუჯეტი და სხვა შემოსულობები.

2011 წელს ინსტიტუტმა შეიმუშავა სტრატეგიული ინოვაციური განვითარების პროგრამა 2014-2020 წლებისათვის, რომელიც დაამტკიცა ევროსაბჭომ და ევროკომისიამ, რომელშიც მთავარი ყურადღება ექცევა მეწარმეობას. სტუდენტები უნდა იძენდნენ მეწარმის თვისებებს და ჩვევებს, ხოლო მეცნიერები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მეწარმეობაზე.

ევროკავშირში ასევე განხორციელდა ინოვაციური განვითარების სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. მაგალითად, 2006 წელს შეიქმნა **ევროპის ინოვაციური ლაბორატორია “Europe INNOVA”**, რომლის მთავარი მიზანი იყო ახალი ინსტრუმენტების შექმნა და აპრობაცია ინოვაციური საქმიანობის მხარდასაჭერად ევროპის ტერიტორიაზე, ასევე კომპანიებისადმი პრაქტიკული დახმარება ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვაში.

2010 წელს მიღებული იქნა პროგრამა **“ევროპა 2020”**, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პროგრესი განათლების, მეცნიერებისა და შემუშავებათა ანუ ინოვაციების სფეროში და ამის საფუძველზე დასაქმების მაღალი დონის მიღწევა, კლიმატის ცვლილებისა და ენერჯეტიკის პრობლემათა გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა. პროგრამა **“ევროპა 2020”** მოიცავს მოქმედების 7 პროგრამას: ინოვაციური კავშირი (Innovation Union); “ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა” (Youth on the move); ევროპის ციფრული ტექნოლოგიის განვითარება (A digital agenda for Europe); “რესურსებით ეფექტიანი მომარაგება (Resource efficient Europe); “სამრეწველო პოლიტიკის გლობალიზაცია” (Industrial policy for the globalisation era); “ახალი კვალიფიკაციისა და ახალი სამუშაო ადგილების ათვისების პროგრამა” (Agenda for new skills and jobs); “სიღარიბესთან ბრძოლის ევროპის პროგრამა” (European platform against poverty).

გეგმის მიხედვით, ევროკავშირი უნდა გადაიქცეს ინოვაციურ კავშირად, შეიქმნას და განვითარდეს ერთიანი ჯაჭვი ფუნდამენტური კვლევებიდან მათ კომერციალიზაციამდე. ინოვაციები უნდა გახდეს მთელი ევროპის პოლიტიკისა და მოქმედების საფუძველი. გეგმით ასევე გათვალისწინებულია **“ცოდნის აღიანსების შექმნა”**, როგორც განათლებისა და ბიზნესის კოოპერაციის ფორმა.

სწავლის პროცესში უნდა მოხდეს ინოვაციური და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის ათვისება და ა. შ.

2011 წელს ევროკომისიამ მიიღო ახალი პროგრამა – **“ჰორიზონტი 2020 – სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა” (Horizon 2020 - The Framework Programme for Research and Innovation)**. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80 მილიარდ დოლარს. მე-7 ჩარჩო-პროგრამისაგან განსხვავებით, ამ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია სარისკო კვლევებსა და ინოვაციებზე, რათა მოხდეს გარღვევა ევროპის ეკონომიკაში. პროგრამა მოიცავს 3 პრიორიტეტულ მიმართულებას და თითოეული დაფუძნებულია ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაზე. ეს პრიორიტეტებია: მოწინავე მეცნიერება (Excellent Science); სოციალური გამოწვევები (Societal challenges); ინდუსტრიული ლიდერობა (Leadership in enabling and industrial technologies).

ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირში ინოვაციური განვითარების მონიტორინგის სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილია “ევროპის ინოვაციური ტაბლოები”. ისინი წარმოადგენენ საბაზო სტატისტიკური მონაცემებისა და სპეციალური კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ პირველად ინდიკატორთა ერთობლიობას, რომელიც შემდგომში აგრეგირდება გარკვეულ სუბ- და კრებსით ინდიკატორებში და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისთვის შედარებადი მახასიათებლების წარმოება და მათი მონიტორინგი. საინტერესოა ასევე “ევროპის რეგიონული ინოვაციური ტაბლოები”, რომელთა მიზანია, წარმოაჩინოს ევროპის რეგიონების ინოვაციური პოტენციალი და განახორციელოს მისი მონიტორინგი [7].

დასკვნა

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის გაცნობა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები:

1. ევროკავშირის მიერ თავიდანვე კურსის აღება ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე, რომელიც მისი მუდმივი რეალური ზრუნვის საგანია და არა ფორმალური კონსტატაცია. ინოვაციურ განვითარებაზე ევროკავშირში უზარმაზარი სახსრები იხარჯება ცენტრალური ბიუჯეტიდან. დანახარჯები კვლევებსა და შემუშავებებზე მშპ-ს 3%-ზე მეტია.

2. თავიდანვე მოხდა აღიარება, რომ ინოვაციების საფუძველი არის განათლება და მეცნიერება, ამიტომ ღონისძიებების განხორციელება დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სფეროს მოდერნიზაციით.

3. ინოვაციური პოლიტიკა ორიენტირებულია მოთხოვნაზე და სწორედ ამის გათვალისწინებით ხდება პროგრამებისა და გეგმების შედგენა

4. მეცნიერების ჩართულობა ყველა პროგრამასა და გეგმაში. მეცნიერები მონაწილეობენ ინოვაციური პროცესის ყველა ეტაპზე პოლიტიკის განსახდვრიდან, გეგმების შემუშავებამდე და მის განხორციელებამდე. მეცნიერებით გაჯერებულია ნებისმიერი ინოვაციური საქმიანობა.

5. ინოვაციურ პროცესებში ჩართულნი არიან კომპანიები, მათი ინიციატივით ხორციელდება მსხვილი პროგრამები.

6. ყველა თემის მომზადება ხდება გულმოდგინედ, არაერთი განხილვის შედეგად და შენიშვნების გათვალისწინებით.

7. სწავლება და კვლევები უმაღლეს სასწავლებლებში ორიენტირებულია მეწარმეობასა და ინოვაციებზე. სტუდენტები ითვისებენ მეწარმისა (ინოვატორის) და მკვლევარის უნარ-ჩვევებს.

8. განსაკუთრებული მოთხოვნაა ახალგაზრდების ჩაბმაზე პროგრამების განხორციელებაში.

9. ევროკავშირში ჩამოყალიბებულია ორგანული კავშირი განათლებას, მეცნიერებას, სახელმწიფოსა და ეკონომიკას (ბიზნესს) შორის. ამის დასტურია ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ევროპის ტექნოლოგიური პლატფორმები და მრავალი სხვა.

10. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ყალიბდებოდა და მისი სრულყოფა ხდებოდა ათწლეულების განმავლობაში წარმატებებისა და ნაკლოვანებების ფონზე, ამდენად, მისი პირდაპირ გადმოღება რომელიმე ქვეყნისათვის მიუღებელია. რასაკვირველია, ევროპის გამოცდილება გათვალისწინებული უნდა იქნეს, მაგრამ მხოლოდ ქვეყნის თავისებურებათა გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Борисов В. В., Соколов Д. В. Инновационная политика: европейский опыт. М., 2012.

2. Болонская декларация.
http://www.msmsu.ru/userdata/manual/images/fac/ped_obr/Bolonskaja_deklaracija.pdf

3. Великая Хартия Европейских Университетов
<http://www.russianenic.ru/int/bol/charter.html>

4. Лиссабонская конвенция
<http://control.edu.gov.kz/ru/content/лиссабонская-конвенция>

5. Седьмая Рамочная Программа Европейского Союза
http://www.bioeconomy.ru/ramochnaya_programma_es/7_ramochnaya_programma_es/

6. Сорбонская декларация
<http://www.sgu.ru/structure/analysis-procuring/uok/garantiya-kachestva/bolonskiy-process/sorbonskaya-deklaraciya>

7. იოსებ გოგობე. ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი. თბილისი, 2013.

Ramaz Abesadze

EU INNOVATION POLICY

Annotation

The formation of innovative economy is of vital significance in post-communist countries. In this aspect it is very useful to study EU innovation policy and take into consideration current experience, because EU has innovation policy different from the world leading countries. Main characteristic feature of EU innovation policy is that in all spheres of development of society the main role is played by innovations. In addition, continuous attention is paid to innovative development and the most important is that this attention is not formal, but very actual, scientifically based. In EU there exists organic connection among education, science, state and economy (business).

ნანული არევაძე

სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები

სინგაპური-სამხრეთ აზიის ყველაზე პატარა სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 714კმ²-ია, მოსახლეობა – 5,18 მილიონი, მათგან მუდმივი მცხოვრები მხოლოდ 3,49 მილიონია. მდებარეობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადამკვეთ სავაჭრო ხაზზე. სიმცირის მიუხედავად, ფლობს უზარმაზარ

ეკონომიკურ პოტენციალს და მსოფლიოში ბიზნესის წარმოების ყველაზე საუკეთესო პირობებს, არის ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყანა აზიაში, სადაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილია უსაფრთხოება და წესრიგი. მერსერის რეიტინგის მიხედვით, საუკეთესო ადგილია აზიაში მუშაობის, ცხოვრებისა და დასვენება-გართობისათვის. მისი მშპ 239,7 მილიარდი ამერიკული დოლარია, მოსახლეობის ერთ სულზე კი – 46241\$ (2011 წ. მონაცემებით), სავაჭრო ბრუნვა წელიწადში 714,6 მილიარდ დოლარს აღწევს. ძირითადი სავაჭრო პარტნიორები ექსპორტის მხრივ არიან: მალაიზია (18%), აშშ (17%), ჰონკონგი (8%), ტაივანი (6%), ევროკავშირი (6%), სადაც ძირითადად გადის ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია, სამომხმარებლო საქონელი, ნატურალური კაუჩუკის გადამუშავების პროდუქტები, ნავთობპროდუქტები და სხვა.

იმპორტის მხრივ ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან: იაპონია (14%), მალაიზია (17%), აშშ (15%), ჩინეთი (5%), საიდანაც უმეტესად შეაქვთ მანქანები და მოწყობილობები, ქიმიური საქონელი და სურსათი.

ამჟამად სინგაპური საქმიანი აქტივობის ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო ცენტრია ფინანსების, ტრანსპორტის, IT და ბიოტექნოლოგიების სფეროში. იქ ფუნქციონირებს 7 ათასზე მეტი მრავალეროვნული კორპორაცია, რომელთა ნახევარზე მეტს შტაბბინა ამ ქვეყანაში აქვს განთავსებული. სინგაპურის პორტები მსოფლიოში ყველაზე დატვირთულია, ყოველწლიურად იქ მუშავდება 240 მილიონი ტონა ტვირთი. საზღვაო ხაზებით იგი უკავშირდება მსოფლიოს 800 პორტს. აეროპორტი ჩანგი, რომელიც 4 ტერმინალს ფლობს, ყოველდღიურად 5400 რეისს ასრულებს და დაკავშირებულია მსოფლიოს 210 ქალაქსა და 60 ქვეყანასთან. ხელშეკრულებები თავისუფალ ვაჭრობაზე, საინვესტიციო გარანტიებსა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებაზე სინგაპურს ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე კომფორტულ ადგილად აქცევს.

დამოუკიდებლობის მიღების მომენტში (1963 წ. აგვისტოში მან დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 1965 წ. კი დატოვა მალაიზიის ფედერაცია) სინგაპური ძალზე პატარა და იმდენად ღარიბი ქვეყანა იყო, რომ სჭირდებოდა სასმელი წყლისა და სამშენებლო ქვიშის იმპორტიც კი. მეზობელი სახელმწიფოები არამეგობრულად იყვნენ განწყობილნი, მოსახლეობის მესამედი კომუნისტებისადმი სიმპათიებს ამჟღავნებდა, რასაც ემატებოდა რესურსებისა და ტერიტორიის სიმცირე. ასეთ სიტუაციაში დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება ძალზე სათუო იყო. მაგრამ ქვეყანამ ეს შეძლო ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებით, მთავრობის ახალი მეთაურის ლი კუან იუს ხელმძღვანელობით. სტრატეგია გულისხმობდა სინგაპურის გადაქცევას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსურ და სავაჭრო ცენტრად და უცხოური ინვესტიციების მაქსიმალურ მოზიდვას, რისთვისაც მთავრობაც და ხალხიც ყველაფერს აკეთებდა. ამერიკულმა მრავალეროვნულმა კორპორაციებმა პირველებმა დაინახეს სათავისო ახალი შესაძლებლობები და მასშტაბური მაღალტექნოლოგიური მრეწველობის შექმნას ჩაუყარეს საფუძველი ამ პატარა განვითარებად ქვეყანაში. ახალი ტიპის ეკონომიკის დასაწყისში ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა როგორც ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური კურსის გატარებით, ისე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების მიღებით. ყველაზე დიდი პრობლემა კი, რასაც მთავრობა დასაწყისში შეეჯახა, იყო კორუფცია სახელისუფლებო სტრუქტურებში, რომელთანაც ბრძოლა იმით დაიწყო, რომ გამარტივდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და კანონებში ადგილი აღარ დარჩა ორაზროვნებისათვის. შემოდებულ იქნა მარტივი და ნათელი წესები, მათ შორის ნებართვებისა და ლიცენზირების გაუქმებაც კი. მკვეთრად ამადლდა მოსამართლეთა ხელფასები, ხოლო მოსამართლეთა თანამდებობებზე საუკეთესო კერძო ადვოკატები იქნენ დანიშნული.

მეორე პრობლემა იყო ორგანიზებული დანაშაული, რომელიც დამნაშავეთა დაჯგუფებების-ტრიადებისაგან შედგებოდა, მათთან საბრძოლველად მთლიანად განახლდა პოლიციელთა შემადგენლობა, მალაელები ჩანაცვლდნენ ჩინელებით. ზემდგომ ორგანოებში შეიქმნა ფინანსურ დატაცებებთან ბრძოლის ახალი ორგანო. წარმოიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ისე ყოფილიყო განსაზღვრული და წარმართული რომ მას, ერთი მხრივ, ხელი შეეწყო კაპიტალდაბანდების ზრდისათვის, ხოლო მეორე მხრივ შეეკავებინა ინფლაცია და უზრუნველყო მაღალხარისხიანი განათლება. პრობლემა გადაწყდა განათლების ამერიკული მოდელის გადმოტანით. ამასთან, სინგაპურელები არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ არა მხოლოდ სასკოლო განათლების პროცესს, არამედ მისი სრულყოფის, უნარ-ჩვევების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ყოველგვარ კურსებს. სწავლება ორენოვანი და მრავალმხრივი გახდა, მაგ., სინგაპურის პოლიტექნიკურ კოლეჯებში, ტექნიკურ დისციპლინებთან ერთად, აუცილებლად ისწავლება გრაფიკული დიზაინისა და არქიტექტურის საფუძვლები, ტარდება ლაბორატორიული კვლევები და სემინარები კვალიფიციური პედაგოგების ხელმძღვანელობით. ხშირად ლექციებს აკითხებენ სულ სხვადასხვა სპეციალობისა და პროფესიის ადამიანებს, რითიც აფართოებენ მსმენელთა თვალსაწიერს ისეთი ცოდნით, რომელიც არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც გამოსაყენებელია. ამიტომ, გუშინდელი კურსდამთავრებულები, წარმოებაში მოხვედრისას კარგად აცნობიერებენ ეკონომიკის პრინციპებს – „ხარისხი, საიმედოობა, სიზუსტე“. მთავრობის აზრით, შრომა ეფექტიანი უნდა იყოს და მან არა მხოლოდ მოგება უნდა მოიტანოს, არამედ ჯანსაღი კმაყოფილებაც შესრულებული სამუშაოთი. ამასთან, მუშაკს სამუშაოს შესრულების მაღალი ხარისხი რომ მოსთხოვო, ანაზღაურებაც მაღალი უნდა მისცე, შესაბამისად ხელფასის მოცულობას მეტად მნიშვნელოვნად თვლიან და ცდილობენ ანაზღაურების დონე სახელმწიფო სტრუქტურებში არ ჩამორჩეს მის დონეს კერძო სექტორში. მაღალი პოსტის მქონე სახელმწიფო მოხელეების ხელფასები ტოპმენეჯერების ხელფასებს უტოლდება.

ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება მთავრობის მიერ ეფუძნება ისეთ საკანონმდებლო აქტებსა და ორგანიზაციებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: 1996 წ. აქტი სტანდარტების, მწარმოებლურობისა და ინოვაციების საბჭოს ორგანიზებაზე, 2006 წ. აქტი ეროვნულ კვლევით ფოლზე.

2009 წ. დაფუძნებული ეკონომიკური სტრატეგიის სპეციალური კომიტეტი (ESC), რომელიც აღიარებულია ინოვაციების სფეროში საერთო სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ აზრობრივ ცენტრად. ამას გარდა, დებულებები ინოვაციურ საქმიანობასა და ინოვაციების შესახებ გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1948 წლის აქტში საშემოსავლო გადასახადის თაობაზე, ინოვაციური საქმიანობის გადასახადებით დაბეგვრის ნაწილში და 1991 წლის აქტში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და კვლევების მიხედვით ფონდების, სააგენტოებისა და საბჭოების ორგანიზების ნაწილში ინოვაციური საქმიანობის რეგულირების მიხედვით და სხვა აქტებში, რომლებიც ეხება ინფრასტრუქტურისა და სამეცნიერო კადრების განვითარებას. ამ აქტებისა და მისი დამატებების საფუძველზე კონკრეტულად განსაზღვრულია ყველაფერი, რაც ეხება ინოვაციებთან დაკავშირებული ორგანიზაციების დაფუძნებას, ფუნქციონირებას, უფლება-მოვალეობებს, მათი წევრების მიერ თანამდებობების დაკავებისა და გადაადგომის, ფინანსური აქტივების აკუმულირებისა და ხარჯვის წესებს. მთელი ეს საქმიანობა იქითკენ არის მიმართული, რომ ყოველმხრივ იქნეს ხელშეწყობილი ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელთა განვითარებასა და რეალიზაციას შეუძლია სინგაპურის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე, ტექნოლოგიური დონის ზრდა საჯარო და კერძო სექტორებში

და ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და პროდუქტების კომერციალიზაციას.

სინგაპურში ინოვაციური საქმიანობის განვითარების მიზნით, იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სამეცნიერო კვლევებს ახორციელებენ, შექმნილია სპეციალური საგადასახადო პირობები. მაგალითად, 1948 წ. აქტი საშემოსავლო გადასახადის შესახებ ადგენს, რომ საგადასახადო დაქვითვა დაპატენტებული გამოგონების ან ინოვაციაზე უფლებების გადაცემის თაობაზე, არ უნდა აღემატებოდეს საავტორო ჰონორარის ან სხვა ანაზღაურების 10%. ამის გარდა, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და მოზიდვის მიზნით, რეფორმირებას განიცდის განათლების სისტემა პროექტის – „ინოვაციური ერის“ – რეალიზაციის ფარგლებში. ინოვაციურ პარკებში იქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ორგანიზაციების შექმნის ჩათვლით. სინგაპურის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება ე.წ. სამ „ვეშაპს“:

- სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას,
- კონფუციურ დინამიზმს,
- საერთაშორისო თანამშრომლობის მაქსიმალურ განვითარებას.

სინგაპურის ეკონომიკური სასწაული კი არის ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების წარმატებული შეხამებისა და მთავრობის უპირველესი გადაწყვეტილებების:

- ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის,
- „ღია კარის“ პოლიტიკის,
- მეტი ექსპორტი იმპორტის ნაცვლად – შედეგი.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე, სინგაპურელი ეკონომისტი პო კამ ვონგი თავის სტატიაში „ინოვაციური მოდელი სინგაპურის სამრეწველო სექტორში“ გამოყოფს სინგაპურის ეროვნული ინოვაციური სისტემის 4 ეტაპს:

1. ინდუსტრიული ბიძგის ეტაპი (1965-70-იანი წწ. შუა პერიოდამდე) ხასიათდებოდა მაღალი დამოკიდებულებით ტექნოლოგიების ტრანსფერებზე მრავალეროვნული კომპანიებიდან და მრეწველობის შრომატევადი დარგების განვითარებით.

2. ადგილობრივი ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარების ეტაპი (70-იანი წ. შუა პერიოდიდან 80-იანი წ. ბოლომდე) ხასიათდებოდა ადგილობრივი შესაძლებლობების სწრაფი ზრდით საწარმოო პროცესების ტექნოლოგიების სფეროში, რაც შესაძლებელი გახდა მრავალეროვნული კომპანიების მიერ ახალი და განახლებადი ოპერაციებისა და პროდუქციის წარმოებით და დამხმარე დარგების განვითარებით.

3. გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და ექსპანსიის ეტაპი (80-იანი წ. ბოლოდან 90-იანი წლების ბოლომდე), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნა და განვითარება, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო ინოვაციური პროცესების მხარდაჭერასა და ინოვაციური საქმიანობიდან შედეგების მიღებაზე.

4. მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე გადასვლის ეტაპი, დაფუძნებული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე 1990 წლიდან, სინგაპურის ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამბიციური ამოცანის საფუძველზე ეროვნული მაღალტექნოლოგიური წარმოების სწრაფი ზრდის შესახებ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევებისა და დამუშავებების ბაზაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით იმ მაჩვენებლებისათვის, რომლებიც ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის

არის დამახასიათებელი. ასევე, დიდი მნიშვნელობის მინიჭებით IT და სამეცნიერო-ბიოლოგიური მეცნიერებისათვის.

ძირითად დაწესებულებებს, რომლებიც ასორციელებენ სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის კოორდინაციას, წარმოადგენენ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნული საბჭო (NSTB), საინფორმაციო საშუალებების განვითარების დეპარტამენტი და კომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური სამინისტრო ორ სამთავრობო სააგენტოსთან ერთად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სინგაპურში ბიოტექნოლოგიური ინოვაციების დაჩქარებული განვითარების პროგრამა. მისმა ინიციატორმა სახელმწიფო იდეოლოგებმა დასახეს მორიგი ამბიციური ამოცანა ბიოსექტორის ყოველწლიური 6%-იანი ზრდის თაობაზე, რომლის მისაღწევად შემუშავებულ იქნა ახალი პროექტების სახელმწიფო დაფინანსების ფართომასშტაბიანი ცალკე სქემა.

წამყვანი უცხოური კომპანიების მოსაზიდად სინგაპურის ტერიტორიაზე, ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოების (სკსსს) განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური “Biomedical Science Investment Fund” 600 მლნ აშშ \$ სასტარტო კაპიტალით. ამას გარდა, შეიქმნა მიზნობრივი ვენჩურული კომპანია “Singapore Bioinnovations (SBI)” 21 მილიარდი აშშ \$ კაპიტალით, რომელიც გამიზნულია როგორც ახალი ეროვნული კომპანიების შექმნის მხარდასაჭერად, ისე სხვადასხვა უცხოურ ბიოტექნოლოგიურ აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

სინგაპურის მთავრობის სხვა მნიშვნელოვან ინიციატივას ამ მიმართულებით წარმოადგენს კვლევითი ალიანსების აქტიური შექმნა დასავლურ წამყვან ბიოტექნოლოგიებთან, მათგან ერთ-ერთია მსოფლიოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის Eli Lilly-სა და სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის ალიანსი ერთობლივი კლინიკური სამედიცინო კვლევების ჩატარების მიზნით.

ეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი სისტემის აგების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკების განშტოებული ქსელის შექმნა. მათგან პირველი სამეცნიერო პარკი (Singapore Science Parc-SSP) ჯერ კიდევ 1980 წ. იქნა ორგანიზებული სახელმწიფოს მიერ და გახდა მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომქმნელი საბაზო ინკუბატორი და ეროვნული სკსსს ძირითადი ცენტრი, რომელშიც უპირატესი განვითარება პოვა უფრო გამოყენებითი ხასიათის კვლევებმა, ვიდრე ფუნდამენტურმა. რამდენადაც სინგაპურში თვლიდნენ, რომ ფუნდამენტურ კვლევას სჭირდება დიდი დრო, ფინანსური და ადამიანური რესურსები. ამასთან, მათი აზრით, ფუნდამენტურ მეცნიერებებში წარმატება ბევრად არის დამოკიდებული შემთხვევაზე, მათ კი არ აქვთ შედეგების მიღების დიდი ხნით ლოდინის უფლება. ამიტომ ესაჭიროებოდათ უპირატესად გამოყენებითი კვლევები ბიოლოგიის, მედიცინის, გენეტიკის, ინფორმატიკის და ა.შ. სფეროებში – აღნიშნავს სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკის არქიტექტორი ფილიპ ოი თავის ინტერვიუში სახელწოდებით „ქურდობა – საუკეთესო სტრატეგიაა.“ ფილიპ ოი, სამშობლოსაგან განსხვავებით, სადაც ის უდიდესი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს, არ უყვართ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რადგანაც მას მიიჩნევენ ტალანტებზე მონადირე ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ პიროვნებად, ანუ პიროვნებად, რომელიც თავისი სამუშაო დროის უდიდეს ნაწილს მშობლიური ქალაქის ფარგლებს გარეთ ატარებს, გაფაციცებით ეძებს და პოულობს მატერიალური მდგომარეობითა თუ სამუშაო პირობებით უკმაყოფილო ნიჭიერ მეცნიერებსა და ინჟინერ-ტექნოლოგებს, პირადად ესაუბრება და არჩევს მათ შორის საუკეთესოებს, ეპატივება სინგაპურში და პირდება საკეთესო ანაზღაურებასა და

სამუშაო პირობებს. შერჩევას კი ისეთი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს, როგორცაა: მოსაზრებულობა, წამყვანი უნივერსიტეტების დიპლომები, აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები და სხვა. მისი უშუალო ძალისხმევით სინგაპურში უამრავი უცხოელი ნიჭიერი მეცნიერი, ინჟინერი და ტექნოლოგი მუშაობს. მას მიაჩნია, რომ ღრმად მოაზროვნე „ტვინების გადმოზიდვა“ – იგივე ჭურდობა – საუკეთესო სტრატეგიაა, რასაც აშშ და სხვა ქვეყნები, ბევრად უფრო დიდი მასშტაბებით, დიდი ხანია იყენებენ. ის, ამავე დროს, უდიდეს ძალისხმევას ანდომებს საკუთარი ეროვნული სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მომზადებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, რაზეც სინგაპური მილიარდებს ხარჯავს. მარტო ერთი ასპირანტის მომზადებაზე სახელმწიფო მილიონ დოლარს ხარჯავს, რომლის 50% საზღვარგარეთ სწავლებაზე იხარჯება. სახელმწიფო ცდილობს, ქვეყანაში შექმნას ყველაზე კრეატიული ადამიანების – მეცნიერების, ინოვაციური მეწარმეების, მენეჯერების ფენა, რომელთაც შეეძლება სინგაპურის ახალი ეკონომიკის წარმატებული მართვა. სინგაპურში მიაჩნიათ, რომ ინოვაციები ფუფუნება კი არ არის, არამედ აუცილებლობა და მაქსიმალურ მოგებას იღებენ სწორედ ახალი იდეების მფლობელები და არა მწარმოებლები. სწორედ ამიტომ მყარი ეკონომიკური ზრდისათვის საჭიროდ თვლიან ქვეყნის შიგნით საკუთარი ახალი იდეების შემუშავებას, რომელიც მხოლოდ საუკეთესო განათლებისა და შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანებს შეუძლიათ. ამიტომ, ეკონომიკას ისე მართავენ, რომ დანაზოგები ყოველწლიურად 5 მლრდ დოლარით გაზარდონ და მიღებული მოგება ძირითადად ადამიანებში დააბანდონ. შესაძლოა ამიტომაც არის, რომ სინგაპურის ეკონომიკა ახლა მეტად შთამბეჭდავად და დივერსიფიცირებულად გამოიყურება. მშპ-ის 65,5% იქმნება მომსახურების სფეროში, 34,4% – დამამუშავებელ მრეწველობაში და მხოლოდ 0,1% – სოფლის მეურნეობაში.

ქვეყნის დამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია მაღალტექნოლოგიური ელექტრონული და ელექტროტექნიკური, ნავთობგადამამუშავებელი, გემთმშენებელი, ზუსტი ხელსაწყოებისა და კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი და სხვა დარგებითა და საწარმოებით. მოწინავე ტექნოლოგიების საწარმოებში იქმნება დამატებული ღირებულების 72% და იქ დასაქმებულია მრეწველობაში დასაქმებულთა ნახევარი – სინგაპური ერთადერთი ქვეყანაა ახმან-ის (ACEAH) შემადგენლობაში, რომელსაც საკუთარი სამხედრო მრეწველობა გააჩნია და, რომელიც აწარმოებს თავდაცვის ინტერესების შესაბამის ყველა სახის პროდუქციას საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის ჩათვლით.

სინგაპურის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქაღალტების პრობლემებს და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მარტო ლოკალური, არამედ გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით. ისინი ეფექტიანად ასორციელებენ საკუთარ პრაქტიკაში შემოწმებული ისეთი ფორმატის გადაწყვეტილებების ექსპორტირებას, როგორცაა, მაგალითად, პროექტი „სამუშაო-ცხოვრება-დასვენება“, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ჩინურ-სინგაპურული ინდუსტრიული პარკის მშენებლობა სუნჯოუში, საერთაშორისო ტექნოპარკის ბანგალორში (ინდოეთი) და ვიეტნამ-სინგაპურული ინდუსტრიული პარკი.

ჩამდინარე წყლების ინოვაციური უტილიზაციის განხორციელებით, მიწის ფართობის შეზღუდულობის პირობებში, წვიმის წყლის შენახვით, სინგაპურმა შეიმუშავა სხვადასხვა სახის ეკონომიური და საიმედო წყალმომარაგება, რომელიც ხორციელდება „ოთხი ეროვნული წყაროს“ პროექტის სახელწოდებით და მოიცავს გადამამუშავებულ, გამტკნარებულ, დრენაჟირებულ და იმპორტულ წყალს. ამ პროექტმა 2010 წ. პარიზში პრემია მიიღო „წყლის მეორადი გამ-

ოყენების“ სფეროში. მათი წყალსადენი კომპანიები: Hyflux, Keppel, Seghers და სხვები წარმატებით ფუნქციონირებენ ჩინეთის, ინდოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდ. აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბაზრებზე.

სინგაპური მსოფლიო ლიდერია ელექტრონული მთავრობის (e-GOV) და პროექტებისა და დანერგვის სფეროში. იქ მოქმედებს 1600-ზე მეტი სახელმწიფო ონლაინსერვისი, საგადასახადო დეკლარაციის ელექტრონული მიწოდებიდან ბიზნესის ლიცენზირების ონლაინსამსახურამდე.

სინგაპური აზიაში განათლებისა და მომსახურების საუკეთესო ცენტრია მისი მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი სახეებით. არის მედიცინის აღიარებული ცენტრი, რომლის რეპუტაციას განამტკიცებს სამედიცინო და დამხმარე დაწესებულებების გაერთიანებული ქსელი, სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტები, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევითი ორგანიზაციები, ფარმაცევტული საწარმოები, სამედიცინო ტექნოლოგიების შემუშავებელი დაწესებულებები და მრავალი სხვა, რომელთა მარტო ჩამოთვლაც კი ძალზე რთულია.

XXI საუკუნის დასაწყისში სინგაპურში ინიცირებულ იქნა კიდევ ერთი ახალი ამბიციური ტექნოპარკული პროექტი, რომელმაც უნდა შეასრულოს სესსს უკვე არსებული და ახლად შექმნილი ცენტრების ინტეგრაციის როლი უკვე ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტაციით, რომელზეც, 2010-2015 წწ. დაიხარჯა 9 მლრდ აშშ \$.

უკანასკნელ პერიოდში სინგაპური განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური, მაღალტექნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ფარმაცევტული, სატრანსპორტო და ა.შ. ცენტრი. ცენტრი, რომელიც რეგიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და ოკეანია) გლობალური ინოვაციური ინდექსის (ვი) მიხედვით უკვე რამდენიმე წელია, 2015 წ. ჩათვლით, პირველ ადგილზეა, მსოფლიოში კი მე-7-ზე.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმაზე, რომ სინგაპურში კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება, ხოლო სინგაპურის ეკონომიკური სტრატეგიის სპეციალური კომიტეტის მიერ (ESC) უახლოესი წლები-სათვის განსაზღვრულია ოთხი საბაზისო სტრატეგია:

- ცოდნის წარმოების მხარდაჭერა;
- ინოვაციური კაპიტალის ზრდა;
- ახალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;
- კვლევებსა და დამუშავებებზე ხარჯების ზრდა მშპ 3%-დან 3,5%-მდე.

იმაზეც უნდა ითქვას რომ პროგნოზების მიხედვით, 2020 წ. საქმიანი აქტივობის ცენტრი ევროპიდან და ამერიკიდან გადაინაცვლებს აზიაში და მასზე მოვა მსოფლიო ვაჭრობის 60%; რამდენადაც სინგაპური სტრატეგიულად აზიისა და მსოფლიოს სავაჭრო ცენტრების შუაგულშია, ეს კიდევ დამატებით განამტკიცებს მის, როგორც ცენტრის, პოზიციებს.

სწორედ ამიტომ, როგორც აზიაში, ისე განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველა ცდილობს სინგაპურის გამოცდილებიდან თავისთვის რაღაც სასარგებლოსა და მისაღების გამეორებას, თუმცა ჯერჯერობით ეს ვერავინ მოახერხა, რამდენადაც (სავარაუდოდ) ყველა ზემოთ აღნიშნულთან ერთად, აუცილებლად გასათვალისწინებელია შრომისაღმი ჩინელების დამოკიდებულება, ანუ უმკაცრესი შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინა, კანონებისა და წესების სრული მორჩილება ზენორმირებულ შრომასთან ერთად. ხოლო ის, რომ სინგაპური მუდმივად სახელდება, როგორც წარმატებული და მოწესრიგებული ქვეყანა, აღარავისთვისაა საკამათო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VIII, თბილისი 2015, გვ. 344-348.
2. Д. Нармания, М. Схиерели, По стопам Сингапура, <http://bizzone.info/articles/1344631928.php>
3. Глобальный инновационный индекс 2015г. http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2015/article_0010.html
4. Селезнев П. С. Инновационная политика современного госудадарства: стратегии, модели, практика. Диссертация на соискание ученой степени доктора политических наук, Москва, 2014. <http://library.fa.ru/files/Seleznev.pdf>
5. Национальные инновационные системы Сингапура и Малайзии, http://studme.org/1574012126324/menedzhment/natsionalnye_innovatsionnye_sistemy_singapura_malayzii
6. Анализ и оценка состояния и тенденций развития законодательства об инновационной деятельности и науке за рубежом, <http://iam.duma.gov.ru/node/10/4960/20221>
7. Миндич Д., Никифорова А., Оганесян Т. «Воровство — прекрасная стратегия» ж. Эксперт Online Москва, 11.10.2016, <http://expert.ru/expert/2011/46/vorovstvo--prekrasnaya-strategiya/>
8. Беседин К. В. Сингапурская модель экономики для развития бизнеса на современном этапе // Молодой ученый. — 2015. — №2. — С. 253-255. <http://moluch.ru/archive/82/14956/>

Nanuli Arevadze

FEATURES OF THE INNOVATIVE POLICY OF SINGAPORE

Annotation

The article analyzes the innovative policy of Singapore, its characteristics and development stages. It is shown that during the 50 years after the independence, due to the innovative economic policy in the country, from the poorest country of Asia, Singapore has become one of the successful, prosperous and orderly countries in the world, the role and importance of which in the future will be increased more.

ციცინო თეთრაული

ხორვატიის ინოვაციური პოლიტიკა

ხორვატიამ ევროკავშირის წევრობამდე მეტად რთული და საინტერესო გზა გაიარა. ევროკავშირი თავიდანვე შეიქმნა, როგორც ეკონომიკური გაერთიანება, ანუ გაერთიანება, რომლის მიზანი იყო წევრი-ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ აპლიკანტი ქვეყნის სურვილი, რომ გახდეს მისი წევრი. აუცილებელია, ეს აპლიკანტი ქვეყანა აკმაყოფილებდეს ბრიუსელის მიერ აღიარებულ გარკვეულ სტანდარტებს ისეთ სფეროებში, როგორცაა: დემოკრატიული ინსტიტუტები, ადამიანის უფლებები, სიტყვის გამოხატვის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა. შესაბამისად, აპლიკანტმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს ევროპული სტანდარტები ყველა ხსენებულ სფეროში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს დღის წესრიგში ევროკავშირის გაფართოების საკითხი ამ ქვეყნის გაწევრიანებით.

კაცობრიობის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლამ, რომელიც გლობალიზაციის სახელს ატარებს, მსოფლიოს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე

დააყენა. გლობალიზაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე. გლობალიზაციის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ დიდ წარმატებას, რომლებიც ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ ქვეყნისთვის მისადაგებულ ინოვაციურ პოლიტიკას. **ინოვაცია** ლათინური სიტყვაა (Inovation) და „განახლებას“ ნიშნავს. ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება, მისი დანერგვა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაციის ბევრი განმარტება არსებობს. ი. შუმპეტერის განმარტებით, „ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება“, ინოვაცია ინოვაციური პროცესების საბოლოო შედეგია. ინოვაცია განვითარების პროცესის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და გლობალური კონკურენციის პირობებში მის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. კ. ფრიმანის ცნობილი სიტყვებია: „არ გაწიო ინოვაცია, ნიშნავს, მოკვდე“. მეტად ნიშანდობლივი და მიღებულია ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინოვაციის განმარტება: „ინოვაცია არის ახალი პროდუქტის და პროცესის ან არსებულის გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნოლოგიების, იდეებისა და მეთოდების კომერციულად წარმატებული ექსპლუატაცია. ინოვაცია არის ინტერაქტიული სწავლის პროცესის შედეგი, გულისხმობს რა კომპანიის მრავალი შიგა და გარე ფაქტორის ჩართულობას“. მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, თუ რაოდენ ფართო სპექტრის სახით შეიძლება წარმოგვიდგეს ინოვაცია და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას ეკონომიკის განვითარებისთვის.

ხორვატია უნიტარული, დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელიც მდებარეობს ცენტრალური ევროპის, სამხრეთ ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე. მისი დედაქალაქია ზაგრები, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის 21 ერთეულიდან ერთ-ერთ ქუპანიას. ხორვატიის ტერიტორია 56 594 კმ²-ს მოიცავს. ხორვატიის ადრიატიკის ზღვის სანაპირო მოიცავს ათას კუნძულზე მეტს. ქვეყნის მოსახლეობა 4,28 მილიონ ადამიანს შეადგენს, რომელთა უმრავლესობა ხორვატია. მოსაზღვრე სახელმწიფოებია: სლოვენია, უნგრეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, ბოსნია და ჰერცეგოვინა. თანამედროვე ხორვატიის ტერიტორიაზე ხორვატები ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში მოვიდნენ. IX საუკუნეში მათ სახელმწიფო ორი საჰერცოგოს სახით ჩამოაყალიბეს. 925 წელს პირველი მეფე გახდა ტომისლავ I, ხორვატია კი სამეფო გახდა. სამეფო სუვერენიტეტს იგი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა. 1102 წელს ხორვატიამ პირადი უნია გააფორმა უნგრეთთან. XV საუკუნიდან უნგრელების ბატონობა ოსმალების ბატონობით შეიცვალა. ხორვატიის პარლამენტმა ხორვატიის ტახტის მფლობელად აირჩია ფერდინანდ I ჰაბსბურგების დინასტიიდან. ჰაბსბურგები ხორვატიას XX საუკუნის დასაწყისამდე მართავდნენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს ხორვატია შევიდა სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების არაღიარებული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც ავსტრია-უნგრეთს გამოეყო და იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ა. პაველიჩის ხელმძღვანელობით არსებობდა ნაცისტური მარიონეტული ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც აგრძელებდა სერბების, ებრაელების და ბოშების გენოციდს. 1945 წელს კომუნისტმა იოსიპ ბროზ ტიტომ დააემხო პაველიჩისა და ნედიჩის (სერბეთში) მთავრობები და შეიქმნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა 6 რესპუბლიკა: მაკედონია, ბოსანია და ჰერცეგოვინა, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი და ჩერნოგორია.

1991 წელს მწვავე შიდა კონფლიქტის ფონზე სერბებსა და ხორვატებს შორის, ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც იმავე წლის 8 ოქტომბერს ძალაში შევიდა. ისლანდია პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 1991 წლის დეკემბერში სცნო ხორვატიის დამოუკიდებლობა. ხორვატიისა და სლოვენის დამოუკიდებლობის გამოცხადება იუგოსლავიის დაშლის დასაწყისი გახდა. ეთნიკური დაპირისპირება ომში გადაიზარდა. ხორვატიის ომი დამოუკიდებლობისათვის 4 წელიწადს გაგრძელდა (1991-1995) და საბოლოოდ მისი წარმატებით დასრულდა. გაერომ ხორვატია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1992 წელს აღიარა. 1990 წლის კონსტიტუციით, 2000 წლამდე ხორვატია ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყანა იყო. 2000 წლიდან ის საპარლამენტო სისტემაზე გადავიდა. ხორვატიაში ხელისუფლება დაყოფილია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. ხორვატიის საკანონმდებლო სისტემა ემყარება კონტინენტური ევროპის სამართალსა და ინსტიტუციურ ჩარჩოებში ის ძლიერ განიცდის ავსტრია-უნგრეთის სამართალ მემკვიდრეობის გავლენას. სახელმწიფოს მეთაურია რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც პირდაპირი არჩევის წესით აირჩევა ხუთი წლის ვადით და მისი არჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერაა შესაძლებელი. გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, მისი პროცედურული მოვალეობაა, პარლამენტის თანხმობით დანიშნოს პრემიერ-მინისტრი; ასევე პრეზიდენტის ხელშია საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ნაწილი. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. აღმასრულებელი შტოს პასუხისმგებლობაა კანონმდებლობისა და ბიუჯეტის შეთავაზება, კანონმდებლობის აღსრულება, რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვა. მთავრობა განთავსებულია დედაქალაქ ზაგრებში, ბანსკი-დვორის სასახლეში. პარლამენტი (ხორ. sabor) ერთპალატიანია. პარლამენტის წევრთა რაოდენობა მერყეობს 100-160-მდე; ისინი საყოველთაო არჩევნების გზით აირჩევიან 4 წლის ვადით. ხორვატიის ორი უდიდესი პოლიტიკური პარტიაა ხორვატიის დემოკრატიული კავშირი და ხორვატიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ხორვატიას სამდონიანი იურიდიული სისტემა აქვს, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოებისა და მუნიციპალური სასამართლოებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ კონსტიტუციურ საკითხებს განიხილავს. ასევე არსებობს უმნიშვნელო დანაშაულთა, სავაჭრო და ადმინისტრაციული სასამართლოები. კანონთა შესრულებას ხორვატიაში იცავს პოლიციის ძალები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ბოლო წლებში მიმდინარეობს აღნიშნული ძალების რეფორმა, რაშიც მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო სააგენტოები, მათ შორის ეუთო, რომლის მისიამაც ხორვატიაში 1996 წლის აპრილში დაიწყო მოქმედება.

2003 წლიდან ხორვატიის საგარეო პოლიტიკა ფოკუსირებული იყო მთავარ სტრატეგიულ მიზანზე – გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო 2004 წელს და ამ პერიოდიდან დაიწყო სვლა ევროკავშირის წევრობისაკენ. მოლაპარაკებების ხშირი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო მისი დაბლოკვა სლოვენის მიერ. ხორვატია-სლოვენის სასაზღვრო დავის გამო. პრობლემა საბოლოოდ 2009 წლის 4 ნოემბერს საარბიტრაჟო შეთანხმებით მოგვარდა, რაც ორივე პარლამენტმა დაამტკიცა. სლოვენიაში კი ამ საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდა. 2011 წლის დეკემბერში ხორვატიამ ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებები დაასრულა და 9 დეკემბერს წევრად მიღების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 2012 წლის 22 იანვარს ხორვატიაში რეფერენდუმი გაიმართა, რომელშიც მოსახლეობის 66,25%-მა მისცა ხმა ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებას, ხორვატია ევროკავშირს 2013 წლის პირველ ივლისს შეუერთდა.

ხორვატია ყოფილ იუგოსლავიის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ მდიდარ ქვეყნად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან დაზარალდა 1991-1995 წლების ომის დროს. ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდა წარმოება. ხორვატიამ დაკარგა უცხოეთიდან შემომავალი ინვესტიციების პირველი ტალღა, 2000 წლიდან ტურიზმის წყალობით ეკონომიკურმა მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ხორვატიაში მკვეთრი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. ეკონომიკურ ზრდას ხელს უშლის უმუშევრობის მაღალი დონე და ქვეყნის რეგიონების არაერთგვაროვანი განვითარება. უმუშევართა რაოდენობამ 2014 წელს 16,8% შეადგინა. ხორვატიის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: გერმანია, ავსტრია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ. ხორვატიას დიპლომატიური ურთიერთობები აქვს 174 სახელმწიფოსთან. ქვეყანაში ფუნქციონირებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისები, როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეუთო, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს უმაღლესი კომისარის ოფისი დეენილთა საკითხებში, გაეროს ბავშვთა ფონდი. 2000 წელს ხორვატია ჩაერთო პროექტში პარტნიორობა მშვიდობისათვის, 2008 წელს ალიანსში გასაწევრიანებლად მიიწვიეს და მისი წევრი ოფიციალურად გახდა 2009 წლის 1 აპრილს. 2008-2009 წლებში ხორვატია იყო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, 2009 წელს ხორვატიის საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის სამინისტროს დასაქმებული ჰყავდა 1381 ადამიანი და ხარჯავდა 648,2 მილიონ კუნას (86.4 მლნ ევრო). ხორვატიის საგარეო პოლიტიკის გაცხადებული მიზნებია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება, ხორვატიის ეკონომიკის და ზოგადად ხორვატიის მხარდაჭერა.

დღეისთვის ხორვატიას ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით ხორვატიას მზარდი, განვითარებადი ეკონომიკა აქვს. მსოფლიო ბანკის შეფასებით კი – მაღალი შემოსავლების ეკონომიკა. ხორვატიის ეკონომიკაში დომინანტია მომსახურების სფერო, რასაც მოსდევს სამრეწველო სექტორი და სოფლის მეურნეობა. ზაფხულის პერიოდში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ტურიზმი. ხორვატია მსოფლიოში მე-18 ყველაზე პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილია. არსებითი სახელისუფლებო დანახარჯებით, სახელმწიფო აკონტროლებს ეკონომიკის გარკვეულ ნაწილს. ხორვატიის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია ევროკავშირი. 2000 წლიდან ხორვატიის ხელისუფლებამ ინვესტიციები განახორციელა ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით პანევროპული სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ გზების მშენებლობაში. ხორვატიის ენერგეტიკის მნიშვნელოვანი წილის წარმოება შიდა წყაროებით ხდება, გარკვეული ნაწილი კი იმპორტად შედის. ქვეყანაში მოქმედებს უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა და უფასო დაწეებით და საშუალო განათლება. კულტურის მხარდასაჭერად ფუნქციონირებს მრავალი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ასევე კორპორაციული ინვესტირება მედიასა და გამომცემლობებში. ხორვატიას მაღალშემოსავლიანი ეკონომიკა აქვს. 2013 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები აჩვენებდა, რომ ხორვატიას ნომინალური მშპ ჯამში 63842 მილიარდ დოლარს, ხოლო თითო მოსახლეზე 14457 დოლარს უდრიდა. ევროსტატის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს ხორვატიის მშპ ევროკავშირის შესაბამისი საშუალო მაჩვენებლის 61%-ს უდრიდა. 2013 წელს მშპ-ის რეალური ზრდა 0,9%-ს შეადგენდა. 2013 წლის მარტის მონაცემებით, ხორვატი მუშაკის ყოველთვიური საშუალო ხელფასი 5516 კუნას (988 აშშ დოლარს), ხოლო დარეგისტრირებული უმუშევრობის დონე 20,9%-ს

შეადგენდა. 2010 წელს ეკონომიკურ წარმოებაში მომსახურების სექტორი დომინირებდა, რომელიც მშპ-ის 66%-ს გამოიმუშავებდა. შემდეგ მოდიოდა ინდუსტრიული სექტორი – 27,2%-ით და სოფლის მეურნეობა – 6,8%-ით. 2012 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,1% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, 29% – ინდუსტრიაში და 69% – მომსახურების სფეროში. ინდუსტრიული სექტორის წამყვანი დარგებია გემთმშენებლობა, კვების მრეწველობა, ფარმაცევტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიოქიმია და ხეცის მრეწველობა. 2013 წელს ხორვატიის ექსპორტმა 67,9 მილიარდი კუნა (8,9 მლრდ ევრო) შეადგინა. პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკისკენ სწრაფვა ხორვატიის ახალი მთავრობის მიერ ახალი წამოწყებული იყო, როცა 1991 წელს ომი დაიწყო ქვეყანაში. ომის შედეგად ეკონომიკის ინფრასტრუქტურამ დიდი ზიანი მიიღო, განსაკუთრებით მაღალშემოსავლიანმა ტურიზმის ინდუსტრიამ. 1989 წლიდან 1993 წლამდე, ქვეყნის მშპ 40,5-ით შემცირდა. 2014 წელს, არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობის ჩამონათვალში კორუფციის აღკვეთის ინდექსის 48 ქულიანი მაჩვენებლით, 175 ქვეყანას შორის ხორვატია 61-ე ადგილზე გავიდა. 2013 წელს ქვეყნის ეროვნული ვალი 34544 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ხორვატიის მშპ-ის 60,2% უდრიდა.

ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის ომის დასრულებისთანავე, ტურიზმის ინდუსტრიამ სწრაფად დაიწყო ზრდა, 4-ჯერ გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა და წელიწადში 10 მილიონ ტურისტზე მეტი შეადგინა. ყველაზე მეტი ტურისტი ხორვატიაში ჩადის გერმანიიდან, სლოვენიიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან. დიდია შიდა ტურიზმის წილიც. ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი ნაწილი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ყვავის. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან, პირველი კურორტი იყო ოპატია. 1890-იანი წლებისთვის ის ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამაჯანსაღებელი კურორტი გახდა. მოგვიანებით, კურორტთა დიდი რაოდენობა გაშენდა ზღვის სანაპიროსა და მრავალ კუნძულზე, სადაც ტურისტებს მრავალ სეზონს სთავაზობენ. უმნიშვნელოვანესია საწყალონო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რომელიც დაკავშირებულია შუა საუკუნეების სანაპირო ქალაქებსა და მრავალ კულტურულ ღონისძიებასთან, რომელიც ზაფხულობით იმართება. ქვეყნის შიდა ნაწილებში ტურისტების განკარგულებაშია სამთო კურორტები, აგროტურიზმი და სპა. ასევე მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია ზაგრები, რომელიც ღირსეულ კონკურენციას უწევს მთავარ სანაპირო ქალაქებსა და კურორტებს, ხორვატიაში არის სრულიად გამოუყენებელი, დაუზიანებელი წყლიანი არეალები, სადაც შექმნილია ბუნების ნაკრძალები და ცისფერი დროშის მქონე 116 საწყალონო ადგილი. ვიზიტორების 15% ნატურიზმშია ჩართული – ინდუსტრიაში, რომლითაც ხორვატია მთელ მსოფლიოშია ცნობილი. გარდა ამისა, ხორვატია პირველი ქვეყანა იყო ევროპაში, რომელმაც კომერციული ნატურისტული კურორტები განავითარა. ამრიგად, ტურიზმი ხორვატიის მომსახურების სფეროში დომინანტია და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 20%-ს აწარმოებს. 2011 წელს ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებულმა წლიურმა შემოსავალმა 6,61 მილიარდი ევრო შეადგინა. ტურიზმის დადებითი ეფექტი ხორვატიის მთლიან ეკონომიკაზე იგრძნობა – ბიზნესის გაზრდილი მოცულობა საცალო გაყიდვების სექტორში, გაზრდილი წარმოება და საზაფხულო, სეზონური დასაქმება; ტურიზმის ინდუსტრია საექსპორტო ბიზნესადაა მიჩნეული, რადგან ის მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დარღვეულ ბალანსს.

ხორვატიის ინფრასტრუქტურული განვითარების უმთავრეს მოვლენას მისი სწრაფადმზარდი ავტომაგისტრალების ქსელი წარმოადგენს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 1990-იან წლებში და, განსაკუთრებით, 2000-იანი წლების დეკადაში აშენდა. 2011 წლის ბოლოს ხორვატიამ დაამთავრა ჯამში 1100კმ-ზე მეტი სიგრ-

ძის ავტომაგისტრალები, რომლებიც ზაგრებს რეგიონების უმეტესობასთან, სხვადასხვა ევროპულ მარშრუტებთან და 4 პანევროპულ კორიდორთან აკავშირებენ. ყველაზე დატვირთული მაგისტრალებია: A1, რომელიც ზაგრებს სპლიტთან აკავშირებს და A3, რომელიც ჩრდილო-დასავლეთი ხორვატიისა და სლავონიის გადაკვეთით ქვეყანას აღმოსავლეთიდან დასავლეთით კვეთს – სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ფართოდ გაერცვლებული ქსელი; მოქმედებს როგორც ავტომაგისტრალების „ფიდური გზები“, რომლებიც ქვეყნის ყველა მთავარ დასახლებულ პუნქტს აკავშირებენ ერთმანეთთან. ხორვატიას 2722 კმ სიგრძის ფართო სარკინიგზო ქსელი აქვს, აქედან 985 კმ ელექტრიფიცირებული და 254 კმ ორმხრივი სარკინიგზო ხაზებია.

ხორვატიის ყველაზე მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხაზები პანევროპული სატრანსპორტო კორიდორების მახლობლადაა, რომლებიც ზაგრების გავლით რიეკას ბუდაპეშტთან და ლიუბლიანას ბელგრადთან აკავშირებენ. ყველა სარკინიგზო მომსახურებას ხორვატიის რკინიგზა ოპერირებს. ხორვატიის ყველაზე დატვირთული სატვირთო საზღვაო პორტი რიეკას პორტია, ხოლო ყველაზე დატვირთული სამგზავრო პორტი სპლიტისა და ზადარის პორტებია. დამატებით დიდი რაოდენობით მომცრო პორტები მუშაობენ, როგორც საბორნო ხაზების ფართო სისტემა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ მრავალრიცხოვან კუნძულებსა და ზღვისპირა ქალაქებს, როგორც ხორვატიაში, ასევე იტალიაში. ყველაზე დიდი სამდინარო პორტი ვუკოვარია, რომელიც მდინარე დუნაიზე მდებარეობს და წარმოადგენს ქვეყნის გასასვლელს პანევროპულ სატრანსპორტო კორიდორზე. ხორვატიაში 610 კმ სიგრძის ნედლი ნავთობის გადასაზიდი ნავთობსადენებია, რომლებიც რიეკას პორტის ნავთობტერმინალს, რამდენიმე გადასატვირთ ტერმინალთან ერთად, ხორვატიაში რიეკასა და სისაკის, ხოლო საზღვარგარეთ ბროდის (ბოსნია-ჰერცეგოვინა), პანჩევოსა და ნოვი სადის (სერბეთი) ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან აკავშირებს. ნავთობსადენების სისტემას წელიწადში 20 მილიონი ტონა ნავთობის გადაზიდვის უნარი აქვს. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სისტემა 2113 კმ სიგრძის მაგისტრალურ და რეგიონულ გაზსადენებს და 300-ზე მეტ დაკავშირებულ სტრუქტურას მოიცავს, რომელიც აკავშირებს წარმოების რეოლებს, ოკოლის ბუნებრივი აირის საცავს და 37 სადისტრიბუციო სისტემას.

ხორვატიის ენერგორესურსების წარმოება ქვეყნის ბუნებრივი აირის მოთხოვნის 85%-ს და ნავთობის მოთხოვნის 19%-ს აკმაყოფილებს. 2008 წელს, ხორვატიის ძირითადი ენერგოწარმოების სტრუქტურის 47,6% მოიცავდა ბუნებრივ აირს (47,7), ნედლ ნავთობს (18,0%), სათბობ ხის ნაწარმს (8,4%), ჰიდროენერჯიას (25,4%) და სხვა განახლებად ენერგეტიკულ წყაროებს (0,5%). 2009 წელს ხორვატიაში ელექტროენერჯიის ქსელის საერთო წარმოებამ 12 725 კვტ/სთ-ს მიაღწია და ხორვატიამ ელექტროენერჯიის მოთხოვნის მხოლოდ 28,5%-ის იმპორტირება განახორციელა. ხორვატიის ელექტროენერჯიის იმპორტის დიდი ნაწილი სლოვენიაში მდებარე კრშკოს ატომური ელექტროსადგურიდან ხორციელდება, რომლის 50%-საც ხორვატია ფლობს და ქვეყნის ელექტრომომარაგების 15%-ს აკმაყოფილებს. ხორვატიას საერთაშორისო აეროპორტები აქვს ზაგრებში, ზადარში, სპლიტში, დუბროვნიკში, რიეკაში, ოსიეკში და პულაში.

ხორვატია ასრულებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უსაფრთხოების სტანდარტებს და აშშ-ის ფედერალურმა საავიაციო ადმინისტრაციამ ის კატეგორია 1-ის რეიტინგში აიყვანა. ხორვატის ეკონომიკის შესაფასებლად გამოიყენება კოპენჰაგენის კრიტერიუმები; ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის არსებობა და გაერთიანების ფარგლებში კონკურენტუნარიანობა. ხორვატიის მთავრობამ შეიმუშავა მეორე ეკონომიკური პროგრამა

რომელიც მისადაგებული იყო ევროგაერთიანების მოთხოვნებთან. 2006 წლის აგვისტოში მოხდა ამ პროგრამის დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეკონომიკურ რეფორმას. ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობა. 2005 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4,3% შეადგინა და იგი წინა წლის მონაცემებთან შედარებით (3,8%) მაღალი იყო. 2006 წელს კი მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია გაიზარდა 4,1%-ით. საკმაოდ მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ კერძო სექტორში ინვესტიციების პოტენციალის ზრდა მოგვცა; ეროვნულმა ბანკმა ბევრი მექანიზმი გამოიყენა იმისთვის, რომ კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა მისცემოდათ, უცხოური საკრედიტო ინვესტიციებიდან აეღოთ შეღავათიანი კრედიტები. 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივლისამდე წლიური ფულის მოცულობის ზრდა 9,3%-დან 12%-მდე გაიზარდა. წლიური შიდა კრედიტის ზრდამ 16,7%-დან 22,2%-მდე აიწია. თუმცა უპირველეს მიზნად ფასების სტაბილურობა რჩებოდა და პარალელურად ხდებოდა ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება კაპიტალის შემოდინების დასარეგულირებლად. ინფლაციის მანევრებელი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 2004 წელი – 2,1%, 2005 წელი – 3,3%, 2006 წელი – 3,6%. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ფასის სტაბილურობის მიზანი მიღწეული იქნა, საფინანსო პოლიტიკა შეესაბამებოდა ეკონომიკურ პროგრამას და აკმაყოფილებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და გაწვევრიანების „მოსამზადებელი პროგრამის“ სტრატეგიულ მიზნებს. მთლიანი შემოსავალი 6,9%-ით გაიზარდა. დამატებითი ღირებულების გადასახადით შემოსული თანხა წარმოადგენდა მთლიანი შემოსავლების ძირითად ნაწილს.

2006 წელს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ძირეული რეფორმა სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების კონსოლიდირებას და პროცედურების გამარტივებას. ამ რეფორმის მიზანს წარმოადგენდა სოციალური დანახარჯების ეფექტიანობის ზრდა. ეკონომიკური მონაცემებიდან გამომდინარე, კერძო სექტორმა 60%-ზე მეტი წილი შეიტანა მთლიანი წარმოების პროცესში. დასაქმებულთა სტატისტიკის თანახმად, კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებულებში 2005 წელს 68%-მდე გაიზარდა. 2004 წელს კი ეს მანევრებელი 66,2%-ს შეადგენდა. მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორცაა ლითონის წარმოება და გემთმშენებლობა, სახელმწიფო, ისევე, როგორც წინა წლებში, მესაკუთრეს წარმოადგენს და ყველა ბერკეტს ფლობს. მეწარმეთა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის მიზნით ხორვატიის ხელისუფლებამ 2006 წლის დასაწყისში სხვადასხვა მექანიზმი დანერგა სამუშაო ბაზის გასაძლიერებლად. ამ მექანიზმებს მიეკუთვნება სამუშაო გამოცდილების არმქონე ახალგაზრდა ხალხის, უმუშევართა, ხანში შესული ადამიანების და სხვა სოციალურად რთულ სიტუაციაში მყოფი მოსახლეობის მიზანმიმართული განათლება და სამუშაოს მოძებნაში დახმარება. 2005 წლის მეორე ნახევრის მონაცემებით, უმუშევრობის დონე ახალგაზრდებს შორის საკმაოდ მაღალი იყო და 30%-ს შეადგენდა, საერთო ჯამში, უმუშევართა მაღალი დონე ნეგატიურად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. 2005 წელს და 2006 წლის დასაწყისში მთლიანი კაპიტალური ინვესტიციები კვლავ გაიზარდა, მათი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 29%-ს შეადგენდა. ხორვატიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78 წელია. შობადობის ჯამური კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მანევრებელია მსოფლიოში. 1991 წლიდან ხორვატიაში სიკვდილიანობის კოეფიციენტი მუდმივად აჭრებდა შობადობის კოეფიციენტს. მოსახლეობის შემცირებას ხელი შეუწყო ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის ომმა. ომის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლდა და გაიზარდა ემი-

გრაფია. ხორვატიის მოსახლეობა 1857 წლიდან 1991 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა და 2,1 მილიონი კაციდან 4,7 მილიონამდე ავიდა. ამჟამად მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი უარყოფითია. თავისი საიმიგრაციო პოლიტიკის შესაბამისად, ხორვატია ემიგრანტების მოხიბვლას ცდილობს, რათა მათ დაბრუნებისკენ უბიძგოს. ხორვატიის სტატისტიკის ბიუროს პროგნოზით, 2051 წლისათვის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა, შესაძლოა, 3,1 მილიონ კაცამდე შემცირდეს, რაც დამოკიდებულია შობადობასა და მიგრაციის საღლოზე. ხორვატია მსოფლიოში მე-40 ადგილზეა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით. კერძოდ, ეს მაჩვენებელი შეადგენს ამ ქვეყნისთვის 74 წელს მამაკაცებისთვის და 81 წელს ქალებისთვის. ქვეყანაში დაფიქსირებულია ბავშვთა სიკვდილიანობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი, კერძოდ, 5 შემთხვევა 1000 ცოცხალ ახალშობილზე, ხორვატიას გააჩნია უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა, რასაც საფუძველი ჩაეყარა უნგრეთ-ხორვატიის 1891 წლის საპარლამენტო აქტით, რომელიც უზრუნველყოფდა სავალდებულო დაზღვევას ქარხნის ყველა მუშისთვის და ყველა ხელოსნისთვის. დღეისთვის მოსახლეობა გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პროგრამაში. 2009 წელს ჯანდაცვასთან დაკავშირებულმა წლიურმა ხარჯებმა მიაღწია 20,6 მილიონ კუნას (2,75 მილიარდ ევროს). 2010 წელს ხორვატიამ თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,9% დახარჯა ჯანდაცვაზე. დღეისთვის სახელმწიფოში არსებობს ასობით ჯანდაცვითი დაწესებულება. საავადმყოფოები და კლინიკები წელიწადში 700 000-ზე მეტ პაციენტს იღებს. დასაქმებულია 5400 ექიმი. ხორვატიაში დღესდღეობით დარეგისტრირებულია 6 420 კერძო სამედიცინო ოფისი და სამედიცინო მუშაკთა სრული რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 41 271-ს. სასწრაფო სამედიცინო დახმარება წლიურად მილიონზე მეტ ადამიანს ემსახურება.

ხორვატიაში ღვინის მწარმოებელი 2 გამოკვეთილი რეგიონია. კონტინენტური რეგიონი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, განსაკუთრებით კი სლავონია, ორიენტირებულია მაღალფასიანი, ძირითადად თეთრი ღვინის წარმოებაზე; ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ ისტრიის და კრკის ღვინოები, მეზობელ იტალიაში წარმოებული ღვინოების მსგავსია. მაშინ, როდესაც უფრო სამხრეთით, დალმაციაში ნორმას ხმელთაშუა ზღვის სტილის წითელი ღვინოები ქმნიან. ღვინის ყოველწლიური წარმოება 140 მილიონ ლიტრს აჭარბებს. გვიან XVIII საუკუნემდე, ხორვატია ძირითადად ღვინის მსმელ ქვეყნად რჩებოდა, შემდგომ პერიოდში კი ლუდის მასიური წარმოება და მოხმარება დაიწყო. 2008 წელს თითოეულ მოსახლეზე მისი ყოველწლიური მოხმარების რაოდენობამ 83,3 ლიტრი შეადგინა, რამაც ამ მაჩვენებლით მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის ხორვატია მე-15 ადგილზე დააყენა. 1991-1995 წლების ომის შემდეგ ხორვატიის სამხედრო ხარჯები და შეიარაღებული ძალების მოცულობა გამუდმებით იკლებდა. 2005 წლის შემდეგ, სამხედრო ბიუჯეტი მშპ-ის 2%-იანი ნიშნულის ქვევით იქნა შენარჩუნებული, მაშინ, როდესაც 1994 წელს ეს მაჩვენებელი რეკორდულ 11,1%-ს უდრიდა. ხორვატიას გააჩნია მნიშვნელოვანი სამხედრო ინდუსტრიული სექტორი, რომელმაც 2010 წელს დაახლოებით 120 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობა და შეარაღება გაიტანა ექსპორტზე. 2011 წელს, როგორც ნატოს მართული ISAF-ის ძალების ნაწილი, 350 ჯარისკაცი მსახურობდა ავღანეთში, 20 ჯარისკაცი – კოსოვოში. ხორვატული არმიის უნიფორმა და ჩაფხუტებიც ადგილობრივი წარმოებისაა და წარმატებით იყიდება ასევე სხვა ქვეყნებში. ხორვატიის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი ხორვატიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროა. იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილია ქვეყნის 7 ძეგლი. იუნესკოს არამტერიალური

კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილია ხორვატიის 7 მემკვიდრეობა და ამ მხვენებლით საუკეთესოა ევროპაში ესპანეთთან ერთად. ხორვატიაში წარმოიშვა ჰალსტუხი, რომელსაც XVII საუკუნეში ხორვატი დაქორავებული ჯარისკაცები ატარებდნენ. ხორვატიაში ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით მაღალია ადამიანის განვითარების დონე და გენდერული თანასწორობა. ქვეყანა მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს. ხორვატიის ხელოვნებას დიდი ისტორია აქვს, დაწყებული შუა საუკუნეებიდან. ცნობილია XIII საუკუნეში რადოვანის მიერ დამზადებული ტროვირის ტაძრის კარიბჭე. ხორვატული არქიტექტურის უძველესი ნიმუშებია IX საუკუნის ეკლესიები, მათ შორის ყველაზე დიდია წმინდა დონატუსის ეკლესია. პრესისა და სიტყვის თავისუფლება ხორვატიის კონსტიტუციითა გარანტირებული. 2010 წლის პრესის თავისუფლების ინდექსის მხვენებლით, ხორვატიას 62-ე ადგილი ეკავა. ხორვატია თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ევროპაში ბიომრავალფეროვნების მიხედვით. ხორვატიის ყველაზე უფრო ცნობილი ტბებია პლიტიცეს ტბები, ესა 16 ტბის სისტემა, რომელთაც ერთმანეთთან აერთებს დოლომიტის და კირქვის კასკადებზე ჩამომაგალი ჩანჩქერებიანი ნაკადები. ტბები ცნობილია თავიანთი განსხვავებული ფერებით, რომლებიც იცვლება საფირონის ფერიდან ხასხასა მწვანემდე, რუხამდე ან ლურჯამდე. პლიტიცეს ტბების ეროვნული პარკი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია. ქვეყანაში მოიპოვება წარმოებისთვის საკმარისი ბუნებრივი რესურსები, მათ შორის: ნავთობი, ქვანახშირი, ბოქსიტი, დაბალი ხარისხის რკინის საბადო, კალციუმიანი ქანები, თაბაშირი, ბუნებრივი ასფალტი, სილიკა, მიკა, თიხები, მარილი, ჰიდროენერჯია.

დასასრულ, შეიძლება ვთქვათ, რომ ხორვატიამ, როგორც პატარა ქვეყანამ, წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე წამოჭრილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გახდა ევროკავშირის წევრი-ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც., ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2016.

2. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

3. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკისი, თბილისი, 2014.

4. www.wikipedia.org.ge

Tsitsino Tetrauli

INNOVATION POLICY OF CROATIA

Annotation

The article discusses the strategy and peculiarities of economic development in Croatian Republic, the role and significance of innovations in the economy. National development ways and methods are analyzed owing to which Croatia has achieved economic progress and worthy place in a great European family.

პრობლემა 2.

ვლადიმერ პაპავა

რეიტროვიკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის შემთხვევაში

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება. ეს განპირობებულია ძალიან ბევრ ფაქტორით, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი რეტროეკონომიკას, ანუ ეკონომიკის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას უკავია. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანას აქვს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის ამბიცია და აქედან გამომდინარე ქმნიან ინოვაციური პოლიტიკის სამთავრობო დოკუმენტებს, ფაქტობრივად, ამ ქვეყნების უმრავლესობა მაინც არ არის ეკონომიკურად წარმატებული. აქედან გამომდინარე, რეტროეკონომიკის არსებობის მიზეზები კვლევის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენს.

საქართველოსთვის სულ უფრო აქტუალური ხდება ევროინტეგრაციის მიმართულებით განვითარება. იმავდროულად საყურადღებოა, რომ ჩვენი ქვეყნის უახლოეს სამეზობლოში შეიქმნა ეკონომიკური კავშირი, რომლის ორი წევრი სახელმწიფო ჩრდილოეთიდან (რუსეთი) და სამხრეთიდან (სომხეთი) უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და სომხეთს შორის უშუალო საზღვარი არ არის, ამიტომ ისინი ვერ ქმნიან სრულად ინტეგრირებულ ეკონომიკურ სივრცეს, რის გამოც საქართველოს წინაშე დგას ამ კავშირში ჩართვის საფრთხე, რაც შედის ჩვენი ხსენებული მეზობლების ინტერესებში. ამ ვითარებაში აუცილებელია იმის შესწავლა, თუ რას უქადის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების კუთხით ეკონომიკური კავშირი საქართველოს. ამ ტიპის კვლევის მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ არ იქნეს დაშვებული შეცდომა და საქართველომ არ თქვას უარი ევროპული ინტეგრაციის მიმართულებაზე.

1. რეტროეკონომიკის არსის შესახებ

კომუნისტური რეჟიმის მსხვერვის შედეგად მბრძანებლური ეკონომიკა დადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სერიოზული პრობლემის წინაშე. მას განსაკუთრებით ართულებდა ნეკროეკონომიკა, ანუ „მკვდარი ეკონომიკა“, რომელიც თავისი არსით მოქვედებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის მიწოდებაა, რომელზედაც რეალურად მოთხოვნა არ არსებობს მისი დაბალი ხარისხის (ან სულაც უხარისხობის) ან/და წარმოების მაღალი დანახარჯების გამო, თუმცა ამ მოთხოვნას ხელოვნურად ქმნის სახელმწიფო [1-2].

აღსანიშნავია, რომ წარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა თავისთავად არ არის ნეკროეკონომიკის არსებობის საკმარისი პირობა (ის მხოლოდ აუცილებელი პირობაა); ამისათვის, ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასთან ერთად, სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა ამუშაოს „მკვდარი საწარმოები“ მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ხელოვნურად შექმნის გზით.

იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტრო-ფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს, ვუწოდებთ *რეტროეკონომიკას* (ლათინური სიტყვა „რეტრო“ ნიშნავს უკან, წარსულისკენ მიპყრობილს). ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის თეორიას რეტროეკონომიკის ვუწოდოთ [3-4].

მართალია, ამ ტერმინის გამოყენება გვხვდება საბჭოთა ეკონომიკის თანამედროვე კრიტიკიუმებით დახასიათებისთვისაც [5], მაგრამ, მიგვაჩნია, რომ

ამ მიზნისთვის უფრო შესაფერისი იქნებოდა საბჭოთა ეკონომიკის რეტრო-სპექტული ანალიზის დარქმევა.

რა მსგავსება და რა განსხვავებაა ნეკროეკონომიკასა და რეტროეკონომიკას შორის? მსგავსება ისაა, რომ ორივე ტიპის ეკონომიკაში გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები; განსხვავება კი ისაა, რომ ნეკროეკონომიკის პირობებში ამ საწარმოებში იმდენად მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენება, რომ მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე რეალურად არ არსებობს მოთხოვნა და, ამდენად, ეს საწარმოები ფუნქციონირებენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე; რეტროეკონომიკის პირობებში კი ამ საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არის, რასაც განაპირობებს სახელმწიფოს ზომიერი მხარდაჭერა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეკროეკონომიკასა და რეტროეკონომიკასაც სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს, ხოლო მეორეს სახელმწიფოსაგან ესაჭიროება ქვეყნის შიგა ბაზრის დაცვა საერთაშორისო კონკურენციისაგან.

რა არის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორები? ეს ფაქტორები სხვადასხვა ხასიათისაა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ერთი საბოლოო შედეგისკენ – რეტროეკონომიკის შექმნისაკენ – მიჰყავს ქვეყანა. კერძოდ, ეს ფაქტორებია:

I. *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა*, რაც ზღუდავს ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას, მის ხელმისაწვდომობას და, შესაბამისად, ზრდის ამ ტექნოლოგიების არასანქციონირებელი კოპირებისა და ასევე არასანქციონირებელი რეინჟინირინგის საფრთხეს [6, c. 120]. ასეთ ვითარებაში ახალი ტექნოლოგიების სანქციონირებელი გამოყენება ძვირია, განსაკუთრებით იმ ფირმებისათვის, რომლებიც შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებენ. შედეგად, ამ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება შედარებით მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას.

II. *ეკონომიკის მონოპოლიზაცია* – როცა მონოპოლიები ახალ ტექნოლოგიებზე პატენტებს შეისყიდიან არა იმ მიზნით, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ოპერატიულ რეჟიმში გამოიყენონ, არამედ იმისათვის, რომ სხვამ არ გამოიყენოს და თავად, შესაძლოა, მოგვიანებით (თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევენ) გამოიყენონ (მაგალითად, [7, c. 33]). იმ დროისათვის, შესაძლოა, უკვე შექმნილიც კი იყოს კიდევ უფრო ახალი ტექნოლოგიები, რის გამოც ხსენებული ნაყიდი, მაგრამ გამოუყენებელი ტექნოლოგიის გამოყენებას (მორალური ცვეთის გამო) აზრი ეკარგება. ამ ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე პირობებში, როცა მონოპოლიებს ახალი ერა დაუდგათ [8].

III. *საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა*, რომლებიც, როგორც წესი, არ ყიდიან მსოფლიოს საუკეთესო ბოლო თაობის ტექნოლოგიებს [9, c. 590]. ისინი საკუთარი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისათვის ყიდიან ე.წ. second-hand (ნახმარ) ტექნოლოგიებს [10], ანუ ახორციელებენ second-hand (მეორად) ინვესტიციებს [1, p. 800; 2, c. 25]. ამგვარი პოლიტიკის წყალობით ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში თავს იყრის არა ინოვაციური, არამედ იმიტაციური (ან კვაზინოვაციური) ტექნოლოგიები (მაგალითად, [11-12]), ხოლო საერთაშორისო კონკურენციის ლიდერები თავიდან იშორებენ მოძველებულ უფრო მასალატევად, შრომატევად ან/და ეკოლოგიურად საშიშ წარმოებებს, რითაც ხელს უწყობენ ამ გამოთავისუფლებულ ეკონომიკურ სივრცეში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებას ([13]). საყურადღებოა, რომ ინოვაციური პროცესების წარმოდგენა ორ განსხვავებულ ნაწილად – უშუალოდ ინოვაციად (ანუ ახლის შექმნად) და იმიტაციად (ანუ უკვე შექმნილის გადმოღება-გამოყენებად) – ცნობილ ავსტრიელ და ამერიკელ ეკონომისტს,

იოზეფ შუმპეტერს ეკუთვნის, რითაც მან დიდი წვლილი შეიტანა ინოვაციური პროცესების შემდგომ გააზრებაში (მაგალითად, [14, c. 4]).

IV. *განათლების დაბალი დონე* – როცა სათანადო დონის განათლებული კადრების არარსებობის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია ინფორმაციის თუნდაც ღია არხებით (რომ არაფერი ვთქვათ კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხზე [15]) მიღებული ცოდნის გამოყენება და ეს პრობლემა დაკავშირებულია არა მარტო უმაღლეს და პროფესიულ, არამედ საშუალო განათლების არაღმაკმაყოფილებელ დონესთან [6, c. 118].

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გარკვეული უპირატესობაც კი აქვთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. კერძოდ, ერთი შეხედვით, საღ აზრს სულაც არ უნდა იყოს მოკლებული ის, რომ ახალი ტექნოლოგიური წყობის (ანუ ტექნოლოგიურად დაკავშირებულ წარმოებათა მსხვილი კოპლექსის) რეალიზება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში შედარებით უფრო ადვილია, რადგანაც ისინი არ არიან დამძიმებული მოძველებული ტექნოლოგიური წყობის შესატყვისი კაპიტალის ჭარბი დაგროვებით [16, c. 27]. აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება მაინც ცალმხრივად უნდა ჩაითვალოს, რადგან რეტროეკონომიკის შექმნის ზემოსხენებული პირველი, მესამე და მეოთხე ფაქტორი წინ აღუდგება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ამ უპირატესობით (სინამდვილეში კი, ფსევდოუპირატესობით) სარგებლობის შესაძლებლობას: ჯერ ერთი, ქვეყანაში, სადაც ცოტაა (ან, შესაძლოა, საერთოდ არ არის) მდიდარი ფირმები, პრაქტიკულად ვერ შეიძენენ ძვირადღირებულ პატენტებს უახლეს ტექნოლოგიებზე, მეორე – საერთაშორისო კონკურენციის ლიდერებიც ყველანაირად შეეცდებიან დაბლოკონ მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელება, და მესამე – არასათანადო დონის განათლების მქონე მოსახლეობისათვის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

„ჩამორჩენილობის უპირატესობაზე“ აქცენტის გაკეთებისას, როგორც წესი, იქიდან გამოდიან, რომ ამ ქვეყნებს ინოვაციების ნაცვლად შეუძლიათ ორიენტაცია აიღონ იმიტაციებზე (კვაზინოვაციებზე), ანუ უკვე ცნობილი ტექნოლოგიების კოპირებაზე (რა თქმა უნდა, დანახარჯები ტექნოლოგიების კოპირებაზე აშკარად ნაკლებია, ვიდრე დანახარჯები ინოვაციებზე) [17, cc. 448-449], რის შედეგადაც ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ შეამცირონ მოწინავე ქვეყნებთან შედარებით არსებული ჩამორჩენა [18]. აქვე კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ პირობას, რომ ტექნოლოგიების იმიტაციის წარმატებისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი განათლების მქონე ეროვნული კადრები.

მართალია, იმიტაციური პოლიტიკის ხარჯზე ჩამორჩენილ ქვეყნებში შექმნილი რეტროეკონომიკა უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ იმიტატორ ქვეყნებს, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, დაბალი მწარმოებლურობის დონის ხანგრძლივი შენარჩუნების საფრთხე ემუქრებათ [19]. ქვეყნების მიხედვით მწარმოებლურობის დიფერენცირების მთავარი მიზეზი კი არის ის განსხვავება, რაც ვლინდება ქვეყნებს შორის არსებულ ცოდნასა და მის გამოყენებაში [20].

შედარებით მოძველებული უცხოური ტექნოლოგიების კოპირებაზე აქცენტის გაკეთება, სხვა თანაბრ პირობებში, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის იძულებითი ნაბიჯია, რაც ხელს უწყობს სწორედ ამ ჩამორჩენილობის, ანუ რეტროეკონომიკის, შენარჩუნებას და ტექნოლოგიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნის მახეში მოქცევას [10].

„ტექნოლოგიური მახე“ ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როცა ფირმა უპირატესობას ანიჭებს ძველ, ნაკლებად ეფექტიან ტექნოლოგიებს მაშინაც კი, როცა არსებობს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლის შესაძლე-

ბლობა [21]. ითვლება, რომ ტექნოლოგიურ მახეს ქმნის გარემოება, როცა ფირმები უპირატესობას გრძელვადიანზე მეტად მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას ანიჭებენ; მოკლევადიანი ინტერესების უპირატესობა კი, გრძელვადიანთან შედარებით, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობით [22, ც. 56-57]. ეს სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც დამახასიათებელია როგორც პოსტკომუნისტური, ისე ზოგადად გარდამავალი ქვეყნებისათვის.

ჩვენი აზრით, ტექნოლოგიური მახის წარმოქმნის ამ მიზეზთა გარდა, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მიზეზებიც. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეტროეკონომიკის არსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან, თუნდაც ზომიერი, მხარდაჭერა. კონკრეტულად, თუ სახელმწიფომ საგარეო ვაჭრობაში არ გაატარა პროტექციონისტული პოლიტიკა, მოძველებული ტექნოლოგიით აღჭურვილი ფირმები ვერ შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საერთაშორისო კონკურენციის ლიდერებს. ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის თანახმად [23], რეტროფირმებში შექმნილი ე.წ. „რუტინა“ (ანუ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ [24]) არის იმის საფუძველი, რომ რეტროფირმებმა უმთავრესად იფიქრონ არა იმდენად საერთაშორისო კონკურენციაში ჩასართავად მომზადებაზე, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების გახანგრძლივებაზე, რის შედეგადაც არ გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად და ეს ფირმები მოექცევიან ტექნოლოგიურ მახეში.

იმის გამო, რომ რეტროფირმებში შექმნილი რუტინა ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით გახანგრძლივებას, დიდია ალბათობა, რომ ეს რეტროფირმები თანდათანობით გადაიქცნენ ნეკროფირმებად.

მაშასადამე, ტექნოლოგიურ მახესა და რეტროეკონომიკას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: ერთი მხრივ, აშკარაა, რომ ტექნოლოგიური მახეში მოქცეული ფირმა იგივე რეტროფირმაა, მეორე მხრივ კი, რეტროფირმა თავად უწყობს ხელს ტექნოლოგიური მახის შენარჩუნებას.

რეტროეკონომიკის დაძლევის მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ერთგანზომილებიანი, კერძოდ:

1. სახელმწიფომ არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა განათლების სისტემის განვითარებისთვის, რაც გულისხმობს საყოველთაო ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას, პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას.

2. სახელმწიფომ საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის უმთავრეს კომპონენტად უნდა აქციოს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა შექმნას და დააფინანსოს სამეცნიერო ჯგუფები შესაბამისი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

3. სახელმწიფომ უნდა შექმნას კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხი, რისთვისაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ორიენტირების მიხედვით და ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესებული ფირმების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე უნდა შეისყიდოს პატენტები ამ ტექნოლოგიებზე ეკონომიკის შესაბამისი სექტორების მიხედვით, ამ ფირმებისათვის მათი შედავათიან ფასად მიწოდებისათვის.

4. თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად სახელმწიფო შესაბამის ფორმებს უნდა დაეხმაროს საბანკო პროცენტის ნაწილის დაფარვაში და მათ ასევე უნდა შესთავაზოს საგადასახადო შეღავათები.

5. მიზანშეწონილია, რომ გადახდისუუნარო ფორმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფორმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმების გზით, ხოლო სახელმწიფო გაკოტრების კანონმდებლობის ფარგლებში მხოლოდ მაშინ ჩაერიოს ამ პროცესში, როცა კრედიტორები და მესაკუთრეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ.

6. სახელმწიფომ ბაზარზე უნდა შექმნას ჯანსაღი სამართლებრივი სივრცე, რაც გამორიცხავს გაკოტრების კანონმდებლობის ეფექტიანად მოქმედების შემაფერხებელ სხვა კანონებსა თუ რეგულაციებს.

გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოსათვის ამ ფუნქციების დაკისრებისას, როცა არსებობს რეალური საფრთხე, რომ მან ვერ შეასრულოს ეს ფუნქციები, განსაკუთრებით, სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტისა და კორუფციის მაღალი დონის პირობებში [25], ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაასაჯაროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, საექსპერტო წრეების მაქსიმალურ ჩართულობას ამ გადაწყვეტილებათა მომზადებაში.

2. ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელის თავისებურება

უმთავრესი ეკონომიკური მოტივი, რაც ხელს უწყობს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაციულ პროცესს, არის ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების *გადანაწილებითი* მექანიზმის არსებობა [26]. კერძოდ, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შიგნით საექსპორტო ბაჟი არ გადაიხდება, რის გამოც ამა თუ იმ რესურსის ფასი მსოფლიო ფასზე ამ ბაჟის ოდენობითაა შემცირებული, რის გამოც ხდება სამამულო მრეწველობის სუბსიდირება. საექსპორტო ბაჟი აიკრიფება მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საზღვრის გადაკვეთისას, რის გამოც რუსეთის მიერ მისაღები შემოსავლების ნაწილი გადანაწილდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრების სასარგებლოდ. რადგანაც რუსეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია ნავთობი და გაზია, სწორედ მათგან მიღებული შემოსავლების გადანაწილება არის ინტეგრაციის უმთავრესი ეკონომიკური მოტივი.

მართალია, მოცემული სქემა, რასაც ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ეფუძნება რუსეთისათვის ეკონომიკურად წამგებიანია, მაგრამ სწორედ ეს სქემა უზრუნველყოფს მოსკოვის იმპერიული ამბიციის – საბჭოთა კავშირის თანდათანობით რეანიმაციას მოდერნიზებული ფორმით.

საყურადღებოა, რომ დღეს ნედლეულზე, განსაკუთრებით კი ენერგომატარებლებზე, მსოფლიო ფასებს მკაფიოდ გამოხატული კლების ტენდენცია აქვს, რის გამოც სხენებული *გადანაწილებითი* მექანიზმის ქმედუნარიანობა მცირდება.

რუსეთის მიერ ყირიმის შემოერთებისა და უკრაინის აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის გამო 2014 წლის გაზაფხულიდან აშშ-მა და შემდეგ სხვა ქვეყნებმაც რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედეს ეკონომიკური სანქციები. ამან კი ახალი გამოცდის წინაშე დააყენა ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, რადგანაც ეს სანქციები არ ვრცელდება ამ გაერთიანების სხვა წევრ-ქვეყნებზე.

2014 წლის აგვისტოდან მოსკოვმა რუსეთის წინააღმდეგ არსებული სანქციების საპირისპიროდ შემოიღო ეგრეთ წოდებული ანტისანქციები – აკრძალა რუსეთში სასურსათო საქონლის იმპორტი აშშ-დან, ევროკავშირიდან, ავსტრალიიდან, ნორვეგიიდან და კანადიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ სანქციები მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგაა მიღებული და არ ვრცელდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრ-ქვეყნებზე, ამიტომ ეს უკანასკნელი არ შეერთებია რუსეთის მიერ მიღებულ ანტისანქციებს. შედეგად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ამ ქვეყნებიდან შესაძლებელია რუსეთის ტერიტორიაზე შევიდეს ის საქონელიც, რომლის იმპორტიც რუსეთში მოსკოვმა აკრძალა. ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი საბაჟო ტერიტორია, რომელიც ამ ორგანიზაციაში შემავალ ყველა ქვეყანას მოიცავს.

ანტისანქციების შემოღების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ ანტისანქციებით უწინარეს ყოვლისა, თავად რუსეთი ზარალობს.

აშკარაა, რომ შექმნილი ვითარება პრინციპულად ეწინააღმდეგება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი საბაჟო ტერიტორიის მთლიანობის პრინციპს. ფაქტობრივად, ეს ტერიტორია, ანტისანქციების გამო, დაყოფილია ორ ნაწილად – რუსეთად და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრ-ქვეყნებად.

აღბათობა იმისა, რომ მოსკოვის მიერ მიღებულ ანტისანქციებს ნედაყოფლობით შეუერთდნენ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრი-ქვეყნები, დაბალია, რადგანაც ეს ამ ქვეყნებისათვის ეკონომიკურად მიზანშეუწონელია. თუ მოსკოვი ამ ქვეყნების მიმართ გამოიყენებს ზეწოლის ამა თუ იმ მექანიზმს, ეს კიდევ უფრო შეარყევს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ისედაც მყიფე საფუძველს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მის მომავალს. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვის მხრიდან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრ-ქვეყნებზე ზეწოლის რაიმე ფორმის გამოყენება დააფრთხობს ამ გაერთიანების მიღმა მყოფ იმ ქვეყნებსაც, რომელთაც მოსკოვი პერსპექტიულ გეგმებში შეიძლება განიხილავდეს, როგორც ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პოტენციურ წევრებს.

პოლიტიკური ამბიციების გამო თითქმის გარანტირებულად შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვი არ იტყვის უარს ანტისანქციებზე მანამ, სანამ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციები გაუქმდება.

მაშასადამე, დღეს არსებული “სანქციები-ანტისანქციები” სისტემის შეცვლის აღბათობა მოსკოვის მხრიდან რაიმე დათმობის ხარჯზე ნაკლებად სავარაუდოა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიული კავშირის ეკონომიკური მოდელი არა მარტო არასტაბილურია, არამედ არაადეკვატურიც არის, რაც ყველაზე ნათლად გამოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციებისა და მათ საწინააღმდეგოდ მოსკოვის მიერ დაწესებული ანტისანქციების ფონზე [27]. ამ დასკვნას ისიც ამძაფრებს, რომ 2016 წელს, ერთი მხრივ, სანქციებით გამოწვეული ზეწოლის ზრდის, ხოლო, მეორე მხრივ – ენერგო-მატარებლებზე მსოფლიო ფასების კლების ტენდენციის გაგრძელების გამო, რუსეთს ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო მეტად გაუმწვავდება [28].

3. ევრაზიული კავშირის წევრი-ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და საქართველოს არჩევანი

პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელია აშკარად გამოხატული ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, რასაც ე.წ. „მახინჯ პოსტინდუსტრიალიზმს“, უფრო ზუსტად კი – „პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმს“ უწოდებენ [29, c. 68].

ყველასათვის კარგად ცნობილი „პოსტინდუსტრიალი საზოგადოების“ (მაგალითად, [30-32]) გაგებისგან განსხვავებით, პოსტკომუნისტური ქვეყნების დენდუსტრიალიზაციას „პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი“ დაერქვა.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკაში რეალური სექტორის წილის შემცირება განპირობებული იყო სამრეწველო წარმოების ვარდნით და არა მაღალხარისხიანი და, მათ შორის, ინოვაციური მომსახურების გაზრდით, მით უფრო, რომ, ზოგ შემთხვევაში, ამ ტიპის მომსახურების განვითარების რაიმე ნიშანიც კი საერთოდ არც არსებობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა რუსეთის და მთლიანად პოსტსაბჭოთა ეკონომიკის საყოველთაო დეინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც მრეწველობის ბევრი დარგი და საწარმო, რომლებიც ქმნიდნენ სსრკ-ის ეკონომიკის საფუძველს, საერთოდ გაქრა [33, c. 72]. ამის მიზეზი იყო „ნეკროეკონომიკა“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ წლებში რუსეთის ეკონომიკური ვარდნა [34] ძირითადად განპირობებული იყო ნეკროეკონომიკით, როცა პოტენციურად მკვედარი საწარმოების ფუნქციონირების გამო, მათ მიერ წარმოებული არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის რეალიზაცია შეუძლებელი იყო და, შესაბამისად, დაგროვდა სახელფასო და სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებები, სოციალური ფონდების, ენერგეტიკული სექტორისა თუ სხვა დაწესებულებების უიმედო ვალები [35, cc. 363-369, 478-480, 484-486].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერისათვის რუსეთის სახელმწიფოს საკმაო ფინანსური რესურსები გააჩნდა და გააჩნია [36].

პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალზე პოპულარული გახდა ზემოხსენებული მეორადი ინვესტიციების შემოტანა, ხოლო მათ საფუძველზე კი იქმნებოდა რეტროეკონომიკის საკმაოდ ფართო ქსელი.

საყურადღებოა, რომ ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორცაა რუსეთი, კრიზისის არარსებობის პერიოდებში ნეკროეკონომიკის, და, მით უფრო, რეტროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად იგრძნობოდა, ვიდრე შედარებით მცირე ქვეყნებში, რადგან ეკონომიკის დიდი მასშტაბის გამო ნეკროსაწარმოებს, და, მით უფრო, რეტროსაწარმოებს სახელმწიფოს დახმარებით შეუძლიათ ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევა [37], რაც ქმნის ნეკროეკონომიკის არარსებობის, ხოლო რეტროეკონომიკის წარმატებულობის ილუზიას. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში განსაკუთრებით იჩინა თავი ნეკროეკონომიკამ სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნით, რაც ნეკროსაწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მორალურმა ცვეთამ განაპირობა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რეტროსაწარმოები, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დახმარების გარეშე ფუნქციონირება მათაც გაუჭირდათ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტსაბჭოთა (როგორც წესი, გარდა ბალტიის ქვეყნებისა), და, მათ შორის, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, რაც გამოიხატება ნეკროეკონომიკის და, უკეთეს შემთხვევაში, რეტროეკონომიკის საწარმოების ქსელის არსებობაში.

საყურადღებოა, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს შემუშავებული აქვს საკუთარი ინოვაციური პოლიტიკა, რომელთა მიხედვითაც, განსაკუთრებული როლი ამ პოლიტიკის რეალიზაციაში ენიჭება შესაბამის სახელმწიფოებს [38].

იმის გათვალისწინებით, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ყველა წევრი-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია კორუფციის მაღალი დონე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია წარმატებული აღმოჩნდეს. მართლაც, “საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც აისახა კორუფციის აღქმის ინდექსების რეიტინგში [39], 2015 წელს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრ-სახელმწიფოთაგან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია სომხეთი, რომელსაც

მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის მხოლოდ 95-ე ადგილი უკავია, ხოლო ყველაზე კორუმპირებულები კი არიან ყაზახეთი და ყირგიზეთი, რომლებიც 123-ე ადგილზე არიან. შედარებისათვის, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია დანია და ის მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის პირველია, ხოლო ყველაზე მეტად კორუმპირებული – ბულგარეთი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოთა შორის 69-ეა. საქართველო ამ რეიტინგში 48-ეა და ის ამ მანქნებით აშკარად ევროკავშირის სტანდარტს უფრო შეესაბამება (ევროკავშირის უახლოესი წევრი-სახელმწიფოებიდან ლატვია მე-40-ეა, ხოლო უნგრეთი, სლოვაკეთი და ხორვატია კი – 50-ე).

ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი და კორუფციის მაღალი დონის მქონე ქვეყნების ინტეგრაციული პროცესი კი სასიკეთო შედეგებს ვერც ერთ ამ ქვეყანას ვერ მოუტანს. უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ კორუფცია ქვეყანათა შორის ურთიერთობებშიც გადაიზარდოს და ეს ქვეყნები როგორც არიან ტექნოლოგიურად ჩამორჩენილები ასეთებად დარჩნენ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

აშკარაა, რომ საქართველოსათვის რეტროეკონომიკისაგან, რომ არაფერი ვთქვათ ნეკროეკონომიკაზე, თავის დასაღწევად არანაირად არ არის მიმზიდველი და მიზანშეწონილი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება. ამ მოსახრებას ისიც აძლიერებს, რომ კორუფციის დონით ის უფრო ევროკავშირის ქვეყნების შესატყვისია, ვიდრე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის. ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირსა და ევროკავშირს შორის არჩევანი აშკარად ამ უკანასკნელის სასარგებლოდაა [26].

მართალია, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცდა დოკუმენტი “საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020” [40], რომელშიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაგისტრალური ხაზი ინოვაციური ეკონომიკის შექმნასა და განვითარებაზე გადის, თუმცა, სამწუხაროდ, ამ დოკუმენტის რეალიზაციისათვის საქართველოს მთავრობას რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს.

დასკვნა

ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი საწარმოები, უკეთეს შემთხვევაში, რეტროეკონომიკას, ხოლო უარეს შემთხვევაში კი, ნეკროეკონომიკას ქმნიან. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორებია: ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ეკონომიკის მონოპოლიზაცია, საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა, და განათლების დაბალი დონე.

ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებს ინოვაციების ნაცვლად შეუძლიათ ორიენტაცია აიღონ იმიტაციებზე, ანუ უკვე ცნობილი ტექნოლოგიების კოპირებაზე, რის შედეგადაც ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ შეამცირონ მოწინავე ქვეყნებთან შედარებით არსებული ჩამორჩენა. ამ შემთხვევაში იმიტატორ ქვეყნებს, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, დაბალი მწარმოებლურობის დონის ხანგრძლივი შენარჩუნების საფრთხე ემუქრებათ.

რეტროეკონომიკის დაძლევის მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

უმთავრესი ეკონომიკური მოტივი, რაც ხელს უწყობს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაციულ პროცესს, არის ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებითი მექანიზმის არსებობა. ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასების მკაფიოდ გამოსატყუელი კლებების ტენდენციის გამო ამ გადანაწილებითი მექანიზმის ქმედუნარიანობა მცირდება.

დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ და საპასუხოდ რუსეთის მხრიდან დაწესებულმა სანქციებმა და ანტისანქციებმა ნათლად აჩვენა ევრაზიულ

ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციის დაბალი დონე და ამ კავშირის არაპერსპექტიულობა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალზე პოპულარული გახდა მეორადი ინვესტიციების შემოტანა, ხოლო მათ საფუძველზე კი იქმნებოდა რეტროეკონომიკის საკმაოდ ფართო ქსელი. ფაქტია, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, რაც გამოიხატება ნეკროეკონომიკის და, უკეთეს შემთხვევაში, რეტროეკონომიკის საწარმოების ქსელის არსებობაში.

მართალია, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს შემუშავებული აქვს საკუთარი ინოვაციური პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ყველა წევრი-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია კორუფციის მაღალი დონე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია წარმატებული აღმოჩნდეს.

საქართველოსათვის რეტროეკონომიკისაგან (რომ არაფერი ვთქვათ ნეკროეკონომიკაზე) თავის დასაღწევად არანაირად არ არის მიმზიდველი და მიზანშეწონილი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ კორუფციის დონით საქართველო უფრო ევროკავშირის ქვეყნების შესატყვისია, ვიდრე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Papava V. “Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy.” *International Journal of Social Economics*, 2002, Vol. 29, No. 9-10.

2. Папава В. «Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода». *Общество и экономика*, 2001, № 5.

3. პაპავა ვ. *ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა – გლობალური რეალობა და მხოვლიო ეკონომიკის მონალოდნელი გამოწვევები*. თბილისი, GFSIS, ექსპერტის აზრი, № 70, 2016, <<http://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-geo.pdf>>.

4. პაპავა ვ. “რეტროეკონომიკა – ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობა”. წიგნში: *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

5. Недорослев С. «Ретроэкономика: каким получился бы рейтинг РБК 500 в СССР». *РБК Газета*, 28 сентября, 2015, <<http://www.rbc.ru/newspaper/2015/09/28/56bc99a49a7947299f72baf0>>.

6. Голиченко О. «Модели развития, основанного на диффузии технологий». *Вопросы экономики*, 2012, № 4.

7. Молдован Д. «Мировой экономический кризис и позитивное мышление». *Мир перемен*, 2009, № 4.

8. Stiglitz J. E. “Monopoly’s New Era.” *Project Syndicate*, May 13, 2016, <<https://www.project-syndicate.org/commentary/high-monopoly-profits-persist-in-markets-by-joseph-e--stiglitz-2016-05?barrier=true>>.

9. Портер М. *Международная конкуренция*. Москва: Международные отношения, 1993.

10. Дементьев В. Е. «Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики». *Экономика и математические методы*, 2006, Том 42, Вып. 4.

11. Segerstrom P. S. “Innovation, Imitation, and Economic Growth.” *Journal of Political Economy*, 1991, Vol. 99, No. 4.

12. Polterovich V., Tonis A. *Innovation and Imitation at Various Stages of Development: A Model with Capital*. MPRA Paper No. 20244, January 26, 2010, <https://mpra.ub.uni-muenchen.de/20244/2/MPRA_paper_20244.pdf>.
13. Эльянов А. Я. «Глобализация и догоняющее развитие». *Мировая экономика и международные отношения*, 2004, № 1.
14. Балацкий Е. В. «Темпоральная модель межстрановой конкуренции». *Общество и экономика*, 2011, № 2.
15. Голиченко О. «Проблемы модернизации инновационной системы и инновационной политики России». *Инновации*, 2008, № 10.
16. Глазьев С. «Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов». *Вопросы экономики*, 2009, № 3.
17. Барро Р. Дж., Сала-и-Мартин Х. *Экономический рост*. Москва: БИНОМ. Лаборатория знаний, 2010.
18. Bresis E., Krugman P., Tsiddon D. “Leapfrogging in international Competition: A Theory of Cycles in National Technological Leadership.” *American Economic Review*, 1993, Vol. 83, No. 5, <<http://econ.biu.ac.il/files/economics/shared/staff/u46/brezis-aer-1993.pdf>>.
19. Howitt P. “Endogenous Growth and Cross-Country Income Differences.” *The American Economic Review*, 2000, Vol. 90, No. 4, <http://www.fadep.org/documentosfadep_archivos/D-27_ENDOGENOUS_GROWTH_AND_CROSS-COUNTRY_INCOME_DIFFERENCES.pdf>.
20. Parente S. L., Prescott E. C. *Barriers to Riches*. Cambridge: The MIT Press, 2000.
21. Балацкий Е. В. «Экономический рост и технологические ловушки». *Общество и экономика*, 2003, № 11.
22. Балацкий Е. В. «Институциональные и технологические ловушки». *Журнал экономической теории*, 2012, № 2.
23. Nelson R. R., Winter S. G. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 1982.
24. Murrell P. *Evolution in Economics and in the Economic Reform of the Centrally Planned Economies*. Department of Economics, University of Maryland, July 2, 1991, <<http://econweb.umd.edu/~murrell/articles/Evolution%20in%20Economics.pdf>>.
25. Dompe S. “Industrial Policy Is Still a Loser.” *Mises Daily Articles*, July 16, 2014, <<https://mises.org/library/industrial-policy-still-loser>>.
26. პაპავა ვ. თაფლაძე თ. “ინოვაციური ეკონომიკის შექმნის პერსპექტივები ევროპული და ევრაზიული ინტეგრაციის პირობებში”. წიგნში: საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
27. Papava V. “Economic Models of Eurasianism and the Eurasian Union: Why the Future is Not Optimistic.” *The Central Asia-Caucasus Analyst*, October 29, 2015, <<http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13296>>.
28. Дынкин А.А., Барановский В.Г., ред. Россия и мир: 2016. *Экономика и внешняя политика. Ежегодный прогноз*. Москва: ИМЭМО РАН, 2015, <http://www.imemo.ru/files/File/ru/publ/2015/2015_024.pdf>.
29. Городецкий А. Е. «Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России». *Экономика Украины*, 2013, № 5.
30. Белл Д. *Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования*. Москва: «Academia», 1999.
31. *Новая постиндустриальная волна на Западе. Антология*. Под ред. В. Л. Иноземцева. Москва: «Academia», 1999.

32. Block F. *Postindustrial Possibilities: A Critique of Economic Discourse*. Berkley: University of California Press, 1990.
33. Городецкий А. Е. «Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России». *Экономика Украины*, 2013, № 4.
34. Аганбегян А. О месте экономики России в мире (по новым данным о международном сравнении валового внутреннего продукта). *Вопросы экономики*, 2011, № 5.
35. Ослунд А. *Строительство капитализма: Рыночная трансформация стран бывшего советского блока*. Москва: Логос, 2003.
36. პაპავა ვ. “პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელის თავისებურებანი”. წიგნში: *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VII*. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
37. Schaffer M., Kuznetsov B. “Productivity”. In *Can Russia Compete?* R. M. Desai, I. Goldberg, eds. Washington, D.C.: Brookings Institution Press, 2008.
38. აბესაძე რ. “პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა”. წიგნში: *საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში”*. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.
39. Corruption Perceptions Index 2015: Results. *Transparency International*, 2016, <<http://www.transparency.org/cpi2015/#results-table>>.
40. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. თბილისი, 2014, <<http://static.mrdi.gov.ge/551018320cf24147438b16fd.pdf>>.

Vladimer Papava

**PROSPECTS OF TRANSITION FROM THE RETROECONOMY
TO THE INNOVATION ECONOMY IN A CASE OF
GEORGIA’S EURASIAN INTEGRATION**

Annotation

The goal of the research is to set out the main reasons why in many countries the economies used obsolete technologies, and as a result the distinguishing feature for these countries is a retroeconomy. The paper shows the prospects for creation of the innovation economy under the conditions of Eurasian integration. The main conclusion is that Eurasian integration cannot promote Georgia’s development on the basis of the model of innovation economy.

აღფურედ კურატა შვილი

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები

თემის აქტუალობა.

ინოვაციური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ევოლუციური ფუნქციონირებისათვის.

აღნიშნული პრობლემის კვლევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფოში და თანამედროვე მსოფლიოში არსებული პრობლემებისა და ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში.

სწორედ ზემოაღნიშნულით არის განპირობებული საკვლევი თემის აქტუალობა.

პრობლემის კვლევის მიზანი და ამოცანები.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ინოვაციური პოლიტიკის ჩემს მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი თეორიული საფუძვლების შეთავაზება, რომლებიც უნდა განხილვებოდეს – როგორც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირების ინტელექტუალური ბაზისი.

სამეცნიერო ნაშრომის მთავარი ამოცანაა ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ინოვაციური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების შემუშავება და მეცნიერული დასაბუთება, რომლის შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნას და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ჩემს მიერ შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია, რომლებიც მოცემულ ნაშრომში განხილულია როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები.

კერძოდ, სოციალური მიზნის ფილოსოფია – განხილულია როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის ამოსავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი.

ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია – განხილულია როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი თეორიული საფუძველი.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია კი – განხილულია როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის აუცილებელი თეორიული საფუძველი.

* * *

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის პრინციპულად ახალ თეორიულ საფუძვლებზე განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ანუ იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, რომელიც ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესებს ემსახურება.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო და პრინციპულად მნიშვნელოვანია შემდეგი:

საზოგადოებრივ მეცნიერებებში გარღვევის გარეშე, ანუ მოძველებული და თანაც თავიდანვე მცდარი თეორიული შეხედულებების საფუძველზე, წარმოდგენილია ეფექტიანი სვლა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებულია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ჩემს მიერ შექმნილი პრინციპულად ახალი თეორიული საფუძვლები – **სოციალური მიზნის ფილოსოფია** [1; 2; და სხვა], **რომელიც არის ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის ამოსავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი**, **ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია** [3; 4; და სხვა], **რომელიც არის ხალხის**

ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი თეორიული საფუძველი, და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია [5; 6; და სხვა]. რომელიც არის ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის და მისი პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელი თეორიული საფუძველი.

სოციალური მიზნის ფილოსოფია.

ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური აზრის განვითარების მთელი ისტორია, ისევე როგორც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებზე მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ა.შ. თანამედროვე შეხედულებები და მიდგომები, *ჩემი ღრმა რწმენით*, ემყარებოდა და ემყარება, როგორც მე მას ვუწოდებ, საშუალებათა ფილოსოფიას.

თუმცა ეს შეხედულებები და მიდგომები – როგორც ფილოსოფიური მიმართულება, როგორც საშუალებათა ფილოსოფია და როგორც ფილოსოფიური სისტემა ჩემამდე (ამ პრობლემებზე ჩემს მიერ სამეცნიერო ნაშრომების შექმნამდე) საერთოდ არ არსებობდა.

შესაბამისად, სწორედ ამიტომ, ჩემს მიერ საშუალებათა ფილოსოფიის შექმნამდე არ არსებობდა თვითონ ტერმინიც კი – საშუალებათა ფილოსოფია. ეს ტერმინი არ არსებობდა – არც მეცნიერებაში, არც პოლიტიკაში და არც პრაქტიკაში.

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ, *ჩემი ღრმა რწმენით*, აღნიშნული შეხედულებები და მიდგომები ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე აშკარა შეცდომას წარმოადგენს – როგორც მეთოდოლოგიური, ისე თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შეხედულებებსა და მიდგომებს, *რომლებიც რეალურად არსებობს*, სათანადო მეცნიერული ანალიზი და ახალი თეორიული მიმართულების კონსტრუირება სჭირდება, რაც მე განვახორციელებ კიდევ საშუალებათა ფილოსოფიის შექმნის სახით.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საშუალებათა ფილოსოფიაში მე ვგულისხმობ ჩემს მიერ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ იმ ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც ჩემს მიერვე შექმნილი მიზნის ფილოსოფიისაგან და სოციალური მიზნის ფილოსოფიისაგან განსხვავებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების არსის კრიტიკიულად მიიჩნევს არა მიზანს, არა სოციალურ მიზანს და მის რეალიზაციას, არამედ საშუალებებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს მიერ შექმნილი მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება საუკუნეების მანძილზე მთელ ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებული მიდგომისაგან, რომელიც საშუალებებს ემყარება.

საშუალებებზე დამყარებული მიდგომის სიდრმისეული ანალიზის საფუძველზე ჩემს მიერ შექმნილი იქნა მეცნიერული მიმართულება, რომელსაც მე საშუალებათა ფილოსოფია ვუწოდებ, და რომლითაც (ე.ი. ამ მეცნიერული მიმართულებით) გახსნილი იქნა ამ მიდგომის თეორიული საფუძველები.

მაშასადამე, ჩემს მიერ შექმნილი იქნა მეცნიერული მიმართულება (საშუალებათა ფილოსოფია) – ამ შემთხვევაში როგორც საუკუნეების მანძილზე არსებული რეალური სინამდვილის თეორიული ასახვა.

თუმცა მეცნიერული მიმართულება (და მეცნიერული თეორია) საერთოდ არა მარტო უნდა ასახავდეს რეალურ სინამდვილეს, არამედ უნდა უჩვენებდეს

გზას მეცნიერულ გამოკვლევებს და პრაქტიკას, რასაც, *საბოლოო ჯამში*, გარკვეული თვალსაზრისით ემსახურება ეს მეცნიერული მიმართულებაც, რამეთუ საშუალებათა ფილოსოფია არა მარტო ასახავს რეალურ სინამდვილეს, არამედ აგრეთვე ასაბუთებს აღნიშნული მიდგომის მცდარობას და მიუღებლობას ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამრიგად, საშუალებათა ფილოსოფიის თანახმად, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) სისტემების განსხვავების კრიტერიუმს წარმოადგენს საშუალებები, მაშინ როდესაც, მიზნის ფილოსოფიის თანახმად, მიზანი – ეს არის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავებისა და ამ სისტემების კლასიფიკაციის ერთადერთი სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი.

ამასთან, ჭეშმარიტად ადამიანური მიზნის – *სოციალური (კუმანო-სოციალური) მიზნის* – ფილოსოფია საშუალებათა ფილოსოფიისაგან განსხვავებით, უჩვენებს გზას თეორიას – მეცნიერულ კვლევაში, ხოლო პრაქტიკას – საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის სწორი მიმართულებით მართვაში.

საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს ფაქტები, როდესაც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშუალებებით, კერძოდ, ტექნიკით, სახელმწიფოს ინდუსტრიული განვითარების დონით და ა. შ.

საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინების მაგალითებს წარმოადგენს აგრეთვე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავება საკუთრების ფორმებით, მართვის მეთოდებით და ა. შ.

რაც შეეხება ჩემს მიერ შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფიას, ის წარმოადგენს ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც, *ისევე როგორც მიზნის ფილოსოფია*, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა საშუალებებს, არამედ – მიზანს, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება.

ამასთანავე, სოციალური მიზნის ფილოსოფია განსხვავდება მიზნის ფილოსოფიისაგან იმით, რომ თუ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების კრიტერიუმს და მათი კლასიფიკაციის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, და თუ მიზნის ფილოსოფიას საერთოდ ფაქტობრივად მიეკუთვნება როგორც სოციალური მიზნის ფილოსოფია, ისე ეკონომიკური მიზნის ფილოსოფია, რომელიც, *როგორც უკვე აღინიშნა ჩემს მიერ*, საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინების გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს, *სოციალური მიზნის ფილოსოფია (ისევე, როგორც მიზნის ფილოსოფია)* ამავე დროს არის პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც (ე. ი. სოციალური მიზნის ფილოსოფია – განსხვავებით, ფართო გაგებით, მიზნის ფილოსოფიისაგან) ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფიას – *ჭეშმარიტად ადამიანური მიზნის ფილოსოფიას* – წარმოადგენს, და რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია.

ამრიგად, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება (რომელიც ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს), როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, სოციალური მიზნის ფილოსოფიაზე დაყრდნობით უნდა ამოვიდოდე

სოციალური მიზნიდან, და ამ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირების შედეგების შეფასება უნდა ხდებოდეს სოციალური მიზნის რეალიზაციის – ხალხის ინტერესების რეალიზაციის – დონის შესაბამისად.

მაშასადამე, სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების მიზნობრივი მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს – ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულების განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, ანუ სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფია.

აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფაქტობრივად სოციალური მიზნის ფილოსოფია.

ხოლო იმ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, სადაც მიზანი ეკონომიკურია – ფული, მოგება, კაპიტალი, იქ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს – ეკონომიკური მიზნის ფილოსოფიას, ანუ წარმოადგენს – ეკონომიკურ საშუალებათა თვითმიზნის ფილოსოფიას, რაც ფაქტობრივად საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინების აშკარა მაგალითია.

ზემოაღნიშნულის სისწორეს ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ კაპიტალიზმის იდეოლოგიების შეხედულებები და ამ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარების პრაქტიკა ყოველთვის ეყრდნობოდა მიდგომას, რომელსაც მე საშუალებათა ფილოსოფია, ანუ საშუალებათა თვითმიზნის ფილოსოფია ვუწოდებ, რადგან კაპიტალიზმისათვის ყოველთვის მთავარი იყო მაქსიმალური მოგების მიღება, გამდიდრება, დაგროვება – როგორც მიზანი, რაც სინამდვილეში ეკონომიკურ საშუალებათა თვითმიზანს – პრაქტიკაში საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინებას – წარმოადგენს, და რაც ფუძემდებელია დამახასიათებელია კაპიტალიზმის არსობრივი ბუნებისათვის, ანუ დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის ამ ტერმინის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

იმ შემთხვევაში კი, თუ კაპიტალიზმი ხალხის ინტერესებს ემსახურება, მაშინ ეს უკვე კაპიტალიზმი – კაპიტალ „იზმი“ (ეკონომიკური მიზნის „იზმი“, კაპიტალის ბატონობა) – არ არის, და, შესაბამისად, მას სხვა სახელი უნდა ეწოდებოდეს.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოებში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში მაღალი მოგების მიღების გარეშე წარმოუდგენელია სოციალური (ჰუმანოსოციალური) მიზნის – ხალხის ინტერესების – რეალიზაცია, ანუ იმ მიზნის რეალიზაცია, რომელიც დამახასიათებელია (დამახასიათებელი უნდა იყოს) ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

მაგრამ მოგება – მოგების მიღება – ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებასა და სახელმწიფოში უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის აუცილებელი პირობა, და არა როგორც ეკონომიკურ საშუალებათა თვითმიზანი, როგორც ეს დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის.

ამრიგად, სრულიად ბუნებრივია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიზნის მიღწევის საშუალებებს, რამეთუ მიზნის მიღწევა სათანადო საშუალებების გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების პრობლემების კვლევისას, და აგრეთვე ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის პროცესში უნდა ამოვლიოდათ არა

ეკონომიკური საშუალებებიდან – როგორც თვითმიზნიდან, არამედ უნდა ამოვდიოდეთ სოციალური მიზნიდან და უნდა ვეფუძნებოდეთ ამ მიზანს, ამასთან – მისი რეალიზაციის რეალური და პოტენციალური საშუალებების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, *მაგალითად*, უტოპიური სოციალიზმი ფაქტობრივად ემყარებოდა აგრეთვე საშუალებათა ფილოსოფიას, რადგან ამ მოძღვრების შემქმნელებისა და თეორეტიკოსებისათვის „კეთილდღეობა განისაზღვრება კერძო საკუთრების საერთო საკუთრებაში გარდაქმნით“ [7, გვ. 427], ე. ი. სოციალისტურობის კრიტერიუმად გვევლინება ისევე საშუალება.

რაც შეეხება მარქსისტულ ეგრეთ წოდებულ „მეცნიერულ სოციალიზმს“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, არის არანაკლებ უტოპიური, ვიდრე უტოპიური სოციალიზმი, ის ასევე ეფუძნება საშუალებათა ფილოსოფიას.

კერძოდ, სოციალიზმში მარქსიზმი გულისხმობდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას: „...კომუნისტებს, – წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი “კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, – შეუძლიათ თავისი თეორია გამოხატონ ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა“ [8, ტ. 4, გვ. 438].

გარდა ამისა, სოციალიზმში მარქსიზმი გულისხმობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, ბაზრის, შრომის პროდუქტების გაცვლის ლიკვიდაციას და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერდა: „საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია კოლექტიურ საწყისებზე, წარმოების საშუალებების საერთო ფლობაზე, მწარმოებლები თავის პროდუქტებს არ ცვლიან“ [8, ტ. 19, გვ. 18].

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი დებულებები, *ჯერ-ერთი*, ადასტურებენ მარქსისტული სოციალიზმის უტოპიურობას, რადგან თუ კერძო საკუთრების მოსპობა პრინციპში ორგანიზაციულად შესაძლებელია (სხვა საკითხია: რისკენ მივყავართ მას – რამდენად გონივრული და რაციონალურია ამის განხორციელება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე?!), შრომის პროდუქტების გაცვლის მოსპობა ყოველად შეუძლებელია (განუხორციელებადია) და უკვე ამიტომ მარქსიზმი უტოპიას წარმოადგენს.

და, *მეორეც*, აღნიშნული კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს იმას, რომ მარქსიზმი საშუალებათა ფილოსოფიას ემყარება, რამეთუ მარქსიზმი რომ მიზნის ფილოსოფიას ემყარებოდეს, მაშინ თვითონ ტერმინიდან – „სოციალიზმი“ – გამომდინარე, *ჩემი ღრმა რწმენით*, სოციალისტურობის კრიტერიუმად მას უნდა ეღიარებინა სოციალური მიზნის – ხალხის ინტერესების – რეალიზაცია, და არა ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, საბაზრო ურთიერთობების უარყოფა და ა.შ.

მაგრამ მარქსიზმი, უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებლების მსგავსად, სოციალიზმის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევდა არა სოციალურ მიზანს – როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციას, არამედ სოციალურს – როგორც ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოების საშუალებებზე.

ყურადღება უნდა გამახვილდეს აქ აგრეთვე იმაზე, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღებული (აღიარებული) და პოპულარული – ინდუსტრიული საზოგადოების, პოსტინდუსტრიული საზოგადოების, ინფორმაციული საზოგადოებისა და ა.შ. თეორიები და კონცეფციები, უკვე თავისი სახელწოდებით ასევე ადასტურებენ მათ დაფუძნებას საშუალებათა ფილოსოფიაზე.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიების, კონცეფციებისა და შეხედულებების ავტორები და მომხრეები, როგორც წესი, ანტიმარქსისტებად მიიჩნევენ თავის თავს, ფაქტობრივად ისინი ასახავენ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების მარქსისტულ – ღრმად მცდარ –

შეხედულებას (რაზედაც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ვწერდი [9]), რომლის თანახმად „ეპოქები განსხვავდება არა იმით თუ რა იწარმოება, არამედ იმით თუ როგორ, შრომის როგორი საშუალებებით იწარმოება“ [8, ტ. 23, გვ. 191].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში კ. მარქსი წერდა ეკონომიკური ეპოქების განსხვავებაზე, მაგრამ ის იქვე (მანამდე) ანალოგიურ – ფაქტობრივად იგივე – კრიტერიუმზე დაყრდნობით მიუთითებდა „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების“ განსხვავებაზეც.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მარქსის მიხედვით თანახმად ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემა – განსაზღვრავს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების არსს და, შესაბამისად, მათ განსხვავებასაც, მაშინ ცხადი ხდება, რომ ეკონომიკური ეპოქების განსხვავებას კ. მარქსი აიგივებდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავებასთან, რაც აშკარა შეცდომას წარმოადგენს.

კ. მარქსის შეცდომა მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ, *ჯერ-ერთი*, ასეთი მიდგომა საშუალებათა ფილოსოფიას ემყარება, მაშინ როდესაც, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, განმსაზღვრელი უნდა იყოს მიზნის – სოციალური მიზნის – ფილოსოფია, და, *მეორეც*, იმის გათვალისწინებით, რომ ეპოქა, როგორც ცნობილია, დროს – დროის გარკვეულ პერიოდს – ნიშნავს, კ. მარქსის შეცდომა იმაშიც მდგომარეობს, რომ მას ვერ წარმოედგინა ერთ ეპოქაში ერთდროულად სხვადასხვა “საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების” – სხვადასხვა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების – არსებობა, რის გამოც შრომის საშუალებების განვითარების დონე (*რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემებში ერთ ეპოქაში – დროის გარკვეულ პერიოდში – შეიძლება დაახლოებით ერთნაირი იყოს*) საფუძველად დაუდო მათ განსხვავებას.

თუმცა ყოველ ეპოქაში – *დროის გარკვეულ პერიოდში* – რომ მხოლოდ ერთი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ფუნქციონირებდეს, მაშინაც კი შეცდომა იქნებოდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების არსისა და ამ სისტემებს შორის განსხვავების განსაზღვრისას საშუალებათა ფილოსოფიაზე დაყრდნობა, რამეთუ, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარი და განმსაზღვრელი უნდა იყოს მიზანი, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება, რის გამოც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების არსისა და ამ სისტემებს შორის განსხვავების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს მიზნის – სოციალური მიზნის – ფილოსოფიას.

მაშასადამე, ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სოციალური მიზნის ფილოსოფია.

ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია.

ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ეკონომიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემის გადაჭრა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემისათვის, რომელიც მიისწრაფვის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს მშენებლობისაკენ.

ამასთანავე, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში და სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრობლემაზე თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში ტრადიციული და დამკვიდრებული შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს, რომელიც (ე.ი. კანონის უზენაესობის პრობ-

ლემბა) თანამედროვე მეცნიერებაში და თანამედროვე პოლიტიკაში ფაქტობრივად ითვლება გადაწყვეტილად, რომლის (ე.ი. ამ პრობლემის გადაწყვეტის) სამართლიანობა თითქოსდა ეჭვს არ ექვემდებარება (?).

სინამდვილეში კი, *ჩემი დრმა რწმენით*, როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ჩემს მიერ შექმნილი ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ არა კანონის უზენაესობით, არა საშუალებათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობით, რაც წარმოადგენს პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში, და აგრეთვე სახელმწიფო მართვის მეცნიერებაში, რომელიც გამომდინარეობს ჩემს მიერვე შექმნილი სტრატეგიული მეცნიერული მიმართულებებიდან – მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან, და რომელიც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელ საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, კანონის უზენაესობა, როგორც ცნობილია, საყოველთაოდ აღიარებულია თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში.

მაგრამ ის – *კანონის უზენაესობა* – არცთუ იშვიათად ქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს ხალხის ინტერესების რეალიზაციის საქმეში, ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვაში, ხოლო ზოგჯერ იწვევს ხალხის ეკონომიკურ გენოციდს და დამონებას.

თუმცა ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების აუცილებლობის უარყოფას.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს აგრეთვე უკანონობის წინააღმდეგ უმკაცრესი ბრძოლის აუცილებლობის უარყოფას.

მაშასადამე, მსჯელობა მიდის აქ მხოლოდ იმაზე, თუ ვის ან რას უნდა ეკუთვნოდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში (!?), რასაც პრინციპული მეცნიერულ-თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, და რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვის პრობლემასთან.

კანონის უზენაესობის პრობლემა, კანონშემოქმედებისა და კანონების გამოყენების პრობლემა საზოგადოებაში და სახელმწიფოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათსღებულობს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობის პირობებში, როდესაც ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება ყველა და ყველაფერი.

ასეთ პირობებში, ზოგიერთი ყოფილი და ამჟამინდელი სახელმწიფო მოხელე, ან სხვა პირები, რომლებიც გამდიდრდნენ ხალხის ძარცვის ხარჯზე, ზოგჯერ აღწევენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს ხელისუფლებაში, რომლებიც მათ შეიძლება გამოიყენონ, *ერთი მხრივ*, იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის, და, *მეორე მხრივ*, თავისი თანამდებობები შეიძლება გამოიყენონ მათ მიერ ნაძარცვი სახსრების უკანონოდ „დაკანონებისათვის“, და აგრეთვე მათ მიერ ხალხის შემდგომი ძარცვისათვის.

გარდა ამისა, რეფორმების გატარების აუცილებლობის ლოზუნგით, ზოგიერთმა თანამდებობის პირმა შეიძლება მიაღწიოს ისეთი კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიღებას და ცხოვრებაში განხორციელებას, რომლებიც აშკარად იწვევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების შელახვას (?).

ამასთან, მე გამოვივიარ არა რეფორმების გატარების წინააღმდეგ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, არამედ პირიქით.

მაგრამ მე გამოვდივარ მახინჯი რეფორმების გატარების წინააღმდეგ.

მე გამოვდივარ იმის წინააღმდეგ, რომ რეფორმების გატარება გადაიქცეს თვითმიზნად ან ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების შელახვის საშუალებად, რომ ის გადაიქცეს ხალხის უკანონოდ „დაკანონებული“ ძარცვისა და დამონების საშუალებად.

მე მხარს ვუჭერ რეფორმების გატარებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს რეფორმები ხალხის ინტერესების რეალიზაციას ემსახურება და თუ ის გამორიცხავს ანტისოციალურ მოვლენებს.

ამიტომ მე გამოვდივარ რეფორმების „უზენაესობის“ წინააღმდეგ ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების მიმართ, რამეთუ რეფორმების გატარება მხოლოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

მე გამოვდივარ თანამდებობის პირთა ისეთი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომელთა ქმედებები უკანონო გზით ანდა უკანონოდ „დაკანონებული“ გზით ადამიანს (მრავალ ადამიანს) დამოკიდებულს ხდის ამ თანამდებობის პირებზე, ნაცვლად იმისა, რომ თანამდებობის პირები ემსახურებოდნენ ხალხის ინტერესებს.

პრინციპულად მნიშვნელოვანია ყოველთვის იქნეს გათვალისწინებული, რომ, *ჩემი დრმა რწმენით*, „**დამოუკიდებლობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, როდესაც ის ვრცელდება საზოგადოების ყოველ წევრზე და ემსახურება ხალხის ინტერესებს, რამეთუ თანამდებობის პირთა დამოუკიდებლობა ერის დამოუკიდებლობა არ არის**“ [10, გვ. 160].

მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების პატიოსნებისა თუ უპატიოსნობის, მათი კომპეტენტურობისა თუ არაკომპეტენტურობის მიხედვით, კანონები შეიძლება იქმნებოდეს და გამოიყენებოდეს როგორც ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის, ისე ხალხის ძარცვისა და დამონებისათვის.

და ეს პრობლემა, როგორც უკვე აღინიშნა ჩემს მიერ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს ბაზრის ბატონობის პირობებში, როდესაც ფულის გავლენით, ბაზრის გავლენით – ზოგიერთი ადამიანი აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რათა კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები ემსახურებოდეს მის უკანონო გამდიდრებას.

მე ადამიანების გამდიდრების მომხრე ვარ, მაგრამ მათ მიერ თავისი უნარის პატიოსნად გამოყენების და მათი პატიოსანი გონებრივი და ფიზიკური შრომის ხარჯზე, და არა ხალხის ძარცვის ხარჯზე.

საბაზრო ურთიერთობების არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, რამეთუ ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა ბაზრის გარეშე შეუძლებელია, რის გამოც ამ დებულების დამატებით მტკიცება – დასაბუთება – ზედმეტად მიმანია.

მაგრამ აუცილებლად მიმანია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დებულებად ისეთ კანონებს, რომლებიც, *ერთი მხრივ*, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მისცემდნენ მაქსიმალურად დასაშვებ თავისუფლებას ყოველ ადამიანს, *მათ შორის*, მეწარმეებს, ბიზნესმენებს და ა.შ., ხოლო, *მეორე მხრივ*, რომ ეს კანონები ემსახურებოდეს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ მიზანს და რომ ისინი გამორიცხავდნენ ანტი-სოციალურ, ანტი-ზნობრივ, ანტი-ჰუმანურ მოვლენებს – რომ ისინი გამოიზნული იყოს ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დასაცავად.

ამრიგად, **კანონებს არ შეიძლება ჰქონდეს უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ დებულებენ და**

ფუნქციონირებს ისეთი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კანონები იქმნება და ფუნქციონირებს ადამიანისათვის (ხალხისათვის), და არა ადამიანი იბადება და ცხოვრობს კანონებისათვის.

შესაბამისად, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში – სამართლებრივი აქტები უნდა ჩაითვალოს კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ემსახურება საზოგადოებისა და სახელმწიფოს უზენაესი მიზნის – ხალხის (ყოველი ადამიანის) – ინტერესების რეალიზაციას, რამეთუ უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში ეკუთვნის (უნდა ეკუთვნოდეს) არა კანონს, არამედ ადამიანს, ადამიანის ინტერესებს – ხალხის ინტერესებს.

მაშასადამე, უზენაესობა ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანს – ადამიანის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს, ე.ი. უზენაესობა უნდა ეკუთვნოდეს სოციალურ – ჰუმანო-სოციალურ – მიზანს, რომლის რეალიზაციისთვისაც, როგორც მე ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში აღვნიშნავდი, ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი გამოიცილებენ ანტი-სოციალურ მოვლენებს [11, გვ. 93].

სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე, ჩემს მიერ შექმნილი იქნა ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – უზენაესობის თეორია, რომელიც წარმოადგენს ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელ თეორიულ საფუძველს.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას წარმოადგენს თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

ამავე დროს, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია წარმოადგენს ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელ თეორიულ საფუძველს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ინტერესების – ხალხის ინტერესების – რეალიზაციის პრობლემა მოითხოვს შემოქმედებით, ე.ი. ჭეშმარიტად მეცნიერულ მიდგომას – როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის მეცნიერული საფუძველების შექმნის პროცესში, ისე ამ საფუძველების პრაქტიკული რეალიზაციის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გზებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესში.

ამასთანავე, მოქმედ სამართლებრივ თეორიაში და პრაქტიკაში არ არსებობს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგებზე – არ არსებობს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან (?).

და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმების დაკანონება უნდა მოხდეს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ საჭირო ნორმატიული აქტების მიღების გზით, ხოლო მათ (ამ თანამდებობის პირებს), ალბათ, არ აწყობთ ასეთი პასუხისმგებლობის დაკანონება, რადგან ასეთ შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფო-

ში თანამდებობის პირთა უმრავლესობა (თუ ყველა არა), *მათთვის უკეთეს შემთხვევაში*, დაკარგავენ მათ მიერ დაკავებულ მაღალ თანამდებობებს.

თუმცა, *ჩემი დრამა რწმენით*, სახელმწიფოთა ლიდერები და სხვა სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები უნდა ითვალისწინებდნენ, რომ, *ლეონარდო და ვინჩის* სიტყვებით თუ ვიტყვით: „**თეორია – მხედართმთავარია, პრაქტიკა – ჯარისკაცები**“ [12, გვ. 53; 13, გვ. 6].

სწორედ ამიტომ, ნებისმიერი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება, თუ ის ნამდვილად გამიზნულია ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, *თუ ის გამიზნულია ყოველი ადამიანის ინტერესების რეალიზაციაზე – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სოციალური მიზნის რეალიზაციაზე*, ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს შესაბამისი თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლებისა და აგრეთვე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის – თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას.

სწორედ როგორც თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნის თეორიულ-სამართლებრივი საფუძველი – პასუხისმგებლობისა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან, ჩემს მიერ მრავალი წლის წინ შექმნილი იქნა თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

ამ თეორიის შესაბამისად, თუ გარკვეული თანამდებობის პირების „მოღვაწეობის“ შედეგად ფაქტობრივად გაიძარცვა, *მაგალითად*, სახელმწიფოს ხუთმილიონიანი ან ათმილიონიანი მოსახლეობა, მაშინ ეს თანამდებობის პირები უნდა იქნენ დასჯილნი – მათ პასუხი უნდა აგონ არა მხოლოდ დაკავებულ პოსტებიდან წასვლით (*გადადგომით ან გათავისუფლებით*), არამედ როგორც მძარცველებმა, *რომლებმაც გაძარცვეს, მოცემულ შემთხვევაში, ხუთი ან ათი მილიონი ადამიანი*.

მაგრამ, *სამწუხაროდ*, მძარცველებად ითვლებიან მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ ფიზიკურად განახორციელეს თავდასხმა ადამიანზე, დაწესებულებაზე, ორგანიზაციაზე ან საწარმოზე და მოახდინეს მათი ძარცვა.

ხელს იხსნის თანამდებობის პირები, რომლებიც თავისი უცოდინარობით – არაკომპეტენტურობით, ან თავისი ანგარებითი ინტერესებიდან გამომდინარე და ა.შ. არსებითად ქმნიან ხალხის ძარცვის სამართლებრივ და ეკონომიკურ მექანიზმებს ან ხელს უწყობენ ასეთი მექანიზმების შექმნას, მათთვის უარეს შემთხვევაში სამუდამოდ უზრუნველყოფილნი მიდიან (გადადგებიან ან გათავისუფლდებიან) დაკავებული თანამდებობებიდან.

ამრიგად, *ჩემს მიერ შექმნილი* თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია არის ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვისა, და, *შესაბამისად*, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია არის წინააღმდეგობის გადაჭრის – დაძლევის – საფუძველი, *ერთი მხრივ*, იმ უფლებებსა და მოვალეობებს შორის, რომლებიც სახელმწიფოს, და, მაშასადამე, იმ სახელმწიფოებრივ თანამდებობის პირებს გააჩნიათ, რომელთა მოღვაწეობითაც ხორციელდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირება და მართვა, და, *მეორე მხრივ*, ამ თანამდებობის პირთა მოღვაწეობის შედეგებზე მათი კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული იურიდიული პასუხისმგებლობის არარსებობას შორის, *რამეთუ თანამდებობის პირები, ასრულებენ რა თავის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც, საბოლოო ჯამში, კონკრეტულად გამოიხატება იმაში, რომ ემსახურონ საზოგადოებას – ემსახურონ*

ხალხს, ზოგჯერ ისე „ემსახურებიან ხალხს“, რომ მათი „მოღვაწეობა“ იწვევს ხალხის ძარცვას და გაღატაკებას, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებლობა ამისათვის არ არსებობს.

გარდა ამისა, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია საშუალებას იძლევა გადაღასულ იქნეს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, რიგითი მოქალაქეების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე არსებულ მათ პასუხისმგებლობასა და, მეორე მხრივ, თანამდებობის პირთა დანაშაულებრივ ქმედებებზე მათი პასუხისმგებლობის არარსებობას შორის, რომელიც (თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა) დაბალანსებული უნდა იყოს მათ უფლებებთან – მართონ ან უშუალო მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, და ამით ეს თეორია გზას უჩვენებს პრაქტიკას თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული იურიდიული პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნისა და ამოქმედების ასპექტში.

მაშასადამე, იურიდიულ პასუხისმგებლობაში, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან, და არა პასუხისმგებლობა მხოლოდ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რამეთუ მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობა.

ხოლო რაც შეეხება თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობას მათ მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, და აგრეთვე სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, აუცილებელია აღინიშნოს, რომ, მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ (თანამდებობის პირების მიერ) ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც ღახავს მრავალი ადამიანის ინტერესებს, პრაქტიკულად არ იწვევს ამ თანამდებობის პირის (ამ თანამდებობის პირების) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თუმცა აღნიშნული ფაქტები უდავოდ უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც თანამდებობის პირთა მიერ მათი სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტება, და აგრეთვე როგორც მათ მიერ სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც აშკარად სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

ამიტომ, თანამდებობის პირთა ჩემს მიერ შემოთავაზებულ იურიდიულ პასუხისმგებლობაში უნდა იგულისხმებოდეს მათი პასუხისმგებლობა იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიქმნას თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ამ თეორიის პრინციპული მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს ახალ პერსპექტიულ მიმართულებას იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სახელმწიფო მართვის მეცნიერებებში.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მივდივარ ლოგიკურ დასკვნამდე თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრინციპული მნიშვნელობის შესახებ, რამეთუ ყოველი ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები შეიძლება დაცული იქნეს მხოლოდ თანამდებობის პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის შემოღების გზით, რომელიც დაბალანსებული იქნება ამ თანამდებობის პირთა უფლებებთან.

ხოლო ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

საბაზრო ურთიერთობებისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ზოგადთეორიული ასპექტების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიაზე, რამეთუ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას აღნიშნული თეორიის პრაქტიკული გამოყენება წარმოადგენს.

ამასთანავე, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ზემოაღნიშნული თეორიის მოთხოვნები უნდა აისახოს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოთა კონსტიტუციებში იმისათვის, რათა გადაილახოს წინააღმდეგობა, მაგალითად, პარლამენტის წევრთა (საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა) უფლებებსა – მიიღონ კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, და მათი პასუხისმგებლობის მექანიზმის არარსებობას შორის ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების – ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე, რაც იწვევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას, ხოლო ზოგჯერ იწვევს როგორც ცალკეული ადამიანების, ისე თითქმის მთელი ხალხის ძარცვასაც კი.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინიც სრულად უნდა აგებდნენ პასუხს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, რომლებიც დაბალანსებული უნდა იყოს მათ უფლებებთან და მოვალეობებთან.

ეკრძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხს უნდა აგებდნენ – ისინი ავტომატურად უნდა თავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან მათ მიერ ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათში ანტიკონსტიტუციური ნაწილების პროექტების წარდგენისათვის.

ასეთივე, ხოლო ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი უნდა დაეკისროთ თანამდებობის პირებს – *აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს* – მათ მიერ ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების როგორც მიღებისათვის (გამოცემისათვის) და მიღების (გამოცემის) მხარდაჭერისათვის, ისე აღსრულებისათვის ან აღსრულების მხარდაჭერისათვის, აღსრულების დაშვებისათვის, ე. ი. მათი ბრმად აღსრულებისათვის, ყოველი ადამიანის და მთლიანად ხალხის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიმართ შედეგების გაუთვალისწინებლად, რამეთუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისევე როგორც ხელისუფლება საერთოდ, ვალდებული არიან ემსახურონ ხალხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან, და რომელიც (ე. ი. ხალხი) მათ ინახავს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვთავს.

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ, რომელსაც ასევე უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაზე – პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, რაც დაბალანსებული უნდა იყოს მის უფლებებთან და მოვალეობებთან.

აუცილებლად მიმართავს აგრეთვე, ყურადღების გამახვილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრობლემაზე – ეგრეთ წოდებული „მეთხე ხელისუფლების“ პრობლემაზე („მეთხე ხელისუფლების“ ბრტყალებში, რამეთუ სინამდვილეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ წარმოადგენს ხე-

ლისუფლებას, თუმცა ზოგჯერ აქტიურ გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე), რომელსაც, ისევე როგორც საზოგადოების ნებისმიერ წევრს, უნდა ჰქონდეს და აქვს უფლებები სიტყვის თავისუფლებაზე, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე და ა. შ.

მაგრამ თუ ის – „მეოთხე ხელისუფლების“ თავისუფლება – ზღუდავს სხვა პირთა კანონიერ ან საერთოდ ჭეშმარიტად ადამიანურ უფლებებსა და თავისუფლებებს, თუ ის ღაცავს სხვა მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, შეურაცხყოფას აყენებს ან თუნდაც არაკორექტულად და უსამართლოდ ეხება ადამიანს, რომელიც არ არის დამნაშავე არც სხვა ადამიანების, არც საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, რითაც არღვევს კონსტიტუციურ მოთხოვნას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ, მაშინ ასეთ „ხელისუფლებას“ თავის მოქმედებებზე უნდა ეკისრებოდეს სრული იურიდიული პასუხისმგებლობა.

ამრიგად, უდავოდ დასტურდება, რომ **თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია არის ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნული ინოვაციური პოლიტიკის და მისი პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელი თეორიული საფუძველი.**

ლიტერატურა

1. **კურატაშვილი ალფრედ.** მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.

2. **კურატაშვილი ალფრედ.** სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

3. **კურატაშვილი ალფრედ.** ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. *ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება* (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.

4. **კურატაშვილი ალფრედ.** ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

5. **კურატაშვილი ალფრედ.** თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი: „მეცნიერება“, 1997.

6. **კურატაშვილი ალფრედ.** თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

7. **Философский энциклопедический словарь.** – М.: ИНФРА-М, 1997, с. 427.

8. **Маркс К. и Энгельс Ф.** Соч., изд. 2-е.

9. **Кураташвили Альфред А.** О критериях различия экономических эпох. Материалы Республиканской научной конференции: “Главная цель наших планов” (17-18 мая 1979 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1979.

10. **Кураташвили Альфред А.** Конституционные права человека и необходимость радикальной перестройки системы аттестации научных кадров. Периодический научный журнал “Интеллект”, 2000, №1(7). Тбилиси: Изд-во “Интеллект”, 2000.

11. **Кураташвили Альфред А.** Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1980.

12. **Голованов Я. К.** Этюды об ученых. 3-е изд., доп. – М.: Молодая гвардия, 1983.

13. **Кураташвили Альфред А.** Проблемы научного творчества. Материалы научной конференции: “Наука и общество” (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1984.

Alfred Kuratashvili

THEORETICAL BASIS OF INNOVATION POLICY OF THE STATE

Annotation

In scientific work are considered fundamentally new theoretical foundations of innovation policy of the state created by the author.

In particular, as noted in the work of foundations are considered - Philosophy of social goal, Theory of supremacy of interests of people and Theory of balance of rights and responsibility of officials.

რეზიუმე ჯავახიშვილი

უზარბთის ინოვაციური პოლიტიკა და მისი ბანხორციელების ინსტრუმენტები

თანამედროვე ეტაპზე, როგორც მთლიანად მსოფლიო მასშტაბით, ისე ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი პირდაპირ არის დაკავშირებული ინოვაციებთან, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონის ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელია. ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს, თავისი ეკონომიკის განვითარება გადაიყვანოს ინოვაციურ საწყისებზე, რამდენადაც იგი იძლევა როგორც გლობალური, ისე ლოკალური პრობლემების წარმატებით გადაჭრის შესაძლებლობებს. ცხადია, ამ მხრივ არც უნგრეთი წარმოადგენს გამონაკლისს.

უნგრეთი (ტერიტორია 93,0 ათ.კვ.კმ, მოსახლეობა 9,8 მლნ კაცი) აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, რომლის ტერიტორიის 70% უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს [4]. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, იგი განეკუთვნება ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის საშუალოგანვითარებული ქვეყნების რიცხვს, რომელიც მნიშვნელოვნად (1,5-2-ჯერ) ჩამორჩება მაღალგანვითარებულ დასავლეთევროპულ ქვეყნებს. ბოლო პერიოდში მისი ეკონომიკა დიდ სიძნელებს განიცდიდა, რის შედეგადაც საგრძნობლად იკლო თითქმის ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ტემპმა. თუმცა, ბოლო წლებში იგრძნობა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება. 2014 წელს უნგრეთში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანმა შიდა პროდუქტმა 23 ათასი, ხოლო საშუალო თვიურმა ხელფასმა 1050 დოლარი შეადგინა. ეს უნდა აიხსნას, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის წამყვან დარგებში (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა) ინვესტიციების სწრაფი ზრდით, რაც 2013

წელს წინა წელთან შედარებით 7, ხოლო 2014 წელს 13%-ით გადიდდა, მანმადე კი ეს მაჩვენებლები სისტემატური შემცირებით ხასიათდებოდა [7].

პერსპექტივაში უნგრეთის ეკონომიკის მდგრადი განვითარება დიდადაა დამოკიდებული როგორც ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაზე, ისე ქვეყნის მატერიალური (ბუნებრივი სიმდიდრეების), შრომითი და ფინანსური რესურსების, მისი ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებაზე. ამ საქმეში კი გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ცალკეულ სფეროებსა და დარგებში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქვეყნის ინოვაციური განვითარების სფეროში მოპოვებულ იქნა გარკვეული წარმატებები: მოხდა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეცნიერებატევადი დარგები, შემცირდა ენერგოტევადი და მასალატევადი წარმოება და ამაღლდა მათი ეკონომიკური ეფექტიანობა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკოლოგიური პირობები, ამაღლდა განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პრაქტიკული გამოყენების დონე და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა 2008-2013წწ-ში საგრძნობლად შეამცირა უნგრეთის ინოვაციური საქმიანობა. 2012 წელს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეულმა დანახარჯებმა მშპ-სთან მიმართებაში 1.2% შეადგინა, რაც 2013 წელსაც არ შეცვლიდა. ამ მაჩვენებლით უნგრეთი საგრძნობლად ჩამორჩება ინდუსტრიულად მდაღვანითარებულ ქვეყნებს (3-3.5%) და იგი გარკვეული ზომით ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაშიც (1.9%). მიმდინარე ათწლეულის ბოლოსათვის ამ მაჩვენებლის ზრდა უნგრეთში ნავარაუდევია 1.8%-მდე, საშუალოდ ევროკავშირში კი 3%-მდე. ინოვაციური განვითარების უმეტესი მაჩვენებლების მიხედვით, უნგრეთი რამდენადმე ჩამორჩება ჩეხეთს, მაგრამ უმნიშვნელოდ უსწრებს პოლონეთსა და სლოვაკეთს.

უნგრეთის ინოვაციური საქმიანობა ორიენტირებულია ამ სფეროში ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების წარმოების სწრაფი ზრდა და ამ მიზნით საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოება, მაღალტექნოლოგიურ დონეზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის განვითარება;

2. სამედიცინო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, სამკურნალო და საკურორტო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელის განვითარება, თანამედროვე სამკურნალო წამლების, ფარმაცევტული პრეპარატებისა და სამედიცინო მოწყობილობის წარმოების გადიდება, რაც დაეფუძნება ეროვნულ გამოკვლევათა შედეგების გამოყენებას;

3. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული მომიჯნავე წარმოებისა და ინფრასტრუქტურის წინმსწრები განვითარება;

4. ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ენერგოდამზოგი წარმოებისა და გარემოს დაცვის ყველაზე უფრო პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებები აისახა ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებულ ინოვაციური საქმიანობის სრულყოფის პროგრამაში, რომელიც ძალაშია მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე. ეს პროგრამა ითვალისწინებს

აგრეთვე ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისა და სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვის სრულყოფას. ამ პროგრამის რეალიზაციამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების 1.5-2%-ით დაჩქარება [7].

გარდა ამისა, ევროკომისიის მიერ, 2013-2020 წლების ბიუჯეტის პროექტის დამუშავების პროცესში, მომზადდა ახალი ინოვაციური პროგრამა – “ჰორიზონტი 2020”, რომლის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს უნგრეთი, პირველ რიგში, ქვეყანაში ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ევროკომისიის მიერ აღნიშნული პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური სახსრები გამოიყოფა კონკურსის საფუძველზე, პირველ რიგში იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც აქვთ გამოკვლევების ჩატარებისა და მათი საკუთარი სახსრებით ფინანსირების გამოცდილება, შექმნეს გამოკვლევების მსხვილი ეროვნული ცენტრები. აღნიშნული პროგრამით უახლოეს პერიოდში უნგრეთში შეიქმნება:

- მსოფლიო უმაღლესი დონის ოცდაათი მსხვილი საკვლევი-საპროექტო ცენტრი;
- წამყვანი საერთაშორისო კომპანიების ეგიდით მომუშავე საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა ოცდაათი დიდი ცენტრი;
- საშუალო ზომის ოცდაათი მაღალტექნოლოგიური ეროვნული საწარმო, რომლებიც მადამინირებელ როლს შეასრულებენ ცენტრალურ-აღმოსავლეთ-ევროპულ რეგიონში;
- სამასი მაღალტექნოლოგიური საწარმო, რომელთაც ექნებათ მცირე ეროვნულ საწარმოთა ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი.

ევროკავშირის ინოვაციური პროგრამით („ჰორიზონტი 2020“) განსაზღვრული სტრატეგია სათანადო განხილვისა და კორექტირების შემდეგ 2013 წელს დატვიცდა უნგრეთის მთავრობის მიერ და მიღებულ იქნა, როგორც 2013-2020 წწ. ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის სტრატეგია. იგი ითვალისწინებს მშპს-თან მიმართებაში საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გათვალისწინებული დანახარჯების დონის 1.8%-მდე ზრდასა და, აგრეთვე, მკვლევარებისა და გამომგონებლების რაოდენობის 37 ათასიდან 50 ათას კაცამდე გადიდებას [7].

აღნიშნული ინოვაციური პროექტით ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, განსაზღვრულია აგრეთვე ინოვაციის სფეროში კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი ზრდა, მსხვილ სახელმწიფო და კერძო კომპანიებთან ერთად საშუალო და მცირე საწარმოთა შექმნა-განვითარება, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საკრედიტო და საგადასახადო შედავათები, ინოვაციური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე უნგრეთის ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტია მისი ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი მიმართულებების სწრაფი განვითარება და სრულყოფა, რაც შესაბამისი პროგრამების შექმნისა და რეალიზაციის საფუძველზე ხორციელდება. ასეთი პროგრამების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და ლოგისტიკის, მედიცინისა და ფარმაცევტიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე, ალტერნატიული ენერჯეტიკისა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ამ მიზნით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაფართოება და სრულყოფა.

ინოვაციური ტიპის განვითარებაზე გადასვლით უნგრეთში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ბიზნესის განხორციელებისთვის, რამაც ბევრი ტნკ-ს ყურადღება მიიპყრო აქ შვილობილი კომპანიების, განყოფილებებისა და ერთობ-

ლივი საწარმოების შექმნისთვის, პორტფელური და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისთვის, რაც სათანადო პირობებს ქმნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. უნგრეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კარგად აქვს გაცნობიერებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. აქტიურ ინოვაციურ პოლიტიკაზე გადასვლასთან ერთად, წარმატებით ხორციელდება რეგულირების ობიექტებისა და დაფინანსების წყაროების განვითარება, რასაც შედეგად მოსდევს ინოვაციური ციკლის შემცირება, ინოვაციური ფაქტორების ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენება. მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების სრულყოფილი გამოყენება სულ უფრო მეტად იქცევა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად.

უნგრეთი ინოვაციებს ანვითარებს, პირველ ყოვლისა, ისეთ დარგებში, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება მის საექსპორტო სპეციალიზაციას. ეს, პირველ რიგში, შეეხება ე.წ. მეცნიერებატევადი ექსპორტის განვითარებას, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად აფართოებს ჯერ ქვეყნის შიდა, ხოლო შემდეგ კი საგარეო ბაზარზე მაღალხარისხოვან ინოვაციურ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას. ეს უმეტესწილად შეეხება ფარმაცევტულ პროდუქციას, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკას, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვ.

უნგრეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა. სადღეისოდ, ქვეყანაში მოქმედი საწარმოებისა და ფირმების აბსოლუტური უმეტესობა მცირე ზომისაა, რომლებიც გადამწვევტ როლს ასრულებენ ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებასა და მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში. ამჟამად უნგრეთში მცირე ფირმების რაოდენობა 1,6 მლნ-ს აჭარბებს, რომელთა წილად მოდის დასაქმებულთა 75%, მთლიანი შიდა პროდუქტის 40 და ექსპორტის 17%. იმავდროულად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 60% და ექსპორტის 80%-ზე მეტი მოდის უმსხვილეს საწარმოებზე, რომელთა დიდი ნაწილი უცხოური კომპანიების საკუთრებაშია. მსხვილი ტრანსეროვნული კომპანიები კი, რომელთა უმეტესობა ფუნქციონირებს გადამამუშავებელ დარგებში, ხშირად იყენებს სხვა ქვეყნების სუბმომწოდებლებს, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესს [7].

მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- მოსახლეობის მაღალი დასაქმების შესაძლებლობებთან ერთად, ასეთი საწარმოების საქმიანობა უფრო მეტად ატარებს ინოვაციურ ხასიათს, ისინი უფრო მოქნილად რეაგირებენ ტექნოლოგიების, მოსახლეობის მოთხოვნისა და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის ცვლილებებზე;
- ეკონომიკის ბევრ სექტორში (სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სატყეო მეურნეობა, ტრადიციული სარეწაოები და სხვ.) პროდუქციის წარმოება უფრო მეტად ხორციელდება მცირე და საშუალო საწარმოების მიერ;
- მცირე მეწარმეობას უფრო მეტად შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს საქონელსა და მომსახურებაზე სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა განსხვავებული მოთხოვნები მათი ინდივიდუალიზაციის პირობებში. მცირე ზომის საწარმოები უფრო დინამიურები არიან და უკეთ ახერხებენ მომხმარებელთა მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- თანამედროვე ეტაპზე, შრომის ტექნიკური დანაწილებისა და ტექნოლოგიური კოოპერაციის პირობებში, მსხვილ კომპანიებსა და წვრილ საწარმოებს შორის ხშირად ადგილი აქვს არა კონკურენციას, არამედ სუბკონტრაქტების საფუძველზე მათ თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის წვრილი საწარმოების როლს ბიზნესის განხორციელებაში;

- მცირე ბიზნესი დიდ შესაძლებლობებს იძლევა ქალების, ახალგაზრდობის, მათ შორის სტუდენტებისა და მოსწავლეების, აგრეთვე ემიგრანტების შრომის გამოყენებისთვის. სწორედ მცირე მეწარმეობაში აქვთ მათ დიდი შანსი ბიზნესის წამოწყებისათვის.

უნგრეთის საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მიღწევებთან ერთად, ადგილი აქვს მთელ რიგ სიძნელეებს. ეს, პირველ რიგში, ითქმის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვის სირთულეზე, რომლის დასაძლევად საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას ეკონომიკის განსაკუთრებული სექტორი, რომელიც შეასრულებს გარკვეული შუამავლის („ხიდის“) როლს. მისი შექმნა შეიძლება სხვადასხვა ფორმით: სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ტექნოლოგიური სოფლები, ბიზნესის ინკუბატორები, ვენჩურული დაფინანსების ფონდები და სხვ.

გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად მიღებული პრაქტიკული შედეგებით უფრო მეტად სარგებლობენ მსხვილი კომპანიები, წვრილ ფირმებთან შედარებით, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ მოსახლეობის დასაქმებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს ქვეყნის საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი სიძნელეა, რამდენადაც აღნიშნული განსხვავება სულ უფრო ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, მეცნიერებატევადი წარმოება და ექსპორტი მონოპოლიზებულია მსხვილი კომპანიების მიერ, რომლებიც სულ უფრო მეტად სარგებლობენ ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერით, ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებისა და ბაზრების გლობალიზაციის გზით მიღებული შედეგებით.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ ინოვაციური პროცესების დაფინანსებაზე, მართვასა და რეგულირებაზე, ინოვაციური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ინსტრუმენტების მოქნილ გამოყენებაზე. ამაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება სახელმწიფოს როლის ზრდა ინოვაციური ინფრასტრუქტურის ეროვნული სისტემის შექმნასა და გამოყენებაში. უნგრეთის ინოვაციურ ინფრასტრუქტურას აფორმირებენ უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების ფუნდამენტური გამოკვლევების მხარდაჭერი სტრუქტურები და, აგრეთვე, ბიზნესისა და სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის მაკორდინირებელი ორგანოები.

უნგრეთის ინოვაციურ განვითარებაში განსაკუთრებით დიდია ქვეყნის საუნივერსიტეტო ცენტრების როლი და მნიშვნელობა. ეს, პირველ რიგში, ითქმის მოქმედი ევროპული ინოვაციური პროგრამების ჩარჩოებში კოსმოსური მოწყობილობისა და მცირე ზომის თანამგზავრების შექმნაზე. ქვეყანაში მნიშვნელოვნად ვითარდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბირთვული ფიზიკისა და ადამიანის ტვინის შესწავლის სფეროში, სადაც ქვეყანას გააჩნია დიდი ტრადიციები და მსოფლიო დონის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევები.

უნგრეთში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას. ამ მხრივ უნგრეთის კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან. თუმცა, ქვეყნის ინოვაციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას გააჩნია თავისი ეროვნული სპეციფიკა. ამ მხრივ უნგრეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, რაც განსაზღვრულია ქვეყნის სამოქალაქო კოდექსითა და საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. უნგრეთი არის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, რომლის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ მრავალმხრივ შეთანხმებებსა და ამ სფეროში არსებულ ყველა საერთაშორისო კონვენციასთან.

ამასთან ერთად, უნგრეთი ვალდებულია, შეასრულოს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ღირებულებები და რეგლამენტები, რომლებიც ითვალისწინებენ საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერას.

უნგრეთში სისტემატურად ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის მართვის სტრუქტურის სრულყოფა. ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ასრულებს განვითარების ეროვნული კომიტეტი, რომელსაც უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. რაც შეეხება კონკრეტულად ინოვაციური საქმიანობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მისი რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, იგი ეკისრება ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს, რომელსაც ევალება, აგრეთვე, ცალკეული კომიტეტების, სააგენტოების, საკვლევი ცენტრების, მსხვილი საწარმოებისა და სხვათა ინოვაციური საქმიანობის უშუალო კოორდინაცია. ეკონომიკის ყველაზე მსხვილ და მნიშვნელოვან დარგებში კი ასეთი საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკისრება ეროვნული განვითარების სამინისტროს, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში სახელმწიფოს გადამწყვეტ როლსა და მნიშვნელობაზე.

სახელმწიფო ახორციელებს უშუალო ზედამხედველობას ეროვნული განვითარების სააგენტოზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტულ დარგობრივ მიმართულებათა განსაზღვრა, ინოვაციებზე გამოყოფილი ფინანსების განაწილებისათვის სათანადო კონკურსების მოწყობა და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება.

ფუნდამენტური გამოკვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც სპეციალური სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის მეშვეობით ახორციელებს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებას. გარდა ამისა, ადგილებზე ინოვაციური საქმიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სამუშაოებს ახორციელებენ ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრისა და ეროვნული ინოვაციური მმართველობის ტერიტორიული ქვედანაყოფები.

ინოვაციური საქმიანობის წარმატებული განვითარება პირდაპირ კავშირშია მის ფინანსურ უზრუნველყოფასთან. უნგრეთის ინოვაციური საქმიანობის განვითარების მთავარ ფინანსურ წყაროს წარმოადგენს ევროკავშირის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები. რაც შეეხება ადგილობრივ წყაროებს – სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, კომერციული საწარმოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ფულადი რესურსები, ისინი უმეტესად, დამხმარე როლს ასრულებენ. ასეთი ტენდენცია განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი რესურსების შეზღუდულობით, არამედ, უფრო მეტად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირუთიერთობების უზრუნველყოფის დაინტერესებით, საერთო ევროპულ პროგრამებში მონაწილეობითა და მათთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებით.

დაფინანსების ადგილობრივი წყაროებიდან მთავარ როლს ასრულებს უნგრეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი სახსრები, რომლებიც გადაირიცხება სპეციალიზებულ ფონდებსა და პროფილურ ორგანიზაციებში. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციურ მოსაკრებელ საწარმოთა რაოდენობა. შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მას იხდიან არა მხოლოდ მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები, არამედ წვრილი ფირმების საკმაოდ დიდი ნაწილიც. გადასახადის განაკვეთია წლიური ბრუნვის 0.3%, რომლის გადახდა ხდება ყოველკვარტალურად. გადახდილი სახსრები თავს იყრის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ

ინოვაციურ ფონდში, რომელიც იმყოფება ეკონომიკური განვითარების უნგრეთის ცენტრის დაქვემდებარებაში. აღნიშნული ფონდის რესურსების შევსება ხდება არა მხოლოდ ინოვაციური მოსაკრებლების, არამედ განვითარების უნგრეთის ბანკის სახსრების ხარჯზე. ფონდი აფინანსებს ინოვაციური პროექტების დიდ ნაწილს, რომელთა პრიორიტეტები განისაზღვრება ოპერატიული საკვლევი პროგრამებით.

უნგრეთში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამულ დაფინანსებას, როგორცაა ქვეყანაში სახელმწიფო რეფორმების განხორციელება, ელექტრონული მთავრობის განვითარება, მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სხვა. სამომავლოდ, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, საჭიროა სათანადო სახელმწიფო ინოვაციური პროგრამების დამუშავების გაფართოება, რომელთა პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვნად წაადგება დაჩქარებული ტემპებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არევაძე ნ., 2015 წლის გლობალური ინდექსი და საქართველო, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, თბ., 2/14/2016.
2. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, თბ., 2014.
3. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2016.
4. უნგრეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986.
5. Абесадзе Р., Бурдули В., Структурные и инновационные проблемы экономического развития, Тб., 2014
6. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, М., 2006
7. Обзор экономики Венгрии, состояние инновационного развития.
http://www.ved.gov.ru/expoztcountzies/hu/about_hu/econo_hu/

Revaz Javakhishvili

HUNGARY'S INNOVATION POLICY AND ITS IMPLEMENTATION INSTRUMENTS Annotation

Hungary's sustainable social-economic development is mainly depended on new technologies usage in certain areas of economy and innovation oriented state policy implementation. The core strategic directions of this policy are: Rapid development of transportation engineering, its infrastructure and logistic; Further improvement of pharmaceuticals, medical service and educational system; Development of informatics, computing technology and related neighboring production; Accomplishment of traditional and alternative energy, energy-saving production and environment protection progressive methods, for this purpose extension and development of scientific-research processes. In the article, there are analyzed state support forms for small and medium businesses and innovative policy implementation instruments.

ინოვაციური პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი ინოვაციური პროცესების დომინანტობით ხასიათდება. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარებისა და გამოწვევების ძირითად ტენდენციებს განეკუთვნება:

- ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ხვედრი წილის გაზრდა დამატებული ღირებულების შექმნაში;
- არამატერიალური აქტივების ხვედრი წილის ზრდა კომპანიების ერთობლივი აქტივების სტრუქტურაში;
- გლობალური კონკურენციის გაძლიერება;
- ახალი მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ცენტრების გამოჩენა აზიასა და ლათინურ ამერიკაში;
- ენერგეტიკული ბარიერების ზრდის დაძვევის აუცილებლობა;
- სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენის გაძლიერება;
- დასასრულ, ტექნოლოგიური ცვლილებების მოსალოდნელი ახალი ტალღა, რომელიც დაკავშირებულია უახლესი მიღწევების გამოყენებასთან ბიოტექნოლოგიის, ინფორმატიკისა და ნანოტექნოლოგიების დარგში, მათ შორის ჯანდაცვასა და სხვა სფეროებში.

ყველაზე მძლავრი სამეცნიერო, ტექნიკური და დანერგვითი პოტენციალი მსოფლიოში გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ამ მიმართულებებში უდიდეს სახსრებს სდებს ქვეყნის სიმდიდრიდან გამომდინარე. ინოვაციური პოლიტიკის ამერიკული მოდელი განსხვავდება მეწარმეობის უფრო სრული ავტონომიით. ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირება ხორციელდება განსაკუთრებული სფეროს გამოყოფის გზით, ბოლო პერიოდში ესაა სამხედრო ტექნოლოგია, სადაც სახელმწიფო აბანდებს კოლოსალურ სახსრებს და ამით უზრუნველყოფს მის ტექნოლოგიურ პრიორიტეტს მთელ მსოფლიოში. სამხედრო ინოვაციის შედეგები და თანამედროვე პროდუქტები სამოქალაქო ინოვაციების სერიოზული წყაროები ხდება.

ინოვაციური პოლიტიკა აშშ-ში ხორციელდება „ნაციონალური ინოვაციური შესაძლებლობების“ კონცეფციის ფორმირების ფარგლებში. მისი დედააზრია ტექნოლოგიური ინოვაციების აღქმა ერში, ეფექტური მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნდამენტური მიღწევები ცოდნის სფეროში ოფიციალურად აღიარებულია ეკონომიკური ზრდის საფუძვლად, რამდენადაც აშშ-ში არსებული შეფასებით, 1 დოლარი, რომელიც დაბანდებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში, იძლევა მშპ-ს 9 დოლარით ზრდას.

საინტერესოა, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ინოვაციური საქმიანობის რეგულირებას. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

- 1) ამერიკული სამეცნიერო ფონდი (კურირებს ფუნდამენტურ კვლევებს);
- 2) ამერიკული სამეცნიერო საბჭო (კურირებს მრეწველობასა და უნივერსიტეტებს);
- 3) ამერიკის კოსმოსური სააგენტო (ნასა);
- 4) სტანდარტების ეროვნული ბიურო;
- 5) თავდაცვის სამინისტრო;
- 6) სამრეწველო კვლევების ეროვნული ცენტრი;
- 7) მეცნიერების ნაციონალური აკადემია;

8) ნაციონალური ტექნიკური აკადემია;

9) მეცნიერული განვითარების ხელშემწყობი ამერიკული ასოციაცია.

ბოლო ოთხ სტრუქტურას აქვს დაფინანსების სხვადასხვა წყაროები, მათ შორის მთავარი წყაროა ფედერალური ბიუჯეტი. გარდა ამისა, დაფინანსების წყაროების დაახლოებით 50% კერძო ფორმები და ორგანიზაციებია. ფედერალური მთავრობა კონკურსების საფუძველზე აფინანსებს ფუნდამენტურ პროექტებს, დანარჩენი მოდის უნივერსიტეტებზე, კოლეჯებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრიორიტეტული ინოვაციური დაფინანსების პოლიტიკას აქვს ფართო პარტნიორობის ფორმა ფედერალურ მთავრობებს შორის, კორპორაციულ და აკადემიურ სექტორებს შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, ასევე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფორმირების სფეროში. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს:

- ძრავების მშენებლობის დარგში ტექნოლოგიების განვითარება მძლავრ გარღვევას ახდენს ავტომშენებლობასა და სათბობის ინჟინერიაში;

- მშენებლობის დარგში – სამშენებლო ობიექტების სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივებას, რომელიც ხელს უწყობს გარემო პირობების უსაფრთხოებას;

- მოწინავე ტექნოლოგიების დარგში – მაღალრისკიანი, მაგრამ პერსპექტიული ტექნოლოგიების სტიმულირებას, რომლებიც ხელს შეუწყობს პრინციპულად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნას, ასევე მათ მსოფლიო ბაზარში შეყვანას;

- ტექნოლოგიური რეინვესტირების დარგში – სამხედრო და სამოქალაქო ინდუსტრიული ბაზების გამიჯვნის აღმოფხვრას, ასევე იმ უპირატესობების გათვალისწინებას, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს სამრეწველო თავდაცვის კომპლექსს, რაც ხელს უწყობს, წაშალოს საზღვრები სამხედრო და სამოქალაქო სექტორებს შორის, რომ მოხდეს უფრო უკეთესი და იაფი მიღწევა ტექნოლოგიების ფართო წრეზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალურ უსაფრთხოებას.

- სამეცნიერო გამოკვლევებისა და ნამუშევრების შედეგების გამოყენების დარგში, რომელიც ჩატარებულია სამთავრობო ლაბორატორიებში, ტექნოლოგიების წარმოდგენასა და პროექტების ექსპერტიზების ჩატარებას.

ყოველივე ეს, ინოვაციური განვითარების არჩეული პრიორიტეტების შესაბამისად, განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებში, რომელიც ხელს უწყობს ამერიკული ეკონომიკის კონკრეტულუნარიანობის ამაღლებას და მის გაყვანას მსოფლიო ბაზარზე XXI საუკუნეში:

1) ხანგრძლივი პერიოდისათვის კორპორაციული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწიფო სტიმულირების უზრუნველყოფას;

2) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფორმირებასა და აქტივიზაციას ინოვაციური სფეროების გაფართოებისათვის;

3) საუკეთესო სამეწარმეო კლიმატის შექმნას ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციისთვის;

4) ეკონომიკის მოთხოვნილებებისა და ფედერალური სამეცნიერო გამოკვლევების საბიუჯეტო მოცულობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

5) ამერიკული უნივერსიტეტების ფედერალური მხარდაჭერა და სასკოლო და უმაღლესი განათლების სრულყოფა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში აშშ მიისწრაფის სამეცნიერო ცოდნის ყველა მიმართულებით ლიდერობისაკენ, ამასთან მისი მიზანია გაამყაროს კავშირები ფუნდამენტურ მეცნიერებებსა და

ნაციონალურ მიზნებს შორის, განავითაროს სახელმწიფოთა შორის ევექტური პარტნიორობა, ასევე გაამყაროს პარტნიორობა მრეწველობასა და აკადემიურ ჯგუფებს შორის, რაც განსაკუთრებულად გამოიხატება ამერიკისათვის მაღალი კლასის მეცნიერებისა და ინჟინრების მომზადებაში XXI საუკუნეში.

იაპონია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ახალი ინდუსტრიული ქვეყანა ერთვებიან საერთაშორისო ტექნოლოგიურ ბიზნესში, ანგრევენ არსებულ წესრიგს. შეჭრის სქემა ძალიან მარტივია. მათ არ გააჩნიათ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და განვითარებული მომსახურების სფერო, არ ფლობენ მდიდარ ენერგო-სანედლეულო რესურსებს, საერთაშორისო ტექნოლოგიური ბიზნესის ახალმა მონაწილეებმა თავიანთი რესურსები მიმართეს პერსპექტიული მაღალტექნოლოგიური გამოგონების შესყიდვისკენ. ამ დროისათვის უკვე კარგადაა ცნობილი გასაღების პოტენციური ბაზარი, საწარმო-ტექნოლოგიური რესურსები და მათი თავისებურებები, რომელიც აუცილებელია ინოვაციის წარმოებისთვის. რჩება მხოლოდ სიახლეების საბოლოო დამუშავება და მისი წარმოებაში ჩაშვება.

იაპონური მოდელიც იგივეა, რაც ამერიკული, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიური პრიორიტეტების შექმნას. მაგრამ, ამავე დროს, მთავარი დაწოლა ხდება კონკრეტულ ტექნოლოგიებზე. იაპონიაში ბოლო ათი წელი დიდი ტანკერების მშენებელობის ტექნოლოგიები შეიცვალა რობოტების დამზადების მოწინავე ტექნოლოგიებით. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოებრივ დონეზე განისაზღვრება ტექნოლოგიური უპირატესობები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული. მათი განვითარების სტიმულირება ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ მერე მთელი სახალხო მეურნეობა გადაყვანილ იქნეს ახალ ტექნოლოგიებზე.

ბოლო წლების განმავლობაში იაპონია მსოფლიო ლიდერია სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორ ხარჯების ხვედრითი წონის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში. ინოვაციური ინვესტირების ძირითადი მონაწილეები ქვეყანაში სახელმწიფო და კორპორაციული სექტორია, რომელიც ინოვაციების 2/3-ს აფინანსებს. ქვეყანაში სახელმწიფო თამაშობს განსაკუთრებულ აქტიურ როლს სამეცნიერო-კვლევითი საუშაოების საერთო კოორდინაციაში, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორ სამუშაოების განვითარების ფართომასშტაბიანი პროგრამების რეალიზაციაში და კერძო კომპანიების წახალისებაში.

იაპონიისა და ზოგიერთი სხვა მაღალი ინდუსტრიული ქვეყნის განსაკუთრებული უპირატესობა მიიღწევა ძირითადად საინჟინრო-საკონსტრუქტორ სამუშაოების ვადის შემცირებით, მათი საწარმოო ათვისებით და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხობრივი უპირატესობით, რაც მათ ხელს უწყობს, გაუსწრონ ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ ჩამორჩნენ ახალ ბაზრებში შესვლას. იაპონელები წარმოებაში ახალი ნოვაციური პროდუქტის შემუშავებისა და ჩაშვების სისწრაფით ბევრად უსწრებენ ამერიკელებსა და ევროპელებს.

იაპონური ავტონდუსტრია ბაზარზე გადის წარმოების დაწყებიდან ერთი თვის მერე. აშშ-ს ამისთვის სჭირდება 4 თვე, ევროპელებს 2 თვე. ახალი პროდუქციის გაუმჯობესების სისწრაფით მისი საბაზრო სიცოცხლის პერიოდში საერთაშორისო ტექნოლოგიური ბიზნესის ახალი მონაწილეები ბევრად უსწრებენ თავიანთ კონკურენტებს. იაპონელებმა, მაგალითად, საკმარისია ოთხ თვეში მიადწიონ ხარისხის ნორმალურ დონეს. ამერიკელებს სჭირდებათ 5 თვე ნორმალურ მწარმოებლობაზე გასასვლელად და 11 თვე ნორმალური ხარისხის მისაღწევად.

თანამედროვე პირობებში იაპონიის ინოვაციური პოლიტიკა ფორმირდება და ტარდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო საფინანსო გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების მშპ-ს 0,7-დან 1,0%-მდე გაზრდას; 50 წლის განმავლობაში 30 ნობელის პრემიის ლაურეატის მომზადებას; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მხარდაჭერას ჯანდაცვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, გარემოს დაცვისა და ნანოტექნოლოგიების სფეროში; ახალგაზრდა სწავლულების მხარდაჭერის გაზრდას; სამრეწველო ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველყოფას კორპორაციების, მთავრობისა და აკადემიური სექტორის თანამშრომლობით; განათლების სისტემის რეფორმირებას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.

ამ ქვეყნების სამრეწველო სტრატეგია ორგანიზებულია ძალებისა და საშუალებების სიახლეების კონცენტრაციისკენ, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის მაქსიმალურ დონეს, რაც ამავე დროს იქნება იაფი.

ამერიკისგან განსხვავებით, სააქციო კაპიტალი, რომელიც გამოყენებულია როგორც მთავარი საინვესტიციო კაპიტალი, იაპონია საშუალებას აძლევს ბიზნესს, ახალი პროქტების დაფინანსების შესაძლებლობა დაბალი საპროცენტო განაკვეთით მოხდეს. ქვეყანაში უზრუნველყოფილია კრედიტების მაღალი ეფექტურობა, რამდენადაც იაპონიის ფასეულობების სისტემა ტრადიციულად ასტიმულირებს ეკონომიასა და მომჭირნობას.

იაპონიის მრეწველობის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამრეწველო სამეცნიერო და საკვლევი-საკონსტრუქტორო სამუშაოების შემუშავებაში და მის დახურვაში გადამწყვეტ როლს თამაშობს საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. სამეცნიერო ინოვაციური პოლიტიკის კონკრეტული მიმართულების კონტროლის შესრულებას ახორციელებს მეცნიერებისა და ტექნიკის სამმართველო. საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ეგიდის ქვეშ იმყოფება ასევე სამრეწველო ტექნოლოგიების იაპონური ასოციაცია, რომელიც დაკავებულია ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირებით. ამავე დროს ქვეყანაში არსებობს სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ხანგრძლივი დროის პროგრამა. მისი საშუალებით ხორციელდება გამოყენებითი კვლევებისა და საზღვარგარეთ ლიცენზირების შესყიდვის სტიმულირება. სამეცნიერო-ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში მთავარი სიმძიმე გადატანილია მსხვილ კორპორაციებზე.

საერთო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა როგორც უფრო ტექნოლოგიური და ინოვაციური დინამიკის ეკონომიკის მქონე ქვეყანა. დასავლეთ ევროპა და იაპონია ასევე ინოვაციურობის მაღალი დონით გამოირჩევა. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ევროპაცა და იაპონიაც ჩამორჩება აშშ-ს უნივერსიტეტებისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის დონით, რომლებიც მოწოდებული არიან სამეურნეო ბრუნვაში მოიხილონ ახალი იდეები, მიიღონ ახალი ნაკეთობები და ახალი ბაზრები.

Murman Kvaratskhelia

INNOVATION POLICY IN USA AND JAPAN

Annotation

The article deals with the innovation policy in USA and Japan.

USA is distinguished as the country having the economy with more technological and innovative dynamics. West Europe and Japan are also considered as the countries with a high level of innovations. As other countries, Europe and Japan are also backward in comparison

with the level of relations of USA universities and business, which are aimed at the attraction of new ideas in economy, get new articles and new markets.

Ната Давлаиеридзе

ОБЕСПЕЧЕНИЕ ИННОВАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ ГОСУДАРСТВЕННЫМИ ИНСТИТУТАМИ И ПРОГРАММАМИ В ПОЛЬШЕ

Способность к инновациям имеет жизненно важное значение для экономики каждой страны. Ни одна страна в мире, за исключением нефтедобывающих стран, не стала богатой без инноваций. Западу потребовались десятки лет, чтобы стать инновационным. Польша же принадлежит к странам аутсайдеров на инновационной карте Европы.

По этой причине в начале 2010-х гг. в Польше началась долгосрочная реформа научно-технической сферы (сопровождаясь также некоторыми изменениями в системе высшего образования), нацеленная на децентрализацию управления наукой, а также повышение кооперации между бизнес-сообществом и научно-исследовательскими институтами, работающими над коммерчески значимыми проектами. Важным подспорьем в проведении реформ для Польши была финансовая поддержка со стороны Европейского Союза: в 2007-2013 гг. из европейских фондов было выделено более €4 млрд на поддержку реформирования польской науки и образования. Хотя окончательные итоги реформы подводить преждевременно, можно говорить о том, что общее состояние польской науки и образовательной системы вполне соответствует общеевропейским стандартам, несмотря на ряд заметных недостатков в национальной научно-технической системе и сфере высшего образования.²

Итогом этого процесса стало оформление трехсекторной модели научно-технической отрасли: выделились сектор государственных НИИ (состоящий преимущественно из институтов, входящих ранее в системы Академии Наук), сектор частных исследовательских лабораторий и институтов, а также академический сектор, который занимал промежуточное положение, соприкасаясь и с государственным, и с частным заказом на проведение научных исследований.

Для того, чтобы оценить в целом уровень развития инноваций в Польше используются следующие сравнительные основные источники информации:

- Платформа по вопросам инновационной политики ОЭСР и Всемирного банка (IPP- Innovation Policy Platform)
- Научно-инновационная обсерватория Евросоюза (RIO - Research and Innovation Observatory)
- Глобальный индекс инноваций (GII -The Global Innovation Index)
- Сравнительный аналитический обзор Bruegel (Brussels European and Global Economic Laboratory)
- Опрос Deloitte «Корпоративный R&D»

Наиболее полная информация, а также аналитические материалы, раскрывающие уровень инновационности стран, в том числе Польши³, представлены на сайте Платформы по вопросам инновационной политики ОЭСР и Всемирного банка (IPP). Приоритет данной платформы был подтвержден на заседании «Группы Двадцати», одним из участников которой является Евросоюз, в 2016 году в Пекине. По предложению китайской стороны G20 сосредоточилась на ключевых вопросах сегодняшнего дня: как обеспечить темпы экономического роста в условиях, когда вчерашние инструменты эффекта не да-

²<http://cyberleninka.ru/article/n/integratsiya-stran-vostochnoy-evropy-v-evropeyskoe-nauchno-tehnicheskoe-prostranstvo-opyt-polshi-i-vengrii-2004-2014-gg#ixzz4QeXeJXhX>

³<https://www.innovationpolicyplatform.org/content/poland>


ют. В результате наиболее перспективными в долгосрочном ключе были названы **инновации, инновационное развитие.**

На данном заседании G20 приняты следующие согласованные документы:

- Контуры инновационного роста «Группы двадцати»
- План действий «Группы двадцати» в области инноваций 2016
- План действий «Группы двадцати» по новой индустриальной революции
- Инициатива «Группы двадцати» по сотрудничеству и развитию в области цифровой экономики.

Был предусмотрен запуск форума «Группы двадцати» по инновациям посредством создания нового онлайн-сообщества специалистов-практиков «Группы двадцати» в рамках существующей платформы по вопросам инновационной политики в сотрудничестве с ОЭСР и Всемирным банком, с тем чтобы члены «Группы двадцати» могли наиболее эффективным образом пользоваться этим ресурсом и обмениваться передовыми практиками, в том числе, что касается инновационных стратегий, мер и свидетельств достигнутых результатов.

В настоящее время на сайте IPP представлено большое количество материалов по Польше, содержащий следующий макет данных об инновациях:



Еще одним новым, но эффективным информационным ресурсом с данными об инновационном развитии стран, в том числе Польши, является Научно-инновационная обсерватория Евросоюза (RIO)⁴, созданная при поддержке Программы Horizon 2020. На

⁴<https://rio.jrc.ec.europa.eu/en/country-analysis/Poland>. См. также специальный ресурс Еврокомиссии SmartSpecialisationPlatform (S3P) <http://s3platform.jrc.ec.europa.eu/regions/PL?s3pv=1>

сайте RIO отслеживается и дается анализ исследований и инновационных разработок на уровне стран и ЕС в целом для поддержки более эффективной политики принятия решений в Европе. RIO разработан совместно Объединенным исследовательским центром двух Директоратов Еврокомиссии по исследованиям (JRC) и инновациям (RTD).

Ежегодный RIO Country Report дает анализ R&I системы в Польше, в том числе соответствующей политики и финансирования, с особым акцентом на наиболее критические вопросы для политики ЕС. В докладе определены следующие основные проблемы польской научной и инновационной системы, а также дана оценка принимаемых мер:

- Увеличение интенсивности частных исследований и инноваций (R&I)
- Укрепление взаимодействия между наукой и промышленностью
- Повышение качества публичной научно-исследовательской базы
- Установление приоритетов в системе управления R&I

Традиционно в мире используются данные Глобального индекса инноваций (The Global Innovation Index)⁵, который рассчитывается по методике международной бизнес-школы INSEAD и Всемирной организации интеллектуальной собственности (WIPO). GI составлен на основе 80 различных переменных, детально характеризующих инновационное развитие стран мира, находящихся на разных уровнях экономического развития и отражающих как наличие инновационного потенциала, так и условия для его воплощения. В GI Польша в 2016 году заняла 39 место среди 128 стран, получив 44,2 баллов из 100 возможных пунктов, поднявшись с 45-го места 2015 года на семь пунктов (46 баллов).

Здесь можно отметить, что и Грузия значительно улучшила свои показатели и поднялась с 73 места 2015 г. (имея 33,8 балла) на 64 место в 2016 г., получив 33,9 балла, т.е. на 9 пунктов.

Польша достигла хороших позиций в рейтинге 2016 г. среди самых инновационных экономик благодаря легкости открытия бизнеса, уровню образования, росту внутренних валовых расходов на R&D, количеству научных публикаций и динамике развития сектора ИКТ (информационно-коммуникационных технологий). Так среди прочих факторов, по показателю легкости создания бизнеса она поднялась на пять позиций, по образованию – на 2 позиции, по доле валовых внутренних затрат на R&D в ВВП – улучшение на 3 позиции, по предложениям, сделанным на рынке венчурного капитала – скачок на 16 позиций, по числу сотрудников с передовыми технологическими знаниями – рост на 4 позиции, по научным публикациям – на 1 позицию, творческий потенциал сектора ИКТ поднялся на 14 позиций.

Лишь немногие страны, такие как Польша, Новая Зеландия, Бельгия, Израиль, Южная Корея и Испания, смогли увеличить свои правительственные обязательства по расходам на R&D в 2014 и эта тенденция продолжилась в 2015 году. Как показано ниже в таблицах GI 1.1 и 1.2, относительный рост R&D расходов в результате кризиса варьировался в зависимости от состояния экономики страны.

⁵<https://www.globalinnovationindex.org/home>

Box 1: Moderate post-crisis R&D expenditure growth largely driven by the private sector (cont'd.)

Table 1.1: Gross domestic expenditure on R&D (GERD): Crisis and recovery compared

Countries with no fall in GERD during the crisis that have expanded since

	CRISIS			RECOVERY			
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
Egypt*	100	168	177	220	229	293	300
China	100	126	143	163	189	212	231
Argentina	100	115	128	145	165	171	n/a
Poland	100	113	127	138	166	166	185
Turkey	100	111	121	134	147	157	172
Korea, Rep.	100	106	119	133	147	155	166
India*	100	106	113	125	n/a	n/a	n/a
Mexico	100	102	113	110	116 ^B	136 ^B	150 ^B
Hungary	100	108	110	116	121	136	138
Belgium	100	101	107	114	126	129	133
Colombia*	100	101	106	120	125	161	129
Russian Fed.	100	111	104	105	112	114	120
Ireland	100	110	110	107	110	109	114
France	100	104	105	108	110	111	112 ^B
New Zealand [†]	100	107	n/a	109	n/a	108	n/a
Denmark	100	105	102	104	105	107	108 ^B
Australia	100	n/a	102	102	n/a	107	n/a

Table 1.2: Business enterprise expenditure on R&D (BERD): Crisis and recovery compared

Countries with no fall in BERD during the crisis that have expanded since

	CRISIS			RECOVERY			
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
Poland	100	104	109	135	199	234	279
China	100	126	144	168	196	222	244
Turkey	100	101	116	131	150	168	193
Hungary	100	118	125	138	152	180	188
Korea, Rep.	100	105	118	135	152	162	172
India*	100	102	111	124	n/a	n/a	n/a
Ireland	100	116	116	116	121	124	129
Greece [†]	100	n/a	n/a	117	111	121	128 ^B
Egypt*	100	105	110	112	115	117	120
New Zealand [†]	100	104	n/a	116	n/a	117	n/a
France	100	102	105	110	113	115	116 ^B
Russian Fed.	100	110	100	102	104	110	114
Mexico	100	109	113	111	n/a	n/a	n/a

Countries with fall in BERD during the crisis but above pre-crisis levels in 2014

Но в целом по доле ВВП на R&D Польша еще отстает от среднего для Евросоюза уровня. Это подтверждается данными Евростата, которые показывают, что в 2013 году Польша потратила 0,87% по сравнению со средним показателем ЕС 2,02% валовых внутренних затрат на R&D в ВВП. В 2014 году этот показатель достиг 0,94%, что все еще меньше половины среднего показателя по ЕС и далеко позади Финляндии (3,17% ВВП) и Швеции (3,16% ВВП).

Новые данные представлены в августе 2016 года в аналитическом обзоре центра Bruegel – Brussels European and Global Economic Laboratory⁶. Деятельность этого мозгового центра является уникальной. Его членами являются как государства, включая Польшу, так и крупные международные корпорации, международные экономические организации. Bruegel основан в 2005 году, он выполняет миссию повышения качества экономической политики через открытые и основанные на фактах исследования, анализ и обсуждения. Обзор Bruegel показал, что существует значительный разрыв между странами Европейского союза с наибольшей способностью к инновациям и с наименьшим инновационным потенциалом. Процесс сближения здесь идет очень медленно и неравномерно и в последнее время очевидно остановился.

Особо слабым местом являются корпоративные инвестиции в научные исследования. Для достижения своих амбиций стать мировым лидером инноваций Евросоюз должен лучше понять эту растущую внутреннюю инновационную пропасть.

Так, данные амбиции пока не привели к росту производительности. Согласно Европейскому Табло Инновационного союза – Innovation Union Scoreboard (IUS), сводному показателю для оценки инновационной деятельности, уровень ЕС составляет лишь 81% от Соединенных Штатов.

Индекс IUS рассчитывается как взвешенная сумма оценок двух групп показателей:

1. Располагаемые ресурсы и условия для проведения инноваций (Innovation Input):

- Институты;

⁶<http://bruegel.org/2016/04/the-european-unions-growing-innovation-divide/>

- Человеческий капитал и исследования;
 - Инфраструктура;
 - Развитие внутреннего рынка;
 - Развитие бизнеса.
2. Достигнутые практические результаты осуществления инноваций (Innovation Output):
- Развитие технологий и экономики знаний;
 - Результаты творческой деятельности.

Итоговый Индекс представляет собой соотношение затрат и эффекта, что позволяет объективно оценить эффективность усилий по развитию инноваций в той или иной стране⁷.

Анализ Bruegel показывает следующие тенденции по группам стран:

IUS	2006	2008	2010	2013
Среднее значение для ЕС	0,49	0,5	0,53	0,55
Изменение инновационного потенциала *	0,39	0,36	0,35	0,35
Лидеры инноваций (Дания, Финляндия, Германия, Швеция)	0,67	0,68	0,7	0,72
Производительность по сравнению с инновационными лидерами (= 100)				
«Идущие за лидером» (NL, BE, UK, IE, AT, FR, LU, SI, EE, CY)	76	79	79	81
Умеренные инноваторы (IT, CZ, ES, PT, EL, HU, SK, MT, HR, LT, Poland)	47	48	49	50
Скромные новаторы (LV, RO, BU):	27	31	33	30
Страны Центральной и Восточной Европы	42	44	45	46
Страны Южного ЕС (EL, IT, ES, PT, CY, MT)	52	57	57	57
Страны с высоким уровнем фискальной консолидации	48	50	51	51

Согласно IUS 2016 года Польша выросла, поднявшись на одну ступень до 23-й позиции.

В 2016 году Deloitte проводился опрос «Корпоративный R&D» в сотрудничестве с Национальным центром научных исследований и разработок (NCBR) и PKO Bank Polski. Ключевые результаты, которые показал данный опрос, следующие:

- Компании планируют рост их R&D инвестиций в течение ближайших двух лет (45%) и в три-пять лет (57%).
- Основные драйверы, которые мотивируют компании больше инвестировать в R&D, включают наличие большего количества преимуществ: возможность использовать сочетание грантов, налоговых вычетов и т.д., а также наличие квалифицированных и опытных исследователей.
- Большинство компаний (71%) продолжают сотрудничать с университетами и научно-исследовательскими институтами, что является выгодным для всех стороны.
- Основные проблемы, выраженные компаниями из всех обследованных стран, включают пересмотр субсидий и налоговых вычетов налоговыми органами, неопределенность в определении видов R&D деятельности и нехватка квалифицированных и опытных научных кадров.

⁷http://articlesarchive.net/ec_europa_eu--research--innovation-union--pdf--state-of-the-union--2014--iuc_progress_report_2014__pdf.html, (pp.217-227)

- Высокая доля компаний в основном используют политику секретности, чтобы защитить свои ноу-хау и интеллектуальную собственность (69%), далее идут патенты (40%) и торговые марки (31%).

Среди ключевых программ и событий обеспечения инновационной политики государственными институтами Польши необходимо выделить прежде всего План Моравецкого.

Благодаря реализации «Плана на благо ответственного развития», названного также «планом Моравецкого» согласно фамилии его автора – министра развития Польши Матеуша Моравецкого, уровень инноваций в Польше значительно вырос. Данный план опирается на индустриализацию и инновации и сконцентрирован на поддержке приоритета R&D&I («исследования-разработки-инновации») с использованием фондов ЕС, программ развития различных секторов и сильного рынка венчурного капитала. Согласно плану, в законы были внесены изменения с целью устранить барьеры, стоящие на пути инноваторов для укрепления связей между бизнесом, промышленностью и наукой, а также для развития человеческого и социального капитала, что является одним из важнейших элементов, отвечающих за повышение инновационности польской экономики.

Этот план был принят правительством Польши 16 февраля 2016 года и представляет собой новую модель и стратегию сбалансированного экономического развития страны в будущем. Его цель состоит в активизации польского предпринимательского сектора и создании сильных стимулов для его роста. Главные идеи плана – это поддержка развития польских компаний, их производительности, расширения внешнего влияния и равномерное развитие всей страны, больше инвестиций и увеличение расходов на инновации, интенсивное сотрудничество науки и бизнеса, рост ВВП при одновременном высоком качестве, упрощение работы компаний и популяризация экономики. В соответствии с планом Правительство ПНР привлекло 1 трлн злотых (254 млрд дол) капвложений в перерабатывающую отрасль, а также в сегмент инноваций для обеспечения роста и повышения уровня конкурентоспособности экономики. Этот размер средств равен примерно 50% годового ВВП Польши. Для финансового обеспечения плана до 2020 г. будут получены 480 млрд злотых средств ЕС, кроме того на эти цели пойдут накопления польских корпораций, излишки ликвидности банковского сектора, займы, полученные от международных организаций.

По оценке М.Моравецкого, инициируемая им реиндустриализация, «опирающаяся на инновации, поддерживаемая экспортом, привлечением внешнего капитала, активизацией внутреннего капитала, а также равномерное развитие приведет к росту зарплат, снижению безработицы, а даже к притяжению обратно в Польшу эмигрантов, выезжающих в последние годы». Министр полагает, что зависимость прогресса польской экономики от зарубежных инвестиций и дешевой продукции промышленного производства тормозит повышение зарплат в стране. Но уже через 15 лет сумма заработка рядового гражданина страны будет такой же, как и в ряде ведущих стран ЕС.

По итогам прошлого года ВВП Польши возрос на 3,6% — эти темпы роста одни из самых высоких в ЕС. Но для реализации обещаний, сделанных в ходе избирательной кампании, этого мало. План М.Моравецкого предусматривает увеличение ВВП республики на 4% в 2017 и в 2018 гг. Документ является стратегией развития экономического сектора республики на перспективу, ставит задачи активизации деятельности бизнеса страны и формирования действенных стимулов его эффективного функционирования.

План также предусматривает поддержку предпринимателей, в том числе меры по повышению производительности фирм, увеличению объема инвестиций; рост средств на инновационное развитие, обеспечение действенного партнерства секторов науки и бизнеса; повышение темпов экономического роста и уровня качества продукции и услуг.

В Польше сегодня действует 2 400 стартапов, более 60% из них развиваются благодаря собственным средствам, а одна пятая получила финансирование из фондов венчурного капитала. Программа «StartInPoland» может принести значительные позитивные изменения. Она располагает почти 3 миллиардами злотых (около 630 млн евро) на развитие инновационных проектов и поощрение частного капитала.

«StartInPoland» – это проработанная Министерством экономического развития совместно с Советом по вопросам инноваций программа для инновационной отрасли, стартапов и венчурного капитала и является самой крупной программой в своем роде в Центральной и Восточной Европе. Она объединит проекты различных организаций, которые до этого момента осуществлялись в меньших масштабах. Ее главный элемент состоит в создании в рамках Польского фонда развития новой платформы инвестиций в проекты на ранней стадии развития. Компании получают помощь как в стадии инкубации и акселерации, так и на этапе дальнейшего развития и международной экспансии.

Польский фонд развития (Polish Development Fund, PDF) создаст пять частных инвестиционных фондов. PDF будет финансировать половину стоимости инвестиций, а еще 50% будет поступать от частных инвесторов. По оценкам Министерства развития, в течение следующих семи лет в Польше могут появиться и расширить свою деятельность более 1,5 тыс. компаний, ориентированных на создание высококачественных инновационных технологий, которые будут достойными конкурентами имеющимся игрокам на внешних рынках. Первым пилотным проектом программы «StartInPoland» станет конкурс Scale-UP, который проводит Польское агентство развития предпринимательства. Бюджет конкурса составит 35 млн злотых (около 8 млн евро)⁸.

Премьер-министр Беата Шидло в начале 2016 г. объявила о создании Совета по вопросам инноваций, в состав которого вошли три вице-преьера. Тем самым правительство продемонстрировало нацеленность на развитие инновационной экономики. В планах – разработка пакета стимулирования и налоговых льгот, связанных с расходами на НИОКР, а также создание государственного инкубатора стартапов по образцу кампуса Google. Государственные компании ежегодно будут передавать в фонд Агентства развития предпринимательства «ARP Venture», созданный для финансирования стартапов, около 100 млн. злотых.

11 января 2016 г. в Центре науки «Коперник» была проведена презентация Совета. Выступивший на мероприятии министр науки Польши Ярослав Говин отметил, что действия по поддержке инноваций необходимы, т.к. ранее поддержка современных технологий была разрозненной. Министр также подчеркнул, что благодаря этому Польша из экспортера товаров станет экспортером технологий. Во время презентации Совета по вопросам инноваций польские министры информировали о подготовке правительством изменений к закону об инновациях.

Всего до 2020 года Польша выделит 16,5 млрд евро на развитие современных технологий. Результатом работы совета должна стать синергия науки и экономики. Если поставлена задача стимулировать творческое мышление, должны быть созданы соответствующие условия для этого, обеспечена свобода творческой деятельности, основанная на свободе слова и свободе самовыражения. Для этого необходима юридическая безопасность, отсутствие ограничений и барьеров, ограничение экономического бремени, которое душит предпринимательство.

В ближайшее время Министерство развития представит предпринимателям проект создания Агентства поддержки экспорта – ведомства, объединяющего направления деятельности нескольких организаций, которые в настоящее время поддерживают продвижение товаров и услуг польских производителей на зарубежные рынки (в т.ч. Польского агентства развития предпринимательства, Польского агентства информации и иностран-

⁸Подробнее на <https://ru.insider.pro/topnews/2016-06-16/polsha-investiruet-eur630-mln-v-startapy/>

ных инвестиций). В настоящее время ведутся работы по оценке действующей системы поддержки экспортеров, запланирована централизация, которая позволит увеличить эффективность администрирования. Агентство будет создано на базе Польского агентства информации и иностранных инвестиций (PAIIZ), его годовой бюджет предварительно оценивается на 200-250 млн. злотых (для сравнения, годовой бюджет PAIIZ – 10 млн. злотых).

Важной чертой развития научно-технической сферы в Польше является ее ориентация на тесную кооперацию со странами Европейского Союза, которая стала очевидной задолго до того, как были приняты формальные политические решения о начале процесса присоединения этих стран к ЕС. Фундаментальной предпосылкой для реализации любой последовательной научно-технической политики была идея о том, что Польша как можно быстрее и с наименьшими потерями должна преодолеть имеющееся отставание в научно-техническом развитии от стран ЕС, создав в перспективе передовые кластеры европейской науки и образования в своем регионе.

Польский опыт преодоления трудностей переходного периода примечателен тем, что хотя общее падение численности работников сферы RDI не было критически крупным, а количество людей, занятых в сфере высшего образования, вообще переживало взрывной рост в 1990-е годы в связи с резким увеличением числа частных институтов и университетов, частный сектор в целом испытывал недостаток инвестиционных потоков. Эта проблема лишь отчасти разрешалась за счет привлечения средств из фондов ЕС, но и на этом направлении были необходимы реформы.

Демографический спад, ставший заметным с конца 1990-х и начала 2000-х гг., наряду с финансовым кризисом 2008-2009 гг. привели к переформатированию системы высшего образования, что также поставило на повестку дня вопрос о преобразовании управления наукой и образованием. Ответом на это стал пакет инициатив по реструктуризации управленческой системы в научно-технической и образовательной областях. При этом Польша, обладающая крупными научно-техническими резервами, стремилась к балансированию между развитием национальной науки и повышением ее международной роли.

По сравнению с другими восточно-европейскими странами Польша имеет ряд преимуществ – безопасность, стабильность, масштаб страны и качество рабочей силы. Есть также направления, в которых Польша проигрывает, например, Словакии и Чехии – это роботизация.

При всем сходстве социально-экономической и политической структур, восточно-европейские государства обладали собственной спецификой, которая явно проявилась не только в процессе перехода к рыночной экономике, но и в еще большей степени после завершения переходного периода. Эта специфика касается, конечно, и научно-технической сферы⁹.

Осознавая сложившуюся ситуацию в Польше, в последние годы особая роль в инновационных процессах отводится государственным институтам и программам.

После исчерпания относительно простых методов повышения производительности, польские предприниматели могут оказаться в какой-то момент прижатыми к стене: они не достаточно дешевы, чтобы конкурировать с Китаем, и не достаточно сложны, чтобы выиграть по сравнению с Германией. Именно государство должно помочь предпринимателям. Эффективное использование средств Евросоюза будет иметь ключевое значение для подготовки польского бизнеса к конкуренции с мировыми лидерами на основе качества, добавленной стоимости и оригинальности.

⁹<http://cyberleninka.ru/article/n/integratsiya-stran-vostochnoy-evropy-v-evropeyskoe-nauchno-tehnicheskoe-prostranstvo-opyt-polshi-i-vengrii-2004-2014-gg#ixzz4QeVJ6R8f>

Во-первых, государство должно разделить риск инвестиций в инновации с предпринимателями. Это требует современных инструментов финансовой поддержки, четких процедур и быстрых решений. Должен быть отменен часто встречающийся процесс отбора проектов «на бумажной основе», в котором выдача грантов в размере миллионов евро основана на «конкурсах красоты» приложений, написанных внешними консультантами, не глядя в глаза предпринимателя. В такой системе победителем является автор наиболее привлекательно написанной заявки, а не тот, кто имеет самое лучшее представление о работе. Необходима новая система отбора проектов, когда предприниматели сами представляют свои инновационные идеи перед профессиональным инвестиционным комитетом, включающий в себя не только государственных чиновников, но и бизнесменов. Национальный центр исследований и развития проложил такой путь и теперь использует инвестиционные комитеты для оценки качества R&D предложений предприятий с отличными результатами.

Во-вторых, государство должно помочь заполнить существующий пробел в знаниях предпринимателей, особенно малых и средних, которые ориентированы на глобальный бизнес и новые технологические тенденции. Более 500 интервью с руководителями малых и средних предприятий (МСП) в пяти регионах Польши, проводимых Всемирным банком в сотрудничестве с Министерством экономики, показал, что многие МСП не всегда находятся в русле того, что происходит в их бизнес-секторе. Их необходимо информировать о возможностях финансирования бизнеса, технологического анализа отраслей с инновационным потенциалом, отправляя ежемесячные бюллетени с данными о передовых промышленных предприятиях и новых технологиях, нанимать опытных бизнес-тренеров и организовывать зарубежные учебные поездки.

В-третьих, государство может также способствовать укреплению сетей сотрудничества и развитию социального капитала. Интервью на уровне фокус-группы из представителей фирм и «Smart-Labs» промышленности, проведенные Всемирным банком, показали, что даже самые выдающиеся предприниматели часто скептически относятся к сотрудничеству с другими. В ходе многочисленных встреч предприниматели из одного региона и представители промышленности впервые обменивались визитными карточками. Взаимное доверие и приверженность к совместной работе для достижения общих целей часто практически отсутствует. Это особенно важно для повышения уровня инноваций, где многие идеи требуют затрат, превышающих емкость одного бизнеса.

Государство должно также помочь выявить предприятия с наибольшим потенциалом, это 5-10% от общего количества предприятий, которые - как показывают глобальные исследования - ответственны за подавляющую долю роста занятости, производительности и экспорта. Таким же образом, как государство проводит тест Купера среди учащихся начальной школы с целью выявления спортивных талантов, стоит задача поиска наиболее перспективных предпринимателей и поддержки их, пока они не станут глобальными чемпионами в своей отрасли.

Наконец, важную роль в развитии инноваций могут играть государственные закупки. Государство должно объявить тендеры, в которых основной критерий – не самая низкая цена, а наиболее эффективный и инновационный метод решения проблем. Так, следуя примеру американского военного агентства DARPA, государство должно объявить конкурсы на лучшие идеи в решении ключевых вопросов развития и цивилизационных проблем, таких как снижение энергоемкости экономики, повышение уровня занятости среди поляков старше 60 лет, или интеграции будущей волны иммигрантов на рынок труда. Опыт PESA в Быдгоще, крупнейшего производителя трамваев в мире, или успешных польских IT-компаний (например, ASSECO) показывает, насколько инновационная политика закупок может быть важна для дальнейшего повышения инноваций и роста. Сотни МСП ждут своей возможности.

Государство должно вдохновлять бизнес работать в новых областях, технологиях и проектах, которые частный сектор не может поддерживать сам по себе. Государство не должно делать то, что кто-то уже делает, но оно должно брать на себя то, что никто другой не делал еще. Государство может инициировать проекты, аналогичные довоенному строительству порта в Гдыне или Центрального промышленного комплекса, который объединит общественность и частный сектор вокруг ключевых проблем дальнейшего развития. В 21-м веке такой задачей может быть строительство "второго Гдыня", построенного на основе отечественных технологий, создание экологически самодостаточного города, который станет лицом современной Польши в мире. Польша не может позволить себе отправить поляка в космос, но может позволить себе такой проект.

Вопреки стереотипам, государство может быть инновационным. Многие страны в мире, начиная с США, которые официально не проводят промышленную политику, показали, что именно государство, а не частный сектор вдохновляет инновационный прорыв. Польша также показала, что государство может быть инновационным: блок польского NavySeals (так называемый GROM) является отличным примером государственного сектора, который является инновационной, хорошо организованной и эффективной системой.

Инновации в Польше нуждаются в подобном "GROM" органе в системе государственного управления. Только лучшие квалифицированные специалисты в области инноваций и принятия риска должны быть привлечены для работы в нем. Они не будут стандартными чиновниками, которые не согласятся ни с чем новым. Поддержка инноваций не то же самое, как строительство дорог или оказания социальной помощи. Она требует других навыков и другое отношение к риску. Необходимо отказаться от стереотипа, что государство не должно играть никакой активной роли в области инноваций и развития, поскольку оно является чрезмерно бюрократическим и неэффективным. Такой стереотип является преградой для многих амбициозных людей и мешает изменить Польшу в лучшую сторону в области государственного управления.

Для инноваций необходимо сильное государство, которое будет рассматривать инновации в качестве своего главного приоритета, поможет предприятиям уйти от феодальной ловушки развития, основанной на низкой заработной плате, ограниченных правах работников и малоэффективных налогах. В Польше сегодня поставлена задача создать государство, которое обеспечит наилучшие условия для ведения бизнеса. Государство, с которым впервые в своей истории Польша будет иметь шанс догнать Запад.

На основе анализа опыта обеспечения инновационной политики государственными институтами и программами в Польше целесообразно использовать для Грузии следующие положительные инструменты:

- Внести аналогичные «Плану на благо ответственного развития» (Моравецкого) изменения в законодательство с целью устранить барьеры, стоящие на пути инноваторов для укрепления связей между бизнесом, промышленностью и наукой, а также для развития человеческого и социального капитала.

- Принять Программу StartInGeorgia (которая и была принята в 2016 г.). На первом этапе на осуществление программы выделено 11 миллионов лари (примерно 4,8 млн долларов), а в дальнейшем бюджет вырастит до 35 миллионов лари (более 15,2 млн долларов).

- Создать Совет по вопросам инноваций высшего уровня и Агентство поддержки экспорта.

- Повысить роль государственных институтов и программ в инновационных процессах, в том числе в разделении рисков, обучении предпринимателей, укреплении сетей сотрудничества и в государственных закупках.

Использованная литература

1. <https://www.globalinnovationindex.org/home>
2. <http://bruegel.org/2016/04/the-european-unions-growing-innovation-divide/>
3. <https://www.innovationpolicyplatform.org/content/poland>
4. <http://cyberleninka.ru/article/n/integratsiya-stran-vostochnoy-evropy-v-evropeyskoe-nauchno-tehnicheskoe-prostranstvo-opyt-polshi-i-vengrii-2004-2014-gg#ixzz4QeVJ6R8f>
5. http://articlesarchive.net/ec__europa__eu--research--innovation-union--pdf--state-of-the-union--2014--iuc_progress_report_2014__pdf.html, (pp.217-227)
6. <https://www2.deloitte.com/ru/en/misc/search.html#qr=poland>
7. <https://www.mr.gov.pl/strony/aktualnosci/pierwsza-inicjatywa-w-ramach-programu-start-in-poland/>
8. <http://sputnik-georgia.ru/society/20160901/233125116/Nagrazhdeny-36-pobeditelej-programmy-Startup-Gruzija.html>

Nata Davlasheridze

PROVIDING INNOVATION POLICY BY STATE INSTITUTIONS AND PROGRAMS IN POLAND

Annotation

The article considers the role of the state in providing innovation policy in Poland. It is emphasized that in recent years the special role in innovative processes is assigned to the state institutions and programs. Poland belongs to the countries outsiders on the innovative map of Europe. For this reason at the beginning of the 2010 in Poland started the long-term reform of the scientific and technical sphere (also accompanied by some changes in the system of the higher education), aimed at decentralization of management of science, and also the increase in cooperation between the business community and research institutions working on commercially significant projects. Among key programs and events of implementation of innovation policy by the state institutions of Poland must be distinguished first of all "the plan for the benefit of the responsible development" also called "Moravetsky's plan" according to a surname of his author – the Minister of Economic Development Mateusz Moravetsky that provided substantial increase of level of innovations in Poland. This plan was adopted by the government of Poland in February 16, 2016 and represents a new model and strategy of the balanced economic development of the country in future. The main ideas of the plan is to support the development of the Polish companies, their performance, expansion of external influence and even development of all the country, more investments and increase the expenses on innovations, an intensive cooperation of science and business, GDP growth in case of simultaneous high quality, simplification of work of the companies and promoting of economy. These and other measures allowed Poland already this year considerably improve the indicators and rise in GII from the 45th place in 2015 (46 points) to 39 (by seven points) among 128 countries, having got 44,2 points from 100 possible points. From all above mentioned it is possible to draw a conclusion that the analysis of experience of providing innovation policy by the state institutions and programs in Poland will allow to use its most positive tools in Georgia.

პრობლემა 3.

ვახტანგ ბურდული

დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) პოლიტიკა, საწარმოების პოლიტიკა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპები ევროინტეგრაციის პირობებში

შესავალი

ამჟამად ქვეყანაში საკმარისი ყურადღება არ ექცევა დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) და საწარმოების პოლიტიკის (ე. ი. შესაბამისი განვითარების ბიზნესკოორდინაციის) განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში განიხილება ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში დარგობრივი სტრუქტურული პოლიტიკის (სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნესკოორდინაციის) განხორციელების მექანიზმები და ამის საფუძველზე დასახულია და დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურული განვითარების შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებისა და სახელმწიფო რეგულირების და ბიზნესკოორდინაციის ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნესკოორდინაციის საფინანსო მექანიზმების სრულყოფას.

ქვეყანაში ამჟამად აღებულია კურსი საწარმოო სექტორში უცხოური ინვესტიციების ჭარბი რაოდენობის მოზიდვაზე, ეს იმ დროს, როდესაც ინვესტირების მიზნით ვერ ხერხდება ეროვნული კაპიტალის თავისუფალი საფინანსო რესურსების მოზიდვა, რომლებიც უკვე დაგროვებულია საკმარისი ოდენობით (მართალია ამ რესურსების უმეტესი ნაწილი “ინვესტიციების” სახით მიიმართება საზღვარგარეთ, უპირატესად ოფშორებში). ამიტომ ნაშრომში გამოვლენილია საშუალო- და გრძელვადიან ასპექტებში საწარმოო სექტორში უცხოური კაპიტალის გადაჭარბებული მოცულობის (ეროვნულ კაპიტალთან შედარებით) ნეგატიური გავლენა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და შემოთავაზებულია ეროვნული ეკონომიკური მოდელის ისეთი სისტემაშემქმნელი მექანიზმების გარდაქმნის მიმართულებები, როგორცაა განვითარების საფინანსო ინსტიტუტები (ფონდები, ბანკები, მათ შორის საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შემადგენლობაში), იმ მიზნით, რომ ისინი გაააქტიურონ ეროვნული კაპიტალის მონაწილეობა წარმოებების შექმნასა და გაფართოებაში ეკონომიკის დღეისათვის აქტუალურ სექტორებსა და დარგებში.

1. სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა (სამრეწველო პოლიტიკის) და საწარმოების პოლიტიკის თანამედროვე ინტერპრეტაციები

ბოლო ოცწლეულში ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას რიგ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს მათ მიერ მიზანმიმართული სამრეწველო პოლიტიკის (სტრატეგიები და ინსტრუმენტები) განხორციელების მექანიზმი, რის შედეგადაც მათ შეძლეს მსოფლიო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი სეგმენტების დაპყრობა და ძველი კონკურენტების ნაწილობრივი შევიწროება.

სასურველია, თემის განხილვამდე დავაზუსტოთ ტერმინოლოგია ეკონომიკური პოლიტიკის სახეობთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, “სამრეწველო პოლიტიკის” ნაცვლად აუცილებელია უფრო ხშირად (კონტექსტის შესაბამისად, გამოვიყენოთ ტერმინი “დარგობრივი სტრუქტურული პოლიტიკა”, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ რიგ უკანასკნელ ნაშრომში (იხ., მაგ., [Бурдули, 2015]), წინანდლებისაგან განსხვავებით (იხ., მაგ., [ბურდული, 1996; ბურდული, 1999]). ეს უფრო მიზანშეწონილია იმიტომ, რომ ტერმინი industrial policy მოიცავს არა მხოლოდ მრეწველობის დარგებს, არამედ სხვებსაც, მაგალითად მშენებლობას,

სარკინიგზო ტრანსპორტს, კრეატიულ დარგებსა და რაღაცა ზომით სოფლის მეურნეობის დარგებსაც კი. ე.ი. საუბარია მთელ ინდუსტრიაზე და არა მხოლოდ მრეწველობის დარგებზე. თვით ვეროპის ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობას მეორე ტერმინს ანიჭებენ. მაგალითად, გერმანიაში, სადაც მკვეთრად გამოიწნულია ეკონომიკური პოლიტიკის სახეები, სამეურნეო წესრიგის საერთო პოლიტიკის (კონკურენტული, ფულად-საკრედიტო, საფინანსო და სოციალური პოლიტიკა) გარდა, არსებობს სამეურნეო პროცესებში სახელმწიფო ჩარევის (რეგულირების) ორი ძირითადი მიმართულება: 1. კონიუნქტურული პოლიტიკა; 2. სტრუქტურული პოლიტიკა.

1. კონიუნქტურული პოლიტიკის (და მისი ქვესახეების – ანტიკრიზისული და ანტიციკლური რეგულირების) ძირითად ამოცანას წარმოადგენს ციკლური კრიზისების თავიდან აცილება, ფინანსური კრიზისების შედეგების ლიკვიდაცია. საბოლოო ანგარიშით დაიწვეს მისი, როგორც ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის უფრო ფართოდ გაგება [Белов, 2010].

2. სტრუქტურული პოლიტიკა თავის მხრივ იყოფა დარგობრივ (სექტორულ) სტრუქტურულ (სხვაგვარად სამრეწველო) და რეგიონულ პოლიტიკად.

დარგობრივი სტრუქტურული პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს “ბაზრის ნაკლოვანებების გამოსწორება. ჯერ კიდევ 1969 წ. ფედერალურმა მთავრობამ მიიღო ახლაც მოქმედი “სექტორული (დარგობრივი) სტრუქტურული პოლიტიკის პრინციპები” [Белов, 2010].

15-20 წლის წინ, გერმანული სახელმწიფოს დარგობრივი სტრუქტურული პოლიტიკიდან გამოიყო მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკები, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყონ გერმანიის ეკონომიკის სტრუქტურულ განახლებას და ინოვაციების აქტიურ დანერგვას: პირველად გერმანიის ინოვაციური პოლიტიკის უნიფიცირებული კონცეფცია მომზადდა 2002 წ. იმდროინდელი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ფედერალური სამინისტროსა და ეკონომიკისა და შრომის ფედერალური სამინისტროს მიერ; მასში ინოვაციური პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც დასაქმებასა და ზრდაზე გათვლილი მომავლის პოლიტიკის ცენტრალური კომპონენტი [Белов, 2010]. ტექნოლოგიური პოლიტიკა კი (მას უწოდებენ აგრეთვე ინოვაციური განვითარების ხელშეწყობ პოლიტიკას) მიმართულია სახელმწიფოს ტექნოლოგიური დონის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ინოვაციების გენერირებისა და დანერგვის გზით [Белов, 2010]. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანკეთში, ინოვაციური პოლიტიკა განიხილება, როგორც სამრეწველო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სხვებში კი, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად არსებობს. ბევრ ქვეყანაში იქმნება შესაბამისი სააგენტოები, საბჭოები და სამინისტროები, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაკორდინირებელ ფუნქციას წარმოადგენს ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა. მაგალითად შვედეთში არსებობს მაღალი სტატუსის მქონე ინოვაციური პოლიტიკის საბჭო, ხოლო ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ინოვაციური ცენტრი და ინოვაციური სისტემების შვედური სააგენტო, ნიდერლანდებში 2011 წელს შეიქმნა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ინოვაციების სამინისტრო, დიდ ბრიტანეთში არსებობს ბიზნესის, ინოვაციების და კვალიფიკაციის სამინისტრო, ინდოეთში – სამრეწველო პოლიტიკის სამინისტრო. გერმანიაში სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ განათლებისა და სამეცნიერო გამოკვლევების ფედერალური სამინისტრო და ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტრო. მათგან მეორე წარმოადგენს მთლიანად დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) პოლიტიკის ძირითად სუბიექტს.

ფაქტობრივად, უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, რიგი გარემოებების გამო, სამრეწველო პოლიტიკის გატარების მიმართ ყურადღება ძალიან გაიზარდა, რამაც ასახვა პოვა ევროკომისიის ორ საფუძვლიან დოკუმენტში.

2010 წლის ბოლოს ევროპულმა კომისიამ მიიღო დოკუმენტი, რომელმაც განსაზღვრა ახალი მიდგომა ეკონომიკური განვითარებისადმი. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამამუშავებელ მრეწველობას, საფინანსო სექტორს და “ცოდნის ეკონომიკას”. ამ დოკუმენტის განყოფილებაში “ახალი მიდგომა სამრეწველო პოლიტიკისადმი” ნათქვამია, რომ “თანამედროვე გამოწვევები დაბეჭდვით მოითხოვს ძალისხმევასა და ამბიციურ სტრატეგიებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში” ([An Integrated Industrial Policy..., 2010], [Кондратьев, 2014]-დან). 2014 წელს გამოჩნდა კიდევ ერთი დოკუმენტი, სახელწოდებით “ევროპულ სამრეწველო რენესანსისაკენ”, რომელშიც აღნიშნულია, რომ “მრეწველობის მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე ამას მოწმობს მშპ-ში მისი ხვედრითი წილი. მრეწველობის დარგებზე მოდის ევროპული ექსპორტის 80% და სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე მიმართული კერძო ინვესტიციების 80%-ზე მეტი. ევროპული კომისია მძლავრ ინდუსტრიულ ბაზას განიხილავს, როგორც ევროპული კონკურენტუნარიანობის და ევროპული ეკონომიკური აღორძინების საკვანძო ფაქტორს” [For a European Industrial Renaissance, 2014].

როგორც ცნობილია, შეთანხმებაში საქართველოს ასოციაციის შესახებ ევროკავშირთან [ასოცირების შესახებ შეთანხმება...] ასევე დიდი ყურადღება ექცევა სტრუქტურულ საკითხებს, მათ შორის სამრეწველო (სტრუქტურულ-დარგობრივი) და ინოვაციური პოლიტიკების სფეროებში. კერძოდ, შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ “საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება” (კარი V, თავი I, მუხლი 277.2). “ამ მიზნით, მხარეები თანხმდებიან: (ა) მაკროეკონომიკურ ტენდენციებსა და პოლიტიკაზე, ისევე, როგორც სტრუქტურულ რეფორმებზე, მათ შორის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებზე, ინფორმაციის გაცვლას...” (მუხლი 288). შეთანხმების მომდევნო VI კარის მეხუთე თავი მთლიანად ეძღვნება «სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკასა და სამთომოპოვებით საქმიანობას». კერძოდ, აღინიშნება, რომ “მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური ოპერატორისათვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს შესაბამისადაა განსაზღვრული ევროკავშირსა და საქართველოს კანონმდებლობაში...” (მუხლი 313). საქართველოში ეფექტიანი სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღების მიქცევა ამ თავის შემდეგი დებულებებისათვის: “ამ მიზნით მხარეები ითანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით: ... (c) რეგულაციებისა და მარეგულირებელი პრაქტიკის გამარტივება და რაციონალიზაცია, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მარეგულირებელი მექანიზმების შესახებ კარგი პრაქტიკის გაცვლის საკითხებზე, ევროკავშირის პრინციპების ჩათვლით; (d) ინოვაციური პოლიტიკის განვითარების წახალისება კვლევებისა და განვითარების კომერციონალიზაციის შესახებ (მათ შორის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დაწყები ბიზნესების, კლასტერების განვითარებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომის დამხმარე მექანიზმები) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით; ... (g) ევროკავშირისა

და საქართველოს შესახებ სამრეწველო სექტორში მოდერნიზაციისა და რესტრუქტურისაციის ხელშეწყობა; ... (მუხლი 314). სტრუქტურულ-დარგობრივი მიდგომა ვლინდება აგრეთვე ამ კარის მე-12 თავის (“თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში”) დებულებებში: “შხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში ორმხრივ სარგებელზე დაყრდნობით და ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტიანი დაცვის დონეების უზრუნველყოფის შესაბამისად” (მუხლი 342); “კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) კუთხით თანამშრომლობა მოიცავს: (ა) **დარგობრივ დიალოგს** და სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის გაცვლას; (ბ) თითოეული მხარის შესაბამის პროგრამაზე დაშვების სათანადო ხელშეწყობას; (ც) კვლევითი შესაძლებლობებისა და ქართული კვლევითი დაწესებულებების მონაწილეობის გაზრდას ევროკავშირის კვლევით ჩარხო პროგრამებში; (დ) ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობას კვლევების, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების (RTD) ყველა სფეროში ...” (მუხლი 343).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შეთანხმებაში სამრეწველო პოლიტიკასთან ერთად, ზემოაღნიშნულ მეექვსე კარის მეხუთე თავში განიხილება აგრეთვე “საწარმოების პოლიტიკა” (ანუ კერძო ბიზნესის პოლიტიკა ინდუსტრიის სფეროში), ხოლო ევროკომისიის დოკუმენტში “ევროპულ სამრეწველო რენესანსისაკენ” პირდაპირ ხაზგასმულია კერძო ბიზნესის უმნიშვნელოვანესი როლი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებებში (ანუ სამრეწველო ინოვაციებში). ამიტომ ჩვენს ნაშრომში, სამრეწველო განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის (ე. ი. სამრეწველო პოლიტიკის) საკითხებთან ერთად, განიხილება კერძო სექტორის თვითორგანიზაციის საკითხებიც (ე. ი. შეთანხმების ვერსიით “საწარმოების პოლიტიკის”) ინდუსტრიული განვითარების დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით.

საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გაიზარდა ასე ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში და, საერთოდ, “სამრეწველო რენესანსზე” (რაც გულისხმობს კერძო ბიზნესის ძალისხმევის აქტივიზაციასაც ინდუსტრიული განვითარების სფეროში) განვიხილავთ საფრანგეთის მაგალითზე (თუმცა ამა თუ იმ გამოწვევას სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა ადგილი). 2002 წ. დაწყებული მდგომარეობა საფრანგეთში მთავარ კონკურენტებთან შედარებით სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. სულ უფრო უარესდებოდა სავაჭრო ბალანსი, რომლის დეფიციტმა 2007 წლისათვის 41 მლრდ ევრო შეადგინა. ამასთან ხდებოდა არა მხოლოდ იმპორტის ხვედრითი წილის ზრდა ქვეყნებიდან დაბალი შრომითი დანახარჯებით, არამედ საფრანგეთის ექსპორტის ხვედრითი წილის შემცირებაც ამ ქვეყნების ბაზრებზე [Калугина, 2010].

ამ და სხვა გარემოებებმა (გამოწვევებმა) გამოიწვია საფრანგეთის ხელისუფლების ძალისხმევის გაძლიერება სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიების (პროგრამების) და მათი რეალიზაციის ინსტრუმენტების შემუშავების სფეროში. კერძოდ, 2008 წ. შეიქმნა ინვესტიციების სტრატეგიული ფონდი (FSI) 35 მლრდ ევროს კაპიტალით, რომლის ოფიციალური მიზანი გახდა პერსპექტიული ფრანგული საწარმოების დახმარება მათი საკუთარი სახრების გასადიდებლად. ფონდი შედის სხვადასხვა საწარმოს კაპიტალში ან შეიძლება გამოვიდეს როგორც ერთ-ერთი ინვესტორი [Кондратьев, 2014; Калугина, 2010]. 2010 წლის მარტში მთავრობამ განაცხადა ახალი ღონისძიებების განხორციელებაზე, რომელთა შორის დასახული იყო ოთხი მთავარი მიმართულება: 1. სამრეწველო

ინოვაციები; 2. ფრანგული საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; 3. კომპეტენციების გაუმჯობესება, განსაკუთრებით ცოდნის და ჩვევების განვითარებისათვის პერსპექტიულ სექტორებში; 4. საწარმოო ჯაჭვების სტრუქტურული ზაცის გაძლიერება [Калугина, 2010]. შესაბამის დოკუმენტებში დიდი ყურადღება ეთმობა საფრანგეთის მრეწველობის დაფინანსების პრობლემებს, სტიმულირების ფინანსურ ღონისძიებებს, შესაბამისი საკოორდინაციო სტრუქტურების შექმნას (მაგალითად, სტრატეგიული კომიტეტების საწარმოო ჯაჭვების მიხედვით) და ა. შ.

საერთოდ, ევროპის ქვეყნებში სამრეწველო პოლიტიკის აქტივიზაცია ნიშნავს იმ ტენდენციების გაძლიერებას, რომელიც ეწინააღმდეგება დერეგულირებას ვაშინგტონის კონსენსუსის ფარგლებში.

თვით დიდ ბრიტანეთშიც კი, რომელიც უკანასკნელ დრომდე არ ახორციელებდა გამოკვეთილ სამრეწველო პოლიტიკას [Кондратьев, 2014], ბიზნესის, მეწარმეობისა და რეგულაციური რეფორმების სამინისტროს მოხსენებაში “ახალი მრეწველობა, ახალი სამუშაო ადგილები” [New Industry, 2009] და ბიზნესის, ინოვაციების და კვალიფიკაციის სამინისტროს მოხსენებაში “გეგმა ზრდისათვის” [The Plan for Growth, 2011] სახელმწიფომ წარმოადგინა ეკონომიკის აღდგენის საკუთარი ხედვა, რიგი ღონისძიებებისა და საკვანძო სექტორების განსაზღვრის ჩათვლით [Кондратьев, 2014]. 2009 წელს ლიბორისტულმა მთავრობმა შექმნა სტრატეგიული ინვესტიციური ფონდი (SIF) ინოვაციების მხარდასაჭერად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების, დამამუშავებელი მრეწველობისა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ექსპორტის მხარდაჭერის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ფონდმა 2010 წელს არსებობა შეწყვიტა ხელისუფლებაში კონსერვატორების მოსვლის შემდეგ, ბიზნესის, ინოვაციების და კვალიფიკაციის ახალი მინისტრი ვ. კეიბლი გამოვიდა ეფექტიანი სამრეწველო პოლიტიკის მხარდამჭერი განცხადებით, რამაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შესაძლებლობა მისცა ამ ფაქტისათვის ეწოდებინათ “თავისუფალი ბაზრის მთავრობის დასასრულად” ([Vince Cable’s industrial strategy, 2012], [Кондратьев, 2014]-დან).

იმაში დასარწმუნებლად, რომ კონკრეტულ ქვეყანაში განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მიმდინარეობდეს არა ვიწროდ გაგებულ “სამრეწველო პოლიტიკის”, არამედ სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის ჩარჩოებში, მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი, რომელიც ეხება გერმანიის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და შვედეთის გამოცდილებას.

გასული საუკუნის 60-80-იან წლებში გერმანიაში დარგობრივი სტრუქტურული პოლიტიკის ჩარჩოებში დომინირებდა ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო არსებული **სტრუქტურების** შენარჩუნება (სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, რკინიგზის ტრანსპორტზე, გემთმშენებლობაში, ავიაკოსმოსურ მრეწველობაში). თუმცა სუბსიდიებმა (თვითმფრინავების მშენებლობის გამოკლებით) ვერ უზრუნველყო მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე, რის გამოც თანდათანობით უარი თქვეს პოლიტიკის ამ სახეზე. უფრო ეფექტიანია **სტრუქტურული** პოლიტიკა, რომელიც შემგუებელი (ფორმირებადი) ხასიათის მატარებელია და “მიმართულია სტრუქტურული გარდაქმნების ხელშეწყობისკენ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იყენებს თავის საშუალებებს ეკონომიკური სუბიექტების დასახმარებლად ახალ საწარმოო და ტექნოლოგიურ **გამოწვევებთან** შეგუების პროცესში, ხელს უწყობს პროგრესულ **ძვრებს**, აქტიურად აყალიბებს განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებს [Белов, 2010]. “ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალურმა სამინისტრომ 2008 წ. მოკლედ განსაზღვრა სამრეწველო პოლიტიკა, “როგორც **შტანდორ-**

ტული პოლიტიკა, განხორციელებული მრეწველობის ინტერესების შესაბამისად”. მის ძირითად მიზნად გამოცხადებულია ხელსაყრელი ჩარჩო პირობების შექმნა სამრეწველო ინოვაციებისათვის, ინვესტიციებისა და წარმოებისათვის. არსებითად – ეს არის ხელსაყრელი ჩარჩო პირობების ფორმირების პოლიტიკა კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ტერიტორიული სივრცის განვითარებისათვის, მასში კაპიტალის, მომსახურებისა და სამუშაო ძალის მოზიდვის (და მასში შენარჩუნების) მიზნით. ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია კონკრეტული პროექტების მხარდაჭერა მრეწველობაში, მათ შორის **მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ სფეროებში. შტანდორტული პოლიტიკა** ტარდება ფედერალურ, მიწებისა და კომუნალურ დონეებზე და თავის თავში ახამებს სტრუქტურული პოლიტიკის ყველა სახეს. ეს პოლიტიკა ყველაზე შედეგიანია რეგიონულ დონეზე და, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გერმანულმა სახელმწიფომ გადაწყვიტა მისი გამოყენება თანამედროვე სამრეწველო პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით” [Белов, 2010].

მოვიყვანოთ ზოგიერთ ინფორმაციას საფრანგეთზე, რომელიც საინტერესოა სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკის მექანიზმების ფორმირების კოორდინაციისა და დაფინანსების თვალსაზრისით. სამრეწველო პოლიტიკის ჩარჩოებში სახელმწიფოს ჩარევა მოწოდებულია, რომ მოახდინოს კერძო აქტორების სტიმულირება **“ინოვაციების, განვითარებისა და კოორდინაციის”** მტკიცე განხორციელების მიმართულებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო და სახელმწიფო მონაწილეების კოორდინაციის გაუმჯობესებას, კოორდინაციის ნაკლოვანებების აღმოფხვრას ფუნდამენტურ კვლევებს, სახელმწიფო და კერძო კვლევებს, მრეწველებსა და სუბმენარდებს შორის. აგრეთვე ივარაუდება, რომ სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს იმ საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვაშიც, რომლის კაპიტალში მას წილი გააჩნია [Калугина, 2010].

ფრანგული სამრეწველო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა – **კონკურენტუნარიანობის ცენტრების (ტექნოპარკების)** შექმნა. ეს პროგრამა 2004 წელს შეიქმნა და მიზნად ისახავს ინოვაციებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებას. ეს ცენტრები ასე განისაზღვრება (2004 წლის კანონი ფინანსების შესახებ): **“განსაზღვრულ ტერიტორიაზე საწარმოთა, უმაღლესი განათლების დაწესებულებების (სახელმწიფო ან კერძო) დაჯგუფება, რომლებიც მიწოდებულნი არიან, იმუშაონ ერთად ეკონომიკური განვითარების პროექტებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით”** უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, მაგალითად, ამ ცენტრებმა შესაძლებელი გახადა დანერგილიყო პროექტები 4 მლრდ ევროზე მეტი ღირებულებით, რომლის 30% დაფინანსებული იყო სახელმწიფოსა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მიერ, 70% კი – თვითონ საწარმოების მიერ [Калугина, 2010]. საფრანგეთში ამჟამად არსებობს კონკურენტუნარიანობის 71 ცენტრი. საუკეთესო ინოვაციურ პროექტებზე ფინანსური დახმარების გაცემა ხორციელდება *ერთიანი სამინისტროთა შორისი ფონდის – Fond unique interministériel (FUI)* მეშვეობით. ამ ერთიანი სამინისტროთა შორისი ფონდის გარდა, სახელმწიფო მონაწილეობის მისაღებად იზიდავს სხვა დაწესებულებებსაც ცენტრებში შექმნილი საინტერესო პროექტების დასაფინანსებლად. მაგალითად, Agence Nationale de la Recherche (ANR) – ეროვნული კვლევითი სააგენტო, Caisse de dépôt et consignation (CDC) – დეპოზიტურ-სასესხო სალარო ან ორგანიზაცია სახელწოდებით OSEO. OSEO სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც სამ მისიას ასრულებს: დახმარებას **ინოვაციების** განვითარებაში, საბანკო დაფინანსებისა და ინვესტიციების გარანტირებას და, ბოლოს, პარტნიორულ დაფინანსებას. ეს ორგანიზაცია უფრო ხშირად აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს [Калугина, 2010].

კიდევ ერთ საკითხზე შევხერხდებით საფრანგეთის მაგალტზე, რომელიც გაამაგრებს ჩვენს შემდგომ წინადადებებს სახსრების მობილიზაციასთან დაკავშირებით ინვესტიციებზე წარმოების განვითარებისათვის საქართველოში: კონსტანტირდება, რომ ფრანგული საწარმოები უნდა ფლობდნენ დაფინანსების სხვადასხვა წყაროებს, როგორც საბანკო კრედიტებს, ისე საკუთარ კაპიტალს. საწარმოებს ესაჭიროებათ დაფინანსება და, მაშასადამე, აქციონერებიც. საფრანგეთი ხასიათდება ქვეყნად, რომელშიც დანაზოგების მოცულობა საკმაოდ მაღალია. თუმცა, ამ დანაზოგების 25%-ზე ნაკლები ხმარდება ინვესტირებას საწარმოთა აქციებში. შესაბამისი პროგრამის ფარგლებში სამრეწველო პოლიტიკის მიხედვით (ღონისძიება 21. ფრანგების დანაზოგებისა და საბანკო დაკრედიტების ორიენტაცია მრეწველობის დასაფინანსებლად) შემოთავაზებულია საგადასახადო ღონისძიებების შემუშავება ფრანგების დანაზოგების პერფორმანსისათვის გრძელვადიან ინვესტიციებში – ფრანგული სამრეწველო საწარმოების აქციებში [Калугина, 2010].

ნიდერლანდებში 2011 წელს ორგანიზებულმა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ინოვაციების სამინისტრომ შეიმუშავა **დარგობრივ მიდგომაზე დაფუძნებული** ახალი სამეწარმეო და **ინოვაციური პოლიტიკა** ცხრა “წამყვანი სექტორის” განვითარების სტიმულირების მიზნით. ეს სექტორებია: წყალმომარაგება, კვების მრეწველობა, მეზღვრობა, მაღალი ტექნოლოგიები, ბიოლოგიური მეცნიერებები, ქიმიკა, ენერჯეტიკა, ლოგისტიკა და “კრეატიული” დარგები. ამ სექტორებში ნიდერლანდებს კონკურენტული უპირატესობები გააჩნიათ და სახელმწიფო მათ განისაზღვრავს პრიორიტეტების სახით [Кондратьев, 2014].

შედეგის სამრეწველო პოლიტიკის გამოცალკევება მისი ეკონომიკური პოლიტიკიდან საკმაოდ რთულია, რამდენადაც მრეწველობა ვითარდება ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაზე გათვლილი ღონისძიებების ზემოქმედებით. მის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ინოვაციური, ეკოლოგიური და რეგიონული პოლიტიკის **გადახლართვა**. აქტიურად გამოიყენება აგრეთვე სახელმწიფოს პარტნიორობა კერძო ბიზნესთან, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ ცალკეული პროექტების განხორციელებით, არამედ მაკროეკონომიკურ დონეზეც [Антюшина, 2010]. მთავარი მიმართულება ინოვაციურ პოლიტიკაში – ეს არის ინოვაციური ჯაჭვის მთლიანობის მიღწევა, ადეკვატური დაფინანსება, აგრეთვე, მრავალრგოლიანი ინოვაციური ჯაჭვის მრავალრიცხოვანი მონაწილეების მოქმედებების კოორდინაცია. ამიტომ პირველ პლანზეა ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) ფორმირება და ფუნქციონალურ მდგომარეობაში შენარჩუნება და სახელმწიფო მეურნეობის სამ სფეროს შორის (განათლება – მეცნიერება – წარმოება) კოორდინაცია და კოოპერაცია [Антюшина, 2010].

მოყვანილი ციტატებიდან ნათელია, რომ ყველა ქვეყანაში ადგილი აქვს (სახელმწიფო რეგულირების სფეროში) დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) და ინოვაციური პოლიტიკების **გადახლართვას**; სახელმწიფო ახორციელებს როგორც ბიზნესის პირდაპირ რეგულირებას (საფინანსო ინტერვენციები), ასევე ირიბს (ქმნის შესაბამის “ჩარჩო” პირობებს); სახელმწიფო სტრატეგიებში, კონკრეტული ქვეყნის თავისებურებების შესაბამისად, გამოიყოფა დარგობრივი პრიორიტეტები, რომლის რეალიზაციისაკენ არის მიმართული სახელმწიფო კოორდინაცია.

პოლიტიკების “გადახლართვა” აყენებს სწორედ საერთო სტრუქტურული დარგობრივი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის საკითხს, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სახელმწიფოს პირდაპირი საფინანსო ინტერვენციები (სახელმწიფოს მონაწილეობით საწარმოთა შექმნისა და ინოვაციური საწარმოების შექმნისათვის სახელმწიფო ვენჩურის გამოყენების ჩათვლით), ასევე ბიზნესის არაპირდაპირი რეგულირებაც (მისთვის ისეთი ჩარჩო

პირობების შექმნა, რომ ბიზნესი თავისი საკუთარი სახსრების ხარჯზე ისწრაფოდეს ინოვაციური განვითარებისათვის საჭირო ფინანსური, სამრეწველო და ინოვაციური სტრუქტურების შექმნისაკენ ეკონომიკური განვითარების საკუთარი ბიზნესკოორდინაციის გზით). წარმოებასა და ინოვაციებში განხორციელებული ინვესტიციების უმეტეს ნაწილს ბიზნესი ახორციელებს საკუთარი სახსრების ხარჯზე, ე.ი. კერძო ბიზნესი დამოუკიდებლად წყვეტს რესტრუქტურისადაცინათან, ინოვაციებსა და ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების უმეტესობას. სახელმწიფომ ბიზნესის განვითარების ირიბი “ჩარხი” კოორდინაციის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს მას თანამედროვე საფინანსო და სხვა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მექანიზმების შექმნაში, რომელიც საჭიროა ინოვაციური და საერთოდ, წარმოებრივი განვითარებისათვის, ეკონომიკის აუცილებელი რესტრუქტურისადაცინათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს პირობებში, რამდენადაც ახლა კერძო სექტორში არ არის როგორც მსხვილი ბიზნესის საფინანსო სახსრების მობილიზაციის, ისე საერთოდ მოსახლეობის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის საფინანსო დანაზოგების აკუმულირების ქმედითი მექანიზმები მათი დაბანდებისათვის რეალურ სექტორში ინვესტიციების სახით.

ამიტომ აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ქმედითი სახელმწიფო მექანიზმები ინდუსტრიული და ინოვაციური განვითარების ხელშესაწყობად, როგორც ფისკალურ სისტემაში, ისე ფინანსურ სფეროში. ამასთან ამ უკანასკნელში, სახელმწიფო კოორდინაციის საფინანსო მექანიზმების შექმნის (პირველ რიგში საფინანსო ინტერვენციის პირდაპირი მეთოდების წარმოებაში ინვესტიციების სახით) გარდა, აუცილებელია (და ეს ყველაზე მთავარია) შესაბამისი საფინანსო მექანიზმების განვითარება უშუალოდ ბიზნესგარემოში.

2. განვითარების კოორდინაციის ზოგადი მიმართულებები

დარგობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) და ინოვაციური პოლიტიკების ანალიზიდან შეიძლება დავასკვათ, რომ ყოველ ქვეყანას, მის წინაშე მდგარი პრობლემებიდან გამომდინარე, გააჩნია თავისი მიდგომა მისი ორგანიზაციის (სტრატეგიები, ინსტიტუტები, ინსტრუმენტები) მიმართ.

ჩამოვთვალოთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ახლა არსებობს საქართველოს ეკონომიკაში და რომელთაც გადაწყვეტა ესაჭიროებათ.

1. ეკონომიკის პოსტსაბჭოური ნგრევის დროს განადგურდა ბევრი დარგი, მათგან ზოგიერთის რეანიმაცია აუცილებელია ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე.

2. უკვე მრავალი წელია შესამჩნევია სავაჭრო ბალანსის განსაკუთრებით სერიოზული დეფიციტი. მთლიანობაში იმპორტი 3,5-ჯერზე მეტად აღემატება ექსპორტს, დარგების რიგ ჯგუფებში იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი წარმოების მოცულობასაც [Бурдули, 2015].

3. მსხვილი ბიზნესის უმეტეს ნაწილს არ სურს მიღებული მოგების ინვესტიციებისკენ მიმართვა ქვეყნის შიგნით წარმოების განვითარების მიზნით და მას სახსრები შესანახად საზღვარგარეთ გააქვს.

4. არ არსებობს ინსტიტუტები მოსახლეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის თავისუფალი სახსრების წარმოებაში ინვესტირების მიზნით მობილიზებისათვის, რაც უახლოეს მომავალში არასასურველ მაკროეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს.

5. არსებობს უცხოელი ინვესტორების სახსრების მეტისმეტი მოზიდვის ტენდენცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტების მშენებლობისათვის [Бурдули, 2016]. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ წარმოებაში დაბანდებული უცხოური ინვესტორების წილი ეროვნული ინვესტიციების ჯამს აღემატებოდეს.

6. არ არსებობს ბიზნესის კოორდინაციის მექანიზმები ტექნოლოგიური ჯაჭვების მიხედვით და კერძო ბიზნესის ურთიერთქმედების სხვა მექანიზმები.

7. პატარა ქვეყანაში ახალი საწარმოო ტექნოლოგიებისა და სხვა ინოვაციების უმეტესი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან უნდა იქნეს იმპორტირებული. ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს (მხოლოდ ერთი კომპანიის – ალტა-ოკეის გარდა) ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები, დაკავშირებული სხვა ქვეყნების შესაბამის ქსელებთან.

8. ამიტომ, ბუნებრივია, მოცემული მომენტისათვის არ არსებობს ერთიანი მექანიზმები, როგორც დარგობრივ-სტრუქტურული, ისე ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად.

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩვენ დავასაბუთეთ ქვეყანაში სამრეწველო პოლიტიკისა და მისი რეგულირების მექანიზმის არსებობის აუცილებლობა (განვითარებულ ქვეყნებში ასეთი მექანიზმები მოიცავს საფინანსო-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ინსტრუმენტებს, დარგების მიხედვით განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებას ან, ზოგიერთ ქვეყანაში, ინდიკატურ დაგეგმვას, ასევე, ინსტიტუციურ ღონისძიებებს, მათ შორის სპეციალური კანონების შემოღებას და სხვა) [ბურდული, 1996; ბურდული, 1999]. მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ თანამედროვე პირობებში სამრეწველო პოლიტიკა მისი თავდაპირველი გაგებით არ არსებობს (იხ., მაგ. [Ананьин, 2010: 17, 19]). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ძალიან შეიზღუდა სამრეწველო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა სახელმწიფოს მიერ პროდუქციის ექსპორტის საფინანსო მხარდაჭერა (სუბსიდირება), ან სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოცულობის ზრდაზე მიმართული სუბსიდიების სახით სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერა (მაგრამ დაშვებულ ფარგლებში ბევრი სახელმწიფო ამჟამადაც მიმართავს ასეთ ღონისძიებებს). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობებით ასევე გარკვეული ზომით შეიზღუდა ადგილობრივი წარმოების სატარიფო დაცვის მექანიზმები. მიუხედავად ამისა, ყველა განვითარებულ და წარმატებულად განვითარებად ქვეყნებს ამა თუ იმ სახით გააჩნიათ **სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები**, სადაც კოორდინაციისათვის გამოიყენება საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები, საგადასახადო სტიმულირებისა და ფასწარმოქმნის კოორდინაციის ინსტრუმენტები, თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი ინსტიტუციური მოწესრიგების ღონისძიებები (ბოლო პერიოდში ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების მიმართ გაიზარდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც [Ананьин, 2010; Калинин, 2012]). ამასთან, თანამედროვე პირობებში ასეთი პოლიტიკა და მისი რეალიზაციის მექანიზმები უფრო დახვეწილ ფორმებს იღებს. **ასეთი სტრატეგიის და მისი განხორციელების მექანიზმის არსებობა კიდევ უფრო საჭიროა პოსტსაბჭოური ქვეყნის პირობებში, რადგან ამის გარეშე, ქვეყნებს შორის მიზანშეწონილი რეალური ინვესტიციების მოზიდვისათვის გამწვავებული კონკურენციის პირობებში ეფექტიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება** (უფრო სწორად, ეფექტიანი სტრუქტურის აღდგენა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით) **შეუძლებელია**.

საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებიდან მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიიდან შეიძლება გამოიყოს მეტ-ნაკლებად კერძო სტრატეგიები, პირველ რიგში, სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკა (უფრო ვიწროდ გაგებული, როგორც სამრეწველო პოლიტიკა), მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების შეთანხმებული განვითარების პოლიტიკა, აგრეთვე უფრო

დეტალიზებული სექტორული (დარგობრივი) პოლიტიკები. მსხვილი საწარმოების ქვეყანაში განლაგება კი (განსაკუთრებით ტრანსეროვნული კორპორაციების ქვედანაყოფების) განსაკუთრებულ კოორდინაციას საჭიროებს, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის დებულებების მიხედვითაც (სადაც ძირითადი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში) არცთუ სრულად თავსდება “სამრეწველო პოლიტიკის” რეგულირების თანამედროვე პრინციპების ჩარჩოებში.

საქართველოს დარგობრივი სტრუქტურული სტრატეგიის შემუშავების დროს აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის თანამედროვე რეალიები და აგრეთვე საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, მსოფლიო სავალუტო ფონდის და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები და პრეფერენციები.

მაშასადამე, საერთო სტრატეგიის საფუძველზე შეიძლება კერძო, უფრო დეტალიზებული სტრატეგიების შემუშავება (როგორც ეს გათვალისწინებულია შეთანხმებაში ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შესახებ, რაც ნათელია ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან), მაგალითად, ინოვაციური საქმიანობის, ახალი მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების კოორდინირებული განვითარების, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროებში დასაქმების დონის ამაღლებისა და მისი სტრუქტურის რაციონალიზაციის გათვალისწინებით და სხვა.

მოკლედ შევჩერდებით დარგობრივი სტრუქტურული განვითარების კოორდინაციის ფისკალური მექანიზმის სრულყოფის გზებზე.

ფისკალური მექანიზმის სრულყოფა, ორიენტირებული ეფექტიან დარგობრივ სტრუქტურულ განვითარებაზე, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საგადასახადო განაკვეთების სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ, მოგებიდან გადასახადის განაკვეთის გაზრდას და საშემოსავლო გადასახადზე პროგრესული განაკვეთის შემოღებას, როგორც ეს მიღებულია, მაგალითად, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში და საჭიროა განვითარების სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტებში სახსრების სათანადო რაოდენობით მობილიზაციის მიზნით. აგრეთვე, დაჩქარებული განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში მოქმედი ბიზნესის სტიმულირებისათვის საჭიროა საგადასახადო შეღავათების სისტემის შემოღება.

საქართველოს ფისკალური მექანიზმი სრულყოფას მოითხოვს რეგიონულ დონეზეც. მაგალითად, ჯერ კიდევ პოლიტიკურ ფორუმზე “ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის” ყოფილი პრემიერ-მინისტრი ი. ღარიბაშვილი აღნიშნავდა, რომ “საჭიროა, გადაიდგას თანამიმდევრული ნაბიჯები დეცენტრალიზაციის მიმართულებით და გაიზარდოს რეგიონული ერთეულების როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში” [ირაკლი ღარიბაშვილი..., 2014]. მოქმედი პრემიერ-მინისტრი გ. კვიციანიშვილიც აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ დასახული რეფორმების ოთხი ბლოკიდან ერთ-ერთი გულისხმობს რეფორმებს, მიმართულს რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ [პრემიერ-მინისტრმა..., 2016]. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სახელმწიფო ორგანოებმა ამ მიზნებისათვის უნდა მოიფიქრონ საბიუჯეტო სახსრების მობილიზების პრინციპები რეგიონულ დონეზეც.

თუმცა ყველაზე მთავარია – სამრეწველო პოლიტიკისა და საწარმოების პოლიტიკის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების თანამედროვე პირობებისადმი ადეკვატურ მდგომარეობდე მოყვანა.

3. სამრეწველო პოლიტიკისა და საწარმოების პოლიტიკის საფინანსო მხარდაჭერის თანამედროვე მდგომარეობა

რატომ ვერ ხერხდება დინამიური და მყარი ეკონომიკური განვითარების პროცესის მიღწევა? ბევრს მიაჩნია, რომ მსოფლიოში ადგილი აქვს მცოცავ ეკონომიკურ კრიზისს (გარკვეულწილად ეს არის ჭარბწარმოების კრიზისიც) და ამიტომ მსოფლიო კრიზისის პირობებში საქართველოშიც ძნელია ეკონომიკის მყარი განვითარების უზრუნველყოფა. მაგრამ საქართველოში, რომელშიც შეუჩერებლად იმპორტირდება უამრავი ოდენობის საქონელი, მათ შორის ისეთიც, რომლის წარმოება შეიძლება სწრაფად იქნეს ათვისებული ადგილზე, ეს კრიზისი თითქოსდა ხელშემწყობიცაა, ხომ შესაძლებელია იმპორტჩანაცვლებითი წარმოებების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი რეაბილიტაცია.

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ინვესტიციური აქტიურობის გაძლიერება [Бурдули, 2008] როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე ბიზნეს გარემოში. ინვესტიციური აქტიურობის საკითხს ჩვენ ვიხილავთ, როგორც მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის, ისე მიზანშეუწონელის სახით. მიზანშეუწონელი ინვესტიციური აქტიურობის მაგალითებად საქართველოში შეიძლება მოვიყვანოთ სოფლისმეურნეობრივი ნაკვეთების შექმნა უცხოელების მიერ, აკვაპარკის მშენებლობა ანაკლიაში და მრავალი სხვა. მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობა კი მიმართული უნდა იყოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლებაზე [Бурдули А, 2015; Бурдули Б, 2015], ე. ი. იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების მშენებლობაზე (უკანასკნელი ამჟამად გართულებულია ჭარბწარმოების კრიზისთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ გამორიცხავს საზღვარგარეთის ბაზრებზე გასაღების სეგმენტების მოძიებას, რომლებიც ჯერ გამოვლენილი უნდა იყოს, შემდეგ კი აშენდეს შესაბამისი წარმოებები). მაგრამ საქართველოში, ჯერჯერობით, თითქმის არ ხდება არც იმპორტჩანაცვლებითი და არც ექსპორტზე ორიენტირებული თანამედროვე მიზანშეწონილი წარმოებების მშენებლობა. თუმცა, რამდენიმე თანამედროვე საწარმო აშენდა (ან შენდება) საპარტნიორო ფონდის დახმარებით, ხოლო ბიზნესსექტორში ახალი პროგრესული საწარმოები შენდება ძირითადად ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით.

სად ვიშოვოთ ფული მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტივობისათვის, მიმართული თანამედროვე იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების მშენებლობაზე (რომელთა პროდუქციის გასაღებად შესაძლებელს გახდის ექსპორტ-იმპორტის სალდოს არსებით გაუმჯობესებას)?

ამისათვის უნდა არსებობდეს საიმედო, როგორც მათ ახლა უწოდებენ, **განვითარების** როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო **ფინანსური ინსტიტუტები** (მნიშვნელობა არ აქვს მათ სახელწოდებებს – ინვესტიციური ფონდები, განვითარების ფონდები, ინსტიტუციური ინვესტორები, ინვესტიციური ბანკი, ბანკები და სხვა ინვესტიციური ინსტიტუტები საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შემადგენლობაში, თანაინვესტირების ფონდი და ა. შ.). რა თქმა უნდა, ბიზნესს შეუძლია ინვესტიციების წარმოება მიზანშეწონილი წარმოებების მშენებლობაში უშუალოდ საკუთარი სახსრებისა და საბანკო კრედიტების ხარჯზე (მათი აკუმულირების გარეშე განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში), მაგრამ მსხვილი პროექტების დამოუკიდებლად განხორციელება რთულია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ინვესტირება ხორციელდება არა თავისივე სფეროში, არამედ მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილ სხვა საქმიანობაში (დარგში). შესაძლებელია მიზანშეწონილი საქმიანობის სახეების განვითარებისათვის ტრანსფერული კორპორაციების ინვესტიციების მოზიდვაც, მაგრამ ეს ჭარბწარმოების მსოფლიო კრიზისის გამო რამდენადმე გაძნელებულია, თუმცა შესაძლებელი.

როგორც ვიცით, ქვეყანაში შექმნილია თანაინვესტირების ფონდი. ივარაუდებოდა, რომ ეროვნული მსხვილი ბიზნესი ამ ფონდში შეიტანდა სახსრებს დასაბუთებული პროექტების მიხედვით წარმოებების მშენებლობის თანადაფინანსებისათვის, რისი გაკეთებაც მსხვილი ბიზნესისათვის ძნელი არ იყო მოგების გადასახადის მიხერული განაკვეთის (15%) არსებობის პირობებში. მაგრამ მსხვილი ბიზნესი, ბიძინა ივანიშვილის გამოკლებით (რომლის სახსრები მიმართულია რამდენიმე მსხვილი პროექტის განხორციელებაზე), არ ჩქარობს ამ ფონდში აქტიური მონაწილეობის მიღებას.

ამის მაგივრად მსხვილი კომპანიების მოგება ქვეყანაში მყარ ვალუტაზე იცვლება და “ინვესტიციების” სახით იგზავნება საზღვარგარეთ (უფრო მეტად ოფშორულ ზონებში). ასე მაგალითად, სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს პირდაპირი ინვესტიციების სახით ქვეყნიდან გავიდა 406,7 მლნ აშშ დოლარი, პორტფელური ინვესტიციების სახით – 37,5 მლნ აშშ დოლარი, სხვა ინვესტიციების სახით – 232,8 მლნ აშშ დოლარი [Statistical... 2015: 242]. “2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 530 მილიონი დოლარი შემოვიდა, მაგრამ ამავე თვეში 175 მილიონი გავიდა და ესეც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 2-3 წელიწადში. კაპიტალის გადინება 2013 წლიდან იზრდება, ძირითადად ოფშორულ ზონებში. მაგალითად, იმავე წელს მხოლოდ კვიპროსში 105 მილიონ დოლარზე მეტი გაიტანეს. სულ კი, წლის განმავლობაში, ქვეყნიდან 1 მილიარდ დოლარზე მეტი გავიდა. დაახლოებით ამდენივე გაიტანეს 2014 წელსაც. საჯარო რეესტრის მონაცემებს თვალს თუ გადავაკლებთ, დაინახავთ, რომ ბევრი დიდი კომპანია, განსაკუთრებით კი ის კომპანიები, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების წევრებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს უკავშირდება, კვიპროსში, კაიმანის კუნძულებსა და სხვა ოფშორულ ზონებშია დარეგისტრირებული. ამიტომ ჩნდება ეჭვი – ბევრ სხვა გარე ფაქტორთან ერთად, საქართველოდან კაპიტალის გატანა ხომ არ უწყობს ხელს დოლარზე მოთხოვნის ზრდასა და ლარის გაუფასურებას?” [ოფიციალური მონაცემებით... 2015; რატომ გარბის საქართველოდან..., 2015]. ექსპერტების უმეტესობა იზიარებს იმ აზრს, რომ საქართველოდან ასეთი სახით კაპიტალის გადინება აძლიერების დეველ-ვაციურ ტენდენციებს, ესე იგი გავლენას ახდენს ლარის კურსის მდგრადობაზე [რატომ გარბის საქართველოდან..., 2015].

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მსხვილი სიმდიდრეების უმეტესობა შექმნილია ქვეყანაში იმპორტული პროდუქციის რეალიზაციის ხარჯზე. ბუნებრივია, ქვეყანაში იმპორტული პროდუქციის მორიგი პარტიის შემოსატანად საჭიროა ლარებში მიღებული შემოსავლის გაცვლა დოლარებზე ან სხვა მყარ ვალუტაზე. მაგრამ როდესაც კომპანიები ამის გარდა იწყებენ მიღებული მოგების გაცვლას დოლარებზე და “ინვესტიციებისათვის” მათ გაგზავნას საზღვარგარეთ, მაშინ ჩნდება ქვეყანაში აუიოტაჟური მოთხოვნა დოლარსა და ევროზე და, ამის შედეგად, ლარის კურსი არამდგრადი ხდება, ესე იგი ეს ძალიან ვნებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების პირობებს.

ამასთან, ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი გ. ჭირაქაძე არაერთჯერ აკეთებდა შემდეგ განაცხადს: “როდესაც კურსი ძალიან მერყეობს, ბიზნესისათვის ძალიან რთულია სწორი პროგნოზირების გაკეთება, თუ რა მოხდება ხვალ, ამიტომ ყველა თავს იკავებს, როგორც საინვესტიციო, ასევე რეალური ქმედებისგან. სტაბილური მუშაობის გაგრძელებისათვის კურსის მერყეობის შეჩერება აუცილებელია”. [გიორგი ჭირაქაძე... A, 2015; გიორგი ჭირაქაძე... B, 2015]. რაღაც მოჯადოებული წრეა: თვითონ ითხოვენ სახელმწიფოსაგან მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას და თვითონვე არყევენ

მას, ართმევენ რა სახელწიფოს დოლარებს (ლარებში მიღებული მოგების დოლარებზე გაცვლის გზით) და გზავნიან მათ საზღვარგარეთ “ინვესტიციების” სახით, იმის მაგივრად, რომ ააშენონ ქვეყანაში ახლა ასე საჭირო იმპორტ-ჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები (ამ შემთხვევაში ასევე საჭირო იქნებოდა მიღებული მოგების ნაწილის გაგზავნა საზღვარგარეთ საწარმოო ტექნოლოგიების შესასყიდად, მაგრამ დანარჩენი ნაწილი იმუშავებდა ქვეყანაში).

ახლა განვითარების სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტის შესახებ. ჯერ კიდევ ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამდე, საქართველოში არსებობდა “საპარტნიორი ფონდი”, რომლის აქტივების პორტფელი მოიცავდა რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო კორპორაციის სახსრებს (“საქართველოს რკინიგზა” – 100%; “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია” – 100%; “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი” – 100%; აქციონერული საზოგადოება “თელასი” – 24,5%). მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მობილიზებულია საკმაოდ მსხვილი სახსრები, ნათელია, რომ ამ ფონდის სახსრები არასაკმაოდ მიზანშეწონილად გამოიყენებოდა, რადგანაც აშენებული იყო ობიექტების მცირე რაოდენობა (საკმარისი კონტროლი კი ამ ფონდის სახსრების ხარჯვაზე მოგვარებული არ არის, ამასთან მას გააჩნია უზარმაზარი ბიუროკრატიული მმართველობითი სტრუქტურა). 2013 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მომზადებული იყო საკანონმდებლო საბუთები “საქართველოს სუვერენული ფონდის” ფორმირების შესახებ, მაგრამ შემდეგ გაცხადებული იყო, რომ საპარტნიორო ფონდს ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები. ამასთან, უფრო ადრე, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დათანხმდება, დაიკავოს სახელმწიფო განვითარების საფინანსო ინსტიტუტის თავმჯდომარის თანამდებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გარდაიქმნება საქართველოს განვითარების ბანკად [ნათია თურნავა... 2016]. ამიტომ გადაწყვეტილ იქნა მისი რეორგანიზაციის გზით აქციონერული საზოგადოების “საქართველოს განვითარების ბანკი”-ს დაწესება, რომლის შესახებ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში წარდგენილი იყო 2014 წლის აპრილში (ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით უნდა განეხორციელებინა კრედიტების გაცემა, გარანტიების მიცემა, სადაზღვევო ოპერაციების წარმოება, ობლიგაციების გამოშვება და ა. შ.). მაგრამ ამით ხდებოდა სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტის არსის გამოცლა და ამიტომ ეს პროექტიც არ განხორციელდა. უკანასკნელ პერიოდში, ბოლოს და ბოლოს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შეიქმნება “საქართველოს განვითარების კორპორაცია”. მაგრამ საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი საფინანსო რესურსების გაზრდა (და შემდგომ მათი მიმართვა ინვესტიციებზე ახალი წარმოებების შექმნის მიზნით). როგორ აპირებს ამ ამოცანის გადაწყვეტას კორპორაცია? აღნიშნულია, რომ: *“ცვლილებების მეორე მნიშვნელოვანი შედეგი და მიმართულებაა – კორპორაციის საქმიანობის უფრო სტაბილური დაფინანსების მექანიზმების დანერგვა და ასევე საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან რესურსების მოზიდვის უკეთესი შესაძლებლობა”* [ნათია თურნავა... 2016]. რაც შეეხება “კორპორაციის საქმიანობის უფრო სტაბილური დაფინანსების მექანიზმების დანერგვას”, ეს სწორია, მაგრამ გაუგებარი, თუ საიდან მოიზიდება დამატებითი ეროვნული საფინანსო რესურსები. რაც კი ეხება “საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან რესურსების მოზიდვის უკეთეს შესაძლებლობას”, აქ ჩნდება კითხვა, საჭიროა თუ არა საერთაშორისო საფინანსო რესურსების მაქსიმალური და შეუკავებელი მოზიდვა იმ პირობებში, როდესაც არ ხდება ეროვნული საფინანსო რესურსების უმეტესი ნაწილის ინვესტიციური მიზნებისათვის გამოყენება. ხომ არის ინვეს-

ტიციური მიზნებისათვის ეროვნული საფინანსო რესურსების მოზიდვის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებში (უპირველეს ყოვლისა, კორპორაციების მოგების ხარჯზე). უცხოური საფინანსო რესურსების მოზიდვას კი აზრი აქვს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (კერძოდ, სახელმწიფო განვითარების კორპორაციაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სახსრების ნამეტანი მოზიდვა გამოიწვევს სახელმწიფო ვალის სერიოზულ ზრდას, რაც უკვე საშუალოვადიან ასპექტში გავლენას მოახდენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობებზე).

ეროვნული ბიზნესის ძალიან დაბალი ინვესტიციური აქტიურობის პირობებში, საქართველოში აღებულია კურსი უცხოური ინვესტიციების გადაჭარბებულ (აუცილებელზე მეტ) მოზიდვაზე, როგორც მიზანშეწონილობების, ასევე მიზანშეუწონლობების. ამას მოსდევს მოკლე ერთდროული დადებითი მაკროეკონომიკური შედეგი (უცხოური ვალუტის ნაკადებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის ხარჯზე), მაგრამ საშუალოვადიან და გრძელვადიან ასპექტში ეს (უცხოური საწარმოების ზომაგადასული რაოდენობა) დამატკეველ გავლენას მოახდენს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, გაზრდის სიღარიბის დონეს ქვეყანაში, რადგანაც უცხოურ საწარმოებს მყარ ვალუტაში გააქვთ ქვეყნიდან მთელი მიღებული მოგება და მათი ფუნქციონირების ხარჯზე ბიუჯეტში სუსტად ივსება (თუმცა, რამდენადმე შემცირდება უმუშევრობის დონე და ბიუჯეტში შევა ამ საწარმოებში მომუშავეთაგან აკრეფილი საშემოსავლო გადასახადი).

არამიზანშეწონილი ინვესტიციური პროექტის მაგალითად შეიძლება დასახელდეს არარეალიზებული ხელშეკრულება ხულონჰესის მშენებლობის შესახებ, რომლის მიხედვით უცხოური სამშენებლო კომპანია (რომელიც ერთდროულად ინვესტორიც იყო) იღებდა უფლებებს, რომ მრავალი წლის განმავლობაში მოეხდინა სადგურით გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტირება საზღვარგარეთ და მხოლოდ მცირე ნაწილი, ზამთრის პერიოდში, მოეწოდებინა ქვეყნის ენერჯოსისტემისათვის. “ესტონური ვარიანტის” მოქმედების შემთხვევაში, მოგების გადასახადი კომპანიისგანაც არ აიკრიფება, ხოლო მთელი მოგება, მიღებული როგორც ელექტროენერჯის ექსპორტისაგან, ასევე შიდა ენერჯოქსელში მიწოდებიდან, მყარ ვალუტაში იქნებოდა გატანილი საზღვარგარეთ. ესე იგი არც ქვეყანას და არც მის მოსახეობას ასეთი პესის ფუნქციონირებისაგან არავითარი სარგებელი არ ექნებოდა. რაღა საჭირო იყო ამ პირობების მიხედვით მისი აშენება? თუმცა ახალმა მთვრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და, მაგალითად, ამჟამად, შენდება საშუალო სიმძლავრის (280 მგვ) ნენსკრაჰესი საკმაოდ მისაღები პირობებით: მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობას აფინანსებს უცხოური კაპიტალი (პროექტის ინვესტორი და მისი რეალიზაციისადმი პასუხისმგებელი კომპანია არის სამხრეთ კორეის K Water), მაგრამ ის შენდება ცალკე მენარდის მიერ (ობიექტს აშენებს ცნობილი იტალიური კომპანია Salini impregilo), ამასთან, ინვესტორი, ბუნებრივია, არ აყენებს არავითარ პირობას გამომუშავებული ელექტროენერჯის განკარგვის თაობაზე.

ამიტომ, ქვეყნის შიგნით ინვესტიციებისათვის შესაძლებლისამებრ მაქსიმალურად საჭიროა ეროვნული ბიზნესის მიერ მიღებული მოგების მაქსიმალური გამოყენება, რათა გაიზარდოს ეროვნული კაპიტალის წილი ეკონომიკის როგორც რეალურ, ასევე საფინანსო სექტორებში (უკანასკნელი აუცილებელია იმის გამო, რომ შეუძლებელია მთავრობის მიერ დეკლარირებადი რეგიონული ჰაბის შექმნა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის).

ნირების მძლავრი მხარდაჭერის გარეშე ეროვნული საფინანსო და უშუალოდ საბანკო სექტორების მხრიდან).

ამისათვის არსებობს ქვეყანაში განვითარების საფინანსო ინსტიტუტების სისტემების რესტრუქტურისაციის სამი ძირითადი მიმართულება.

1. კორპორაციების მოგების გადასახადის განაკვეთების გადიდება და ამის ხარჯზე მიღებული დამატებითი სახსრების განთავსება განვითარების სახელმწიფო ინსტიტუტში. მნიშვნელობა არა აქვს მის სახელწოდებას, იქნება ეს სახელმწიფო კორპორაცია, საინვესტიციო ფონდი თუ განვითარების ფონდი. თუმცა წესდებაში გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს, რომ მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ეკონომიკის რეალურ სექტორში საწარმოთა მშენებლობის ინვესტირება. ახლა ქვეყანაში ძალზე მწვავედ დგას დამწვევი ბიზნესის საკითხი. არიან გამოცდილი მენეჯერები, სპეციალისტები, რომლებიც ეკონომიკის პოსტსაბჭოურ ნგრევამდე ეკონომიკის რეალურ სექტორში მუშაობდნენ. ამიტომ განვითარების სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტის ძირითად საქმიანობაში მოცემულ ეტაპზე უნდა შედიოდეს ისეთი ნიჭიერი პიროვნებების გამოვლენა, რომელთაც შეეძლება სერიოზული წვლილის შეტანა ეკონომიკის დარგობრივი რესტრუქტურისაციის პროცესში და მათ უნდა გაეწიოს საჭირო ფინანსური, საკონსულტაციო და სხვა სახის მხარდაჭერა რეალურ სექტორში იმპორტანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შექმნისათვის.

2. თანაინვესტირების ფონდში საჭიროა ეროვნული კაპიტალის მეტი სახსრების მოზიდვა. ამიტომ კომპანიებისათვის (რომლებიც ფულს ძირითადად იმპორტის ხარჯზე აკეთებენ) უნდა შეიქმნას შემზღვეველი კანონმდებლობა საზღვარგარეთ მოგების (ძირითადად ოფშორებში) გატანის მიმართ და მოხდეს ბიზნესის გააქტიურება მოგების ნაწილის განთავსების მიზნით თანაინვესტირების ფონდში.

3. მაგრამ ყველაზე მთავარია ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (ფსჯ) შექმნა, რომლებიც არსებობენ ყველა განვითარებულ და წარმატებულ განვითარებად ქვეყნებში (იხ., მაგ.: [Цветков, 2000]). ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კანონების საჭირო პაკეტის მიღება, რომელიც მოახდენს მათი საქმიანობის რეგლამენტაციას. ამგვარი კანონმდებლობა, კერძოდ, მიმართული უნდა იყოს იმაზეც, რომ მსხვილ კომპანებს შეეძლოთ თავისუფალი მოგების ნაწილი მიმართონ ფსჯ-ში შემავალი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საწესდებო ფონდების გაფართოებაზე.

მაშასადამე, ქვეყნის წინაშე დგას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ქვესექტორებში დღეისათვის აქტუალური წარმოებების შექმნის ინვესტირებისათვის ეროვნული კაპიტალის თავისუფალი რესურსების მოზიდვის ურთულესი ამოცანა. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის საჭიროა განვითარების ძირითადი საფინანსო ინსტიტუტების რეფორმირება – 1. საქართველოს საფინანსო კორპორაციის, 2. თანაინვესტირების ფონდის და 3. ფსჯ-ში შემავალი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების (რეფორმირება, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში ეროვნული კაპიტალის საფინანსო სახსრების მოზიდვის მექანიზმებისა და მათ მიერ საინვესტიციო მშენებლობის მიზნით ამ სახსრების გამოყენების მექანიზმების გაუმჯობესებაზე).

4. სამრეწველო პოლიტიკისა და საწარმოების პოლიტიკის მხარდაჭერის საფინანსო მექანიზმები

უფრო დაწვრილებით შეეხერხებით განვითარების ფინანსური ინსტიტუტების რესტრუქტურისაციის ამ სამ მიმართულებაზე.

პირველი. როგორ უნდა წარმოებდეს ეროვნული კაპიტალის ხარჯზე საკმარისი ოდენობით სახრების მობილიზაცია საქართველოს განვითარების კორპორაციაში?

ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავაზუსტოთ, ქვეყნისათვის სინამდვილეში შემოთავაზებულია თუ არა “საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი” [პრემიერ-მინისტრმა... 2016]. ამ მიზნით შევადაროთ საქართველოში საგადასახადო ტვირთი საწარმოების მოგებაზე და, ასევე, საგადასახადო ტვირთი, რომელიც გამოიანგარიშება, როგორც გადახდილი გადასახადებისა და ბაჟების მთლიანი ჯამის შეფარდება მშპ-სთან, სხვა ქვეყნების ანალოგიურ ინდექსებთან.

საერთაშორისო შედარებების ჩატარებისას PwC და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ეს დატვირთვა (საერთო საგადასახადო განაკვეთი – Total Tax Rate) გამოიანგარიშება როგორც ჰიპოთეტური საწარმოების მიერ გადახდილი გადასახადების საშუალო ოდენობის შეფარდება მათ საერთო მოგებასთან (იხ.: [PwC and World Bank... 2014: 139-145]). ამ მეთოდიკაში აღირიცხება მხოლოდ ის გადასახადები, რომლებსაც იხდის საწარმო (ან სამუშაოს მიმცემი), ესე იგი, რომლებიც წარმოადგენენ საგადასახადო დატვირთვას საწარმოთა მოგებაზე (profit taxes, labour taxes (მაგალითად, სოციალური გადასახადი, რომელსაც იხდის სამუშაოს მიმცემი) and other taxes), მაგრამ არ აღირიცხება, მაგალითად, ისეთი მსხვილი გადასახადები, როგორცაა დამატებული ღირებულების გადასახადი და გადასახადი ფიზიკურ პირებზე (საშემოსავლო გადასახადი), რომლებიც არ წარმოადგენს უშუალო დატვირთვას საწარმოების მოგებაზე. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია მონაცემები საერთო საგადასახადო განაკვეთებსა (Total Tax Rate) და მის შემადგენლებზე (მოგების გადასახადები – profit taxes, გადასახადები სამუშაო ძალაზე – labour taxes (მაგალითად სოციალური გადასახადი) და სხვა გადასახადები – other taxes) რიგი ქვეყნის მიხედვით 2012 და 2014 წლებისათვის.

ცხრილი 1

საერთო საგადასახადო განაკვეთი და მისი შემადგენლები¹⁰ 2012 ი 2014 წწ. (%)

				2012 წ.				2014 წ.
	გადასახადები მოგებაზე	გადასახადები სამუშაო ძალაზე	სხვა გადასახადები	საერთო საგადასახადო განაკვეთი	გადასახადები მოგებაზე	გადასახადები სამუშაო ძალაზე	სხვა გადასახადები	საერთო საგადასახადო განაკვეთი
მაკედონია	6.3	-	1.9	8.2	10.9	-	2.0	12.9
საქართველო	14.3	-	2.1	16.4	14.3	-	2.1	16.4
სინგაპური	4.9	17.1	4.9	27.1	2.0	15.3	1.1	18.4
სომხეთი	15.0	23.0	0.8	38.8	19.1	-	0.8	19.9
კვიპროსი	9.1	12.0	1.4	22.5	9.3	13.4	1.7	24.4
შვეიცარია	9.2	17.8	2.1	29.1	9.3	17.7	1.8	27.0
ყაზახეთი	15.9	11.2	1.5	28.6	18.9	11.2	1.8	29.2
ლატვია	4.9	27.3	3.7	35.9	6.3	26.6	3.0	35.9
ფინეთი	14.1	24.5	1.2	39.8	11.8	24.8	1.3	37.9

¹⁰ ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების მონაცემების მიხედვით: [PwC and World Bank... 2014; Paying Taxes... 2016].

აზერბაიჯანი	12.9	24.8	2.3	40.0	12.9	19.9	3.1	39.8
პოლონეთი	14.1	26.0	1.5	41.6	14.5	24.8	1.0	40.3
ნიდერლანდები	20.8	18.2	0.3	39.3	20.4	20.2	0.4	41.0
ლიტვა	6.0	35.2	1.9	43.1	5.9	35.2	1.5	42.6
რუსეთის ფედერაცია	8.0	36.7	6.0	50.7	8.9	35.6	2.5	47.0
გერმანია	23.0	21.8	4.6	49.4	23.2	21.2	4.4	48.8
ესტონეთი	8.1	39.6	0.6	47.2	8.4	39.0	2.0	49.4
ბელარუსი	13.4	39.0	1.6	54.0	11.7	39.0	1.1	51.8
უკრაინა	11.2	43.1	0.6	54.9	9.0	43.1	0.1	52.2
ბელგია	6.4	50.3	0.8	57.5	8.4	49.4	0.6	58.4
საფრანგეთი	8.7	51.7	4.3	64.7	0.5	53.5	8.7	62.7
იტალია	20.3	43.4	2.1	65.8	19.5	43.4	1.9	64.8

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველო ჯერ კიდევ “ესტონური ვარიანტის” შემოღებამდე შედიოდა იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებსაც გააჩნიათ ყველაზე მცირე საგადასახადო დატვირთვა საწარმოების მოგებაზე. ეს დატვირთვა საქართველოში კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვეყნებში, რომლებიც ამა თუ იმ ზომით წარმოადგენენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს (სინგაპური, კვიპროსის ოფშორი). რაც შეეხება ესტონეთს, ის საწარმოების მოგებაზე საგადასახადო დატვირთვის სიდიდის მიხედვით შედის მსოფლიო ლიდერების რიცხვში, ოდნავ უსწრებს რუსეთის ფედერაციას და გერმანიასაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა მეზობლებზე (ლიტვა, ლატვია, ფინეთი). საგადასახადო დატვირთვის მაჩვენებელი ესტონეთში სამჯერ მეტია ვიდრე საქართველოში (49.4% 16.4%-ის წინააღმდეგ). რატომ არსებობს ასეთი სხვაობა საწარმოთა მოგებაზე საგადასახადო დატვირთვის მიხედვით საქართველოსა და ესტონეთს შორის? საქმე ისაა, რომ ესტონეთში სამუშაოს მიმცემი იხდის მაღალ სოციალურ გადასახადს, რომლის თანხა ასევე ითვლება საგადასახადო დატვირთვად საწარმოთა მოგებაზე [Преимущества... 2014; Социальный... 2015]. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ სამუშაოს მიმცემის მიერ გადასახდელი სოციალური გადასახადის განაკვეთი შეადგენს მომუშავეთა ყველა ანაზღაურების ჯამის 33%, ფიზიკურ პირებზე საშემოსავლო გადასახადისა (რომელიც არ აღირიცხება საწარმოების მოგებაზე საგადასახადო დატვირთვაში) და განაწილებულ მოგებაზე გადასახადის განაკვეთები – 21%. უკანასკნელი იკრიფება დამფუძნებლების დივიდენდებიდან, მათი რეზიდენტულობის მიუხედავად, რეინვესტირებული მოგება კი არ იბეგრება, ამ შემთხვევაში გადასახადის განაკვეთი უდრის 0% [Преимущества... 2014]). ამ გარემოების გამო (ესტონეთში სოციალური გადასახადი სამუშაოს მიმცემზე ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში [Налоги на... 2012]) საერთო საგადასახადო დატვირთვა საწარმოების მოგებაზე ესტონეთში ძალიან მაღალია, საქართველოში კი ასეთი გადასახადი ამჟამად საერთოდ არ არსებობს (იხ. ცხრილი 1). მაშასადამე, საქართველოში ამჟამად შემოღებულია არა გადასახადებით დაბეგვრის ესტონური ვარიანტი, არამედ რაღაც ძალიან საოცარი რამ, რაც თავისუფალი ეკონომიკური ზონებისათვისაც კი არ არის დამახასიათებელი. მაშასადამე, მთავრობა როცა ამტკიცებს, რომ შემოღებულია გადასახადებით დაბეგვრის ესტონური ვარიანტი, არც ისე ზუსტად ახდენს საზოგადოების ინფორმირებას, მისდევს რა მსხვილი ბიზნესის დესტრუქციული ნაწილის მოთხოვნების სადავეს. სადაა იმის გარანტია, რომ მოგების რეინვესტირება მოხდება საქართველოში და არა საზღვარგარეთ, მით უმეტეს ესტონური ვარიანტის მიხედვით “რეინვესტირებული მოგება გამოიყენება ფირმის სხვადასხვა სახის საქმიანობისათვის”

[Преимущества... 2014] (ესე იგი არაა გამორიცხული მისი გამოყენება საზღვარგარეთაც), ეს იმ დროს, როდესაც აშუამად ეროვნული საფინანსო რესურსები, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიმართოს ქვეყანაში იმპორტჩანაცვლებითი წარმოებების მშენებლობაზე. **“ესტონური ვარიანტის” შემოღება** (იმის გაუთვალისწინებლად, რომ ესტონეთის ვარიანტში არსებობს წონადი სოციალური გადასახადი სამუშაოს მიმცემზე) **ასევე გამოიწვევს ამის გარეშეც დაბაბული** (არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში) **სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირების აუცილებლობას.**

ესტონეთში მაღალია ასევე საერთო საგადასახადო ტვირთი, რომელიც გამოიწვევს როგორც ყველა გადასახადის (აქციზების ჩათვლით) პლუს საეკონომიკური სოციალური დახლევის გადასახდელების ჯამის შეფარდება მშპ-სთან. ასე მაგალითად, 2012 წელს ის შეადგენდა: ესტონეთში – 32,5%, ლიტვაში – 27,2%, ლატვიაში – 27,9% (ყველაზე მაღალია ის საფრანგეთში – 45,0% და ბელგიაში – 45,4%. (იხ.: [Налоговое время... 2014]). საგადასახადო ტვირთი, გაანგარიშებული საგადასახადო შემოსულობების მშპ-სთან შეფარდების საფუძველზე, საქართველოსთვის დაახლოებით მონაცემების მიხედვით შეადგენდა 24,2% (იხ.: [Асланов, 2015:165]), მაშასადამე, იგი ასევე ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ესტონეთში.

ამიტომ, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს განვითარების კორპორაციის საფინანსო საშუალებების მდგრადი და რეგულარული შევსება (ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესაბამისი მუხლების მეშვეობით) კერძო სექტორის ეროვნული ფულადი რესურსების ხარჯზე და იმისათვის, რომ ხდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალური შევსება, საჭიროა მოგების გადასახადის განაკვეთის გაზრდა (მცირე ბიზნესისათვის არსებული განაკვეთის დატოვების პირობებში), ხელახლა სოციალური გადასახადის (რომელსაც იხდის სამუშაოს მიმცემი) შემოღება, საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთის შემოღება (უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა მარკ გრიფიტსმა რეკომენდაცია მისცა ქვეყანას გარკვეული გადასახადების გაზრდის თაობაზე, კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით [Грузия отказала МВФ..., 2015; მარკ გრიფიტსმა..., 2015]). კორპორაციების მოგების გადასახადი დაწესდეს, მაგალითად 30%-ის დონეზე (მცირე ბიზნესისათვის 15%-ის ფარგლებში დატოვებით), საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები დაწესდეს 20, 25 და 30%-ის დონეებზე, ხოლო სოციალური გადასახადის განაკვეთი, რომელსაც სამუშაოს მიმცემი იხდის, დაწესდეს 25%-ის დონეზე, ამასთან, ბიუჯეტში შეტანილ იქნეს დანახარჯების ის მუხლები, რომლებიც მიმართული იქნება ფინანსური საშუალებების შესავსებად საქართველოს განვითარების კორპორაციაში და დაიხარჯება არა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაზე (ამისათვის, როგორც ცნობილია, თვითონ ბიუჯეტის ინვესტიციურ ნაწილში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლები), არამედ იმ ობიექტების მშენებლობაზე, რომელთა პროდუქციის რეალიზაცია არსებითად გააუმჯობესებს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის საღირსს. ეს არის ერთ-ერთი შესაძლებლობა იმისათვის რათა მსხვილი ბიზნესის არაკონსტრუქციულმა ნაწილმა თავისი მოგების ნაწილი (რომელსაც უფრო ხშირად იმპორტული ოპერაციების ხარჯზე იღებს და ამასთან ხშირად ისეთი პროდუქციით, რომლის წარმოების ორგანიზება სწრაფად შეიძლება ქვეყნის შიგნით) წარმართოს იმპორტჩანაცვლებითი და სხვა აქტუალური წარმოებების განსავითარებლად ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

განვითარების კორპორაციის წესდებაში მკვეთრად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკის

ნომიკის რეალურ სექტორში წარმოებების მშენებლობის ინვესტირება. ამჟამად ქვეყანაში მწვავედ დგას დამწვები ბიზნესის საკითხი. ქვეყანაში არიან გამოცდილი მენეჯერები, სპეციალისტები, რომლებიც ეკონომიკის პოსტ-საბჭოურ ნგრევამდე (როდესაც ბევრი საჭირო დარგი დაიკარგა) მუშაობდნენ რეალური სექტორის დარგებში. ამიტომ საქართველოს განვითარების კორპორაციის ძირითად საქმიანობაში ამჟამინდელ ეტაპზე უნდა შედიოდეს ისეთი უნარიანი პირების მათ შორის გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზული წვლილის შეტანა დარგობრივი რესტრუქტურის პროცესში, და მათთვის საჭირო საფინანსო, საკონსულტაციო და სხვა სახის მხარდაჭერის გაწევა ეკონომიკის რეალურ სექტორში იმპორტანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შექმნის მიზნით.

საქართველოს განვითარების კორპორაციის ინვესტიციური საქმიანობის რეგლამენტაციის მექანიზმის შექმნისას შეიძლება ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად იტალიის, გამოცდილების გამოყენება, სადაც არსებობს სახელმწიფო პოლინგები – ინდუსტრიის რეკონსტრუქციის ინსტიტუტი (IRI), სააქციო მონაწილეობების და დამმუშავებელი მრეწველობის დაფინანსების სამმართველო და სხვა, რომლებიც სტრუქტურირებულია როგორც საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები [ЦВЕТКОВ, 2000]. მაგრამ, თუ იტალიაში სახელმწიფო პოლინგები, მაგალითად IRI, ყიდულობდნენ კერძო საწარმოებს და შემდეგ ახდენდნენ მათ მოდერნიზაციას (შემდგომში, ხანდახან, მონაწილეობის წილების გაყიდვით, მაგრამ საკონტროლო პაკეტის თავის მფლობელში დატოვებით), საქართველოში კი, როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყანაში, სადაც დაკარგულია ბევრი სასარგებლო წარმოება, განვითარების კორპორაციის წინაშე უპირველეს ყოვლისა დგას სრულიად ახალი საწარმოების მშენებლობაზე საკუთარი სახსრების მიმართვის ამოცანა.

მეორე. აქტუალური წარმოებების შექმნის მიზნით ინვესტიციებისათვის საფინანსო პოტენციალის გაზრდის (უპირველეს ყოვლისა ეროვნული ბიზნესის მოგებიდან შემოსულობების ხარჯზე) მეორე შესაძლებლობას წარმოადგენს თანაინვესტირების ფონდის უფრო მკვეთრი რეორგანიზაცია, რომელიც უნდა გარდაიქმნას, მაგალითად, იმის მსგავს საინვესტიციო ფონდად, რომლებიც არსებობენ აშშ-ში, საწესდებო ფონდში იმ პირების მონაწილეობით, რომლებიც ახდენენ ამ ფონდში საფინანსო სახსრების აკუმულირებას (ესე იგი საჭიროა მისი გარდაქმნა წმინდა საბაზრო სტრუქტურად), პარტნიორების მიერ გადაწყვეტილებების მიღების უფლებით კონკრეტულ პროექტში სახსრების განთავსების თაობაზე. ფონდში საჭიროა მცირე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების არჩევას პროექტების მიხედვით და მათ დანერგვას შესაბამის საწარმოებში. ფონდის ფუნქციონირების პრინციპები საჭიროების ფარგლებში განმტკიცებული უნდა იყოს საკანონმდებლო წესით. ამასთან, ქვეყანაში, რომელიც იმყოფება ტრანსფორმაციულ პერიოდში და რომელშიც ეროვნულ ბიზნესს არ ეხალისება თავისუფალი საფინანსო სახსრების განთავსება ქვეყნის შიგნით საინვესტიციო პროექტებში (თანაც ამჯობინებს მათ შენახვას საზღვარგარეთ), საჭიროა დროებით ამ ფონდში მსხვილი ბიზნესის მოგებიდან სავალდებულო ანარიცხების დაწესება (ამასთან, უფრო ურჩი იმპორტიორებისათვის, რომლებიც დიდ მოგებას იღებენ ისეთი პროდუქციის იმპორტით, რომლის წარმოების ორგანიზება ქვეყნის შიგნით მოკლე დროშია შესაძლებელი და ამით ახშობენ იმპორტანაცვლებითი პროდუქციის წარმოების ორგანიზების შესაძლებლობებს, აუცილებელია უფრო მსხვილი ანარიცხების დაწესება). ამ ფონდში ასევე საჭიროა საერთაშორისო ინვესტორების მონაწილეობის გარკვეულ ფარგლებში შეზღუდვა. ამ ფონდის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები უპირატესად უნდა წარმოადგენდნენ

ეროვნული კაპიტალის საკუთრებას, საწარმოების ასაშენებლად და ტექნოლოგიების პირველადი გამართვისათვის საჭირო შემთხვევებში შეიძლება უცხოური მენარდის მოზიდვა, როგორც ეს, მაგალითად, გათვალისწინებულია ნენსკრაჰისის მშენებლობისათვის, თუმცა ინვესტორი ამ შემთხვევაშიც უცხოელია (ხოლო როგორია საპარტნიორო ფონდის მონაწილეობა?).

მესამე. საჭიროა ქვეყანაში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების (ფსჯ) შექმნა, რომელთა არსებობა დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის როგორც ბაზარზე ორიენტირებული (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ასევე ბანკებზე ორიენტირებული საფინანსო სისტემით (კონტინენტური ევროპა, იაპონია, სამხრეთ კორეა) [Цветков, 2000]. ფსჯ-ის ჩამოყალიბება ყველაზე საიმედო და სანდო გზაა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად (მოცემული სტატიის ავტორის მიერ, ვ. წერეთელთან თანაავტორობით, ადრე მუშავებოდა განვითარების საფინანსო ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა ბანკების, ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოებთან ურთიერთმოქმედების გზები [Черетели... 1998; Бурдули... 1998], მაგრამ ამ სტატიებში **ფსჯ-ის** ორგანიზაციას არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა). **ფსჯ-ის** სტრუქტურა და დამოკიდულება მის მონაწილეთა შორის ყოველ ქვეყანაში თავისებურებით ხასიათდება, გამომდინარე ქვეყნის კანონმდებლობიდან. ამასთან არიან **ფსჯ-ები**, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებთან (უპირველესად ბანკებთან) ერთად მოიცავენ რომელიმე ერთი დარგის საწარმოებს (მაგალითად კონცერნი Siemens-ი გერმანიაში, რომლის საქმიანობა მთელ ელექტროტექნიკურ მრეწველობაზე ვრცელდება) ან ქვედარგებს (კომერციული ბანკები ჯგუფების უდავო ცენტრებს წარმოადგენს) და ისეთი **ფსჯ-ები**, რომლებიც მოიცავენ სამრეწველო საწარმოთა ფართო სპექტრს. მაგალითად აშშ-ში ჯგუფი “ჩეისის” **ფინანსური შემადგენელი** მოიცავს კომერციულ ბანკ “ჩეის მანჰეტენ კორპ.-ს” (Chase Manhattan Corp.), შექმნილს 1996 წ. 1 აპრილს “ჩეის მანჰეტენ ბანკისა” და “კემიკლ ბანკის” გაერთიანების შედეგად, და სიცოცხლის დაზღვევის ორ კომპანიას (“შეტროპოლიტან ლაიფ ინშურენს K” და “ეკვიტებლ ლაიფ“-ს). ჯგუფის **სამრეწველო შემადგენელია** – 21 არაფინანსური კომპანია, რომელთაგანაც ყოველი თითოეული შედის აშშ-ის 100 უმსხვილესი კომპანიის ჯგუფში, მათ შორის ხუთი სატრანსპორტო კომპანია, (სამი ავიაკომპანიის და ორი რკინიგზის კომპანიის ჩათვლით), ორი ქიმიური, **ორი საცალო ვაჭრობის**. ყველა ეს კომპანია კონტროლდება ბანკ “Chase Manhattan Corp”-ის მიერ [Цветков, 2000]. აშშ-ისათვის კერძოდ დამახასიათებელია სავაჭრო კაპიტალის შედწევის ტენდენცია როგორც მრეწველობაში, ასევე საფინანსო ინსტიტუტებში [Цветков, 2000].

ცხადია, რომ საქართველოში, როგორც მცირე ქვეყანაში, ძნელია ფსჯ-ის შექმნა სამრეწველო საწარმოების ვიწროსპეციალიზებული ნაკრებით საფინანსო რესურსების შეზღუდულობის გამო, საჭიროა საწარმოების სპეციალიზაციის მიხედვით უფრო ფართო სპექტრი, მაგრამ ფსჯ-ის შექმნა უკიდურესად საჭიროა და ფსჯ-ში შემავალმა ბანკებმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ეკონომიკის აქტუალურ სექტორებში ახალი საწარმოების მშენებლობის კოორდინაციასა და ნაწილობრივ დაფინანსებაზე. მაგრამ საქართველოში ამჟამად არ არსებობს ამისათვის საჭირო საკმაოდ მძლავრი კომერციული ბანკები. ამიტომ საჭიროა, რომ მდიდარმა ეროვნულმა კომპანიებმა (კერძოდ **სავაჭროებმაც**) იზრუნონ ბანკების საფინანსო რესურსების გაზრდაზე, ჯერ ერთი, თავისი თავისუფალი რესურსების განთავსებით ბანკების საწესდებო ფონდში (ესე იგი გახდნენ მათი თანამფლობელები) და, მეორე, თავისუფალი რესურსების ნაწილის ბანკებში ანაბრების სახით განთავსებით. ფსჯ-ის წამყვანი ბანკი (ან ორი-სამი ბანკი) აირჩევს ინვესტირების მიმართულებებს, უზრუნველყოფს პროექტების ეკონო-

მიკურ დასაბუთებას, ნაწილობრივ დააფინანსებს საწარმოების მშენებლობას, დაფინანსების მეორე ნაწილს კი თავის თავზე აიღებენ ფსჯ-ში შემავალი სამრეწველო და სხვა საწარმოები (ესე იგი ისინი უნდა გახდნენ მშენებელი საწარმოების თანაინვესტორები, უკვე აშენებული საწარმოების კაპიტალის მიხედვით აქციების შესაბამისი წილის მიღებით).

ახლა საქართველოს წინაშე, ეკონომიკის თვითკმარობის განმტკიცების მიზნით, ჰესებისა და სხვა იმპორტჩანაცვლებითი წარმოებების მშენებლობის აქტუალური ამოცანა დგას. საჭირო არ არის ამისათვის კერძო უცხოელი ინვესტორების მასობრივი მოზიდვა (რამდენადაც ეს მომავალში ეკონომიკაში ზემოთ მითითებულ სირთულეებს გამოიწვევს). ევროპაში არ მოიძებნება ქვეყანა, რომლის ეკონომიკაში უპირატესია უცხოური კაპიტალი, ისევე, როგორც იაპონიაში ან სამხრეთ კორეაში. ასე მაგალითად, *“იაპონიაში ადრეც და ახლაც ეროვნული ბიზნესის განვითარებასა და ყოველმხრივ მხარდაჭერაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. შემთხვევითი არ არის, რომ იაპონიაში მსხვილ სამამულო ბიზნესის მხარდაჭერაზე საუბრისას (კერძოდ ავტომობილების მშენებლობაში) მენეჯმენტის სფეროში ერთ-ერთი უმსხვილესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ლი იაკოკა 90-იანი წლების დასაწყისში წერდა: “იაპონური ავტოინდუსტრია სათუთად გაზრდილია სტიმულების მთელი რიგით: სახელმწიფო სესხებით, ამორტიზაციის ვადების შემცირებით, დახმარებით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სფეროში, პროტექციონისტური ზომებით იმპორტის წინააღმდეგ და უცხოური ინვესტიციების აკრძალვით. ყველა ამ ღონისძიების გავლენით იაპონურმა საავტომობილო მრეწველობამ გაიარა გზა წელიწადში საშუალოდ 100 ათასი მანქანის გამოშვებიდან 50-იან წლებში 11 მლნ მანქანამდე ახლა”* ([Цветков, 2000], [Якока, 2000]-დან).

ამასთან, საქართველოში არ შეიძლება დაიშვას ისეთი სერიოზული შეცდომა (რომელიც გაწირავს ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მასას მუდმივი სიღარიბისათვის), როგორც არის უზარმაზარი ოდენობის კერძო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებენ ისინი მიზანშეწონილობის კრიტერიუმებს თუ არა. მრეწველობის რესტრუქტურისაციისათვის დამატებითი ფულის სესხება უფრო უკეთესია მსოფლიო სავალუტო ფონდიდან ან მსოფლიო ბანკიდან (მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უნდა გახდეს იმ კომერციული ბანკების თანამფლობელი, რომლებიც ოპერირებენ საინვესტიციო რესურსებით), ასევე, ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკიდან ან სხვა მსგავსი საერთაშორისო ბანკიდან, რომლებთანაც იოლად იქნება შესაძლებელი მომავალში ვალების გასტუმრება ეკონომიკის ჯეროვანი განვითარების შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი საწარმოები და მოქმედი კომერციული ბანკები დროულად დაფარავენ “საინვესტიციო” ვალებს მიღებული მოგების ხარჯზე.

ბანკები ფსჯ-ებში ძალზე დიდ ფუძემდებელ როლს თამაშობენ. ასე მაგალითად, *“გერმანიაში “კომერციული ბანკები ჯგუფების უდავო ცენტრები არიან, წარმოადგენენ რა უნივერსალურ საკრედიტო-საფინანსო კომპლექსებს, რომლებიც საკრედიტო-ანგარიშსწორებად საქმიანობას ათავსებენ მომსახურების ფართო ნაკრებით. ეს, პირველ რიგში, არის: სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება ბაზრების ანალიზისა და პროგნოზირების შესახებ; ინფორმაცია ტექნიკურ გადაწყვეტილებზე და სიახლეების დახურვაზე, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაზე; ამასთან ერთად ბანკი ახორციელებს ფინანსურ დაგეგმვას, წვეტს საკითხებს საწარმოს ხელმძღვანელობის ორგანიზების შესახებ, წვდება საღაზღვეო საქმიანობაში და ბანკის კლიენტებს უწევს კომბინირებულ მომსახურებას დეპოზიტური ოპერაციების შესამდობით*

მეანაბრების სადაზღვევო დაცვასთან. ამის გარდა ბანკები აქტიურ როლს თამაშობენ იმ საწარმოთა უცხოური ინტერესების უზრუნველყოფაში, რომლებიც შედიან ფსჯ-ში, მონაწილეობენ რა როგორც ადგილობრივი ექსპორტიორების დაკრედიტებაში, ასევე კაპიტალდაბანდებაში საზღვარგარეთ, ან პირდაპირ საწარმოო კონტაქტებში. არავითარი ეჭვი არ არსებობს იმის შესახებ, რომ გერმანული ბანკები იმ კომპანიებისათვის, რომლებიც საჭიროებენ დაფინანსებას გარედან, წარმოადგენენ სასესხო კაპიტალის ძალზე მნიშვნელოვან მიმწოდებელს. უფრო მეტიც, ბანკები მნიშვნელოვან როლად იქცა დაფინანსების სხვა არხებშიც: სწორედ ისინი ახდენენ ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსებას, ახორციელებენ საბროკერო და საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციების მიერ არასაბანკო, უცხოური და სამთავრობო სესხების მიღების დროს. ფაქტობრივად გერმანული ბანკები წარმოადგენენ ფინანსური “ენერჯის რეგრანსლატორის” ძირითად წყაროს” [Цветков, 2000].

ეკრძო კომპანიების გარდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საკმარისად ვაგრცვლდა სახელმწიფო კონცერნებიც, რომლებიც სახელმწიფო ფსჯ-ის საფუძველს წარმოადგენენ. იტალიაში, მაგალითად, იმ მრავალრიცხოვანი აქციონერული კომპანიების, რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს მიერ იქნა გამოსყიდული, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენენ სახელმწიფო პოლიტიკური კომპანიები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მთავრობას თანამიმდევრულად განახორციელოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია სამეურნეო და სოციალური განვითარების სხვადასხვა სფეროში. დღეისათვის სახელმწიფო ქონების სამინისტროს ეგიდის ქვეშ სამი მსხვილი სახელმწიფო დარგთაშორისი პოლიტიკის ინსტიტუტის რეკონსტრუქციის ინსტიტუტი (IRI), თხევადი სათბობის ეროვნული სამმართველო (ENI) და დამუშავებული მრეწველობის დაფინანსებისა და აქციონერული მონაწილეობის სამმართველო (EFIM). მაგალითად სუბპოლიტიკების მეშვეობით ან უშუალოდ IRI-ის მიერ კონტროლდება 300 კომპანიაზე მეტი. ფინანსების სფეროში: “ბანკო დი რომა” “კრედიტო იტალიანო”, “ბანკო კომერჩიალე იტალიანო”; მრეწველობის სფეროში: “ტერნი” და “ილვა” (მეტალურგია), “ალფა-რომეო” (ავტომობილების მშენებლობა), “ანსალდო”, “ბრედა”, “დალმინე” (მანქანათმშენებლობა), “ალიტალია” (ტრანსპორტი) და ა. შ. [Цветков, 2000]. ევროპული სახელმწიფო ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (სახელმწიფო პოლიტიკური კომპანიები) გამოცდილების გათვალისწინება მიზანშეწონილია საქართველოს განვითარების კორპორაციის სტრუქტურისა და განვითარებისათვის.

სწორი მიდგომისა და ქმედითი კოორდინაციის პირობებში მთავრობის მხრიდან (განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით) ფსჯების შექმნა და მათი ფუნქციონირება გახდება ყველაზე მთავარი ინსტრუმენტი და სწრაფად მომუშავე მექანიზმი წარმოების რესტრუქტურისა და განვითარებისათვის.

დასკვნა

მაშასადამე, ქვეყანაში დაჩქარებული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების რეალიზაციისათვის საჭიროა ქმედითი სამრეწველო პოლიტიკისა და საწარმოების პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. მათი განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება და სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნესკოორდინაციის ინსტრუმენტების სრულყოფა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფო საფინანსო მექანიზმების სრულყოფას.

ქვეყნის წინაშე, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორსა და ქვესექტორში დღეისათვის აქტუალური წარმოებების შესაქმნელად ინვესტირებისათვის ეროვნული კაპიტალის თავისუფალი საფინანსო რესურსების მოზიდვის ურთულესი ამოცანა დგას. ამისათვის საჭიროა შესაბამისი სახით განვითარების ძირითადი საფინანსო ინსტიტუტების – საქართველოს სახელმწიფო კორპორაციის, თანაინვესტირების ფონდისა და ფსჯ-ში შემავალი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების – რეფორმირება. ეს რეფორმირება, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იქნეს განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში ეროვნული კაპიტალის საფინანსო სახსრების მოზიდვის მექანიზმებისა და საინვესტიციო მშენებლობის მიზნით მათ მიერ ამ სახსრების გამოყენების მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

ეროვნული ბიზნესის ხარჯზე საქართველოს განვითარების კორპორაციის სახსრების ზრდისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების გაზრდა (პროგრესულობის წესით), ასევე, სამუშაოს მიმცემზე სოციალური გადასახადის ხელახლა შემოღება და ამით მიღებული სახსრების უმეტესი ნაწილის განვითარების კორპორაციაში მიმართვა, რომლის ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს სახელმწიფო სექტორში ახალი წარმოებების მშენებლობის ინვესტირება. მისი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისას მიზანშეწონილია იტალიური სახელმწიფო კოლდინგების გამოცდილების გათვალისწინება. **თანაინვესტირების ფონდის** საქმიანობის აქტივიზაციისათვის მისი ფუნქციონირების მექანიზმი საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად უნდა გარდაიქმნას (მაგალითად, აშშ-ის ინვესტიციური ინსტიტუტების მუშაობის პრინციპების მიხედვით) – ეს უნდა იყოს წმინდა საბაზრო წარმონაქმნი და ფიზიკურ და იურიდიული პირებს, რომლებსაც ამ ფონდში სახსრები შეაქვთ, უნდა ჰქონდეთ მასში სააქციო წილები. ეროვნული ბიზნესის სახსრების მოზიდვას საფინანსო მიზნებზე ასევე შეუწყობს ხელს **ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების** შექმნა. მათი შექმნისა და ფუნქციონირებისათვის ბიზნესგარემოში უნდა შემუშავდეს გარკვეული პრინციპები (კერძოდ, საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთქმედების შესახებ) არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. მთავრობამ კი უნდა განახორციელოს კოორდინაციული მუშაობა, რომელიც მიმართული იქნება ასეთი წარმონაქმნების შექმნის წახალისებაზე და, ასევე, იმ კომერციული ბანკების პოზიციების გამაგრებაზე, რომლებშიც საინვესტიციო საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათი საქმიანობის სახეების მთელ ერთობლიობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. An Integrated Industrial Policy for the Globalization Era. Putting Competitiveness and Sustainability at Centre Stage. EC. Brussel, 2010.
2. Eurostate newsrealese. 16-06-2014. The overall tax to-GDP ratio in the EU28 up to 39.4% of GDP in 2012. Интернетресурсы: http://ec.europa.eu/taxation_customs/resources/documents/taxation/gen_info/economic_analysis/tax_structures/2014/pr_92-2014_en.pdf
3. For a European Industrial Renaissance. EC. Brussel, 22.01.2014. Электронный ресурс: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52014DC0014>
4. New Industry, New Jobs. BERR. London: Department of Business, Enterprise and Regulatory Reform. 2009. 37 p. Электронный ресурс: <http://www.berr.gov.uk/files/file51023.pdf>
5. Paying Taxes 2016 PwC and World Bank Group. P. 111-128. Электронный ресурс: <http://www.doingbusiness.org/~media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Special-Reports/Paying-Taxes-2016.pdf>

6. PwC and World Bank/IFC «Paying Taxes 2014: The Global Picture». P. 139—145.
Интернетресурс:
<http://www.doingbusiness.org/~media/GIAWB/Doing%20Business/Documents/Special-Reports/Paying-Taxes-2014.pdf>
7. Statistical Yearbook of Georgia. / National Statistics Office of Georgia. – Tbilisi, 2015
8. The Plan for Growth, BIS. London: Department for Business, Innovation and Skills. 2011. 131 p. Электронный ресурс:
https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/31584/2011budget_growth.pdf
9. Vince Cable's industrial strategy ends laissez-faire government. The Manufacturer, 11 September 2012. Электронный ресурс: <http://www.themanufacturer.com/articles/vince-cables-industrial-strategy-puts-an-end-to-laissez-faire-approach-to-the-economy/>
10. Ананьин О., Хаиткулов Р., Шестаков Д. Вашингтонский консенсус: пейзаж после битв. – МЭиМО, 2010, №12.
11. Антюшина Н. М. Промышленная политика Швеции. – В кн.: Промышленная политика европейских стран (Институт Европы РАН). М., 2010. Электронный ресурс: [ieras.ru/doclad/259/259-1%20\(1\).doc](http://ieras.ru/doclad/259/259-1%20(1).doc)
12. Асланов Илькин. Формирование государственного бюджета в Азербайджане: налоговая нагрузка и оценка роли нефтяного фактора. – Центральная Азия и Кавказ. Журнал социально-политических исследований. Том 18. Выпуск 3-4. 2015. СА&СС Press® ШВЕЦИЯ.
13. Белов В. Б., Баранова К. К. Промышленная политика в Германии. – В кн.: Промышленная политика европейских стран (Институт Европы РАН). М., 2010. Электронный ресурс: [ieras.ru/doclad/259/259-1%20\(1\).doc](http://ieras.ru/doclad/259/259-1%20(1).doc)
14. Бурдули Вахтанг. Грузия: возможности усиления инвестиционной активности. В ж.: Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 2. Выпуск 4. 2008. СА&СС Press® ШВЕЦИЯ.
15. Бурдули Вахтанг, Абесадзе Рамаз. Отраслевая, технологическая и организационно-институциональная структура Грузии в условиях глобализации. – Кавказ & Глобализация. Журнал социально-политических и экономических исследований. Том 7. Выпуск 1-2. СА&СС Press. ШВЕЦИЯ, 2013
16. Бурдули Вахтанг. В. Проблемы повышения уровня самодостаточности экономики Грузии (структурно-отраслевой аспект). В ж.: Центральная Азия и Кавказ. Журнал социально-политических исследований. Том 18. Выпуск 3-4. 2015. СА&СС Press® ШВЕЦИЯ.
17. Бурдули Вахтанг. А. Структурно-отраслевой анализ уровня самодостаточности экономики Грузии и общие направления формирования прогрессивной отраслевой структуры. В сб.: Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 110th Birth of Academician Paata Gugushvili: Actual Problems of Sustainable Development of National Economies. Tbilisi: 2015
18. Бурдули Вахтанг. Формирование экономических механизмов привлечения свободных финансовых ресурсов национального бизнеса на создание производств в актуальных секторах экономики. – ж.: Ekonomisti, 2016, №1.
19. Бурдули В., Церетели Г. Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. – Известия АН Грузии, Серия экономическая, Том 6. Выпуск 3, 1998. С. 147-170.
20. Грузия отказала МВФ в повышении налогов. 05-03-15. Электронный ресурс: <https://focus.ua/money/326052/>
21. Калинин А. Построение сбалансированной промышленной политики: вопросы структурирования целей, задач, инструментов. – Вопросы экономики, 2012, №4.

22. Калугина Е. Ю. Промышленная политика Франции. – В кн.: Промышленная политика европейских стран (Институт Европы РАН). М., 2010. Электронный ресурс: [ieras.ru/doclad/259/259-1%20\(1\).doc](http://ieras.ru/doclad/259/259-1%20(1).doc)

23. Кондратьев Владимир (ИМЭМО РАН). Свежее дыхание промышленной политики. 2014. – Электронный ресурс: http://www.perspektivy.info/rus/ekob/svezheje_dyhanije_promyshlennoj_politiki_2014-05-22.htm

24. Налоги на рабочую силу в Эстонии – одни из самых высоких в мире. 30-04-2012. Электронный ресурс: <http://rus.delfi.ee/daily/business/nalogi-na-rabochuyu-silu-v-estonii-odni-iz-samyh-vysokih-v-mire?id=64326849>

25. Налоговое бремя в Эстонии – самое высокое в Прибалтике. 17-06-2014. Интернетресурс: <http://rus.postimees.ee/2830461/nalogovoe-bremja-v-jestonii-samoe-vysokoe-v-pribaltike>

26. Почему из Грузии бежит капитал (на грузинском языке). 21-09-2015. Интернетресурс: <http://www.kvirispalitra.ge/economic/26552-ratom-garbis-saqarthvelodan-kapitali.html>

27. Преимущества и особенности налоговой системы Эстонии. 2014. Интернетресурс: <http://www.estbuhgalter.eu/nalogi.html>

28. Социальный налог – 2015. Интернетресурс: <http://dv.ee/novosti/2014/12/23/socialnyj-nalog-2015>

29. Цветков В. А. Финансово-промышленные группы в современном мире. Опубликовано в журнале «Промышленная политика Российской Федерации». 6. 2000. Электронный ресурс: <http://www.ipr-ras.ru/articles/tsvet-00.htm>

30. Церетели Г., Бурдули В. Проблемы становления финансовой системы Грузии (на груз. яз.). Известия АН Грузии, Серия экономическая, Том 6. Выпуск 3, 1998. С. 111-130 .

31. Якокка Ли. Карьера менеджера. Пер. с англ. М., 1991.

32. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯიას გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. – ელექტრონული რესურსი:

<http://www.mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/Association-Agreement.aspx>

33. ბურდული ვ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და სამრეწველო პოლიტიკა. – უ.: პოლიტიკა, 1999, №3.

34. ბურდული ვ. სამრეწველო პოლიტიკა: ინსტიტუციური უზრუნველყოფა და რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმი. საქართველოს მაცნე. ეკონომიკური სერია, 1996, №1-2.

35. გიორგი ჭირაქაძე: “როდესაც კურსი მერყეობს, ყველა თავს იკავებს საინვესტიციო ქმედებებისგან” A. 26.3.2015. ელექტრონული რესურსი:

<http://www.ipress.ge/new/3697-giorgi-chiraqadze-rodesac-kursi-meryevia-yvela-tavs-ikavebs-sainvesticio-qmedebebisgan->

36. გიორგი ჭირაქაძე შემოდინებების ზრდას და კურსის დასტაბილურობას ვარაუდობს. B. 23.10.2015. ელექტრონული რესურსი:

<http://www.economic.ge/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98->

%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-
%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94/

37. ირაკლი ღარიბაშვილი – ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა ძალიან სუსტია. 18-02-2014. – ელექტრონული რესურსი:
<http://www.radiokalaki.ge/index.php?cid=39&act=view&id=11892>

38. მარკ გრიფიტსი – მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა ითანამშრომლონ. ელექტრონული რესურსი:
<http://www.timer.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99-%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B/>

39. ნათია თურნავა – საქართველოს ეკონომიკა გამოცდას უძლებს და გამოწვევებს გაჯანსაღებულ საინვესტიციო გარემოს უპირისპირებს. 19-01-2016 ელექტრონული რესურსი:

<http://www.interpressnews.ge/ge/eqskluzivi/362513-saqarthvelos-ekonomika-gamocdas-udzlebs-da-gamotsvevebs-gajansaghebul-sainvesticio-garemos-upirispirebs.html>

40. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნიდან კაპიტალის გადინება 2013 წლიდან გაიზარდა. 21-09-2015. ელექტრონული რესურსი:
<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/346233-oficialuri-monacemebith-qveynidan-kapitalis-gadineba-2013-tslidan-gaizarda.html>

41. პრემიერ-მინისტრმა ბიზნესსექტორს ეკონომიკური განვითარების ოთხი ძირითადი მიმართულება გააცნო. 18-01-2016. Интернетресурсы:
<http://www.interpressnews.ge/ge/politika/362384-premier-ministrma-biznesseqtors-ekonomikuri-ganvitharebis-4-dzirithadi-mimarthuleba-gaacno.html>

42. რატომ გარბის საქართველოდან კაპიტალი. 21-09-2015. ელექტრონული რესურსი: <http://www.kvirispalitra.ge/economic/26552-ratom-garbis-saqarthvelodan-kapitali.html>

Vakhtang Burduli

SECTORAL STRUCTURAL (INDUSTRIAL) POLICY, THE POLICY OF ENTERPRISES AND THE PRINCIPLES FOR THEIR FINANCIAL SUPPORT IN TERMS OF EUROPEAN INTEGRATION

Annotation

The article researched and systematized the basic principles of the implementation of the sectoral structure (industrial) policy and the policy of enterprises. In view of this and of the relevant provisions of the Georgia Association Agreement with the European Union are given the general principles of the development of strategy of the sectoral structural policies and fiscal regulation. Particular attention is paid to the issues of improving public and private financial institutions of development, aimed at advancing financial mechanisms to promote investments in the real production sector.

The paper shows that the excessive attraction of foreign capital to invest the construction of new enterprises in the conditions of insufficient activity in this process of national business has a negative impact on macroeconomic parameters. The author suggests and justifies the ways of reforming (especially by improving mechanisms for the mobilization of financial resources of national capital) financial development institutions (funds, banks), and creating of financial-

industrial groups (FIGs) as well in order to enhance the participation of national capital in the creation of new enterprises in the priority sectors and subsectors of the economy.

გიორგი ბრეგვაძე

ბელზიის ინოვაციური პოლიტიკა

21-ე საუკუნის რეალობიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა აიღეს ახალი კურსი ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხასიათის შეცვლისა და ახალადმოჩენების მნიშვნელობის მიმართ ეკონომიკაში, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ცოდნას. დასავლეთ ევროპის ჩამორჩენა აშშ-სა და იაპონიასთან შედარებით პერსპექტიული ტექნოლოგიების სფეროში, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით – ეს ფაქტორები უდევს საფუძვლად დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ახალი ინოვაციური სტრატეგიის მიმართულების შემუშავებას. ეს შემდეგში გამოისახება:

- ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა რომელიც ორიენტირებულია ცოდნაზე, ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია არა მარტო ტექნოლოგიურ, არამედ ორგანიზაციულ და საბაზრო ინოვაციებზე.

- დასავლეთ ევროპაში მიმდინარეობს სამეცნიერო, სამრეწველო, ეკონომიკური, რეგიონული და სოციალური პოლიტიკის გაერთიანება ინოვაციებში, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენს ახალადმოჩენების შექმნისათვის კეთილსახურველი გარემოს შექმნა.

- ევროკავშირი გადავიდა ინოვაციების სტიმულირების ახალ სტრატეგიაზე, რაც ითვალისწინებს ხარჯების გაზრდას სამეცნიერო კვლევებზე. შეიქმნა ერთიანი სამეცნიერო და ინოვაციური საერთო ევროპული სივრცე. გაფართოვდა ინოვაციურ პოლიტიკის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაცია და გაძლიერდა მისი რეგიონული დონე.

ევროკავშირის განვითარების თანამედროვე სტრატეგია „ევროპა 2020“ აწესებს ხუთ მთავარ პრიორიტეტულ ამოცანას: მოსახლეობის დასაქმების გაზრდა, ინოვაციების დანერგვა, განათლების ხარისხის ამაღლება, სოციალური ინტეგრაცია და კლიმატის ცვლილებებთან და ენერჯო და სხვა რესურსების უკმარისობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. ამ ამოცანების გადასაჭრელად 2014 წლიდან დაიწყო ახალი ჩარჩო-პროგრამის რეალიზაცია, ესაა „ჰორიზონტი 2020“, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება, კონკრეტულად, მოწინავე სამეცნიერო მიღწევების გენერირება იმისათვის, რომ განმტკიცდეს ევროკავშირის პოზიციები მსოფლიოს განვითარებულ წამყვან ქვეყნებს შორის, ინდუსტრიული ლიდერობის მიღწევა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და ინოვაციების განვითარება, აგრეთვე, სოციალური პრობლემების გადაჭრა. თანამედროვეობის მოთხოვნების ყველა გზავნილი ჩადებულია „ევროპა 2020“-ში. ინოვაციური ჯგუფის ყველა რგოლის გამოყენებით კვლევების შედეგების მიღებიდან, მათი კომერციალიზაციითა და ბაზარზე გატანით დამთავრებული. ამასთან, მხედველობაში მიღებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ სოციალური ინოვაციებიც. ასევე ევროპის ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების მხარდაჭერისათვის, ევროპის გათანაბრების ფონდების პროგრამებისათვის 86 მილიარდი ევრო იქნება გამოყოფილი, ანუ ყველა სტრუქტურული ფონდის ხარჯების დაახლოებით 25%. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციებისათვის 2020 წლისათვის წილი გაიზრდება 8.5%-მდე, ნაცვლად 6.7%-ისა 2013 წელს

ამრიგად ინოვაციური კავშირი მიმართულია ევროპაში კვლევებისა და სამეცნიერო აღმოჩენების ფინანსირების წვდომის გაუმჯობესებისაკენ. „ჰორიზონტი 2020“ საშუალებას მისცემს, სამეცნიერო აღმოჩენები დაახლოვოს ინოვაციურ პროდუქტებში ბაზრის მოთხოვნილებასთან. ევროკავშირი თანდათან ღაზავს იმ არასასურველ პირობებს, რომლებიც ხელს უშლის კერძო სექტორს, მოახდინოს ინვესტირება კვლევებში, აღმოჩენებსა თუ ინოვაციებში, ქმნის რა ერთიან ევროპულ დასავლურ სივრცეს კვლევების სფეროში.

ინოვაციურ პოლიტიკაში კოორდინაციის საქმეში არცთუ ისე მცირე როლს ასრულებს ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური საქმიანობის დონის ანალიზი და შეფასება. მათ შორისაა ისეთი ტრენდები როგორცაა - The Trend Chart on Innovation in Europe, The European Innovation Scorecard - და სხვა. ჩვენი აზრით, შეფასებითი და სტატისტიკური ინსტიტუტები და ასევე ინფორმაციული რესურსები დიდ როლს ასრულებს ინოვაციური პოლიტიკის კორექტირებაში. ეს კი საშუალებას იძლევა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვროს ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარების პერსპექტიული ამოცანები.

ბოლო ათწლეულებში ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებაში სამი დონის გამოყოფის ტენდენცია შეინიშნება. ესაა რეგიონული, რეგიონთაშორისი, ეროვნებათაშორისი. რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობა ინოვაციების სფეროში, უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად გაიზარდა, ვინაიდან ადგილობრივ მთავრობებს უფრო მეტი წარმოდგენა აქვთ და უკეთ იციან, თუ რა სჭირდება რეგიონს ინოვაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში. ამასთან, ევროკავშირის ბიუჯეტის შეზღუდულობა აიძულებს რეგიონებს, გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე, რათა მოიძიონ ვენჩურული კაპიტალი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ინტეგრაციისათვის მსოფლიო ინოვაციების სფეროში. ევროკავშირის რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შემადგენელი უმთავრესი კომპონენტებია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ცოდნის გაღრმავება, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩატარება და, რაც უმთავრესია, ინოვაციების დანერგვა.

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში სხვადასხვა დონეებზე წარმოქმნილი სხვაობების აღმოსაფხვრელად შექმნილია ევროკავშირის სპეციალური ეროვნებათაშორისო პროგრამა (Forum of Innovation Regions) და ასევე ინოვაციების გავრცელების სპეციალური ცენტრი (Innovation Relay Centres). ამ პროგრამების მთავარი ამოცანაა ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის გამოცდილებების გაცვლა და აგრეთვე ინოვაციური მეწარმეობის ყოველმხრივი მხარდაჭერა, დაწყებული ინტელექტუალური საკუთრების საკითხებიდან, დამთავრებული ინოვაციების შედეგების ბიზნესში დანერგვით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პატარა ევროპული ქვეყნის - ბელგიის ინოვაციური სისტემის ფორმირების გამოცდილება რეგიონულ ასფექტში.

ბელგია მდებარეობს დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალების გზაჯვარედინზე. ფართობი 30,028 კვ. დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია ბრიუსელი. ოფიციალური ენებია ნიდერლანდური, ფრანგული და გერმანული. ბელგია კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქიაა. ადმინისტრაციული მოწყობის ფორმაა ფედერაციული. 2014 წლის მონაცემებით, ბელგიაში ცხოვრობდა 11,198,638 ადამიანი. ბრიუსელში განლაგებულია ევროპის კავშირის შტაბბინა, აგრეთვე ნატოს ოფისი და ბენელუქსის ქვეყნების სამდივნო.

ბელგია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. ევპ მოცულობით (272 მლრ \$) მსოფლიოში მე-20 ადგილი უკავია. ევპ ერთ სულზე 26730 დოლარია. უდიდესი კომპანიებია „სოსიეტე ჟენერალი“, „ბრიუსელ-ლამპრი“, „კობერა“, „ელექტროსაი“, „ბელგაკომი“, „ფორსტი“, „ინტერბრიუ“. ექსპორტის

ძირითადი სახეებია რკინა, ფოლადი საფეიქრო ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, პლასტმასი. ბიუჯეტმა 2015 წელს შეადგინა 454,04 მლრდ აშშ დოლარი.

ბელგიის ინოვაციური ინდექსი Cornell University, INSEAD და WIPO მონაცემების მიხედვით 2011-2016 წლებში საშუალოდ შეადგენს 51.75 პუნქტს. მინიმუმი იყო 49.1 - 2011 წელს და მაქსიმუმი 54.3 პუნქტი 2012 წელს.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დანახარჯები მშპ-დან პროცენტულად 2014 წ. შეადგენდა 2,46.

მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტმა 2014 წელს The United Nations-ის მონაცემებით შეადგინა მაქსიმუმი - 43698,59 მლნ დოლარი.

ბელგიაში ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენცია გამოიხატება რეგიონებზე დიდი მოცულობის უფლებების გადაცემაში. რეგიონული ინოვაციური სტრატეგიის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს შემდეგში: შექმნილია რეგიონული კლასტერი – ბიზნესისა და ინოვაციის რეგიონული ცენტრი, რომელთაგან თითოეული უნდა მოემსახუროს 20 ახალ საწარმოს. ამის მაგალითს წარმოადგენს ბიზნესისა და ინოვაციის ცენტრი “INNOTEK” ანტვერპენის პროვინციაში (ფლანდრა). ამ ცენტრის შექმნის მიზანია, სტიმულირება გაუწიოს განვითარებას. ცენტრის ნომინალურ წევრებს წარმოადგენენ მსხვილი საწარმოები. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები, სამთავრობო სტრუქტურები, საზოგადოებრივი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, კემპენის უნივერსიტეტი.

„Innotek“ არის ევროპული ქსელის წევრი, რომელშიც შედის 160 ინოვაციის და ბიზნესის ცენტრი (Bic, Ebn’Europen Business Network) ეს საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი, ჰქონდეთ ფართო კონტაქტები სხვა ევროპული ქვეყნების ტექნოლოგიების ტრანსფერების შესასრულებლად ინფორმაციის გაცვლისთვის. მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საერთაშორისო პროექტებში.

ეს ცენტრი დაკავებულია უახლესი ინოვაციური პროექტების დანერგვით, იძლევა ახალი გამოგონებების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს, ეხმარება საწარმოებს პარტნიორების მოძიებაში ახალ პროექტებში მონაწილეობისათვის და ხელს უწყობს ახალი დაფინანსების მოძიებას. მაგალითად, “Innotek” ახორციელებს ისეთ პროექტებს, როგორცაა ენერგეტიკის ახალი წყაროების დანერგვა მშენებლობაში (შენობა მზის ენერჯის წყაროს გამოყენებით), გამაფრთხილებელი და სასიგნალო სისტემები, ციფრული ტელევიზია და სხვა. ძირითადი მეცნიერული კვლევები ამ ცენტრში ხორციელდება კემპენის უნივერსიტეტის მიერ. წინა პლანზეა წამოწეული გამოყენებით სფეროებში კვლევები. გამოყოფილია 10 მიმართულება: ენერგორესურსების მართვა, ეკოლოგია, გარემოს დაცვა, ბიომედიცინა, კვების მრეწველობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სოციალური უზრუნველყოფა და მისი ეკონომიკური ასპექტები, გეონტოლოგია და სხვა. მთელი მეცნიერული კვლევები თავმოყრილია იმ პროექტის ირგვლივ, რომელიც იღებს დაფინანსებებს სპეციალიზებული სახელმწიფო ფონდებიდან (მათ შორის ევროკავშირიდან) ან ინოვაციებით დაინტერესებული ბიზნესსტრუქტურებიდან (მათ შორის მსხვილი სამრეწველო საწარმოებიდან).

ბელგიის ყველა ინოვაციური სტრუქტურა, ინოვაციისა და ბიზნესის ცენტრის ჩათვლით, მიეკუთვნება წარმოებაზე ორიენტირებულ სტრუქტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Е. Ю. Гордаменко. Стратегия инновационного развития ЕС до 2020 года. Журнал „Дискуссия“, Выпуск: №3 (55) март, 2015.

2. Н. Шелюбская. Новые направления инновационной политики ЕС. Международный журнал "Проблемы теории и практики управления", № 4, 2003.

3. З. Диваева, А. Мухамедьяров. Зарубежный опыт формирования инновационной системы в регионах. Научно-практический журнал «Экономика и управление», №3, 2011.

Giorgi Bregvadze

INNOVATIVE POLICY OF BELGIUM

Annotation

The paper deals the European Union’s innovative policy directions. Belgian example shows some aspects of regional innovative policy.

ქეთევან ქველავიძე

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ტურიზმის დარგში

ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ დრავივებს, რომელიც დიდი ხანია აღარ არის სოციალური მოვლენა, გახდა რა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუხრელი ნაწილი. განვითარების მაღალი ტემპებისა და დინამიზაციისათვის ტურიზმი სპეციალისტების მიერ თანამედროვეობის ეკონომიკურ ფენომენად არის აღიარებული. ყოველწლიურად ტურისტების უზარმაზარი რაოდენობა კვეთავს სახელმწიფო საზღვრებს და ამ საქმიანობას გლობალურ ხასიათს აძლევენ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO-ს) მონაცემებით, მოგზაურთა რიცხვმა წელიწადში 1 მლრდ ადამიანს გადააჭარბა და 2030 წლისათვის 2 მლრდ-ს მიუახლოვდება. ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC-ს) მონაცემებით დარგის წილი მსოფლიო მშპ-ში 10%-ს უახლოვდება. იგი უსწრებს ქიმიურ (8,6%), საავტომობილო (7%) მრეწველობას. ტურისტების მიერ გაწეული პირდაპირი დანახარჯების გარდა სტიმულირდება სხვა დამხმარე დარგებიც (ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.). მსოფლიოში ყოველი მე-11 სამუშაო ადგილი პირდაპირ თუ ირიბად ტურიზმს უკავშირდება (ცხრ1). მისი წილი მსოფლიო ექსპორტში 5,4%-ს უდრის, ხოლო მომსახურების ექსპორტში 30%-ს უტოლდება. გარკვეული ჩაგარდნების მიუხედავად, ბოლო ნახევარი საუკუნე ეს დარგი მუდმივ ზრდას აჩვენებს. ტურისტთა რიცხვი 1950 წლის 50 მლნ-დან 1980 წლისათვის 278 მლნ გახდა, 1995 წელს 0,5 მლრდ-ს გაასწრო, ხოლო 2014 წელს 1,1 მლრდ-ს გაუტოლდა. ტურიზმიდან შემოსავლები 1950 წელს 2 მლრდ აშშ დოლარიდან 2014 წელს 1,245 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზების მიხედვით ტურისტების რაოდენობა წელიწადში 3,3%-ით იზრდება. განვითარებად ეკონომიკებში ზრდის ტემპი ორჯერ გაუსწრებს განვითარებული ეკონომიკის მაჩვენებელს (4,4% და 2,2% შესაბამისად).

ცხრილი 1

ტურიზმის წვლილი გლობალურ მშპ-სა და დასაქმებაში (2014) [5]

	პირდაპირი	ირიბი
ტურიზმის წვლილი (მლრდ\$/%)	2365 / 3,1	7581 / 9,8
წვლილი დასაქმებაში (მლნ სამუშაო ადგილი / %)	105,4 / 3,6	276,8 / 9,4

ტენდერები, რომლებსაც ბოლო წლებში აქვს ადგილი ტურიზმის დარგში, მოწმობს იმაზე, რომ ტურიზმის შემდგომი განვითარება განხორციელდება

ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზით, რაც დღეისთვის დამახასიათებელია თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისათვის.

ტურისტებისათვის ყველაზე პოპულარულ რეგიონს წარმოადგენს ევროპა – ტურისტული ნაკადების 50%-ზე მეტი და ტურიზმიდან შემოსავლების 40%-ზე მეტი ევროპაზე მოდის. ტურიზმის ევროპული ინდუსტრია (ტურიზმთან დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკის დარგების ჩათვლევად: ვაჭრობა, ტრანსპორტი, საზოგადო კვება და სხვ.) ქმნის ევროკავშირის ქვეყნების მშპ-ის 4%-ს, ხოლო თუ ტურიზმთან დაკავშირებულ დამხმარე დარგებსაც გავითვალისწინებთ, იგი უზრუნველყოფს ეკონომიკის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 12%-ის დასაქმებას, რაც 24 მლნ სამუშაო ადგილს უტოლდება. ამასთან ერთად, ტურიზმი უზრუნველყოფს ევროკავშირში შემავალი რეგიონების განვითარებას. ამ რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის შექმნილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ეკონომიკური ეფექტის გარდა, ტურიზმი მნიშვნელოვან სოციალურ გავლენას ახდენს ევროპელი საზოგადოების ცხოვრების დონეზე. მისი, როგორც სოციალური მოვლენის წარმატება გამოიხატება იმაში, რომ მის საფუძველში დევს ადამიანის უცვლელი მოთხოვნილებების – გარე სამყაროს შეცნობის – დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ტურიზმი უზრუნველყოფს ევროკავშირის ქვეყნებს შორის კულტურული დიალოგის განვითარებას. ევროკავშირის ტურიზმის განვითარებას განაპირობებს ბუნებრივი, კულტურული-ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები გულისხმობს: საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტენდენციას, აუცილებელი სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, მჭიდრო კავშირს ევროკავშირის ქვეყნებს შორის და ასევე მჭიდრო კავშირს მსოფლიოს სხვა ტურისტულ რეგიონებთან.

ტურიზმის, როგორც ევროპელი ქვეყნების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების დასტურია ევროკავშირის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებები: ევროკავშირის საბჭოს დეკლარაცია „ევროკავშირის ტურისტული პოლიტიკის შესახებ“ – 1984 წლის 10 ოქტომბერი; ევროკავშირის საბჭოს დირექტივა „მოგზაურობების, შვებულებების და მგზაურობების შესახებ“ – 1990 წლის 13 ივნისი; ევროპარლამენტის დეკლარაცია „ერთიანი ტურისტული პოლიტიკის შესახებ“ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ევროპული ეკონომიკისათვის ტურიზმის უდიდესი მნიშვნელობისა, ევროპის ფარგლებში არ არსებობს ოფიციალური ინსტიტუტი, რომელიც დაკავებული იქნება მხოლოდ ტურიზმის განვითარების საკითხებით. ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს ევროპულ კომისიას, როგორც ევროპის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს. იგი თავისი სტრუქტურული ფონდების მეშვეობით ახორციელებს ტურიზმის განვითარების საქმიანობას ევროპის ფარგლებში. ეს ფონდები ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტირების უდიდეს წყაროებს წარმოადგენენ ნაკლებად განვითარებული ევროპული რეგიონებისათვის, რომლებსაც ეკუთვნის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფი. ამ ფონდების გზით რეალიზდება ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ევროპული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური დაახლოების დარგში. ინვესტიციების შემოდინება ტურისტულ სფეროში ხელს უწყობს ევროკავშირის ახალი წევრი-ქვეყნების ტურისტული აქტივობის ზრდას და შესაძლებლობას აძლევს მათ, მიიღონ მაღალი შემოსავლები ტურისტული საქმიანობის მეშვეობით. ამასთან ერთად, რეგიონის ბევრი ქვეყნის გაერთიანებამ ევროკავშირში შესაძლებელი გახადა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

სტუმარმასპინძლობის სექტორში. გაუმჯობესდა საინფორმაციო ტექნოლოგიები, გაფართოვდა სასტუმრო ნომრების საერთაშორისო რეზერვაციის სისტემის სარგებლობის შესაძლებლობები, რამაც ხელი შეუწყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სწრაფ ინტეგრაციას ტურმომსახურების ევროპულ ბაზარზე.

ევროკავშირში ტურიზმის განსავითარებელ სტრუქტურულ ფონდებს მიაკუთვნებენ:

1. რეგიონული განვითარების ევროპულ ფონდს;
2. ევროპულ სოციალურ ფონდს;
3. სოფლის მეურნეობის მართვის ევროპულ ფონდს;
4. მოგზაურობათა ევროპულ კომისიას;
5. ევროპის საინვესტიციო ბანკს და სხვ..

რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი აფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მისი საქმიანობა მოიცავს ბევრ სფეროს: ტრანსპორტი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კვლევები და ინოვაციები, სოციალური ინფრასტრუქტურა, პროფესიული მომზადება და გადამზადება, ქალაქებისა და სოფლების ეკონომიკის გადართოვლიერება და სხვ..

მოსახლეობის ტურისტულ სფეროში დასაქმების პოლიტიკის რეალიზებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპული სოციალური ფონდი. იგი აფინანსებს პროექტებს, რომლებიც მიმართულია კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადებისაკენ. ამ ფონდის ფარგლებში ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნების მცირე ტურისტული საწარმოების საქმიანობის სტიმულირება. ეს დადებითად აისახება მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდაზე.

სოფლის მეურნეობის მართვის ევროპული ფონდი აფინანსებს სოფლის (როგორც ტურისტული ერთეული) განვითარების დონისძიებებს და ეხმარება ნატურალურ წარმოებაში დასაქმებულებს, მათ შორის ხელს უწყობს აგრო და ეკოტურიზმის განვითარებას.

მოგზაურობათა ევროპული კომისია მოიცავს 39 ეროვნულ ტურისტულ ორგანიზაციას ევროპის მასშტაბით. მისი ძირითადი მიზანია ტურიზმის განვითარება როგორც მთლიანად ევროპაში, ასევე მის სხვადასხვა რეგიონში.

ევროპის ტურისტული პოლიტიკა რეგულირდება შემდეგი ძირითადი საკანონმდებლო აქტებით:

- კონფერენციის „ევროპული ტურიზმის მომავალი“ რეზოლუცია, მიღებული ბრიუსელში 2002 წლის მაისში;
- ლისაბონის სტრატეგია ტურიზმის განვითარების და დასაქმების გაზრდის დარგში (2005 წლის თებერვალი);
- კონფერენციის „ევროპული ტურიზმის განუხრელი განვითარების და ტურისტული პოლიტიკის განახლების შესახებ“ საბოლოო დადგენილება (ბრიუსელი, 2015 წლის აპრილი);
- „ტურიზმის განუხრელი განვითარების ჯგუფი“ მოხსენება (ბრიუსელი, 2005);
- ტურიზმის მინისტრების კონფერენციის საბოლოო დადგენილებები (პოტსდამი, 2007 წლის მაისი);
- დღის წესრიგი „ევროპული ტურიზმის განუხრელი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის საკითხები“-ს შესახებ, მიღებული ევროკავშირის მიერ 2007 წლის ოქტომბერში ევროპულ ტურისტულ ფორუმზე (ალგარეში – პორტუგალია);

2005 წლის თებერვალში ევროკომისიამ დაიწყო ე.წ. ლისაბონის სტრატეგიის რეალიზება, რომელიც მიმართულია ორი ძირითადი ამოცანის გადა-

წვევებზე: ტურიზმის ზრდის განუხრელი ტემპების უზრუნველყოფა, ტურიზმის სფეროში დასაქმების დონის ზრდა.

ევროკავშირის სტრატეგიის ახალი მიმართულებები ინოვაციური პოლიტიკის დარგში ასახულია სკსსს მეექვსე ჩარჩო-პროგრამაში, რომლის მიზანია ევროპაში ყველაზე დინამური და კონკურენტუნარიანი ინტელექტუალური ეკონომიკის შექმნა. სკსსს მეექვსე ჩარჩო-პროგრამას გააჩნია დანახარჯების ორი ძირითადი სტატია: ევროკავშირის პროგრამები ერთიანი ეროვნული კვლევითი სივრცის (ERA) შესაქმნელად (16,27 მლრდ ევრო) და ევრატივის პროგრამები ბირთვული ენერჯეტიკის დარგში (1,23 მლრდ ევრო). სამუშაოები ჩარჩო-პროგრამის გეგმით განვითარდება 3 მიმართულებით: კვლევების ინტეგრაცია ევროკავშირის ფარგლებში (13,345 მლრდ ევრო), ერთიანი ეროვნული კვლევითი სივრცის (ERA) სტრუქტურირება (2,605 მლრდ ევრო), ერთიანი ეროვნული კვლევითი სივრცის (ERA) საფუძვლების გაძლიერება (0,32 მლრდ ევრო). 2000-2010 წლებში ევროკავშირი ხელმძღვანელობდა ე.წ. ლისაბონის სტრატეგიით ამ სტრატეგიის ამოცანებია: უზრუნველყო მსოფლიო კლასის მეცნიერების განვითარება, მოესხნა ბარიერები ინოვაციებს და შეექმნა ინოვაციებისათვის ხელსაყრელი გარემო საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის გზით. ლისაბონის სტრატეგიაში განიხილება ასევე საკითხები კონკრეტული ეკონომიკური დარგების მიმართებაშიც. კერძოდ, მაგ., XXII თავში „ტურიზმი“ აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრმა-ქვეყნებმა ტურიზმის სექტორში ტურსაწარმოთა კონკურენტუნარიანობა უნდა გაზარდოს ინოვაციური პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის გზით, რისთვისაც აუცილებელია განხორციელდეს: 1. ტურიზმის სექტორში ტურსაწარმოთა განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა; 2. ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება წევრ-ქვეყნებს შორის, კერძოდ ბიზნესპრაქტიკის გაცვლის გზით.

ყველა ჩამოთვლილ დოკუმენტს არ გააჩნია პირდაპირი იურიდიული ძალა მოწინავე ქვეყნებში, მათ მხოლოდ საკოორდინაციო როლი აქვთ ევროკავშირის ქვეყნებში ტურიზმის განვითარების პროცესში. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი აქტიურად აკოორდინირებს რა ტურისტულ საქმიანობას, არ ერევა მოწინავე ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკაში, უტოვებს მათ მოქმედების სრულ თავისუფლებას საკუთარი ეროვნული ტურპროდუქტების, მომსახურებათა შექმნისა და მათი საერთაშორისო ბაზრებზე გატანის საქმეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ის გარემოება, რომ ევროკავშირმა და მისმა წევრმა – ქვეყნებმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად საინოვაციო პოლიტიკის განვითარება აღიარა და ამჟამად ევროკავშირი ხელმძღვანელობს „ევროპა 2020“-ის სტრატეგიით. მისი განვითარების დონე სამსაფეხურიანია: ევროპული, ეროვნული და რეგიონული. ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ტურისტული ინოვაციური პოლიტიკით შეინარჩუნოს თავისი წამყვანი პოზიციები მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე და ტურისტულ მიმართულებებში.

ევროკავშირი არის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული ცენტრი, რომელიც მოიზიდავს ტურისტებს როგორც ევროკავშირის გარედან, ისე კავშირში მყოფი წევრ-ქვეყნებიდან. მასზე მოდის მსოფლიოს ძირითადი ტურისტული ბაზრის ყველა საერთაშორისო ჩამოსვლების 45%-ანი წილი. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის 2015 წლის სტატისტიკის მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე მონახულებად რეგიონად 2015 წელს გახდა ევროპა (588 მლნ მონახულება), თუმცა ზრდის ტემპის მიხედვით ის ბოლო პერიოდში პოზიციებს უთმობს ამერიკას – 8%, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებს – 5%, ევროპა – 4%, მერე მოდის ახლო აღმოსავლეთი – 4%, აფრიკა – 2%. თუ ევროკავშირს განვიხილავთ როგორც ერთ მთლიანს, აქ ტურიზმი ვითარდება შიდა ტურიზმის

ხარჯზე და არა გარედან შესული ტურისტების ნაკადით, ე.ი. ჩასვლები ხდება უმეტესად წევრი-ქვეყნებიდან. შიდა ტურიზმის განვითარება ასევე უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნისათვის: მაგ., შენგენის ქვეყნები და ევროზონის ქვეყნები. ევროპის ტურისტული პროდუქტი მოიხმარება ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე. რეგიონში ევროკავშირის მოქალაქეთა წილი ტურისტ ვიზიტორთა საერთო მოცულობაში 87%-ია. მოგზაურობისა და დასვენების ხარჯები ამჟამად შეადგენს საშუალო სტატისტიკური ევროპული ოჯახის დანახარჯების დაახლოებით მერვედ ნაწილს. ამასთან, ტურისტების უმრავლესობა (80%) ორიენტირებულია ღირსშესანიშნაობების შემეცნებით-საექსკურსიო ვიზიტებზე, სახლვად დასვენებასა და ა.შ. წილი ბიზნესმოგზაურობასა და MICE (შეხვედრები, წამახალისებელი ტურები, კონფერენციები და გამოფენები) არსებითად ნაკლებია – დაახლოებით 20%. საყურადღებოა, რომ ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, იმოგზაუროს კავშირის ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში ყოველგვარი ვიზების გარეშე. ამასთან, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)-ის მონაცემების მიხედვით 2015 წელს მსოფლიო ქვეყნების მოგზაურობებისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის ათეულში ლიდერობს ესპანეთი (5.3 ინდექსით), მას მოსდევს საფრანგეთი (5.2), გერმანია (5.2), აშშ (5.1), ბრიტანეთი (5.1), შვეიცარია (5.0), ავსტრალია (5.0), იტალია (5.0), იაპონია (4.9), კანადა (4.9), სინგაპური (4.9), რაც იმის დასტურია, რომ ევროკავშირის წევრი - ქვეყნები ინარჩუნებენ წამყვან ადგილს მსოფლიო რეიტინგში ამ მაჩვენებლის მიხედვით.

თუ განვიხილავთ ცალკეულ წევრ-ქვეყნებს (ცხრ. 1), მაგ., საფრანგეთი არის მსოფლიო ლიდერი უცხოელი ტურისტების მიზიდვაში თავისი ღირსშესანიშნაობებით. საფრანგეთის წილი მსოფლიოს ჩამომსვლელთა ნაკადის მიხედვით შეადგენს 14.4%, ესპანეთის – 11,2%, (აშშ – 41,1%, ჩინეთი – 21,1%,) შემდეგ მოდის, იტალია – 8,3%, ბრიტანეთი, რომლებიც შესაბამისად იკავებენ მე-2, მე-5, მე-6 ადგილებს (ცხრ. 2). თუმცა დიდი ბრიტანეთი დღესაც ითვლება ყველაზე პოპულარულ ქვეყნად და 2015 წლის მონაცემებით ტურისტული დანახარჯები გაზარდა 6%-ით და მსოფლიოში მოწინავე ადგილი დაიკავა ამერიკის (+9%) შემდეგ. მიუხედავად მიგრაციის კრიზისისა და ტერაქტების საფრთხისა, ევროპაში ტურიზმის დარგის მუშაობა გასულ წლებთან შედარებით წარმატებულია: ევროკავშირის ქვეყნების სასტუმროებში ღამისთევით დარჩენილი ტურისტების საერთო რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 3.2%-ით გაიზარდა და შემოსავლებმა მიაღწია რეკორდულ ნიშნულს \$ 2.8 მილიონს. ევროსტატის მონაცემებით, ეს ყველაზე სწრაფი ნახტომია 2009 წლიდან.

ცხრილი 2

ყველაზე პოპულარული რეგიონები ტურისტებისათვის. 2014 [5]

რეგიონი	მლნ საერთაშორისო ვიზიტორები 2014 წელი	წლიური ცვლილებები (%)	წილი (%)	მოგება ტურიზმიდან 2014(\$მლრდ)	წლიური ცვლილებები (%)
მსოფლიო	1133	4,3	100	1245	3,7
ევროპა	581,8	2,7	51,4	508,9	3,6
მ.შ. ევროკავშირი	455,1	4,9	40,2	422,6	3,7
საფრანგეთი	83,7	0,1	14,4	55,4	-2,3
ესპანეთი	65	7,1	11,2	65,2	4,2
იტალია	48,6	1,8	8,3	45,5	3,7

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	263,3	5,4	23,2	376,8	4,1
აშშ	74,8	6,8	41,3	177,2	2,5
აფრიკა	55,7	2,4	4,9	36,4	2,9
ჩინეთი	55,6	-0,1	21,1	56,9	10,2

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა მიზნად ისახავს, გაიმყაროს პოზიციები, როგორც წამყვანი ტურისტული დანიშნულების მქონემ, გაზარდოს სექტორის წილი ეკონომიკურ ზრდაში, დასაქმებაში და ხელი შეუწყოს წევრ-ქვეყნებს მის განვითარებაში და მოახდინოს წამყვანი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება მის პარტნიორ ქვეყნებში, მაგ., უკრაინა, საქართველო და სხვა. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ ევროკავშირის კომპეტენცია ტურიზმის სფეროში ერთ-ერთი მთავარი პირობაა ამ დარგის განვითარებისათვის.

იმისათვის, რომ ევროკავშირმა შეინარჩუნოს თავისი წამყვანი პოზიციები მსოფლიოს ტურისტულ მიმართულებაში, მან ინოვაციების გზით მუდმივად უნდა გაზარდოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ხარისხი და დონე, რათა განახორციელოს მომსახურების მაღალი დონე და უზრუნველყოს თითოეული ტურისტის პერსონალიზებული მომსახურება.

საყურადღებოა, რომ ამ დარგის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის განვითარება. ამიტომ ევროკავშირის კომისია მხარს უჭერს მის ხელმისაწვდომობას, დანერგვას და გამოყენებას ამ დარგში. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირის კომისიამ შეიმუშავა ტურიაზმის განვითარების ახალი სტრატეგია: „ევროპა – №1 ტურისტული მიმართულება მსოფლიოში“. ამავე დროს, სტრატეგიის ფარგლებში ის რეგულარულად განახლების გეგმას, რომელშიც გამოიხატება ის ძირითადი ინიციატივები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას სამთავრობო უწყებებთან, ტურისტულ ასოციაციებთან, ასევე საზოგადოებრივად დაინტერესებულ ტურისტულ კერძო მხარეებს შორის და სხვა.

დღეისათვის კომისიამ შეიმუშავა სტრატეგიის ის ძირითადი პუნქტები, რომელიც მოცემულია გეგმაში და გამოკვეთილია ამ დარგის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები:

1. ტურიზმის მზარდი მოთხოვნა ევროკავშირის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ;
2. ტურისტული მომსახურების სრულყოფა და შეთავაზების სპექტრის გაზრდა;
3. ტურიზმის ხარისხის გაუმჯობესება, მდგრადობა და ხელმისაწვდომობა;
4. განათლების სექტორში სოციალურ-ეკონომიკური ბაზის გაუმჯობესება.

როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმი სწრაფად განახლებადი დარგია და, ამავე დროს, მკვეთრად მგრძნობიარეა ინოვაციებისადმი. დღეისათვის ევროკავშირის ტურისტული ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები მიმართულია ახალი ტურისტული მიმართულებების ჩამოყალიბებისაკენ და, გამომდინარე აქედან, ეს ინოვაციები ტურიზმში სტიმულირდება ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებშიც. ახალგაზრდა წევრი-ქვეყნები თანამედროვე ეტაპზე იზიარებენ ძველი წევრი-ქვეყნების გამოცდილებას ტურიზმის ცალკეული მიმართულებების მიხედვით (ბუნებაზე ორიენტირებული, კულტურული ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვ.). ამ მიმართულებებით ტურპროდუქტისა და ინოვაციების ხარისხის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არსებული

ტურისტული მიმართულებების შესანარჩუნებლად და მათი შემდგომ გასაუმჯობესებლად.

მოგზაურთა (ტურისტთა) სურვილების უპირატესობათა მიხედვით, ევროპული ტურისტული ცენტრები სთავაზობენ ტურიზმის სხვადასხვა ინოვაციურ სახეობებს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია: **საპლიაფო-საკურორტო** ტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთს და ბალტიისპირა ქვეყნებში, რომლებიც წარმატებით უწევს კონკურენციას ხმელთაშუა ზღვის კურორტებს, მიუხედავად ამისა, ყოველმა ადამიანმა იცის ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთისა და საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპიროს შესახებ. ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა ადრიატიკის სანაპირო – ხორვატიაში; ასევე კანარისა და ბალიარის კუნძულები – არქიპელაგი ესპანეთში (ხმელთაშუა ზღვაში).

სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ბალნეოლოგიურ კურორტებზე დიდი ხნის ტრადიციები და დიდი რესურსები გააჩნია, მაგრამ ქვეყნები ვიზიტების სტრუქტურის მიხედვით ძალიან განსხვავდებიან. მაგ., პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და სლოვაკეთის ძირითადი დამსვენებლები შიდა ტურისტები არიან, თუმცა ამ ქვეყნებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ინფრასტრუქტურა, რამაც გაზარდა უცხოელი ვიზიტორების რიცხვიც. ამ სახის ტურისტული მიმართულების პოპულარობის ზრდას ხელს უწყობს უფროსი ასაკის ადამიანების რიცხვის ზრდა ევროპის მოსახლეობაში. ძალიან პოპულარულია მკვდარი ზღვის კურორტები, სადაც შეიძლება ტალახისა და მზის აბაზანების შეთავსება ზღვაში ბანაობასთან ერთად.

ევროპაში ძალას იკრებს და პოპულარული ხდება **საქმიანი ტურიზმი**. გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა ბიზნესდონისძიებათა ორგანიზაციები: საერთაშორისო კონგრესები, ბაზრობები, კონფერენციები, სადაც ესწრებიან წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან.

ასევე პოპულარულია ტურიზმის უჩვეულო და ეგზოტიკური სახეები. იმის გამო, რომ მოთხოვნილება ბადებს მიწოდებას, თანამედროვე ტუროპერატორები სთავაზობენ მომსახურებას სხვადასხვა არატრადიციულ ტურიზმზე. ამის ნათელი მაგალითია **აგროტურიზმი**, **სასოფლო ტურიზმი**, რომელთა წილი ყოველწლიურად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ტურიზმის საერთოდ. იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი – ესენი არიან მოდის კანონმდებლები მსოფლიო აგროტურიზმის სეგმენტში. აქ ეს სახეობა არსებობს არაერთი ათწლეული. ამ დროის განმავლობაში მათ მოახერხეს და შექმნეს კერძო სოფლის სასტუმროთა ფართო ქსელი, ათასობით ტურისტული ატრაქციონები, ასობით ტურმარშრუტები.

ასევე საინტერესოა **ინდუსტრიული ტურიზმი** – მაგ., Oradur-siur-Glane – კომუნა საფრანგეთში (ახალი აკვიტანია); დიდი ბრიტანეთი; ჩეხეთი – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურობიექტი გახდა ყოფილი მეტალურგიული ქარხანა Vitkovic, ქ. ოსტავაში; ევროპის ქვეყნებში მოქმედებენ ტურფირმები ევროპის ქალაქების არააფიშირებულ კუთხეებში. მაგ., ექსტრემის მოყვარულთა შორის ძალიან პოპულარულია გასეირნება უკრაინის ქ. პრიპიატის დაცარიელებულ ქუჩებში და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მიდამოებში. შემდეგია ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობა – „გასეირნება“ წყალქვეშ: შესაბამისი ეკვიპირებით და გარკვეული მომზადების შემდეგ ტურისტს სვამენ რკინის გალიაში და უშვებენ წყალქვეშ კაციჭამია ზვიგენებთან შესახვედრად.

კიდევ ერთი შოკისმომგვრელი ტურიზმის სახეობა – ეს არის მოგზაურობა მხოლოდ ერთხელ და უკანდაბრუნების გარეშე: სუიციდალური ტურიზმი. იგი ხორციელდება მხოლოდ ერთ ქვეყანაში – შვეიცარიაში, სადაც იგი

ოფიციალურადაა დაშვებული. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს სთავაზობენ „მოგზაურობას იმ ქვეყნად“ – სასიკვდილო ინიექციის დახმარებით. დამატებითი ხარჯების შემთხვევაში შეიძლება დაკრძალვაც ამავე ფორმაში მოეწესოს.

ტურიზმის ძირითადი და ახალი სახეობების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება მსოფლიო ტურისტული ბაზრის მოთხოვნილებათა საერთო ტენდენციების შესაბამისად:

- დასვენების უფრო მოკლე პერიოდი და შვებულების ვადის მოკლე პერიოდებად დაყოფა;

- მოთხოვნილების მგრძობიარობა ფასებთან შესაბამისობაში;

- სამომხმარებლო მოლოდინების ეფექტის გავლენა (ტურისტი ყოველთვის ელოდება უფრო კარგ შემთავაზებებს);

- ინდივიდუალური შეკვეთებით ორგანიზებულ ტურებზე მოთხოვნების ზრდა;

- აქტიური ტურიზმისადმი ინტერესის ზრდა.

ტურიზმისადმი ინტერესის ზრდისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს „ევროპა 2020“ სტრატეგიის ის ნაწილი, სადაც მდგრადი განვითარება ნიშნავს კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ორგანიზებას, რესურსების მიზანშეწონილად გამოყენებას, ასევე ევროპის ლიდერობის გამოყენებით ახალი ინოვაციური, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების და პროცესების გამოყენებას. ასეთი მიდგომა ევროკავშირს მიიყვანს ნაკლებად დაბინძურებულ, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ გარემომდე.

დღეისათვის ევროკავშირის ტურიზმის ინოვაციურ განვითარებას ეღობება აზიის, აშშ-ს, იაპონიის მხრიდან მზარდი კონკურენცია, ვალუტის კურსის გადაჭარბებული რყევა, ნავთობზე ფასების დაცემა, უსაფრთხოების მიმართ გაზრდილი მოთხოვნა; ამასთან ერთად, დარგის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი (განსაკუთრებით 2009 წელს), ბუნებრივი მოვლენები – კატაკლიზმები (მაგ., 2010 წელს ისლანდიაში ვულკანის ამოფრქვევამ სერიოზულად შეაფერხა ტურისტული მიმოსვლები ევროპის ქვეყნებში) და კლიმატის გლობალური ცვლილება.

ამგვარად, ევროკავშირში ტურიზმის სფეროს განვითარების მიზნით, ევროკომისია იძლევა წინადადებას – ყველა აუცილებელი ინოვაციური ღონისძიება დაიყოს 4 ჯგუფად:

1. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტიმულირება:

- ხელი შეეწყოს ტურიზმის მრავალფეროვან მიმართულებებს, როგორცაა კულტურული მემკვიდრეობა, თანამედროვე ხელოვნება, ბუნებრივი ნაკრძალები, საგანმანათლებლო, ისტორიული და გასტრონომიული ტურიზმი;

- ტურიზმის სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ. მობილური ტელეფონით დაჯავშნის ინტერნეტსერვისი;

- ტურიზმის ინდუსტრიის მუშაკთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;

- ტურისტული სეზონის გაზრდა, მაგ., დასვენების მსურველების შესახებ ინფორმაციის გაცემა ევროკავშირის ქვეყნებს შორის ე. წ. „დაბადალ“ სეზონში;

- მთელ ევროპაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების შეკრება, ევროკავშირის შიგნით ტურისტების მოთხოვნების უკეთესად შესწავლის მიზნით.

2. ხელი შეეწყოს მდგრადი, პასუხისმგებლიანი, მაღალხარისხიანი ტურიზმის განვითარებას:

- გარემოს დაცვას გაეწიოს მაღალი ღონის ხელშეწყობა;

- პასუხისმგებლობის გაზრდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე;
- მომსახურების სერვისის უშიშროების გარანტიები, განსაკუთრებით მოსუცებისა და უნარშეზღუდული ადამიანებისათვის.

3. ევროპის გაერთიანება მაღალხარისხიანი ტურისტული მიმართულების ერთიან სისტემაში:

- ტურისტულ მომსახურებათა ბაზარზე ევროპის ბრენდის შექმნა ევროკავშირის ყველა ქვეყნის ძალისხმევით;
- ტურისტული კომპანიების მიერ კლიენტების მოზიდვის ხელშეწყობა; ასევე საიტის „visiteurope.com“-ის ხელშეწყობა მასზე ძირითადი ევროპული მიმართულებების და ტურისტული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის ასახვის მიზნით.

4. ევროკავშირის საფინანსო და სხვა ინსტრუმენტების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება ტურიზმის განვითარებისათვის:

- საკანონმდებლო რეგულირების უზრუნველყოფა;
- ევროპაში ტურისტული მარშრუტების განვითარების დარგში მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ხელშეწყობა;
- სატრანსპორტო ქსელებისა და ტურისტული მარშრუტების კოორდინაცია.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირში ტურიზმის ინოვაციურ განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ეს განპირობებულია ტურიზმის, როგორც მომსახურების განსაკუთრებული სექტორის, უნიკალურობით, რომელიც ერთი მხრივ, ძალიან მგრძობიარეა ინოვაციებისადმი, მეორე მხრივ – ასრულებს „შუამავლის“ როლს ტერიტორიების ინოვაციური განვითარების საქმეში. ზოგადად, ევროკავშირი დაინტერესებულია თავის ინოვაციურ განვითარებაში და ამაში ხედავს საკუთარი ეკონომიკის გარდაქმნის ძირითად კურსს. საერთაშორისო ბაზარზე ევროკავშირის როლის განმტკიცების საქმეში უპირატესი როლი სწორედ ინოვაციური პოლიტიკის განვითარებას ენიჭება. ევროკავშირის ტურიზმის კონკურენტუნარიანობის დონე მსოფლიო არენაზე XXI საუკუნეში დამოკიდებულია ინოვაციური პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის დონეზე: ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ევროკავშირს, მიადწიოს თავის პირველ მნიშვნელოვან მიზანს: ერთიანი საერთო ევროპული ინოვაციური ზონის შექმნა მართვისა და კოორდინაციის მოქნილი სტრუქტურის მქონე ტურიზმის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Волков С.К., Попкова Е.Г. Единая политика Европейского союза в области туризма, Современная экономика: проблемы и решения. - 2010. №9 (9). С.8-16;
2. Гайдукевич Л., Туристская политика в расширенном Европейском союзе, Журнал международного права и международных отношений. - 2008. №4. С.38-41;
3. Политика ЕС в области туризма, monro-design.ru>2016/02/politika-es-v...turizma/;
4. Инновационное развитие индустрии... - 2015, scienceforum.ru>2015/1252/13942;
5. Ъ-Деньги - Туризм больших чисел kommersant.ru>doc/2821008, Лидеры США и стран ЕС;
6. Европа - направление №1 по туризму в мире?, EUlaw.ru>content/tourist-destination-1;
7. <http://www.kommersant.ru/doc/2821008>;
8. ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА ДЛЯ ОБЕСПЕЧЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА: ЦЕЛИ И ИНСТРУМЕНТЫ, CYBERLENINKA.RU;
9. <http://www.datscha-booking.com/173/agrotourismo.html>.

EU INNOVATION POLICY IN THE FIELD OF TOURISM

Annotation

The article is dedicated to the most actual problem of today – EU policy of innovation policy development of those sectorial structures which have great influence on the development of territorial innovative economies.

At present the world tourism development is realized by wide introduction of innovations that is one of the necessary conditions in general to develop modern economies of different countries. The article discusses the EU innovation policy in the field of tourism; are studied basic structural characteristics of EU innovation policy of tourism, economic indicators, economic factors and strategies of development; are also underlined main priorities of tourism development and those innovative tourism trends the promoting of which will play an important role in the improvement of EU innovation policy of tourism.

ქეთევან ქველადე

იტალიის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა

დღეს ეკონომიკური ინოვაციური ზრდა ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. ის აუცილებელია იმისათვის, რომ პასუხი გაცეს უკვე არსებულ და მუდმივად ცვალებად ახალ გლობალურ გამოწვევებს. ინოვაციები წამყვან როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდაში. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სახელმწიფოებს აყენებს სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების ახალი მექანიზმების გამოყენების, სიახლეების დანერგვის აუცილებლობის წინაშე. შედეგად, როგორც პასუხი თანამედროვეობის გამოწვევებზე, ყალიბდება რეგულირების ისეთი მექანიზმი, როგორცაა ინოვაციური პოლიტიკა.

ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა და მისი დანერგვის მოწინავე მექანიზმები წარმოადგენს არა მარტო კრიზისიდან გამოსვლის, არამედ საერთოდ ცოდნის მოწინავე ტექნოლოგიებისა და მაღალი კვალიფიკაციის კადრების გამოყენება ეროვნული მეცნიერებისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების საშუალებას იძლევა, მათ შორის საშუალო და მცირე საწარმოების, რაც დადებითად აისახება ქვეყნის იმიჯზე, მის კონკურენტუნარიანობაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ის გარემოება, რომ ევროკავშირმა და მისმა წევრმა - ქვეყნებმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად ინოვაციური პოლიტიკის განვითარება აღიარა და ამჟამად ის ხელმძღვანელობს „ევროპა 2020“-ის სტრატეგიით. მისი განვითარების დონე სამსაფეხურიანია: ევროპული, ეროვნული და რეგიონული.

ინოვაციური პოლიტიკა ასტიმულირებს ევროკავშირის წევრ - ქვეყნებსაც მაგ., ისეთ წევრ – ქვეყნას, როგორცაა იტალია. თანამედროვე იტალიის უნიტარული, საპარლამენტო რესპუბლიკა (ფართობი–301 230 კმ²) რანგირებულია როგორც მსოფლიოს 24-ე ყველაზე განვითარებული ქვეყანა და ცხოვრების ხარისხის ინდექსით შედის მსოფლიო ქვეყანათა ათეულში. წარმოადგენს ევროკავშირის ჩანასახის დამფუძნებელ წევრს და ევროზონის ნაწილს. იტალია ასევე არის დიდი რვიანის, დიდი ოციანისა და ნატოს წევრი. გააჩნია მსოფლიოში მესამე უდიდესი ოქროს მარაგი, მშპ-ის მერვე უდიდესი მანქანებელი მსოფლიოში, მეათე უდიდესი მშპ, და მეექვსე უდიდესი სახელმწიფო ბიუჯეტი. ის ასევე არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანი-

ზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, დასავლეთ ევროპის კავშირისა და გაეროს წევრი. იტალია ფლობს მსოფლიოში მეცხრე უდიდეს თავდაცვით ბიუჯეტს და მის ტერიტორიაზე განთავსებულია ნატოს ბირთვული იარაღი. იტალია გამოირჩევა ცხოვრების ძალიან მაღალი სტანდარტით და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი მაჩვენებლით. 2016 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე არის 29866,6 დოლარი, საერთაშორისო მონეტარული ფონდის – IMF-ის მონაცემებით 2016 წელს მშპ იტალიაში 1815,8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, ინვესტიციების % მშპ-დან – 16,8; ინფლაციის დონე – 99,9%; უმუშევრობის დონე – 11,9%; იტალიას გააჩნია ძლიერი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სამრეწველო მაჩვენებლების მიხედვით იგი სტაბილურად შედის მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების ათეულში. ქვეყანას გააჩნია კარგად განვითარებული სამეცნიერო პოტენციალი, ხოლო იტალიის მიღწევები კულტურის, განათლების, ტურიზმის და სპორტის სფეროში ყველასთვის ცნობილია. ყველაფერი ეს ერთად საშუალებას აძლევს ქვეყანას, გაატაროს აქტიური საგარეო პოლიტიკა. მონაწილეობა მიიღოს და ზემოქმედება მოახდინოს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

იტალიით დაინტერესებული ეკონომისტ-ექსპერტების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო 60-იანი წლების დასაწყისის „იტალიური ეკონომიკური სასწაულის“ პრობლემები – ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული უზარმაზარი განსხვავება, იტალიური საფინანსო სისტემის თავისებურებები და ა.შ.. თუ გავაანალიზებთ ქვეყნის ჩრდილო ნაწილს – იგი მაღალ-განვითარებული სამრეწველო სახელმწიფოა. რაც შეეხება სამხრეთს, იგი სრულად შეესაბამება სახელს, რომელიც მას შეარქვეს ძველმა ბერძნებმა – „ბოხოლების ქვეყანა“ – აქ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მისდევენ და მაღალია უმუშევრობის დონე. ქვეყნის ორ ნაწილს შორის ეკონომიკური განსხვავება დაიწყო ევროზე გადასვლის შემდეგ. ჩრდილო ნაწილში გაჩნდნენ და მუშაობენ ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორცაა Ferrari и Luxottica (სამხრეთში კი, იტალიის სტატისტიკის სახელმწიფო უწყების მიხედვით, შინამეურნეობათა 18% განიცდის წყლის მარაგის უქონლობის პრობლემასაც კი.) ეკონომიკური გარღვევის პიკი იყო 2014 წელი, როცა სამხრეთი რეგიონები თავისი განვითარების ქვედა ზღვარზე დაეშვნენ. 2007-2014 წლებში 943 ათასი უმუშევარი იტალიიდან – 70% სამხრეთზე მოდიოდა. მომუშავეთა საერთო რაოდენობა ამ პერიოდში 4%-ით შემცირდა, სამხრეთში კი – 10,7%-ით. სამხრეთ იტალიაში დასაქმებულობის მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში. ევროკავშირში იგი საშუალოდ 40%-ს უდრის, იტალიის ჩრდილოეთში – 64%. სამხრეთ იტალიის ქალი მოსახლეობის მხოლოდ 33%-ია დასაქმებული, მაშინ როცა საერთო მაჩვენებელი 50%-ის ტოლია (საბერძნეთშიც კი 43%-ია). ბრიტანული ჟურნალ The Economist-ის მონაცემებით, გასულ წელს უმუშევრობამ სამხრეთში 21,7% შეადგინა, ქვეყანაში საშუალოდ – 13,6%. ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რიცხვი 2007 წელს გაიზარდა შესაბამისად 3,3% და 5,8%-ით; 2013 წელს – 5,8% და 12,6%-ით. არსებულ მდგომარეობას აუარესებს ასევე შობადობის დაბალი დონე სამხრეთში, ასევე მიგრაციის მაღალი დონე ჩრდილოეთისაკენ ან უცხოეთში. 2001– 2013 წლებში 700 ათ. მეტმა სამხრეთელმა (მათგან 70% 15-დან 34-მდე წლისაა, ხოლო მეოთხედს გააჩნია უმაღლესი განათლების დიპლომი) დატოვა ქალაქები. არსებობს მოლოდინი, რომ 50 წლის განმავლობაში სამხრეთი დაკარგავს თავისი მოსახლეობის მე-5 ნაწილს, ანუ 4,2 მლნ ადამიანს. ნეგატიური დემოგრაფიული მაჩვენებლების ერთ-ერთი მიზეზი არის დაბალი მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ინვესტიციების დაბალი დონე. 2008-2013 წლებში ჩრდილოეთში ინვესტიციები შემცირდა 1/4-ით, ხოლო სამხრეთში – 1/3-

ით. იტალიის ზოგადი ეკონომიკური იდიკატორები მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

**იტალიის ეკონომიკური ინდიკატორები
(2011-2015 წლების მიხედვით) [5]**

ინდიკატორები	ნიშნულები										
	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობა, მლნ კაცი	58.1	58.1	58.1	58.1	58.1	58.1	61.0	61.3	61.5	61.7	61.9
მშპ ზრდის ტემპი იტალიაში, %	0.7	2.0	1.5	-1.3	-5.4	1.8	0.4	-2.4	-1.7	-0.4	0.8
სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები იტალიაში, %	-1.0	1.5	0.6	-2.8	-13.5	0.5	0.2	0.0	-2.7	-0.2	0.6
ინფლაცია, %	2.2	2.2	2.0	3.5	0.8	1.6	2.9	3.0	1.3	0.2	0.3
უმუშევრობის დონე, %	7.7	6.8	6.1	6.8	7.8	8.4	8.4	10.7	12.2	12.7	12.2
იტალიის სახელმწიფო ვალი % მშპ-თან	105.9	106.6	103.6	106.3	116.1	119.1	120.1	126.9	132.6	132.0	135.8
იტალიის ექსპორტის მოცულობა, მლრდ აშშ დოლარი	336.4	371.9	450.1	546.9	407.2	448.4	524.9	478.9	501.7	513.7	454.6
იტალიის იმპორტის მოცულობა, მლრდ აშშ დოლარი	329.3	369.2	445.6	546.9	403.9	473.1	549.6	453.5	453.6	448.4	389.2

ეკონომიკური ზრდა: რეალური მშპ-ის ცვალებადობის ტემპები მსოფლიო ბანკის მონაცემებით იტალიისათვის 1961-2015 წლების პერიოდის საშუალო მანვენებელმა 2,47% შეადგინა, მინიმუმი მოდის 2009 წელზე და უდრის -5,48%, მაქსიმუმი – კი იყო 1961 წელს – 8,21%. ევროკავშირთან მიმართებაში კი ეს მანვენებელი მე-2 ცხრილში ასე გამოიყურება.

ცხრილი 2

ევროკავშირისა და იტალიის მშპ-ის ზრდის ტემპები (%) [6]

წლები	ევროკავშირის მშპ-ის ზრდის ტემპი, %	იტალიის მშპ-ის ზრდის ტემპი %
2005	1.7	0.7
2006	3.1	2.0
2007	3.0	1.5
2008	0.8	-1.3
2009	-4.1	-5.4
2010	2.1	1.8
2011	1.7	0.4
2012	-0.3	-2.4
2013	0.2	-1.7
2014	1.4	-0.4
2015	1.8	0.8

იტალია სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკიდან ნელ-ნელა გადადის სამრეწველო ეკონომიკაზე. ბოლო წლებში ეკონომიკის სტრუქტურაში წამყვან როლს მომსახურების სფერო ასრულებს – მშპ-ის 68,2%; მრეწველობასა და მშენებლობას მშპ-ის 30% უკავია, სოფლის მეურნეობას კი – 3,3%. მოსახლეობის თვითდასაქმებულთა 68% დაკავებულია მომსახურების სფეროში, 28%– მრეწველობასა და მშენებლობაში, ხოლო 4% – სოფლის მეურნეობაში.

აღამიანთა პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით, The Economist-ის მონაცემებით, ქვეყანა ხასიათდება ცხოვრების მაღალი დონით და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-8 ადგილზეა. ხოლო, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით, რომელიც შეიმუშავა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (WEF) 2014-2015 წლებიდან 2016-2017 წლებში, იტალიამ მსოფლიოში 49-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე გადაინაცვლა, რითაც გაიუმჯობესა მდგომარეობა

ცხრილი 3

იტალიის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (2012 - 2016) [11]

წლები	რეიტინგი	ინდექსი
2012-2013	42	4,46
2013-2014	49	4,41
2014-2015	49	4,42
2015-2016	49	4,46
2016-2017	43	4,50

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კონკრეტული ინდიკატორები კი მე-4 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 4

იტალიის რეიტინგი და ნიშანი მსოფლიოში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორების მიხედვით (2012 - 2016) [11]

ინდიკატორები	რეიტინგი და ნიშანი მსოფლიოში									
	2012-2013		2013-2014		2014-2015		2015-2016		2016-2017	
1. მართვის ინსტიტუტების ხარისხი	97	3,56	102	3,50	106	3,37	106	3,42	103	3,47
2. ინფრასტრუქტურა	26	5,43	25	5,35	28	5,19	26	5,38	25	5,40
3. მაკროეკონომიკური სტაბილურობა	108	4,09	101	4,26	102	4,23	111	4,69	98	4,19
4. ჯანდაცვა და დაწყობითი განათლება	22	6,40	26	6,29	25	6,27	26	6,32	23	6,39
5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება	47	4,78	42	4,75	45	4,73	45	4,81	43	4,90
6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტურობა	73	4,30	87	4,17	65	4,29	71	4,29	67	4,34
7. შრომის ბაზრის ეფექტურობა	136	3,29	137	3,48	127	3,72	126	3,46	119	3,64
8. საფინანსო ბაზრის განვითარება	119	3,35	124	3,33	111	3,57	117	3,25	122	3,11
9. ტექნოლოგიური განვითარების დონე	38	4,82	37	4,71	40	4,71	37	4,90	40	5,03

10.	შიდა ბაზრის ზომა	12	5,57	10	5,61	10	5,63	12	5,61	12	5,58
11.	კომპანიათა კონკურენტუნარიანობა	25	4,79	27	4,74	28	4,75	24	4,84	25	4,84
12	ინოვაციები	35	3,73	38	3,69	36	3,73	32	3,86	32	3,93

იტალია ღვინის უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში; მას გააჩნია მსოფლიო ოქროს მარაგების 1/3; იგი ცნობილია ავტომობილების წარმოებით, ტანსაცმლის დიზაინით და ა.შ. იტალიაში კარგადაა განვითარებული ინოვაციური ბიზნესექტორი. ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერ მხარედ ითვლება ის დარგები, სადაც შენარჩუნებულია ოჯახური ბიზნესის ტრადიციები: ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება, რომლებიც, ასე თუ ისე, მიმართულია ინოვაციურობისაკენ და ამას განაპირობებს ამ დარგებში მრავალრიცხოვანი მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ფუნქციონირება. იტალიის ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტის (ISTAT) მონაცემის მიხედვით, ქვეყანაში არის 3,7 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებას დაახლოებით 80%-ით.

ღვინისა და იტალიის ეკონომიკა პრობლემებითაა დატვირთული: შენელებული ეკონომიკური ზრდა, დიდი სახელმწიფო ვალი, რეგიონული დიფერენციაცია, უმუშევრობა, საკმაოდ დიდი არაკანონიერი საქმიანობა, დაბალი ინოვაციური აქტიურობა, ინოვაციური რესურსების ნაკლებობა და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, იტალიაში არსებობს ინოვაციური სისტემა, სადაც დაგროვილია საწარმოების შიგნით ინოვაციური ცენტრების, ასევე დარგთაშორისი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრების შექმნის გამოცდილება.

იტალიაში ინოვაციური აქტიურობის შედარებით დაბალი დონე (იაპონია 54.5; ამერიკა 61.4) გამოწვეულია მთლიანად ქვეყანაში ინოვაციური განვითარების საერთო სიტუაციით: მშპ-ში დანახარჯები ინოვაციურ განვითარებაზე 1,1%-ს შეადგენს. Cornell University, INSEAD და WIPO-ის მონაცემებით იტალიის რესპუბლიკის გლობალური ინოვაციური ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 2011-2016 წლებში 45.4 პუნქტს შეადგენს. ინოვაციური ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2011 წელს იყო – 40.7 პუნქტი; ხოლო ყველაზე მაღალი – 47.9 პუნქტი 2013 წელს. ბოლო წლების მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი იზრდება და 2014 წელს იყო 45,7 (31); 2015წ. - 46,4 (31); ხოლო 2016 წელს კი - 47,2 პუნქტს (29) შეადგენს, თუმცა 2013 წლის მაჩვენებელს მაინც ვერ ასცდა. იტალიაში გლობალური ინოვაციების ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებლები, რომლებიც 142 ქვეყნიდან იქნა შესწავლილი და რომლის მიხედვითაც ინდექსაციას აწარმოებენ კორნელის ინსტიტუტი (Cornell University), მსოფლიო ბიზნესსკოლა (INSEAD) და ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (WIPO), 2011 - 2016 წლებისათვის მე-5 ცხრილში შემდგენიარად გამოიყურება.

ცხრილი 5

გლობალური ინოვაციური ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი იტალიაში (2011-2016) [8]

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსის რეიტინგი		36	29	31	31	29
ინოვაციურობის ინდექსი	40.7	44.5	47.9	45.7	46.4	47.2
დანახარჯები სკსსს-ზე პროცენტულად მშპ-თან	1.21	1.27	1.31	1.29		

ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი %-ულად საქონლის საერთო ექსპორტთან	2.1	1.86	1.75	1.67	-	-
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლარებში	31191.61	27525.72	29711.96	30744.97	26955.34	-
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	7.37	7.07	7.24	7.34	-	-
რეზიდენტების განაცხადი პატენტებზე	8794	8439	8307	8601	-	-

ბოლო წლებში ევროკავშირში მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული ინოვაციური განვითარების მახვენებლებზე „ცხოვრების შესახებ მეცნიერების“ დარგში, ბიო და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე. სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლის ამ სფეროს განვითარებას, იტალიის ეკონომიკის ზოგად პრობლემებთან ერთად, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, არის დამატებით კიდევ მაღალი ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება მრეწველობაში, ინოვაციურ განვითარებაზე სახელმწიფო დაფინანსების მოცულობათა შემცირება. სხვა ქვეყნებთან შედარებით – გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, არა მარტო დაბალია ინვესტიციები ინოვაციური განვითარებისათვის, არამედ სუსტია საპატენტო და ლიცენზირების სისტემა. ევროკავშირის ქვეყნები თავის მხრივ ჩამორჩებიან აშშ-ს და იაპონიას (2013 წელს 2.73% აშშ-ში; 2.47 იაპონიაში და 1.28% – ევროკავშირში). თავისი მახვენებლებით იტალია შედის ეკ-ის ზომიერი ინოვაციების ქვეყანათა ჯგუფში ესპანეთთან, ესტონეთთან, ჩეხეთთან, სლოვენიასა და კვიპროსთან ერთად.

ბოლო 3-5 წლის განმავლობაში ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა და მოწინავე ევროპული ქვეყნების ეროვნული ინოვაციების სისტემები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ეს გამოწვეულია არა მარტო გლობალური ფინანსურ-ეკოლოგიური კრიზისით, არამედ იმით, რომ შეიმჩნევა ახალი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო რევოლუციის ნიშნები, რაც დაკავშირებულია უახლესი ტექნოლოგიების: ნანო-, ბიო-, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და კოგნიტიურ (ინტელექტუალურ) ტექნოლოგიებთან, რომლებსაც NBIC-ტექნოლოგიების სახელი მიიღეს. ამ პერიოდს კი NBIC რევოლუციის პერიოდს უწოდებენ. მისი ძირითადი მახასიათებლებია NBIC-ტექნოლოგიების სინერგიული ეფექტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს წარმოების, განათლების, ვაჭრობის, კულტურის, სოციუმის განვითარებაზე, ადამიანის ფიზიოლოგიურ და კოგნიტიურ პოტენციალზე, საბოლოოდ კი – მთლიანად ეკონომიკაზე. თუ აქამდე ისეთი ქვეყნების, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ინოვაციური პოლიტიკა ეყრდნობოდა მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის შექმნას, ბოლო სიახლეების გათვალისწინებით თანდათან ქვეყნების ინოვაციური სისტემების შემუშავებისადმი მიდგომები შეიცვალა. იტალიაში წამყვანია ევროატლანტიკური მოდელი, იხ. სქემა1.

კრიტერიუმი	ვეროატლანტიკური
ძირითადი მოდელი	უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები
ინოვაციური ციკლების ეტაპები	სრული ინოვაციური ციკლი
სახელმწიფოს როლი	დახმარება კომერციალიზაციაში, დაფინანსების ინოვაციური პროექტები, საჯარო-კერძო პარტ-ნიორობის ხელშეწყობა ინოვაციების სფეროში.
სკსსს-ს დაფინანსების თავისებურებანი	სახელმწიფო გრანტების აქტიურად გამოყენება
ინოვაციური აქტივობის სტიმულირების მეთოდები	საკანონმდებლო (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა), ფინანსური, საგადასახადო
ქვეყნები	დასავლეთ ევროპის ქვეყნები (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია)

სქემა 1

იტალიის ეროვნულ ინოვაციური სისტემის (ეის) ვეროატლანტიკური მოდელი [12]

ვეროატლანტიკური მოდელი წარმოადგენს სრული ინოვაციური ციკლის მოდელს – იდეის გაჩენიდან საქონლის სრულ დანერგვამდე მასიურ წარმოებაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ამ მოდელს იყენებენ, როგორც წესი, სრულადაა წარმოდგენილი ეროვნული ინოვაციური სისტემის ყველა ელემენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, სკსსს, საცდელი მოდელების დამუშავება და მათი დანერგვა წარმოებაში. შესაბამისად ამ ქვეყნებში სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციას, ფინანსირების, კერძოდ, გრანტების მინიჭებით უნივერსიტეტებთან და აკადემიურ დაწესებულებებთან სამეცნიერო-კვლევითი პროფილის კომპანიების შექმნის სტიმულირებით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეის-ის ბირთვს ფაქტობრივად წარმოადგენენ უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები. მაგ., იტალიაში ეს არის ეის-ის კონცენტრაცია მსხვილი უნივერსიტეტების გარშემო, სადაც გამოიყენება ინოვაციური აქტივობის საკანონმდებლო (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის), ფინანსური, საგადასახადო მეთოდები. სახელმწიფო სამეცნიერო კვლევების სისტემაში მონაწილეობენ უნივერსიტეტები (65), სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (70), სახელმწიფო და ადგილობრივი ლაბორატორიები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. კანონმდებლობის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევებზე, ფინანსირებაზე განაცხადების მიღებას აწარმოებს განათლების, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევების სამინისტრო. უმაღლეს დონეზე კი ქვეყანაში ამ სფეროს უძღვება მინისტრთა საბჭო და ეკონომიკური დაგეგმარების უწყებათაშორისი კომიტეტი (CIPE). წარმატებული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად იტალიის მთავრობა შეიმუშავა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს:

– 2012-2014 წლებისთვის ეროვნული სამეცნიერო - კვლევითი პროგრამა (PNR), სადაც ჩართულია რამდენიმე უახლესი ამოცანა და მიზანი, კერძოდ მეცნიერებათა კანდიდატების რიცხვის და მათი „ინტერნაციონალურობის“ ზრდა; სტუდენტების რიცხვის ზრდა უნივერსიტეტების სამეცნიერო ფაკულტეტებზე; სამეცნიერო-კვლევითი სააგენტოების პროფესიული დონის გაძლიერება და ამ მიზნით ტრადიციული ფონდების სისტემის (Fondo Ordinario) გამოყენება; მრეწველობის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების ფისკალური მოტივაცია; ადამიანური კაპიტალის ზრდის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, უპირველესად ინოვაციურ სფეროში; ეკონომიკური სისტემის ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესება.

– სამეცნიერო და ინოვაციების პოლიტიკას დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციების, ზრდისა და დასაქმების პროგრამაში – (PICO). მასში გათვალისწინებულია 12 სტრატეგიული ინიციატივა, მიმართული ეის-ის რეფორმირებისაკენ. პროგრამის ძირითადი თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმების დამუშავებას ჯანდაცვის, ტურიზმის და მოსახლეობის საინფორმაციო მობილურობის სისტემებისათვის, 12 ერთობლივი სახელმწიფო-კერძო ლაბორატორიის შექმნა სამეცნიერო დიაგნოსტიკის, მზის ენერჯეტიკის, ბიოტექნოლოგიების, გენომიკის და სხვა დარგებში სამეცნიერო კვლევების ჩატარების მიზნით.

იტალიის განათლების, უნივერსიტეტების და სამეცნიერო კვლევის სამინისტრო (MIUR), რომელიც დაფუძნდა 1989 წელს, აფინანსებს: უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას იმ სახსრების მეშვეობით, რომლებიც თავმოყრილია უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთობლივი ფინანსირების ფონდში (COFIN); სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და ასტრონომიულ ლაბორატორიას, კერძოდ ასტროფიზიკის ეროვნულ ინსტიტუტს (INAF); ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და საერთაშორისო პროგრამებს, საბაზო გამოკვლევათა საინვესტიციო ფონდს (FIR); გამოყენებით გამოკვლევათა ფონდს (FAR) და სპეციალურ ინტეგრაციულ სამეცნიერო-კვლევით ფონდს (FISR); ქვეყნის სამხრეთ რეგიონების სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს; სამეცნიერო კულტურის გავრცელების ფონდი (PUS); MIUR-ი აფინანსებს არა მარტო სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, არამედ კერძო სამეცნიეროცენტრებს, ინოვაციურ ფორმებს სპეციალური ფონდების მეშვეობით. MIUR-ის ფუნქციებში შედის მთელი რიგი პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, როგორცაა სტრატეგიული კვლევების ხანგრძლივი პოლიტიკა; ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული ფონდების ოპერატიული პროგრამები; უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო კვლევების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები და ა.შ..

ბოლო პერიოდში გაჩნდა ახალი თემატური მიმართულებები და პროექტები ნანოტექნოლოგიების, ნანომეცნიერების, ახალი მასალებისა და საწარმოო ტექნოლოგიების სფეროში. გვემის მიზნები და ამოცანები განაპირობებს სამთავრობო ორგანოების მუშაობას ეროვნული სამეცნიერო ბაზის გასაძლიერებლად; საწარმოო ტექნოლოგიების განვითარება ქვეყნის მრეწველობის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად; იტალიის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური სისტემის ადგილისა და როლის გასაძლიერებლად ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამებში. ტრადიციულად PNR იქმნება 3 წლით, მაგრამ კორექტირდება და ახლდება ყოველწლიურად აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ორგანოებით: განათლების სამინისტროს (MIUR) და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (MED) მიერ.

იტალიაში, უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით სამეცნიერო-კვლევით და ინოვაციურ სექტორში, ასევე ამ დარგში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის, პირველ რიგში ევროკავშირის ჩარჩოებში, შეიქმნა ევროპული კვლევების ხელშეწყობის დამოუკიდებელი სააგენტო (APRE). მისი ბიუჯეტი ყოველწლიურად 1.2 მლნ ევროს უდრის, მის შემადგენლობაში 78 წევრია (უნივერსიტეტები, კომპანიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სამრეწველო ასოციაციები, სამეცნიერო პარკები, საფინანსო ინსტიტუტები და სხვ.). მისი ძირითადი ამოცანაა – იტალიის მონაწილეობის გაზრდა ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამებში, ინფორმაციის მიწოდება მცირე მეცნიერებატეკვადი ბიზნე-

სისათვის ევროპული პარტნიორობისა და ინოვაციური პროექტების შესახებ, ამ ბიზნესის მცირე ფორმების ფინანსირება და ა.შ.

უმაღლესი განათლების მქონე გამომგონებელთა წილი იტალიაში ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ევროპაში და უდრის 56.7%-ს, სამეცნიერო ხარისხის მქონე გამომგონებლების წილი მხოლოდ 3,1%-ია (2012-2013); მაგალითისთვის იგივე მაჩვენებელი გერმანიაში შესაბამისად 85,3% და 35,2%-ის ტოლია.

უმაღლესი განათლების დონისა და ხარისხის ასამაღლებლად იტალიის მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა უნივერსიტეტების რეფორმა როგორც საუნივერსიტეტო განათლების მიღებისა და ამაღლების, ასევე იმ სტუდენტების შემცირების მიზნით, ვინც მიატოვა უმაღლესი განათლება.

იტალიაში ინოვაციები იწვევება განათლების დარგში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც პრაქტიკაში დანერგა ბოლონის პროცესის სტანდარტები, ასევე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების კრედიტირების ევროპული სისტემა.

მთავრობის 2003 წლის დადგენილებით უმაღლესი სასწავლებლების მკვლევარებისა და პროფესორების სტატუსის შესახებ, უნივერსიტეტებს მიეცათ უფლება, ავტონომიურად განსაზღვრონ ერთობლივი კვლევების ჩატარების მექანიზმები, რამაც აღნიშნულ მკვლევარებს საშუალება მისცა, დროის ნაწილი იმუშაონ კერძო კომპანიებში, მაგრამ, ამასთან, შეინარჩუნონ უწყვეტი სტაჟი უნივერსიტეტებში.

როგორც ცნობილია, ფუნდამენტური მეცნიერების დარგში კვლევები წარმოუდგენელია სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე. იტალიაში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა სპეციალისტებს. ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნა ინოვაციური ცენტრი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს, დააფუძნონ საკუთარი საწარმოები თავისი საქმიანობის საწყის ეტაპებზე. ასეთი საწარმოები იღებენ შეღავათიან კრედიტირებას და გადასახადებს. წელიწადში ერთხელ ახალგაზრდა ინოვაციური საწარმო წარადგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.

იტალიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სხვადასხვა ინოვაციური სტრუქტურები (**ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, ტექნოპოლისები** და სხვ.). ქვეყანაში შექმნილია 23 ტექნოპარკი (აქედან 4 (Area ტრუსტსა და RAF მილანში, VEGA ვენეციაში და Environment park ტურინში), ისინი მოიცავენ იტალიური ტექნოპარკების ნახევარზე მეტ რეზიდენტებს. პერსონალის მიხედვით ყველაზე მსხვილია Tecnopolis, Abruzzo Science Park и Pastis. აქ მუშაობს იტალიური ტექნოპარკების პერსონალის თითქმის 75%. იტალიის ტექნოპარკები თავის რეზიდენტებს სთავაზობენ მომსახურებათა საკმაოდ ფართო წრეს. ტექნოპარკების თითქმის 18% უზრუნველყოფს თავიანთ კომპანიებს დახმარებით ადმინისტრაციული და იურიდიული მართვის სფეროში. იტალიური **ბიზნესინკუბატორების** რეზიდენტების მხოლოდ 30% წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს. დღეს ბიზნესინკუბატორების 78,3% ახორციელებს მომსახურებას განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში; 78,3% – მარკეტინგულ მომსახურებას და 65,2% ეხმარება რეზიდენტების პროდუქციის წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ბიზნესინკუბატორების კომპანიების ნახევარზე მეტი იღებს სახელმწიფო სუბსიდიებს.

იტალიაში დღესათვის შექმნილია 12 ტექნოლოგიური ოლქი, სადაც რეგიონული მთავრობებსა და სამინისტროებს შორის ინოვაციური განვითარების დარგში ხელშეკრულებების საფუძველზე გაერთიანებულია უნივერსიტეტები, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და კერძო საწარმოები. ამასთან, საბაზო დანახარჯები ანაზღაურდება შესაბამისი სამინისტროების

ბიუჯეტიდან. კერძო საწარმოების გადასახადები მცირდება ინოვაციური განვითარების დანახარჯების 10%-ის ოდენობით და ისინი თავისუფლედებიან საწარმოო საქმიანობაზე რეგიონული გადასახადებისაგან 5 წლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერ-მკვლევარების ოდენობა სექტორთან შედარებით პრაქტიკულად 2-ჯერ შემცირდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის საერთოდ. იტალიაში 70 ათასზე მეტი მეცნიერ-მკვლევარია. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი სხვა ქვეყნებთან (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა) შედარებით საკმაოდ დაბალია. მეცნიერთა რაოდენობა სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაში კიდევ უფრო ნაკლებია ფინეთში, შვეციაში, შვეიცარიაში, დანიაში, იაპონიაში, ნორვეგიაში და სხვ. იტალიაში ეს მაჩვენებელი უდრის 0,673%, მაგ., ფინეთში – 2,229%, შვეციაში – 1,623%.

MIUR-ი აფინანსებს სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას ფინანსირების სპეციალური ფონდების და PNR-ის პროგრამების პროექტების შექმნით. ამ ფონდებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1. უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევების ფონდი (COFIN);
2. სახელმწიფო სამეცნიერო კვლევების განმახორციელებელი სააგენტოების ფონდი;
3. გამოყენებითი კვლევების ფონდი (FRA);
4. საბაზო კვლევების საინვესტიციო ფონდი (FIRB);
5. სამეცნიერო კულტურის გამავრცელებელი ფონდი (PUS);

PNR-ის გეგმის შესაბამისად, ფინანსირების მიმართულებებში შრდის: სტუდენტებისა და მეცნიერებათა კანდიდატების მომზადებისათვის გრანტების რაოდენობისა და ოდენობის ზრდა ცოდნის პრიორიტეტულ დარგებში; სახელმწიფო პროექტების შიგნით საბაზო კვლევების ფინანსური ხელშეწყობა (Cofin); ურთიერთობების ჩამოყალიბება ჩვეულებრივ ფონდებს, უნივერსიტეტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის; FIRB-ის სპეციალურ პროგრამებზე ორიენტირებული სტრატეგიული საბაზო კვლევების ფინანსური ხელშეწყობა; სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაცია; ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამებში იტალიის მონაწილეობის ფინანსური ხელშეწყობა და სხვ. ზოგიერთი ფონდი აფინანსებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებს; ასევე გამოყოფენ სახსრებს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს (მოიცავს დაახლოებით 70 ინსტიტუტს, რომლებსაც როგორც MIUR-ის, ისე ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები მართავენ), რომლებიც არ მიეკუთვნებიან უნივერსიტეტებს. იტალიაში ინოვაციური განვითარების სტიმულირების სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ინსტრუმენტებია – სამეცნიერო კვლევების სტიმულირების ფონდი (FAR), განათლების სამინისტროს (MIUR) მმართველობით და ტექნოლოგიური ინოვაციების ფონდი (Fondo per l'Innovazione Tecnologica – FIT) ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (MED) ხელმძღვანელობით.

გაეროს მონაცემებით, დანახარჯებმა მშპ-ში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე, იტალიისათვის საშუალო მაჩვენებელმა 1996 წლიდან 2014 წლამდე შეადგინა 1,11%; მინიმუმი იყო 1996 წელს – 0,95%, მაქსიმუმი 2013 წელს – 1,31%. 2014 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1,29%.

იტალია არის ტექნოლოგიური მიღწევების საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის აქტიური წევრი, მაგრამ, როგორც მხოლოდ იმპორტიორი. უმეტესწილად იმპორტი გამოიხატება აშშ-დან ლიცენზიებისა და „ნოუ-ჰაუს“ შემოტანაში. ამ მაჩვენებლით იტალია დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ წამყვან

ადგილს იკავებს. ხოლო ეროვნული ექსპორტის ინოვაციურობის მაჩვენებლების მიხედვით იტალია განეკუთვნება „დაბალი“ მაჩვენებლის მქონე ქვეყანათა ჯგუფს – ხორვატია, ფინეთი, ლიტვა, სლოვენია, რუმინეთი და სხვა ქვეყნებთან ერთად.

ადგილობრივი რეზიდენტების მიერ განაცხადები პატენტებზე: The World Intellectual Property Organization-ის მონაცემებით, 1960-2014 წლების საშუალო მაჩვენებელი იყო 7142,76 პატენტი; მინიმუმი მოდის 1985 წელზე 2000 პატენტით, ხოლო მაქსიმუმი – 2007წ. 9 255 პატენტით. 2013-2014 წლებში იგი შეადგენდა 8 307 და 8 601 პატენტს შესაბამისად. პატენტების ძირითადი ნაწილი მოდის მანქანათმშენებლობაზე, ელექტროტექნიკაზე და ქიმიურ მრეწველობაზე. დიდი ხნის განმავლობაში ქვეყანა სკსსს-ს სფეროში ორიენტირებული იყო გამოყენებითი დარგის კვლევებზე და ეყრდნობოდა მხოლოდ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. სხვა ქვეყნებთან შედარებით იტალიაში ნაკლებადაა განვითარებული სკსსს-ს ბაზა, რაც აისახება ქვეყნის საწარმოო სპეციალიზაციაზე. ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლამ და კონკურენციის ზრდამ მსოფლიო ბაზარზე, გამოიწვია საკუთარი სკსსს აქტივიზაცია, თუმცა იტალია დღეს საკმაოდ ჩამორჩება ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებს. სამეცნიერო კვლევებზე ძირითად დანახარჯებს სახელმწიფო და სახელმწიფო კომპანიები ეწევიან. თვითონ გამოყოფილი საშუალებების მხრივ კი ქვეყანაში ადგილი აქვს მათ დაქუცმაცებას და განაწილებას მრავალი მიმართულებით.

იტალიაში ინოვაციების მენეჯმენტი ითვალისწინებს ისეთი სპეციალიზაციების მქონე ადამიანების მჭიდრო თანამშრომლობას, რაც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია. მათი ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობს განსაკუთრებული ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით, რომელმაც იტალიაში „პლატფორმის“ სახელწოდება მიიღო. „პლატფორმის“ ფარგლებში გარკვეული ინოვაციური პროექტის განსახილველად ერთად იკრიბებიან ინჟინრები, ტექნოლოგები, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების წარმომადგენლები და საწარმოს ადმინისტრაცია. „პლატფორმის“ კავშირს ხელმძღვანელობასთან ახორციელებს პირი ე.წ. „შუამავალი“ (connector), რომლის ამოცანას წარმოადგენს პროექტის ობიექტური შეფასება და მისი წარდგენა ხელმძღვანელობასთან.

იტალიაში ითვლება, რომ თუ 20 საწარმოდან 6-მა შეძლო შემდგომი განვითარება, ეს საუკეთესო შედეგია. მრეწველობა აქ ორგანიზებულია ისე, რომ სამრეწველო გიგანტებს მჭიდრო კავშირი აქვთ საშუალო და მცირე ბიზნესთან. მაგ., ავტომობილი „FIAT“-ის საკომპლექტაციო ნაწილებს აწარმოებენ ფირმები, რომლებიც არ შედიან კონცერნის შემადგენლობაში. მსხვილ საწარმოს თუ გააჩნია მძლავრი სტრუქტურა და დიდი საწარმოო რეზერვები – დაცულია გარე ეკონომიკური ფაქტორებისაგან. მცირე საწარმო კი, თავის მხრივ, უფრო მოქნილად რეაგირებს ბაზრის ცვალებადობაზე, ადვილად სამართავია და ამიტომაც აქ ადვილად შეიძლება განხორციელდეს ინოვაციური პროექტები. აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ იტალიის სპეციალური. სამრეწველო ზონები ხელს უწყობენ, პირველყოფისა, საშუალო და დაბალტექნოლოგიური მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, რომლებიც ეკონომიკის მაღალ ტექნოლოგიური დარგების განვითარების ლოკომოტივები ხდებიან. ზოგიერთი შეფასების თანახმად, რეგიონული სამრეწველო ზონების ყველა რეზიდენტის 70%-მდე არის კომპანიები პერსონალის 100 კაცამდე რაოდენობით. ამ ფირმების ნახევარში დაახლოებით 10 კაცი მუშაობს. იტალიური სპეციალური სამრეწველო ზონების ძირითადი განსხვავება აშშ-ს და იაპონიის ანალოგიური ზონებიდან არის ინოვაციური საქმიანობის გაურკვევლობის დონის მინიმუმისაკენ სწრაფვა, რითაც აიხსნება მათი უპირატესი ორიენტაცია შედარებით დაბალტექნოლოგიური წარმოების დარგებზე. სწორად

ხდება ისეც, რომ მცირე და საშუალო მაღალტექნოლოგიური კომპანიები – რეგიონული სამრეწველო ზონების რეზიდენტები – ყურადღების კონცენტრაციას ახდენენ ლოკალური ბაზრის მოთხოვნად ინოვაციებზე. მაგრამ ბაზარზე ინოვაციური საქონლის გატანის, გაყიდვების საჭირო ბრუნვის მიღწევების შემდეგ ისინი მოექცევიან მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების ყურადღების ქვეშ, რომლებიც შეისყიდიან უფლებებს მათ ინოვაციურ პროდუქციაზე ანდა ახორციელებენ ინვესტიციებს მათი თანდათანობით შთანთქმის მიზნით.

იტალიის სტატისტიკის (ISTAT) მონაცემებით, სამრეწველო დარგის ფირმების ძირითადი ხარჯები ინოვაციებზე თავმოყრილია ტექნოლოგიური ინოვაციების, ქიმიის, ფარმაცევტიკის, ტექსტილის, საავტომობილო მრეწველობის, მეტალურგიის, ტრანსპორტის და ტურიზმის სფეროში. 1990 წელს ტურიზმისათვის ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად შეიქმნა მიზნობრივი ინოვაციური სტრატეგია – მარკეტინგი პროდუქციისათვის. მისი მიზნი იყო ისეთი ტურისტული პროდუქციის შექმნა და რეალიზება, რომელიც ასახავდა ტურისტულ თავისებურებებს, ადგილობრივი სპეციფიკის შესამუშავებლად გარესამყაროს ფასეულობებთან. ამ სტრატეგიის შემუშავებამ გამოიწვია ასოციაციების შექმნა სახელწოდებით „პროდუქტის კლუბი“. ეს არის ბაზარზე პროფესიულად მოქმედი სხვადასხვა წევრებისა და ტურისტული გაერთიანებების ნებაყოფლობითი ჯგუფები, რომელთა მიზანს წარმოადგენს სპეციფიკური ტურისტული პროდუქტის შეთავაზება: გაჯანსაღება, დასვენება მთებში, ტბაზე, ზღვაზე; კულტურულ-ისტორიულ ფასეულობების გასტრონომიული თავისებურებების გაცნობა და სხვ. იტალიაში ტურისტული ინოვაციების ფართოდ დანერგვის მიზნით დღეისათვის მიღებულია კანონი „ტურიზმის ეროვნული კანონმდებლობის რეფორმის შესახებ“. ამ კანონით ტურისტული საწარმოები გაუტოლდნენ სამრეწველო საწარმოებს, მათზეც ვრცელდება შეღავათები, სუბვენციები, სტიმულები და ყველა სახის უპირატესობები, რომლებიც მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებულია სამრეწველო დარგებისათვის, რა თქმა უნდა, ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში. ახალი საკანონმდებლო ნორმა მიმართულია ტურისტული დარგის სტიმულირებისაკენ. ადგილობრივი ტურისტული სისტემები ისე უნდა იყოს ორგანიზებული და იმართებოდეს, რომ აუცილებლად იყოს გათვალისწინებული ტერიტორიის თვითმყოფადობა, ანუ ცხოვრების წესი, სახალხო ტრადიციები, ხელობა, გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები.

მეტად საყურადღებოა და საინტერესო იტალიის საპატენტო-სალიცენზიო კანონზომიერება ინტელექტუალური ქონების დაცვის დარგში და საგადასახადო პრივილეგიები ინოვაციური საქმიანობის განხორციელების დროს. იტალიაში არსებობს ინტელექტუალური ქონების დაცვის სხვადასხვა დოკუმენტი. მათ შორის გამოვყოფდით: იტალიის სამოქალაქო კოდექსი, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, სამრეწველო ქონების კოდექსი, საავტორო უფლებების კოდექსი, „გაკეთებულია იტალიაში“.

ინოვაციური საქმიანობის დასაცავად არსებულ საგადასახადო პრივილეგიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 3 ძირითადი მეთოდი: საგადასახადო სტიმულები; სტიმულირება საამორტიზაციო პოლიტიკის მეშვეობით (დამოუკიდებელი მექანიზმი); პიდაპირი საბიუჯეტო დოტაციები კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებას.

საგადასახადო ხელშეწყობის უპირატესობა იმაშია, რომ იგი გაცივმა არა ავანსად, არამედ რეალური ინოვაციებისათვის. იგი ხორციელდება საშემოსავლო გადასახადიდან ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით 110%-ის ოდენობით, რაც უმეტესობა ქვეყნების მანევრებლბზე მაღალია (მხოლოდ ავსტრალიაშია მეტი). საგადასახადო შეღავათები სკსს-ზე იტალიაში საკმაოდ

საგრძობია. მაგ., სკსს-ზე გაწეულ ყოველ 100 დოლარზე 25 დოლარი საგადასახადო კრედიტია.

კერძო საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას, თავისუფლდებიან საწარმოო საქმიანობის რეგიონული გადასახადებიდან 5 წლის განმავლობაში, მცირე საწარმოებისათვის შექმნილია კიდევ უკეთესი პირობები კაპიტალის გაზრდის მიზნით.

ფინანსების შესახებ 2000 წელს მიღებული კანონის მიხედვით საგადასახადო შედავათები მიეცემათ იმ კომპანიებს, რომლებიც უფასოდ უზრუნველყოფენ თავიანთ თანამშრომლებს კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით.

საწარმოო ფონდების განახლების სტიმულირებისათვის იტალიაში გამოიყენება მოწილობილობების დაჩქარებული ამორტიზაცია. მაგ., დაწესებულია ამორტიზაციის 5 წლიანი ვადა იმ დანადგარებისა და მოწყობილობებისათვის, რომლებიც გამოიყენება სკსს-თვის და რომელთა ექსპლუატაციის ვადა 4 წელზე მეტი და 10 წელზე ნაკლებია.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ან მათი სრულყოფა, ახალი სახის ნედლეულისა და მასალების შექმნა წარმოადგენს ძირითად საფუძველს საინვესტიციო საგადასახადო კრედიტების მისაღებად. ალბათ, ეს ინოვაციური პროცესის სტიმულირების ერთადერთი შემთხვევაა დასავლეთის კანონმდებლობაში.

ასევე შეიმჩნევა აქცენტი მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის განვითარების სტიმულირებისაკენ, რადგანაც სწორედ მცირე მეცნიერებატევადი საწარმოებისათვის არის განსაზღვრული საგადასახადო შედავათების, ინვესტიციური საგადასახადო კრედიტების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ბოლო პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს ეროვნული ინოვაციური სისტემების ერთობლივ ინოვაციურ სისტემებად გადაქცევის პროცესი ევროკავშირის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია აღნიშნული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნულ ინოვაციათა სისტემებში „სამმაგი სპირალის“ ჩართვის ტენდენცია. ხელშეკრულების მონაწილეები ასრულებენ ურთიერთდანამატის ფუნქციას სამეცნიერო-კვლევითი წარმოებისა და შედეგების კომერციალიზაციის პროცესში. ასეთ ხელშეკრულებებს უწოდებენ სტრატეგიულ ან სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ალიანსს – სტა. თუ ალიანსის რომელიმე პარტნიორი უცხოეთიდანაა, მაშინ იგი ხდება საერთაშორისო. ალიანსის ყოველ მონაწილეს შეაქვს თავისი წილი მის ხელთ არსებული ინტელექტუალური ან მატერიალური რესურსების სახით. შედეგების მიღების შემდეგ კი, არსებული მოლაპარაკების შესაბამისად იღებს ინტელექტუალური ქონების გარკვეულ წილს. სტა-ბის შექმნის სურვილს უფრო მეტად გამოხატავენ მცირე და საშუალო კომპანიები, რომელთაც არ გააჩნიათ დიდი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრები, ძვირად ღირებული მოწყობილობები. ისინი ხელშეკრულებას აფორმებენ ერთმანეთს შორის ან მსხვილ ფორმებთან.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში იტალიის მთავრობა ეძებს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის და სტიმულირების უფრო მეტად ეფექტურ მეთოდებს, რათა ინოვაციური პოლიტიკის ბაზრებზე დაიკავოს მოწინავე ადგილი. ეროვნული ინოვაციური პოლიტიკისა და შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ფარგლებში იტალიაში აქტიურად ვითარდება საერთო ეროვნული პრიორიტეტების მიზნებისა და ამოცანების ინტეგრაცია და ურთიერთკოორდინაცია სისტემურ ჯაჭვში: „განათლება-მეცნიერება-ტექნოლოგიები-მრეწველობა“, რაც ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის აუცილებელი და ძირითადი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Италия – Обзор экономики. www.ved.gov.ru > Страны мира и торгпредства > Италия > О стране;
2. Вести Экономика — Италия: одна страна, две экономики www.vestifinance.ru/articles/57479Италия: одна страна, две экономики. Распечатать. 19.05.2015;
3. Экономика Италии: разрыв между севером и югом - Nyser nyser.com.ua/.../ 11 дек 2015 ... Экономика Италии;
4. Минус остров: экономика Великобритании и Евросоюза в цифрах www.forbes.ru/.../ 25 июн 2016 ... Forbes сравнил экономики Соединенного;
5. Экономика Италии: Экономические показатели www.ereport.ru/stat.php?razdel=country&count=italy;
6. <http://www.ereport.ru/stat.php?razdel=country&count=eu>;
7. Италия Индекс инновации - данные, диаграмма ru.theglobaleconomy.com >Italy/GII_Index/;
8. Инновационная политика Италии - Скачать Реферат... SkachatReferat.ru >referaty/Инновационная...Италии...;
9. <http://catalog.fmb.ru/italy2010-8.shtml> Главная > Италия (2010 г.) > Место Италии в международном разделении труда;
10. Италия относится к числу европейских стран... zadocs.ru >Экономика >28342/index.html;
11. The Global Competitiveness Report 2015–2016 - weforum.org - World ... www3.weforum.org/docs/.../2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016....;
12. Национальные инновационные системы крупных западноевропейских стран (Великобритания, Германия, Франция, Италия), РЕФЕРАТ, Учебный предмет: Экономика и управление инновациями, Минск 2015. <http://www.allbest.ru/>;
13. Л.Н. Дробышевская, Е.В. Аретова, Институциональное взаимодействие государства и бизнеса в инновационной сфере Италии, Кубанский государственный университет© 2014 г.;
14. Индекс глобальной конкурентоспособности (Global...) finansopedia.ru ...globalnoj ... competitiveness-index.

Ketevan Kveladze

INNOVATION POLICY OF THE ITALIAN REPUBLIC

Annotation

The present article is dedicated to the development of one of the most significant problems of modern world, such as the use of innovations, advanced mechanisms to develop and implement the newest technologies in state development of economies and national sciences of various countries. The support of innovation policy regulation is the necessary condition to promote the image of the country and improve their competitiveness. Innovation policy provides impetus for EU member states, too.

The article deals with main aspects of innovation policy development of Italian economy – one of the founding member of EU. Are studied principle strategies of state innovation policy. The model of development of national innovation economy, management methods of national innovation system, structural forms of management. Are also discussed the state innovation programs of Italy and their role in the development of national economy. Is discussed a wide

spectrum of financing the activity of educational scientific – research basis, necessary for the development of manufacturing technologies and for strengthening the place and role of national scientific – research and innovation system of Italy in EU framework programs. Here are analyzed various legal, patent and license regularities and tax privileges during innovation activity. There are given the results of indexation of annual competitiveness and innovations done by international organizations and their estimations given to Italy.

The article is worked out on the basis of the analysis of main economic indicators and other statistical materials of Italy.

პრობლემა 4.

გიორგი ბერულავა
თეიმურაზ გოგობია

ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა

1. მეწარმეობის განვითარების პრობლემები ევროკავშირში

მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაცია იწვევს მნიშვნელოვან ძვრებს რესურსებისა და ენერჯის მიწოდებაში და ცვლილებებს ევროკავშირის კომპანიების ხარჯების სტრუქტურაში. როგორც შედეგი, ევროკავშირის ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული სირთულეები მეწარმეობის კონკურენტუნარიანობისა და ზრდის მაღალი დონის უზრუნველყოფაში. 2008 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მხოლოდ გააღრმავა ეს პრობლემები. კერძოდ, კრიზისმა არსებითად გააუარესა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაცია იმით, რომ გამოიწვია მაღალი დონის უმუშევრობა და შეამცირა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მცირე და საშუალო ბიზნესის) შედეგიანობა.

ზრდისა და დასაქმების მაღალი დონეების უზრუნველსაყოფად ევროკავშირმა შეიმუშავა ზომები და მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე მეწარმეთა რიცხოვნობის გადიდებით და მეწარმეობის ზრდის უზრუნველყოფით.

მეწარმეობის განვითარების უამრავი სარგებელი შესაძლოა შეჯამდეს შემდეგნაირად:

- მეწარმეობა ქმნის ახალ კომპანიებს და სამუშაო ადგილებს, წარმოაჩენს ახალ ბაზრებს, წარმოქმნის ახალ უნარ-ჩვევებს და ამ გზით ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. ახალი კომპანიები (განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოები) წარმოადგენენ ახალი დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს;

- მეწარმეობა გულისხმობს მეტ ახალ და წარმატებულ ფირმებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, მიიღონ სარგებელი ბაზრის გახსნით და დაიწყონ შემოქმედებითი ან ინოვაციური სარისკო საქმიანობა კომერციული ექსპლუატაციისთვის უფრო ფართო მასშტაბით. ეს, თავის მხრივ, აყალიბებს უფრო კონკურენტუნარიან და ინოვაციურ ეკონომიკებს;

- ახალი იდეების კომერციალიზაციის მეშვეობით მეწარმეობა აუმჯობესებს პროდუქტიულობას და ქმნის სიმდიდრეს¹¹.

ეკონომიკური განვითარებისთვის მეწარმეობის მნიშვნელობის მიუხედავად, აშშ-სა და განვითარებად ბაზრებთან შედარებით, ევროკავშირში ახლად დაარსებული კომპანიების ზრდის ტემპი გაცილებით უფრო დაბალია¹². ანალოგიურად, აშშ-სა და ჩინეთთან შედარებით, ევროკავშირში თვითდამსაქმებელთა წილი გაცილებით დაბალია და ეს მაჩვენებელი უარესდება¹³. ევროკავშირის სამეწარმეო სფეროში ასეთი არახელსაყრელი სიტუაციის ძირითადი მიზეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: არაადეკვატური და არადამაკმაყოფილებელი განათლება; კრედიტებისა და ბაზრების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები; ბიზნესის და ადმინისტრაციული პროცედურების გარდაქმნებთან დაკავშირებული სირთულეები; მცირე ბიზნესის, გან-

¹¹ Kauffman Foundation "Business Dynamics Statistics Briefing: Jobs created from business start-ups in the United States" http://www.kauffman.org/uploadedFiles/BDS_Jobs_Created_011209b.pdf.

¹² Albert Bravo-Biosca "The dynamics of Europe's industrial structure and the growth of innovative firms" JRC Conference Seville, October 2011.

¹³ EU Commission Flash EB No 354 "Entrepreneurship".

საკუთრებით მიკრობიზნესის თავისებურებების უგულვებლყოფა¹⁴; მეწარმეობის მიმართ არასათანადო კულტურული დამოკიდებულება.

ამ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, ევროკავშირმა მიმართა რიგ ღონისძიებებსა და ქმედებებს. კერძოდ:

- მიღებულ იქნა სტრატეგია – ევროპა 2020. ეს სტრატეგია აყალიბებს მომავალი ზრდისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველს, რომელიც, სავარაუდოდ, იქნება გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური და მიმართული იქნება ევროკავშირის ძირითად სოციალურ გამოწვევებზე;

- შემოთავაზებულ იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც აყალიბებს განხლებულ ხედვას და სახავეს რიგ ქმედებებს როგორც ევროკავშირის, ისე წევრი-ქვეყნების დონეზე, რათა მხარი დაუჭიროს მეწარმეობას ევროპაში.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება სამ ძირითად სფეროს:

1. სამეწარმეო განათლებისა და ტრენინგების განვითარება;
2. სათანადო ბიზნესგარემოს შექმნა;
3. მისაბაძი ქცევის მოდელები და სპეციფიკურ ჯგუფებთან კავშირები.

2. ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის პრიორიტეტები

ევროპის სამეწარმეო პოტენციალის გამოყენებისთვის, არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ევროპაში მეწარმეობის კულტურის სტიმულირების მიზნით, ევროკავშირმა შეიმუშავა ერთობლივი ქმედებების დეტალური სამოქმედო გეგმა. მისი მიზანია, გააადვილოს ახალი ბიზნესების ფორმირება, შექმნას ბევრად უფრო ხელსაყრელი გარემო ბიზნესისთვის, არსებული მეწარმეების წარმატებების მიღწევისა და განვითარებისთვის. ამასთან, გეგმა გვთავაზობს დაუყოვნებლივ ინტერვენციას სამ სფეროში:

1. სამეწარმეო განათლება და ტრენინგები, ბიზნესის შექმნისა და ზრდის მხარდაჭერის მიზნით;

2. მეწარმეობისთვის გარემო პირობების ჩარჩოს გაძლიერება არსებული სტრუქტურული ბარიერების მოხსნით და ბიზნესის სიცოცხლის ციკლის გადამწყვეტ ეტაპებზე მეწარმეობის მხარდაჭერით;

3. ევროპაში მეწარმეობის კულტურის დანერგვა მეწარმეობის ახალი თაობის მომზადება-სწავლებით.

განვიხილოთ თითოეული სფერო უფრო დეტალურად.

2.1. სამეწარმეო განათლება და ტრენინგები

სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებს შორის ინვესტიციები სამეწარმეო განათლებაში უკუგების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც იღებენ სარგებელს სამეწარმეო სწავლებით, ავითარებენ ბიზნესცოდნას, საჭირო უნარ-ჩვევებს და შეხედულებებს, მათ შორის კრეატიულობას, ინიციატივიან აქტიურობას, შეუპოვრობას, გუნდურ მუშაობას, რისკის გაგებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ეს არის სამეწარმეო მენტალიტეტი, რომელიც ეხმარება მეწარმეებს, ქმედებაში მოიყვანონ იდეები და ასევე მნიშვნელოვნად გაზარდონ თვითდასაქმებულობის უნარი.

ბიზნესთან პარტნიორობას ევროკავშირი განიხილავს როგორც გზას, რომელსაც რეალურ სამყაროსთან შესაბამისობაში მოჰყავს საგანმანათლებლო და

¹⁴ 'Business Dynamics: Start-ups, Business Transfers and Bankruptcy'
http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/businessenvironment/files/business_dynamics_final_report_en.pdf. As evidenced in the Communication from the Commission: "A European Initiative for the development of microcredit" COM(2007)0708 final (adopted 20/12/2007).

სასწავლო პროგრამები. სამეწარმეო განათლების ხელის შეწყობის მიზნით, ევროკავშირის კომისიის პრიორიტეტებია¹⁵:

- საერთო ევროპული სამეწარმეო სწავლების ინიციატივის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს: არსებული ევროპული და ეროვნული საექსპერტო შეფასების გაერთიანებას – გავლენის ანალიზისთვის, ცოდნის გაზიარებისთვის, მეთოდოლოგიების განვითარებისა და წევრი-სახელმწიფოების პრაქტიკოსებს შორის კოლეგიალური სწავლებისთვის;

- წევრი-სახელმწიფოებს შორის კოოპერაციის გააძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს ყოველ ქვეყანაში რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული სამეწარმეო განათლების დანერგვის რეალიზაციას;

- OECD-სთან ერთად სამეწარმეო სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო ინსტიტუტების განვითარების დამაკვალიანებელი ბაზის ჩამოყალიბება¹⁶;

- ხელი შეუწყოს სამეწარმეო სწავლების აღიარებასა და დამკვიდრებას ოფიციალურ ან არაფორმალურ სასწავლო გარემოში¹⁷;

- უზრუნველყოს სამეწარმეო საუნივერსიტეტო დამაკვალიანებელი ბაზის გაორციელება; ხელი შეუწყოს გაცვლას ბაზის გამოყენებაში დაინტერესებულ უნივერსიტეტებს შორის; ხელი შეუწყოს მის თანდათანობით დანერგვას ევროკავშირის უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში.

2.2. მეწარმეობის განვითარებისა და ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა

ახალ ბიზნესებს სჭირდება სპეციფიკური ზრუნვა. ევროკავშირში განიხილავენ ექვს ძირითად სფეროს, სადაც საჭიროა მოქმედება მათი შექმნისა და ზრდის ხელისშემშლელი დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად.

1. **ფინანსების ხელმისაწვდომობა.** ევროპაში მეწარმეობისთვის ფინანსების ადვილად ხელმისაწვდომობის მიზნით, ევროკავშირის კომისია ახორციელებს:

- პროგრამების დაფინანსებას, რომლებიც გამიზნულია ევროპაში მიკროსაფინანსო ბაზრის განვითარებაზე, და მიკროდაფინანსებისთვის რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებისა და რეგიონებისთვის, ევროპის სოციალური ფონდის ან ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის მეშვეობით;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კაპიტალის ბაზრის პირდაპირ ხელმისაწვდომობის ხელის შეწყობას;

- წევრი-სახელმწიფოების წახალისებას, რომ შეაფასონ მიმდინარე ეროვნული ფინანსური კანონმდებლობის ცვლილებების საჭიროება იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სტარტაპებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაფინანსების ახალ, ალტერნატიულ ფორმებს;

- ასევე, წევრი-სახელმწიფოების წახალისებას, რომ გამოიყენონ სტრუქტურული ფონდების რესურსები და შექმნან მიკროსაფინანსო მხარდაჭერის სქემები ევროპის სოციალური ფონდისა და ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის შესაბამისი საინვესტიციო პრიორიტეტების პირობებში.

¹⁵ Communication from the Commission, ENTREPRENEURSHIP 2020 ACTION PLAN -Reigniting the entrepreneurial spirit in Europe, Brussels, 9.1.2013 COM(2012) 795 final

¹⁶ *Rethinking Education Communication* COM(2012) 669, section 2.1.

¹⁷ COM(2012) 485 final, 05.09.2012.

2. **მეწარმეების მხარდაჭერა ბიზნესის სიცოცხლის ციკლისა და მათი ზრდის გადამწვევტ ფაზაში** ამ კუთხით ევროკავშირის კომისია ახორციელებს:

- წევრ-სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკებს იდენტიფიცირებას და ხელშეწყობას, რათა შეიქმნას მეწარმეებისთვის უფრო ხელსაყრელი ფისკალური გარემო;

- კლასტერებსა და ბიზნესქსელებს შორის კოოპერაციის მხარდაჭერას;

- საქმიანი კავშირების დამყარების მხარდაჭერასა და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის ხელშეწყობას იმ უწყებებს შორის, რომლებიც წარმართავენ რესურსების ეფექტურობის სქემებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ციფრული ერთიანი ბაზრის სრული პოტენციალის გახსნას;

- ევროკავშირისა და მესამე ქვეყნებს შორის ახალგაზრდა მეწარმეების გაცვლის წახალისებას;

- ევროპის ბიზნესპორტალის განვითარებას, როგორც ევროკომისიის, ისე წევრ-სახელმწიფოებისგან მიღებული, ერთობლივი ბაზრის შესახებ ინფორმაციის აკუმულირებას.

3. **ციფრულ ეპოქაში ახალი ბიზნესშესაძლებლობების გაღვივება.** ამ მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკის ძირადი პრიორიტეტებია:

- მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაში ძირითადი ბაზრის ტენდენციებისა და ინოვაციური ბიზნესმოდელების შესახებ **ცოდნის ბაზის ფორმირება** “ონლაინ” ბაზრის მონიტორინგის მექანიზმებისა და საინფორმაციო ტაბულის შექმნით, რომ ხელი შეუწყონ დიალოგს და მოქმედებაში მოიყვანონ საერთო დღის წესრიგი;

- **ცნობიერების ამაღლება** მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ახალი ციფრული ეკოლოგიისგან მიღებული სარგებლის შესახებ, ევროპის მასშტაბით, საინფორმაციო კამპანიის ჩატარების მეშვეობით;

- **საქმიანი კავშირების დამყარების ხელის შეწყობა** ისეთი ახალი ბიზნესიდეების გამოყოფისა და მხარდაჭერისთვის, როგორცაა: ევროპული სასწავლო ქსელის შექმნა ტრენინგების, რჩევებისა და პრაქტიკული ვარჯიშებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ბიზნესი ციფრულ ეპოქაში და როგორ უნდა მოაწყო გამაერთიანებელი შეხვედრები ახალი პარტნიორობის მოძიებისთვის დაინტერესებულ მხარეებს შორის;

- **ვებ-მეწარმეებისთვის კონკრეტული მოქმედებების წამოწყება**, როგორცაა: ა) “სტარტაპების” ევროპის პარტნიორობის ფორმირება, რომ ევროპის მასშტაბით გაიხსნას საექსპერტო შეფასებები, სწავლება, ტექნოლოგია და მომსახურება, ბ) ვებ-მეწარმეების ლიდერთა კლუბის ფორმირება, რათა გაერთიანდნენ მსოფლიო კლასის ვებ-მეწარმეები და გაძლიერდეს ვებ-სამეწარმეო კულტურა ევროპაში; გ) ვებ-ბიზნესის აქსელერატორთა ევროპული ქსელის ფორმირება; დ) მუშაობა ევროპელ ინვესტორებთან, რათა გაიზარდოს სარისკო კაპიტალისა და გულშემატკივართა მიერ დაფინანსების ნაკადი ვებ-სტარტაპებში; და ე) ვებ-ნიჭის აღზრდა, მასობრივი “ონლაინ” ღია კურსების გაჩენის სტიმულირებით და სწავლებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი პლატფორმების შექმნით;

- **კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება** ელექტრონული უნარების მოქმედებების ინტენსიფიკაციით, რომ გააუმჯობესონ ელექტრონული ლიდერობის უნარები, სამეცნიერო და შემოქმედებითი დისციპლინები და მმართველობითი და სამეწარმეო უნარ-ჩვევები, მიმართონ ახალ ტექნოლოგიებსა და ბაზრებს.

4. **ბიზნესის ტრანსფერები.** ბიზნესის ტრანსფერების უზრუნველყოფის მიზნით ევროკავშირის კომისიის მიზნებია:

- სახელმძღვანელო ნორმატივების შემუშავება ყველაზე ეფექტური პროგრამებისა და საუკეთესო პრაქტიკებთან დაკავშირებით, რომ გააადვილონ ბიზნესტრანსფერების განხორციელება, მათ შორის ისეთი ზომები, როგორცაა: მეწარმეებისთვის ბაზრების გაღრმავება და გაფართოება, ევროპაში ხელმისაწვდომი პროგრამების დასახვა და საჭირო მოქმედებების შემოთავაზება ტრანსსასაზღვრო ბიზნესგადარიცხვების დარჩენილი შესაძლო ბარიერების გაუქმების მიზნით.

- წევრი-სახელმწიფოების წახალისება, რომ გააუმჯობესონ იურიდიული, ადმინისტრაციული და საგადასახადო დებულებები ბიზნესგადარიცხვებთან დაკავშირებით¹⁸;

- უზრუნველყოს არსებული ევროპული ფონდების გამოყენება მათი წესებისა და პრიორიტეტების მიხედვით, რომ მხარი დაუჭირონ მცირე და საშუალო ბიზნესის ტრანსფერებს იმ მეწარმეებისთვის, ვინც აპირებს განაგრძოს ბიზნესი;

- გააუმჯობესოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება ბიზნესტრანსფერებისთვის და სრულყოს ბიზნესგადარიცხვებზე მონაცემთა შეგროვება და მათი მონიტორინგი;

- განახორციელოს ბიზნესტრანსფერების პლატფორმებისა და ბაზრების ადგილმდებარეობის შესახებ ეფექტური რეკლამირება და ეფექტური ბიზნესების პოტენციურ გამყიდველებსა და მყიდველებს შორის ცნობიერების ამაღლების კამპანიის წამოწყება;

- საგადასახადო რეგულირების მიმოხილვის შეფასებას (მცირე და საშუალო ზომის საოჯახო ბიზნესის ლიკვიდურობაზე საგადასახადო რეგულირების ზეგავლენების შეფასებას, საკუთრების მემკვიდრეობის შემთხვევაში შემოსავლებზე უარყოფითი ზეგავლენის გარეშე).

5. **გაკოტრების პროცედურები და მეორე შანსი პატიოსანი მეწარმეებისთვის.** გაკოტრების პროცედურების ხელის შეწყობის კუთხით ევროკავშირის კომისიის მიზანია:

- საჯარო კონსულტაციების წამოწყება, რათა გაითვალისწინონ დაინტერესებული მხარეების შეხედულებები იმ საკითხებზე, რომლებიც იდენტიფიცირებულია ევროკავშირის კომისიის ცნობაში ბიზნესის გაკოტრებისა და უუნარობის მიმართ ახალი ევროპული მიდგომის შესახებ, მათ შორის გაკოტრებულ პატიოსან მეწარმეებზე მეორე შანსის მიცემის, მათი შეკვეცისა და "დათხოვნის" შესახებ;

- მოიწვიონ წევრი-სახელმწიფოები, რომ სადაც შესაძლებელია, შეამცირონ გაკოტრებული პატიოსანი მეწარმეების "დათხოვნის დრო" და ვალის გადახდა მაქსიმუმ სამ წლამდე; შესთავაზონ ბიზნესის მხარდაჭერის მომსახურება ადრინდელი რესტრუქტურისა და ცილისთვის, მისცენ რჩევა, რომ თავიდან აიცილონ გაკოტრება და მცირე და საშუალო ბიზნესს მხარი დაუჭირონ რესტრუქტურისა და ბიზნესის ხელახლა დაწყებისთვის; უზრუნველყონ გაკოტრებული მეწარმეები საკონსულტაციო მომსახურებით, რათა მართონ ვალი და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ და სოციალურ ჩართულობას და შეიმუშაონ პროგრამები "მეორედ დამწყებთათვის" სწავლების, ტრენინგებისა და ბიზნესკავშირების დამყარებისთვის.

¹⁸ COM/2011/864 and associated recommendation 2011/856/EU regarding relief for double taxation of inheritances.

6. **მარეგულირებელი ტვირთის შემცირება.** იმისათვის, რომ შემცირდეს მეწარმეების რეგულირების ტვირთი, ევროკავშირის კომისია ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ევროკავშირის შემოთავაზებული კანონმდებლობით მარეგულირებელი ტვირთის ენერგოულად შემცირების გაგრძელება, განსაკუთრებით რაიონებში, სადაც ასეთი ტვირთების დონე ძალზე მაღალია;

- ევროკავშირის რეგულაციების გადახედვა და გასწორება, შემცირდეს ზედმეტი და გადაჭარბებული მარეგულირებელი ტვირთის შემცირების მიზნით, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომელიც 'ტოპათეულში' არის მოხვედრილი ტვირთის სიმძიმის მიხედვით. ასევე სხვა სფეროებში იქნება შემოთავაზებული ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც ეხება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების შედგენასა და ბიზნესის კეთების გაადვილებისთვის სტანდარტული დღგ-ს დეკლარაციის შემოღებას¹⁹;

- კანონმდებლობის შემოთავაზება იმ საჯარო დოკუმენტებისთვის ზედმეტად დამძიმებული ავტორიზაციის მოთხოვნების გაუქმების მიმართულებით, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებმა უნდა აწარმოონ საზღვრისპირა ბიზნესის წარმართვისათვის ერთიანი ბაზრის ფარგლებში;

- სამუშაო ჯგუფის შექმნა, რათა შეაფასოს თავისუფალი პროფესიის მეწარმეების სპეციალური მოთხოვნები იმ საკითხების მიმართ, როგორიცაა გამარტივება, ინტერნაციონალიზაცია და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;

- განვითარების მონიტორინგი, ერთიანი საკონტაქტო ცენტრის მეშვეობით მომსახურების დირექტივის ფარგლებში, და წევრი-ქვეყნების ხელშეწყობა, გამოიყენონ მეტი ბიზნესორიენტირებული მიდგომები.

2.3. მისაბაძი ქცევის მოდელები და სპეციფიკურ ჯგუფებთან კავშირები

ევროკავშირის კომისიის მიხედვით, სამეწარმეო კულტურის შეცვლის მნიშვნელოვანი ელემენტია მეწარმეების აღქმაში ცვლილების შეტანა, მათი მიღწევების, საზოგადოებისთვის მათი მნიშვნელობის, ახალი ბიზნესის შექმნის ან შექმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მეშვეობით. ამის მისაღწევად ევროკავშირის კომისიამ მიზნად დაისახა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- "მცირე და საშუალო ბიზნესის კვირეულის" სახით შეიქმნას ევროპის მასშტაბით "ევროკავშირის მეწარმეობის დღე" სტუდენტებისთვის, საშუალო განათლების მიღების ბოლო წელს. ღონისძიებები შეიძლება შეიცავდეს მეწარმეებთან შეხვედრებს, ქეის-კვლევებს, ლექციებს, სემინარებსა და "ღია კარის დღეებს";

- ევროპის მასშტაბით შეიქმნას "ონლაინ" სწავლების, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და ბიზნესკავშირების დამყარების პლატფორმა მეწარმე ქალებისთვის, რომელიც "ონლაინ" დააკავშირებს ეროვნულ ელჩებსა და ხელმძღვანელებს, გააღრმავებს მათ წინადადებებს, გააფართოვებს მათი გავლენის სფეროს და მხარს დაუჭერს მეწარმე ქალებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, წევრ-სახელმწიფოებს შორის საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის ხელის შეწყობით;

- საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის მიმართულებით მხარდაჭერა, უფროსი ხელმძღვანელების და მეწარმეების ხელშეწყობით, რომ დააკვალიანონ ახალი მეწარმეები, ასევე მეწარმეების ორმხრივი და თაობათაშორისი სწავლების

¹⁹ Commission Work Programme 2013 (COM (2012) 629 final).

მხარდაჭერა, რომ გაცვალონ სასიცოცხლო უნარები, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და უფროსების გამოცდილება;

- პოლიტიკური ინიციატივების შეთავაზება, მოიზიდონ მიგრანტ-მეწარმეები და ხელი შეუწყოთ მეწარმეობას მიგრანტებს შორის, რომლებიც უკვე იმყოფებიან ევროკავშირში ან ჩამოდიან სხვადასხვა მიზეზის გამო, გარდა ბიზნესის შექმნის მიზეზით, რომელიც აგებულია წევრ-ქვეყნების საუკეთესო ბიზნესპრაქტიკის დანერგვის საფუძველზე, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ;

- ბიზნესის შექმნის იურიდიული დაბრკოლებების მოხსნისა და კვალიფიციური ემიგრანტ-მეწარმეებისთვის სტაბილური ნებადართვის მიცემის კანონმდებლობის შემოთავაზების შესაძლებლობის ანალიზის განხორციელება.

წევრი-სახელმწიფოები მოწვეულნი არიან:

- გააძლიერონ ძალისხმევა მეწარმეობის საქმიანობის ხელშეწყობაში და დანიშნონ ცნობილი მეწარმეები ეროვნული მეწარმეობის ელჩებად, რათა გახდნენ "მეწარმეობის სახეები" საკუთარ ქვეყნებში. მათ ევალებათ, გაზარდონ მეწარმეობის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, ხაზი გაუსვან სამეწარმეო ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელობას განათლებაში და მეწარმეობას, როგორც კარიერულ შესაძლებლობას;

- გაითვალისწინონ სხვადასხვა ბიზნესმოდელები და სამართლებრივი სტატუსები მათი ეროვნული ან ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერის სქემებში, და განავითარონ სოციალური მეწარმეობის განათლება და ტრენინგები;

- ორგანიზება მოახდინონ და განახორციელონ ეროვნული სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს მეწარმე ქალების წილის გაზრდას;

- შეკრიბონ გენდერულად დანაწევრებული მონაცემები და აწარმოონ მათი ყოველწლიური განახლებები მეწარმე ქალების მდგომარეობის შესახებ ეროვნული მასშტაბით;

- გააგრძელონ და გააფართოონ ქალური მეწარმეობის ელჩებისა და მეწარმე ქალების სწავლების არსებული ქსელები;

- უზრუნველყონ, რომ უფროსი მეწარმეების და გადამდგარი ხელმძღვანელების მონაწილეობა პროექტებში თავსებადია მათ საპენსიო პერსპექტივებთან;

- ევროპის სოციალური ფონდის და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, უზრუნველყონ სხვასთან ერთად ფოკუსირება, ახალგაზრდა ბიზნესის წამომწყებლების და სოციალური მეწარმეების მხარდაჭერის სქემების შექმნაზე;

- ხელი შეუწყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და კონტაქტების დამყარებას მიგრანტ-მეწარმეებისა და პერსპექტიული მიგრანტ-მეწარმეებისთვის, მაგალითად, შესაბამისი საინფორმაციო ცენტრების შექმნით მიგრანტების მიერ კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე;

- დააკავშირონ საჯარო დასაქმების სამსახურები ბიზნესის მხარდაჭერის სამსახურებთან და მიკროსაფინანსო პროვაიდერებთან, რათა დაეხმარონ უმუშევრებს, იპოვონ მეწარმეობაში შესვლის გზები;

- გადაჭრან უმუშევრობის პრობლემა ბიზნესტრენინგების პროგრამების შექმნით უმუშევარი ახალგაზრდებისთვის, რომელიც მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ ეტაპებს: პროფილირება, დაგეგმვა, საქმის წამოწყება ("სტარტაპი"), კონსოლიდაცია და ზრდა, ყოველ ეტაპზე "ცვლადი მენიუს" მომსახურების შემოთავაზებით (კონსულტირება, გადამზადება და კვალიფიკაციის მიღება, სწავლება და მიკროკრედიტის ხელმისაწვდომობა) ახალგაზრდულ და სხვა ორგანიზაციებთან, საშუალო ბიზნესის მრჩეველებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან პარტნიორობის საფუძველზე;

- მოახდინონ შრომის ბაზრის აქტიური პროგრამების რეალიზაცია, რომ ფინანსური დახმარება გაუწიონ ყველა დაუსაქმებელს ბიზნესის დასაწყებად;

- შექმნან და წარმართონ სამეწარმეო განათლების სქემები დაუსაქმებლებისთვის, რათა მათ შეძლონ (ხელახლა) შევიდნენ ბიზნესცხოვრებაში, როგორც მეწარმეები, რიგი წევრ-სახელმწიფოებიდან აღებული წარმატებულ მოდელებზე დაყრდნობით, პარტნიორობაში განათლებისა და ტრენინგ სისტემებთან როგორც განათლების მიღების მეორე შანსთან.

3. დასკვნა

ევროპაში კარგად არის ცნობილი პრობლემები, რომელიც უკავშირდება კომპანიების შექმნის დაბალ ტემპს, დენადობის მაღალ მაჩვენებელსა და კომპანიების ზომის ზრდის დაბალ ტემპს. შედეგად, ევროკავშირის კომისია იღებს სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლებლობა მისცეს ევროპის მეწარმეებს, გახდნენ უფრო მოქნილი და კრეატიული, რომ გავლენა იქონიონ გლობალიზებულ კონკურენციაზე, რომელიც უფრო მკაცრი და უფრო სწრაფია, ვიდრე ოდესმე. რომ გადაახალისონ ევროპის მეწარმეები და ბიძგი მისცენ სამეწარმეო საქმიანობას, კომისია და წევრი-სახელმწიფოები აპირებენ ერთდროულ მუშაობას ნდობის აღდგენის, მეწარმეებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნის მიმართულებით, ბიზნესის პოლიტიკისა და პრაქტიკაზე ორიენტაციის აღებით და მეწარმეობის კულტურის რევილუციის მოხდენით. წარმატებული მაგალითები მთელ ევროპაში აჩვენებს, რომ არსებობს კარგი პრაქტიკა, რომ შეიძლება მეწარმეების განვითარება და ზრდა. ევროპა ისწრაფვის, სრულად მოიცვას და გამოიყენოს ამ გამოცდილების სიმდიდრე, რათა გადალახოს დაბრკოლებები და გააუქმოს ზედმეტად გადატვირთული მოთხოვნები, რომელიც ხელს უშლის ბიზნესის ოპერაციების განხორციელებას.

სამეწარმეო პოლიტიკის მიმართულებით ევროკავშირის მთავარ მიზანს წარმოადგენს შემდეგი საკითხების უზრუნველყოფა:

- 1) უნდა მოხდეს მეწარმეების, როგორც სამუშაო ადგილებისა და კეთილდღეობის შემქმნელების აღიარება, რაც უნდა დაინერგოს და გავრცელდეს ყველა წევრი-ქვეყნის ადმინისტრაციებში;

- 2) ევროკავშირი უნდა გახდეს ყველაზე მიმზიდველი ადგილი საერთაშორისო დონეზე ჭკვიანი მეწარმეებისთვის: მარეგულირებელმა და მხარდამჭერმა ჩარჩოებმა უნდა მიიზიდონ მეწარმე-დამფუძნებლები, რომ მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან ჩავიდნენ ევროპაში, ნაცვლად, მაგალითად, აშშ-სა და აღმოსავლეთ აზიაში;

- 3) უნდა მოხდეს მეწარმეობის ახალი ცნებების მიმართ ევროპული კულტურის რადიკალური ცვლილება.

*George Berulava
Teimuraz Gogokhia*

ENTREPRENEURIAL POLICY IN THE EU Annotation

In the article the entrepreneurial policy of the EU is studied.

The important priorities of the EU entrepreneurial policies can be summarized as follows:

- 1) promotion of the entrepreneurial education and training to ensure growth of new businesses;
- 2) facilitating business environment through reducing administrative burden and easing access to finance;
- 3) cultivating the culture of entrepreneurship in Europe and nurturing the new generation of entrepreneurs.

ინოვაციური პოლიტიკა დიდი ბრიტანეთის ბაერტიანებულ სამეფოში

ინოვაცია იყო და კვლავაც იქნება ბრიტანეთის ზრდისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გადამწყვეტი მამოძრავებელი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის 70 პროცენტს განაპირობებს. იგი აუმჯობესებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, გვეხმარება, სათანადოდ ვუპასუხოთ საზოგადოების წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებს, როგორცაა წმინდა და მდგრადი ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დემოგრაფიულ ცვლილებებზე რეაგირება. ცოდნის საზღვრების გაფართოება და ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ექსპლუატაცია არის მთავარი სახელმწიფო სამრეწველო სტრატეგიისთვის.

ფორმებს, რომლებიც მუდმივად ახორციელებენ ინვესტიციებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში (სკსსს-ში), აქვთ უფრო მაღალი მწარმოებლურობა (13%-ით მაღალია, ვიდრე იმ ფორმებში, რომლებიც არ ხარჯავენ თანხებს სკსსს-ში და 9%-ით მეტი, ვიდრე იმ ფორმებში, რომლებიც ასეთ ინვესტიციებს ახორციელებენ იშვიათად) ერთ თანამშრომელზე დამატებითი ღირებულების უკეთესი მანევრებელი, და ექსპორტის უფრო მეტი მოცულობა²⁰.

ინოვაცია სცილდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ტრადიციულ ცნებებს. 1998-2006 წლებში "არამატერიალური" აქტივები ითვლიდა შრომის მწარმოებლურობაში წლიური ზრდის 0.4%-ს²¹. ასეთი აქტივები მოიცავს ეკონომიკურ კომპეტენციებს (მაგ., მენეჯმენტის ტრენინგი, ბაზრის კვლევა და ბრენდინგი), სამეცნიერო და შემოქმედებით საკუთრებას (მაგ., პატენტები, ლიცენზიები და დიზაინი) და კომპიუტერიზებულ ინფორმაციას (მაგ., პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები). დიდი ბრიტანეთი ამ აქტივების შექმნაში მსოფლიო ლიდერია.

დიდი ბრიტანეთის საინოვაციო სისტემა წარმოადგენს ინტერაქციული ელემენტების სპექტრს. ეს კეთდება ერთობლივად მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუტის, ფორმისა და ფიზიკური პირის მიერ. დიდი ბრიტანეთის სისტემის სხვადასხვა მოთამაშე და მუშაობის შედეგიანობა შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

1) საინოვაციო ინფრასტრუქტურა: წარმოდგენილია ინსტიტუტებით, რომლებიც ხელს უწყობენ ინტელექტუალური საკუთრების, სტანდარტების, გაზომვის, აკრედიტაციისა და დიზაინის განვითარებასა და მენეჯმენტს, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (Intellectual Property Office), დიზაინის საბჭო (Design Council), ეროვნული გაზომვის სისტემა (National Measurement System) და ბრიტანული სტანდარტების ინსტიტუტი (British Standards Institution);

2) ცოდნის ბაზა: შედგება რიგი ორგანიზაციისგან, რომელიც უზრუნველყოფს განათლებით, ტრენინგებით და კვლევით, მათ შორის უმაღლესი განათლების სასწავლებლები და საჯარო სექტორის კვლევითი დაწესებულებები;

²⁰ Cefis, E., Ciccarelli, M. (2005), 'Profit differentials and innovation', *Economics of innovation and new technologies* 14, Routledge; Cefis, E., Orsenigo, L. (2001), 'The persistence of innovative activities: A cross-countries and cross-sectors comparative analysis', *Research Policy*; Lööf et al (2012), 'R&D Strategy and Firm Performance: What is the Long-Run Impact of Persistent R&D?' in *Innovation & Growth. From R&D Strategies of Innovating Firms to Economy-Wide Technological Change* Oxford University Press.

²¹ Riley, R. and C. Robinson (2011), *UK Economic Performance: How Far do Intangibles Count?*, In-ndrive working paper No. 14.

3) ბიზნესსაზოგადოება: დაკავებულია ინოვაციების დანერგვით ეკონომიკის მასშტაბით და მხარს უჭერს ინოვაციების კომერციალიზაციას, მათ შორის ტექნოლოგიების სტრატეგიული საბჭო (Technology Strategy Board) – დიდი ბრიტანეთის ინოვაციური სააგენტო, რომელიც აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას ბიზნესის მამოძრავებელი ინოვაციების სტიმულირებით და ხელშეწყობით – და შუალედური სექტორის ორგანიზაციები, როგორცაა კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციები (Research and Technology Organizations). დიდი ბრიტანეთი ასევე უზრუნველყოფს კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ სკსსს-ს მიმზიდველი საგადასახადო გარემოთ;

4) მთელი რიგი აქტივობები, მთელი საინოვაციო ლანდშაფტის მასშტაბით პარტნიორებთან მუშაობის მიმართულებით, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინოვაციებში ინვესტირების უზრუნველსაყოფად, რომ დიდი ბრიტანეთი გახდეს უნიკალური და ძლიერი საერთაშორისო დამაკავშირებელი სკსსს-ის ბაზა.

1. საინოვაციო ინფრასტრუქტურა

საინოვაციო ინფრასტრუქტურა თავაზობს სპეციალიზებულ ცოდნას სამეცნიერო ინფრასტრუქტურის, ბიზნესებისა და ფართო საზოგადოებისთვის. ეს ინფორმაცია მოქმედებს როგორც რესურსების ნაკრები, რომელიც ამცირებს ინოვაციების ხარჯებს და იძლევა ეფექტურობის ზრდის, ურთიერთდაკავშირებისა და თანხვედრის შესაძლებლობას მთელი რიგი საერთო ენების, საუკეთესო პრაქტიკებისა და მითითებელი წყაროების მეშვეობით. ესენია: შეთანხმებული სტანდარტები, ჩარჩოები და დამაკავალიანებელი სახელმძღვანელოები, აგრეთვე საექსპერტო რჩევები და საქმიანი კავშირების დამყარების მიმართულებით აქტივობები. ეს არის საინფორმაციო “წებო”, რომელიც საინოვაციო სისტემის ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ეს ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების ოფისი (Intellectual Property Office), დიზაინის საბჭოს (Design Council), ბრიტანული სტანდარტების ინსტიტუტი (British Standards Institution) და ეროვნული ფიზიკური ლაბორატორია (National Physical Laboratory).

ბრიტანეთში დიზაინი არის გადამწყვეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალა ინოვაციების პროცესში, რომელიც წარმართავს ბიზნესშემოსავლებს, ინოვაციური პროდუქტიდან მეცნიერების კომერციალიზაციამდე. თუმცა, არსებობს ეკონომიკის ნაწილები, სადაც დიზაინთან დაკავშირებული ინფორმირებულობა დაბალ დონეზე რჩება, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესში და იმ მეცნიერებში, რომლებიც ახალი იდეების კომერციალიზაციის გზებს ეძებენ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ბრიტანეთის დიზაინის სექტორი რთულად მართვადია. დიზაინის საბჭო (Design Council) იცავს ბრიტანეთის დიზაინის ღირებულებას პარტნიორობის ქსელის მეშვეობით, რომელიც ესმარება ბიზნესის ღირებულების, ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკოსებისა და დიზაინის პროფესიონალების ერთმანეთთან დაკავშირებას:

- *სამრეწველო ტექნიკური სტარტაპები*: დიზაინს გააჩნია გადამწყვეტი როლი ტექნოლოგიების საბაზრო პოტენციალის მაქსიმიზაციაში. დიზაინის საბჭო აგრძელებს მცირე ბიზნესის საწვრთნო პროგრამებს, რათა დაეხმაროს სამრეწველო ტექნიკურ სტარტაპებს, შეისწავლონ თუ როგორ გამოიყენონ დიზაინი ინვესტიციების მოსაზიდად, დააჩქარონ მათი ტექნოლოგიები ბაზარზე და შეამცირონ რისკი. ბიზნესები წინასწარ და ადრეულ ეტაპზე, სამრეწველო ტექნიკური საწარმოები ზრდის მაღალი პოტენციალით, სწავლობენ თუ როგორ შეუძლია დიზაინს, დაეხმაროს მათ, საკუთარი პროდუქცია და მომსახურება მოიყვანონ მომხმარებლების მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში; როგორ უნდა

განავითარონ მყარი ბრენდის ისტორიები, რომელიც გამოირჩევა ბაზარზე; როგორ შეუძლია საცდელი ნიმუშების სახესხვაობას, დაეხმაროს რისკის მართვაში; და როგორ შეიძლება სტრატეგიულად იქნეს გამოყენებული დიზაინი, რომ წარმართოს მათი ბიზნესის ზრდა;

- *ევროპული დიზაინის საინოვაციო პლატფორმა (The European Design Innovation Platform)*: დიზაინის საბჭო ხელმძღვანელობს £ 3.2 მილიონიან ევროკომისიის ფონდს 14 პარტნიორ-ორგანიზაციის კონსორციუმთან, მათ შორის ნესტა, ლანკასტერის უნივერსიტეტი, ბირმინგემის უნივერსიტეტი და ევროკავშირის პარტნიორები. პროექტი, რომელიც გადაეცემა 3 წლით, მიზნად ისახავს დიზაინის, როგორც სტრატეგიული საშუალების, გამოყენების ზრდას, რომ ხელი შეუწყოს ყველა ფორმის ინოვაციებს, მათ შორის არატექნოლოგიურ ინოვაციებს. ვებ-პლატფორმა გააერთიანებს ცოდნასა და დიზაინის ნიმუშებს ინოვაციისთვის საჯარო და კერძო სექტორში. ეს რესურსი ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის უახლესი იარაღებისა და ტექნიკის მოსაპოვებლად, დიზაინის გამოყენებისა და კავშირების დამყარებისთვის. ღონისძიებების პროგრამა ბიზნესმენების, საჯარო მომსახურების მენეჯერებისა და პოლიტიკოსებისთვის ასევე ამოქმედდება, რომ გაიზრდოს მათი ინფორმირებულობა დიზაინის როლის შესახებ ინოვაციების განხორციელებაში, ეკონომიკურ ზრდასა და ინვესტიციების მოზიდვაში;

- *ინტელექტუალური საკუთრება*. დიდი ბრიტანეთი ბიზნესის ინვესტირებას ახორციელებს ცოდნის აქტივებში უფრო მეტად, ვიდრე ფიზიკურ კაპიტალში. ევროპაში 2000 წლიდან ბრიტანული ფირმები ყველაზე მეტად არიან "ცოდნა-ტევადი". ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას არამატერიალური ინვესტიციების გამოსაყენებლად. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები მოიცავს:

- ა) პატენტებს, რომელიც იცავს ტექნიკურ მახასიათებლებსა და პროცესებს;

- ბ) რეგისტრირებულ დიზაინს, რომელიც იცავს პროდუქტის/ლოგოს გამოჩენას. დიზაინი ასევე შეიძლება დაცული იყოს აღურიცხავი დიზაინის უფლებებით, რომელიც წარმოიქმნება ავტომატურად;

- გ) საავტორო მარკებს, რომელიც წარმოადგენს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების განმასხვავებელ ნიშნებს;

- დ) საავტორო უფლებებს, რომელიც იცავს იდეების გამოხატვას, და არის ავტომატური უფლება, რომელიც გამოიყენება, როდესაც ნაშრომი დაფიქსირდა წერილობით ან ჩაწერილია სხვადასხვა გზით.

2. სკსსს-სა და ინოვაციაზე გაწეული ხარჯები

ინოვაცია გლობალურ სისტემაში მოქმედებს მოწინავე ეკონომიკებში მნიშვნელოვანი პროპორციით, უცხო ქვეყნებიდან ტექნოლოგიების გადმოტანის საფუძველზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD-ის)²² შეფასების მონაცემებით, 2011 წელს, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ სკსსს-ის მსოფლიოს უდიდესი შემსრულებელია (მსოფლიოს საერთო მაჩვენებლის დაახლოებით 32%²³), შემდეგ მოდის ჩინეთი (16%) და იაპონია (12%). დიდ ბრიტანეთი მე-7 ადგილს იკავებს, საერთო გლობალური

²² Organization of Economic Co-operation and Development (2013), *OECD Science, Technology and Industry Scoreboard 2013*, Accessed at: http://dx.doi.org/10.1787/sti_scoreboard-2013-en.

²³ Estimate is based on R&D expenditure by OECD countries, Brazil, India, Indonesia, Russia, China and South Africa. Data on Israel were not available.

ხარჯების 3%-ით, £27.4 მლრდ ოდენობით 2011 წელს. OECD-ს²⁴ მასშტაბით სკსსს-ზე მთლიანი ხარჯების ინტენსივობამ 2001 წლის 2.2%-დან 2011 წელს 2.4%-მდე გაიზარდა. სკსსს-ის ინტენსივობის ყველაზე მაღალი დონეა სამხრეთ კორეაში და სკსსს-ის ინტენსივობა ჩინეთში, სადაც უკანასკნელ წლებში ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებელს გაუსწრო პირველად 2011 წელს. როდესაც ეს ხარჯები დიდ ბრიტანეთში მშპ-ს დაბალ წილს შეადგენდა (1,8%-ს 2011 წელს), ავლენდნენ არსებით სტაბილურობას ეკონომიკური კრიზისის დროს. ბიზნესის სექტორი, კრიტიკულად განწყობილი კვლევის წარმატებული კომერციალიზაციის მიმართ, დიდ ბრიტანეთში სკსსს-ის უდიდესი შემსრულებელი რჩებოდა.

საჯარო ხარჯები და ინვესტიციები. 2010 წლიდან ბრიტანეთის სამეცნიერო რესურსების ბიუჯეტი შეზღუდულია და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის მასშტაბით სკსსს-ზე სტაბილურად ხარჯების გაღებაში. მთავრობის მიერ სკსსს-ზე გამოყოფილი საერთო ფონდები, რომელიც დაფიქსირებულია სკსსს-ზე მთავრობის ბიუჯეტის ასიგნებების ან ხარჯების ფარგლებში, შემცირდა £4 მლრდ-ით (ან 4%-ით) 2010-11 პერიოდიდან 2011-12 პერიოდამდე; ვარდნა თითქმის მთლიანად შეეხო განვითარებაზე თავდაცვის ხარჯების შემცირებებს. დიდ ბრიტანეთში ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ, გრძელვადიან ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სხვა პროგრამებზე ხარჯების გაღება პრიორიტეტულია. მნიშვნელოვანი ინვესტიციები პროექტებში (მათ შორის ავტონომიური რობოტოტექნიკა, დიდი მონაცემები, ძირითადი განახლებები და ახალი მომსახურების საშუალებები ჰარველის მეცნიერებისა და ინოვაციების კამპუსში), განხორციელებულია ბრიტანულ სამეცნიერო ბაზაზე დაყრდნობით საჯარო ხარჯების მეშვეობით. ასევე, ინოვაციების მხარდასაჭერად ტექნოლოგიების სტრატეგიული საბჭოსთვის (Technology Strategy Board) გამოყოფილია £185 მლნ დამატებითი ფინანსური რესურსები²⁵, რომ მეცნიერებამ შეინარჩუნოს რესურსებით დაფინანსება £4.6 მილიარდის მოცულობით 2015-16 წლებში, ხოლო კაპიტალის დაფინანსება გაიზარდა რეალურად £0.6 მილიარდიდან (2012-13 წწ.) £1.1 მილიარდამდე (2015-16 წწ.); ეს მატება დადგენილია ყოველწლიური ინფლაციის შესაბამისად 2020-21 წლამდე.

განვითარებათა შერჩევა, რომელიც გამოცხადებულია ბრიტანეთის კვლევითი საბჭოების (Research Councils UK) მიერ, გვიჩვენებს იმ სფეროების რამდენიმე მაგალითს, სადაც დიდი ბრიტანეთი ახალ სიტყვას ამბობს და საითკენაც მიჰყავს მსოფლიო 2013 წელს²⁶:

- მოწინავე წარმოება: მსოფლიოში პირველი მოქნილი გამოსახულების სენსორი გახსნილია, გამოყენების პოტენციალით სმარტ-შეფუთვაში, ბოსამედ-იცინო დიაგნოსტიკაში და ზედაპირულ სკანერებში;
- მოწინავე წარმოება: მინიატურული ნათურები (tiny LED lights) Wi-Fi-მსგავსი ინტერნეტკომუნიკაციის სიმძლავრით შემუშავდა, რომ ინფორმაცია გადაიცეს მთელ რიგ საყოფაცხოვრებო, კომერციულ და საჯარო სივრცეებში;
- რეგენერაციული მედიცინა: ბიონიუნერის მეცნიერებმა შექმნეს პირველი კბილი, დამზადებული ადამიანის ღრძილების უჯრედებისგან, იმ იმედის

²⁴ Organization of Economic Co-operation and Development (2013), *OECD Science, Technology and Industry Scoreboard 2013*, Accessed at: http://dx.doi.org/10.1787/sti_scoreboard-2013-en.

Intensity of R&D is measured as expenditure as a share of Gross Domestic Output (GDP).

²⁵ HM Treasury (2013), *Autumn Statement 2013* <https://www.gov.uk/government/publications/autumn-statement-2013-documents>.

²⁶ Research Councils UK (2013), *Timelines of Research*. <http://www.rcuk.ac.uk/research/timelines/>.

მიცემით, რომ მომავალში დაკარგული კბილი შეიძლება აღდგენილი იყოს პიროვნების საკუთარი ღრძილების უჯრედების გამოყენებით;

- რეგენერაციული მედიცინა: ბიოინჟინერიის მეცნიერების მიერ შემუშავებულია დანაწევრებადი პოლიმერი, რომელიც შეიძლება იყოს შეყვანილი გატეხილ ძვლებში, რომ ხელი შეუწყოს ძვლის თვითაღდგენას, მოწინავე ტექნიკის (ე.წ. “solvent blending”-ის სახელწოდებით) გამოყენებით;

- თანამგზავრები და კოსმოსი: ევროპის კოსმოსური სააგენტოს “ენვისატ”-ის კომპიუტერულ პროგრამებზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტი გამოყენებული იყო ისეთი პროგრამისა და მარტივი მეთოდის შესაქმნელად, რომელიც აანალიზებს ადამიანის ტვინის სკანირებას და ახორციელებს აღცვიმერის დაავადების მასშტაბურ სკრინინგს.

ბიზნესის ხარჯები და ინვესტიციები. დიდ ბრიტანეთში ბიზნესსექტორი არის სკსსს-ის უმსხვილესი შემსრულებელი, რომელიც ამ მიმართულებით ხარჯავს სკსსს-ზე საერთო ხარჯების დაახლოებით ორ მესამედს, მაგრამ ეს ხარჯები კონცენტრირებულია მცირე რაოდენობის სამრეწველო დარგებში (ეროვნული სტატისტიკის ოფისის მიხედვით 33 პროდუქტის ჯგუფიდან ექვსმა სკსსს-ის შესასრულებლად დახარჯა სკსსს-ზე საერთო ხარჯების ორ მესამედი 2012 წელს). ბიზნესის მიერ გახორციელებული სკსსს-ი²⁷ შეადგინა £17.1 მილიარდი 2012 წელს, ან მშპ-ს 1,1%; 4%-ით ნაკლებია 2011 წელს, მაგრამ უფრო მაღალია, ვიდრე 2010 წელს.

წინა წელთან მიმართებაში საერთო შემცირება 2011-2012 წლებში იყო განპირობებული დიდწილად ტენდენციებით ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, რომელშიც მოხდა ბრიტანეთის სკსსს ობიექტების გარკვეული დახურვები. 2011 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული “სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სტრატეგია” (Life Sciences Strategy²⁸) იყო დაგეგმილი ბრიტანეთის მხარდასაჭერად თვითაღდგენაში, როგორც ცხოვრების მეცნიერებებისთვის არჩევანის ადგილმდებარეობა და ბოლო დროს შეიმჩნევა გაუმჯობესების იმედის მომცემი ნიშნები, მათ შორის დიდი ფარმაცევტული ორგანიზაციის მიერ განცხადება კემბრიჯში სკსსს-ზე £330 მილიონის ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დიდი ბრიტანეთი ისევ რჩება მიმზიდველი საერთაშორისო ფირმებისთვის, რომლებსაც სურთ სკსსს-ზე ინვესტირება. 2012 წელს სკსსს-ზე ხარჯები, გაწეული უცხოელ მესაკუთრეთა ფირმების მიერ, წარმოადგენს სკსსს-ზე საერთო ხარჯების დაახლოებით ნახევარს. დიდი ბრიტანეთის ბიზნესში ფინანსების ხელმისაწვდომობა არის მთავარი ფაქტორი ინოვაციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაში. £1.25 მილიარდი ახალ რესურსთან დამატებით, ბრიტანეთის ბიზნესბანკმა შეკრიბა £ 2.9 მლრდ არსებული სახელმწიფო ხელშეწყობის დაკრედიტებისა და კაპიტალის გადაწყვეტილებების საფუძველზე და მხარი დაუჭირა დაახლოებით 10,000 ბიზნესს 2013 წლის სექტემბერში. 10,000 სტარტ-აპის სესხი (Start-up Loan) შეიქმნა 2013 წლის ნოემბერში და სქემის მიხედვით მეწარმეებზე უკვე გაიცა £50 მილიონზე მეტი. £300 მილიონიანი საინვესტიციო პროგრამა გახსნა £125 მილიონი დაკრედიტება მცირე ბიზნესებისთვის, მისი პირველი ორი ჯილდოს დაწესების მეშვეობით საერთო მოცულობით £45 მილ-

²⁷ Office for National Statistics (2013), *Business Enterprise R&D - 2012* <http://www.ons.gov.uk/ons/rel/rdit1/bus-ent-res-and-dev/2012/index.html>; Organisation of Economic Co-operation and Development (2013), *Supporting Investment in Knowledge Capital, Growth and Innovation*. <http://www.oecd.org/sti/inn/newsourcesofgrowthknowledge-based-capital.htm>.

²⁸ Department for Business, Innovation and Skills (2011), *UK Life Sciences Strategy*. Accessible at: <https://www.gov.uk/government/publications/uk-life-sciences-strategy>.

იონი. ფირმები ასევე იმყოფებიან მზარდ კონკურენციაში მაღალი დამატებითი ღირებულების საქმიანობისთვის გლობალური “ღირებულების ჯაჭვში”²⁹ და ეძებენ სკსსს-ის ტრადიციული ცნებების მიღმა, ზრდის წარმართვისთვის. ინვესტიცია ცოდნაში და სხვა არამატერიალური აქტივებში მნიშვნელოვანია უნარის განვითარებისთვის, მიაწოდო დახვეწილი, ძნელად მისაბადი პროდუქცია და მომსახურება. OECD-მა შეიმუშავა მეთოდოლოგია, სხვადასხვა ქვეყანაში არამატერიალური აქტივებისა და ცოდნაზე დაფუძნებული კაპიტალის (კომპიუტერიზებული ინფორმაციის, სკსსს-ის, დიზაინისა და ორგანიზაციული კაპიტალის) განვითარების მონიტორინგისთვის. მათ მიერ აღმოჩენილია, რომ დიდ ბრიტანეთში ინვესტიციები ასეთ “ცოდნაზე დაფუძნებულ კაპიტალში” პოზიტიურ კორელაციაშია შემოსავალთან მოსახლეობის ერთ სულზე; უფრო ელასტიკურია პროდუქციის გამომწვევების ვარდნასთან მიმართებაში; და, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე მატერიალური ინვესტიცია ინოვაციაში³⁰.

3. ინოვაციის შედეგები

სკსსს-სა და ინოვაციებში ინვესტიციების საბოლოო ეკონომიკური და სოციალური შედეგების სრულად გაზომვა რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ისეთ განვითარებულ ეკონომიკაში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, მწარმოებლურობის დონის ამაღლება არის მდგრადი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთადერთი წყარო. 1960 და 2000³¹ წლებს შორის საერთო ფაქტორების მწარმოებლურობა (ტექნოლოგიური ცვლილების საზომი) ითვლიდა ბრიტანეთის მწარმოებლურობის ზრდის დაახლოებით 70%-ს. Nesta-ს მიერ გამოქვეყნებული ბრიტანეთის ინოვაციის ყველაზე ბოლო ინდექსის შეფასების მიხედვით, 2000-2008 წლებში, ინოვაციაზე მოდიოდა შრომის მწარმოებლურობის ზრდის 51%, რომლის 19% განპირობებული იყო ინვესტიციებით არამატერიალურ აქტივებში, მათ შორის ტრენინგებში, მარკეტინგში, პროგრამულ უზრუნველყოფაში და დიზაინში³². დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი მწარმოებლურობის შედეგიანობამ უფრო გაართულა ინოვაციის გავლენის გაზომვა.

ბრიტანეთის ინოვაციის შედეგიანობის ბენჩმარკინგის ალტერნატიული მეთოდი გულისხმობს საერთაშორისო ინდექსების მითითებას. ინოვაციების როგორც ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მამოძრავებლის გადამწყვეტი როლის აღიარებისთვის, Cornell University-მა, INSEAD-მა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ ერთობლივად გამოაქვეყნეს შეფასების სხვა მაჩვენებელი – გლობალური ინოვაციის ინდექსი³³, რომელიც მოიცავს რიგ ინდიკატორებს, რომელიც სცილდებოდა ინოვაციის ტრადიციულ საზომებს. ამ ინდექსმა ბრიტანეთს მიაჩნა მესამე ადგილი 2013 წელს: დაფიქსირებულია ქვეყნის სიძლიერე უმაღლესი განათლების სფეროში; სიმარტივე, რომლითაც ფირმებს შეუძლიათ მიიღონ კრედიტი; ცოდნატევადი დასაქმება; უნივერსიტეტისა და ბიზნესის კვლევითი თანამშრომლობა; ციტირებები

²⁹ Organisation of Economic Co-operation and Development (2013), *New Sources of Growth: Knowledge-Based Capital*. Accessible at: <http://www.oecd.org/sti/inno/knowledge-based-capital-synthesis.pdf>.

³⁰ Organisation of Economic Co-operation and Development (2013), *Supporting Investment in Knowledge Capital, Growth and Innovation*. <http://www.oecd.org/sti/inno/newsourcesofgrowthknowledge-based-capital.htm>.

³¹ Aghion and Howitt (2007), *Capital, innovation, and growth accounting*. Oxford Review of Economic Policy, Volume 23, Number 1, 2007, pp.79–93, Accessible at: http://www.econ.brown.edu/fac/Peter_Howitt/publication/Solow%20volume.pdf.

³² NESTA (2012), *Innovation Index 2012*

³³ Global Innovation Index (2013).

<http://www.globalinnovationindex.org/content.aspx?page=gii-full-report-2013#pdfopener>.

და ორგანიზაციული მოდელის შექმნა. ინდექსის ფარგლებში საინოვაციო დანახარჯების საზომის მიხედვით ბრიტანეთი მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში და მეოთხე ადგილზე გამოშვებული პროდუქციის შედეგიანობის მიხედვით, ხოლო მესამე ადგილზე – ინოვაციური ეფექტურობის (ინოვაციური დანახარჯებით მიღებული ინოვაციური შედეგების საზომის) მიხედვით. Innovation Union Scoreboard-ი (2013)³⁴ უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ-ქვეყნებისა და რიგი გლობალური კონკურენტების კვლევითი და ინოვაციური სისტემების სიძლიერის შედარებით შეფასებას. Scoreboard-ი მოიცავს 25 სხვადასხვა ინდიკატორს. უკანასკნელმა შეფასებამ დიდი ბრიტანეთი ("ინოვაციური-მიმდევარი") განათავსა მე-8 ადგილზე ევროკავშირის 27 ქვეყანას შორის, ხოლო შვეიცარიის შემოსვლის შემდეგ (თავისი განსაკუთრებული ძლიერი მხარეებით კავშირებისა და მეწარმეობის სფეროში, ასევე მცირე და საშუალო ზომის ინოვაციური ბიზნესის სფეროში არსებული თანამშრომლობის ხარისხის ყველაზე დიდი ზრდით) – მე-9 ადგილზე. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში³⁵, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობას, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკებისა და ფაქტორების ნაკრებს, რომელიც განაპირობებს ქვეყნის მწარმოებლურობის დონეს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი მოხვდა 37 ქვეყანას შორის, რომლის ეკონომიკები ითვლება ინოვაციებზე ორიენტირებულად. ეს ინდექსი ანიჭებს ბრიტანეთს მე-10 ადგილს, 148 ქვეყნიდან (2012-13 წლებში ბრიტანეთი მე-8 ადგილზე იმყოფებოდა). განსაკუთრებით კარგად შესრულდა უნივერსიტეტებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობა, მიღწეულია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და მარკეტინგის მაღალი ხარისხი. თუმცა, განსხვავებით Innovation Union Scoreboard-სა, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის ანალიზის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არის ყველაზე პრობლემურ ფაქტორებს შორის ბიზნესის კეთების საქმეში.

ბრიტანეთის მეცნიერებისა და ინოვაციების სისტემის საერთაშორისო ბენჩმარკინგში, ბიზნესის, ინოვაციისა და უნარების დეპარტამენტის ანგარიშში განიხილება საზომების მთელი რიგი, სხვადასხვა ტაბულისა და ინდექსის მასშტაბით და რეკომენდებულია მათი ნაკრები, რომელიც შეიძლება ნათლად მივაკუთვნოთ მეცნიერებასა და ინოვაციებს და სადაც არსებობს ამ უკანასკნელთა აშკარა კავშირი ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებთან³⁶. საერთო ჯამში, ანგარიში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის შედეგიანობის საზომები არის შერეული, როდესაც ვადარებთ სხვა ინოვაციურ ქვეყნებს. შერეული საზომები მოიცავს მნიშვნელოვანი სიძლიერის სფეროებს, როგორცაა ცოდნა-ტევადი მომსახურება და ტექნოლოგიების ექსპორტი, და მნიშვნელოვან სფეროებს, რომელიც უნდა გაძლიერდეს, მათ შორის ფირმების დიდი ნაწილი, რომელიც არ არის ჩართული ინოვაციებში და, შესაბამისად, რჩება გამოუყენებელი პოტენციალის წყაროდ. ანგარიშში აღნიშნულია ნიჭის თვისება, როგორც გაუმჯობესების საკვანძო სფერო.

³⁴ European Commission (2013), *Innovation Union Scoreboard 2013*.

http://ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/facts-figures-analysis/innovation-scoreboard/index_en.htm.

³⁵ World Economic Forum (2013), *Global Competitiveness Report, 2013-14*.

http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf.

³⁶ Department for Business, Innovation and Skills (2014), *Insights from international benchmarking of the UK science and innovation system*. BIS Analysis Paper Number 03.

Accessible at: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/277090/bis-14-544-insights-from-international-benchmarking-of-the-UK-science-and-innovation-system-bis-analysis-paper-03.pdf.

THE UK'S INNOVATION POLICY

Annotation

Innovation has been, and will continue to be, a key driver of UK growth and economic prosperity, accounting for up to 70 per cent of economic growth in the long term. It enhances health and welfare and helps us to address key challenges facing society such as ensuring clean and sustainable energy and food security, and responding to demographic change. Pushing forward the boundaries of knowledge and development and exploitation of new technologies is central to the Government's Industrial Strategy.

The UK innovation system is a range of interacting elements. It is delivered by a range of different institutions, firms and individuals working in collaboration. The various players in the system and the UK's performance can be summarized as follows:

1) The innovation infrastructure: the institutions supporting the development and management of intellectual property, standards, measurement, accreditation and design including the Intellectual Property Office, Design Council, the National Measurement System and the British Standards Institution (BSI)

2) The knowledge base comprises of a range of organizations providing education, training and research including Higher Education Institutions (HEIs), and Public Sector Research Establishments (PSREs).

3) The business community engaged in innovation across the economy and bodies supporting their commercialization of innovation, including the Technology Strategy Board (TSB) – the UK's innovation agency, with the remit to accelerate economic growth by stimulating and supporting business-led innovation – and the intermediate sector organizations such as Research and Technology Organizations (RTOs). The UK also provides an attractive tax environment for companies carrying out R&D.

4) The range of activities that UK has in place, working with partners across the innovation landscape, to support international collaboration and investment in innovation, given the UK's uniquely strong internationally connected research and development base.

*ეთერ კაკულია
ნანა ბიბილაშვილი*

ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში

მოკლედ „ინოვაციის“ და „მცირე ბიზნესის“, არსის შესახებ. ინოვაცია ახალი, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურების) მიღების, მათი წარმოების წესის და შემდგომში შიდა და გარე რეალიზაციის პროცესის შედეგია, იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება. ამდენად, როგორც სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი, იგი განიხილება ინოვაციური პროცესებიდან მოუწყვეტლად [2]. ინოვაციის უამრავ განმარტებას ვხვდებით, ლინგვისტიკაში იგი განიშარტება, როგორც (ლათ. Innovation) – „განახლება“, ახალი წარმონაქმნი, ახალი მოვლენა ენაში. ინოვაცია ინოვაციური პროცესების საბოლოო შედეგია. ამასთან უნდა ითქვას, რომ ინოვაცია შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ ადგილზე და წამოვიდეს ნებისმიერი ადამიანისაგან, რომელიც გარკვეულ დარგში მთელი დატვირთვით მუშაობს. შესაძლებელია, შრომითი გამოცდილების საფუძველზე წამოტივტივებული იდეა ისეთი ინოვაცია იყოს, რომელმაც ბიზნესის შედეგები საგრძნობლად გააუმჯობესოს, ამიტომ ბიზნესში (მეწარმეობაში) პარტნიორები

და თანამშრომლები მოტივირებულნი უნდა იყვნენ აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე, იდეის თავისუფალ გამოთქმაზე. ბიზნესში ინოვაცია შეიძლება შეიცავდეს ახალ პროდუქტს, პროცესებს, სტრატეგიებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ინოვაცია წარმოგვიდგება როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო. ინოვაცია არის შედეგი, რომელშიც გამოგონება და ახალი იდეები ბიზ-ნესად ან ოპერაციულ რეალობად იქცევა [4].

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია ეკონომიკაში მრავალი ფორმით და მრავალ კონტექსტში ოპერირებს. განსხვავება შეიძლება დაინახოთ ინოვაციის პროდუქტსა და ინოვაციის პროცესს შორის. ინოვაცია კლასიფიცირდება ფუნქციების მიხედვით. ის გვხვდება სელექციაში და ნედლი მასალების გამოყენებაში, მზა საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში, მარკეტინგის მოქმედებებსა და მენეჯმენტის მხრივ სტრუქტურულად მოწესრიგებულ ორგანიზაციაში. მაგ., მუშა ჯგუფის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ მენეჯმენტში.

გარდა აღნიშნულისა, განასხვავებენ **საბაზო** და **საშემოსავლო** ინოვაციებს. ეს უკანასკნელი (საშემოსავლო) წარმოგვიდგენს ინოვაციებს, რომლებიც არსებულ პროდუქციასა და პროცესებზე მოდიფიცირებას და დადებით ვაგლენას ახდენს.

ამასთან, ეკონომიკაში ცნობილია „**ფსევდოინოვაციები**“. ამგვარი ინოვაციები ხშირად საწარმო ბაზარში ფიგურირებს სუსტი პროდუქციის ბედის შესაცვლელად. პროდუქტი შეიძლება გადაკეთდეს სხვადასხვა იარაღით, კვლავ შეიფუთოს იმის იმედზე, რომ პროდუქცია შეიცვლება ან რეკლამა გაუკეთდება, როგორც „ახლადგამოსწორებული ფორმულის“ მქონეს იმ დროს, როდესაც არავითარ მნიშვნელოვან ცვლილებას არ ჰქონია ადგილი [2].

ინოვაცია რაიმე იზოლირებული მოვლენა (პროცესი) არ არის ეკონომიკაში, ცხადია, კარგი პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) და პროცესის ინოვაცია მოითხოვს ინოვაციების თანხლებას მარკეტინგში, საორგანიზაციო სტრუქტურაში, განათლებაში და ა.შ. მაგალითად, დიდ ორგანიზაციაში ელექტრონული საფოსტო სისტემის მიღება არაფერს ნიშნავს თუ კოლექტივმა არ იცის მისი გამოყენება.

კვლევა და განვითარება, დიზაინი. კვლევა და განვითარება ანუ R&D (R&D სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) არის ორგანიზაციული ფუნქციის სახელი, რომელიც ფირმაში ინოვაციისთვისაა თავმოყრილი. მასზე დანახარჯი ევროკავშირის მიერ საწარმოს ინოვაციურობის კრიტერიუმად არის აღიარებული. ე.ი. კვლევა და განვითარება ანუ R&D ფირმის დონეზე განისაზღვრება, როგორც ინოვაციის ორგანიზაცია [5]. ესაა გაძლიერებული მოთხოვნების ინოვაცია (მარკეტინგის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად) და ტექნოლოგიური ბიძგის ინოვაცია (არსებული ცოდნის მოხმარება).

დიზაინი – R&D-ის პროცესის ფინალური სტადია, რომელსაც განვითარება მყიდველისათვის განკუთვნილი საბოლოო პროდუქციაში გადააქვს. დიზაინის სტადია ცდილობს გარკვეული ელემენტების შედუღაბებას, რომელსაც წარმოგვიდგენს „შერეული დიზაინის“ სახით. ეს ელემენტებია ევკლიდური ოპერაცია, უსაფრთხოება, ადვილი ექსპლუატაცია და ესთეტიკური მხარეები. ის ყველა იმ ელემენტის შედუღაბებას ახორციელებს, რომელიც მყიდველს აკმაყოფილებს.

ანტრეპრენიორობა. იგი არის ანტრეპრენიორების მოქმედება, რომელიც პასუხისმგებელია ახალ პროდუქციაზე, პროცესებზე, მომსახურებაზე და მარკეტების შექმნაზე. ისინი ავითარებენ ბიზნესის კეთების და ხალხის დასაქმების ახალ გზებს, იგონებენ ორგანიზაციის ახალ ფორმებს. იგი არის

ისეთი ქმედება, რომელშიც ხდება ფიზიკური, ფინანსური, ადამიანისა და რესურსების მობილიზაცია. ანტრეპრენიორობა ჩვეულებრივ მზადაა, სათავეში ჩაუდგეს მოქმედებას და მასზე პასუხისმგებლობა იკისროს. ანტრეპრენიორები ბიზნესის ისტორიაში ძირითადი ფიგურები არიან. წარმატებულ ანტრეპრენიორებს მიზნის მიღწევის დიდი მოთხოვნილება გააჩნიათ და ზომიერად საჭიროებენ ძალაუფლებას (ძალაუფლების მოყვარულები არ არიან) [4].

გამოგნება, ატრეპრენიორობა, კვლევა და განვითარება, დაპროექტება და ინოვაცია – ყველა შედარებით ცნებას წარმოადგენს. ბიზნესისათვის ესაა ინოვაციის პროცესი, სადაც ინოვაცია ძირითადი ცნებაა, ანუ გამოგონების შემობრუნება რაიმე სასარგებლოსკენ.

ინოვაცია არის მზარდი პროდუქტიულობა, მზარდი მარკეტწილი და აქედან გამომდინარე, სარგებლიანობის და ფირმის ხანგრძლივი ვადით გადარჩენის ფაქტორი. ეროვნული ეკონომიკის მასშტაბებზე იგი ეკონომიკის გაუმჯობესების წყაროა რეცესიის გარეშე. ეკონომიკურ ლიტერატურაში, მიუხედავად განმარტებათა სიმრავლისა, ტერმინი „ინოვაცია“ ყველაზე ზუსტად ამ ტერმინის ავტორმა ი. შუმპეტერმა მოგვცა, „ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება“, იდეა. შუმპეტერის თანახმად, ინოვაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც "ახალი კომბინაცია" და განვასხვაოთ იგი გამოგონებისაგან – გამოგონება იქცევა ინოვაციად მხოლოდ მაშინ, როდესაც მეწარმე მას ბაზარზე გაიტანს და მოახდენს მის კომერციალიზაციას.

ინოვაციური პოლიტიკა – ღონისძიებათა კომპლექსი ინოვაციური პროცესების განხორციელების ხელშესაწყობად, რათა მივიღოთ ინოვაცია.

ინოვაციური პროცესი, პროცეს-ოპერაციები – გამოგონება, იდეა – შედეგი – ინოვაცია.

ინოვაცია დიდ დროს და ხარჯებს მოითხოვს, ინოვაციებში ჩადებული ინვესტიციის ძირითადი მახასიათებელი რისკისა და შემოსავლის შეფარდებაა. რისკი ხშირ შემთხვევაში მაღალია. რაც შეეხება შემოსავლიანობას, ცნობილია, რომ ინოვაციის დაწერგვას შეუძლია დიდი მოგების მოტანა, მაგრამ საწყის ეტაპზე საჭიროა დიდი ინვესტიციები, ხოლო ამონაგები შეიძლება 5-6 წელიწადზე გაიწელოს.

თანამედროვე, ღია ეკონომიკების პირობებში, რომელიც ვერ შეაფასებს ინოვაციური პოტენციალის როლს, კარგავს თავის პოზიციებს, კარგავს კონკურენტულობის უნარს, ასეთი მიდგომა თვითონ იწვევს კრიზისულ სიტუაციას და მთლიანად ეკონომიკის ჩამორჩენას. შესაბამისად, სახელმწიფოს და საზოგადოების სწრაფვა კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციებს ეკონომიკაში, მის ნებისმიერ დარგში. დღეს „ინოვაციის“ ცნება გამოიყენება პრაქტიკულად ყველგან, ეკონომიკის ყველა სფეროში, იგი წარმოადგენს საუბრის თემას, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე პროფესიულ თუ სახელმწიფო მეთაურთა და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე.

მცირე ბიზნესის არსი, შეფასების კრიტერიუმები და თავისებურებანი: ბიზნესი ინგლისურენოვანი ტერმინია, მის საშობლოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ტერმინმა დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა: პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ, წყარო შემოსავლისა და ა.შ. [11, გვ. 11]. დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის უამრავი განმარტება არსებობს. მკვლევართა უმრავლესობა ბიზნესს მოგების მიღების წყაროდ მიიჩნევს. ზოგიერთი ავტორი არამომგებიანი ბიზნესის არსებობასაც უშვებს. მაგალითად, დ. ნიდლი ბიზნესს განიხილავს, როგორც ფართო ცნებას,

რომელიც მოიცავს როგორც მომგებიან (როგორცაა ფორმები და ბანკები), ასევე არამომგებიან საწარმოებს (მაგალითად, სკოლები და საავადმყოფოები). მცდარია შეხედულება, რომ ბიზნესი მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული, ბიზნესის სისტემები და მეთოდოლოგია მოქმედებს ყველა ტიპის ორგანიზაციაში [4, გვ. 2]. ამ მოსაზრებას შეიძლება დავეთანხმოთ, ვინაიდან ასეთი ბიზნესის სისტემის არსებობისას ბიზნესმენი ვერ იღებს მოგებას, მაგრამ იღებს შემოსავალს.

დღეს მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბიზნესი ფუნქციონირებს მცირე, საშუალო, მსხვილი და გლობალური ბიზნესის ფორმით. ბიზნესის ამ ფორმებს შეესაბამება მცირე, საშუალო, მსხვილი საწარმოები და ტრანს-ეროვნული კორპორაციები.

მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესის სისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთ პირველწაროდან აღიარებული მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო.

მცირე საწარმო, წარმოების ეს უპეველესი ფორმა, როგორც კატეგორია, პირველად 1931 წელს გამოიყენა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა – მ. მილანმა დი-დი ბრიტანეთის სამრეწველო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას. აშშ-ში მცირე საწარმოს პირველი განმარტება გამოჩნდა 1948 წელს კანონში – “გარკვეული სახეობის მომსახურების შესახებ” და 1953 წელს კანონში – “მცირე ბიზნესის შესახებ”. მცირე ბიზნესისათვის საწარმოების მიკუთვნებისას აღნიშნულ კანონში განისაზღვრა შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმები [10, გვ.12]: საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (ყველაზე მეტად გავრცელებული კრიტერიუმი); წარმოების წლიური მოცულობა; რეალიზაციის წლიური მოცულობა; აქტივების საბოლოო წლიური საბალანსო ღირებულება; საწარმოს წილი ბაზარზე. აშშ-ში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მექანიზმების სრულყოფა მუდმივად ხორციელდება, აღნიშნული კანონის სრულყოფა მოხდა 1958 წელს, 2010 წელს მიღებულ იქნა “მცირე ბიზნესის დასაქმების აქტი” (Small Business Jobs Act), მცირე ბიზნესისადმი, განსაკუთრებით ინოვაციური მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის გაღრმავების მიზნით.

დიდ ბრიტანეთში 1971 წელს შეიქმნა მცირე ბიზნესის გამოკვლევის კომისია. მისი მუშაობის შედეგი ცნობილია “ბოლტონის ანგარიშის” სახელწოდებით. ამ ანგარიშში მოცემული იყო მცირე ფორმის განსაზღვრის პირველი სერიოზული მცდელობა. სიძნელეები იმაში მდგომარეობდა, რომ მრეწველობაში მიღებული კრიტერიუმის (დასაქმებულთა რაოდენობა) გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა სხვა დარგებში, ვთქვათ, საცალო ვაჭრობაში, სადაც სავსებით განსხვავებული კრიტერიუმებია საჭირო. „ბოლტონის ანგარიშის“ მიხედვით, მცირე საწარმოს განსაზღვრისათვის შემდეგი კრიტერიუმები იქნა მიღებული: მრეწველობაში, მშენებლობასა და სამთო საქმე/დამუშავებაში – დასაქმებულთა რაოდენობა; საცალო ვაჭრობაში, საბითუმო ვაჭრობაში, ავტომობილებით ვაჭრობასა და მომსახურებაში – წლიური ბრუნვის მოცულობა; საგზაო ტრანსპორტში – სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა.

მცირე ბიზნესის ამგვარი შეფასების წინააღმდეგ გამოვიდა ჯ. სთორი. იგი ამტკიცებდა, რომ მცირე ბიზნესის შეფასების ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც იგი ეფუძნება პროდუქციის მოცულობას, რომელზეც გავლენას ახდენს ტექნოლოგიური

ცვლილებები. თავად უპირატესობას ანიჭებს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, სადაც ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს დასაქმებულთა რაოდენობა, იგი ასე გამოიყურებოდა:

მცირე და საშუალო საწარმო (SME)	250 მუშაკზე ნაკლები;
მცირე ბიზნესი	100 მუშაკზე ნაკლები;
მიკრობიზნესი	10 მუშაკზე ნაკლები

ამ მარტივი შემოთავაზების მიუხედავად, კვლავაც არსებობს პრობლემები, კერძოდ, თუ ფორმა ბიზნესის ერთ სახეობაში ჩაითვლება მცირედ, იგივე ფორმა შეიძლება სხვა სახეობაში შედარებით მსხვილ საწარმოდ ჩაითვალოს. ასე მაგალითად, მცირე ფორმა 100 დასაქმებულით მრეწველობაში, მსხვილ საწარმოდ ჩაითვლება ვაჭრობაში.

ამჟამად მსს ევროკავშირში განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით და სტატისტიკური სიდიდეებით [1]

საწარმოს ფორმები	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	წლიური ბრუნვა(ევრო)	საბალანსო ღირებულება(ევრო)
საშუალო	< 250	< 50 მილიონი	< 43 მილიონი
მცირე	< 50	< 10 მილიონი	< 10 მილიონი
მიკრო	≤ 9	< 2 მილიონი	< 2 მილიონი

აქ მოცემული მიკრო, მცირე და საშუალო (მმს) საწარმოების განმარტება ამ სამი კრიტერიუმით იძლევა საშუალებას, ეკონომიკური დარგების თუ ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით განისაზღვროს, მათი სტატისტიკური სიდიდეები მოცემული ზედა ზღვარს ქვემოთ, ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ეფიქრობთ, ზემოთ აღწერილი მცირე საწარმოს განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მცდელობაა ამერიკელი მკვლევრების მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ დომინანტს (წამყვანს) თავიანთ სფეროში, ამასთან, მათი წლიური რეალიზაციის მოცულობა და დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს მცირე ამავე დარგის სხვა ფორმებთან მიმართებაში [11, გვ. 100]. აშშ-ში განასხვავებენ სამი ტიპის მცირე საწარმოს: მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ (მათ „სიცოცხლის უზრუნველყოფ“ საწარმოებსაც უწოდებენ – პირადი და ოჯახური მცირე ბიზნესი); მცირე საწარმოებს, რომლებიც აქტიურობას აღიდეგენ ნელ-ნელა; მცირე „სწრაფად განვითარებადი“ საწარმოები, რომელთა სწრაფად განვითარება და გარდაქმნა ხდება ჯერ საშუალოდ, ხოლო შემდეგ მსხვილ კომპანიადა.

აშშ-ში ამჟამად მცირე საწარმოები ძირითადად ორი კრიტერიუმით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა – 3-დან 12 მილიონ დოლარამდე [12, გვ. 2].

იაპონიის მრეწველობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა რიცხოვნობით 300 კაცამდე და საწესდებო კაპიტალით 100 მლნ იენამდე; საბითუმო ვაჭრობაში, შესაბამისად, 100 კაცამდე და 30 მლნ იენამდე და საცალო ვაჭრობაში 50 კაცამდე და 10 მლნ იენამდე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც ჩანს, დღეისათვის არ არსებობს მცირე საწარმოს ზომის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა, მისი

შეფასების ერთნაირი კრიტერიუმი, თუმცა, ვფიქრობთ, საყოველთაო კრიტერიუმად შეიძლება ვაღიაროთ საწარმოში (ფირმაში) დასაქმებულთა რაოდენობა, თუმცა მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რაც გამოწვეულია ეკონომიკის განსხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით. ჩვენი თვალსაზრისით ეს მიდგომა სავსებით სამართლიანია. საწარმოების მცირე ბიზნესზე მიკუთვნების უამრავი მეთოდიდან არც ერთი მეთოდი არ ჩაითვლება უნაკლოდ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამერიკელი სპეციალისტების [11, გვ. 100] მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს შეფასების მიდგომები შედარებით ხსნის ამ სიძნელეებს, მაგრამ ისიც არაა ხარვეზებისგან დაზღვეული.

აღნიშნული სიძნელეების თავიდან აცილებაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების ჩვენეული შეფასება. მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე საწარმოების მიკუთვნებისას უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და მისი ეკონომიკური განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმებად კი უნდა ავიღოთ: დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების საკითხის გადასაწყვეტად მიგვაჩნია, დარგების (ან ეკონომიკური საქმიანობის სახეების) მიხედვით გავიანგარიშოთ საერთოდ ეკონომიკაში ერთ საწარმოზე მოსული ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მანევრებლებიც ნაკლები იქნება საშუალოზე, საშუალოს – რომლის მანევრებლებიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდისა, ხოლო მსხვილ საწარმოს ის, რომლის მანევრებლებიც მეტი იქნება საშუალოზე. პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მონაცემები შევცვალოთ საშუალო სიდიდეების ცვლილების შესაბამისად [1].

მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 3-5 წლიან ინტერვალს.

დღეს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრა დარეგულირებულია ორი სხვადასხვა კანონით. 2011 წლის 1 იანვრამდე საშუალო და მცირე ბიზნესი განსაზღვრულია საქართველოს კანონების – „მეწარმეთა შესახებ“ (1994) და „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ (2006) – თანახმად. ამჟამად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მცირე საწარმოს მიმართ მომუშავეთა რაოდენობის მანევრებელი აღარ მოქმედებს, ხოლო წლიური შემოსავალი 100 ათას ლარზე ნაკლები უნდა იყოს. დადგინდა, აგრეთვე, მიკროსაწარმოს განსაზღვრება. საბოლოოდ, საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სტატისტიკური მახასიათებლები საწარმოთა ფორმების მიხედვით ასეთია:

საწარმოს ფორმა	2011 წლის 01 იანვრამდე		2011 წლის 01 იანვრის შემდეგ		
	დასაქმებული (კაცი)	წლიური ბრუნვა	დასაქმებულთა რაოდენობა	წლიური ბრუნვა	წლიური შემოსავალი
საშუალო	< 100	<1.5 მლნ. ლ.	< 100	<1.5 მლნ. ლ.	არ განიხილება
მცირე	< 20	< 500 ათასი ლ.	არ განიხილება	არ განიხილება	< 100 ათასი ლ.
მიკრო	არ განიხილებოდა		= 1	არ განიხილება	< 30 ათასი ლ.

კარგია, რომ დღეს საქართველოში საწარმოთა დაჯგუფება ხდება ევროკავშირში არსებული ფორმების მიხედვით (მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი), მაგრამ არ მიგვაჩნია მართებულად, მცირე ბიზნესისათვის დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმის უგულვებლყოფა, ხოლო მიკრობიზნესისათვის მხოლოდ ერთი კაცით განსაზღვრა, მაშინ, როდესაც ქვეყანა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. საკმარისია გავიზიაროთ ევროკავშირის გამოცდილება, ვადიაროთ მის საწარმოების სტატისტიკური მახასიათებლები, ხოლო მათი სტატისტიკური სიდიდეები განვსაზღვროთ ქვეყანის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დარგების ან ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის შეფასება, უწინარესად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, იმპორტი, ექსპორტი, უმუშევრობა, ინფლაცია და ა.შ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს.

ამასთან აღსანიშნავია აშშ-ს სპეციალისტების [9, გვ. 106] თვალსაზრისი, რომ მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნაში; ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში; მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში; სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით მომხმარებლის უზრუნველყოფაში.

მცირე ბიზნესს აქვს უნარი, ფართო მასშტაბებით უზრუნველყოს შრომითი რესურსების გამოყენება. სწორედ ამაში ვლინდება მცირე ბიზნესის სოციალური როლი და როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. მცირე საწარმოს, თავისი საქმიანობის კიდევ ერთი არსებითი თვისებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში. ეს არის საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა დანერგვა. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, მნიშვნელოვანი დამუშავებების (განსაკუთრებით ახალი ნაწარმის შექმნა) 98%-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. ეს განსაცვიფრებელი რიცხვია, რადგან ქვეყანაში კვლევასა და დამუშავებაზე გამოყოფილი სახსრების საშუალოდ 5%-ზე ნაკლებს ხარჯავს მცირე საწარმოები. მცირე ბიზნესის (მცირე საწარმოების) ეფექტიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ერთეულ დანახარჯზე (1 დოლარზე) ნერგავენ 17-ჯერ მეტ სიახლესა და გამოგონებას, ვიდრე მსხვილი საწარმოები, რომლებზედაც ახალი ტექნოლოგიების მხოლოდ 10% მოდის (დანარჩენ 90%-ს მცირე საწარმოები და დამოუკიდებელი გამომგონებლები ნერგავენ) [12, გვ. 2].

როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე საწარმო შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ მიმართულებით უცხოეთში ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად იმ ფირმების მაღალი აქტიურობა იქნა ნაჩვენები, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. აშშ ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4-ჯერ მეტ სიახლეებს ნერგავენ, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000-მდე ადამიანი, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დაკავებულია 10 000 კაცზე მეტი [10, გვ. 18].

მცირე ბიზნესი ქმნის სპეციალიზაციისა და კოოპერაციის მაღალ დონესა და ნაყოფიერ სამწარმოო კლიმატს. იგი სწრაფად გამოსყიდვადია და ა.შ.

ახალი პროდუქციის დანერგვისა და ახალი სამუშაო ადგილების

უზრუნველყოფის გვერდით, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის (დაახლოების) ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი; სუბარენდა³⁷; ფრანჩაიზინგი; ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებები.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს საწარმოთა სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოებთან ურთიერთობას. მცირე ფირმები ხელს უწყობს მსხვილ კომპანიებს, იყენენ მოქნილნი და უბიძგებს მათ უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ ფირმებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. აქ მცირე საწარმოთა უმრავლესობა სუბარენდული სისტემით არის დაკავშირებული დიდ ბიზნესთან. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა ურთიერთშეესების საფუძველზეა აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისაკენ.

მოქმედი სუბარენდული სისტემა, მსხვილი ფირმების მომარაგების საიმედოობის გადიდებასთან ერთად, მით უფრო აგრესიული კონკურენტული ბრძოლის საშუალებას იძლევა.

ამდენად, მცირე საწარმოები ხელს უწყობს მსხვილი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე.

მრავალი მცირე ფირმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებლების დაკმაყოფილებას იმ სპეციალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთა სერიული წარმოება ან მსხვილი მომსახურების რგოლების შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ასეთი საქონლის ბაზარი, ცხადია, დიდი არ არის, მაგრამ მცირე ფირმები, რომლებიც მომხმარებელს უნიკალური სახის საქონელს აწვდიან, თავიანთ ნიშას პოულობენ ბიზნესის სამყაროში, რითაც ხელს უწყობენ ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

მცირე ბიზნესის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი მაღალი მოქნილობა ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი.

მცირე ბიზნესის კიდევ ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს გაკოტრების მაღალ მაჩვენებლებში – მცირე საწარმოების თითქმის 50% იხურება საქმიანობის პირველ ორ წელს. წარმატებულია მცირე ბიზნესის მხოლოდ 15%. გაკოტრება გამოწვეულია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით, მაგრამ, ამავე დროს, გაკოტრების პროცესი ეკონომიკური შექანიზმის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. იგი იძლევა საშუალებას, თავი დაავადწიოთ არაეფექტიან მეწარმეობას, ამავე დროს, იძლევა უნარიანი ბიზნესმენების გამოვლენის შესაძლებლობას. ამიტომაც, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოები ცდილობენ, გაკოტრება რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული იყოს ბიზნესმენებისათვის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მოიძებნოს გამაწონასწორებელი ბალანსი ბიზნესმენის საქმიან აქტიურობასა და ბიზნესმენის მინიმალური პასუხისმგებლობის დონეს შორის. ამასთან,

³⁷ სუბარენდა (sublease) – არენდირებული ქონების ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის არენდით. ამ შემთხვევაში არენდატორი მენაბრის როლში გამოდის.

არსებითია სახელმწიფოს მხრიდან მცირე საწარმოს გაკოტრების სწორი მექანიზმის შემუშავება, რათა დავიცვათ საზოგადოება ეკონომიკური რესურსების არაუფექტიანი გამოყენებისაგან. ამდენად, უნდა გამოიყოს მცირე ბიზნესის ერთ-ერთი თვისება, რომ აქ ხორციელდება ეკონომიკური რესურსების გამოყენების ექსპერიმენტი.

მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველწყარო, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველია. თავისი არსით იგი ტიპური საბაზრო ბუნების მატარებელი და ინოვაციურია.

საბაზრო მექანიზმის სფეროში მცირე ბიზნესის როლი იმაში ვლინდება, რომ ის ახერხებს ბრძოლას მონოპოლიასთან, რასაც აღწევს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით, ინოვაციურობის მაღალი დონით მსხვილ ბიზნესთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მისი მოქნილობით.

მცირე ბიზნესით ხორციელდება საზოგადოებრივი მოთხოვნის სრულყოფილი დაკმაყოფილება ბაზრის ნიშების შევსების ხარჯზე, რომელთა იგნორირებას ახდენს მსხვილი და საშუალო ბიზნესი. მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ მსხვილი ფირმების წარმოების შესაძლო სპეციალიზაციას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბოლო წლებში, მსხვილმა საწარმოებმა წერილი სპეციალიზებული საწარმოების სასარგებლოდ თავი დაანებეს დამხმარე და დამამზადებელი ვიწრო საწარმოო რგოლების შექმნას.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის სფეროში მცირე ბიზნესი მასთან დაკავშირებულ და დასაქმებულ ადამიანებს უყალიბებს მესაკუთრის ფსიქოლოგიას, უნარს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. მცირე ბიზნესი ადამიანს ეხმარება პიროვნების რეალიზაციაში, საშუალებას აძლევს, იგრძნოს თავი, როგორც რთული ამოცანების გადაჭრის უნარის მქონე.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სფეროში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეგრეთ წოდებული საშუალო ფენის ფორმირების საფუძველს, რომელიც დღეისათვის საბაზრო ტიპის საზოგადოების ძირითადი ნაწილია.

მცირე ბიზნესი აყალიბებს საგადასახადო შენატანების დიდ მასას, მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს არსებობის საშუალებებით, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

კონკურენტული გარემოს შექმნის სფეროში მცირე საწარმო ახერხებს ზეწოლას მსხვილ საწარმოებზე და ამით სტიმულს აძლევს მათ ინოვაციურ საქმიანობას. ისინი თავიანთი განსხვავებული სტრატეგიებით ხელს უწყობენ დარგის კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნებას. მცირე ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა; კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე აუნაზღაურებადი (დაუბრუნებადი) დანაკარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება; პროდუქციის ასორტიმენტსა და წარმოებაში სწრაფი ცვლილებების შეტანის უნარი; მოკლე ტექნოლოგიური ციკლი; დამამთავრებელ წარმოებაში მარაგების სიმცირე; საშუალებების სწრაფი ბრუნვა (რაც ადიდებს შემოსავლებს, ამცირებს ამოსყიდვის ვადებს, ამცირებს ეკონომიკური რისკის დონეს); წარმოების ორგანიზაციისა და მართვის უკიდურესად რაციონალური სტრუქტურის გამო, დამატებითი (ზედნადები) ხარ-

ჯების სიმცირე; პროდუქციის გასაღების მდგრადობა კონკრეტულ მომხმარებელზე ორიენტაციის წყალობით; სწრაფი შემგუებლობა ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებთან; მმართველობითი ინფორმაციის გადაცემის მაღალი სისწრაფე, რაც მცირე ფირმებს აძლევს შესაძლებლობას, ოპერატიულად შეძლონ რეაგირება კონკურენტის პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე.

ამასთან, მცირე საწარმოები ფლობენ მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს, რაც იწვევს მათი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, რომელიც განაპირობებს მცირე საწარმოების გაკოტრების მაღალ პროცენტს. ეს ფაქტიც განაპირობებს მცირე ბიზნესის სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობას.

მცირე ბიზნესის საწარმოთა ზომის განსაზღვრა (მისი მახასიათებლების სტატისტიკური სიდიდის განსაზღვრა), ასევე მათი განსაკუთრებული თავისებურებების ცოდნა არსებითია, რათა ხელისუფლებამ შეძლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის აუცილებლობას განაპირობებს ის განსაკუთრებული თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს მცირე ბიზნესს, რომლის გარკვეულ ნაწილზეც ვისაუბრეთ ზემოთ.

სწორედ ის დადებითი მხარეები, რომელიც მცირე ბიზნესს გააჩნია ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, განაპირობებს მისადმი ესოდენ დიდ მხარდაჭერას განვითარებულ ქვეყნებში. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მცირე ბიზნესი, თავისი ინოვაციური თვისების გამო, ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს ინოვაციური პოლიტიკის გატარების საქმეში. მცირე ფირმა განხილულია როგორც ცვლილებების განმახორციელებელი ძალა, რადგან იგი მოქნილი და ინოვაციურია ვიდრე მსხვილი ბიზნესი.

ინოვაციური მცირე ბიზნესი, მისი მხარდაჭერის ევროკავშირის პოლიტიკა.

ევროკავშირი დღეს 28 სრულყოფილია, დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთა საერთო მიზანს კეთილდღეობისა და ეკონომიკური წინსვლის სურვილი წარმოადგენს და მასში 508 მილიონზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს. შექმნილია გადაწყვეტილების მიმღები შვიდი ძირითადი ორგანო, რომელთაც ევროკავშირის ინსტიტუტებს უწოდებენ, ესენია: ევროპული საბჭო; ევროპის კავშირის საბჭო; ევროპარლამენტი; ევროკომისია; ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო; ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის აუდიტორთა სასამართლო.

21-ე საუკუნის თანამედროვე ეტაპზე ბიზნესში ინოვაციები, ეს ეკონომიკის წინსვლის, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. დღეს მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესფორმებიდან მაღალი ინოვაციურობით ხასიათდება მცირე ბიზნესი, ამაზე მეტყველებს აშშ-ს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4-ჯერ მეტ სიხლეებს ნერგავდა, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10000-მდე ადამიანი, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც და-კავებულია 10 000 კაცზე მეტი [10, გვ. 18]. (ვრცლად აშშ-სა და იაპონიაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ იხილეთ ნაშრომი [1]).

ევროკავშირი, თავისი ინსტიტუტებით, ეს მეგა სისტემა, მოიცავს ევროკავშირის ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართულ ყველა სფეროს, რადგან მისი მიზანია მაღალკონკურენტუნარიანი, მაღალგანვითარებული ერთიანი ევროპის ჩამოყალიბება. აქვე გვინდა შევნიშნოთ რომ, რაც შეეხება მცირე ბიზნესს და მისი მხარდაჭერის საკითხებს, მასზე არსებით ყურადღებას ამახვილებდნენ ევროკავშირის შექმნამდე, როგორც

ევროკავშირის წევრი – ისე არაწევრი ქვეყნები, ისეთი, როგორცაა აშშ, იაპონია და სხვა. ვინაიდან დღეს საქართველოს სტრატეგიულ მიზანს ევროპასთან ინტეგრაცია წარმოადგენს, ჩვენ მეტი ყურადღება დაეუთმეთ ევროკავშირის მიერ ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლას.

ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ევროპაში. მხარდაჭერის საკითხების განხილვამდე უნდა შევხერდეთ ევროკავშირის მიერ ინოვაციური მცირე ბიზნესის განსაზღვრების საკითხებს. ევროკავშირში კომპანიები გამოყოფილია სპეციალურ კატეგორიად, რომელსაც **ინოვაციურ მცირე საწარმოებს უწოდებენ. მცირე საწარმოები ინოვაციურია, თუ ისინი შემდეგ პირობებს აკმაყოფილებენ:**

1. ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%.

2. ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულებები კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზრებსზე.

3. საწარმო ახალგაზრდა უნდა იყოს – მისი ასაკი დაფუძნებულია 6 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

მცირე საწარმოთა შორის, როგორც აშშ, ისე ევროკავშირი გამოყოფს სწრაფად მზარდ საწარმოებს, რომელთა ზრდის წყარო, უმთავრესად ინოვაციაა. ამ კატეგორიას ევროკავშირში მიაკუთვნებენ საწარმოებს, რომლებსაც ახასიათებს სამი ან მეტი წლის განმავლობაში წლიური 20%-იანი ზრდა, საერთო ასაკი 5 წლამდე, დაწყების მომენტისთვის წლიური შემოსავლი არ უნდა იყოს 100000 აშშ დოლარზე ნაკლები. მათი ზრდის წყარო ინოვაციაა, მაგრამ არა აუცილებლად რადიკალური (ანუ მაღალტექნოლოგიური, რომელიც, სტატისტიკის თანახმად, ასეთ საწარმოთა მხოლოდ 5% ახასიათებს). უმრავლეს შემთხვევაში ინოვაცია ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ეს შეიძლება იყოს ახალი ბიზნესმოდელები, მართვის პრაქტიკა, ადმინისტრირების სქემები. ამოცანაა სწრაფად მზარდი საწარმოების აღრიცხვა, წარმოჩენა, დახმარების გაწევა [7].

ევროკავშირში ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა რეგულირდება სახელმწიფო დახმარების შესახებ კანონმდებლობით [7] (2006), რომელიც განსაზღვრავს, კონკურენციის წესების დაურღვევლად რა დახმარების გაწევა დასაშვებია.

კერძო საწარმოებისთვის ნებადართული დახმარების მიმართულებები შემდეგია:

- კერძო საწარმოების მონაწილეობა საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებულ კვლევისა და შემუშავების პროგრამებში (როგორც ეროვნულ, ასევე საერთო ევროპულში);

- ეროვნული და საერთო-ევროპული საჯარო ფონდებიდან მსს-თვის წინასაპროექტო კვლევისა და ტექნიკური დავალების შესადგენი ხარჯების დაფარვა;

- ეროვნული და საერთო-ევროპული საჯარო ფონდებიდან მსს მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოსაპოვებლად საჭირო ხარჯების დაფარვა (საპატენტო ძიება, განაცხადის შესადგენად მოწვეული პატენტ-მცოდნეების შრომის ანაზღაურება, საპატენტო უწყებაში სარეგისტრაციო საფასურის გადახდა, სხვადასხვა ქვეყნებში დაპატენტებისთვის საჭირო პატენტ-რწმუნებულების გასამრჯელოსა და თარგმანის ხარჯების დაფარვა);

- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების საინოვაციო პროექტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა;

- მომსახურების სფეროში მოქმედი მსს საინოვაციო პროცესებისთვის (საორგანიზაციო ინოვაციასთან დაკავშირებული) საჭირო ხარჯების დაფარვა;

- ინოვაციის სფეროში მოქმედი საკონსულტაციო და სხვა მხარდამჭერი სამსახურების (მაგალითად, ბიზნესინკუბატორების, ტექნოპარკებისა და სხვა) ხარჯების დაფარვა;

- მსს საინოვაციო პროცესების უზრუნველსაყოფად საჭირო უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების უნივერსიტეტებიდან ან დიდი საწარმოებიდან დროებით მოსაზიდად საჭირო ხარჯების დაფარვა;

- საინოვაციო კლასტერების შესაქმნელად საჭირო კვლევისა და საორგანიზაციო სამუშაოების ხარჯების დაფარვა.

როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის ინოვაციები ბიზნესში მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ევროკავშირზე მოდის 18%, ხოლო იმ ბაზარზე, სადაც განსაკუთრებულად დახვეწილ პროდუქტიაზეა მოთხოვნა, მისი წილი 31% შეადგენს. მსოფლიოს 188 უმსხვილესი კომპანიიდან 69 ევროკავშირზე მოდის, ხოლო აშშ-სა და იაპონიაზე შესაბამისად 61 და 21. მიუხედავად ამ წარმატებისა, ევროკავშირი გრძნობს ჩამორჩენას რიგი საინოვაციო მაჩვენებლების მიხედვით აშშ-ს და სხვა კონკურენტების მიმართ. მაგალითად, დღეისათვის სამეცნიერო კვლევებში იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ): ევროკავშირში - 2%, აშშ-ში - 2,65%, იაპონიაში - 3,1%. ევროკავშირში კერძო სექტორის ხარჯები კვლევაზე საერთო ხარჯების 57% შეადგენს, აშშ - 68,5%. ჩამორჩენა შეინიშნება, აგრეთვე მშპ-ში ვენჩურული კაპიტალის წილში, ახალი კომპანიების კაპიტალიზაციაში, ახლადშექმნილი მაღალტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობაში და ზოგიერთ სხვა ინდიკატორში, რომელიც ამ სფეროში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ასახავს [3]. სწორედ ამან განაპირობა 2000 წელს ლისაბონის სხდომაზე ახალი სტრატეგიის მიღება, რომელიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნისა და კეთილდღეობის ზრდის უმთავრეს მექანიზმად ევროპის ინოვაციური გზით განვითარებას გულისხმობს. აქედან იწყება ევროპის საინოვაციო განვითარების ახალი ეტაპი, რომლის კონცეფცია და გეგმა **ლისაბონის სტრატეგიის სახელითაა ცნობილი**. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება ცარიელ ნიადაგზე არ მომხდარა, მას წინ უძღოდა 30 წლიანი საერთო-ევროპულ და ეროვნულ პროგრამებზე დაფუძნებული საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. ამ პროგრამებს ყველგან წითელ ზოლად გასდევდა მცირე მაღალტექნოლოგიური კომპანიების როლის მნიშვნელობა. ლისაბონის სტრატეგიის მიღებამდე დასრულდა ოთხი ხუთწლიანი კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა და მეხუთეს ნახევარი. მე-4 ჩარჩო-პროგრამაში, რომელიც უშუალოდ ლისაბონის სტრატეგიის მიღების წინ დასრულდა, 10 სპეციფიკური პროგრამა ითვალისწინებდა მსს მხარდაჭერას ორი ფორმით:

- **კვლევითი გრანტები** (ევროკავშირი ფარავდა სრული ხარჯის 75%) სამუშაო პროგრამის მომზადებისთვის, პარტნიორების მოსამუშაოდ, ეკონომიკური ეფექტიანობისა და განხორციელებადობის შეფასებისთვის;

- **კოოპერაციული კვლევითი პროექტი** იმ მსს-ვის, რომელსაც გარე კვლევითი დახმარება ესაჭიროება გარე ორგანიზაციების მოსაზიდად. ევროკომისია ფარავდა სრული ხარჯების 50%-ამდე. კვლევის შედეგი მსს ეკუთვნოდა.

ამასთან, ზოგიერთ პროგრამაში მსს საწარმოებზე დახმარება იყო გათვალისწინებული, ასე მაგალითად:

• ტელემატიკის გამოყენებით პროგრამაში, ტელემატიკის რესურსების წვდომაში დახმარება;

• მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამით ესმარებოდნენ იმ მსს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების პირველი მომხმარებლები ხდებოდნენ.

ლისაბონის სტრატეგიის მიღებისთანავე, 2000 წელს, ევროკავშირმა შეიმუშავა და დაამტკიცა მცირე საწარმების ევროპული ქარტია, სადაც მოყვანილია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ათი ძირითადი მიმართულება:

1. განათლება და გადამზადება მეწარმეობის სფეროში.

ამ მიმართულებით ევროპა ზრუნავდა სამეწარმეო ბუნების ჩამოყალიბებასა და მენეჯმენტის უნარ-ჩვევების სწავლებაზე დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე, სპეციალობის მიუხედავად და, აგრეთვე, მცირე საწარმოების მენეჯერთა გადამზადებაზე.

2. საწარმოების უფრო იაფად და სწრაფად დაფუძნება. პოლიტიკა ასეთი იყო, დაფუძნების ღირებულება მსოფლიოში ყველაზე იაფი უნდა გახდეს. წევრ-ქვეყნებს, რომელთაც დაფუძნების პროცედურები ხანგრძლივი აქვთ, უნდა აიღონ სწორება მოკლეპროცედურიან ქვეყნებზე. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპანიების დისტანციური ელექტრონული რეგისტრაცია.

3. უკეთესი კანონმდებლობა და წესები. როგორც გაერთიანების, ასევე ქვეყნების დონეზე, აქ ძირითადია კანონმდებლობის რევიზია, რათა მცირე ბიზნესისთვის გამარტივდეს წესები გაკორტებისა და კონკურენციის სფეროებში. კანონმდებლობაში, როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე, სადაც კი შესაძლებელია, მცირე ბიზნესისთვის უნდა გაკეთდეს არსებული რეგულაციური ვალდებულებებისგან გამათავისუფლებელი გამონაკლისები.

4. კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა.

გადამზადების ინსტიტუტები და სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლების სქემები აწვდიან მცირე ბიზნესისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფენ უწყვეტ განათლებასა და კონსულტირებას.

5. ელექტრონული წვდომის გაუმჯობესება. აქ გათვალისწინებული იყო შემდეგი:

საჯარო ადმინისტრაციას გაეძლიერებინა ელექტრონული ურთიერთობა მცირე ბიზნესთან. მცირე ბიზნესისათვის გადასახადების დაბრუნება, კონსულტაცია და ინფორმაციის მიღება ონლაინ რეჟიმში უნდა გაიაფდეს და გაადვილდეს.

6. მეტი სარგებელი გაერთიანებული ბაზრისგან. აქ მოიაზრება ის, რომ მცირე ბიზნესმა უნდა იგრძნოს, ბაზრის გაერთიანების დასრულება იმგვარად ხდება, რომ ამ პროცესმა შექმნას მეგობრული გარემო, პირველ რიგში ბიზნესისთვის კრიტიკულ სფეროებში, როგორცაა ელექტრონული კომერცია, ტელეკომუნიკაცია, კომუნალური სფერო, სახელმწიფო შესყიდვები, საზღვარგარეთ ფულის გადახდა და ახალ ბაზრებზე შეღწევა.

7. დაბეგვრა და საფინანსო საკითხები. აქ არსებითია საგადასახადო სისტემამ წაახალისოს წარმატება, ბიზნესის დაწყება, მცირე საწარმოს გაფართოება, პერსონალური ეფექტიანობა. ფინანსების ხელმისაწვდომობა მცირე ბიზნესისთვის უნდა გაიზარდოს ბარიერების შემცირებით: პანევროპული კაპიტალის ბაზრის წვდომისთვის, საფინანსო მომსახურების სამოქმედო გეგმისა და სარისკო კაპიტალის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის. საბანკო სისტემასა და მცირე ბიზნესს შორის კრედიტებისა და სარისკო კაპიტალის მიწოდების პირობები უნდა შეიქმნას. სტრუქტურული ფონდებისა და ევროპული

საინვესტიციო ბანკის ინიციატივების ხელმისაწვდომობა უნდა გაუმჯობესდეს დამწვებთათვის და მაღალტექნოლოგიური მცირე ბიზნესისთვის.

8. მცირე საწარმოების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება. აქ არსებითია ის, რომ ევროკავშირმა გააძლიეროს ტექნოლოგიების გავრცელება მცირე საწარმოების მიმართულებით და, აგრეთვე, მათ მიერ ტექნოლოგიების პოვნის, გადარჩევისა და მათი ათვისების უნარის გაძლიერება.

გაძლიერდება ტექნოლოგიური კოოპერაცია და გაცვლა სხვადასხვა ზომის კომპანიებს შორის, კერძოდ, მცირე საწარმოებს შორის. შემუშავდება უფრო ეფექტიანი კვლევითი პროგრამები, მიმართული ცოდნისა და ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებაზე. მიღებული იქნება მცირე საწარმოებისთვის ხარისხისა და სერტიფიკაციის სისტემები. მნიშვნელოვანია ევროგაერთიანების პატენტის შემოღება და მისი მიღების გაადვილება. მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობა მცირე საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფირმათა შორის კლასტრებისა და ქსელების წარმოქმნას, პან-ევროპულ თანამშრომლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები გამოვლინდება და გავრცელდება. ხელი შეეწყობა მცირე საწარმოების თანამშრომლობას, მიმართულს საერთო-ევროპულ და მესამე ქვეყნების ბაზრებზე გასვლაზე.

9. წარმატებული ელექტრონული ბიზნესის მოდელები და უმაღლესი კლასის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.

ევროკომისია და წევრი-ქვეყნები იმოქმედებენ ერთობლივად ისეთი საინფორმაციო და ბიზნესის ხელშემწყობი სისტემების, ქსელებისა და მომსახურების შესაქმნელად, რომელიც ადვილად გასაგები და მისაწვდომი და, ამავე დროს, ბიზნესის მოთხოვნილების რელევანტურია. უზრუნველყოფილი იქნება ევროპის მასშტაბით რჩევისა და დახმარების (მათ შორის ბიზნეს-ანგელოზების მხრიდან) წვდომა, რისთვისაც ვებსაიტებიც იქნება გამოყენებული. მოქმედებას დაიწყებს მცირე და საშუალო საწარმოების ობსერვატორია.

10. ევროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა.

ევროკომისია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად კოორდინაციას გაუწევს ევროპულ და ეროვნულ პოლიტიკებს, გამოიყენებს „მრავალწლიანი პროგრამა საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე“ და სხვა მექანიზმებს, მონიტორინგს გაუწევს პროცესს, ხოლო შედეგებს ევროკავშირის გაზაფხულის სამიტს მოახსენებს ყოველწლიურად [3].

ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოებისადმი მიმართებაში გასატარებელ ღონისძიებათა გადრმაგების მიზნით გასატარებელი სამუშაოები აისახა 2006 წელს მიღებულ „ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს შესახებ გადაწყვეტილებაში“ და 2008 წელს მიღებულ „ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტში“. „იფიქრე პირველად მცირეზე“ – პრინციპი „აქტის“ სიმბოლური სახელწოდება გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, აღიარებულ იქნეს მსს-ის ცენტრალური როლი ევროკავშირის ეკონომიკაში. „მცირე ბიზნესის აქტში“ ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობებისთვის, ჩამოყალიბებულია მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიებათა კომპლექსი, 10 პრინციპის სახით:

1. შეიქმნას გარემო, რომელშიც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი წარმატებული იქნება, ხოლო მეწარმეობა დაჯილდოვდება.

2. გარანტია უნდა იყოს, რომ პატიოსანი მეწარმე, რომელმაც გაკოტრება (კრახი) განიცადა, მიიღებს მეორე შანსს.

3. მსს-თვის შემუშავდეს წესები "ჯერ მცირეზე იფიქრე" პრინციპის შესაბამისად.

4. მიღებულ იქნეს ზომები, რათა საჯარო ადმინისტრაციები მსს საჭიროებების მიმართ მგრძობიარენი (პასუხისმგებელნი) გახდნენ.

5. ადაპტირებული უნდა იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები მსს-ის მოთხოვნებისადმი: გაადვილდეს მსს-ის მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და უკეთ გამოიყენონ სახელმწიფო დახმარებების შესაძლებლობები მსს-მა.

6. უზრუნველყოფილ იქნეს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებისადმი მისაწვდომობა და განვითარდეს სამართლებრივი და ბიზნეს გარემო.

7. დახმარება აღმოეჩინოს მსს ერთიანი ბაზრისაგან მეტი სარგებლის მიღებაში;

8. დახმარება გაეწიოს მსს ცოდნის ამაღლებასა და ყველა ფორმის ინოვაციაში;

9. საშუალება მიეცეთ მსს, გარემოსდაცვითი გამოწვევები ბიზნეს-შესაძლებლობებად აქციონ;

10. წახალისონ და მხარი დაუჭირონ მსს-ს, მოგება მიიღონ ბაზრების ზრდიდან (ან შეიქმნას პირობები მსს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის).

ეს „აქტი“ საკანონმდებლო დოკუმენტი არაა. ესაა სამოქმედო გეგმა. თითოეული პრინციპის რეალიზაციისთვის შედგენილია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოთხოვნები ევროკომისიისა და, უმთავრესად, ეროვნული მთავრობების მიმართ [14].

„მცირე ბიზნესის აქტი“-დან გამომდინარე, ეროვნული და რეგიონული (ადგილობრივი) მთავრობების საქმიანობა, მიმართული მსს დახმარებაზე, მრავალხრივ ღონისძიებებს მოიცავს, ესენია: სახელმწიფოს დახმარება

1. შემუშავებასა და კვლევაში;

2. წინასაპროექტო კვლევისა და ტექნიკური დავალების შედგენაში;

3. სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების (სის) ხარჯების დაფარვაში მსს-თვის;

4. ახალგაზრდა მცირე ინოვაციურ საწარმოებს;

5. მომსახურების სფეროში პროცესებისა და საორგანიზაციო ინოვაციის განხორციელებისას;

6. ინოვაციის სფეროში საკონსულტაციო და სხვა მხარდაჭერი სამსახურებისთვის;

7. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზიდვისთვის (თხოვებისთვის) კვლე-ვითი ორგანიზაციიდან ან მსხვილი საწარმოდან;

8. ინოვაციური კლასტერებისთვის დახმარება.

საკითხის შესწავლიდან შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მხარდაჭერის, ევროკავშირის, ეროვნული და რეგიონული, პოლიტიკა (სტრატეგია) წარმოადგენს. როგორც საერთო-ევროპულ, ასევე წევრი-ქვეყნების დონეზე იგი ჩამოყალიბებულია „ევროპულ ქარტიაში მცირე საწარმოებისთვის“ (2000) და „მცირე ბიზნესის აქტში ევროპისთვის“ (2008) და „ევროპა 2020“-ის ორ ძირითად დოკუმენტში, „ინტეგრირებული სამრეწველო პოლიტიკა გლობალიზაციის ერაში“ და „ინოვაციური კავშირი“, ასევე ასახულია ყველა წევრი ქვეყნის კანონმდებლობაში. ევროკავშირი, ამ საკითხისადმი ყურადღებისა და ნორმატიული ბაზის დახვე-

წილობის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ანალოგიური სტრატეგიები ყველა განვითარებულ და წარმატებულ განვითარებად ქვეყანას გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ამ მიმართულებით ჯერჯერობით აღიარებულია როგორც ლიდერი (მცირე ბიზნესზე აშშ-ს და იაპონიის მხარდაჭერის პოლიტიკა ვრცლად გადმოცემულია ნაშრომში [1]).

ევროპა განიცდის ჩამორჩენას აშშ-სა და იაპონიასთან მიმართებაში დამწვები საინოვაციო ბიზნესის მხარდასაჭერად სარისკო კაპიტალის (ბიზნეს-ანგელოზები, ვენჩურული კაპიტალი, აქციების ბაზარი) წარმართვის საქმეში. ამ ხარვეზის გამოსწორებას დღეისათვის ემსახურება ევროპის საინვესტიციო ფონდი.

მცირე და საშუალო ბიზნესზე მხარდაჭერა საქართველოში. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული, კერძოდ: DCFTA-ის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა (2014): მოიცავს, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სპეციალურ ღონისძიებებს, როგორცაა DCFTA-ის ფარგლებში დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელებისთვის ადგილობრივი მეწარმეების მომზადება, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით (მათ შორის: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ექსპორტის ხელშეწყობა, პროდუქტების განვითარება, კონსულტაციები და სხვა). განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016–2020) და სამოქმედო გეგმის (2016–2017) მიღება, რომელიც ეფუძნება მცირე ბიზნესის აქტის უმნიშვნელოვანეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ და განსაზღვრულია მის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები [5].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება – მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. ორივე სააგენტოს ძირითადი მიზნები და ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში [5], რომლიდანაც მოგვეყავს ამონარიდი:

მეწარმეობის განვითარების სააგენტო: წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. მისი ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწვები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში; სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით; მეწარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით; საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორ-

დინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სამეცნიერო და ბიზნესწრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის:

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა: პალატა დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით. მისი მთავარი ფუნქციებია ბიზნესებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ბიზნესუნარების და ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის ხელშეწყობა, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და სხვა.

პალატის წევრობა ნებაყოფლობითია. ამჟამად, პალატას ჰყავს 1 007 წევრი, რომელთა 90% მცირე და საშუალო მეწარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს 0 ლარიდან 10 000 ლარამდე და დამოკიდებულია გაწეულ მომსახურებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები არ იხდიან წევრობის გადასახადს. პალატას აქვს ხუთი რეგიონული ოფისი.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია: ასოციაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 1000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს. ასოციაცია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის და ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას სამეწარმეო ცოდნის, სამეწარმეო უნარების განვითარებისთვის. ასოციაციის წევრობა ფასიანია და მერყეობს 600 აშშ დოლარიდან 2 000 აშშ დოლარამდე საწარმოს ზომიდან გამომდინარე.

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია: წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ადვოკატირება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესთან სამეწარმეო უნარების განვითარების, სხვადასხვა მიმართულებით კონსულტაციების გაწევის მიმართულებით და სხვა. ასოციაციას დღეისთვის 106 წევრი ჰყავს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები და ინიციატივები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია

საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ ბიზნეს და ინდივიდუალურ საკონსულტაციო მომსახურებას და გაივლიან ტრენინგებს. პროგრამის ეფექტიანობის ზრდის, ასევე, შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება და მონიტორინგი.

თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის ბლოკში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები.

მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

2015 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მილიონი ევრო).

აქ მოყვანილი ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში ინოვაციების თვალსაზრისით საქართველო 144 ქვეყნიდან 121-ე ადგილზეა. ეს მაჩვენებელი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი აქტუალურია. ამასთან, იმაზეც, რომ მსოფლიოში აღიარებულ, ეკონომიკაში ინოვაციების ინექციების ძირითად ფაქტორს – მცირე ბიზნესს, სათანადო ყურადღება არ ექცევა, ქვეყანაში არ არის მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურა.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მცირე საწარმო შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამით არის განპირობებული ესოდენ დიდი როგორც არასაფინანსო, ისე საფინანსო მხარდაჭერა მცირე ბიზნესისადმი. ამასთან ჩანს, როგორი ჩამორჩენაა ამ მიმართულებით საქართველოში: უპირველესად, უნდა დადგინდეს მიკრო, მცირე, და საშუალო ბიზნესის სტატუსი საქართველოსთვის; შეიქმნას მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ღონისძიებების გატარების განმახორციელებელი ინსტიტუტები (სხვა ინსტიტუტებთან ერთად, უპირველესად შეიქმნას „საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია“, „ეროვნული მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“); მიღებულ იქნეს კანონთა პაკეტი მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების შესახებ; განისაზღვროს ინოვაციური მცირე ბიზნესი საქართველოსთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., 2009.
2. ენციკლოპედიური ლექსიკონი.
3. თ. ვაშაკიძე. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსიგ, თბილისი, 2010. გვ. 221-244. 95282 T.Vashakidze
4. დ. ნიდლი, ბიზნესის კონტექსტში (ინგლისურიდან თარგმანი), თბ.; ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი, 2003.
5. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
6. გ. ლავთაძე, ს. გირგვლიანი, ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარი ფაქტორი. <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/Business/GavtadzeGeorge.pdf>
7. ო. შატბერაშვილი, EaP და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები. 82914Satberashvili-MMC-Aug
8. ო. შატბერაშვილი, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. 79712L.Shatberashvili_EU
9. Горфинкел В., Швандар В. Малый бизнес организация экономика управление. М., «ЮНИТИ», 2003.
10. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.
11. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.
12. <http://open-referat.djenbo.com/referats/vldoc.5531.html>. Биржевое дело реферат на тему «Малый Бизнес». 2005.
13. Policy Paper_WG2_McCire&Sashualo biznesi
14. Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions - "Think Small First" - A "Small Business Act" for Europe {SEC(2008) 2101} {SEC(2008) 2102}/* COM/2008/0394 final */

Eter Kakulia

Nana Bibilashvili

POLICY OF SUPPORT OF INNOVATIVE SMALL BUSINESS IN THE EU

Annotation

The article studies: innovation policy in EU; criteria to define innovative enterprises of small and middle business; the significance of Lisbon strategy with regard for small and middle business: "Small Business Act". The experience of USA, Europe and Japan supporting small innovative enterprises is discussed .

As a result of research there are given conclusions on the necessity to adopt European experience of supporting innovative small business in accordance with Georgian economy and elaborate the mechanism of lossless, timely and proper application of financial and nonfinancial programs intended for Georgia on the side of EU in this direction.

მარინე ცუცქერიძე

**ევროინტეგრაციის პროცესში სლოვენის სამეწარმეო სისტემის
ბანკოთარების ასპექტები**

ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის ძირითად მიზანს სლოვენიაში წარმოადგენს მისი ენერგეტიკული მრეწველობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მანქანათმშენებლობის და კვების პროდუქტების, ასევე ბუნებრივი ნედლეულის ექსპორტის გაფართოება ევროპის და საერთაშორისო საბაზრო სივრცეში და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მეწარმეობის განვითარება და მისი საქმიანობის არეთა გაფართოება სლოვენის ბიზნესის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებაა. მისი შემოსავლების, ფირმათა მოგების გადიდების მიზნების შესასრულებლად იგი ასევე მეწარმეთა შრომითი შემოსავლების ზრდის, ინოვაციური ტექნიკის წარმოების გაფართოების, საგარეო საბაზრო ურთიერთკავშირების განმტკიცებისათვის აუცილებელი წინაპირობაა. თანამედროვე სამეწარმეო პოლიტიკა კი ევროკავშირის სახელმწიფოებში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო ფირმებსა და კომპანიებს შორის ევროინტეგრაციული ურთიერთობების დასამყარებლად აუცილებელ საშუალებად გვევლინება.

სლოვენის ეკონომიკისა და მისი სამეწარმეო სისტემის დარგობრივი საწარმოო ელემენტების ეფექტიანი ფუნქციონირება მიმართულია ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, ტყის რესურსების გამოყენების, ინოვაციური ტექნიკის მწარმოებელი დარგების განვითარებისა და მათი საბაზრო მიზნების პრობლემათა გადაწყვეტაზე, რასაც მეწარმეობის სისტემის მოწესრიგება და ევროკავშირის სახელმწიფოებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობა უდევს საფუძვლად. ეს სლოვენიაში ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო და მთავარი ასპექტია.

სლოვენის სამეწარმეო სისტემის განვითარება, რომელიც მისი ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებს მოიცავს, მისი ინტეგრაცია ევროკავშირის სახელმწიფოებში ფუნქციონირებად მეწარმეობის ობიექტებთან მიზნად ისახავს: 1. ინოვაციების სფეროს გაძლიერებას და ევროპის მეწარმეთა ქსელში გაერთიანებას; 2. მისი მცირე და საშუალო სექტორის ინტერნაციონალიზაციის განხორციელებას პროგრესულ ბიზნესწინადადებათა გავრცელებისა და გაცვლის გზით; 3. ევროკავშირის ფარგლებში ექსპორტის სტიმულირებისათვის საჭირო ტექნოლოგიურ საკითხებზე ინფორმაციის გაცნობას, რაც უკანასკნელ პერიოდში თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ძირითადი ასპექტია; 4. მეწარმეობის განვითარების მმართველობითი სისტემის საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურების პროცესებისათვის ხელშეწყობას. იგი ხორციელდება ევროპული სტანდარტების დანერგვის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ევროპულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის, ასევე ექსპორტისათვის ხელშეწყობის გზით. ამ მიმართულებით სლოვენის ეკონომიკა და მისი სამეწარმეო სისტემა აქტიურ გავლენას ახდენს ევროპის საბაზრო სივრცეზე კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების, ინოვაციური ტექნიკის მიწოდების საიმედოობით. მისი მმართველობის მიზნით გამოიყენება ეკონომიკის ორგანიზაციისა და განვითარების, მისი ზეოპერატიულობის უზრუნველყოფის ლეგალური ინსტრუმენტები. იგი სლოვენის სამეწარმეო პოლიტიკის გატარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ვითარებაში ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის მთავარ ელემენტებს წარმოადგენს: 1. ევროკომპანიებისა და მისი ინფორმაციული მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება.

სლოვენის ეკონომიკისა და სამეწარმეო სისტემის განვითარების მიზნით შეიქმნა ევროკომპანიები მანქანათმშენებლობაში, სტრატეგიული მარკეტინგისა და მეწარმეობის მმართველობითი სისტემის მომსახურების სფეროებში. მათი მიზანია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მისი ევროპული სტანდარტების დანერგვა და ექსპორტის ხელშეწყობა. 2. მომსახურების სისტემის გარდაქმნა და მისი მიწოდება ევროკავშირის ფარგლებში ფუნქციონირებადი ეკონომიკისა და სოციალურ დარგებში მოქმედი მეწარმეობის სექტორებისათვის. იგი მოითხოვს სლოვენის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; საბაზრო შეზღუდვებისა და მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოქმნილ დამოკიდებულებათა იდენტიფიცირებას მისი დაძლევის მიმართულებით. ამ მიზნით ბოლო პერიოდში შეიქმნა და ფუნქციონირებს ევროპის მეწარმეთა ელექტრონული ქსელი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია ევროკავშირის საზღვრებში და მისი როლის გააქტიურება. 3. კონკურენციის საბაზრო პოლიტიკის გატარება, კონკურენციის პროცესის ევრომეწარმეობის განვითარების პრინციპებთან დაახლოების და მის მისაღწევად აუცილებელ საშუალებათა რეალიზება. ამისათვის აუცილებელია სლოვენის მეწარმეთა საკუთრების უფლებები სრულ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ არსებულ ევროშეთანხმებასთან, ასევე საერთაშორისო მასშტაბით საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის მოთხოვნებთან. ამას სლოვენის ეკონომიკაში არსებული კომპანიების მაღალი ინოვაციურობა განაპირობებს. 4. ევროკავშირის სახელმწიფოთა ეკონომიკების განვითარების მიზნით მათი მეწარმეობის სექტორის მოწესრიგება, ევექტიანი შიდა სამეწარმეო პოლიტიკის გატარება ინოვაციური მეწარმეობის სტიმულირების მიზნით.

ევროკავშირის სახელმწიფოთა ეკონომიკების ფორმირების პროცესში ძირითადი ადგილი უკავია მისი ინოვაციური პოტენციალის გამოკვლევას, რაც საფუძვლად უდევს ინოვაციური მეწარმეობის განვითარების კონცეფციას. ეს პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს თანამედროვე ევროინტეგრაციული პროცესების დროს, კერძოდ, ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკის მიმართულებათა შორის ისეთ სახელმწიფოებში, რომლებშიც გატარდა პოსტ-კომუნისტური გარდაქმნის და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოლიტიკა. ინოვაციური ეკონომიკის წარმოშობა ევროკავშირის და მისი სამეწარმეო სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. სლოვენიაში იგი ძირითადად ხორციელდება ევროპული კომპანიების დაარსების და სხვადასხვა წარმოებათა ინტეგრაციის საფუძველზე. მათი ევროპულ კომპანიებად გარდაქმნა ინოვაციური ეკონომიკისა და მისი ბიზნესსისტემათა ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს. რადგან ამ გზით წარმოქმნილი კომპანიები მცირე ფირმებთან შედარებით უფრო აქტიურები და ნოვატორულები არიან. ასეთი კომპანიები ხელსაყრელ გარემოს ქმნიან ინოვაციური ტექნიკის წარმოებისა და ინოვაციური ექსპორტის გაზრდისათვის. ექსპორტის საბაზრო პროცესებში ვლინდება სლოვენის მეწარმეობის პროდუქციის კონკურენტული უპირატესობები. სლოვენის პროდუქციის ექსპორტს და ევროპისა და საერთაშორისო საბაზრო პროცესებში აქტიურ მონაწილეობას განაპირობებს: 1. მომხმარებელთა სიმრავლე; 2. პროდუქციისა და მომსახურების განსაკუთრებულობა; 3. ექსპორტის ღირებულება; 4. შრომის დაბალი დანახარჯები; 5. ფასების ოპტიმალურობა; 6. პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი; 7. დიზაინი და ინოვაციურობა.

ინოვაციური პროდუქციის ექსპორტის მიხედვით სლოვენის ევროკავშირის საბაზრო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ინოვაციურ წარმოებათა შორის ძირითადია ისეთი დარგების პროდუქტები, როგორიცაა

სპორტული ინვენტარის მწარმოებელი კომპანია, განსაკუთრებული დიზაინის მქონე საოჯახო ტექნიკის მწარმოებელი კომპანია; მანქანათმშენებელი, კერძოდ, კატარღების მწარმოებელი და საავიაციო მრეწველობის, კერძოდ ზემსუბუქი თვითმფრინავების მწარმოებელი კომპანიები, რაც ევროპის და საერთაშორისო საბაზრო სისტემაში სლოვენის ეკონომიკისა და მისი სამეწარმეო სისტემის დიდ უპირატესობას განაპირობებს.

აღნიშნულთან ერთად, საბაზრო კონკურენციის პროცესის რეგულირებისათვის აუცილებელია მათი მართვის ინფორმაციული საფუძვლების გაუმჯობესება. იგი წარმოებათა საბაზრო კონკურენტუნარიანობის მართვისა და ექსპორტის რაციონალურად წარმართვისათვის საჭირო და მნიშვნელოვან წინამძღვრად გვესახება.

სლოვენის ეკონომიკაში ბიზნესის სამეწარმეო სისტემის განვითარება ძირითადად ევროინტეგრაციული პროცესების გავლენით ხორციელდება. რაც გამოიხატება უკვე არსებული ინოვაციური მეწარმეობის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი გარემოს წარმოქმნაში, ასეთს წარმოადგენს – 1. თავისუფალი კონკურენციის დაბალანსება; 2. ეკონომიკათა სტაბილიზებაში საბაზრო ურთიერთკავშირებისა და ეკონომიკური ზრდის ევროპული პოტენციალის გაძლიერება; 3. ევროკავშირში ინოვაციების ზრდა მსოფლიო კონკურენციის ვითარებაში; 4. რეგიონთაშორის ინტეგრაციის მიღწევა ევროკავშირში არსებულ საწარმოებს შორის.

თავისუფალი საბაზრო კონკურენციის პროცესში დაბალანსებულობის მისაღწევად ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი ინტელექტუალური საკუთრების გარდაქმნა. მისი მმართველობითი სისტემის გაუმჯობესება კომერციონალიზაციის ცენტრების საშუალებით. ასევე ხორციელდება ახალი ტექნიკის წარმოების გაფართოებისათვის, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის აუცილებელ მიმართულებათა დადგენა.

ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას სლოვენიაში განაპირობებს ევროკავშირის საქმიანობის გაფართოება, მისი სავალუტო სისტემის შემოღება. იგი წარმოადგენს იმ ძირითად საფუძველს, რომელიც საჭიროა ევროსახელმწიფოთა სტაბილიზებისა და ურთიერთფინანსურ დახმარებათა მისაღწევად. ეს ძირითადად უკავშირდება სლოვენის მაღალი ეკონომიკური პოტენციალისა და განვითარების მაღალი დონის, დასაქმების ეფექტიანი სისტემის არსებობას და ამით მის უპირატესობებს. ასეთია დასაქმების მაღალი დონე, სიღარიბის დაბალი მაჩვენებლები – ჯინის კოეფიციენტი შეადგენს 23,8 (2011), ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე – 9810 აშშ დოლარს, ხოლო მშპ – 58,5 მლრდ აშშ დოლარს, და ერთ სულზე 23702 აშშ დოლარს – 2014 წლის შეფასებით.

ევროკავშირისა და ასევე საქართველოს მეწარმეობის ინოვაციურობის ზრდის მიღწევა შესაძლებელი ხდება თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ურთიერთშეთანხმებათა გზით. ევრო და საერთაშორისო ბაზარზე იმავე პერიოდისათვის სლოვენის პროდუქცია ევროკავშირიდან საქართველოში შემოზიდული პროდუქციის მოცულობაში შეადგენს 0,913%-ს. ამ შეთანხმების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სლოვენის პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობანი.

ამისათვის ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკა ხორციელდება ამ მიზნით შემუშავებული მმართველობითი ინოვაციების საშუალებით: პირველია ურთიერთსასაზღვრო თანამშრომლობის ელემენტი – ერთობლივი პროგრამების დაფინანსების მიზნით; მეორე – ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პროგრამები, რომლითაც ხორციელდება ევროკავშირში არსებული საჯარო მართვის ეროვნული, რეგიონული

და ადგილობრივი ინსტიტუტების ურთიერთდაკავშირება. აღნიშნულის მიზანია გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევა, მესამე ინოვაცია მმართველობითი მექანიზმია, რომლებშიც მონაწილეობენ ევროპის ურთიერთპარტნიორული საზოგადოებები. ამ გზით ხორციელდება მმართველობითი ინოვაციების შემუშავება, რაც რეფორმებში მიღწეულ წარმატებათა მთავარი საფუძველია.

სამეწარმეო საქმიანობის არეთა გაფართოება ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკის გაჯანსაღების, მათი საბაზრო გარემოს გაუმჯობესებისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ხორციელდება თანამედროვე ვითარებაში. ევრომეწარმეობისათვის საჭირო საფუძველს წარმოადგენს სლოვენის მონაწილეობა: 1. მეწარმეთა ევროპულ ურთიერთსაზიარო საზოგადოებათა ჩამოყალიბებაში; 2. მეწარმეთა კერძო ევროპული საზოგადოების წარმოქმნაში; 3. ევროკავშირის ფარგლებში საგარეო ურთიერთკავშირების დამყარებაში; 4. საერთო ეკონომიკური ინტერესების მქონე ევროპულ გაერთიანებათა დაფუძნებაში; 5. ევროპული კოოპერაციის ფორმირებაში, რომლის დაარსება შესაძლებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი სამეწარმეო სისტემის საშუალებით. ამისათვის საწესდებო კაპიტალისა და დასაქმებულთა სიდიდის მიმართ დადგენილი საზღვრები უნდა იქნეს გათვალისწინებული. სამეწარმეო საქმიანობათა ასეთი ინტეგრაციისა და ტერიტორიული ორგანიზაციის მთავარი მიზანია კაპიტალისა და პროდუქციის თავისუფალი ურთიერთმიწოდება და მათი განხორციელება ფირმების დონეზე. ამ ფირმების საქმიანობა უნდა ემყარებოდეს ეკონომიკის დარგების – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსური სექტორის, ტრანსპორტისა და სოციალური დარგების ფუნქციონირებით მიღწეული საბოლოო შედეგების სხვა ფირმებისათვის მიწოდების გააქტიურებას. იგი ინოვაციური საქმიანობის პროცესში ინტეგრაციისა და ურთიერთთანამშრომლობაში აქტიურობასაც მოიცავს. ამ მიზნით გამოყენებული სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური გადაწყვეტილებანი მიმართულია ევროპის ეკონომიკის სფეროებსა და დარგებში მოქმედი სამეწარმეო სისტემის განვითარებაზე. სლოვენიაში ასეთს წარმოადგენს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტით მომსახურება, კონკურენცია, ერთიანი შიდა ბაზრის ფუნქციონირება და სხვა.

ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება და მისი ინტეგრაცია ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებთან ძირითადად ხორციელდება საბაჟო, საერთო საბაზრო პოლიტიკისა და კონკურენციის სფეროში. იგი მიმართულია ტექნოლოგიური ინოვაციების მიწოდებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესების ინტეგრირებაზე. მისი მიზანია, მზარდი კონკურენციის ვითარებაში შენარჩუნდეს ევროპის სახელმწიფოთა მსოფლიო ლიდერის როლი ტექნოლოგიების სფეროში.

ევროინტეგრაციული ასპექტების გააქტიურება, ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო გარემოს წარმოქმნა ზემოთ აღნიშნულის საფუძველზეა შესაძლებელი. ის ასევე შეიძლება იქნეს მიღწეული რეგიონული დახმარებისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებით. მისი რეალიზებისათვის გამოიყენება: 1. ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის საშუალებანი. 2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის დონისძიებათა ინტეგრაციის ფონდის საფუძველზე დაფინანსება. 3. დასაქმების გაუმჯობესების მიზნით მიმართულ ინიციატივათა (პროფესიული განათლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა) დაფინანსება ევროპის სოციალური ფონდის საშუალებით; აღნიშნული ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის გატარების და ამით ევრომეწარმეობის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის აუცილებელ და აქტუალურ საშუალებას წარმოადგენს.

რეგიონული განვითარების ფონდის გზით ხორციელდება რეგიონული დახმარებისა და ევროინტეგრაციის პოლიტიკა. მათ შორის უკანასკნელი პერიოდისათვის გამოიყენებოდა ინტეგრაციისა და ევროპის სოციალური ფონდი, მათი საშუალებით განხორციელდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვისათვის განკუთვნილი პროექტების ფინანსური უზრუნველყოფა. მისი მიზანია სლოვენიაზე გამავალი და ევროკავშირის სახელმწიფოებთან, მათ შორის საქართველოსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (გორიცა-ლიუბლიანა-ზაგრები-ბელგრადის) რეკონსტრუქციის განხორციელება და იტალიასა და ავსტრიასთან ბელგრადის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზების რესტრუქტურისა და რეაბილიტაციის დასრულება, რაც განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციის გაძლიერებას სლოვენიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან. იგი ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო ტრანსპორტის უსაფრთხოებას და სლოვენის ტერიტორიაზე მისი გადაადგილების გაუმჯობესებას. ასევე ფართო შესაძლებლობას შეუქმნის სლოვენიასა და ევროკავშირში ტურიზმის შემდგომ განვითარებას. სლოვენიაში მეწარმეობის ევროორგანიზაციის მიზნით შემუშავებული სტრატეგიის ძირითად ელემენტებია: მეღვინეობის დარგის წარმოებათა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პრივატიზება, ლუდის წარმოებაში ინოვაციურ სიახლეთა დანერგვა, კერძოდ მისი ინოვაციური შადრევანის ორგანიზება, რომელიც ევროკავშირის ვალუტით იქნება დაფინანსებული. ამასთან ერთად, სლოვენიაში ეკონომიკის ევროინტეგრაციის მიზნით დასახულია და ხორციელდება მისი ზეოპერატიულობის, ასევე განვითარების ღონისძიებანი. ამით გაითვალისწინება სლოვენის საწარმოო სექტორის ორგანიზაციულობისა და ოპერატიულობის მისაღწევად საკმარისი ლეგალური ინსტრუმენტების გამოყენება. აღნიშნულის მიმართულებით სლოვენის მონაწილეობა ევროკომისიების საქმიანობაში საფუძველს უქმნის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წყაროებისათვის საჭირო ინტელექტუალური საკუთრების გარდაქმნის განხორციელებას. კერძოდ კომერციალიზაციის ცენტრების შექმნასა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, რაც დასაქმების გაუმჯობესებისა და ინოვაციური მეწარმეობის გაფართოებისათვის აუცილებელ საფუძველად გვევლინება. ამისთვის სლოვენის მთლიანი შიდა პროდუქტის 1,86%, გაითვალისწინება, ხოლო საქართველოში იგი 0,27 %-ის ფარგლებშია 2014 წლის მონაცემებით.

სლოვენის ეკონომიკის განვითარებაში ევროინტეგრაციული ასპექტების გაძლიერება თანამედროვე ბიზნესის სამეწარმეო სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებასა და წარმოებათა ინოვაციურობის შემდგომი ზრდის მიზნების შესრულებას განაპირობებს. იგი ევროსამეწარმეო პოლიტიკის გატარების, ინოვაციების მიწოდების გაფართოების, ერთიანი და ყოვლისმომცველი თავისუფალი საბაზრო პროცესების განხორციელებისთვის საჭირო ერთ-ერთი საშუალებაა რაც ინოვაციური ევროეკონომიკის ფორმირების, მისი საბაზრო გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. ბერულავა გ., ეკონომიკური განვითარების პროცესში ინსტიტუტების როლის შესახებ, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

3. პაპავა გ., ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ნორმალური მორფოლოგიისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2007.
5. ცუცქირიძე მ., ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
6. www.ei-tab/images/doc/www.lat-07.02.13-geo.pdf
7. epp.Eurostat.ec.europa.eu./structural-businessstatistics/euro-grpoups-register

Marine Tsutskiridze

THE ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF ENTREPRENEURIAL SYSTEM OF SLOVENIA IN THE EUROINTEGRATION PROCESS

Annotation

The article analysis the main aspect of the development of Business and its entrepreneurial system of Slovenia, discusses actual issues of the results of enterprise integration in the conditions of Euro entrepreneurship development process. There are given the characteristics of business system, of its sectors aspects and its influencing on the Eurointegration process in Slovenia.

პრობლემა 5.

*თვა ლაზარა შვილი
მედია მელა შვილი*

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის ფინანსური პერსპექტივი

სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება წარმოდგენილია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და წარმოების ძირითადი ფაქტორების ინტელექტუალიზაციის განვითარების გარეშე. წამყვანი ქვეყნების სამეურნეო სისტემები სულ უფრო მეტად ტრანსფორმირდება ცოდნის ეკონომიკაში, რომელთა გამოყენება საგრძობლად აუმჯობესებს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ვიდრე რომელიმე საწარმოო ფაქტორის გამოყენება.

სახელმწიფოს მონაწილეობა საინოვაციო პროცესებში მნიშვნელოვან მასშტაბებს იძენს საზღვარგარეთის უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების გამოცდილებამ გვჩვენა, რომ ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომელიც ასახავს კავშირის გაძლიერებას კერძო კომპანიებსა და სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოებს შორის. ამგვარი ტენდენციის წარმოშობა გამოწვეულია იმით, რომ ეროვნული კონკურენტუნარიანობის უპირატესობები დამოკიდებულია არა იმდენად გარე ინვესტიციების რაოდენობაზე, რამდენადაც სახელმწიფოს სწორ პოლიტიკაზე, როგორც შიგა, ისე საგარეო პოლიტიკის დონეზე, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ინვესტიციების სტიმულირებაზე, ანუ ეფექტურ ინოვაციურ პოლიტიკაზე.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში, განვითარებულ ქვეყნებში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისას, წინა პლანზე იქნა წამოწეული მოწინავე სამეცნიერო ცოდნის გამოყენება სამრეწველო ტექნოლოგიების მთელ სპექტრში, მათ შორის ტრადიციულშიც.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სრულყოფის პირობების გაუმჯობესების მიზნით, უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებში შემდეგი ღონისძიებები გამოიყენება:

– ტექნოლოგიების გავრცელებული საინოვაციო ცენტრების და სააგენტოების შექმნა;

– მაღალტექნოლოგიური საწარმოების განვითარებისათვის ტერიტორიების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

– მაღალტექნოლოგიური ფირმების სტიმულირება;

– ინოვაციების ხელშემწყობი სპეციალური ფონდების შექმნა და ა.შ.;

თანამედროვე რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა სამეცნიერო-ტექნიკური პარკების შექმნა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე. ამგვარი პარკების დანიშნულებაა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ინოვაციების დახმარებისათვის კერძო ფირმების ხელმისაწვდომობა. დღესდღეობით მსოფლიოში რამდენიმე ასეული ამგვარი სამეცნიერო პარკი ფუნქციონირებს.

როდესაც განვიხილავთ რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ფინანსურ მექანიზმებს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კანონით აკრძალულია ადგილობრივი საბიუჯეტო საშუალებების კერძო ფირმების ინტერესებისათვის გამოყენება, რადგან კერძო საწარმოების მიერ უახლესი ტექნოლოგიების ათვისება კომერციულ საფუძველზე ხდება. მთავრობას არ ეძლევა უფლება ამ პროცესის ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსებისათვის. სწორედ ამ მიზნით იქმნება ვენჩურული ფონდები და ორგანიზაციები, რომელთა დახმარებით მთავრობა ახორციელებს

სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას. ვენჩურული ფონდები სარგებლობენ ცენტრალური მთავრობის გრანტებითა და ადგილობრივი საბიუჯეტო ასიგნებებით. მათ უფლება აქვთ, ინოვაციების დასაფინანსებლად გამოუშვან ობლიგაციები და ლატარეებიც კი. ინოვაციური საქმიანობის ამგვარი ფორმა მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაშია გავრცელებული. სწორედ ეს საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი უზრუნველყოფს ახალი, მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას, თუმცა ბოლო წლებში შეიმჩნევა ვენჩურული ფინანსების წილის ზრდა მრეწველობისა და მომსახურების ტრადიციულ დარგებში.

პირველად ვენჩურულ ფონდებში აშშ-ში გაჩნდა და დღეს მათ ხელშია უკვე 10 მლრდ დოლარზე მეტი ღირებულების ფინანსური ფონდები. აშშ-ს კვლადაკვალ მიჰყვებიან დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი – სადაც ვენჩურული ფონდები ეკონომიკაში 7 მლრდ დოლარზე მეტ ინვესტირებას ახდენენ. ვენჩურული ფონდები არა მარტო საკუთარი ეროვნული პროექტების, არამედ მსხვილი საერთაშორისო პროექტების ფინანსირებასაც ახდენენ მაღალი ტექნოლოგიების დარგში.

უცხოეთში საინოვაციო სტიმულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, მაღალტექნოლოგიური ტერიტორიულ-დარგობრივი კლასტერების ფორმირების მიზნობრივი პროგრამები. უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო კლასტერები რეგიონების, და ზოგჯერ მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება. აქედან გამომდინარე, კლასტერული ანალიზის მეთოდები მუდმივად პოპულარულია და სრულყოფას განიცდის. კლასტერების მხრივ ყველაზე წარმატებული ქვეყანა ფინეთია.

განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ე.წ. ბიზნესინკუბატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და დამწყები მეწარმეებისათვის შენობა-ნაგებობების გადაცემას არენდით, ბიზნესინკუბატორების კუთვნილი შენობის ან მისი ნაწილის ტექნიკურ ექსპლუატაციას, საკონსულტაციო მომსახურებას ბუღალტრულ, საგადასახადო, დაკრედიტების, სამართლებრივ საკითხებში, ბიზნესგეგმების შედგენაში, პერსონალის გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში, საინფორმაციო მომსახურებაში და სხვა.

უმეტესობა ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემები წარმოადგენს. ეს სისტემები ეფუძნება მონაცემთა ბაზას, რომელიც სუბიექტების და მათი საინოვაციო საქმიანობის შედეგების შესახებ მრავალგვარ ინფორმაციას შეიცავს. მათ შორის ინფორმაციას ინოვაციურ პროდუქტებზე, მომსახურებაზე, ტექნოლოგიებზე, სამეცნიერო და ინოვაციურ ორგანიზაციებზე და ა.შ.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ამ ელემენტის წარმატებული ფუნქციონირების მაგალითია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ისეთი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემები, როგორცაა: ARIST, CORDIS, EPIPS და სხვა.

დღევანდელ პირობებში ინოვაციური ინფრასტრუქტურის წარმატებული განვითარება ინტერაქტიული პროცესებით მიმდინარეობს, რაც სინერგიული ეფექტის მიღწევის საშუალებას იძლევა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებითა და კოორდინირებით.

როდესაც საუბარი გვაქვს ევროკავშირის ფინანსურ პოლიტიკასა და ინსტრუმენტებზე, გვერდს ვერ აუვლით ბიუჯეტს. ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის მნიშვნელოვან რგოლს და მისი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად ინსტრუმენტს. ბიუჯეტური პოლიტიკა გაიგება, როგორც კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული ფინანსური

სახსრების აკუმულირებისა და გახარჯვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, განახორციელოს მისი ფუნქციები.

ბიუჯეტი წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის საკვანძო ინსტრუმენტს, რომლის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ზრდა, წინ აღუდგეს კრიზისებსა და ინფლაციას და აგრეთვე უზრუნველყოს ადამიანური რესურსების დასაქმების მაღალი დონე. ბიუჯეტი სახელმწიფოსთვის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს, რათა მან განახორციელოს თავისი ფუნქციები, განსაკუთრებით კი სოციალური ხასიათის.

ვაგნერის³⁸ ჰიპოთეზის თანახმად, მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ სახელმწიფოს წილი ეროვნულ შემოსავალში იზრდება. შესაბამისად, სულ უფრო მეტი სახსრები ნაწილდება ბიუჯეტისა და სოციალური ფონდის გზით. თუმცა, გლობალიზაციის გვერდითი მოვლენები აიძულებს ქვეყნებს, მიმართონ პროტექციონიზმს, რაც უარყოფითად აისახება მათ სურვილებზე – გაანაწილონ რესურსები ზენაციონალურ დონეზე.

ერთი მხრივ, კითხვები, რომლებიც ეხება ევროკავშირის საერთო ბიუჯეტურ პოლიტიკას, ხედმეტად პოლიტიზებულია, მეორე მხრივ განუყოფელია ევროპული ინტეგრაციისაგან. “თუმცა პოლიტიკურად, ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი წარმოადგენს უნიკალურ ერთობლივ პროექტს უმეტესობა ქვეყნებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს გააერთიანონ თავიანთი რესურსები საერთო ამოცანების გადასაწყვეტად”. იგი დღემდე რჩება დაბალეფექტურ ეკონომიკურ ინსტრუმენტად, თუმცა საერთო ბიუჯეტის ხარჯები შეიძლება შეფასდეს როგორც “ინვესტიციები კონტინენტის მომავალსათვის”.

ევროკავშირის საბიუჯეტო პოლიტიკის შედარებით აქტუალურ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს ის, რომ: საერთო ბიუჯეტი უნდა ექმნდეს კომპრომისს სწორად წარმოშობილ ეროვნულ ინტერესებსა და პარადიგმებს შორის.

საერთო ბიუჯეტი გააჩნია არ მხოლოდ ევროკავშირს, არამედ სხვა ინტეგრაციულ გაერთიანებებსაც. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი გამოირჩევა ფორმირების თავისი პრინციპებით, სტრუქტურით და ზომებით. ინტეგრაციის განვითარებას მიყვავართ ერთიანი ზენაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ. რომელთა არსებობა წარმოადგენს ინტეგრაციული ერთიანობის საკვანძო მახასიათებელს. საერთო ბიუჯეტი გახდა პირველი ზენაციონალური დისპროპორციების მარეგულირებელი მექანიზმი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც წარმოადგენს არ მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ინდიკატორს. იგი ასახავს წვერი-ქვეყნების ინტერესების განსხვავებას, რომლებიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი შენატანების ოდენობით და იქიდან მათი გადანაწილებით. საერთო ბიუჯეტის ძირითადი ზენაციონალური ფუნქციაა ფინანსური სახსრების გადანაწილება ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, რაც მათ ეკონომიკებსა და სოციალურ სფეროში სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევს.

საერთო ბიუჯეტის სტრუქტურა გვიჩვენებს საოცარ მდგრადობას, შიდა ცვლილებებისა (გაფართობა) და გარე ხასიათის (მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, შემდგომ ფინანსური სტაბილურობის ევროპული კრიზისი) და აშკარა დაპირისპირების სანაცვლოდ ერთიან ბაზარს.

ერთიანი ბიუჯეტის არსებობა გვიჩვენებს, რომ ევროკავშირი “გადაიზარდა” სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ფორმატში და ახასიათებს რიგი

³⁸ XIX საუკუნის ბოლოს მოღვაწე გერმანელმა ეკონომისტმა ადოლფ ვაგნერმა დაუშვა, რომ არსებობს ურთიერთკავშირი სახელმწიფო ხარჯებსა და ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპებს შორის - “რაც უფრო მეტად ცივილიზებული ხდება საზოგადოება, მით უფრო ძვირი – სახელმწიფო”.

მანვენებლები, რომელიც დამახასიათებელია ფედერალური სახელმწიფოებისათვის. ამასთან ნათელია, რომ ფედერალიზმის პრინციპების მექანიკურმა, უხეშმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს არა ინტეგრაციის გაღრმავება, არამედ ქვეყნებს შორის კავშირის გაწყვეტა. მიზანშეწონილია “კოპერატიული ფედერალიზმი”, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების მექანიზმზე კონსენსუსის მოძებნაში.

ევროკავშირის საბიუჯეტო სისტემა განსხვავდება ფედერალური სახელმწიფოების საბიუჯეტო სისტემისაგან. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის მოცულობა მცირედით განსხვავდება ფედერალური სახელმწიფოების ინტეგრაციულ სტრუქტურაში შემავალი ბიუჯეტის სიდიდეებისაგან – 1%-ზე მეტი ევროკავშირის ერთობლივ ეროვნულ შემოსავალში – 28, აგრეთვე შემოსულობების სტრუქტურითაც მცირედი განსხვავებაა.

კავშირის ზენაციონალური ინსტიტუტები არ იღებენ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. შემოსავლების განაწილება საერთო ბიუჯეტის გზით ხორციელდება შეზღუდული მასშტაბით, ამასთან, იგი მიმართულია არა შემოსავლების დონის გათანაბრებისაკენ ევროკავშირის დონეზე, არამედ კერძოდ, ცალკეული რეგიონების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ევროკავშირის ბიუჯეტური პოლიტიკის არსის შეფასება შესაძლებელია საერთო ბიუჯეტისა და ზოგიერთი ფედერალური სახელმწიფოს ბიუჯეტების შედარებით. უკანასკნელში ცენტრი პასუხისმგებელია მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. ფედერალური ბიუჯეტის საკმარისი ზომები და დრეკადობა საშუალებას იძლევა ეროვნული საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვიტოს ასეთი ამოცანა. სულ სხვაგვარი სიტუაციაა ევროკავშირის დონეზე. საერთო ბიუჯეტის უმნიშვნელო მოცულობა და არადეფიცირურობა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის მისი გამოყენების საშუალებას არ იძლევა. საერთო ბიუჯეტი წვევს კონკრეტულ სპეციფიკურ ამოცანებს, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის, რეგიონული პოლიტიკის და ევროკავშირის ადმინისტრაციული აპარატის შენახვის მხარდასაჭერად.

ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს უთანასწორობის ეფექტის კომპენსაცია ევროინტეგრაციის პროცესში ყოველ ეტაპზე და კავშირის გეოგრაფიული გაფართოება. ევროკავშირის ქვეყნები ცდილობდნენ მოეძებნათ ზენაციონალური კომპრომისი სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი ყოველთვის იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ფაქტორიც, რომელიც ასახავდა კავშირის წევრი-ქვეყნების განსხვავებულ ინტერესებს. 1988 წლამდე საერთო ბიუჯეტის პოლიტიკური მნიშვნელობა იზრდებოდა ევროკავშირის შიგნით ინსტიტუტებს შორის.

საერთო ბიუჯეტი წარმოადგენს ევროკავშირის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითად მახასიათებელს და ტრანსფორმირებას განიცდის კავშირის განვითარების ზომით. საბაზრო ლიბერალიზაციამ ევროკავშირში მკაფიოდ ასახა, თუ რა ხდებოდა ყველა მრეწველობაგანვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ ევროპაში მიდიოდა ღრმა ინსტიტუციური ინტეგრაციის თანხლებით.

ევროპული ინტეგრაციის პროცესის პირველ წლებში თანასაზოგადოების ფინანსური სისტემა ხასიათდებოდა რიგი მახასიათებლებით. მათ რიცხვშია – ბიუჯეტური ინსტრუმენტების უნიფიცირების მცდელობა; საერთო პოლიტიკის გატარება; თანასაზოგადოების ფინანსური ავტონომიის განვითარება; თანასა-

ზოგადობის ინსტიტუტებს შორის ბალანსის მოძიება საერთო ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

1950 წლებიდან მოყოლებული, საბიუჯეტო პოლიტიკამ მრავალი ცვლილება განიცადა, რომლებიც მიმართული იყო ბიუჯეტის უნიფიცირებისაკენ, ფინანსური მდგომარეობის გაფართოებისაკენ, და ბალანსის მიღწევა ევროკავშირის მნიშვნელოვან ინსტიტუტებს შორის საერთო ბიუჯეტის შესრულების შემუშავების პროცესში.

ბიუჯეტური პოლიტიკა ტრანსფორმირდა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, სოციალური სფეროს განვითარებას. საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროს საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს. საბიუჯეტო პოლიტიკა მოიცავს აგრეთვე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებას, საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მართვას. რადგან საბიუჯეტო პოლიტიკა და ეკონომიკის საერთო მდგომარეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ამიტომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტურობის კრიტერიუმებად გამოყენება მიზანშეწონილია.

საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტურობის ძირითად კრიტერიუმებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- გადასახადების მაჩვენებლები და საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულება;

- შემოსავლებისა და გასავლების ზრდის თანაფარდობა;

- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო ვალის სიდიდე;

- მშპ-ს დინამიკა;

- უმუშევრობის ნორმა;

- ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი რესურსების წილი.

ევროკავშირი ზენაციონალური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისას ცდილობს ერთმანეთთან შეახამოს სოციალური ვალდებულების შესრულება და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. მისი ბიუჯეტის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:

- ბიუჯეტის ციკლური დაბალანსების მიღწევა;

- ჭარბი ბიუჯეტური ხარჯების აღმოფხვრა;

- სახელმწიფო ვალის მოცულობის გაკონტროლება.

ევროკავშირის საერთო ბიუჯეტი შემდეგ ძირითად პრინციპებზეა აგებული:

- ერთიანობის პრინციპი. რაც გულისხმობს, რომ ყველა სახის შემოსავალი და ხარჯი ერთ დოკუმენტშია თავმოყრილი;

- უნივერსალურობის პრინციპი – ბიუჯეტის ყველა ხარჯი მკაფიოდაა გაწერილი ბიუჯეტის ყველა მუხლით;

- ყოველწლიურობის პრინციპი – ოპერაციები, რომლებიც გაწერილია რამდენიმე წელზე, სტადიებადაა დაყოფილი და შეესაბამება ბიუჯეტურ წლებს;

- წონასწორობის პრინციპი – ბიუჯეტის არადეფიციტურობის მიღწევა. ამასთან, დეფიციტის შევსება აკრძალულია სესხების აღების გზით;

- სპეციფიკურობის პრინციპი – ხარჯები გაწერილია კონკრეტული ამოცანების მიხედვით, რათა გარანტირებულ იყოს სახსრების მკაცრად მიზნობრივი გამოყენება.

ბიუჯეტის ეფექტური შესრულებისათვის არსებობს ტრანსფერტების შესაძლებლობა მის ცალკეულ მუხლებს შორის. საერთო ბიუჯეტის ყველაზე მნიშ-

ენელოვანი თავისებურება ის, რომ ბიუჯეტის შესრულება ყველა მუხლის მიხედვით არის ერთიან ვალუტაში – ევროში.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესში საკმაოდ მაღალია. გამონაკლისს არც ამერიკისა და აზიის განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში დამოუკიდებლად არ შეუძევს ფუნქციონირება დამატებითი ფინანსური რესურსების გარეშე. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მზობა მათი ხელშეწყობისათვის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კვლევებსა და ინოვაციებზე საკმაოდ თანხები იხარჯება. მაგ., აშშ კვლევებსა და ინოვაციებზე ხარჯავს მშპ-ის 1,56%-ით ნაკლებს ვიდრე იაპონია, ხოლო ევროპა 0,8%-ით ნაკლებს ვიდრე აშშ.

ევროკავშირი, მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას ყოველწლიურად რიგი პროგრამების მეშვეობით ასორციელებს. ევროკავშირის ყველაზე მასშტაბური პროგრამებია:

- პერსპექტივა 2020;
- ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები;
- საწარმოებისა და მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა.

ევროკავშირის 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდი გამოირჩევა ახალი ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შემოთავაზებით და მისი მოდერნიზაციით, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ფინანსური ინსტრუმენტები უფრო მეტად მოქნილი გახდა; როგორც კერძო და სახელმწიფო სექტორებიდან დამატებითი ფინანსების ინსტრუმენტებზე წვდომა უფრო გაადვილდა და ა.შ.

ბიზნესის დაფინანსება ევროკავშირის მიერ ფინანსური შუამავლების მეშვეობით ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობით. ბიზნესის დასაფინანსებლად ევროკავშირის ფინანსების გამოყენებამდე გადაწყვეტილებას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები იღებენ. ისინი განსაზღვრავენ აგრეთვე დაფინანსების პირობებსაც, კერძოდ რა მოცულობის თანხა უნდა გამოიყენოს, რა ვადით, რა საპროცენტო განაკვეთით და ა.შ.

ფინანსური ინსტიტუტების ძირითად როლში გვევლინებიან ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), რომელთაც საკვანძო როლი ეკუთვნით ბიზნესის მხარდასაჭერად ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებაში. ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტები რიგი თავისებურებებით ხასიათდება: იგი დაბრუნებადია, მისი განახლება შესაძლებელია, დამატებითი რესურსების მობილიზების საშუალებას იძლევა, შესაძლებელია მისი გამოყენება კომბინირებულად. მაგ., გრანტებთან ერთად; გამოყენება სიცოცხლისუნარიანი პროექტებისათვის და ა.შ.

საყურადღებოა, რომ 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტები უფრო მეტად მოქნილი და სიხლეების მომცველია. თუ ადრე ფინანსური ინსტრუმენტები გაწერილი იყო კონკრეტულ სექტორებზე ან ბენეფიციარებზე, უკვე შესაძლებელია წევრმა-ქვეყნებმა ისინი თემატური მიზნებისათვის გამოიყენონ, მასში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ბაზრის წარუმატებლობა, არასასურველი საინვესტიციო გარემო და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიმდინარე ყველაზე მასშტაბური პროექტია “ჰორიზონტი 2020”, რომელიც 2013 წლის დეკემბერში დაიწყო, ეს პროექტი წარმოადგენს ჩარჩო - პროგრამას კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერი-

სათვის. ამ პროგრამის ბიუჯეტი 2014-2020 წლებისათვის 80 მლრდ ევროს შეადგენს. ეს პროექტი მარტივია და ყველასათვის ხელმისაწვდომია, მასში შედის 18 თემატური სექცია, რომელთაგან აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ინსტრუმენტი და აგრეთვე სარისკო ფინანსებზე წვდომა. კერძოდ, ეს პროექტი ეხება მაღალინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას. ამ პროგრამას ძალიან კარგი მხარდაჭერა გააჩნია ევროკომისიის წევრების მხრიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ევროპის მომავალი განვითარებისათვის ინოვაციებს ალტერნატივა არ გააჩნიათ.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტრუმენტი სპეციალურადაა შექმნილი მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპის სტრუქტურულ და საინვესტიციო ფონდებს. მის ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: სესხები, გარანტიები, კაპიტალი და რისკების მატარებელი პროექტების დაფინანსება. იგი დაფინანსების მიღებას ევროკავშირის შემდეგი წყაროებიდან ემსახურება. ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი; ევროპის აგრარული და სოფლის განვითარების ფონდი; ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი; ერთიანი ფონდი და ევროპის სოციალური ფონდი.

ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა ევროკავშირში გამყარებულია, აგრეთვე, ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმით, რომელიც ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდებისა და დასაქმებისა და სოციალური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი ყოველწლიურად განვითარებასა და ინოვაციებზე ძალისხმევას არ იშურებს, რაც აისახება ფინანსური ინსტრუმენტების ხარისხის გაუმჯობესებაში, ფინანსების ხელმისაწვდომობის მექანიზმის გაიოლებაში, ახალი ინსტრუმენტების შემუშავებაში და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნასლამაზიშვილი. ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად: ევროპული გამოცდილება. ჟ. “ეკონომიკა და საბაკო საქმე”, ტ.3, №2, 2015.
2. О.М. Мерщеракова. Финансовая политика Европейского Союза и Европейский фонд финансовой стабильности. ж. «Современное право», №10, 2014.
3. Е.А. Сидорова. Бюджетно-финансовая политика в ЕС. «МГИМО-Университет», 2014.
4. Е.А. Сидорова. Особенности бюджетной политики в европейском союзе. Москва. ИМЭМО, 2012.
5. Финансовая политика стран ЕС. Москва. Наука. 2004.

*Tea Lazarashvili
Medea Melashvili*

FINANCIAL LEVERS OF EU INNOVATION POLICY Annotation

The article discusses major directions and peculiarities of EU innovation policy. Are also discussed main arrangements of innovations and technological improvements. Are analyzed

financial mechanisms of innovation policy, particularly, venture funds, targeting programs of high technological territorial-sectoral clusters, informational-technological systems.

Are explored principle aspects and peculiarities of EU budgetary policy. The article deals with the large-scaled programs and their financial instruments.

თეა ლაზარაშვილი

გერმანიის ინოვაციური პოლიტიკა

გერმანია, როგორც ცნობილია, მოწინავე ტექნოლოგიების ქვეყანაა მსოფლიოში, მდიდარი მეცნიერული ტრადიციებითა და მაღალი სამეწარმეო კულტურით. სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური პოტენციალი გერმანიაში განიხილება, როგორც ეროვნული მემკვიდრეობა, რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს, უზრუნველყოს მისი ლიდერობა მსოფლიოში ცოდნისა და და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმეტეს სფეროებში.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დგება, რაც მოითხოვს ერის შემოქმედებითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამ კუთხით გერმანიის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რაზეც წარმოდგენას გააძლევს მეურნეობის მეცნიერებატევად დარგებში სახსრების ჩადების სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, 1995-2006 წლებში გერმანიის მშპ გაიზარდა დაახლოებით 20%-ით, ამასთან, მეცნიერებატევადი სასაქონლო პროდუქცია – 60%-ით, ხოლო სხვა სამრეწველო მოწყობილობების – 10%-ით; სამრეწველო წარმოების ნაზრდი ქვეყანაში აღნიშნულ პერიოდში 4/5-ით იყო უზრუნველყოფილი საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გერმანიაში მეურნეობის თითქმის ყველა მეცნიერებატევად დარგში, მომსახურების სექტორის ჩათვლით, 40-დან 46%-მდე ზრდა დაფიქსირდა, რაც მოწმობს მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარების დადებით ტენდენციას. შედარებით დინამიურად ვითარდება ინტელექტუალური მომსახურების სექტორი, მისი წილი აღნიშნულ პერიოდში შესაბამისად გაიზარდა 27-დან 31%-მდე, რაც მრეწველობის მეცნიერებატევადი დარგების ანალოგიურ მაჩვენებლებზე ორჯერ მეტია.

გერმანიაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სტრუქტურული ცვლილებები სამრეწველო მეცნიერებატევად სექტორში. განსაკუთრებული ზრდის ტემპით გამოირჩეოდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვება, რომლის ზრდის ტემპიც, საშუალოვადიან პერსპექტივაში, ექსპერტების შეფასებით, შენარჩუნდება, ოღონდ არა იმ ტემპით, რომელიც წინა ათწლეულის შუაში იყო.

საყურადღებოა, რომ ინოვაციებისა და კვლევების დამოუკიდებელი საექსპორტო კომისია, რომელიც 2006 წელს შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინიციატივით, იყნებდა მეცნიერებატევადი პროდუქციის შემდეგ ტექნოლოგიურ კლასიფიკაციას:

- მაღალტექნოლოგიური საქონელი – მოიცავს ნაკეთობებს, რომელთა წარმოებაში ინვესტიციები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე წლიურ დონეზე, შეადგენს საერთო გაყიდვების 7%-ზე მეტს (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები წამლების წარმოებისათვის, ავიაკოსმიური პროდუქცია და სხვ.);

- საშუალოტექნოლოგიური საქონელი – მოიცავს ნაკეთობებს, რომელთა წარმოებაში ხარჯები კვლევებსა და შემუშავებებში 7%-ზე დაბალია, მაგრამ საერთო გაყიდვების არანაკლებ 2,5%.

მეცნიერებატევად მომსახურებას მიაკუთვნებენ უმაღლესი განათლების პროფილის მქონე სპეციალისტების წილს, არანაკლებ 15%-ისა. აღნიშნული კატეგორიის მომსახურებაში შედის ტელეკომუნიკაციური, საინჟინრო, არქიტექტურული, სამედიცინო და სხვა ინტელექტუალური მომსახურებები.

მოკლედ თუ მიმოვიხილავთ ინოვაციური განვითარებისა და პოტენციალის ძირითად მანკვნილებებს, გერმანია ერთობლივი შიდა ხარჯების მანკვნილებების მიხედვით სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე, შედის მსოფლიო ლიდერების სამეულში, სადაც პირველ-მეორე ადგილს აშშ და იაპონია იკავებს. სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებაზე 2005 წელს დანახარჯები შეადგენდა: აშშ-ში – 324,5 მლრდ დოლარს, იაპონიაში – 130,7 მლრდ დოლარს, ხოლო გერმანიაში – 63,1 მლრდ დოლარს. თუმცა მანამდე არსებულ სამუშაოებზე დანახარჯების დინამიკა არ იყო მაღალი და ნაზრდი მხოლოდ 7,2%-ს შეადგენდა, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირებით იყო გამოწვეული. სახელმწიფოს აქტივობის შემცირება კვლევებსა და შემუშავებებზე, განსაკუთრებით კერძო სექტორში, განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით და არაკეთილსასურველი საერთო-მეურნეობრივი კონიუნქტურით.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების ძირითად წყაროს გერმანიაში, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს და აგრეთვე წამყვანი სექტორიცაა, წარმოადგენს კერძო ბიზნესი, რომელზედაც მოდის მთლიანი დაბანდებებისა და ათვისებული სახსრების 2/3. ასე მაგალითად, 2005 წლის მონაცემებით, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების მთლიანი მოცულობის წილი კერძო სექტორში შეადგენდა 67,8%-ს, სახელმწიფოსი – 28,4%-ს, საზღვარგარეთის წყაროების – 3,7%-ს და გერმანული კერძო არაკომერციული ორგანიზაციების – 0,3%-ს.

წინა ათწლეულში სახელმწიფო ინვესტიციების შემცირების მიუხედავად, მეცნიერებისა და პრიორიტეტული ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების დაფინანსებაში სახელმწიფო ინსტიტუტებს მაინც უპირატესი ადგილი უკავიათ. ტრადიციულად, გერმანიაში სახელმწიფო წარმოადგენს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისა და გამოყენებითი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დამაფინანსებელს და ეს ფინანსები ნაწილდება უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. შემდგომ წლებში სიტუაცია გერმანიაში არ შეცვლილა, თუმცა სახელმწიფო მხარდაჭერის ზრდა შეიმჩნეოდა აშშ-ში, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ასიგნებები ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე, აგრეთვე ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე.

ბოლო პერიოდში ქვეყნების (დინამიურად განვითარებადი ეკონომიკით) წილი (აღმოსავლეთ აზია, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა) კვლევებსა და შემუშავებებზე მსოფლიო ხარჯებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ჯგუფის ქვეყნებს შორის ინვესტიციების შედარებით მაღალი ტემპით გამოირჩევა ჩინეთი, კორეა, ტაივანი და სინგაპური.

გერმანიაში ინოვაციური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სისტემურ პრობლემას წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ზედმეტად კონცენტრირება. მეურნეობის ტრადიციულ დარგებში, რომელებიც უშეგებენ საშუალოტექნოლოგიურ პროდუქციას (ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სხვა). აღნიშნულ სექტორში ამოქმედებულია ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის 1/2. ამასთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში სამეცნიერო-კვლევითი და საც-

დედ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ინვესტიციები, საშუალოტექნოლოგიურ სექტორში 30%-ით შემცირდა 90-იან წლებში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოწინავე ქვეყნებში ბოლო წლებში მაღალტექნოლოგიების სფეროში ჩამოყალიბდა შემდეგი სპეციალიზაცია: იაპონიამ ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია კომპიუტერულ და მედიატექნოლოგიებში, აშშ-მა – მეცნიერებატევადი მომსახურების შეთავაზებაში, ახალი სამედიცინო მოწყობილობების ათვისებაში და ფარმაცევტიკაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ეროვნული ეკონომიკის ინოვაციურ აქტივობას, წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს წილი საწარმოების მთელ რაოდენობაში. 2005 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტებმა გააფართოვეს ინოვაციური საქმიანობის განსაზღვრა და მასში ჩართეს ინოვაციები ორგანიზაციულ და მარკეტინგულ სფეროებში.

ინოვაციურ სფეროში მცირე და საშუალო საწარმოების კეთილსასურველი მაჩვენებლის მიუხედავად, გერმანელი ექსპერტები მიუთითებენ მცირე ბიზნესის მუდმივად კლებად როლზე ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში, კერძოდ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში.

გერმანელი ექსპერტების აზრით, ბიზნესის აქტივობის მნიშვნელოვანი დაცემა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში პირდაპირი შედეგია, სახელმწიფო ფინანსების გაძლიერებული კონცენტრაციისა კვლევებსა და შემუშავებებზე მსხვილ სამრეწველო კონცერნებში, კერძოდ ავიაკოსმოსურ მრეწველობაში. ასე მაგალითად, 2006 წელს სახელმწიფოს მიერ გაღებული მთლიანი თანხიდან, რომელიც დაიხარჯა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მოდიოდა მსხვილ საწარმოებზე (დაახლოებით 78%). ამასთან, სახელმწიფო სახსრების წილი კერძო ბიზნესში 10%-მდე შემცირდა.

მცირე და საშუალო საწარმოების როლის შემცირებამ კვლევებისა და განვითარების სფეროში, განაპირობა სახელმწიფო მხარდაჭერის აქტივიზაცია მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესისადმი.

საყურადღებოა, რომ გერმანიას მოწინავე ადგილი უკავია მკვლევარების რაოდენობის მხრივ, რომლებიც დასაქმებული არიან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში. გერმანიაში მკვლევარი პერსონალის თითქმის 2/3 უზრუნველყოფდა დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს კერძო სექტორში. ეს მაჩვენებელი 2005 წელს შეადგენდა 63,3%-ს, უმაღლესი სასწავლებლებისა და სახელმწიფო სექტორი შესაბამისად შეადგენდა 15,9%-ს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში, ათას დასაქმებულ კაცზე გავლით, ქვეყანაში მოდიოდა დაახლოებით 12 მომუშავე.

ზემოთქმულის მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე შედარებით მოთხოვნად სამეცნიერო-გამოყენებით სპეციალობებზე არსებობს საკადრო დეფიციტი, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას ახლო მომავალში.

წარმოადგენდა რა ეროვნული ინოვაციური სისტემის მნიშვნელოვან ინდიკატორს, საპატენტო გერმანიაში ასახავს ამ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ დარგობრივ და ტექნოლოგიურ სპეციალიზაციას. პატენტების წილი მაღალტექნოლოგიურ სფეროში დარეგისტრირებული პატენტების საერთო რაოდენობაში შედარებით მცირეა, თუმცა მათი დიდი რაოდენობა მიეკუთვნება ე.წ. საშუალოტექნოლოგიურ სფეროს.

გერმანიის მეურნეობაში საკვანძო ადგილი მეცნიერებატევადი დარგების პროდუქციის ექსპორტს უკავია. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრესული სტრუქტურული ძვრები მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტში არ შეინიშნება. მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტში ყველაზე მაღალი წილი მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას უკავია, თითქმის 1/4, ხოლო საშუალოტექნოლოგიური პროდუქციის წილი სულ უფრო მეტად მცირდება.

გერმანული კომისია (EFI) ექსპორტის კუთხით, მთლიანობაში, დადებითად აფასებს გერმანიის ეკონომიკის ინოვაციური გარემოს მდგომარეობას, თუმცა აღნიშნავს, რომ დამატებითი ძალისხმევაა საჭირო ამ სფეროში სუსტი ადგილებისა და პრობლემების გადასაღებად, რომელიც გამოიხატება ძირითადად: მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების უკმარისობაში; ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრელობაში, რომლებიც ხელს უშლის პერსპექტიული ინოვაციური კომპანიების აქტიურობას.

ინოვაციური პოლიტიკის ნაკლოვანებად, გერმანელი ეკონომისტები მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ რიგი პერსპექტიული სამეცნიერო აღმოჩენები და კვლევები, რომლებიც განახორციელეს გერმანელმა მკვლევარებმა, წარმატებით იქნა რეალიზებული კომერციული პროექტების სახით არა უშუალოდ გერმანიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთ.

ცალკე აღსანიშნავია გერმანიის ინოვაციური სისტემის ძირითადი ელემენტები. როგორც ცნობილია, ომის შემდგომ წლებში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის სისტემის ფორმირება გერმანიაში სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა და დასრულდა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის. გერმანიაში საკმაოდ მოკლე დროში აღდგა საგანმანათლებლო და კვლევითი პოტენციალი და შეიქმნა იმ დროისათვის საკმაოდ ეფექტიანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და კვლევითი ორგანიზაციის და მართვის მექანიზმი. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სისტემის შემდგომი განვითარება ძირითადად ევოლუციური ხასიათის იყო, კერძოდ: ხორციელდებოდა ამ სისტემის ცალკეული რგოლის სრულყოფა; კორექტირდებოდა სუბიექტების კომპეტენტურობა და უფლებამოსილება; მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით მუშავდებოდა საქმიანობის ახალი მიმართულებები. გერმანელი ეკონომისტები თვლიან, რომ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტიციები უცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის. ინოვაციების წარმოშობა, მათი გავრცელება და მწარმოებლობის ზრდა დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, არამედ მთელ რიგ ფაქტორებზე, ისეთებზე, როგორცაა: სახელმწიფო პოლიტიკა განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, ერთობლივი კვლევითი პროექტები თანამშრომლობის სფეროში, ინფორმაციის გავრცელება და სხვა.

სახელმწიფოს ეროვნული ინოვაციური სისტემა განიმარტება, როგორც ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორებს, რომლებიც ინდივიდუალურად და ერთმანეთთან ურთიერთქმედებით განაპირობებენ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებას.

ეროვნული ინოვაციური სისტემის გერმანულ მოდელს ზემოთ აღნიშნული მანევრებლებით, გააჩნია თავისი სპეციფიკური თავისებურებები, რომელიც გამორჩევა ქვეყნის ფედერალური მოწყობით, ეკონომიკის მასშტაბებით, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სპეციალიზაციით, ფინანსირების პოლიტიკით და სხვა.

გერმანიაში ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსირების 2 ძირითადი მეთოდი: ინსტიტუციური და საპროექტო ფინანსირება. ინსტიტუციური ფინანსირების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო მიმართავს საბიუჯეტო სახსრებს იმ ორგანიზაციებისაკენ, სადაც უშუალოდ ტარდება სამეცნიერო კვლევები. საპროექტო ფინანსირების დროს გამოიყოფა მიზნობრივი სახსრები პროექტების განხორციელებაზე დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში.

გერმანიის ეროვნული ინოვაციური სისტემის შემადგენლობაში საჭიროა გამოიყოს ორგანიზაციებისა და სამეურნეო სუბიექტების სამი ძირითადი რგოლი, რომლებიც ინოვაციური პროცესის ფარგლებში ასრულებენ ერთგვაროვან ამოცანებს: სისტემის პირველ რგოლს წარმოადგენს სახელმწიფო მართვის დაწესებულებები, მეორე რგოლს – ადმინისტრაციულ-საშუამავლო დონის ორგანიზაციები და მესამე რგოლს – უშუალო შემსრულებლები – კერძო სექტორის საწარმოები და სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციები. პირველ რგოლს მიეკუთვნება: ერთიანი სამეცნიერო კონფერენცია და მეცნიერების საბჭო. ერთიანი სამეცნიერო კონფერენციის ძირითადი ამოცანაა პრინციპული გადაწყვეტილების მიღება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფინანსირებაში ქვეყნის მასშტაბით და აგრეთვე ეროვნული მეცნიერებატევადი სფეროს განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებისათვის.

მეცნიერების საბჭო წარმოადგენს ფედერალურ მთავრობასთან არსებულ სათათბირო ორგანოს და მისი ძირითადი ამოცანაა მეცნიერების, კვლევებისა და განათლების სფეროს სასწავლებლების განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება შინაარსობრივი და სტრუქტურული ასპექტების კუთხით. მოგვიანებით დამტკიცდა ახალი სათათბირო ორგანო – ეკონომიკა-მეცნიერების ექსპერტთა საბჭო. მასში შევიდნენ ცნობილი გერმანელი მეწარმეები და მეცნიერები ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიული საკითხების განსახილველად.

გერმანიის ეროვნული ინოვაციური სისტემის მეორე რგოლი – ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ ადმინისტრაციულ-საშუამავლო ფუნქციებს – კოორდინირებას უკეთებენ კვლევითი სტრუქტურების მუშაობას და უზრუნველყოფენ ასიგნებული სახსრების ეფექტიან ათვისებას.

სახელმწიფოსათვის წამყვან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას, რომელზეც გადის ბიუჯეტის სახსრების ძირითადი ნაკადები სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტების კვლევით მიზნებზე გამოყოფილი თანხებისა, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების გერმანული მოდელი, რომლის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტების სასწავლებლების, სამეცნიერო ინსტიტუტების და აკადემიების უმეტესობა, ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფა, ფინანსური გეგმებისა და ანგარიშვალდებულების შედგენა, საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების ორგანიზებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ე.წ. პროექტების ადმინისტრატორები. პროექტების რეალიზებაზე თანხები გაიცემა ფედერალური სამინისტროების ბიუჯეტებიდან. მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობით გერმანიაში შექმნილია აგრეთვე სამრეწველო კვლევითი გაერთიანებები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ მცირე და საშუალო საწარმოების კოოპერაციული კავშირების გაფართოებას სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებთან. გაერთიანების შემადგენლობაში შედის რფრ-ის 103 კვლევითი

კავშირი ყველა სამეურნეო დარგიდან, რომლებსაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ 700-ზე მეტ სამეცნიერო ორგანიზაციასთან.

რაც შეეხება გერმანიის ეროვნული ინოვაციური სისტემის მესამე რგოლს – ესაა უშუალოდ კვლევითი ორგანიზაციები და სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ურთიერთქმედებას. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გატარებაში აქ უდიდესი წვლილი მიუძღვის კერძო ბიზნესს.

გერმანიაში დაახლოებით 750 სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც ფინანსირდება სახელმწიფო, ფედერალური და მიწების ბიუჯეტიდან. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გატარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნივერსიტეტებს და სპეციალურ უმაღლეს დაწესებულებებს უკავიათ, რომლებიც ძირითადად ფუნდამენტური კვლევებით არიან დაკავებული.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ გერმანიის ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიაზე. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ინოვაციური სისტემა საკმაოდ მყარია, მაინც სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა და საჭიროებს მოდერნიზაციას. ეს პრობლემები გამოიხატებოდა იმაში, რომ არადაამაკმაყოფილებელი ტენდენცია შეინიშნებოდა მაღალტექნოლოგიური სექტორების ზრდაში, დეფიციტური იყო მეცნიერული კადრებისა და სპეციალისტების ზრდა, დაბალი ინოვაციური აქტივობა მცირე და საშუალო ბიზნესის, საგარეო ვაჭრობაში მეცნიერებატევადი პროდუქციის პროფიციტის შემცირება და სხვა. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად 2006 წლის აგვისტოში გერმანიაში დამტკიცდა გერმანიის ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ პროგრამულ დოკუმენტს, სადაც განსაზღვრულია ეროვნულ ინოვაციურ სფეროში საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მათი რეალიზაციის ინსტრუმენტები, აგრეთვე მსოფლიო ტენდენციის გათვალისწინებით ახალი პრიორიტეტები მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში.

სტრატეგიის კომპლექსური ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ მასში ერთ რგოლადაა გაერთიანებული ხელისუფლების ინიციატივები, მიზნობრივი პროგრამები, აგრეთვე ამოცანის გადაჭრის ახალი გზები და მექანიზმები ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვანი სფეროს მოდერნიზაციისათვის.

დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულება გათვალისწინებულია ძირითადად საშუალოვადიან პერსპექტივაზე, თუმცა ზოგიერთი მიზნობრივი პროგრამა შეიძლება გრძელვადიანი იყოს. სტრატეგია ძირითადად 3 განზომილებას მოიცავს: 1. სფეროებს, რომლებიც უნდა გახდნენ სამეცნიერო-ტექნიკური შემუშავებებისა და ტექნოლოგიების დანერგვის კომერციალიზაციის წამყვანი ობიექტები; 2. განსაზღვრულია პრიორიტეტული მაღალტექნოლოგიური დარგები და პროდუქცია, რომელთა მომსახურება წარმოადგენს ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვან წყაროს; 3. გაწერილია ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციის ძირითადი მიმართულებები და ინსტრუმენტები.

სტრატეგიაში გამოყოფილია საქმიანობის შემდეგი ძირითადი სფეროები, რომლებიც წარმოადგენენ როგორც საზოგადოების განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანს, ასევე ფლობენ უზარმაზარ პოტენციალს ინოვაციური პროდუქტების გამოყენებისათვის.

ეს სფეროებია:

- მედიცინა და ჯანდაცვა;
- სიცოცხლისუნარიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მცენარეული რესურსების გამოყენება;
- გარემოს დაცვა;

- ინფორმატიკა და კომუნიკაციები;
- მაღალტექნოლოგიური ტრანსპორტი;
- კოსმიური კვლევები;
- ინტელექტუალური მომსახურების სფერო.

გერმანელი ექსპერტების აზრით, სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მთავრობის ინიციატივა და წინადადებები ქვეყნის ინოვაციური ლანდშაფტის გაუმჯობესებისათვის. გერმანიის მთავრობის ძირითადი ინიციატივები და პროექტები შემდეგ სფეროებს მოიცავს: 1. მეცნიერებისა და მრეწველობის ინტეგრაცია, სადაც ხორციელდება მიზნობრივი ინოვაციური პროექტების რეალიზაცია, დაფინანსების ახალი ინსტრუმენტების შემუშავება, სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორობის მოდელების სრულყოფა ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში და სხვა; 2. მეცნიერებატევადი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს მაღალტექნოლოგიური ბიზნესის სასტარტო ფინანსირების ფორმირების სრულყოფას, ვენჩურული მეწარმეობის განვითარებას, საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფას და სხვა. 3. ტექნოლოგიების ტრანსფერის სფეროში კეთილსასურველი გარემოს შექმნა. მასში ძირითადად მოიაზრება უმაღლესი სასწავლებლების მხარდაჭერა გამოგონებების დაპატენტების სფეროში; 4. საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაცია; 5. სამეცნიერო კადრების მომზადების სისტემის სრულყოფა და მათი მოზიდვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გერმანიაში აქტიურად ხდება ახალი მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების დამტკიცება. 2007-2008 წლებში მთავრობის ინიციატივით დამტკიცდა შემდეგი ძირითადი ფედერალური კვლევითი პროგრამები და გეგმები:

- კვლევითი პროგრამა ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებში – 2020;
- კვლევითი პროგრამა Bio Energic 2021;
- ენერგოეფექტიანობისა და ენერგოდაზოგვის სფეროში კვლევების პროგრამა;
- ნაციონალური ინოვაციური პროგრამა წყალბადის ტექნოლოგიებსა და სათბობ ელემენტებში;
- მოქმედების გეგმა “მომსახურება 2020”.

ამას გარდა, გერმანიის მთავრობის მიერ ხდება გრძელვადიანი კვლევითი პროგრამების შემუშავება ჯანდაცვის, გარემოს დაცვის ტექნოლოგიებში და ბიოტექნოლოგიების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ძალიან აქტიურად ხდება მეცნიერებატევადი ბიზნესის ხელშეწყობა, დაფინანსების კუთხით მაინც საკმაოდ პრობლემებია. საბანკო კრედიტების მიღება ამ კატეგორიის მცირე მეწარმეებისათვის ძალიან რთულია, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებულია ძირითადად მსოფლიოში არსებული კრიზისებით და არაკეთილსასურველი მოვლენებით.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და სამეცნიერო კადრების უკმარისობა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გერმანიის ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში. მწვავე დეფიციტი არის მათემატიკოსებშიც და ინფორმატიკის სფეროს, საბუნებისმეტყველო და განსაკუთრებით მეცნიერ ინჟინერ სპეციალისტებში.

გერმანელი ექსპერტების აზრით, გერმანიის ბოლო წლების წარმატებები ინოვაციური სფეროს მოდერნიზაციის სფეროში თვალნათელია, მაგრამ მსოფლიოში არსებული კონკურენციის გაძლიერების გათვალისწინებით ქვეყნის

ხელისუფლებამ უნდა გაარქველოს ქვეყნის შემოქმედებითი პოტენციალის განახლებისა და მობილიზაციის არსებული კურსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Французов В.В., Газаев А.В. Инновационная политика Германии на современном этапе. ж.- Мировая экономика. №11-12, 2008; №1-2, 2009.
2. Игнатущенко Е.И. Инновационная Германия в экономике Европейского Союза в эпоху мирового экономического и финансового кризиса//Молодой ученный. – 2012.- №7-с. 78-82.
3. Еремкин В.А., Сутырина Т.А. Инструменты инновационной политики: теория и практика: препринт // РАНХиГС при Президенте России.- М., РАНХиГС, 2012.

Tea Lazarashvili

INNOVATION POLICY OF GERMANY Annotation

The article discusses main stages and tendencies of formation and development of innovation policy of Germany. Is explored principle classification of science-intensive production used by Germany and main indicators of innovative development and potential as well.

Are analyzed main sources of scientific research and development in Germany and are exposed its peculiarities. Is also studied the strategy of innovative and technological development of Germany, its main spheres and are shown its peculiarities.

მედეა მელაშვილი

ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა

ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლო წლებიდან, ევროპაში, ეკონომიკური განვითარების მხრივ, მრავალი პრობლემა გამოიკვეთა, რომლებმაც სერიოზული ჩამორჩენა გამოიწვია ძირითადი კონკურენტებისაგან, ესენია – აშშ და იაპონია. ევროპის ყველა წამყვანი ქვეყანა გამუდმებით ეძებს ეკონომიკური განვითარების ახალ, ეფექტურ გზებს. მრავალწლიანმა გამოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ მხოლოდ ინოვაციების – ახალი იდეების, ახალი ტექნოლოგიების, ახალი მასალების, ახალი საქონლის, ახალი სახის მომსახურების – დანერგვით საქმიანობის ყველა სფეროში შეიძლება მოხერხდეს არსებული ჩამორჩენის დაძლევა და სათანადო კონკურენციის გაწევა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისათვის.

ეჭვს არ იწვევს, რომ დღეისათვის ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს, რაც თანამედროვე საწარმოების პრაქტიკულ საქმიანობაში მაღალი ტექნოლოგიების, ადამიანური ინტელექტუალური შრომის შედეგების, ინოვაციების დანერგვაში გამოიხატება. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს შესაძლებლობები, დანერგოს ინოვაციები სწრაფადგანვითარებად დარგებში, დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციურ პოლიტიკაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების, როგორც პრიორიტეტების, როლი როგორც ცალკეული საწარმოების, ისე მთლიანად ეროვნული ეკონომიკის და მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის.

ევროპაში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით 2000 წელს ლისაბონში ჩატარდა ევროკავშირის სამიტი, სადაც ევროკავშირმა მისი წევრი-ქვეყნებისათვის აიღო კურსი კონკურენტუნარიანი ინოვაციური ეკონომიკის შექმნისაკენ და შეიმუშავა სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო სა-

მუშაობის (სკსსს-ს) ჩარჩო-პროგრამა, სამიტზე იქნა ჩამოყალიბებული ძირითადი პრიორიტეტები ინოვაციების განვითარებაში:

- ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესება ცალკეული ეროვნული ინოვაციურ პოლიტიკათა გაძლიერებისა და მათი ინტეგრაციის გზით;

- ინოვაციებზე საბაზრო მოთხოვნილებათა სტიმულირება, რაც ითვალისწინებს იმ ბაზრების ხელშეწყობას, რომლებიც მეტად არიან მიმართული სიახლეების ათვისებისაკენ;

- ინოვაციების სტიმულირება სახელმწიფო სექტორში ბიუროკრატიული კონსერვატიზმის დაძლევის გზით;

- რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის გაძლიერება.

ამავე სამიტზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ერთიანი ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანი არის – მეცნიერება საზღვრების გარეშე, რაც გაზრდის მთლიანად ევროპის კონკურენტუნარიანობას, გაზრდის სამეცნიერო-ტექნიკური კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების მობილურობის დონეს, გაზრდის ასევე ფინანსების სწორად გამოყენების შესაძლებლობებს ინოვაციურ განვითარებაში. კონკრეტული მიზანი, რაც ლისაბონის სამიტმა დასახა ევროპის წინაშე – ეს არის მშპ-ში მეცნიერებატევადობის დონის 3%-მდე გაზრდა. თუმცა ეს ამოცანა არცთუ ადვილი შესასრულებელი აღმოჩნდა – ევროპა მაინც აგებს თავის ძირითად კონკურენტებთან – აშშ-სა და იაპონიასთან. განსაკუთრებით ჩანს ჩამორჩენა ისეთ სფეროში, როგორცაა დანახარჯები სამეცნიერო კვლევებზე (2013 წელს 2.73% აშშ-ში; 2.47 იაპონიაში და 1.28% ევროკავშირში).

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარების მაჩვენებლის მიხედვით ევროპაში ლიდერები არიან ირლანდია, შვეცია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი. ჩეხეთის რესპუბლიკა შედის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის განვითარებულ სამრეწველო ქვეყანათა რიცხვში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ჩეხეთის მრეწველობა ქმნის მსოფლიო შიდა პროდუქციის ღირებულების 0.35%-ს, რაც მას მსოფლიოში 44-ე ადგილზე აყენებს. ჩეხეთის ეკონომიკის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, შავი მეტალურგია, ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა, ქიმიის და ნავთობქიმიის, სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ფარმაცევტიკა, მინის წარმოება, ტექსტილი და მომსახურების სფერო. დღეისათვის ჩეხეთის ეკონომიკაში საქმიანობას ეწევიან მსხვილი ტრანსეიროვნული და ეროვნული კომპანიები, სხვადასხვა სამრეწველო კლასტერები, დარგობრივი და საქმიანი გაერთიანებები და ა.შ. ჩეხეთის ეკონომიკა მიეკუთვნება მცირე, ღია, ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკათა რიცხვს, შედის მანქანათმშენებლობის მსხვილ მსოფლიო ექსპორტიორთა რიცხვში. ექსპორტის მაჩვენებელი დღეისათვის შეადგენს მშპ-ის 79-80%-ს. ცხრილი 1-ის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ 2009, 2012 და 2014 წლებში ადგილი ჰქონდა ექსპორტის მაჩვენებლის კლებას (შესაბამისად 22.7%, 5% და 18.5%-ით), ჩეხეთში ექსპორტის მაჩვენებელი იზრდებოდა (ცხრ. 1).

ცხრილი 1

ექსპორტის მოცულობა ჩეხეთში, მლრდ აშშ დოლარი

წელი	მნიშვნელობა
2005	66.5
2006	78.4
2007	89.3
2008	145.7
2009	112.6

2010	116.7
2011	138.5
2012	131.7
2013	135.6
2014	110.5
2015	133.8

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით, რომელიც შეიმუშავა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (WEF) 2013-2014 წლებში, ჩეხეთი მსოფლიოში 46-ე ადგილზე აღმოჩნდა. კონკრეტული ინდიკატორები შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრ. 2):

ცხრილი 2

ჩეხეთის ადგილი მსოფლიოში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინდიკატორების მიხედვით

	ინდიკატორები	ადგილი მსოფლიოში
1.	მართვის ინსტიტუტების ხარისხი	86
2.	ინფრასტრუქტურა	39
3.	მაკროეკონომიკური სტაბილურობა	55
4.	ჯანდაცვა და დაწვევითი განათლება	60
5.	უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება	39
6.	საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტურობა	48
7.	შრომის ბაზრის ეფექტურობა	81
8.	საფინანსო ბაზრის განვითარება	58
9.	ტექნოლოგიური განვითარების დონე	34
10.	შიდა ბაზრის ზომა	41
11.	კომპანიათა კონკურენტუნარიანობა	38

განვიხილავთ რა ჩეხეთის ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას, ასევე მისი ინოვაციური განვითარების რელსებზე გადასვლის შესაძლებლობებს, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ სოციალისტური სისტემის დაშლის პროცესამდე ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობა ხორციელდებოდა გემური ეკონომიკის ფარგლებში და დაკავშირებული იყო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს – **СЭБ** – წევრი ქვეყნების პრობლემათა გადაწყვეტაზე. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა, ქვეყანას აქტიური მონაწილეობა მიეღო მსოფლიო სავაჭრო და ინტეგრაციულ პროცესებში.

1993 წლიდან ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობიდან გამოსვლის, მოგვიანებით, 2004 წლიდან ევროკავშირის შემადგენლობაში შესვლისთანავე ჩეხეთისათვის დაიწყო ეკონომიკური განვითარების უახლესი ერა. დღეისათვის ჩეხეთი ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად ქვეყნად. როგორც აღვნიშნეთ, 2000 წელს ევროკავშირმა მიიღო ეკონომიკის განვითარების სტრატეგია 2010 წლამდე. ამ დოკუმენტის განახლებული ვარიანტი, ე.წ. „ლისაბონის ვერსია“ (2005) ითვალისწინებდა განვითარების ოთხ ძირითად მიმართულებას: დანახარჯების გაზრდა განათლებასა და სკსსს-ზე; სამეწარმეო პოტენციალის მაქსიმიზაცია; კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დასაქმების ხელშეწყობა; ეკონომიკის გარანტირებული უზრუნველყოფა ენერგორესურსებით. დასახული ამოცანების შესრულების მიზნით, ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩეხეთმაც შეიმუშავა საკუთარი პროგრამა ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით 2005-2008 წლებისათვის. ამ პროგრამის დასრულება დაემთხვა მსოფლიო კრიზისის დასაწყისს, რამაც მთავრობა იძულებული გახდა, გადაეხედა და შეეცვალა ზოგიერთი ორიენტირი 2009-2014 წწ. პერიოდისათვის.

კერძოდ, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2011 წელს რეფორმების ეროვნული პროგრამა – „ინვესტიციები ევროპულ კონკურენტუნარიანობაში“ – შემუშავა, სადაც მიუთითა, რომ შემუშავებს ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს 2020 წლისათვის გაწეულ ხარჯებში სკსს-ზე და ინოვაციებზე მშპ-ის 1%-ს (როგორც ვხედავთ, 3%-ზე ლაპარაკიც არ არის). თვითონ მშპ ჩეხეთში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შემდეგნაირად იცვლებოდა (ცხრ. 3).

ცხრილი 3

მშპ-ის ზრდის ტემპები ჩეხეთში, %

წელი	მნიშვნელობა
2005	6.3
2006	6.8
2007	6.1
2008	2.5
2009	-4.7
2010	2.7
2011	1.8
2012	-1.0
2013	-0.5
2014	2.0
2015	3.9

ზოგადად, ჩეხეთში თანამედროვე ეკონომიკური სიტუაციის, კერძოდ კი ინოვაციური სფეროს შეფასებისას (როგორც ამას ექსპერტები აღნიშნავენ), შეიძლება ითქვას, რომ აქ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, რისი მიზეზიც არის ინოვაციური რესურსების დეფიციტი; ინფლაციის მაღალი დონე (ცხრ. 4); ფინანსური რისკები, დაკავშირებული ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ არასტაბილურობასთან; ინოვაციური და ინვესტიციური რისკების დაზღვევის არარსებობა; არაეფექტური საგადასახადო სისტემა; ინოვაციური ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება; ინოვაციური საქმიანობის სუსტი ორგანიზაციული, ტექნიკური, ფინანსური, მატერიალური, საინფორმაციო და საკადრო უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონალურ და ადმინისტრაციულ დონეზე.

ცხრილი 4

ინფლაციის დონე ჩეხეთში, %

წელი	მნიშვნელობა
2005	1.8
2006	2.5
2007	2.9
2008	6.3
2009	1.0
2010	1.5
2011	1.9
2012	3.3
2013	1.4
2014	0.4
2015	0.4

ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიკურ მონაცემებს შეისწავლის და ამის მიხედვით

ანიჭებს მათ ინდექსებს. ასეთ ინდექსაციას ერთობლივად აწარმოებენ კორნელის ინსტიტუტი (Cornell University), მსოფლიო ბიზნესსკოლა (INSEAD) და ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (WIPO). ანალიზი ეყრდნობა სტატისტიკური, ანალიტიკური და სოციოლოგიური კვლევებიდან გამოყვანილ 84 ინდიკატორს, მათ შორის პოლიტიკური ინსტიტუტების, ადამიანური კაპიტალის (განათლება და მეცნიერება), ინფრასტრუქტურის, ბაზრისა და ბიზნესის მახასიათებლების, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მაჩვენებლებს. მათ მიერ შემუშავებული გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით შესწავლილი 142 ქვეყნიდან 2013-2016 წლებში ჩეხეთი 28-ე, 26-ე, 24-ე და 27-ე ადგილზე იყო თვითონ ინდექსის შესაბამისი მაჩვენებლებით: 48.4; 50.2; 51.3 და 49.4. რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლის მიხედვითაც მითითებული ორგანიზაციები აწარმოებენ ინდექსაციას, მათგან ძირითადი ინდიკატორები მოყვანილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

გლობალური ინოვაციური ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი ჩეხეთში

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
დანახარჯები სკსსს-ზე, % მშპ-თან	1.56	1.79	1.91	2.0		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, %- საქონლის საერთო ექსპორტთან	15.3	14.53	13.11	13.42		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი	23.366	22.008	21.044	23.084	20.074	
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტის %	16.28	16.08	14.79	14.92	14.52	

როგორც ვხედავთ, ბოლო პერიოდში ადგილი აქვს მშპ-ში სკსსს-ზე გაწეული ხარჯების მაჩვენებლის ზრდის არცთუ სწრაფ ტემპებს. ეს დაკავშირებულია კერძო ინვესტიციების წილის სიმცირესთან, ასევე მეწარმეობის სექტორის სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე გაწეული მცირე დანახარჯებთან. აქ გამოჩნდა ჩეხეთის მეწარმეობის სექტორის ის მენტალიტეტი, რომელიც თვლის, რომ სამეცნიერო კვლევები სახელმწიფოს საქმეა და დაფინანსებაც მან უნდა მოახდინოს. კონსალტინგური კომპანია „Ernst & Youns“-ის საერთაშორისო გამოკვლევების მიხედვით ჩეხეთის რესპუბლიკა ახალი ინვესტიციების განთავსების მიმზიდველობის მხრივ მსოფლიოში მეცხრე ადგილს იკავებს. იგი ასევე შედის ტექნოლოგიურ მომსახურებათა ცენტრების შესაქმნელად ინვესტიციების განთავსებისათვის ყველაზე საუკეთესო ქვეყანათა ათეულში, თუმცა ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. სამეცნიერო კვლევების მოცულობისა და ხარისხის ასამაღლებლად, ინოვაციების დანერგვა-დამუშავებისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომლის ფუნქციონირება გამაგრებული უნდა იყოს საფინანსო რესურსებით, ეს ინფრასტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს ინოვაციის შემუშავებისა და ამისათვის შესაბამისი მომსახურების განხორციელებას (შექმნა, ბაზარზე გატანა, რეალიზაცია და ა.შ.).

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ინოვაციური საქმიანობის დარგში სახელმწიფოს როლის ზრდა ობიექტური პროცესია, რადგანაც იმ პირობების შესაქმნელად, როდესაც კომპანიისთვის მომგებიანია ინოვაციური საქმიანობა, აუცილებელია დამატებითი სტიმულები, რომელთა მიწოდება ბაზარს ყოველთვის არ შეუძლია. სტიმულირების ფუნქციას ახორციელებს სახელმწიფო ეკონო-

მიკური პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტებით, როგორცაა: კრედიტები, გადასახადები, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, ამცირებს ინოვაციური საქმიანობის რისკებს, უზრუნველყოფს რესურსების ღირებულების შემცირებას და ხარისხის და ხელმისაწვდომობის ზრდას, ანუ სახელმწიფოს ხელშეწყობა ქმნის პროდუქციის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველს. ჩეხეთშიც ინოვაციური წარმოების განვითარებას ხელს უწყობს სახელმწიფო პოლიტიკა. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკის აშენება, რომელიც დაფუძნებული იქნება ცოდნაზე და რომელიც, პერსპექტივაში, ქვეყანას წარმატებულ სახელმწიფოთა რიგში გაიყვანს. ამის მექანიზმი უნდა გახდეს ჩეხეთის ეროვნული ინოვაციური პოლიტიკა (ეიპ), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მათი ურთიერთგაველების მექანიზმების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საქმიანობა ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შექმნის, შენარჩუნების და გავრცელების მიზნით. სახელმწიფოს ძირითად ამოცანად უნდა იქცეს: კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სფეროს ფორმირება; კვლევითი სფეროს შენარჩუნება და განვითარება; სახელმწიფოს აუცილებელი მონაწილეობა ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების და განვითარების პროცესში; ინოვაციური პროცესის მართვა და სახელმწიფო ორგანოებს, მეცნიერებსა და მეწარმეობას შორის ურთიერთობათა ორგანიზება.

მსოფლიო პრაქტიკაში, ძირითადად, ინოვაციური სფეროს მხარდაჭერის სამი სახის სახელმწიფო სტრატეგია არსებობს: 1. აქტიური ჩარევა; 2. დეცენტრალიზებული რეგულირება; 3. შერეული.

აქტიური ჩარევის სტრატეგიის განხორციელებისას სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორად სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობას აცხადებს. ამისათვის, როგორც წესი, სახელმწიფო ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, თამაშობს აქტიურ როლს მრავალი მნიშვნელოვანი პროგრამის და პროექტის ორგანიზებასა და ფინანსირებაში.

დეცენტრალიზებული რეგულირების სტრატეგია წარმოადგენს საკმაოდ რთულ მექანიზმს, რომლის დროსაც სახელმწიფო ინარჩუნებს წამყვან როლს ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაში, მაგრამ მისი მონაწილეობა ინოვაციურ პროექტებში მხოლოდ გარკვეული მიმართულებებით ხორციელდება. ასევე იგი არ ახორციელებს მკაცრ ღირებულებულ ჩარევას აღნიშნულ პროცესში. ამ დროს გამოიყენება საგადასახადო შედავათები და მსგავსი სტიმულები.

შერეული სტრატეგია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წილი უკავია სახელმწიფო სექტორს და სახელმწიფო დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს ამ სექტორის მაღალ საქსპორტო პოტენციალს. ამ დროს სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობაში ის აქტიურად ერევა, სხვა საწარმოთა საქმიანობაში კი იყენებს დეცენტრალიზებული სტრატეგიის მეთოდს.

ინოვაციური განვითარების მხარდასაჭერად რიგ ქვეყნებში გამოიყენება პირდაპირი სტიმულირების ღონისძიებები გრანტების, სუბსიდიების, მიზნობრივი კვლევების ფინანსირების და, ასევე, ირიბი სტიმულირება საგადასახადო შედავათების სახით. მეორე ტიპის შედავათები განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რაც შეიძლება მეტი უცხოური კაპიტალის მოსაზიდად სამეცნიერო კვლევების განვითარების დარგში.

ჩეხეთშიც არსებობს ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის ორივე ფორმა. პირდაპირი წყაროებია ეროვნული დოტაციები, ასევე ეკო-

ნომიკის მიზნობრივი ფონდების დახმარებები. ხოლო არაპირდაპირია საგადასახადო შეღავათები სკსსს-ზე, საშუალო და მცირე საწარმოების გადასახადებისაგან გათავისუფლება გარკვეული პირობებით, რა თქმა უნდა, კანონმდებლობასთან შესაბამისობით. ჩეხეთის მთავრობა გეგმავს, საგადასახადო შეღავათები გაუფართოოს კერძო საწარმოებს სკსსს-ზე გაწეულ ხარჯებზე. ეს შეღავათები ემყარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (მაგ., ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემია) მიერ ჩატარებულ კვლევებს (მაგ., 2011 წელს ჩეხეთში საგადასახადო შეღავათების წილმა მშპ-ის 0.19% შეადგინა, ხოლო პირდაპირი დაფინანსების წილმა – 0.14%). კიდევ ერთი ინსტრუმენტია სკსსს-ის მხარდაჭერა ვენჩურული კაპიტალის გამოყენებით, რაც ითვალისწინებს ინვესტორის უშუალო მონაწილეობას ინოვაციის შექმნის პროცესში. ეს ინსტრუმენტი ჯერჯერობით იშვიათად გამოიყენება, თუმცა ჩეხეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეხმაროს ამ პროცესს ვენჩურული კაპიტალის ფონდის შექმნის გზით. ეს გადაწყვეტილება ჩართულია ჩეხეთის რესპუბლიკის რეფორმების ეროვნულ პროგრამაში.

ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებათა შორის აღსანიშნავია ასევე: კოოპერაციის განვითარება სამეცნიერო-კვლევით და სამეწარმეო სფეროს შორის; ცოდნის გავრცელების მექანიზმები; ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა ხელშეწყობა. ამ პროცესების სტიმულირების მიზნით ქვეყანაში შექმნილია ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციური მეწარმეობის ასოციაცია, რომელიც შეიმუშავებს ჩეხეთის რესპუბლიკის ინოვაციურ სტრატეგიას, ეროვნულ ინოვაციურ პოლიტიკას და კანონს ინოვაციების შესახებ. მის შემადგენლობაში შედიან ინოვაციების საინფორმაციო და ტექნოლოგიების ტრანსფერების ცენტრი, კვლევების და განათლების ცენტრი, ინოვაციური სააგენტო და საერთაშორისო ინოვაციური ცენტრი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ინოვაციების დანერგვისათვის უფრო მეტად მომზადებული სტრუქტურების შექმნა (სახელმწიფო კორპორაციები, ტექნოპარკები, ტექნოპოლისები და სხვ.), სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის მექანიზმების განვითარება და ა.შ. ამგვარი სტრუქტურებისა და მექანიზმების შექმნის მთავარ მიზანს ეროვნული აქტივების და მათი სტრატეგიული მართვის ეფექტურობის ზრდა წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ცენტრალური ევროპის ქვეყნების წინაშე დადგა და თანდათან სულ უფრო მწვავედებოდა საკითხი იმ სტრატეგიის შერჩევისა, რომელსაც შეეძლებოდა ქვეყნის ეკონომიკის ჩიხიდან გამოყვანა და ჩრდილო და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით არსებული უფსკრულის შემცირება. ჩეხეთის სტრუქტურული გარდაქმნების ბაზისად მიღებულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აქტიური მოზიდვისაკენ. საგადასახადო სისტემის ინსტრუმენტების მეშვეობით შექმნილია პირობები, რომლებიც მოტივაციას უქმნიან კერძო სექტორს და ასევე უცხოელ ინვესტორებს, მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ფინანსირებაში. ფუნდამენტური კვლევები ხორციელდება უმაღლესი განათლების დაწესებულებებსა და ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. რიგ უნივერსიტეტებთან შექმნილია სპეციალიზებული ტექნოლოგიური ცენტრები, რომლებიც ხშირად ურთიერთობენ სამრეწველო საწარმოებთან და ქმნიან კონსორციუმებს კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად. ჩეხეთში შემუშავდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სპეციალური პროგრამა ინოვაციური განვითარებისათვის.

ძირითადი პროგრამები შემდეგია:

„Dokrok“ - სამრეწველო კვლევებისა და დამუშავების ხელშეწყობა ჩეხეთის მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით;

„Tandem“ - მრეწველობაში სკ სსს-ის შედეგების დანერგვის ეფექტურობის ზრდა;

„Impuls“ - ახალი ტექნოლოგიების, მასალების და ნაკეთობების დამუშავების ხელშეწყობა;

„Stratech“ - სტრატეგიული სამრეწველო ტექნოლოგიები;

„Technos“ - მცირე მეწარმეობის განვითარება.

ეს პროგრამები ღიაა ყველა სუბიექტისათვის, მათ შორის უცხოური კაპიტალის 100%-იანი მონაწილეობითაც. მიზნობრივი კვლევითი პროგრამები ხორციელდება 23 სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ. სხვა ქვეყნებთან მთავრობათაშორისი ურთიერთობები ხორციელდება შემდეგი პროგრამების ფარგლებში: GOST, EUREKA, EKA (კოსმოსის კვლევის საერთო ევროპული პროგრამა), INTAS, EMBC და სხვ. ერთობლივი კვლევები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ასევე შემდეგ ქვეყნებთან ერთად: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია, იაპონია, საბერძნეთი, სლოვენია, კორეა, სლოვაკია, ჩინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ინგლისი, რუსეთი და სხვ. ინოვაციური განვითარების ე.წ. ცენტრალურევროპული მოდელის მქონე ქვეყნებს, რომელთა რიგშიც შედის ჩეხეთიც, გააჩნიათ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: განვითარებადი ინსტიტუციური გარემო (ინოვაციებისათვის არასახარბიელო პირობები, ბიზნესისათვის ხელის შემშლელი არაეფექტური ადმინისტრაციული პროცესები, არასაკმარისი კონკურენცია, უნდობლობა სახელმწიფოსადმი); ინოვაციური განვითარების პროცესის დაფინანსებაში სახელმწიფოს მაღალი წილი; უცხოური დაფინანსების მაღალი წილი; ინოვაციების კონცენტრაცია ძირითადად საავტომობილო, ფარმაცევტულ და ქიმიურ მრეწველობაში (ერთი მხრივ, ამ დარგებში საქმიანობენ მაღალგანვითარებული კორპორაციები, მეორე მხრივ, დაბალია ადგილობრივი ფირმების ინოვაციური აქტიურობის დონე); აქცენტის გადაწევა დაფინანსების ირიბი გზების გამოყენებისაკენ. ინოვაციური განვითარების დარგში რიგი პროგრამების რეალიზაციის მიზნით ყველა ქვეყანაში აუცილებელი ხდება ინსტიტუციური რეფორმების გატარება. ყველგან იქმნება ინოვაციური სააგენტოები, საფინანსო ინსტიტუტები და სხვა. მაგ., ჩეხეთში ინოვაციების ფინანსირებას ახორციელებს სააგენტო CzechInvest-ი. მისი პროგრამები მიზნად ისახავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და განაწილებას და ამ გზით ადგილობრივი კომპანიების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნები დაჯგუფებულია ეროვნული ექსპორტის ინოვაციურობის მაჩვენებლების მიხედვით (ცხრ. 6). ამ მონაცემების თანახმად ჩეხეთი განეკუთვნება „ზომიერად მაღალი“ მაჩვენებლის მქონე ქვეყანათა ჯგუფს ესპანეთთან, დიდ ბრიტანეთთან, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებთან ერთად.

ცხრილი 6

ევროკავშირის ქვეყნების დაჯგუფება ეროვნული ექსპორტის ინოვაციურობის მაჩვენებლის მიხედვით

ეროვნული ექსპორტის ინოვაციურობა	ქვეყნები
ძალიან მაღალი	ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია
მაღალი	უნგრეთი, ესტონეთი, ლუქსემბურგი, ავსტრია

ზომიერად მაღალი	ჩეხეთი, შვეცია, ესპანეთი, მალტა, დიდი ბრიტანეთი, დანია, სლოვენია
ზომიერად დაბალი	ლატვია, პოლონეთი, ბელგია
დაბალი	იტალია, ხორვატია, ფინეთი, ლიტვა, სლოვენია, რუმინეთი
ძალიან დაბალი	საბერძნეთი, ბულგარეთი, პორტუგალია, კვიპროსი

როგორც ინდექსაციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ჩეხეთის რესპუბლიკა ბოლო 1-2 წლის გამონაკლისის გარდა, მართლაცდა მოულოდნელად, წამყვანი ქვეყნების 25-ეულში შევიდა (მაგ., ჩინეთი 29-ე, ხოლო მაღალიზია – 32-ე ადგილზეა). კომპანია Angelon Economica-ს მონაცემების მიხედვით, ჩეხეთი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეგიონად საშუალო, ტექნიკური და საუნივერსიტეტო განათლების პროგრამების მხრივ, რომლებიც შექმნილია სპეციალურად ნახევრადგამტარების ტექნოლოგიებისა და მიკროელექტრონიკის დარგში. მიკროელექტრონიკის კვლევით ცენტრად ითვლება Chipinvest-ი. ეს არის „ინკუბატორთა ინკუბატორი“, რომელიც აერთიანებს საუნივერსიტეტო მეცნიერთა ჯგუფებს, ინკუბატორებს და ინფრასტრუქტურულ ელემენტებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში.

ჩეხეთში დიდი ყურადღება ექცევა სკსსს პროგრამებს ნახევრადგამტარების და მის მეზობელ დარგებში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში (ჯერ კიდევ 1960 წლიდან ჩეხეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიების დამუშავების დარგში „საბჭოთა ბლოკისათვის“). ჩეხეთის რესპუბლიკაში მიემართება სკსსს-თვის გათვალისწინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადი, რომელიც გათვლილია „ახალი ევროპისათვის“ (4.1 ათასი დოლარი ერთ სულ მოსახლეზე). ეს განპირობებულია მაღალკვალიფიციური და კარგად განათლებული კადრების არსებობით, ასევე დაბალი სამეწარმეო დანახარჯებით.

სკსსსს სამუშაოთა უდიდეს წილს ხორციელებენ ნახევრადგამტარების დარგში მოწინავე ფირმები: Frescaole, ON.Semiconductor, Electronics, ST Microelectronics, AML Semiconductor, S3. ბოლო წლებში გაჩნდა ახალი ფირმები. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ფირმა Tesla-ს თანამშრომლებმა შექმნეს ფირმა ASI Centrum.

ინოვაციური განვითარების გეგმის შესრულების მთავარ სექტორს სამეწარმეო სექტორი წარმოადგენს. ეს საერთო ტენდენციაა ევროპის ქვეყნებისათვის (ცხრ. 7). ასევეა ჩეხეთშიც. ეს მაჩვენებელი სკსსს-ზე გაწეულ დანახარჯთა 51.4%-ს და 37.6% შეადგენს შესაბამისად 2003 და 2013 წწ. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან ხარჯებს ახორციელებს სახელმწიფო სექტორი და ეს მაჩვენებელი 2003 და 2013 წელს შესაბამისად 41.8% 34.7%-ს უტოლდება. 2013 წელს უცხოეთიდან შემოსულ ინვესტიციებს უკავია 27.2%. ეს ციფრი 2003 წელს 4.6%-ს უდრიდა. ეს ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ გლობალიზაციის პირობებში ადგილობრივ მეცნიერებატევად დარგებს უცხოური ინვესტიციები შთანთქავს და ისინი გადადიან ამ კომპანიების სრული კონტროლის ქვეშ.

ცხრილი 7

**სკსსს-ზე დანახარჯები დაფინანსების წყაროების მიხედვით
(% სკსსს-ზე მთლიან დანახარჯებთან)**

ქვეყნები	სამეწარმეო სექტორი		სახელმწიფო სექტორი		უმაღლესი განათლების სექტორი		უცხოეთი	
	2003	2013	2003	2013	2003	2013	2003	2013

კა-28	53.9	54.9	35.3	32.8	0.7	0.9	8.6	9.8
შეეცია	65.1	57.3	24.3	27.7	0.1	0.9	7.3	11.1
ფინეთი	70	60.8	25.7	26	0.2	0.2	3.1	11.5
დანია	59.9	59.8	27.1	29.3	-	-	10.3	7.2
შვეიცარია	69.7	60.8	22.7	25.4	1.5	1.2	5.2	12.1
ავსტრია	45.1	44.1	34.4	39.1	0.4	0.7	20	16.4
ბელგია	60.3	60.2	23.5	23.4	2.7	2.9	12.9	13
ნიდერლანდები	47	47.1	40.3	34.3	0.2	0.4	10.4	14.3
ლუქსემბურგი	80.4	20.5	11.2	30.5	0	0.1	8.3	20.4
სლოვენია	52.	63.8	37.5	26.9	0.4	0.3	9.9	8.9
ჩეხეთი	51.4	37.6	41.8	34.7	1.2	0.5	4.6	27.2
უნგრეთი	30.7	46.8	58	35.9	-	-	10.7	16.6

თუ ევროპის ქვეყნებს მშპ-ში ინოვაციური განვითარებისათვის გაწეული ხარჯების მიხედვით 3 ჯგუფად დავყოფთ: I – მაღალი მეცნიერებატექნოლოგიის მქონე ქვეყნები (შვეიცია, ფინეთი, შვეიცარია, დანია, ავსტრია); II – საშუალო (ბელგია, ნიდერლანდები, ჩეხეთი, სლოვენია) და III – დაბალი (უნგრეთი, ლუქსემბურგი), ჩეხეთს საშუალო მაჩვენებელი აქვს, რადგანაც სკსსს-ზე დანახარჯები აქ მშპ-ში 1.5%-ს აღწევს. ასევე ცხრილიც გვჩვენებს, რომ I და II ჯგუფის ქვეყნებში კერძო და სახელმწიფო სექტორი თითქმის თანაბრად ზრუნავს მეცნიერებატექნოლოგიის მაჩვენებლის ასამაღლებლად. სახელმწიფო დაფინანსების როლი უფრო დიდია II ჯგუფის ქვეყნებისათვის, რადგან აქ კერძო ბიზნესი არც ისე ძლიერია. ისინი გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის რისკის გაწევას არ ჩქარობენ. ამიტომ სახელმწიფო იძულებული ხდება, მხარში ამოუდგეს და დახმარება გაუწიოს ამდაგვარ პროექტებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩეხეთის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიზნით აუცილებელია ყურადღების კონცენტრირება და ფუნქციური მექანიზმის შექმნა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: გამოგონებათა, ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა სახეობების რაციონალიზაციის და კომერციალიზაციის ეკონომიკური სტიმულირება; გამოგონებების, პატენტების, ნოუ-ჰაუს შესახებ, ასევე იმ სახეობის იმპორტულ პროდუქციაზე, რომლებიც თავისი ტექნიკური და ხარისხობრივი დონით ჩამოუვარდება ჩეხურ პროდუქციას, იმპორტის გადასახადების ზრდის შესახებ ინფორმაციის ხარისხობრივად ახალი სისტემა; საპატენტო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქმეში სამართლის ჩეხური ნორმების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ადაპტაცია; განათლებისა და მეცნიერების ფინანსირების მნიშვნელოვანი ზრდა და სხვა, რისი განხორციელებისათვის დიდი როლი მიეკუთვნება ჩეხეთის სახელმწიფოს სწორ პოზიციას სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის დასახვის და წარმატებით წარმართვის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Абесадзе П., Бурдули В. Структурные инновационные проблемы экономического развития. Тбилиси, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. <http://www.radio.cz/ru/rubrika/radiogazeta/politiki-i-eksportery-obsudili-strategii-razvitiya-cheshskoj-ekonomiki>
3. <http://xreferat.com/59/1828-1-innovacionnye-processy-v-chehii.html>
4. http://www.czech.allbusiness.ru/content/document_r_46847D2F-2BCD-4DE9-B9B1-0CAEA0A6B016.html

5. <http://cznews.ru/podderzhka>
6. <http://www.dissercat.com/content/razvitie-innovatsionnoi-sfery-ekonomiki-chekhii>
7. <http://xreferat.com/59/1828-1-innovacionnye-processy-v-chehii.html>
8. <http://cyberleninka.ru/article/n/istochniki-pravovogo-regulirovaniya-innovatsionnoy-deyatelnosti>
9. http://www.ved.gov.ru/exportcountries/cz/about_cz/laws_ved_cz/laws_trade_cz/
10. http://studopedia.su/20_26475_pravovie-osnovi-razvitiya-innovatsionnoy-deyatelnosti.html
11. <http://textb.net/112/28.html>
12. http://economy.samregion.ru/activity/vneshnie_svyazi/visits/cheshskaya-respublika/?version=blind
13. http://iee.org.ua/ru/prog_info/16019/
14. <http://moluch.ru/archive/116/31387/>
15. <http://www.vestifinance.ru/articles/66262>
16. <http://moluch.ru/conf/law/archi>
17. <http://ru.theglobaleconomy.com/>

Medea Melashvili

INNOVATION POLICY OF CZECH REPUBLIC Annotation

The article is dedicated to such a significant factor of any national economic growth as technical progress, innovations, which are given much prominence by EU that is confirmed by Lisbon summit in 2000 where EU took a course of creation of competitive innovation economy for its members.

The article discusses the forms and necessary measures to develop and stimulate innovation policy of Czech republic, state programs to support scientific researches in order to attract foreign investments and also the role of the state in the design of core strategy of national innovation development. There are analyzed some important indices of the Czech economy and in this context is shown the place occupied by Czech republic among EU member states. Are also given the results of the indexation done annually by international organizations and their evaluations of Czech republic.

გიორგი სიგუა

ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ძველსა და საქართველოში

XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, განვითარებული ქვეყნები, ისწრაფოდნენ რა პოსტინდუსტრიული ეკონომიკისკენ, გადავიდნენ განვითარების ე.წ. ინოვაციურ მოდელზე. წარმატების უზრუნველყოფის ძირითადი წყარო ამ დროისათვის ხდება არა ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, არა იაფი სამუშაო ძალა და ფინანსებიც კი, არამედ ცოდნის ერთობლიობა, მათი კონკურენტული გამოყენება და სამეცნიერო ინოვაციები, რომლებსაც ფლობს სამრეწველო-ეკონომიკური სისტემა. ამგვარად, შეგვიძლია გამოვყოთ თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი ტენდენციები:

1. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება და ეფექტიანობის ზრდა. ამჟამად, განვითარებულ ქვეყნებში ტექნოლოგიური ინოვაციების წილი მშპ-ის მოცულობაში შეადგენს 70-დან 90%-მდე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტების მონაცემებით,

აშშ-ში უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური სექტორების ხარჯზე მიღწეულ იქნა შრომის პროდუქტიულობის მთლიანი ზრდის თითქმის 50%, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, იაპონიაში – 30%-ზე მეტი, საფრანგეთსა და იტალიაში – 25% [1];

2. ინტელექტუალური შრომის წილის მიზანსწრაფული ზრდა სხვადასხვა სახის ეკონომიკური პროდუქტის შექმნის პროცესში. განვითარებულ ქვეყნებში იმ პროფესიებზე, რომლებშიც უპირატესად ინტელექტუალურ შრომაზე მოდის დასაქმების ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი: 85% – აშშ-ში, 89% – დიდ ბრიტანეთში, 90% – იაპონიაში. 1990-დან 2011 წლამდე პერიოდში სამუშაო ადგილების რიცხოვნობის საერთო ზრდას 25%-ით თან ახლდა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სპეციალისტების დასაქმების ზრდა 40-75%-ით [2].

3. ამ დარგების დინამიური განვითარება დაკავშირებულია ცოდნისა და ინფორმაციის მიღებაზე საწარმოო დანახარჯების ყოველწლიურ ზრდასთან, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნიკის შექმნასთან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტების მონაცემებით (ამ ორგანიზაციის 35 წევრიდან 21 – ევროკავშირის წევრია), 1995 წლიდან 2005 წლამდე ინვესტიციები საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებში იძლეოდა ერთობლივი პროდუქტის ზრდის მეოთხედს, ხოლო ინვესტიციები ინტელექტუალურ აქტივებში – 7,5-11%-ს. ყველა ზემოაღნიშნული პროცესის შედეგად შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის საერთაშორისო ბაზარი, სადაც მაღალ-განვითარებული ქვეყნების წილი აშშ-ს მეთაორობით მთლიანი მეცნიერებატევადი პროდუქტის 80-90%-ს შეადგენს, ხოლო აშშ-ს წილი – 39%-ს.

4. ინფორმაციულმა ეპოქამ წარმოქმნა კორპორაციების ახალი ტიპი, რომელთა მატერიალური აქტივები შედარებით მიზერულია. 2014-2015 წლებში მსოფლიოს წამყვანი კომპანიების საბაზრო და საბალანსო ღირებულების თანაფარდობის ანალიზი მოწმობს, რომ ყველაზე დიდ განსხვავებას საბაზრო კაპიტალიზაციასა და კომპანიის აქტივებს შორის ადგილი აქვს მაღალტექნოლოგიური ელექტროაპარატურის წარმოების, პროგრამული უზრუნველყოფისა და გამომთვლელი ტექნიკის, ფარმაციის და ბიოტექნოლოგიის დარდში, მომსახურების სფეროსა და საცალო ვაჭრობაში, ე.ი. იმ სფეროებში, სადაც ფართოდ გამოიყენება საწარმოს ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენლები: მოწინავე ინოვაციური ტექნოლოგიები, არსებული პატენტები, ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, საწარმოს პერსონალის განსაკუთრებული შესაძლებლობები და სიახლეები, კორპორაციული კულტურა, სავაჭრო მარკები და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ 2014-2015 წლებში სწორედ მაღალტექნოლოგიური კომპანიები არიან მსოფლიოს ლიდერი ინოვაციური კომპანიების (Apple, Google, Samsung) და მსოფლიოს 100 ყველაზე უძვირესი ბრენდების რეიტინგის სათავეში (Apple, Microsoft, Google, IBM) [3-4];

5. ცოდნის წარმოება, ინვესტიციების მოცულობა მეცნიერებასა და განათლებაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონეს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო ინვესტიციების ერთობლიობის 85%-ს მეცნიერებაში ახორციელებენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები, 11% – ინდოეთი, ჩინეთი, ბრაზილია და აღმოსავლეთ აზიის ტექნოლოგიურად განვითარებული ახალი ქვეყნები და მხოლოდ 4% – მსოფლიოს სხვა ქვეყნები, რომლებსაც მიეკუთვნება საქართველოც. იუნესკოს მონაცემებით, 20 ქვეყანაში, სადაც მეცნიერების 95% მუშაობს, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ყოველწლიურად იზრდება 200 დოლარით. სხვა ქვეყნებში, სადაც მუშაობს მეცნიერმუშაკთა მხოლოდ 5%, ნამატი შეადგენს მხოლოდ 10 აშშ დოლარს წელიწადში [5];

6. თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ინტელექტუალური რესურსები განსაზღვრავს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობებს როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში საწარმოები, რომლებიც არ იყენებენ ინტელექტუალურ კაპიტალს (და მის ნაწილს – ინტელექტუალურ საკუთრებას), საშუალო მოგება შეადგენს 14%-ს. ის საწარმოები, რომლებიც მას პერიოდულად იყენებენ –39%-ს, ხოლო საწარმოები, სადაც ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების საფუძველს – მოგების 61%-ს [6].

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე ზემოაღნიშნულ ცვლილებებს თან ახლავს მენეჯმენტის ძირეული ცვლილებები, როგორც მაკრო-, ისე მიკროდონეზე, და აყალიბებს კორპორაციული კულტურის ახალ ტიპს. ის წარმოადგენს ფასეულობების სისტემას, რომელსაც აღიქვამს, იზიარებს და მხარს უჭერს კოლექტივის ყველა წევრი [7]. კორპორაციული კულტურის ასეთი ახალი ტიპი, ორგანიზაციის მუშაკთა მიზნების ერთიანობის გარდა, ქმნის პირობებს ინტელექტუალური შრომისადმი, თვითგანვითარებისათვის, თვითშეგნებისა და ორგანიზაციის თითოეული თანამშრომლის კრეატიულობისათვის მისი მიზნებისკენ სწრაფვის პროცესში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მ.შ. საქართველო, მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ განვითარებული ქვეყნების უმეტესობას. ამ ქვეყნებში მწარმოებლები პრაქტიკულად არ განიხილავენ ინტელექტუალურ აქტივებს, როგორც კონკურენტული უპირატესობის მიღწევის პოტენციურად მძლავრ საშუალებას, რაც აისახება კაპიტალიზაციის შემცირებაში. ამის შედეგია – დაბალი ინვესტიციური მიმზიდველობა და ინოვაციური გარღვევის შესაძლებლობის ობიექტური შეზღუდვა. ფაქტობრივი დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე საქართველოში 2004-2012 წლებში შეადგენდა საშუალოდ მშპ-ს 0,16-0,17%-ს. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია აღარ წარმოადგენს უწყებას, მან დაკარგა ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის მაკოორდინირებელი ცენტრის ფუნქცია. აკადემია გადაიქცა კლუბად, რომელიც არსებობდა მშირი ბიუჯეტური დაფინანსების და ბ. ივანიშვილის კერძო შემოწირულობების ხარჯზე. მეცნიერებათა აკადემიის 69 სამეცნიერო დაწესებულება გადაეცა უნივერსიტეტებს ან ლიკვიდირებულ იქნა, მათი შენობები კი ბიუჯეტის შესავსებად გაიყიდა “ინვესტორებზე”. მ. სააკაშვილი თავის წიგნში “ძალის გამოღვივება”, მეცნიერებს მხოლოდ ერთ აბზაცს უთმობს და მათ “უსაქმურებს” უწოდებს (განსაკუთრებით შეურაცხყოფს აკადემიკოსებს) და თავის ყველაზე დიდ შეცდომად მიიჩნევს, რომ არ მოახდინა აკადემიის სრული ლიკვიდაცია [8]. ხელისუფლებას არ ესმოდა, რომ ხარისხიანი უმაღლესი განათლება შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. გაუქმდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელისუფლებამ ლიკვიდაცია ყველა – 32 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, ხოლო უნივერსიტეტის ორივე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს შეუწყდა სახელმწიფო დაფინანსება.

ბოლო წლებში მდგომარეობა სწორდება, მაგრამ სახელმწიფო ხარჯების წილი მეცნიერებაზე რჩება მშპ-ს 0,19%-ის დონეზე (2016 წ. – 66 მლნ ლარი, 2017 წ. – 61 მლნ ლარი). ამ მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო ყველა ევროპულ ქვეყანას, არამედ მრავალ აფრიკულ სახელმწიფოსაც. სამუხაროა, რომ ასეთივე დინამიკა შეიმჩნევა უკრაინაშიც – ქვეყანაში, რომელიც უახლოეს წარსულში სამეცნიერო პოტენციალით და ტრადიციებით შედიოდა მსოფლიოს პირველ ოცეულში: 2000 წ. – 1,36% მშპ-დან, 2010 წ. – 0,95%, 2013წ. – 0,81%, 2017წ. – 0,22%.

ამავე დროს, ევროსტატის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი ევროკავშირში-28 – 2,01%-ი იყო, რამაც 360 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა [9]. მსოფლიოს

ქვეყნების პირველი ათეული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯების წილით მშპ-ში ასე გამოიყურება: 1. იორდანია – 6,3%; 2. ისრაელი – 5,0%; 3. შვეცია – 4,6%; 4. ფინეთი – 3,4%; 5. იაპონია – 3,1%; 6-7. სამხრეთ კორეა და ისლანდია – 3%; 8. აშშ – 2,8%; 9. შვეიცარია – 2,6%; 10. გერმანია – 2,5% [10, გვ. 151].

ათასწლეულის დასაწყისში მსოფლიო ქვეყნების პირველი ათეული სამეცნიერო მუშაკების რიცხოვნობით, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში, გამოიყურება შემდეგნაირად: 1. ფინეთი – 7110 კაცი 1 მლნ მოსახლეობაზე; 2. ისლანდია – 6639 კაცი; 3. იაპონია – 5321 კაცი; 4. შვეცია – 8186 კაცი; 5. ნორვეგია – 4377 კაცი; 6. აშშ – 4099 კაცი; 7. სინგაპური – 4052 კაცი; 8. შვეიცარია – 5186 კაცი; 9. რუსეთის ფედერაცია – 3494 კაცი; 10. დანია – 3476 კაცი [10, გვ.150.]. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ათეულში შედის ოთხივე სკანდინავიური ქვეყანა და მასთან მჭიდროდ ინტეგრირებული ფინეთი. ამ ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, ჩვენი აზრით, შეიძლება საქართველოსთვის ყველაზე მიმზიდველი ორიენტირი გახდეს.

სტატიის მიმოხილვითი ნაწილის დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში კონკურენტული უპირატესობების მიღწევა საწარმოებისათვის, როგორც შიგა ისე უცხოურ ბაზრებზე, შესაძლებელია მხოლოდ ინტელექტუალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების, თანამედროვე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების დანერგვის, ხარისხობრივად ახალი პროდუქციის შემუშავების, ინოვაციების შექმნის, საწარმოების კორპორაციული კულტურის მიზანმიმართული მართვის გზით.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ რელსებზე გადასვლის შემავრსებელ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ შემდეგი:

1. სამეცნიერო და ინოვაციური სფეროს დაფინანსების დაბალი დონე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული.

2. თანმიმდევრული სტრატეგიისა და ეკონომიკის ინოვაციურ მოდელზე გადასვლის პროგრამის არარსებობა და, შესაბამისად, არსებული კანონების ფრაგმენტულობა და შეუთანხმებლობა. პრიმიტიული ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის (მეტადრე შელამაზებული სატატიტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების) და არა მისი განვითარებისაკენ. 2004 წლიდან დღემდე გახმოვანებული პრიორიტეტები და 10, 5 ანდა 3 და ამჟამად 4 პუნქტიანი გეგმები არ სახავს მიზნად სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციას. ტურიზმი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებითაც დაკავებულია სახელმწიფო საპარტნიორო ფონდი, არ წარმოადგენს მეცნიერებატევად დარგებს და ამ სფეროებში შექმნილი დამატებული ღირებულება ძალიან დაბალია.

3. უკიდურესად სუსტი მრეწველობა და მისი სანედლეულო სტრუქტურა, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა. ქართველი გლეხობა, რომლებმაც ერთპიროვნულ საკუთრებაში მიიღო 1-1,5 ჰექტარი მიწა, მუშაობს ძირითადად კუსტარულად, XIX საუკუნის მეთოდებით. მთლიანობაში, მთავრობის სწორი კურსი კოოპერაციაზე ხორციელდება ნელი ტემპით და არაკომპეტენტურად.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე. ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორც მთავრობა, ისე ანაღიტიკოსები, მუდმივად დეკლარირებდნენ შეშფოთებას ქვეყნის ძალიან დაბალი საექსპორტო პოტენციალის გამო, თუმცა ამავდროულად ამავობდნენ გატარებული ეკონომიკური რეფორმებით და მოწინავე ადგილებით Doing Business-ის რეიტინგში. განსაკუთრებულ მიღწევად ითვლებოდა ის, რომ პირველი პოზიცია ექსპორტში ეჭირა ნახმარ ავტომობილებს (33%), რაც კიდევ ერთხელ

ამტიციებს პრეზიდენტ მ. სააკაშვილისა და მისი გუნდის სრულ არაკომპეტენტურობასა და უცოდინარობას ქვეყნის მართვაში. შედარებისათვის აღვნიშნავთ რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ექსპორტმა 2015 წელს შეადგინა 2,2 მლრდ აშშ დოლარი, პატარა ესტონეთის ექსპორტმა 1,3 მლნ კაცი მოსახლეობით, 2013 წელს შეადგინა 22,2 მლრდ აშშ დოლარი, ლატვიის – 19,3 მლრდ აშშ დოლარი, ლიტვის – 29,3 მლრდ [12]. აღვნიშნავთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ესტონეთი და ლატვია არიან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრებს.

უდაოა, რომ ექსპორტი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მაღალგანვითარებული სახელმწიფოები ატარებენ აგრესიულ საექსპორტო პოლიტიკას, უწევენ საგრძნობ მხარდაჭერას (მ.შ. ფინანსურს) მზა პროდუქციის ექსპორტიორებს, რადგანაც ექსპორტი – ესაა პირდაპირი სავალუტო ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაში მასში უცხოური კაპიტალის შესვლის გარეშე. რაც უფრო მაღალია ექსპორტი, მით უფრო დაბალია მოთხოვნილება უცხოურ ინვესტიციებზე. ექსპორტი არის ეროვნული დამოუკიდებლობის, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელი და რეალური საფუძველი.

შემოაქვს რა პრაქტიკულად ყველაფერი, საღეჭი რეზინით და სიგარეტით ფაწვებული საყოფაცხოვრებო ტექნიკამდე და ავტომობილებამდე, საქართველო უზარმაზარ თანხების ინვესტირებას ახდენს თურქეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკებში, უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში დამატებით სამუშაო ადგილებს და საწარმოების შემოსავლებს.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივისა და მდგომარეობის ანალიზისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია არა იმდენად საქონლისა და მომსახურების ექსპორტის, არამედ იმპორტის სტრუქტურა, რომელიც დღემდე რჩება როგორც სამთავრობო ორგანოების, ასევე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა მხედველობის მიღმა. ესტონეთში ყოველწლიურად იმპორტის საერთო მოცულობის არანაკლებ მესამედისა (2013 წელს იმპორტის საერთო მოცულობა – 22,4 მლრდ აშშ დოლარი) შეადგენდა საწარმოო დანიშნულების ტექნოლოგიური მოწყობილობები და აგრეთვე მოწყობილობები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის. საქართველოში ბოლო 15 წლის მანძილზე ტექნოლოგიები და მაკომპეტენტული აქსესუარები არ შედის იმპორტირებული საქონლის პირველ ათეულში. მათი ღირებულება 2015 წელს შეადგენდა 60 მლნ აშშ დოლარზე ნაკლებს (იმპორტის საერთო მოცულობიდან 7,72 მლრდ აშშ დოლარი). ტექნოლოგიებზე მოთხოვნის არარსებობა საქართველოში მრეწველობის სისუსტისა და ჩამორჩენილობის თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

ამასთან დაკავშირებით სრულიად აშკარაა აუცილებლობა იმისა, რომ უარი ვთქვათ ულტრალიბერალურ დოგმებზე, სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის არამიზანშეწონილობასა და ზიანზე და ვადიაროთ წარმოების საშუალებებზე საკუთრების პლურალიზმის უპირატესობა ჩვენს პირობებში. მცირე ზომის მაგრამ განვითარებული ქვეყნების (სკანდინავიური სახელმწიფოები, ფინეთი, სინგაპური და სხვა) მაგალითზე, ჩაიდოს სახელმწიფო ინვესტიციები არა მარტო ინფრასტრუქტურაში (ისინი ზედმეტად გაბერილია ჩვენი სიღარიბის გათვალისწინებით), არამედ მრეწველობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ბიზნესის სისუსტისა და არაკონკურენტუნარიანობის, ვენჩურული, სარისკო კაპიტალის არარსებობის პირობებში საქართველოს ეკონომიკა ყოველთვის აუტსაიდერის როლში დარჩება. ჩვენი აზრით, საპარტნიორო ფონდის ფუნქცია უნდა გახდეს ტექნოლოგიური პროექტების რეალიზება და არა სასტუმროების მშენებლობა.

4. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა მაღალკონკურენტული გარემო. “ვარდისფერმა” ლიბერტიანელებმა, (ე.ი. მემბრჯვენე ანარქისტებმა) მ. სააკაშვილმა და კ. ბენდუქიძემ 2004 წელს გააუქმეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და რეგულირება, მოახდინეს რა შესაბამისი სამსახურის ლიკვიდაცია. მიუხედავად ევროკავშირის არაერთი მიმართვისა, რომ აღედგინათ საბაზრო ეკონომიკისათვის ეს უმნიშვნელოვანესი სამსახური, პრეზიდენტი მ. სააკაშვილი კატეგორიულ უარს აცხადებდა ამაზე. არგუმენტი – ლიბერტიანული მიდგომა ყველა რეგულაციისადმი – თვითრეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს უშუალო ჩარევის დაუშვებლობა. 2013 წელს ანტიმონოპოლიური რეგულირების სააგენტო აღდგა, თუმცაღა მისი საქმიანობა არასაკმარისად ეფექტიანია.

5. ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობის, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებამ, ნათვლად გვიჩვენა, რომ ეროვნული ეკონომიკების გადასვლა განვითარების ინოვაციურ აღგორითმებზე შესაძლებელია მაღალ განვითარებული მეცნიერების არსებობის გარეშე. გლობალურ სამყაროში სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგები ადვილად გადალახავს ეროვნულ საზღვრებს. ბიზნესს, პირველ რიგში მაღალტექნოლოგიურს, დღეს გააჩნია ქვეყნიდან ქვეყანაში ცოდნის თავისუფალი გადატანის ინსტრუმენტები მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებში. რა თქმა უნდა, ლაპარაკია პირველ რიგში გამოყენებითი კვლევის შედეგებზე, რომელიც აისახება პატენტებსა და ნოუ-ჰაუში.

სრულიად სხვაგვარი სიტუაციაა უახლეს დარგებში ცოდნის იმპორტზე, სადაც იქმნება პრინციპულად ახალი (და ყველაზე ძვირი) საქონელი და მომსახურება. ამისათვის საჭირო ექსკლუზიური ცოდნის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვა არ ხდება, ხოლო მათი წარმოშობა პრაქტიკულად ყოველთვის დაკავშირებულია ფუნდამენტური მეცნიერების მოწინავე კვლევების შედეგებზე. ცხადია, რომ ასეთი ძვირადღირებული კვლევების მასშტაბური წარმოება შეუძლია განვითარებული ქვეყნების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას, რომლებიც ერთდროულად არიან უღაო ეკონომიკური ლიდერებიც [12]. ასეთ შემთხვევაში ამოცანა შეიძლება გადაიჭრას ჩვენი ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში დასავლეთის მაღალტექნოლოგიური და კონკურენტუნარიანი კომპანიების მოზიდვით, ქვეყანაში მაქსიმალურად მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნის გზით. 2004-2012 წლებში პორტფელური ინვესტიციები საქართველოში საერთოდ არ შემოდიოდა საფონდო ბაზრის ფაქტობრივი არარსებობის და არასრულყოფილი კორპორაციული კანონმდებლობის (აქციონერული საზოგადოებების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ), მინორიტარული აქციონერის დაუცველობის გამო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოდიოდა ძირითადად რუსეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და არაბეთის ქვეყნიბიდან. ხშირად ამ ინვესტორებს ამომრავებდა პოლიტიკური მიზნები, ხოლო მაღალ ტექნოლოგიებს არ ფლობდა პრაქტიკულად არცერთი ეს ქვეყანა. ინვესტორები ოფშორული ზონებიდან საქართველოში აბანდებდნენ სპეკულაციურ კაპიტალს ძირითადად უძრავ ქონებაში, უკეთეს შემთხვევაში კი საბანკო სისტემაში. აქ უპრიანია გავიხსენოთ, რომ 2004-2012 წლებში “ვარდისფერი” ფსევდორეფორმატორები ცდილობდნენ “ეცდუნებიანთ” უცხოელი ინვესტორები იაფი და უუფლებო სამუშაო ძალით, შრომის კოდექსი იყო ველური კაპიტალიზმის ეპოქის დოკუმენტი: არ იყო დადგენილი მინიმალური ხელფასი; სამუშაო დღე არ იყო ნორმირებული, დასვენება უქმე და გამოსასვლელ დღეებში, ასევე შვებულება დამოკიდებული იყო დამსაქმებლის თვითნებობასა, თუ კეთილ ნებაზე, ისევე, როგორც სამუშაოზე მიღებისა თუ დათხოვნის პირობები; გაუქმდა შრომის დაცვის ინსპექცია და ა.შ. ასეთი კოდექსით შეიძლება

მოიხიბლოს მხოლოდ ისეთი ინვესტორი, რომელსაც სჭირდება დაბალკვალი-
ფიციური მუშაკი პრიმიტიული ფიზიკური შრომისათვის და არა მაღალტექ-
ნოლოგიური წარმოებისათვის. ინვესტორიც სწორედ ასეთი მოდიოდა.

6. 1993-2012 წლებში არც ერთი მთავრობა არ განიხილავდა ინოვაციებს,
როგორც სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ სფეროს. მხოლოდ 2012
წლის ოქტომბერში ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ გადადგა პირველი
კონკრეტული ნაბიჯები. ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა საინვესტი-
ციო სააგენტო, დაიწყო ინოვაციური ინფრასტრუქტურის – ტექნოპარკები, ინ-
დუსტრიული პარკების, ბიზნესინკუბატორების ფორმირება და სხვა. სააგენტოს
მთავრი ამოცანა იყო – გრანტებისა და ტექნიკური დახმარების მეშვეობით
დაეხმაროს მცირე და საშუალო საწარმოებს, უნივერსიტეტებს და კვლევით
ორგანიზაციებს ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაციასა და
ადაპტაციაში, მთავრობისათვის ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და
შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების მომზადება. თუმცა,
უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პოლიტიკა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ
შემთხვევაში, თუკი ბიზნესს გაუჩნდება მაღალი მოტივაცია, მოძებნოს და
დანერგოს ინოვაციური პროდუქტი. სიახლეების დანერგვა, მუდმივი მოდერნი-
ზაცია მოითხოვს დიდ დანახარჯებს, და ბიზნესი მიმართავს მეცნიერებას და
ახალ ტექნოლოგიებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის არ გაკეთება არ შეიძლე-
ბა, ამას მოყვება კონკურენტებისგან ჩამორჩენას, მოგების დაცემა ანდა სულაც
გაბანკოტება. ამიტომ, ეკონომიკის ინოვაციური მოდელის ფორმირებისათვის
აუცილებელია მაღალკონკურენტული გარემო, კორუფციული სქემის არ-
არსებობა, საგადასახადო პრეფერენციების სისტემა საწარმოებისათვის, რომ-
ლებიც ისწრაფიან გაფართოებისა და მუდმივი განახლებისაკენ. სავსებით
დროულად მიგვაჩნია 2016 წელს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება
მოწობილობებისა და სამრეწველო დანიშნულების მაკომპლექტებლების იმ-
პორტის დღგ-სგან განთავისუფლება. რაც შეეხება საწარმოთა გაუნაწილებელი
მოგების განთავისუფლებას დაბეგვისაგან, ეს ზომა უფრო მეტად შეუწყობს
ხელს წარმოების გაფართოებასა და ზრდას, და არა იმ არატექნოლოგიური
დარგების ინოვაციურ განვითარებას, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის
არაპერსპექტიული სტრუქტურის საფუძველს შეადგენს.

ინოვაციის გლობალური ინდექსის რეიტინგში, რომელიც ქვეყნდება 2012
წლიდან საქართველომ 2015 წელს დაიკავა 73-ე ადგილი 128 ქვეყანას შორის.
2016 წელს ქვეყანამ გაიუმჯობესა რეიტინგი 9 პოზიციით და იკავებს 64-ე
ადგილს. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ეტაპზე საქართველო
იმყოფება ეკონომიკის ინოვაციური მოდელის ფორმირების ადრეულ სტადიაზე.

მთლიანობაში, სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები და ინოვაციური
საქმიანობის ვექტორები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

– მაღალკონკურენტული ბიზნესგარემოსა და მაქსიმალურად მიმზიდველი
კლიმატის განუხრელი უზრუნველყოფა როგორც უცხოელი, ასევე ადგილო-
ბრივი მაღალტექნოლოგიური ინვესტორებისათვის.

– სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების
ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდა მშპ-ს 1%-მდე, ხოლო 5 წლის განმავ-
ლობაში 1,5%-მდე (სლოვენის დონემდე). სხვა მ.შ. უცხოური წყაროებიდან
დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.

– საქართველოს საპარტნიორო ფონდთან სახელმწიფო კენწურული კომ-
პანიების შექმნა;

– ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გან-
საზღვრა და მხარდაჭერა საერთო-სახელმწიფოებრივ, დარგობრივ, რეგიონულ
და ადგილობრივ დონეზე;

- სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სახელმწიფო შეკვეთების განთავსება;
- ეკონომიკური მექანიზმებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისა და მხარდაჭერისათვის, ტექნოპარკებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ფორმების ჩამოყალიბება და განვითარება;
- ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ინტერესებისა და უფლებების სამართლებრივი დაცვა;
- ინოვაციური პროექტების შესრულების ფინანსური მხარდაჭერა (ნებისმიერი ფორმით), იმ კვლევებისა და სამუშაოების ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომლებიც სრულდება სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის ფარგლებში;
- კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სტიმულირება, რათა მათ უზრუნველყონ ინოვაციური პროექტების შესრულების დაკრედიტება;
- დასასრულ, აუცილებლად მიგვაჩნია საზი გაგუსვით იმას, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინოვაციურობა აუცილებელია განვიხილოთ როგორც არასტანდარტული, შემოქმედებითი, კრეატიული იდეების რეალიზაციის ფორმა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისათვის აუცილებელია ქმედითი ინოვაციური სტრატეგია როგორც ყველა ინოვაციური სუბიექტის “მოქმედების წესების” ერთობლიობა და ამ სტრატეგიის რეალიზაციის შესატყვისი პროგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ганущак Л.М. Пути использования зарубежного опыта управления инновационным потенциалом предприятий в Украине/Л.М.Ганущак//Актуальные проблемы экономики – 2006 - №4 (58) – с.135-150.
2. Денисенко М.П. Инновационное развитие общества на основе интеллектуального капитала/М.П.Денисенко// Научные записки. Серия «Экономика» - 2013 – Вып.23 – с.15-19.
3. Самые дорогие бренды мира 2015 по версии Interbrand // [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.management.com.ua/news/?id=1563>.
4. Рейтинг наиболее инновационных компаний мира// [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.management.com.ua/news/?id=1543>.
5. Гук Н.А. Усиление интеллектуальности труда и тенденции ее структурных изменений в Украине // Актуальные проблемы экономики. – 2011. - №2 (116). – с. 125-130.
6. Цыбулев П. Интеллектуальный капитал – определяющий ресурс экономического роста/П.Цыбулев//Наука и инновации – 2008 - №3 – с.61-62.
7. Шейн Э.Х. Организационная культура и лидерство/Э.Х.Шейн. – СПб.: Питер, 2002. – 336 с.
8. Саакашвили М.Н. Пробуждение силы. Уроки Грузии – для будущего Украины. – Харьков: Фолио, 2016. – с. 110.
9. Валовый внутренний продукт стран мира: статистические показатели// [Электронный ресурс]. – Вашингтон, США, 2015 г. – Режим доступа: <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTR>
10. Чернецкий Ю.А. Мировая экономика. – М.:Эксмо, 2009.
11. Мендкович Н.А. На пути к евразийскому экономическому чуду. Россия и интеграция на постсоветском пространстве / Н.А. Мендкович. – М.:ООО «ТД Алгоритм», 2015. – с. 165.
12. Бубенко П., Гусев В. Продолжаем заговаривать инновационное развитие // Экономика Украины. – 2016. - № 7. – С. 82-92.

**DOMINANT DIRECTIONS OF NATIONAL ECONOMIC DEVELOPMENT
IN EU COUNTRIES AND GEORGIA**

Annotation

The article shows that since last 25 years of XX century till today the implementation of technological innovations has become the major source of economic growth in EU countries. The epoch of information has given origin to competitive corporations of new type, the material assets of which are very small. In Georgia as in other former soviet republics, it is necessary to reorganize education and science adequate to the current requirements.

პრობლემა 6.

*იზა ნათელაური
როლანდ სარჩიმელია
თამარ თაფლაძე*

ევროკავშირის ინოვაციური საბარეო ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს საბარეო ეკონომიკური პრიორიტეტები

ევროკავშირი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორს ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყნისთვის. ეს ფაქტი განაპირობებს მისი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. სპეციალისტების ყურადღების ცენტრშია ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი: „ვაჭრობა, ეკონომიკური ზრდა და საერთაშორისო საქმეები“. ამ დოკუმენტში აღწერილია ევროკავშირის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები; მიხნეულია, რომ 2020 წლამდე პერიოდისათვის ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების ძირითადი კომპონენტი იქნება სავაჭრო პოლიტიკა, რომელზეც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული დასაქმება, მდგრადი და ყოვლისმომცველი ზრდის მიღწევა; საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში იგეგმება – 1) საგარეო სავაჭრო ბარიერების შემცირება ძირითად საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან, 2) სასურსათო და სასოფლო/სამეურნეო საქონელის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური მრეწველობის პროდუქციისთვის სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამკაცრება.

ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აღიარებულია სახელმწიფოების მონაწილეობა ეროვნული მწარმოებლების მხარდაჭერაში და ექსპორტის სტიმულირების მხარდაჭერაში როგორც ეროვნულ ისე ზეეროვნულ დონეზე. ქვეყნებისთვის, რომლებიც საერთო სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევიან დაჯგუფებამ შეიმუშავა სავაჭრო პრეფერენციების რეფორმირების სპეციალური ფორმები; კერძოდ,

– გათვალისწინებულია ცალმხრივი პრეფერენციების ჩანაცვლება ორმხრივი შეღავათიანი რეჟიმებით;

– მომსახურებით საგარეო ვაჭრობაზე მოხსნება შეზღუდვები განვითარებული და სწრაფად განვითარებადი ქვეყნებისთვის. მოხდება მომსახურების ბაზრების ინტეგრაცია მეზობელ ქვეყნებთან: უკრაინასთან, მოლდოვასთან, კავკასიის ქვეყნებთან, ეგვიპტესთან, იორდანიათთან, მაროკოსა და ტუნისთან;

– წახალისდება ინვესტიციებით ურთიერთვაჭრობა;

– უზრუნველყოფილი იქნება ევროპული კომპანიების წვდომა სახელმწიფო შესყიდვების ბაზართან პარტნიორ ქვეყნებში;

– წახალისდება ინოვაციური და ტექნოლოგიური გაცვლა;

– სტიმულირდება კონკურენტ ქვეყნებთან კოოპერაცია, საგარეო ვაჭრობის, უცხოური ინვესტიციებისა და კონკურენციის სფეროებში ეროვნული კანონმდებლობების დაახლოება, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების დაცვა, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის პროცედურები;

– გაადვილდება ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება.

ევროკავშირის ახალ სტრატეგიაში თავისუფალი ვაჭრობა მიხნეულია ეკონომიკური განვითარებისა და კრიზისის შემდგომი სტაბილური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე ყურადღების აქცენტირება დაკავშირებულია რამდენიმე გარემოებასთან. ჯერ ერთი, სამუშაო ძალის 10% თანამეგობრობაში დამოკიდებულია ექსპორტზე. დასაბუთებული პროგნოზების მიხედვით ნავარაუდევია ამ მაჩვენებლის 1,5 ჯერ გაზრდა უახლოეს პერსპექტივაში; მეორე, საგარეო ვაჭრობა ასტიმულირებს

ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკის გახსნილობის გაზრდას 1%-ით თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის ზრდა 0,6%-ით მომდევნო წელს; მესამე, დასაქმების დონის გასაზრდელად აუცილებელი პირობაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება რეგიონში. ამერიკულმა და იაპონურმა კომპანიებმა ევროკავშირში შექმნეს 4,6 მლნ-ზე მეტი სამუშაო ადგილი; მეოთხე, ევროკავშირის იმპორტის თითქმის 2/3-ს შეადგენს ნედლეული და შემდგომი გადამუშავებისთვის განკუთვნილი შუალედური საქონელი. ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ეროვნული ბაზრის გახსნილობის დეკლარირებული მისწრაფებისა, რეალურ პრაქტიკაში, ევროკავშირი მაინც ხელმძღვანელობს პროტექციონისტული მიდგომით; კერძოდ ახორციელებს ეროვნული მწარმოებლების სუბსიდირებას, იცავს საკუთარ ბაზარს არასასურველი კონკურენტებისგან, იყენებს სატარიფო კვოტებს სასოფლო-სამეურნეო საქონელის შემოტანის დროს.

ევროკავშირისთვის საგარეო ვაჭრობის რეგულირებას აქვს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. საგარეო ვაჭრობა თანამეგობრობისთვის წარმოადგენს მისი გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტს ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, დსთ-ს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, კავკასიასა და შუა აზიაში.

სტატისტიკური მონაცემებით ევროკავშირს წამყვანი პოზიციები უკავია მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ჰონკონგთან, რუსეთთან, ინდოეთთან, მექსიკასთან და სინგაპურთან ერთად. მასზე მოდის მსოფლიო ექსპორტისა და იმპორტის დაახლოებით 15%. მის ძირითად საგარეო სავაჭრო პარტნიორებად და კონკურენტებად განიხილება აშშ, ჩინეთი და რუსეთი.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათთან ევროკავშირის მიზანია, უარი თქვას პრეფერენციებზე და გადავიდეს ხელშეკრულებებზე ერთი მხრივ თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნასთან დაკავშირებით, და მეორე მხრივ, პარტნიორობასთან დაკავშირებით. საგარეო ვაჭრობის რეფორმის ფარგლებში 2014 წელს ძალაში შევიდა გენერალური პრეფერენციების ახალი სისტემა. პრეფერენციებით მოსარგებლე ქვეყნების რიცხვი ევროკავშირის მხრიდან შემცირდა 176-დან 90-მდე. ადრე მოქმედი შეღავათები სრულად გაუუქმდა 32 ქვეყანას, მათ, რომლებმაც მსოფლიო ბანკის მონაცემებით შემოსავლების მაღალ და საშუალოზე მაღალ დონეს მიაღწიეს. ეს ქვეყნებია: რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა და კუბა. ევროკავშირის მიერ დეკლარირებულია, რომ პრეფერენციებით ისარგებლებენ ქვეყნები, რომელთა განვითარების დონეც დაბალია და ითვლებიან საშუალოზე დაბალი და დაბალი დონის შემოსავლებიან ქვეყნებად. ასეთებია: არიან: აზერბაიჯანი, საქართველო, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი. პრეფერენციები შეუნარჩუნდა ჩინეთს, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით იგი ითვლება საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნად.

უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო სავაჭრო სისტემის ფორმირებაში და ამიტომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებებზე. თანამეგობრობის მიერ დეკლარირებულია თავისუფალი და ლიბერალური ვაჭრობისადმი მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზაცია და პროტექციონიზმი ხშირად ერთდროულად გამოიყენება. ეს კი პრობლემებს უქმნის მესამე ქვეყნებს, რომ ევროკავშირის ბაზარზე შეიტანონ საკუთარი საქონელი და მომსახურება.

შიდა ბაზრის დასაცავად ევროკავშირს გააჩნია მძლავრი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები, სრულფასოვნად ფლობს სავაჭრო დავების გადა-

საწვევტად საჭირო იურიდიულ ინსტრუმენტებს. სავაჭრო პოლიტიკას განიხილავს კონკურენტულ პოლიტიკასთან, ინოვაციურ განვითარებასა და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერასთან ერთად.

ევროკავშირის თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკა კომპლექსურია. აერთიანებს, გლობალიზაციის პირობებში ევროპული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის საჭირო ინსტრუმენტებს; ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას წევრ ქვეყნებში და სიღარიბის შემცირებას მსოფლიოში.

საქართველოს ევროკავშირთან არსებული სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გასაფართოებლად სჭირდება მისი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებების გათვალისწინება. კერძოდ იმის, რომ 1. ევროკავშირის შიგნით არ არსებობს შეზღუდვები; მოხსნილია ყოველგვარი საბაჟო და რაოდენობრივი ბარიერები; 2. ევროკავშირის ბაზარი ითვლება ყველაზე დიდ ბაზრად მსოფლიოში, რითაც ის ყველაზე მიმზიდველია საერთაშორისო ბიზნესის განსახორციელებლად; 3. ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან ევროკავშირი ხელმძღვანელობს ურთიერთკავშირების განსაკუთრებული სქემებით. თითოეულ ასეთ სქემაში გათვალისწინებულია ამა თუ იმ პარტნიორის სპეციფიკური თავისებურებები.

საქართველოს შემთხვევაში ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის გეოპოლიტიკურ ინტერესთა არეალშია მოხვედრილი კავკასიის სხვა ქვეყნებსა და შუა აზიის ქვეყნებთან ერთად. საქართველო ახალი სქემის შესაბამისი სავაჭრო პრეფერენციებით ისარგებლებს აზერბაიჯანთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან უზბეკეთთან და უკრაინასთან ერთად.

სტატისტიკა მოწმობს, რომ ბოლო წლებში საქართველოს ევროკავშირთან მზარდი საგარეო სავაჭრო კავშირები ჩამოყალიბდა (ცხრ. 1 და 2).

ცხრილი 1

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში, მლნ. აშშ დოლარი

	2012	2013	2014	2015
საქართველოს ექსპორტი – სულ	2376,6	2010,6	2861,0	2204,7
ევროკავშირის ქვეყნები:	352,9	607,4	624,2	645,2
ბელგია	60,4	61,5	41,7	16,3
ბულგარეთი	69,7	150,8	167,1	214,2
გაერთიანებული სამეფო	20,9	29,7	34,7	21,4
გერმანია	38,6	73,2	69,2	75,8
ესპანეთი	15,9	66,8	70,4	41,9
იტალია	53,3	81,1	86,1	74,6
ლიტვა	19,1	21,8	31,7	33,3
საფრანგეთი	17,2	33,9	26,9	21,0

წყარო: geostst.ge (საგარეო ვაჭრობა)

ევროკავშირის წილი საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობაში შეადგენს საშუალოდ წლიურად 24,04%-ს. ქართული პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებელია ბულგარეთი. მას მოჰყვება გერმანია, იტალია და ესპანეთი.

საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან, მლნ. აშშ დოლარი

	2012	2013	2014	2015
იმპორტი – სულ	8056,4	8022,7	8601,8	7730,1
ევროკავშირის ქვეყნები:	2431,6	2266,2	2372,0	2518,7
ავსტრია	81,9	61,6	72,5	84,8
ბელგია	67,2	62,4	68,6	66,8
ბულგარეთი	271,1	194,5	209,8	167,6
გაერთიანებული სამეფო	115,3	90,8	94,9	91,0
ესპანეთი	88,3	89,5	90,3	91,3
იტალია	271,7	220,7	221,9	197,7
ნიდერლანდები	142,5	125,0	148,6	128,2
რუმინეთი	259,2	323,2	312,1	207,2

წყარო: geostst.ge (საგარეო ვაჭრობა)

ევროკავშირის წილი საქართველოს იმპორტის საერთო მოცულობაში შეადგენს საშუალოდ წლიურად 29,65%-ს. მსხვილი მომწოდებლები არიან რუმინეთი, იტალია, ბულგარეთი და ნიდერლანდები.

იმის ცოდნა, თუ საიდან მოდის ევროკავშირ-საქართველოს სავაჭრო კავშირები (უკვე არსებული კავშირების ანალიზი), ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან – თურქეთთან, უკრაინასთან, რუსეთსა და აზერბაიჯანთან, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვან პოტენციურ პარტნიორთან – ჩინეთთან (ჩინეთი და რუსეთი წარმოადგენენ ევროკავშირის მსხვილ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებს), დაგვეხმარება გამოვიკვლიოთ საშუალოვადიან პერსპექტივაში ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

დავიწყეთ ჩინეთით, რადგან ჩინეთი ევროკავშირისთვის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია აშშ-თან და იაპონიასთან ერთად ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ამ ქვეყნის ინტერესი საქართველოსთან სავაჭრო კავშირების გააქტიურების სახით.

ევროკავშირი და ჩინეთი წარმოადგენენ ურთიერთ ლიდერ სავაჭრო პარტნიორებს. მათი საგარეო სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად შეადგენს 400 მლრდ. ევროზე მეტს. ევროკავშირის ექსპორტი ჩინეთში ექსპორტის საერთო მოცულობის დაახლოებით 13%-ია, იმპორტი კი იმპორტის საერთო მოცულობის 16%. საგარეო ვაჭრობის თავისებურებები ამ ორ ქვეყანას შორის ასეთია: 1. ევროკავშირსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსი დეფიციტურია, თუმცა დეფიციტის მაჩვენებელი ხასიათდება კლების ტენდენციით. სავაჭრო დეფიციტის მიზეზად სახელდება ჩინეთის ბაზარზე არსებული სავაჭრო ბარიერები; 2. მომსახურებით ვაჭრობა ბევრად ჩამორჩება საქონლით ვაჭრობას.

ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობა ინვესტიციების სფეროში. წლიდან წლამდე მზარდია ევროპული ინვესტიციები ჩინეთში. საშუალოდ, ინვესტიციების საერთო მოცულობის 20% მიემართება ჩინეთში. რაც შეეხება ჩინეთიდან ინვესტირებას ევროკავშირის ქვეყნებში, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 3%-ის ტოლია.

გარდა ამისა, ევროკავშირი გამოთქვამს მზაობას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩინეთთან. ევროპელი ექსპორტიორების, განსაკუთრებით მომსახურებით ვაჭრობაში, ინტერესი ნაკარნახევია ჩინური ბაზრის ტევადობით.

ჩვენი ქვეყნისთვის არანაკლებ საინტერესოა ევროკავშირის ურთიერთობების პერსპექტივა უკრაინასა და რუსეთთან.

2007 წელს დაიწყო მოლაპარაკება უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამ ხელშეკრულების ნაწილი იყო თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმირება. ხელშეკრულების ხელმოწერა მრავალგზის გადაიდო. ამ პერიოდში დაიწყო უკრაინაში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისი, მოგვიანებით კი მოხდა ყირიმის მიერთება რუსეთთან. 2014 წელს ევროკავშირმა ხელი მოაწერა ასოციაციის ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილს, დაუწესა უკრაინას სავაჭრო პრეფერენციები, გაუწია ფინანსური დახმარება კრედიტების სახით და გამოუყო დიდი რაოდენობით გრანტები უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე. ოდნავ მოგვიანებით, 2014 წელსვე ხელი მოეწერა ხელშეკრულების ეკონომიკურ ნაწილსაც. ევროკომისიის წინასწარი ვარაუდით უკრაინელი მწარმოებლები მიიღებდნენ დიდ მოგებას საფეიქრო მრეწველობის, კვების მრეწველობის პროდუქციის და ფერადი ლითონების ექსპორტიდან. ამ მოსაზრებისგან რადიკალურად განსხვავდება უკრაინელი ექსპერტების დასკვნა, რაც აიხსნება შემდეგით: ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტისთვის გადასახადი იმპორტზე ევროკავშირიდან უკრაინაში განულდა სასაქონლო პოზიციების 72%-სთვის იმ პირობით, რომ გადასახადის განულება გაიზრდებოდა სასაქონლო პოზიციების 99%-სთვის უახლოესი 10 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ხელშეკრულება უკრაინას ავალდებულებს, თავისი ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან და დანერგოს მრავალრიცხოვანი ევროპული სტანდარტები, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან ხარჯებთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელშეკრულება ასოციაციის შესახებ გააუარესებს უკრაინის ურთიერთობას საბაჟო კავშირთან იმ მიზეზის გამო, რომ უკრაინას ეკისრება, ევროკავშირთან შეათანხმოს მესამე ქვეყნებთან თავისი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის ყველა საკითხი. უკრაინელი ექსპერტების აზრით, უკრაინისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და კვების მრეწველობის პროდუქციის ექსპორტს.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1994 წელს, რომელიც პერსპექტივაში ითვალისწინებდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას. მართალია, 2007 წელს ხელშეკრულებას ვადა ამოეწურა, მაგრამ მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდა. ასე იქნება მანამ, სანამ არ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება ან რომელიმე მხარე არ მოითხოვს მის გაუქმებას. მიუხედავად რეალურად არსებული წინააღმდეგობრივი პოლიტიკური დიალოგისა, ეკონომიკური კავშირები რუსეთსა და ევროკავშირს შორის მჭიდროა. რუსეთი ევროკავშირისთვის სავაჭრო პარტნიორების პირველ სამეულში შედის ჩინეთსა და ბრაზილიასთან ერთად, აკმაყოფილებს რა მისი მოთხოვნის 1/3-ს ბუნებრივ აირზე, ქვანახშირსა და ნავთობზე. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების 20 წლის განმავლობაში საქონელბრუნვა რუსეთსა და ევროკავშირს შორის გაიზარდა 10-ჯერ. ევროკავშირზე მოდის რუსეთის საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 45%. საქონელბრუნვის მოცულობა ევროკავშირსა და რუსეთს შორის 8-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს დანარჩენ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით. სპეციალისტების აზრით, რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობას გრძელვადიან პერსპექტივაში არ აქვს ალტერნატივა; ამასთან, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ორივე მხარისთვის მიზანშეწონილია ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, საქართველომ ევროკავშირთან თავის მომავალ ურთიერთობებში –

– უნდა იხელმძღვანელოს ქვეყნის გეოპოლიტიკური უპირატესობებით და გეოეკონომიკური თავისებურებებით, რაზეც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირი თავის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში ტრადიციულ პარტნიორ ქვეყნებთან და მ.შ. საქართველოსთან მიმართებაშიც;

– განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის ის რეჟიმი, რომელიც ევროკავშირის მიერ არის შემუშავებული და შემოთავაზებული საქართველოსა და მისი მსგავსი ქვეყნებისთვის;

– მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის პრობლემის გადაწყვეტის და ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების შესაძლებლობის ობიექტური შეფასება;

– საქართველოს ესაჭიროება მზაობა, მიიღოს ევროკავშირის პირობათა შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ლიდერმა პარტნიორმა ქვეყნებმა მესამე ქვეყნებთან ურთიერთობების პირობები მას უნდა შეუთანხმონ;

– საყურადღებოა ევროკავშირისა და რუსეთს შორის მისაღები ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რადგან დღეის მდგომარეობით ავტომატურ რეჟიმში მოქმედებს ძველი ხელშეკრულება;

– განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩინეთთან საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივა. მიუხედავად ამ ქვეყნის შემოსავლების დონისა, ევროკავშირთან იგი მაინც სარგებლობს პრეფერენციებით და მასთან ურთიერთობაში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. ჩინეთი საქართველოსთვის საინტერესოა როგორც მომწოდებელი და როგორც ქართული პროდუქციის მომხმარებელი.

ევროკავშირთან ახალი ურთიერთობები, თანამშრომლობის ახალი რეჟიმი, ჩვენი ეროვნული კანონმდებლობის მისადაგება ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან, ევროპული სტანდარტების დაცვის მცდელობა, გამოიწვევს ინოვაციურ ცვლილებებს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში; პერსპექტივაში მოხდება საგარეო ვაჭრობის მანველებლების რაოდენობრივი და თვისებრივი ოპტიმიზაცია; წარმოჩინდება, რომელი ჯგუფის ინოვაციური ქვეყანა შეგვიძლია ვიყოთ, ისეთი, რომელსაც შესწევს უნარი, მიიღოს და გამოიყენოს სხვა ქვეყნის ინოვაციები, თუ ისეთი, რომელიც საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარ ინოვაციებს შესთავაზებს პარტნიორ ქვეყნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014 (რუსულ ენაზე).

2. ნათელაური ი. ინოვაციური პოლიტიკის ესტონური მოდელი. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები “ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016.

3. ნათელაური ი., თაფლაძე თ. ევროკავშირი-საქართველო: ეკონომიკური თანამშრომლობის ჰარმონიზაციისა და ინტერესთა თავსებადობის პრობლემა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“, მოხსენებათა კრებული. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

4. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, 2013.

5. ინტერნეტმასალა.

*Iza Natelauri
Roland Sarchimelia
Tamar Tapladze*

EU INNOVATION FOREIGN ECONOMIC POLICY AND FOREIGN ECONOMIC PRIORITIES OF GEORGIA

Annotation

Principle direction of EU foreign economic policy till 2020 is analyzed in the article. The attention is focused on those countries where according to the World Bank data the income per head is less than average or low. Georgia is among these countries, with regard for EU innovative directions and priorities of foreign economic relations are given in Georgia.

ნუნუ ქისტაური

ზინეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკის შესახებ

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია ყოველდღიურად ცვლის ეკონომიკურ მდგომარეობას მსოფლიოში, მოაქვს სხვადასხვა სახის სიახლეები და გამოწვევები. ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ პრეტენზია, დაიკაუნ წამყვანი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში, აუცილებლად ეძებენ ეკონომიკური განვითარების ახალ გზებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სიახლეების, ანუ ინოვაციების – ახალი იდეების, ახალი საქონლის, ახალი ტექნოლოგიების, ახალი მასალების, ახალი სახის მომსახურების დანერგვას. მხოლოდ ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზით შეიძლება ევროპამ მოახერხოს, სათანადო კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს – აშშ-ს და იაპონიას.

2000 წელს ლისაბონში ჩატარდა ევროკავშირის სამიტი, სადაც მისი წევრიქვეყნებისათვის ჩამოყალიბდა ძირითადი პრიორიტეტები ინოვაციების განვითარებაში:

- ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესება ცალკეული ეროვნული ინოვაციურ პოლიტიკათა გაძლიერებისა და მათი ინტეგრაციის გზით;

- ინოვაციებზე საბაზრო მოთხოვნილებათა სტიმულირება, რაც ითვალისწინებს იმ ბაზრების ხელშეწყობას, რომლებსაც მეტი მზაობა გააჩნიათ სიახლეების ათვისებისათვის;

- ინოვაციების სტიმულირება სახელმწიფო სექტორში ბიუროკრატიული კონსერვატიზმის დაძლევის გზით;

- რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის გაძლიერება.

ამავე სამიტზე იქნა მიღებულ გადაწყვეტილება ერთიანი ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანია მეცნიერება საზღვრების გარეშე, რაც გაზრდის მთლიანად ევროპის კონკურენტუნარიანობას, ასევე, სამეცნიერო-ტექნიკური კადრების, განსაკუთრებით ახალ-გაზრდების მობილურობის დონეს, გაზრდის ფინანსების სწორად გამოყენების შესაძლებლობებს ინოვაციურ განვითარებაში.

კონკრეტული მიზანი, რაც ლისაბონის სამიტმა დასახა ევროპის წინაშე, – ეს არის მშპ-ში მეცნიერებატეკვადობის დონის 3%-მდე გაზრდა. თუმცა ეს ამოცანა არცთუ ადვილი შესასრულებელი აღმოჩნდა – ევროპა მაინც აგებს თავის ძირითად კონკურენტებთან – აშშ-სა და იაპონიასთან. განსაკუთრებით ჩანს ჩამორჩენა ისეთ სფეროში, როგორცაა დანახარჯები სამეცნიერო კვლევებზე (2013 წელს 2.73% - აშშ-ში; 3.47 – იაპონიაში და 1.28% – ევროკავშირში). ევროპულ ქვეყანათა შორის ლიდერები არიან ირლანდია, ფინეთი, შვეცია. ჩვენთვის საინტერესოა ფინეთის ინოვაციური პოლიტიკა. საინტერესოა ისიც, რომ სამეცნიერო კვლევებში ინვესტიციების მოცულობის მიხედვით ფინეთი მოწინავე პოზიციებზეა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. იგი წელიწადში 6.5 მლრდ ევროს ხარჯავს და ბოლო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 3.7-3.9%-ს. აგრეთვე საზგასასმელია ის ფაქტორი, რომ ფინეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მიიღო ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის, როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული პოლიტიკის ძირითადი ელემენტის, კონცეფცია. პრაქტიკაში ეს გამოიხატა იმ საწარმოების რიცხვის ზრდით, რომელთა საქმიანობის საფუძველში იღო ინოვაციები და ნოუ-ჰაუ და რაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმ ორგანიზაციების დიდი ხელშეწყობით, რომლებიც დაკავებულნი არიან კვლევითი საქმიანობით.

ფინეთში წარმატებით ფუნქციონირებს ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა (NIS), რომელიც ჩამოყალიბებისთანავე ევრდნობოდა 3 ფუნდამენტურ ბლოკს:

1. განათლების ეროვნული სისტემა;
2. სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად აუცილებელი ინფრასტრუქტურა;
3. ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა.

ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) შექმნა მიზნად ისახავს წარმატებული ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. მსოფლიო პრაქტიკაში ამდგვარმა სისტემამ მიიღო “ქსელური ეკონომიკის” სახელწოდება.

ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა ამდგვარად გამოიყურება (სქემა 1):

ფინეთის მთავრობა			
მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭო პრემიერ-მინისტრთან	პარლამენტი		
	განათლების სამინისტრო	ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო	სხვა სამინისტროები

მასტიმულირებელი და მხარდამჭერი ორგანიზაციები

ფინეთის აკადემია	ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დაფინანსების სააგენტო ტექესი (261 ად.)
------------------	--

სახელმწიფო განათლება და სამეცნიერო ორგანიზაციები/კერძო კვლევები

უნივერსიტეტები (20) პოლიტექნიკური სასწავლებლები (32)	ფინეთის ტექნიკურ კვლევათა ცენტრი (VTT) 2471 ად.	სხვა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (19)	ფირმები, რომლებიც ახორციელებენ მეცნიერულ კვლევებს და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები
---	---	--	--

კომუნიკაციები და ტექნოლოგიათა ტრანსფერი

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები	ფინეთის გამოგონებათა ფონდი (Innofin)	უნივერსიტეტები/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოლოგიათა ტრანსფერი-სათვის შექმნილი კომპანიები	დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრები (T&E Centers)
---------------------------------	--------------------------------------	---	--

ვენჩურული კაპიტალის მხარდაჭერა

SITRA FINNVERA FIN-PRO	სამრეწველო ინვესტიციათა კომპანიები	ვენჩურული კაპიტალისტები
------------------------	------------------------------------	-------------------------

სქემა 1

ფინეთის ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა

ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა (NIS) მიზნად ისახავს ინოვაციების დაფინანსების პროცესში ყველა მონაწილის ბალანსირებულად ჩართვას – სახელმწიფო, კერძო ფირმები, სამრეწველო ფირმები, სავაჭრო კავშირები. ასევე აბალანსებს ურთიერთობებს ეკოლოგიურ პოლიტიკასთან, სოციალურ, სამედიცინო, განათლების და სხვა სისტემებთან, ანუ იგი უფრო და უფრო დიფერენცირებულია. ეს, ჩვენი აზრით, ძალიან კარგია, მომგებიანია, რადგანაც მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსება ან უცხოური ინვესტიციები ეფექტიანობას ამცირებს. ეს ფუნქციები ინოვაციური სისტემის აქტიორებს სახელმწიფომ კი არ დააკისრა, არამედ გადაწვეტილებები თანამშრომლობის შესახებ მიღებულ იქნა ყველა მათგანის თანხმობით, ფინეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭოს მიერ. იგივე ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს ამა თუ იმ ამოცანის კორექტირებას. მთავარი ამდაგვარ მიდგომაში არის ის, რომ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილე ყველა აქტიორი აბსოლუტური შეგნებით და პასუხისმგებლობით უდგება მასზე დაკისრებულ ამოცანას, ესმით რა, რომ დღეს გაწეული დანახარჯები, თუნდაც არა საკუთარ დარგში, ხვალ აუცილებლად გამოიღებს შედეგს კერძოდ მათი დარგისათვის.

ფინეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის (NIS) ფარგლებში სახელმწიფო აქტიურ მუშაობას ეწევა შემდეგი მიმართულებებით:

- საშუალო და მცირე ინოვაციური კომპანიების სტიმულირება მათი მოღვაწეობის დასაწყისიდან – “start-up”, მათი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში, კონკრეტული დონის მიღწევამდე;

- უნივერსიტეტების და უმაღლესი პროფესიული სკოლების ეფექტური მართვა ამ დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების წარმატებით ჩატარების მიზნით;

- განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება სამეცნიერო კვლევების წამყვანი მიმართულებებისათვის, რომელსაც სახელმწიფო ადგენს და რომელსაც ატარებენ სახელმწიფო კვლევითი ტექნიკური ცენტრი – “VTT” და ფინეთის ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწყობის სააგენტო – “TEKEC”;

- პროცესში მონაწილე ყველა სახელმწიფო დაწესებულების ოპერატიული ურთიერთკავშირი;

- ევროკავშირის პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

- პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევების დოტაციური და საგადასახადო სტიმულირება;

- ტექნოლოგიური ჯაჭვის სრულყოფა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის გზას პროექტის კომერციალიზაციამდე.

2014 წელს VTT-ს მიერ დაფინანსდა ყველა სამეცნიერო კვლევის 4%. ასევე VTT მონაწილეობს, სხვადასხვა ფორმებთან ერთად, ინოვაციების შემუშავების და დანერგვის 36%-ში.

ფინეთის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანია მისადმი სისტემური მიდგომა, ანუ თუკი ტრადიციულად ინოვაციური პოლიტიკა ძირითადად მიმართულია ახალი ცოდნის შექმნაზე, ფინეთში ძირითადი ყურადღება ამ ცოდნის განაწილებას ეთმობა. ეს პროცესი ითვლება უმნიშვნელოვანესად, როგორც სოციალური, ასევე მთლიანად ეკონომიკური თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა ეყრდნობა სისტემური ევოლუციის იდეას, რომელიც ამბობს, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ახალი ცოდნის არა მარტო შექმნა, არამედ მისი შემდგომი განვითარება, განაწილება და გამოყენება ეკონომიკის ყველა დარგში.

ფინეთის ინოვაციური პოლიტიკის წამყვანი მონაწილეები არიან:

- ვენჩურული ფინანსირების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ძირითადად შექმნილია მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად სარისკო პირობებში (სესხების დასაფარად, გარანტიების უზრუნველსაყოფად), ასევე მათი საერთაშორისო და საექსპერტო საქმიანობის დასახმარებლად. 2014 წელს ფონდმა განახორციელა 1 მლრდ ევროს ღირებულების ოპერაციები, რაც 2013 წლის მაჩვენებელს 21%-ით აღემატება. ფინანსური დახმარება მიიღო 3247 საწარმომ, შეიქმნა 8000 ახალი სამუშაო ადგილი;

- ფინური ექსპორტის ხელშეწყობის ასოციაცია, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ფინური პროდუქციის, ასევე ფინური საწარმოების საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, ხოლო 2014 წლის რეორგანიზაციის შემდეგ ასევე ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა. 2015 წლიდან ასოციაციის შემადგენლობაში შევიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი. ასოციაციის საზღვარგარეთული ქსელი მოიცავს წარმომადგენლობებს 36 ქვეყანაში;

- ფინური გამოგონებათა ცენტრი (1975 წლიდან) შექმნილია ორგანიზაციებისათვის ექსპერტიზების, კონსულტაციების ჩატარებისა და საპატენტო დაცვის, ინტელექტუალური ქონების საკითხების მოწესრიგების ღონისძიებათა ჩატარების მიზნით.

ფინეთის ინოვაციური საქმიანობა რეგულირდება მთავრობის დადგენილებით „ფინეთის პოლიტიკაზე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში საბჭოს შესახებ“, მთავრობის 2009 წლის კომუნიკეთი ფინეთის ეროვნული

ინოვაციური სტრატეგიის შესახებ პარლამენტისათვის, კანონებით და აქტებით ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ, რეგიონული განვითარების შესახებ და სხვ.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი – World Economic Forum რეგულარულად ასაჯაროებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგებს.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ბოლო წლებში ფინეთი ყოველთვის ღირსეულად რიგში იყო. აქ ერთ სულ მოსახლეზე მშპ საშუალოდ 44.5 აშშ დოლარს, ხოლო მშპ-ს ყოველწლიური ზრდა 5.1%-ს უდრის (აშშ – 4.3%, იაპონია – 1.3%, საშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებში – 2.6%), ანუ ფინეთი ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანაა. ამიტომაცაა, რომ ფინეთი მიეკუთვნება ქვეყანათა იმ მცირე რიგს, სადაც თითქმის მინიმუმამდე დაყვანილი განსხვავება სოციალური ფენების ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის.

სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაცია – საერთაშორისო გამჭვირვალობა (Transparency International) აქვეყნებს თავის გამოკვლევებს მსოფლიოს ქვეყნებში კორუფციის მდგომარეობის შესახებ. ცალკეული ქვეყნის მდგომარეობა 10 ბალიანი სისტემითაა შეფასებული (10 – საუკეთესო, 1 – ყველაზე უარესი). შეფასება უმთავრესად ითვალისწინებს კორუფციის იმ სახეობებს, რომლებიც ბიზნესის სფეროსა და, უპირველეს ყოვლისა, უცხოური კომპანიების ამ ქვეყნებში საქმიანობას ეხება – კორუფციას მსხვილ სახელმწიფო მოხელეებსა და პოლიტიკოსებს შორის. ყოფითი და ყოველდღიური კორუფცია ამ გამოკვლევებში ნაკლებად მნიშვნელოვანია. კორუფციისაგან პრაქტიკულად თავისუფალმა და დაცულმა ქვეყნებმა 9 ქულა და მეტი დაიმსახურეს ასეთებია: ფინეთი (9,7 ქულა), დანია, ახალი ზელანდია, ისლანდია, სინგაპური, შვედეთი, კანადა, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები.

ფინეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ბოლო პერიოდში იმდგვარად დგება, რომ გასავლების ხარჯებში უდიდეს ნაწილს – 21.6%-ს – ხარჯავს სოციალური და ჯანდაცვის სამინისტრო, მას მოჰყვება განათლების სამინისტრო – 14.8%; შემდეგ მოდის შრომის (დასაქმების) სამინისტრო – 5.4%.

ამრიგად, ჯამში, სოციალური მიმართულების სამინისტროები წლიურად ხარჯავენ მთელი ბიუჯეტის თითქმის ნახევარს. შესადარებლად – შინაგან საქმეთა სამინისტრო ხარჯავს 9.5%-ს, თავდაცვის სამინისტრო კი – 4.5%-ს.

საინტერესოა, როგორ ახერხებს ფინეთი, თავისი ეკონომიკა ისე ააწყოს, რომ გახდეს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანა, როგორ ახერხებს რომ სოციალური და ჯანდაცვის პრობლემები წარმატებით გადაწყვიტოს. ჩვენთვის მეტად უცნაური და საინტერესო აღმოჩნდა ფინეთის შემდეგი გამოცდილება (რაც, ჩვენი აზრით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება და რაც სწორედაც ნოუ-ჰაუა): რასაც ფინელები სათამაშო ბიზნესისათვის „ადამიანური სახის“ მინიჭებას უწოდებენ. აქ არსებობს ”ფინეთის ფულის სათამაშო ავტომატების ასოციაცია” – RAI, რომელსაც გააჩნია დეგალური, ანუ კანონზე დამყარებული მონოპოლია აზარტული თამაშების, ლატარიების, ლოტოების და სხვა ფსონური ბიზნესის დარგებში.

ფინეთში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, სათამაშო ბიზნესი თავიდანვე ძალიან პოპულარული და მომგებიანი გახდა. თავისთავად, აზარტული თამაშები მორალურად და ზნეობრივად არ იმსახურებს მხარდაჭერას, მაგრამ ეს ისეთი სენია, რომლის აკრძალვა შეუძლებელია. ამიტომ ფინეთმა მოძებნა საუკეთესო გამოსავალი: რადგან აკრძალვა ვერ ხერხდება, თანაც ბიზნესი მეტად მომგებიანია, აზარტული ბიზნესი ჩააყენა ხალხის (ვინც, რა თქმა უნდა, თვითონ არ თამაშობს) სამსახურში და მასზე მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლი დააწესა.

RAY-ს წევრი ორგანიზაციების რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა და ამჟამად 100-ს გადააჭარბა. მათ შორისაა ფაქტობრივად ყველა მეტ-ნალკებად მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ორგანიზაცია და საპენსიო ფონდი, ისეთები როგორცაა: წითელი ჯვარი, ომის ინვალიდების საზოგადოება, სტუდენტთა გაერთიანება და მრავალი სხვა. სახელმწიფო მძლავრად მონაწილეობს RAY-ს გამგეობაში – მასში საკვანძო პოსტები უკავიათ სოციალური და ჯანდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს. ამას გარდა, სახელმწიფოს ინტერესებს ახორციელებენ სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნული და პარლამენტის წევრები.

მის მიერ მოკრებილი მოგება მთლიანად და ეფექტურად ხმარდება ფინეთის მოქალაქეებს, რომლებსაც საზოგადოებრივი, ანუ სოციალური დახმარება სჭირდებათ. RAY ტოტალურად აკონტროლებს ფულის სათამაშო მანქანებსა და კაზინოებს მთელ ფინეთში. მას გააჩნია როგორც საკუთარი საწარმოები, ასევე კერძო კომპანიებთან ერთობლივი წარმოებები. RAY-ს მართავენ და ფაქტობრივად ფლობენ სოციალური და ჯანდაცვის და განათლების სამინისტრო.

ყველაზე მეტად საინტერესო და მოსაწონი კი ის არის, რომ ფინეთის მთავრობა ზრუნავს არა მარტო სოციალურად შედარებით ნაკლებად დაცულ ადამიანებზე, არამედ იმათზე, ვის ხარჯზეც მას აქვს ამ ზრუნვის განხორციელების შესაძლებლობა – მოთამაშეებზე.

ბოლო წლებში RAY ახორციელებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავის დარგთან დაკავშირებულ ორ საზოგადოებრივ პროგრამას – ბავშვების აცილებას აზარტული თამაშებიდან და იმ მოქალაქეთა ფსიქოლოგიურ დახმარებას, რომლებსაც აზარტული თამაშებისადმი ავადმყოფური ლტოლვა გამოუმუშავდათ.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებაზე არანაკლებ დამღუპველია ალკოჰოლისკენ სწრაფვა. სხვათა შორის, ფინელები, როგორც ყველა ჩრდილოელი, მიდრეკილები არიან ალკოჰოლიზმისადმი. ამ დარგსაც სახელმწიფო სრულიად აკონტროლებს, ანუ ალკოჰოლური სასმელების წარმოება და გაყიდვა ფინეთში სახელმწიფო ანუ საზოგადოებრივი მონოპოლიაა. ეს სახელმწიფო მასშტაბის გადაწყვეტილება მიღებულია ხალხის სოციალური დაცვის მიზნით და ფინეთის კონსტიტუციითაა ზურგამაგრებული. ამ საქმეს უძღვება სახელმწიფო კომპანია „ალკო“, რომელიც წლიურად დაახლოებით 210 მილიონ ლიტრ ალკოჰოლურ სასმელს ყიდის 450 მლნ-იდან და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულის ერთ-ერთი უდიდესი შემომტანია. „ალკოს“ მფლობელია სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამინისტრო.

ფინეთის მთავრობის დღევანდელი როლი სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სფეროში უფრო და უფრო იზრება კერძო სექტორის დახმარებისაკენ, მის მიერ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობათა ზრდის სტიმულირებისაკენ, ფირმების მიერ პერსპექტიული, საზოგადოებისათვის პრიორიტეტული კვლევების განხორციელებისაკენ, რომლებიც გათვლილია საშუალო და ხანგრძლივი პერიოდისათვის, 5–15 წლისათვის. თუმცა ზოგიერთი უცხოელი ექსპერტი ფინეთს უწუნებს როგორც ამ ვადებს (ისინი თვლიან, რომ 10-15 წელი ძალიან გვიანია), ასევე იმასაც, რომ ფინეთი არ ჩქარობს, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები ამ სფეროში წამახალისებელი საგადასახადო შედავათების დაწესების გზით. თუმცა ფინელები თვლიან, რომ მათ სულაც არ სჭირდებათ რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება და საკმაოდ კარგი პირობები აქვთ შექმნილი “ტვინების შემოდინებისათვის” (მით უმეტეს სულაც არ ემუქრებათ “ტვინების გაღინება”), ყველა პირობაა შექმნილი სამეცნიერო მუ-

შაობისათვის. ჰყავთ საკუთარი კარგად განათლებული და არცთუ ძვირი სამეცნიერო პერსონალი.

უკვე რამდენიმე წელია, ფინეთი წარმატებული საგანმანათლებლო სისტემის სანიმუშო მაგალითია. ქვეყანა განათლებულობის და წარმატებული მოსწავლეების მიხედვით, მრავალი საერთაშორისო კვლევის სიებში იკავებს ლიდერის პოზიციებს. მაგალითად, PISA-ს რეიტინგში (მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა) ფინეთს მხოლოდ ჩინეთი და სინგაპური უსწრებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინეთის ახალი, ყველაზე რადიკალური დაწესებითი განათლების რეფორმა, რაც კი ბოლო პერიოდში რომელიმე ქვეყანას განუხორციელებია. ქვეყნის სკოლები "საგნების" სწავლებას წყვეტენ და "თემების" სწავლებაზე გადადიან. ჰელსინკის სკოლებში, 16 წლის მოსწავლეებისთვის უკვე უქმდება საგნებზე ორიენტირებული გაკვეთილები – ერთი საათი ისტორია, შემდეგ ერთი საათი გეოგრაფია და ა.შ. ამ მიდგომას ანაცვლებს სწავლება თემების მიხედვით (ან, როგორც ფინელები უწოდებენ, "ფენომენური" სწავლება). მაგალითად, თინეიჯერს, რომელიც პროფესიულ განათლებას ეუფლება, შეუძლია აირჩიოს "კაფეტერიის მომსახურების" გაკვეთილები, რომელიც შეიცავს მათემატიკის საწყისებს, უცხო ენებს (უცხოელი კლიენტების მომსახურებისთვის), წერის და კომუნიკაციის უნარებს.

სხვა, უფრო აკადემიური განათლებით დაკავებული მოსწავლეებისთვის კი "საგნები" შეიცვლება მულტიდისციპლინური თემებით, მაგალითად, "ევროპის კავშირი", რომელშიც შვეა ელემენტები ეკონომიკიდან, კავშირში შემავალი ქვეყნების ისტორიიდან, უცხო ენებიდან და გეოგრაფიიდან. ხოლო უფრო დაბალ კლასებში, მაგალითად ინგლისურის გაკვეთილზე, კლასში ევროპის რუკა მოთავსდება და მოსწავლეები ინგლისურად ილაპარაკებენ სხვადასხვა ქვეყნის ამინდის პროგნოზის შესახებ.

ფინეთის პოლიტიკა ინოვაციების და სამეცნიერო კვლევების განვითარების დარგში მიმართულია არა მარტო ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიების და კვლევითი ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებაზე, არამედ ინსტიტუციური გარემოს განვითარებაზე, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციას, ასევე მიმართულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ გამოთანაბრებაზე.

ფინეთის ეკონომიკის რეგიონული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს რეგიონული სამეცნიერო ცენტრების შექმნა. ეს პროცესი 1983 წლიდან დაიწყო 7 „ტექნოლოგიური სოფლის“ და სამეცნიერო ცენტრის შექმნით და ეყრდნობოდა რეგიონული უპირატესობების გამოყენების სამეცნიერო მიზნებს. ისინი დამოუკიდებელი კომპანიები არიან, რომელთა მატერიალურ ბაზას წარმოადგენენ კომპანიები, უნივერსიტეტები, მუნიციპალური ორგანიზაციები, ფონდები, კერძო ინვესტორები, საფინანსო ორგანიზაციები და სხვა. ისინი ლოკალურად არიან განლაგებული. თითოეულ მათგანს თავისი პროფილი გააჩნია (მაგალითად, ჰელსინკის მეცნიერების და ბიზნესის პარკი მიმართულია ბიოტექნოლოგიური და სამედიცინო მიმართულებების კვლევისაკენ; ქ. ესპოოს ცენტრი – ეკოლოგიური ტექნოლოგიების, ნანოტექნოლოგიებისაკენ). ფინური სამეცნიერო ცენტრები ხელს უწყობენ მეცნიერებატევადი ბიზნესის და კომპანიების განვითარებას, ეხმარებიან მათ ფუნქციონირების პირველივე საფეხურიდან საჭიროების ნებისმიერ შემთხვევაში. სწორედ მათი დახმარებით ფინეთში წარმატებულად ფუნქციონირებენ განვითარებადი საწარმოების დახმარების მეტად ეფექტური სისტემა ბიზნესინკუბატორების სახით. ეს უკანასკნელი ეხმარება თავის კლიენტებს შენობებით და სხვა ინფრასტრუქტურით, კონსალტინგური მომსახურებით, კადრების მომზადებით და სხვა.

არსებობენ ასევე პრეინკუბატორები – უნივერსიტეტების და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შიგნით, რომლებიც ძირითადად საწარმოთა მხარდაჭერას ეწევიან უშუალოდ იდეის დამუშავების ეტაპზე და აქ აქტიურად არიან ჩაბმული სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ფინეთში უამრავი სახელმწიფო პროგრამაა ბიზნესის მხარდასაჭერად. სახელმწიფო თვითონ აწარმოებს ინოვაციური პროექტების ექსპერტიზას და თუკი პროექტი პასუხობს სახელმწიფო პრიორიტეტულ მიმართულებებს, შეუძლია დააფინანსოს 50%-თაც კი, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივად – 3 წლის განმავლობაში.

2014 წელს სამეცნიერო კვლევების 70% დაფინანსდა სამრეწველო საწარმოების მიერ, 30% სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პროექტების ნაწილი – საერთაშორისო პროექტების ფარგლებში. უნდა ითქვას, რომ ფინეთი ხელიდან არ უშვებს არც ერთ შანსს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პროექტებში, რომლებსაც აფინანსებს ევროკავშირი. მაგალითად, ბოლო წლებში, ფინეთის სამეცნიერო კვლევებზე გაწეული დანახარჯების 2.5%-ს აფინანსებს ევროკავშირის ბიუჯეტი. ბოლო 7 წლის განმავლობაში ეს ქვეყანა მონაწილეობდა 500-ზე მეტ ევროპულ პროექტში ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა: ბიოლოგია, გენეტიკა, ბიოტექნოლოგიები, ატმოსფეროს და კოსმოსის შესწავლა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ენერჯის ალტერნატიული წყაროების შესწავლა და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბოლო წლების ძირითად ფაქტორად მიჩნეულია ე.წ. ადამიანური ფაქტორი. აღსანიშნავია ის, რომ ფინეთი საკმაოდ უსწრებს საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების წილის მაჩვენებლით, მოსახლეობის შემოსავლების დონით (ჩამოყალიბებულია და სულ უფრო იზრდება ინოვაციური საქონლის მოხმარების შიდა ბაზარი), ფინური ქალაქების მიმზიდველობით მაღალკვალიფიციური კადრებისათვის.

თუმცა ფინეთშიც არის ერთი პრობლემა (ზემოთ თქმულიდან გამომდინარე): საზოგადოების დემოგრაფიული დაბერება (აქ სულ სხვა სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე. ცხოვრების დონის ზრდა იწვევს სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, ეს გარკვეულად ზრდის უმუშევრობას, დანახარჯებს სოციალურ პროგრამებზე. მაგალითად, დღეისათვის ეს არის ჩინეთის ერთ-ერთი უმწვევალესი პრობლემა. ჩვენ ეს პრობლემა ჯერჯერობით არ გვემოქმედება).

შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის დონე. ფინეთი არის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით. ფინური უნივერსიტეტები და პოლიტექნიკური ინსტიტუტები წარმოადგენენ ინოვაციური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების ცენტრებს, ანუ ცოდნის მართვის ცენტრებს და ისინი მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ბიზნესთან. აქ კარგადაა განვითარებული – “ცოდნის მიღება – მთელი ცხოვრების პერიოდში” – სისტემა, რაც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში ადამიანის მიერ კვალიფიკაციის სწრაფი შეცვლის შესაძლებლობას, რაც მეტად მომგებიანია როგორც თვით ადამიანის, ისე ეკონომიკისათვის საერთოდ. რაც შეეხება ბიზნესთან კავშირს, ფინური ტექნოლოგიური უნივერსიტეტების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტია თეორიული მომზადების და პრაქტიკის აუცილებელი კავშირი. პრაქტიკულად ყველა უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია საკუთარი ტექნოპარკი, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოები, კომერციული ორგანიზაციები, სადაც სტუდენტები გადიან მეტად მნიშვნელოვან პრაქტიკას. დღეისათვის ფინეთში მოქმედებს 32 ტექნოპარკი 14 უნივერსიტეტის ბაზაზე.

არსებობს ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის რეგიონული ცენტრები „ELY-Keskus“, რომელთა ძირითადი ფუნქციაა საშუალო და მცირე საწარმოთა მხარდაჭერა ინოვაციური პროექტების განხორციელების დარგში. ქვეყანაში ასეთი 15 ცენტრია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ტერიტორიული ორგანიზაციას და სპეციალიზაციას (ქვეყნის მშპ-ის 60%-ზე მეტი მოდის მომსახურების სფეროზე). ქვეყნის პოზიციები მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ დარგებში, როგორცაა: გემთმშენებლობა, სატყეო და ცელულოზა-ქაღალდის და ხის გადამამუშავებელი მრეწველობა, ქიმიური და კვების მრეწველობა, მეტალურგია და სხვა. ჩამოყალიბებულია ძირითადი ტენდენცია – საწარმოო ოპერაციების გატანა სხვა ქვეყნებში, ხოლო ქვეყნის შიგნით მეცნიერებატევადი სფეროების დატოვება, რაც კერძოდ ფინეთს, და საერთოდ ნებისმიერ ქვეყანას ყოველთვის ესმარება ნებისმიერი (შიდა, რეგიონული თუ მსოფლიო) კრიზისის ადვილად გადალახვაში.

ფინეთის სტატისტიკური ცენტრის მონაცემებით, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე 2014 წელს გამოყოფილი იყო 1955.6 მლნ ევრო, რაც შეადგენს საერთო სახელმწიფო ხარჯების 3.8%-ს და 0.96%-ს მშპ-ს დონის მიხედვით.

რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით შესწავლილი 142 ქვეყნიდან 2011-2016 წლებში ფინეთი მე-6, მე-4, მე-6 და მე-5 ადგილზე იყო თვითონ ინდექსის შესაბამისი მაჩვენებლებით: 59.5; 60.7; 60.0 და 59.9. რაც შეეხება ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც იწარმოება ინდექსაცია, მათგან ძირითადი მაჩვენებლები შეტანილია პირველ ცხრილში (ცხრ. 1).

ცხრილი 1

გლობალური ინოვაციური ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი ფინეთში

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსი	57.5	61.8	59.5	60.7	60	59.9
დანახარჯები სკსსს-ზე, პროცენტულად მშპ-თან	3.64	3.42	3.3	3.17		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, %-ულად საქონლის საერთო ექსპორტთან	4.92	3.98	2.31	2.62		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლარებში	5357.72	4447.57	3724.74	3961.28	3632.89	
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	9.27	8.55	7.21	7.86	8.73	
რეზიდენტების განაცხადი პატენტებზე	1650	1698	1596	1419		

ბოლო წლებში ფინეთის ეკონომიკაში გაჩნდა სტრუქტურული პრობლემები, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ის დარგები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იყო ფინეთის ეკონომიკის წამყვან პოზიციებზე, ამ პოზიციებს ნელ-ნელა კარგავენ – ეს კომუნიკაციის დარგებია. ექსპერტების აზრით, ეს გამოწვეულია მოცემული სფეროს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებით, ფინურ პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირებით საგარეო ბა-

ზრებზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში ექსპორტის მაჩვენებლებში ამ საქონლის წილი 12%-ით შემცირდა.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერთა შორის ყველაზე პოპულარულია ფიჭური კავშირის კონცერნი "ნოკია", რომელიც ყოველთვის უსწრებდა ამერიკულ "მოტოროლას", იაპონურ-შვედურ "სონი-ერიქსონს". "ნოკია"-ს წილი ფინეთის მშპ-ში 3.5%-ს შეადგენს. როგორც ციფრები გვჩვენებს, არც ერთ სხვა ქვეყანაში ერთი ფირმის წილი მშპ-ში ვერ აღწევს ასეთ მაღალ დონეს. ხოლო რაც შეეხება "ნოკია"-ს წილს მობილური ტელეფონების ბაზარზე, ბოლო წლებამდე 30%-ს აღემატებოდა.

მაგრამ ბოლო წლებში შეიმჩნევა "ნოკიას" პოპულარობის დაცემა (ამას, რა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზები აქვს. ფიჭური კავშირების მსოფლიო ბაზარი დაიპყრო აიფონებმა და სწორედ მათ გამოდევნეს „ნოკია“ მსოფლიო ბაზრის ამ ნიშიდან). ეს, რა თქმა უნდა, ფინური ეკონომიკისათვის მეტად დამაფიქრებელია.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი GCI ყოველწლიურად გამოითვლება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ და იგი დგინდება 114 მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც გაერთიანებულია 12 ძირითად ჯგუფში. 34 მაჩვენებელი გამოითვლება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე (საგარეო ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, ცხოვრების ხანგრძლივობა, განათლების დონე, შიდა ბაზრის მოცულობა, კომპანიების კონკურენტუნარიანობა, საინოვაციო პოტენციალი და ა.შ.), დანარჩენები – 14 ათასი სხვადასხვა საწარმოს ხელმძღვანელთა სპეციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით. ამ ინდექსის თანახმად 2007-2015 წლებში ლიდერი ქვეყნების რიგში მოხვდნენ შემდეგი ქვეყნები (ცხრ. 2)

ცხრილი 2

ლიდერი ათეული ქვეყნების პოზიციების დინამიკა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2007-2015 წლებში

№	2007-2008	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2014-2015
1	აშშ	აშშ	შვეიცარია	შვეიცარია	შვეიცარია	შვეიცარია	შვეიცარია
2	შვეიცარია	შვეიცარია	აშშ	შვეიცარია	სინგაპური	სინგაპური	სინგაპური
3	დანია	დანია	სინგაპური	სინგაპური	შვეიცარია	ფინეთი	აშშ
4	შვეიცარია	შვეიცარია	შვეიცარია	აშშ	ფინეთი	შვეიცარია	ფინეთი
5	გერმანია	სინგაპური	დანია	ერმანია	აშშ	ნიდერლანდები	გერმანია
6	ფინეთი	ფინეთი	ფინეთი	იაპონია	გერმანია	გერმანია	იაპონია
7	სინგაპური	გერმანია	გერმანია	ფინეთი	ნიდერლანდები	აშშ	ჰონკონგი
8	იაპონია	ნიდერლანდები	იაპონია	ნიდერლანდები	დანია	დიდი ბრიტანეთი	ნიდერლანდები
9	დიდი ბრიტანეთი	იაპონია	კანადა	დანია	იაპონია	ჰონკონგი	დიდი ბრიტანეთი
10	ნიდერლანდები	კანადა	ნიდერლანდები	კანადა	დიდი ბრიტანეთი	იაპონია	შვეიცარია

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, დღეისათვის ფინეთი იმყოფება მისთვის უჩვეულო ხანგრძლივი კრიზისის პირობებში, რომელიც 2003 წლიდან დაიწყო

და დღესაც გრძელდება და რაც გამოიხატება ფინეთში სამრეწველო წარმოების მოცულობის შემცირებასა და მის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებაში, ტრადიციული ფინური საქონლის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის შემცირებაში, ინვესტიციური აქტივობის შემცირებაში, შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვის შემცირებაში, საბიუჯეტო დეფიციტის და სახელმწიფო ვალის ზრდაში და ა.შ. მაგალითად, 2008 წლიდან 2015 წლამდე ფინეთის სახელმწიფო ვალი %-ით მშპ-თან განუხრელად მატულობდა და 33.9%-დან 61.2%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრ.3).

ცხრილი 3

ფინეთის სახელმწიფო ვალი, %-ით მშპ-თან

წელი	მნიშვნელობა
2008	33.9
2009	43.3
2010	48.4
2011	49.2
2012	53.1
2013	57.0
2014	59.3
2015	61.2

თუმცა მიუხედავად ამისა, ფინეთის ეკონომიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალორგანიზებულ და დინამიურად მდგრადი ეკონომიკის სახელს. ამის მთავარი მიზეზი კი არის ქვეყნის გადასვლა განვითარების ინოვაციურ ტიპზე, რამაც მყარი საფუძველი შეუქმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას კრიზისამდელ პერიოდში, რის ხარჯზეც ქვეყანა დღესაც ინარჩუნებს ევროპაში წამყვან პოზიციებს. ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან საწყისი ჩაყვარა სათავე დაედო ახალ, ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორებს, როგორცაა: ელექტრო და ელექტროტექნიკური მრეწველობა, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტელეკომუნიკაციების სფერო. ფინური ექსპორტის ზრდა ხორციელდება უცხოეთში “შვილი ორგანიზაციების” საქმიანობით, სადაც მუშაობს ფინური საწარმოების მოსამსახურეთა 40%. XX საუკუნის მიწურულისათვის გაჩნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი აგენტები – მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც მძლავრად მოქმედებენ მაღალტექნოლოგიურ ბაზრებზე. წარმოების პროცესებში ჩაერთო რესურსების ახალი კომპლექსი – ადამიანური პოტენციალი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის პირობები. ყველა ამ პროცესს, სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სათავეში ჩაუდგა ფინეთის მთავრობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://rus.delfi.ee/daily/business/ekonomika-finlyandii-vyrosla-na-polprocenta-posle-treh-let-recessii?id=73961225>
2. <http://www.rusfintrade.ru/site/economy/socio-economic/> Итоги социально-экономического развития Финляндии в 2014 году
3. <http://www.rusfintrade.ru/site/article/3899> Обзор экономической информации по материалам финских СМИ
4. <http://www.ved.tomsk.ru/upload/files/pdf/EIKC->
5. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000648/disertacia-E.Gobejishvili.pdf>
6. <https://ka.wikipedia.org/wiki/ფინეთი>
7. <http://www.file.ge/?p=24605>

8. https://besarion.wordpress.com/2013/06/12/fin_econom/ ფინური სოციალურ-ეკონომიკური მოდელი: ხალხის სახელმწიფო ხალხისათვის
9. <http://goodnews.on.ge/news/193-pinetis-skolebshi-sagnebis-scavlebas-shecqveten>
10. <http://tpdc.ge/old/ge/resources/experience/41>
11. www.ambebi.ge/.../146327-finethi-sakuthar-moqalaaqeebs-thveshi-800-e...
12. <https://www.gpost.ge/?site-lang=ka&site-path=help/prohibited/&id=186>
13. www.rusnano.com/.../Otchet_EUSPb_Finla...
14. www.inno-mir.ru/innovation.../finland
15. <http://bgscience.ru/lib/1153/>
16. <http://www.ghn.ge/com/news/view/71599>
17. http://commerciant.ge/?m=5&news_id=33809&cat_id=10
18. <https://ka.wikipedia.org/wiki>
19. <http://revision.ge/nokia-brundeba/>
20. <http://abfund.org/osobennosti-innovatsionnoj-politiki-razvity-h-stran-baltijskogo-regiona>
Иновационная политика Финляндии
21. <http://www.goodnewsfinland.ru/finlyandiya-krupnejshij-uchastnik-mirovogonnovatsionnogo-protsesta/>
22. <http://www.masterstudies.ru/Magistratura>
23. <http://ru.theglobaleconomy.com/>
24. <http://gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index>

Nunu Kistauri

INNOVATION POLICY OF THE REPUBLIC OF FINLAND

Annotation

The article is dedicated to one of the most important contemporary problem – such as innovations, new ideas, new technologies for the development of national economy and the enhancement its competitiveness. It is noted that according to Lisbon summit decisions in 2000 Finland became the first European country that has adopted the conception of core element of national innovation policy as of the policy existing in the sphere of science and technologies. Is widely analyzed national innovation policy of the republic of Finland, its goals and objectives in successful implementation of which the state plays an active role and together with it various foundations, associations and scientific centers etc. existing in the country.

The article discusses in detail strong sides of national innovation policy which allows the country to take up leading positions in Europe and in the world as well according to economic development indicators, it also shows the problems and devises strategies to overcome them. The work is done on the basis of the analyses of interesting statistical materials.

პრობლემა 7.

*მამუკა ხუსკივაძე
ზურაბ ნოზაძე*

ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები და მათი დაძლევის ძირითადი ბზები საქართველოში

შესავალი

გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს წინაშე გაჩნდა ახალი გამოწვევები და დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ფორმირებისა და რეალიზაციის აუცილებლობის საკითხი. ცხადია, ამგვარი სტრატეგია, განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიების მსგავსად, უნდა დაფუძნებულიყო მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობასა და დაკმაყოფილებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან ერთად არანაკლებ აქტუალური იყო ეკოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული ინტერესის დაკმაყოფილების საკითხიც, ვინაიდან საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისს შეხვდა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებით, რომელთა გენეზისი მოხდა გეგმური ეკონომიკური სისტემის პირობებში. კერძოდ, იმ გარემოებამ, რომ ეკოლოგია გეგმური ეკონომიკური სისტემის პირობებში არ განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში და, ასევე, ბუნებრივ რესურსებზე საზოგადოებრივმა საკუთრებამ და გარემოსდაცვითი მოთხოვნების უმრავლეს შემთხვევაში იგნორირებამ, საფუძველი ჩაუყარა აღდგენადი რესურსების ზეექსპლუატაციასა და დეგრადაციას, არააღდგენადი რესურსების ამოწურვას, გარემოს სისუფთავის მდგომარეობის გაუარესებას და ზოგადად ეკოლოგიური წონასწორობის რღვევას.

გარდა ამისა, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში საქართველოში გაჩნდა ე.წ. „ეკოლოგიური იმპერიალიზმის საფრთხე“, როდესაც ქვეყნებს, სადაც მოქმედებს მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტები, „ჭუჭყიანი“ საწარმოები გადააქვთ იმ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიური შეზღუდვები სუსტია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელების აუცილებლობის საკითხი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში. მაშასადამე, საჭირო გახდა ისეთი ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება, რომლის გატარებაც გადაჭრიდა ორ უმთავრეს ამოცანას:

- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა და მისი კვლავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება გაჭუჭყიანების მინიმიზაციისა და ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის მეშვეობით.

საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკის ანალიზი და შეფასება

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველ წლებში (1991-1995) ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ეკოლოგიურ არაკომპეტენტურობას და ხორციელდებოდა მხოლოდ ერთეული, მეცნიერულად დაუსაბუთებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ამ პერიოდში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება ერთი მხრივ შეანელა იმ გარემოებამ, რომ ეკონომიკური კავშირების მოშლამ, გასაღების ბაზრების დაკარგვამ და ახალი ინტეგრაციული ურთიერთობების ჩამოყალიბების ნელმა ტემპებმა გამოიწვია ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითება, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა სამრეწველო საწარმოების

მიერ მოხმარებული დაბინძურებული წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატებით წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, იკლო აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბებმა. თუმცა, საავტომობილო გზების, საკანალიზაციო და სხვა კომუნალური სისტემების, ჩამდინარე წყლების ფილტრაციის და სხვა სისტემების მოშლამ გაზარდა ეკოლოგიურ პროცესებზე არასამრეწველო სექტორის ზეგავლენა. ფაქტობრივად გაუქმდა საყოფაცხოვრებო და პირადი ნარჩენების შეგროვების სისტემა და შეუძლებელი გახდა მათი მართვის პროცესის განხორციელება. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების გაუარესების გამო საფუძველი ჩაეყარა ბუნებრივი რესურსების ზეექსპლუატაციას. რამაც მიიღო შეუზღუდავი და სტიქიური ხასიათი. გაფართოვდა ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნოების მასშტაბები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერება. უკვე გაჩნდა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების პრობლემები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გამო. როგორც ცნობილია, მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. უფრო მეტიც, საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, გარემოს დაცვამ მიიღო სტიქიური ხასიათი. ამ პერიოდში საერთოდ მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში ეკოლოგიურ დესტაბილიზაციას, საბაზრო მექანიზმების ჩანასახოვან სტადიაში არსებობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად, ხელი შეუწყო ახალმა ინსტიტუციურმა პარადიგმამ. კერძოდ, ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების განუსაზღვრელობამ, მათზე ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საკუთრების უფლების არასწორმა განაწილებამ უბიძგა არასწორ ფასწარმოქმნას შემცირების მიმართულებით. ამან გაზარდა მოთხოვნა ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე და საფუძველი ჩაეყარა არარაციონალურ ბუნებათსარგებლობას, დააჩქარა მისი დეგრადაცია და ზეექსპლუატაცია.

1995 წელს, ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად გააცნობიერა რა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემები და ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში, კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ უფლებად ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება განისაზღვრა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლამდე საქართველო შეუერთდა რამდენიმე კონვენციას. პირველი კანონი გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მხოლოდ 1996 წელს იქნა მიღებული. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები ჩვენს ქვეყანაში, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ყოველ 5 წელიწადში მომზადება და მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესრულებული. შემდეგ წლებში გაგრძელდა ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება და მიღებული იქნა კანონები: ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიადის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998). მიღებულ იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტყის კოდექსი (1999). ამ კანონების მიღება იყო დროული და ძირითადად

პასუხობდა დარგის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ზოგიერთი კანონი გარკვეულწილად პასუხობდა კიდევ ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეგულაციებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კანონით ჩამოყალიბდა მხოლოდ ზოგადი ნორმები და პრინციპები, მათი გაშლა კანონქვემდებარე აქტებით აღარ მომხდარა და არც რეალიზაციის მექანიზმები შემუშავებულა.

2000 წელს დამტკიცდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2000-2004 წლებს. ეს დოკუმენტი ასახავდა 5 წლიან გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმას და თავისი დანიშნულებით იყო საკმაოდ პროგრესული. ამ გეგმის მიხედვით, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო წყლის რესურსების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა, ნარჩენების მართვა და სხვა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამაში შემავალი ღონისძიებების უმრავლესობის განხორციელების პერსპექტივა, ქვეყანაში არსებული საფინანსო-საბიუჯეტო პრობლემებიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ასეც მოხდა, განხორციელდა მხოლოდ ის გარემოსდაცვითი საქმიანობები, რომლებიც სხვადასხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით დაფინანსდა.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა დოკუმენტი „ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებათა შესახებ“. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეკოლოგიის სფეროში ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორც იყო: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება, დაცვა და მათი კვლავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გარემოსდაცვითი საქმიანობის ინტეგრირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, საერთაშორისო ინტეგრაციის აქტივიზაცია გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით, საზოგადოების ეკოლოგიური განათლებისა და ეკოლოგიური კულტურის ამაღლება და სხვა. ამ ამოცანების გადაჭრის მიზნით შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები, რომელთაგან 5 აისახა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმებში.

შემუშავდა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სტრატეგიული გეგმა, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ასევე (რამსარის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში) შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი.

ბენზინის წვისას გაფრქვეული ტყვიის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული პროგრამა „საქართველოში ტყვიაშემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების შესაძლებლობათა შესწავლის შესახებ“. ოზონის შრის დაცვის პრობლემური საკითხების გადაჭრასთან მიმართებაში შემუშავდა „ოზონდამშლელ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღების ეროვნული პროგრამა“, რომელიც მოიწონა და დაამტკიცა მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის საზედამხედველო საბჭომ.

ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკოლოგიური პრობლემების კოორდინირებულად დაძლევის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და საბერძნეთთან. საქართველო მიუერთდა 22 საერთაშორისო კონვენციას და აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა

საერთაშორისო გარემოსდაცვის პროგრამებთან. მათგან შეიძლება გამოიყოს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გაეროს პროგრამა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ა.შ.

გარემოზე ზემოქმედების პრევენციის, ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებისა და სტატისტიკური აღრიცხვიანობის პრობლემების გადაჭრის მიზნით, დაიწყო მუშაობა საქართველოს გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნაზე.

ამ პერიოდში საქართველოში აღვილი პქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის „გამჭუსტყიანებელი იხდის“ დამკვიდრების მცდელობას, რითაც ქვეყნის ხელისუფლებამ, ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების პირდაპირი რეგულირების მეთოდთან ერთად, გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელის მოძებნას. 1999 წელს შემუშავდა ინსტრუქცია მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამავე წელს შემუშავდა აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. 1996-2000 წლებში, მაშინდელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში ჩაირიცხა 20,5 მლნ ლარი, ხოლო მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადებიდან ბიუჯეტში თავმოყრილი თანხების მოცულობამ კი შეადგინა 39, 5 მლნ ლარი.

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა, ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იყო ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სრულყოფის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პროგრამების მომზადება; აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების კონცეფციის მომზადება; საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გადამუშავების საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წარდგენა; პროექტის - „მდინარე მტკვრის წყლის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ერთად“ - განხორციელება; შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის პროექტის განხორციელება; შავი ზღვის დაცვის და რეაბილიტაციის სტრატეგიულ მოქმედებათა ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის წარდგენა; გარემოსდაცვითი განათლების სისტემის განვითარების პროგრამის მომზადება და რეალიზაცია და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ღონისძიებების უმრავლესობის განხორციელება იმ დროისათვისაც, ისე, როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველ წლებში, ქვეყანაში არსებული ფინანსური წესრიგისა და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ვერც განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაცია დაიწყო ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით და განხორციელდა გარკვეული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო რჩებოდა და კიდევ უფრო მწვევალებოდა გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები.

2003 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ მთავარ ამოცანად მიიჩნია ეკონომიკური განვითარება. ეკოლოგია, დეკლარირებული განცხადებების მიუხედავად, არც ამჟამად აღმოჩნდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტი და საფუძველი ჩაეყარა ლიბერალურ ეკოლოგიურ პოლიტიკას. ეს მაშინ, როცა ეკონომიკური პროცესების გააქტიურებამ გაზარდა მრეწველობის, ენერჯეტიკის, საავტომობილო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის უარყოფითი ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების სისუფთავის მდგომარეობაზე, არ შემცირებულა არც პირადი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით გარემოს გაჭუჭყიანების მასშტაბები და არ შექმნილა ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელი.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც შეფასდა საქართველოს წინაშე არსებული ეკოლოგიური გამოწვევები, განისაზღვრა ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები. კერძოდ, გარემოს გაჭუჭყიანების მინიმოზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების წყაროებზე კონტროლის დაწესება, საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიოაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან, საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეკოლოგიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპისა და გაეროს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პარმონიზაცია. აქვე აღნიშნულია საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით მიღებულ იქნა შემდეგი კანონები: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011) და სხვა. მოხდა ისეთ ახალ კონვენციებთან და ოქმებთან მიერთება, როგორცაა: კერძოდ, კიოტოს ოქმი, გაეროს კონვენცია მდგრადი დამახინძურებლების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებული გარანტიების თაობაზე და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წელს დამტკიცებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ფორმულირდა საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებებიც. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრა ისეთი მიზნები, როგორცაა: გარემოს დაცვის მმართველობის შესაბამისი პირობების შექმნა, გარემოს დეგრადაციის პრევენციისათვის ღონისძიებების განხორციელება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და სხვა. და, რაც მთავარია, გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამ გეგმის მიხედვით, საქართველო ყოველწლიურად ანგარიშს უგზავნის ევროკავშირს, რომელიც მის საფუძველზე იძლევა შემდგომ რეკომენდაციებს.

საქართველოს კანონის – „გარემოს დაცვის შესახებ“ – შესაბამისად, პოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წელს მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2012-2016 წლებს. ამ პროგრამაში 11 თემატური სფეროსათვის (წყლის

რესურსები, ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენები, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, ტყე და სატყეო მეურნეობა, მინერალური რესურსები, კატასტროფები, ბირთვული და რადიაციული უსართხოება და კლიმატის ცვლილება) გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, გაშუქებულია განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მიმოხილულია ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროცესები და მოცემულია სამართლებრივი ბაზის შეფასება. პროგრამით განისაზღვრება მთელი რიგი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხის მიღწევას, ტყეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების დაცვას, საქართველოს მთელი მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ამ პროდუქტით საერთაშორისო ბაზარზე შესვლის გზით და ა.შ. მასში აგრეთვე დეკლარირებულია მდგრადი განვითარების უაღტერნატივობა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში და საერთაშორისო ეკოლოგიური ინტეგრაციის აუცილებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის ხელისუფლებამ აირჩია ლიბერალური ეკოლოგიური პოლიტიკის მოდელი, რომელიც იმპერატიულად ეფუძნება ადმინისტრაციული მეთოდებით გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირებას და მის მიერ იქნა დეკლარირებული ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობის საერთაშორისო, განსაკუთრებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი პარმონიზაციის მიღწევა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ნაცვლად, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, პირიქით, შორდებოდა მას. ამის მაგალითებს წარმოადგენს ცვლილებები კანონში „ნებართვების შესახებ“, კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რის საფუძველზეც გაუქმდა წყალადებისა და წყალჩაშვების ნებართვა. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებისა და მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, სუბიექტს სამინისტროსთან მოლაპარაკებებისა და გარკვეულ თანხაზე შეთანხმების საშუალება ეძლეოდა, რაც ცხადია, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციული სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, გაგრძელდა და დღემდე გრძელდება ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პირდაპირი რეგულირების მექანიზმის გამოყენება და შენარჩუნდა ლიბერალური ეკოლოგიური პოლიტიკა.

სამართლებრივი დოკუმენტებიდან და პროგრამებიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს 2013 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეკომენდებული გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა, ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, სატყეო რეფორმის გატარება და სხვა.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის აუცილებლობა, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების მოდელის სტიმულირება, მყარი ნარჩენებისა და ბუნებრივი კატასტროფების ეფექტიანი მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების ნეიტრალიზება და ტყის რესურსების რაციო-

ნალური გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკის დანერგვა არის დეკლარირებული ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში ეკოლოგიური პრობლემები, მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები არ არის სათანადო მასშტაბით წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ამ პერიოდში იქნა მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა: საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (მოიცავს 2014-2020 წლებს), ქვეყნის გაუღაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (მოიცავს 2014-2022 წლებს) და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ, გაიაზრა რა, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს გააჩნია რეგიონული და ინტერსექტორული ხასიათი, დაიწყო გარემოსდაცვითი საკითხების ასახვა სექტორული განვითარების გეგმებში, ასევე რეგიონების განვითარების პროგრამებში. კერძოდ, გარემოსდაცვითი ღონისძიებები აისახა 2012-2013 წლების მთავრობის მიერ დამტკიცებულ რეგიონული განვითარების სტრატეგიებში. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ასახულია კატასტროფების მართვასთან, ძველი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების გატუჭყიანების შემცირებასთან და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაციის პროცესი გარემოს დაცვის სფეროში და ხელი მოაწერა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირისა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებას. ამ დოკუმენტით უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა. ის მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, სატყეო მეურნეობის დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

დღეისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროს სამართლებრივი ბაზის სრულყოფა ძირითადად ხორციელდება უკვე არსებულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, თუმცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტში რამდენიმე კანონპროექტია მომზადებული და ინიცირებული.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეკოლოგიური პოლიტიკის ფარგლებში დეკლარირებული გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების საწყის ეტაპზე. ხელისუფლება პირდაპირ აცხადებდა სხვადასხვა ეკოლოგიური პროგრამების განხორციელების მიზეზად საბიუჯეტო დაფინანსების უკმარისობას. შემდეგ პერიოდში სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა, ხოლო თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო მოიმატა ბიუჯეტის ხარჯებმა გარემოსდაცვითი ღონისძიების დაფინანსებაზე. თუმცა, ის მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირისა და მსოფლიოს ეკოლოგიურად მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს და ამ ფაქტორის

გათვლისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებისთვის ეკოლოგია ჯერ კიდევ ვერ გახდა პრიორიტეტული სფერო.

ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები და მათი დაძლევის ძირითადი გზები საქართველოში

შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესი გარკვეული წინაღმდეგობებით ხასიათდება. მთავარი დადებითი მოვლენა არის ის, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სულ უფრო მეტად ხდება ეკოლოგიური პრობლემების გააზრება, არასაკმარისად, მაგრამ მაინც იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელებაზე, ღრმავდება საერთაშორისო ინტეგრაცია ამ მიმართულებით. თუმცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკოლოგიური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიუხედავად ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა დაბალია, ხოლო გარემოს სისუფთავის მდგომარეობა კვლავ კრიტიკული. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური პრობლემები სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყნის უსაფრთხოებას. ყოველივე აღნიშნული მოითხოვს ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკასთან ჰარმონიზაციასა და ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებას ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რითაც შესაძლებელი იქნება დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა და კოეკოლუციის მიღწევა საზოგადოებასა და ბუნებას შორის.

ეკოლოგიური ინოვაციების უმრავლესობა ატარებს ტექნოლოგიურ ხასიათს და მიმართულია ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოდამზოგველი და უნარჩუნო ტექნოლოგიების ახალი თაობისა და გარემოზე მონიტორინგის საშუალებების შექმნაზე. დანარჩენი ატარებს ეკონომიკურ-სამართლებრივ (ეკოლოგიური კანონების მიღება და გარემოში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოშვების მკაცრი სტანდარტების დადგენა, გარემოს გაჭუჭყიანებაზე საჯარიმო სანქციების დაწესება და სხვა) და გეოპოლიტიკურ ხასიათს (ბირთვული იარაღის გამოცდაზე აკრძალვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმება და ა.შ.), ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ინოვაციები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი მორალისა და განათლების სფეროს ეკოლოგიზაციას [18].

იაპონიაში, სადაც სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის სფეროში მნიშვნელოვნად აღვიდს იკავებს ეკოლოგიური ტექნოლოგიები, ეკოლოგიური ინოვაციების ქვეშ იგულისხმება ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციები გარემოს დაცვის სფეროში, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მოსახლეობისათვის ეკოლოგიური ფასეულობების ფორმირებაში ეკონომიკისა და ეკოლოგიის ერთობლივი განვითარების ფარგლებში [19].

ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს, ეკოლოგიური ორგანიზაციების, ბიზნესსექტორისა და საზოგადოების მჭიდრო ინტეგრაცია და თანამშრომლობა. თუმცა, განსაკუთრებული როლი ამ პროცესში მაინც ეკუთვნის სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებელ სუბიექტს.

ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა სახის სტრატეგიის, გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე და უნდა მოიცავდეს რეალიზაციის მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ზოგადად, ეკოლოგიური ინოვაციების გავრცელების გაზომვისა და ქვეყნების ეკოლოგიური ინოვაციურობის შეფასების ერთიანი ზუსტი მეთოდიკა არ არსებობს. ევრო-

კავშირი ამ მიზნით იყენებს ე.წ. ეკონოვაციურ დაფას, რომელიც შედგება ინდიკატორების 5 ჯგუფისაგან.

თანამედროვე პირობებში ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკით და მისი რეალიზაციის ეფექტიანი ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმებით ევროკავშირი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს წამყვან რეგიონად ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში. ევროკავშირის გამოცდილება და მიღწეული შედეგები ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრაში, სამართლიანად ითვლება საუკეთესო მაგალითად დანარჩენი მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის. ევროკავშირის ძალისხმევით მოეწერა ხელი დედამიწის ოზონის შრის დაცვის მონრეალის ოქმს, კიოტოს ოქმს და გაეროს კონვენციას კლიმატის ცვლილების შესახებ. ის სულ უფრო ხშირად გამოდის ახალი საერთაშორისო ნორმებისა და ინოვაციური ინსტრუმენტების შექმნის ინიციატორი ეკოლოგიური პოლიტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პროცესმა რამდენიმე ეტაპი გაიარა და ამჟამად მასში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- გარემოს მდგომარეობის შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება;
 - ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მისთვის ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს შექმნა;
 - ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და მისი კვლავ წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების ფორმირება;
 - ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ინოვაციური ევროპული პოლიტიკის ფორმირება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტიანი გზების დასახვა;
 - ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;
 - ეკოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევების აქტივიზაცია და კონტროლი;
 - სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა;
 - საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაცია გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით.
- გარემოს დაცვის სფეროში ევროკავშირის საერთაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინებით გამოიყოფა ქვეყნების შემდეგი ჯგუფები:
- შვეიცარია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, მონაკო, ანდორა, სან-მარინო და ისლანდია (ასოცირებული წევრები);
 - თურქეთი;
 - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი და ჩერნოგორია);
 - აღმოსავლეთ ევროპა და კავკასია (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო).

დღეისათვის თავისი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა, რასაც განაპირობებს სათბური აირების ემისიის საგრძნობი ზრდა. მეცნიერ-ეკოლოგებისა და სპეციალისტების აზრით, კლიმატის ცვლილება არსებითად განაპირობებელია ანთროპოგენური საქმიანობით და თუ არ მოხდება სათბური აირების ატმოსფეროში კონცენტრაციის სტაბილიზაცია, გარდაუვალია ეკოლოგიური კატასტროფები

და მისგან გამომწვეული უარყოფითი შედეგების საგრძნობი ზრდა. მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, კლიმატის ცვლილების შედეგების მიმართ განსაკუთრებით მოწვევადია ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნები. ამავე დროს ამ რეგიონების სახელმწიფოების ადაპტაციის უნარი კლიმატის ცვლილების მიმართ, განვითარების დაბალი დონის გამო, გაცილებით სუსტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგები საგრძნობლად შესამჩნევია საქართველოში, რაც გამოიხატება ტემპერატურის მომატებასა და ისეთი ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების გახშირებაში, როგორცაა: წყალდიდობები, მეწყერები და ანომალიური გვალვები.

2016 წლის 22 აპრილს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას კლიმატის ცვლილების შესახებ (პარიზის შეთანხმება მიღებულ იქნა 2015 წელს, ქ. პარიზში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში), რომელიც მიზნად ისახავს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის შეზღუდვას 2 გრადუს ცელსიუსამდე, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით და ტემპერატურის ზრდის 1,5 გრადუს ცელსიუსამდე შეზღუდვის მცდელობას და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირთან გარემოსდაცვის ფარგლებში ინტეგრაციისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მიერთებულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციას, პარიზის კლიმატის ცვლილების შეთანხმებაში მონაწილეობით საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო რაციონალური გადაწყვეტილება, რათა გაიზარდოს ეროვნული წვლილი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გლობალური კლიმატის მდგომარეობის შესახებ ავტორიტეტული სამეცნიერო შეფასების მიხედვით (ამ შეფასებას ახორციელებს 1988 წლიდან საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა და გაეროს პროგრამული ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული კლიმატის ცვლილების შემსწავლელი სამთავრობოთშორისი ექსპერტთა ჯგუფი), მე-20 საუკუნის განმავლობაში საშუალო წლიური ტემპერატურა დედამიწაზე გაიზარდა 0,74 გრადუს ცელსიუსით და გლობალური დათბობის მთავრი მიზეზია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული სათბური აირების გამოშვების ზრდა (ნახშირორჟანგი, მეთანი, ოზონი, აზოტის ქვეყანგი და სხვა).

ექსპერტების შეფასებით, სათბური აირების გამოშვებაში დომინირებს ენერგეტიკა (26%), შემდეგ მოდის მრეწველობა (19%), მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა (17%), სოფლის მეურნეობა (14%) და ტრანსპორტი (13%). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და ეკონომიკის სტრუქტურის მიხედვით ეს მაჩვენებლები იცვლება და ასევე განსხვავებულად (მათ შორის საქართველოში) ვლინდება კლიმატის ცვლილება.

ევროკავშირი მსოფლიოში თანამედროვე კლიმატური პოლიტიკისა და კლიმატური პროცესების მართვის ყველაზე მთავარი მოთამაშეა. „სტრატეგია 20-20-20“-ით მან ახალ, ინოვაციურ ენერგეტიკულ პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი, რომლის მიზანი არა მხოლოდ იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებაა, არამედ ის ერთიანი ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის მდგენელია და ითვალისწინებს „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ სტრატეგიის მიხედვით, 2020 წლისათვის, 1999 წელთან შედარებით, გარემოში CO₂-ის გამოფრქვევა უნდა შემცირდეს 20%-ით, ენერგომომარების საერთო სტრუქტურაში ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ენერგიის წილი უნდა გაიზარდოს 20%-ით, ხოლო საერთო ენერგოდანახარჯები უნდა შემცირდეს ასევე 20%-ით. გარდა ამისა, ევროკავშირი ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს, რათა უზრუნველყონ სამრეწველო და

საავტომობილო ტრანსპორტის ინდუსტრიის მიერ ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის სტანდარტების დაცვა. საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ნახშირორჟანგის აირის გამოფრქვევის შემდგომი შემცირების მიზნით, ჯერ კიდევ 2011 წელს ევროკომისიამ მიიღო დოკუმენტი „ტრანსპორტის სტრატეგიის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც 2050 წლისთვის ევროკავშირის არც ერთ ქვეყანაში არ უნდა დარჩეს ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილები, ხოლო 40% ავიასაწვავისა უნდა ჩანაცვლდეს ალტერნატიული წყაროებიდან [16].

ამ კუთხით საქართველოს პარლამენტის მიერ ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტზე დადგენილი შეღავათები აქციზის გადასახადში უდავოდ დადებითი მოვლენაა ავტოპარკის განახლებისა და სათბური აირების ემისიის შემცირების გზით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ავტოპარკის შემადგენლობაში მკვეთრად გაიზარდა ჰიბრიდული ავტომობილების რაოდენობა, მასში ჯერ კიდევ ჭარბობს მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავი ავტოსაშუალებები. ეს კი გადაუდებლად საჭიროებს ტექნიკური დათვალიერების პროცესის დაჩქარებას, ვინაიდან ამ მდგომარეობის შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება გარემოს კომპონენტების დაბინძურება.

ალტერნატიული ენერჯის წილის მთლიან მოხმარებაში გაზრდის მიზნით ევროკავშირმა 2009 წელს მიიღო დირექტივა „განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების სტიმულირების შესახებ“, რითაც წევრ-ქვეყნებს, მათი ეკონომიკური მდგომარეობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის საფუძველზე, დირექტიულად განესაზღვრათ 2020 წლისთვის შესაბამისი მიზნობრივი მაჩვენებლები. ყველზე დაბალი სამიზნე პარამეტრი აქვს მაღტას - 10%, ხოლო ყველზე მაღალი შედეგის სამეფოს - 49%. 2014 წელს ევროკავშირმა მიიღო ახალი პროექტი ენერგეტიკისა და კლიმატის შესახებ 2030 წლამდე. ამ დოკუმენტით 2030 წლისათვის 1990 წლის დონესთან შედარებით დადგენილია სათბური აირების 40%-ით შემცირება, ხოლო განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის გაზრდა კი მინიმუმ 27%-მდე.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის თვალსაზრისით საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკის ეთ-ერთი ძირითადი მენისტრში უნდა გახდეს ალტერნატიული ენერგეტიკის, ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტიანობის პოლიტიკისა და ახალი ინოვაციური ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარება.

ამჟამად საქართველოს ენერგომოხმარებაში უმნიშვნელო წილი გააჩნია განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას, მაშინ, როცა ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი მისი განვითარებისათვის. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მზისა და ქარის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია და ბიოგაზი.

აღნიშნული ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას ქვეყნისათვის მრავალი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. კერძოდ:

- არაგანახლებადი იმპორტირებული ენერჯის წყაროებზე დამოკიდებულების შემცირება პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში;
- სათბური აირების შემცირების ხარჯზე დაბალემისიური „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- დასაქმების სტიმულირება;
- ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესება;
- ენერჯის უღვევადობა;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება ენერჯის მოხმარებაზე დანახარჯების შემცირების შედეგად.

ადეკვატური ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებით, ამ სფეროს საინვესტიციო მიმზიდველობიდან გამომდინარე, 2025 წლისთვის საქართველოს შეუძლია მიაღწიოს და გადააჭარბოს მალტის დონეს ალტერნატიული ენერჯის გამოყენების წილის ზრდის კუთხით.

ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები საჭიროა განიხილებოდეს ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის კონტექსტში, ვინაიდან ეკოლოგიური ინოვაციები მთლიანი ინოვაციების ერთ-ერთი სეგმენტია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გააჩნია არცთუ ურიგო ჩარჩო-პირობები ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციისთვის (კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ, ადამიანური კაპიტალი, ღიაობა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის და სხვა), ინოვაციური საქმიანობა ძალზე დაბალ დონეზეა. ქვეყანას არ გააჩნია ეფექტიანი ინოვაციური სისტემა და პოლიტიკა, რაც, ცხადია, ხელს უშლის ეკოლოგიური ინოვაციების სტიმულირებას.

ეკოლოგიური ინოვაციების სფეროში საქმიანობის შედეგების შესაფასებლად შესაძლებელია ისეთი ინდიკატორების გამოყენება, როგორცაა: ახალი ცოდნა, დარგის სამეცნიერო პოტენციალი და ინოვაციური „მწვანე“ ტექნოლოგიები.

ეკოლოგიური ინოვაციების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე მსჯელობა შესაძლებელია ამ სფეროში სამეცნიერო პუბლიკაციების დინამიკაზე დაყრდნობით. ბოლო პერიოდში გარემოს დაცვის საკითხებზე და ეკოლოგიურ ინოვაციებზე სამეცნიერო პუბლიკაციების ზრდა შეიმჩნევა ევროკავშირის ახალ წევრ-ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში სიტუაცია უმნიშვნელოდია გაუმჯობესებული. ამავე დროს, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ჩინეთი, გერმანია, იაპონია და გაერთიანებული სამეფო, გარემოს დაცვის თემატიკით სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ისეთი ტემპებით გაიზარდა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა მათსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის [17].

სამეცნიერო პუბლიკაციები ეკოლოგიური ინოვაციების შექმნისა და მათი გავრცელების მექანიზმების შესახებ მწირია საქართველოში. ბოლო პერიოდში მატულობს დაინტერესება ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესახებ, თუმცა შედეგები ჯერჯერობით არასახარბიელოა.

შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამეცნიერო-აკადემიური საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობისა და სახელმწიფოს მხრიდან ეკოლოგიური პრობლემების რეგულირების სფეროში სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების გარეშე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური კულტურისა და განათლების ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების გარემოს დაცვისადმი ინტერესების სტიმულირება, საზოგადოებაში ეკოლოგიური პასუხისმგებლობის იდეოლოგიის ფორმირება, ეკოლოგიის სფეროში კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (განსაკუთრებით მდგრადი განვითარების მიმართულებით), სახელმწიფო მხარდაჭერა ეკოლოგიური განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, ეკოლოგიური კანონმდებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და ა. შ.

ევროკავშირი ეკოლოგიური განათლების სფეროში ეყრდნობა სტრატეგიას „ეკოლოგიურ განათლებაში ევროპული საზომი“, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების აღზრდაზე სამოქალაქო პოზიციით, პროფესიული ეკოლოგიური

თვითშეგნებითა და გარემოს დაცვის სურვილით. ევროკავშირის ეკოლოგიური განათლების სფეროში სათანადო ადგილი უჭირავს ბოლონის პროცესს (რომლის წევრი საქართველოცაა), რომელიც არა მხოლოდ უშუალოდ უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პრინციპების ემიტენცია, არამედ მოწოდებულია თანამედროვე ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის და მათ შორის ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის ხელშეწყობაზე. ეკოლოგიური განათლების ეფექტიანი სისტემის შექმნაში განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონიის გამოცდილება, რომლის ეკოლოგიურ პოლიტიკაში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პარალელურად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ეკოლოგიური შეგნების ფორმირებას.

1996 წელს მიღებული საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ მე-8 მუხლი „განათლება გარემოს დაცვის საქმეში“ კანონის ამოქმედებისთანავე ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემის შექმნას. თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა. ამჟამად, ამ კანონით გათვალისწინებულია გარკვეული საგანმანათლებლო პროცესების დაწყება 2017 წლის 1 აპრილიდან, რაც უდავოდ დაგვიანებულია.

ევროკავშირი ეკოლოგიური პოლიტიკის სრულყოფისა და მისი რეალიზაციის პროცესში ევროდნობა 1996 წელს გაფორმებული ამსტერდამის ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმებულ პრინციპებს, რომელთაგან ერთ-ერთი არსებითი პრინციპია „გამჭვირვადი იხდის“, რაც გულისხმობს დამაბინძურებლის მიერ გარემოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სპეციალური გადასახადების სახით. შინაარსით ის ეკონომიკური ინსტრუმენტია. გარემოს დაბინძურებაზე გადასახადი აიძულებს დამაბინძურებელ სტაციონარულ და არასტაციონარულ ერთეულებს, მოახდინონ უნარჩუნო და მცირენარჩენიანი, გაზმტვერდამჭერი და სხვა ტიპის ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციას. ევროკავშირი ეკოლოგიურ პოლიტიკას ახორციელებს ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტების ოპტიმალური შეთანაწყოების საფუძველზე. თუმცა, ბოლო პერიოდში, შესაბამისი თეორიული და ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ევროკავშირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული ინსტრუმენტები ნაკლებეფექტიანია ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან შედარებით, რამაც გამოიწვია ის, რომ ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში ეტაპობრივად დომინირებადი ხდება საბაზრო რეგულატორები.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკოლოგიური გადასახადების გამოყენების მიმართულებით პიონერები არიან სკანდინავიის ქვეყნები და ნიდერლანდები (რომელიც ლიდერობს ევროკავშირის ქვეყნებში ეკოლოგიური მდგომარეობით). მიჩნეულია, რომ მათ ყველაზე ოპტიმალური მოდელი გააჩნიათ ეკოლოგიური გადასახადების კუთხით. ბოლო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში შეიმჩნევა აღნიშნული გადასახადების ზრდის ტენდენცია. კერძოდ, მოიმატა გადასახადებმა CO₂-ის გამოფრქვევაზე, საწვავში გოგირდზე და ა.შ. მხოლოდ ზოგიერთი ეკოლოგიური გადასახადი დარჩა უცვლელი.

2005 წელს საქართველოში გაუქმდა გადასახადი მანევრით ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლების მიზანი იყო ის, რომ მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმები არ გამხდარიყო შემზღვეველი ფაქტორი ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. მაშასადამე, საქართველოში შექმნილია მდგომარეობა, როდესაც გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილ ზარალს ანაზღაურებს არა უშუალოდ დამაბინძურებელი, არამედ საზოგადოება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიური გადასახადების არსებობა იწვევს ბიზნეს-სექტორის, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა, უკმაყოფილებას. ეს განპირობებულია იმით, რომ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია ე. წ. „ჭუჭყყინი“ საწარმოების დახურვით ან მათი თანამედროვე ეკო-ტექნოლოგიური მოდერნიზებით, რაც, თავის მხრივ, დიდ დანახარჯებს უკავშირდება. მეწარმეები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკოლოგიური კომპონენტის შესუტებით, რადგან მათი მომავალი უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, დაბანდებებს წარმოებაში და არა ეკოლოგიურ დანახარჯებს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ ბიზნესს, სოციალურ და სხვა ტიპის პასუხისმგებლობასთან ერთად, უნდა გააჩნდეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობაც. უფრო მეტი, თანამედროვე მსოფლიოში მასშტაბურად ვრცელდება ბიზნესიდეოლოგია, რომლის მიხედვითაც კომპანიებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად ეფუძნება ენერგოეფექტიანობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაჩვენებლებს.

ევროკავშირის ინოვაციურ პოლიტიკასთან საქართველოს ჰარმონიზაცია შეუძლებელია მისი ძირითადი პრინციპების დაცვის გარეშე. ამდენად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირში აპრობირებული ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოღება.

ეკოლოგიური პოლიტიკის ინოვაციური ტრანსფორმაცია დიდადაა დამოკიდებული ბიზნესსუბიექტების მიერ ეკოლოგიური მენეჯმენტის განხორციელებაზე, რომელიც ხელს უწყობს რესურსებისა და ენერჯის გეგმაზომიერ და რაციონალურ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სამრეწველო ნარჩენებს და გარემოს დაბინძურებას. ეფექტიანი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის შედეგად ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ მიიღონ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სერტიფიკატი ISO 14001, რაც ცხადყოფს მჭიდრო კორელაციურ კავშირს ეკონოვაციებსა და აღნიშნულ სერტიფიკატს შორის. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (რუსეთისა და უკრაინის გარდა), ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ძალზე მცირე რაოდენობის კომპანიებს გააჩნიათ სერტიფიკატი ISO 14001. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა საქართველოში, სადაც 2013 წლის მონაცემებით, სულ 17 კომპანია ფლობდა აღნიშნულ სერტიფიკატს.

ჩვენი ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბება. ევროკავშირის ქვეყნებში სულ უფრო იზრდება ნარჩენების გადამუშავების მასშტაბები და მან უკვე მიაღწია 80%-ს. საქართველოში ნარჩენების გადამუშავების პრობლემების გადაჭრა ჩანასახოვან სტადიაშიც არ არის. სამწუხაროდ, ამ საკითხით არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორი არ ინტერესდება, მაშინ, როცა ნარჩენები, როგორც თითქმის უფასო ნედლეული, მრავალი დასახელების პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების მიმართულებით, გარდა ნაშრომში განხილული ზოგიერთი გზისა, აუცილებელია სხვადასხვა სახის კონცეპტუალური და პრაქტიკული ამოცანის გადაჭრა. კერძოდ: ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში მიზნობრივი მიდგომების ფართოდ გამოყენება, რაც გულისხმობს კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას და უშუალოდ მის დაძლევაზე მიმართული ინოვაციური მექანიზმის შემუშავებას; ტექნიკურ-ეკონომიკურ, პროდუქტულ, ორგანიზაციულ, მარკეტინგულ და სოციალურ

ეკოლოგიურ ინოვაციებზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირება (სახელმწიფო „მწვანე“ შესყიდვები, ახალი სამშენებლო ნორმების ფართოდ დანერგა ენერგოეფექტიანობის გაზრდის მიზნით და სხვა); გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის ფორმირება; გარემოს გაჭუჭყიანების ნორმებისა და სტანდარტების ოპტიმიზაცია; ეკოლოგიური და ეკოლოგიური ინოვაციების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნა; ეკოლოგიური ექსპერტიზის, ეკოლოგიური აუდიტის, ეკოლოგიური დაზღვევის, ეკოლოგიური სერტიფიკაციის და ბუნებათსარგებლობის მართვის სხვა ინსტრუმენტების დანერგვა ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში; ეკონოვაციების სფეროში კვლევების აქტივიზაციისათვის საგრანტო სისტემის შემოღება და ზოგადად ეკონოვაციების სტიმულირების ახალი ფინანსური ინსტრუმენტების (შეღავათიანი დაკრედიტება, საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და სხვა) ფართოდ გამოყენება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სტიმულირება; ეკოლოგიური სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და ეკოლოგიური პროგრამების, კონცეფციებისა და სტრატეგიების შემუშავება (მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური დოქტრინა, ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია და სხვა) და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მდგრადი განვითარების ასპექტები. 2014.
2. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში. 2015.
3. ხუსკივაძე მ. ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და ტენდენციები საქართველოში. 2015.
4. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2014-2022). 2014.
5. ევროკავშირი-საქართველოს ასოციირების შეთანხმება. 2014.
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. 2013.
7. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2012-2016). 2012.
8. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წლები).
9. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია. 2015.
10. Власов Е.Я. Инновационные технологии природопользования в решении экологических проблем урбанизированных территорий. 2012.
11. Земцова Л.В. Экологические инновации и устойчивое развитие. 2014.
12. Колонтаевская И.Ф. Экологические инновации как фактор повышения качества жизни. 2013.
13. Магомадова Х.А. Экологические инновации как фактор устойчивого социально-экономического развития. 2014.
14. Матвеева Е.В. Экологическая политика Евросоюза. 2010.
15. Мохаммад С.М. Экологическая политика Европейского Союза как пример системы международного экологического управления. 2013.
16. Новая рамочная политика Европейского Союза в области климата и энергетики до 2030 года. Евразийский Журнал, N3 (70), 2014.
17. Инновационная политика в поддержку «зелёных» технологий. Руководство для директивных органов стран с переходной экономикой в Европе и Центральной Азии - Европейская Экономическая Комиссия Организации Объединённых Наций.
18. Яковец Ю.В. Эпохальные инновации XXI века. 2004.

19. Leflaive, X. Eco-Innovation Policies in Japan. OECD, 2008.
 20. geostat.ge
 21. moe.gov.ge

*Mamuka Khuskivadze
 Zurab Nozadze*

**PROBLEMS OF FORMATION OF INNOVATION ECOLOGICAL POLICY AND
 MAIN WAYS OF THEIR OVERCOMING IN GEORGIA**

Annotation

The article conducts the analysis of formation of innovation ecological policy beginning from post-communist transformation up to-day and is estimated its present situation. Political and economic circumstances that hamper the formation of effective ecological policy, the formation of innovative regulation mechanism in the sphere of natural resource use and environmental protection are exposed. It is noted that ecology doesn't occupy yet a relevant place in the system of national political and economic priorities, the result of which will worsen more ecological situation in Georgia. Hence, in the context of harmonization with EU ecological policy, main principles and mechanism of formation of innovation-ecological policy in Georgia are offered .

მამუკა ხუსკივაძე

ნიდერლანდების ინოვაციური პოლიტიკა

თანამედროვე პირობებში ნიდერლანდები არის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოში. ნიდერლანდები, რომელიც ტერიტორიის მიხედვით იკავებს 134-ე, ხოლო მოსახლეობას მიხედვით 59-ე ადგილს - მშპ-ის მოცულობის, მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით და ექსპორტის მოცულობით იმყოფება შესაბამისად მე-20, მე-10 და მე-8 ადგილზე. ევროკავშირის ქვეყნებს შორის ნიდერლანდებს მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უკავია მე-4 პოზიცია. ქვეყანაზე მოდის ევროკავშირის მშპ-ის 5%. მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ის ჩამორჩება მხოლოდ გერმანიას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს.

მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში მჭიდრო ინტეგრაცია განაპირობებს ნიდერლანდების ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესების აქტიურ ზეგავლენას. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით 2007-2009 წლების მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ნიდერლანდების ეკონომიკაზე, უპირატესად მის საექსპორტო პოტენციალზე და გამოიწვია ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება.

2007-2009 წლების მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად ნიდერლანდების ეკონომიკაში წარმოქმნილმა ახალმა პარადიგმამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოსა და ბიზნესის ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობა ინოვაციების სტიმულირებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის მიზნით.

2013 წელს ნიდერლანდების ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ იქნა „ახალი ნიდერლანდური ეკონომიკის“ ფორმირებისა და მსოფლიო წამყვანი ინოვაციური ეკონომიკების ხუთეულში შესვლის სამთავრობო ამოცანა. „ახალი ნიდერლანდური ეკონომიკის“ ერთ-ერთ კონცეპტუალურ საფუძვლად განისაზღვრა ქვეყნის ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მდგრადი ეკონომიკური ზრდის არსებით ფაქტორად გადაქცევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

აღნიშნული სამთავრობო მიზნის მისაღწევად ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება 2020 წლამდე კვლევებსა და გამოგონებებში დანახარჯების მშპ-ის 2,5%-მდე გაზრდის შესახებ და დაიწყო ინტეგრირებული სამრეწველო პოლიტიკის განხორციელება. ინტეგრირებული სამრეწველო პოლიტიკის (გულისხმობს ინოვაციური და სამრეწველო პოლიტიკების მაქსიმალურ შერწყმას და ჰარმონიზაციას) მეშვეობით მთავრობა შეეცადა ისეთი ფუნდამენტური და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა: მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და გაფართოება, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნა, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის კონტექსტში ისეთი კომპანიების შერჩევა, რომელთა ინოვაციური აქტიურობის სტიმულირებაში სახელმწიფოს მხარდაჭრა აუცილებელი და მიზანშეწონილია და ა.შ.

ახალი ინტეგრირებული სამრეწველო პოლიტიკის ფარგლებში მოხდა ძირითადი ინოვაციური სფეროების შერჩევა და დაიწყო ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება ე.წ. „სექტორული მოდელის“ გამოყენებით. ამ მოდელის მიხედვით, ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა: ძლიერი სასტარტო მდგომარეობა შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე და საერთაშორისო დონის მწარმოებლობის პოტენციალი, გამოშვებული პროდუქციის მაღალი მეცნიერებატევადობა, ინტენსიური კავშირები და მისი გაღრმავების პერსპექტივები სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, მრეწველობის სხვა სექტორებთან მჭიდრო კავშირები - სულ შეირჩა 9 საკვანძო სამრეწველო სექტორი:

- აგროსამრეწველო კომპლექსი;
- მემცენარეობა;
- მაღალტექნოლოგიური სისტემები (ნანოტექნოლოგიები, მანქანათმშენებლობა, აეროკოსმოსური და აგროტექნიკური სექტორი, უსაფრთხოების სისტემები);
- ენერჯეტიკა (ენერჯისისტემების მდგრადობა, მსოფლიო ბაზარზე ელექტროენერჯის მიწოდებაში ინტეგრაცია);
- ლოგისტიკა (ინოვაციური აეროკოსმოსური სატრანსპორტო სისტემები, ინოვაციური სატვირთო ტრანსპორტი, პორტების ინფრასტრუქტურის განვითარება);
- კრეატიული ინდუსტრია (არქიტექტურა, მოდა, სამრეწველო დიზაინი);
- ბიოტექნოლოგია და ბიომრეწველობა (დიაგნოსტიკისა და ვაკცინაციის სისტემები, ფარმაცია, ბიოსამედიცინო მასალები, დაავადებათა პროფილაქტიკა, იო შციენცე არკ-ის კომპლექსის შექმნა ლეიდეში);
- ქიმიკა (ნავთობქიმიკა, საბაზო ქიმიური ნივთიერებებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება);
- წყალმომარაგება (ნაპირსამაგრი მოწყობილობების მშენებლობა, წყლის რესურსების დაცვა და გაწმენდა) [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ნიდერლანდების თანამედროვე ინოვაციური პოლიტიკის ვექტორი და ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა 2010 წელს „ინოვაციური პლატფორმის“ მიერ. „ინოვაციური პლატფორმა“ არის ქვეყნის მთავრობასთან არსებული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ინოვაციების სფეროში შეიმუშავებს დონისძიებათა კომპლექსს და ახორციელებს კოორდინაციას ეროვნულ დონეზე. მისი ფუნქციონირების ძირითადი ამოცანაა ნიდერლანდების ინოვაციური პოტენციალის გაუმჯობესება და მისი ლიდერი პოზიციის უზრუნველყოფა მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების სფეროში ლისაბონის პროგრამის ფარგლებში.

2010 წელს ნიდერლანდებში ინოვაციური საქმიანობის სრულყოფისა და სტიმულირების მიზნით გამოქვეყნდა პროგრამა „ნიდერლანდები 2020“, რომლის რეალიზაციითაც ხელისუფლებამ განიზრახა ქვეყნისათვის ინოვაციების საერთაშორისო ბაზარზე დაკარგული პოზიციების აღდგენა. ამ პროგრამაში ჩამოყალიბდა ინოვაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:

- ინოვაციების ეკონომიკის დარგების მიხედვით ცენტრალიზებული განაწილება, რაც მიზნად ისახავდა ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორცაა: მემცენარეობა და სურსათის წარმოება, ქიმიური და გადამამუშავებელი მრეწველობა, მაღალტექნოლოგიური სისტემები და ა.შ. ინოვაციური პროცესების გააქტიურებით განვითარების ხელშეწყობას;

- ინოვაციური გამოგონებების საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაცია და დამკვიდრება;

- ახალი ტექნოლოგიების ერთობლივი დანერგვის მიზნით სამრეწველო სექტორის კონსოლიდაცია;

- მომსახურების სფეროში ინოვაციების დანერგვის მასშტაბების გაფართოება [4].

ინოვაციური სისტემების მართვის იერარქია ნიდერლანდებში შედგება სხვადასხვა ინსტიტუციური ორგანოებისაგან. მთავარი ორგანოა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ინოვაციების სამინისტრო. 2008 წელს შეიქმნა უწყებათაშორისი დეპარტამენტი „ცოდნა და ინოვაციები“, რომლის მთავარი ფუნქციაა შესაბამისი სამინისტროების პოლიტიკების ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ამ დეპარტამენტის მიერ მომზადდა გრძელვადიანი სტრატეგია „მწარმოებლურობის მდგრადი ზრდა“, რომლითაც განისაზღვრა ცოდნასა და ინოვაციებში მომავალი ინვესტიციების მიმართულებები. აგრეთვე, ინოვაციების სოციალური პროგრამები ჯანდაცვის, უსაფრთხოების და ა.შ. სფეროებში.

სხვა ინსტიტუციურ ორგანოებს წარმოადგენს სტრატეგიული ორგანიზაციები -ინოვაციური პოლიტიკის სააგენტო (Senteznovem) და კვლევების პოლიტიკის სამეცნიერო საბჭო (NWO), ხოლო საკონსულტაციო ორგანოებია – მეცნიერებისა და ხელოვნების სამეფო აკადემია, ნიდერლანდური ინოვაციების პლატფორმა და შთ პოლიტიკის საკონსულტაციო საბჭო.

ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციისა და სტიმულირების მიზნით ნიდერლანდების ხელისუფლების მიერ 2012 წლიდან დაინერგა ახალი ინსტრუმენტი -ინოვაციური კონტრაქტი, რომელმაც შეცვალა 1997 წლიდან მოქმედი ინოვაციური ვაუჩერების სიტემა. ხელისუფლების მიერ ინოვაციური კონტრაქტის, როგორც სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტის, შემოღების მიზანი იყო ათობით მაღალტექნოლოგიური ეკონომიკის სექტორის განვითარების ხელშეწყობა. საფუძველი ჩაეყარა ბიზნესსექტორისა და სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით კონსორციუმების ჩამოყალიბებას ინოვაციებზე ერთობლივი მუშაობის მიზნით. ნიდერლანდების ხელისუფლების მიერ ამგვარი კონსორციუმების მხარდასაჭერად გადაწყდა ყოველწლიურად 90 მლნ ევროს გამოყოფა [2].

ნიდერლანდების ეკონომიკის წამყვანი სექტორების განვითარების საგზაო რუკები, რომლებიც ინოვაციური კონტრაქტების ფორმირებისა და რეალიზაციის საფუძველია, შემუშავდა ნიდერლანდური კლასტერის – „მაღალტექნოლოგიური სისტემები და მასალები“ – ინიციატივით, სამეცნიერო ორგანიზაციებთან ფართომასშტაბიანი დისკუსიების შედეგად [3].

ინოვაციური კონტრაქტი იწყება პროექტის რეზიუმეს აღწერით. მისი საფუძველია ე.წ. საგზაო რუკა, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის სექტორის

ინოვაციურობის დეტერმინანტს. რეზიუმე მოიცავს პრობლემის დეტალურ ანალიზს, მოსალოდნელ შედეგებს, დანახარჯების ამსახველ პარამეტრებს და პროექტის მენეჯმენტის ძირითად მიმართულებებს. ინოვაციური ვაუნერისაგან ინოვაციური კონტრაქტის ერთ-ერთ განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში აგრეთვე გაანალიზებულია ის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც სჭირდება პოლიტიკური კონსენსუსი.

„მაღალტექნოლოგიური სისტემები და მასალების“ კლასტერის ეგიდით საგზაო რუკების მომზადებაში ძირითადად მონაწილეობენ ეკონომიკის სექტორების წარმომადგენლები და სამეცნიერო ორგანიზაციები. ამ პროცესში ჩართვა შეუძლიათ დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებსაც. ამიტომ ნებისმიერი საგზაო რუკა მისი მომზადებელი ორგანიზაციების კოლექტიური საკუთრებაა.

აღნიშნული კლასტერის მიერ გადაწყდა საგზაო რუკების მომზადების პროცედურის ყოველწლიური განმეორება უკვე მიღწეული შედეგების შეფასების, ახალი პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროგნოზირების მიზნით. 2012 წელს მისი ბიუჯეტი ინოვაციური პროექტებისათვის სახელმწიფო-კერძო სექტორების პარტნიორობის ფარგლებში შეადგენდა 1227 მლნ ლარს, ხოლო 2015 წლისათვის ის გაიზარდა 206 მლნ ლარით. ბიუჯეტის ასეთი საგრძნობი ზრდა განაპირობა არა მხოლოდ კვლევებისა და გამოგონებების დაფინანსების აუცილებლობამ, არამედ ინოვაციური კონტრაქტის მეშვეობით სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის შემდგომი გაფართოების მიზანშეწონილობამ.

2012 წლისათვის სულ მომზადდა საგზაო რუკები 16 მაღალტექნოლოგიური სექტორისათვის, აღიწერა ტექნოლოგიური, ფინანსური და ორგანიზაციული პერსპექტივები და სახელმწიფო პოლიტიკის სირთულეები და შესაძლებლობები ამ სექტორებში. ეს სექტორებია: ნანოტექნოლოგიები, აერონავტიკა, მანქანათმშენებლობა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა, მზის ენერჯია, პოლიგრაფია და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი, ამიტომ მისი საგზაო რუკის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო სხვა კლასტერებმაც. შესაბამისად, ინოვაციური კონტრაქტი გაფორმდა ამ სექტორში სხვებისაგან განსხვავებით, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება განახორციელა ნიდერლანდების ტექნოლოგიურმა ფონდმა. აღნიშნულ სექტორებში მომზადებული საგზაო რუკები, გარდა უშუალო კონკრეტული თემატური ბლოკისა, მოიცავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება სხვა საგზაო რუკებთან ინტეგრაციას, ინვესტიციებს, პრიორიტეტებსა და პროგნოზებს. მათი რეალიზაციისა და ინოვაციური კონტრაქტების შესრულების მიზნით თითოეული სექტორის მიხედვით გადაწყდა მეცნიერებისა და ინოვაციების წამყვანი კონსორციუმების ჩამოყალიბება, რომელმაც გააერთიანა ინოვაციური კონტრაქტის ძირითადი შემსრულებლები.

„ახალი ნიდერლანდური ეკონომიკის“ ფორმირების თვალსაზრისით ქვეყნის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საექსპორტო პოტენციალის გაუმჯობესებას და შესაბამისად ინოვაციური საექსპორტო პოლიტიკის ფორმირების საკითხს. ნიდერლანდების ექსპორტის სტრუქტურა სულ უფრო მეტად განიცდის სრულყოფას მასში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდის შედეგად. ქვეყანაში მატულობს ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის მხარდამჭერი სპეციალური პროგრამები.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის ნიდერლანდების ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი თავისებურებაა მისი საგრძნობლად გამოსატყუარი რეგიონული ასპექტი. რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა პრინციპით განსხვავებულია საერთო ევროპული პოლიტიკისაგან. ნიდერლანდებში რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის თვალსაზრისით

მაგალითს წარმოადგენს გილდერლანდის პროვინციის განვითარება, რასაც ქვეყნის ხელისუფლება სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. 1997 წელს მთავრობამ, პროვინციის ადმინისტრაციასთან ერთად, სააქციო საზოგადოების სტატუსით დააარსა გილდერლანდის განვითარების ორგანო. მასში მთავრობას აქვს აქციების 60%, პროვინციას – 35%, ხოლო სავაჭრო პალატას კი 5%. ამ ორგანოს საქმიანობის სპექტრი არის მრავალფეროვანი და ორიენტირებულია, საკონტრაქტო მოდელის მეშვეობით განახორციელოს საკონსულტაციო, ორგანიზაციული და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა, რაც მიზნად ისახავს რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის გაზრდას, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერას და საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინოვაციების სტიმულირებას და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე.წ. „სოციალური ინოვაციები“ ნიდერლანდებში. ის პრინციპულად განსხვავდება ევროკავშირის სხვა ქვეყნებისაგან, სადაც სოციალური ინოვაციების ქვეშ იგულისხმება ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოება მოსახლეობის მხარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ახალი სოციალური ურთიერთობების ფორმირება. ნიდერლანდებში სოციალური ინოვაციები წარმოადგენს „ინოვაციებს სამუშაო ადგილზე ან შრომის პირობების ოპტიმიზაციას“. ამდენად, მიჩნეულია, რომ ნიდერლანდებს არ გააჩნია ე.წ. „პროგრესული სოციალური ინოვაციური“ პოლიტიკა, თუმცა ბოლო წლებში მის მიმართ დაინტერესება იზრდება.

შეიძლება ითქვას, რომ ნიდერლანდების ხელისუფლებამ, წამყვანი ინოვაციური სექტორების შერჩევის საფუძველზე, განვითარებული სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით მიაღწია ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის საგრძნობ გაუმჯობესებასა და ინოვაციური პოლიტიკის სრულყოფას. თუმცა, ჯერჯერობით სახეზეა ნიდერლანდების ინოვაციური სისტემისა და პოლიტიკის წინაშე არსებული სხვადასხვა ხასიათის პრობლემები, რომლებიც აფერხებს „ახალი ნიდერლანდური ეკონომიკის“ ფორმირებისა და მსოფლიოს წამყვანი ინოვაციური ქვეყნების ხუთეულში ადგილის დამკვიდრებას. ამ პრობლემებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა კვლევებსა და გამოგონებებში;
- სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობის დაბალი დონე ინოვაციურ პროექტებში კერძო დანახარჯებთან შედარებით;
- ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებასა და აქტივიზაციაში არასაკმარისი საერთაშორისო ინტეგრაცია;
- გამოგონებების რეალიზაციის ხანგრძლივი დროითი ღირებულება;
- ტექნიკური სპეციალობებით სამეცნიერო კადრების არასაკმარისი რაოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Интернет-портал Правительства Нидерландов. <http://www.government.nl/issues/entrepreneurship-and-innovation/news/2012/04/02/innovation-contracts-worth-2-8-billion-for-top-sectors.html>
2. Инструменты инновационной политики: теория и практика. В.А. Еремкин, Т.А. Сутырина. Москва, 2012.
3. Инновационные ваучеры - новый инструмент поддержки инновационной деятельности/ инновации, # 4,2012. В. Н. Киселев, М. В. Яковлева.
4. О стратегии инновационной политики Нидерландов. <http://mfa.gov.kz/>
5. Innovation contract. Proposal Top Team High Tech Systems Materials. Zoetermeer. The Netherlands. 2016.

6. Holland High Tech healthcare 2012 Innovation Contracts Summary. <http://www.htsm.nl/?objectid=6464&type=org>

7. David Collado. Innovation contracts. A proposal for re-envisioning intellectual property law. Internet document. <http://www.docracy.com/4710/innovation-contracts>.

Mamuka Khuskivadze

INNOVATION POLICY OF NETHERLANDS

Annotation

The present work discusses conceptual principles and main instruments of realization of innovation policy formation in Netherlands.

Special attention is focused on innovative contracts as a new instrument in the sphere of stimulating the innovations between public and private sectors. Regional aspects of innovation policy of Netherlands are elucidated there.

The main factors hampering the activization of innovative activities are also revealed.

*თინა ჩხვიძე
ლია დვალიშვილი*

ევროკავშირის ინოვაციური ეკონომიური პოლიტიკა და მისი რეალიზაციის ეკონომიური ინსტრუმენტები

ევროპის კავშირი (ეკ) ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. ეკ 28 დემოკრატიულ სახელმწიფოს აერთიანებს, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მლნ მოქალაქისათვის უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება 28 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი-სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა, შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებიც ავსებენ ერთმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ევროკავშირი წარმოადგენს უდიდეს რეგიონს, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაზე. იგი ერთადერთია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც წარმოიშვნენ რეგიონული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესში და რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდა სრული ინტეგრაციის სტადიას.

მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს **ეკონომიური ინოვაციის** დანერგვას, როგორც არის ახალი პროდუქტები, ახალი ტექნოლოგიები, ორგანიზაციის წარმოების ახალი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. საზოგადოების წინაშე დადგა ტექნიკისა და ტექნოლოგიების ეკონომიზაციის ამოცანა. აუცილებელი გახდა თვით წარმოების ტექნოლოგიის ტიპის გარდაქმნა ეკონომიურ საფუძვლებზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირება სხვადასხვა გზით ხდება, როგორცაა ბუნებადამზოვი წარმოება, წესები, ნორმები, საკანონმდებლო აქტები, დაბინძურების შემცირებისათვის სუბსიდირების დაწესება, დაბეგვრით სტიმულირება და ა.შ. [14].

XX საუკუნეში ინოვაცია განიხილება, როგორც ქვეყნების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ინოვაციური განვითარების კვლევებისა და დანერგვის მიმართულებით, სხვადასხვა ქვეყნების სტრატეგიებში სხვადასხვა ძირითადი მიმართულება განიხილება. ამდენად, სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებულად აქვთ განხილული ეკოლოგიის ინოვაციური განვითარების სტრატეგია.

ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც დგას ევროკავშირის წინაშე და გარემოს მდგომარეობა წევრ-ქვეყნებში, მიუხედავად მცდელობისა, პროგრესს არ განიცდის. ევროპის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება ნიადაგის გამჟავება, გვალვა, ტყის ხანძრები. ცენტრალურ და სამხრეთ ქვეყნებში აღინიშნება სუფთა წყლის უკმარისობა, გრუნტის წყლის ზედმეტი ექსპლუატაცია, ზოგ ქვეყნებში კი ის ბინძურდება ნიტრატებით, პესტიციდებითა და მძიმე მეტალებით.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკა გარემოს დაცვის საკითხებში მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მისაღწევად:

1. გარემოს ხარისხის დაცვა და გაუმჯობესება;
2. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა;
3. ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება;
4. საერთო-საკაცობრიო ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ღონისძიებათა დასახვა.

ევროკავშირის წვრმა-ქვეყნებმა უნდა დააფინანსონ და გამოიყენონ ევროკავშირის მიერ შემუშავებული გარემოს დაცვის ეკოლოგიური პოლიტიკა [12].

გარემოზე დაკვირვების საფუძველზე აუცილებელი ხდება დაფიქრება ისეთ რთულ თეორიულ საკითხზე, როგორც არის ეკოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, ევროპის ბუნებრივი გარემოს აღდგენა, შენარჩუნება, დაცვა.

დღეისათვის ევროკავშირი არის ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერთაგანი ბუნებათდაცვის ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროში.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება შეიძლება დაიყოს 5 ეტაპად:

პირველი ეტაპი – 1957-1971 წწ., ამ ეტაპზე ეკ-ს არ ჰქონდა კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში, ტარდებოდა გარემოს დაცვის მხოლოდ ერთეული ღონისძიებები. ამ დროს რომის ხელშეკრულებაში (1957) გარემო არ იყო გამოყოფილი, როგორც საერთო ევროპული ინტეგრაციის სფერო. ეკოლოგიის საკითხები რეგულირდებოდა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობით.

მეორე ეტაპი – 1972-1985 წწ., ეს ეტაპი ხასიათდება საწყისი სამთავრობო ღონისძიებებით ეკ-ის მიერ გარემოს დაცვის შესახებ. ამ დროს ფაართოდებოდა ეკ-ს კომპეტენცია, რაც გამოიხატებოდა ცალკეული დირექტივებისა და აქტების გამოცემით გარემოს დაცვის თემაზე.

მესამე ეტაპი – 1986-1991 წწ., ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს ეკ-ის გარემოს დაცვის სფეროში კომპეტენციების გამყარების. ამ ეტაპზე მოხდა რომის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და განისაზღვრა მიზნები და ამოცანები გარემოს დაცვის საკითხებში. პირველად ამ ეტაპზე მოხდა ეკ-სა და მის წევრ ქვეყნებს შორის გარემოს დაცვის სფეროში სუფსიდირების პრინციპის შემოტანა. ამ ეტაპზე ძირითადი შტრიხები ეკ-ის გარემოს დაცვის პოლიტიკის დამთავრდა.

მეოთხე ეტაპი – (1992-2002 წ.) ეს ეტაპი უკვე არის თანასაზოგადოების პოლიტიკის დამთავრება. პოლიტიკის მიზანი და ამოცანები ასეთია:

- გარემოს დაცვა და გაუმჯობესება;
- ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და დაცვა;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიღწევა;
- საერთაშორისო დონის ღონისძიებათა მიმართულება რეგიონულ და

გლობალურ გარემოს პრობლემებზე.

მესუთე ეტაპი - (2003-დღემდე) – ბოლო წლები ეკო-ეკოლოგიური მოღვაწეობისა ხორციელდება ეკოლოგიური კომპეტენციის საფუძველზე, თუმცა ეკოლოგიური მოღვაწეობა დაკავშირებულია სხვა მიმდინარეობებთანაც.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გარემოს დაცვის სამართლებრივი რეგულირება.

გარემოს დაცვა წარმოადგენს ეკო-ეკოლოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ამსტერდამის შეთანხმების (1966 წ.) თანახმად ევროკავშირის ეკოლოგიური მოღვაწეობის პრინციპს წარმოადგენს:

- მოქმედების დასწრების პრინციპი. თანამეგობრობის მოქმედება მიმართულია გაფრთხილებისაკენ. გარემოს დაბინძურებამდე ან რაიმე სხვა ზიანის მიყენებამდე საჭიროა ზომების მიღების დასწრება;

- სიფრთხილის პრინციპი – სამეცნიერო კვლევების შედეგების არარსებობა არ არის იმის საფუძველი, რომ შეიცვალოს ან გადაიდოს დაგეგმილი ღონისძიება. ყოველთვის არ ხერხდება ზუსტად განისაზღვროს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თავდაცვითი ღონისძიების ჩატარება პიპოტენციური შესაძლებლობის დროსაც კი აუცილებელია.

- გარემოზე შედეგის ლიკვიდაციის პრინციპი. ზარალის ანაზღაურების მასშტაბები, როდესაც შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ზარალი, საჭიროა მინიმუმამდე შევამციროდ და შემდეგ აღმოვფხვრათ მოკლე ვადაში;

- დამნაშავე ანაზღაურებს ზარალს – პრევენციული ზომების, დასუფთავების, დაბინძურების კომპენსაციის ხარჯები აკისრია დამნაშავეს, ეს პრინციპი გამოხატავს ფინანსიური სტიმულირების ტენდენციის უპირატესობას ადმინისტრაციული ხასიათის მეთოდებთან, როგორც არის ვალდებულება ან აკრძალვა.

ეს პრინციპები სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნებისათვის.

ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითად ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ისეთი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, როგორც არის კონვენცია და დირექტივი, აგრეთვე რეგლამენტი.

1990 წლიდან ევროკავშირის ეკოლოგიურ პოლიტიკაში აღინიშნა ადმინისტრაციულ ელემენტებზე უარის თქმა და უფრო მოქმედ საბაზრო მექანიზმზე გადასვლა (მაგ. სათბური გაზების ვაჭრობა ქვოტებით ან კიდევ წარმოება პრინციპით „დაყოფილი პასუხისმგებლობა“ მონაწილეებს შორის პასუხისმგებლობის განაწილება: მთავრობა, ბიზნესი, საზოგადოება, მომხმარებელი).

მოქნილი საბაზრო მექანიზმი მისაღებია ყველა პრიორიტეტულ ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროში: კლიმატის შეცვლასთან ბრძოლის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, გარემოს დაცვა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

ასე რომ, საბაზრო ინსტრუმენტები სტიმულირებას უკეთებენ, როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს, ეკო-ფეკტური ბუნებრივი რესურსის გამოყენებაზე და აგრეთვე ინოვაციურ – ბუნებათდამხოცი ტექნოლოგიის განვითარებაზე. გარდა ამის ზემოთ თქმული მექანიზმები პასუხობენ მდგრადი განვითარების მოთხოვნებს.

თანამედროვე საბაზრო ინსტრუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

- **სავაჭრო ნებართვა** – დაბინძურების შემცირებაზე (მაგ. ქვოტი ჩ 2-ის გამონაბოლქვი) ან ბუნებრივი რესურსის ეკონომიაზე (მაგ. ქვოტი თევზჭერაზე);

- **ეკოლოგიური ბეგარა** – შემოდებულია ფასების შეცვლაზე. ამრიგად მომხმარებელისა და მიმწოდებლის პოლიტიკა;

- **ეკოლოგიური შენატანი** – შემოდებულია იმისათვის, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ დაიფაროს ხარჯები ეკოლოგიურ მომსახურებაზე (ზომები წყლის რესურსების გაჭუჭყიანების შემცირებაზე, ნარჩენების დამარხვაზე);

- **ეკოლოგიური სუბსიდირება და ლგოტები** – შექმნილია ახალი ტექნოლოგიების სტიმულირებისათვის, ახალი ბაზრების შექმნითვის, ეკოლოგიური ბაზრებისა და მომსახურების გაძლიერებისათვის, გარემოს კარგი დაცვისათვის.

- **პასუხისმგებლობის და კომპენსაციების სქემა** – რომლის მიზანია ადეკვატური ანაზღაურება გარემოზე საფრთხის აცილებისათვის და შესაბამისად მოსალოდნელი ხარჯების შემცირებისათვის.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უფრო ეფექტურია აღნიშნული ინსტრუმენტების კომბინირებულად გამოყენება. სკანდინავიურმა ქვეყნებმა და ნიდერლანდებმა ყველაზე ადრე დაიწყეს ეკოლოგიური დაბეგვრის გამოყენება, რომლებიც დღემდე ლიდერობენ ამ საკითხში.

მთლიანობაში ეკოლოგიური პოლიტიკა რჩება მნიშვნელოვან მიმართულებად ევროკავშირის მოღვაწეობისა. ამ სფეროში შეიქმნა ფართო ეკოლოგიური კანონმდებლობის სისტემა, რომლის ნორმებიც წარმატებით რეალიზდება პრაქტიკაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებაში, წარმატებით წყვეტს მთელ რიგ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც კონტინენტზე, ისე მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ინსტრუმენტები ეფექტურად გამოიყენება ეკოლოგიურ პოლიტიკაში, შემდეგში კიდევ უფრო გაიზრდება ეკოლოგიური ბეგარა, გადასახადი, ლგოტები (შედავათის), სუბსიდირებები და ა.შ. სავალდებულო გახდება ყველა წევრი ქვეყნისათვის ეკოლოგიური გადასახადების დამატებითი ელემენტების შემოტანა.

ფვიქრობთ, გარემოს დაცვის ეკოლოგიურ პოლიტიკას უფრო მობილურს გახდის თუ საბაზრო მექანიზმებს გავაძლიერებთ ეკონომიკური ინსტრუმენტებით.

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პროცესში სუბიექტებსა და ობიექტებს შორის მყარდება კავშირი კომპეტენციის მიხედვით, რაც მინიჭებული აქვთ სამართლებრივ-ნორმატიული აქტით და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე.

გარემოს დაცვის საქმეში ეკონომიკური მექანიზმების გამოყენების პრინციპებია:

- **ფასიანობა** ეს ნიშნავს, რომ სამეურნეო პროცესში ბუნებრივი რესურსების გამოყენება-ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ საფასურით. (ბუნებრივი რესურსების უსასყიდლოდ გამოყენებამ ხელი შეუწყო მათ მიმართ მუქთა, უყაირათო დამოკიდებულებას, აქედან გამომდინარე გარემოს დაბინძურებაზე და მის დაცვაზე არავინ ზრუნავდა, არავინ იყო პასუხისმგებელი. ბუნებრივი რესურსების უსასყიდლოდამ მოხალეობას ვერ გამოუმუშავა მომჭირნეობისა და დაცვის უნარი).

ბუნებრივი რესურსების გამოყენების ფასიანობა მიმართული იქნა ეკოლოგიურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

გარემოს დაცვის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპი ნიშნავს საზოგადოებისა და ეკოლოგიის ინტეგრირების გონივრულ შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის რეალურ გარანტიას იცხოვროს ჯანმრთელ და

კეთილგანწყობილ გარემოში. მეცნიერული დასაბუთებაა საჭირო ეკონომიკური მექანიზმების ბერკეტების ერთმანეთთან შეთანწობისთვის:

- **ეკოლოგიური პასუხისმგებლობის პრინციპი** – ნახულობს თავის გამოსატყულებას ბუნებათმოსარგებლეთა პასუხისმგებლობაში, რათა აანაზღაურონ ზარალი გარემოს დაბინძურებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებისათვის და საერთოდ ეკოლოგიური კანონდარღვევებისათვის.

- **კომპლექსურობის პრინციპი** – მისწრაფებას ბუნებრივი რესურსების მრავალგზით გამოყენებაზე, მცირე ნარჩენიან და უნარჩენო წარმოების განვითარებაზე, ნედლეულის სრულად გამოყენებაზე. ამ პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტი, რაც სამწესიერად არ სრულდება.

- **საზოგადოების ანგარიშგების პრინციპი** – მოითხოვს წარმოებისა და ეკოლოგიზაციის ურთიერთდაკავშირებას ყოველ კონკრეტულ საწარმოში. თავისი ეკონომიკური ეფექტიანობით, მომგებიანობით, ეს პრინციპი უნდა იყოს საფუძველი ყველა სამრეწველო სფეროს ჩამოყალიბებისას, რადგანაც ის პასუხს აგებს სამეურნეო სუბიექტებისა და საერთოდ საზოგადოების წინაშე.

გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს მთელ რიგ ელემენტებს:

- ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა და მათი რაციონალურად გამოყენების კონტროლი;

- დაგეგმვა;
- რეგულირება;
- ეკონომიკური სტიმულირება;
- ეკონომიკური პასუხისმგებლობა;

თავის მხრივ ყოველა ეს ელემენტი არსებითად წარმოადგენს მართვის ფუნქციას და შეიცავს ისეთ ბერკეტებს, რომლებიც კონკრეტული სახეობის ზეგავლენას ახდენს გარემოს დაცვაზე და გაჯანსაღებაზე.

საქართველო არის ერთ-ერთი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) წევრი 16 სახელმწიფოდან. ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირმა ჩამოაყალიბა პრივილეგირებული პარტნიორობა თავის უახლოეს მეზობლებთან.

საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარემოს დაცვის პოლიტიკას. მნიშვნელოვანია ის ინიციატივებიც რასაც ამ კუთხით ევროკავშირის ოფისი ანხორციელებს საქართველოში.

ბოლო პერიოდში აქცენტი კეთდება გარემოს დაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობის შემუშავებაზე. 2009 წელს რამოდენიმე წლის დაგვიანებით, დაიწყო ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (NEAP), როლის დამუშავება დღესაც მიმდინარეობს.

მომზადების პროცესშია გარემოს დაცვის ახალი კოდექსი, რომელიც გააერთიანებს ძირითადი გარემოს დაცვითი სექტორების ჩარჩო კანონებს.

მზადდება და დღემდე არ არის დამტკიცებული სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია.

ევროკომისია და საქართველოს მთავრობა თანამშრომლობენ წყლის, ნარჩენების მართვისა და ჰაერის ხარისხის საკითხებში.

ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან თანხვედრის მიუხედავად (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საკვების უსაფრთხოება, ენერჯეტიკა და ა.შ.) გარემოს დაცვა საქართველოში მაინც ეკონომიკის განვითარების მუხრუჭად განიხილება [15].

საქართველო ცდილობს ევროკავშირთან დადებული ყველა ხელშეკრულება პირნათლად შეასრულოს.

2014 წლის 19 თებერვალს შეიქმნა სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც დაინტერესებულია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით სოფლის მეურნეობაში, რომელიც დიდი ხანია ჩამოშორებული იყო ინოვაციურ საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Медяник Н.Р. - Стимулирование экологических инновации как приоритетное направление государственной политики в странах европы. cyberleninka.ru/.../stimulirovanie-ekologicheskikh-innovatsiy-kak-prioritetnoe-napravlen...2015.
2. აბესაძე რ. ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი მიმართულებები საქართველოში. „სამეცნიერო შრომათა კრებული პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი ტ. VIII 2015 წ.“
3. Магомедова Х.Л. Экологические инновации как фактор устойчивого социально-экологического развития. scienceforum.74>2013/pdf/437/.pg
4. Богдан Д.И. Инновационная политика европического союза: Новые тенденции. Беларуский экономический журнал 2003 г. №4.
5. Тимонина И. Использование экономических инструментов в экологическом регулировании. Опыт Японии. http://vasilievna.nord.ru/4_6_01.htm
6. გარემოს დაცვა და „პორიზონტი 2020 საქართველოში“
7. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება საქართველოში http://ec.europa.eu/world/enp/pol-icy_en.htm
8. Похолькова М.Ю. Зеленые инновации или эко-инновации - biliofan.n>voew.aspxid=817887.
9. Сергеев В.М. Алехсеев .Э.С. Негаев В.Д. Типология моделей инновационного развития . `Полития` №4 (51) 2008 г.
10. Экологическая ниша - Инновационная политика. studme.org/52469/investirovanie/ekologicheskije_nishi
11. Новая рамочная программа Евросоюза Научно-техническому и инновационному развитию. `Горизонт 2020` с 2014 г.
12. Матвеева Е.В. Экологическая политика Евросоюза. Вестник Нижегородского университета им. Лобочевского 2010 г, №6
13. Колотаевская .И.Ф. Экологические инновации как фактор повышения качества жизни.
14. Земцова Л.В. Экологические инновации и устойчивое развитие. pozniakov.tut.su>somnar/a0102/a024.htm.
15. <http://eeas.europa.eu/enp/indexen.htm>.
16. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – ანგარიში 2013-2014.

*Tina Chkheidze
Lia Dvalishvili*

EU INNOVATION ECOLOGICAL POLICY AND ECONOMIC TOOLS OF ITS IMPLEMENTATION

Annotation

The article shows the urgency of existence of ecological policy . Are discussed the principles of creation of EU innovation ecological policy. Is characterized the history of the politics which is presented in 5 stages. It is shown that EU innovation environmental policy is the world leader in the solution of ecological problems both on the continent and throughout the world.

It is shown that since 1990 the EU ecological policy has moved from the use of administrative elements to the use of more flexible market elements, that EU member states are required to fund and use the environmental policy worked out by EU, and include additional elements in ecological taxes.

The article deals with the initiative of Georgia to insert additional economic instruments in environmental policy of European Neighboring Policy Action Plan.

თინა ჩხეიძე

პორტუგალიის ინოვაციური პოლიტიკა

პორტუგალია ევროპის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოა, პორტუგალია ეტიმოლოგიურად ქალაქ პორტოსაგან არის წარმოქმნილი, პორტო ძველი ლათინური სახელია „PORTUS GALLE – გალების ძველი კელტური ტომების ნავსადგური“ – რომაელები ამ ქვეყანას ლუტიზიანას უწოდებდნენ.

პორტუგალიის სახელმწიფო მდებარეობს პირენეის ნახევარკუთხედზე, ევროპის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პორტუგალიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, ხოლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან – ესპანეთი. პორტუგალიის შემადგენლობაში შედის 5 პროვინცია, ასევე ატლანტის ოკეანეში მდებარე კუთხულები აზორი და მადეირა.

პორტუგალიის სახელმწიფოს ფართობი 92,100 კვ. კმ-ია, მოსახლეობა – 10,102 ათასი, მათ შორის პორტუგალიელები 99,4%-ია. ენა პორტუგალიური. რელიგია – კათოლიციზმი.

უმაღლესი მწვერვალი – პონტადუპიკო (აზორის კუნძულებზე, სიმაღლე 2 351 მ ზღვის დონიდან).

პორტუგალია განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ევპ მოცულობით (109 მილიარდი დოლარი) მსოფლიოში 34-ე ადგილზეა. ევპ ერთ სულზე მოდის 11,01 დოლარი. სოფლის მეურნეობას უკავია 4%, მრეწველობას 36%, ხოლო მომსახურებას 60%.

პოლიტიკური სისტემა – რესპუბლიკა;

სახელმწიფო მეთაური – პრეზიდენტი ანიბალ კაკაუ სილვა;

მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი;

საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი (230 წევრი).

დედაქალაქი ლისაბონი ხასიათდება ზღვის ზომიერი თბილი ჰავით. მოქალაქეები შავი აფრიკელი წარმოშობისანი არიან, რომლებიც დეკოლონიზაციის შედეგად მოხვდნენ პორტუგალიაში.

პორტუგალიის ყოფილი კოლონიებია: ბრაზილია – 1822 წლამდე; გოა – ანექსირებულ იქნა ინდოეთის მიერ 1962 წელს; გვინეა – ბისაუ – 1974 წლამდე; მოზამბიკი კობო – ვერდე – სან-ტომე დაპრინსიპი, ანგოლა და კაბინდა – 1975 წლამდე; ტიმორი ანექსირებული იყო 1976 წელს; მაკაო – 1997 წლამდე.

პორტუგალიის ეკონომიკა – ეკონომიკა მრავალდარგიანია: წამყვანია მომსახურების სფერო; ცუდი მახასიათებლებით გამოირჩეოდა საგადასახადო სისტემა, პროდუქტიულობა, კონკურენტუნარიანობა, ზრდის დაბალი პერსპექტივით და, სამაგიეროდ, ვალების მაღალი დონით. ქვეყანა ძირითადად აწარმოებს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, პორტეინსა და ღვინოს, თევზის კონსერვებს, მანქანათმშენებლობის ნაწილებს.

პორტუგალიაში სუფთა საოჯახო შემოსავალი (ყველა აუცილებელი გადასახადი გადახდის შემდეგ) არის 20 086 დოლარი წელიწადში. ეს არის

ნაკლები, ვიდრე ევროკავშირის საშუალო დონე. მოსახლეობის დასაქმებულთა 61%-ს (15 წლიდან 64 წლამდე) აქვს ხელფასიანი სამუშაო, რაც საერთო მაჩვენებელზე დაბალია (65%).

მამაკაცის ხელფასი საშუალოდ 63%-ია და ქალების 58%.

25 – 64 წლამდე ასაკის მოსახლეობას აქვს საშუალო განათლება, რაც საშუალო მაჩვენებელზე დაბალი.

სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 81 წელია, ქალებში – 94, მამაკაცებში – 77.

პორტუგალია 1986 წელს გაწევრიანდა ევროკავშირში, რის შემდეგაც უკანასკნელ ორ ათწლეულიში დადებითად შეიცვალა მისი მდგომარეობა.

1998 წლიდან გადავიდა ევროზე, აღინიშნა ეკონომიკური ზრდა და ევროკავშირის საშუალო დონეს ბევრად გადააჭარბა.

წარმატების მიღწევა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც სახელმწიფომ საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადა.

დაისახა სტიმულირების ღონისძიებები: მთავრობამ გაზარდა ექსპორტი, გააუმჯობესა შრომის ბაზარი და გაატარა სხვადასხვა სახის სტრუქტურების რეფორმები.

კონკურენტუნარიანობის რეიტინგს ადგენენ საერთო სტატისტიკური მონაცემებით და კომპანიის ხელმძღვანელობის გამოკითხვით. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად 2014–2015 წელში ჩატარებულმა კვლევებმა, სადაც გამოკითხულ იქნა 14 ათასი ბიზნესლიდერი 144 სახელმწიფოდან, აჩვენა, რომ 2014–2015 წლებში რეიტინგის ლიდერი არის შვეიცარია, რომელიც უკვე 6 წელიწადია ლიდერობს. პორტუგალიას კი უკავია 36-ე ადგილი.

პორტუგალია ყოველწლიურად მრავალ ტურისტს იზიდავს, 2006 წელს ქვეყანა 12,8 მლნ ტურისტმა მოინახულა. ტურიზმი მზარდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პორტუგალიის ეკონომიკაში და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 5%-ს აწარმოებს.

მნიშვნელობის თვალსაზრისით, მთავარი ტურისტული არეალებია: ლისაბონი, ალგარვი, პორტუ.

ლისაბონი ბარსელონას შემდეგ მეორე ქალაქია ევროპაში, რომელიც ყველაზე მეტად იზიდავს ტურისტებს. 2006 წელს ქალაქის სასტუმროებში ტურისტთა მიერ ღამის გათევის 7 მლნ შემთხვევა დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 11,8%-ით მეტი იყო. ბოლო წლებში ლისაბონმა გადააჭარბა ალგარვიას – პორტუგალიის მთავარ ტურიტულ რეგიონს. პორტუმ და ჩრდილოეთ პორტუგალიამ განსაკუთრებით კი მდინარე დუეროს ჩრდილოეთით მდებარე ურბანულმა არეალებმა მნიშვნელოვანი ტურისტული ზრდა აჩვენეს და გაუსწრეს მადეირას, 2010 წელს ისინი ქვეყნის მესამე ყველაზე მონახულებადი დესტინაცია იყო. დღეისათვის პორტუგალიაში ჩამსვლელ ტურისტთა შორის ჭარბობენ ბრიტანელები, ესპანელები და გერმანელები, რომლებიც დაბალი ღირებულების ავიახაზებით სარგებლობენ, ჩადიან არა მხოლოდ პლაჟებისა და მზის ხათრით, არამედ ძირითად ეძებენ კულტურულ ძეგლებს, ქალაქებს, კავდებიან გასტრონომიული და საწყალოსნო ტურიზმით.

2014 წლის მაისში პორტუგალიამ ოფიციალურად თქვა უარი სესხის კრედიტზე, რომელიც 2011 წელს მიიღო ევროკავშირისაგან დახმარების სახით. ის გახდა მეორე ქვეყანა ირლანდიის შემდეგ, რომელმაც ასეთი გაბედული ნაბიჯი გადადგა. სწორედ ამით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. სამი წლის მანძილზე პორტუგალიის სახელმწიფო თანმიმდევრულად რეცენზიებს უკეთებდა გარე კრედიტების დანიშნულებას და მიაღწია კიდევ გამარჯვებას. წაიწია რა წინ რეფორმების გზით, შეძლო ბაზრების დაბრუნება. ესპანეთმა და

საფრანგეთმაც მიაღწია არცთუ ცუდ შედეგებს, გადალახეს რა კრიზისული პროცესი. გასულ წელს PIQS-ყველა წევრი, ასე თუ ისე, საშინაო დავალების კარგად შესრულებით გამოირჩეოდა.

პორტუგალია, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, აღმოჩნდა, რომ ამ სახელმწიფოებმა 2008–2010 წლებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, ვერ შეძლეს გარე ვალების მომსახურება, ისინი მძიმე რეცესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მხოლოდ 2013 წელს გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან. ეს ქვეყნები ფლობენ სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო პოტენციალს, მათ სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პრობლემებში და პროცესებში სხვადასხვა მექანიზმები და მათი გადაწყვეტა საშუალებები გამოიყენეს. მიუხედავად ამისა, აქვთ საერთო მნიშვნელოვანი – ფართე მაშტაბიანი გარე მხარდაჭერა, განპირობებული კონკრეტული პროგრამითა და მოთხოვნებით წაყენებული.

ქვეყნების ამ ჯგუფმა, რომლებსაც ანგლოსაქსური ჟურნალისტებისაგან მიიღეს აბრევიატურა PIGS იწყება პორტუგალიით. ქვეყნამ, რომელმაც ირლანდიის შემდეგ, შესძლო გადაეწყვიტა ის რთული ამოცანები, რომელიც მის წინაშე დასვა კრედიტორთა ჯგუფმა და 2014 წელს 17 მაისს ოფიციალურად უარი თქვა საგარეო დახმარებაზე. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით პორტუგალიის სახალხო მეურნეობას არ შეხებია უძრავი ქონების ბაზრის კოლაფსი და საბანკო სექტორის პრობლემები. კრიზისული პროცესების ბუნება ატარებდა უმეტესად სტრუქტურულ ხასიათს. 2008 წლამდე ეკონომიკა იზრდებოდა ნელი ტემპით. ნაციონალური საქონლის კონკურენტუნარიანობა და მომსახურება იყო დაბალ დონეზე. ძლიერმა ევრომ ქვეყნას ნელი დეველპაციის უპირატესობა დააკარგინა, იმპორტის ზრდაზე იმოქმედა და დაამუხრუჭა ექსპორტი, რომელმაც საგარეო ვაჭრობის სადღო მიიყვანა მდგრად უარყოფით სადღომდე. ევრო შინა მეურნეობებისათვის და სამეურნეო სტრუქტურებისათვის იაფი საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა გახდა ძირითადი მიზეზი მათი დავალიანებების მკვეთრი ზრდისა. ეს მიმდინარეობდა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის გაუარესების ფონზე. სახელმწიფო ვალი 2009 - 2010 წლებში 76%-დან – 97%-მდე გაიზარდა მშპ.

2010 წელს პორტუგალიის მთავრობამ მიიღო „კრიზისიდან გამოსვლის“ პროგრამა, რომელიც პირველ რიგში ითვალისწინებდა სახელმწიფო ხარჯების შემცირებასა და გადასახადების გაზრდას. პარლამენტმა არ მიიღო ეს პროგრამა, რის გამოც მთავრობა 2012 წელს გადადგა, რადგან არ აქონდა შესაძლებლობა სახელმწიფო ვალების რეფინანსირებისა. პორტუგალიის მთავრობამ მიმართა საგარეო კრედიტორებს. შედეგად იმავე წელს ევროკავშირმა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად და ეკონომიკის რეფორმის გასატარებლად პორტუგალიასთან ხელი მოაწერეს სამ წლიან პროგრამას. გასწეს 78 მილიარდიანი ევროს საკრედიტო ხაზი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის ფინანსური სფეროს სტაბილიზაციაში.

კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად მთავრობამ განახორციელა ხისტი რესტრიკულაციური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო სახ. ბიუჯეტის ხარჯების შემცირების, გადასახადების ზრდის, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციისა და შრომის ბაზრის ლიბერალიზაციაზე. გარდა ამისა მათ შორის იყო თანამშრომელთა დათხოვნისა შრბილებული რეჟიმი, განათლების სისტემის გაუმჯობესება. სპეციალური კომისია რეგულარულად ამოწმებდა პროგრამის შესრულებას და შესაბამისად შეიმუშავებდა რეკომენდაციებს შემდეგი კრედიტების გამოყოფაზე.

ხისტი ზომების მიღების შედეგად 2013 წელს პორტუგალიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა 2,6%-ით მშპ, რომელიც უფრო მცირე იყო

ვიდრე პროგრამით გათვალისწინებული. გაიზარდა სახელმწიფო უზრუნველყოფის საგარეო და საშინაო ფინანსირების შესაძლებლობა, 2014 წლის ბოლასათვის არსებითად შემცირდა სახელმწიფო აუცილებლობის საპროცენტო გადასახადი.

2006 წლის დასაწყისში პორტუგალიაში გავრცელებულ ათწლიან ობლიგაციებზე საშუალო შემოსავალმა მიაღწია 3,58%, რაც თავისი დაბალი დონით რეკორდული მანველებელი იყო. ექსპორტის წილი მშპ 2009- 2013 წლებში 28%-დან 41%-მდე გაიზარდა. საგარეო ბაზარზე გადამამუშავებელმა საწარმოებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები როგორცაა ფეხსაცმელების წარმოება, მომსახურების სექტორმა დაიწყო დინამიური განვითარება. აღინიშნა პოზიტიური ტენდენცია ეკონომიკაში. გამოიკვეთა საზღვარგარეთის ინვესტიციების დაბრუნების ტენდენცია.

2014 წლის მაისში პორტუგალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სამწლიან პროგრამას თვლის შესრულებულად და მზად არის უარი თქვას შემდეგი საგარეო კრედიტისაგან, რადგანაც დამოუკიდებლად შეუძლია დაფაროს საგარეო საფინანსო ვალეები.

თანამედროვე სამყაროში ნაციონალური კეთილდღეობის ძირითადი ფაქტორი, როგორც ჩანს, არის ინოვაციური აქტივობა, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც ერის აყვავების უშუალო მიზეზი, რომელსაც უკავია ლიდერის პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების ეპოქაში უპირატესობას იმსახურებს ის ქვეყანა სადაც ინტელექტუალური პოტენციალი აქტიურად გამოიყენება, მეტი უპეების მიღების მიზნით კი სამეცნიერო კვლევის სფეროდან.

ბოლო წლებში ისეთი ქვეყნები როგორცაა: აშშ, ევროპის წევრი ქვეყნები, ჩინეთი, აბანდებენ სულ უფრო და უფრო მეტ საშუალებებს მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კვლევებში. მთავრობა სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას გამოხატავს უნივერსიტეტების სამეცნიერო პროექტებისადმი, რომლებთაც შეიძლება კონკრეტული კომერციული გამოყენება. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებაში ჩადებულ ინვესტიციებს, რომელიც გამოიყენება მეცნიერებაში. მხარს უჭერს უნივერსიტეტებს, სამეცნიერო და კვლევით კომპანიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური განვითარების პრინციპებს ყველა ქვეყანა თავდადებით ეთანხმება (იზიარებს) მაინც ყველა ქვეყანას ახასიათებს რაიმე თავისებურება. რომელიც მუდამდებდა მის საინოვაციო პოლიტიკაში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა სამეცნიერო – ინოვაციურ სექტორში შეუფერხებლად იზრდება. სექტორის კვლევისათვის და განვითარებისათვის ჩადებული საერთო თანხამ 2009 წელს მიაღწია 2,791 მლნ ევროს (1,71% მშპ), რომელიც 10 %-ით მეტია, ვიდრე 2008 წლისა. ბოლო წლებში საგრძობლად იმატა კაპიტალ დაბანდებებმა მეცნიერებაში, მსხვილ არასამთავრობო კომპანიებსა და კორპორაციებში. ასეთმა ინვესტირებამ შეადგინა საერთო ჯამის 58%, რომელიც შეესატყვისება 0.78% მშპ-ს.

მიხედვად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა ლისაბონი არ ფიქრობს შეამციროს გამოყოფილი სახსრები საინოვაციო სექტორისათვის. ამჟამად ბიუჯეტში 2011 წ. მეცნიერების დაფინანსებისათვის გამოყოფილია 2,192 მლნ ევრო, რომელიც სულ მცირედით არის ნაკლები 2010 წელთან (3,2%) შედარებით.

რეფორმის განმეორების აუცილებლობა

მიუხედავად უცილობელი წარმატებებისა, რომელსაც პორტუგალიამ მიაღწია სამი წლის განმავლობაში, რჩება კვლავ გადაუჭრელი მთელი რიგი მაკროეკონომიკური პრობლემები, როგორც არის: ფინანსური საშუალებების ხელმისაწვდომობა, ბიუროკრატია სახელმწიფო სტრუქტურებში, გადასახადების მაღალი მანვენებელი და გადასახადების რეგულირება, პოლიტიკური არასტაბილურობა, შრომის ბაზრის დარეგულირება. ამ პრობლემების დაძლევის შემდეგ პორტუგალია შეძლებს არსებითად აიმაღლოს თავისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

2013 წელს შემოდგომაზე პორტუგალიის ეკონომიკის ახალმა მინისტრმა ანტონიო პირემ დე ლიმამ ქვეყნის სამრეწველო წლის ძირითად მამოძრავებელ ძრავად ეკონომიკა გამოაცხადა. აღნიშნული სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს: ექსპორტის გაზრდა, ინვესტიციების ქტივობის მხდაჭერა, მოხმარების ზრდის შემცირება და სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესება. დაწყებული 2014 წლიდან მოსალოდნელია ვვპ-ს თანდათანობით გაზრდის ტემპი, ინვესტიციური პროცესების აქტივიზაცია და ნაციონალური მეურნეობის ინტეგრაციის მხარდაჭერა მსოფლიო ეკონომიკაში. 2015 წლიდან პროგნოზირებადია დასაქმების ზრდა.

პორტუგალიას აქვს თავისი სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის ხანგრძლივი დროის სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://epp.eurostat.ec.europa.eu/cahe/ITY_OFFPUB/KS-GL-14-002/EN/KS-GL-14-002-EN.PDF
2. WWW.OECDBETTERLIFEINDEX.ORG/.../PORTUGAL-RU
3. <https://ka.wikipedia.org/wiki/portugalia>
4. gtmarket.ru>...>
5. npk-ste.ru/news/read44.html
6. В. БЕЛОВ – Португалия и группа PIGS основные уроки выхода из кризиса – РСМД. 25/06/2014

Tina Chkheidze

INNOVATION POLICY OF PORTUGAL Annotation

The article discusses social-economic situation of Portugal , as the EU member state before and after joining it.

It is shown that Portugal has taken a bold move and refused to support the extension of the loan which was provided by European Union. Thus, Portugal became leader (after Ireland) attracting the world attention.

In three years Portugal has achieved economic success through the rigid policy of “tightening the belts” and freed from the external debts.

ზურაბ ნოზაძე

რუმინეთის ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკა

რუმინეთი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, მდინარე დუნაის აუზში, მისი ფართობი შეადგენს 238381 კმ².

აღმოსავლეთით ქვეყანას ესაზღვრება შავი ზღვა, რომელიც გადაჭიმულია 225 კმ-ზე რუმინეთის ნაპირებზე. ჩრდილო-აღმოსავლეთით რუმინეთს ესაზღვ-

რება მოლდოვა, ჩრდილო-დასავლეთით – უნგრეთი, სამხრეთ-დასავლეთით – სერბეთი, სამხრეთით – ბულგარეთი, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით – უკრაინა. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა რუმინეთს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას აძლევს. მას მეგობრული და სხვადასხვა სახის საქმიანი კავშირები აქვს მეზობელ ქვეყნებთან. რუმინეთის რელიეფი უფრო მეტად მთიანია, დაბლობი რელიეფი მთელი ტერიტორიის მხოლოდ 33%-ს შეადგენს.

რუმინეთს გააჩნია წიაღისეული სიმდიდრეები: ბუნებრივი გაზი, ქვის მარილი, ნავთობი, ოქრო, მარგანეცი. არის აგრეთვე ქვანახშირის მცირე საბადო, რომელიც ამჟამად ექსპლუატაციაში არ გამოიყენება. თანამედროვე რუმინეთი მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს ალუმინით, ცინკით, მარგანეცით, თუმცა მათი საბადოები არც ისე დიდია, რომ ექსპორტზე გაიტანონ. რუმინეთის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს აგრეთვე ხე-ტყე, რომლის ფართობი შეადგენს 24%-ს. რუმინეთის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა მსხვილი საზღვაო პორტები; რუმინეთში ამინდი ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის, ასევე ტურისტული დარგების წარმატებული განვითარებისა და წინსვლისათვის.

რუმინეთის მოსახლეობა შეადგენს 21904551 ადამიანს, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 84 ადამიანს 1 მ²-ზე. 2002 წლიდან შეიმჩნევა მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მრავალწლიანი ტენდენცია.

რუმინეთის ძირითად ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ რუმინელები – 88,6%; ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ უნგრელები – 6,5%, ბოშები – 3,2%, აგრეთვე უკრაინელები, გერმანელები, თურქები და სხვა ეთნიკური ჯგუფები. სახელმწიფო ენას წარმოადგენს რუმინული, ცალკეული ჯგუფები საუბრობენ გერმანულ, უნგრულ, თურქულ და სხვა ენებზე.

უმსხვილეს ქალაქებს მიეკუთვნება: ბუქარესტი – 2354510 ადამიანი, კონსტანცა – 350526 ადამიანი, ბუქარესტი – 2354510 ადამიანი, კლუჟ-ნაპოკა – 318027 ადამიანი. მოსახლეობის 43% ცხოვრობს სოფლად. რუმინეთის მოსახლეობის 48,7%-ს შეადგენს მამაკაცები, 51,3%-ს – ქალები.

რუმინეთი ევროპის ქვეყნებს შორის დაბადებულთა მაღალი დონით გამოირჩევა. ბავშვების ხვედრითი წილი უფრო მაღალია მოხუცებულ მოსახლეობასთან შედარებით.

რუმინეთში არ არის ოფიციალური რელიგია, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია – 86,8%, 6,0% – პროტესტანტები, 4,7% – კათოლიკები, 2,4% – სხვა რელიგიის მიმდევრები (ძირითადად მუსლიმები). მმართველობის ფორმა – რუმინეთი არის შერეული სახის (საპარლამენტო-საპრეზიდენტო) რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ფართო უფლებები აქვს პოლიტიკურ საკითხებში. პრეზიდენტს ირჩევენ 5 წლის ვადით. ის წარმოადგენს რუმინეთის სახელმწიფოს და არის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, რუმინეთის პრეზიდენტი არის ქვეყნის მთავარსარდალი, თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის შესრულებას და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებას.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატისაგან: სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. პარლამენტი ირჩევენ 4 წლით პირდაპირი, საერთო, თანაბარი არჩევნების გზით. პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს, სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტს, აცხადებს და წყვეტს საომარ მოქმედებებს, განიხილავს უმაღლესი სამხედრო საბჭოს და კონტროლის პალატის ანგარიშს, პრეზიდენტის

წინადადებით ნიშნავს საინფორმაციო სამსახურის დირექტორს და ახორციელებს ამ სამსახურის კონტროლს.

რუმინეთის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოდგენს მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. მას ამტკიცებს პარლამენტი და უფლებავალდებულება მის წინაშე. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მთავრობას, დეპუტატებს, სენატორებს, აგრეთვე არაუმცირეს 250,000 მოქალაქის ხმის უფლებით. ქვეყანაში არის 100-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. პარლამენტის ფორმირება ხდება პარტიული სიების მიხედვით ერთ ტურად, დაწესებულია 5%-ანი ბარიერი პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური გაერთიანებებისათვის. კანდიდატის დასახელება და დანიშვნა პრემიერ-მინისტრად ხდება პრეზიდენტის კონსულტაციით პარლამენტის უმრავლეს პარტიასთან. ძირითადი მოქმედი პარტიებია: ნაციონალურ-ლიბერალური პარტია, პარტია დიდი რუმინეთი, სოციალ-დემოკრატიული პარტია, დემოკრატიულ ლიბერალური პარტია და სხვა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დონეზე მოქმედებს ავტონომიისა და დეცენტრალიზაციის პრინციპი, მხარეების მეთაურია პრეფექტი, რომელსაც ნიშნავს მთავრობა. პრეფექტი არის მთავრობის წარმომადგენელი ადგილობრივ დონეზე.

რუმინეთის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

რუმინეთის რესპუბლიკა არის ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა. ტრადიციულად გამოირჩევა ეკონომიკის განვითარების შედარებით დაბალი დონით (ევროპის თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან შედარებით). რუმინეთის ეკონომიკა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტით არის მე-11 ადგილზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის, მაგრამ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს საერთო ევროპული დონის 46%. რუმინეთის ეკონომიკის კაპიტალური ორიენტაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფორმალური დასახლების ძალიან დაბალი დონე. 2013 წელს მოსახლეობის 20 მილიონი რაოდენობიდან მხოლოდ 5 მილიონს შეჰქონდა თავისი შრომითი შემოსავლებიდან გადასახადი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში. დანარჩენები იყვნენ პენსიონრები, ბავშვები, უმუშევრები. ნაწილი მიმართავდა ნატურალურ მეურნეობას ან დაკავებული იყო არაფორმალურ სექტორში, ცხოვრობდა საზღვარგარეთიდან შემოსავლების გამომუშავების ხარჯზე.

რუმინეთში ეკონომიკური გარდაქმნა დაიწყო 1989 წლიდან, როდესაც ქვეყანა გადავიდა კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე. 2000 წელს რუმინეთში დამთავრდა ეკონომიკის 3 წლიანი ვარდნა, რომელიც გამოწვეული იყო ევროკავშირის მაღალი მოთხოვნილების შედეგად ბაზარზე. საშინაო მოთხოვნილებამ და ინვესტიციებმა გამოიწვია არა მარტო ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა, არამედ ქვეყნის მაღალი საგადაამხდელი ბალანსის არამდგრადობა. რუმინეთის მაკროეკონომიკურმა მოგებამ დაიწყო საშუალო კლასის სტიმულირება და ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ. კორუფცია და ბიუროკრატიზმი განაგრძობენ ბიზნეს წრეებში შეღწევას. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად რუმინეთს მოუწია კრედიტის აღება მსოფლიოს სავალუტო ფონდის, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო კრედიტორებისაგან. საერთო ჯამში 26 მლრდ დოლარის ოდენობით. 2009 წლიდან 2011 წლამდე შეინიშნებოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემცირების ტენდენცია. 2011 წლის მარტში რუმინეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკთან კრედიტს 6,6 მლრდ დოლარი საერთო რაოდენობით, რომელიც გამოყენებულ იქნა რუმინეთის ფინანსური განვითარების, სტრუქტურული

რეფორმის პროგრესის წახალისებისა და საფინანსო სექტორის სტაბილურობის განმტკიცებისათვის. 2013 წლის სექტემბერში რუმინეთმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან კიდევ მიიღო 5,4 მლრდ დოლარი რეფორმის გასაგრძელებლად. ამჟამად რუმინეთი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის მიხედვით 48-ე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში. 2013 წელს ერთობლივმა საზოგადოებრივმა პროდუქტმა რუმინეთში შეადგინა 183,8 მლრდ დოლარი. 2011 წლიდან 2013 წლამდე პერიოდში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 12800 დოლარიდან 13200 დოლარამდე. ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში საშინაო მეურნეობის მოთხოვნილება შეადგენს 72,7%-ს, სახელმწიფო მოთხოვნილება – 6,7%-ს, ძირითად კაპიტალზე ინვესტიცია – 25,9%. ინვესტიცია მარაგებზე – 0,2%-ს, საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე – 41,2%, საქონლისა და მომსახურების იმპორტზე – 46,6%.

რუმინეთის ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: მანქანები და მოწყობილობები, მეტალები და მათგან ნაწარმოები პროდუქცია, ტექსტილი და ფეხსაცმელი, ქიმიკატები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მინერალები და სათბობი. რუმინეთი ექსპორტს აწარმოებს შემდეგ ქვეყნებში: გერმანია – 18,9%, იტალია – 12,3%, საფრანგეთში – 7,1%, თურქეთში – 5,5%, უნგრეთში – 5,5%. 2013 წელს ექსპორტის საერთო მოცულობამ შეადგინა 61,24 მლრდ დოლარი. ძირითად იმპორტირებულ საქონელს წარმოადგენს მანქანები და მოწყობილობები. ქიმიკატები, სათბობი და სასარგებლო წიაღისეული, მეტალები, ტექსტილი, პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. რუმინეთში საქონელი იმპორტირდება შემდეგი ქვეყნიდან: გერმანიიდან – 17,5%, იტალიიდან – 11%, უნგრეთიდან – 9,1%, საფრანგეთიდან 5,7%, რუსეთიდან – 4,4%.

2013 წელს იმპორტის საერთო მოცულობამ შეადგინა 69,18 მლრდ დოლარი. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შემადგენლობაში შედის სოფლის მეურნეობა – 10,8%, მრეწველობა – 37,4%, მომსახურების სფერო – 51,8%. რუმინეთში უმუშევრობის დონე არის 4,8% (42-ე ადგილი მსოფლიოში).

რუმინეთის ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს 58,77 მლრდ დოლარს, ხარჯები კი 62,99 მლრდ დოლარს. ბიუჯეტის დეფიციტი ტოლია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 2,3%-ისა. რუმინეთის სახელმწიფო ვალი 2013 წელს შეადგენდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 36,7%, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი იყო 37,2%, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუმინეთის სახელმწიფო ვალი მცირდება.

- რუმინეთში უცხოური ვალუტისა და ოქროს რეზერვი შეადგენს 53,41 მლრდ დოლარს, ქვეყნის საგარეო ვალი ტოლია 130,4მ მლრდ დოლარისა.

- რუმინეთის ეკონომიკური თავისუფლების დონე შეადგენს 65,5%, რაც რუმინეთს ამკვიდრებს 62-ე ადგილზე თავისუფლების ხარისხის მიხედვით (2014 წლის შეფასების მიხედვით). მოცემული შეფასება გაიზარდა 0,4 პუნქტით წინა წელთან შედარებით.

- ფულად-საკრედიტო თავისუფლების, კორუფციიდან თავისუფლების და თავისუფალი ვაჭრობით რუმინეთს ევროპაში უკავია 29-ე ადგილი, ხოლო მისი საერთო ბაღი უფრო მაღალია ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. 20 წლიანი ისტორიის მანძილზე ინდექსის დონე რუმინეთში გაიზარდა 23 პუნქტით. ეს არის მე-8 საუკეთესო მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში.

- რუმინეთში მიმდინარე ღრმა ინსტიტუციური რეფორმები, კერძოდ კორუფციის აღმოფხვრის, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის – წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

ცხრილი 1

**ძირითადი საქონელი და მათი წილი რუმინეთის
საერთო იმპორტში 2013 წელს**

საქონლის დასახელება	იმპორტი მლნ ევრო	წილი %
ელექტრონული მოწყობილობა	11189	20,77%
მანქანები, ატომური რეაქტორები	9014	16,33 %
ნავთობი, გადაუმუშავებელი ნედლეული	7247	13,13 %
ავტომობილები	5038	9,69 %
რკინა, ფოლადი და მათგან დამზადებული ნაკეთობა	4784	9,2 %
პლასტიკატი და მისგან დამზადებული ნაკეთობა	3619	6,96 %
ფარმაცევტული პროდუქცია	3328	6,4 %
კაუნუკი დამისგან დამზადებული ნაკეთობა	1414	2,72 %
ოპტიკური, ტექნიკური და სამედიცინო მოწყობილობა	1222	2,35%
ქალაღდი	1035	1,99 %

ცხრილი 2

**ძირითადი საქონელი და მათი წილი რუმინეთის
საერთო ექსპორტში 2013 წელს**

საქონლის დასახელება	ექსპორტი მლნ ევრო	წილი %
ელექტრონული მოწყობილობა	7380	14,91%
ავტომობილები	7058	14,26 %
მანქანები, ატომური რეაქტორები	5068	10,24 %
რკინა, ფოლადი და მათგან დამზადებული ნაკეთობა	3192	6,45 %
ნავთობი, გადაუმუშავებელი ნედლეული	2732	5,52 %
მარცვლეული კულტურები	1989	4,02 %
ტანსაცმელი, აქსესუარები	1915	3,87 %
ხე-ტყე და ხის ნაკეთობა	1876	3,79 %
კაუნუკი და კაუნუკის ნაკეთობა	1826	3,69%
აგეჯი, განათება, ასაწყოები ნაგებობა	1206	3,65 %

ცხრილი 3

**ძირითადი მომსახურება და მათი წილი რუმინეთის
მომსახურების საერთო იმპორტში 2012 წელს**

მომსახურების დასახელება	იმპორტი ათასი ევრო	წილი %
სხვადასხვა საქმიანი მომსახურება	1917,1	26,38 %
მოგზაურობა	1430,1	19,68 %
ტრანსპორტი	1323,2	18,21 %
ფინანსური მომსახურება	453,5	6,24 %
კომპიუტერული და ინფორმაციული მომსახურება	382,9	5,27 %
სამშენებლო სამუშაოები	371,7	5,12 %
სალიცენზიო გადასახადები	349,3	4,81 %
პირადი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება	333,2	4,58 %
კავშირგაბმულობის მომსახურება	318,8	4,39 %
დაზღვევის მომსახურება	291,2	4,01 %
სახელმწიფო მომსახურება	95,1	1,31 %

ძირითადი მომსახურება და მათი წილი რუმინეთის მომსახურების საერთო ექსპორტში 2012 წელს

მომსახურების დასახელება	ექსპორტი მლნ. ევრო	წილი %
ტრანსპორტი	2488,1	29,1 %
სხვადასხვა საქმიანი მომსახურება	2151,2	25,59 %
მოგზაურობა	1143,6	13,6 %
კომპიუტერული და ინფორმაციული მომსახურება	1127,3	13,41 %
კავშირგაბმულობის მომსახურება	437,6	5,21 %
სამშენებლო სამუშაოები	282,5	3,36 %
სალიცენზიო გადასახადები	272,4	3,24 %
ფინანსური მომსახურება	241,9	2,88 %
დაზღვევის მომსახურება	123,5	1,47 %
პირადი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება	74	0,88 %
სახელმწიფო მომსახურება	65,2	0,78 %

რუმინეთის რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დინამიკა 2006-2012 წლებში

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ესპ მლრდ დოლარი	122,7	170,6	204,3	164,3	164,8	182,6	169,4	183,8

Zurab Nozadze

INNOVATION ECONOMIC POLICY OF ROMANIA

Annotation

In the work the geographical location, ethnical and religious make up of population, political system of Romania are described.

The concrete mechanism of the development of infrastructure of innovative activity in Romania are considered at the national, regional and local levels;

the corresponding governmental resolutions concerning the corresponding issues are analyzed;

the economical and legislative mechanisms of intellectual property protection, the forms of stimulation of intellectual property and innovation processes of the attraction of investments in Romania are given;

the concrete proposals of harmonization of intellectual property are given;

innovation system of export and import circulation, dynamics and structure, the corresponding mechanism of stimulation of attraction of foreign investments are considered.

The issues of coordination of creating and functioning of free economic zone, the main rulings of licensing in Romania for carrying out the innovation projects are considered.

ღანიის ინოვაციური პოლიტიკა

ევროკავშირი (EU) ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული წარმონაქმნია მსოფლიოში და თავისთავად ინტეგრაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. EU-მა თანმიმდევრულად გაიარა ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა და ამჟამად პოლიტიკური გაერთიანების ძალიან მაღალ სტადიაზე იმყოფება. დღესდღეობით EU თავისთავად წარმოადგენს უმძლავრეს ეკონომიკურ ბლოკს, რომელსაც უნარი აქვს, რეალური კონკურენცია გაუწიოს აშშ-სა და იაპონიას.

მთლიანად ევროკავშირი (ნაწილობრივ გამოწვევისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა) არის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების გაერთიანება. მისი წევრი 27 დემოკრატიული სახელმწიფოა.

თავისი არსებობის მანძილზე კავშირი 6-ჯერ გაფართოვდა. 1973 წლამდე კავშირის წევრი მხოლოდ 6 ქვეყანა იყო. დანია, ევროკავშირის გაერთიანებაში, მისი პირველი გაფართოების შემდეგ, 1973 წელს შევიდა ბრიტანეთსა და ირლანდიასთან ერთად.

ევროპულ კავშირს გააჩნია მდიდარი და მრავალგვარი ცივილური და ინსტიტუციური რესურსი. მრავალგვარობა აუცილებელი პირობაა სისტემის მდგრადი განვითარებისათვის. EU-ს ხალხებს გააჩნიათ ძველი კულტურა, თვითმყოფადი ხასიათები და EU-ის ქვეყნებს თავის განკარგულებაში აქვთ მთელი სპექტრი აპრობირებული და სავსებით ეფექტიანი სამართლებრივი სისტემებისა, EU-ის სახელმწიფოებმა ძალაუფლების მრავალგვარი სისტემა გამოიმუშავეს.

დასავლეთევროპელებმა თავისი განსაცვიფრებელი ენერჯით, ნებისყოფით და მრავალსაუკუნოვანი მიზანმიმართული საქმიანობით შეძლეს მსოფლიოს ცენტრში დაეყენებინათ თავიანთი პატარა ნახევარკუნძული. სწორედ აქ შეიქმნა ევროპელი ადამიანის საოცარი ფენომენი, მარად მაძიებელი, დაუკმაყოფილებელი, შემოქმედებითი, შემეცნების წყურვილით შეპყრობილი და ძალაუფლებისკენ მსწრაფი.

როგორც ჩანს, ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბუნებრივმა პირობებმა, ევროპული პეიზაჟების უდავოდ საოცარმა მრავალფეროვნებამ. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პეიზაჟის მრავალფეროვნება აღვიძებს ადამიანის წარმოსახვასა და შემოქმედებით აქტიურობას. ასეა ეს თუ არა, უცნობია, მაგრამ, ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპის სუბკონტინენტის ხალხები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ავლენენ შესაშურ აქტიურობას. ბოლო ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში ევროპელები უდავოდ მოწინავენი არიან მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში.

ბუნებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამრეწველო განვითარებაზეც იზრუნა, როცა ევროპის ცენტრში მოათავსა მდიდარი და იოლად მისაწვდომი ნახშირის საბადოები და რკინის მადნები.

მაგრამ ევროპის მთავარი სიმდიდრეა შეუდარებელი ცივილური რესურსები. ევროკავშირში შემავალი 27 ქვეყნიდან, სულ მცირე 9 თავისი განვითარების განსახლდრულ ეტაპზე თამაშობდა წამყვან როლს კაცობრიობის განვითარებაში და რეალური პრეტენზია ჰქონდა დიდი სახელმწიფოს წოდებაზე. ამ ქვეყნებს შორისაა დანიაც.

დანია – სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს იუტლანდიის ნახევარკუნძულზე, უამრავ დიდსა თუ მცირე ზომის კუნძულებზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის დანიის არქიპელაგს. ქვეყნის ტერიტორია 43 ათ. კვ. კილომეტრია, მოსახლეობა – 5,6 მილიონი. დანიის მოქალაქეთაგან 2,9 მლნ ადამიანი ეკონომიკურად აქტიურია.

დანიაში დემოგრაფიულ მდგომარეობას უფრო იმიგრანტთა დიდი რაოდენობა აუმჯობესებს, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივი მატება.

დანია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა განვითარების მაღალი დონით. ფლობს ერთ-ერთ საუკეთესო ეკონომიკურ სისტემას ევროპაში. ის ხასიათდება ბალანსირებული ბიუჯეტით, სტაბილური ვალუტით, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ინფლაციის და უმუშევრობის დაბალი დონით. მისი მშპ – 258,782 მილიარდი ამერიკული დოლარია, მოსახლეობის ერთ სულზე კი – 45723\$. მშპ-ის ზრდის ტემპი 1,6%-ია (2015 წ. მონაცემებით).

დანია ევროპის ყველაზე წარმატებულ რეგიონში მდებარეობს. მისი ადგილმდებარეობა ხელს უწყობს მის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს როგორც ჩრდილოეთის, ასევე დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

დანის მთავარი სავაჭრო პარტნიორია გერმანია. შემდეგ მოდის შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია. არაევროპელი პარტნიორებია – აშშ და იაპონია. აშშ-ს ძირითადად გააქვს ქიმიური, ფარმაცევტული, კვების და გადაამუშავებული მრეწველობის პროდუქცია. ქვეყნის ექსპორტი 50%-ს შეადგენს. საექსპორტო მოცულობის 67% მიმართულია ევროკავშირის ქვეყნებისაკენ. დანია სურსათის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა.

ქვეყნის ექსპორტის მოცულობა 94,1 მლრდ ამერიკული დოლარია, იმპორტის – 83,8 მლრდ (2015 წლის მონაცემებით).

ქვეყნის წამყვანი დარგებია: ლითონგადამუშავება, გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური და კვების მრეწველობა. მთავარ ადგილს იკავებს დანის ტრადიციული და შემოსავლიანი დარგი – თევზჭერა. ქვეყანა წამყვან პოზიციას ინარჩუნებს გემთმშენებლობაში.

საკმაოდ ინტენსიურად აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ძირითადად, მეცხოველეობის სპეციალიზაციით. აქ ერთი ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქცია საკმარისია 80-ზე მეტი ადამიანის გამოსაკვებად. შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა (რეალიზაციის ფასის დაახლოებით 35%) ფერმერებს აძლევს საშუალებას, შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა.

დანია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (ნავთობი, ბუნებრივი აირი, თევზი, მარილი, კირქვა...).

დანია აწარმოებს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებას. ენერჯიას განახლებადი ენერჯიის წყაროებით იღებს (განსაკუთრებით ქარის ენერჯია). ალტერნატიული ენერჯიის მოხმარება დანის მთავრობის მიერ იმართება. დანიური ფირმები მსოფლიოში ქარის ტურბინების 38% აწარმოებენ.

დანის ეკონომიკის და შრომითი ბაზრის უმთავრეს ნაწილს შეადგენს მომსახურების სფერო. მომსახურების სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმი. დანიაში ტურიზმს საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 12% მოაქვს.

დანის ეკონომიკა მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. მშპ-ის 69% იქმნება მომსახურების სფეროში, 27% – მრეწველობაში და მხოლოდ 4% სოფლის მეურნეობაში.

საქონელბრუნვის მოცულობით 1 სულ მოსახლეზე დანია მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება.

დანია ფლობს მაღალტექნოლოგიურ მეურნეობებს, თანამედროვე მცირე და მსხვილ სამრეწველო საწარმოებს, მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას, ცხოვრების მაღალ დონეს. იგი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ქვეყანაში პერსონალური კომპიუტერების გავრცელებაში (100 მცხოვრებზე 40 პერსონალური კომპიუტერი). ამ საქმიანობაში ჩართულია 8,5 ათასი ფირმა.

დანის ეკონომიკის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფოს აქტიური როლი და ბაზრის საკმაოდ მკაცრი რეგულირება. ეს მუდავნდება საბიუჯეტო დანახარჯების მაღალ წილში EU-ის მშპ-ში. დანია არა მარტო ბაზრის რეგულატორად, არამედ აქტიურ მეწარმედაა მიჩნეული. ის ძლიერია ფინანსური მომსახურების სფეროშიც. მიმდინარეობს EU-ის ქვეყნების ფინანსურ სისტემებთან თანდათანობით შეზრდა და ასე მიდიან ერთიან სტანდარტებამდე.

ევროკავშირში დანია გამოდის ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკით. ქვეყანა ცნობილია თავისუფალი ვაჭრობის დამცველად ევროკავშირში. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით დანიის ეკონომიკა შეფასებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი. ძლიერადაა დაცული საკუთრების უფლება.

მსოფლიო ბანკის თანახმად, დანიას ევროკავშირში ყველაზე თავისუფალი შრომითი ბაზარი აქვს. მსოფლიო ბანკი დანიას ევროკავშირში ბიზნესის ყველაზე ადვილად კეთების ადვილად მიიჩნევს. ბიზნესის წამოწყება შესაძლებელია რამდენიმე საათში ძალიან დაბალ ფასად.

დანიას კომპანიების დაბეგვრის საკმაოდ კონკურენტუნარიანი მაჩვენებელი – 25% აქვს. საგადასახადო სისტემა მტკიცედ ეფუძნება 25%-იან „დამატებითი ღირებულების“ გადასახადს, ასევე საშემოსავლო და სხვა გადასახადებს. 2011 წელს გადასახადების ზღვრული მაჩვენებელი 46% იყო.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დანიაში ყველაზე დაბალია ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელი. IMF-ის თანახმად, ყველაზე მაღალია სახელფასო მინიმუმი. 2015 წლის მონაცემების საფუძველზე უმუშევრობის დონე 4,7% იყო. ინფლაციის კი – 0,6%.

ქვეყანაში მოქმედებს მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა. ბიუჯეტის 50 % სოციალური მიზნებისათვის იხარჯება.

ხშირად დანიას მიიჩნევენ ყველაზე ბედნიერ და ყველაზე არაკორუმპირებულ ქვეყნად მსოფლიოში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, რომელიც აისახა კორუფციის აღქმის ინდექსების რეიტინგში, 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული იყო დანია და ის მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის პირველია, ხოლო ყველაზე მეტად კორუმპირებული – რუმინეთი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოთა შორის 69-ეა.

2011 წელს დანიას ეკავა მე-16 ადგილი ადამიანური განვითარების ინდექსში, მე-3 ადგილი დემოკრატიის ინდექსში.

სამეფო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნატოსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დამფუძნებელი, ასევე ეუთოს წევრი. შერეულ ეკონომიკასა და სოციალური სახელმწიფოს პირობებში დანიას ახასიათებს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სოციალური უთანასწორობა და მე-7 ადგილი მშპ-ის მიხედვით.

დანია ფლობს ძლიერ ინსტიტუტებს და მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას, რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, განათლების ხელშეწყობას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში წარმატებებს.

მთელი დანია დაფარულია მაღალი კლასის მჭიდრო საავტომობილო გზებით. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და გერმანიასთან კავშირი სარკინიგზო მიმოსვლით ხორციელდება. ზოგიერთი კუნძული ხიდებითა და ჯებირებით უკავშირდება ერთმანეთს. საერთაშორისო ავიამიმოსვლის ცენტრია კოპენჰაგენი.

დანიური კომპანია „Maersk“-ის უდიდესი ნაწილი სატრანსპორტო ბიზნესითაა ცნობილი. მას საერთაშორისო გადაზიდვებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო პოზიცია უჭირავს.

შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური გარემო, ქვეყნის მოხერხებულ ადგილმდებარეობასთან ერთად, მეტ საინვესტიციო მიმზიდველობას აძლევს მას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, როცა ქვეყნები მძაფრ კონკურენციულ გარემოში იმყოფებიან, მათი გადარჩენის ერთადერთი რეალური გზაა ინოვაციური ეკონომიკის განვითარება.

მარტივი ჭეშმარიტებაა – რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია ქვეყანა. განათლებული ხალხები ქმნიან ძლიერ ინსტიტუტებს, რომელზეც შემდეგ ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო ფუძნდება.

დანია ჩრდილოეთ ევროპაში განათლებისა და მომსახურების საუკეთესო ცენტრია მისი მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი სახეებით.

დანიაში არსებული სკოლები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საუკეთესო მაგალითია.

მიმართა, რომ ქვეყანა ინოვაციებისადმი ინტერესს მოსახლეობაში სწავლების პირველი საფეხურიდანვე დებს.

დანის ერთ-ერთი ინოვაციური სკოლა კუბის ფორმის შუშის შენობაა. 1000-ზე მეტ მოსწავლეს გაკვეთილები უტარდებათ კუბებში. სკოლის ხელმძღვანელი აღნიშნავს: „გვინდა ჩვენ მოსწავლეებს შევუქმნათ თავისუფალი გარემო და პირობები, რომ შეძლონ კვლევების ჩატარება და რეალური პრობლემების მოგვარება. ამიტომ ვართ გამჭვირვალე შენობაში, საიდანაც ვეკონტაქტებით დანარჩენ მსოფლიოს“.

ინოვაციური პროგრამების შესწავლა უფრო და უფრო მეტი სტუდენტის შესწავლის საგანი ხდება. ხელმძღვანელები ეძიებენ შემოქმედ, კვალიფიციურ, საღად მოაზროვნე ახალგაზრდებს. დანიის უმაღლესი განათლება უპირატესობას ტექნიკურ უმაღლეს განათლებას ანიჭებს. დანიური უნივერსიტეტების უმრავლესობა არა მარტო ხარისხიან სწავლებას ავლენს, არამედ თანამედროვე საერთაშორისო კულტურას მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან ურთიერთობებში. დანიაში მაღალია განათლების ავტორიტეტი, თუმცა იგი კონკურენციას ვერ უწევს აშშ-ის და იაპონიის საგანმანათლებლო სტანდარტებს. დანიაში კარგი განათლების მიღება ბევრად იოლი და იაფია, ვიდრე ოკეანის გაღმა. მისი ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა, გამოავლინონ ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ოდენობა დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

დიდია დანიის მიღწევები სამეცნიერო სფეროშიც, ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიებში, კავშირის საშუალებები და სხვ.

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებულია, მშპ-ის, რაც მეტი წილი იხარჯება მეცნიერებაზე.

დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

დანიაში საკმაოდ გულუხვად ახდენენ როგორც ტექნოლოგიური კვლევების ისე ფუნდამენტური მეცნიერებების ასიგნებას.

დანიაში კარგად ესმით, რომ ინოვაციები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული. ზუსტად ხომ არაა ცნობილი მოიტანს თუ არა სიახლე მოსალოდნელ შედეგს. მეცნიერი და გამომგონებელი თავისი დროითა და დახარჯული ძალისხმევით რისკავს, ხოლო მეწარმე-ინოვაციურ პროექტში დაბანდებული ფულით.

ასეთ რისკზე წასვლა დამოუკიდებლად მხოლოდ ისეთ ხალხს შეუძლია, ვინც შესწავლია გადაწყვეტილება მიიღონ თავისუფლად და მთელი პასუხისმგებლობით.

დანის ეკონომიკა თითქმის მთლიანად დაფუძნებულია ადამიანურ რესურსებზე, ახალ ცოდნასა და ახალ ხედვებზე. თუმცა მთავარი ის არის, რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგშია აყვანილი. ინოვაციათა წარმატებულობაში არსებით როლს თამაშობს ქვეყანაში შექმნილი ინოვაციური ბიზნესის სამართლებრივი გარემო.

ინოვაციები დანის ეკონომიკის წარმატების გასაღებია. მიხნეულია, რომ დანის საზოგადოების მაღალი შეფარდებითი ერთფეროვნება ხელს უწყობს ე.წ. სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს ინოვაციებს. პატარა ქვეყნებს ახალი ეკონომიკის შექმნის უფრო დიდი უპირატესობა გააჩნიათ, რადგან ასეთ ქვეყნებში ადვილია სამეცნიერო-ტექნიკური კოორდინაციის ორგანიზება, სიახლეების დანერგვა, რისკების წარმოება, ერთობლივი პასუხისმგებლობის ტარება.

დანიურ ბიზნესში მკვეთრმა ტენდენციამ თავი იჩინა XX ს-ის ბოლო ათწლეულში. ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების შექმნა. შედეგად, ფინანსურმა სექტორმა გაიარა გაერთიანების პერიოდი, რამაც ორჯერ შეამცირა ფინანსური ინსტიტუტების რიცხვი. ქვეყნის ფინანსური მომსახურების სფეროში წამყვანი ბანკებია „Den Danske Bank“ და „Unibank“.

დანია ინოვაციურ მოდელზე უფრო გვიან გადავიდა, ვიდრე შვედეთი და ფინეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით პოსტინდუსტრიული და ინოვაციური განვითარება თითქმის ერთდროულად დაიწყო და ყველა რეგიონში მათი განვითარების დონე, ასე თუ ისე, გათანაბრდა. ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება დაიწყო ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის საფუძველზე.

დასახული მიზნის მისაღწევად ქვეყანამ გადაწყვიტა სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის გადახედვა, ხოლო მისი უზრუნველყოფელი ინსტიტუციური სისტემა, არსებითად გარდაიქმნა.

დანის ინოვაციური სისტემის მთავარი მიზანი იყო სხვადასხვა ინოვაციურ სისტემებს შორის კოორდინაცია და კოოპერაცია. სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

დანია – ესაა ქვეყანა მცირე საწარმოებითა და კომპანიებით, რომლებიც, როგორც წესი, უფრო დიდი ინოვაციური შესაძლებლობებით გამოირჩევიან.

ძირითადი დაწესებულებები, რომლებიც ასორციელებენ ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციას, არის:

1. დანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (2001);

2. დანის გლობალიზაციის საბჭო (2005);

3. დანის სამეცნიერო-პოლიტიკური საბჭო (2004).

2001 წელს საინოვაციო პოლიტიკის წარმოება გადაეცა დანის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტროს. მასვე გადაეცა საუნივერსიტეტო სექტორიც.

2002 წლიდან დაწყებული, გატარდა სამეცნიერო დაწესებულებების მთელი სისტემის რეფორმა ინოვაციებთან დამოკიდებულებაში.

2005 წ. აპრილში დანის ლიბერალურ-კონსერვატიულმა მთავრობამ შეიმუშავა 2010 წლამდე ქვეყნის განვითარების პროგრამა (1,33 მლრდ ევრო), რომელიც გამოიხედავს იყო განათლების სისტემის, ინოვაციების, ბიზნესის

განვითარებისათვის, ახალგაზრდებში სრული საშუალო და უმაღლეს განათლებულთა ხვ. წილის დაბალანსებისაკენ.

დანიის ეკონომიკა 2008 წ. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგად დაზარადა. 2009-2013 წწ. საწარმოთა 10% გაკოტრდა. თუმცა ახალი საწარმოების შექმნით შრომის ბაზარზე ბალანსი შენარჩუნდა. 2014 წლის იანვარში უმუშევართა რაოდენობამ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 7%, ანუ 181,1 ათასი შეადგენა.

2013 წ. დასაწყისში დანიაში დაფიქსირებული იყო 22 ათასი სამრეწველო საწარმო 309 ათასი დასაქმებულით (2008 წ. – 370 ათასი).

შრომისუნარიანი მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი დასაქმებულია მცირე და საშუალო საწარმოებში. დანიაში სულ დარეგისტრირებულია 600 ათასი სუბიექტი, რომლებიც დაკავებული არიან სამეწარმეო საქმიანობით. ბიზნესის ასეთი სტრუქტურის წყალობით ქვეყნის ეკონომიკა ოპერატიულად რეაგირებს სიახლეებზე.

ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით დანიელ ეკონომისტთა შორის არსებობს ერთიანი შეხედულება, რომელიც თეზისებადაა მოცემული.

- დანიელები გაცილებით ცოტას მუშაობენ (ევროკავშირის ქვეყნებისთვის მინიმალური საშუალო კვირა – 33 სთ.), დანიელების უმრავლესობა საერთოდ არ მუშაობს (უმუშევრობის მაღალი შემწეობის გამო);

- დანიელები იღებენ მაღალ ხელფასს (დანიაში ყველაზე მაღალი ხელფასია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით);

- დანიელების უმრავლესობა დასაქმებულია საზოგადოებრივ სექტორში, რაც მძიმე ტვირთად აწევა ბიუჯეტს.

დანიისთვის სამრეწველო წარმოებისა და ექსპორტის ზრდის, ასევე საინვესტიციო მიმზიდველობის, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ხელფასის დონე და გადასახადებით დაბეგვრა.

სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი 2015 წლის მონაცემების საფუძველზე – 0,7%-ია.

დღესდღეობით დანია ოდნავ ჩამოუვარდება შვედეთს და ფინეთს ახალი ფირმების შექმნით, განათლების სისტემის განვითარებით, უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის კოოპერაციით.

ქვეყნის რეგიონული პოტენციალი სრულად პასუხობს ჯანდაცვას, გარემომცველი ბუნების დაცვას, უმაღლესი განათლების, შრომის ბაზრის, ტრანსპორტის განვითარებას, ხოლო მუნიციპალიტეტები – ადგილობრივი საწარმოებისა და შრომითი მოწყობის განვითარებას.

დანიის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროს ახასიათებს თეორიული კვლევებისა და მათი პრაქტიკულ რეალიზაციაზე ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე. მთავარი როლი აქ ენიჭება ინოვაციურ ინკუბატორებს და ტექნოპარკებს, მათი მთავარი დანიშნულებაა ახალი იდეების კომერციული დაფუძნება.

დანიაში ოფიციალურად 7 ტექნოპარკია აკრედიტებული. ისინი ითვლებიან „დანიის სამეცნიერო პარკებისა და ინოვაციური ინკუბატორების“ ორგანიზაციის წევრებად.

ინოვაციურ პარკებში იქმნება ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას, სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ორგანიზაციების შექმნის ჩათვლით. დანია ფლობს კარგ კვლევით ბაზებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

დანიაში კვლევითი საქმიანობა, საინოვაციო კლასტერები, მერიის ტექნოპარკები სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს. ევროკავშირის

კვლევების თანახმად, რამდენიმე მანქანებით, რომელიც ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს ახასიათებს, დანია შედის ლიდერთა შორის. სახელდობრ ისეთი მანქანებით, როგორცაა ადამიანური რესურსების განვითარების დონე. ის მიღწეულია ახალი ცოდნით, ინოვაციური კოოპერაციით, ვენჩერული კაპიტალით.

ქვეყნის მასშტაბით, ყველა დარგში მიღწეული წარმატებები ზოგადად სპეციალისტთა მაღალი კომპეტენტურობით აიხსნება.

დანის ზოგიერთი კვლევითი სფერო მაღალ საერთაშორისო დონეზე იმყოფება (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, ალტერნატიული ენერჯია, ეკოლოგია, სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა).

დანის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობით ქვეყანაში კვლევების დაფინანსების განაწილების საკმაოდ ეფექტური სისტემა მოქმედებს. ზოგიერთი კომპანია თავად აფინანსებს სიახლეებსა და კვლევებს. კერძოდ, ფარმაცევტული კომპანიის შემოსავლის 17% მიმართულია თავისი კვლევებისა და განვითარებისაკენ.

დანის ინოვაციური სისტემის პრიორიტეტული მიმართულებებია: საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცია, სამედიცინო ტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ალტერნატიული ენერჯია, სატელევიზიო კავშირები, ბიზნესმომსახურება.

თანამედროვე ეტაპზე დანიური კომპანიები მსოფლიო ბაზრის ლიდერებადაა მიჩნეული. კერძოდ:

1. ქარის ენერჯის დანადგარები („Vesta“, „Wind Power“);
2. ენერგოდამზოვი მოწყობილობები საბინაო კომუნალური მეურნეობისათვის („Danfoss“, „Grundfoss“);
3. მოწყობილობები ცემენტისა და სამთამადნო მრეწველობისათვის („LF Smidth“);
4. ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის კატალიზატორები („Haldor Topsø“);
5. სურსათი („Danish Crown“, „Alfa Food“, „Carlsberg“);
6. ფარმაცია („Novo Nordisk“, „Leo Pharma“, „Lundbeck“, „Coloplast“);
7. საზღვაო სატვირთო და კონტეინერული გადაზიდვები („A. P. Møller-Maersk“).

დანის ინოვაციური კომპანიები წარმატებით წყვეტენ დიდი ქალაქების პრობლემებს და ეს გადაწყვეტილებები მისაღებია არა მხოლოდ ადგილობრივი, ასევე გლობალური ბაზრისათვის ეფექტიანობისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით.

ახლო მომავალში დანია ბუნებრივი აირის მზის ენერჯით შეცვლას გეგმავს. მოცემული პროგრამა ენერგომომარაგების პრობლემების გადაჭრას ემსახურება. დაგეგმილია 17000 კვ/მ მზის ბატარეების აგება, რომელიც წელიწადში 60000 მეგავატსაათ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს. ღირებულება – 35 მლნ კრონი. ეკონომიის გარდა, ეკოლოგიასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მზის მოწყობილობები ნახშირორჟანგის გამოყოფას ყოველდღიურად 1,5-2 ტონამდე შეამცირებს.

დანია ლიდერია „მწვანე ინოვაციების სფეროში“. მოცემულ ეტაპზე ქვეყანა ეკოლოგიის სფეროში სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პირობებს ფლობს. ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ პირველად სუფთა ტექნოლოგიების სფეროში გლობალური ინოვაციური ინდექსის შემომდგენი. სპეციალისტებმა შეისწავლეს 38 მცირე მრეწველურად განვითარებული ქვეყანა. ეს ქვეყნები ითვლებიან ინოვაციების წყაროდ. ისინი საჭიროებენ ინოვაციურ მიღ-

გომებს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობას, უწყვეტ ინვესტიციებს.

აღნიშნული ქვეყნების პირველი ხუთეული ასე ნაწილდება:

ქვეყანა	პოზიცია	ინოვაციების ინდექსი	დანახარჯები ინოვაციებზე	ეფექტი ინოვაციებიდან
დანია	1	4.7	3.5	6.0
ისრაელი	2	4.1	2.5	5.7
შვედეთი	3	4.1	3.3	4.8
ფინეთი	4	4.0	3.6	4.5
აშშ	5	3.8	3.3	4.3

ქვეყნების ჩამონათვალში ბოლო ადგილზე რუსეთი აღმოჩნდა.

გლობალური მაკროეკონომიკური სურათი სუფთა ტექნოლოგიების ფონზე იცვლება, თუმცა ის არის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი აქტუალური ასპექტი.

ბოლო პერიოდში დანია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, როგორც ჩრდილოეთ ევროპის ფინანსური, მაღალტექნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ფარმაცევტული, სატრანსპორტო და ა. შ. ცენტრი. ცენტრი, რომელიც რეგიონში გლობალური ინოვაციური ინდექსის (გიი) მიხედვით 2015 წლის მონაცემების საფუძველზე, ინოვაციების ევროპულ ლიდერთა შორისაა, ფინეთსა და გერმანიასთან ერთად.

გლობალური ინოვაციების ინდექსის მაჩვენებლები დანიაში

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსი	57	59.9	58.3	57.5	57.7	58.5
დანახარჯები სკსს-ზე, პროცენტულად მშპ-თან	2.97	3.03	3.08	3.08		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, %-ლად საქონლის საერთო ექსპორტთან	3.42	3.29	3.26	3.61		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლარში	9318.4	8742.03	9255.46	9758.84	9318.2	
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	13.76	14.22	14.39	14.35	15.92	
რეზიდენტების განაცხადი პატენტებზე	1574	14.6	1341	1377		

<http://ru.theglobaleconomy.com>

წამყვანი უცხოური კომპანიების მოსახიდად დანიის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს) ხორციელდება. მთელი ამ საქმიანობის მიზანია, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ისეთ ინოვაციურ პროექტებს, რომელთა განვითარებასა და რეალიზაციას შეუძლია დანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მსოფლიო ბაზარზე, ტექნოლოგიური დონის ზრდა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში. ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და პროდუქციების კომერციალიზაციას.

დანის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

წლები	რეიტინგი	შეფასება
2009-2010	5	5.46
2010-2011	9	5.32
2011-2012	8	5.4
2012-2013	12	5.29
2013-2014	15	5.18
2014-2015	13	5.3
2015-2016	12	5.33
2016-2017	12	5.3

<http://gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index>

დანის ოფიციალური და საქმიანი სფეროების ამბიციური მიზანი ქვეყნის „მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაში“ ღირსეული ადგილის შენარჩუნების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები საქართველოში, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VIII, თბ., 2015.
2. ვეშაპიძე შ., გრიშოკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008.
3. პაპავა ვლ., თაფლაძე თ. ინოვაციური ეკონომიკის შექმნის პერსპექტივები ევროპული და ევრაზიული ინტეგრაციის პირობებში. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2016.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3, 1978.
5. Wikipedia. org, Экономика Дании
6. www.vneshmarket.ru/content, Общий обзор экономики Дании
7. svspb.net ВВП Дании на душу населения
8. sice.ru, Инновации: датский стиль
9. mrmarket.ru, Инновации Дании
10. gossmi.ru, Инновационное кластеры в Дании,
11. gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index
12. http:// www.erepont.ru
13. http://theglobaleconomy.com
14. www.sakpatenti.ge
15. www.energy safe.ru
16. www.gtmarket.ru
17. www.vipo.int
18. www.time.innov.ru
19. www.mir.geo.ru
20. ved.gov.ru
21. www.bpn.ge
22. www.masterstudiess.ru

INNOVATION POLICY OF DENMARK

Annotation

Denmark is an industrial and agricultural country with high level of development. It has one of the best economic system in Europe, high technological farms, modern small and large industrial enterprises highly qualified labor force, high standard of life.

There are strong institutions and developed infrastructure which provides the development of business, education the success innovative and technological sphere.

The economy of Denmark is based on new knowledge, new visions. But the principle is that the idea of creating the innovative economy is at the state level.

Legal environment of innovative business created in the country plays a main role in innovation success.

Innovations are the key factors for the success of economy of Denmark. The main aim of innovative system of Denmark is the coordination and cooperation with various innovative systems to improve scientific-technical, technological and innovation policy.

Priority directions innovative system of Denmark are: information technology, pharmacy, medical technique, biotechnology, alternative energy, telecommunications, business service.

Denmark attracts a special interest as North European financial, high technological, pharmaceutical, biotechnological, transport etc. centre which in the region is among European leader countries, including Finland and Germany according to global innovation index (GII) on the bases of 2015 data.

At present this country has ambitious goals which answer the outlined purposes.

პრობლემა 8.

ზურაბ რევიშვილი

ემროკავშირისა და ემროპის ძვემწების სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკა

ემროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა. ემროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა ზოგადად განსაზღვრულია ემროკავშირის საინოვაციო და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკებით. ამდენად, ვფიქრობთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავი-აზროთ ჩარჩო-პირობები, რომლებიც განსაზღვრავს ემროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას.

ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს ემროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების, ასევე ემროპის სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სექტორული და რეგიონული ეკონომიკების რესტრუქტურისაციის უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტს.

1995 წლის დეკემბერში ემროკომისიამ გამოაქვეყნა ემროპის საინოვაციო სფეროს ანალიზის შედეგები, რომელსაც “ინოვაციის მწვანე რვეული” ეწოდა. ამ დოკუმენტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა “ინოვაციის” ცნების არსი. ადრე, ტრადიციულად, ინოვაციაში განიხილებოდა საწარმოს მიერ ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე ახალი პროდუქტისა თუ პროცესის შექმნა, თუ ათვისებისა და მისი ბაზარზე გატანის წარმატებული პროცესი [1]. 1996 წლის 20 ნოემბერს ემროკომისიამ მიიღო “ემროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა[2], რომელმაც განსაზღვრა სამი ძირითადი მიმართულება, რისი მეშვეობითაც უნდა დაძლეულიყო ემროპაში არსებული “ინოვაციის დეფიციტი”. კერძოდ, მიმართულებები მოიცავდა: ა) ჭეშმარიტი საინოვაციო კულტურის განვითარებას; ბ) ინოვაციისათვის სასურველი და მიზანშეწონილი საკანონმდებლო, ნორმატიული და საფინანსო გარემოს შექმნას; გ) ემროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე კვლევის ინოვაციის მიმართულებით წარმართვას.

აღნიშნულმა გეგმამ ახალი შინაარსი შესძინა ემროპის განვითარებას. სწორედ მან დაუღო დასაბამი და განსაზღვრა ემროკავშირის განვითარების პრიორიტეტები და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა. ამასთან, სამოქმედო გეგმამ ემროკავშირის განვითარების რიგი სხვა პრიორიტეტები დაუკავშირა სწორედ საინოვაციო განვითარებას. გეგმა, პრიორიტეტულ ტექნოლოგიებსა და სექტორებში, რიგი ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოქმედებითად გამოყენებას ითვალისწინებდა. სამოქმედო გეგმის შესასრულებლად ემროკომისია მართვის მრავალფეროვან მეთოდების იყენებდა, ესენია: მოწოდებები, დირექტივები, ეროვნული მთავრობებისათვის გამიზნული რეკომენდაციები; ფონდებისა და პროგრამების ფუნქციონირების სისტემების შექმნა; საკანონმდებლო მხარდაჭერა და სხვა.

2000-2010 წლებში საინოვაციო პოლიტიკამ ემროკავშირში “ღისაბონის სტრატეგიით”[3] დაიწყო განხორციელება. მოგვიანებით დოკუმენტმა რიგი შესწორებები და დამატებები განიცადა, თუმცა ცვლილებები არ შეხებია დასახულ ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. “ღისაბონის სტრატეგიამ” გააფართოვა და გააღრმავა “ემროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა”, კონცენტრირება მოახდინა “საინოვაციო პოლიტიკაზე”, როგორც ემროპის განვითარების უმთავრეს მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტზე.

2004 წელს ყველასათვის ნათელი იყო, რომ “ღისაბონის სტრატეგიის” მიზნები ვერ შესრულდებოდა, ვინაიდან მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ემროპის ეკონომიკის რეალურ მდგომარეობასა და დაგეგმილ პარამეტრებს შორის. ასე მაგალითად, „ემროკავშირი-15“-დან („კველი-წევრები“) 2005 წელს და-

გეგმილი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონის(67%) პარამეტრს მიაღწია 7-მა ქვეყანამ, ხოლო „ევროკავშირი-25“-დან („ძველი“ და „ახალი-წევრები“) მხოლოდ 8 ქვეყანამ. უკეთესად არ იყო საქმე ტექნოლოგიების განვითარებაშიც. ასე მაგალითად, ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებაზე მთლიანი დანახარჯების ზრდის ორიენტირი (მშპ-ს 3%), მიღწეულ იქნა მხოლოდ შვეციასა და საფრანგეთში, საშუალოდ ევროკავშირში 2005 წელს მან შედგინა მშპ-ის 1,99% [4].

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ევროკავშირის „ახალ-წევრ“ ქვეყნებს, რომლებიც გაწევრიანდნენ 2004 წლის 1 მაისიდან. ისინი, ინოვაციის განსაზღვრული რვა პარამეტრით, გაცილებით ცუდად გამოიყურებოდნენ, ვიდრე „ძველი-წევრები“. თუმცა, თუ სამი წარმატებული „ახალი-წევრი“ ქვეყნის თოთოეულ პარამეტრს შევადარებთ ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ განსხვავება არ არის არსებითი. ასე მაგალითად: პარამეტრით-ტექნოლოგიური ინოვაციები და დაბანდებიანი სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებებში, შედარებით მოწინავე პოზიცია ეკავა, ფინეთს და შვეციას, ასევე, სლოვენიას, ლატვიასა და ესტონეთს; ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში შედიოდნენ – პორტუგალია, საბერძნეთი და იტალია. პარამეტრით – მეწარმეობის განვითარების კეთილსასურველი მაკროეკონომიკური გარემო – გამოირჩეოდა ესტონეთი, მალტა და სლოვენია, რომელთა მაჩვენებლების საშუალო დონე შეადგენდა ევროკავშირის საშუალო დონის 99%-ს [5, გვ. 4-5].

ევროკავშირის წევრმა-ქვეყნებმა დაიწყეს ახალი „რეფორმირების ეროვნული პროგრამების“ შექმნა, რომელთა უმეტესი ნაწილი 2005 წლის ოქტომბრის ბოლოს განიხილა ევროკომისიამ. ამავე წლის დეკემბერში კი ევროპის საბჭომ მოიწონა ახალი „ლისაბონის სტრატეგია“, რომელსაც „ლისაბონის პროგრამასაც“ უწოდებენ. აღნიშნულ დოკუმენტში გარკვეულად შეიზღუდა ზოგიერთი მიზანი, თუმცა გრძელვადიანი სტრატეგია კვლავ ისახავდა ზრდის დაჩქარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ამოცანებს, ასევე არ შეცვლილა დასაქმების ზრდისა (70%-მდე) და სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებაზე დანახარჯების(მშპ-ს 3%-მდე) გადიდების პარამეტრები [4].

ლისაბონის სტრატეგიის გარკვეული სუსტი მხარეების და ექსპერტების მხრიდან მისი კრიტიკის მიუხედავად, მთლიანად მისი მეშვეობით განხორციელდა ევროკავშირის წევრი- ქვეყნების მიყვანა, რიგ შემთხვევაში ნაკლებ ეფექტურ, თუმცა კონკრეტულ ქმედებებამდე, რომლებიც მიმართული იყო მათი ზრდისა და დინამიური განვითარებისკენ, ხოლო ზოგიერთმა ქვეყანამ შეძლო მიეღწია არსებითი შედეგებისათვის. ლისაბონის პროგრამის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი იყო მსოფლიო ფინანსური კრიზისი (2008) და მისი შედეგები, რამაც გამოიწვია ევროკავშირის წევრი-ქვეყნების უმეტესი ნაწილის ეკონომიკური დაცემა.

არსებულმა მდგომარეობამ განსაზღვრა ევროკავშირის ახალი ამოცანა-შემუშავებინა უფრო ადეკვატური ეკონომიკური სტრატეგია. 2010-2020 წლებისათვის, რომელსაც ეწოდა „ევროპა-2020“ [6]. უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპა-2020“ მიღებამდე ევროკომისია აწარმოებდა ფართო კონსულტაციებს საზოგადოების წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც იქნა მიღებული 1500-ზე მეტი წინადადება დაინტერესებული მხარეების ფართო წრიდან: ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისა და ორგანიზაციებისგან, ეროვნული ორგანიზაციების, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობებისგან, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისა და მრავალი ევროპელი მოქალაქისგან.

ყოველივეს გათვალისწინებით სტრატეგია “ევროპა-2020” განსაზღვრავს ეკონომიკის გაძლიერების სამ ძირითად ფაქტორს (ბაზისურ სტრატეგიულ მიზანს):

- გონივრულ ზრდას: ეკონომიკის განვითარება, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ინოვაციებს(მცენიერული ცოდნის, კვლევებისა და ინოვაციების ურთიერთქმედების გაძლიერება ევროკავშირის ზრდა-განვითარებასთან);

- მდგრად ზრდას: ეკონომიკის შექმნა, რომელიც ეფუძნება რესურსების მიზანშეწონილ გამოყენებას, ეკოლოგიას და კონკურენციას(მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა, ახალი პროცესების და ტექნოლოგიების, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემუშავება);

- ყოველისმომცველ ზრდას: მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების ხელშეწყობა, სოციალური და რეგიონული თანხმობის მიღწევა (მოსახლეობისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა, დასაქმების მაღალი დონის, ცოდნისა და ჩვევების განვითარებაში ინვესტიციების, სიღარიბესთან ბრძოლის და შრომის ბაზრის სრულყოფის, სწავლებისა და სოციალური დაცვის მეშვეობით).

2020 წლისთვის ევროკავშირის ახალი სტრატეგიის სამიზნე ორიენტირებია: ა) მოსახლეობის 75% შრომისუნარიან ასაკში (20–64წწ.) უნდა იყოს დასაქმებული; ბ) მშპ-ის 3% უნდა შეადგინოს სამეცნიერო-კვლევითი და შემუშავების სამუშაოების ინვესტირებამ; გ) სასათბურე გაზების ამოფრქვევა, 1999 წლის დონესთან შედარებით, უნდა შემცირდეს 20%-ით; მშპ-ის ენერგოეფექტურობა უნდა გაიზარდოს 20%-ით და ენერგობალანსში 20%-ით უნდა გადიდდეს განახლებადი წყაროების ხვედრითი წილი(ამასთან, გარემოს დაბინძურება უნდა შემცირდეს 30%-ით); დ) მოსწავლეთა წილმა, რომელმაც მიატოვა სწავლა, არ უნდა გადაამეტოს 10%-ს; ახალგაზრდობის არა-ნაკლებ 40%-ს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება; ე)20 მლნ ადამიანით უნდა შემცირდეს ღარიბთა რაოდენობა [7].

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ინოვაციური ზრდა, რომელიც საერთო ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე, მნიშვნელოვანი რაოდენობის სტრატეგიებსა და ქვესტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს ეფუძნება, ახასიათებს მრავალსაფეხურიანობა და რეალიზაციის მექანიზმების მრავალფეროვნება. მიღებულ სტრატეგიასთან წვერი-ქვეყნების ადაპტაციის მიზნით, ევროკავშირმა შესთავაზა მათ, მოახდინონ მიზნების ტრანსფორმაცია თავიანთ ეროვნულ სტრატეგიებში. ამასთან, ევროკავშირმა დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრა შემდეგი “საფლაგმანო” ინიციატივები(მოქმედებების მიმართულებები): 1. “ინოვაციური კავშირი” – კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსების პირობებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება; 2. “ახალგაზრდობის მოძრაობა” – საგანმანათლებლო სისტემის შედეგების გაძლიერება და შრომის ბაზარზე ახალგაზდა ადამიანების ჩართვის ხელშეწყობა; 3. “ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გეგმა”– მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების საყოველთაო დაჩქარება; 4. “ევროპაში რესურსების გამოყენების მიზანშეწონილობა” – რათა ეკონომიკური ზრდა არ იყოს დამოკიდებული რესურსებზე, ხელი შეეწყოს დაბალნაბიჯობიან შემცველობის ეკონომიკაზე გადასვლას, გაიზარდოს აღდგენადი ენერჯის წყაროების გამოყენება, განხორციელდეს სატრანსპორტო სექტორის მოდერნიზაცია და უზრუნველყოფილ იქნეს ენერჯის წყაროების გონივრული გამოყენება; 5. ”ინდუსტრიული პოლიტიკა, მიმართული გლობალიზაციაზე” – სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესისათვის, ხელი რომ შეეწყოს სამრეწველო ბაზის მძლავრ და მდგრად განვითარებას; 6. “ახალი უნარების განვითარებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის გა-

დიდების გეგმა” – რათა განხორციელდეს შრომის ბაზრების მოდერნიზაცია, ადამიანებს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღონ ახალი ცოდნა და ჩვევები; 7. “სიღარიბის საწინააღმდეგო ევროპული პოლიტიკა” – სოციალური და ტერიტორიული ურთიერთქმედება, რომ გავრცელდეს მთელ ტერიტორიაზე და მიღწევებმა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმებას, მთლიანად ევროკავშირში სიღარიბის დონის შემცირებას [7].

ევროკომისიამ, ყოველწლიურად მრავალი მანქანების საფუძველზე უნდა შეაფასოს ვითარება. ასევე, ის ამზადებს რეკომენდაციებს და, წვერი სახელმწიფოების მოხსენებების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს მათი “გაფრთხილების პოლიტიკას”.

“ევროპა-2020” სტრატეგიის უდავო ღირსებას ქმნის ის, რომ მასში დეტალურადაა გაწერილი ევროკავშირის ინსტიტუტების, წვერი-სახელმწიფოების, ადგილობრივი მმართველობების, ასევე დაინტერესებული პირებისა და სამოქალაქო საზოგადოების კომპეტენციები. აღნიშნულის თაობაზე საყურადღებოა ჟ. მ. ბაროზუს მოსაზრება: “წვენ შეიძლება გვქონდეს მკაფიო ევროპული სტრატეგია, მხოლოდ – ევროინსტიტუტების, წვერი-ქვეყნების და ევროპული საზოგადოების, ყველა მისი მოქალაქის – ერთობლივი შუშაობით” [7].

ევროკავშირის გააჩნია მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის, ისე ზეეროვნული რეგულირების, იგი ფლობს რეალურ პოტენციალს თავისი კონკურენტუნარიანობის ფაქტორების გენერირებისთვის. თუმცა წვერი-სახელმწიფოების შინაგანი დაუბალანსებლობა და რიგი წვერი-ქვეყნების არასაკმარისი მოტივირება, რომ შეზღუდონ საკუთარი სუვერენული უფლებები, აფერხებს დასახული მიზნების მოკლე ვადებში განხორციელების პროცესს.

ევროკავშირის ყოველი წვერი-ქვეყანა ახორციელებს საკუთარ საინოვაციო პოლიტიკას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საინოვაციო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებაზე გათვალისწინებულია ევროკომისიის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევრი, ამას ემატება ეროვნული და რეგიონული მთავრობების ბიუჯეტების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამრიგად ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა მოიცავს სამ ღონეს: ევროპულს, ეროვნულს და რეგიონულს. საინოვაციო პოლიტიკის ყოველ ღონეს შეიძლება ახასიათებდეს სპეციფიური მიზნები, ამოცანები და საჭიროებდეს განსხვავებული ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების გატარებასა და განხორციელებას, რაც დამოკიდებულია ქვეყნისა თუ რეგიონის ეკონომიკურ სპეციალიზაციაზე, სტრუქტურაზე, არსებულ პრობლემებსა თუ განვითარების პრიორიტეტებზე და სხვ.

ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია მისი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება და განვითარება. ამის მისაწევად ევროკავშირი ახორციელებს და იყენებს ისეთ ღონისძიებებსა და ინსტრუმენტებს, როგორცაა: გრანტები უნივერსიტეტებისა და საწარმოებისათვის; სავადასახადო შეღავათები ინოვაციურ საწარმოთათვის; და ტექნიკური დახმარება უნივერსიტეტების, კვლევითი და დამნერგავი დაწესებულებებისა და უპირატესად მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ასევე გათვალისწინებულია: ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოლოგიების გადაცემისა და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება და განვითარება, კერძო და სახელმწიფო სექტორის ურთიერთხელშეწყობისა და თანამშრომლობის ფორმების განვითარება და სხვ.

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესსპ) რეფორმირება.

ევროკავშირის სოფლის ან სასოფლო სივრცის არეალებს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კლასიფიკაციით, მიეკუთვნება ტერიტორიები, სადაც 1 კვ. კილომეტრზე 150 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს (იაპონიაში შესაბამისი მონაცემი 500-ზე ნაკლებია). სასოფლო სივრცეს ევროკავშირის ტერიტორიის 90% უკავია და იქ მოსახლეობის დაახლოებით 50% ცხოვრობს [8, გვ. 251].

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც განისაზღვრა ევროგაერთიანების რომის შეთანხმებით (1957), თავის უმთავრეს მიზნად ისახავდა: ა) სურსათის სტაბილურ მიწოდებას მისაღები ფასებით; ბ) ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფას; და გ) ტექნიკური პროგრესის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების გადიდებას. ამრიგად, აღნიშნული პოლიტიკის საწყის ეტაპზე ტექნიკური განვითარება მიზნეული იყო სოფლის მეურნეობის ზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მრავალმხრივი და რთულია. მასში გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ განვლილი გზა და მიმდინარე ტენდენციები [9].

ესსპ-ის საწყის ეტაპზე ევროგაერთიანების ქვეყნები ითვალისწინებდნენ ფერმერული სექტორების ორგანიზების არსებულ მდგომარეობას, რის გამოც მათი შიდა აგრარული პოლიტიკები განსხვავებული იყო, მათი აქტიური შიდა ინტერვენციები ქმნიდა წინააღმდეგობას თავისუფალი ვაჭრობის განვითარების გზაზე. 1962 წელს დადგინდა ესსპ-ის გატარების სამი უმთავრესი პრინციპი: ა) ბაზრის ერთიანობა; ბ) ევროგაერთიანების პროდუქტებისათვის უპირატესობის მინიჭება; გ) ფინანსური სოლიდარობა. ამ დროიდან ესსპ წარმოადგენს ევროპული ინსტიტუციური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. ესსპ-ის განვითარების გრძელვადიანი გეგმა (რომელიც შეიმუშავა სიკო მანსპოლტიმ – ევროპის სოფლის მეურნეობის კომისარმა) საფუძვლად დაედო “1980 წლის სასოფლო-სამეურნეო პროგრამას”, რომელმაც თავის მხრივ სათავე დაუდო გაერთიანებული ევროპის სოფლის მეურნეობის ახალ სოციალურ და სტრუქტურულ პოლიტიკას. გეგმა სახავდა ფასებისა და ბაზრის მხარდაჭერის პოლიტიკის ზღვრებს. ამასთან, იგი მხარს უჭერდა საწარმოო პროცესების მოდერნიზაციას. მანსპოლტის აღნიშნულმა პროგრამამ ფერმერებისა და მათი პროფესიული გაერთიანებების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და იგი იძულებული იყო, შეეცვალა პროგრამის რიგი დებულებები. ამ ფაქტორებმა განაპირობა კვოტების შემოტანის აუცილებლობა რძის პროდუქტებზე (1984), ხოლო მოგვიანებით ფერმერთა მხარდასაჭერად შემორებული იქნა (1988) “დანახარჯების ჭერი”. 1990-იანი წლების დასაწყისში კვლავ გამოიკეთა ესსპ-ის გატარებისა და რეალური რეფორმების განხორციელების აუცილებლობა. ამ დროისათვის გარკვეულად შემცირდა ფერმერული ბლოკის გავლენა, რამაც განაპირობა რეფორმატორების გააქტიურება. 1992 წელს მზარდი წარმოების შეზღუდვის მიზნით, გატარდა რაი მაკშერის (ევროპის სოფლის მეურნეობის კომისარი) რეფორმები, ამავე დროს, გატარდა ღონისძიებანი თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარების მიმართულებით. რეფორმებმა შეამცირა მხარდაჭერის დონე: მარცვლეულზე – 29%-მდე და საქონლის ხორცზე – 15%-მდე. შეიქმნა გაცემების ახალი სისტემა. ამ პერიოდის რეფორმირების სფეროები მოიცავს: ფასების შემცირებას, სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას, ფერმერების შემოსავლების სტაბილურობის გარანტიების შექმნას. ასევე, ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: გარემოს დაბინძურება, პირუტყვისათვის ნორმალური პირობების შექმნა და ფერმერების შემოსავლების ალტერნატიული წყაროების ძიება [10].

რიგი ამ საკითხების განიხილებოდა წევრი-ქვეყნების მიერ მიღებული რეფორმის ფარგლებში, რომელსაც ეწოდა “დღის წესრიგი 2000”, რომელიც ესსპ წარმოების ხელშეწყობისა და სასოფლო-სამეურნეო განვითარების საფუძვლად თვლიდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: მისი დივერსიფიკაცია, მწარმოებალთა ჯგუფების დადგენა, ახალგაზრდა ფერმერების მხარდაჭერა. სოფლის გარემოს დაცვის პროგრამები ასევე უცილებელი გახდა ყველა წევრი ქვეყნისათვის.

2003 წლის 26 ივნისს ევროკავშირის მინისტრებმა მიიღეს ესსპ-ის რეფორმის ფუნდამენტური გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა სუბსიდირების გაყოფას განსაზღვრულ კულტურებზე. “ერთიანი ფერმერული გაცემების” ახალი სისტემა ორიენტირებული იყო ურთიერთშესაბამისი პირობების გათვალისწინებაზე, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვას, სასურსათო უსაფრთხოებას და პირუტყვის კეთილსასურველი პირობების უზრუნველყოფას. რიგი სამართლებრივი ნორმებით და პრაქტიკული რეკომენდაციებით რეგულირდებოდა ფერმერთა სხვადასხვა საქმიანობები. რეფორმის ძირითად მიზანს შეადგენდა ფინანსების კონცენტრირება გარემოს დაცვისა და პირუტყვის კეთილსასურველი პირობების შექმნის პროგრამებზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ყოველ წევრ-ქვეყანას აქვს არჩევანის გარკვეული თავისუფლება. ასე მაგალითად, ინგლისში ერთიანი გაცემების სისტემა უზრუნველყოფდა დაახლოებით 230 ფუნტს ჰაზე, რათა მიწა დამუშავებისათვის კარგ მდგომარეობაში იყოს შენარჩუნებული; შოტლანდიაში გაცემების სისტემა ისტორიულად იყო ჩამოყალიბებული და მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ახალი სისტემა იძლეოდა საშუალებას, მიწის არასაწარმოო გამოყენებისათვის მიეღოთ დახმარების ეკოლოგიური კომპონენტი. დამატებითი გაცემები ეძლეოდათ, თუ მიწა მუშავდება ეკოლოგიური წესების შესაბამისად [11].

ევროკავშირის გაფართოებამ 2004 წელს მასში შემავალი ფერმერების რიცხვი გაზარდა 7 მლნ-დან 11 მლნ-მდე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაიზარდა 30%-ით და წარმოება 10-20%-ით. 2004 წელს შესულმა წევრმა-ქვეყნებმა მიიღეს მიზნობრივი მხარდაჭერის შესაძლებლობა (საექსპორტო დაფინანსება და ინტერვენციული შესყიდვები). პირდაპირი გაცემები გაიჭიმა 10 წლით (2004-2013), დაწყებული 30%-იანი გაცემებით, “ძველი-წევრი” ქვეყნების თანხებიდან 2004-2005 წლებში. “ახალ-წევრ” ქვეყნებს ასევე გაუჩნდათ სოფლის განვითარების ფონდით სარგებლობის (პენსიაზე ადრე გამსვლელთათვის, გარემოს საკითხების, უღარიბესი ტერიტორიების და ტექნიკური დახმარებისათვის) შესაძლებლობა 5 მილიარდი ევროს ბიუჯეტით. ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ 2002 წელს, რომ სასოფლო-სამეურნეო ხარჯები 2013 წლამდე რეალურად არ გაზრდილიყო. ამას უნდა გამოეწვია სუბსიდირების შემცირება: ძველი ქვეყნებისა 5%-მდე, რათა დაფინანსებულიყო ახალი ქვეყნების გაცემები; ბულგარეთის და რუმინეთის გაცემების გათვალისწინებით შემცირება 8%-მდე განხორციელდა [12].

ევროკავშირის გაფართოების ამოცანა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარ მრავალრიცხოვან საკითხს. ამისათვის შემუშავდა “სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სპეციალური მიერთების პროგრამა” (SAPARD), რომლითაც ევროკავშირი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა კანდიდატ ქვეყნებს ევროკავშირში შესასვლელად მომზადებაში. ახლადმიღებული ქვეყნები განსხვავდებოდნენ “ძველი” ქვეყნებისგან სურსათის ფასებით, პროდუქციის ხარისხით, შრომის ნაყოფიერებით, დასაქმების დონითა და სტრუქტურით, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის საკითხების მოგვარებით. ახალ წევრ-ქვეყნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ გარდამავალი პერიოდის

რეჟიმი 2007 წლამდე, როდესაც მათ ქვეყნებში ხდებოდა რეფორმის გადავადება, ასევე, შეეძლოთ გაეწვლათ გადასვლის პერიოდი 2012 წლამდე.

მთლიანად ევროკავშირის ბიუჯეტსა და ეროვნულ ბიუჯეტებში იზღუდებოდა სუბსიდირება, რაც იძლეოდა ევროკავშირის ბიუჯეტში ესსპ-ზე დანახარჯების შეზღუდვის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ურთიერთქმედება ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი იყო ჯერ ევროკავშირის დახმებისთვის, ხოლო შემდგომ ევროკავშირისათვის, რადგან აქ მიღებული ფერმერთა სუბსიდირებისა და პროდუქციის შესასყიდი ფასების ცენტრალიზებული რეგულირებების სისტემა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კრიტიკას იწვევდა, ამგვარი ქმედებები თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დარღვევად მიიჩნეოდა. 2007 წელს ევროკავშირისამ შეიმუშავა წინადადებები მიწების კერძო მფლობელების და ფერმა-ქარხნების სუბსიდირების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ ფერმერული მეურნეობებიდან მრავალი, ფაქტობრივად, ოჯახურ მეურნეობას შეადგენდა, რის გამოც შეზღუდვების მცდელობები, როგორც ადრე, არ დამთავრდა წარმატებით ფერმერული კავშირებისა და ბიზნესსოციალიზაციების ძლიერი ოპოზიციის გავლენით.

ესსპ-ის თანამედროვე რეფორმებმა ხელი შეუწყო ინოვაციების ფართოდ დანერგვას სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში. ევროკავშირის შუამდგომლობით, სამეცნიერო-კვლევითმა პროექტებმა და მიღწეული შედეგების დანერგვა-გავრცელებამ გაზარდა სექტორის ნაყოფიერება და შეამცირა ზემოქმედება გარემოზე. ასე მაგალითად, კულტურების თანამდევით პროდუქტების და ნარჩენების გამოყენება ენერჯის წარმოებისთვის.

ესსპ განხორციელებაზე ევროკავშირის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი იხარჯება. ამდენად იგი წარმოადგენს ევროინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. სოფლის მეურნეობა უმნიშვნელოვანესი სფეროა, სადაც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების პოლიტიკა მაქსიმალურადაა შეთანხმებული და მნიშვნელოვნად იმართება ევროკავშირის მიერ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიან სექტორს საერთო ევროპული წარმოების მოცულობაში (მშპ, დასაქმება) შედარებით მცირე ნაწილი უკავია. ასეთი ყურადღება სოფლის მეურნეობისა და, საერთოდ, სოფლის განვითარების მიმართ, მიანიშნებს, რომ მისი მნიშვნელობა ევროპისთვის შორს სცდება პროდუქციის მოცულობით გამოხატულ ფასეულობას. რა თქმა უნდა, სოფლის განვითარების ცენტრალური საკითხი კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაა, მაგრამ, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალური განსხვავების შესამცირებლად (რაც გამოიხატება შემოსავლებში საგრძნობი განსხვავებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით და სხვა), არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლად მომსახურებისა და წარმოების განვითარება [8, იხილეთ ო. შატბერაშვილის სატატიო: “ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში”, გვ. 248, 251].

2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭომ განიხილა ევროპის ესსპ-ში შესატანი ცვლილებების საკითხი. კერძოდ, განხილულ იქნა ესსპ გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის, გარემოს დაცვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებები. გარდა ამისა, განხილულ იქნა ესსპ საერთო გამარტივების საკითხი. ცვლილებები ასახავდა მიმდინარე ლისაბონის პროცესის მოთხოვნებსა და, აგრეთვე, 2020 წლამდე საინოვაციო პოლიტიკაში მოსალოდნელ ტენდენციებს. ევროპაში ექსპერტები, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და აგრარული განვითარების კომისარი აცხადებენ რომ, თუ ევროპის სოფლის მეურნეობა არ დაადგება განახლებისა და ინოვაციის გზას, იგი კონკურენციას ვერ გაუძლებს [8, გვ. 245].

2010 წელს 18 ნოემბერს ევროკომისიამ, ფართო განხილვების შემდგომ, წარმოადგინა ინფორმაცია “ესსპ მომავალი 2020 წლისთვის”, რომელშიც განიხილავდა შესაძლებელ ვარიანტებს ესსპ-ის განვითარებისათვის და იწვებდა დებატებს სხვა ინსტიტუციებსა და დაინტერესებულ მხარეებთან. 2011 წლის 12 ოქტომბერს ევროკომისიამ წარმოადგინა სამართლებრივი საკითხების კომპლექტი, რომელიც ორიენტირებული იყო და განსაზღვრავდა ესსპ-ის გადაქცევას უფრო ეფექტიან პოლიტიკად, უფრო მეტ სოფლისმეურნეობის კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას და განაპირობებდა მეტი სიცოცხლისუნარიანი სასოფლო ტერიტორიებს ფორმირებას. ყოველივე წარმოდგენილ იქნა ესსპ-ის რეფორმის პროექტის სახით [13].

2013 წლის 26 ივნისს ესსპ-ის რეფორმის თაობაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ევროკომისიას, ევროპარლამენტს და ევროსაბჭოს შორის [14]. 2013 წლის 11 დეკემბერს კი ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრების საბჭომ ფორმალურად მიიღო ესსპ-ის რეფორმირების ოთხი ფუძემდებლური რეგულიაცია, ასევე განისაზღვრა გარდამავალი წესები 2014 წლისათვის, რომლებიც 20 დეკემბერს(2013) მოიწონა ევროპარლამენტმა. რეფორმის ძირითადი დებულებები დაიბეჭდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში[სრული ტექსტის სანახავად იხ. წყარო - 15]. ამას გარდა, ევროკომისიას, ევროპარლამენტს და ევროსაბჭოს შორის მიღწეული შეთანხმების ეფექტურად შესრულების მიზნით, მიღებულ იქნა რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც უფრო კონკრეტულადაა განსაზღვრული რეფორმის ცალკეული დებულებები. 2014 წლის 11 მარტს ევროკომისიამ მიიღო საკანონმდებლო აქტების მონაცემების პირველი პაკეტი [16].

რეფორმის ძირითადი დებულებები დაკავშირებულია გამოყოფილი ფინანსური საშუალებების უფრო ეფექტურ გამოყენებასთან. ასე მაგალითად, სუბსიდიების მიღების იმედი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ მწარმოებლებს, რომელთაც აჩვენეს საკუთარი წარმოების ეფექტიანობა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სუბსიდიის მაქსიმალურად შესაძლებელი თანხის – 300 ათას ევრომდე შეზღუდვის თაობაზე, რაც, პირველ რიგში, მიმართულ უნდა ყოფილიყო ამ სექტორში მსხვილ მოთამაშეებთან შედარებით, საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ. რიგი ღონისძიებებისა, რომელიც მიმართულია ეკოსისტემის გაუმჯობესებისა და პროდუქტების ორგანული წარმოების მხარდაჭერისკენ: თანხების გამოყოფისას თანხის 30% დაკავშირებული უნდა იყოს პროექტების რეალიზაციასთან, რომლებიც ხელს უწყობს არაადღვანადი ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ინოვაციების ნაწილი ურთიერთდაკავშირებულია ევროკომისიის პოლიტიკასთან, რომელიც ითვალისწინებს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას ახალგაზრდობისათვის. ასე მაგალითად, დამწყები ფერმერებისათვის, 40 წლის ასაკამდე, განსაზღვრულია ეკონომიკური მხარდაჭერის დამატებითი ღონისძიებების გამოყოფა მუშაობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში. ამას გარდა, სუბსიდიების გამოყოფისას შემცირდა რიგი ბიუროკრატიული პროცედურებისა. უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად საკმაოდ მკაცრი კრიტიკისა, ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რიგი მოქმედი დებულებები, შენარჩუნდა მომავალი პროგრამული პერიოდისთვისაც. არ განუცდია ცვლილება საექსპორტო სუბსიდიებს და შენარჩუნდა საწარმოო კვორტებიც, კერძოდ, შაქარზე – 2020 წლამდე და რძის პროდუქტებზე – 2015 წლამდე [17].

2014 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაიწყო ესსპ რეფორმის განხორციელება და 2015 წელს გათვალისწინებული ძირითადი სიახლეების დანერგვის მომზადება. ფერმერების და ევროპარლამენტის მხრიდან მთლიანად დადებითად შეფასდა ესსპ სფეროში ევროკომისიის პასუხისმგებელი წევრის – რუმინელი დ.

ჩოლოშის საქმიანობა, რომელმაც შეძლო, შეეხერხებინა ესსპ-ის გადაჭარბებული ლიბერალური ტენდენცია, რომელიც გააქტიურდა მისი წინამორბედის – მ. ფიშერ ბოილის პერიოდში. რთულ ფინანსურ პირობებში, დ. ჩოლოშმა შეძლო ესსპ-თვის შეენარჩუნებინა ცენტრალური ადგილი ევროკავშირის ეკონიკურ პოლიტიკაში, მიაღწია ევროკავშირის ბიუჯეტში ესსპ-ზე დანახარჯების მინიმალურ შემცირებას. სტრატეგიული თვალსაზრისით მან შეიმუშავა და დაიწყო დანერგვა რეფორმისა, რომელმაც არსებითი ცვლილებების გარეშე, მოახდინა ესსპ-ის პრინციპებისა და ინსტრუმენტების ადაპტირება ევროკავშირის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, განსაზღვრა სასურსათო უსაფრთხოების მხარდაჭერის, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის საშუალებების უფრო სამართლიანი განაწილების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების ამოცანების, მათ შორის ”გამწვანების” შემდგომი განვითარების კურსი. დ. ჩოლოშის ხუთწლიანი საქმიანობის პერიოდში ევროკავშირის აგრო-სამრეწველო ექსპორტის ღირებულება გაიზარდა 70%-ით, ფერმერების შემოსავლები – 25%-ით, აგრარული სექტორის ზრდამ სტაბილური ხასიათი შეიძინა, რაც მომავალი 10 წლებსათვის, დამაიმედებელი პროგნოზის საფუძველს ქმნიდა. ევროკავშირის გათვლით, 2024 წელს ევროკავშირის მარცვლეულის მოსავალი უნდა გაიზარდოს 10%-ით (317 მლნ ტონა), საშუალო წლიური ფასით 180 ევრო/ტონა; შაქრისა და ღორის ხორცის წარმოება გაიზარდება 2%-ით, ფრინველის ხორცის – 7%-ით, რძის – 8%-ით; გაიზარდება ბიოსაწვავის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის, 7%-მდე გაიზარდოს მისი წილი მთლიანად საწვავის მოხმარებაში [17].

ესსპ რეფორმის განხორციელების ”საწყის ეტაპზე” გამოჩნდა პრობლემები. ეს, უპირველეს ყოვლისა სირთულეებით გამოვლინდა საწარმო-სავაჭრო სფეროში, რაც დაკავშირებული იყო ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების სისტემის მოდიფიცირების გადასვლის მომზადებასთან (ინვარი, 2015წ.), განსაკუთრებით 30%-იან წილთან, რომელიც უკავშირდება ”გამწვანებას”, ახალგაზრდა ფერმერების მხარდაჭერასთან, ტრადიციული საბაზრო რეგულირების ”უსაფრთხოების ბადეებით” შეცვლით, ანტიკრიზისული ფონდის ფორმირებასა და ხარჯვას, რძის ბაზრის რეგულირებას, წარმოების კვოტების გაუქმების შემდგომ და ორგანული მიწათმოქმედების წესების განახლებას.

რიგი ქვეყნები გამოვიდნენ მოსაზრებით, რომ გადახდები ”გამწვანებისათვის” გადატანილიყო 2016 წლისათვის ამ პროცედურებთან დაკავშირებული რთული წესების გამო. სხვა ქვეყნები წინააღმდეგნი იყვნენ ახალგაზრდა ფერმერებისათვის მიწის წვდომის გაადვილებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აეცილებინათ ზედმეტი ხარჯები და სპეკულაციის რისკები, ზოგიერთები ეწინააღმდეგებოდნენ ერთ მეურნეობაში ორგანული და ტრადიციული მეურნეობების შეთანაწყობას. რძის სექტორის წარმომადგენლები მოითხოვდნენ, კვოტების გაუქმების შემდგომ(აპრილი, 2015წ.), კრიზისის თავიდან ასაცილებლად განხორციელებულიყო არა მხოლოდ ევროკავშირის რძის ბაზრის მონიტორინგი, არამედ დროებით დაბრუნებულიყო წარმოების მოცულობების რეგულირება ჯარიმების და პრემიების სისტემების გამოყენებით. გამოითქმებოდა ასევე პრეტენზიები სოფლის მეურნეობის არასათანადო მონაწილეობაზე, სტრატეგია ”ევროპა-2020” ფარგლებით გათვალისწინებულ, ხარჯების საშუალებების გამოყენების თაობაზე.

ესსპ-ს საშუალებების განაწილებაში, ქვეყნებს შორის შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგ., ფერმერების, წარმოების ზომებსა და სტრუქტურასთან ”მიბმის” პირდაპირი მხარდაჭერის გაუქმების ფარგლებში, 12-მა ქვეყანამ შეინარჩუნა ამგვარი ”მიბმის” დაშვებული წილი – 13%, 9 ქვეყანამ

იგი შეამცირა 8%-მდე, ხოლო სამმა მოსთხოვა ევროკავშირს, დაერთოთ მათთვის ნება, გადაეჭარბებინათ დაშვებული ნორმისთვის.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროცესის სფეროში სათანადო ეროვნული და რეგიონული პროგრამების მომზადება და მიღება, რომელიც დაგეგმილი იყო 2014–2020 წლებისათვის, 2014 წელს მოწონებულ იქნა მხოლოდ ავსტრიის, დანიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ფინეთისა და გერმანიის რიგი რეგიონების პროგრამები, რომლებზეც მოდიოდა ევროკავშირის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის ფინანსირების დაახლოებით 22%. დამატებით 15-20 პროგრამა მიღებული უნდა ყოფილიყო 2015 წლის დასაწყისში. ამ პროცესის დაჩქარების დამატებით სტიმულს შექმნის ევროკავშირის ახალი საინვესტიციო ფონდის (315 მლრდ ევრო) სახსრების მოზიდვა სოფლის განვითარების დაფინანსებისათვის. აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ და ევროპის საინოვაციო ბანკმა, 2014 წლის ივლისში, ხელი მოაწერეს მემორანდუმს სოფლის მეურნეობის სფეროში და სოფლის განვითარებაში თანამშრომლობის თაობაზე [17; 18].

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემის (სსცის) არსი და კონცეპტუალური საკითხები

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემის (AKIS) კონცეფცია უფრო ადრე არსებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის (AKS) კონცეფციიდან წარმოიქმნა. იგი სათავეს იღებს XX საუკუნის 60-იანი წლების სამეცნიერო ნაშრომებიდან, სადაც განხილული იყო სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციებისა და ექსტენციის საკითხები. ამ სისტემის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ინტერვენციულმა აგრარულმა პოლიტიკამ, რომელშიც გააზრებული იყო ცოდნისა და ინოვაციის გადაცემას შორის კოორდინაციის აუცილებლობა. უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ჯერონად ვერ ხორციელდებოდა კვლევის, განათლების და ექსტენციის წარმომადგენლების სათანადო ინტეგრაცია და ხშირად ეს პროცესები უპირატესად სოფლის მეურნეობის საჭიროებების გავლენით ხორციელდებოდა. 1970-იან წლებში სსცს (AKS) დაემატა ინფორმაციის ფუნქცია და გარდაიქმნა “აგრარული ცოდნისა და ინფორმაციის სისტემა” (AKIS). ამ დამატებამ გააძლიერა ყურადღება ინფორმაციის და მისი სისტემის სხვა ელემენტებთან კავშირურობის მნიშვნელობაზე, ასევე, ხელი შეუწყო კავშირების განვითარებას კომპიუტერების გავრცელების ფართო მასშტაბების მეშვეობით. ცნება “სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის სისტემა” ფართოდ გამოიყენებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პოლიტიკის ტერმინოლოგიაში. მოგვიანებით და საკმაოდ უხმაუროდ ამ ცნებას მიეცა ახალი ფორმულირება – “სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემა” (AKIS) და მან შეიძინა ახალი შინაარსი [19, გვ. 26-27].

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემა, როგორც ცნება, გულისხმობს ორგანიზაციების, საწარმოებისა და ინდივიდებისგან შემდგარ ქსელს, რომელიც ინსტიტუტებისა და პოლიტიკის გამტარებლების ერთობლივი, მიზანმიმართული ქმედებების მეშვეობით ახდენს ფოკუსირებას ახალ პროდუქტებზე, ახალ და პროგრესულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე და ახალ და ეფექტურ ორგანიზაციულ ფორმებზე. ინოვაციის არსის განსაზღვრისას ყურადსაღებია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოზიცია, რომელიც ინოვაციას განიხილავს, როგორც ახალი ან მნიშვნელოვანი გაუმჯობესებული პროდუქტის(საქონლის ან მომსახურების) დანერგვას, მარკეტინგული მეთოდის განხორციელებას ან პროცესს, ან ახალ ორგანიზაციულ

მეთოდს ბიზნესსაქმიანობაში, სამუშაო ადგილის ორგანიზებაში ან საგარეო ურთიერთობებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ინოვაციურ აქტივობებს წარმოადგენს სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ქმედებები, რომლებიც ფაქტობრივად გამიზნულია ინოვაციების განსახორციელებლად.

სსცის კონცეფციის ფართო ხედვით იგი მოიცავს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სოფლის განვითარებასაც [20]. ამ კონცეფციის შესატყვისი მოდელით განიხილება 4 უმნიშვნელოვანესი მონაწილე(მოთამაშე) მხარე, რომელთაც გააჩნიათ აგრარული და სასოფლო განვითარების ინტერესი და რომლებიც ახორციელებენ ფერმერების და სოფლის მონაწილეების ცოდნისა და ინოვაციის გენერირებას. ესაა: 1. კვლევა; 2. ექსტენცია; 3. განათლება და სწავლება; 4. დამხმარე სისტემები (ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კრედიტებით, წარმოების საშუალებით უზრუნველყოფას, და მწარმოებელთა გაერთიანებები და ა.შ.) [20].

სსცის გულისხმობს მონაწილე მხარეების მნიშვნელოვან როლდენობას შორის ცოდნის შექმნის, ადაპტაციისა და გამოყენების ურთიერთგანპირობებულ პროცესს. ინოვაციური სისტემის შესაძლებლობებს განსაზღვრავს: სათანადო ინოვაციური პოლიტიკა, ჩართული ინსტიტუტებისა და მონაწილე მხარეების როლდენობა და საქმიანობის მასშტაბები. ინოვაციური სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევაა მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთკავშირების გაიოლება და მხარეების საბოლოო შედეგით მაქსიმალური დაინტერესება [21].

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სოფლის მეურნეობის ინოვაციის პროცესი მეტად მნიშვნელოვან გამოწვევას და აქტუალურ თემას წარმოადგენს, წამყვანი სპეციალისტების აზრით, არასათანადოდაა შესწავლილი როგორც სსცის არსი, ისე მისი ცვლილებების მახასიათებლები[21]. ამასთან, ამ მიმართულებით ცოდნის გადრმავებას და არსებული გამოცდილებების გაშუქებას, რომლებიც მეტად განსხვავებულია ევროპის ქვეყნებსა და რეგიონებში, აქვს უდავო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სისტემური ცვლილებებისა და მათი მრვალფეროვნების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც საერთოდ ინოვაციის განვითარებისათვის, ისე იმ გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის, რომელთაც სურთ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილებების მექანიკურად გადმოტანა ვერ შექმნის მოცემული ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოკრეტული გამოწვევებისა და საჭიროებების სრულად გათვალისწინების სათანადო გარანტიებს.

სსცის სხვადასხვა ორგანული ნაწილები, როგორცაა განათლება, კვლევა და ექსტენცია, ფუნქციონირების და განვითარების განსხვავებულ, სპეციფიკურ თავისებურებებს და პრობლემებს ავლენენ. სისტემის ფარგლებში მათ მართვას განსხვავებული სტიმულები ახასიათებს, რომლებიც, კოოპერირების და სინერგიულობის თვალსაზრისით, შეიძლება პრობლემატური იყოს. განათლება ხშირად სუსტადაა დაკავშირებული კვლევასთან, ექსტენციასა და ბიზნესთან. გამოყენებითი კვლევები ხშირად არასათანადოდ ავითარებს და ასახავს ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომების შედეგებს და ნაკლებად არის ორიენტირებული მათ პრაქტიკულ სარგებლიანობაზე. კავშირები და კოოპერაცია კვლევასა და ექსტენციას ან ფერმერთა ჯგუფებს შორის, არის მეტად მნიშვნელოვანი და მათ განვითარებაზე დიდადაა დამოკიდებული სსცის ეფექტური ფუნქციონირება. რიგ შემთხვევაში, კვლევის გაფართოებასთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანია ფერმერებსა და სურსათის მწარმოებლებზე სწორად ორიენტირებულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება.

კვლევების განხორციელების მოტივაციის მხარდაჭერის მხრივ განსხვავებენ “მეცნიერების ამძრავ” და “ინოვაციის ამძრავ” კვლევებს. ინოვა-

ცია იწყება არსებული ცოდნის მობილიზაციით. იგი განიხილება, როგორც სოციალური პროცესი, არა ზემოდან ქვემოთ, მეცნიერებიდან განხორციელებისკენ მიმართული, არამედ, უფრო ქვედა, გადატრიალებული ნაწილით განპირობებული ან განსაზღვრული. მწირი ტექნიკური ინოვაცია წარმოადგენს კლიენტებისა და მრჩეველების მეშვეობით, სოციალურად დანერგილ პროცესს [21, გვ. 11]. ინოვაციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ბიზნესის პასუხისმგებლობაში. ამასთან ერთად, ესაა მთავრობის პასუხისმგებლობაც. ინოვაციას არა მხოლოდ სარგებელი მოაქვს იმათთვის, ვინც ახდენს ინოვაციას, არამედ მას ასევე მოაქვს მოგება: მომავალი ინოვაციებისათვის, ისევე, როგორც ბიზნესკლასტერებისა და ეკონომიკისათვის ფართო კონკურენტუნარიანი პოზიციით და გრძელვადიანი მსვლელობით, მეტი სამუშაო ადგილების და უფრო მაღალი შემოსავლების განხორციელებით. ეს არის გავრცელების პოზიტიური ეფექტები, რომელებიც შეიძლება განხორციელდეს ინოვაციის ნაკლებობის შემთხვევაშიც.

მთავრობისთვის, ინოვაციის განვითარების პოლიტიკის მეორე მიზეზი არის ის, რომ ესაა ერთ-ერთი ინსტრუმენტი ისეთი ნეგატიური შედეგების შესამცირებლად, როგორიცაა გარემოს დაბინძურება სოფლის მეურნეობასა და სურსათის წარმოებაში. დაწყებული იდეის ცვლილებიდან და სწავლიდან, ინოვაცია ბიზნესისათვის წარმოადგენს გარკვეულ რისკს და სარგებელს, ამასთან, ინოვაციური სქემა ადასტურებს, რომ ადეკვატური გადამცემა საშუალება იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს ფერმერთა ჯგუფების ახალი შესაძლებლობების შესწავლას. ასევე ჩანს, რომ ის ეფექტური საქმიანობის ფორმაა, ისეთი საინფორმაციო აგენტებისათვის, როგორიცაა ფერმის კონსულტანტები. ინოვაციის პროცესი მოიცავს პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით განსაზღვრულ ჩარჩოებში ხორციელდება კოლექტივების, კერძოდ სურსათის მწარმოებლების, ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსტენციისა და კვლევების დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციის პოლიტიკას ინსტრუმენტების გაცილებით მეტი რესურსი აქვს ვიდრე ამას კვლევების განხორციელება ქმნის. ასე მაგალითად, შრომის ბაზრის პოლიტიკა, სტანდარტების და ნორმატივების რეგულაციები ან დერეგულირება. და ა.შ.

ინოვაციის პოლიტიკას გააჩნია სოციალური ინოვაციის მიმართულებები, არა მხოლოდ ინოვაციის პროცესის სოციალური ასპექტები, არც როგორც მხოლოდ ობიექტი, რომელზეც ინოვაციას შეიძლება ჰქონდეს მდგრადი გავლენა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობაზე, არამედ როგორც ფაქტი, რომ სოციალური პრობლემები საჭიროებს ინოვაციურ მიდგომებს.

ეს მოიცავს რეგიონებში სასოფლო განვითარების ან მოსახლეობის შემცირების, სამთავრობო მომსახურებების დონის კლების ან რიგ შემთხვევაში არაკონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის საკითხებს. თუმცა სოციალურ ინოვაციას, ურბანული მეურნეობრივი და სასურსათო პროექტებით, შეუძლია ხელი შეუწყოს უმუშევრობის მაღალი დონის შემცირებას თუ დიდი ქალაქების მაღალი ხვედრითი წონის მქონე დარბი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. სოციალურ ინოვაციას შეუძლია განვითარდეს მნიშვნელოვანი მოტივაციით, რათა გააძლიეროს კავშირი, ერთი მხრივ, ურბანულ დასახლებებსა და მეორე მხრივ, სურსათის მწარმოებელ სასოფლო ტერიტორიებს შორის.

სსცის განვითარების კონცეპტუალურ ხედვებთან დაკავშირებული მოსაზრებები უპირატესად ეფუძნება საინოვაციო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მიდგომებს. ლიტერატურაში განიხილება ორი თვალსაზრისი: ა) ინოვაციის მაკრო-ეკონომიკური განვითარება და ბ) ინოვაციური სისტემების განვითარება [22, გვ. 3].

მაკროეკონომიკური მიდგომა ამახვილებს ყურადღებას ინოვაციურ ხედვაზე, როგორც სწორხაზოვან პროცესზე, რომელიც იწყება ბაზისური კვლევიდან, გრძელდება კვლევა-შემუშავების გზით კომერციული მოთხოვნის მიმართულებით. მისი განხორციელების უმთავრეს მოტივაციურ მიზეზად განიხილება ბაზრის წარუმატებლობა, ხოლო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად მიჩნეულია მეცნიერება და სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა. ვინაიდან ამგვარ მიდგომაში არჩევანის, რესურსების ალოკაციისა და ბაზრის ორგანიზებისას არსებობს მთავრობის წარუმატებლობის რისკი, ამდენად იგი უნდა ატარებდეს მისაღები, ნათელი პოლიტიკის სახეს, რომლის შემოწმებაც შესაძლებელი იქნება მეცნიერებაზე დაფუძნებული ინდიკატორების ცვლილებებით.

ინოვაციური სისტემების განვითარების მიდგომას ინოვაციის პროცესისა და საინოვაციო პოლიტიკის უფრო მეტად რთული ხედვა აქვს. აქ აქცენტი ეკიდება ინოვაციის პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთზემოქმედებაზე. ამგვარი მიდგომის უმთავრესი მოტივაცია მდგომარეობს სისტემის ჩარჩოების და მისი ელემენტების პრობლემების გააშუქებასა და ახალი საინოვაციო პოლიტიკის ფორმირებაში. ამიტომაც განიხილება საინოვაციო პოლიტიკის საჭიროება. რა თქმა უნდა, საინოვაციო პოლიტიკას ახასიათებს მრავალი კონტექსტური თავისებურება და ის მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციის განვითარების მაკროეკონომიკური მიდგომები კავშირშია ეკონომიკის წონასწორულ ხედვებთან, რომელის საფუძვლებიც შემუშავებულია ისეთი დიდი ეკონომისტების მიერ, როგორცაა: დ. რიკარდო, ა. მარშალი, ლ. ვალრასი, რ. კოაზი, ფ. ჰაიეკი, მ. ფრიდმანი და სხვ. ინოვაციის სისტემების განვითარების მიდგომები უპირატესად შემოტანილია ეკონომიკის არაწონასწორული მდგომარეობის შესწავლისას. რამდენიმე დიდმა ეკონომისტმა ხელი შეუწყო ამ მიდგომის განვითარებას. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ი. შუმპეტერი, თავისი ფიქრებით მეწარმეზე, შემოქმედებით განადგურებაზე, ბიზნესციკლებზე და ა.შ. რიგი მოსაზრებების ფორმულირებისას იგი ემყარებოდა კ. მარქსის შეხედულებებს კაპიტალისტის როლზე და ფ. ლისტის დებულებებს საემაწვილო ინდუსტრიის საკითხებზე, რამაც ხელი შეუწყო ინოვაციური სისტემების განვითარების ხედვების ჩამოყალიბებას. ამავე მიდგომის განვითარებას ხელი შეუწყო კ. აროუმ, ბაზრის წარუმატებლობის საკითხების შესწავლით და ო. ვილიამსონმა, ინდუსტრიული ეკონომიკის კვლევით [22, გვ.3-10]. ინოვაციის სისტემის განვითარების ხედვა გვეხმარება, უკეთ გავიაზროთ საინოვაციო პროცესების განვითარებების არსი, პერსპექტივა, პოტენციადი ახალი კომბინაციისათვის, სტრუქტურული ჩავარდნები, მივიღოთ გადაწყვეტილებები და განვსაზღვროთ საინოვაციო პოლიტიკის შესაძლებლობები.

ინოვაციური სისტემების განვითარების მიდგომაში, კარგად განვითარებული ცოდნისა და ინოვაციის სისტემაზე საუბრისას გამოყოფენ შვიდ ფუნქციას. ესენია: 1. ცოდნის განვითარება და დიფუზია; 2. ზემოქმედება კვლევისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობების მიმართულებაზე; 3. სამეწარმეო ექსპერიმენტირება და რისკისა და მოულოდნელობის მართვა; 4. ბაზრის ფორმირება; 5. რესურსების მობილიზაცია; 6. ლეგიტიმაცია; 7. პოზიტიური საგარეო ზემოქმედების განვითარება [23; 22].

ინოვაციის სისტემების ჩარჩოებში, უნდა გაანალიზდეს ეს ფუნქციები და გააშუქდეს მექანიზმები, რომლებიც განვითარებს ან გააუმჯობესებს ამ ფუნქციების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აღნიშნული ფუნქციების განხორციელება გულისხმობს კარგად განვითარებული ცოდნისა და ინოვაციის სიტემას და ასევე ნათელია, რომ ასეთი სისტემის ჩამოყალიბება საჭიროებს მნიშვნელოვან პერიოდს. წარმატებული ინოვაციური სისტემების განვითარება, მათი

სათანადო კონკურენტუნარიანი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური მხარეების ჩამოყალიბება და გაძლიერება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, ათწლეულობის განმავლობაში, ან საუკუნეებიც სჭირდება და ცვლილებები ხშირად მეტად ნელა ხორციელდება. მოწინავე საინოვაციო სისტემები ეფუძნება კარგად ჩამოყალიბებულ განსაზღვრულ, გაცვლით ურთიერთობებს სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ტექნოლოგიებს, ინდუსტრიასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. ეს იძლევა სპეციფიური სისტემის სპექტრის მახასიათებელი თვისებების ფორმირების შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს განსხვავებული როლების მქონე ჩართულ მონაწილეებს, მხარეებს, რომლებიც კერძო საშუაშვლო თუ პიროვნული შესაძლებლობებით, ხელს უწყობენ ტრანსაქციებს ინოვაციის სისტემის მოაწილეებს შორის [22, გვ. 3].

კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენს ბრიტანული და გერმანული ინოვაციის სისტემები, პირველი და მეორე სამრეწველო (ინდუსტრიული) რევოლუციების პერიოდებში, რომლებიც შესწავლილ იქნა ქრის ფრიმენის მიერ (1997). მან დაგვანახა ბრწყინვალე კავშირები სამეცნიერო, პოლიტიკურ, კულტურულ და სამრეწველო ქვესისტემებს შორის ბრიტანეთში პირველი სამრეწველო რევოლუციის დროს. სისტემა გარკვეულად დაზიანდა მეორე სამრეწველო რევოლუციის პერიოდში მეცნიერებასა და სხვა ქვესისტემის კომპონენტებს შორის განსხვავებული ზრდის ბიჯის გამო. გერმანიაში, სამრეწველო კვლევებს, წარმოებას, პოლიტიკურ და კულტურულ ქვესისტემებს შორის კორიზონტალური კავშირების დამყარებით, გაუმჯობესდა ურთიერთქმედების საშუალო დროითი პერიოდები [24, გვ. 435-448].

სსცი-ში მრავალი მონაწილე ქვესისტემა, მხარე და პირია ჩართული, რაც განაპირობებს მათი ფრაგმენტაციის საკითხების გაშუქების და კოორდინაციის პრობლემების კვლევის აუცილებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სიმრავლით მიიღწევა ინოვაციის შესაძლებლობების განხორციელება. ლიტერატურაში განიხილება ძირითად მონაწილე მხარეთა ოთხი ისეთი დაჯგუფება, რომელიც მოიცავს: ა) ინფორმაციისა და ცოდნის სისტემას (კვლევითი ინსტიტუტები, ექსტენცია, პროფესიული სკოლები, ფერმერული კავშირები); ბ) სოციალურ-ეკონომიკური მონაწილენი (ფერმერები, გადაამამუშავებლები, მცირე საწარმოები და ა.შ.); გ) სამთავრობო გადაწყვეტილებების მიმღები სისტემა, სხვადასხვა სამთავრობო ადმინისტრირება რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე; დ) საბოლოო მოსარგებლენი, მომხმარებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები [25; 19, გვ. 27-28].

აღნიშნული მიდგომით, უმნიშვნელოვანეს მხარედ განიხილება საინფორმაციო და ცოდნის სისტემა, რომელიც მოიცავს კვლევის, ექსტენციის და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, რომლებიც სტრუქტურირებული და მართულია მთავრობის მიერ სექტორული პოლიტიკის მეშვეობით. ამ სისტემის უმთავრეს ფუნქციურ მიზანს წარმოადგენს ფერმერების უფრო მაღალი პროფესიული დონის მიღწევის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება. საინფორმაციო და ცოდნის სისტემის სტრუქტურა, მისი ორგანიზაცია და მართვა დიდად განსხვავებულია ქვეყნებს შორის, იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალიზაციის თუ დეცენტრალიზაციის დონეზე. სხვაობები შეიძლება ვიპოვოთ ერთი და იმავე ქვეყანის (მაგ., გერმანია) განსხვავებულ რეგიონებსა და ფედერალურ მხარეებში. მთლიანად მოცემული სისტემა მნიშვნელოვნადაა ფრაგმენტირებული და მასში ახალი სტრუქტურების და მონაწილე მხარეების წარმოქმნის საკითხები განიხილება დინამიურ პროცესად. მაგალითად, ექსტენცია ფერმერებისათვის რამდენიმე განსხვავებულ მოდელს შეიძლება მოიცავდეს ფრაგმენტაციის და დაფინანსების წყაროების დონეების შესაბამისობის შედეგად [26].

მნიშვნელოვნად პრივატიზებულია სისტემები, მაგალითად ნიდერლანდებსა და გერმანიის რიგ მხარეში, სადაც დაფინანსება ხდება ფერმერების პირდაპირი გადახდებით და სადაც სსცის იმართება კერძო ორგანიზაციების მიერ. ნიდერლანდებში ექსტენციის სისტემა კერძოა, თუმცა კვლევისა და განათლების სისტემები უპირატესად სახელმწიფოს ეკუთვნის. აქ ფერმერებისა და მცირე საშუალო საწარმოებისათვის, ცოდნის შექმნის სუბსიდირება ხორციელდება ცოდნის ვაუჩერული სისტემით.

ფერმერული ორგანიზაციებისა და რეგიონების (მხარეები, შტატები) ერთობლივი თანამართველობით, მაგალითად, საფრანგეთში, ფინეთსა და გერმანიის რიგ მხარეში, ხორციელდება სამთავრობო დაფინანსება ფერმერული და ფერმერული ორგანიზაციების ნაწილობრივი ფინანსური დაფარვებით. სანახევროდ(რეგიონი, შტატი) მართვა ხდება, მაგალითად, ირლანდიაში, სადაც მართვას ახორციელებენ შტატის, მრეწველობისა და ფერმერული ორგანიზაციების წარმომადგენლები; ან შტატის რეგიონული ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მართვა, მაგალითად, შვეიცარიაში, იტალიასა და ფინეთში.

საგანმანათლებლო სისტემას ხშირად აქვს მყარი კავშირები სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო სისტემასთან. ინოვაციის გახსნილობა საგანმანათლებლო სისტემის ჩარჩოებში წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს უნარიანი მონაწილეებისათვის, რაც ეხმარება მათ ცოდნის გააზრებასა და ტრანსფორმირებაში, ასევე სათანადო პროექტების შექმნაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სისტემები წარმოაჩენენ რიგ პრობლემებს, რომლებიც მუდამდებია კომპეტენციების არასაკმარისობაში, წინააღმდეგობებში სხვადასხვა როლების განხორციელებასა და მოტივაციას, მეთოდებსა და შტატის კვალიფიკაციებს შორის, მაგალითად, როდესაც ინსპექტორი და მრჩეველი ერთ და იმავე ორგანიზაციას წარმოადგენს. კერძო სისტემები ავლენენ განსხვავებულ პრობლემებს, რაც ვლინდება მრჩეველების არამდგრად დასაქმებასა და ფერმერების არათანაბარ ფინანსურ შესაძლებლობებში, მიიღონ მათთვის სასარგებლო საექსტენციო მომსახურებები, რომლებიც უმთავრესად ორიენტირებულია მსხვილ ჰოლდინგებსა და მაღალ მომგებიან ფერმერულ მეურნეობებზე. კერძო ექსტენციის სისტემები და სასწავლო კურსები ნაკლებადაა ორიენტირებული ფერმერთა ფართო წრეზე, ისინი მეტად არიან ფოკუსირებულნი კერძო კომპანიების მოთხოვნებზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ირლანდიის ექსტენციის, კვლევისა და განათლების მომსახურებები თავიანთ საქმიანობებს ახორციელებს სანახევროდ სახელმწიფო ორგანიზაციის – Teagasc-ის მეშვეობით, ხოლო მის ინსპექტირებებს – დამოუკიდებელი სახელმწიფო დეპარტამენტი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საინოვაციო სტრატეგია ყურადღებას იმაზე ამახვილებს რომ მეცნიერება კვლავაც რჩება ინოვაციის საარსებო შემადგენელ ნაწილად, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ინოვაციის იდეა ამაჟამად გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე კვლევა და განვითარება(R&D) [27]. სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCAR) სემინარზე(ანჯერში) ყურადღება გამახვილდა რამოდენიმე ასპექტზე, როცა მეცნიერება უარყოფით გავლენას ახდენს სსცის-ზე [28].

კერძოდ, კვლევითი პროგრამები, პრიორიტეტები და მათი ევოლუციის კრიტერიუმები, რომლებსაც ირჩევენ აკადემიურ სფეროში და შესაბამისი შედეგები, რაც შუქდება აკადემიურ პუბლიკაციებში, ყოველთვის არ არის გასაგები მოსარგებლეთა უმეტესი ნაწილისათვის. ამდენად, განსხვავებული უნარის მქონე მოსარგებლენი და ინოვატორები საჭიროებენ უფრო მეტად ადაპტირებულ ცოდნას, რომელიც უკეთესად ესადაგება მათ გაგებას და საჭიროებებს. შესაბამისად, სსცის განვითარებული კონცეფცია მოითხოვს

შუამავლობის სხვადასხვა ფორმას, მაგალითად, გამოყენებითი კვლევითი შედეგების გასაგებ ენაზე გავრცელებას ფერმერული გაზეთებისა და ჟურნალების, სპეციალიზებული ვებსაიტების, სემინარების და ა.შ. მეშვეობით.

ერთ-ერთი გზა, რომლითაც შეიძლება მეტი ყურადღების გამახვილება კავშირურთიერთობებზე, დისციპლინათაშორის კვლევასა და თანამშრომლობაზე, მსოფლიოს მეცნიერებათა აკადემიებს (უნივერსიტეტები და სამეცნიერო ინსტიტუტები) და პრაქტიკას შორის (ფერმერები, ადგილობრივი, მინდვრის ექსტენციონისტები, ცოდნის ბროკერები და ა.შ.), ესაა ზოგადად მაღალი ურთიერთდამოკიდებული და მრავალდისციპლინური პროცესი და ის მოიცავს მკვლევარების უფრო მეტად თანამშრომლობის საჭიროებას ფერმერებთან და საბოლოო მომხმარებლებთან. რამდენიმე ქვეყანაში არსებობს გამოწვევები კვლევების შედეგების პრაქტიკისათვის გადაცემის ან, პირიქით, პრაქტიკოსების ცოდნაზე მოთხოვნების გადაცემისა კვლევითი და საკონსულტაციო პროგრამებისათვის.

სისტემის ფარგლებში, უკეთესი კოორდინაციისა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთქმედების გაუმჯობესების მიზნით, გამოიყენება განსხვავებული მიდგომები. ასე მაგალითად, საფრანგეთში დაფინანსება ეძლევა სპეციალურ პროექტებს, რომლებიც მოიცავს კვლევის, ექსტენციის და განათლების ორგანიზაციების გაერთიანებებს (კონსორციუმებს). შვეიცარიაში პლატფორმები წარმოადგენენ კვლევის, ექსტენციისა და განათლების, ჩართულ მონაწილეთა ადგილს, ისევე, როგორც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების კომიტეტები. ბადენ-ვურტემბერგში (გერმანია) სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტები თანამშრომლობენ სამთავრობო კვლევით დაწესებულებებთან, საექსტენციო მომსახურებებსა და ფერმერულ გაერთიანებებთან. განათლება და საექსტენციო მომსახურებები, მხარდაჭერილია ცოდნის გავრცელების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და მეთოდებით და პლატფორმების ცვლილებებით. კოოპერაციას კვლევასა და ინოვაციაში მიჰყვართ დეცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურის და საერთაშორისო პარტნიორებთან მზარდი თანამშრომლობისაკენ.

ნიდერლანდებში ექსტენციის მომსახურების პრივატიზაციამ წარმოქმნა კონკურენცია. რადგან ექსტენციის ორგანიზაციები კონკურენტები არიან, ისინი ხანდახან იძულებულნი ხდებიან ერთობლივად ისარგებლონ ცოდნით (გაინაწილონ ცოდნა). ამ წინააღმდეგობისა და შეუსაბამობის დასაძლევად ცოდნის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს შორის, აქ მოქმედებენ საშუამავლო საბროკერო სტრუქტურები ხშირად სამთავრობო დაფინანსებით. განსაკუთრებულ ხელშეწყობას, კერძოდ სათანადო დაფინანსებას საჭიროებს ურთიერთზემოქმედების განვითარება სხვადასხვა სსცის მონაწილეებს შორის, რომელიც მოიცავს განათლებას და კვლევას, ექსტენციას და პრაქტიკოს სპეციალისტებს, რათა ასტიმულირონ ინოვაციის ჯაჭვი სხვადასხვა მიმართულებით, არა მხოლოდ კვლევის ხელშეწყობი ინოვაციის, არამედ ასევე ინოვაციის გამტარებელი კვლევის ინოვაციების ინტეგრირების განხორციელებასა და ცოდნის გამოყენებაში.

ლატვიაში სსცის არის ფრაგმენტირებული, რომელიც მრავალ მონაწილე მხარეს – სახელმწიფო და კერძო, ლოკალურ და ეროვნულ, სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო, კვლევასა და ექსტენციას მოიცავს. ლატვიაში დაიწყო განვითარება კოოპერაციის ახალმა მოდელმა, რომელიც ცოდნაზე მოთხოვნისა და მიწოდების განსხვავების დაძლევაზეა ორიენტირებული. სსცის ორი მთავარი მონაწილე მხარე – სასოფლო საკონსულტაციო და სასწავლო ცენტრი და ლატვიის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი – ცდილობს განახორციელოს მჭიდრო თანამშრომლობა. ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ

ფერმერთა ორგანიზაციების, კოოპერატივების, პროფესიული გაერთიანებებისა და კომერციული დაწესებულებების ინტერესებს, რომლებიც მოტივირებულები არიან ცოდნის, ტრენინგის და საკონსულტაციო მომსახურების მზარდ თვისებრივ ცვლილებებზე.

ირლანდიაში, Teagasc ახორციელებს ინტეგრირებულ კვლევას, საკონსულტაციო და საექსტენციო მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო და სოფლის განვითარების სექტორებისათვის, ფერმერებისა და დაინტერესებული პირებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციისა და სწავლების მომსახურებები აქ ერთობლივად ფინანსდებიან ფერმერების მიერ და სამთავრობო სუბსიდიებით. ამავე დროს, სამეცნიერო კვლევები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და კონკურენციული საგარეო კვლევების საფინანსო სქემებით ფონდებიდან მიღებული გრანტებით. დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთქმედების ორგანიზებას ახორციელებენ სასაქონლო მწარმოებლების ოფიციალური ჯგუფები(მაგალითად, რძის, საქონლის ხორცის, ცხვრის, მარცვლეულის მწარმოებლები და ა.შ.). სტრატეგიული თანამშრომლობა ინოვაციური ექსტენციის ღონისძიებების თაობაზე, ფერმერებს, კერძო სექტორს და მედიას შორის, მხარდაჭერილია ისეთი მიზნობრივი ფერმერული პროგრამებით, როგორცაა საუკეთესო ფერმერული ბიზნესგარემო, ტექნოლოგია, ტრენინგი, ექსტენცია და კვლევა. აქ არის ასევე არაფორმალური კონტაქტები Teagasc-ის თანამშრომლებსა და მწარმოებლებს შორის, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ ისეთ პატარა ზომის ქვეყანაში, როგორც ირლანდია, Teagasc-ის ფარგლებში ფუნქციონირებდეს გამოყენებითი კვლევის ცენტრების, საკონსულტაციო ოფისების და სასოფლო-სამეურნეო კოლეჯების ქსელი. ცოდნის მენეჯმენტის სამსახურები თავიანთი კონსულტანტების მეშვეობით ასევე ახორციელებენ კერძო სექტორის მომსახურებას. განათლების მესამე დონე და კვლევა ხორციელდება ირლანდიის საუნივერსიტეტო კოლეჯთან თანამშრომლობით, ევროპის უნივერსიტეტებთან და უმაღლესი განათლების შემდგომი დაფინანსების სქემის პროექტებით და Teagasc-ის ადმინისტრირებით.

სოციალურ-ეკონომიკურ მონაწილეებში, უპირველეს ყოვლისა, განიხილავენ ფერმერებს, რომლებიც კატეგორიების და განსხვავებების მიხედვით შეიძლება დაიყონ, სხვადასხვა კრიტერიუმებით: პროფესიულად სრული თუ ნაწილობრივი დასაქმების, ასაკოვანი თუ ახალგაზრდა, კაცი თუ ქალი, ტრადიციული თუ ორგანული მეთოდებით მომუშავე, სპეციალიზებული თუ დივერსიფიცირებული მეურნეობის მქონე და ა.შ. ინოვაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიების ფერმერებს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ. ზოგადად, მათ აქვთ გარკვეული განწყობები საექსტენციო მომსახურების მიმართ, პროფესიულობის, სპეციალიზებულობისა თუ კონვერსიულობის და სქესის გათვალისწინებით. თუმცა, სსცის მომსახურებების თანაბარი წვდომა ყველა ფერმერს არ აქვს.

საერთოდ, ძალიან მცირე ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც ხასიათდებიან ექსტენსიური განვითარებით და პროდუქციის წარმოების დაბალი დონით, უძნელდებათ ამ მომსახურებების მიღება, სამთავრობო დახმარებისა და ექსტენციის პროგრამების მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილება. ეს პროგრამები უპირატესად წარმოების ინტენსიურ მეთოდებზე არიან ორიენტირებულნი. წარმოების მცირე მასშტაბების მქონე ფერმერთა ჯგუფებისათვის კერძო ექსტენციის გამტარებლების მომსახურებები მეტად ძვირია, ამრიგად, მათ არსებითად არ შეუძლიათ ან მეტად უძნელდებათ ნებისმიერი სახის ექსტენციის მომსახურების მიღება.

რიგი ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც სახელმწიფო ნაკლებად ახდენს ფერმერული მეურნეობების დახმარებას(მაგალითად, გერმანია), მნიშვნელოვანი

ნაწილი მრავალფუნქციური ფერმერული და ოჯახური მეურნეობებისა, რომლებიც ახორციელებენ საკუთარ მეურნეობაზე დაფუძნებულ გადამამუშავებელ წარმოებას ან დამატებით იღებენ არაფერმერულ შემოსავლებს, სწორედ ამის მეშვეობით ახერხებენ ექსტენციის სისტემის მომსახურებების მიღებას. ასევე აღსანიშნავია, რომ ფერმერთა მიერ გაწეული ინოვაციური მომსახურებები, განსაკუთრებით ნაკვეთების დონეზე, მზარდ ხასიათს ატარებს, თუმცა ხშირად ისინი იგნორირებულია როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე ადგილობრივი საკონსულტაციო სისტემის მიერ [29, გვ. 1-28].

სოფლის მეწარმეები და მცირე და საშუალო საწარმოები უმთავრესად მოიცავენ სასოფლო ტურიზმს, რესურსებზე (ტყე, წყალი, ა.შ.) დამყარებულ საქმიანობებს, სურსათის წარმოებას და სოციალურ მომსახურებებს. უმეტეს შემთხვევაში მათ სუსტი კავშირები აქვთ ოფიციალურ სსცი-თან, მაშინაც კი, როცა სოციალურ მომსახურებები და ზრუნვა სოფლის მეურნეობაზე მნიშვნელოვნად იზრდება [30].

ურთიერთობა მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს და საცალო მოვაჭრეებს შორის ფორმალურად არაა პრაქტიკულ საკანონმდებლო ნორმებთან. წარმოების საშუალებებით მომმარაგებლები (პირუტყვის საკვების, სასუქების, მზაქიმიკატების და მანქანების მწარმოებელი საწარმოები) მზად არიან იმოქმედონ თავიანთი კომერციული ქსელის ჩარჩოებში ცოდნის სისტემის განვითარების მიმართულებით. აქაც შეინიშნება ძლიერი მომხმარებლებისათვის კონსულტაციების გაწევის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია. ეს ტენდენცია განსაკუთრებულად იჩენს თავს იმ ქვეყნებში, სადაც ექსტენციის მომსახურება და კოოპერირება სუსტია (მაგალითად, იტალიისა და ლატვიის მსგავსად), როგორც მეცხოველეობაში, ისე საოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის გადამამუშავებაში, ან სადაც მთავრობებს მნიშვნელოვანი როლ არ აქვთ საბაზრო პროცესების კორექტირებაში (მაგალითად, ნიდერლანდები).

კოოპერატივები და მწარმოებელთა გაერთიანებები მეცნიერული და ინფორმაციული პროცესების მიმწოდებელი აქტიური სუბიექტები არიან. ისინი ხშირად ახორციელებენ წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფას და იძლევიან სათანადო ტექნიკურ რჩევებს, ასევე ზრუნავენ პროდუქტან დაკავშირებულ კვლევითი შედეგების დანერგვასა და სწავლა-კონსულტირებაზე.

მსხვილი კოოპერატივებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების კონცენტრაციასა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზრებზე, ინოვაციას ენიჭება მზარდი მნიშვნელობა. ასე მაგალითად, საფრანგეთსა და შვეიცარიაში პროფესიათაშორისი ორგანიზაციები მოიცავენ მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს და სხვა მომიჯნავე პროფესიონალ მონაწილეებს და მომხმარებლების წარმომადგენლებს, რომლებიც ერთობლივ, მიზანმიმართულ საქმიანობას ეწევიან. ირლანდიაში ადგილი აქვს ინსტიტუციურ ინოვაციებს, მაგალითად, როგორცაა ფერმერთა ამხანაგობანი, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობაში, ერთიანდებიან კოოპერატივებში და ავითარებენ სექტორთაშორის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას.

ამ კოოპერატივთა ორგანიზაციების მიზანია, ხელი შეუწყოს კერძო ფერმერების, მწარმოებელთა ჯგუფების და მრეწველობის წარმომადგენლების, მონაწილეებისა თუ დამფუძნებლების თანამშრომლობას ცოდნის, რესურსების და საინოვაციო შესაძლებლობების გაერთიანების მეშვეობით. ამავე მიმართულებით გადამამუშავებელი და საცალო მოვაჭრე კომპანიები მნიშვნელოვანი ინოვაციის გამტარებლები არიან.

კერძოდ, საცალო მოვაჭრეებს მწარმოებელთა კონტროლის მოტივაცია აქვთ მარკირების მეშვეობით. ბუნებრივია, ისინი ზრუნავენ საკუთარ ინტერესებზე, ისევე, როგორც მომხმარებლების საჭიროებებსა და მოტივაციებზე.

ისინი მოქმედებენ ინოვაციის მიმართულებით “ზემოდან ქვემოთ” მიდგომის მეთოდით და ხელს უწყობენ ფერმერთა შესაძლებლობების განვითარების ინოვაციურ მსვლელობას.

მედია და ჟურნალისტიკა (პროფესიული ჟურნალები და მზარდი ვებსაიტები) სოფლის მოსახლეობისათვის ინფორმაციის და იდეების გაცვლის შანსის მიმცემი არიან. მასმედია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სურსათის ფასის კლებისა და სასურსათო უსაფრთხოების პერიოდებს, ფასებს, ალტერნატიული სურსათის ფარგლებს და ახალ პროდუქციას, მობილიზებულ მომხმარებელთა მდგომარეობებს და მოხმარების მოდელებს. მედია სასოფლო-სამეურნეო და სურსათის სექტორებში, არა-მესაკუთრული ინოვაციური ინფორმაციის გავრცელების ეფექტური საშუალებაა, რის განვითარებასაც ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევები და შემუშავებების საქმიანობა. ირლანდიაში, Teagasc-ი მედიასთან თანამშრომლობს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ადაპტირებისა და სამაგალითო სწავლების ჩვენების მიმართულებით.

სხვადასხვა კომერციული მომსახურებების გამტარებლებს – ვეტერინარებს, პლანტაციებისა და მიწის ანალიზის ლაბორატორიებს, მიწის ბაზრის ბროკერებს, ფერმების პროგრამული მართვის გამტარებლებს, ასევე საბუღალტრო სამსახურებსა და ბანკებს, მნიშვნელოვანი რესურსები აქვთ განსაზღვრულ ასპექტებში, ფერმერული ბიზნესისა და მასთან დაკავშირებული ნოუ-ჰაუ ინოვაციებისთვის.

საბოლოო მოსარგებლეები (მომხმარებლები) მზარდად ორიენტირებულნი არიან, როგორც ინოვაციის აქტიური მონაწილეები (მოთამაშეები), განსაკუთრებით რაც ეხება “მწვანე ტექნოლოგიებს” და მდგრადი ცხოვრების წესს. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აწვდიან იდეებს და ეხმარებიან ინოვაციის მოტივაციის და მოცულობის განავითარებაში. ისინი წარმოდგენილი არიან როგორც ცოდნის შუამავლები (ბროკერები), მსგავსად ლატვიისა (ორგანული სოფლის მეურნეობისა და სასოფლო ტურიზმის სექტორებში) და იტალიის (უმთავრესად, ადგილობრივ სასურსათო და ახლახან დამკვიდრებულ ენერჯის სექტორებში). მათ შეუძლიათ ასევე დაეხმარონ საბაზრო განვითარებას. ისინი ინოვაციის მიკროდონეზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოწინავე პიროვნებებზე, რომელთაც გააჩნიათ მეტად სპეციფიკური ცოდნის უნარები და შეუძლიათ ხელი შეუწყონ ახალი იდეის ან პროექტის განხორციელებას, ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი პროექტების წარმატებაში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. მეტი პროფესიული უნარებისა და ჩარჩოების გაერთიანება და მოტივაცია საბოლოო მოსარგებლეებს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებას აძლევს.

მეზოდონის მუნიციპალიტეტები, ქალაქები და რეგიონები მზარდად მნიშვნელოვან მონაწილეებს წარმოდგენენ სურსათთან დაკავშირებული ქმედებებითა და ინოვაციის სტიმულირებით. ბოლო ათწლეულში, ალტერნატიული სურსათის სისტემას(ქსელი) მდგრადად მზარდი საფუძველი აქვს, ხშირად მხარდაჭერილი სახელწიფო ადმინისტრაციის მიერ [31, გვ. 22-40]. ადგილობრივი ეკოლოგიების აქტუალურ საკითხებში განიხილება ხარისხიანი სურსათის წარმოების სისტემის ფორმირება [32, გვ. 107-125] და მრავალი მუნიციპალიტეტი არის ორიენტირებული სურსათის სამთავრობო შესყიდვებზე სკოლებისა და ჰოსპიტლებისათვის, ორგანული და რეგიონული წარმოების ხელშეწყობისათვის. მათი შესყიდვის შესაძლებლობას რომ იყენებენ, მხარს უჭერენ ურბანულ მებაღეობას და თემის ფარგლებში მხარდაჭერილ სოფლის მეურნეობას [33]. ასეთი მუნიციპალიტეტების სასურსათო სტრატეგიები და ღონისძიებები ავითარებენ მდგრად წარმოებას და მოხმარების მოდელებს, ქმნიან პოზიტიურ

კავშირებს სურსათს, ჯანმრთელობას, ეკონომიკას, გარემოსა და კულტურას შორის და გადაიქცევიან ინოვაციის მნიშვნელოვან განმასხვავებლებად.

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები

განახლებული ესპ-ის თანახმად, 2007-2013 წლებისთვის გამოყოფილი იყო დაახლოებით 350 მლრდ ევრო [34], აქედან 91 მლრდ განკუთვნილი იყო სოფლის განვითარების პროგრამებისთვის, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა: სოფლის მეურნეობისა და სატყეო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; გარემოს და სასოფლო ადგილების გაუმჯობესება; სასოფლო ადგილების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სასოფლო ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა [35, გვ. 2-4].

ზემოხაზოვანი მიმართულებები, ფართო გაგებით, ინოვაციური საქმიანობის წახალისებას ემსახურება. მათი მრავალი კომპონენტი თანხვდება ევროკავშირის რეგიონული განვითარების ამოცანებს, რომელსაც სტრუქტურული ფონდები აფინანსებენ [36]. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფერმერები და ხმარებისთვის მიმართავენ არა ევროკომისიას, არამედ სათანადო ეროვნულ სააგენტოებს (მათ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელები აქვთ) ან მათ მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციებს. ეს უკანასკნელნი სახსრებს სამი წყაროდან იღებენ: ა) ეროვნული მთავრობა; ბ) ევროპული სასოფლო-სამეურნეო გარანტიების ფონდი (EAGF) ფერმერებისთვის გადახდების სქემების ფუნქციონირებისთვის; გ) სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდი (EAFRD) სოფლის განვითარების პროგრამებისთვის.

სოფლის განვითარების პროგრამებში ვლინდება ესპ ევროინტეგრაციული როლის კიდევ ერთი მხარე – ევროპის რეგიონებს, სოფელსა და ქალაქს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობა. იგი, ერთი მხრივ, ამ უკანასკნელის გაფართოებაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი მდგრადი არსებობისა და განვითარების გარანტია. ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებს აქვთ საშუალება, სოფლის განვითარების საკუთარი პროგრამებისთვის ევროკავშირის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი გამოიყენონ [8, გვ. 252-253].

კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო-პროგრამაში, 2007-2013 წლებში საერთო 50 მილიარდიდან, სასოფლო-სამეურნეო კვლევაზე გამოყოფილი იყო მთლიანი სახსრების დაახლოებით 4% – 1.9 მლრდ ევრო, ხოლო პროგრამის კოოპერაციის ბლოკზე – 6%. პროგრამის ეს მიმართულება სახელწოდებით "სურსათი, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, ბიოტექნოლოგია" ერთ-ერთია 10 ძირითადი მიმართულებიდან და მე-4 დაფინანსების მოცულობით. ამ მიმართულებაში სამი სამოქმედო ქვემიმართულებაა [8, გვ. 256].

უპირველეს ყოვლისა, ესაა: მიწის, ტყის და წყლის ბიოლოგიური რესურსების მდგრადი წარმოება და მართვა, რომელშიც შედის: 1. მიკროორგანიზმების, მცენარეებისა და ცხოველებისთვის განკუთვნილი მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება; 2. კონკურენტუნარიანი, მდგრადი და მრავალფუნქციური სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და აკვაკულტურა; 3. ცხოველების სიჯანსაღისა და არსებობის პირობების ოპტიმიზაცია; 4. ევროპულ ცოდნაზე დაფუძნებული ბიოტექნოლოგიის [37], სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სასოფლო და სანაპირო სივრცეების განვითარების პოლიტიკის შემუშავება. მეორე – "ფერმიდან ჩანგლამდე": სურსათი (თევზპროდუქტების ჩათვლით), ჯანმრთელობა და კეთილდღეობა [38], რომელშიც შედის: 1. მომხმარებლის კვლევა; 2. კვება; 3. საკვები პროდუქტების გადამუშავება; 4. საკვების ხარისხი და უსაფრთხოება; 5. გარემოზე გავლენა და საკვები ჯაჭვი მთლიანად.

მესამე – მეცნიერება სიცოცხლის შესახებ, ბიოტექნოლოგია და ბიოქიმია არასაკლები პროდუქტებისა და პროცესებისთვის, რომელიც მოიცავს: 1. გაუმჯობესებული განახლებადი ნედლეულის წარმოებას; 2. განახლებადი ნედლეულის გადამუშავებას; 3. გარემოსდაცვით ბიოტექნოლოგიას [8, გვ. 256-257].

ევროკავშირში მოქმედი 34 ტექნოლოგიური პლატფორმიდან სოფლის მეურნეობის პრობლემატიკას უკავშირდება 5 ერთობლივი პლატფორმის საქმიანობა [39]. ესაა ორგანიზაციული ფორმა, რომელიც სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციების, საწარმოების, უნივერსიტეტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების არატერიტორიულ (საერთოევროპულ) კლასტერს წარმოქმნის. იგი გულისხმობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისთვის სახსრების მოზიდვას არა მარტო კვლევის ჩარჩო-პროგრამიდან, არამედ სტრუქტურული ფონდებიდან, ეროვნული რეგიონული მთავრობებისგან, კერძო სექტორიდან, ევროპული საინვესტიციო ბანკიდან, პროგრამიდან EUREKA (სრული ინფორმაციისათვის, EUREKA ევროპული სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 39 სახელმწიფოს, მათ შორის 26 ევროკავშირის წევრს. ევროკავშირი მისი ერთ-ერთი წევრია. მისი მიზანია კვლევისა და შემუშავების დაფინანსება და კოორდინაცია [8, გვ. 257]).

ეს ტექნოლოგიური პლატფორმებია: 1. ევროპული ბიოსაწვავის ტექნოლოგიური პლატფორმა; 2. სურსათი სიცოცხლისთვის; 3. მეტყვეობა – ტყის სექტორის ტექნოლოგიური პლატფორმა; 4. გლობალური ცხოველთა სიჯანსაღე; 5. მცენარეები მომავლისთვის [40]. რთულ, მრავალფაქტორიან და სწრაფდევალეზად გარემოში, რომელშიც ვითარდება ევროპული სოფლის მეურნეობა, ევროკომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკის კვლევით მხარდაჭერას, რაც გულისხმობს პოლიტიკური ჩარევის შემთხვევაში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შედეგების დადგენასა და განჭვრეტას, ხოლო შემდეგ – მაღალხარისხიან შეფასებას.

ექსპერტული შეფასების თანახმად, ევროპულ კვლევებს სოფლისმეურნეობის სფეროში ახასიათებს ნაკლები კოორდინირება, ინვესტირების ნაკლებობა და კვლევის კრიტიკული მასის მიუღწევლობა [41]. უმეტეს შემთხვევაში, არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ გააჩნია აუცილებელი კვლევის საკმარისი რესურსი. ამდენად, უადრესად მნიშვნელოვანია მე-7 ჩარჩო-პროგრამის მექანიზმებით გათვალისწინებული საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების მხარდაჭერა. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებში ახორციელებენ ეროვნული დაფინანსებით წარმოებული კვლევების ტრანსსასაზღვრო კოორდინირებას. მათი განვითარება ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ დონეზე კვლევების დაფინანსებაზე ჯამურად იხარჯება დაახლოებით 25-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე ევროკავშირის დონეზე. ევროპული კვლევითი სივრცის შექმნა ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში დაიწყო. მისი განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია ERA-NET [42]. სწორედ თემატური თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით, მე-7 ჩარჩო-პროგრამიდან გამოიყოფა სახსრები ეროვნული კვლევითი ორგანიზაციებისათვის და მათი დამფინანსებელი სამინისტროების, ფონდებისა და სააგენტოებისათვის. ინტეგრაციული სქემა ასევე ითვალისწინებს ქვეყნების მიერ სახსრების გამოყოფას, როდესაც პროექტებისა და შემსრულებლების შერჩევა ხდება საკონკურსო საფუძველზე, პროექტის მმართველი საბჭოს მიერ. სასოფლო-სამეურნეო კვლევის სფეროში, ჯერ კიდევ მე-6 ჩარჩო-პროგრამაში, მრავალი ERA-NET პროექტი მოქმედებდა და მოქმედებს ამჟამადაც [8, გვ. 258].

სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტერიტორიების განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებია ევროკომისიის რეგიონების დახმარების სტრუქტურული ფონდები. აღნიშნული ფონდები მოიცავენ: ა) რეგიონული განვითარების ფონდს (ERDF); ბ) ერთიანობის ფონდს (Cohesion Fund); გ) ევროკავშირის საინვესტიციო ფონდს (EU Investment Fund); დ) ევროპის სოციალურ ფონდს (European Social Fund); და ე) ევროკავშირის სოლიდარობის ფონდს (EU Solidarity Fund) [43, გვ. 16-17; 56, გვ. 7-8].

რეგიონული განვითარების ფონდის ამოცანებია: რეგიონებში ეკონომიკური სტრუქტურების მოდერნიზაცია; ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა; ურბანული, მაღალმთიანი, ძნელადმისაწვდომი და მცირედ დასახლებული რეგიონების პრობლემების გადაწყვეტა; რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდა; ინოვაცია და ცოდნის ეკონომიკა; გარემოზე ზრუნვა (დაბინძურებული რაიონების დასუფთავება, ენერგოეფექტურობის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარება და სხვა); რეგიონებში ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციის წვდომის გაუმჯობესება და სხვ. [43, გვ. 15-16].

ერთიანობის ფონდის ამოცანებია: ტრანსევროპული ტრანსპორტის განვითარება; გარემოს დაცვა (ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია, რკინიგზა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი). ევროპული საინვესტიციო ფონდის ამოცანაა მცირე ბიზნესის ფინანსური დახმარება. ევროპული სოციალური ფონდის ამოცანას შეადგენს რეგიონებში ზრდასრულთა გადამზადება (უწყვეტი განათლება), მართვის გაუმჯობესება, ცვლილებების მიმართ ადაპტირების უნარის გაზრდა და სხვ. აღნიშნული ფონდების ფუნქციონირება ძირითადად უკავშირდება საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებას. ამას ემატება ევროპის სოლიდარობის ფონდი, რომელიც ეხმარება მასშტაბური კატასტროფებით დაზიანებულ რეგიონებს შედეგების ლიკვიდაციაში.

ეროვნულ მთავრობას შეუძლია, დახმარებისათვის სტრუქტურულ ფონდებს მიმართოს, იმ შემთხვევაში, თუ იგი თვითონ ეხმარება თავის რეგიონს თუ რეგიონებს და ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს. თუ დახმარების ოდენობა რეგიონებისათვის მასშტაბურია, ევროკომისია სათანადოდ შეისწავლის აღნიშნული პირობების შესრულების მდგომარეობას. სტრუქტურული ფონდების მიზანია, დაეხმაროს ეროვნული ღონისძიებების გატარებას. 2007-2013 წლებში, საშუალოდ, თანაფარდობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ამ მიზნით გაწეული დანახარჯებსა და ევროკავშირის მიერ გაღებულ დახმარებებს შორის, შეადგენდა – 3:1. რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მოცემულ ტერიტორიაზე საინოვაციო სისტემის ფორმირებასთან. სისტემა უნდა მოიცავდეს მოქმედ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს ან კვლევით ქვედანაყოფებს, პროფესიული განათლების ცენტრებს, საცდელ ლაბორატორიებს და საწარმოებს, საცდელ სადგურებს სოფლის მეურნეობაში, საკონსულტაციო და საინფორმაციო სამსახურებს, ტექნოლოგიისა და ცოდნის გადაცემის ცენტრებს, ტექნოპარკებსა და ბიზნესინკუბატორებს, საპატენტო-საინფორმაციო და სტანდარტიზაციის სამსახურებს და სხვ. უნივერსიტეტებს და კვლევით ორგანიზაციებს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში არსებულთ, აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ევროკომისიისგან დახმარება, კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამით – “Horizon 2020”, რომლითაც მილიანად აღნიშნული მიზნების დაფინანსება გათვალისწინებულია (2013-2020 წწ.) 70 მილიარდი ევროთი [43, გვ. 17].

სასოფლო-სამეურნეო კვლევის განვითარებასა და მართვაში მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივი კომიტეტის (SCAR) [44] როლი. კომიტეტი ფუნქციონირებს კვლევისა და ინოვაციის გენერალურ დირექტორატთან. მისი წევრებია: ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები;

ევროკომისიის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, გარემოსა და კვლევის გენერალური დირექტორატების წარმომადგენლები; გაერთიანებული კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი (JRC) [45].

კომიტეტის მთავარი ამოცანებია: ა) სასოფლო-სამეურნეო კვლევის გრძელვადიანი დღის წესრიგის შესახებ დისკუსიის ორგანიზება; ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის საზღვრების დადგენა; გ) ჩატარებული კვლევებისა და დასრულებული პროგრამების შედეგების განზოგადება; დ) ინფორმაციის გაცემა ყველა ჩარჩო-პროგრამის მექანიზმების გამოყენებით; ე) ახალი პროგრამების მიმართულებების დადგენა მე-7 პროგრამის შემდგომ პერიოდზე; ვ) წევრ-ქვეყნებს შორის კოოპერაციის გაძლიერება (ერთობლივი პროგრამები და სხვა); ზ) ესკა სამეცნიერო მხარდაჭერისთვის განკუთვნილი კვლევების დღის წესრიგის დადგენა; თ) პროგნოზირება.

ევროპული სასოფლო-სამეურნეო კვლევის შეთანხმებული სტრატეგიის დღის წესრიგისკენ კომუნიკაციის თანახმად, სურსათი და სოფლის მეურნეობა ერთ-ერთია იმ ოთხ უმთავრეს გადასაჭრელ საკითხთაგან, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას. ევროპა არის აგროკვლევის საერთაშორისო ცენტრებისა და განვითარებადი ქვეყნების მსხვილი დონორი, სასოფლო-სამეურნეო კვლევის რეგიონული ფორუმებისა [46] და სასოფლო-სამეურნეო კვლევის გლობალური ფორუმის ერთ-ერთი ინიციატორი. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კვლევის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად შეიქმნა ერთიანი კვლევითი სივრცის საგანგებო ახალი პროექტი სასოფლო-სამეურნეო კვლევა განვითარებისთვის (ERA-ARD) [47].

ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის საინოვაციო პოლიტიკების გამოცდილებები

სსციის კონცეფცია არის უფრო მეტად სასარგებლო, როდესაც აღწერილია ეროვნული და რეგიონული სსციის და გაანალიზებულია ქვეყნებისა და რეგიონების სსციის-ებს შორის განსხვავებები. ეს განსხვავებანი არსებობს არა მხოლოდ სსციის ქვესისტემების კავშირ-ურთიერთობებში (კვლევა, ექსტენცია, განათლება და დამხმარე სისტემები), არამედ ისინი მოიცავენ ასევე რიგ განსხვავებულ მოთამაშეებს; სხვაობები შეიძლება ასევე არსებობდეს მათ სახელწოდებებში ან მათი ქვესისტემების პოზიციონირებაში. ვფიქრობთ, გამოცდილებათა შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა მხოლოდ სისტემების აღწერაზე, არამედ სსციის ორგანიზაციულ საკითხებზე, მამოძრავებელ ძალებზე, მოტივაციებზე, მასთან დაკავშირებული პოლიტიკის აქტუალურ მოსაზრებებზე. მნიშვნელოვანი განსხვავებანი ეროვნულ და რეგიონულ სოფლის მეურნეობებში, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სექტორის კონკურენტუნარიანობა, ეროვნული განვითარების თავისებურებანი ა.შ., სხვადასხვაგვარი მიგნებების წინაპირობას და საფუძველს ქმნის სსციის ინსტიტუციური ჩარჩოების ფორმირებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში.

არსებობს თუ არა სსციის იდეალური მოდელი, რომლის გამოყენებაც შეიძლება განვითარების ორიენტირად, ან რამდენი ორგანიზაცია და ინსტიტუტია საჭირო, რომ სსციის წარმატებულად შეასრულოს თავისი ფუნქცია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი. ამა თუ იმ ქვეყანას სსციის განვითარება დამოკიდებულია მისი ძირითადი ელემენტების, მოთამაშეების (მონაწილეების) სპეციფიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება კავშირურთიერთობებს გამოყენებით კვლევებსა და ფერმერებს შორის, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნებში.

სპეციალიტების მიერ შესწავლილი ექსტენციის მომსახურების ორგანიზების არსებულმა ხუთმა სახეობამ (ფორმამ) რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში,

კერძოდ ესაა: ბადენ-ვირტენბერგი (გერმანია), დანია, ესტონეთი, ფინეთი, ფლანდრია (ბელგია), საფრანგეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო – აჩვენა, რომ ექსტენციის უპირატესად პრივატიზაციული სისტემები გააჩნიათ ნიდერლანდებს, გაერთიანებულ სამეფოს და გერმანიის ზოგიერთ მხარეს, სადაც ძირითადად ფერმერები იხდიან ამ მომსახურებათა გადასახადს, თუმცა, ამავე დროს, კვლევებს მნიშვნელოვნად აფინანსებს სახელმწიფო. ფერმერული ორგანიზაციების და სახელმწიფოს ერთობლივი მართვითა და, ასევე, სახელმწიფო დაფინანსებითა და ფერმერებისა და ფერმერული ორგანიზაციების მხრიდან ნაწილობრივი გადახდებით ხორციელდება ექსტენციის მომსახურებები საფრანგეთში, ფინეთსა და გერმანიის რიგ მხარეში. ირლანდიაში იგი ხორციელდება, სანახევროდ სახელმწიფო მმართველობით, რომელსაც განაგებს Teagasc-ის სახელმწიფოს, მრეწველობისა და ფერმერული ორგანიზაციების წარმომადგენლობითი საბჭო. ხოლო შვეიცარიაში, იტალიასა და ფინეთში იგი ხორციელდება სახელმწიფო მმართველობით და რეგიონული ორგანიზაციების ან ინსტიტუტების მეშვეობით [48]. არაკოორდინირებული ინდივიდუალური ინოვაციის სარგებლობის ფორმები გვიჩვენებს უმაღლესი და უდაბლესი ტექნოლოგიების გადაცემის განვითარებას, უფრო მეტად კომპლექსურ, ახალ ერთობლივ საექსტენციო სისტემებისა და პლატფორმებისკენ, რომლებიც მოითხოვენ მონაწილეთათვის ორგანიზაციული სტრუქტურების ადაპტირებას და გახსნილობას. ახალი რეგულირება, პრივატიზაციის ღონისძიებების დახმარებით, ეფუძნება ექსტენციის დეცენტრალიზაციას, კონსულტაციების განვითარებას, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას, მწარმოებელთა ორგანიზაციებისა და კერძო ბიზნესების აქტიურ მონაწილეობას [49].

ქვეყნების სსცის-ების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი ქვესისტემები განსხვავებულია, ჩართული მონაწილეებისა და სხვა მოქმედი პირების მიხედვით. სსცის დეფინიციები და ცნებები შეიძლება იყოს ასევე განსხვავებული ქვეყნებს შორის. მონაწილე მხარეთა, მოთამაშეთა მთლიანი საერთო ხედვა სსცის ოთხი კომპონენტის ან ქვესისტემებისა: კვლევის, ექსტენციის, ხელშემწობი (დამხმარე) სისტემისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების, გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ორმაგი როლი აქვს სსცის-ში. სახელმწიფო და მასთან დაკავშირებული სააგენტოები არ არის მხოლოდ მონაწილე მხარე ან მოთამაშე ერთი ან მეტი ქვესისტემისა, არამედ სახელმწიფოს აქვს ასევე პასუხისმგებლობა მთლიანად სისტემის მიმართ.

სამთავრობო პოლიტიკები არეგულირებს თითოეულ ქვესისტემას, ამასთან, მათ აქვთ ასევე გადამწყვეტი (განმსაზღვრელი) როლი ქვესისტემებს შორის ურთიერთქმედებებისას. მრავალდონიანი სახელმწიფო არის განსაკუთრებული გამოწვევა ფედერალური შტატებისათვის (ერთეულებისათვის), ასევე რეგიონული სტრუქტურებისა და პროგრამებისათვის, რომლებიც შექმნილი და დაგეგმილია ეროვნული სტრუქტურების ჩარჩოებში. დამატებით, თითოეული სსცის ქვესისტემა ასევე ნაწილია მთლიანი სისტემისა.

სსცის-ის მონაწილეთა პირველი ჯგუფი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კვლევას, რომელიც ძირითადად ეფუძნება ან სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტებს, ან გაერთიანებული უნივერსიტეტების სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტებს ან დეპარტამენტებს, ან უნივერსიტეტებთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯებს. კვლევის მონაწილეების მეორე ჯგუფს წარმოადგენენ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტები. აღნიშნული უნივერსიტეტები და ინსტიტუტები უპირატესად საქმიანობენ სოფლისმეურნეობასთან დაკავშირებული სამინისტროების ან განათლების სამინისტროების დაექვემდებარებაში. ამ კვლევითი დაწესებულებების ფოკუსირება შეიძლება

იყოს მეტად ფართო და მოიცავდეს მრავალ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკვლევ სფეროს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების მიდგომები, სასოფლო-სამეურნეო ქვესექტორების, კულტურებისა თუ ჯიშების კვლევების პრიორიტეტებთან და სფეროების მოცვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნადაა განსხვავებული. ასევე, განსხვავებულია კვლევითი ინსტიტუტების ფოკუსირება საკვლევ ობიექტებზე და მათი კვლევითი გამოცდილების სპეციფიკა.

კვლევის სხვა, სახელმწიფოს კუთვნილ და სათანადოდ დაფინანსებულ, მონაწილეებს წარმოადგენენ სააგენტოები, სტრატეგიული საკვლევ ცენტრები, ცოდნის ცენტრები, გამოყენებითი დანიშნულების სხვადასხვაგვარი კვლევითი ინსტიტუტები, რეგიონული განვითარების სააგენტოები, ტექნიკური ინსტიტუტები, გაერთიანებები და ექსტენციის სადგურები. აკადემიური მეცნიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცენტრალური ევროპის მრავალ ქვეყანაში.

შემდეგ მონაწილეებს მიეკუთვნება სახელმწიფო კვლევისა და ცოდნის ინსტიტუტები, რომელთაც მრავალ ქვეყანაში ჰყავთ დამოუკიდებელი, კერძო კვლევის პროვაიდერები (მიმწოდებლები). ამ კვლევით ორგანიზაციებს შეუძლიათ ნაკლებად იყვნენ ფოკუსირებულნი საბაზო და გამოყენებით კვლევაზე, რადგან მხარდაჭერილნი არიან პროექტების დაფინანსებით ან ნაწილობრივ იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას. ამგვარ პოზიციაშია შვეიცარიის ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტ (FiBL). ასევე ვხვდებით კერძო სექტორთან თანამშრომლობის ისეთ ფორმებს, როგორცაა, მაგალითად, ერთობლივი კვლევები და მრეწველობის, მდგრადი სოფლისმეურნეობისა და სურსათის ინოვაციის პლატფორმის გაერთიანებული კვლევის ცენტრი გაერთიანებულ სამეფოში; სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრატეგიულ ცენტრის საქმიანობა ფინეთში. ეს ასევე ეხება რიგ აგროქიმიურ, მეთესლეობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კომპიუტერული პროგრამების, დიდ საერთაშორისო კომპანიებს და ა.შ., რომელთაც აქვთ საკუთარი კვლევისა და შემუშავების საქმიანობები [19, გვ. 65].

ფინეთის სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრატეგიული ცენტრი წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო არაკორპორაციულ ამხანაგობას, რომელიც მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინოვაციური პროცესების დანქარებას. ის შედგება მრავალი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიისაგან და ახორციელებს გრძელვადიან კოოპერაციას იმ სფეროებში, რომლებიც განსაზღვრავს მომავალ განვითარებას [50].

ტექნოლოგიის სტრატეგიული საბჭო – მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სურსათის საინოვაციო პლატფორმა (გაერთიანებული სამეფო) – წარმოადგენს ბიზნესის ხელშეწყობ ადმასრულებელ არაუწყებრივ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ორიენტირებულია მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციის განვითარებაზე [51]. მისი ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ასევე მხარდაჭერილია დაინტერესებული კომპანიების მიერ, ფინანსდება გაერთიანებული პროექტებით, რომლებიც შესაბამისობაშია მრეწველობასთან, რომელიც ორიენტირებულია მარცვლეულის კულტურების დაცვის, მდგრადი პროტეინის წარმოების და კონკურენტული სასურსათო წარმოების განვითარებაზე.

სოფლის მეურნეობის ინოვაციური კვლევის სქემა (საფრანგეთი) წარმოადგენს ფერმერთა საჭიროებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინების გზაჯვარედინს. ფერმერების მიერ შექმნილი და მართული სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და შემუშავების ინსტიტუტები განკუთვნილია გამოყენებითი კვლევების, ექსპერიმენტებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ისინი აერთიანებენ საექსპერტო, სასწავლო და გამავრცელებელ ორგანიზაციებს. მათი საქმიანობები ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ქვესექტორების ან რეგიონის ფარგლებში კვლევით შედეგებზე, რათა შეიქმნას და განხორ-

ციელდეს ფერმერთა მოლიდინებთან მისადაგებელი გამოყენებითი კვლევითი პროექტები. სექტორების მიხედვით სპეციალიზებული 1000-მდე გამოყენებით მეცნიერთა სპეციალური ჯგუფი ასევე არიან, სიახლეების გამავრცელებელნი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარ რეგიონებში. სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და შემუშავების ინსტიტუტები კერძო ერთეულებია, რომელსაც ესმარება სამეცნიერო საბჭო და დახმარებას იღებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური სახელმწიფო ფონდებიდან. შეთანხმების ჩარჩო ხელმოწერილია სქემის კოორდინატორისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რითაც განსაზღვრულია ჩარჩო, თუ რომელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, გამოყენებითი მეცნიერების წარმომადგენლები შეასრულებენ სახელმწიფო დაკვეთას და განახორციელებენ ეროვნულ სასოფლო და სასოფლო-სამეურნეო განვითარების გეგმას. ისინი, ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით, გეგმავენ კვლევებისა და შემუშავების განხორციელებას, ნათლად განსაზღვრავენ მომხმარებლების საჭიროებებს, აკავშირებენ ცოდნასა და გამოცდილ ტექნოლოგიებს, გადასცემენ და ავრცელებენ შედეგებს საბოლოო მომხმარებლებზე. ამ კვლევისა და შემუშავების (R&D) ინსტიტუტების უმრავლესობა შეზღუდულია სახელმწიფო დაფინანსების ურთიერთობით, სამინისტროს მოლოდინებით და მათი სამეცნიერო და ტექნოლოგიური კომპეტენციებით. ორგანიზაციისა და პროცედურის მსგავსი ტიპი არსებობს როგორც სოფლის მეურნეობისათვის, ისე სოფლისმეურნეობისა და სურსათის კვლევისა და შემუშავების ინსტიტუტებისათვის [52].

არსებული ექსტენციის მომსახურებები, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საკუთრებითი თვალსაზრისით წარმოადგენენ ფართო ვარიაციას განსხვავებული საკითხების გადასაწყვეტად. ერთი მხრივ, ისინი შეიძლება მთლიანად ემყარებოდნენ სახელმწიფო ექსტენციას ან, მეორე მხრივ, მოიცავდნენ სრულად პრივატიზებულ სისტემებს [49]. მათ შორის ვხვდებით ვარიანტების ფართო სისტემას, სადაც მეტ-ნაკლები მონაწილეობით წარმოადგენენ შერეული – სახელმწიფო და კერძო – საკუთრებისა და დაფინანსების ფორმების ცვალებადობას.

ასე მაგალითად, გერმანიაში ცვლილებები ექსტენციის მოდელში ვლინდება სახელმწიფოდან კერძომდე დაფინანსების პროპორციებში. ყველა საშთავრობო თუ საპალატო ექსტენციის გადასახადების შენატანები, რომელიც მომსახურებასთანაა დაკავშირებული, კერძო ინტერესის შემცველია. მომსახურების ანაზღაურება, რიგ შემთხვევაში, ვერ ფარავს სრულად ხარჯს, რაც განაპირობებს კერძო მომწოდებლებს შორის არასამართლიან კონკურენციას. კერძო სექტორის სრული სახელმწიფო დაფინანსება ხდება მხოლოდ რამდენიმე სფეროში (წყლის დაცვა, ოჯახის კონსულტაცია და ა.შ.) და არ მიიხნევა პროგრესულ მოვლენად. საკომპენსაციო საექსტენციო პროგრამები, კონტრაქტების საფუძველზე, ფაქტობრივად არ არის რეალურად დანერგილი [19, გვ. 66].

უმეტეს ქვეყანაში ექსტენციის სხვადასხვა ტიპების, მოდელების კომბინაციას ვხვდებით. ბევრი მათგანი ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა აშკარაა მათი საბაზრო ორიენტაციის მიმართულებით თანდათანობითი ცვლილების ტენდენცია. სამთავრობო მხარდაჭერა პირდაპირ, მთლიან საქმიანობებზე, ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის მიზნების განხორციელებას, როგორცაა გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნება და მდგრადი განვითარება. ექსტენციის ქვესისტემის სხვა მონაწილენი არიან ორგანიზაციები, სასაქონლო საბჭოები, ექსპერიმენტული სადგურები, სამთავრობო განყოფილებები, ცოდნის გადამცემი ცენტრები და ასოციაციები.

ევროპული სასოფლო განვითარების ფარგლებში ფერმების სამრჩევლო (საკონსულტაციო) სისტემა (ფსს) ექსტენციის სახეობაა და 2007-2013 წწ. იგი

წარმოადგენდა საპროგრამო პერიოდის აუცილებელ ელემენტს. არჩეული მეთოდი და სერვისის გამტარებლების ხარისხის პრიორიტეტები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია ქვეყნებს შორის. ფსს მიერ ფერმერთა მატერიალური სიკეთეებით დაჯილდოება და სასოფლო-სამეურნეო პროცესებზე ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ტერიტორიებთან, ურთიერთქმედებს სხვა ფსს-თან და ექსტენციისციასთან, თანაც, ამ სისტემის ფუნქციონირება და სხვა სისტემებთან ურთიერთქმედება დიდად განსხვავდება ქვეყნებს შორის [53] და, ამავე დროს იგი მუდმივად განიცდის პერიოდულ ცვლილებებს [54].

ექსტენციის ქვესისტემების ორგანიზაციების ეს ურთიერთქმედებები ევროკავშირის უმეტეს წევრ-ქვეყანაში საკმაოდ რთულია. რიგ ქვეყნებში ვხვდებით, მაგალითად, ერთმანეთთან მეტად მსგავს ექსტენციის მომსახურებების სისტემებს. ასე მაგალითად, უნგრეთში ვხვდებით “ფერმის საკონსულტაციო სისტემას”, “ფერმის ინფორმაციულ მომსახურებას” და “სასოფლო აგრონომების ქსელს”. სხვა წევრ-ქვეყნებში, მაგალითად ესტონეთში, დანერგილია ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც ახდენს ექსტენციის მომსახურებების კოორდინირებას. ფინეთში, ექსტენცია სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს ფართოსაფუძვლიან (broadly-based) სოფლის საკონსულტაციო მომსახურებების წარმატებულ ორგანიზაციას, რომელიც მოიცავს ბიზნესდაგეგმარებასა და საინვესტიციო მომსახურებებს, საწარმო-ტექნიკურ და მართვასთან დაკავშირებულ რჩევებს. ასეთ მომსახურებებს უმთავრესად ატარებენ წევრთა გაერთიანებანი(ასოციაციები), რომლებიც ეკუთვნის ფერმერებს და ძირითადად მათ მიერვე იმართება. რა თქმა უნდა, ეს მომსახურებები მხარდაჭერილია ფინეთის სახელმწიფოს მიერ, სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს მეშვეობით [19, გვ. 66].

რიგ ქვეყნებში ვხვდავთ მნიშვნელოვან ურთიერთქმედებას ექსტენციის მომსახურებებსა და დამხმარე სისტემას შორის. იტალიაში დამხმარე სისტემა ექსტენციის სისტემის გარეთ არის და წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვესისტემას. თავის განვითარების ამოცანებით ექსტენციის სისტემა შესაბამისადაა კოორდინირებული სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან, თუმცა იმართება და ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ, რიგ შემთხვევაში კერძო სექტორის მეშვეობით. დამხმარე სისტემა სრულად მხარდაჭერილია სახელმწიფო მიერ, მხოლოდ მას შეუძლია დაფაროს ამ სისტემის განმახორციელებლების მაღალი დონის ტექნიკური საშუალებების დანახარჯები. ფერმერების ინტერესი ექსტენციის მომსახურებებში დიდად მერყეობს ქვეყნებს შორის. მაშინ, როცა რიგ ქვეყნებში ექსტენციის მომსახურებები ნათლად თანადაფინანსებულნი და ერთობლივად მართულნი არიან სექტორის ფარგლებში, მაგალითად, დანიის “სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახური” და საფრანგეთის და გერმანიის “სასოფლო-სამეურნეო პალატები” სხვა ქვეყნებში, ამ მხრივ ნათლად მოჩანს ინტერესისა და ნდობის ნაკლებობა(მაგალითად, ლატვია და უნგრეთი) [19, გვ. 66].

დანიის სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო მომსახურება (DAAS) ეკუთვნის ფერმერებს და მათ მიერვეა მართული მათივე შექმნილი ფერმერული ორგანიზაციების მეშვეობით. მისი უმთავრესი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს დანიის ფერმერები მმართველობითი ინსტრუმენტებით და კონსულტაციებით სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული წარმოების, მართვის და ფერმის ბუდალტერიის ყველა საკითხთან დაკავშირებით. მისი უმთავრესი ამოცანებია: შესთავაზოს ფერმერებს საუკეთესო შესაძლო ტექნიკური ნოუ-ჰაუ და დაეხმაროს სათანადოდ წარმოების მოწინავე მეთოდების დანერგვასა და ეკონომიკური შედეგების მიღწევაში; განსაკუთრებულ შემთხვევებში დაეხმაროს წარმოების დაგეგმვასა და განხორციელებაში; განახორციელოს ტექნიკური და

ეკონომიკური მონაცემების ინფორმაციის შეგროვება და განალიზება, რაც ყოველდღიური მართვის საფუძველს წარმოადგენს; ფერმერთა განათლების გაუმჯობესების მიზნით მოახდინოს სათანადო კურსების ორგანიზება; განახორციელოს კავშირურთიერთობა ფერმერებს, კვლევებსა და ექსპერიმენტულ ინსტიტუტებს შორის; მოამზადოს ფერმერებისათვის ბუღალტრები და საგადასახადო ანგარიშები და განახორციელოს ფერმის საერთო და ფინანსური მართვის კონსულტაციები.

საკონსულტაციო მომსახურება ერთგვარ ხიდს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კვლევასა და ფერმის პირველად საქმიანობებს შორის, იგი განაპირობებს ახალი ნოუ-ჰაუს დანერგვას ფერმისა და მინდვრის დონეზე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. დანიის სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო მომსახურებას (DAAS) დიდად ესმარება მოსარგებლეთა გადახდები, მიწოდების რჩევები სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის მთელ რიგ საკითხებში, ოფიციალური და უნივერსალური უპირობო აღიარება და სახელმწიფო ინსპექტირების არარსებობა. ორგანიზაციულად იგი შედგება 31 დამოუკიდებელი ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრისგან, რომელიც მოიცავს მთელ ქვეყანას და ერთ ეროვნული დონის ცოდნის ცენტრს, რომელიც ადგილობრივ საკონსულტაციო ცენტრებს უახლეს ინფორმაციას აწოდებს, როგორც დანიის, ისე საერთაშორისო კვლევების შედეგების თაობაზე.

ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მიმწოდებლებს და მოვაჭრეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ახალი ინფორმაციებისა და პროდუქტების მიწოდებაში, მთელი რიგი პროდუქტების, მაგალითად, პირუტყვის საკვების, სასუქების და პესტიციდების და ა.შ. ფერმერებზე მიყიდვისას იმავე დროს, ისინი, ახორციელებენ ახალი ცოდნის გადაცემასაც. ამრიგად, პროდუქტის ფასში ჩართულია ექსტენციის ღირებულებაც. საკონსულტაციო და საბუღალტრო ოფისები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საკონსულტაციო მომსახურებებს, ასევე წარმოადგენენ ექსტენციაში კერძო მონაწილეთა ჩართულობის განსხვავებულ მაგალითებს.

სსციის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია აღსაწერად ურთულესი, დამხმარე (მხარდაჭერი) ქვესისტემა. ფერმერული ორგანიზაციები, მწარმოებელთა ასოციაციები და კოოპერატივები წარმოადგენენ სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან მონაწილეებს. ეროვნულ დამხმარე ქვესისტემებში სხვა მონაწილეებს ასევე მიეკუთვნებიან წევრ-მესაკუთრეთა ორგანიზაციები (მაგალითად, ფინეთში ProAgria, სასოფლო-სამეურნეო პალატები, პროდუქტების საბჭოები, პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობი ინსტიტუტები, აგრარული კოლეჯები, პროფესიულ-სასწავლო კურსები, საინფორმაციო სისტემები, უპირატესად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საფინანსო ორგანიზაციები – ბანკები და სადაზღვევო ოფისები, დამაფინანსებელი და განმავითარებელი სააგენტოები, არასექტორული საინოვაციო ინსტრუმენტები, სოციალური უსაფრთხოების თუ დაცვის პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, როგორცაა: FAO და CGIAR (საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევის საკონსულტაციო ჯგუფი).

ფინური ProAgria წარმოადგენს წევრ-მესაკუთრეთა ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია 1797 წელს. ორგანიზაცია მოიცავს ეროვნული მნიშვნელობის 16 რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრს, სადაც დასაქმებულია 685 სპეციალისტი (აქედან დაახლოებით 660 ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას ადგილებზე) და მესაკუთრე წევრების ძირითადი რაოდენობა შეადგენს 113000. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს (16%), კლიენტების (65%), პროექტების (18%) და სხვათა (1%) მიერ. ერთობლივი წლიური ბრუნვა შეადგენდა 49

მლნ. ევროს (2011) და მოიცავდა 30000 კლიენტს. ფინეთის ფერმების 80% სარგებლობს ProAgria-ს მომსახურებებით. ProAgria-ს საქმიანობები მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებებს, რომლებიც ხორციელდება ფერმაში უშუალო (პირისპირ) კონსულტაციებით. ამავე დროს სწრაფად იზრდება ინტერნეტმომსახურებების რიცხვი. "ონ-ლაინ" საკონსულტაციო რეგისტრაცია კლიენტს კონსულტანტის არჩევისა და შეხვედრის განხორციელების საშუალებას აძლევს. მომსახურებისათვის კონსულტანტი კლიენტისგან სათანადო ანაზღაურებას იღებს. ძოგადად, კონსულტანტის პროფესიონალიზმის განვითარება მსარადაჭერულია ცოდნის მართვის ინტეგრირებული სისტემით და კონსულტანტი აკადემიის სასწავლო მომსახურებით. დამატებით ProAgria-ს ფარგლებში, ეროვნული დონის ექსპერტთა ჯგუფები ქმნიან დამოუკიდებელ ორგანიზაციებს [19, გვ. 67].

გერმანიის აგრარული საზოგადოება (DLG) დაარსდა 1885 წელს ინჟინერ მაქს ეისის (Max Eyth) მიერ. მასში ამჟამად გაერთიანებულია 20000-მდე წევრი და წარმოადგენს მნიშვნელოვან ორგანიზაციას სოფლის მეურნეობასა და სურსათის წარმოებაში. მისი ძირითადი მახასიათებლებია თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ორიენტაცია პროგრესსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე. საქმიანობის სფეროებია: ცოდნის მიღება და გადაცემა, გამოფენები (ჩვენებები), მაგალითად, აგროტექნიკის კომპანიებისა (Agritechnica და Anuga), გამოცდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მოწყობილობებისა და წარმოების სხვა საშუალებებისა. გერმანიის აგრარული საზოგადოების ცენტრი მოიცავს 200 სრულად დასაქმებულ სპეციალიტს და 3000 ვოლონტიორ ექსპერტს, რომლებიც ერთობლივად საქმიანობენ, იგი ასევე მოიცავს 80-ზე მეტ კომისიას, მუშა ჯგუფს და კომიტეტს, რომლებიც შექმნილი არიან, რათა განახორციელონ კონტროლი და უწყვეტი დაკვირვება ტექნიკურ სამუშაოებზე. ნებისმიერი პრობლემატური თემა განიხილება სამუშაო ჯგუფების მიერ, რომლებიც აერთიანებენ პრაქტიკოსებს და მეცნიერებს, კერძო და სახელმწიფო სექტორების ექსპერტებს. ყველა სამუშაო ჯგუფი წელიწადში ერთხელ ადგენს ერთობლივ ანგარიშს მიმდინარე საქმიანობების შედეგებზე, ინფორმაცია შეიცავს წინადადებებს კონგრესებისათვის და დაკვირვებების შედეგებს მსხვილი მომწოდებლებისათვის, სადაც ტექნიკური და კომერციული სიახლეებია გაანალიზებული. ამრიგად, ხორციელდება პრაქტიკისა და საკონსულტაციო სამსახურის ურთიერთდაკავშირება. გერმანიის აგრარული საზოგადოების სამეცნიერო თანამეგობრობა, მისი სემინარებით და სასწავლო პროგრამით, ხელს უწყობს მომავალზე გათვლილ უმნიშვნელოვანეს სწავლებებს [55].

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პალატების პლატფორმა მოიცავს 150-ზე მეტ დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო პალატის საქმიანობას ევროპის 14 ქვეყანაში (ავსტრია, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ფლანდრია, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, პოლონეთი, სლოვაკია და სლოვენია). მასში გაერთიანებულია დაახლოებით 15000 დასაქმებული, რომლებიც ახორციელებენ ექსტენციას და საკონსულტაციო მომსახურებას 5 მილიონზე მეტ ფერმერთან, ასევე ადგილობრივ სპეციალისტებთან, გამოყენებითი კვლევების სააგენტოებთან და სასოფლო საწარმოებთან. პალატები ახორციელებენ მრავალი ექსპერიმენტული სადგურის, საცდელი ტერიტორიის და საკვლევი ლაბორატორიის მართვას. ცოდნის გადაცემა კვლევიდან ფერმის დონემდე და უკუკავშირის დამყარება წარმოადგენს ყოველდღიურ საქმიანობას. ევროკავშირის დონეზე არსებობს სასოფლო-სამეურნეო პალატების არაფორმალური სისტემა, რომელიც ვითარდება ევროკავშირის პოლიტიკების ფარგლებში და ფოკუსირებულია სოფლის მეურნეობაზე, გარემოს დაცვასა და გამოყენებით ბიოლოგიურ მეცნიერებასა და რეგიონულ განვითარებაზე [19, გვ. 68].

გამოყენებული ლიტერატურა

1. OECD Economic Outlook. June 2007, N 81.
2. First Action Plan for Innovation in Europe. EC, 1996. (<http://cordis.europa.eu/documents>).
3. Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23-24 March, 2000. (www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm).
4. Lisbon Strategy for Growth & Jobs: Commission's Annual Progress Report – frequently asked questions; www.europa.eu.
5. The Lisbon Review 2004: an Assessment of Policies & Reforms in Europe. WEF. Geneva. 2004.
6. http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm.
7. EUROPE 2020: A strategy for smart, sustainable and inclusive growth. Brussels, 3.3. 2010. Communication From The Commission. Complet en Barroso 007- Europe 2020-En version.pdf.
8. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, გზამკვლევი, რედ. ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე, ასოციაცია “ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის”, თბ., 2010.
9. Zobbe H., The Economic and Historical foundation of the Common Agricultural Policy in Europe, Paper presented at Fourth European Historical Economics Society Conference, September, Merton College, Oxford, UK, 2001.
10. ზ. რევიშვილი, ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და საქართველოში მისი გათვალისწინების აქტუალური საკითხები, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული V, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012, გვ. 196-209.
11. The Comon Agricultural Policy: How the CAP operates, the key commodities, competotors and markets for European Enviromental Policy, <http://www.ukfg.org.uk/docs/CAPBB2.pdf>
12. Lissitsa A., Luka O., Galaljuk T., Kvaesa S.. Common Agricultural Policy of the European Union –Development and Principles of Functioning, Discussion paper N92, 2006, IAMO, Halle(Sale), Germany(www.econstor.eu).
13. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legal-proposals/index_en.htm.
14. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/agreement/index_en.htm.
15. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legislation/index_en.htm.
16. http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/implementation/index_en.htm .
17. The Common Agricultural Policy after 2013 =overview of the CAP reform 2014-2020 (774KB); (http://ec.europa.eu/agriculture/cap-post-2013/legal-proposals/index_en.htm).
18. http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/05_en.pdf.
19. EU SCAR, Agricultural knowledge and innovation systems in transition – a reflection paper, Brussels, 2012.
20. Rivera, W.M. and Zijp, W. Contracting for agricultural extension. International case studies and emerging practices. Washington D.C.: CABI Publishing, 2002.
21. Global Forum for Rural Advisory Servicies Strategic Framework 2016-2025. [GFRAS_strategic_framework_2016_2025.pdf](http://www.gfras.org/strategic_framework_2016_2025.pdf).
22. Ruud Smits, Stefan Kuhlmann and David Shapiro. The Theory and Practice of Innovation Policy-An International Handbook, Edgar Eldar, 2010.
23. Bergek, A., S. Jacobsson, M. Hekkert and K. Smith: Functionality of Innovation Systems as a Rationale for and Guide to innovation Policy (2010) in:R. Smits et al (2010).
24. Smith A., J.P. Voß, J. Grin, Innovation studies and sustainability transitions: The allure of the multi-level perspective and its challenges, in: Research Policy, 2010.

25. Rivera W.M., Qamar M.K., Mwandemere H.K. Enhancing coordination among akis/rd actors: an analytical and comparative review of country studies on agricultural knowledge and information systems for rural development (akis/rd). FAO, Rome, 2005.
26. Laurent, C., M. Cerf and P. Labarthe. Agricultural extension services and market regulation: learning from a comparison of six EU countries. In: Journal of Agricultural Education and Extension. Vol. 12, n° 1, 5-16. March 2006.
27. The OECD Innovation Strategy: Getting a Head Start on Tomorrow. OECD Directorate for Science, Technology and Industry, 2010.
28. SCAR, Strengthening the links between knowledge and agricultural innovation in Europe. Workshop in Angers: 6-7th October, 2008.
Available at: <http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/pdf/anger/angers-scar-flyer.pdf>.
29. Van der Ploeg, J.D., R. van Broekhuizen, G. Brunori, R. Sonnino, K. Knickel, T. Tisenkopfs and H. Oostindie. "Towards a Framework for Understanding Regional Rural Development", in: Ploeg van der, J.D. & T. Marsden (eds) Unfolding Webs: The Dynamics of Regional Rural Development, Assen: Van Gorcum, 2008.
30. Di Iacovo, F. and D. O'Connor. Supporting Policies for Social Farming in Europe. Progressing Multifunctionality in Responsive Rural Areas. Firenze: ARSIA, 2009.
31. Watts, D.C.H., Ilbery, B. and Maye, D. Making reconnection in agro-food geography: Alternative system of food provision, Progress in Human Geography, 29 (1), 2005.
32. Murdoch, J., Marsden, T. and Banks, J. Quality, nature, and embeddedness: Some theoretical considerations in the context of the food sector, Economic Geography, Vol. 76, No. 2, 2000.
33. Morgan, K.J. and R. Sonnino. The School Food Revolution: Public Food and the Challenge of Sustainable Development. London: Earthscan, 2008.
34. Council Decision of 20 February 2006 on Community Strategic Guidelines for Rural Development(programming period 2007 to 2013), 2006/144/EC.
35. Report from The Commission to The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and The Committee of the Regions: on the implementation of the national strategy plans and the Community strategic guidelines for rural development (2007-2013), Brussels, (SEC/2011 943 final).
36. The EU Rural Development Policy 2007-2013. European Commission Directorate – General for Agriculture and Rural Development. EU Publications Office, 2006;
http://ec.europa.eu/regional_policy/atlas/factheets/pdf/fact_eu25_en.pdf.
37. [www.ec.europa.eu/research/biosociety/index_en.htm](http://ec.europa.eu/research/biosociety/index_en.htm);
http://cordis.europa.eu/fp7/kbbe/home_en.html.
38. [www.ec.europa.eu/research/fp7/index_en.cfm?pg=food](http://ec.europa.eu/research/fp7/index_en.cfm?pg=food).
39. European Technology Platforms (cordis.europa.eu/technology-platforms/home_en.html).
40. European Biofuels Technology Platform; Food for Life; Forest based sector Technology Platform; Global Animal Health (GAH); Plants for the Future.
41. Tackling the challenge of rising food prices - Directions for EU action. Commission COM(2008) 321 final.
42. http://cordis.europa.eu/fp7/coordination/eranet_en.html.
43. ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა. რედ. ი. გოგოძე, ასოციაცია "ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის", თბ., 2014.
44. Standing Committee on Agricultural Research (SCAR), Regulation EEC, N 1728/74 of the Council of 27 June 1974; http://ec.europa.eu/research/era/pdf/citizen-summary_en.pdf.
45. Joint Research Centre (JRC) - www.jrc.ec.europa.eu.
46. Global Forum on Agricultural Research (www.egfar.org); Consultative group on International Agricultural Research (www.cgiar.org)

47. <http://www.era-ard.org/index.php?call=home>.
48. Dockès, A, T.Tisenkopfs and B. Bock: Reflection paper on AKIS, 2011. Downloadable from: <http://ec.europa.eu/research/agriculture/scar>.
49. Cristóvão A., A. Koutsouris and M. Kuegler. Extension systems and change facilitation for agricultural and rural development. In: Darnhofer et al. The farming systems approach into the 21st century: The new dynamic”, Springer edition, Dordrecht, Netherlands, 2012.
50. <http://www.shok.fi/en>.
51. <http://www.innovateuk.org>.
52. <http://www.acta.asso.fr> and <http://www.actia-asso.eu>
53. ზ. რევიშვილი, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა და ინოვაციური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-ბა, თბ., 2016.
54. Angileri, V. Farm Advisory System in the EU: proposals for improvement. JRC Scientific and Technical Reports. Luxembourg: Publications of the European Union (ISBN 978-92-79-20039-7) 2011.
55. www.DLG.org da German Solinsa-s angariSi.
56. New Practical Guide to EU Funding Opportunities for Research an Innovation, Competitive European Regions through Research and Innivation, EU Cohesion Policy, 2011; http://ec.europa.eu/research/participants/data/ref/fp7/204008/practical-guide-rev3_en.pdf

Zurab Revishvili

**EU AND EUROPEAN COUNTRIES AGRICULTURAL INNOVATION POLICY
Annotation**

Are analyzed EU and its member countries Innovation and Common Agricultural Policies, as a frame conditions to determine Agricultural Innovation Policy. Are shown subsistence and conceptual issues of Agricultural Knowledge and Innovation System (AKIS).

Discusses important instruments of implementation of EU Agricultural Innovation Policy. Are broadly-analyzed the experiences of Agricultural Innovation Policies of EU and European countries.

ლინა დათუნაშვილი
**სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა
ევროინტეგრაციის პირობებში**

გლობალიზაციის გავლენით ყოველდღიურად იცვლება მსოფლიო ეკონომიკა, ამ პროცესს მოაქვს ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები ქვეყნებისათვის, რომლებიც მეტოქეობენ, დაიკავენ ლიდერის პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი ეძებენ და პოულობენ ეკონომიკური განვითარების სულ ახალ გზებსა და საშუალებებს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სიახლისა და ინოვაციის დანერგვის მიმართულებით.

ევროკავშირის შექმნის ადრეული პერიოდიდან და შემდგომ გაფართოებასთან ერთად, ევროკომისიის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა იმ ღონისძიებების ხელის შეწყობა, რომელიც მიმართული იყო ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისთვის.

ევროპული ინოვაციური აქტიური პოლიტიკის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ევროპული კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსების შემოღების „ნარჩო-პროგრამების“ შედგენის შემდგომი პერიოდი. „ნარჩო-პროგრამის“ რეალიზაციის ვადები დაიწყო 1984-1987 წწ-ში და ყოველ სამ წელიწადში ახალი „ნარჩო-პროგრამა“ იქმნებოდა. სულ რვა „ნარჩო-პროგრამა“ იქნა რეალიზებული. ევროკავშირში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა როგორც ინოვაციური პოლიტიკის, ისე ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ცვლილებები ცალკეული ქვეყნისა და რეგიონის დონეზე.

ევროკომისია გარკვეული დროის შუალედში კონკრეტული მიმართულებებისათვის აქვეყნებს დოკუმენტს, როგორცაა „მწვანე წიგნი“ (Green paper) და „თეთრი წიგნი“ (White paper). „მწვანე წიგნი“ ასახავს მიმდინარე სიტუაციის მოცემულ მხარეს, გააჩნია პრობლემები და მისი გადაწყვეტის შესაძლო ხერხები და საშუალებები, გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში განიხილონ დოკუმენტი, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები, წინადადებები და ა. შ. განხილვის შეჯამების შემდეგ ქვეყნდება დირექტიული, კრებსითი დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „თეთრი წიგნი“.

XX საუკუნის ბოლოს (1995 წ. „მწვანე წიგნი“-ს ინოვაციაზე) ამ დოკუმენტში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ინოვაციური განვითარების პრობლემები ევროპაში წარმოიწინილია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწვავე პრობლემა და ამის მთავარი მიზეზი, როგორც ხაზგასმულია აქ და სხვა შემდგომ მიღებულ დოკუმენტებში, არის ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მათ მთავარ ეკონომიკურ კონკურენტებზე – აშშ-სა და იაპონიაზე – მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლის (მათ შორის მშპ-ში მეცნიერულ კვლევებზე გამოყოფილი დანახარჯების დაბალი ხვედრითი წილი) მიხედვით. ევროპული კომპანიების საქმიანობა და ბედი სულ უფრო მნიშვნელოვნად დამოკიდებული ხდება კონკურენციაზე, რომელიც გაჩაღებულია უკვე არა მარტო ევროპაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამაც განაპირობა ევროპის ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის განვითარების აუცილებლობა. ამ პრობლემის დასაძლევად ევროსაბჭომ 2000 წლის ღისაბონის ევროსამიტზე კურსი აიღო კონკურენტუნარიანი ინოვაციური ეკონომიკის შესაქმნელად. სამიტმა განსაზღვრა პრიორიტეტები:

- ინოვაციური გარემოს გაუმჯობესება ინტეგრაციის გაძლიერების გზით ეროვნული პოლიტიკის ყველა მიმართულებით;
- ინოვაციაზე ბაზრის მოთხოვნის სტიმულირება და იმ ბაზრის მხარდაჭერა, რომელიც უფრო მეტად არის მიდრეკილი სიახლის მისაღებად;
- სახელმწიფო სექტორში ინოვაციის სტიმულირება;
- რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის გაძლიერება.

ქვეყნებმა, რომლებმაც დიდი ყურადღება მიაქციეს მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებულ მართვას და ეკონომიკური პროცესები ინოვაციის გზით წარმართეს, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას მიაღწიეს. მათი საინოვაციო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის დონეზე, ემყარებოდა სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას, რომლის თანახმად სახელმწიფო ძირითადად აფინანსებდა მეცნიერულ კვლევებს საჯარო სექტორში – უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ხოლო კვლევის შედეგების რეალიზაცია კერძო სექტორის პრეროგატივა იყო (რასაც კერძო სექტორი წარმატებით ვერ ახორციელებდა). გასული საუკუნის ბოლოდან ქვეყნებს შორის კონკურენციის გამწვავებამ კვლევის შედეგების ათვისების დაჩქარების აუცილებლობა განაპირობა, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა არა მხოლოდ მეცნიერული კვლევებისთვის, არამედ ამ კვლევების

შედეგების ეკონომიკაში ეფექტური რეალიზაციისათვის უფრო აქტიურად დაიწყეს ხელის შეწყობა და მხარის დაჭერა, რაც გულისხმობდა ინოვაციურ მიდგომას ამ პროცესების მიმართ. სახელდობრ: ხელისუფლება წარმოადგენს იმ ძირითად ინვესტორს, რომელიც აფინანსებს განათლებას, კვლევებს ზოგადად საინოვაციო პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ასევე კონკრეტულ კვლევასა და მისი შედეგების საწარმოო რეალიზაციას და ინოვაციებისთვის ხელსაყრელი ორგანიზაციული და საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბებას [6].

2000 წლიდან ევროკავშირმა კურსი აიღო 2010 წლისათვის ცოდნაზე და-მყარებულ, მსოფლიოში უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შესაქმნელად. ამასთან, ევროსაბჭოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად სამი სფერო ჩამოყალიბდა: მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური და საგანმანათლებლო. სახელდობრ მკსსს-ის უკვე არსებულ ჩარჩო-პროგრამებს დაემატება ახალი ჩარჩო პროგრამა კონკურენტუნარიანობასა და ინოვაციაზე (2007-2013). ამ სტრატეგიის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო კარდინალური ღონისძიებები მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განსამტკიცებლად, დანახარჯების ზრდა მკსსს-ზე 1,9%-დან 3,0%-მდე (2/3 სოფლის მეურნეობის კერძო ინვესტირებისა და 1/3 სახელმწიფო დანახარჯებზე). ბრიუსელის ახალი მეცნიერულ-ტექნოლო-გიური პოლიტიკის საფუძველი გახდა ევროპული სამეცნიერო და ინოვაციური სივრცის ჩამოყალიბება. იქმნება ეროვნებათაშორისი კვლევითი ქსელი, ჩამოყა-ლიბდა ქვეყნებს შორის უახლესი ტექნოლოგიის ევროპული კლასტერი, რომე-ლიც წარმოადგენს ინოვაციურ „დერეფანს“ და მოიცავს რამდენიმე ევროპულ ქვეყანას [5].

ევროკომისია სხვადასხვა პერიოდში ყურადღებას ამახვილებდა იმ გასათ-ვალისწინებელ ცვლილებებზე, რომელიც ინოვაციური პოლიტიკის პრიორ-იტეტებში უნდა განხორციელებულიყო:

– გამოკვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ეფექტურობის ამაღლება, აუცილებელი საკადრო რესურსით უზრუნველყოფა, სახელმწიფო სექტორში კვლევითი ბაზის გაუმჯობესება;

– სახელმწიფო რესურსების მიმართვა გამოკვლევებსა და ინოვაციებზე მათი ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

– ინოვაციური გარემოს გაუმჯობესებაზე, სახელდობრ, ინტელექ-ტუალური საკუთრების, კონკურენციის წესის, საფინანსო ბაზრისა და საგადასახადო სისტემის დაცვა;

– კვლევისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება;

– განათლებული კადრების გადინების წინააღმდეგ და კვალიფიციური საზღვარგარეთელი მკვლევარების მოზიდვის თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვა.

საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირისა და მისი წევრი-ქვეყნების სო-ციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მათი მსოფლიოში ყველაზე კონკუ-რენტუნარიან ეკონომიკებად ჩამოყალიბების ძირითადი საშუალებაა. ევრო-კავშირი 2000-2010 წლებში ლისაბონის სტრატეგიით, ხოლო ამჟამად – „ევროპა 2020“-ით ხელმძღვანელობს. საინოვაციო პოლიტიკით გათვალისწინებული ღო-ნისძიებების დაფინანსებაზე იხარჯება ევროკომისიის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი, აგრეთვე ეროვნული და რეგიონული მთავრობების ბიუჯეტის მნიშ-ვნელოვანი ნაწილი.

ევროკავშირი საინოვაციო პოლიტიკას ახორციელებს – გრანტებით უმაღლესი განათლების დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის.

– საგადასახადო შეღავათებით ინოვაციური საწარმოებისათვის;

– არასაფინანსო შედეგებით (ტექნიკური დახმარება) უნივერსიტეტების, კვლევითი დაწესებულებებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები და სხვა) [2].

ევროკავშირში არსებობს ხუთი ძირითადი ფონდი, რომლებიც მხარს უჭერენ ეკონომიკურ განვითარებას ყველა წევრ-ქვეყანაში. ესენია: 1. რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (ERDF); 2. ევროპის სოციალური ფონდი (European Social Fund ESF), რომელიც მიმართულია განათლებისა და მომსახურების შესაძლებლობების გაზრდაზე; 3. ზღვაოსნობისა და თევზაობის ფონდი (Mazitime and fishiers fund – EMFF), რომლის მიზანია თევზჭერა და აკვაკულტურა გახადოს სოციალურად და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი 4. თანასწორობის ფონდი (cohesion fund – CF); 5. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი (European Agricultural fund for Rural development – EAFRD). სოფლის მეურნეობის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობის ჯანსაღი კვლავარმოებისათვის. ამდენად, იგი ევროკავშირის სტრუქტურულ პოლიტიკაში ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 28 წევრი-ქვეყნის მოსახლეობის 56%-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ადგილებში ცხოვრობს. ფონდი ორიენტირებულია სამ მთავარ მიზანზე: 1. კონკურენტუნარიანობის გაზრდა სასოფლო და სატყეო სექტორში, გარემოსა და სასოფლო დასახლებების გაუმჯობესება. 2. სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. 3. სასოფლო ეკონომიკის განვითარება [4].

ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან, რომელიც დაარსების დღიდან არ კარგავს აქტუალობას, არის ევროპის ქვეყნების აგრარული პოლიტიკის მხარდაჭერა. ევროკავშირის უმთავრესი მიზანია კავშირში შემავალი ქვეყნების აგრარული სფეროს განვითარება, სოფლად მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომი სურსათით უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების წახალისება. სოფლად ევროკავშირის ღონისძიებების ძირითადი ობიექტი ფერმერებია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ და განსაკუთრებული ადგილი უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარებაში. სწორედ მათ წასახალისებლად და მხარდასაჭერად არის მიმართული. CAP-ის როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური საშუალებები, რომლის ფარგლებში იწერება ინოვაციური ტექნოლოგიები [1].

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დახმარება არა უშუალოდ წარმოების, არამედ გარემოსდაცვითი და საინოვაციო ღონისძიებების დაფინანსებაში გამოიხატება. ამ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურისა და გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებას. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა სხვადასხვა მომსახურების გაწევა, მაგალითად, ნიადაგის ანალიზი, რომელიც ძვირადღირებული პროცესია, ხოლო ფერმერი უფასოდ ან შედარებით ფასებში აკეთებს ამ ანალიზს ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობის დახმარებით. ევროპის ქვეყნებში სუბსიდიას აძლევენ გარემოსდაცვითი სტანდარტების დასაცავად როგორც მიწის ნაკვეთის სიდიდის მიხედვით, ისე პროდუქტის ხარისხის შესამოწმებლად. კონკურენტული ბაზარი მოითხოვს აგრარულ სექტორში ძვირადღირებულ ანალიზებს, ხოლო თანამედროვე ალტურვილობის მქონე ლაბორატორიების შექმნას სიძვირის გამო ვერც ფერმერები და ვერც კოოპერატივები ვერ ახერხებენ. მათ ფორმირება-ფუნქციონირებაში მთავარი სახელმწიფოა. სწორედ სახელმწიფო აფინანსებს დარგის განვითარებისთვის აუცილებელ კვლევებსა და ლაბორატორიებში დასაქმებულ მეცნიერებს. ევროკავშირის ქვეყნებში მთელი ეს პროცესი მართვიდან დაწყებული, წარმოე-

ბით დამთავრებული, ცოდნაზე დამყარებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე სორციელდება.

მიმდინარე პერიოდში არსებული გლობალური გამოწვევების ფონზე მსოფლიოს ქვეყნები დგანან კლიმატური ცვლილებების, სურსათის უკმარისობის, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, ფინანსური არამდგრადობისა და სხვა პრობლემების პირისპირ, რაც, მსოფლიო სასურსათო პრობლემის გადასაწყვეტად იწვევს რიგი სტრუქტურული ამოცანის გადაჭრის აუცილებლობას, ისეთის როგორიცაა სურსათის იმპორტისაგან ევროკავშირის ქვეყნების დამოკიდებულების შემცირება და მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ევროპის სურსათის მწარმოებელი ქვეყნების მდგომარეობის განმტკიცება. FAO-ს პროგნოზით, 2040 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა და ურბანიზაცია მიგვიყვანს მსოფლიოში სურსათის გაორმაგებულ მოთხოვნამდე, ხოლო ევროკავშირის აგროსასურსათო სექტორი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო აგროსასურსათო სისტემის ნაწილს, ვერ დარჩება ამ პრობლემის მიღმა. გლობალური ეკონომიკის პირობებში მაღალგანვითარებულ ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე გამოაქვთ მაღალტექნოლოგიური საქონელი და მომსახურება. ისინი სპეციალიზდებიან ინოვაციებზე, როგორც საბაზრო პროდუქტზე. ეს კარდინალური ძვრები მნიშვნელოვნად აისახება აგრარულ სფეროზე. განვითარებული ქვეყნები ბაზარს სთავაზობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალ ჯიშებსა და ახალი სახის პროდუქციას, საწარმოო პროცესების სრული კომპიუტერიზაციისათვის ახალ ტექნოლოგიებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, ახალი თაობის მოწყობილობებს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, შევამციროთ ენერგო და შრომითი დანახარჯები წარმოებიდან მომხმარებლებამდე.

მიუხედავად კვლევების მაღალი მეცნიერული დონისა და გარკვეულ სფეროში რიგი მიღწევებისა, ევროკავშირი სრულად ვერ იყენებს იმ პოტენციალს, რაც მას ამ მხრივ გააჩნია. აღნიშნული მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის ქვეყნებში მეცნიერების არასაკმარის დაფინანსებაზე. მკსსს-ზე ინვესტიციის დონით ევროკავშირი ჩამორჩება მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებს, მკსსს-ზე ევროკავშირში საშუალოდ იხარჯება მშპ-ის 1,9%, მაშინ, როდესაც რიგ ევროპულ ქვეყანაში ეს მანევრებადი მაღალია, მაგ., შვეციაში 3,6%, ფინეთში – 3,1%; ბოლო პერიოდში მეცნიერების დაფინანსება ევროკავშირში 50%-ით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია აშშ-ისა და ჩინეთის ანლოგიურ მანევრებელთან შედარებით (60% და 50%). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირი ფლობს დიდ ინტელექტუალურ რესურსს და მასზე მოდის მსოფლიო მეცნიერული პუბლიკაციის 29% (მაშინ, როდესაც აშშ-ზე – 22%, ჩინეთზე – 17%, იაპონიაზე – 5%). რიგ სფეროებში ჩამორჩენის დასაძლევად და სურსათის წარმოების გასადიდებლად ევროკავშირმა კურსი აიღო აგრარულ სფეროში მეცნიერული კვლევებისა და ინოვაციური დამუშავებების სტიმულირებაზე. ცოდნაზე დამყარებული ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს ევროპული სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლებისა და ევროკავშირის პოზიციების განმტკიცების გადამწყვეტ ფაქტორს მსოფლიო სასურსათო ბაზარზე. ამ სფეროს მეცნიერული და ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება ევროპის ქვეყნებისათვის იძლევა არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას, არამედ ღარიბი ქვეყნების მოსახლეობისათვის შესაძლებლობას, გაუმკლავდნენ სურსათის უკმარისობას. მეცნიერულ-კვლევითი რესურსის მობილიზაციისათვის ძალისხმევა, ინოვაციის სტიმულირება და აგროწარმოების განვითარებისთვის იმპულსის მიცემა 2020 წლისათვის ევროკავშირის განვითარების ახალ სტრატეგიაში ერთ-ერთ წამყვან და ძირითად საკითხს წარმოადგენს, რამაც უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზარზე ევროკავშირის

ქვეყნების უპირატესობა კონკურენტულ შეჯიბრში. ევროსაბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო-პროგრამებით ფინანსდება სხვადასხვა თემატიკის კვლევითი და ინოვაციური პროექტები, მათ შორის აგრარულ სფეროში.

ევროსაბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო-პროგრამების ბიუჯეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ პირველი ჩარჩო პროგრამით გამოყოფილი იყო 3,25 მლნ ევრო, მეშვიდე ჩარჩო-პროგრამით გამოიყო 53,2 მლრდ ევრო. პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მიზანია მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ევროკავშირის დაფინანსება ევროპის ქვეყნების მყარი განვითარების, ამ ქვეყნებში მეცნიერული კვლევებისა და მათ წინაშე დასმული პრობლემების გადასაწყვეტად, ისეთების, როგორც არის სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და დაბერების პრობლემები.

აგრარული სფეროს განვითარებისათვის ევროკავშირში შემუშავებულია სხვადასხვა პროგრამები. ერთ-ერთი მათგანი ეძღვნება მცენარეთა დაცვის ინტეგრირებულ სისტემას – *Netzwerk Endue* – 11 მლნ ევროს ბიუჯეტით. პესტიციდებით გარემო პირობების გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით აუცილებელია ახალი მიდგომების, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და უფრო მოქნილი მეთოდების გამოყენება მცენარეთა დასაცავად, რაც საშუალებას მოგვცემს, მივაღწიოთ საჭირო ეფექტს პესტიციდების დოზის შემცირების მომართულებით. *Endue* პროგრამა ამ მიზნის რეალიზაციას ემსახურება, პროგრამაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 17 ინსტიტუტი მონაწილეობს.

მეორე პროგრამა *Epirone* ეძღვნება ცხოველების ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას, ისეთი დაავადებების წინააღმდეგ, როგორც არის პირუტყვის ცოფი, ღორის ჭირი და ფრინველის გრიპი. აღნიშნული მსხვილი საერთაშორისო კვლევითი პროექტია რომელშიც მონაწილეობს ევროპისა და ჩინეთის 18 სასოფლო-სამეურნეო, ვეტერინარული და სამედიცინო ინსტიტუტები.

პროგრამების მთლიანი ბიუჯეტიდან განყოფილებაზე „სურსათის წარმოება, სოფლის მეურნეობა და ბიოტექნოლოგია“ გამოყოფილია 1,9 მლრდ ევრო, რაც მშპ-ის დაახლოებით 1%-ს შეადგენს. ითვლება, რომ ეს თანხა მცირეა აგრარული პოლიტიკის მთლიან ბიუჯეტთან შედარებით (400 მლრდ ევრო). აგრარული სფეროს კვლევებზე ყველაზე მეტს ხარჯავენ ინოვაციების მხრივ განვითარებული ევროკავშირის ქვეყნები: საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი [7].

განვითარებისა და წინსვლის პოტენციული ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლები შესაძლებლობით გააჩნია, რის მაგალითსაც ბევრი ქვეყანა იძლევა. მსოფლიოში და ევროკავშირში ამის ბევრი კარგი მაგალითია. მაგ., პატარა ქვეყანა – ირლანდია, რომელმაც ეს გზა არცთუ ისე დიდი ხნის წინ წარმატებით გაიარა, სადაც მაღალ დონეზე განვითარებული სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა.

ნაყოფიერი ნიადაგისა და რბილი კლიმატის წყალობით, ირლანდია ფლობს შესაშურ ბუნებრივ უპირატესობას სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების საწარმოებლად.

თანამედროვე ირლანდიას არცთუ ისე დიდი ხნის წინ გააჩნდა რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. მიუხედავად ამისა, დღეისათვის იგი წარმოადგენს მაღალგანვითარებულ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ევროზონის წევრია, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 126%-ს. გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრების დაბალი დონის გამო, ემიგრაციაში მიდიოდა, ხოლო ვინც რჩებოდა ქვეყანაში, ვერ ამჩნევდნენ ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ირლანდიამ გადალახა

მრავალი წინააღმდეგობა და გაიარა დიდი გზა ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყანამდე.

სოფლის მეურნეობა ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგია, რომელზედაც მოდის მშპ-ის 4% და დასაქმებულების დაახლოებით 7%. სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის (სატყეო მეურნეობის ჩათვლით) გამოიყენება მთლიანი ფართობის (დაახლოებით 7 მლნ ჰა) 5 მლნ ჰა. მთავარი დარგია მერძეულ-მესორცული მეცხოველეობა, რომელზედაც მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 80%-ზე მეტი [9].

დღეისათვის ირლანდიაში ხორცისა და რძის წარმოება სოფლის მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ქვეყანაში საკმაოდ დიდია ცხვრისა და საქონლის რაოდენობა (დაახლოებით 15 მილიონი ერთეული). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს ქვეყანა ყველაზე მსხვილი ექსპორტორია ევროპაში და ერთ-ერთი წარმატებული მსოფლიოში რძისა და ხორცის მიმართულებით. ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, სადაც დასაქმებულია 150 000-ზე მეტი ადამიანი.

1990-იან წლებში ევროკავშირმა დაიწყო სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკის რეფორმა, რომელიც დაეხმარა ირლანდიას, უმტკივნეულოდ შეემცირებინა ფერმერული მეურნეობების რაოდენობა. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ქვეყანას აჩვენა საბანკო სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. მთავრობა იძულებული გახდა, მიემართა საბანკო სისტემის ნაციონალიზაციისათვის და დაეხურა ბანკების გარკვეული რაოდენობა. 2008-2011 წლებში ქვეყანაში უმუშევრობა სამჯერ გაიზარდა და 15%-ს მიაღწია. ფინანსური სტაბილიზაციის ევროპული ფონდისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების პროგრამის ფარგლებში ქვეყანამ რამდენიმე წელიწადში შეძლო ამ სიტუაციიდან გამოსვლა, რის შემდეგაც სწრაფად ვითარდება სასურსათო სექტორი, რომლის ექსპორტი წლების განმავლობაში იზრდება. 2009 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა და 2010 წელს თითქმის 10 მილიარდ ევროს მიაღწია. 2013 წელს ირლანდიაში ინვესტიციები ჩადეს ისეთმა კომპანიებმა, როგორც არის: Deutsche bank, Twitter, EMC, Salesforce, Novartis, Vistakon და სხვები.

ყველა იმ ფაქტორის დახმარებით, რომლებმაც ირლანდია მიიყვანა განვითარების ამ დონემდე, ქვეყანამ მიაღწია იმას, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და ინოვაციურია მსოფლიოში. 2013 წელს ქვეყანაში შეინიშნებოდა დასაქმების ზრდა იმ კომპანიებში, რომლებიც დაკავებული არიან ექსპორტით. ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება აღვნიშნოთ: – ევროკავშირის წევრობას გააჩნია თავისი პლუსი ისეთი ეკონომიკის ქვეყნისათვის, როგორც ირლანდიაა.

1973-2007 წლებში ირლანდიამ ევროკავშირისგან მიიღო რამდენიმე ათეული მილიარდი ევრო დახმარების სახით, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას, მოეხდინა საჯარო სამსახურისა და კერძო სექტორის მოდერნიზაცია [8].

– ევროკავშირის წევრობა და ევროზონაში გაერთიანება დაეხმარა ირლანდიას, გადაეტანა კრიზისი და აღედგინა ძალები მის შემდეგ.

საინტერესოა ასევე აგრარულ სფეროში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის – საფრანგეთის ინოვაციური პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში.

საფრანგეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მას სოფლის მეურნეობის კულტურების მრავალფეროვნებით და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ფართობის წყალობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მოცულობით. მიუხედავად პრობლემებისა, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა ვითარდება და წარმატებებს აღწევს უპირატესად ავტომატიზაციის, სელექციაში გენეტიკური მეთოდების დანერგვით, ახალი სახის საკვების გამოყენებით, ნი-

ადაგის განოციერებისა და მოვლის ახალი მეთოდებისა და ხერხების წყალობით. ყველაფერი ეს შესაძლებლობას აძლევს საფრანგეთს, უფრო აქტიურად ჩართოს სოფლის მეურნეობა მსოფლიოს მთლიან მწარმოებლურ ციკლში. ევროკავშირის მთლიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში მონაწილეობა ერთი მხრივ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერების დამატებით მხარდაჭერას, ხოლო მეორე მხრივ, ეს პროცესი გარკვეულად ზღუდავს ექსპორტს, რაც კრიზისით ემუქრება ქვეყნის ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს, მით უფრო, რომ მეცხოველეობას ზიანს აყენებს ზოგიერთი სახის ეპიდემია. ამასთან, საფრანგეთის სოფლის მეურნეობა დიდ როლს თამაშობს სოფლის ტერიტორიისა და მისი ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და დაცვის საქმეში. სოფლის მეურნეობის კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი რეგიონის დაცარიელება. თავის მხრივ, ეკონომიკის ამ ტრადიციული დარგის – სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსი (განსაკუთრებით ღვინის, კონიაკის, ყველის, რძის პროდუქტების წარმოება) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სფეროს, რომელიც ანახლავს არადაამაკმაყოფილებელ სავაჭრო ბალანსს ინფორმატიკის, ჩარხმშენებლობის, ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის სფეროში [1].

ქვეყანა დასავლეთ ევროპაში სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის საკმაოდ მსხვილი მწარმოებელია. წამყვანი დარგია მეცხოველეობა, რომლის წილი აგრარული პროდუქციის ღირებულების 2/3-ს შეადგენს. საფრანგეთი წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველს ქერისა და შაქრის წარმოებაში. იგი მეორე ადგილზეა ხორბლის, ღვინისა და ხორცის წარმოებაში. ქვეყანა ცნობილია ისეთი ტრადიციული დარგებით, როგორცაა მევენახეობა, მეხილეობა, ხამანწკების რეწვა. სოფლის მეურნეობა მაღალინდუსტრიული დარგია, ტექნიკის უზრუნველყოფით და ქიმიური საშუალებების გამოყენებით მას უსწრებს ნიდერლანდები, გერმანია და დანია. ტექნიკით უზრუნველყოფამ და მეურნეობის მაღალმა აგროკულტურამ განაპირობა ქვეყნის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით (მარცვლეული, შაქარი, კარაქი, კვერცხი და ხორცი) თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის მაღალი დონე.

მოყვანილი მასალის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ადვინშნოთ:

– ევროკავშირის შექმნის ადრეული პერიოდიდან და შემდგომ გაფართოებასთან ერთად, ევროკომისიის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

– მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსების მიზნით ევროკომისიის მიერ პერიოდულად იქმნებოდა „ჩარჩო-პროგრამები“, რომელთა შემუშავებისა და რეალიზაციის მიზანს წარმოადგენდა, მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული ევროკავშირის დაფინანსება ევროპის ქვეყნების მყარი განვითარების, მეცნიერული კვლევებისა და ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც არის სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და დაბერების პრობლემები და სხვა.

– ევროკავშირში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა როგორც ინოვაციური პოლიტიკის, ისე ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ცვლილება ცალკეული ქვეყნისა და რეგიონის დონეზე.

– ევროკავშირში შექმნილი იმ ხუთი ძირითადი ფონდიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ყველა წევრ-ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას, გან-

საკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რამდენადაც ამ დარგის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობის ჯანსაღი კვლავწარმოებისათვის.

– ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ინოვაციური პოლიტიკა ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირდება.

– ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დახმარება გარემოსდაცვითი, ინფრასტრუქტურისა და საინოვაციო ღონისძიებების დაფინანსებაში გამოიხატება.

– ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერთა კვლევითი და საწარმოო მომსახურება საბიუჯეტო საშუალებებიდან სუბსიდირდება. მსხვილ ინტეგრირებულ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებში ინოვაციური საქმიანობა ასევე ბიუჯეტიდან ფინანსდება.

– წვრილი და საშუალო ინოვაციური მეწარმეობა ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ასევე აქტიურად არის მხარდაჭერილი, რაც მდგომარეობს მათთვის არა მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკური შეღავათების მინიჭებაში, არამედ კეთილსასურველი ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული და სხვა პირობების შექმნაში, რისთვისაც გამოიყენება ინოვაციური მეწარმეობის აქტივიზაციის სტიმულირების სხვადასხვა ფორმები, მაგ., პროგრამები, გრანტები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვაშალომიძე ს., აგრარული პოლიტიკა...
[http://freeview.ge/evrokavshiris-აბრარული-პოლიტიკა/;](http://freeview.ge/evrokavshiris-აბრარული-პოლიტიკა/)
2. შატბერაშვილი ო., საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირისა და საქართველოში: რეგიონული პოლიტიკა.
<https://www.inovdev.ge/.../15168Oleg-01-Innovation%20Policy%20in%20EU%20and%20Georgia.pdf>.
3. ჩიკვაიძე მ., ბაზარი გარანტირებულია, მთავარია, ხელოვნურად...
www.for.ge/view.php?for_id=18251&cat=1
4. ხვედელიძე მ., ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა. [irtoday.ge/ევროკავშირის-რეგიონალურ/...](http://irtoday.ge/ევროკავშირის-რეგიონალურ/)
5. Шелюбская Н.В.: Новая инновационная политика ЕС
emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/BPA/...
6. ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА ЕС | Колосова Б.В.
rusnauka.com/12_KPSN_2010/Economics/62752.doc.htm
7. Программы научных исследований в области сельского хозяйства в ЕС (Панцов А.Г., Покровская С.Ф.), АГРАРНАЯ ЕВРОПА В XXI ВЕКЕ Летний сад, Москва 2015;
nauka.x-pdf.ru/...agrarnaya-evropa-xxi-veke...moskva...
8. Экономика Ирландии показала рекордный для стран ЕС рост на ...
<http://www.rbc.ru/economics/10/03/2016/56e169109a794758098e2fa2>
9. Сельское хозяйство Ирландии | Кельтский стиль
celticstyle.ru/selskoe-hozyajstvo-irlandii
10. Политика сельского развития в Ирландии
siteresources.worldbank.org/INTRUSSIANFEDERATION/...
11. Экономика Франции - википедия
encyclopaedia.bid/википедия/Экономика_Франции

AGRICULTURAL INNOVATION POLICY IN EURO INTEGRATION CONDITIONS

Annotation

The article covers with daily changes in the world economy the impact of globalization and what new opportunities and challenges it brings to EU countries that are trying to reach the leader position by novelty and innovation implementation in different area. To support this process is analyzed importance of eight “Framework Programs” of European Commission to finance European Research and development, the realization of which contributes to maximize the use of European funding, to solve the problems of sustainable development of European countries, the realization of scientific research and innovation policy, as well as food and energy safety, climate change adaptation, public health and other.

The article analyzes various issues fixed in the documents developed by European commission, “Green Book” and “white Book” including the necessity to overcome the lag of European countries according to low share of costs in GDP on scientific research in comparison with the world advanced countries – the US and Japan, it also analyzes EU innovation policy implemented by European Commission grants, tax and non-financial benefits, such as techno parks, business incubators, consulting and technology transfer centre and other, as well as the five major funds (The European Regional Development fund, the European social fund, the foundation for Equality, Navigation and Fishing and Rural Development Fund) which support all EU member countries in economic development.

Agricultural Development Fund is the most important by means of which is carried out the financing of innovative development of agriculture in all EU member countries.

The article emphasizes that agricultural innovation policy in EU countries is subsidized from the state budget and this aid is expressed in financing environmental protection, infrastructure and innovative arrangements. In EU countries research and production services of farmers, as well as small and medium innovative businesses and innovation policy in large integrated agricultural associations are actively supported by the state which lies in the granting them financial and economic benefits, as well as in creating legal, organizational and other conditions.

The article explores and analyzes the situation in agricultural sector in the EU advanced countries _ Ireland and France and is shown an important role of EU in the realization of innovation policy in these countries.

ლინა დათუნაშვილი

საფრანგეთის ინოვაციური პოლიტიკა

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ როლს იძენს ცოდნაზე დამყარებული ინოვაციებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობა. ექსპერტები, ცალკეული ქვეყნის და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მომავალს ინოვაციურ სექტორს უკავშირებენ. კვლევები გვიჩვენებს, რომ მოცემულ სექტორს გააჩნია მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ბოლომდე გამოვლენილი პოტენციალი. სწორედ მასში განთავსებული რესურსების გამოყენების ეფექტურობაზე იქნება დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის განვითარება პერსპექტივაში.

ევროკავშირის მოწინავე სახელმწიფო – საფრანგეთი მრავალი წლის განმავლობაში ადგას მეცნიერებისა და ინოვაციური სფეროს ღრმა ტრანსფორმაციის გზას, რაც გამოიხატა ამ სფეროში გატარებული ინსტიტუციური სტრუქტურისა და სამართლებრივი ბაზის მნიშვნელოვანი ცვლილებით. ცვლილებებს ბიძგი მისცა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს – 1999 წელს ქვეყანაში ინოვაციებსა და სამეცნიერო კვლევებზე მიღებულმა კანონმა.

კანონის მიღებამ სამეცნიერო წრეებში საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია, სახელმწიფო სექტორში მეცნიერებაზე გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური საშუალებების უკმარისობის გამო. ამ საკითხის რამდენადმე მოგვარებას ხელი შეუწყო საფრანგეთში 2004 წელს დაწყებულმა რეფორმებმა, 2005 წელს მეცნიერული კვლევების ეროვნული სააგენტოს შექმნამ და 2006 წლის 18 აპრილს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შესახებ მიღებულმა კანონმა, რითაც შეძლეს, ქვეყანაში შეექმნათ მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა ინოვაციური პროექტების სახელმწიფო დაფინანსებისა და შეფასების, ასევე კერძო სექტორში მეცნიერული კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისა და სტიმულირების საკითხებს.

საფრანგეთში სახელმწიფო დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი, 62% მეცნიერებაზე, სახელდობრ ფუნდამენტურ კვლევებზე გამოიყოფა. მეცნიერების ასიგნებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო საშუალებების დაახლოებით მესამედი – 18% მიმართულია თავდაცვითი და სტრატეგიული ტექნოლოგიის სექტორში. 14,5% – ატომური ენერჯის, კოსმოსის და აერონავტიკის კვლევებისათვის. გამოყოფილი საშუალებების 5% ხმარდება სამრეწველო ინოვაციების მხარდაჭერას.

კერძო კვლევები ძირითადად მიმდინარეობს დინამიურად განვითარებად დარგებში: საავტომობილო მრეწველობა, ფარმაკოლოგია, ტელეკომუნიკაციური მოწყობილობების წარმოება, კოსმოსური სექტორი [1].

ქვეყნის სამეცნიერო სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 360 ათასი ადამიანი, რომელთაგან 200 ათასი მკვლევარია (დოქტორანტების ჩათვლით). სამეცნიერო კადრების დაახლოებით 48% დასაქმებულია სახელმწიფო, 52% კი – კერძო სექტორში [2].

საფრანგეთის მშპ-ში ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის დაფინანსებაზე დანახარჯების ხვედრითი წილი 2000-2014 წლებში ასეთია: 2000 წ. – 2,15%; 2005 წ. – 2,11%; 2008 წ. – 2,08%; 2010 წ. – 2,26%; 2013 წ. – 2,24%; 2014 წ. – 2,26% [3]. როგორც ვხედავთ, ინოვაციური პოლიტიკის დაფინანსებაზე დანახარჯები აღნიშნულ წლებში იზრდება, მაგრამ უმნიშვნელოდ და ვერ აღწევს ევროკავშირის ლისაბონის სამიტზე მიღებული მაჩვენებლის სიდიდეს – მშპ-ის 3%.

აღნიშნული ეროვნული ეკონომიკის სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, ეს არის მრეწველობის ინოვაციური პოტენციალის გამოყენების არასაკმარისი დონე და მსოფლიო ბაზარზე ძირითადი მაღალტექნოლოგიური დარგების სუსტი კონკურენტუნარიანობა, ქვეყნის სამრეწველო საწარმოების შედარებით დაბალი ინოვაციური აქტიურობა როგორც ინოვაციების შექმნის, ისე განსაკუთრებით ინოვაციების შედეგების დანერგვის სფეროში.

ინოვაციური სფეროს განვითარების მხრივ აღნიშნული მიზეზები არ აძლევს ქვეყანას საშუალებას, შევიდეს ლიდერი ქვეყნების ჯგუფში (ისეთების, როგორიცაა: შვეცია, დანია, ფინეთი, გერმანია).

საფრანგეთის სამრეწველო სექტორის ძირითად პრობლემებს შორის, რომლებიც განსაზღვრავს მოცემულ სიტუაციას, შეიძლება გამოვყოთ:

– სამრეწველო სექტორის ინოვაციურ პოლიტიკასა და ინოვაციაში დაბანდების შედარებით დაბალი დონე.

– მრეწველობის ინოვაციური პოლიტიკის სფეროში მიღწეული შედეგების დანერგვისა და ათვისების არასაკმარისი დონე.

– მცირე და საშუალო საწარმოების სუსტი ჩართულობა ინოვაციურ პროცესებში.

საფრანგეთში მაღალია სახელმწიფოს როლი მრეწველობის ინოვაციური პოლიტიკის დაფინანსებაში, ქვეყანა ლიდერთა შორისაა მაჩვენებლით, რომე-

ლიც ეხება სახელმწიფოს წილს დანახარჯებში სამრეწველო კომპანიების ინოვაციურ პოლიტიკაზე, რაც 12%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ევროკავშირის 27 ქვეყანას შორის ამ მაჩვენებლის საშუალო დონე 7%-ს არ აღემატება [4].

სამაგიეროდ, დაბალია ქვეყნის მშპ-ში სამრეწველო კომპანიების დანახარჯების წილი ინოვაციური პოლიტიკის განვითარებისთვის. ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის მანძილზე არ იცვლება და მერყეობს 1,4%-სა (2005) და 1,39%-ს შორის (2012) ქვეყნის სამრეწველო კომპანიების დანახარჯების საშუალო ზრდის ტემპი ინოვაციური პოლიტიკის განვითარებისთვის დაახლოებით 2-ჯერ დაბალია აშშ-ს ანალოგიურ მაჩვენებელზე [5].

ბოლო პერიოდში ქვეყნის ინოვაციურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროექტების საფუძველზე ეროვნული ინოვაციური პოლიტიკის სახელმწიფო დაფინანსების პრაქტიკას, რასაც ხელი შეუწყო მეცნიერული კვლევების ეროვნული სააგენტოს და პროექტების საფუძველზე ეიპ-ის დაფინანსებისთვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შექმნამ. პრიორიტეტული სფეროების დაფინანსების გარდა ეროვნული სააგენტოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა კვლევებისა და დამუშავებების კოორდინაცია.

მეცნიერული კვლევების ეროვნული სააგენტო აფინანსებს ძირითადად მეცნიერების სახელმწიფო სექტორს. მასზე მოდის აღნიშნული სააგენტოს საშუალებების 80%, საიდანაც სამრეწველო სექტორის წილზე დაახლოებით 10%, ხოლო ფუნდამენტურ კვლევებზე ეროვნული სააგენტოს დაფინანსების 60% მოდის.

ქვეყნის ინოვაციურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიზნობრივ პროექტებს, რომელთა თემატიკა თვით კვლევითი კოლექტივების ინიციატივით არის შეთავაზებული. ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი 2005-2015 წლებში 0,2%-დან 0,5%-მდე გადიდა.

სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ქვეყანაში მიჩნეულია:

- სამრეწველო საწარმოთა აქტიურობის ამაღლება ინოვაციური სფეროს დაფინანსებაში.
- მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური განვითარების დაჩქარება.
- მრეწველობაში ინოვაციური მიღწევების დანერგვის პროცესის ინტენსიფიკაცია.

მეცნიერება და ახალი ტექნოლოგიების სფერო საფრანგეთის ძირითად პრიორიტეტად გამოცხადდა 2005 წლიდან ჯერ კიდევ პრეზიდენტ ჟ. შირაკის მიერ. შემდეგ პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ კიდევ უფრო გაააქტიურა ამ მიმართულებით მუშაობა, მიღებულ იქნა სპეციალური სტრატეგიული პროგრამები, ინსტრუმენტები, დაინტერესებისა და წახალისების მექანიზმები, ახალი ორგანიზაციული ფორმები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პრეზიდენტ ნ. სარკოზის მოღვაწეობის დროს, 2010 წლის დასაწყისში ხანგრძლივი პერიოდისთვის მიღებული ეროვნული პროგრამა „მომავლის ინვესტიციები“ (Investissements d'avenir), სადაც გათვალისწინებულია საფრანგეთის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები ახლო ათწლეულის განმავლობაში. პრიორიტეტები, რომლებიც დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებასთან, ისეთების, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია, ენერჯის ალტერნატიული წყაროები და ა.შ. პირდაპირ პასუხობს ამ მოთხოვნებს და ჩამოთვლილი სექტორების განვითარებაზე გადანაწილდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ასიგნებების თითქმის 25%.

ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციების განვითარება ასევე განხილდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ ფაქტორად პრეზიდენტ ფ.

ოლანდის მიერ, მისი პრეზიდენტობის პერიოდში შეიქმნა „მრეწველობის აღორძინების სამინისტრო“ („Ministere du redressement productif“), 2009 წლამდე მრეწველობას ხელმძღვანელობდა ეკონომიკის, მრეწველობისა და დასაქმების სამინისტრო. აღნიშნული ღონისძიება გულისხმობდა მცირე და საშუალო საწარმოების გარდაქმნას მრეწველობის ინოვაციური განვითარების მამოძრავებელ ძალად. ამ მიზნით ეროვნულ დონეზე შეიქმნა სპეციალური საფინანსო ინსტიტუტი – ეგრეთ წოდებული ინოვაციის საზოგადოებრივი ბანკი (Banque publique de l'investissement), რომელიც პრიორიტეტულად გამოყოფს და ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო საწარმოებს. მათ სასარგებლოდ იქნა გათვალისწინებული ცვლილებები კვლევითი კრედიტის მექანიზმში, რომელიც ამ ცვლილებებამდე უპირატესად მსხვილი კომპანიების სტიმულირებისაკენ იყო მიმართული. ასევე აქტიურად იქნება გამოყენებული სახელმწიფო შეკვეთების მექანიზმი მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის.

ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან სიდიდეში მეცნიერულ კვლევებსა და უმაღლეს განათლებაზე დანახარჯები იზრდება, ასევე თანდათანობით იზრდება საერთო ასიგნებები სპეციალური ბიუჯეტიდან, რაც გათვალისწინებულია მეცნიერულ კვლევებსა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რომელთა ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში დაახლოებით 60% შეადგენს. 2002-2011 წლებში მათი სიდიდე 9,03 მლრდ ევროდან 15,1 მლრდ ევრომდე გაიზარდა [6].

საფრანგეთში სამეცნიერო საქმიანობის მართვა და სტრატეგიული ორიენტაცია ხორციელდება უმაღლესი განათლებისა და კვლევების სამინისტროს მიერ, რომლის შემადგენლობაში 2006 წლიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მთავარი სამმართველო (DGRI). სამინისტროს გარდა ამ პროცესში ჩართული არიან მსხვილი კვლევითი სტრუქტურები, ისეთი, როგორცაა მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრი (CNRS). პოლიტიკის განსახდერაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიებისა და მეცნიერების უმაღლესი საბჭოს აზრს, რომელიც არის საკონსულტაციო ორგანო. იგი 2006 წელს ჩამოყალიბდა. საბჭოს შემადგენლობაში საქმიანობს მეცნიერების 20 გამოჩენილი მოღვაწე. საბჭოს დასკვნებით ხელმძღვანელობს ხელისუფლება კვლევითი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში ძირითადი მიმართულებების განსახდერის დროს.

როგორც აღნიშნეთ, საფრანგეთში 2005 წლიდან ფუნქციონირებს მეცნიერული კვლევების ეროვნული სააგენტო, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს კვლევითი ლაბორატორიების საპროექტო დაფინანსება, რისთვისაც სააგენტო აცხადებს პროექტების კონკურსს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და კომპანიებს შორის. შერჩევა წარმოებს განაცხადის მეცნიერული ღირებულებების შეფასების შედეგებით, ხოლო საწარმოთა მიერ წამოყენებული წინადადებები ფასდება ეკონომიკური დასაბუთებულობის კრიტერიუმებით. მეცნიერული კვლევის ეროვნული სააგენტოს შექმნის შემდეგ გაიზარდა დაფინანსების მოცულობა იმ პროექტებზე, რომლებმაც ექსპერტების შეფასების საფუძველზე კონკურსის გზით მოიპოვეს უპირატესობა. პროექტების დაფინანსებაში უპირატესობა ეძლევათ უფრო ცნობილ მეცნიერულ კოლექტივებს ან მათ, ვინც წარადგენს უფრო წარმატებულ პროექტებს. აღნიშნული პროექტების ავტორებს დამატებითი თანხა ეძლევათ მხოლოდ კონკრეტული შედეგის მიღების შემთხვევაში. ამგვარად, საფრანგეთი თანდათან გადადის იმ პრაქტიკაზე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია დანერგილია ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, რაც გულისხმობს საპროექტო დაფინანსების წილის თანდათანობით ზრდას.

საფრანგეთში ინოვაციური პოლიტიკის მხარდასაჭერად შექმნილია საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ფონდი, რომელიც აფინანსებს ლაბორატორიებს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად.

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მსხვილი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსების ფორმირებას, რომლებიც აერთიანებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების საქმიანობას და ხელს უწყობს ინოვაციების მხარდაჭერის სიმძიმის ცენტრის გადატანას ქვეყნის რეგიონებში. ამ მიზნით ქვეყანაში 2004 წლიდან იქმნება რეგიონული კლასტერები, როგორც მათ უწოდებენ, ინოვაციური კონკურენტუნარიანობის პოლუსები (Poles de competitivite). პოლუსის შედგენიანობის შეფასება, მათი მხარდაჭერა ხორციელდება არა მხოლოდ რესპუბლიკურ, არამედ რეგიონულ და შესაძლოა მუნიციპალურ დონეზე. 2006 წლისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 71 ინოვაციური პოლუსი, რომელთაგან 17-ს გააჩნდა საერთაშორისო სტატუსი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთ დარგებს, როგორცაა: აერონავტიკა, ბიოტექნოლოგია, მედიცინა, ნანოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა. პრიორიტეტული პროექტების რიცხვში ასევე შევიდა კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა და სარკინიგზო ტრანსპორტი. ეს ის მაღალტექნოლოგიური დარგებია, რომლებმაც უნდა განამტკიცონ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის პოზიციები როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე [7].

პოლუსებში გაერთიანებულ საწარმოებს ქვეყნის ხელისუფლების მიერ რიგი შეღავათი და მხარდაჭერა აქვთ, მათ შორის ფინანსური საშუალებებით. საწარმოებს ამ საშუალებების მიღება შეუძლიათ სხვადასხვა ფორმით, მაგ., შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიღება მოწოდებლობების შექმნასა და წარმოების გაფართოებაზე. პოლუსებში მონაწილეები სხვა შეღავათითაც სარგებლობენ, მათთვის საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირებულია. აღნიშნული შეღავათი გათვალისწინებულია იმ პერსონალისათვის, ვინც მონაწილეობს ინოვაციურ პროექტებში. ესენია მკვლევარები, ინჟინრები, მენეჯერები და სხვა სპეციალისტები.

ცალკეული პოლუსის საქმიანობას ხელმძღვანელობს მასზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელე უწყებათაშორისი კომისიისაგან. საწარმომ, რომელიც სახელმწიფო-სამეცნიერო ცენტრთან გეგმავს თანამშრომლობას ამა თუ იმ ფუნდამენტურ გამოკვლევაზე, უნდა მიმართოს მეცნიერული კვლევების ეროვნულ სააგენტოს, რომელიც მოწოდებულია შეარჩიოს და სუბსიდია გასცეს ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებისთვის, რომელთა კომერციული რეალიზაცია შესაძლებელია პერსპექტივაში, ხოლო თუ პროექტი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება, მაშინ ის დაფინანსდება საწარმოს კონკურენტუნარიანობის ფონდიდან.

ინოვაციური პროექტების რეალიზაცია ხორციელდება კერძო ინვესტორისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით. სახელმწიფო ინვესტორს საკვლევი სამეცნიერო საქმიანობის სფეროში ინვესტიციების დაბანდებისათვის სთავაზობს რიგ შეღავათსა და ბონუსს. ამასთან, მნიშვნელოვანია რესპუბლიკური და რეგიონული ხელისუფლების მიერ ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა მათი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის მიმართულებით.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნები, მათ შორის საფრანგეთი, დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირების საკითხებს. ქვეყანაში მტკ-ის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს განსაკუთრებული ტექნოლოგიური ზონის – ტექნოპარკების ფორმირება და ხელშეწყობა. ტექნოპარკები ორიენტირებული არიან მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე, რასაც ახორციელებენ მეცნიერების,

განათლების და ბიზნესის სფეროში არსებული რესურსების გაერთიანებისა და ეფექტური გამოყენების გზით. კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ტექნოპარკებში, ვალდებული არიან, განახორციელონ კვლევები და დანერგონ ახალი დამუშავებები მაღალტექნოლოგიური წარმოების სფეროში. აღნიშნული კომპანიები სარგებლობენ სხვადასხვა საგასახადო, ფინანსური და ადმინისტრაციული შედავათებით, იღებენ სხვადასხვა დახმარებებს, მათ შორის, შედავათიან ფასებში მიწის ნაკვეთებსა და საოფისე შენობებს [8]. აღნიშნულის გარდა, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება აქტიური მხარდაჭერა ინოვაციურ პროექტებში დასაქმებული თანამშრომლების, ახალგაზრდა სპეციალისტებისა და იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც სამუშაოდ იყენებენ კვალიფიციურ კურსდამთავრებულებს.

საფრანგეთის ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკაში, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების რეალიზაციაში მნიშვნელოვანია რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა, რაც ბოლო პერიოდში რეგიონებისთვის მიცემულ ფართო ავტონომიაში – ეკონომიკისა და ინოვაციის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრაში, ინვესტიციებისა და კვალიფიციური კადრების მოზიდვაში, ასევე რეგიონების მიერ თავიანთი სპეციფიკისა და ადგილობრივი რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობაში გამოიხატება.

ექსპერტების აზრით, აუცილებელია, რომ ქვეყანა ფლობდეს არა მარტო მოწინავე ტექნოლოგიებსა და ქმნიდეს ინოვაციებს, არამედ მას უნდა გააჩნდეს რეგიონები, რომლებიც მზად არიან და შეუძლიათ, ინოვაციის შედეგები დანერგონ ეკონომიკის რეალურ სექტორში. ითვლება, რომ ასეთი რეგიონები მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის მყარი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველია.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის განვითარებას ხელს უწყობს ბოლო პერიოდში გავრცელებული ტენდენცია, რაც მთელი რიგი კომპანიების მიერ პარიზიდან და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქებიდან თავიანთი საწარმოების რეგიონებში გადატანასთან არის დაკავშირებული, რაც არ არის გასაკვირი, ინვესტორები ამით იღებენ ტექნიკურ მხარდაჭერას, კვალიფიციურ, მოტივირებულ პერსონალს. ეს აძლევს საშუალებას კომპანიებს, განახორციელონ ფულადი და მატერიალური საშუალებების მნიშვნელოვანი ეკონომია მეგაპოლისებში გაადგილებასთან შედარებით [9].

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული განვითარების ასეთ სქემას ხშირად იყენებენ უცხოეთში. საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე ასეთ სანიმუშო ცენტრს წარმოადგენს „სოფია-ანტიპოლისი“, რომელიც ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე და სპეციალიზებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიასა და კავშირგაბმულობის სფეროზე.

საფრანგეთისა და მისი რეგიონების წარმატება ინოვაციების სფეროში მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ქვეყნის იმიჯთან, როგორც მოწინავე იდეებისა და დამუშავებების ცენტრთან. რამდენადაც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა მიმზიდველია ტურისტებისათვის, იმდენად ეს იმიჯი, სხვა ხელშემწყობ პირობებთან ერთად, ეხმარება ქვეყანას მაღალგანვითარებული ტექნოლოგიებისა და წამყვანი სპეციალისტების მოზიდვის საქმეში.

ქვეყანაში რეგიონულ დონეზე არსებობს მრავალი მოქმედი ორგანიზაცია, სახელდობრ – ტექნიკური ცენტრები.

– ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის რეგიონული ცენტრები CRJTC, ტექნოლოგიური რესურსების ცენტრი CRT, რომლებიც ახორციელებენ კვლევით და ტექნოლოგიურ მომსახურებას.

– ცენტრები, რომელიც აერთიანებს ეროვნულ სახელმწიფოებრივ კვლევით ლაბორატორიებს და კერძო კვლევით ინსტიტუტებს.

– რეგიონული კვლევითი პარკები („ტექნოპოლისები“).

– ინსტიტუციური სტრუქტურის ქსელი (ANVAR/OSEO), რომელიც მიმართულია ინვესტიციურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის გააქტიურების მიზნით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მეცნიერთა მიმართ მხარდაჭერის გაძლიერება, რისთვისაც საფრანგეთის მთავრობა ბოლო პერიოდში აქტიურად ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერების ყოველმხრივი მხარდაჭერის პოლიტიკას, რაც გაცხადებულია უახლოესი პერიოდისათვის, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანა.

ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს იკენს:

– სამეცნიერო კარიერაში ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერა და სტიმულირება.

– სადოქტორო სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ გასული ახალგაზრდა მკვლევარების უკან დაბრუნების სტიმულირება.

– სამეცნიერო კადრების შემადგენლობის გაახალგაზრდავება და განახლება.

იმის გამო, რომ საფრანგეთში პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდების დაინტერესების დონის დაქვეითება საინჟინრო სპეციალობებისადმი, მეცნიერების სამინისტრო საწარმოებს თანამშრომლობის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობს:

– ტექნიკური დარგის ახალგაზრდა სპეციალისტების ჩაბმას პროექტების დამუშავებაში ერთი წლის ვადით პროექტის ორგანიზატორი საწარმოების „სუბვენციის“ გათვალისწინებით.

– სტუდენტების ხანგრძლივი სტაჟირება, როცა უფროსკურსელები იღებენ კარგ გამოცდილებას, ხოლო საწარმოები და საგანმანათლებლო დაწესებულებები – ფინანსურ დახმარებას.

– საინჟინრო სპეციალობის სტუდენტი უფროსკურსელების შრომითი მოწვობა საწარმოებში სადიპლომო ნაშრომის დამუშავების მიზნით. ამასთან, გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით სტუდენტი ამუშავებს საწარმოსათვის მნიშვნელოვან თემას [11].

თანამშრომლობის ასეთი პრაქტიკა ინოვაციურ სფეროს გარკვეულად მიმზიდველს წარმოაჩენს ახალგაზრდებისთვის.

2009 წლიდან დოქტორებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნის მიზნით საფრანგეთში შემოიღეს შრომითი ხელშეკრულების ახალი ერთიანი იურიდიული ფორმა „Jecontrat doctoral“.

საფრანგეთში ყოველწლიურად დოქტორის დიპლომს დაახლოებით 10 ათასი კაცი იღებს, რაც გაცილებით მცირეა, ვიდრე გერმანიაში, სადაც სადოქტოროს დაახლოებით 23 ათასი კაცი იცავს, ან ინგლისი, სადაც ეს მაჩვენებელი 15 ათასია. ფრანგი მეცნიერები წლიურად დაახლოებით 50 ათასზე მეტ სამეცნიერო პუბლიკაციას აქვეყნებენ. მათი ციტირების ინდექსი მსოფლიო საშუალო დონეს აღემატება ისეთ სფეროებში, როგორცაა გამოყენებითი ბიოლოგია და ეკოლოგია, ქიმია, ტექნიკური და მათემატიკური მეცნიერებები. დოქტორანტები საწარმოებში დაკავებული არიან სამუშაო ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც თანხის 50%-ს სახელმწიფო უზრუნველყოფს. ხელშეკრულების ხანგრძლივობა დაახლოებით 3 წელია. აღნიშნულმა მექანიზმმა ახალგაზრდა მეცნიერებსა და საწარმოებს შორის წლების მანძილზე თავისი ფექტურობა აჩვენა [10].

საფრანგეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის დადებითი მხარეა:

– ინოვაციის სფეროს განვითარებისთვის მაღალი საკადრო პოტენციალის არსებობა.

– ფუნდამენტური კვლევების სფეროში მსოფლიოში წამყვანი პოზიციები.

– ეიპ-ისა და ინოვაციების დაფინანსებაში სახელმწიფოს მაღალი ხვედრითი წილი.

– სახელმწიფო ფინანსური დახმარების ეფექტური პირდაპირ და ირიბ ღონისძიებათა სისტემა.

– ინოვაციურ პოლიტიკასთან მიმართებაში სრულყოფილი საგადასახადო მექანიზმის არსებობა.

– ლიდერის პოზიცია მაღალი ტექნოლოგიების (ატომური, კოსმოსური, ტელეკომუნიკაციები და სხვა) რიგ სფეროში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყნის ეროვნულ ინოვაციურ სისტემას რიგი ნაკლოვანებები გააჩნია:

– ეროვნული ინოვაციური სფეროს დაფინანსების არასაკმარისი დონე (დაახლოებით მშპ-ის 2,26% 2014 წლისათვის).

– ინოვაციურ საქმიანობაში მიღებული შედეგების ათვისების დაბალი დონე.

– ინოვაციურ პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების სუსტი ჩართულობა და მათი დაფინანსების არასაკმარისი დონე. სახელმწიფო დახმარებების კონცენტრაცია მსხვილი ფირმებისათვის.

– სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებსა და წარმოებას შორის თანამშრომლობის დაბალი დონე.

– ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარებაში დარგობრივი და რეგიონული დისპროპორციები [11].

საფრანგეთის ინოვაციური სისტემის განვითარებაში არსებული დადებითი მხარეებიდან და ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებისთვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გამოწვევები, რომლებიც დღეისათვის მათ წინაშე დგას, სახელდობრ: მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები, გლობალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარება, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამძაფრება, ცხოვრების წესისა და ფასეულობების ევოლუცია და სხვა გეკარნახობს განვითარების ახალ მოდელს, სადაც ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორად გვევლინება ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სფეროს განვითარება. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთს მოუწევს, გარდაქმნას სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის კურსი და ეს ცვლილებები შეუსაბამოს დღევანდელ მოთხოვნებს.

2015 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში მსოფლიოში წამყვან ინოვატორ ქვეყნებს წარმოადგენს: შვეიცარია (1), გაერთიანებული სამეფო (2), შვეცია (3), ნიდერლანდები (5), აშშ (6), ფინეთი (4), სინგაპური (7), ირლანდია (10), ლუქსემბურგი (9), დანია (8); ათეულში საფრანგეთი არ ფიგურირებს, რადგან მას ამ მაჩვენებლით 2015 წელს 21-ე ადგილი ეკავა, ხოლო საქართველოს – 73-ე.

გვი წარმოადგენს სამი ორგანიზაციის: კორნელის უნივერსიტეტის, INSEAD-ს ბიზნესსკოლისა და ინტელექტუალური საკუთრების (BOUC) მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივ პუბლიკაციას 141 ქვეყნის 79 ინდიკატორის მიხედვით, რომელიც გამოხატავს მათ ინოვაციურ პოტენციალს.

მოხსენება, რომლის პრეზენტაცია მოხდა ლონდონში 2015 წლის 17 სექტემბერს, ეხებოდა თემას „განვითარების მიზნით ეფექტური ინოვაციური

პოლიტიკა, სადაც BOUC-ის გენერალურმა დირექტორმა ფრანსის გარიმ აღნიშნა, რომ ინოვაცია ქმნის ფართო შესაძლებლობებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად განვითარების ყველა ეტაპზე. ამასთან, ამ პირობების რეალიზაცია არ მიმდინარეობს ყველგან ერთნაირად და ავტომატურად. ცალკეულმა ქვეყანამ უნდა განსაზღვროს ღონისძიებათა ისეთი შეთანაწყობის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკაში არსებული ინოვაციური და შემოქმედებითი პოტენციალის მობილიზებას [12].

ცხრილი 1

გლობალური ინოვაციის ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი საფრანგეთში 2011-2015 წლებში [12, 13, 14, 15]

	2011	2015
საფრანგეთის მოსახლეობა, მლნ ადამიანი	65,3	66,6
მშპ-ს ზრდის ტემპი – %	2,0	1,2
საფრანგეთის მშპ-ის ნომინალური სიდიდე აშშ მლრდ დოლარში	2808,0	2423,0
ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი საფრანგეთში	2,4	0,5
ინფლაცია	2,3	0,1
უმუშევრობის დონე %	9,2	9,9
ქვეყნის ექსპორტის მოცულობა აშშ მლრდ დოლარში	589,7	509,1
იმპორტის მოცულობა აშშ მლრდ დოლარში	692,0	539,0
საფრანგეთის სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებაში %	86,1	98,2
ინოვაციის ინდექსი (%)	49,3	53,6
დანახარჯები ინოვაციებზე პროცენტულად მშპ-თან	2,19	–
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტის ხვედრითი წილი საქონლის მთლიან ექსპორტთან (%)	4,27	–
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი მლნ დოლარში	105761,4	132183,57
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი წარმოებული საქონლის ექსპორტთან (%)	23,7	28,4
რეზიდენტების განაცხადი პატენტზე	14655	–

როგორც მასალიდან ჩანს, საფრანგეთის გლობალური ინოვაციის ინდექსის 6 მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, ხოლო 8 კი – გაუარესდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საფრანგეთის ინოვაციური სისტემის განვითარებაში არსებული დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები გასათვალისწინებელია ქვეყნის მთავრობის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Inspection General das finances.....2007.p 109.
2. Ibid, p ,,,.
3. PLF 2012 Rapport Sur les politiques de recherche et de formations superieures p. 2011/cm. caut <http://www.performance-publique.budget/gouv.com>
4. Caut <http://www.performance-publique,budget/gouv.com>
5. ras.ru> fstorage download asp<- - -
6. Рюффини П.Б. Научная и инновационная политика во Франции. // Форсайт, N2 (6) 2008

7. www.gmu-countries.ru/europa/france/france-nis
8. Прокшин К. Открыто по техническим причинам. // Комерсант, приложение “Аутсорсинг” 41, март, 2005.
9. Zhurnal.lib.ru/s/saf/france-innov.shtml
10. www.gmu-countries.ru/europa/france/france-nis.
11. Ras.ru > Fstorage/download/asp...
12. <http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2015/article-0010.html>
13. <http://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator>
14. <http://www.ereport.ru/stat.php?zazdel=countrycount=france&table=ppcia>
15. CIA World Factbook

Lina Datunashvili

INNOVATION POLICY OF FRANCE Annotation

The article analyzes the situation existing in recent years in the development of innovative policy and innovative sphere in one of the advanced state of the EU-France.

The article analyzes the changes concerning significant parts of institutional structure and legal framework in this field (a law on innovation and research adopted by France in the end of 1999, the reform started in 2004, the law on the financing of scientific research adopted in 2006, etc).

The article emphasizes a high share of public expenditures in science and fundamental research, and a low share (2,24% in 2012) of expenditures in the country’s GDP.

The development of science and the introduction of new technologies –innovative policy as a whole, has been announced as priority since 2005 by presidents Chirac, Sarkozy and Oland. The article discusses the measures realized by each of them in this direction.

The article focused on innovative competitiveness poles and especially on the stimulation of formation and promotion of technological zones (industrial parks) and regional innovative policy as well.

The article focused on the support and promotion of young researches to participate and innovative activity.

The article deals with advantages and disadvantages in the development of French innovation system in the light of what dictates the current geopolitical changes, further globalization and development of the global market competition and other processes; is stressed that the experience of French government in the development of innovation system would be desirable to use creatively by Georgian government in view of local specifics. The article gives a number of recommendations of the author as a conclusion in the field of innovative development.

თენგიზ ქავთარაძე

ინოვაციები აშშ-ის დასურული ბრუნტის მეზოსტნეობაში და მათი გამოცდილების გამოყენების მიზანშეწონილობა საქართველოში

ინოვაცია მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში; მეცნიერულ და ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენება ეხება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს. მაგალითად, დასურული გრუნტის მეზოსტნეობაში ტექნიკური და ეკონომიკური სიახლეების გამოყენება გულისხმობს ბოსტნეულის ახალ სახეობათა ათვისებას, ასევე ახალი ტექნოლოგიების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფილი მეთოდებისა და მეწარმეობის პროგრესული ფორმების დანერგვას.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, აშშ-ის გამოცდილების მსგავსად, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით მიზანშეწონილია გამოიყოს შემდეგი სახელმწიფო პრიორიტეტები: ა) მეწარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროში; ბ) ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც წარმატებით განვითარდება ინოვაციური პროცესები; გ) ინოვაციური ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცენტრები, ინფორმაციული სისტემები, სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემები, ინოვაციის მხარდაჭერის ფონდი, მ.შ. ვენჩურული ინვესტირება, სადაზღვევო და სალიზინგო კომპანიები და ა.შ.) განვითარება [10].

ინოვაციური თვალსაზრისით მებოსტნეობა და განსაკუთრებით დახურული გრუნტის მებოსტნეობა მემცენარეობის მეტად რთული დარგია. იგი ემყარება მეცნიერულ ცოდნას, უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიას, შრომის და წარმოების ორგანიზაციის მართვის ზედმიწევნით სრულყოფილ მეთოდებს. კომპანიები, რომელთაც მებოსტნეობაში არ გააჩნიათ მუშაობის სათანადო გამოცდილება და ორგანიზებას უწევენ საკუთარ პლანტაციებში დაქირავებული შრომის გამოყენებას, ბოსტნეულის წარმოებაში ხშირად ვერ აღწევენ წარმოების რენტაბელურად მუშაობას. ეს საკითხი მეტად პრობლემატურია. მის მოგვარებას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად უდგებიან. მაგალითად, აშშ-ის მსხვილი ნავთობმონოპოლიური ფირმა „ს.ს. პირს“-ი თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა, დაკავებული იყო 800 ჰექტარ ფართობზე მარწვევის მოყვანით. სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ უზარმაზარი ფართობიდან დაბალი იყო მარწვევის მოსავლიანობა და ხარისხი. მნიშვნელოვნად გაეზარდათ სამუშაო ძალის დანახარჯებიც. მარწვევის წარმოებიდან მიღებულმა ზარალმა სამ მილიონ დოლარს გადააჭარბა. წარმოება გაკოტრდა და წავიდა სოფლის მეურნეობიდან [11].

კომპანია „პირვესი“ არის აშშ-ის ფლაგმანი კომპანია საყოფაცხოვრებო ქიმიკაში. მან კალიფორნიასა და არიზონაში მიწის დიდი ფართობები შეიძინა და დაიწყო ადრეული ბოსტნეულისა და სალათა „ლატუკის“ წარმოება. სალათაზე ფასების მნიშვნელოვანმა დაცემამ პროდუქციის წარმოებიდან მიღებული მოგება უმნიშვნელო გახადა. ფირმამ უარი თქვა 4,5 ათასი ჰექტარი ფართობების არენდაზე და თავისი საკუთარი 500 ჰა მიწის ფართობიც გაყიდა. კომპანიამ 800 ჰა მიწის ფართობზე სალათა „ლატუკის“ წარმოების ლიკვიდაცია მოახდინა [11].

ინოვაციური თვალსაზრისით ყველგან მიმდინარეობს ახალი, თანამედროვე სასათბურე კომბინატების მშენებლობა. იზრდება ბოსტნეულის წარმოება, განსაკუთრებით ადრეული ჯიშების, ეს ყველაფერი ემყარება მეცნიერულ ცოდნას, უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიის წარმოებას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. დახურული გრუნტის მებოსტნეობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მთელი წლის განმავლობაში ახალი ბოსტნეულითა და მისი ფართო ასორტიმენტით მომარაგებაში; დახურულ გრუნტში გამოიყვანება ბოსტნეულის ჩითილები, ადრე გაზაფხულზე ღია გრუნტში გადასარგავად. დახურული გრუნტის მებოსტნეობა არის სამი სპეციალიზებული ტიპის: ბოსტნეულის, ბოსტნეულ-საჩითილეს და საჩითილეს. მეურნეობებში უმეტეს შემთხვევაში მოწყობილია ბოსტნეულ-საჩითილეს სეციალიზებული დახურული გრუნტი, ვინაიდან მათი ურთიერთშეთანაწყოება ეკონომიკურად უფრო ეფექტიანია.

დახურული გრუნტის საერთო ფართობებიდან დიდი ხვედრითი წილი უკავია კვალსათბურებს, რომლებიც იძლევა სარგავი მასალის 90%-ზე მეტს, და ბოსტნეულის პროდუქციის 3%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა ძირითადად

განლაგებულია დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ, სადაც იწარმოება მთელი ადრეული ბოსტნეულის დაახლოებით 91%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა საკმაო რაოდენობით არის ისეთ შორეულ რაიონებში, როგორცაა პოლარული მხარე, შორეული აღმოსავლეთი, კამჩატკა, სახალინი, ტაიმირის ნაციონალური ოკრუგი, იაკუტია და სხვა. სათბურების დაარსებამდე ამ მხარის მცხოვრებლები ბოსტნეულს მხოლოდ კონსერვების სახით იღებდნენ. ინოვაციური თვალსაზრისით საინტერესო პროცესები მიმდინარეობს აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში. მაგალითად ნაუთობ მონოლიის „სუპერიორ ფარმინგის“ მფლობელობაშია დახურული გრუნტის სათბურები არიზონის შტატის ტუსინის რაიონში, დამშრალი მიწების ზონაში. აქ მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პომიდვრის უხვი მოსავალი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გაიტანება 4,5 ათასი ტონა. ფირმა ახორციელებს ინოვაციებს მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით. სათბურებში ინტენსიურად იყენებენ მიწის ფართობს, დამატებით აწყობენ იარუსებს მიწის სათანადო სისქის ყრილით ბოსტნეულის გამოსაყვანად. ისინი წარმოების ყველა სტადიაზე ფლობენ საირიგაციო სისტემის უმაღლეს აგროტექნიკას, რომელიც განაპირობებს მთელი წლის მანძილზე ბოსტნეულის მყარ, უხვ მოსავალს. კომპანიის დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში პომიდვრის მოსავალი 8-ჯერ მაღალია ღია გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროპორტების სიახლოვეს; სათბურებიდან მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავებით მიეწოდება ქვეყნის რაიონების მოსახლეობას.

საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, წლის განმავლობაში კვალსათბურებს იყენებენ 8-9 თვეს, ზამთრის სათბურებს 10-11 და გაზაფხულის აფსკის სათბურებს კი 5-6 თვეს. ჯერჯერობით სათბურებში ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტი არ გამოყავთ, მაშინ როდესაც შესაძლებელია მრავალნაირი ბოსტნეულის წარმოება. რესპუბლიკაში ბოსტნეულის დახურულ გრუნტში მოყვანის კარგი გამოცდილება არსებობს. 1976 წლიდან შეიქმნა რესპუბლიკური სამეურნეობათა შორისო სასათბურე გაერთიანება „საქსათბური“, აგრეთვე „სათბურმშენის“ ტრესტი, რომელიც გეგმაზომიერად ახორციელებდა სათბურების მშენებლობას, მონტაჟს, რემონტს და ა.შ. სასათბურე მეურნეობის გაფართოებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ დახურული გრუნტის ბოსტნეულის დაჩქარებული მოყვანის შესაძლებლობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სათბურების მშენებლობას თერმული წყლების ბაზაზე, რომლებითაც ესოდენ მდიდარია რესპუბლიკა. ჩვენ გვაქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ თერმული წყლების ბაზაზე ბოსტნეულის ფართობები გავზარდოთ 150 ჰექტრამდე, ხოლო პროდუქციის წარმოება ამ სათბურებში – 50 ათას ტონამდე. თერმული წყლების გამოყენება საშუალებას იძლევა 2,5-ჯერ შევამციროთ სასათბურე მეურნეობაში წარმოებული ბოსტნეულის თვითღირებულება.

დახურული გრუნტის მებოსტნეობა მეტად შრომატევადი დარგია. თუ ღია გრუნტის ნათესების 1 ჰექტარზე წლის განმავლობაში იხარჯება 106-350 კაცდღე, კვალსათბურებში შესაბამისად იხარჯება 7000-19000 კაცდღე. იარუსიან სათბურებში შრომითი დანახარჯი 20000-დან – 30000 კაცდღემდე იზრდება. შრომის ასეთი მაღალი დანახარჯი აიხსნება საწარმოო ნაკვეთების მცირე ნაწილებად დაყოფით, რის გამოც სამუშაო პროცესები ძირითადად ხელით სრულდება და მექანიზაციის გამოყენება დაბალია. მას ისიც ემატება რომ, ღია გრუნტთან შედარებით, აქ რიგი სამუშაოები დამატებით სრულდება. მაგალითად, გათბობა, გრუნტის გამოცვლა ბოთბიერების მომზადება და ჩაყრა, ნიდაგის სტერილიზაცია და სხვა.

დახურული გრუნტის ბოსტნეულის წარმოების გადიდების, გაიაფების და რენტაბელობის ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია წარმოების კონცენტრა-

ცია, გამსხვილება და ინტენსიფიკაცია. დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარება დაკავშირებულია მსხვილ კაპიტალურ დაბანდებასთან. ამ თვალსაზრისით დიდი კაპიტალია დაბანდებული მარნეულის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს 35 სათბური. ჩინელები აპირებენ დამატებით 10-15 სათბურის აშენებას. ამჟამად, მარნეულის რაიონში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის სათბურები: ცენტრალური გათბობიდან სათბურების გათბობა, საკუთარი საქვაბიდან სათბურების გათბობა, მზის გათბობით მომუშავე სათბურები. ამ უკანასკნელს ძირითადად აშენებენ ჩინელი სპეციალისტები. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები წინასწარ არ ანგარიშობენ სხვადასხვა ტიპის სათბურების ეკონომიკურ ეფექტიანობას. მაგალითად, სხვადასხვა ტიპის სათბურების ერთ მეტრ კვადრატ ღირებულებას; მოწობილობათა ამორტიზაციას 1 მეტრ კვადრატ ფართობზე; დანახარჯებს გათბობაზე; ერთ ცენტნერ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს; მოგებას ერთ მეტრ კვადრატ ფართობზე და ერთეულ პროდუქციაზე; სხვადასხვა ტიპის სათბურებში წარმოებული პროდუქციის რენტაბელობის დონეს; კაპიტალური დაბანდებების გამოსყიდვას; სათბურებში არ წარმოებს აღრიცხვა. იმისათვის, რომ დავამუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი ბოსტნეულის თვითღირებულების შესამცირებლად, აუცილებელია ვიცოდეთ დანახარჯების სტრუქტურა, რომლის ქვეშაც იგულისხმება ცალკეული სახის დანახარჯის პროცენტული დამოკიდებულება დანახარჯების მთლიან ჯამთან. მოწინავე სხვადასხვა ტიპის სათბურების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბოსტნეულის ყველაზე მაღალი თვითღირებულება აღმოჩნდა საკუთარი საქვაბიდან მიღებული სითბოთი გათბარ სათბურებში. ეს აიხსნება გათბობაზე დიდი დანახარჯებით. მზით გათბარ სათბურებში, სადაც გამოყენებულია მზის ბუნებრივი ენერჯია, ეს დანახარჯები გამორიცხულია, ამიტომ მათი პროდუქციის თვითღირებულება ყველაზე დაბალია.

შრომის დანახარჯების მიხედვით ერთ ცენტნერ პროდუქციაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს სათბურს, რომელიც ცენტრალური გათბობიდან თბება. მათში მაღალია მექანიზაციისა და მოსავლიანობის დონე. მზით გათბარ სათბურებში ეს მაჩვენებელი ცუდია ამიტომ შრომის დანახარჯი ერთ ცენტნერ ბოსტნეულზე აქ ყველაზე მაღალია და შეადგებს -6,8 კაცდღეს. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური გათბობიდან გათბარი სათბურის ღირებულება მაღალია, მათი კაპიტალური დაბანდების გამოსყიდვა ყველაზე დაბალია და შეადგენს 3,9 წელს, ხოლო სათბურებში საკუთარი საქვაბით გათბარის – შესაბამისად 12 წელს, ანუ დაბანდებანი გამოისყიდება 3-ჯერ და უფრო მეტად ნელა, რაც აიხსნება მოგების დონით, რომელიც აღნიშნულ სათბურებში შედარებით მაღალი არ არის. რენტაბელობის დონე, რომელიც გაანგარიშებულია მოგების შეფარდებით წარმოების დანახარჯებთან, უფრო მაღალია იმ სათბურებში, რომლებიც თბება ცენტრალური გათბობით და ყველაზე დაბალი იმ სათბურებში, რომლებიც თბება საკუთარი საქვაბით. ეს დიდი განსხვავება ამ მაჩვენებლებს შორის სათბურების ტიპების მიხედვით არსებობს. 1 მეტრ კვადრატზე პირდაპირი დანახარჯები და შრომითი დანახარჯები ყველაზე მაღალია პირველი ტიპის სათბურებში, მაგრამ მაღალმოსავლიანობასთან დაკავშირებით მათგან ამონაგები ასევე შედარებით მაღალია, რის გამოც 1 მეტრ კვადრატ ფართობზე მოგება მნიშვნელოვნად მაღალია. მზით გათბარ სათბურებში 1 მეტრ კვადრატ ფართობზე დანახარჯები მცირეა, მაგრამ აქ მოსავლიანობაც დაბალია, რადგან ამ სათბურების ექსპლუატაცია დროით არის შეზღუდული. მისი პროდუქციის რეალიზაცია ხდება უფრო დაბალ ფასებში და 1 მეტრ კვადრატ ფართობზე ყველაზე დაბალია მოგება.

სათბურების თავისებურებასთან დაკავშირებით, წარმოების განსხვავებული ტექნოლოგიების გამო, შეიმჩნევა არსებითი განსხვავება პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში. სათბურებში, რომლებიც თბება ცენტრალური გათბობით, ძირითადი დანახარჯები მოდის თესლზე, სარგავ მასალაზე და გათბობაზე. საკუთარი საქვებით გამთბარ სათბურებში კი ძირითადი ხარჯები ამორტიზაციასა და გათბობაზე მოდის. მზით გამთბარ სათბურებში შედარებით დიდია დანახარჯები ამორტიზაციაზე, შრომის ანაზღაურებაზე და ძალზე მაღალია ზედნადები ხარჯები. წარმოების რენტაბელობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასწარმოქმნის საკითხი, ამიტომ რენტაბელობისა და ფასების ურთიერთობის გარკვევას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ საჭიროა, გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ შესყიდვის ფასების დაწესების დროს ისეთ სათბურში, სადაც მრავალი სახის ბოსტნეული იწარმოება, რენტაბელობა რა ასპექტით უნდა იქნეს განხილული, მთლიანად მეურნეობის თუ ცალკეული კულტურების მიხედვით. პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, რომ ოჯახურ მეურნეობასა და ფერმერულ მეურნეობებში დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს მთლიანად და არა ცალკეული ბოსტნეული კულტურების მიხედვით, რაც აძნელებს მათზე შესყიდვის ფასების გაანგარიშებას.

სპეციალისტების აზრით, სათბურებში ფასების დაწესების დროს, ორიენტაცია უნდა ავიდოთ საერთო რენტაბელობის ნორმაზე. სხვა სიტყვებით, ისინი აცხადებენ, რომ ამა თუ იმ ბოსტნეული კულტურაზე ფასის დადგენის დროს ერთმანეთს უნდა დავუპირისპიროთ არა ამ პროდუქტების წარმოების საერთო დანახარჯები და შემოსავალი, არამედ მთლიანად იმ სათბურების წარმოების საერთო დანახარჯები და შემოსავალი, რომელიც ამ პროდუქციას აწარმოებს. ჩვენი შეხედულებით, შესყიდვის ფასების დაწესების დროს ორიენტაციის აღება მხოლოდ „საერთო რენტაბელობაზე“ სწორი არ არის არც თეორიულად და არც პრაქტიკულად. რენტაბელობის ნორმა არ შეიძლება ერთნაირი იყოს არა მარტო სხვადასხვა სახის პროდუქციაზე, არამედ თვით ერთი და იმავე პროდუქციაზე სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში. ამიტომ, თუ ფასების დაწესების დროს მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ „მთლიანი რენტაბელობა“ და ანგარიში არ გაეწევა დარგობრივ რენტაბელობას, სასათბურე მეურნეობაში აღმოჩნდება ისეთი კულტურები, რომლებიც დიდ მოგებას იძლევა, მაგრამ აღმოჩნდება ისეთი კულტურებიც, რომელთა წარმოება დიდ ზარალს იძლევა და ეს ზარალი იფარება მაღალშემოსავლიანი კულტურების წმინდა შემოსავლით. რა შედეგები მოჰყვება ასეთ პრაქტიკას? „მთლიანი რენტაბელობის“ ნიშნით სათბურებში განაგრძობს არსებობას მკვეთრად განსხვავებული რენტაბელობის მქონე ბოსტნეული კულტურები, სხვა სიტყვებით – კულტურები, რომელთა წარმოება ხელსაყრელია და ამიტომ ფართოვდება სწრაფად, და კულტურები, რომელთა განვითარება არ არის ხელსაყრელი და მათ ინარჩუნებენ, როგორც „იძულებით ასორტიმენტს“. სათბურებში ფასების დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა კულტურის რენტაბელობა. ერთი კულტურის მეორე კულტურის ხარჯზე მუდმივად შენახვა მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს არც თეორიულად და არც პრაქტიკულად.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: მარნეულის რაიონში ამჟამად ფუნქციონირებს 35 დახურული გრუნტის სათბური. ახალი სათბურების მშენებლობა ინტენსიურად გრძელდება. რაიონში ფუნქციონირებს სათბურები, რომლებიც თბება ცენტრალური საქვებიდან, საკუთარი საქვებიდან და მზის ენერჯით. დღევანდელიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დადგენილიყო ცალკეული სახის სათბურის ეკონომიკური ეფექტიანობა, რათა შექმნილიყო ნათელი წარმოდგენა მათი ოპ-

ტიმალურობის შესახებ. აღნიშნული სათბურები, ინფრასტრუქტურის ჩათვლით, იკავებს უნიკალური სახნავი მიწების უზარმაზარ ფართობებს. მცირემიწიანი ქვეყნისათვის სახნავი ფართობების შემცირება დაუშვებელია. აშშ-ის გამოცდილების მსგავსად, ინოვაციური თვალსაზრისით, კარგი იქნებოდა სათბურების მშენებლობა განხორციელებულიყო დაშრობილი მიწების ზონაში და ბუნებრივი თერმული წყლების სიახლოვეს. ამ უკანასკნელის ათვისების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკაში დამატებით ყოფილიყო წარმოებული 50 ათასი ტონა დახურული გრუნტის ბოსტნეული.

დღევანდელ პირობებში საქართველოს დახურული გრუნტის მებოსტნეობას, ინოვაციური თვალსაზრისით, მეტად გაუჭირდება მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების იმპორტზე ორიენტაცია; ფრიად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში ადრე ათვისებული, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოსადეგი ტექნოლოგიების მატარებელი მატერიალური ნაწარმის – მანქანა-დანადგარების მეცნიერულ-ტექნიკური და წარმოებრივი დანიშნულების მოწყობილობების, აგრეთვე ტექნოლოგიური ხაზების იმპორტის წახალისება (მოქნილი საბაჟო პოლიტიკის გამოყენებით).

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.
3. დათუნაშვილი დ., სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. VIII, თბილისი 2015.
4. რევიშვილი ზ., საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
5. რუსაძე ს., აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბილისი 1994.
6. ქავთარაძე თ., აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო „მეცნიერება“, თბ., 2003.
7. ქველაძე ქ., ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2013.
8. ქისტაური ნ., ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
9. ხარაიშვილი ე., ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა ტ. II, თბ., 2012.
10. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა. საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბ., 2006.

11. ყამარაული ს., სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, ეკონომიკისა და ორგანიზაციის სრულყოფის გზები. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

12. Агропромышленные объединения США. Издательство НАУКА, Москва, 1977.

13. Освоение инновации в агропромышленном комплексе, опыт и проблемы. М., ФГУ РССК, 2006, с. 136.

Tengiz Kavtaradze

**INNOVATIONS IN USA INDOOR GROUND VEGETABLE-GROWING AND
THE EXPEDIENCY OF ADOPTION OF THEIR EXPERIENCE IN GEORGIA**

Annotation

The article studies innovative approaches in USA indoor grown vegetable-growing. For the first time is offered to carry into practice the construction of hothouses in dry soils zone and near thermal waters lik USA. The ways of production additional 50 thousand tones of indoor ground gardening in the Republic as a result of development of thermal waters.

Альфред Кураташвили

**ИННОВАЦИОННЫЙ ПОДХОД К УПРАВЛЕНИЮ ГОСУДАРСТВОМ –
КАК НЕОБХОДИМОЕ УСЛОВИЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО
ПРОГРЕССА**

Инновационный подход в исследовании и в решении проблем управления государством – необходимое условие социально-экономического прогресса, *а, стало быть*, инновационный подход к управлению государством – обязательное условие эффективной реализации интересов народа и прогрессивного развития общества, государства и человечества.

Вместе с тем, лишь пустые слова о новизне – лишь пустые (*ничем не обоснованные*) слова будто бы об «инновациях» в сфере общественных наук – будто бы об «инновациях» в экономических науках, в науке государственного управления и т.д., пустые слова будто бы об «инновационном подходе» к управлению государством и об «инновационной политике» государства (что нередко имеет место в сфере общественных наук, притом имеет место даже в международном масштабе) может свидетельствовать лишь об антинаучности и бессодержательности этих слов, *применяемых без соответствующего обоснования.*

На вышеотмеченную проблему необходимо обратить внимание особенно потому, что нередко инновации в области техники и технологий некоторым представителям сферы общественных наук, *и, в частности*, представителям сферы экономических наук, «кажутся» «инновациями», созданными в сфере общественных наук, «кажутся» «инновациями» в управлении обществом и государством – «кажутся» «инновациями» в науке государственного управления (?!).

Удивительно, но факт (?!).

Важно здесь учесть, что инновации в технике и в технологиях, *безусловно*, влияют и на процессы в сфере экономики и управления обществом и государством.

Однако, процесс использования новшеств, *созданных в области техники и технологий* – не есть заслуга представителей сферы общественных наук и не является показателем наличия инноваций в общественных науках, ибо инновации в общественных науках, *и, в частности*, инновации в экономических науках, в науке государственного управления и т.д. – должны заключаться в наличии инноваций в них самих, т.е. должны заключаться в наличии инноваций в общественных науках.

Поэтому, приписывать инновации в технике и в технологиях к заслугам представителей сферы общественных наук – это не только неверно и антинаучно, но и безнравственно, не говоря уже о том, что это – преступно (?!).

В связи с этим, необходимо отметить, что инновации в общественных науках и инновационный подход к управлению государством – это термины, которые можно, нужно и даже необходимо использовать, но не для подражания «моде» и не для того, чтобы «пудрить мозги народу» бессмысленными словами – будто бы об «инновациях» в общественных науках и будто бы об «инновационном подходе» к управлению государством, а для того, чтобы показать и обосновать реальный прорыв в общественных науках и в практике.

«Топтание» же на месте в сфере общественных наук и пересказ чужих идей – *да и то, не «блещущих» новизной и не имеющих международное значение* – не может считаться и называться инновацией в общественных науках и инновационным подходом к управлению государством, так как в данном случае будет иметь место и нередко имеет место – не наука, а лишь – наукообразие.

Что касается внесенного мной в научный оборот термина и понятия – «научнообразия», то, как я многократно отмечал и ранее, необходимо понимать и всегда учитывать следующее:

«Так же, как человекообразная обезьяна – не является человеком, ученообразный человек – не является ученым» [1, с. 70].

Следовательно, здесь возникает вопрос:

Кто же является – кто может считаться – истинным ученым?

Истинный ученый, по моему глубокому убеждению, должен отличаться от псевдоученого – от ученообразного человека – не тем, что он имеет диплом ученого, т.е. истинный ученый должен отличаться не тем, что имеет справку о том, что является ученым, а он должен отличаться ярко выраженным творческим мышлением и реальными результатами творческого труда – созданными им новыми научными направлениями и новыми научными теориями!!!

Таким образом: «Действительным ученым, – как я отмечал еще в 1980 году, – является лишь только тот, вместе с которым не умирают его научные труды – его творения» [2, с. 79].

Следовательно, действительным – истинным – ученым не может считаться тот, кто подобно попугаю повторяет чужие идеи, хотя в отличие от настоящего попугая, возможно, он повторяет эти идеи другими словами.

Необходимо особо обратить внимание также на то, что как я отмечал еще в 1984 году:

«У кого нет своих собственных, способствующих прогрессу науки и общества, идей – тому нечего делать в науке» [3, с.12].

Здесь имеется в виду то, что у кого нет своих собственных творческих идей, ему нечего делать в науке, но нечего делать лишь в ранге ученого.

Вместе с тем, кроме истинных ученых, в сфере науки нужны и необходимы также подсобные работники науки. Однако, нужны только те работники, которые хотя и не творят новое, но своим честным и скромным трудом способствуют развитию науки.

В связи с этим принципиально важно учесть то, что «в соответствии с разработанной мной Классификацией представителей науки, среди представителей сферы науки необходимо отличать:

1. Истинных ученых – творцов новых научных направлений, новых научных теорий и т.д. в науке, т.е. истинно научных деятелей.

2. Научных работников, занятых подсобной работой в науке, которые своим трудом помогают истинным ученым и тем самым способствуют развитию науки, общества и государства.

Хотя, несмотря на это, они все-таки остаются лишь работниками в науке, т.е. они не являются учеными, что, на мой взгляд, совершенно естественно. Общеизвестно, например, что пианисты или скрипачи сами по себе не являются композиторами, несмотря на то, что они нередко творчески исполняют музыкальные произведения, созданные композиторами. И это потому, что они не творят новое – не создают новые произведения. А если кто-либо из них творит новое, то лишь в таком случае он является и композитором.

Почему же всех, кто лишь «исполняет» чужие произведения в науке надо считать учеными (!!).

3. Вредителей в науке, т.е. таких «деятелей» в науке, которые сами не способны создать новое и даже не помогают своим подсобным трудом другим в развитии науки, а, наоборот, создают искусственные преграды на пути научного творчества» [4, с. 16-17].

Возвращаясь непосредственно к проблеме необходимости инновационного подхода к управлению государством, считаю принципиально важным еще раз отметить следующее:

Инновации и инновационный подход вообще, и, в частности, инновационный подход к управлению государством – это не просто «красивые» и «модные» слова, которым следует подражать и которые следует повторять бессмысленно, а это – в международном масштабе значимая новизна, это принципиально новый подход, который должен основываться на революционных открытиях – на *революционных прорывах* – в общественных науках, и которым должно быть обеспечено качественно новое – наиболее эффективное функционирование общества и государства, должно быть обеспечено построение и эффективное функционирование Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства, т.е. общества и государства, служащего интересам народа.

Следовательно, инновационный подход к управлению государством – это необходимое условие построения и функционирования социально нацеленной общественно-государственной системы, это необходимое условие построения и функционирования Истинно человеческого – Гуманносоциального – общества и государства [5; 6; 7 с. 5; и др.].

Исходя из вышеотмеченного, принципиально важно преодолеть устаревший подход – необходимо преодолеть изжившие себя, притом – не только ныне устаревшие и ныне изжившие, а изначально ошибочные взгляды, основанные на философии, называемой мной философией средств [8; 9; и др.], и являющиеся проявлением самодели экономических средств – являющиеся проявлением экономического фашизма.

А значит, для построения и функционирования социально нацеленной общественно-государственной системы, служащей интересам народа, необходимо преодолеть экономический критерий – будто бы как главный и определяющий показатель эффективного функционирования общества и государства, необходимо преодолеть экономический критерий, свойственный сущностной природе капитализма [7, с. 5; 10; 11; и др.].

Считаю необходимым здесь особо отметить, что под капитализмом – под определяющим критерием капиталистического общественно-государственного строя, под критерием капиталистичности общества и государства, в науке и в политике даже в современных условиях ошибочно понимается наличие частной собственности и рыночных отношений в государстве.

Отмеченный подход является результатом устаревшего и даже изначально ошибочного мышления, основанного на философии, называемой мной философией средств [8; 9; и др.].

Притом, данный подход является результатом ошибочного мышления, идущего на протяжении всей «истории развития философской, политической, правовой и экономической мысли» [9, с. 269].

Принципиально важно особо обратить здесь внимание также на то, что, данному подходу, за исключением моих научно обоснованных взглядов, соответствуют «и современные взгляды и подходы ученых, политиков и т.д. к проблемам функционирования и развития общества, государства и человечества в целом [9, с. 269].

Возвращаясь непосредственно к пониманию капитализма, точнее же, к пониманию в качестве определяющего критерия капитализма – частной собственности и рыночных отношений, необходимо отметить, что такое понимание капитализма в основном идет от утопического социализма и от не менее утопического – марксизма.

В частности, утопический социализм фактически основывался на философии средств, ибо для создателей и теоретиков данного учения “благо определяется превращением частной собственности в общую” [12, с. 427], т.е. критерием капиталистичности для утопического социализма выступала частная собственность – выступало средство, *так же, как* критерием социалистичности выступало опять-таки средство – превращение «частной собственности в общую».

Что касается марксистского так называемого “научного социализма”, который, по моему глубокому убеждению, является не менее утопическим, чем утопический социализм, то он также основан на философии средств.

В частности, под социализмом марксизм подразумевал уничтожение частной собственности на средства производства: “...Коммунисты, – писали К. Маркс и Ф. Энгельс в “Манифесте Коммунистической партии”, – могут выразить свою теорию одним положением: уничтожение частной собственности” [13, т. 4, с. 438], а значит критерием капиталистичности для марксизма выступала опять-таки частная собственность – выступало средство.

Кроме того, под социализмом марксизм подразумевал ликвидацию товарно-денежных отношений, рынка, обмена продуктов труда и т.д., а значит критерием капиталистичности для марксизма, *так же, как и для утопического социализма, выступали и товарно-денежные отношения – выступали опять-таки средства.*

В связи с этим К. Маркс писал: “В обществе, основанном на началах коллективизма, на общем владении средствами производства, производители не обменивают своих продуктов...” [13, т. 19, с. 18].

Таким образом, вышеприведенные положения, *во-первых*, подтверждают утопичность марксистского социализма, ибо если даже уничтожить частную собственность, что в принципе организационно возможно (другой вопрос: к чему это приводит – насколько это разумно и рационально исходя из интересов народа?!), то обмен продуктов труда уничтожить никак невозможно (неосуществимо) и уже поэтому марксизм является утопией.

И, во-вторых, отмеченное еще раз наглядно подтверждает основанность марксизма на философии средств, ибо если бы марксизм основывался на философии цели, тогда исходя из самого термина – “социализм” (социал-«изм» – «изм» социальной цели), *по моему глубокому убеждению, критерием социалистичности он должен был признать реализацию социальной цели – реализацию интересов народа, а не так называемую общественную собственность на средства производства* (которая неосуществима, ибо собственность может быть лишь частной, коллективной и государственной, но никак не может быть общественной и общенародной), *отсутствие рыночных отношений* (что также неосуществимо) и т. д.

Однако марксизм, *наподобие основателей утопического социализма, главным критерием социализма и социалистичности считал не социальную цель – как реализацию интересов народа, а социальное – как так называемую общественную собственность на средства производства.*

Следовательно, как понимание капитализма, так и понимание социализма – и для утопического социализма и для марксизма основывалось на философии, *называемой мной философией средств.*

Притом такое понимание капитализма, *как уже отмечалось мной выше, продолжает господствовать в современной науке и в политике в международном масштабе, и, в том числе, в развитых капиталистических странах.*

В частности, признанные и популярные в развитых капиталистических странах теории и концепции – индустриального общества, постиндустриального общества, информационного общества и т.д., уже своими названиями подтверждают их основанность на философии средств.

И здесь, естественно, возникает вопрос:

Что же в действительности представляет собой капитализм?

В отличие от общепринятого и веками общепризнанного в мире понимания капитализма – как политической системы, главным критерием которого будто бы является наличие частной собственности и рыночных отношений в государстве, в действительности, по моему глубокому и научно обоснованному утверждению, главный и определяющий критерий капитализма и капиталистичности – это не наличие частной собственности и рыночных отношений, а господство в обществе и в государстве – денег, рынка, прибыли, капитала над человеком.

Вместе с тем, считаю принципиально важным обратить здесь внимание на то, что наличие высокого уровня жизни людей в условиях современного развитого капитализма вовсе не может отрицать господство при капитализме – денег, рынка, прибыли, капитала над человеком, а является лишь показателем того, классический капитализм эволюционным путем перерос в качественно новое состояние – в Социокапитализм, теория которого была создана мной ранее и опубликована еще в 1990 году [16; и др.], и который эволюционным путем движется по пути построения Истинно человеческого общества и государства.

Притом, Социокапитализм – это общественно-государственный строй, который эволюционным путем движется по пути построения Истинно человеческого общества и государства.

Принципиально важно также особо отметить, что Социокапитализм – «это общество, которое вместе с основной экономической целью капитализма – прибыль, деньги, капитал – выдвигает на передний план и решает социальные проблемы, но опять-таки как необходимое условие и средство для реализации его сущностной экономической цели, т.е. для реализации экономической самоцели средств» [9, с. 289].

Следовательно, несмотря на эволюционное перерастание классического капитализма в качественно новое состояние – в Социокапитализм, который по мере своего развития «все более отдаляется от капитализма и постепенно уходит от капитализма к истинно человеческому обществу, в результате чего на первый план все больше выдвигается необходимость решения социальных проблем» [9, с. 290], что, безусловно, представляет собой прогрессивное явление, сущностная природа истинного капитализма все-таки остается неизменной.

В частности, неизменной остается то, что истинный капитализм основан на господстве экономической цели – основан на господстве экономической самоцели средств, тогда как построение и функционирование Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства, т.е. общества и государства, служащего интересам народа, должно основываться на созданных мной – Философии цели и Философии социальной цели [8; 9; и др.], а также на моих же теориях – на Теории верховенства интересов народа [14; и др.] и на Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [15; и др.].

Верность того, что истинный капитализм основан на господстве экономической цели – что капитализм основан на господстве экономической самоцели средств, подтверждается и самим названием данной политической системы – «капитализм», капитал-«изм», «изм» капитала – господство капитала.

В связи с названием «капитализм», я еще много лет назад писал:

«В этом смысле совершенно верным представляется мне название общественно-государственного строя – “капитализм”, ибо это общественно-государственный строй, служащий определяющей экономической цели – служащий экономической самоцели средств – деньгам, прибыли, капиталу, тогда как общественно-государственный строй, служащий определяющей социальной цели – интересам

человека, интересам народа, должен называться истинно человеческим обществом» (9, с. 282-283).

Вместе с тем, если капитализм служит интересам народа, тогда это уже не капитализм – не капитал “изм” (не “изм” экономической цели, не господство капитала), и, соответственно, он (капитализм), как многократно отмечалось мной и ранее, должен иметь другое название [9, с. 276; и др.], ибо критерий истинного капитализма – это именно господство в обществе и в государстве – денег, рынка, прибыли, капитала над человеком.

Господство же экономической цели – *господство экономической самоцели средств в обществе и в государстве*, господство денег, господство рынка, прибыли, капитала над человеком – это есть не что иное, как – экономический фашизм.

Считаю необходимым здесь же особо отметить, что хотя я против истинного капитализма – как экономического фашизма, я против господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком, но по сравнению с истинным капитализмом ничего не имею против того «капитализма», который находится на стадии Социокапитализма – на стадии эволюционного переходного периода от классического капитализма в Истинно человеческое общество и государство, ибо с развитием социокапитализма все более усиливается социальная ориентация капиталистического общества.

Вместе с тем, вышеотмеченное вовсе не оправдывает контрреволюционный переворот псевдосоциализма назад в «дикий» капитализм – вовсе не оправдывает оплодотворение псевдосоциализма на почве «дикого» капитализма и рождение наиболее дикого экономического фашизма, с оголтелым господством в обществе и в государстве – денег, рынка, прибыли, капитала над человеком (?!).

* * *

В качестве одного из многочисленных примеров, подтверждающих – господство денег, господство рынка, господство прибыли, господство капитала над человеком, свойственного сущностной природе капитализма и являющегося проявлением и показателем экономического фашизма, рассмотрим проблему функционирования криминального бизнеса в государстве, проблему противозаконно «узаконенных» криминальных деяний в виде (под «маской») «предпринимательской» «деятельности» -- в виде «азартных игр», фактически приводящих к геноциду огромного количества людей (так называемых «игроков») вместе с их семьями – *приводящих к геноциду народа* – и представляющих собой преступление против человечности.

В частности, принципиально важно отметить, что особо острой социально-политической, международно-правовой и государственно-управленческой проблемой является необходимость предотвращения геноцида людей, вызванного «игорным» бизнесом – вызванного азартными так называемыми «играми».

Притом, для предотвращения отмеченного геноцида людей, требуется запрет азартных так называемых «игр» как в отдельных государствах, так и во всемирном масштабе, *ибо так называемые азартные «игры» – это преступление против человечности и против человечества, обусловленное господством в государстве экономической цели – господством денег, господством рынка, господством прибыли, господством капитала над человеком, что является явным проявлением экономического фашизма.*

Таким образом, хотя предпринимательство – необходимое условие эффективного функционирования общества и государства, но допущение криминального «предпринимательства», допущение «предпринимательства» в виде «игорного» бизнеса – в виде азартных так называемых «игр», неминуемо приводит к психологическому и физическому порабощению людей, к их ограблению и обнищанию, а

потому «предпринимательство» в данном случае криминально, ибо это преступление против огромного количества людей – это явное преступление против человечности, это явное проявление экономического фашизма.

Несмотря на отмеченное, научный анализ последних исследований показывает, что невозможно встретить научные труды, *кроме созданных и опубликованных мной*, в которых бы ставился вопрос о необходимости запрещения азартных «игр» как в отдельных государствах, так и во всемирном масштабе, что стало бы одним из примеров борьбы против экономического фашизма.

Принципиально важно учесть, что государство – в данном случае подразумевается не государство, находящееся в рабстве денег, в рабстве рынка, в рабстве прибыли, в рабстве капитала, а Истинно Человеческое государство, т.е. государство, служащее интересам народа – существует (точнее же должно существовать) для Человека – для народа, для создания условий благосостояния каждого человека, для достижения высокого качества жизни всех членов общества.

Вместе с тем, в современном так называемом цивилизованном мире господствуют деньги, рынок, прибыль, капитал над человеком, ибо иначе невозможно объяснить допущение функционирования азартных так называемых «игр» и их «узаконение» в государстве (в государствах), так как азартные «игры» представляют собой бесчестное орудие экономического, морально-психологического и физического уничтожения людей ради обогащения отдельных лиц (?!).

Неужели государство – государственная власть, допускающая функционирование азартных так называемых «игр», а значит осознанно или неосознанно совершающее преступление против человечности, можно считать цивилизованным?!

Почему не обращают на это внимание так называемые «защитники» прав человека?!

Почему не обращают внимание на это антисоциальное – преступное – явление неправительственные организации?!

Почему не обращают внимание на функционирование азартных так называемых «игр» Органы Государственной Безопасности государств – как на преступное явление, имеющее подрывной характер для государств и опасные социальные – *точнее же антисоциальные* – последствия?!

Почему не обращает на это внимание и почему не поднимает тревогу Организация Объединенных Наций?!

Неужели подлежит сомнению, что азартные «игры» приводят к грубому ущемлению главнейшего права человека – права на жизнь (?!).

Исходя из вышеотмеченного, как с логической, так и с правовой точек зрения следует научно обоснованный вывод, заключающийся в следующем:

Допущение и «узаконение» функционирования азартных «игр», т.е. так называемого «игорного» бизнеса в государстве, *безусловно*, является антиконституционным деянием, ибо противоречит сущностной природе Конституции государства (Конституций государств), так как является грубым ущемлением Конституционных прав и коренных интересов человека, приводящим к геноциду людей и представляющим собой уголовно наказуемое преступление (?!).

Однако, государствами (законодательными властями государств) – *наверно под влиянием тех должностных лиц и/или представителей бизнеса (а точнее, видимо, под влиянием и тех, и других), которые находятся в рабстве денег, в рабстве рынка, в рабстве прибыли, в рабстве капитала, и которыми движут чисто экономические интересы без учета интересов народа* – были приняты законы, допускающие (не запрещающие) функционирование азартных «игр», что является показателем того, что люди с их потребностями, с их истинно человеческими интересами, с их стремлениями, несмотря даже на уровень их жизни (что является хотя и свя-

занной с этой, но все-таки другой проблемой), представляют собой ничтожество для сущностной природы капиталистической государственной системы, ибо капиталистическая государственная система может заботиться о людях лишь настолько, насколько эти люди нужны данной системе – как средства, необходимые для дальнейшего обогащения капиталистов (?!).

Следовательно, если сказать более точно, для лиц находящихся в рабстве денег, в рабстве рынка, в рабстве прибыли, в рабстве капитала, обычные люди (люди, не являющиеся должностными лицами и/или бизнесменами) представляют собой только средства, которые могут использоваться капиталистической государственной системой в основном для достижения своих чисто экономических целей (?!).

Именно наглядным примером господства экономической цели в государстве, примером господства философии средств, примером господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком, является допущение и «узаконение» функционирования в государстве азартных «игр».

Хотя, наряду с функционированием в государстве азартных «игр», как показывает практика, в условиях господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком, противозаконно «узаконенное» ограбление огромного количества людей происходило и происходит также, например, путем мошеннического навязывания народу так называемых «беспроцентных» займов финансово-кредитными фирмами, с последующим «ограблением» попавших на «удочку» людей, что явно преступно и недопустимо, путем аннулирования вкладов граждан в банках, имевших место в недавнем прошлом и ограбившим миллионы людей, путем преступного «манипулирования» курсами валют и т.д.

Таким образом, часто и во многом именно противозаконно «узаконенно» ущемляются права и свободы не только отдельных людей, но и большинства населения в государстве.

Такова сущностная природа капитализма – истинного капитализма, наиболее уродливая форма которого проявилась в процессе развала Советского Союза – в условиях оплодотворения псевдосоциализма на почве «дикого» капитализма (?!).

Вместе с тем, если считать, что «дикий» капитализм «возродился» и внедрился на почве псевдосоциализма, в результате, мягко говоря, некомпетентного (если не сказать – преступного) управления государством, то в таком случае можно утверждать, что наиболее уродливая форма капитализма проявилась – в условиях оплодотворения «дикого» капитализма на почве псевдосоциализма (?!).

Хотя, с учетом того, что, в результате крушения Советского Союза, псевдосоциализм путем контрреволюции (а не путем трансформации, ибо трансформация – это эволюционный процесс, это эволюционная трансформация, а не революция и не контрреволюция) был отброшен назад в «дикий» капитализм прошлых веков, то, скорее всего, можно утверждать, что в действительности имело место – оплодотворение псевдосоциализма на почве «дикого» капитализма (?!).

Следовательно, в определенной интерпретации оба утверждения имеют право на существование, но главное то, что вместо революционного движения вперед, вместо движения от псевдосоциализма – к построению Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства, в результате антисоциальной – явно преступной – «деятельности» лидеров государства, имело место оплодотворение псевдосоциализма на почве «дикого» капитализма и, тем самым, на развалинах Советского Союза, где бывшие Республики СССР получили независимость, что, вообще, представляет собой положительное явление, победил и начал господствовать – экономический фашизм, началось господство денег, рынка, прибыли, капитала над человеком (?!).

Касаясь проблемы независимости государств – касаясь смысла и ценности независимости – я еще много лет назад отмечал, что:

«Независимость лишь тогда имеет смысл и ценность, когда она распространяется на каждого члена общества и служит интересам народа, ибо независимость должностных лиц не есть независимость нации» [17, с. 160].

Что же касается постпсевдосоциалистического, а не посткоммунистического (ибо коммунизма никогда нигде не было и не могло быть в виду того, что коммунизм, так же, как и марксистский социализм – это явная утопия) уродливого капитализма, и, соответственно, что касается постпсевдосоциалистического экономического фашизма, то в связи с этим необходимо отметить, что сам классический капитализм спас себя «бегством» от истинного капитализма путем эволюционной трансформации в качественно новое состояние – в Социокапитализм, и хотя капитализм пока еще остается капитализмом, но осознанно или неосознанно опять-таки эволюционным путем развитый капитализм движется по пути построения Истинно человеческого общества и государства, ибо это объективная закономерность, которая проливает путь в будущее!!!

Притом, особенно удивительно то, что оплодотворение псевдосоциализма на почве «дикого» капитализма и «движение» к уродливому капитализму – «движение» к экономическому фашизму – некоторым представителям сферы науки и политики казалось и, видимо, до сих пор кажется «движением вперед» (?!).

Удивительно, но факт (?!).

Считаю необходимым обратить здесь особое внимание на то, что, как неоднократно отмечалось мной в своих опубликованных научных трудах, я вовсе не против обогащения людей, я вовсе не против бизнеса и т.д., я никогда (даже в условиях господства коммунистической идеологии) не был против частной собственности, а даже, наоборот!!!

Однако, я всегда был против господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком.

Следовательно, я за обогащение людей, но люди должны обогащаться лишь законными, честными и порядочными путями и методами.

Люди должны обогащаться не чисто капиталистически – не чисто экономически – мыслящим умом и деянием, подразумевающим господство денег, господство рынка, господство прибыли, господство капитала над человеком – над народом.

Люди должны обогащаться не путем прямого или завуалированного ограбления народа своей страны или народов зарубежных государств – не путем геноцида и экономического изнасилования людей и целых народов [18], а должны они обогащаться лишь своим гуманносоциально мыслящим умом, своим гуманносоциально нацеленным талантом, своими гуманносоциально нацеленными организаторскими способностями и своей заслугой!!!

Исходя из позиций необходимости защиты Конституционных прав Человека и интересов народа, в связи с проблемой азартных так называемых «игр», или, что то же самое, в связи с проблемой так называемого «игрового» бизнеса, считаю особенно интересным ответить на поставленные мной же три вопроса:

1. Почему допущение в государстве функционирования азартных так называемых «игр» и их «узаконение» – является антиконституционным деянием?!

2. Почему допущение в государстве функционирования азартных так называемых «игр» и их «узаконение» – является уголовно наказуемым преступлением?!

3. Не будет ли ограничением бизнеса, и не будет ли считаться антирыночным действием – запрет функционирования в государстве так называемого «игорного» бизнеса?!

Ответ на первый вопрос, по моему глубокому убеждению, заключается в следующем:

Допущение в государстве функционирования азартных так называемых «игр» и их «узаконение» потому является антиконституционным деянием, что важнейшее право человека – это право на жизнь, что соответственно отражено в Конституциях государств.

В частности, согласно первому пункту 15-ой Статьи Конституции Грузии: «Жизнь – неприкосновенное право человека, и оно защищено законом» [19], а азартные так называемые «игры» вызывают деградацию и обнищание человека, экономический и морально-психологический геноцид народа, что, в конечном счете, способствует уничтожению жизни человека, и что, кроме антиконституционности, явно противоречит Всеобщей Декларации прав человека (Статья 3), согласно которой: «Каждый человек имеет право на жизнь, на свободу и на личную неприкосновенность» [20, с. 13].

В связи с вышеотмеченным, с полной ответственностью заявляю, что допущение и «узаконение» в государстве так называемого «игорного» бизнеса – это фактически то же самое, чтобы было допущено и «узаконено» торговля наркотиками (?!), что *немыслимо в Истинно цивилизованном* (а не в будто бы «цивилизованном» – в «цивилизованном» лишь по своему названию) обществе и государстве, т.е. *немыслимо в обществе и в государстве, служащем интересам Человека – интересам народа, ибо, по моему глубокому убеждению, именно служение интересам народа должно считаться главным критерием цивилизованности.*

Хотя, необходимо здесь же отметить, что в некоторых «развитых» государствах, как азартные так называемые «игры», так и торговля наркотиками и их потребление, а также некоторые другие уродливые – *ненормальные, безнравственные, позорные с истинно человеческой точки зрения – явления, даже публичное название (произношение) которых должно вызывать большие неудобства и отвращение у нормальных людей и у нормального общества* – совершенно *безосновательно и преступно* считаются показателями будто бы «цивилизованности» (?!).

Удивительно, но факт (?!).

Таким образом, совершенно бесспорно, что допущение и «узаконение» в государстве так называемого «игорного» бизнеса – представляет собой антиконституционное деяние, ибо в таком случае государственная власть фактически антиконституционно «узаконивает» моральное, психологическое и физическое уничтожение человека (?!).

В ответ на второй вопрос необходимо отметить, что допущение и «узаконение» в государстве функционирования азартных так называемых «игр», т.е. так называемого «игорного» бизнеса, *безусловно*, является уголовно наказуемым преступлением, что должно быть квалифицировано как превышение соответствующими должностными лицами своих служебных (должностных) полномочий и как злоупотребление ими своими служебными (должностными) полномочиями (Уголовный кодекс Грузии, Статьи 332, 333) [21], *ибо должностные лица не имеют никакого права на то, чтобы допустить возможность функционирования в государстве азартных так называемых «игр», не имеют никакого права на «создание» соответствующих несправедливых, преступных – будто бы «правовых» основ их функционирования*, так как всем должно быть понятно, что осуществленное должностными лицами любое противозаконное (преступное) деяние или противозаконное (преступное) бездействие – представляет собой и превышение ими своих служебных (должностных) полномочий и злоупотребление ими своими служебными (должностными) полномочиями, а значит, представляет собой криминальное деяние с их стороны, что должно вызы-

вать соответствующую уголовную ответственность в отношении этих должностных лиц [21, Статьи 332, 333].

Более того, исходя из интересов Человека, по моему глубокому убеждению, допущение и «узаконение» функционирования азартных так называемых «игр», т.е. так называемого «игорного» бизнеса, в любом государстве должно быть квалифицировано как международное преступление [22] – как одна из категорий международного преступления, ибо в соответствии с пунктом «с» Статьи 6-ой Устава Международного Военного Трибунала, составленного представителями стран антигитлеровской коалиции 8 августа 1945 года в Лондоне, к ним относились и преступления против человечества, а именно:

«Убийства, истребление, порабощение ... и другие жестокости, совершенные в отношении гражданского населения ... в целях осуществления или в связи с любым преступлением, подлежащим юрисдикции Трибунала, независимо от того, являлись ли эти действия нарушением внутреннего права страны, где они были совершены, или нет» [23; 24].

Следовательно, не подлежит сомнению, что допущение и «узаконение» функционирования азартных так называемых «игр», т.е. так называемого «игорного» бизнеса, в любом государстве – это международное преступление [22], это преступление против человечества [24], это преступление против человечности [21, Статья 408; 24], это фактический терроризм в завуалированной форме рады экономической выгоды и обогащения отдельных лиц за счет ограбления, морально-психологического порабощения и физического уничтожения огромного количества людей, под «маской» так называемой «демократии» и «свободы бизнеса» (!!).

Таким образом, допущение и «узаконение» функционирования азартных так называемых «игр» – это терроризм, направленный против своего народа и против человечества в целом (!!).

Поэтому, должна быть объявлена беспощадная борьба против допущения, «узаконения» и практического осуществления геноцида народа (геноцида народов) с использованием этих изощренных – *качественно «новых»* – форм!!!

Что касается ответа на третий вопрос – «Не будет ли ограничением бизнеса, и не будет ли считаться антирыночным действием запрет функционирования в государстве так называемого «игорного» бизнеса?!», необходимо особо отметить следующее:

Ограничение бизнеса вообще считаю недопустимым, если такое ограничение, в конечном счете, не служит интересам Человека – интересам народа, ибо бизнес является (должен быть) не самоцелью, а средством реализации интересов Человека – интересов народа.

Исходя из вышеотмеченного, тот бизнес, который противоречит интересам народа, и который вызывает экономическое, моральное, психологическое и физическое уничтожение человека – уничтожение народа, должен быть не только ограничен, а должен быть строжайше запрещен, ибо бизнес существует (должен существовать) для человека – для народа, а не человек должен существовать – для бизнеса.

То же самое нужно сказать о том, что будто бы ограничение бизнеса вообще может рассматриваться как антирыночное деяние (!!).

В связи с этим необходимо отметить, что следует всячески способствовать эффективному функционированию бизнеса и рыночных отношений, но лишь с целью опять-таки реализации интересов человека – интересов народа!!!

Если же рыночные отношения в конкретном случае нацелены лишь на получение прибыли, и если они вызывают экономическое, моральное, психологическое и физическое уничтожение человека – уничтожение народа, тогда такой бизнес – *такие рыночные отношения* – не только должны быть ограничены, а, безусловно,

должны быть запрещены, ибо рынок существует (должен существовать) для человека – для народа, а не человек существует – для рынка.

И вообще, как я отмечал в научном труде, опубликованном еще в 1980 году, для строительства и функционирования Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства, все пути, формы и методы оправданы, если они служат интересам человека – интересам народа, и если они в то же время исключают анти-социальные, антигуманные, антинравственные явления [2, с. 93].

Важно здесь же отметить, что наряду с запрещением античеловечного, антисоциального, антигуманного, антинравственного бизнеса, что необходимо осуществлять неотложно, государственная власть должна обязательно учесть также интересы бизнесменов и по мере возможности должна всячески способствовать функционированию и развитию – социально нацеленного и нравственно оправданного бизнеса в интересах каждого человека, в интересах общества и государства, ибо содействии бизнесу со стороны государственной власти весьма значимо и необходимо!!!

Вместе с тем, наиважнейшим назначением государства является служение интересам каждого Человека – служение интересам истинно человеческой жизни народа, чем и должна руководствоваться государственная власть!!!

Следовательно, жертвование людьми – геноцид людей – в интересах обогащения отдельных лиц и даже в интересах пополнения государственного бюджета, безусловно, является преступным – криминальным – деянием, является – уголовно наказуемым преступлением (?!).

Поэтому, путем создания и задействования соответствующих правовых механизмов на основе созданной мной Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц [15] необходимо в корне пресечь вышеотмеченные криминальные деяния в международном масштабе – как разновидность геноцида людей, как преступление против человечности.

* * *

Исходя из всего вышеизложенного, еще раз приходим к научно обоснованному выводу о необходимости преодоления в обществе и в государстве экономического фашизма, о необходимости преодоления господства экономической цели, господства экономической самоцели средств, о необходимости преодоления господства денег, рынка, прибыли, капитала над человеком.

Преодоление же экономического фашизма и подчинение всех сфер общественной жизни интересам народа возможно лишь на основе созданных мной революционно новых теории – на основе Философии социальной цели [9; и др.], на основе Теории верховенства интересов народа [14; и др.] и на основе Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [15; и др.], которые представляют собой, как истинно инновационный подход, так и результаты истинно инновационного подхода в исследовании проблем общественных наук и в управлении государством, которые представляют собой теоретические основы Политического менеджмента [25] Истинно человеческого общества и Истинно человеческого государства.

Именно на основе отмеченных теорий возможен инновационный подход к управлению государством – как необходимое условие социально-экономического прогресса.

ЛИТЕРАТУРА

1. Кураташвили Альфред А. Глубинные проблемы общественных наук в свете мирового экономического кризиса начала XXI века. Актуальные проблемы об-

ественных наук. *Материалы Международной научной конференции* (21-22.12.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.

2. Кураташвили Альфред А. Философско-Политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: «Актуальные проблемы теории» (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1980.

3. Кураташвили Альфред А. Проблемы научного творчества (Размышления по кардинальным проблемам творческого развития общественных наук). Материалы научной конференции: «Наука и общество» (13-14 декабря 1984 г.). Тбилиси: «Мецниереба», 1984.

4. Кураташвили Альфред А. Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества. Актуальные проблемы научного творчества. *Материалы Международной научной конференции* (11-12.03.2009). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2009.

5. Кураташвили Альфред А. Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, 1998, №3 (419). Тбилиси: “Технический университет”, 1998.

6. Кураташвили Альфред А. Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества. Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, 1999, №1-2. Тбилиси: "Мецниереба", 1999.

7. Кураташвили Альфред А. Альтернативное представление об ориентации общества и государства. Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, 1999. New York, USA.

8. Кураташвили Альфред А. Философия цели – альтернатива философии средств (монография на грузинском и русском языках). Тбилиси: “Мецниереба”, 1997.

9. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.

10. Кураташвили Альфред А. На грани необходимости радикальных перемен в ориентации общества и государства. Международный научный журнал "Прогресс", 2001, №1-2. Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2001, с. 13-22.

11. Кураташвили Альфред А. Политическая ориентация общества и государства – главная проблема эффективного функционирования человечества. Ежемесячник «Русская Америка», 2011, №447. Нью-Йорк, США. 2011.

[http://www.rusamny.com/447/t04\(447\).htm](http://www.rusamny.com/447/t04(447).htm)

12. Философский энциклопедический словарь. – М.: ИНФРА-М, 1997.

13. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., изд. 2-е.

14. Кураташвили Альфред А. Теория верховенства интересов народа. Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

15. Кураташвили Альфред А. Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

16. Кураташвили Альфред А. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: “Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках” (15 марта 1990 г.). Тбилиси: “Мецниереба”, 1990.

17. Кураташвили Альфред А. Конституционные права человека и необходимость радикальной перестройки системы аттестации научных кадров. Международный научный журнал "Интеллект", 2000, №1(7). Тбилиси: Изд-во "Интеллект", 2000.

18. Кураташвили Альфред А. Права человека и теории экономического выживания народа. Экономический и морально-психологический геноцид; Политико-правовые и социально-экономические пути и механизмы его искоренения (монография на грузинском, русском и английском языках). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

19. Конституция Грузии. Принята 24 августа 1995 г.

http://ru.wikisource.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D0%BD%D1%81%D1%82%D0%B8%D1%82%D1%83%D1%86%D0%B8%D1%8F_%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%B8%D0%B8

20. Всеобщая декларация прав человека от 10 декабря 1948 года. Права человека: Сборник международных документов. – М.: Издательство «Юридическая литература», 1998. http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/declhr

21. Уголовный кодекс Грузии. Принят 22 июля 1999 года.
<https://matsne.gov.ge/ka/document/download/16426/143/ru/pdf>

22. Международное преступление. <http://dic.academic.ru/dic.nsf/lower/16047>

23. Устав Международного Военного Трибунала для суда и наказания главных военных преступников европейских стран оси (Лондон, 8 августа 1945 г.).
http://ww2.kulichki.net/ustav_tribunal.htm

24. Преступление против человечества.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D1%80%D0%B5%D1%81%D1%82%D1%83%D0%BF%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F_%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%82%D0%B8%D0%B2_%D1%87%D0%B5%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B5%D1%87%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B0

25. Кураташвили Альфред А. Философско-правовые основы политического менеджмента. Управленческое право и определяющий теоретический базис правовой системы истинно человеческого общества и социально-экономического прогресса (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

Alfred Kuratashvili

INNOVATIVE APPROACH TO STATE MANAGEMENT – AS NECESSARY CONDITION OF SOCIAL-ECONOMIC PROGRESS

Annotation

In scientific work is considered innovative approach to state management – as necessary condition of social-economic progress.

As innovative approach to state management is considered methodological approach that should be based on social goal and should be guided by a social goal – to be guided by the interests of the people.

**მრეწველობისა და მომსახურების მომიჯნავე დარგებთან
სოფლის მეურნეობის დარგების შერთანხმობის განვითარების პრობლემები**

შესავალი

ეკონომიკის განვითარება, ესე იგი მისი გადასვლა ხარისხობრივად ახალ მდგომარეობაში, ბევრად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა მჭიდრო ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებაში იმყოფება მთელ სახალხო-სამეურნეო კომპლექსთან, სახალხო მეურნეობის დარგებთან და, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის დარგებთან, რომლებიც ერთი მხრივ, ამარაგებენ სოფელს საწარმოო საშუალებებით, მეორე მხრივ, ახდენენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას, ესე იგი ჩართულები არიან ერთობლივ ტექნოლოგიურ ჯაჭვებში სოფლის მეურნეობის დარგებთან. ამიტომ ჩვენ საჭიროთ ჩავთვალეთ გაგაანალიზოთ სოფლის მეურნეობის დარგების ურთიერთქმედება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან და, ასევე, სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამასთან ყურადღებას ვამახვილებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირების და ბიზნეს-კოორდინაციისა და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის დარგების სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ურთიერთქმედების სრულყოფის პრობლემებზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში 90-იანი წლების პირველ ნახევარში წარმოების მკვეთრი დაცემის შემდეგ დაწყებული სოფლის მეურნეობის წარმოების გარკვეული ზრდა 2006 წლიდან შეიცვალა მისი პერმანენტული დაქვეითებით (ეს მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოური სივრცის დანარჩენ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ამავე პერიოდში უწყვეტლევ იზრდებოდა). ამიტომ ამ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში მიმდინარე აგრარული კრიზისის მიზეზების გამოვლენას. კრიზისული სიტუაცია სოფლის მეურნეობაში ბევრად იყო განპირობებული სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის ნაკლოვანებებით, სოფლის მეურნეობის ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობის ნაკლოვანებებით, სასოფლო-სამეურნეო დარგების სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სხვა დარგებთან ურთიერთქმედების ნაკლოვანებებითა და სხვა მიზეზებით. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცოცხლების პრობლემები ჩვენ განვიხილეთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტისა (რაც გულისხმობს ყველა იმ დარგის, წარმოების და ორგანიზაციის კომპლექსის განხილვას, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოებას) და სოფლის მეურნეობის და მსუბუქი მრეწველების მომიჯნავე დარგების (რომლებსაც აერთიანებს განსახდევრული საბოლოო პროდუქტების წარმოების მიხედვით საერთო ტექნოლოგიური ჯაჭვის არსებობა) ჭრილში.

1. 2006-2012 წლის აგრარული კრიზისის მიზეზები საქართველოში

დაახლოებით 2006 წლიდან საქართველოში დაიწყო მკვეთრად გამოხატული აგრარული კრიზისი. ზუსტად ამ წლიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი ვარდნაც. ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლიდან სოფლის მეურნეობის მშპ-ს მოცულობა ნელ-ნელი იზრდება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიაღწია 2003-2005 წლების დონეს.

პირველ ცხრილში მოყვანილია სოფლის მეურნეობის მშპ-ს დინამიკის ჯაჭვური ინდექსი, მე-2 ცხრილში კი, თვალსაჩინოებისათვის, ხორცის ადგილობრივი წარმოების და იმპორტის დინამიკა (ამასთან, მსგავსი ტენდენცია

შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რიგი სხვა სახეების მიხედვით). თუ გავთვლით მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპს 2004-2012 წლებში, გამოვა, რომ ქვეყნის მთელი ეკონომიკის მშპ საშუალოდ წელიწადში იზრდებოდა 7,9%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა საშუალო წლიურ ვარდნას -1,8%-ით.

ცხრილი 1

**სოფლის მეურნეობის და სრულიად ქვეყნის ეკონომიკის მშპ-ს
ჯაჭვური ინდექსები (2003=100,0%) [11, გვ. 28; 12, გვ.28].**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	91,1	94,1	89,3	84,0	80,6	87,5	84,2	93,7	95,3
მშპ საბაზისო ფასებში	127,8	142,6	146,3	140,8	150,9	160,9	170,9	177,3	185,2

ცხრილი 2-ის მონაცემები ხორცის პროდუქტების მაგალითზე აჩვენებს, რომ ხორცის ადგილობრივი წარმოების შემცირებასთან პარალელურად იზრდებოდა მისი იმპორტის მოცულობა, ე.ი. თვალნათლად ჩანს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვარდნის მუდმივი ზეგავლენა ისედაც ნეგატიური საექსპორტო-საიმპორტო სადღოს გაუარესებაზე.

ცხრილი 2

**ხორცის ადგილობრივი წარმოება და იმპორტი (ათასი ტონა)
[13, გვ. 86; 14, გვ. 79; 15, გვ. 84]**

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ადგილობრივი წარმოება	83,3	73,0	57,3	54,3	56,4	49,3	42,6	48,4	54,8	62,1
იმპორტი	32,9	53,3	62,1	61,9	61,9	71,3	77,8	78,3	78,8	71,9

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განუხრელი შემცირება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ნატურალურ გამოსახულებაში. ასე მაგალითად, ხორბლის წარმოებამ 2002 წ. შეადგინა 199,7 ათასი ტონა, 2010 წ. კი მხოლოდ – 48,9 ათასი ტონა, რამდენადმე გაიზარდა 2011 წელს – 96,8 ათასი ტონა, 2012-ში – 80,7, 2014-ში ისევ დაეცა 50,2 ათას ტონამდე, 2015 წელს შეადგინა 133,4 ათასი ტონა (ამასთან, ხორბლის იმპორტი ბევრად აღემატება მის ადგილობრივ წარმოებას, ბოლო წლებში ის მერყეობდა 970 (2012 წელი) - 677 (2015 წელი) ათასი ტონის ფარგლებში), სიმინდის წარმოებამ 2002, 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში შეადგინა შესაბამისად 400,1, 267,0, 363,9, 347,2 და 231,4 ათასი ტონა, კარტოფლის – 415,3, 252,0, 296,6, 216,2 და 206,2 ათასი ტონა (არსებითად გაიზარდა მხოლოდ ყურძნის წარმოება). მცირდებოდა პირუტყვის სულადობაც. ასე მაგალითად, 2002 წ. ქვეყანაში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 1216,0 ათასი, 2009 წელს კი – 1014,7 ათასი სული, მაგრამ შემდეგ თანდათანობით დაიწყო ზრდა 1325,5 ათას სულამდე 2015 წელს, ღორების სულადობა შემცირდა 446,1 ათასიდან მინიმუმამდე (86,4 ათასი თავი) 2008 წელს, შემდეგ კი დაიწყო თანდათანობითი ზრდა 204,8 ათას სულამდე 2014 წელს [16; 17; 18]. 2002 წ.

გამოყენებაში იყო ნათესი ფართობების 577,0 ათასი, 2011 წ. კი – მხოლოდ 281,0 ათასი ჰა, 2012-ში – 259,6, 2013-ში – 310,7, 2014-ში – 316,6, 2015-ში – 308,4 ათასი ჰა [16; 17; 18]. ე. ი. სოფლის მეურნეობის არსებული პოტენციალის გამოყენების მასშტაბები 2012 წლამდე სულ უფრო და უფრო მცირდება, შემდეგ კი დაიწყო თანდათანობითი ზრდა. საკვები პროდუქტებისა და ცოცხალი ცხოველების იმპორტის მოცულობა გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ექსპორტის მოცულობა და, ამასთან, იგი იზრდებოდა უფრო სწრაფად. ასე მაგალითად, ხსენებული საქონლის იმპორტი გაიზარდა 437575 ათასი დოლარიდან 2005 წ. 1183784 ათას დოლარამდე 2011 წ. და 1305034 ათას დოლარამდე 2014 წ. ექსპორტი კი, შესაბამისად, 303896 ათასიდან მხოლოდ 435591 ათას დოლარამდე, თუმცა 2014 წ. მან შეადგინა 825631 ათასი დოლარი [16; 17; 18].

მაშასადამე, სულ უფრო მცირდებოდა სოფლის მეურნეობის არსებული პოტენციალის გამოყენების მასშტაბები. სასურსათო პროდუქტების იმპორტის მოცულობამ გადააჭარბა მისი ადგილობრივი წარმოების მოცულობას და, ამასთან ძალიან სწრაფად იზრდებოდა, იმავდროულად ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მოცულობა 2013 წლამდე ყოველწლიურად მცირდებოდა. კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები წარმოიშვა იმ სანედლეულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გასაღებაში, რომელიც გამოიყენება მსუბუქი მრეწველობის დარგებში.

ცხადია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია გავლენას ახდენდა იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხზე, რომლებიც ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს. კერძოდ, უარესდებოდა ექსპორტი-იმპორტის საღდო, რაც მომავალში აუცილებელს გახდოდა ახალი საგარეო სესხების აღებას, გააძნელებდა უკვე არსებული სახელმწიფო და კერძო ვალდებულებების მომსახურებას. მცირდებოდა სოფლის მეურნეობაში და მრეწველობის იმ სექტორში, რომელშიც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, დასაქმებულების შემოსავლები, რაც გავლენას ახდენდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობისა და შიდა საქონელბრუნვის შემცირებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაზე, იმ მაჩვენებლების გაუარესებაზე, რომლებიც ახასიათებს მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.

იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობის წარმოების ვარდნა მოხდებოდა მხოლოდ ცალკეულ წლებში, მაშინ შეიძლებოდა მისი გამართლება შესაბამის წლებში ნეგატიური საამინდო პირობების არსებობით. მაგრამ, რამდენადაც ვარდნა შეიმჩნეოდა რიგი წლების განმავლობაში (იმ დროს, როდესაც დაახლოებით იმავე კლიმატურ პირობებში მყოფ აზერბაიჯანსა და სომხეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უწყვეტად იზრდებოდა), ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში 2006 წლიდან ადგილი ჰქონდა აგრარულ კრიზისს, რომელსაც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სისტემური ხასიათი გააჩნია.

როგორია ამ კრიზისის ეკონომიკური და ინსტიტუციური მიზეზები, ესე იგი მისი გენეზისის და განვითარების პირობები?

არსებობს შიდა- და გარეეკონომიკური გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია მკვეთრად გამოხატული აგრარული კრიზისი.

შიდა გარემოებებს მიეკუთვნება:

ა) სოფლის მეურნეობის და მისი პროდუქციის გასაღების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური და საწარმოო ორგანიზაციის არასრულყოფილება, და, ასევე, განსაზღვრული ზომით, იმ საწარმოების ჩამორჩენილობა და დაბალი კონკურენტუნარიანობა, რომლებიც ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. კერძოდ, ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების არასრულ-

ყოფილება აისახება კოოპერატივების და შედარებით დიდი ფერმების მცირე რიცხვში, მცირე ფერმების და სოფლად საშინაო მეურნეობების ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერის ორგანიზაციების და საწარმოების (ასევე მათი მხარდაჭერის სხვა ელემენტების) ფაქტობრივ უქონლობაში ან მცირე ოდენობაში. გასაღების ინფრასტრუქტურის განვითარებისას საკმაოდ დონით არ ითვალისწინებენ იმ სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოებულია ქვეყნის ფარგლებში. საწარმოების ნაწილი, რომელიც ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი (ფასების, ტექნოლოგიების დონის მიხედვით) იმ საგარეო ფირმებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ ანალოგიურ საქონელს, ნაწილი კი ორიენტირებულია უფრო იაფი იმპორტული ნედლეულის გადამამუშავებაზე; გარკვეულ ფარგლებში ზოგიერთ დარგში იგრძნობა გადამამუშავებლების მონოპოლიზმი;

ბ) დიდი ხნის განმავლობაში არ ექცეოდა საკმაოდ ყურადღება სასოფლო-სამეურნეო რესურსების, უპირველეს ყოვლისა ნიადაგის, რაციონალურ გამოყენებას, კერძოდ მიწის დაცვას ეროზიისაგან, ნიადაგის რეკულტივაციისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარებას. დიდი ზარალი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფონდს მნიშვნელოვან ფართობებზე ნიადაგის (მიწის ნაყოფიერი ფენის, ჰუმუსის) აცლამ და მისმა რეალიზაციამ, უფრო ხშირად, იმპორტის სახით;

გ) ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სუსტ ტექნიკურ აღჭურვილობას. იგრძნობა არა მარტო იმ ტექნიკის მწვავე უკმარისობა, რომელიც საჭიროა მიწის დასამუშავებლად, არამედ იმ ტექნიკისაც, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასაღებად და პირველადი დამამუშავებისათვის;

დ) მცირეა სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მასშტაბები იმ შეზღუდვების ფარგლებშიც, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გარკვეული ხასიათის სუბსიდიების გაცემაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სუსტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა იმ მიმართულებებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამინდელ ეტაპზე საწვავის და სასუქების გაძვირებისა და საწარმოების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში;

ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციური მხარდაჭერის სისუსტე (მაგალითად, შემცირდა მოთხოვნა სანაშენო და სასელექციო მეურნეობების პროდუქციაზე, რამაც გამოიწვია მათი მუშაობის ხარისხის ვარდნა საფინანსო სახსრების დეფიციტის პირობებში), კერძოდ, სოფლად ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე (ამასთან, ასეთი ხასიათის მხარდაჭერას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები აძლევს მწვანე შუქს);

ვ) უმუშევრების, დაბალანაზღაურებადი მომუშავეების დიდი ოდენობის პირობებში დაბალია მოსახლეობის მედიველობითი უნარიანობა, რის შედეგად, რიგი იმ მიზეზის გამო, რომელიც ხელს უწყობს სამამულო ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაძვირებას, ეროვნული ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარების ნაცვლად მოსახლეობის დიდი ნაწილი იკვებება იმპორტირებული ნედლეულის (ხშირად საექვო ხარისხის) ბაზაზე დამზადებული უფრო იაფფასიანი პროდუქტებით. ამის გამო სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნა მცირდება და, როგორც შედეგი, მცირდება ასევე მისი წარმოება. წარმოების შემცირებისას კი იზრდება კუთრი დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. მცირე მწარმოებლებს წარმოებისა და რეალიზაციის შემცირების პირობებში უკვე არ შეუძლიათ ტექნიკურ მომსახურებაზე, საწვავზე და ა. შ. დამოუკიდებლად დანახარჯების დაფარვა რეალიზაციის უწინდელ ფასებში (კუთრი დანახარჯები პროდუქციის

ერთეულის წარმოებაზე, განსაკუთრებით მცირე წარმოებებში, იზრდება), რის გამოც იზრდება მათი პროდუქციის თვითღირებულება და, შესაბამისად, სამომხმარებლო ფასები, რაც იწვევს მოთხოვნისა და წარმოების შემდგომ შემცირებას;

ზ) მსუბუქი მრეწველობის გადამამუშავებელი საწარმოების ფაქტობრივად უქონლობის გამო მკვეთრად დაეცა მოთხოვნა შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე (მატყლი, ტყავი, აბრეშუმის პარკი), რომელსაც სოფლის მეურნეობის მეწარმეები, ბუნებრივია, აწარმოებენ სასურსათო პროდუქციასთან ერთად, ბოლო წლებში გაძნელდა ასეთი ნედლეულის ექსპორტიც. სირთულეები ასეთი პროდუქციის რეალიზაციაში, სასურსათო პროდუქციისა და მის წარმოებისათვის ნედლეულის იმპორტის ზეწოლასთან ერთად, წამგებიანი გახადა ბევრი სასოფლო-სამეურნეო წარმოება და თავისი წვლილი შეიტანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის შემცირებაში;

თ) ზოგიერთი პროდუქტის სახეების მიხედვით (ძხვეული, სოსისის ნაწარმი, ყველი) არასაკმარისი აღმოჩნდა სახელმწიფო კონტროლი სტანდარტების და ხარისხის მიხედვით. ზოგიერთმა მწარმოებელმა მაღალი მოგების მიღების მიზნით დაიწყო სუროგატული კომპონენტების გამოყენება. ამის შედეგად დაეცა მოთხოვნა შესაბამის ნატურალურ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. აგრამ, ამასთანავე, ასეთ ჯამრთელობისათვის მავნე პროდუქტიაზე მოთხოვნაც დაეცა. უკანასკნელ პერიოდში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სავაჭრო ქსელში გამოჩნდნენ ფირმები, რომლებიც ძირითადად მაღალხარისხიანი პროდუქციით ვაჭრობენ, მაგრამ წინა წლებში სოფლის მეურნეობის წინამავალი დაცემის გამო იგრძნობა ასეთი პროდუქციის დეფიციტი და ფირმები იძულებულნი არიან, დამატებით გაასაღონ არაკონდიციური პროდუქცია, ანალოგიური ნატურალური კომპონენტებიდან წარმოებული იმპორტული პროდუქცია კი ძალიან ძვირია;

ი) ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც დევს აგრარული კრიზისის გენეზისის საფუძველში, ეს არის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკით მიღებული ფას-წარმოქმნის კოორდინაციის მეთოდების (ბოლო ათწლეულებში უპირატესად არაპირდაპირების) გამოყენებლობა (ან დაგვიანებული გამოყენება). ასე მაგალითად, 2004-2006 წლებში და მოგვიანებით განხორციელებული გადასახადების აკრეფის მოწესრიგებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონელწაწვევის სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულმა რეფორმებმა (კერძოდ, სურსათით ვაჭრობაში სიმძიმის ცენტრის გადატანით ეგრეთ წოდებული საკლემურნეო ბაზრებიდან მოწესრიგებულ და ფისკალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მცირე ბიზნესის ქსელში) ერთი მხრივ, უზრუნველყო გადასახადების ნორმალური აკრეფა და საბიუჯეტო სისტემის მუშაობის ნორმალისება (კერძოდ, როგორც ვიცით, იმ დროს სახელმწიფო მომსახურებისათვის უზრუნველყოფილი იყო არა მარტო მიმდინარე ხელფასების გადახდა, არამედ, ხელფასებზე ყველა ძველი სახელმწიფო დავალიანებისაც), მეორე მხრივ, დაიწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაძვირება (კერძოდ, იმის გამო, რომ ბაზრის ყველა მონაწილემ დაიწყო გადასახადების გადახდა და, ასევე, საქონელწაწვევის სისტემაში საფეხურების ზრდის გამო). ეს ყველაფერი გამოიწვია ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა, რომლებიც იქცა აგრარული კრიზისის გენეზისის კომპონენტებად, კერძოდ: ნატურალურ ხარისხიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის დაქვეითება; მრავალი ზარალიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაჩენა (თუმცა სოფლის მეურნეობაში წამგებიანი მეურნეობების გაჩენა ინდუცირებული იყო რიგი სხვა ზემოაღნიშნული ფაქტორებით, მიზეზებით და გარემოებითაც); გადამამუშავებელ მრეწველობაში კვების ნატურალური კომპონენტების

უფრო იაფი (თანაც უფრო მეტად იმპორტული) სუროგატებით ჩანაცვლების მასშტაბების ზრდა; ბევრი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფუნქციონირების შეწყვეტა.

კრიზისულ სიტუაციებში, რომელიც განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ჩნდება ბევრ ქვეყანაში, კრიზისული მოვლენების დასაძლევად სხვა ღონისძიებებთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს ფასწარმოქმნის კოორდინაციის შესახებ (მაგალითად, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე პარიტეტული ფასების შემოღება აშშ-ში დიდი დეპრესიის დროს). ფასწარმოქმნის კოორდინაციის აპრობირებულ მეთოდად იქცა საფრანგეთში გამოგონებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენება, რომელიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება ბევრ ქვეყანაში. მაგრამ საფრანგეთში და რიგ სხვა ქვეყანაში ამ გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია პროდუქტების ჯგუფების მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, გადაისინჯება (რიგ ქვეყანაში ზოგიერთ პროდუქტზე დგინდება ნულოვანი განაკვეთი). მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, დამატებული ღირებულების გადასახადი შემოღებული იყო შაბლონურად, ერთიანი განაკვეთის მიხედვით, მისი მარეგულირებელი არსის გაუთვალისწინებლად. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში თავისდროულად, დასაბეგრი სისტემის რეფორმირებასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, კერძოდ ხორცსა და რძეზე, შემოღებული იქნებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთი (დიდი დაგვიანებით, როდესაც უკვე მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი დაცემა, დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთი ხორცზე, როგორც ცნობილია, შემოღებული იყო, მაგრამ აგრარული კრიზისი უკვე გაჩაღებული იყო, ბევრი მწარმოებელი გაკოტრდა და მათი წარმოება შეიკვეცა), მაშინ აგრარული კრიზისი არ იქნებოდა ასეთი სიღრმისეული, მოსახლეობა კი არ იქნებოდა იძულებული, გამოიყენებინა დიდი ოდენობით სუროგატული ხორცეული და რძის პროდუქტები;

კ) ზოგიერთი არასწორი ქმედება საკანონმდებლო ინსტიტუციების ფორმირებაში ასევე აღმოჩნდა გარემოებად, რომელმაც ხელი შეუწყო აგრარული კრიზისის განვითარებას და გაღრმავებას. ასე მაგალითად, 2005 წელს საქართველოში მიღებული იყო კანონი “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ”, რაც ნაკარნახევი იყო სურსათის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობის პარმონიზაციასთან ევროპული ქვეყნების იმ კანონმდებლობასთან, რომელშიც ასახული იყო 2012 წელს მიღებული ევროკავშირის რეგულაციის EC 178/2002 “სურსათის შესახებ კანონის ზოგადი საფუძვლები და მოთხოვნები” მიზანდასახულობები (თავისი არსით ეს კანონი მიმართულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიწერილობების ჩარჩოებში დაშვებული მომხმარებლისა და, ასევე, არასუროგატული პროდუქციის ეროვნული მწარმოებლის დაცვის ზომების გამოყენებაზე). ეს კანონი ეტაპობრივად უნდა ყოფილიყო ამოქმედებული, რაც უზრუნველყოფდა არა მარტო სუროგატულ პროდუქტებისაგან მომხმარებლის დაცვას, არამედ გარკვეულ წვლილს შეიტანდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სიღრმისეული დაცემისაგან თავიდან აცილებაში (იმიტომ რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბევრ გადამამუშავებელ საწარმოში წარმოების შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით დაიწყო ნატურალური საწარმოო ნედლეულის ჩანაცვლება იმპორტული სუროგატებით, რამაც ასევე გამოიწვია სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის დაქვეითება). მაგრამ 2006 წლის დეკემბერში მთავრობისა და ზოგიერთი დეპუტატის ინიციატივით შეჩერდა ამ კანონის რიგი ფუძემდებლური მუხლის ამოქმედება, რომელიც კერძოდ ეხებოდა სურსათის

მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაციას, ასევე მოთხოვნებს კონტროლის პერიოდულობისა და სასურსათო პროდუქციის სახელმწიფო ინსპექტირების შესახებ (იხ., მაგ., [21]), რაც ასევე იქცა ერთ-ერთ მიზეზად, რომელიც ხელს უწყობდა აგრარული კრიზისის გაღრმავებას. მხოლოდ 2010 წლის იანვარში და 2011 წლის შუალედში ზოგიერთი შეჩერებული დებულება აღადგინეს და დაიწყო მათი ეტაპობრივი ამოქმედება, მაგრამ ამ სფეროში ქვეყნის კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის ძირითად/პირიზონტალურ რეგულაციებთან გაიწვია 2014 წლამდე [21];

ლ) სულ არ არის განვითარებული ის ბიზნეს-ინსტიტუტები და ინსტიტუციები, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მომიჯნავე დარგების კოორდინირებული ურთიერთმოქმედებისათვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამეწარმეო რისკების დონის შესამცირებლად;

მ) ზემოთ აღნიშნული მრავალი მიზეზის გამო მცირდება სოფლის მეურნეობის დარგებისა და მათთან დაკავშირებული მსუბუქი მრეწველობის დარგების პროდუქციის, საბოლოო სასურსათო პროდუქტებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობების შიდა საქონელბრუნვა შესაბამისი შუალედური და საბოლოო პროდუქციის იმპორტის სასარგებლოდ;

ნ) წინა პუნქტებში აღნიშნული ფაქტორების მოქმედების პირობებში გაკოტრების დიდი რისკის არსებობის გამო სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია ინვესტიციური აქტიურობის დონე: ფერმერები ერიდებიან წარმოებაში როგორც საკუთარი საფინანსო სახსრების განთავსებას, ასევე ამ მიზნით ბანკებში სესხების აღებას, მით უმეტეს, რომ არ არსებობს ინვესტიციების დაზღვევის საიმედო სახელმწიფო და კერძო სისტემები. ამავე მიზეზების გამო შიშობენ სახსრების განთავსებას სასოფლო-სამეურნეო დარგებში (მაგალითად, მცირე ფერმერულ და შინამეურნეობების ტექნიკურ მომსახურებაში) გარეშე ინვესტორები. ბანკებს კი ძალიან არ ეხალისებათ ასეთი კრედიტების გაცემა (90-იანი წლების ბოლოს რამდენიმე ბანკი კრედიტების გაცემის გამო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არჩეულ პროექტებში კიდევაც გაკოტრდა. გაკოტრდა ასევე ამ პროექტებში მონაწილე ფერმერების გარკვეული რაოდენობა [9]). ამიტომ, სოფლად ინვესტიციური აქტიურობის ასამაღლებლად საჭიროა აღნიშნული პროექტების გადაწყვეტა.

საგარეო ეკონომიკურ გარემოებებს, რომლებმაც გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ჩაფარდნა და აფერხებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შიდა წარმოების განვითარებას, მიეკუთვნება: სასურსათო პროდუქციის იმპორტის ზეწოლა შიდა ბაზარზე; საგარეო ბაზრებზე სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წაწვეის (მათ შორის, საგარეო ბაზრებზე) სისტემის განუვითარებლობა. საკმაო ზომით არ გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ის ზომებიც კი, რომლებიც ხელმისაწვდომია შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტის მხარდასაჭერად იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ. ამასთან, საექვო ხარისხის პროდუქციისა (რომელიც არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს) და იმ პროდუქციის, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების ფუნქციონირებას, იმპორტის შეკავების ღონისძიებების გამოყენება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არ იზღუდება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და გლობალური საკრედიტო ორგანიზაციების მიზანდასახულობები და მიწერილობები გარკვეულწილად ასუსტებს ეროვნული მეწარმეების შესაძლებლობებს კონკურირებადი იმპორტის ზეწოლასა და ექსპორტის გარკვეულ დაბრკოლებასთან დაკავშირებით, რადგანაც იზღუდება მისი სუბსიდირების შესაძლებლობები. მაგრამ ეროვნული

ბიზნესის მხარდაჭერის და დაცვის შესაძლებლობა მაინც დაშვებულია: სუბსიდიების და საკომპენსაციო ბაჟების გამოყენება შესაძლებელია ვაჭრობის და ტარიფების შესახებ ზოგადი შეთანხმების (GATT), რომლის უფლებათა მიმღებია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების მუხლის, ასევე, სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების და სავაჭრო პროდუქციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. დროებითი ზომების სახით გამოიყენება ანტიდემპინგური ზომები და საკომპენსაციო ბაჟები (დისკრიმინაციული ზომები ცალკეული ქვეყნებისა და ცალკეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ) და ტარიფები და კვოტები სამართლიანი კონკურენციის კომპენსაციისათვის იმ იმპორტთან, რომელიც უყენებს ზარალს ადგილობრივ დარგს (არადისკრიმინაციული ზომები, რომელიც გამოიყენება ყველა პარტნიორის მიმართ). გამოიყენება ასევე რეგულირების არასატარიფო მეთოდები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებებში და არ ეწინააღმდეგება მათ. პრაქტიკაში შემოღებულია ასევე მუდმივი ზომები (საერთო გათავისუფლება ვალდებულებებისაგან), რომელიც ოფიციალურად უნდა იყოს მოწონებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საბჭოს მიერ [32, გვ. 431] და რომლის მინიჭება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდება.

მაშასადამე, ყველა ის გარემოება და მიზეზი, რომელმაც გამოიწვია აგრარული კრიზისი, დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მომიჯნავე დარგების მაკროეკონომიკური რეგულირების და ბიზნეს-კოორდინაციის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონელწაწვევისა და ხარისხის კონტროლის სისტემებში არსებულ ნაკლოვანებებთან.

შეიძლება დავსახოთ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში კრიზისული მოვლენების დაძლევის ძირითადი გზები მისი სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის სრულყოფისა და სოფლის მეურნეობის და მისი მომიჯნავე დარგების (related industries) მრეწველობაში და საქმიანობის სხვა სახეებში დაჩქარებული განვითარების საფუძველზე. ამასთან, ამ საკითხების განხილვა მიზანშეწონილია განცალკევებულად: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფელი სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სხვა მონიჯნავე საქმიანობის სახეების [1; 2] და მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ამ მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფელი მომიჯნავე დარგების კომპლექსის ტრილში [3].

საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვანი სახსრების მობილიზაციის კოორდინაციას ახდენს სოფლის მეურნეობის გამოცოცხლების მიზნით ინვესტიციების (კერძო და სახელმწიფო) განთავსებისათვის, მაგრამ მათი ეფექტიანი უკუგება შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს თუ პარალელურად არ მოხდება იმ წარმოებების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაცია, რომლებიც გადაამუშავებენ აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და აწარმოებენ საბოლოო სამომხმარებლო პროდუქციას. მიტომ, მრეწველობის აღნიშნულ დარგებში საჭიროა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ბიზნესის განვითარების კოორდინაციაზე, შესაბამისი საწარმოების ჩამოყალიბების ხელშეწყობასა და მათი ფუნქციონირების სტიმულირებაზე.

2. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების პრობლემები

1996 წ. რომში, სრულიად მსოფლიო კონფერენციაზე სურსათის შესახებ, მიღებული იყო დეკლარაცია სრულიად მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც იმავე წელს მოწონებული იყო სურსათის პრობლემების შესახებ უმაღლეს დონეზე მსოფლიო შეხვედრაზე. ამ დოკუმენტში სასურსათო

უსაფრთხოება განიმარტებოდა როგორც უსაფრთხო და კალორიული საკვებით მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სიცოცხლის აქტიური და ჯანმრთელი წესის დაცვისათვის საჭირო განსახლებული ოდენობის და ხარისხის კვების პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით [27].

ამ პერიოდში გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო კომისიის ექსპერტები ძირითადად იყენებდნენ ტერმინს “საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოება”, მაგრამ განდა აზრი, რომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებით. ამიტომ, ბევრ ქვეყანაში დაიწყო იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოებას ეროვნულ დონეზე. ამასთან, ბევრ ქვეყანაში დაიწყო იმ მარეგულირებელი ეკონომიკური მექანიზმების გარკვეული სრულყოფა, რომლებიც გრძელვადიან ასპექტში უზრუნველყოფენ კონკრეტული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებას.

თუმცა, აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების საკანონმდებლო მოწესრიგება გაცილებით ადრე დაიწყო. კერძოდ, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა 1985 წელს მიიღო “აშშ-ის სასურსათო უსაფრთხოების კანონი”, რომელიც იქცა სოფლის მეურნეობის განვითარების რეგულირების ძირითად საბუთად. 1990 წელს მას დაემატა კანონი “სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ვაჭრობის შესახებ”, რომელიც პირველის ლოგიკური გაგრძელებაა. ამასთან, “ცნობილია, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ ბევრი გააკეთა კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის შესაზღვრად, მაგრამ არა სოფლის მეურნეობის სფეროში. აქ ასეთი ზემოქმედების მექანიზმი და დაფინანსებისადმი მიდგომა ხელუხლებელი დარჩა. უფრო მეტიც, შემოდგომულ იქნა არსებითი თვისებრივ-რაოდენობრივი სიახლეები სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად” [7, გვ. 20].

იმ ფაქტორების შემადგენლობას, რომლებიც მოკლევადიან და გრძელვადიან ასპექტებში უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, დაემატა შემდეგი: ძირითადი სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფასა და იმპორტს შორის კრიტიკული დონის განსაზღვრა; სამამულო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ზომების კომპლექსის ფუნქციონირება; სურსათის გარდამავალი და სადაზღვევო მარაგების, უპირველეს ყოვლისა მარცვლეულის, შექმნა და შენარჩუნება. უფრო ახალ კვლევებში შემოთავაზებულია ასევე შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და მდგრადობის დონე; სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მრეწველობის დარგებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე; იმპორტის მასშტაბები; სასურსათო ბაზრის ღიაობის დონე; სასურსათო მარაგების მოცულობა [33].

ჩვენი აზრით, სასურსათო უსაფრთხოების დონის განსაზღვრაში ასევე უნდა შედიოდეს პარამეტრები, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებლობის ხარისხს. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მრავალი სტანდარტი, რომელიც აკონტროლებს ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოებას. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ზოგიერთი სტანდარტი თავისდროულად არ იყო შემოდგომული, თუმცა ამჟამად მდგომარეობა სწორდება.

მეცნიერული მიდგომები სასურსათო უსაფრთხოების არსის სრულფასოვანი განსაზღვრის სფეროში ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაშია: ჯერ კიდევ არ არსებობს მისი საბოლოო ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. მაგრამ საკმარისი სიმკვეთრით განსაზღვრულია მისი მიკრო- და მაკროეკონომიკური

შემადგენლები [25]. მაგრამ ეს მიმართულებაც მოითხოვს შემდგომ დამუშავებას, განსაკუთრებით ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინების თვალსაზრისით. ძირითადი შემადგენლების ქვეშ იგულისხმება “სურსათის სტრატეგიული მარაგები, მწარმოებელი სოფლის მეურნეობა, ექსპორტს და იმპორტს შორის ოპტიმალური თანაფარდობა, განვითარებული სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელები [28, გვ. 166] და სხვა.

რომის დეკლარაციაში ფაქტობრივად ფორმულირებულია სასურსათო უსაფრთხოების მიზანი, რომელიც შედგება მოსახლეობის უზრუნველყოფაში საკმარისი ოდენობის სურსათით. ცალკეული ქვეყნის დონეზე ეს უნდა იყოს განსახიერებელი მოსახლეობის მდგრად უზრუნველყოფაში ეკოლოგიურად საკმარისად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების (მათ შორის, სრულფასოვანი ხანგრძლივი სიცოცხლის) მიღწევის მიზნით. მაგრამ სასურსათო უსაფრთხოების ცნების შინაარსში უნდა შედიოდეს არა მარტო მისი მიზნის განსაზღვრება, არამედ მისი რეალიზაციის უზრუნველყოფის განმარტებაც (მისი შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი ასპექტების მოცვით). ამიტომ მნიშვნელოვანია ტერმინის “სასურსათო უსაფრთხოება” ახსნა აღნიშნული მიზნის რეალიზაციის საშუალებების განმარტების კუთხითაც. ამ ასპექტში შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საკმარისად ტევადი განსაზღვრება, რომელშიც სასურსათო უსაფრთხოება განიმარტება, როგორც “სურსათზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველქმედებას” [29, გვ. 5]. ამ მიზნის რეალიზაციისათვის საჭიროა სურსათის საკუთარ წარმოებასა და მის იმპორტს შორის ოპტიმალური თანაფარდობის ფორმირება, სურსათის სტრატეგიული მარაგების და რეზერვების შექმნა, მოსახლეობის ძირითადი მასისათვის სურსათზე ხელმისაწვდომი ფასების ფორმირება, სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობასა და ვაჭრობაში სანიტარული კონტროლის უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმების ქსელისა და სავაჭრო საწარმოების შესაბამისი ქსელის განვითარება და ა. შ.

მაშასადამე, იმ ფაქტორების რიცხვში, რომელთა გათვალისწინება საჭიროა ცალკეული ქვეყნის მოკლე და გრძელვადიან ასპექტებში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შედის:

- ძირითადი სასურსათო საქონლით თვითუზრუნველყოფის დონისა და იმპორტის კრიტიკული ზღვრის განსაზღვრა, სურსათის ექსპორტს და იმპორტს შორის ქვეყნისათვის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა და დაცვა;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და მდგრადობის დონე, მწარმოებლური სოფლის მეურნეობა, სამამულო სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ზომების კომპლექსის ფუნქციონირება;
- სურსათის, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის, გარდამავალი და სადაზღვეო მარაგების შექმნა და შენარჩუნება;
- განვითარებული სატრანსპორტო, გადამამუშავებელი საწარმოებისა და სავაჭრო ქსელები;
- მოსახლეობის ძირითადი მასისათვის სურსათზე ხელმისაწვდომი ფასების ფორმირება;
- იმ ორგანიზაციების ქსელის არსებობა, რომლებიც აკონტროლებენ სასურსათო პროდუქციის ხარისხს და ჯანმრთელობისათვის მის უსაფრთხოებას, ე. ი. საჭიროა სანიტარული კონტროლის სისტემა სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობასა და სურსათით ვაჭრობაში.

მაშასადამე, **სასურსათო უსაფრთხოება**, ერთი მხრივ, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მისი პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების, ლოგისტიკის უზრუნველყოფის დარგების (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა როგორც იმ ნედლეულის და მასალების სფეროში, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ასევე იმ სტრატეგიული მარაგების სისტემაში, რომელთა ფორმირება ხდება როგორც საკუთარი წარმოების, ასევე იმპორტირებული სურსათის ხარჯზე), გასაღების დარგების (საქონელწაწვეა ბაზრებზე) პრობლემას, მეორე მხრივ კი, მიეკუთვნება იმ მაკროეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობასთან, მოსახლეობის შემოსავლების დონესთან და დიფერენციაციასთან, დასაქმებასთან, უმუშევრობასთან და ა. შ.

სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში საჭიროა ასევე ცალკეული ქვეყნების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინება. ასე მაგალითად, საქართველოში, როგორც მცირე ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ამის გამო მისი მეურნეობა სპეციალიზებულია სასურსათო პროდუქციის განსაზღვრულ სახეობებზე, გრძელვადიან პერიოდში სასურსათო უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სასურსათო პროდუქციის იმპორტის საკმარისი მოცულობისა და მისი ექსპორტის გაფართოების პირობებში. ამასთან, განსაზღვრული სახეობების სასურსათო პროდუქტების იმპორტის (განსაკუთრებით, მარცვლეულის) კომპენსაცია უნდა ხდებოდეს სხვა პროდუქტების ექსპორტის ხარჯზე, რომლებზეც სპეციალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობა. ამის გარდა, საჭიროა სასურსათო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება. საჭიროა, მაგალითად, მეცხოველეობის განვითარება იალაღებსა (მთის საძოვრები) და ვაკეებში თესბზრუნვის აღდგენის შედეგად გაფართოებული საკვები ბაზის ხარჯზე. მარცვლეულის იმპორტის შენაცვლება მოხდება მეცხოველეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მეხილეობის და ა. შ. პროდუქციის ზრდის და ექსპორტის ხარჯზე. ესე იგი გრძელვადიან ასპექტში სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის და მომიჯნავე დარგების დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის აუცილებლობა.

ზემოთ მოყვანილიდან ნათელია, რომ **სასურსათო უსაფრთხოება** უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და, ეროვნულ დონეზე, საბაზრო კოორდინაციის ცალკე სეგმენტი (ისევე, მაგალითად, როგორც სამრეწველო პოლიტიკა ან ენერგოეკოლოგიური სექტორის რეგულირება, თუმცა ეკოლოგიური ფაქტორი სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტსაც წარმოადგენს). ამიტომ, ქვეყანაში 2006-2013 წლებში სამამულო სანედლეულო რესურსების ხარჯზე სასურსათო პროდუქციის წარმოების პერმანენტული დაქვეითებისა და იმპორტული პროდუქციის და სასურსათო სუროგატების მომრავლების პირობებში, **მიზანშეწონილია სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის რეანიმაციის პოლიტიკის ჩარჩოებში სპეციალური სამოქმედო პროგრამის შემუშავება.**

სოფლის მეურნეობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი რგოლია, მაგრამ მის მდგომარეობასა და დინამიკაზე გავლენას ახდენს მრავალი სხვა კომპონენტი (ფაქტორი, შემადგენელი), შიდა და გარეეკონომიკური, როგორც დაკავშირებული მომიჯნავე და საუზრუნველყოფო დარგების მდგომარეობასთან, ასევე მაკროეკონომიკურ, სახელმწიფოთაშორის, რეგიონალურ სახელმწიფოთაშორის და გლობალურ ფაქტორებთან.

თანამედროვე პირობებში, ქვეყნის დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ გლობალიზაციის ფაქტორი. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის რაციონალური ფორმირება და რეალიზაცია მსოფლიო სამეურნეო საქმიანობის სხვა მონაწილეების, მათ შორის გლობალური და რეგიონული სახელმწიფოთა შორის ორგანიზაციების, პრიორიტეტებისა და ქვეყნის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში, სასარგებლოა, ურთიერთკავშირში მომიჯნავე დამამუშავებელ და საუზრუნველყოფ (ლოგისტიკა, საქონელწაწვევა, კონსალტინგი და სხვა) საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დარგებთან, სოფლის მეურნეობის საბაზრო კოორდინაციის და სახელმწიფო რეგულირების სისტემის განხილვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესების გათვალისწინებით. საბაზრო კოორდინაციის სისტემაში საჭიროა ყურადღების გამახვილება ორგანიზაციის და მართვის თანამედროვე ქსელური მეთოდების განვითარებაზე (მეწარმეთა ასოციაციები, წარმოების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობის ქსელური ფორმები, სასურსათო პროდუქციის ბაზრის აგენტებს შორის ურთიერთმოქმედების და ურთიერთკავშირების თანამედროვე ფორმები). სახელმწიფო რეგულირების ფორმები უნდა ვითარდებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების განაწესების გათვალისწინებით, ამასთან, სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი ელემენტი ასევე იძენს ქსელურ ფორმას, მაგალითად, ბაზრის აგენტებთან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობა (ურთიერთკავშირი) მეწარმეთა ასოციაციების მეშვეობით.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს უკიდურესად აქტუალურ ამოცანას კიდევ იმიტომ, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში დაიწყო ფასების ზრდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის რიგ პროდუქტზე [22] (რაც ზრდის დანახარჯებს ამ პროდუქტების იმპორტზე). ეს ძირითადად განპირობებულია ორი გარემოებით. პირველი, ბევრ ქვეყანაში იზრდება ბიოსაწვავის წარმოების მოცულობა, რისთვისაც გამოიყენება რიგი მარცვლეული და სხვა კულტურა, ძირითადად საკვები, რის გამოც იზრდება ფასები ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე. მაგალითად, ბრაზილია საკუთარი ნავთობით ფარავს თავის მოთხოვნილებების მხოლოდ ნახევარს, საჭიროებების მეორე ნახევარს ის ფარავს ეთილის სპირტით, რომელსაც დებულობს სიმინდისაგან; სხვა ქვეყნები (აშშ, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, შვედეთი, ჩინეთი, მაღალიზია, ინდონეზია, ინდოეთი, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა) ასევე ზრდიან ბიოსაწვავის წარმოებას, ამასთან, გამოიყენება სხვადასხვა კულტურა – შაქრის ღერწაში (რომლისგანაც იწარმოება ყველაზე იაფი ბიოსაწვავი), სიმინდი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი და სხვა [22]. მეორე, ზოგიერთ სწრაფად განვითარებად ქვეყანაში, პირველ რიგში ჩინეთსა და ინდოეთში, საშუალო ფენის ზრდამ განაპირობა მათში მაღალხარისხიან შედარებით ძვირ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის მატება და ამ ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზრებზე ასეთი პროდუქტების შესყიდვის გაზრდა. ეს პროცესი ასევე ახდენს გავლენას სასურსათო პროდუქციის გაძვირების ტენდენციაზე.

განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო კომპლექსის რეგულირებისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ხერხი და

მექანიზმი, თუმცა სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების დონემ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირებამ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობების შესაბამისად, საგრძნობლად იკლო. ამასთან, არსებობს არა მარტო სახელმწიფო რეგულირება, არამედ კოორდინაცია მეწარმეების მხრიდან.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ფარგლებში პირდაპირი სუბსიდირებისა და ზოგიერთ სხვა ფორმასთან ერთად ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულში, სოფლის მეურნეობაში, მისი პროდუქციის გადამუშავების სამრეწველო კომპლექსში და პროდუქციის ბაზრებზე წაწვევის ქსელებში არსებობს მეწარმეობის რეგულირების (მხარდაჭერის) სხვადასხვანაირი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმა. ასე მაგალითად, სასურსათო ბაზრის რეგულირებას კანადაში ახორციელებს მწარმოებელთა 330 ასოციაცია (ხორბლის, შვრიის, კარტოფილის, რძის, ხორცის და მრავალი სხვა) და აკონტროლებს 120 პროვინციული სავაჭრო დეპარტამენტი. ამასთან, ერთი და იგივე ფერმერი შეიძლება იყოს რამდენიმე მწარმოებელთა ასოციაციის და რამდენიმე სავაჭრო გაერთიანების წევრი. ასოციაციების მეშვეობით ნაწილდება (მიიმართება) სუბსიდიები და დოტაციები, ასოციაციებს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის აძლევენ სამინისტროს გარანტიებს კრედიტებზე [26, გვ. 25].

სხვა ქვეყნებში სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის ასევე გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმა. ესპანეთში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყანაში ეს ამოცანა წყდება საბითუმო სასურსათო ბაზრების მეშვეობით. ნიდერლანდებში სასურსათო ბაზრის რეგულირება ხორციელდება ორ დონეზე: ევროკავშირის საერთო სასურსათო ბაზრის ჩარჩოებში და ეროვნულ დონეზე. რეგულირებას ძირითადად ახორციელებენ დარგობრივი აგროსამრეწველო ორგანიზაციები (კავშირები), რომლებშიც წარმოდგენილია სასურსათო კომპლექსის ყველა რგოლის ინტერესი – მწარმოებლებიდან მომხმარებლებამდე [26, გვ. 26, 27].

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, სასურსათო სექტორის სამამულო მეწარმეების სახელმწიფო მხარდაჭერის შიდა ზომები რეგლამენტირდება ევრეთ წოდებული “ყვითელი”, “ცისფერი” და “მწვანე კალათების” დებულებების მეშვეობით (იხ. მაგ., [30, გვ. 127-128; 31, გვ. 162]).

“ყვითელი კალათა” მოიცავს სამამულო მეწარმეების საფინანსო სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ზომებს, რომლებიც დაქვეითებას ექვემდებარება. ძირითადად ესაა სუბსიდიები და დოტაციები, რომელიც მიმართულია კონკრეტული პროდუქტების წარმოების ზრდაზე. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა წესებით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის სუბსიდიების უკიდურესი დონეც, რომელიც შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 10% (სხვა წყაროების მიხედვით – 5%).

“ცისფერი კალათა”, რომელიც აქტუალურია მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვის, აძლევს სახელმწიფოს ნებას, რომ მან არ შეუზღუდოს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს იმ თანხების გადახდა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მოცულობის შეზღუდვის პროგრამებთან ფიქსირებული საბაზო დონეების მიხედვით.

“მწვანე კალათა”, რომლის მოცულობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით არ იზღუდება და დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყნის შესაძლებლობებზე, მოიცავს სახრებს, რომლებიც მიიმართება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამეცნიერო გამოკვლევებზე, განათლებაზე და სწავლებაზე, საკონსულტაციო

მომსახურებაზე, რეგიონული განვითარების პროგრამებზე და სხვა. ამავე “კალათაში” შედის მწარმოებლებისათვის იმ თანხების გადახდა, რომლებიც არ არის დაკავშირებული წარმოების მიმდინარე მოცულობასთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამაჟამად არ შეიძლება უარის თქმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირების იმ ხერხების მაქსიმალური ზომით გამოყენებაზე, რომლებიც დაშვებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყვითელი კალათით. ასეთი ზომების გამოყენება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მოკლევადიან ასპექტში დღევანდელ პირობებში. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამამუშავების პროდუქტების შიდა ბაზრის დასაცავად გამოყენებული უნდა იქნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ყველა სატარიფო და არასატარიფო მეთოდი და, ასევე, ის მეთოდები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არ რეგლამენტირდება.

როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა გასაღების და ექსპორტის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულირებისა და კოორდინაციის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას (განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე ორიენტაციით). ბუნებრივია, ეს სრულყოფა უნდა ხდებოდეს კერძო საკუთრების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მოცვით განსაზღვრული სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერის პირობებში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოკლევადიან ასპექტში გამოცოცხლებისა და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიან ასპექტში მდგრადი განვითარების, მოდერნიზაციისა და შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფინანსო ღონისძიებების გამოყენებას, რომლებსაც მოიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის “მწვანე კალათა”. ასეთი მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის ყველა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმის მოდერნიზაციის სტიმულირება; ინოვაციების, მეცნიერების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება; კონსალტინგური საქმიანობის მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა (ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა); სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობა ისეთი საწარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ მომსახურებას; სახსრების გამოყოფა მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით; სახსრების გამოყოფა ცხოველების ავადმყოფობებსა და მცენარეების მავნებლებთან ბრძოლისათვის; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

როგორ ავუაროთ გვერდი საჭიროების შემთხვევაში ლეგალურად “ყვითელი კალათის” მოთხოვნებს? ზოგიერთ სფეროში შეიძლება სახელმწიფო ან შერეული საწარმოების შექმნა (ტექნიკური მომსახურება, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება). უშუალო მწარმოებელი ამ შემთხვევაში გადაიხდის მომსახურების საფასურს საბაზრო ფასების შესაბამისად და, მაშასადამე, სახელმწიფო მხარდაჭერის ფაქტს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება. ამიტომ, ადგილობრივი კერძო მეწარმეების წრეებში საფინანსო რესურსის ან სამეწარმეო ინვესტიციური აქტიურობის უკმარისობის (გაუბედაობა დიდი რისკების გამო) პირობებში საჭიროა საფონდო ბაზარში და საკუთრებაში სახელმწიფო მონაწილეობის გაზრდა, სახელმწიფო წილის შეძლებისამებრ მომდევნო მიყიდვით კერძო სექტორისათვის. “ყვითელი კალათის” გვერდით ავლის სხვა გზას წარმოადგენს საქონელწაწვევის კერძო სისტემების განვი-

თარება, სასურსათო კომპლექსის საწარმოების საქმიანობისა და ურთიერთ-მოქმედების პროგრესული ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმების შექმნა. პირველიც და მეორეც კარგად ჩაჯდება წარმოების ორგანიზაციის და მართვის ამჟამად სწრაფად განვითარებად ქსელურ ფორმებში.

მაშასადამე, შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში დავსახოთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი გზები ქვეყნის სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო კოორდინაციის სრულყოფისა და მომიჯნავე დარგებს და საქმიანობის სახეებთან ერთად სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე ამისათვის საჭიროა:

– შიდა საქონელბრუნვის ინტენსიურობის ზრდაზე მიმართული სახელმწიფო კოორდინაციის ინსტრუმენტებისა და ფასწარმოქმნის კოორდინაციის სახელმწიფო ზომების უფრო ფართო გამოყენება [4; 34] (შიდა საქონელბრუნვის სტიმულირებისა და ფასწარმოქმნის კოორდინაციის არაპირდაპირ მეთოდებს შორის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო სუბსიდირება, ფისკალური სისტემის მარეგულირებელი მექანიზმების გამოყენება, მიზანშეწონილი იმპორტული ტარიფების დადგენა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით);

– შიდა საქონელბრუნვის ყოველმხრივი განვითარება კოორდინაციაში ექსპორტ-იმპორტული საღდოს გაუმჯობესების ღონისძიებებთან [4; 34];

– აგრარული და მასთან დაკავშირებული სავაჭრო კომპლექსის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა ამ მიმართებით ყველაზე წინააღმდეგობის (უპირველეს ყოვლისა აშშ-ის) კანონმდებლობებზე ორიენტაციით. კერძოდ, კანონმდებლობაში გამოკვეთილი უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციები სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაში, აგრარული მეურნეობების სუბსიდირების, კრედიტის აღებისა და მათზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის თანამედროვე მექანიზმები, სასოფლო-სამეურნეო რესურსების რაციონალური გამოყენების კოორდინაციის მექანიზმები (უპირველეს ყოვლისა ნიადაგის დამცავი მექანიზმების), სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების პროგრამების განხორციელების წესები და სხვა (იხ. მაგ.: [7]);

– აგრარული სექტორის და ბაზრის მონაწილეების ორგანიზაციის, მართვის და ურთიერთკავშირების ქსელური ფორმების განვითარება, მათ შორის საუზრუნველყოფო ფორმებთან (ტექნიკური, მიწის რეკულტივაციისა და სხვა მომსახურების), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებთან, შიდა და საგარეო ბაზრებზე საქონელწაწვევის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან (საბითუმო ქსელები, გასაღება, ტრანსპორტირება, პროდუქციის შენახვა, მარკეტინგი და სხვა) ურთიერთმოქმედების სფეროში. *ინოვაციური განვითარების თანამედროვე პირობებში ფირმათაშორისი ურთიერთქმედების ქსელური ფორმების როლზე იხ. [23]- ში;*

– ქსელური ფორმების გამოყენება რეგულირდება სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც, კერძოდ, მწარმოებლებთან და ბაზრის სხვა აგენტებთან მეწარმეების ასოციაციების მეშვეობით ურთიერთკავშირის გზით;

– სამამულო სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის (საფინანსო დახმარება, სატარიფო პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათები და სხვა) შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენება იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომელიც დაწესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ;

– სასურსათო პროდუქციის სანიტარული კონტროლის სისტემის განვითარება, საკანონმდებლო წესით ისეთი სტანდარტების შემოღებით, რაც

მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში (საჭიროების შემთხვევაში მათი დაზუსტებით);

– სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ფორმების უფრო ფართო გამოყენება, რომლებიც თავმოყრილია “მწვანე კალათაში”, არაა შეზღუდული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესებით და დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს საფინანსო შესაძლებლობებზე;

– სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის გაზრდა (განსაკუთრებით ტექნიკური მომსახურების სფეროში) სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმაში (ბიზნესის გაძლიერება ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის სახელმწიფოს, მიერ არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან), მომდევნო თანდათანობითი გამოსყიდვით კერძო მეწარმეების მიერ;

– შეიქმნას კომერციული ბანკებისათვის სახელმწიფო გარანტიების მინიჭების მექანიზმი ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლისათვის გამოყოფილ კრედიტზე. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. კოდუაშვილი, მაღალი რისკების პირობებში ბანკებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ კრედიტების მიცემის პირობები [9], მაგრამ მაღალი რისკის მატარებელი სასოფლო-სამეურნეო პროექტების განხორციელების განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში (რომელთა დაკრედიტებას ბანკები ვერ ბედავენ), ბანკებს უნდა გადაეცეს სახელმწიფო გარანტიები ასეთი კრედიტების გაცემაზე, ასეთი გარანტიების მიცემის საკითხები კი უნდა შეთამხმებული იყოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებს, ბანკებს და მწარმოებელთა ასოციაციებს შორის, როგორც ეს, მაგალითად, ხდება კანადაში (იხ. ზემოთმოყვანილი ციტატა ვ. დობროსოცკის სტატიიდან);

– სასურსათო პროდუქციის ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობის თანდათანობითი ოპტიმიზაციის განხორციელება ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების, მისი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციისა და, ასევე, სასურსათო პროდუქციის საჭირო სახეების იმპორტის სპეციალიზაციის დარგების პროდუქციის ექსპორტით კომპენსაციის აუცილებლობის გათვალისწინებით;

– სამამულო მწარმოებლების მიმართ პროპაგანდისტული, მარკეტინგული და საკონსულტაციო გავლენის განხორციელება იმ მიზნით, რომ მათ გააფართოვონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და ამისათვის გამოიყენონ სასელექციო, სანაშენო და სხვა შესაბამისი მეურნეობების მომსახურება.

3. მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების კოორდინირებული განვითარება

მრეწველობის პოსტსაბჭოური ჩავარდნის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ მსუბუქი მრეწველობის ის დარგები (საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ავეჯის მრეწველობები), რომლებშიც წარმოება დაკავშირებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის პროდუქციის (ტყავის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ხის) გადამუშავებასთან. მრეწველობის ამ დარგებში წარმოება პრაქტიკულად ნულოვან დონემდე შეიკვეცა. ეს გამოწვეული იყო ამ დარგებში ტექნოლოგიების მოძველებით, გასაღების შესაძლებლობების დაქვეითებით, ისეთი მეწარმეთა ფენის არარსებობით, რომელთაც პრივატიზაციის პროცესის შემდეგ წარმოების მოდერნიზაციის უნარი ექნებოდათ. შეწყდა წარმოება იმ საწარმოებშიც, რომლებიც უშვებდნენ მსოფლიო სტანდარტების მიხედვით კონკურენტუნარიან და ადვილად გასაღებ პროდუქციას (მაგალითად, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში),

რადგანაც იმ პერიოდში არ აღმოჩნდნენ მეწარმეები, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი წარმოებების მართვის უნარი ექნებოდათ. ყველაფერი ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, რადგანაც შიდა ბაზარზე, შესაბამის ნედლეულზე მოთხოვნის არარსებობის გამო, გაძნელდა მისი რეალიზაცია და დაიწყო მისი წარმოების შეკვეცა, დაქვეითდა ასეთი ნედლეულის ხარისხი და შემცირდა მისი ასორტიმენტი (მაგალითად, მეცხვარეობაში მატყლის, რის გამოც ის ძნელად სადღება როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზარზე) [5; 6; 19; 20]. ამ დრომდე პრაქტიკულად ვერ მოხერხდა ბიზნესის ინიცირება მრეწველობის აღნიშნულ დარგებში წარმოების წამოწყებისათვის, ამასთან, ტექნოლოგიური ჯაჭვების ყველა რგოლის ჭრილში, რაც ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას შესაბამისი პროდუქციის იმპორტზე, არ იძლევა ქვეყნის ექსპორტული პოტენციალის ზრდის შესაძლებლობებს, ამცირებს დასაქმებასა და წარმოების მოცულობას სოფლის მეურნეობაში, რომ არაფერი ვთქვათ დასაქმების მიზერულ მასშტაბებზე მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგებში. დიდი დანაკარგი მსუბუქ (ამ შემთხვევაში ავეჯის) მრეწველობას მიაყენა ტყის არაკონტროლირებადმა მიყოლებულმა გამოჩეხვამ (განსაკუთრებით მერქნის ფასეული ჯიშების) დაუმუშავებელი მერქნის მომდევნო ექსპორტით.

ამასთან, ამ დარგებში ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების აღდგენის ერთეული შემთხვევები სწრაფად ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის შესაბამისი დონის მიღწევას. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა მათი გამოყენების ყველა წვრილმანის (დეტალების) ცოდნის გარეშე, არ იძლევა კონკურენტუნარიანობის საჭირო დონის მიღწევის შესაძლებლობას. ამიტომ, ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის დროს საჭიროა კონსალტინგური და ინჟინერინგული ორგანიზაციების მომსახურების გამოყენება. ასეთი მომსახურება კი საქართველოში ჯერ ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

ჩვენი აზრით, მსუბუქი მრეწველობის აღნიშნული დარგებისა და მათთვის ნედლეულის მიწოდებელი სასოფლო-სამეურნეო დარგების კოორდინირებული განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალური “ქმედებების პროგრამის” შემუშავება. ასეთ პროგრამაში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული და ჩამოყალიბებული უნდა იქნეს:

– ასეთი განვითარების მიზნები, შესაბამისი დარგების და დამხმარე ორგანიზაციების საქმიანობის განვითარების კონკრეტული საჭირო მიმართულებები;

– საჭირო სექტორებში (მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგები; საჭირო კონსალტინგური, ინჟინერინგული, გასადგების ხელშეწყობისა და სხვა სტრუქტურები) მეწარმეობის განვითარების მიმართულებები;

– დონისძიებები, მიმართული შესაბამისი ბიზნესსტრუქტურებისა და, ასევე, სოფლად მცირე საშინაო მეურნეობების მხარდაჭერასა და სტიმულირებაზე;

– შიდა ბაზრის დაცვისა და პროდუქციის შესაბამისი სახეების ექსპორტის მხარდაჭერის მექანიზმები (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმების, საფეიქრო პროდუქციის შესახებ შეთანხმებისა და სხვა მიწერილობებისა და მიზანდასახულობების გათვალისწინებით);

– წინადადებები საზოგადოებრივი ბიზნესსტრუქტურების (გაერთიანებების, ასოციაციების) შექმნის შესახებ აღნიშნულ დარგებს შორის საწარმოო ურთიერთობების მოწესრიგებისა და პროდუქციის გასადგების კოორდინაციის

მიზნით. ამასთან, ერთი და იგივე მეწარმე შეიძლება რამდენიმე ასოციაციის წევრი იყოს, რადგანაც ნებისმიერი ფერმერი აწარმოებს რამდენიმე სახის ნედლეულს (მაგალითად, ხორცს, რძეს, ტყავს, მატყლს, აბრეშუმის პარკს და ა. შ.). იმისათვის, რომ შეიქმნას ეფექტიანი წარმოება კონკრეტული ნედლეულის გადამუშავების მთელ სტადიაზე, შესაბამისი სახის მეწარმეებს შორის უნდა ხდებოდეს კოორდინაცია, ამიტომ ყოველი საბოლოო პროდუქტის ჭრილში უნდა არსებობდეს მეწარმეთა ასოციაცია, რომელშიც განისაზღვრება კოორდინაციის საჭირო საკითხები. ზუსტად ასეთი ტიპის ასოციაციები კონკრეტული საკვები პროდუქტების მიხედვით, არსებობს, მაგალითად კანადაში. მით უმეტეს, მსგავსი ტიპის ასოციაციების არსებობა საჭიროა საქართველოში, სადაც დღის წესრიგში დგას წარმოების მრავალი სახეობის რეანიმაცია.

დასკვნა

მაშასადამე, სოფლის მეურნეობის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული და ეკორესპონდენტება მთელი ეკონომიკის (განსაკუთრებით მრეწველობის) განვითარებას. ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის არსებობა ნიშნავს, რომ მთელი ეკონომიკა ვითარდება არაადეკვატურად, რომ კაპიტალის (როგორც ფიზიკურის, ასევე ადამიანურის) ხარისხი, ტექნოლოგიების და ტექნოლოგიური ცოდნის დონე დაბალია, საკუთრების ფორმები და ინსტიტუტები არ არის დამაკმაყოფილებელი, რესურსები (ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური და ა. შ.) არ გამოიყენება რაციონალურად, ეკონომიკის სტრუქტურა არაპროგრესულია, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ბიზნესკოორდინაცია არაეფექტიანია. ამიტომ საჭიროა საკუთრების ფორმებისა და მათი უზრუნველყოფი ინსტიტუტების რაციონალიზაცია, თანამედროვე პირობებისადმი ადეკვატური სახელმწიფო და ბიზნესკოორდინაციის ფორმების განვითარება, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იქნეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი, ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურების რაციონალიზაციაზე. სოფლის სახელმწიფო მხარდაჭერა ორიენტირებული უნდა იყოს ორ ძირითად მიმართულებაზე: პირველი – აგროსამრეწველო ბიზნესის უშუალო სუბსიდირება კოოპერატიული, ფერმერული და საშინაო მეურნეობების გაკოტრების აცილების, მათი ინოვაციური განახლების უზრუნველყოფისა და აგრომრეწვის იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტული პოტენციალის ზრდის მიზნით; მეორე – გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება (გარე და შიდა გზების გაყვანა, მომსახურების სფეროს განვითარება, მიწების გაკეთილშობილება და ა. შ.). სახელმწიფო და ბიზნესკოორდინაცია მიმართული უნდა იყოს აგრარულ სექტორსა და ბაზრის სხვა მონაწილეებს შორის ორგანიზაციის, მართვის და ურთიერთმოქმედების ქსელური ფორმების განვითარებაზე, მათ შორის, უზრუნველყოფელ ფორმებთან (ტექნიკური მომსახურების, მიწების რეკულტივაციისა და სხვა სახის მომსახურების), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებთან (კვების და მსუბუქი მრეწველობის დარგებში), საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის წაწვეას საშინაო და საგარეო ბაზრებზე (საბითუმო ქსელები, საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტირება, პროდუქციის შენახვა, ხარისხის კონტროლი, მარკეტინგი და ა. შ.). აგროსამრეწველო სექტორის ბიზნეს-კოორდინაციაში საჭიროა მისი ისეთი ფორმის შესაძლებლობების უფრო ფართო გამოყენება, როგორცაა მწარმოებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა ასოციაციები, რომელთა ფორმირება ხდება იმ ტექნოლოგიური ჯაჭვების მოცვის ფარგლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაზღვრული საბოლოო პროდუქტების მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ., დათუნაშვილი ლ. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების რეგულირების პრობლემები. – Proceedigs of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU. Editor-in Chief R. Abesadze. Vol. IV. Tbilisi: 2011.
2. ბურდული ვ., დათუნაშვილი ლ. სასურსათო უსაფრთხოება როგორც რეგულირების ობიექტი. – In the collected articles: The Priorities of Agriculture Steady Development. International Scientific-Practical Conference (2011, 28-29 October). Tbilisi. Publishing House of Tbilisi State Univercity, 2012.
3. ბურდული ვ., ქავთარაძე თ. სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების განვითარება. – წიგნი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსახრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი: რ. აბესაძე. – თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.
4. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). თავი III.4. ფასწარმოქმნის კოორდინაცია და მისი როლი საქართველოს ეკონომიკური განვითარების რეგულირების თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბებაში. – თბილისი, “მეცნიერება”, 2004. III.4.
5. დათუნაშვილი ლ. მეაბრეშუმეობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში. – Proceedigs of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU. Editor-in Chief R. Abesadze. Vol. III. Tbilisi: 2010.
6. დათუნაშვილი ლ. მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების გზები. – კრ.: “საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”. მთ. რედ. გ. წერეთელი. ტ. III. თბილისი, “მეცნიერება”, 2003.
7. კოლუაშვილი პაატა. რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილება. ქ. ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი VIII, №1, 2015.
8. კოლუაშვილი პ. მართვა სასურსათო უშიშროების პოტენციალით. – “აგრარული ეკონომიკის მოამბე”, 2010, ტ. 4.
9. პაატა კოლუაშვილი – კომერციული ბანკების ამარა დატოვებული სოფელი სოფლის მეურნეობის პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. 01-04-2013. – ელექტრონული რესურსი:
<http://www.interpressnews.ge/ge/interviu/234849-paata-koghuashvili-komerciuli-bankebis-amara-datovebuli-sofeli-soflis-meurneobis-problemebs-ver-gadatsyvets.html?ar=A>
10. რევიშვილი ზ. საქართველოს აგრარული პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრის საკითხები. 2011. – ელექტრონული რესურსი:
<http://georgiamonitor.org/upload/medialibrary/faf/faf06e586d67aae8e1bba05a70o25dc.pdf>
11. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011 (სტატისტიკური კრებული), თბილისი, 2013.
12. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2014 (სტატისტიკური კრებული), თბილისი, 2016.
13. საქართველოს სოფლის მეურნეონა 2009 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 2010.
14. საქართველოს სოფლის მეურნეონა 2011 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 2012.
15. საქართველოს სოფლის მეურნეონა 2015 (სტატისტიკური კრებული). თბილისი, 2016.

16. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009 / საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. – თბილისი, 2009.

17. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2013.

18. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2015.

19. ქავთარაძე თ. გლობალიზაცია და მეცხვარეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. – Proceedings of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU. Editor-in Chief R. Abesadze. Vol. V. Tbilisi: 2012.

20. ქავთარაძე თ. წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის პრობლემები საქართველოს მეცხოველეობაში. – წიგნში: საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი მიმართულება (მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები). რედაქტორი რ. აბესაძე. – თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

21. ჭელიძე ქ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება. 14.07.2011. – ელექტრონული რესურსი: <http://www.ambioni.ge/saqartvelos-sasursato-usaftrxoeba>

22. Архипов В. К вопросу о мировом продовольственном кризисе. – Экономист, 2009, №3.

23. Берулава Г. О роли формальных и неформальных институтов в регулировании межфирменных отношений. – В сб.: Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava “Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage” (28-29 June, 2013). Tbilisi: 2013.

24. Бурдули В. Генезис и пути преодоления аграрного кризиса в Грузии. – В сб.: Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava “Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage” (28-29 June, 2013). Tbilisi: 2013.

25. Горбачева А. А., Меринов М. А. Макроэкономические императивы обеспечения продовольственной безопасности России. – Экономический вестник Ростовского государственного университета. – 2008, т. 6, №4, ч. 4.

26. Добросоцкий В. Государственное регулирование продовольственного рынка (зарубежный опыт). – МЭиМО, 2000, №9.

27. Итоговые документы мирового саммита. – Рим: всемирная конференция по продовольствию, 1996.

28. Кузин В. Н. Продовольственная безопасность как научная категория и практическая проблема. – Вестник Поволжской академии государственной службы. 2010, №1 (22).

29. Оболенцев И.А., Корнилов М. Я., Синюков М. И. Продовольственная безопасность России: еще один взгляд на проблему. – М.: Изд-ство РАГС, 2006.

30. Резникова О. С., Ермаков А. Е. Интеграция Украины в ВТО, как процесс глобализации, затрагивающий продовольственную безопасность страны. – Труды одиннадцатой международной конференции студентов и молодых ученых «Управление развитием социально-экономических систем: глобализация, предпринимательство, устойчивый экономический рост». Часть 4. Донецк: ДонГУ, 2010.

31. Соловьева Т. Н., Липченко Е. А. Продовольственная безопасность России в преддверии вступления в ВТО. – Вісник СНАУ, випуск 5/2, 2010.

32. Турбан Г. В. Развитие международной торговли и рост протекционизма. – Вісник Донецького національного університету, Сер. В: Економіка і право, Вип. 2, Т. 2, 2010.

33. Ушачев И. Продовольственная безопасность страны: проблемы и решения. – АПК: Экономика и управление, 2006, №3.

34. Церетели Г., Бурдули В. Проблемы развития товарного рынка Грузии на фоне эволюции мировой экономической системы. – В журнале: Экономическая наука современной России, 1999, №4.

*Vakhtang Burduli
Nanuli Arevadze*

THE PROBLEMS OF COORDINATED DEVELOPMENT OF BRANCHES OF AGRICULTURE WITH RELATED INDUSTRIES AND SERVICES

Annotation

The paper discusses and systematizes the causes of permanent decline in agricultural production in Georgia in 2006-2012. With this in mind, to ensure the revival of agricultural production, the ways of improving the state mechanism regulation of business and the coordination of the economy are planned and substantiated in the context of the industry supporting of food security of the country (sectors of agriculture, food industries, maintenance and other service industries) and in the context of related sectors of agriculture and light industry.

როლანდ სარჩიმელია

ინოვაციური ეკონომიკა საქართველოს მიწნეობაში

კაცობრიობის წყობიდან გამომდინარე, განხილულია ინოვაცია, როგორც სიახლე მეცნიერებაში, რომლის ზრდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაფიქსირდა და შეიქმნა მეცნიერების ცოდნის ეკონომიკით გაძლიერების პირობები.

დასასიათებელია მბრძანებლური დაგეგმვის ინერციით და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შეუძლებლობით გამოწვეული სიძნეელები პოსტსაბჭოთა საქართველოში.

ინოვაციური ავტომატიზმის ეკონომიკაში დამკვიდრებასთან ერთად, მსჯელობა ჩატარებულია მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთშემავსებელ პროცესებზე.

1. ინოვაცია და ინოვაციური ეკონომიკა

ინოვაცია მეცნიერულ ცოდნასა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში. ინოვაციური ეკონომიკა ემყარება მეცნიერულ ცოდნას, წარმოების ორგანიზაციასა და მართვის სრულყოფილ მეთოდებს. ინოვაციურ ეკონომიკას ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკასაც უწოდებენ, სადაც მთავარ სიმდიდრედ გვევლინება ცოდნა, ადამიანის ინტელექტი და არა მიწის წიაღისეული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში³⁹.

ინოვაცია ახალი ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და მართვის პროგრესული ფორმების დანერგვაა წარმოებაში. ინოვაცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოგონება, ხოლო ინოვაციური ეკონომიკა გულისხმობს წარმოებაში თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების კომპიუტერიზაციას, რობოტული, ბიოტექნოლოგიის უკიდურეს ინფორმაციის ველში მუდმივ ყოფნას⁴⁰.

³⁹ ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2006, გვ. 386-390.

⁴⁰ რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010, გვ. 151.

ინოვაცია მართვის ობიექტის ძირითადად შეცვლისა და ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, მეცნიერულ-ტექნიკური ეფექტის მიღების მიზანია. იგი ცოდნაზე დამყარებული და თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვასაც ნიშნავს.

ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნის ნაკადს და სწრაფად ფორმირებადია. ამ მხრივ ბიზნესსაქმიანობის გამოცალკეება მეცნიერებისათვის პერსპექტიულია.

ინვესტიცია⁴¹, როგორც მომგებიანი კაპიტალდაბანდება, უკავშირდება ინოვაციას და კიდევ უფრო აძლიერებს მას, მისგან და გლობალიზაციის გავლენით საქართველოს ეკონომიკა დამაკვალიანებელ იმპულსებს იღებს. შედეგად, შესაძლებელი ხდება ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი საშუალებების ამალგება მსოფლიოს ეკონომიკის წარმატებულ დონემდე. დღეისათვის ინოვაციური ეკონომიკა წარმატებული ფორმირების პროცესშია და ეფუძნება ცოდნის ნაკადს.

კაცობრიობის ეკონომიკური წყობა ადამიანთა საზოგადოებიდან მომდინარეობს და დაუსრულებლად გრძელდება. მას თან სდევს წინააღმდეგობების გადალახვაც. მსოფლიოში ის მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან დაიწყო და გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნეში. ამასთან ერთად, გარდაიქმნა ძველი სოციალისტური წესწყობლებაც და მან მიიღო სახელწოდება მრეწველობა.

აღვნიშნაუთ იმასაც, რომ ძველ ეკონომიკურ წყობაში მოხდა „უდიდესი რევოლუცია“. ამასთან დაკავშირებით მსჯელობა ჩატარებული აქვს ნოე ჟორდანიას⁴², რომ 1769 წელს უბრალო ხელოსანმა ჯეიმს უატმა სართავი იარაღი ავტომატური წესით აამუშავა. ამით დაფიქსირდა საქონელსა და მუშაკს შორის ტექნიკის ჩადგომა, ცივილიზაცია შეიცვალა, ცოდნის განვითარებამ შექმნა ინოვაციური მეცნიერების საფუძველი.

XXI საუკუნიდან ცოდნა კიდევ უფრო გაძლიერდა. მან განსაკუთრებული ცვლილებებით დაიწყო დამკვიდრება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, მაგრამ არცთუ ისე დიდი ტემპებით, რაც აუცილებელი იყო საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის საქართველოში.

რ. აბესაძის⁴³ ნაშრომში მსჯელობაა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მის ეკონომიკურ დაქვეითებასა და არსებული ინოვაციური სისტემის დეგრადაციაზეც, მათ შორის სამეცნიერო პოტენციალის დაქვეითებაზე, რომ მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლამ სახელმწიფოს მეცნიერებისა და გამომგონებლობის სტიმულირების დაქვეითება გამოიწვია. დღეისათვის პოსტ-საბჭოთა საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციების იმპორტს, რომელიც მოსალოდნელია, დიდხანს გაგრძელდეს. გარდა ამისა, ისტორიული ეპოქების მიხედვით მოყვანილია ტექნოლოგიური ინოვაციები, რომელიც წარმოდგენილია შვიდ ეტაპად, სადაც მეშვიდე განვითარების პროცესია. იგი, როგორც ინდუსტრიული ცივილიზაცია, ემატება XXI საუკუნის გლობალიზაციას. ახალი იდეებით ინოვაციებს მსოფლიოში ადგილი ჰქონდა „უხსოვარი დროიდან“, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი იყო, მაგრამ თანდათანობით მცირდებოდა.

⁴¹ რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010, გვ. 149-150.

⁴² ნ. ჟორდანი. რწეული ნაწერები. გამომცემლობა „საქართველო“. თბილისი, 1990, გვ. 280.

⁴³ რ. აბესაძე. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. 2016, გვ. 8-9.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით სწრაფად იზრდება დასაქმებულთა განათლების დონე, ხოლო ინოვაციური ეკონომიკა მაღალგანვითარებულ მეცნიერ კადრებს მოითხოვს.

მომავლისათვის მრავალმხრივი სიახლეებია მოსალოდნელი მეცნიერებაში, რომელიც შეიძლება დაზუსტდეს მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთშემავსებელი განვითარების კვლევიით.

2. მბრძანებლური დაგეგმვის ინერციით და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შეუძლებლობით გამოწვეული სიძნელები პოსტსაბჭოთა საქართველოში

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის გაძლიერებასთან ერთად, მსოფლიოში დამკვიდრდა მეცნიერული დარგების განვითარების პირობები და მათთან ერთად მართვის ახალი სამეცნიერო მიმართულება, კიბერნეტიკა⁴⁴.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს მეცნიერ კადრთა შემოქმედების შედეგები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც მაღალი იყო, მაგრამ არცთუ ისე მრავალმხრივი, რომელიც 21-ე საუკუნის პოსტსაბჭოთა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან დამკვიდრებას სჭირდებოდა.

ძველი ეკონომიკური წყობა, რომელიც დაფიქსირებული იყო მერვე საუკუნის ბოლო პერიოდადღე, ხასიათდებოდა თავისებურებით, როდესაც ტექნიკა მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა.

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების პერიოდის ტექნიკური მონაპოვარი წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი შრომის ნაყოფს წარმოადგენდა და უშუალოდ არ იყო დაკავშირებული მეცნიერებასთან⁴⁵.

უკვე მერვე საუკუნის ბოლოდან, მეცნიერება მსოფლიოში გაუთანაბრდა ტექნიკის წინსვლას, მაშინ მნიშვნელოვნად ამაღლდა მეცნიერების როლი. მეცნიერებამ გაუსწრო რა ტექნიკის განვითარებას, იგი ტექნიკური პროგრესის წამყვანი ფაქტორი გახდა⁴⁶. მეცნიერება წარმოიშვა წარმოების განვითარების მოთხოვნათა ბაზაზე, იგი ობიექტურ აუცილებლობად იქცა.

დღეისათვის მეცნიერების მიერ დამყარებული წესრიგის შედეგად მეცნიერება წარმართავს ტექნიკის განვითარებას. საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების კვლევის შედეგები უფრო უშუალო გამოყენებას პოულობს წარმოების ქიმიურ მრეწველობაში, ფიზიკის დარგში იზრდება და ფართოვდება მათემატიკის როლი და მნიშვნელობა, ასევე ეკონომიკაში და ა.შ.⁴⁷

ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკაში ცოდნა გადამწყვეტ როლს ასრულებს მეცნიერების წარმატებისათვის, ცოდნის წარმოება გვევლინება ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან წყაროდ, რომელსაც ძალუძს დიდი წვლილი შეიტანოს სამყაროს წარმოშობის საიდუმლოების ამოხსნაში.

როგორც ცნობილია⁴⁸, სოფლად ცხოვრების აღორძინების საფუძველია მისი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რომლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობა გლეხური (ფერმერული) მეურნეობის განვითარებაა. დღევანდელ პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის თითქმის 80% იწარმოება საოჯახო მეურნეობაში. ოჯახური მეურნეობა ის საწყისი ბაზაა,

⁴⁴ რ. სარჩიმელია. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში. თბილისი, „მეცნიერება“, 1989, გვ. 113-133.

⁴⁵ ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2006, გვ. 140.

⁴⁶ იქვე, გვ. 141.

⁴⁷ იქვე, გვ. 9.

⁴⁸ მ. ქეზური. პოსტსაბჭოთა საქართველოს სოფლის მოდელის ფორმირებისათვის. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. №5, სექტემბერი-ოქტომბერი, 2003, გვ. 176.

რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება, ქვეყანაში შეიქმნას მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობები.

ჩვენს ქვეყანას ისტორიულად ყოველთვის გააჩნდა ოჯახური მეურნეობის შემოქმედებითად წარმართვის უნარი, რაც განაპირობებს საქართველოს მოსახლეობის საშუალო ფენის მაღალ მეცნიერულ პოტენციალსაც.

ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან საქართველოში არსებობდა „ხოდა-ბუნები“⁴⁹, რაც წარმოიშვა ქვეყნის სამეურნეო განვითარების ბუნებრივი ისტორიული პროცესების შედეგად. გაერთიანებულ თითოეულ კომლში ის შეადგენდა ქვეყნის თავისებურ ძლიერებას, დღეს იგი ამოგდებულია ქართული ცხოვრების წესიდან. მაშინ კომლი აღიქმებოდა როგორც ოჯახი და წარმოადგენდა სამ და ოთხ თაობიან საგვარეულოს წარმონაქმნს, რომელთა გათვალისწინება დღეისათვის და მომავალშიც პერსპექტიულია.

მბრძანებლური დაგეგმვიდან დამოუკიდებელი ეკონომიკის ფორმირების სიძნელეები მრავალმხრივია, მათგან გამოვყოფთ შედარებით მარტივი აგრარული წარმოების შემთხვევას, რომელიც ეხება გლეხური მეურნეობის შემცირებას და ფერმერული მეურნეობის გამსხვილებას⁵⁰. ასეთი შემთხვევა სხვაგვარად შეიძლება დაგვასახელოთ, მაგალითისათვის წარმოვადგინოთ საინტერესო წინადადება, რომელიც ეხებოდა სოფლად მეწარმისაგან მსხვილი ფერმერული სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის ყველაზე მისაღები ფორმის შექმნას. იგი ეხება საწარმოთა კოოპერატივის მსგავს კოლმეურნეობას, რაც შეიძლება მისაღებ ეფექტიანობად ყოფილიყო გამოყენებული⁵¹. სამწუხაროდ, ეს წინადადება არ განხორციელდა, თუმცა კარგი მაგალითია იმისათვის, რომ მას ეფექტი ექნება. ასეთ გარდაქმნებზეც ეკონომიკაში უარი არ უნდა ვთქვათ.

3. ინოვაციური ავტომატიზმი ეკონომიკაში, მსჯელობა მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთშემავსებელ პროცესზე

აღამიანთა საზოგადოების სულიერ ერთიანობაზე დამყარებული და ეკონომიკური ურთიერთობებით გამოვლენილი ცოდნის ეკონომიკა, უმაღლესი დონის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, დღეისათვის შემოქმედებით მოქმედებაშია მოყვანილი. გლობალიზაციის შესაბამისად, ის ქვეყნებში აღამიანთა სასიკეთოდ გამოყენებულ პროცესებზე ახდენს მასტიმულირებელ გავლენას.

გონიერი აღამიანი ბედნიერია კეთილ საზოგადოებაში. აღამიანები სიკეთეს ქმნიან, მაგრამ ამ სიკეთეს ბოლომდე ვერ ხარჯავენ, თუმცა საზოგადოება ამას როგორ მოიხმარს, ეს დამოკიდებულია გარემოზე, ისე, როგორც მცენარის თესვში ჩადებული გამრავლების პროგრამა, ნოყიერ ნიადაგში აღმოცენებული ნაყოფი.

აღამიანში ძირითადია გონივრული შრომა და, მარადიული ძრავის მსგავსად, ეკონომიკური ავტომატიზმი დამკვიდრებული ცხოვრებაში.

აღამიანი მიზანმიმართულია იმისაკენ, რომ დაიკმაყოფილოს როგორც ფიზიკური მოთხოვნები, ასევე სულიერი მოთხოვნები. ფიზიკური მოთხოვნების შემთხვევაში, მაგალითად საკვები პროდუქტების შემთხვევაში, ყველას რომ თანაბრად მიეცეს ის, რაც სჭირდება, საკმარისი არ აღმოჩნდება.

დაგუშვათ, რომ რამდენიმე წლის წინ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნებს უცვლელად დაგვტოვებთ (მაგალითად, ვიშიმშილოთ ზომიერების ფარგლებში,

⁴⁹ იქვე, გვ. 168.

⁵⁰ რ. სარჩიშვილი, ზ. რევიშვილი. აგრარული წარმოების ტექნოლოგიური საფუძვლების ფორმირებისათვის. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, №1, გვ. 136-137.

⁵¹ ვ. ბურკაძე. წერილი ფერმერული მეურნეობის კოოპერირება მსხვილი სასაქონლო მეწარმეობის განვითარების საფუძველია. ჟურნ. „ეკონომისტი“, №9, 2009, გვ. 118-119.

თანაც ვისარგებლოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიკეთით), მაშინ მოსალოდნელია, რომ საკვები პროდუქტებით ყველა ადამიანის თანაბრად დაკმაყოფილებას შევძლებთ.

ამაზე ლოგიკური მსჯელობის უნარის მქონე მკითხველი დაგვეთანხმება, მაგრამ იგი მაინც იძულებულია განაცხადოს, რომ ადამიანის მოთხოვნები იმდენად იცვლება, რომ შეუძლებელი გახდება ყველა ადამიანის მოთხოვნის თანაბრად განაწილება.

მეცნიერებისა და რელიგიის ერთიანობაში ადამიანები ააქტიურებენ გენიოსურ აზროვნებას, რაზედაც დადებით ზემოქმედებას დროის პროგრესი ახდენს, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში.

ღმერთის სიბრძნისა და კეთილი შინაარსის დასტურია სამყაროს ჰარმონიულობა, განუსაზღვრელად განსაზღვრული და თითქოს შემთხვევითი, მაგრამ მაინც ობიექტურად აუცილებელი მოქმედებებით. ჩვენ ხომ მარადიული შემოქმედის შთაგონებით ვარსებობთ. ღმერთის მიერ ბოძებულ შესაძლებლობებს როგორც წამყვან ძალას ვეყრდნობით, ხოლო მეცნიერებისა და რელიგიის ერთიანობის გამოყენებით, თანაც გენიოსური აზროვნებით, ვცდილობთ ქაოსის დარეგულირებასა და თვითორგანიზებას, რომელსაც უზიდავი ხელი წარმართავს (ეკონომიკურ ავტომატიზმს) მეცნიერების ინოვაციაში.

ღმერთმა ადამიანი ცხოველთა სიმრავლიდან გამოყო და შრომის გონივრული უნარი მისცა. ადამიანი გამრავლებით დაფუძნდა დედამიწაზე, რაშიც სამყაროს ალგორითმით მეცნიერებისა და განათლების სისტემა ფიგურირებს⁵².

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიანია, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევა (ეკონომიკის აღორძინება-განვითარება) უნდა მივუდგეთ სისტემურად და მასშტაბურად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სულიერი და ეროვნული ღირებულების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობასა და კულტურაზე ზრუნვა.

გასათვალისწინებელია ის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ ეკლესიის სახელმწიფო გაძლიერებას ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დააკისრა, რომელიც მამულის, ერის და სარწმუნეობის მოვლა-პატრონობაში მდგომარეობს. მისი აღქმა გენიოსურად მოაზროვნეთა მეშვეობით მიმდინარეობს ადამიანთა აზროვნების დასაკვალიანებლად და გასადრმაველად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მამა ღმერთის – უდიდესი მეცნიერის შემოქმედების შემდგომი გაგრძელებაა. ამ მხრივ აღსანიშნავია სინერგია – ღვთისა და ადამიანის ენერჯის გაერთიანება⁵³.

ჩვენი წელთაღრიცხვიდან საუკუნეების განმავლობაში რელიგიამ დედამიწაზე მრავალი სიკეთე დააფუძნა.

საქართველოში აუცილებელია აგრარული სექტორის განვითარება და ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე, შიდა ბაზრის დაცვა, თან სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გადაქცევა და შესაბამისი ტურიზმის გათვალისწინება, რომელზედაც მოთხოვნა ჩვენს ქვეყანაში მაღალია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მცირე ქვეყანა პოლიტიკურ გლობალიზაციაში არ უნდა ჩაერთოს, როგორც მხოლოდ დახმარების მიმღები⁵⁴.

⁵² ა. გორბოვსკი. ფაქტორები, ვარაუდები, ჰიპოთეზები. მოსკოვი, „ცოდნა“, 1988, თავი IV: სამყაროს ალგორითმი, გვ. 199-228. რუსულ ენაზე.

⁵³ რ. სარჩიშვილი, გ. ლობჯანიძე. მეცნიერება და რელიგია ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში. ყოველთვიური ჟურნ. „ეკონომიკა“, 2013, №7-8, გვ. 211.

⁵⁴ რ. ასათიანი. ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეგულირების სისტემაში. თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებუ-

საბაზრო ეკონომიკის გავლენით გლობალიზაცია მეტწილად წარმატებულია განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ მათში მაღალი დონის ტექნოლოგია პატარა ქვეყნების არსებობას ემუქრება. ამაში დამამედებელ გავლენას მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთშემავსებელი პროცესები იძლევა.

ეკონომიკური ავტომატიზმი (მისი ბუნება და მოქმედების არეალი) წარმოადგენს „თვითმოდრავს“ და განპირობებულია „მაკონტროლებელი ინსტიტუტით“. იგი სამუშაოს შესრულების ბუნებრივი პროცესია და სამუშაოს შემსრულებელში პოტენციური პროგრამის სახით დევს.

ეკონომიკური ავტომატიზმი აღმოცენდა მაშინაღურად, საკუთარი ინიციატივის სახით და იგი მოქმედებას ავტომატურად იწყებს⁵⁵. ეკონომიკური ავტომატიზმის სახით პროგრამას ალგორითმი გააჩნია. ადამიანი ქმნის კერძო საკუთრების გეგმა-პროგრამას, რომელიც საჭიროებისამებრ სხვა ადამიანსაც გადაეცემა, რაც თავს იჩენს ინოვაციის სახით მეცნიერების ეკონომიკაში და ადამიანის ინტელექტის მონაპოვარია.

გარემოს ცვლილებებთან შესაბამისობაში ეკონომიკური ავტომატიზმი ჩართულია ადამიანის მიერ შრომის შესრულებაში და, მასთან ერთად, მასში ცოდნა იძენს სინერგიულ ძალასაც.

ეკონომიკური ავტომატიზმის შემოქმედება პოსტსაბჭოთა საქართველოს სინამდვილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო ღრმავდება და მომავლის იმედებს აძლიერებს.

დრო სივრცესთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორია, რომლის დაფიქსირებულ პერიოდში ადამიანი დასახული მიზნის შესრულებას ცდილობს, ხოლო ამ მიზნის მიხედვით შინაარსობრივი მხარე ოპტიმიზმთან შესაბამისობაში ზუსტდება როგორც ავტომატიზმი, რომელიც ასრულებს მაიძულებელი ფაქტორის როლს. იგი დროის პერიოდებში ყალიბდება, როგორც ეკონომიკის შედეგები და მახასიათებლები.

ადამიანთა საზოგადოების სულიერ ერთიანობაზე დამყარებული და ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოვლენილი ცოდნის ეკონომიკა დღეს მოქმედებაშია მოყვანილი. იგი ადამიანთა სასიკეთოდ მიმართულ პროცესებზე ახდენს მასტიმულირებელ გავლენას, განსაკუთრებულად საბაზრო ეკონომიკისაკენ მიზანმიმართულების აღების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია ადამიანთა საზოგადოების მისწრაფება, რომ წინა პლანზე წამოსწიოს ღმერთის რწმენა, სადაც რელიგია და მეცნიერება, როგორც ერთმანეთის შემავსებელი სხვადასხვა მხარე, ზრუნავს ადამიანის სულის სისპეტაკეზე, რაც ცხოვრების დასამუხტავად გამოიყენება, ისევე ადამიანის სასიკეთოდ გლობალიზაციის პირობებში, როგორც ამაშიც ქრისტიანული მორალი გვმოდვრავს.

რელიგიისა და მეცნიერების პროგრესული შეთანაწყობა ღმერთის რწმენით და სულიერი გადახალისება, გამოხატავს თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსს. ეკონომიკური ავტომატიზმი მეცნიერების დარგებში მრავალმხრივი შედეგების მიღების პროცესს აჩქარებს. ვითარდება მეცნიერების ცალკეული დარგების გამოყენება პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში.

ლი. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. 2016, გვ. 24.

⁵⁵ გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია. ჟურნ. „ეკონომისტი“, №1, 2009, გვ. 59.

INNOVATIVE ECONOMY IN GEORGIAN SCIENCE

Annotation

Innovation is discussed beginning with dual structure when all things worked out by hand. Corresponding civilization was fixed by automation of equipment between goods and workers, by the appearance of machine and factory and new civilization, by strengthening innovation together with knowledge in economy.

The difficulties in post-soviet Georgia caused by incompatibility of command planning inertia with market economy are characterized.

Together with the establishment of innovative economy the discussion is conducted on mutually complemented processes of science and religion, economic automation, its nature and scope, besides, as the achievement of human intellect which was established in post-soviet Georgia gave future promising.

The innovative economy being mainly based on scientific knowledge and the use of the achievements of advanced experience, the knowledge is its main wealth. In this connection the present work discusses investment and innovation economy as the process of implementation of qualitatively new technological production, as a result of which it becomes possible to raise scientific research facilities in innovative research up to the level of success of world economy. They noted that on this occasion the significance of knowledge in twenty first century was even more strengthened and began to penetrate in various areas of science but not with so great pace enough for the establishment of market economy in post-soviet Georgia. The focus is on knowledge – based innovative economy where knowledge plays a decisive role in the success of science and it can contribute to the mystery of the origin of the universe.

The discussion is conducted on the basis of domestic agricultural development which is gradually strengthening by means of innovative for the development in twenty first century. High level of middle class of population participating in it strengthened the country's economy and particularly important is its connection with the famous from distant past the so-called "khodabuns" the recovery of which is considered to be promising in innovative economy of Georgian agriculture.

The cases of agricultural production concerning the elimination of capabilities of peasant forms existing in command planning period and the consolidation of farms in accordance with investment process are also noted in the work. In this connection the work presents the ideas of scientists dealing with the development of large-scale commodity farming by rural entrepreneurs. This would create the conditions for farms resembling cooperative enterprises to function in a new way that was used in post-soviet Georgian economy.

The discussion based on innovative automation about mutually complemented processes of science and religion is conducted in such a way that in the relations of them is revealed scientific-technical progress of knowledge economy but not with desired pace which is essential for the economy of post-soviet Georgia. Its designation and focusing is necessary not only for knowledge-based innovative economy but for correction of post errors. It concerned enterprises created by rural entrepreneurs with the analogy of farms and conjugated with market economy where even the elements of command planning system were excluded.

Innovative automation in economy is discussed not only in the aspect on the highest level of scientific-technical progress and globalization; the mutually complimented processes of science and religion are also important. Innovative automation in economy is in the unity of science and religion.

თვლის სისტემები, მისი აღრიცხვის პროცესის და
ინოვაციური მენეჯმენტის ეკონომიკა

დრო და სივრცე სამყაროს არსებობას განაპირობებს, სადაც დრო მოძრაობით დამკვიდრებულია. მათში ადამიანი აზროვნებით თვლის სისტემებსაც იყენებს და ბიოლოგიურად ემყარება ათთითიანი ანალოგიით არითმეტიკული მოქმედებების ჩატარებასა და მის აღრიცხვას.

ადამიანმა აზროვნება თვლის ელემენტებიდანაც დაიწყო, ხოლო მოგვიანებით, უკვე შემოქმედებითი სიახლეებით მეცნიერების ინოვაციების ეკონომიკაში გადავიდა, რომელიც დღესაც დაუსრულებლად გრძელდება.

აღნიშნავთ იმასაც, რომ მეცნიერება წარმოიშვა ქვეყანაში წარმოების განვითარების მოთხოვნის ბაზაზე. საზოგადოების წინაშე მდგარი ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა კი შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ცოდნის ინტენსიური გამოყენებით. დღეისათვის მსოფლიოში მათზე დამყარებულ ინოვაციურ ეკონომიკაში მთავარ სიმდიდრედ ცოდნა და ადამიანის ინტელექტი გვევლინება და არა მიწის წიაღისეული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში⁵⁶. (ინოვაცია ახალი ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და მართვის პროგრესული ფორმების დანერგვაა წარმოებაში)⁵⁷.

როგორც ცნობილია⁵⁸, არის ორგვარი ეკონომიკური წყობა. ერთი მოდის დასაბამიდან, ადამიანის პირველი საზოგადოებიდან და გრძელდება დაუსრულებლად. დასაწყისში ყველა ეპოქის ნივთი მუშავდება ხელით. ამ ძველისძველ ეკონომიკურ წყობაში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მოხდა „უდიდესი რევოლუცია“, როდესაც უბრალო ხელოსანმა ინგლისში მის მიერ გამოგონებული მანქანით მოგვცა ელემენტარული ფაბრიკა. საქონელსა და მუშაკს შორის გამონდა ტექნიკა, რასაც მოჰყვა ცივილიზაცია⁵⁹. მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მეცნიერებამ მოიცვა საზოგადოებრივი წარმოების ყველა მხარე, თვლის სისტემებთან ერთად გაფართოვდა მათემატიკის როლი და მნიშვნელობა, ამასთან, წარმოების პროცესში, სამეცნიერო დარგებში, მაგალითად, ფიზიკაში. ავტომატიზაციის სხვადასხვა სახეობის პრობლემების გადაჭრა დაიწყო. შეიქმნა ახალი სამეცნიერო დარგები, როგორცაა მაგალითად, კიბერნეტიკა. ამასთან ერთად, გაფართოვდა წარმოების დაგეგმვისა და მართვის შესაძლებლობები, რომელთაც ემსახურებოდა თვლის სისტემები. ისინი ეკონომიკასა და გამოთვლით მანქანებში ჩამოყალიბდნენ ათობითი სისტემის ბიოლოგიური ანალოგიით, ორივე ხელზე ათი თითის გავლენით, დაწყებული საგნის თვლის რაოდენობრივი შეფასებებით, ერთი ორი, მათზე ბევრი, ამას თვლის მოწესრიგებული სისტემა მოჰყვა.

თვლის სისტემები გამოთვლით მანქანებზე განვითარდა ორობითი, ათობითი, სამობითი თვლის გამოყენებით, დამუშავდა შესაბამისი არითმეტიკული თვლა და მათზე ელემენტარული მოქმედებები, დაწყებული შეკრებიდან, გამრავლებამ, გაყოფამ. ორობითი და სამობითი თვლის სისტემა განსაკუთრებული ლოგიკური დატვირთვით იქნა გამოყენებული, როგორცაა დადებითი გადაწყვეტილება, უარყოფა და თავის შეკავება, ზოგიერთი მართვის

⁵⁶ ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2006, გვ. 399.

⁵⁷ რ. ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2010, გვ. 151.

⁵⁸ ნ. კორდანი. რჩეული ნაწერები. გამომცემლობა „საქართველო“, 1990, გვ. 279-280.

⁵⁹ იქვე.

ამოცანები ლოგიკურად გაიშვირა, ასე მაგალითად, კიბერნეტიკა მართვის მეცნიერების ცალკეულ დარგებს დაუკავშირდა, ხოლო თვით ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გააზრებამ თვლის სისტემაში ბიოლოგიური სისტემის რიგი თავისებურება გამოავლინა.

21-ე საუკუნიდან მეცნიერების კომპიუტერიზაციას მოჰყვა ინოვაციური განვითარება, მათში დღეისათვის თვლის სისტემებს ფართო გამოყენება აქვს, განსაკუთრებით სტატისტიკასა და აღრიცხვის პროცესში მნიშვნელოვანია გაზომვის სკალები, სადაც საქმე გვაქვს ისეთ რიცხვებთან, რომლებიც დამოუკიდებელი კვლევის საგანს არ წარმოადგენს. მათში მთავარია არა რიცხვები, არამედ რეალურ მოვლენებსა და საგნებზე მსჯელობა, რომლებსაც ეს რიცხვები ეხებიან⁶⁰. ასეთი მიდგომით, შედარებით ფართო თვალსაზრისით „გენდერული აღრიცხვა“ სტატისტიკის მათემატიკური მეთოდების სახითაა მოცემული⁶¹.

შეგვხვთ რიცხვებში გაზომვის სკალებს, მათ ისეთ წარმოდგენას, რომელის მიხედვით კვლევა ტარდება ისე, რომ იგი დამოუკიდებლად არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს. მთავარია შედეგი, მიღებული რეალური მოვლენებით მსჯელობა, რომლებსაც ეს რიცხვები ასახავს, მაგალითად, ქუჩის სახლის ნომრები, ისინი მხოლოდ მისამართს აღნიშნავენ (არ არის საჭირო ამ ნომრებზე არითმეტიკული ოპერაციების ჩატარება, მაგალითად გამრავლება).

ზოგჯერ გაზომვის დროს მსჯელობა მხოლოდ ერთი შერჩეული ნიშნის მიხედვით, მხოლოდ სკალებით მიმდინარეობს. მაგალითად, ერთი საგანი მეორეზე მძიმეა, მხოლოდ ამის გარკვევაა საჭირო. ამ შემთხვევაში აღრიცხვისათვის აუცილებელი რიცხვებია გამოყოფილი. სხვა შემთხვევაში შეიძლება რიცხვები დალაგებული იყოს გარკვეული თანმიმდევრობით, მაგრამ მეტი დეტალების დადგენა არ არის საჭირო.

სკალას, რომლისათვის გამოყოფილია გაზომვის ერთეულები და შეგვიძლია ობიექტებს შორის განვსაზღვროთ სხვაობები საკვლევი ცვლადის ასპექტში, ეწოდება ინტერვალების სკალა. ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვით, და არცაა საჭირო, იმის შესახებ თუ ერთი ობიექტი რამდენჯერ მეტია ან ნაკლები მეორეზე.

იმ სკალას, რომელიც აკმაყოფილებს გაზომვის ყველა პირობას და მისთვის დადგენილია აბსოლუტური ნული, შეფარდებითი სკალა ეწოდება. ამ სახეობის სკალები გამოყენებულია ფიზიკაში ისეთი სიდიდეების გასაზომად, როგორცაა სიგრძე, სივანე, დროის შუალედი, წონა, წინააღმდეგობა და სხვ.⁶²

გარკვეული წესებით შეზღუდვის მიხედვით გაზომვა ობიექტისადმი ციფრების მიკუთვნებაა. იგი თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ობიექტთა თვისებები უნდა იქნეს წარმოდგენილი იმ ციფრების მიხედვით (იგულისხმება თვისებები), რომლებიც ამ ობიექტებს მიეკუთვნება.

დაკავშირებულობის საზომის შემთხვევაში⁶³ საჭიროა ობიექტების ერთმანეთისაგან განსხვავებაში გარკვევა და მათ შორის რიგობითის მიმართების დადგენა. გამოიყოფა ადამიანთა შორის რაიმე მახასიათებლები, როგორცაა მაგალითად, სილაბაზე, ინტელექტი, სტრუქტურა აკადემიური მოსწრების

⁶⁰ რ. სარჩიმელია, მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2005, გვ. 173-177.

⁶¹ ჯ. ყვავილაშვილი. მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (2 ტომი). გაზომვა და სტატისტიკა. თსუ გამომცემლობა, 1990.

⁶² რ. სარჩიმელია, მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2005, გვ. 173-176.

⁶³ იქვე, ამავე ნაშრომს ახლავს რიცხვითი მაგალითები შესაბამისი შეფასებებით. გვ. 178-183.

მიხედვით შეფასება და სხვა. კონკრეტულად ეს მაჩვენებლები ჩაწერილია ზრდის მიხედვით ქულებით. შემოყვანილია ვარიაბული საზომი. ჩვეულებრივ იღებენ სხვაობას უდიდეს და უმცირეს ქულებს შორის, რომელსაც ცვალებადობის დიაპაზონი ეწოდება. მაგალითად, სილამაზის ან ინტელექტის შესაბამისობის მიხედვით აირჩევენ ცვლადის იმ მნიშვნელობას, რომელიც გააჩნია მწკრივის შუაში მყოფ ინდივიდს. მათემატიკურ სტატისტიკაში ის მედიანის სახელწოდებით არის ცნობილი.

გარდა ამისა, აღვნიშნავთ, რომ თვლის ათობითი სისტემაც სასკოლო არითმეტიკის სასწავლო პროგრამის შემადგენელია. ადამიანის ბიოლოგიიდან გამომდინარე, მას ფართო გამოყენება აქვს რელიგიაში, რომელიც დამახასიათებელია თვლის სისტემებისათვის.

თანამედროვე ტექნიკამ მრავალმხრივი გამოგონებები დაამკვიდრა როგორც გამარტივებული სახით, ასევე რთულ შემთხვევებში, მაგალითად, კომპიუტერებზე ოპერაციები და სხვ.

ორობითი, ათობითი, სამობითი სისტემები გამოყენებულია არამარტო თვლისათვის, ამასთან, ლოგიკური ოპერაციების ჩასატარებლადაც.

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებიდან ცივილიზაცია აშკარად გამოვლინდა ტექნიკისა და მათი ეკონომიკის გამოყენებით, თანაც დროის პროგრესის გლობალიზაციით თვლის სისტემებთან ერთად.

დმერთმა ადამიანი სამყაროში ბიოლოგიურად სუსტი მოაგვლინა, ამასთან, გონიერება უბოძა. იგი მრავალმხრივი ბედნიერების მომტანია ქვეყანაში, რომელსაც თვლის სისტემებიც ემსახურება. მათთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ შორეული წარსულიდან ბორბალის იდეაზე დამყარებული თითქმის უბრალო აღმოჩენა მოხდა ადამიანის აზროვნებაში, რომელიც სწრაფად და ეფექტიანად დაამკვიდრა თვლის სისტემებში, სადაც აღირიცხება და და აიხსნა ბრუნვა, რომელიც ახლავს ახალ შედეგებს ტექნიკასა და ინოვაციურ ეკონომიკას.

ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი დასათვლელად ხელის თითებს იყენებდა, შემდეგ საჭირო გახდა დიდი რაოდენობის საგნების დათვლა, რასაც მხოლოდ თითებზე თვლა არ აკმაყოფილებდა. მოთხოვნის შესაბამისად, თანდათანობით შეიქმნა ნუმერაციები. ამ მხრივ, უძველესი ნუმერაციები ნაპოვნია ეგვიპტეში. ისინი იეროგლიფებით გამოხატავდნენ რიცხვებს, ხოლო სხვადასხვა ნუმერაციებს იყენებდნენ შუმერები და ბაბილონელებიც.

ბერძნებმა შემოიღეს ალფავიტიური ნუმერაციები. რომაელებმა კიდევ უფრო მეტი გაააკეთეს. რომაული რიცხვების სახელწოდებით ცნობილია ნუმერაციები, მაგრამ ყველა ამ ნუმერაციის და რიცხვების მინუსი ის იყო, რომ მათზე მათემატიკური მოქმედებების ჩატარება რთული იყო, თანაც დიდ ჩანაწერებსაც მოითხოვდა.

მეათე-მეცამეტე საუკუნეებში ინდოეთიდან შემოდის ახალი რიცხვითი ნუმერაციები, რომლებიც არაბული რიცხვების სახელწოდებით გახდა ცნობილი. მათი დამკვიდრება მსოფლიოში მერვე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, რაც საქართველოში, მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით, ფართოდ გავრცელდა. ეს ხება ანბანურ სისტემებს. ისინი განვითარდა და დაიხვეწა თვლის სისტემებში.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არაბულ ციფრებს ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში იყენებდნენ, მაგრამ მან საქართველოში უფრო ფართო გავრცელება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან პოვა.

**COUNTING SYSTEMS, ECONOMY OF ITS ACCOUNTING PROCESS AND
INNOVATIVE SCIENCE**

Annotation

Market economy exposed more clearly the necessity of wide participation almost in all spheres of economic science in Post-soviet Georgia, including counting systems. In addition accounting process strengthens the significance of economic development in science. In this connection the presented work defines relatively concretely the economy in philosophical view. The neglect of these capabilities hampers the development of principles of economic science.

Wide presentation of counting systems in innovative science is prospective for counting economy. The work discusses time and space conditioning the existence of the universe, where time is determined by human thinking and is based on the accounting of tenfinger operations.

The use of decimal, dual, triple systems of counting are characterized for computers.

It is also noted that the computerization of twenty-first century science was followed by innovative development of science economy and exposition of biological system of country.

Wide counting systems characterized by logical operations and gender accounting are given in different scales.

The history of development and improvement of numbering connected with counting system is observed by alphabetic numaration cases followed by current process of changes in Georgia.

Counting systems in computers and quantitative estimetions of items used there are discussed for economy, too.

Counting systems were widely used in computers, today it is more widely reflected in the direction of different systems of computer programs.

Counting systems to operate in computers are loaded by logical processes; if necessary it is possible to take positive, abstinent and negative decisions. It is also reflected in risk problems.

It should also be noted that to make decisions in counting systems triple system is often used: positive abstinent and negative estimations. Among all estimations they are optimal in this aspect. Many new results are expectable to raise the efficiency of innovative economy.

*მამუკა ხუსკივაძე
თორნიკე ხოშტარია*

**ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების ზოგიერთი მოდელის
თეორიული ანალიზი**

შესავალი

ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების მოდელები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად - ეს არის სინოპტიკური და ინკრემენტალური. სინოპტიკური მოდელების მიხედვით, სტრატეგიის ფორმულირება რაციონალური, მდგრადი პროცესია, ხოლო ინკრემენტალური მოდელების მიხედვით, ეს პროცესი მოქნილია და მუდმივად განიცდის ცვლილებებს. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, საჭიროა ამ მოდელების დეტალური განხილვა. სინოპტიკურ მოდელებს ახასიათებს რაციონალური, წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, რომლის შემადგენელი ნაწილებიც არის: მიზნების განსაზღვრა, გარემოს ანალიზი, კომპანიის შიდა და გარე შესაძლებლობების დადგენა, ალტერნატიული ქმედებების პოვნა, შეფასება და მიზნების მიღწევის საერთო გეგმის მომზადება (ფრედრიკსონი და მიჩელი, 1984).


ენდრიუსი (1980), ანსოვი (1965), გრანტი და კინგი (1982), ჰოფერი და შენდელი (1978), ლორენჯი და ვენსილი (1977), პორტერი (1980), სტაინერი (1979) და ტომპსონი და სტრიკლანდი (1978) არიან ამ მიდგომის მომხრე მეცნიერები. რაციონალური და ინკრემენტალური პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების კომპლექსურობისა და რაციონალურობის ხარისხით. ტრადიციული მიდგომით, ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღება მიზანდასახული, მდგრადი, თანმიმდევრული და წინდახედული პროცესია (პაპადაკისი და ბარვაიზი, 1997). ამ ხედვას ეწინააღმდეგებიან ლინდბლომი (1959) და საიმონი (1957). ლინდბლომის (1959) თქმით, გადაწყვეტილების მიღება არ არის რაციონალური პროცესი და იგი მას განმარტავს, როგორც „ალაბგედზე მოქმედ“ მზარდ, უმისამართო პროცესს. საიმონი (1957) მიიხსენებს, რომ გადაწყვეტილების მიმღებები, ამ შემთხვევაში, არიან „სეთისფაისერები“ შეზღუდული რაციონალობით. ასეთები არ განიხილავენ ყველა ალტერნატივას და ჯერდებიან პირველივე კარგ ვარიანტს.

წინამდებარე სტატია შეამოწმებს სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ, ემპირიულ და ინტეგრირებულ მოდელებს სტრატეგიული პროცესის სამი ხედვისა და ოთხი თეორიული საფუძვლის გამოყენებით.

სტრატეგიის ფორმულირების თეორიული მოდელები

კლასიკური პროცესის მოდელი (ენდრიუსი, 1971). ამ მოდელის ავტორია ენდრიუსი (1971) და ის ყოფს სტრატეგიულ პროცესს ორ ეტაპად: ფორმულირება და განხორციელება. ეს არის წმინდა სინოპტიკური მოდელი, რომელიც ეყრდნობა რაციონალურ და ამომწურავ პროცესებს. ფორმულირების ეტაპი განიხილავს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო განხორციელების ეტაპი კი ზრუნავს ამ გადაწყვეტილებების ქმედებებში გარდასახვაზე წინასწარ განსაზღვრული შედეგის მისაღებად. ენდრიუსის მიხედვით, სტრატეგიის ჩამოყალიბება არის მენეჯერების გამორჩეული და შემოქმედებითი საქმიანობა. მისივე თქმით, ფორმულირების ეტაპი მოიცავს ოთხ კომპონენტს. პროცესი იწყება ორგანიზაციის გარემოში არსებული ხელსაყრელი სიტუაციებისა და საფრთხეების დადგენით და რისკების მიხედვით ალტერნატივების კატეგორიზაციით. შემდეგ გადაიხედება ორგანიზაციის რესურსები და მაქსიმალურად ობიექტურად ფასდება მის (ორგანიზაციის) მიერ შესაძლებლობის გამოყენების ან რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამ პროცესის შედეგად გაკეთებულ არჩევანს ეწოდება ეკონომიკური სტრატეგია. ენდრიუსის (1971) მიერ შემოთავაზებული კლასიკური მოდელის უკეთ აღსაქმელად გთავაზობთ სქემას 1.

სქემა 1. პროცესის კლასიკური მოდელი



წყარო: ენდრიუსი, (1980)

სტრატეგიის ფორმულირების სამი მოდელი (ჩაფი, 1985). ჩაფი (1985) გეთაყვაზობს სტრატეგიის ფორმულირების სამ მოდელს, კერძოდ: წრფივი, ადაპტირებადი და განმარტებითი მოდელები.

• წრფივი მოდელი ფოკუსირებულია დაგეგმვაზე და მოიცავს მეთოდურ, ნაკარნახევ და თანმიმდევრულ ქმედებებს. ამ ხედვის მიხედვით, სტრატეგია მოიცავს გეგმისეულ გადაწყვეტილებებსა და შესაბამის მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მიღწევისკენ (ჩაფი, 1985);

• ადაპტირებადი მოდელი წრფივისგან განსხვავდება შემდეგი ასპექტებით: (1) გარემო მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს და ცვლილებები უნდა ხდებოდეს იმავდროულად; (2) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ენიჭება ნაკლები მნიშვნელობა, რადგან ეს მიდგომა შედეგებზე მეტად მიზეზებზეა (მიღწევის ხერხებზეა) ორიენტირებული; (3) სტრატეგიული ქცევების განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე წრფივ მოდელში და ის ითვალისწინებს ცვლილებებს სტილში, მარკეტინგსა და ხარისხში და არა ბაზარსა და პროდუქტში (როგორც წრფივ მოდელში); (4) დაგეგმვას ენიჭება შედარებით ნაკლები მნიშვნელობა და სტრატეგია უფრო მრავალმხრივი და ნაკლებად ცენტრალიზებულია დირექტორების დონეზე; დასასულ, (5) გარემო მიიჩნევა როგორც ორგანიზაციის მაცოცხლებელი სისტემა და მას და ორგანიზაციას შორის არსებული გამყოფი საზღვარი თითქმის უხილავია (ჩაფი, 1985);

• განმარტებით (interpretive) მოდელში სტრატეგია ახსნილია, როგორც ორიენტაციის მიმცემი მეტაფორების წყება ან საჩვენებელი სტრუქტურა, რომელიც ორგანიზაციას და მის გარემოს აძლევს საშუალებას გაგებული იქნეს სტეიქჰოლდერების მხრიდან. ეს მიდგომა იზიარებს სოციალური სტრუქტურის

ხედვას, რომელიც ორგანიზაციას აღწერს როგორც თავისუფალი ნების მქონე ინდივიდების ურთიერთშეთანხმების შედეგს. (ჩაფი, 1985).

სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდი (მინცბერგი, 1973) მინცბერგმა (1973) შემიმუშავა სტრატეგიის ფორმულირების სამი მიდგომა: სამეწარმეო (ანტრეპრენიორული), ადაპტირებადი და დაგეგმვის მეთოდები.

• სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) მიდგომა. მინცბერგის (1973) მიხედვით, სტრატეგიის შექმნის სამეწარმეო მეთოდს გააჩნია ოთხი ძირითადი მახასიათებელი: (1) სტრატეგია იქმნება ახალი შესაძლებლობების განუწყვეტლივი ძიების შედეგად; (2) ძალაუფლება ცენტრალიზირებულია დირექტორის ხელში; (3) სტრატეგიის ფორმულირების პროცესი არასტაბილური სიტუაციის შემთხვევებში ფასდება რისკის მაღალი ფაქტორით; (4) ზრდა არის კომპანიის უმთავრესი მიზანი;

• ადაპტირებადი მიდგომა. ამ მიდგომის მიხედვით, სტრატეგი არ მიჰყვება მკაფიოდ განსზღვრულ მიზნებს, მის გადაწყვეტილებებს ახასიათებს „სამკურნალო“ თვისება. მინცბერგის (1973) აზრით, ამ მიდგომის მახასიათებელია: (1) არ არსებობს ნათელი მიზნები, თუ რა უნდა გაკეთდეს და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენს ძალაუფლების გადანაწილებას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის; (2) შესაძლებლობების ძიების მიმართ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო რეაქტიულია, ვიდრე პროაქტიული; (3) ადაპტირებადი ორგანიზაციები გადაწყვეტილებებს იღებენ ეტაპობრივი, თანმიმდევრული ნაბიჯებით და (4) ასეთი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია დანაწევრებული (დისჯოინტედ) გადაწყვეტილებების მიღება;

• დაგეგმვის მიდგომა. ამ მიდგომის განხორციელებისას მთავარი როლი ეკისრება ანალიტიკოსს, რომელიც იყენებს მეცნიერულ მიდგომებს სრულყოფილი და ყოველისმომცველი გეგმის ჩამოსაყალიბებლად. ამ მეთოდის სამი ყველაზე საგულისხმო მახასიათებელია: (1) ანალიტიკოსი დიდ როლს ასრულებს სტრატეგიის ფორმულირების პროცესში; (2) აქცენტი კეთდება დანახარჯებისა და მოგების სისტემატიურ ანალიზზე; (3) ის მოიცავს გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების ინტეგრაციას. დაგეგმვის მეთოდი სინოპტიკური მოდელის ქვეჯგუფია იმის გამო, რომ ის კონცენტრირებულია მიზნებსა და სტრატეგიის შექმნის ანალიტიკურ მეთოდებზე (მინცბერგი, 1973).

ზემოთ განხილული სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდის მახასიათებლების შედარება მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. სტრატეგიის ფორმულირების სამი მეთოდის მახასიათებლები

მახასიათებელი	სამეწარმეო მეთოდი	ადაპტირებადი მეთოდი	დაცემების მეთოდი
გადაწყვეტილების მოტივი	პროაქტიული	რეაქტიული	პროაქტიული და რეაქტიული
ორგანიზაციული ამოცანები	ზრდა	გაურკვეველია	ეფექტიანობა და ზრდა
შესაძლებლობების შეფასება	დისკუსია	დისკუსია	ანალიტიკური
გადაწყვეტილებას იღებს	ანტრეპრენიორი	მოლაპარაკების შუდგეი	მენეჯმენტი
დროის პირიზონტი	გრძელუადიანი	მოკლევადიანი	გრძელუადიანი
სასურველი გარემო	ბუნდოვანი	ნათელი	სარისკო
გადაწყვეტილებების კავშირი	ირიზად დაწყვილებული	დამოუკიდებელი	დამოკიდებული
მეთოდის მოქნილობა	მოქნილი	ადაპტირებადი	შეზღუდული
მოქმედების ზომა	გაბედული გადაწყვეტილებები	ზრდადი სვლები	გლობალური სტრატეგიები
მიმართულების ხედვა	ზიგადი	არავითარი	კონკრეტული
გამოყენების პირობები			
ძალაუფლების წყარო	ანტრეპრენიორი	გაყოფილია	მენეჯმენტი
ორგანიზაციის მიზნები	ნათელი	ბუნდოვანი	ნათელი
ორგანიზაციული გარემო	დამყოლი	როული, დინამიური	პროფორზირებადი, სტაბილური
ორგანიზაციის სტატუსი	ახალი, პატარა ან ძლიერი ლიდერობა	დამკვიდრებული	დიდი

წყარო: მინცებერგი (1973)

სტრატეგიის ფორმულირების ხუთი მიდგომა (ბურჟუა და ბროდვინი, 1984). ბურჟუამ და ბროდვინმა (1984) დაასკვნეს, რომ გაზრდილი ინფლაციის, შეზღუდული რესურსებისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების გამო ორგანიზაციების სამართავად საჭიროა დახვეწილი მეთოდები და მოდელები. მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, სტრატეგიის ფორმულირების მოდელების განვითარება საგრძნობლად ჩამორჩებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. ბურჟუამ და ბროდვინმა (1984) შემოგვთავაზეს სტრატეგიის ფორმულირების ხუთი მიდგომა: მეთაურის მოდელი, ცვლილების მოდელი, თანამშრომლობის მოდელი, კულტურის მოდელი და განვითარებადი მოდელი.

- მეთაურის მოდელი. ამ მოდელში ღირეპტორი იყენებს ანალიტიკურ მეთოდებს რესურსების განაწილებისათვის, რათა კომპანიამ მიაღწიოს წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს. ამ მოდელის მიხედვით, ღირეპტორს გააჩნია დიდი ძალაუფლება და ხელი მიუწვდება ყველანაირ ინფორმაციაზე. ეს მიდგომა ეფუძნება ეკონომიკურ რაციონალიზმს და, ბურჟუასა და ბროდვინის (1984) თანახმად, მოიცავს ორივე, სინოპტიკური და ინკრემენტალური მოდელების ელემენტებს, რადგან ის ხაზს უსვამს ღირეპტორის როლის მნიშვნელობას ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში;

- ცვლილების მოდელი. ეს მოდელი კავშირშია სტრატეგიის იმპლემენტაციასთან და განხორციელებისას ხაზს უსვამს ორგანიზაციის სტრუქტურის, ინსენტივებისა და კონტროლის სისტემების მნიშვნელობას. აქ ღირეპტორი მიმართავს ქცევითი მეცნიერების ტექნიკას და მანიპულირების მეშვეობით ცდილობს ორგანიზაცია სტრატეგიული გეგმის ჩარჩოებში მოაქციოს. სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად იგი ეყრდნობა შემდეგ ხერხებს: (1) იყენებს სტრუქტურასა და პერსონალს კომპანიის ახალი პრიორიტეტების ეფექტიანად გასატარებლად და ყურადღებას ამახვილებს სასურველ სფეროებზე, (2) ცვლის დაგეგმვის, შედეგების შეფასებისა და წამახალისებელი ანაზღაურების სისტემებს და (3) იყენებს კულტურული ადაპტაციის მეთოდებს სისტემური ცვლილებების დასაწერგად (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);

- თანამშრომლობის მოდელი. ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს ზედა რგოლის მენეჯერთა ჩართულობაზე სტრატეგიის ფორმულირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დირექტორი იყენებს ჯგუფის დინამიურობას და „ტვინების შტურმის“ ტექნიკას, რათა ყველა მენეჯერმა შეძლოს თავისი აზრის გამოხატვა სტრატეგიის ფორმულირების პროცესის შესახებ. ამ მიდგომის მიხედვით, დირექტორს აქვს თანაკოორდინატორის ფუნქცია. მისი მოვალეობა გადაწყვეტილების მიმღებთა შორის კომუნიკაციის გამარტივებაა, რათა მოხდეს სასურველი იდეების გენერირება (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);

- კულტურის მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, სტრატეგია ხორციელდება მთელ ორგანიზაციაში კორპორაციული კულტურის დანერგვის შედეგად. დირექტორი მართავს ორგანიზაციის კომუნიკაციითა და საკუთარი ხედვების შთაგონებით და ხელს უწყობს მომუშავე პერსონალს სამუშაო პროცესის ამ ხედვების მიხედვით ორგანიზებაში. ამ მიდგომის მიხედვით, დირექტორს აქვს მწვრთნელის ფუნქცია, რათა შეაგულიანოს მომუშავე პერსონალი, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს გეგმის შესრულებას (ბურჟუა და ბროდვინი, 1984);

- ზრდის (განვითარების) მოდელი. ეს მოდელი გვთავაზობს ახალ ხედვას, თუ ვინ უნდა გვემადგეს სტრატეგიას და ვინ უნდა ახორციელებდეს მას. სხვა მიდგომებისგან განსხვავებით, სადაც სტრატეგიის ჩამოყალიბება უმადლესი რგოლის მენეჯერების ფუნქციაა, აქ სტრატეგიის ფორმულირება ხდება ქვედა რგოლის მენეჯერების მიერ. ხოლო „მოსამართლის“ ამპლუაში გვევლინება დირექტორი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური იდეების ორგანიზაციის სტრატეგიად ჩამოყალიბებას (ბურჟუა და ბროდვინი, 1984).

როგორც ზემოთაა აღნიშნული, მეთაურის მოდელი შეიძლება ჩაითვალოს როგორც სინოპტიკური, ისე ინკრემენტალური მოდელის ნაწილად. თანამშრომლობის მოდელი გადაწყვეტილების მისაღებად იყენებს რაციონალურ მეთოდებს და ამიტომ მეცნიერები მას სინოპტიკურ მოდელთა ჯგუფს მიაკუთვნებენ. ცვლილების მოდელის მიხედვით, ორგანიზაციულ ცვლილებებს ახორციელებს ნაბიჯ-ნაბიჯ და ამის გამო ეს მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ინკრემენტალურ მოდელად. ბურჟუასა და ბროდვინის (1984) მიხედვით, ეს ხუთი მოდელი არ გამოირიცხავს ერთმანეთს და კომპანიებს შეუძლიათ მათი სხვადასხვა კონტექსტით ერთდროულად გამოყენება.

აიხენჰარტი და ზბარაცკი (1992). აიხენჰარტმა და ზბარაცკიმ (1992) გამოიკვლიეს სტრატეგიის შექმნის სამი უდიდესი პარადიგმა: „რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა“, „პოლიტიკა და ძალაუფლება“ და „ნაგვის ყუთი“.

- რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა. ამ მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღებებს გააჩნიათ მიზნები, რომლებიც განსაზღვრავს სავარაუდო შედეგის მნიშვნელობას (ფასეულობას). ისინი ინფორმაციის შეგროვებით ახდენენ ალტერნატივების გენერირებას, რის შემდეგაც ირჩევენ ოპტიმალურ ვარიანტს.

- პოლიტიკა და ძალაუფლება. ამ მოდელის მიხედვით, ორგანიზაცია შედგება ხალხთა კოალიციებისგან, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, რაღა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ყველაზე ძლიერი. გადაწყვეტილების მიმღებები სშირად ცდილობენ ძალაუფლების სტრუქტურის შეცვლას სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებებით (შიდა არჩევნები, ინფორმაციის სტრატეგიული გამოყენება და გარე ექსპერტების დაქირავება).

- ნაგვის ყუთი. ეს მოდელი შექმნეს კონმა, მარჩმა და ოლსენმა (1972) და ის გადაწყვეტილების მიღებას აღწერს, როგორც ძალიან ბუნდოვან პროცესს და უწოდებს მას „ორგანიზებულ ანარქიას“. აიხენჰარტისა და ზბარაცკის

(1992) მიხედვით, რაციონალურ და პოლიტიკურ მოდელებს საკმარისად აკლია მგრძობელობა რთული, არასტაბილური და გაურკვეველი გარემოს მიმართ და მათ ალტერნატივად თვლიან ნავის ყუთის მოდელს.

ინტუიციური და მოქმედებაზე ორიენტირებული მოდელები (მინცბერგი და უესტლი, 2001). მინცბერგმა და უესტლიმ (2001) ჩამოაყალიბეს ახალი ხედვა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სირთულეებთან მიმართებაში. მათ დაასკვნეს, რომ რაციონალური მოდელის, ანუ „წინასწარ მოფიქრების“ გარდა, ასევე საჭიროა „წინასწარ დანახვისა“ და „წინასწარ მოქმედების“ მოდელები. ამ მეცნიერების მიხედვით, „წინასწარი მოფიქრების“ მოდელს გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული ეტაპები:

განსაზღვრა – დიაგნოზის დასმა – დიზაინის შექმნა – გადაწყვეტილების მიღება

თუმცა, რეალურად, ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღება ხშირად არ არის ასეთი მარტივი. „წინასწარ დანახვის“ მოდელის მეშვეობით შესაძლებელია ისეთი რამის დანახვა, რასაც სხვები ვერ ხედავენ. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარ გამბედაობას მოითხოვს. ეს გონებამახვილური აღმოჩენა ოთხ ეტაპს მოიცავს:

მომზადება – ინკუბაცია – გამონათება – დადასტურება

მინცბერგი და უესტლი (2001) სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შორსმჭვრეტელობას და აცხადებენ, რომ ამ ფაქტორის უგულვებელყოფი თეორიები არც კი უნდა განიხილებოდეს. მათივე აზრით, როდესაც დანახვაც და მოფიქრებაც შეუძლებელია, მაშინ აუცილებელია მოქმედება. სწორედ „წინასწარ მოქმედების“ მოდელი გვიჩვენებს ისეთი ცდების ჩატარებას, რომელთა წყალობითაც შესაძლებელია ბევრი ბუნდოვანი საკითხის გამოაშკარავება. ამ მოდელის ეტაპებია:

დაკანონება – შერჩევა – შენარჩუნება

ცდების მეშვეობით შესაძლებელია ამ მიდგომების შემოწმება, საუკეთესოს არჩევა და წარმატებული მოქმედებების გამეორება.

მინცბერგისა და უესტლის (2001) აზრით, „წინასწარ მოფიქრების“ მოდელი ყველაზე უკეთ მუშაობს მაშინ, როცა პრობლემა ნათელია, მონაცემები - სანდო, გარემო კი სტაბილურია. „წინასწარ დანახვა“ გამოიყენება, როდესაც საჭიროა რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, შეზავება და შემოქმედებითი შედეგის მიღება (მაგ., ახალი პროდუქტის შექმნა). „წინასწარ მოქმედების“ მოდელი კი გამოიყენება ახალი, უჩვეულო სიტუაციების დროს, როგორებიცაა ახალი ინდუსტრიის ათვისება ან არსებულ ინდუსტრიაში ტექნოლოგიების ცვლილება. მინცბერგისა და უესტლის (2001) მიხედვით, ხელოვნება ამზადებს ზოგად წარმოდგენას ანუ ხედვას, მეცნიერება განსაზღვრავს სტრუქტურას ანუ გეგმას და მოხერხებულობა ქმნის მოქმედებას ანუ ენერჯიას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ „წინასწარ მოფიქრების“ მოდელი წარმოადგენს რაციონალურ პროცესს და ამის გამო ის მიეკუთვნება სინოპტიკური მოდელების ჯგუფს. „წინასწარ მოქმედების“ მოდელი მიეკუთვნება ინკრემენტალური მოდელების სიას, ხოლო „წინასწარ დანახვა“ კი ამ ორიდან არც ერთ კლასიფიკაციაში არ ჯდება.

სტრატეგიის ფორმულირების ემპირიული მოდელები

სტრატეგიის ფორმულირებისა და განხორციელებისათვის ნათი (1997) გეთავაზობს ემპირიული საფუძვლის მქონე დირექტივებს.

- მიმართულებათა ჩამოყალიბება. მენეჯერებმა უნდა მოძებნონ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანები და მათ შეაფასებინონ რომელიმე კონკრეტული სიტუაცია. მათ ასევე ევალებათ პრობლემის სიმპტომებს უკან დამალული საჭიროებებისა და შესაძლებლობების პოვნა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების შეთანხმება და შედეგზე ორიენტირებული მიზნების ჩამოყალიბება, რათა კვლევის პროცესში გზა მიეცეს ახალ იდეებს. სანამ არ დადგება ცვლილების აუცილებლობა, დაუშვებელია პროცესის დაწყება და წინასწარ მომზადებული გადაწყვეტილების გამოყენება.

- ვარიანტების განსაზღვრა. სხვადასხვა წყაროზე და პრაქტიკაში განხორციელებულ წარმატებულ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს რამდენიმე ვარიანტი. ამ ვარიანტიდან მინიმუმ ერთი უნდა იყოს რადიკალურად ინოვაციური. ამ პროცესის მიმდინარეობის დროს მენეჯერმა ხელი უნდა შეუწყოს კრეატიულ აზროვნებას და თავიდან აირიდოს კამათის ნაადრევი შეწყვეტა ან გადაწყვეტილებების ბრმად მიღება.

- გადაწყვეტილების განხორციელება. ამ ეტაპზე მენეჯერებმა უნდა გაამყდონ ცვლილების აუცილებლობა და ხელი შეუწყონ განხორციელების პროცესში ფართო ჩართულობას. ეს პროცესი საჭიროებს ძალიან დიდ ძალისხმევას, რასაც მენეჯერი არ უნდა მოერიდოს. ასევე, მან უნდა გაითვალისწინოს ორგანიზაციის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები და განსაზღვროს, თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს ეს ფაქტორები გადაწყვეტილების განხორციელების პროცესს.


შრივასტავა და გრანტი (1985). შრივასტავამ და გრანტმა (1985) ინდოეთის 32 კომპანიაში შეისწავლეს კომპიუტერიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი და შემოგეთავაზეს ოთხი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების მოდელი: (1) მენეჯერულ-ავტოკრატიული მოდელი, (2) ბიუროკრატიულ-სისტემური მოდელი, (3) ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი და (4) რაციონალურ-პოლიტიკური მოდელი. მენეჯერულ-ავტოკრატიულ მოდელში გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია ერთი მენეჯერი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მთლიანად მის ხედვასა და მოქმედებებზეა დამოკიდებული. ბიუროკრატიულ-სისტემური მოდელი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა ორგანიზაციულ სტრუქტურას და ოფიციალურ წესებსა და რეგულაციებს. ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელის განმასხორციელებელი ორგანიზაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადად ხელმძღვანელობენ გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმებით. რაციონალურ-პოლიტიკურ მოდელში გადაწყვეტილების მიმღებები კოალიციას ქმნიან პრობლემის არსის გარშემო და ჯგუფის ინტერესების დასაცავად გადაწყვეტილების მიღების პროცესით მანიპულირებენ.

ნათის (1997) მიერ შემოთავაზებული ეს მოდელი შეიძლება ჩაითვალოს სინოპტიკურ მოდელად, რადგან ის ხასიათდება რაციონალური პროცესებით. შრივასტავასა და გრანტის (1985) ბიუროკრატიულ-სისტემურ მოდელში ტექნიკური და ფინანსური ანალიზი კეთდება ალტერნატივის არჩევამდე, ხოლო განხორციელების პროცესი კი კარგადაა დაგეგმილი. ამიტომ ეს მოდელიც სინოპტიკური მოდელების ჯგუფს მიეკუთვნება. ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელში გადაწყვეტილების მიღების დირექტივებად გამოიყენება გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები და ამ პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენენ პროფესიონალი მენეჯერები. ამის გამო ეს მოდელიც სინოპტიკური ჯგუფის წევრია. რაც შეეხება რაციონალურ-პოლიტიკურ მოდელს, ის ზრდადი მოდელების ჯგუფის წევ-

რია, ხოლო ადმინისტრაციული თვითმპყრობელობა კი არც ერთ ჯგუფს მიეკუთვნება.

სტრატეგიის ფორმულირების ინტეგრირებული მოდელები

სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა (რაჯაგოპალანი, რაშიდი და დატა, 1993). რაჯაგოპალანმა და სხვ. (1993) განავითარეს გადაწყვეტილების მიღების მოდელთა ინტეგრაციული სისტემა, რომელიც ცხადად წარმოაჩენს ურთიერთდამოკიდებულებას პროცესის მახასიათებლებს, შედეგებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. ამ მოდელის მთავარი ამოსავალი წერტილი ისაა, რომ პროცესის მახასიათებლებს (ფრედრიკსონი, 1984; უელში და ფაჰეი, 1986) აქვთ ზეგავლენა პროცესის შედეგებზე (აიზენჰარტი, 1989; დატონი და დანკანი, 1987) ეს ორი კი, თავის მხრივ, ძლიერად ზემოქმედებს ეკონომიკურ შედეგებზე (აიზენჰარტი და ბურჟუა, 1988; ფრედრიკსონი და მიხელი, 1984). ეს მოდელი აერთიანებს წინამორბედ (შედგების) და შედეგების იმ ცვლადებს, რომლებიც უკავშირდება სტრატეგიული გადაწყვეტილების პროცესის მახასიათებლებს. სქემაში 2 მოცემულია სწორედ ეს მოდელი.



ეს მოდელი წარმოადგენს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ ჩარჩოს და გამოყენებულია მრავალი ავტორის მიერ.

ჰარტის (1992) სტრატეგიის ფორმულირების ჩარჩო. ჰარტი (1992) გვთავაზობს ინტეგრაციულ სტრუქტურას, რომელიც ამოწმებს აღმასრულებელი დირექტორებისა და ორგანიზაციის სხვა წევრების როლს სტრატეგიის ფორმულირების პროცესში. ის შედგება ხუთი მეთოდისაგან: განკარგულების, სიმბოლური, რაციონალური, ტრანზაქციული და გენერაციული მეთოდებისგან

(ცხრილი 2). ჰარტის (1992) თანახმად, ეს მეთოდები განისაზღვრება სამი თემატიკის მიხედვით. ესენია: (1) რაციონალობა - რამდენად გასაგები, ამომწურავი, და გაანალიზებული უნდა იყოს სტრატეგიული პროცესი; (2) ხედვა - რამდენად ნათლად აწვდიან ლიდერები გეგმას კომპანიის სხვა წევრებს და რამდენად აძლევენ მათ მოტივაციას ამ ხედვის განსახორციელებლად და (3) ჩართულობა - რამდენად დიდი წვლილი შეაქვთ ორგანიზაციის წევრებს სტრატეგიის შედგენის პროცესში, რაც, სტრატეგიის განხორციელების პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კრიტიკული თემაა.

ცხრილი 2. სტრატეგიის ფორმულირების პროცესის ინტეგრირებული ჩარჩო

დისკრიპტორები	განკარგულების	სიმბოლური	რაციონალური	ტრანზაქციური	გენერაციული
მიმართულება (სტილი)	ემპირიული სტრატეგიას ქმნის ლიდერი ან ლიდერების პატარა ჯგუფი	კულტურული სტრატეგიას ქმნის მისია ან მომავლის ხედვა	ანალიტიკური სტრატეგიას ქმნიან ფორმალური სტრუქტურები და დაგეგმვის სისტემები	პროცედურა სტრატეგიას ქმნის შიდა პროცესი და ერთობლივი რეგულირება	ორგანული სტრატეგიას ქმნის ორგანიზაციული მოქმედი პირების ინიციატივა
დირექტორთა ფუნქცია	სარდალი მიმართულების მიცემა	მწვრთნელი მოტივირება და შთაგონება	ბოსი შეფასება და კონტროლი	შუამავალი უფლებამოსილების ა და შესაძლებლობის მინიჭება	სპონსორი დამტკიცება და შხარდაჭერა
ორგანიზაციის სხვა წევრების ფუნქცია	ჯარისკაცი ბრძანების შესრულება	მთამაშე გამოწვევის პასუხისმგებლობა	ხელქვეითი სისტემის აყოლა	მონაწილე სწავლა და გაუმჯობესება	მწარმე ცდა და გარისკვა

წყარო: ჰარტი (1992)

სტრატეგიის განვითარების ექვსი განზომილება (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000). ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმა (2000) სამი შეხედულების: **სტრატეგიული არჩევანი, სოციალური პროცესები და გარემოებრივი ფაქტორები**, მიხედვით დაადგინეს სტრატეგიის განვითარების ექვსი განზომილება. აღნიშნული განზომილებებია: განკარგულების, დაგეგმვის, ზრდადობის, პოლიტიკური, კულტურული და გარდაუვალი არჩევნის. პარაგრაფში მოცემულია ჰარტის (1992) მიერ შემოთავაზებული ხუთი განზომილება: განკარგულების, სიმბოლური, რაციონალური, ტრანზაქციული და მწარმოებელი. აშკარაა, რომ ეს ორი მიდგომა ერთმანეთს წააგავს, თუმცა არსებობს გასათვალისწინებელი განსხვავებებიც. ბეილიმ და ჯონსონმა (1991, 1995) ახსნეს ამ განზომილებათა მახასიათებლები, მათზე ჩატარებული კვლევების შეჯამება კი მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. სტრატეგიის პროცესის განზომილებათა მახასიათებლები

განზომილება	აღწერა
განკარგულება	დირექტორი ან უფროსი მენეჯერი მართავს სტრატეგიული განვითარების პროცესს. მისი ხედვა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პროცესის შედეგებზე.
დაგეგმვა	დაგეგმვა არის წინასწარი განზრახული პროცესი რომელიც მოიცავს ლოგიკურ, თანმიმდევრულ, ანალიტიკურ და კარგად მოფიქრებულ მოქმედებათა ერთობლიობას. ეს მოდელი მიიჩნევს, რომ სტრატეგია ყალიბდება დირექტორების და ხორციელდება დანარჩენი მომუშავე პერსონალის მიერ. გარემოსა და შიდა ანალიზის შედეგად გენერირდება მოქმედების რამდენიმე არჩევანი. შეფასების შემდეგ კი ხდება საუკეთესოს შერჩევა.
ზრდადი	ორგანიზაციის მიზნები შეიძლება განისაზღვროს არა კონკრეტულად, არამედ ზოგადად. მუდმივი კონტროლისა და შემოწმების მეშვეობით, მენეჯერები ცდილობენ სწრაფი რეაგირება მოახდინონ გარემოში მომხდარ უცნაურ ცვლილებებზე. სტრატეგიული შესაძლებლობები განიხილება და იცვლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევებში, განვითარების ადრეულ ეტაპებზე.
პოლიტიკური	სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი უკავია მაღალეფლებისა და პოლიტიკის ფაქტორებს. კოალიციები იქმნება საერთო ინტერესების გარშემო, ხოლო, მათი ზეგავლენა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის ორგანიზაცია მათზე (კოალიციაზე) დამოკიდებული.
კულტურული	სტრატეგიულ არჩევანზე დიდ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციული კულტურა.
გარდაუვალი არჩევანი	გარემოებრივ ფაქტორების მიხედვით ორგანიზაციები ეყრდნობიან იმ სტრუქტურებსა და მოქმედებებს, რომლებიც ყველაზე უკეთ ერგება გარემოს. გარე ფაქტორების გამო ორგანიზაციის წევრებს სუსტი როლი აქვთ სტრატეგიის არჩევანში. ამიტომ კონკრეტულ ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს ხშირად აქვთ ერთმანეთის მსგავსი სტრატეგიები.

წყარო: ბიელის, ჯონსონისა და დენიელის, (2000)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში სტრატეგიის ფორმულირების მოდელები დალაგებულია სინოპტიკურ და ინკრემენტალურ მოდელებად. აგრეთვე, გამოვლენილია ის მოდელებიც, რომელთაც აქვთ სუსტი, ან საერთოდ არ აქვთ კავშირი აღნიშნულ კატეგორებთან. შესაბამისად, მსგავსი მოდელები კლასიფიცირდა „არც ერთი“-ს კატეგორიაში და გამოირიცხა შემდგომი ანალიზიდან (ცხრილი 4).

ცხრილი 4. სტრატეგიის ფორმულირების მოდელების კატეგორიზაცია

სინოპტიკური	არც ერთი	ინკრემენტალური
<p>ენდრიუსი (1971) –</p> <ul style="list-style-type: none"> კლასიკური პროცესის მოდელი. <p>ჩაფი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> წრფივი მოდელი. <p>მინცბერგი (1973) –</p> <ul style="list-style-type: none"> დაგეგმვის. <p>ზურფუა და ბროდვინი (1984) –</p> <ul style="list-style-type: none"> მეთაურის მოდელი; თანამშრომლობის მოდელი. <p>აიზენშარტი და ზხარაკი (1992) –</p> <ul style="list-style-type: none"> რაციონალიზა და შეზღუდული რაციონალიზა. <p>მინცბერგი და უესტლი (2001) –</p> <ul style="list-style-type: none"> წინასწარ მოფიქრების. <p>ნათი (1997) –</p> <ul style="list-style-type: none"> მიმართულებათა ჩამოყალიბება – ვარიანტების განსაზღვრა – გადაწყვეტილების განხორციელება. <p>შრივასტაგა და გრანტი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> მიუროკრატულ-სისტემური მოდელი; ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი. <p>ჰარტის (1992) –</p> <ul style="list-style-type: none"> სიმბოლური; განკარგულების; რაციონალური. <p>ბეილი, ჯონსონი და დენიელის (2000) –</p> <ul style="list-style-type: none"> განკარგულების; დაგეგმვის 	<p>ჩაფი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> განმარტებითი. <p>აიზენშარტი და ზხარაკი (1992) –</p> <ul style="list-style-type: none"> წაგვის ყუთი. <p>მინცბერგი და უესტლი (2001) –</p> <ul style="list-style-type: none"> „წინასწარ მოქმედების“. <p>შრივასტაგა და გრანტი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> მენეჯერულ-ავტოკრატული მოდელი. <p>(რაჯაგოპალანი, რაშიდი და დატა (1993) –</p> <ul style="list-style-type: none"> სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესთა შემაკავშირებელი სტრუქტურა. 	<p>ჩაფი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> ადაპტირებადი. <p>მინცბერგი (1973) –</p> <ul style="list-style-type: none"> სამწარმო (ანტრეპრენიორული); ადაპტირებადი. <p>ზურფუა და ბროდვინი (1984) –</p> <ul style="list-style-type: none"> კულტურის მოდელი; ზრდის (განვითარების) მოდელი. ცვლილების მოდელი. <p>აიზენშარტი და ზხარაკი (1992) –</p> <ul style="list-style-type: none"> პოლიტიკა და მაღალეფლება. <p>მინცბერგი და უესტლი (2001) –</p> <ul style="list-style-type: none"> „წინასწარ დანახვის“. <p>შრივასტაგა და გრანტი (1985) –</p> <ul style="list-style-type: none"> რაციონალურ-პოლიტიკური მოდელი. <p>ჰარტის (1992) –</p> <ul style="list-style-type: none"> ტრანზაქციული; გენერაციული. <p>ბეილი, ჯონსონი და დენიელის (2000) –</p> <ul style="list-style-type: none"> ზრდის; კულტურული; პოლიტიკური; გარდაუვალი ზრდის.

სტრატეგიის ფორმულირების პროცესთან დაკავშირებული თეორიები

ვან დე ვენმა (1992) გამოავლინა სტრატეგიული მართვის პროცესის რამდენიმე თეორია და მოახდინა მათი კლასიფიკაცია თეორიების ოთხი ძირითადი სახეობის მიხედვით. ესენია სასიცოცხლო ციკლი, თელეოლოგია, დიალექტიკა და ევოლუცია. ქვემოთ ახსნილია სწორედ ეს სახეობები. აქვეა მოყვანილი ამ კლასიფიკაციის შემადგენელი თეორიებიც.

სასიცოცხლო ციკლის თეორიის მიხედვით, ცვლილება გარდაუვალია, რაც ნიშნავს, რომ განვითარებადი ორგანიზაცია თავის არსში მოიცავს იმ ლოგიკას, პროგრამას ან კოდს, რომელიც არეგულირებს ცვლილების პროცესს და გადაადგილებს მას საწყისი წერტილიდან წინასწარ განსაზღვრული, სასურველი შედეგის მიმართულებით. ამ თეორიის საფუძველი მომდინარეობს ბიოლოგიიდან, რომლის მიხედვითაც, ჩანასახის განვითარების თითოეული წარმატებული ეტაპი წინა ეტაპზეა დამოკიდებული. ორგანიზაციის სიცოცხლის ციკლის თეორია ფუნქციონირებს ინსტიტუციური წესების ან პროგრამების საფუძველზე დაყრდნობით, რაც მოითხოვს განვითარების ქმედებების წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით შესრულებას.

თელეოლოგიური მოდელის მიხედვით, არსებობს რამდენიმე თანაბრად ეფექტიანი გზა ერთი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ეს თეორია გასხვავდება სიცოცხლის ციკლის თეორიისგან იმით, რომ ის ხაზს არ უსვამს მოქმედებების კონკრეტული თანმიმდევრობის აუცილებლობას. თელეოლოგია დაფუძნებულია იდეაზე, რომ განვითარებადი ორგანიზაცია არის მიზანმიმართული და ადაპტირებადი და რომ ის სოციალურად აგებს თავის დასახულ საბოლოო მდგომარეობას და ალტერნატივებიდან ირჩევს საუკეთესო გზას ამ მდგომარეობამდე მისაღწევად.

დიალექტიკა ვარაუდობს, რომ განვითარებადი ორგანიზაცია არსებობს ისეთ გარემოში, როგორშიც ურთიერთსაპირისპირო მოვლენები, ძალები და ღირებულებები გამუდმებით ებრძვიან ერთმანეთს დომინირებისა და კონტროლისათვის. ის სტაბილურობასა და ცვლილებას განმარტავს, როგორც შეფარდებით ბალანსს დაპირისპირებულ ძალებს შორის. მხარეების დაპირისპირებისა და შეთანხმების შედეგად მიღებული სტატუს კვოს შენარჩუნებით კი იქმნება სტაბილურობა. ხოლო როდესაც ეს დაპირისპირებული ღირებულებები, ძალები და მოვლენები არღვევენ ბალანსს, ხდება ცვლილება. ამ თეორიას შეუძლია ახსნას ის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც მიისწრაფიან წონასწორობის, მერყეობისა და ქაოსისკენ (გარუდი და ვან დერ ვენის, 2002).

ევოლუცია ცვლილებას ხსნის როგორც ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების განმეორებად, მზარდ და სავარაუდო (გაუთვალისწინებელ) თანმიმდევრობას. სოციალური ევოლუციის ალტერნატიული თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ როგორ იძენენ ისინი თვისებებს, როგორ ხდება ცვლილება, ნელა და წყნარად, თუ სწრაფად და რადიკალურად. ამ თეორიის მაგალითებია „სოციალური ევოლუცია“ (ნელსონი და უინთერი, 1982) და „კულტურული ევოლუცია“ (ბურგელმანი, 1991).

სტრატეგიის ფორმულირების მეთოდების მეფინგი

წინა სექციებში განხილულია სტრატეგიის ფორმულირების რამდენიმე მოდელი, რომლებიც განმარტავს სტრატეგიის შექმნის სხვადასხვა მეთოდებს. პარტმა (1992) და ბეილიმ, ჯონსონმა და დენიელსმა (2000), ამ სფეროში არსებული ლიტერატურის გამოკვლევების შედეგად, ჩამოაყალიბეს რამდენიმე მიდგომა. სტრატეგიის ფორმულირების პროცესი აიხსნა სამი ზოგადი ხედვის, სტრატეგიული არჩევნის, სოციალური პროცესებისა და გარემოებრივი ფაქტორების გამოყენებით.

ზემოთ განხილული სტრატეგიის ფორმულირების ოთხი ძირითადი თეორია (თელეოლოგია, სასიცოცხლო ციკლი, დიალექტიკა და ევოლუცია) და სამი ხედვა ჩვენ გამოვიყენეთ კომბინირებულ ჭრილში სტრატეგიის ფორმულირების მოდელის ასახსნელად. უპირველეს ყოვლისა, ყველა მოდელი დაჯგუფდა ზემოთ ახსნილი ოთხი თეორიის მიხედვით. შემდეგ თითოეული მოდელის მახასიათებლები დაუწვეილდა სამი ხედვის მახასიათებლებს და დალაგდა შესაბამის უჯრებში. ეს ყველაფერი ნახვენებია ცხრილში 5.

როგორც ნახვენებია ცხრილში 5, მოდელის უმრავლესობა **თელეოლოგიის თეორიის** ჯგუფშია გაერთიანებული, რადგან ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აღმასრულებელი დირექტორის როლს სტრატეგიის შექმნის პროცესში. მიზნების უმეტესობა განსაზღვრულია წინასწარ და ფორმულირება, განხორციელება და შეფასება მიმდინარეობს სტრატეგიის პროცესის დროს. აღნიშნული მოდელები კი, თავის მხრივ, **სტრატეგიული არჩევნის** ხედვას იზიარებენ, რადგან აღნიშნული მიდგომები იზიარებენ წინასწარ დაგეგმილი მიზნების რაციონალური და ამომწურავი პროცესით მიღწევის იდეას. მათ შორის არის „პროცესის კლასიკური მოდელი“, „დაგეგმვის მეთოდი“, „მეთაურის მოდელი“, „ცვლილების მოდელი“, „რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა“ „ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი“ და ა.შ. რაც შეეხება სტრატეგიის ფორმულირების პროცესის დანარჩენ ორ ხედვას, მასში **თელეოლოგიის თეორიის საფუძვლის მქონე** არც ერთი მოდელი არ კლასიფიცირდა.

სასიცოცხლო ციკლის თეორიის და **სტრატეგიული არჩევანის** ხედვის ჯგუფში გაერთიანდნენ „წრფივი სტრატეგია“, „მიმართულებათა ჩამოყალიბება - ვარიანტების განსაზღვრა - გადაწყვეტილების განხორციელება“ და „წინასწარ მოფიქრების მოდელი“ რადგან ისინი მიჰყვებიან მოვლენების დეტალურ თანმიმდევრობას სტრატეგიის ფორმულირების პროცესის დროს. ანალოგიურად, **სასიცოცხლო ციკლის** თეორიის ბაზისის მქონე არც ერთი მოდელი არ იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების სოციალური პროცესებისა და გარემოებრივი ფაქტორების ხედვას.

მხოლოდ „ზრდის მეთოდი“ მოხვდა **დიალექტიკის თეორიის** კლასიფიკაციასა და სტრატეგიული არჩევანის ხედვის ჯგუფში, რადგან მათი მიხედვით, სტრატეგიული პროცესი მოიცავს ლობირების, მოლაპარაკების და კამათის ფაქტორებს. აშნიშნულ თეორიაზე (დიალექტიკა) დაფუძნებით მოდელის უმრავლესობა იზიარებს **სოციალური პროცესების ხედვას**, რადგან სტრატეგიის ფორმულირება არის დაპირისპირებისა და კონსენსუსის მიღწევის ნაყოფი. აღნიშნული მოდელებია: „დაპირებადი“ მეთოდი, „პოლიტიკური“, „კულტურული“, „თანამშრომლობის მოდელი“ „კულტურის მოდელი“, „პოლიტიკა და ძალაუფლება“, „რაციონალურ-პოლიტიკური“ მოდელი და „ტრანზაქციული“ მეთოდი. როგორც ცხრილიდან 5 ჩანს დიალექტის თეორიის საფუძვლის მქონე არც ერთი მოდელი არ იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების გარემოებრივი ფაქტორების ხედვას.

ევოლუციის თეორიის შეხედულებების გამოიარებულ მოდელთა ჩამონათვალთა თანაბარი რაოდენობა იზიარებს სტრატეგიის ფორმულირების სამივე ხედვას. შესაბამისად, **სტრატეგიული არჩევანის** ჯგუფში მოხვდა „წინასწარ დანახვის“ მოდელი, რომელიც ხაზს უსვამს შემოქმედებით აღმოჩენებს და სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) მოდელი, რომლებიც ეყრდნობიან ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების პროცესებს. **სოციალური პროცესების** ჯგუფში მოხვდნენ „ზრდის (განვითარების)“ მოდელი „გენერაციული“ მოდელი, რადგან ისინი ემხრობიან სტრატეგიის ფორმულირების მუდმივი განახლების ხედვას და მიყვებიან ვარიაცია-შერჩევა-შენარჩუნების თანმიმდევრობას. ჩვენს მოდელში გარემოებრივი ფაქტორების ხედვას იზიარებს ორი მოდელი, „დაპირებადი

სტრატეგია“ და „გარდაუვალი არჩევანი“ . ორივე მოდელს წინა პლანზე გამოაქვს გარემოს მნიშვნელობა სტრატეგიის ფორმულირების პროცესში და შესაბამისად, ხედებიან ევოლუციის-თეორიის-ჯგუფში.

ცხრილში 6 მითითებული სტრატეგიის ფორმულირების მეთოდები დაფუძნებულია ზემოთ ხსენებულ ოთხ თეორიასა და სამ სტრატეგიულ ხედვაზე. სტრატეგიის ფორმულირების რაციონალური მეთოდი ფართოდ გამოიყენება ორგანიზაციებში და ის მოიცავს გარემოში არსებული პერსპექტივების სისტემატიურ ძიებას, ხარჯებისა და მოგების მუდმივ ანალიზს.

ცხრილი 5

სტრატეგიის ფორმულირების მოდელების მეფინგი ოთხი თეორიისა და სამი სტრატეგიული ხედვის მიხედვით

თეორიები	სტრატეგიული პროცესის ხედვა		
	სტრატეგიული არჩევანი	სოციალური პროცესები	გარემოებრივი ფაქტორები
თელეოლოგია	<p>პროცესის კლასიკური მოდელი (ენდრიუსი, 1971); დაგეგმვის მეთოდი (მინცბერგი 1973); მეთაურის მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984); ცვლილების მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984); რაციონალობა და შეზღუდული რაციონალობა (აიზენჰარტი და ზბარაცკი, 1992); ბიუროკრატულ-სისტემური მოდელი (შრივასტავა და გრანტი, 1985); ადაპტირებადი დაგეგმვის მოდელი (შრივასტავა და გრანტი, 1985); განკარგულების მეთოდი (ჰარტი, 1992); სიმბოლური მეთოდი (ჰარტი, 1992); რაციონალური მეთოდი (ჰარტი, 1992); განკარგულება (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000); დაგეგმვა (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>		
სასიცოცხლო ციკლი	<p>წრფივი სტრატეგია (ჩაფი, 1985); მიმართულებათა ჩამოყალიბება – ვარიანტების გასაზღვრა – გადაწყვეტილების განხორციელება (ნათი, 1997); წინასწარ მოფიქრების მოდელი (მინცბერგი და უესტლი, 2001).</p>		

<p>დიალექტიკა</p>	<p>ზრდის მეთოდი (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>	<p>ადაპტირებადი მეთოდი (მინცბერგი, 1973); თანამშრომლობის მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984); კულტურის მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984); პოლიტიკა და ძალაუფლება (აიზენ-ჰარტი და ზბარაცკი, 1992); რაციონალურ-პოლიტიკური მოდელი (შრივასტა-ვა და გრანტი, 1985); ტრანზაქციული მეთოდი (ჰარტი, 1992); პოლიტიკური (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000); კულტურული (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>	
<p>ევოლუცია</p>	<p>სამეწარმეო (ანტრეპრენიორული) მეთოდი (მინცბერგი, 1973); „წინასწარ მოქმედების“ მოდელი (მინცბერგი და უესტლი, 2001).</p>	<p>ზრდის (განვითარების) მოდელი (ბურჟუა და ბროდუინი, 1984); გენერაციული მოდელი (ჰარტი, 1992).</p>	<p>ადაპტირებადი სტრატეგია (ჩაფი, 1985); გარდაუვალი არჩევანი (ბეილი, ჯონსონი და დენიელსი, 2000).</p>

ცხრილი 6

სტრატეგიის ფორმულირების მოდელების განმარტება

თეორიები	სტრატეგიული პროცესის ხედვა		
	სტრატეგიული არჩევანი	სოციალური პროცესები	გარემოებრივი ფაქტორები
<p>თელეოლოგია</p>	<p>„რაციონალური მეთოდი“</p>		
	<p>სტრატეგია იქმნება ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, დეტალური ანალიზის შემდგომ.</p>		
<p>- მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული; - ხაზს არ უსვამს მოქმედებების კონკრეტული თანმიმდევრობის აუცილებლობას; - სტრატეგიის ფორმულირების პროცესი ინიცირება გამომდინარეობს მიზნების ფორმულირება ან მოდიფიცირებიდან.</p>			

სასიცოცხლო ციკლი	„რაციონალური, თანმიმდევრული მეთოდი“		
	სტრატეგია იქმნება ორგანიზაციის მიზნების მიხედვით თანმიმდევრული მოვლენებისგან შემდგარი პროცესით.		
<ul style="list-style-type: none"> - მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული; - ფუნქციონირებს ინსტიტუციური წესების ან პროგრამების საფუძვლებზე დაყრდნობით; - განვითარების ქმედებები წინასწარ განსაზღვრულია და თანმიმდევრულად ხორციელდება. 			
დიალექტიკა	„ბალანსის მეთოდი“	„სოციალური წონასწორობის მეთოდი“	
	მენეჯერები ირჩევენ სტრატეგიას წონასწორობის მიხედვით, რომელიც შექმნა ორგანიზაციული ძალების ბალანსმა.	სტრატეგია არის წონასწორობის შედეგი, რომელიც შექმნა ორგანიზაციული ძალების ბალანსმა. ამ და წონასწორობის არჩენის მეთოდს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ წონასწორობის არჩენის მიდგომით სტრატეგიას ქმნიან	
<ul style="list-style-type: none"> - მიზნები წინასწარ არ არის განსაზღვრული; - სტაბილურობა იქმნება დაპირისპირებული მხარეების ბრძოლისა და შეთანხმების შედეგად; - ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ირდევია ძალთა ბალანსი ბალანსი. 			
ეკოლუცია	„ეკოლუციური მეთოდი“	„სოციალური ეკოლუციის მეთოდი“	„ადაპტაციის მეთოდი“
	სტრატეგია ირჩევა ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების მუდმივი პროცესის შედეგად.	სტრატეგია ირჩევა ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების მუდმივი პროცესის შედეგად. ამ და ეკოლუციური არჩენის მეთოდს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეკოლუციური არჩენის მიდგომით სტრატეგიას ქმნიან მენეჯერები.	ორგანიზაცია ებუება გარემოს ცვლილებებს და ორგანიზაციული სტრატეგია არის ამ ადაპტაციის შედეგი.
<ul style="list-style-type: none"> - ცვლილებები ხდება ვარიაციის, შერჩევისა და შენარჩუნების პროცესთა მუდმივი ციკლის შედეგად; - ვარიაცია დაუგეგმავი მოვლენაა, შერჩევა კი ხდება ორგანიზაციის კონკურენტ ფორმებს შორის და გარემო მათ შორის ირჩევს იმას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის რესურსებსა და გარემოს ნიშას; - შენარჩუნებაში იგულისხმება ის ძალები, რომლებიც ინარჩუნებენ და განამტკიცებენ კონკრეტული ორგანიზაციის ფორმებს. 			

დასკვნა

ზემოთ განხილული სტრატეგიის ფორმულირების ოთხი ძირითადი თეორია და სამი ხედვა ჩვენ გამოვიყენეთ კომბინირებულ ჭრილში სტრატეგიის ფორმულირების მოდელების ასახსნელად. უპირველეს ყოვლისა, ყველა მოდელი დაჯგუფდა ზემოთ ახსნილი ოთხი თეორიის მიხედვით. შემდეგ თითოეული მოდელის მახასიათებლები დაუწვევილდა სამი ხედვის მახასიათებლებს და დალაგდა შესაბამის უჯრებში.

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ განსხვავება სინოპტიკურ და ინკრემენტალურ მოდელებს შორის და შევამოწმეთ ამ ორი მოდელის ძირითადი მახასიათებლები. წინამდებარე ნაშრომში განხილულია სტრატეგიის ფორმულირების თეორიული, ემპირიული და ინტეგრაციული მოდელები. განვიხილეთ სტრატეგიული მართვის პროცესის ოთხი თეორიული საფუძვლის და სტრატეგიის ფორმულირების პროცესის სამი ხედვა. შედეგად, გამოიკვეთა სტრატეგიის ფორმულირების შვიდი მეთოდი: რაციონალური არჩევანი, თანმიმდევრული არჩევანი, წონასწორობის არჩევანი, ევოლუციური არჩევანი, სოციალური წონასწორობა, სოციალური ევოლუცია და ადაპტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Andrews, K. R., (1971). *"The Concept of Corporate Strategy"*. Homewood, IL: Richard D. Irwin.
2. Andrews, K. L. R., (1980). *"The Concept of Corporate Strategy"*. Homewood, IL: Dow Jones-Irwin.
3. Ansoff, H. I. (1965). *"Corporate Strategy: Business Policy for Growth and Expansion"*. New York: McGraw-Hill.
4. Bailey, A., Johnson, G., and Daniels, K., (2000). *"Validation of a Multi-Dimensional Measure of Strategy Development Processes"*. British Journal of Management, 11(2), pp. 151-162.
5. Bourgeois, L. J. and Brodwin, D. R., (1984). *"Strategic implementation: Five approaches to an elusive phenomenon"*. Strategic Management Journal, 5: pp. 241-264.
6. Burgelman, R. A., (1991). *"Interorganisational ecology of strategy making and organizational adaptation: theory and field research"*. Organization Science, 2(S): pp. 239-262.
7. Chaffee, E., (1985). *"Three modes of strategy"*. Academy of Management Review, 10: pp. 89-98.
8. Dutton, J. E., (1988). *"Understanding strategic agenda building and its implications for managing change"*. In L. Pondy, R. Boland, & H. Thomas (Eds.), *Managing ambiguity and change*: pp. 127-144. Chichester, England: Wiley.
9. Eisenhardt, K. M., (1989). *"Making fast strategic decisions in high-velocity environments"*. Academy of Management Journal, 32(3), pp. 543-576.
10. Eisenhardt, K. M. and Zbaracki, M., (1992). *"Strategic decision making"*. Strategic Management Journal, 13(winter special issue): pp. 17-37.
11. Fredrickson, J. W. and Mitchell, T. R., (1984). *"Strategic Decision Processes: Comprehensiveness and Performance in an Industry with an Unstable Environment"*. Academy of Management Journal, 27(2), pp. 399-423.
12. Garud, R. and Van de Ven, A. H. (2002). *"Strategic change processes"*. In A. Pettigrew, H. Thomas & R. Whittington (Eds.). *Handbook of Strategy and Management*. London: Sage Publication.
13. Grant, J. H. and King, W. R., (1982). *"The Logic of Strategic Planning"*. Boston: Little Brown and Co.
14. Hart, S., (1992). *"An integrative framework for strategy-making processes"*. Academy of Management Review, 17: pp. 327-352.

15. Hofer C. and Schendel D., (1978). "*Strategy formulation: Analytical concepts*", pp. 27-33
16. Lindblom, C. E. (1959). "*The science of "muddling through"*". Public Administration Review, 19: pp. 79-88.
17. Lorange, P. and Vancil, R. A. (1977). "*Strategic Planning Systems*". Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall.
18. Mintzberg, H., (1973). "*Strategy making in three modes*". California Management Review, 16(2): pp. 44-53.
19. Mintzberg, H. and Westley, F., (2001). "*Decision-making: It's not what you think*". Shan Management Review, 42(3): pp. 89-94.
20. Nelson, R. R. and Winter, S. G., (1982). "*An Evolutionary Theory of Economic Change*". Boston, MA: The Belknap Press.
21. Nutt, P., (1997). "*Successful and unsuccessful tactics in strategic decision making*. In V. Papadakis, & P. Barwise (Eds.). Strategic Decisions: 205-228". Boston, MA: Kluwer Academic Publishers.
22. Papadakis, V. and Barwise, P. (1997). "*What can we tell managers about strategic decisions?*" In V. Papadakis; and P. Barwise (Ed.). *Strategic Decisions*. Boston, MA: Kluwer Academic Publishers.
23. Porter, M., (1982). "*Cases in Competitive Strategy*", Free Press, New York.
24. Rajagopalan, N., Rasheed, A. M. A. and Datta, D. K., (1993). "*Strategic decision processes: Critical review and future directions*". Journal of Management, 19(2): pp. 349-384.
25. Shrivastava, P. and Grant, J. H. (1985). "*Empirically derived models of strategic decision-making processes*". Strategic Management Journal, 6: 97-113.
26. Simon, H. A., (1957). "*Models of Man: Social and Rational: Mathematical Essays on Rational Human Behavior in a Social Setting*". New York: Wiley.
27. Stainer, G., (1969). "*Top management planning*", Business & Economy, Vol. 1.
28. Thompson, A. A. and Strickland, A. J. III., (1978). "*Strategy and Policy: Concepts and Cases*". Dallas: Business Publications Inc.
29. Van de Ven, A. H., (1992). "*Suggestions for studying strategy process: A research note*". Strategic Management Journal, 13(5): pp. 169-188

Mamuka Khuskivadze
Tornike Khoshtaria

THEORETICAL ANALYSIS OF SOME MODELS OF BUSINESS STRATEGY FORMULATION

Annotation

The article implements the classification of models of business strategy formulation according to synoptic and incremental models. The models which are weakly connected or generally have no connection with the mentioned categories are also revealed. Accordingly similar models belonged to the category of „no one“ and were excluded from the further analysis. There are discussed some theories of strategic management process revealed by Van de Ven (1992), these are: life cycle, teleology, dialectics and evolution.

We have used four principle theories and three views of the above mentioned strategy formulation in a combined aspect to explain strategy formulation models. First of all, all the models were grouped according to above mentioned four theories. Then the characteristics of models were coupled with the characteristics of three views and set at corresponding boxes.

Thus, we determined the difference between synoptic and incremental models and checked main directions of these two models. The presented work discusses theoretical, empirical and integrational models of strategy formulation. We have considered four views of theoretical basis of strategic management process and three views of strategy formulation process. As a

result, seven methods of strategy formulation were exposed: rational choice, successive choice, equilibrium choice, evolutionary choice, social equilibrium, social revolution and adaptation.

*ნუნუ ქისტაური
მედია მელაშვილი*

**ინოვაციური ინვესტიციური პოლიტიკა და მისი რეალიზაციის
ეკონომიკური ბერკეტები**

დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფის საკითხები და იმ ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება, რომლებიც საჭიროა ინოვაციურ-ინვესტიციური საქმიანობის რეგულირებისა და სტიმულირებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მეცნიერთა და პრაქტიკოს-სპეციალისტთა ერთიანი შეხედულება ეკონომიკის განვითარების საბაზრო თუ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების პრიორიტეტების შესახებ. გარდა ამისა, არასაკმარისადაა შემუშავებული ფინანსური, საკრედიტო და სხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ფორმირებისა და ეფექტიანი გამოყენების მეთოდოლოგიური პრინციპები. ასევე არსებობს ინოვაციურ-ინვესტიციური მართვის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მეთოდის ხარისხიანად შემუშავების პრობლემა. ამიტომ ინოვაციურ-ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების ფინანსური მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხად გვევლინება.

თითოეული ქვეყნის და მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკაში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის საფუძველს შეადგენს ინვესტიციური ურთიერთობები, ანუ ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებაში მატერიალური და სულიერი ფასეულობების ინვესტირებასთან. მაკროდონეუ (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური) მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობების შექმნაზე მიმართული რეფორმების განხორციელების პროცესში წამყვანი როლი ენიჭება სწორედ ინვესტიციებს და ინვესტიციურ საქმიანობას. თუმცა საჭიროა გამოვყოთ მათი მოზიდვის უარყოფითი შედეგებიც: სამამულო ორგანიზაციებზე კონტროლის დაკარგვა, სპეკულაციური პროცესების შესაძლო გადიდება. მიუხედავად ამისა, ქვეყნების უმრავლესობა იბრძვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, ვინაიდან მათ, როგორც წესი, ქვეყანაში შემოაქვთ უცხოურ საწარმოთა თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეები, ხელს უწყობენ შრომის მწარმოებლურობის ზრდას, მოსახლეობის დასაქმებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინვესტიციურ პროცესში ინვესტორის მონაწილეობის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს. პირდაპირი ინვესტიციების დროს იგულისხმება, რომ ინვესტორი უშუალოდაა ჩართული კაპიტალის დაბანდების პროცესში ინვესტირების განსახლვრულ ობიექტში იმ მიზნით, რომ მიიღოს მონაწილეობა საწარმოს მართვაში: ან იქნეს რეალურ აქტივებს, ან აბანდებს კაპიტალს ორგანიზაციის საწესდებო ფონდში. აქ ინვესტორი მიზანმიმართულია გავლენის სფეროს გაფართოებაზე, მომავალი ფინანსური ინტერესების უზრუნველყოფაზე და არა მარტო შემოსავლის მიღებაზე. პორტფელური ინვესტიციები კი წარმოადგენს ფინანსურ აქტივებში დაბანდებულ სახსრებს შემოსავლის მიღების მიზნით (დივიდენდების, პროცენტების, სხვა ფულადი გადახდების ფორმით).

ინვესტიცია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და ინოვაციური. ეს უკანასკნელი გულისხმობს ფულადი სახსრების დაბანდებას მეცნიერულ-ტექნიკური პრო-

გრესის უახლესი მიღწევების რეალიზაციისათვის ეკონომიკაში საერთოდ ან მის რომელიმე რგოლში. ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესები გადამწყვეტია ეკონომიკის განვითარებისათვის, რამდენადაც მხოლოდ ინოვაციების დანერგვითაა შესაძლებელი წარმოების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფა, ანუ ეკონომიკაში მშპ-ის ზრდა, ხოლო საწარმოში გამოშვების ან შესრულებული სამუშაოების გაზრდა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და ზრდა.

მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი დაფინანსების შიდა და გარე წყაროების ოპტიმალური თანაფარდობის შექმნაში. იგი მოწოდებულია, განახორციელოს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების პროცესი იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური სუბიექტები დაინტერესებული არიან თავიანთი სახსრები საქმიანობის ისეთ სფეროებში დააბანდონ, რომლებიც მოცემულ პირობებში მათ მაქსიმალურ მოგებას მოუტანს. ასეთი მდგომარეობა ინვესტიციური ინტერესების სახელმწიფო რეგულირების გარეშე გამოიწვევს ეკონომიკის ერთი სფეროს მეტად განვითარებას, ხოლო სხვებისას – ნაკლებად. ამის აშკარა მაგალითია გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აშშ-ის კრიზისი და დეპრესია. ეკონომიკურ სუბიექტებს განვითარების შესაძლებლობები წარმოექმნებათ იმ შემთხვევაში, როცა მათი ინტერესების რეალიზაციისათვის სახელმწიფო გამოიყენებს ინვესტიციური საქმიანობის განვითარების მასტიმულირებელ ინსტრუმენტებს.

ინვესტიციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებისა და ეკონომიკურ სუბიექტებზე მათი ზემოქმედების ხარისხის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დავახსიანოთ ეკონომიკის ძირითადი რგოლი, რომლის ინვესტიციური ინტერესების ფორმირებისა და განვითარების გარეშე შეუძლებელია მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარება. ასეთ რგოლს წარმოადგენს საწარმო, რომელიც ქმნის არა მხოლოდ საზოგადოების მიერ მოთხოვნად პროდუქციას, რომლის რეალიზაცია მის წარმოებაზე დახარჯული სახსრების აღწარმოების საშუალებას აძლევს, არამედ აწარმოებს ე.წ. ახლად შექმნილ ღირებულებას – მოგებას, რომლის ნაწილი საგადასახადო გამოქვითვების სისტემის მეშვეობით მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო აპარატის შენახვაზე და ქვეყნის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემის უზრუნველყოფაზე. საწარმოს განკარგულებაში დარჩენილმა წმინდა მოგებამ უნდა უზრუნველყოს გაფართოებული აღწარმოება და სოციალურ პროგრამათა წარმატებული რეალიზაცია.

ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართულ გამოყენებას. საბიუჯეტო ინსტრუმენტები ხასიათდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმართულებებითა და ზომებით. ჩვენი კვლევის ობიექტია ინვესტიციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ცვლილება ეკონომიკის განვითარების მიზნით (ვინაიდან ბიუჯეტის განაწილება სხვა არაფერია, თუ არა ინვესტიციური საქმიანობის სახესხვაობა ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით), ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის წარმატებული ინოვაციური პოლიტიკის ჩამოყალიბება.

ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესის განხილვა შეიძლება, როგორც ეკონომიკური ზრდისათვის დასახული მიზნების მიღწევის სტრატეგიის პროცესის რეალიზაცია მონაწილეთა ეკონომიკური ინტერესების შეთანხმებით. მის საფუძველია ინვესტიციური რესურსების მობილიზაცია და მათი მიმართვა წარმოების საშუალებათა შექმნაზე, შექმნასა და მოდერნიზაციაზე. ამ პროცესს შეუძლია მოიცვას პროდუქციის ან მომსახურების, ასევე მისი ელემენტების (სამეცნიერო კვლევები, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, მოქმედი

წარმოების გაფართოება ან რეკონსტრუქცია) შექმნის სრული სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ციკლი.

საქართველოში მთლიანად ინვესტიციების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

ცხრილი 1

ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში 2005-2014 წლებში

წლები	მშპ-ის %	ოდენობა, მლრდ აშშ დოლარი
2005	33.49	2.15
2006	30.86	2.39
2007	32.06	3.26
2008	25.96	3.32
2009	13.03	1.4
2010	21.59	2.51
2011	26.16	3.78
2012	28.95	4.59
2013	24.78	4
2014	29.77	4.92

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ეს მაჩვენებელი 2005-2014 წლებში მართალია 2-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს მოხდა თითქმის 10 წლის განმავლობაში. ესკი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. განსაკუთრებული ჩავარდნა 2009 წელს ფიქსირდება (გასაგები მიზეზების – ე.წ. „ხუთდღიანი ომის“ გამო) და ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 1.92 მლრდ აშშ დოლარით, ანუ 57.8%-ით შემცირდა. მომდევნო წლებში მაჩვენებლები თუმცა კი იზრდება, მაგრამ საკმაოდ ნელი ტემპით.

რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვამ და სწორად განაწილებამ. ბოლო პერიოდის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოში წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2005-2015 წლებში

წლები	% მშპ-ში	მლნ აშშ დოლარი
2005	7.07	450
2006	15.11	1170
2007	18.34	1870
2008	12.37	1580
2009	6.01	650
2010	7.44	870
2011	5.97	860
2012	2.69	430
2013	4.37	710
2014	9.97	1650
2015		1560

ცხრილში მოყვანილი ციფრების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ამ მხრივ საქართველოში არ არის სახარბიელო მდგომარეობა. თითქმის 10 წლის განმავლობაში 2005-2014 წლებში ეს მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდა. ეს ციფრი შედარებით დიდი იქნებოდა, რომ არა 2009 წლის მაჩვენებლის საკმაოდ დიდი ჩავარდნა (რისი მიზეზებიც ცხრილი 1-ის ანა-

ლიზისას აღვნიშნეთ), რამაც 930 მლნ აშშ დოლარი, ანუ 58.8% შეადგინა. შემდეგი 5 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებლის ცვლილება მერყეობდა. მაგალითად, 2010 წლისათვის იგი 220 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, შემდეგ 2011 წელს თითქმის არ შეცვლილა, ხოლო 2012 წლისათვის ისევ 2-ჯერ შემცირდა და 860 მლნ აშშ დოლარის ნაცვლად 430 მლნ შეადგინა. 2013-2014 წლებში თითქმის 1.3-ჯერ ზრდა ფიქსირდება და მაჩვენებელი 710 მლნ აშშ დოლარის ნაცვლად 1650 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა უნდა რეალიზდეს ეკონომიკური, ნორმატიულ-სამართლებრივი და სხვა სახელმწიფო მექანიზმების მეშვეობით. ამასთან, ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის და ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოსაზიდი ხელსაყრელი კლიმატის სტიმულირება უნდა გახდეს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებად გვევლინება: წარმოების ძირფესვიანი მოდერნიზაცია, სტრუქტურული გარდაქმნები და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო რესურსების რაციონალური გამოყენება. აღნიშნულის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ სფეროებში ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნით, ეკონომიკის რეალურ სექტორში სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების მხარდაჭერით, კერძო ინვესტორთა სამეურნეო საქმიანობის კანონმდებლობითი და ინსტიტუციური პირობების ჩამოყალიბებით. ასევე აქტუალურ საკითხად გვევლინება მოქალაქეთა ინვესტიციური აქტიუობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელება, კოლექტიური ინვესტორების კერძოდ, ინვესტიციური და საპენსიო ფონდების, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში მათი მონაწილეობის აქტივიზაცია.

ინოვაციურ საქმიანობას ძალიან დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში პროდუქტიული და ტექნოლოგიური ინოვაციები უზრუნველყოფს მშპ-ის 70%-დან 85%-მდე ზრდას.

აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში, ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების ეკონომიკური, ნორმატიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციული ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები მრავალფეროვნებით ხასიათდება. თუმცა შეიძლება მათი დაყოფა პირდაპირი და ირიბი რეგულირების მეთოდებად.

ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების მეთოდები რეალიზდება ბიუჯეტური სახსრებით დროის კონკრეტულ მონაკვეთში დასახული პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე. აქ სახელმწიფო გვევლინება მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების სპონსორად, იგი აფინანსებს ინოვაციურ პროექტებს, იყენებს სიახლეთა მხარდაჭერის მიზნობრივ პროგრამებს და ქმნის სპეციალურ ფონდებს, რომლებიც გასცემენ კრედიტებს და სახსრებს დაბრუნების გარეშე.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ირიბი მეთოდები ესმარებიან ხელსაყრელი პირობების შექმნაში მეწარმეობისათვის ინოვაციურ სფეროში და კერძო ინვესტიციების მოზიდვაში ინოვაციური მიმართულებით. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ასეთ მეთოდად გვევლინება ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება. გამოყენებული უნდა იქნეს ელასტიური მიდგომა გადასახადების დაწესებისას. ამასთან, ინოვაციურმა საწარმოებმა უნდა გამოიყენონ ეფექტიანი ამორტიზაციული პოლიტიკა, რაც გულისხმობს, კერძოდ, სამეცნიერო მოწყობილობათა დიდი ნაწილის ჩამოწერას დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების

მიხედვით. ამასთან, მათ უნდა მიეცეთ ანარიცხების ყოველწლიური პროცენტის კორექტირების უფლება წარმოების გაუმჯობესების, რეკონსტრუქციის და ტექნიკური გადაიარაღებისა და სხვა ინოვაციური ღონისძიებების განსახორციელებლად.

სახელმწიფომ ბანკებისათვის უნდა შექმნას ინოვაციური პროექტების დაკრედიტების სარგებლიანი პირობები. იმ შემთხვევაში, თუ ბანკებს სახსრები არ ყოფნით ინოვაციებისათვის, შეიძლება დაფინანსების არატრადიციული ფორმების გამოყენება: ვენჩურული კაპიტალი და ინოვაციური ლიზინგი. თუმცა ვენჩურული კაპიტალი, ჩვეულებრივ, არცთუ ისე დიდი ზომის საწარმოებში ინვესტირდება სწრაფი გამოსყიდვის მიზნით. მათ არ აქვთ გარანტიები ან რაიმე უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა აუცილებელია როგორც მცირე, ასევე საშუალო და მსხვილი ბიზნესის სფეროში. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესის დახმარებით.

ამ კუთხით განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს როლი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების საქმეში. სახელმწიფომ ბიზნესს ოპტიმალური პირობები უნდა შეუქმნას ჩამოყალიბება-განვითარებისთვის: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა; შექმნას კონკურენტული გარემო, შეძლოს ინფლაციის მოთოკვა, უზრუნველყოს ვალუტის გამყარება და კრედიტების და გადასახადების ოპტიმალური სტარიფო განაკვეთების დაწესება. სახელმწიფოს ვეალება ბიზნესის სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა.

დღესდღეობით არსებულ ეკონომიკურ პირობებში ე.წ. განვითარებად ქვეყნებში ძალიან დაბალია კომპანიების მოტივაცია, შეიძინოს „თანამედროვე ღონის“ ტექნოლოგიები და შეისწავლოს ღირებული შრომითი უნარ-ჩვევები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი პირობების შექმნა ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისათვის, ასევე კონკურენტული გარემოს შექმნა, რაც თავისთავად წარმოადგენს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების მოთხოვნის განვითარების შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს წარმოების აღორძინება-განვითარებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისკენ მიმართული სახსრების მოცულობა.

ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისთვის სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური, მან არ უნდა მისცეს უპირატესობა ერთ გადამხდელს და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს მეორე. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ერთ-ერთი დამახასიათებელი მანკვენებელია ის, რომ განათლებას, სხვა დარგების აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, სჭირდება ინოვაციის გამუდმებული პროცესები, ხოლო ეს პროცესები გაცილებით სწრაფად და კარგად მიმდინარეობს კონკურენციის და არა მონოპოლიზმის პირობებში.

2010 წლის მარტში ევროკავშირმა მიიღო ეკონომიკური განვითარების ახალი ევროპული სტრატეგია „ევროპა 2020: ზრდის გონიერი, მდგრადი და ყოვლისმომცველი სტრატეგია“. იგი გათვლილია უახლოეს 10 წელზე. ამ სტრატეგიის მეშვეობით ევროკავშირი ევროპას სთავაზობს თავიანთი მოღვაწეობის 5 ძირითად მიმართულებას: დასაქმება; კვლევები და ინოვაციები; კლიმატის ცვლილებები და ენერგეტიკა; განათლება; სიღარიბესთან ბრძოლა. დასახული ამოცანების შესრულების მიზნით 2014 წლის 1 იანვრიდან დაიწყო ახალი ჩარხო-პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის რეალიზაცია, რომელშიც გამოყოფილია სამი

უმნიშვნელოვანესი, ამავედროულად ამბიციური და პრიორიტეტული ვექტორი: მოწინავე ცოდნის გენერირება ევროკავშირის პოზიციების გასამაგრებლად მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გვერდით, ინდუსტრიული ლიდერობის მიღწევა და ბიზნესის ხელშეწყობა (მცირე და საშუალო საწარმოების ჩათვლით), სოციალური პრობლემების გადაწყვეტა თანამედროვეობის გამოწვევების კვლადაკვალ. ამ პროგრამების შესაბამისად, ევროპის ჩამორჩენილი რეგიონებისათვის გამოიყოფა 86 მლრდ ევრო, რომელიც გადანაწილდება სხვადასხვა ევროპულ ფონდში. ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში დანახარჯები კვლევებსა და ინოვაციებზე 2020 წლისათვის გაიზრდება 8.5%-მდე (მაგალითად, 2013 წელს იყო 6.7%). როგორც თვითონ ევროკავშირის ექსპერტები აღნიშნავენ, სტრატეგია „ევროპა 2020“ ითვალისწინებს არა მარტო ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს, მათ პრობლემებს და სახავს მათი დაძლევის გზებს, არამედ შეუძლია გახდეს ორიენტირი სახელმწიფო-კანდიდატებსა და უბრალოდ მეზობელი სახელმწიფოებისათვის, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი განვითარებისათვის გამოიყენონ ევროპის სტრატეგია, როგორც ეკონომიკური და ინოვაციური განვითარებისათვის ყველაზე აპრობირებული და წარმატებული. საქართველოც, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანათა რიცხვშია.

„ევროპა 2020“-ის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“ დაამტკიცა. სტრატეგიაში ასახულია ის მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ყოველისმომცველი ეკონომიკური ზრდა. დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის 3 უმთავრესი პრინციპი: რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

აღნიშნულ დოკუმენტში გათვლილია საქართველოში საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნები. მაგალითად, საბაზისო 2013 წლისათვის მთლიანი ინვესტიციების წილი მშპ-ში 24%-ს უტოლდება, 2017 წლისათვის იგი 30%-ის და 2020 წლისათვის 35%-ის ტოლი უნდა გახდეს. ასევე მითითებულია, რომ 2013 წლისათვის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო 72-ე ადგილზეა, ხოლო 2017 და 2020 წლებში შესაბამისად 58-ე და მე-40 ადგილზე გადაინაცვლებს.

ცხრილი 3 იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად შეიძლება განვითარდეს ინოვაციები და ტექნოლოგიები „საქართველო 2020“-ის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში.

ცხრილი 3

მაჩვენებელი	2013	2017	2020
საქართველოს პოზიცია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსში (KEI)	68	55	45
საქართველოს პოზიცია გლობალური ინოვაციების ინდექსში (GII)	73	65	60
ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP), ყოველწლიური (%)	2.70	3.00	3.20
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (ITI)	65	58	50

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სტრატეგია ითვალისწინებს კვლევისა და განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობას, ინოვაციის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები, საინოვაციო ცენტრები, უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და კვლევითი ლაბორატორიებისათვის დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერებას (საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად), ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების ხელშეწყობას (სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა), თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში 640.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია შემოვიდა, რაც 64%-ით აღემატება 2013 წლის მანკვენებელს. ბოლო წლებში ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციების თანაფარდობა მთლიან უცხოურ ინვესტიციებთან შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 4):

ცხრილი 4

წლები	პროცენტი
2009	34.1
2010	30,4
2011	49.6
2012	48.2
2013	41.4
2014	50.3

საქართველოში 2014 წელს ინვესტიციების განმახორციელებელი ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ათეული და მათ მიერ დაბანდებული ინვესტიციების ოდენობა შემდეგი სახისაა (ცხრ. 5):

ცხრილი 5

ქვეყანა	განხორციელებული ინვესტიცია (ათასი აშშ დოლარი)
ნიდერლანდები	331,234.4
გაერთიანებული სამეფო	113,851.5
ლუქსემბურგი	85,243.1
მალტა	38,391.4
საფრანგეთი	19,479.4
კვიპროსი	12,506.9
დანია	10,804.2
ჩეხეთი	7,458.0
ლატვია	6,138.7
იტალია	3,949.6
სხვა ქვეყნები	11,450.2

რაც შეეხება ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურას, ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა დამამუშავებელ მრეწველობაში (17.5%). შემდეგ მოდის ენერგეტიკა (16.4%), საფინანსო სექტორი

(14%), მშენებლობა (12.9), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (12.0%), სამთომოპოვებითი მრეწველობა (6.8%), უძრავი ქონება (5.6%), სოფლის მეურნეობა და თევზჭერა (3.5%) და ჯანმრთელობის დაცვა (0.1%).

როგორც ვხედავთ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური სისტემა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ძნელია ამას ეწოდოს დამაკმაყოფილებელი. ამიტომ, აუცილებელია, მაქსიმალური ძალისხმევა იქნეს გამოჩენილი არა მხოლოდ წარმოების ტემპების, არამედ თვით საწარმოო სიმძლავრეების ზრდისათვის, რომელთაც უნარი აქვთ, აწარმოონ პროდუქცია, რასაც ამჟამად ვიღებთ ძირითადად იმპორტის ხარჯზე. ვთვლით, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთადერთი სწორი თანამედროვე მიდგომაა ინოვაციური, მოდერნიზებული მოდელების, მექანიზმების და რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების სტრატეგიის არჩევა.

საქართველოს გადასვლა ინოვაციური განვითარების გზაზე მცირედაა დეკლარირებული. ამჟამად ეკონომიკის მოდერნიზაციის ღონისძიებები ხორციელდება ფრაგმენტულად, რაც იწვევს ეფექტიანობის დაცემასა და სირთულეებს ეკონომიკის რესტრუქტურისაციაში. საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია ინოვაციური შემადგენლების განვითარება, რაც საჭიროებს მთელ ეკონომიკაზე სისტემურ ზემოქმედებას და გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისათვის წინაპირობების შექმნას.

საბაზრო ცვლილებებმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ინტელექტუალურ პოტენციალს. საქართველოს წონა მეცნიერული კვლევების სფეროში უპრეცედენტოდ დაბალია. ქართულ კომპანიებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერჯერობით არ ძალუძთ წარმოებაში სიახლეების დანერგვა. დღეს მთელი მსოფლიო მაღალტექნოლოგიური წარმოებით არის დაკავებული. ცნობილია, რომ იაპონიაში, აშშ-სა და სხვა მოწინავე ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის 85-90% მიიღება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კორპორაციები, ეროვნული მეურნეობის დარგები აქტიურები გახდნენ თვითგადარჩენისათვის ბრძოლაში, კონკურენციის პირობებში ინოვაციური საქმიანობა პრაქტიკულად პარალიზებულია. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დაფუძნებული უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე. შეხედულება, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული სიტუაცია შესაძლოა მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვით შეიცვალოს, არ არის სწორი. დღეს აუცილებელია, კერძო ინვესტორის მიმართ მოთხოვნილებები ჩამოყალიბდეს ინოვაციური განვითარების გათვალისწინებით.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები შეისწავლიან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის გარკვეულ ეკონომიკურ მონაცემებს და ამის მიხედვით ანიჭებენ მათ ინდექსებს. ასეთ ინდექსაციას ერთობლივად აწარმოებენ კორნელის ინსტიტუტი (Cornell University), მსოფლიო ბიზნესსკოლა (INSEAD) და ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (WIPO). ანალიზი ეყრდნობა სტატისტიკური, ანალიტიკური და სოციოლოგიური კვლევებიდან გამოყვანილ 84 ინდიკატორს, მათ შორის პოლიტიკური ინსტიტუტების, ადამიანური კაპიტალის (განათლება და მეცნიერება), ინფრასტრუქტურას, ბაზრისა და ბიზნესის მახასიათებლების, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მაჩვენებლებს. მათ მიერ შემუშავებული გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით შესწავლილი 142 ქვეყნიდან 2013-2016 წლებში საქართველო 73-ე, 74, 73 და 64 ადგილზე იყო, ხოლო თვითონ ინდექსი იყო შესაბამისად: 35.6; 34.5; 33.8 და 33.9. რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლის მიხედვითაც მითითებული ორგანიზაციები აწარმოებენ ინდექსაციას, მათგან ძირითადი ინდიკატორები მოყვანილია მე-6 ცხრილში.

გლობალური ინოვაციების ინდექსის მაჩვენებლები საქართველოში

მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
ინოვაციურობის ინდექსი	31.9	34.3	35.6	34.5	33.8	33.9
დანახარჯები სკსსს-ზე, % მშპ-თან			0.08	0.1		
ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი, % საქონლის საერთო ექსპორტთან	0.3	0.46	0.69	0.63		
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი	10.88	18.82	20.08	25.93	34.73	
მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, წარმოებული საქონლის ექსპორტი %-ში	1.35	2.34	2.39	3.02	5.56	

სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით, საქართველოში შედარებით კარგი შეფასება მიიღო სახელმწიფო ინსტიტუტებმა, ბიზნესგარემომ, ბიზნესის დაწვეების სიმარტივითა და გადასახადების გადახდის სიოლით. საქართველოში პრაქტიკულად განუვითარებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესის და ორგანიზაციების შექმნის გარემო; დაბალია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დაფინანსების, გამოგონებებისა და პატენტების ინდიკატორები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი აუცილებლად უნდა დაეთმოს ინოვაციურ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებისა და მისი ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხს, რადგანაც ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე. ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა უკანასკნელ წლებში შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს უმეტესად წარმატებული ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობით და შექმნილი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე სისტემის გამოყენებით, რომლის საფუძველს შეადგენს სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტიანი მექანიზმი.

ქვეყნის სამომავლო განვითარების კუთხით, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე ამოცანების სწორად განსაზღვრას და ამის შედეგად ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას.

ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, საქართველოს გარკვეული უპირატესობანი გააჩნია წარმოების ზოგიერთი ფაქტორის სიააფის მხრივ. ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს საწარმოო სიმძლავრეები მრეწველობაში. არსებული ფონდების საშუალებით და ნაკლები ინვესტიციური ხარჯებით შესაძლებელია განხორციელდეს საწარმოთა მოდერნიზაცია და გადასვლა საშუალო დონის დასავლურ ტექნოლოგიათა გამოყენებაზე.

საქართველოს ასევე გააჩნია იაფი მუშახელი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მოზიდვის მხრივ იმ თვალსაზრისით, რომ მიმდინარეობს წარმოების სხვა ფაქტორების ფასების დაახლოება – მაგალითად, ძვირდება ენერგორესურსები – შიდა ფასები უახლოვდება მსოფლიო ფასებს, რაც იწვევს საწარმოო ხარჯების ზრდას და შესაბამისად წინა პლანზე სხვა იაფი ფაქტორების გამოყენების აუცილებლობას იწვევს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ იაფი მუშახელი არ არის ის ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას იქონიებს ინვესტიციური პროცესების წახალისებასა თუ მათ წარმატებულ განხორციელებაზე. ახალი ტექნოლო-

გიებისა და ინოვაციების დანერგვა, რომელიც საწარმოო ხარჯების შემცირების უმთავრესი პირობაა, მოითხოვს რომ წარმოების პროცესის წარმართვაში ჩართული იყოს კვალიფიციური მუშახელი. აუცილებელია სახელმწიფომ პირველ ეტაპზე თავის თავზე აიღოს სამუშაო ძალის მუდმივი და განუწყვეტელი გადამზადების პროცესის წარმართვა.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების გამოსწორებასა და ეკონომიკის სტრუქტურული პროცესის დაჩქარებაში ინვესტიციური გარემო პირობების გაუმჯობესებამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს, იგი საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შემუშავებას, რომლებიც, ჩვენი აზრით: ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას და, აქედან გამომდინარე, უფრო მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს; გააუმჯობესებს ინვესტიციების განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას, მათი განხორციელების მულტიპლიკატორული ეფექტის მიღწევას და ასევე, ახალი საფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას. აუცილებელია სახელმწიფო ინვესტიციური ფონდების და სადაზღვევო კომპანიების შექმნის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტის პროცესის დაჩქარება, და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს წარმატებული ინვესტიციურ-ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეისწავლოს და პრაქტიკულად გამოიყენოს იმ ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის, რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრების, რომლებიც თავიანთი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად თვლიან ინოვაციურ-ინვესტიციურ საქმიანობას. სამეცნიერო-ინოვაციური პროცესების გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა უნდა არეგულირებდეს ინტელექტუალური შრომის რესურსული პოტენციალის განვითარების პროცესს ცოდნის პრიორიტეტული განვითარების სტიმულირების, მაკროტექნოლოგიების შექმნის, კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების, სოციალურად ორიენტირებული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის წინაპირობების და საკანონმდებლო მექანიზმების შექმნის გზით. საქართველოს სახელმწიფო ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ეკონომიკის რეალურ და მომსახურების სფეროში ინოვაციებზე დაყრდნობილი ინვესტიციების ზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა და ხელშეწყობა. სწორედ გონივრულად ორგანიზებული ინოვაციურ-ინვესტიციური პოლიტიკა უნდა გახდეს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის და ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის ძირითად ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Абесадзе П., Бурдули В. Структурные инновационные проблемы экономического развития. Тбилиси, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. http://www.gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/BA_17.02.16/avtoreperati_i.papava.pdf
3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=18066>
4. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000529/DISERTACIA.pdf2015წ>,
5. http://www.for.ge/view.php?for_id=4095&cat=3
6. <http://cyberleninka.ru/article/n/o-faktorah-obespecheniya-effektivnosti-innovatsionno-investitsionnyh-protsessov>
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304>
8. <https://ka.wikipedia.org/wiki/>

9. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual_geo_2015.pdf
10. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
11. http://www.enterprisesurveys.org/?cid=FPD_EnterSurveyAlertEN_EXT
12. <https://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator>
13. Розенберг, Джери М. Инвестиции Терминологический словарь, М. 1997, с. 173
14. Большой экономический словарь /под ред. Азрилияна, М. 1997, с. 207
15. <http://www.lari.ge/menu/4-investicia/19-investicia.html>
16. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0>
17. Кейнс ДЖ.М. Общая теория занятости, процента и денег Избранное /Дж. М. Кейнс вступ. статья Н.А. Накашевой/ М. Эксмо, 2007. с. 89
18. Шумпетер И. Теория экономического развития М. 1982
19. Намба С.Б., Мещерякова М.А. Обзор работы круглого стола "Юридические аспекты поддержки инноваций в экономическом развитии" // Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения. 2010. № 1. с. 102.
20. Инновационное развитие: экономика, интеллектуальные ресурсы, управление знаниями /Под ред. Б.З.Мильнера. — М.: ИНФРА-М, 2010. — 624 с.
21. Капран Н.П. О политике хозяйствующего субъекта в сфере управления интеллектуальной собственностью // Биржа интеллектуальной собственности. — 2011. — № 2.
22. Индикаторы инновационной деятельности: 2013: статистический сборник. — М.: Национальный исследовательский университет «Высшая школа экономики», 2013. — 472 с
23. ფიშერი ს. დორნბუში რ. შმაღენხი რ. ეკონომიკა ტ 2 თბილისი, 1997 . 526 გვ.
24. კრუგმანი პ. საერთაშორისო ეკონომიკა თეორია და პოლიტიკა. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, 2000 500 გვ.
25. მაკკონელი კ. კემპბელ რ. ეკონომიკის: პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა 1997. ტ.3. 557 გვ.
26. კეინსი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია ქუთაისი: ს/ს „სტამბა“ 1995. გვ.179
27. http://ru.theglobaleconomy.com/Georgia/Foreign_Direct_Investment/
28. <http://ru.theglobaleconomy.com/>
29. <http://gtmarket.ru/ratings/global-competitiveness-index>
30. [file:///C:/Users/Ellene/Downloads/EU-Georgia_2014_-_9%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Ellene/Downloads/EU-Georgia_2014_-_9%20(1).pdf)

*Nunu Kistauri
Medea Melashvili*

**INNOVATION INVESTMENT POLICY AND
ECONOMIC LEVERS OF ITS IMPLEMENTATION
Annotation**

The article deals with the place of innovation investment policy for the development of national economy. The investment is presented as an essential constituent element of economic progress. It is noted that the achievement of national economic growth is determined by investment process that means the direction of any expenditure of funds to the development of production. The article shows the necessity to determine the place of financial mechanism in the regulation of investment activity.

It is worth noting that the mechanism allows us to use financing instruments and methods in the sphere of investment activity according to the requirements of funding and crediting amount, the level of relationship between the state and economic subjects at state and corporate

levels, with a view to increase the state's cash flow management efficiency , strengthen its investment potential and innovative direction of economy.

The article also shows a decisive significance of innovation processes for economic development, as far as only the introductions of innovations can provide the expanded reproduction of production i.e. the growth of gross domestic product (GDP). Therefore the economic development strategy in Georgia should be based on the development of innovative investment projects scientific and technological directions should become leading which will promote the use of advanced inventions in the country, increase its competitiveness and, most important, the welfare of population.

It should be emphasized that for any country including Georgia is of paramount importance a correct set of innovative policy which should define the role of scientific research and innovations as a priority in national economy.

ელიზბარ ბარბაქაძე

**წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების
ძირითადი ნიშან-თვისებები**

გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს, გაანალიზდეს მიზნის მიღწევის ყველა შესაძლო ალტერნატივა; მოხდეს მათი იდენტიფიცირება კომპანიის სასურველ მდგომარეობასთან; ჩამოყალიბდეს ყველა კონკრეტული ქმედება შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისა და ცალკეული პრობლემების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, რომლის საფუძველზე უნდა შექმნას თანმიმდევრული, სრული სამოქმედო გეგმა დასახული მიზნის მისაღწევად. ანუ შეიქმნას გეგმა, რომელიც სრულად ასახავს კომპანიის რეაქციას მის შიგა და გარე გამაღიზიანებელზე.

ფაქტია, რომ თანამედროვე პირობებში გადაწყვეტილების შემუშავება მაღალი ინტენსიურობით ხასიათდება, რადგან კომპანიები, როგორც ღია სისტემა, იძულებულნი არიან, უზრუნველყონ გარემო ფაქტორების სწრაფი ცვლილებების მიმართ იდეალური ადაპტაცია, რომელსაც იგი აღიქვამს უკუკავშირის მეშვეობით და რომელიც გეინვენებს მართვის ობიექტის პარამეტრების მიზნებიდან გადახრას, რაც თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ე.ი. პრობლემა იმაშია, რომ დღეს კომპანიის მართვის პროცესში უფრო ხშირად იქმნება მიზნებისა და სიტუაციების წინააღმდეგობა, რომლის სწორი გადაწყვეტა განსაზღვრავს მენეჯერის სამოქმედო კურსის შეცვლის აუცილებლობას წარმატების მისაღწევად. ამასთან, გადაწყვეტილების ეფექტი დამოკიდებულია არა მარტო ალტერნატივის სწორ შერჩევაზე და არც იმაზე, თუ როგორ მივიყვანო მას ბოლომდე, არამედ იმაზეც, თუ რამდენადაა მასში გათვალისწინებული კომპანიის სტრატეგიული პრიმატი. ამიტომაც, წარმატების მსურველ მენეჯერთა ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მისი წინასწარი განჭვრეტა და მათზე რეაგირება. მეორეც, წარმატების მსურველი მენეჯერი ყოველთვის უნდა აცნობიერებდეს, რომ კონკურენტული ბრძოლა არა მარტო მუდმივია, არამედ მასში მრავლადაა უცაბედი ცვლილებები, რომელიც შესაბამის ქმედებას მოითხოვს. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტაა ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავება, რომელშიც ზუსტად აისახება კომპანიის ბიზნესგარემოს ანალიზი და მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში მცირე თუ მსხვილი კომპანიის გაკოტრების ძირითადი მიზეზი მეტნაკლებად მაინც მენეჯერთა არასწორი სტრატეგიული კურსი იყო. საქმე ისაა, რომ მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს როგორც მიმდინარე სამეურნეო საქ-

მიანობის მართვა, ასევე მისი სწორი ხედვა კომპანიის სამომავლო პოზიციების შესახებ, ანუ მისი განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია.

როგორც ცნობილია, სტრატეგიის ფორმირება იწყება მენეჯერის მიერ კომპანიის შიგა და გარეთ არსებული ფაქტორების გაანალიზებით, ყველა დასმული ამოცანისა და საერთოდ, იმ გარემოებების შესწავლით, რაც გავლენას ახდენს ან შეიძლება მოახდინოს მისი მიზნების განხორციელების უნარზე როგორც აწმყოში, ასევე მომავალში. გარემოს ანალიზი წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მენეჯმენტი აფასებს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებზე მოქმედ ცვლილებებს, განსაზღვრავს რომელი ცვლილებები წარმოადგენს საფრთხეს მათთვის და რომელი ცვლილებები იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობებს. სხვა სიტყვებით, გარემოს სწორი ანალიზი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც მენეჯერები ცდილობენ შეისწავლონ (წინასწარ განჭვრიტონ) კომპანიის პოტენციური საფრთხეები და მისი შესაძლებლობები ამ ბიზნესში.

ფაქტობრივად, ყველა სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს, როგორც კომპანიის გრძელვადიანი განვითარების ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს მისი საქმიანობის სფეროს, მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს, მის შიდა ურთიერთობებსა და მისსავე პოზიციას გარე სამყაროსადმი. სტრატეგიის კარგი ფორმირება მენეჯერის ერთგვარი გამოცდაა იმ უნარებში, თუ რამდენად შეუძლია მას შეიმუშაოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლებიც წარმატებას მოუტანს მომავალში. ამისათვის კი, მენეჯერს უნდა შეეძლოს დაინახოს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მეორე მხრივ, მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე სწორად დაგეგმოს ბიზნესი – შეიმუშაოს წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ სასურველი მიზნების მისაღწევად სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირება მუდმივად განვითარებადი პროცესია, ის ხშირად საჭიროებს განახლებას, რადგან შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინებული კონკურენციის და საბაზრო კონიუნქტურის ყველა დეტალი. შესაბამისად, ყველა განახლებული გადაწყვეტილება ერთი მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს მუდმივად ცვლად გარემო ფაქტორებს და მეორე მხრივ, მენეჯერთა ძალისხმევით ახალ შესაძლებლობებს, თუ როგორ გახადოს სტრატეგია უფრო სრულყოფილი და ქმედუნარიანი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილების ფორმირება ერთჯერადი, მომენტალური მოქმედება ან მოვლენა კი არ არის, არამედ იგი ყოველთვის იმ გადაწყვეტილებების, ქმედებების და მოვლენების სერიაა, რომლებიც კომპანიის მოქმედებათა მასშტაბებსა და მის სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები, ჩვენი აზრით, ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებით უნდა ხასიათდებოდეს. ესენია: მთლიანობა, უწყვეტობა, სიზუსტე და მოქნილობა.

მთლიანობა ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში, მოქმედებს მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო სტრატეგიული გადაწყვეტილება, ერთზე მეტი გადაწყვეტილების ერთდროულად ამოქმედებამ შეიძლება არეგ-დარეგვა და უწყვეტობა გამოიწვიოს; უწყვეტობა გულისხმობს, რომ ნებისმიერი სტრატეგიული გადაწყვეტილება არის არა რაიმე მომენტი, ის არის პროცესი, რომლის დროსაც მენეჯერები ამოწმებენ არსებულ გადაწყვეტილებებს, მუდმივად ასწორებენ და ქმნიან ახალ სტრატეგიულ გეგმებს ორგანიზაციის ყველა დონეზე; სიზუსტე ნიშნავს იმას, რომ მენეჯერებმა არ უნდა დაიშურონ

ძალისხმევა ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოსაძიებლად, რაც კი მათ სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში გამოადგება; მოქნილობა კი ნიშნავს სტრატეგიული გადაწყვეტილების ისეთ შესაძლებლობას, რომ იოლად მოხდეს მისი გადაკეთება, თუკი ამას შეცვლილი სიტუაცია მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013. old.press.tsu.ge/GEO/internet
2. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. თბილისი, 2008 წ. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>.
3. ჭითაშვილი თ. როგორ გავაუმჯობესო მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი (20.10.2014). http://strategy.ge/2012/03/15/decision_making/
4. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2016, - 260 გვ.

Elizbar Barbakadze

KEY FEATURES OF SUCCESSFUL STRATEGIC DECISIONS

Annotation

Make a decision means that to be analyzed every possible alternatives of the reaching aim; To identify these possibilities with a desired condition of the company and should be create coherent and comprehensive action plan to achieve the goal. To achieve this, the manager has to consider, on the one hand, current events in society, on the other hand, the changes in the industry and then should plan the business. So that the manager should make a successful strategic decision. Such a formation of the strategy is not unitary or snap decision, but it is the series of decisions and actions. which are always connected with the scope of operations and the strategic goals of the company. In our view, a successful strategic decision should be characterized by at least four the most important features, such as: integrity, continuity, accuracy and flexibility.

*ნანა ბენიძე
ჯამბულ ბიჭაძე*

სადაზღვევო სექტორის ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში

ევროპული სადაზღვევო კომპანიების აქტივების დაახლოებით 60% არის სამთავრობო და კორპორაციულ ობლიგაციებში (Wyman 2013). ამ ინვესტიციების მეშვეობით სადაზღვევო სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკაში. სადაზღვევო კომპანიები ახდენენ მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირ დაკრედიტებას, ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, იპოთეკურ სესხებში, უძრავ ქონებაში, კერძო ინვესტიციებში.

წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებში საფონდო ბაზრებზე უამრავი ფინანსური ინსტიტუტია წარმოდგენილი, რომელთა შორის ყველაზე მეტ ინვესტირებას სწორედ სადაზღვევო კომპანიები ახდენენ. ამდენად, ყველა განვითარებულ ფინანსურ ბაზარზე სადაზღვევო კომპანიები ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუციურ ინვესტორებს წარმოადგენენ. საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) კი დღეისათვის 7 მოქმედი კომპანიიდან არც ერთი არ არის სადაზღვევო ორგანიზაცია (საქართველოს საფონდო ბირჟა 2015). როგორც ცნობილია, სადაზღვევო რეზერვები წარმოადგენს ინვესტირების ძირითად წყაროს, რასაც სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო ფონდები (საპენსიო დაზღვევა) უზრუნ-

ველყოფს გრძელვადიანი დაფარვით. 1980-2009 წლებში დიდ ბრიტანეთში საპენსიო აქტივების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) გაიზარდა 20%-დან 80%-მდე, ხოლო სადაზღვევო კომპანიების აქტივები კი — 20%-დან 100%-მდე (City of London Corporation, 2011). ამავე დროს, საპენსიო ფონდებმა და სადაზღვევო კომპანიებმა დაიწყეს ინვესტიციების ჩადება აქციებში, კორპორაციულ ობლიგაციებში.

რაც შეეხება საქართველოს, აქ სიცოცხლის დაზღვევის მოზიდული პრემიის წილი მშპ-ში, 2008 წლიდან 2014 წლამდე, შემცირებულია 20%-ით და შეადგენს 0,05%-ს, ხოლო საპენსიო ფონდებში განხორციელებული შენატანების წილი კი, ამავე პერიოდში, 55%-ით არის შემცირებული და მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს მშპ-ში (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2015). კონტინენტურ ევროპაში, ისტორიულად ინსტიტუციური ინვესტორები შედარებით მცირეა, რადგან PAYG (pay-as-you-go) სისტემის გაფართოება საპენსიო ფონდების შემცირებას იწვევდა (City of London Corporation, 2011). აქტუალურია ქართული სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია სადაზღვევო ფონდების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს, განვითარების პერსპექტივების შესწავლა.

ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაზე სადაზღვევო კომპანიების გავლენის ფაქტორი დადებითად რომ შეფასდეს, უნდა იყოს მდგრადი და სწრაფად მზარდი, მაგრამ საქართველოს სადაზღვევო სექტორს პრემიების დაბალი მოცულობა აქვს — 471-150-340 ლარი (2014), რაც მშპ-ის 1,76%-ს შეადგანს. ბაზრის მიღწეული მოცულობის დონე არ შეესაბამება ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების პარამეტრს — მშპ-ს 5% (განვითარებულ ქვეყნებში) და ვერ აღწევს საბჭოთა პერიოდის დონესაც — 3,3%-ს.

საქართველოში სადაზღვევო სექტორს, გლობალური ტენდენციებისგან განსხვავებით, აქვს გაცილებით უფრო დაბალი კაპიტალიზაცია, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებებს (ბანკებს), რომელთა საშუალო მაჩვენებელი, კვლევის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში (2008-2013), შესაბამისად ტოლია: ერთი სადაზღვევო კომპანია — საშუალოდ 6 მლნ ლარი სააქციო კაპიტალი, ერთი კომერციული ბანკი — საშუალოდ 2 015 მლნ ლარი სააქციო კაპიტალი. რაც შეეხება აქტივების მოცულობას, 2008–2014 წლებში, საშუალოდ, ერთი კომერციული ბანკის აქტივები, თითქმის 45-ჯერ აღემატება ერთი სადაზღვევო კომპანიის აქტივების საშუალო მაჩვენებელს. ამის გამო, საქართველოში საბანკო სექტორი ფინანსური ბაზრის მთავარი მოთამაშეა.

სადაზღვევო კომპანიები საინვესტიციოდ, ძირითადად, გამოიყენებენ დროებით თავისუფალ, საკუთარ და ნასესხებ სახსრებს. საკუთარ საშუალებებთან ერთად, გამოიყენება სადაზღვევო რეზერვებიც, რომლებიც დადგენილია სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის საქმიანობის განსახორციელებლად. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს რეზერვების შექმნის წესს, რომლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, შექმნას სადაზღვევო რეზერვები არასიცოცხლის, სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის მიზნით.

სადაზღვევო ორგანიზაციების რეზერვები იყოფა შემდეგ სახეობად: სიცოცხლის დაზღვევის რეზერვები და სიცოცხლის დაზღვევის გარდა, დაზღვევის სხვა სახეების რეზერვები. სადაზღვევო კომპანიების რეზერვებს გააჩნიათ ეკონომიკური „ხასიათი“ და წარმოადგენენ ინვესტირების წყაროს. მზღვეველმა რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივები უნდა შეარჩიოს დივერ-

სიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობისა და ლიკვიდურობის პირობებით. რაც შეეხება სადაზღვევო რეზერვების საინვესტიციო შესაძლებლობებს, ის დამოკიდებულია სადაზღვევო კონტრაქტის ტიპზე – მოკლევადიანია თუ გრძელვადიანია. სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევა, მისი გრძელვადიანი „ბუნებიდან“ გამომდინარე.

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ფინანსური მონაცემების საფუძველზე, კვლევის საანგარიშგებო პერიოდში (2008-2014), სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 129,99 მლნ ლარი შეადგინა. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევის შედეგად ვლინდება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის საინვესტიციო საქმიანობის გარკვეული დადებითი ტენდენცია – 2008–2011 წლებში მიღებული შემოსავლები არის სტაბილურად მზარდი. სადაზღვევო სექტორში ყველაზე დიდი საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია სიცოცხლის დაზღვევას და საპენსიო ფონდებს. კერძოდ, ხდება გრძელვადიანი რესურსების აკუმულირება და მათი დიდი ნაწილის ინვესტირება ეკონომიკაში. საქართველოში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი განუვითარებელია და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო პორტფელს გრძელვადიანი რესურსებით. საჭიროა, შეიქმნას სრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა სიცოცხლის დაზღვევის სფეროში, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პოლისის მფლობელის და სადაზღვევო კომპანიის დაბალანსებულ ინტერესებს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ცხრა სადაზღვევო კომპანია აწარმოებს სიცოცხლის დაზღვევას. საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, 2014 წლისთვის საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დაზღვევის 18 სახეობაა წარმოდგენილი. დაზღვევის სახეობებს შორის, საერთო რეიტინგში, სიცოცხლის დაზღვევა 2011-2013 წლებში მე-4 პოზიციაზე იმყოფება სამედიცინო, ქონების და სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის შემდეგ, რაც გარკვეულწილად დადებითი ტენდენციაა, 2015 წლიდან ლიდერობს ჯამრთელობის დაზღვევა.

საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე, მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინდუსტრია პრაქტიკულად განუვითარებელია. კვლევის ფარგლებში დასახელებულია ძირითადი მიზეზები, რაც აფერხებს საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას: საზოგადოების მენტალიტეტი. ინფორმაციის ნაკლებობა. ეკონომიკური მდგომარეობა. ამდენად, სანამ აქტუალურია საქართველოში მწვავე ეკონომიკური და მენტალური პრობლემები და ვიდრე, გარკვეულწილად მაინც, არ მოხდება მათი აღმოფხვრა, ნაკლებად მოსალოდნელია სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიის ზრდა. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 2015 წლის მონაცემებით, კერძო საპენსიო დაზღვევას რეგისტრირებული 14 სადაზღვევო კომპანიიდან მხოლოდ ორი, „აღდაგი ბი სი აი“ და „ჯი პი აი ჰოლდინგი“ სთავაზობს მომხმარებლებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში საპენსიო ფონდების რაოდენობის მკვეთრი შემცირება აღნიშნული ბაზრის არასტაბილურობასა და განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს.

დასკვნა და რეკომენდაციები – სადაზღვევო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიები გრძელვადიან დაფინანსებას, ძირითადად,

კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უზრუნველყოფს. ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ქართულ სადაზღვევო სექტორს შედარებით მცირე წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაში. საქართველოში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო ფონდები ამჟამად არ არის მიმართული საფონდო ბაზარზე და იმ საინვესტიციო პროგრამებზე, რაც უზრუნველყოფს, ეკონომიკის ინვესტირებას. თუმცა, ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში, ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, საბანკო დეპოზიტების გარდა, პრაქტიკულად, არც არსებობს სხვა, სტაბილურ შემოსავლიანი საინვესტიციო ინსტრუმენტები, რაშიც შესაძლებელი იქნება კაპიტალის დაბანდება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევა, რაც მსოფლიოში წარმოადგენს ინვესტირების მთავარ წყაროს, საქართველოში მცირედ არის განვითარებული. სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის აქტივების მცირე მოცულობა და მშპ-ში დაბალი წილი, საშუალოდ 0,06 % (სიცოცხლის დაზღვევა) და 0,01% (საპენსიო დაზღვევა) მეტყველებს, რომ სადაზღვევო სექტორის როლი დაბალია ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაში. ასევე, სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკაში სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო პოტენციალი დაბალია და ქართული სადაზღვევო კომპანიები არ წარმოადგენენ ინსტიტუციურ ინვესტორებს, რომ უზრუნველყონ ინვესტიციების შემოდინება და ხელი შეუწყონ ქვეყანაში საფონდო ბაზრის განვითარებას. სადაზღვევო კომპანიები თანხების კონცენტრირებას არ ახდენენ საფონდო ბაზარზე და ძირითადად მიმართულია საბანკო სექტორში, რომელიც ფინანსურ ბაზარზე მთავარი მოთამაშეა. განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო საქმიანობა უმნიშვნელოა. მთავარი მიზეზი კი, სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის განვითარებლობაშია, რადგან სადაზღვევო აქტივებში სწორედ მათი წილი ჭარბობს, რაც დასავლურ სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს, რომ შექმნან გრძელვადიანი პორტფელები და უზრუნველყონ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ინვესტიცია ნაციონალურ და გლობალურ ეკონომიკაში. ქართული სადაზღვევო სექტორის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების უნდობლობა სადაზღვევო კომპანიის მიმართ, რაც აბრკოლებს სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის განვითარებას. ქვეყანაში სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია მათზე გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2014 წლის მაისი. <http://www.moh.gov.ge/>.
2. "საქართველოს ეროვნული ბანკი." სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები. მარტი 2013. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=531>.
3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. "სტატისტიკური მონაცემები. 2014 წლის მაისი. <http://insurance.gov.ge/>.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. "წლიური ანგარიში." თბილისი, 2013.
5. http://www.gse.ge/default_GEO.asp.

**THE INSURANCE COMPANIES INVESTMENTS IN THE GEORGIAN ECONOMY
Annotation**

The practice of developed countries shows , that insurance companies have the financial resources to significant accumulation. Thus, financial resources mobilization from Insurance companies, and then, their transportation into investments, will change Insurance sector into an important financial source of the country's economic development . The study was based on a theoretical basis of the insurance investments and discuss of international investment models, the analysis of insurance sector's investment activity and insurance companies as institutional investors role in development rate.

*ლია ელიავა
მალხაზ ბაძუა*

მიკროფინანსები და სოციალური პასუხისმგებლობა

მიკროფინანსებს განმარტავენ, როგორც ფინანსური სერვისების მიწოდებას ღარიბი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რომელიც ხელს უწყობს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფინანსური თვით-უზრუნველყოფის მიღწევას, შემოსავლების გენერირების ზრდას და ცხოვრების სტანდარტების ამაღლებას.

ტრადიციული საბანკო მიდგომებისგან განსხვავებით, სადაც უმთავრესია ფინანსური მოგების მიღება, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ ორმაგი პასუხისმგებლობა: ფინანსური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა (Double bottom line) [1]. მოგვიანებით ამას დაემატა მესამე მიმართულება: პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე (Triple bottom line).

თანამედროვე მიკროფინანსების ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ლათინურ ამერიკაში თითქმის ერთდროულად დაიწყო კლასიკური საბანკო მომსახურებისგან მკვეთრად განსხვავებული, ექსპერიმენტული და სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ფინანსური პროგრამების განხორციელება ღარიბთათვის, დამწყებ მეწარმეთათვის და სოფლად მცხოვრები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის. 1976 წელს ბანგლადეშში პროფესორ მოჰამედ იუნუსის მიერ დაარსებული “გრამინ ბანკი” ითვლება პირველ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად მსოფლიოში. მისი დაკრედიტების ინოვაციური მოდელი, რომელიც ძირითადად ჯგუფური სესხების მეთოდოლოგიას ეყრდნობოდა, დიდი პოპულარობით და წარმატებით სარგებლობდა 80-90-იანი წლების განვითარებად ქვეყნებში.

გრამინ ბანკში სესხები გაიცემოდა გირაოს გარეშე, რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფზე, რომლებიც სოლიდარულ პასუხისმგებლობას იღებდნენ ერთმანეთის საკრედიტო ვალდებულებებზე.

“ეს არ არის ქველმოქმედება. ეს არის ბიზნესი. ბიზნესი სოციალური მიზნით, რომელიც ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას” – ასე დაახასიათა მიკროფინანსები პროფესორმა იუნუსმა 2005 წელს ვაშინგტონში გამართულ მსოფლიო კონგრესზე.

“დღევანდელ გლობალურ ფინანსურ სისტემაში მსოფლიო ზრდასრული მოსახლეობის თითქმის ნახევარს არა აქვს სათანადო წვდომა საბანკო სერვისებზე. ბანკები უარს ეუბნებიან ღარიბებს დაკრედიტებაზე და ეს არის მთელი ფინანსური სისტემის სირცხვილი” [2].

სესხის საგარანტიოდ ჯგუფური სოლიდარობის პრინციპის გამოყენებამ, კლიენტთა შერჩევის ეფექტურმა მექანიზმებმა და მოქნილმა, მარტივმა სასესხო პროცედურებმა წარმატებით ჩაანაცვლა ბანკების კონსერვატიული მიდგომა (სესხის საგარანტიოდ მყარი გირაოს მოთხოვნა, ფორმალური და ბიუროკრატიული პროცედურები), რამაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საშუალება მისცა, სწრაფად გაზრდილიყვნენ ბაზარზე და მთლიანად მოეცვათ დაბალ-შემოსავლიან მსესხებელთა ის დიდი სეგმენტი, რომელსაც, მაღალი რისკების გამო, ბანკები ტრადიციულად უარს ეუბნებოდნენ დაფინანსებაზე.

დაკრედიტების ამ ინოვაციური, მაგრამ საკმაოდ რისკიანი მოდელის წარმატებით განხორციელებით, გრამინ ბანკმა სათავე დაუდო თანამედროვე მიკროფინანსების განმსაზღვრელ ფუნდამენტურ კონცეფციას, რომ ღარიბებსაც შეუძლიათ ისესხონ (poor are bankable) [3].

გრამინის ინოვაციური მოდელი სწრაფად გავრცელდა განვითარებად ქვეყნებში (“რაკიათ ბანკი” ინდონეზიაში, „ბანკოსოლი“ ბოლივიაში, “ფინკა” ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში). მან ასევე მოიპოვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერაც, ვინაიდან მიკროფინანსები მიჩნეულ იქნა სიღარიბესთან, უმუშევრობასთან, გენდერულ უთანასწორობასთან და სხვადასხვა სოციალურ პრობლემებთან გამკლავების ეფექტურ საშუალებად. გაერომ 2005 წელი გამოაცხადა მიკროფინანსების საერთაშორისო წლად, ხოლო მომდევნო 2006 წელს “გრამინ ბანკის” დამაარსებელს, პროფესორ მოჰამედ იუნუსს, მიენიჭა ნობელის პრემია სიღარიბესთან ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ასეთმა სწრაფმა ზრდამ, მსესხებელთა დიდმა რაოდენობამ და წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ნაჩვენებმა შთამბეჭდავმა ფინანსურმა შედეგებმა მალევე გამოიწვია სექტორის მიმართ დიდი დაინტერესება ფინანსური ინვესტორების მხრიდან. 90-იანი წლების ბოლოს დონორთა დაფინანსება და სოციალური ფონდები თანდათან ჩაანაცვლა ფინანსურმა კაპიტალმა და კერძო ინვესტიციებმა. მოხდა სექტორის სწრაფი ტრანსფორმაცია და კომერციალიზაცია. ფინანსური ინტერესი გახდა დომინანტური და უმთავრესი. გაჩნდნენ ახალი თაობის ე.წ. კომერციული, “ლომბარდული” და “იპოთეკური” ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომელთა უმთავრესი მოტივაცია მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია გახდა.

კომერციალიზაციამ და კერძო ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური შესაძლებლობები, მათ მიერ კლიენტურისთვის შეთავაზებული სერვისის ხარისხი, თუმცა საკმაოდ შესუსტდა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულება და დაკნინდა მიკროფინანსების თავდაპირველი, ფუნდამენტური ღირებულებები. ამ ცვლილებების შედეგად მიკროფინანსები საბოლოოდ ჩამოყალიბდა უფრო მეტად როგორც ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი, ვიდრე სიღარიბესა და სოციალურ პრობლემებთან ბრძოლის ეფექტური ინსტრუმენტი.

მომგებიანობის მაღალი მაჩვენებლების გამო მიკროსაფინანსო კომპანიებს გზა გაეხსნათ ფინანსური ბაზრებისა და საინვესტიციო კაპიტალისკენ. დიდი მოცულობით მოზიდულმა რესურსებმა თავის მხრივ სესხების მიწოდების სიჭარბე გამოიწვია ბაზარზე, რამაც წაახალისა ფინანსური პირამიდების შექმნა და მსესხებელთა ნაწილს ე.წ. “ჭარბვალიანობის” პრობლემები გაუჩინა. რამდენიმე ქვეყანაში დაფიქსირდა მიკროსაფინანსო სექტორის კრიზისი და დეფოლტის ფაქტები (ინდოეთი, პაკისტანი, ნიკარაგუა, მაროკო, ბოსნია-ჰერცეგოვინა).

აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა 2007-2008 წლებში, როდესაც გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე მკვეთრად მოიმატა ბანკებისა და მიკროსაფინანსო კომპანიების მხრიდან მსესხებელთა მიმართ აგრესიულმა, არაეთიკურმა მოპყრობამ და კლიენტთა უფლებების დარღვევის გასშირებულმა ფაქტებმა. განსაკუთრებული კრიტიკის ქვეშ მოჰყვა სესხის ამოღების არაპროფიტული და ზოგჯერ არაკანონიერი მეთოდები, რომელსაც კომპანიები მიმართავდნენ ფინანსური ზარალის თავიდან აცილების მიზნით და ინვესტორთა მოკლევადიანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ამას დაემატა ინდოეთში, ანდრჰ პრადეშის შტატში (Andhra Pradesh) მომხდარი სკანდალი, სადაც დაფიქსირდა რამდენიმე სუიციდის ფაქტი, რომლის მიზეზად გამოცხადდა მსესხებელთა მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანებები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და გაუმჭვირვალე ფასების გამო არსებული პრეტენზიები. მიკროფინანსების ცნობილი მკვლევარი დევიდ როდმანი აღნიშნავს: “მიუხედავად იმისა, რომ ბაზრების ზრდასთან და მათ გაჯერებასთან ერთად ადგილი უნდა ჰქონდეს ფასების შემცირებას, მიკროსესხების საშუალო გლობალური საპროცენტო განაკვეთი მაინც მაღალია და არ ჩამოდის 30%-ზე დაბლა” [4].

კიდევ უფრო შორს მიდის მეორე მკვლევარი მილფორდ ბატმენი და თავის ნაშრომში “რატომ არ მუშაობს მიკროფინანსები” ამტკიცებს, რომ “თითქმის არც ერთ რეალურ ბიზნესს არ შეუძლია ხანგრძლივ პერიოდში მოემსახუროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს (მაგალითად, მექსიკა: 70%-80%, ბოლივია: 30%-40%). მცირე გამონაკლისი შეიძლება იყოს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროები, თუმცა ეს ვერ ქმნის საკმარის პირობებს მიკრობიზნესის ზრდისა და განვითარებისთვის” [5].

დასასრულ, მრავალი მეცნიერი და ექსპერტი აცხადებს, რომ კომერციული მიკროფინანსები უმთავრესად აკრედიტებს უფრო კლიენტთა სამომხმარებლო საჭიროებებს (ე.წ. არაპროდუქტიული სეგმენტი) ვიდრე რეალური ბიზნესის დაწყებასა და განვითარებას. შედეგად, იზრდება კლიენტთა ვალდებულების ტვირთი, ხოლო მათი შემოსავლის დონე რჩება იგივე. ამის გამო მიკროფინანსებს აკრიტიკებენ ტომას დიტჩერი და ჰარპერ მაღკოლმი წიგნში “რა მოსდის მიკროფინანსებს”, სადაც ამტკიცებენ, რომ “მიკროკრედიტებზე ფართო წვდომა განაპირობებს კლიენტთა მიერ მათ მასიურ გამოყენებას უმთავრესად სამომხმარებლო საჭიროებებისთვის” [6].

აღნიშნული გამოწვევებისა და კრიტიკის საპასუხოდ, 2010-იან წლებში გლობალურ მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში დაიწყო ახალი მოძრაობა (Microfinance 3.0) [7], რომელიც ცდილობს გარკვეული სტანდარტებისა და ეთიკური ქცევის წესების დანერგვით დააბალანსოს სექტორის კომერციული და სოციალური ამოცანები, გააუმჯობესოს კლიენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები და გააძლიეროს სექტორის დადებითი რეპუტაცია.

მსოფლიო ბანკის, გაეროს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისა და სოციალური ფონდების მხარდაჭერით შეიქმნა რამდენიმე საერთაშორისო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს გამჭვირვალეობისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრინციპების გაძლიერებას მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ინიციატივები:

- The Smart Campaign (www.smartcampaign.org)
- The Social Performance Task Force (www.sptf.info)
- MicroFinance Transparency (www.mftransparency.org)

- Microfinance Information Exchange Platform (www.mixmarket.org)

აქედან მნიშვნელოვანია გაგვანალიზოთ პირველი ორი ინიციატივა, რომელიც უშუალოდ კლიენტთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა.

სმარტ-კამპანია (Smart Campaign) წარმოადგენს მიკროსაფინანსო ინდუსტრიის ლიდერთა მიერ შეთანხმებულ ერთობლივ გლობალურ ინიციატივას, რომელმაც ჩამოაყალიბა კლიენტთა უფლებების დაცვის 7 უნივერსალური პრინციპი და დაასაბუთა, რომ მათი დაცვა გონივრულია და მომგებიანია თავად მიკროსაფინანსო კომპანიებისთვისაც, ვინაიდან ეს განაპირობებს კლიენტთა მხრიდან ლოიალობის მაღალ დონეს და ნდობას.

სმარტ-კამპანია სათავეს იღებს 2008 წლიდან, როდესაც დოიჩე ბანკის (Deutsche Bank), მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო ჯგუფის (CGAP), გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), პოლონეთის მიკროსაფინანსო ცენტრისა (MFC) და რამდენიმე სხვა მსხვილი ორგანიზაციის მიერ ნიუ-იორკში შეთანხმდა და განისაზღვრა პასუხისმგებლიანი მიკროსაფინანსო საქმიანობისთვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები.

მომდევნო წლებში მოხდა ამ სტანდარტების კიდევ უფრო მეტად დახვეწა და დაზუსტება. საბოლოოდ, ფართო კონსულტაციის შედეგად, კლიენტთა უფლებების დაცვის შეიღმა ძირითადმა პრინციპმა მიიღო შემდეგი სახე:

- 1) **კლიენტზე მორგებული სესხის პროდუქტის დიზაინი და მიწოდება.**

ახალი პროდუქტის შექმნისა და მიწოდების დროს კომპანიებმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ კლიენტთა რეალური საჭიროებები და არ უნდა დააზიანონ მათი ინტერესები.

- 2) **ჭარბვალიანობისგან დაცვა.**

კომპანიებმა ადეკვატურად უნდა მოახდინონ რისკების შეფასება, დაადგინონ კლიენტთა რეალური გადახდისუნარიანობა და იზრუნონ იმაზე, რომ მსესხებლები დაიცვან ჭარბვალიანობისგან.

- 3) **გამჭვირვალობა.**

კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ყველა საჭირო ინფორმაციის ნათლად, ადეკვატურად და დროულად მიწოდება. დარწმუნდნენ, რომ კომუნიკაციის ენა გასაგებია კლიენტთათვის გადაწყვეტილების მისაღებად. განსაკუთრებით გამჭვირვალე უნდა იყოს ფასებისა და სესხის სხვა ძირითადი პირობების მიწოდება.

- 4) **პასუხისმგებლიანი ფასდადება.**

ფასები და სხვა ძირითადი პირობები მისაღები და ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლიენტთათვის. ამავე დროს მან უნდა უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობა და მომგებიანობა.

- 5) **კლიენტთა მიმართ სამართლიანი და პატივისცემითი მოპყრობა.**

კომპანიები და მათი წარმომადგენლები სამართლიანად და პატივისცემით მოპყრობიან კლიენტებს. არ უშვებენ დისკრიმინაციას. აქვთ სისტემები, რათა აღმოფხვრან კორუფციისა და უფლებების გადამეტების ფაქტები. არ მიმართავენ აგრესიულ ქმედებებს, განსაკუთრებით გაყიდვებისა და სესხის ამოღების პროცესში.

- 6) **კლიენტთა მონაცემების კონფიდენციალურობა.**

კომპანიები უზრუნველყოფენ და პატივისცემით მოპყრობიან კლიენტთა პირადი და კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობას. მისი გამოყენება ხდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად.

- 7) **საჩივრების რეაგირების მექანიზმები.**

კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ დროული და ეფექტური მექანიზმების არსებობა კლიენტთა მიერ დაფიქსირებული პრობლემებისა და საჩივრების მიმართ რეაგირებისთვის.

სმარტ-კომპანიის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპების ერთგულ სოციალურად პასუხისმგებელ და გამჭვირვალე ორგანიზაციებს უფრო მეტი სტაბილური, ლოიალური და სანდო კლიენტები ეყოლებათ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნესის წარმატებისა და მომგებიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი პირობაა. დღეის მდგომარეობით სმარტ-კომპანიაში 2,000-ზე მეტი ორგანიზაციაა გაწევრიანებული მსოფლიო მასშტაბით და მხარს უჭერს მისი პრინციპების დანერგვას ინდუსტრიაში.

მეორე მთავარი საერთაშორისო სტანდარტი, რომლითაც ასევე იზომება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სოციალური პასუხისმგებლობის დონე, არის 2012 წელს მიღებული “სოციალური ზემოქმედების მართვის უნივერსალური სტანდარტები” (Universal Standards, USSPM).

აღნიშნული სტანდარტები წარმოადგენს რამდენიმე წლის მანძილზე სექტორში ჩატარებული მრავალი კონსულტაციისა და დისკუსიის შედეგს. სოციალური ზემოქმედების მართვა (SPM) გულისხმობს ისეთი სისტემების არსებობას კომპანიაში, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს დეკლარირებული სოციალური მიზნების განხორციელებას და პოზიტიური ღირებულების შექმნას კლიენტისთვის.

უნივერსალური სტანდარტები საერთო ჯამში მოიცავს 21 ცალკეულ სტანდარტს, რომლებიც დაჯგუფებულია 6 ძირითად სექციადა.

1) სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი მონიტორინგი.

კომპანიას უნდა გააჩნდეს დეკლარირებული სოციალური მიზნები და მათი განხორციელების ნათელი სტრატეგია. მონიტორინგის მიზნით კომპანია უზრუნველყოფს კლიენტის დონეზე ყველა საჭირო ინფორმაციის მოგროვებას, დამუშავებასა და ანგარიშგებას.

2) მენეჯმენტი და თანამშრომლები აცნობიერებენ სოციალურ მიზნებს.

მმართველობა უზრუნველყოფს კომპანიის ანგარიშგაღებულებას სოციალური მიზნებისა და მისიის მიმართ. მენეჯმენტი უზრუნველყოფს სოციალური სტრატეგიის განხორციელებას. თანამშრომელთა შეფასება ხდება როგორც ფინანსური, ასევე სოციალური ინდიკატორების შესაბამისად.

3) კლიენტთა მიმართ პასუხისმგებლიანი მოპყრობა.

გამჭვირვალეობის მაღალი დონე, ჭარბვალიანობისგან დაცვა, სამართლიანი და პატივისცემითი დამოკიდებულება, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, საჩივრებზე რეაგირების მექანიზმები.

4) კლიენტზე მორგებული სესხის პროდუქტები და მიწოდების არხები.

კომპანია აქტიურად სწავლობს კლიენტთა რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს სესხის პროდუქტებისა და მიწოდების არხების მორგებას მათ მოთხოვნებზე კლიენტისთვის ზიანის მიუყენებლად.

5) თანამშრომელთა მიმართ პასუხისმგებლიანი მოპყრობა.

კომპანია მოქმედებს საკადრო დებულების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის უფლებების სათანადო დაცულობას და ადეკვატური სამუშაო პირობების გარანტიებს. კომპანია ატარებს ტრენინგებს პერსონალისთვის და დეტალურად აცნობს მათ სამუშაო პირობებს. კომპანია ასევე ახორციელებს თანამშრომელთა კმაყოფილების ხარისხისა და გადინების მონიტორინგს.

6) ფინანსური და სოციალური შედეგების დაბალანსება.

კომპანიის აქციონერები და სხვა მესვეურები აცნობიერებენ ორივე მიმართულების მნიშვნელობას. მოგების მიღებისკენ სწრაფვა არ აფერხებს და არ აზიანებს კომპანიის გრძელვადიან სტაბილურობას და კლიენტთა კეთილდღეობას. მენეჯმენტის კომპენსაციის დონე შეესაბამება ორმაგი მიზნის მქონე ორგანიზაციის სტატუსს.

დღეის მდგომარეობით 1,300-ზე მეტმა მიკროსაფინანსო კომპანიამ მოაწერა ხელი აღნიშნულ უნივერსალურ სტანდარტებს და ცდილობს მისი პრინციპების დანერგვას ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოში მოქმედმა რამდენიმე წამყვანმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მოაწერა ხელი და შეუერთდა უნივერსალური სტანდარტებისა და სმარტ-კამპანიის პრინციპებს. თუმცა, გაცილებით რთული აღმოჩნდა ამ სტანდარტების ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვა და მონიტორინგი.

რამდენიმე ლიდერი ქართული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ასევე რეგულარულად ატარებს საერთაშორისო სოციალურ რეიტინგს, რომლითაც იზომება კომპანიების მიღწევები სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ სექტორში გამჭვირვალობის სტანდარტების ამოქმედებასა და სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაციაზე აქტიურად მუშაობს საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია, სადაც გაერთიანებულია 20-მდე ადგილობრივი კომპანია.

ასოციაციის ინიციატივით 2013 წელს სექტორისთვის შემუშავდა ეთიკის კოდექსი, რომელშიც დეკლარირებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრიორიტეტულობა, კომპანიების ეთიკური ქცევის სტანდარტები და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.

აღნიშნული კოდექსის ეფექტურად დანერგვისა და მონიტორინგის მიზნით, ასოციაციაში შეიქმნა ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი. ასევე ფუნქციონირებს საჩივრების წარდგენისა და განხილვის მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებგვერდზე.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის მიერ 2013 წელს მიღებული ეთიკის კოდექსის 11 ძირითადი პრინციპი [8]:

- 1) მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტის დიზაინი და მიწოდება;
- 2) ჭარბვალიანობისგან თავის არიდება;
- 3) გამჭვირვალობა;
- 4) სამართლიანი და პატივისცემითი მოპყრობა მომხმარებლის მიმართ;
- 5) მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალობა;
- 6) საჩივრების გადაჭრის მექანიზმები;
- 7) ურთიერთობა თანამშრომლებთან;
- 8) ურთიერთობება მთავრობასთან და ზედამხედველებთან;
- 9) ურთიერთობები გარემოსა და ფართო საზოგადოებასთან;
- 10) ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა;
- 11) ეთიკის სტანდარტებისა და კულტურის დაცვა.

აღნიშნული პრინციპების დიდი ნაწილი აღებულია საერთაშორისო გამოცდილებიდან: სმარტ-კამპანიისა და უნივერსალური სტანდარტებიდან. თუმცა, არის რამდენიმე სპეციფიკური პრინციპი, რომელიც უშუალოდ ქართული სინამდვილიდან იქნა აღებული და შეთანხმებული.

კოდექსის უმთავრესი მიზანია, წაახალისოს წევრი-ორგანიზაციების მისწრაფება ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტებისკენ, ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიანი დაფინანსების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და უზრუნველყოს კლიენტთა ინტერესების პრიორიტეტულობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბოლო პერიოდში სექტორის მხრიდან პასუხისმგებლიანი დაფინანსების მიმართ დაფიქსირებული ინტერესისა, ის მაინც რჩება თვითრეგულირებისა და კომპანიების მხრიდან კეთილი ნების გამოხატვის რეჟიმში. უფრო ქმედითი და გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად სასურველია, ეს მხარე დაარეგულიროს გონივრულმა და დაბალანსებულმა რეგულაციებმა (ფასების გამჭვირვალობა, სესხის ზომა, კლიენტთა უფლებები, რეკლამის წესები და ა.შ.), რომლის შედეგადაც დაცული

იქნება როგორც მომხმარებელთა ძირითადი უფლებები, ასევე გარანტირებული იქნება თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციისა და ბიზნესის განვითარების პირობები. ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა ნდობას სექტორის მიმართ და ხელს შეუწყობდა ბაზრის შემდგომ გაჯანსაღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Tulchin, Drew. Microfinance & the Double Bottom Line. Social Enterprise Associates. Seattle, WA. 2005.
2. Yunus, Muhammad. World Health Congress. Washington, D.C. 2005.
3. The World Bank Symposium. Including the Poor, Washington DC. 1993.
4. Roodman, David. "Due Diligence: An impertinent inquiry into microfinance", Center for Global Development, 2011.
5. Bateman, Milford. "Why Doesn't Microfinance Work?" Overseas Development Institute, London, 2010.
6. Dichter, Thomas; Harper, Malcolm. What's wrong with microfinance? Rugby, UK, 2007.
7. Kohn, Doris. Reconciling Sustainability with Social Outreach and Responsible Delivery. Frankfurt, 2013.
8. საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია. www.miso.ge.

*Lia Eliava
Malkhaz Dzadzua*

MICROFINANCES AND SOCIAL RESPONSIBILITY Annotation

The article describes conditions of the customers' rights and their protection in modern microfinance industry. It evaluates the international and local standards, which measures a social responsibility level of the Microfinance organizations.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის ზოგიერთი საკითხი *ხათუნა თოდუა*

მოსახლეობის შემოსავლების დონე საზოგადოების კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, შემოსავლებზე უშუალოდ და მოკიდებული თითოეული ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს პირობებში შემოსავლების დონის ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან შემოსავლების დონე მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ფულადი შემოსავლები ტრადიციულად გამოიყენება მიმდინარე მოხმარებისათვის ხელმისაწვდომი რესურსების გასაზომად. შემოსავლებს შეიძლება ჰქონდეს როგორც ფულადი, ისე ნატურალურ-ნივთობრივი სახე.

ამასთანავე, შემოსავლები მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი კრიტერიუმია რესურსული უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის, მაკროეკონომიკის დონეზე შემოსავლებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ხარჯების მაჩვენებელიც.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- შემოსავლები დაქირავებული შრომიდან;
- შემოსავლები თვითდასაქმებიდან;

- შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან;
- შემოსავლები ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან);
- პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები;
- უცხოეთიდან მიღებული გზავნილები;
- საჩუქრად მიღებული ფული.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დინამიკის ანალიზისათვის უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ნომინალური და რეალური ფულადი შემოსავლების განსაზღვრა. საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ნომინალურმა ფულადმა შემოსავლებმა 2013 წელს, საქსტატის მონაცემებით, შეადგინა 791,3 მლნ ლარი, რაც 100,1 მლნ ლარით აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ცვალებადი სიდიდეა. ყოველწლიურად მოსახლეობის ნომინალური შემოსავლების იზრდება, თუმცა მას თან არ სდევს რეალური შემოსავლების მატება.

საქართველოში მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მთავარი სტრუქტურული ელემენტია დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები, აგრეთვე ტრანსფერტები (პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები) და თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლები. 2013 წელს მოსახლეობის საშუალო თვიურ ფულად შემოსავლებში დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების პროცენტულმა წილმა 37,0% შეადგინა, ხოლო 2012 წელს – 35,4%; თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი 2013 წელს 9,1% იყო, ხოლო 2012 წელს – 9,6%. ფულადი შემოსავლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის ტრანსფერტები (პენსიები, დახმარებები, სტიპენდიები), საქართველოში საშუალო თვიურმა შემოსავლებმა პენსიებისა და დახმარებების სახით ერთ შინამეურნეობაზე 2013 წელს შეადგინა 124,5 ლარი, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 28,2 ლარით აღემატება, ხოლო ამ კომპონენტიდან საშუალო თვიურმა შემოსავლებმა ერთ სულ მოსახლეზე 2014 წელს შეადგინა 34,6 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8 ლარით აჭარბებს. პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების სახით მიღებული შემოსავლის პროცენტული წილი მოსახლეობის ფულად შემოსავლებში 2013 წელს 15,5, ხოლო 2012 წელს 13,8% იყო.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მთავარი წყაროა ხელფასი. მისი წილი მოსახლეობის შემოსავლებში სოლიდურია.

საქართველოში ნომინალური საშუალო თვიური ხელფასი 2014 წელს 818,0 ლარი იყო, რაც 2013 წელთან შედარებით 44,9 ლარით მეტია. როგორც ცნობილია, რეალური ხელფასი ნომინალური ხელფასის პირდაპირპროპორციული და საქონლისა და მომსახურების ფასების უკუპროპორციულია, დღეს საქართველოში ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი აჭარბებს რეალური ხელფასის ზრდის ტემპს, რაც ინფლაციაზე მეტყველებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურების დონეები საგრძნობლად განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

ფულადი შემოსავლების კიდევ ერთი კომპონენტია უცხოეთიდან ფულადი გზავნილები. მათი დათვლა მარტივია, რადგან საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ფულადი გზავნილების ზუსტი მონაცემები, რასაც რეგულარულად აქვეყნებს კიდევ. კერძოდ, უცხოეთიდან მიღებულმა გზავნილებმა 2012 წელს შეადგინა ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ 28,7 ლარი, ხოლო 2013 წელს – 34,8 ლარი. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 2012 წელს 8,0, ხოლო 2013 წელს – 9,7 ლარი. საქართველოში მცხოვრები მრავალი ოჯახისათვის ფულადი გზავნილები შემოსავლის საკმაოდ

სერიოზული წყაროა. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოსახლეობის 80% შრომითი მიგრანტია, რომელთაგან საქართველოში ფულად გზავნილებს 70% აგზავნის.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი გზავნილები არა მხოლოდ იმ ფულად დახმარებას მოიცავს, რასაც მიგრანტები საკუთარ ან ნათესავების ოჯახებს უგზავნიან, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ არასაბანკო გზით გამოგზავნილ „ქეშსა“ თუ სხვადასხვა ტიპის საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთებს.

მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) ფულადი გზავნილებისა და სოფლის მეურნეობის წილები რომ შევადაროთ, საკმაოდ საინტერესო სურათს მივიღებთ – ფულადი გზავნილების წილი გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლის მეურნეობისა, და ეს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტია ჩართული!

საქართველოში საგრძნობლად განსხვავდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ქალაქად და სოფლად. ქალაქის მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების პროცენტულ განაწილებაში უდიდესი წილი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის, რამაც 2012 წელს აბსოლუტური გამოსახულებით 187,1 ლარი შეადგინა ერთ სულზე თვეში. ხოლო 2013 წელს – 225,6 ლარი, უმცირესი წილი კი – 0,5% – სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის, რამაც 2012 წელს 2,5, ხოლო მომდევნო წელს 4,1 ლარი შეადგინა ერთ სულ მოსახლეზე.

ქალაქის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მაღალია თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა; ამ უკანასკნელმა 2012 წელს თვეში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 50,1, ხოლო 2013 წელს – 54,4 ლარი შეადგინა.

იმავე პერიოდში სოფლის მოსახლეობის მიერ მიღებულ შემოსავლებში დაქირავებულ შრომაზე მოდის შესაბამისად 66,7 და 78,0 ლარი ერთ სულზე თვეში, მაშინ, როცა თვითდასაქმებიდან მიღებულმა ანალოგიურმა შემოსავლებმა შესაბამისად 18,2 და 19,9 ლარი შეადგინა. სოფლად განსაკუთრებით მაღალია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი მოსახლეობის შემოსავლებში, კერძოდ, 2012 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 46,7, ხოლო 2013 წელს 47,3 ლარი შეადგინა. განსაკუთრებით დიდია სოფლად არაფულადი შემოსავლების ხვედრითი წილი მოსახლეობის შემოსავლებში, რაც 2012 წელს 79,1, ხოლო 2013 წელს – 72,2 ლარს შეადგენდა ერთ სულ მოსახლეზე; აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სოფლად მოსახლეობა შემოსავლებს ძირითადად ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით იღებს.

საშემოსავლო უზრუნველყოფის დონე წლების მიხედვით იცვლება, შემოსავლების საერთო სტრუქტურაში ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა და როლი მეტად არაერთგვაროვანია.

Khatuna Todua

SOME ASPECTS OF THE STRUCTURAL ANALYSIS OF THE POPULATION'S MONETARY INCOMES

Annotation

The income level of the population is an important indicator of its prosperity. The nominal incomes increases in Georgia, but it's not followed by the real income increase. The main structural elements of the monetary incomes of Georgian population are the hired labor incomes, as well as transfers (pensions, allowances, scholarships) and also the self-employment incomes. They are the largest share of the monetary incomes of the population.

One of the most important sources of cash incomes is wages, the share of which in households' incomes is rather high. The structure of the pecuniary incomes of the urban population significantly differs from the rural population's incomes structure in Georgia. The levels of cash incomes of population changes year to year, also the roles and the values of the individual components of incomes in its' overall structure are quite different.

*Gocha Tutberidze
Ketevan Pipia
Paata Kunchulia*

ON ELECTROSTATIC MODELS OF MIGRATION

Mathematical modeling of various aspects of economy, demography and sociology is unquestionable. Physical models have also been applied for quite a while now. Moreover, in terms of economics and sociology, physics has contributed to emergence of new fields, such as econophysics and sociophysics [1]. Although the ultimate result is math-based, application of physical models is useful since physical intuition comes into play in their construction, which is a crucial point.

The paper aims at the study of migration via physical methods. The interregional, interstate and transcontinental migration has historical and political significance. However, it is the economic results of a large-scale internal migration, i.e. within a country or a region or abroad, where sometimes people stay for the rest of their lives that rouses most of the interest. Migration affects economic progress or decline, where their country of origin is concerned. Migration of highly qualified labor force or scientists, the so-called brain-drain from the developing to the industrial countries is fatal to the former. Here, we are not focusing on an ethical aspect of the problem: outflow of the specialists whose education has cost their country a lot. Although those may not be numerous but the negative effects of their emigration are indisputable.

Reasons behind migration, especially so, the labor migrations are extremely diverse. Below, we'll single out only the main types thereof, without touching upon the so-called return migration, such as seasonal, tourist etc. Apart from the greatest migrations in the history of mankind (Barbarian invasions) and those triggered by natural disasters or conflicts, wars etc., there are two main kinds of migration:

- 1) the one targeted at higher living standards, better education, job prospects etc.;
- 2) migration of the unemployed, unqualified or poorly qualified population, which takes place mainly during the a recession.

In both cases, one leaves one's homeland in search of a better life or education, a higher paid job, etc.

Back in the mid-XIX c., F. Kerry, American sociologist drew a parallel between gravitation and social developments [2, p.137, 2005]. In 1929, W. Reilly (USA) suggested the retail gravitation law according to which retail centers in towns and cities attract customers from surrounding areas. W. Reilly stated that the force of attraction is proportional to the size of a city and inversely proportional to the square of the distance from the city center to a customer. (2, p. 137). Nimmik based air transportation modeling on the law of gravitation [3, 2003]. In the social sciences, construction of physical models relies on the phase transitions [4], thermodynamics, quantum mechanics, non-linear dynamics [5,6] etc.

Migration of labor force, monetary flows, consumer goods etc. to the economically attractive centers (attractors) may be described by means of gravitational and electrostatic models. Despite of striking similarities, as against the gravitational models, the advantage of electrostatic ones is that they apply to repulsion, as well. Also, with electrostatic models, permeability constant is naturally introduced. It should be said that the longer the distance to an attractor (here "distance" is used not only in its literal meaning but implies difficulties in transit,

environmental, economic or political problems etc.) the higher the expenses of the attracted elements.

Migration gravitational model is given in example [7,8]. We discuss the migration electrostatic model on the basis of the one in [9]

$$M_{ij} = k \frac{q_i \rho_j a^2}{\varepsilon R^2}, \quad (1)$$

where

M_{ij} is the migrants from i poor country to j industrial country;

q_i is the population of a poor country;

ρ_j is the population of a wealthy country;

a is the size (range) of a wealthy region;

R is the distance between the two countries;

k is the proportionality coefficient;

ε is "permeability", i.e. various barriers in a country.

Although formula (1) will yield no results since many countries are both attractive and repulsive, it seems rather promising in terms of construction of a better model. In this paper, we'll mention several of its results and make suggestions for its improvement.

First consequences. Let's denote

$$\lambda = k \frac{\rho_j a^2}{\varepsilon R^2}.$$

We assume that λ is a constant; it is obvious that in this case $\lambda < 1$. Then the population loss for the t year will be

$$S = \lambda q_i t.$$

Upon lapse of $t = 1/\lambda$, no population will remain in country i , which is actually impossible. After a while, a recession comes to an end, new migration barriers are set up and due to the diminution of its population, per capita income in country i increases. Therefore, the number of those aspiring for emigration goes down and the balance is restored. Recently, we witnessed a similar situation here in Georgia: the census showed a drastic decrease of the population, which resulted in higher average economic indicators.

Second consequences. Formula (1) disregards a temporal factor. However, regarding it, we may assume that in a certain period (a unit), the population outflow will be represented by (1). Then upon lapse of a unit (period), there will remain

$$S_1 = M_{ij} - \lambda M_{ij} = M_{ij}(1 - \lambda)$$

people in the country. After two periods of time, there will remain

$$S_1 - \lambda S_1 = M_{ij} - \lambda M_{ij} - \lambda(M_{ij} - \lambda M_{ij}) = M_{ij}(1 - \lambda)^2$$

people. By mathematical induction it is easy to prove that after n periods, the population of the country i will make up

$$S_n = M_{ij}(1 - \lambda)^n.$$

This formula for S_n shows that when n tends to infinity, S_n tends to zero since $1 - \lambda < 0$, which means that in case of this interpretation, the country become uninhabited ac in the first case.

Now, let's take temporal factor in (1) into account. Several parameters of (1) may vary with time: numbers of population in the poor and wealthy countries change along with the distance (taken figuratively) between them and permeability for instance as a result of slackened travel barriers or conversely tighter restriction. Therefore, if we assume that (1) is the migration speed, then after t_0 period of time, the population outflow from country i should be represented in the integral below:

$$S = ka^2 \int_0^{t_0} \frac{q_i(t)\rho_j(t)}{\varepsilon(t)R(t)^2} dt. \quad (2)$$

In certain conditions k and a parameters may change, too.


Consequently, due consideration of temporal factor in model (1) leads to the population migration model represented by the (2) defined integral. The integral has the same drawbacks as the first and second results, i.e. it predicts constant outflow of the population. Therefore, in order to eliminate the drawback, we should multiply the sub-integral image by the function. To this end, let us mark GDP of country i by $u_i(t)$ and that of country j by $u_j(t)$ and their ratio

by $u_{ij}(t) = \frac{u_i(t)}{u_j(t)}$; which we may tentatively describe as relative GDP. Expectedly, where

$u_{ij}(t)$ is low, the migration trend becomes stronger, while if $u_{ij}(t)$ approximates one, the trend slows down to nearly zero. Let us mark the value of relative GDP by χ_1 . When $u_{ij}(t)$ approximates it, the migration trend goes down. As to the value of the relative GDP marked by χ_2 when $u_{ij}(t)$ approximates it, the migration trend is nearly zero. (values of χ_1 and χ_2 should be defined empirically or hypothetically to be verified later). Consequently, we should construct a function, which when $u_{ij}(t)$ is less than χ_1 nearly equals 1, while when $u_{ij}(t)$ approximates χ_2 , it is nearly zero. Let us take the so-called error or Gauss's function $erf(x)$ as the grounds:

$$erf(x) = \frac{2}{\sqrt{\pi}} \int_0^x e^{-x^2} dx,$$

its diagram at [-5;5] segment looks as follows




The diagram shows that after approx. $x = -2$ value, the function grows rapidly and at $x = 2$ point it stabilizes at approx. 1. Keeping it in mind, let us construct a function

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}\left(\frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1}\right),$$

which has the relevant properties. For instance, if $\chi_1 = 0,4$ and $\chi_2 = 0,8$, we will get

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}(-10x + 6),$$

with its diagram at [-1;3] segment looking as follows



Note that according to the UN, GDP in the US in 2013 was 52391\$, while in Georgia it was merely 3715\$ or 14 times smaller; consequently, $u_{ij} = \frac{3715}{52391} \approx 0,07$ (!).

Therefore, we may assume that the electrostatic population migration model for i and j countries is represented by the formula below

$$S = ka^2 \int_0^{t_0} \frac{q_i(t)\rho_j(t)}{\varepsilon(t)R(t)^2} \left(\frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}\left(\frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1}\right) \right) dt.$$

Obviously, instead of the relative GDP, we may have taken another parameter(s) that in our view define the population migration.

References

1. Chakrabarti K. *Econophysics and Sociophysics*. 2006
2. M.P. Vlasov, P.D. Shimko, *Modeling the Economic Processes*. 2005.
3. A. Nimmic, *Application of Geographic Models in Modeling the Air transportation Networks*. Transport and Telecommunication, Vol 4, #1, 39-44, 2003.
4. Y. L. Slovokhotov, "Phase Transition Analogues in Economics and Demography. Computerized Studies and Modeling", V.2 # 2, pp.209-218, 2010
5. Lambertini L., *Quantum Mechanics and Mathematical Economics are Isomorphic*. University of Bologna, 1-17, 2000
6. Econophysics, "Contemporary Physics in Search of Economic Theories" (V.V. Kharitonov, A.A. Ezhova, editors), M., 2007
7. Molho I., *Theories of Migration: A Review*, Scottish Journal of Political Economy (1986).
8. Sornette D. A., Johansen J. P., Bouchaud J. and Phys I. *Stock Market Crashes, Precursors and Replicas*, (France) 6, 167 (1996).
9. Gheorghiu A., Spanolescu I. *An Econophysics Model of the Migration Phenomena*, <http://arxiv.org/ftp/arxiv/papers/1202/1202.0996.pdf>

*Gocha Tutberidze
Ketevan Pipia
Paata Kunchulia*

ON ELECTROSTATIC MODELS OF MIGRATION

Annotation

In the paper Anca Gheorghiu's and Ion Spanulescu's electrostatic attraction model is represented as integral of time t (i.e. possible change in the model parameters over time is taken into account). A factor, which guarantees the termination of the flow of migrants after the increase of some economic indicators in an economically backward country, is inserted in the integral. Therefore, we believe that the new model is closer to the reality.

*Vazha Kakabadze
Nana Maisuradze*

THE PLACE AND THE ROLE OF D. UZNADZE'S THEORY OF "ATTITUDE" IN THE DECISION-MAKING PROCESS OF THE ADMINISTRATION AND MANAGEMENT

The terms "administration" and "management" in the economic literature are defined in different ways, and the major differences are outlined in the superiority of public and private interests, e.g. an administration is considered as "a possibility of influence on the control system, with the objective of ensuring its necessary conduct, with due consideration of priority of public interests, and, after, private interests" [7; 8; 9; 10]; but administration in the commercial organization is known as a management [3; 4; 5; 6]. "Management is productive and effective achievement for organization goals through people's planning, organization, leadership and control with due consideration of priority of public interests, and, after, private interests. In both cases human behavior is met. Which corresponds to the general principles of D. Uznadze's theory of "attitude". Functional tendency; Attitude; Objectifying function - understanding; Volition and also upbringing. All of these factors determine human behavior. [1; 2].

Discussion: As is well known, management and administration are conditioned by characteristic aspects of their activity and system functioning with social and economic direction, but general indicators of administrative process, in our opinion, are related to the features of the activity and human's (manager's) skill.

Eminent representative of scientific management, Henri Fayol, has substantiated the control philosophy in the following way: specialization of labor between the members of the management group, by taking into account qualification and profession. Relevant distribution of authority and responsibility between the management personnel; Obligatory rules of behavior for everyone - Discipline, monocracy and unity of direction; Submission of personal interest to the general interest; Material and moral stimulation - encouragement; Centralization; Scalar chain; Material order (all have their place and everything in its proper place") and social order ("everyone has its place and everyone in its proper place"); Impartiality; Staff stability; Initiative; Collectivity. Later, P. Drucker has established major provisions of carriage of an enterprise, which in some ways has replaced the principles of Henri Fayol [11]. Concretization are occurring in the objects for tracking purposes of activity, conditions, requirements, provisions and principles. After this, on the basis of the selected technologies, some activities are chosen and separated, which reach to the definitive results in accordance with the environmental conditions. Assessment of the business results is done by the subject in accordance with own criteria, where the results of influence of external factors shall be provided.

As we can see, the both scientists consider the activity principles (Submission of personal interest to the general interest; Impartiality; Staff stability; Initiative; Collectivity; Assess-

ment of the business results by the subject in accordance with own criterions;) which directly or indirectly (in accordance with specification of the activity) are related with determiners of D.Uznadze's theory of "preliminary mood".

On the basis of D.Uznadze's theory of "attitude" the functional tendency of transcendental idea is a principal view of aspiration. Inner aspiration of spiritual is an inner possibility, activity and expansion directed towards the complete and full existence, i.e. the spiritual has not only different organs but a requirement of every activity.

In that way there are two concepts used by D.Uznadze: 1. The form of behavior, introgenic (intro +gene) of internal origin. For example: Creation (corresponds to the right functional requirements of Maslow's hierarchy of needs). 2. The form of behavior, extragenic (extra +gene) of external origin. For example: feeding, defense, labor.... (corresponds to the left adaptive requirements of Maslow's hierarchy of needs). There is a teaching between these two determinants - this is half introgenic and half extragenic attitude, and to which qualifications is corresponded in administration and management. As the teaching, all other attitudes includes as introgenic so extragenic components. For example: labor; Often it is miscellaneous, because it has as adaptive - extragenic requirements, so functional - introgenic requirements. This is related to the human behavior, which is based on the attitude.

Attitude is an oneness state of a soul of an individuum. Its mental and physiological forces (capacity) are directed to the accomplishment of relevant attitude of internal requirements and external environment. The attitude is emotional feelings and behavior of an individuum. This is a readiness of an individuum, which is made by crossing of requirement an relevant condition.

The attitude of an individuum is arised at birth, on the base of inborn requirements. It gradually develops, fractions, sometimes dozes (as during a deep sleep), and it is active and continuous during the soberness, takes waking up requirement and fits to the changeable environment.

Its feeling is not necessary for the attitude. The attitude makes desirable behavior by itself (in healthy people), because it includes as an internal requirement, so the environment. Under the influence of environment and in accordance with it, the attitude can rise and manage a behavior. A human often cannot realized that he acts in accordance with his own attitude.

Simply said, the attitude is "arrangement", "configuration", "disposition", "laying" of individuum's mental and physical forces, in other words "attitude", which is prepared and directed to the proper behavior. [1, p. 31].

Disposition (dis +position, dispositio in Latin - managed, spangled) arrangement, organize, set thing going . Psychologically: feeling of individuum's soul, in other words firmly fixed, deep, less variable attitude, which is peculiar to the individuum, its nature. Therefore, education, training has important role in administration and management - this is establishment of relevant dispositions for the society.

Healthy human behavior and feelings are not only a reaction for influence over environment. The environment has redesigned the attitude of an individuum, and the environment is given to an individuum only by the attitude. And if a human has understand this environment he will be a good manager or a good administrator.

As is well known, the attitude is a reason of partiality, illusions, mistakes. But this is not essence of the attitude. This essence conversely is fast and easy performance of appropriate behavior and it is impossible to live without it.

Neither habit nor skill can exist without the attitude. Nor the rules of behavior and culture; Nor intuition and creativity; A child cannot learn a language, and people cannot speak, because a human need to plan words and phrases and their grammar forms (that is to say, creation of one sentences will need approximately ten minutes).

Dimitri Uznadze's concept of the attitude includes contrary first principles, which is "weak spot" of other psychological theories.

These are internal and external first principles, congenital and acquired, unconscious and conscious. In other theories this first principle dominated on the second and their interaction remains unclear, For this reason the theory is one-sided.

The theory of "attitude" declares right place and unites congenital and acquired, internal and external, unconscious and conscious.... This is the greatest honor of this theory, which appears in well structured management and control system.

Thus, the above analysis shows, that object of administration and management, with other objects, present the search of feasible point of human's internal attitude, which can bring maximum effect.

On this basis we can create a joint algorithm of objects, which describes the general structure of objects of administration and management (see Scheme N 1).

Stages		Object	Determinant of the theory of Attitude
Planning		I Step Existing condition analysis	Transcendental idea
	Organization	II Step Development forecast	Anticipation
		Stimulation and control	III Step Set a goal
Continuous production process			

Scheme N 1. Algorithm of position of administration objects

I Step: It is necessary to make an analysis of management and administration in order to receive the starting point, according to which the system development assessment shall be made, taking into account the managerial influence [7; 11]. In this case important role belongs to a feature of the human, about which D. Uznadze mentioned as a healthy transcendental idea, and which represents a general type of human aspiration. This is human soul's congenital inner aspiration, activity of all inner capabilities, operation and spread, directed towards the complete and full presence.

II Step: Development forecast, which is produced without taking into consideration the managerial influence, gives us an opportunity to think about the dynamics of behavior of management system and how it will be move away or approach to ideal state, if we do not make any additional measures, in this case actual is D.Uznadze's psychological feature such as anticipation of human attitude (anti + cipat (in Latin anticipatio - previously created performance, preliminary impression). This is preliminary contemplation, preliminary feeling, preliminary reaction and readiness.

III Step: Purpose and continuous process means formulation of development of general objects, also foundation of effectiveness criteria, resources planning and distribution, control and improvement, which reflect the compliance of current or future state of the system with its development objects. At this stage of administration and management the concrete objects are performing - act, formulization of measures, implementation, which provide achievement to objectives or the most approach to forecast conditions. In this case all determinants of D. Uznadze's theory of "attitude" are involved and this is feasible point of inner attitude, which was general goal of our determination.

Conclusion: Therefore administration and management is a sequential system of knowledge, whole complex of concepts, theories, principles, methods, stated in accordance with human nature. And as an art it is a possibility of effective use of the scientific data about administration. This is an goal influence over economic subjects and humans, which is performed for desired results of their actions. As a process, it is an unity of management influence, which provides end of purpose. As an apparatus, it is an unity of structures an humans, who provides all resources of socio-economic system and usage for end of purpose. Finally, administration and management is a practical activity status, which includes multi-function process of activity, which plays an important role as a result of many circumstances of human attitude.

References

1. Z.Vakhania "Attitude, transferential relationships, intuition and talent", Publishing office "Journal of Georgian Psychology", Tbilisi, 2009
2. D.Uznadze, "General Psychology", Writings, T. 3-4, Tbilisi, 1964; D.Uznadze "Experimental Basis of the psychology attitude", Writings, T. 6, Tbilisi, 1977.
3. Hammer, Jeffrey S. & Berman, Peter. "Ends and means in public health policy in developing countries," 1995.
4. Mikhael A. Hitt., J. Stewart Black.. Lyman W. Porter, Management, second edition, Pearson International Edition, 2009.
5. Peter F. Drucker, Max DePree, Robert Buford; Managing the Non-Profit Organization: Principles and Practices; HarperBusiness Publishing, August 3rd 1992.
6. Daft Richard L., New Era of Management. Vanderbilt University, Inc., 2010
7. Robbins S., DeCenzo D., Fundamentals of management, New Jersey, 2008.
8. Mescon M., Albert M., Khedouri F. Management. M., 1992.
9. Novikov D.A. Management Theory of Organisational Systems. 2 edition. – M.: Fizmatlit, 2007.
10. Peter F. Drucker. Management: Tasks, Responsibilities and Practices, Moscow – Saint Petersburg – Kiev, 2008.
11. Taylor F. The Principles of Scientific Management. M., 1991.

*Vazha Kakabadze
Nana Maisuradze*

THE PLACE AND THE ROLE OF D. UZNADZE'S THEORY OF "ATTITUDE" IN THE DECISION-MAKING PROCESS OF THE ADMINISTRATION AND MANAGEMENT

Annotation

In the presented scientific research Georgian psychologist D.Uznadze's theory of "attitude" firstly is related with management an administration system. This article emphasizes that healthy human behavior and feelings are not only a reaction on the for influence over environment. The environment has redesigned the attitude of an individuum, and the environment is given to an individuum only by the attitude. And if a human has understand this environment he will be a good manager or a good administrator.

As it was confirmed by the research the attitude sometimes is a reason of partiality, illusions, mistakes. But this is not essence of the attitude. This essence conversely is fast and easy performance of appropriate behavior and it is impossible to live without it[2].

Neither habit nor skill can exist without the attitude. Nor the rules of behavior and culture; Nor intuition and creativity;

Also it is also very important observation, which establishes a connection of demonstration of the theory of attitude with the objects of administration and management and determines the feasible point of human inner attitude, which is a border between acceptable or unacceptable

actions of administration and management, set by society; Apparently appears on the III Step, where managerial and administrative skill fully appears.

ზურაბ კირკიტაძე

**საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი
საქართველოში**

წინამდებარე გამოკვლევაში მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შესწავლილია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა (უპი) და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი საქართველოში, რაც, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ აქტუალურიცაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ანალიზისათვის. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე დადასტურებულია, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა და მთლიანი ეროვნული განკარგავადი შემოსავალი (მეგშ) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მიერ უპი-ის მოზიდვაში, რის საფუძველზეც შემუშავებულია რეკომენდაციები იმ ფაქტორების შესახებ, რომლითაც შესაძლებელია უპი-ის მოზიდვა.

ანალიზის პროცესში, პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო აგვეგო ეკონომეტრიკული მოდელი, სადაც უპი იქნება დამოკიდებული ცვლადი (საშედეგო ნიშანი), ხოლო რეალური მშპ და მთლიანი ეროვნული განკარგავადი შემოსავალი – დამოუკიდებელი ცვლადები (ფაქტორული ნიშნები). ასეთ მოდელში აღნიშნული დამოუკიდებელი ცვლადების შეტანის მართებულობაზე მეტყველებს ის, რომ ეკონომიკური ზრდა არის უპი-ს დეტერმინანტი, რაც, თავის მხრივ, დასტურდება სხვა ნაშრომებში [6, გვ. 143; 7, გვ. 114; 8, გვ. 1], ხოლო ეკონომიკური ზრდა იზომება რეალური მშპ-ის პროცენტული ცვლილებით. რაც შეეხება მთლიან ეროვნულ განკარგავად შემოსავალს, ეს არის მთლიანი ეროვნული შემოსავალისა და ქვეყნის რეზიდენტების მიერ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული მიმდინარე წმინდა (მიღებული, გაცემულის გამოკლებით) ტრანსფერტების ჯამი. ეს არის შემოსავლები, რომელსაც განკარგავენ რეზიდენტები საბოლოო მოხმარებისა და დანაზოგებისათვის. მეგშ განსხვავდება მეშ-ისაგან საზღვარგარეთიდან მიღებული (ან საზღვარგარეთზე გადაცემული) მიმდინარე ტრანსფერტების სადღოს სიდიდით.

ცვლადებს შორის კავშირი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\text{უპი} = B_0 + B_1 (\text{რეალური მშპ}) + B_2 (\text{მეგშ}),$$

სადაც: B_0 , B_1 და B_2 არის პარამეტრები (კოეფიციენტები).

აღნიშნული ცვლადების დინამიკა მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

**უპი-ის, რეალური მშპ-ისა და მეგშ-ის დინამიკა
2003-2014 წლებში (მლნ ლარი)⁶⁴**

წელი	უპი	რეალური მშპ	მეგშ
2003	704	13853	8087
2004	908	14656	9811
2005	805	16061	11328
2006	2130	17574	13713
2007	3203	19784	16590

⁶⁴ ცხრილი შედგენილია [1, 2, 3] მასალების გამოყენებით და უპი გადაყვანილია დოლარებიდან ლარებში შესაბამისი კურსით.

2008	2596	20263	18657
2009	1106	19523	17655
2010	1441	20743	19933
2011	1866	22241	23185
2012	1504	23654	25454
2013	1620	24455	25969
2014	3095	25586	28396

რეგრესიული ანალიზის მეთოდოლოგიის დადგენა

ამ ნაწილში ჩვენ შევაფასებთ დეტერმინაციის კოეფიციენტს (R კვადრატს), თუმცა, არ გავამახვილებთ ყურადღებას დაზუსტებულ R კვადრატზე, რადგან დეტერმინაციის კოეფიციენტი ავტომატურად და მცდარად იზრდება, როდესაც დამატებითი დამოუკიდებელი ცვლადები ემატება მოდელს, ხოლო დაზუსტებული დეტერმინაციის კოეფიციენტი იძლევა უფრო რეალურ სურათს, როდესაც დეტერმინაციის კოეფიციენტი გაიზარდა მცდარად, აღნიშნული მიზეზების გამო. ვინაიდან მოდელში არის მხოლოდ ორი დამოუკიდებელი ცვლადი, ამიტომ, მართებულია მხოლოდ დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოყენება. დეტერმინაციის კოეფიციენტი, რომელიც არის 0.577 ან მეტი, სავსებით დამაკმაყოფილებელია, ანუ მოდელი კარგ პროგნოზებს მოგვცემს. მაგალითად, თუ დეტერმინაციის კოეფიციენტი არის 0,5, ეს ნიშნავს, რომ დამოკიდებული ცვლადის ცვლილების 50% გამოწვეულია დამოუკიდებელი ცვლადებით. მეორე ეტაპზე აუცილებელია დავადგინოთ კოეფიციენტების მნიშვნელობა, კოეფიციენტების სტანდარტული გადახრა და T-სტატისტიკა, რაც დაგვეხმარება შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის შეფასებაში. იმისათვის, რომ დავადგინოთ კოეფიციენტი არსებითია თუ არა არსებითი, მისი T-სტატისტიკა უნდა შევადაროთ სტიუდენტის T განაწილებას და დავადგინოთ შესაბამისი ფაქტორული ნიშანი მნიშვნელოვანია თუ არა. იმისათვის, რომ დავადგინოთ, ამოღებული უნდა იქნეს თუ არა კოეფიციენტი და შესაბამისად ცვლადი მოდელიდან, შევაფასებთ ასევე კოეფიციენტის P-ღირებულებას და ასევე F-სტატისტიკას იმისათვის, რომ დავადგინოთ მართლაც ერთდროულად განსხვავდება თუ არა ყველა კოეფიციენტი ნულისგან, ანუ არის თუ არა ყველა კოეფიციენტი მნიშვნელოვანი. ასევე მნიშვნელოვანია სტანდარტული კოეფიციენტის, ანუ იგივე ბეტა კოეფიციენტის დადგენა (ბეტა კოეფიციენტი გამოითვლება მას შემდეგ, როდესაც ყველა ცვლადი გახდება სტანდარტიზებული. ცვლადის სტანდარტიზაციისათვის, მის ყველა მნიშვნელობას უნდა გამოაკლდეს ცვლადის საშუალო და გაიყოს თითოეული სხვაობა ცვლადის სტანდარტულ დევიაციასზე), რათა დავადგინოთ დამოუკიდებელი ცვლადის ერთი სტანდარტული დევიაციით ზრდას დამოკიდებული ცვლადის (უპი-ს) რამდენი სტანდარტული დევიაციით ზრდას გამოიწვევს. ასევე აუცილებელია შეფასდეს მოდელის ადეკვატურობა ფიშერის კრიტერიუმის მიხედვით. პრაქტიკაში მოდელის ადეკვატურობის შეფასებისთვის, როგორც წესი, სტატისტიკოსები ყვრდნობიან დეტერმინაციის კოეფიციენტსა და კოეფიციენტის T ღირებულებას, ვიდრე ფიშერის კრიტერიუმს. მნიშვნელოვანია შევაფასოთ მოდელის ადეკვატურობა კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტის მიხედვითაც.

რეგრესიული ანალიზის ემპირიული შედეგები და მიღებული ეკონომეტრიკული მოდელები

ჩვენ მიერ პროგრამა Eviews-ით გაანგარიშებული დეტერმინაციის კოეფიციენტი უდრის 0.607 და დაზუსტებული დეტერმინაციის კოეფიციენტი კი – 0.520. არასტანდარტული, სტანდარტული კოეფიციენტების მნიშვნელობა, კოეფიციენტების სტანდარტული გადახრა და T-სტატისტიკა, წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

R-კვადრატის მნიშვნელობა 0.607 მეტყველებს იმაზე, რომ მოდელები პროგნოზებისათვის წონადია. 0.607 ნიშნავს იმას, რომ დამოკიდებული ცვლადის ცვლილების 61 პროცენტი აიხსნება დამოუკიდებელი ცვლადებით, ხოლო 39 კი სხვა ფაქტორებით.

ცხრილი 2

რეგრესიული ანალიზის შედეგები: არასტანდარტული კოეფიციენტი, მასთან დაკავშირებული სხვა რეგრესიული ანალიზის შედეგები და სტანდარტული კოეფიციენტი⁶⁵

მოდელები	არასტანდარტული კოეფიციენტი				სტანდარტული კოეფიციენტი ბეტა კოეფიციენტი
	კოეფიციენტის მნიშვნელობა	სტანდარტული გადახრა	T სტატისტიკა	P-ღირებულება	
1. მუდმივი კოეფიციენტი	- 12924	4781.3	- 2.703	0.0243	
2. რეალური მშპ	1.413	0.5	2.84	0.0195	6.247
3. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	-0.735	0.283	-2.6	0.029	-5.712

ზემოთ წარმოდგენილ გაანგარიშებათა საფუძველზე ვღებულობთ შემდეგ მოდელებს:

$$\text{უპი} = - 12924 + 1.413 (\text{რეალური მშპ}) - 0.735 (\text{მეგ შ})$$

რეგრესიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია

რეალური მშპ-ის კოეფიციენტი 1.413 გულისხმობს იმას, რომ რეალური მშპ-ის თითოეული ერთეულით ზრდა გამოიწვევს უპი-ის ზრდას 1.413 ერთეულით, ხოლო მეგ შ-ის კოეფიციენტი -0.735 ნიშნავს, რომ ამ ცვლადის თითოეული ერთეულით ზრდა გამოიწვევს უპის შემცირებას 0.735 ერთეულით.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე აუცილებელია დავადგინოთ დამოუკიდებელი ცვლადების მნიშვნელობა კოეფიციენტის T-სტატისტიკიდან გამომდინარე. რეალური მშპ-ის კოეფიციენტის T-სტატისტიკა არის 2.84. ამ მნიშვნელობას ვუდარებთ შესაბამის კრიტიკულ ღირებულებას, რომელსაც მოცემებით სტიუდენტის T განაწილებაში. შესაბამისი კრიტიკული ღირებულების მოსაძებნად ვიღებთ ალფას მნიშვნელობას და ვანგარიშობთ თავისუფლების ხარისხს.

⁶⁵ ცხრილში არსებული რეგრესიული ანალიზის შედეგები მიღებულია პროგრამა Eviews-ით და SPSS-ით ჩატარებული გაანგარიშებების საფუძველზე.

აღფა ძირითადად აიღება 5%-იანი (0.05), რომელიც რეკომენდებულია აღებულ იქნეს 2-tail-ისათვის. თავისუფლების ხარისხი იანგარიშება შემდეგი ფორმულით $n-k-1$, სადაც n დაკვირვებათა რიცხვია, ხოლო K – დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა. ჩვენ შემთხვევაში თავისუფლების ხარისხი ტოლია (12-2-1) 9. სტიუდენტის T განაწილებაში შესაბამისი კრიტიკული ღირებულება გამოდის 2.2621. თუკი T -სტატისტიკა ნაკლებია ან უდრის კრიტიკულ მნიშვნელობას, მაშინ რეგრესიის კოეფიციენტი არაარსებითია, ხოლო როდესაც T სტატისტიკა მეტია კრიტიკულ ღირებულებაზე, მაშინ მოცემული კოეფიციენტი არსებითია. ე.ი ჩვენ გაანგარიშებებში რეალური მშპ-ის კოეფიციენტი არსებითია. რაც შეეხება მეგშ-ის კოეფიციენტს, მისი T სტატისტიკის აბსოლუტური მნიშვნელობა უდრის 2.6. ე.ი ეს უკანასკნელი კოეფიციენტიც არსებითია, ანუ საბოლოო ანგარიშით ორივე დამოუკიდებელი ცვლადი მნიშვნელოვანია.

ამისათვის, რომ გავშიფროთ ბეტა კოეფიციენტები, პირველად აუცილებელია გავიანგარიშოთ ცვლადების სტანდარტული დევიაცია. უპისათვის სტანდარტული დევიაცია უდრის 857, რეალური მშპ-ის სტანდარტული დევიაცია - 3788 და მეგშ-ის სტანდარტული დევიაცია - 6660. რეალური მშპ-ის ბეტა კოეფიციენტი 6.247-ია და ის გვიჩვენებს, რომ ამ ცვლადის გაზრდა ერთი სტანდარტული დევიაციით (3788 მლნ ლარით) გამოიწვევს უპის ზრდას 6.247 სტანდარტული დევიაციით. უპი-ს სტანდარტული დევიაციაა 857, ე.ი (6.247*857) 5353-ით, ე.ი რეალური მშპ-ის გაზრდა 3788 მლნ ლარით გამოიწვევს უპის ზრდას 5353 ლარით. ანალოგიური კალკულაციები უნდა ჩატარდეს მეგშ-ის ბეტა კოეფიციენტის ინტერპრეტირებისათვის, თუმცა, ამ შემთხვევაში, ამ ცვლადის ზრდა გამოიწვევს უპი-ების შემცირებას.

გაანგარიშებათა პროცესში მნიშვნელოვანია დავადგინოთ, ცვლადების P ღირებულების შესაბამისად ამოვიღოთ თუ არა ცვლადები მოდელიდან. P ღირებულებები მოცემულია მე-2 ცხრილის არასტანდარტული კოეფიციენტების ბოლო მარჯვენა სვეტში. რეალური მშპ-ის კოეფიციენტის P ღირებულება უდრის 0.0195, ხოლო მეგშ-ისათვის ანალოგიური ღირებულება – 0.029-ს. ამ ტესტის დროს P -ღირებულება უნდა შევადაროთ მნიშვნელობის კოეფიციენტს ანუ აღფას, რომლის მნიშვნელობად შესაძლოა ავიღოთ 0.05. ორივე P -ღირებულება (0.0195 და 0.029) არის ნაკლები 0.05-ზე, შესაბამისად ორივე ფაქტორული ნიშანი მნიშვნელოვანია და ის უნდა დარჩეს მოდელში.

გაანგარიშებების შემდეგ ეტაპზე აუცილებელია შევაფასოთ, არის თუ არა მნიშვნელოვანი F -სტატისტიკის თანახმად ყველა კოეფიციენტი. ამისათვის F სტატისტიკა უნდა შევადაროთ F დისტრიბუციის კრიტიკულ მნიშვნელობას. ამისათვის ვიღებთ აღფას 0.05 და df between-სა და df within-ს. პირველი უდრის დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობას, შესაბამისად 2-ს. მეორე უდრის დაკვირვებათა რიცხვს მინუს დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა და მინუს 1, რაც უდრის 9-ს. შესაბამისი კრიტიკული ღირებულებაა 4.26. SPSS-ის თანახმად, F -სტატისტიკა უდრის 6.965. ვინაიდან 6.965 მეტია 4.26-ზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მინიმუმ ერთი კოეფიციენტი არის არანულოვანი, ანუ მინიმუმ ერთი კოეფიციენტი არის მნიშვნელოვანი. ე.ი დამოუკიდებელი ცვლადები ხსნის დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობას.

შევაფასოთ მოდელის ადეკვატურობა ფიშერის კრიტერიუმით. ეს კრიტერიუმი იანგარიშება შემდეგი ფორმულით [4, სლაიდი11]:

$$F = (R^2 * (n-k-1)) / (k * (1-R^2))$$

სადაც R2 არის დეტერმინაციის კოეფიციენტი, n – დაკვირვებათა რიცხვი, ხოლო K – დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა. ამ ფორმულის თანახმად, ფიშერის კრიტერიუმი უდრის 6,95. შევუდაროთ ეს რიცხვი შესაბამის კრიტიკულ ღირებულებას. ალფა ავიღოთ 0.05-ის ეკვივალენტური, მრიცხველის თავისუფლების ხარისხი უდრის დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობას, შესაბამისად – 2-ს. მნიშვნელის თავისუფლების ხარისხი უდრის დაკვირვებათა რიცხვს მინუს დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა და მინუს 1, ე.ი. უდრის 9. კრიტიკული ღირებულებაა 4.26. თუ გაანგარიშებული F-ღირებულება მეტია კრიტიკულ ღირებულებაზე, მაშინ მოდელი ადეკვატურია, ე.ი. ჩვენი მოდელი ამ ტესტის თანახმად ადეკვატურია, ანუ ჯგუფურად დამოუკიდებელი ცვლადები მართლაც ხსნის დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობას.

შევაფასოთ მოდელის ადეკვატურობა კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტის თანახმად. თვით კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტი ამოწმებს მონაცემთა ნორმალურ განაწილებას. თუკი რეზიდუალები ნორმალურადაა განაწილებული, მაშინ პროგნოზები იქნება უფრო ზუსტი. ამიტომ დავადგინოთ რეზიდუალების ნორმალური განაწილება ამ ტესტის თანახმად.

რეზიდუალები წარმოდგენილია მე-3 ცხრილის მარცხენა პირველ სვეტში და შესაბამისად ამ ცხრილში წარმოდგენილია კალკულაციები, რაც დაგვეხმარება გადავწყვიტოთ არის თუ არა რეზიდუალები ნორმალურად განაწილებული.

ცხრილი 3

რეზიდუალების ნორმალური განაწილების გაანგარიშებები⁶⁶

რეზიდუალების მნიშვნელობა	კუმულაციური სისშირე	ზეტა ქულა	ზეტა ალბათობა	მოსალოდნელი კუმულაციური სისშირე	დ1	დ2
3.24	0,083333	-1,82	0,0344	0,0344	0,049	0,0344
333	0,166667	-0,49	0,3121	0,3121	0,145	0,2290
640	0,25	0,75	0,2266	0,773	0,523	0,6070
299	0,333333	-0,63	0,2643	0,2643	0,069	0,0143
364	0,416667	-0,37	0,3557	0,3557	0,064	0,0227
599	0,5	0,58	0,281	0,719	0,219	0,2990
581	0,583333	0,51	0,305	0,695	0,112	0,1950
295	0,666667	-0,65	0,2578	0,2578	0,442	0,3255
402	0,75	-0,21	0,4168	0,4168	0,333	0,2832
288	0,833333	-0,67	0,2514	0,2514	0,582	0,4986
925	0,916667	1,90	0,0287	0,971	0,051	0,1380
734	1	1,13	0,1292	0,871	0,129	0,0490

დ1 და დ2 სვეტებიდან მოვკებნოთ ყველაზე მაღალი მნიშვნელობა და შევუდაროთ ის დ ცხრილში არსებულ შესაბამის კრიტიკულ მნიშვნელობას (ცხრილში წარმოდგენილია კრიტიკული დ მნიშვნელობები ნორმალური განაწილების კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტისა). მაქსიმუმი 0,607-ია. შესაბამისი კრიტიკული ღირებულებაა 0,242 (ეს მიღებულ იქნა ალფა 0.05 ეკვივალენტური, და n=12 (დაკვირვებათა რიცხვი). ვინაიდან 0,607 მეტია 0,242-ზე, ამიტომ ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ რეზიდუალები არ არის ნორმალურად განაწილებული.

⁶⁶ ცხრილი შედგენილია [5] მასალის გამოყენებით.

დასკვნა

საბოლოო ანგარიშით, შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკური ანალიზის შედეგები დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტმა მოგვცა უარყოფითი შედეგი, ანუ ბევრი ტესტის თანახმად, შედეგები დადებითია ერთის გამორიცხვით. შესაბამისად მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური ზრდა და მეგშ საქართველოში იწვევს უპი-ის მნიშვნელოვან შემოდინებას. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და მეგშ-ის გადიდება, რაც ადეკვატურად განსაზღვრავს უპი-ს მოზიდვის ხარისხს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ახლადწარმოებული პროდუქციის ღირებულების ზრდას, რასაც მოჰყვება დამატებითი უპი-ები, ანუ ადგილი ექნება ორი სახეობის ე.წ. “დომინოს ეფექტს”.

სტატისტიკის არსია რეგრესიული ანალიზის რამდენიმე შედეგის ინტერპრეტაცია, ცვლადების შესაბამისობის დადასტურება და ადეკვატური რეკომენდაციების შემუშავება. კერძოდ, გაანგარიშებათა პროცესში, შესაძლებელი გახდა დაგვემტკიცებინა, რომ ეკონომიკური ზრდა და მეგშ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მიერ უპი-ის მოზიდვაში, რაც შესაძლებელი გახდა რეგრესიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციით: დეტერმინაციის კოეფიციენტი (R კვადრატი), არასტანდარტული კოეფიციენტები და მათი სტანდარტული შეცდომა, T-სტატისტიკა და P ღირებულება, სტანდარტული კოეფიციენტი (ბეტა კოეფიციენტი), F-სტატისტიკა და ფიშერის F კრიტერიუმი. გაანგარიშებათა პროცესში ჩვენ დავადგინეთ, იყვნენ თუ არა რეზიდუალები ნორმალურად განაწილებული კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტის თანახმად, რაც დაგვეხმარა მოდელის მიხედვით განხორციელებული პროგნოზების სიზუსტის დადგენაში. გაანგარიშებათა შედეგად შესაძლებელი გახდა დაგვემტკიცებინა, არსებობს თუ არა ენდოგენური კავშირი უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის. იგივე შეიძლება ითქვას მეგშ-ზე. შესაბამისად, რეგრესიული ანალიზით შესაძლებელი გახდა დაგვესაბუთებინა ის, რომ კონკრეტული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მიერ უპი-ების მოცულობის ზრდაში, რითაც გრძელვადიან პერიოდში მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ზრდა.

ჩვენი რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=121&lang=geo
4. Multiple Regression PPT
5. <https://www.yumpu.com/en/document/view/18070603/normality-test-kolmogorov-smirnov-normality-test-d-ship>
6. Williams K. Essays on FDI, Growth, and Political Instability in Developing Countries. // Doctoral dissertation. University of Nottingham, July, 2010.
7. Nguyen Phi Lan. Economic Growth and Foreign Direct Investment in Vietnam: an Empirical Analysis.
8. Khondoker Abdul Mottaleb, Determinants of Foreign Direct Investment and Its Impact on Economic Growth in Developing Countries, Civil Service College, Dhaka, 2007.

REGRESSION ANALYSIS OF FDI BY USING ECONOMETRIC TESTS

Annotation

The main content of article consists: interpretation of many regression results, provement of consistency of variables that are included in regression model(econometric model) and representation of recommendations, specifically we proved that economic growth and gross national disposable income play important role in attraction of FDI to Georgia by interpretation of following regression analysis results: coefficient of determination(R squared), nonstandard coefficients and their standard errors, t-statistics and p-values, standard coefficients(beta coefficients), F-statistics and Fisher's F criteria. we also found out whether residuals were normally distributed or not by Kolmogorov Smirnov test because this would aid us in determination of whether forecasts made by our econometric model were good or not. we proved that real GDP was consistently included in our econometric model because there is endogenous relationship between FDI and economic growth. The same can be said about gross national disposable income because it is money that is used by residents for final consumption and consequently it can be determinant of market-seeking FDI, because if residents have a good deal of money they will purchase more and determinant of market-seeking FDI is it that how easily can be product sold. The aim of research was to prove by regression analysis that specific factors play important role in attraction of FDI to Georgia, specifically our aim was to prove that Georgia's economic growth(measured by changes in real GDP) and gross national disposable income play important role in attraction of FDI to Georgia. if our recommendations are used then Georgia will attract high volumes of FDI and our country will also achieve high economic growth. The agency in Georgia that plays important role in attraction of FDI, specifically the agency that tries to attract greenfield investments and stimulates mergers and acquisitions is Georgian National Investment Agency(GNIA). so our recommendations can be used by this agency, but this agency won't attract FDI by direct way using our recommendations as our recommendations include attraction of FDI by achieving economic growth in country and one way to achieve economic growth is to assist local companies and organizations to produce more and achieve efficiency. so GNIA can help attraction of FDI in this case by indirect way by introduction of our recommendations to government and government should give more money to local companies and organizations that will produce more and by this way we shall achieve economic growth (however if economic growth already exists in Georgia, after taking into consideration our recommendations we may achieve higher economic growth and by this way we shall attract higher levels of FDI).

ელეუჯა კონჯარია

კონტროლის არსი, მიზანი და ამოცანები კომპანიებში

კონტროლი მართვის პროცესის ფუნდამენტური ელემენტია. მისი მეშვეობით არის შესაძლებელი მენეჯმენტის სხვა ფუნქციების შესრულება. კონტროლი ობიექტური აუცილებლობაა. მისი მეშვეობით შეუძლია მენეჯერს აკონტროლოს ორგანიზაციის საქმიანობის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობა და სამუშაოს დასრულებისთანავე მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

კონტროლის მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის დამამთავრებელ ეტაპს და მხოლოდ მისი მეშვეობით იქნება შესაძლებელი მიიღწევა თუ არა ორგანიზაციული მიზნები და თუ არ მიიღწევა, რა არის ამის მიზეზი.

საქართველოს კანონით „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ განსაზღვრულია შემდეგი, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის „საქართ-

ველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება” [6, გვ. 1, მუხლი 2].

ამრიგად, კონტროლის არსია დადგინდეს, თუ რამდენად სწორად მუშაობს საწარმო, ხომ არ არღვევს იგი ეკონომიკურ ან სამართლებრივ ნორმებს, რამდენად ასრულებს დასახულ მიზანს და ა.შ. ამის გარკვევა ხდება ორგანიზაციის მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვით, შემოწმებით და შეფასებით.

ორგანიზაციაში საქმიანობის კონტროლი ხორციელდება აღრიცხვის ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუმცა საჭირო შემთხვევაში მიმართავენ პილოტურ და საველე დაკვირვებებს, ერთჯერად სოციოლოგიურ გამოკითხვებს და ა.შ.

ორგანიზაციაში რომ არ იყოს ქაოსი და დასახული მიზანი სრულდებოდეს, საჭიროა შესრულების შემოწმება ანუ კონტროლი. თეორიულ ასპექტში, მოცემული გეგმები და მიზნები მხოლოდ იმის სურათია, თუ რას უნდა მიაღწიოს ორგანიზაციამ.

კონტროლის მახასიათებლებია:

- ეფექტიანობა;
- დროულობა;
- მოქნილობა;
- სიმარტივე;
- ეკონომიურობა;

იმისათვის, რომ კონტროლი ეფექტიანი იყოს, საჭიროა მას სტრატეგიული ხასიათი, მიმართულება ჰქონდეს, ე.ი. ასახავდეს ორგანიზაციის საერთო პრიორიტეტებს.

კონტროლი, როგორც მართვის ფუნქცია, ეფექტიანი რომ იყოს, კონტროლის საშუალებების მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს ორგანიზაციის მიზნის მნიშვნელობას. კონტროლი თავის დროზე უნდა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში საქმე სისწრაფესა და სიჩქარეში კი არ არის, არამედ – კონტროლის პერიოდულობაში. ზოგ შემთხვევაში საქმე ყოველდღიურ კონტროლს მოითხოვს, ზოგან ყოველკვირეულს და ა.შ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დაგვიანებული, დროში გადავადებული კონტროლი სათანადო ეფექტს ვეღარ იძლევა, მისი დასკვნები და რეკომენდებული ღონისძიებები კი უკვე უმოქმედოა.

კონტროლის მოქნილობაც მისი ეფექტიანობის მაჩვენებელია. იგი უნდა შეეგუოს და შეესაბამოს ყოველ სიახლეს. ეფექტიანი კონტროლის სავალდებულო ნიშანია მისი სიმარტივეც, კერძოდ კონტროლის მეთოდების სიმარტივე. ასეთი მეთოდები არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, არც მაკონტროლებელთა მხრიდან. თუ კონტროლის სისტემა რთულია, იგი ყოველთვის იწვევს დაძაბულობას და შედეგად უკურეაქციას.

სიმარტივესთან ერთად, კონტროლი ეკონომიურიც უნდა იყოს. ფირმების ძირითადი მიზანი ყოველთვის მოგების მიღებაა.

მმართველობითი კონტროლი, როგორც მენეჯმენტის ფუნქცია ხორციელდება რაციონალური გადაწყვეტილებების მისაღებად და ხელს უწყობს კომპანიაში გამჭვირვალობის ატმოსფეროს დამკვიდრებას.

კონტროლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაბამისობის დადგენა, სამართალდარღვევათა გამოვლენა.

კონტროლი მართვის პროცესის ფუნდამენტური ელემენტია. მისი მონაწილეობით არის შესაძლებელი მენეჯმენტის ფუნქციების შესრულება. ამასთან კონტროლისადმი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ყოვლისმომცველობა. კონტროლი ყველა ხელმძღვანელის თანამდებობრივი მოვალეობის ნაწილია.

კონტროლი ხორციელდება ყველგან, როგორც სამეწარმეო საქმეში, ანუ ზოგადად ბიზნესში, ისე არასამეწარმეო სფეროში. არასამეწარმეო სფეროში, მაგალითად საჯარო სკოლებში, სახელმწიფო უნივერსიტეტებში და ა.შ. მოწოდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი რესურსების ხარჯვის მიზნობრიობა და რაციონლურობა, სამეწარმეო სფეროში კი „კონტროლის მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს საწარმოო ფონდების, კერძოდ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების წრებრუნვის ეფექტიანობა ანუ მათი სწორი ხარჯვა და სრული გამოყენება, პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების, არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრის და მოგების გადიდების შესაძლებლობების გამოვლენა, მოგების სწორი განაწილება და გამოყენება“ [7, გვ. 265].

თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნისთვის ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია [1, გვ. 319]:

1. სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმება, ე.ი. თუ რამდენად შეესაბამება ეს ხარჯები საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ხარჯთა აღრიცხვებს;

2. სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;

3. საფინანსო სისტემის ყველა რგოლში გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების შემოწმება;

4. აღრიცხვა-ანგარიშგების კანონების დაცვის შემოწმება.

ამ ჩამონათვალიდან პირველი, მეორე და მესამე ამოცანა არასამეწარმეო სფეროს საფინანსო კონტროლის ამოცანებია, მესამე და მეოთხე კი – სამეწარმეო სფეროსი.

ფინანსური კონტროლი ხორციელდება როგორც ფულადი, ისე მატერიალური და შრომითი რესურსების ხარჯზე. იგი საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა. ამასთან, საფინანსო კონტროლის ამოცანაა, აგრეთვე, სახსრების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის მდგომარეობის გარკვევა. კონტროლის ჩამტარებელი ორგანოს ნიშნის მიხედვით კონტროლი არის:

- საერთო-სახელმწიფოებრივი;
- საუწყებო;
- შიდასაფირმო;
- დამოუკიდებელი (გარე აუდიტი).

საერთო-სახელმწიფოებრივ კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, კერძოდ: ფინანსთა სამინისტრო, საგადასახადო ინსპექცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

საუწყებო კონტროლს აწარმოებს უწყების საკონტროლო-სარევიზიო სამსახური. იგი ამოწმებს დაქვემდებარებული ორგანიზაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

შიდასაფირმო კონტროლს ახორციელებენ უშუალოდ ფირმის საფინანსო სამსახურები, კერძოდ საფინანსო განყოფილება, ბუღალტერია და სარევიზიო კომისია. ისინი ამოწმებენ როგორც თვით ფირმას, ისე მისი ქვედანაყოფების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

დამოუკიდებელ ფინანსურ კონტროლს, ანუ გარე აუდიტს ახორციელებენ აუდიტორული ფირმები ან ცალკეული აუდიტორები. მათი კონტროლის

ობიექტია ფორმების საქმიანობა. გარე აუდიტი ამოწმებს ფორმაში ფინანსური ანგარიშების სისწორეს, ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობას, ატარებს საფინანსო სამეურნეო საქმიანობის ექსპერტიზას, ადგენს ფორმის გადა-მხდელუნარიანობას და ბოლოს იძლევა რეკომენდაციებს სამეურნეო-საფინანსო საქმის მოწესრიგების მიმართულებით. მეტი მნიშვნელობა მაინც ფინანსურ კონტროლს ენიჭება. მისი ჩატარების მეთოდებია [7, გვ. გვ. 269]: შემოწმება; გამოკვლევა, ზედამხედველობა, ფინანსური საქმიანობის ანალიზი, დაკვირვება, რევიზია.

შემოწმება გულისხმობს ანგარიშებით დოკუმენტების საფუძველზე ფინანსური საქმიანობის ცალკეული საკითხების გაცნობას, განხილვასა და აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დასახვას.

გამოკვლევა, შემოწმებისგან განსხვავებით, მოიცავს ეკონომიკური სუბიექტების საფინანსო-ეკონომიკური მახვებლების უფრო ფართო სპექტრს. ზედამხედველობა მაკონტროლებული ორგანოების მიერ იმ ეკონომიკურ ობიექტებზე ხორციელდება, რომელთაც მიღებული აქვთ ლიცენზია.

საფინანსო საქმიანობის ანალიზი, როგორც ფინანსური კონტროლის ნაირსახეობა, ითვალისწინებს პერიოდული და წლიური საფინანსო ბუღალტრული ანგარიშების დეტალურ შესწავლას.

დაკვირვება ანუ მონიტორინგი საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან გაცემული სესხების გამოყენებისა და მსესხებელი ფორმის, ანუ კლიენტ-საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მუდმივი კონტროლის პროცესს წარმოადგენს.

რევიზია ფინანსური კონტროლის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი მეთოდია. იგი გულისხმობს ეკონომიკური სუბიექტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთლიანად გამოკვლევას მისი კანონიერების, სისწორის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმების მიზნით. რევიზია შეიძლება იყოს მთლიანი და ნაწილობრივი, კომპლექსური და თემატური, გეგმიური და არაგეგმიური, დოკუმენტური და ფაქტობრივი. რევიზიას ახორციელებს სახელმწიფო და სხვადასხვა არასახელმწიფო ორგანოები. რევიზიის შედეგებზე ფორმდება აქტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ. ფინანსური თეორია. თბ., 2004.
2. კაკულია რ. კორპორაციის ფინანსები. თბ., 2008.
3. ლიპარტია ზ. კორპორაციული ფინანსები. თბ., 2011.
4. მესხია ი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი. განვითარების კონცეფცია. საქართველოს კონტროლის პალატა. გაერო.
5. მონტგომერი რ. აუდიტი. თბ., 2000.
6. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“. თბ., 2010.
7. ყირიმლიშვილი ნ. ფინანსები. თბ., 2005.

Elguja Konjaria

CONTROL'S ESSENCE, GOAL AND OBJECTIVES

Annotation

The main element of company's work is controlling. It represents one of the most active management's function, which is main for decision process and continuation of the work. The group of company determines if it is possible to achieve goal and if not what is the reason.

The form of control's intercommunication and for determine of intercommunication of model is important for increasing of control's effectiveness.

ღინარა ლომინაძე

მარკეტინგი ჯანდაცვაში

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შედეგად ჯანდაცვის დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსების შეზღუდვამ მიგვიყვანა მარკეტინგის პრინციპების ფართოდ გამოყენების აუცილებლობამდე, რაც მიზნად ისახავს დამატებითი მომხმარებლისა და ინვესტორების მოზიდვას.

კონკურენციის გაძლიერების პირობებში მომხმარებელთან მუშაობა სულ უფრო აქტუალური ხდება საბაზრო ურთიერთობის თითოეული მონაწილისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური განვითარების ეპოქისთვის დამახასიათებელია გლობალური კონკურენცია, მოთხოვნილებათა ზრდა და დიფერენცირებული წინადადებების შეთავაზება. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელი ხდება უფრო მომთხოვნი, ხოლო მასთან ურთიერთობა კი – სულ უფრო რთული, საინტერესო და პროფესიული [1].

გლობალური ბაზრების მზარდი კონკურენცია კანონზომიერად მიმართავს სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებელთა ინტერესებს მომხმარებელთა ქცევის მექანიზმების კვლევისა და ამ მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობისკენ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

მრავალი უცხოელი მეცნიერის გამოკვლევები, რომლებიც მომსახურების მარკეტინგის პრობლემატიკის ანალიზს ეხება, მეტყველებს მათ დიდ დაინტერესებას მომსახურების მარკეტინგის სფეროთი. მომსახურების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

მარკეტინგის გამოყენება აქტუალურია ასევე ჯანდაცვის მართვის სახელმწიფო ორგანოებისათვის. მისი დახმარებით ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის შესაძლებელია კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების შესწავლა და მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბება შეუძლებელია ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარების გარეშე. მარკეტინგული კვლევები მოიცავს სამედიცინო ბაზრის მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, რომლის მიზანია, შემცირდეს ის ხელის შემშლელი ფაქტორები, რაც თან ახლავს მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებას. სამედიცინო ბიზნესის მარკეტინგი ყველა საკომუნიკაციო არხის არსებით ინტეგრაციას მოითხოვს მიზნობრივი ბაზრებისათვის შინაარსიანი შეტყობინებების მიწოდების მიზნით.

ანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მომხმარებელთა ქცევის საკითხების შესწავლას [2]. მომხმარებელთა ქცევის შესწავლა აუცილებელია მომხმარებელთა გაგებისათვის მაშინაც კი, როცა მათზე არაა უშუალო ზემოქმედება [3]. იმის დადგენას, თუ რისი მიღება სურთ კლიენტებს და როგორია მათი მყიდველობითი ქცევის მოტივები [4]. მომსახურების სფეროში მარკეტინგული კვლევების ჩატარების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სწორედ იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების შეძენის შესახებ, რაც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მომსახურების შეძენის მოტივების გამოვლენას. სამუშაოდ, საქართველოში ამ კუთხით ჩატარებული კვლევები საკმარისი არ არის. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა

ჯანდაცვის ბაზრის მარკეტინგულ კვლევაში. საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე სწორი მარკეტინგული ღონისძიებების გატარებისათვის, ჩვენ მიერ განისაზღვრა პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნის პროგნოზი მოსახლეობის ტიპოლოგიის საფუძველზე, ასევე მოხდა თითოეული ჯგუფის მომხმარებელთა ქცევის დახასიათება.

სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შეფასებისას ქართველი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ პირველ რიგში მომსახურების ხარისხს, პროფესიულ რჩევებს, კვალიფიკაციას და კომპანიის იმიჯს. ანალიზიდან ჩანს, რომ სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასება საჭიროებს ექიმის პროფესიული მომზადების, პოლიკლინიკის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, ექიმის მუშაობის რიტმის, მისი დატვირთვის საფუძველიან შესწავლას. სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ამაღლდეს მედიცინის მუშაკთა ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური სტიმულები საუკეთესო დახმარების აღმოჩენისათვის, შემუშავდეს მედიცინის მუშაკთა და პაციენტებს შორის ურთიერთობის რეგულირების საბაზრო და სამართლებრივი მექანიზმები.

ქართველი მომხმარებლები ჯანმრთელობის გაუმჯობესებას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ. რესპონდენტთა უმრავლესობა (86,2%) ფასიან სამედიცინო მომსახურებას ანიჭებს უპირატესობას. რესპონდენტების მიერ ფასიანი სამედიცინო დაწესებულების არჩევისას ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ხარისხიანი მომსახურებაა. რესპონდენტები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულების პრიორიტეტად მომსახურების მაღალ დონეს თვლიან, ასეთ მომსახურებაში ყველაზე მეტად ყურადღებიან მოპყრობასა და ოპერატიულობას მიიჩნევენ. რაც შეეხება პროფილაქტიკის მიზნით ფასიან სამედიცინო მომსახურებას, მას მომხმარებელთა 19,8% იშვიათად იყენებს.

ქართველი მომხმარებლები სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის დეფიციტს განიცდიან. ამასთან, რესპონდენტების მიდგომა სხვადასხვა სარეკლამო საშუალებების მიმართ, ისევე, როგორც ინტერნეტით მიღებული ინფორმაცია, დაბალი ნდობით ხასიათდება. თუმცა, გამოკითხულთა უმეტესობის მიერ მომხმარებელთა ინფორმირებულობაში რეკლამის სარგებლიანობისათვის მიცემულია მაღალი შეფასება. სამედიცინო დაწესებულებების შერჩევისას, სარეკლამო საშუალებებიდან უპირატესობას სატელევიზიო რეკლამას (41,4%) ანიჭებს. რესპონდენტები ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროდ ასახელებენ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს (61,2%).

რესპონდენტები, რომლებიც მომსახურების მიმართ კმაყოფილებას გამოხატავენ, თვლიან, რომ მომსახურების ღირებულება კონკრეტულ კლინიკებში არ არის იაფი. ასევე მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სასურველ სამედიცინო მომსახურებას ვერ იძენს სხვადასხვა მიზეზის გამო. რესპონდენტთა უმრავლესობა (56,9%) ფასიან სამედიცინო მომსახურებას მხოლოდ გადაუღებელ შემთხვევებში მიმართავს.

კვლევაში აჩვენა, რომ რესპონდენტები ხშირად (38,6%) სტომატოლოგიური, შემდეგ კარდეოლოგიის (17,9%) და გინეკოლოგიური (21,4%) მომსახურებით სარგებლობენ. სამედიცინო მომსახურების შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებნი თვითონ რესპონდენტები (60,1%) არიან, შემდეგ ოჯახის წევრები სახელდებიან. რესპონდენტთა დიდი ნაწილი ფარმაციის სფეროში არსებულ პრობლემებზეც საუბრობს და თვლის, რომ პირველ რიგში მოსაგვარებელ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ფასდაკლებები მედიკამენტებზე.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოაგვაროს დასაქმების პრობლემა, რაც სადაზღვევო მედიცინის მომსახურების საზღვრების გაფართოებას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. დღეისათვის თითქმის მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს სადაზღვევო სისტემის გადასინჯვა, რათა მოინახოს დამზღვევებისათვის უფრო ეფექტური, ხელმისაწვდომი სადაზღვევო მომსახურება. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლის ზრდა სამედიცინო ბაზრის რეგულირებაში, რათა ხელი შეეწყოს მიმწოდებელთა შორის ჯანსაღ კონკურენციას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის განუხრეველ გაუმჯობესებას.

თითოეული სპეციალისტის ადგილი ბიზნესში, სახელმწიფო მართვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოკიდებულია მხოლოდ ვიწროსპეციალიზებულ კვალიფიკაციაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს საკუთარი მომხმარებლის გამოვლენა და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა [1].

გამომდინარე აქედან, სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ჯანდაცვის სფეროს თითოეულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს საკუთარ მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის ფორმირება და მათი ქცევის სავარაუდო პროგნოზირება.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ მარკეტინგული კვლევა წარმოადგენს კლიენტებთან მუდმივი კონტაქტის ხელშეწყობის საშუალებას, რომელიც იმ მექანიზმის გაგებაში გვეხმარება, რომელსაც მომხმარებლები იყენებენ მომსახურების შესაფასებლად მის შექენამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ვეშაგური. მომხმარებელთა ქცევა (ლექციების კურსი). თბილისი, 2014, გვ. 7.
2. Котлер Ф., Армстронг Г. Основы маркетинга. 12-е изд., Пер. с англ. – М., ООО `ИД Вильямс~, 2009. - с. 261.
3. Энджел Дж.Ф., Блэкуэлл Р. Д., Миниард П. У. Поведение потребителей. 8-е изд., Пер. с англ. – СПб., Питер Ком, 2000. - с. 41.
4. Boulding, W., A. Dynamic Process Model of Service Quality: From Expectations To Behavioral Intentions. // Journal of Marketing Research. – 30 (February), 1993. – Pp. 7-27.

Dinara Lominadze

MARKETING IN HEALTHCARE

Annotation

Presented article highlights the importance of marketing research both in studying current trends in medical service market and gaining fresh and deep insights into what customers need and want for the purpose to create value for customers and build meaningful relationships with them. The article shows the results of carried out marketing research and certifies that marketing research is a tool for facilitating constant relationship with customers.

*ლეილა მამულაშვილი
მაკა სოსანიძე*

PR-ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტექნოლოგია

საზოგადოებასთან ურთიერთობის – ფაბლიკ რელიეშენზის (Public Relations – PR) ცნება არც ისე დიდი ხნის წინ ნაკლებად ცნობილი იყო ყოფილი საბჭოთა პოლიტიკური კულტურისა და მენტალიტეტისათვის. ის ბოლო წლებში შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. PR-ის ცნება XXI საუკუნის სავიზიტო ბარათი

გახდა; მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო არა მარტო მიეწვია მას, არამედ ფაბლიქ რილეიშენი გახდა ეფექტური მეცნიერება და ხელოვნება საზოგადოებასა და სხვადასხვა სუბიექტს შორის ურთიერთგაგების, კავშირის და შეთანხმების მისაღწევად.

საგანგაშოა ის, რომ „მოდური“ ცნება „ფაბლიქ რილეიშენი“ ხშირად არადანიშნულებისამებრ გამოიყენება. მისი ყურადღება უმეტესად ელემენტების ზედაპირულობის მიმართ კონცენტრირდება, მაშინ როდესაც ამ უდიდესი მეცნიერების და ხელოვნების არსი ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულების მოგვარებაშია.

დღეს საქართველოში PR-მა და იმიჯოლოგიამ დამკვიდრება დაიწყო. იმიჯის არცოდნამ პოლიტიკურ მოღვაწეებს უამრავი შეცდომა დააშვებინა. მეწარმე ასევე ცდილობს შექმნას თავისი ნაწარმის იმიჯი, ლიდერი აყალიბებს ქვეყნის იმიჯს, საარჩევნო კომპანიები ზრუნავენ პარტიის იმიჯზე. ყველა შემთხვევაში კარგი იმიჯი უზრუნველყოფს მრავალი პრობლემის გადაჭრას. იმიჯის შექმნაზე სახელწიფოები სოლიდურ თანხებს ხარჯავენ.

ფაბლიქ რილეიშენი მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის პრობლემების მოგვარებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების შექმნით შესაძლებელია საწარმოში გადაიჭრას არსებითი პრობლემები, დაკავშირებული საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხთან, იგი ახდენს პროდუქციის გასაღების სტიმულირებას, ქმნის ნორმალურ ფსიქოლოგიურ კლიმატს. ჩამოთვლილი მიმართულებები ერთი მიზნით ერთიანდებიან – ორგანიზაციასა და საზოგადოებას ან ცალკეულ ჯგუფებს შორის შეიქმნას ურთიერთგაგება და საქმიანი ატმოსფერო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის და საზოგადოების ინტერესების შეხამებას.

„პაბლიკ რილეიშენი“ (PR) ესაა საზოგადოებასთან კავშირების სისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ურთიერთობების გაუმჯობესებას ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში, როდესაც მსხვილ კომერციულ პროექტებში ფართო მასები იღებენ აქტიურ მონაწილეობას, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, მასზე ზემოქმედების უნარი, საზოგადოებრივი კავშირების ჰარმონიზაცია ხდება აუცილებელი პირობა სასაქონლო-საფინანსო ურთიერთობების განვითარების პირობებში.

„პაბლიკ რილეიშენი“ (PR) წარმოადგენს ბიზნესში მაღალი შედეგების მიღების მეცნიერებას ურთიერთგაგების მიღწევის გზით, რომელიც სიმართლესა და სრულყოფილ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, ხელს უწყობს ფირმის ღირსეული იმიჯის ფორმირებას, საზიანო ხმების გავრცელებასა და ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის თავიდან აცილებას. ასევე ხელს უწყობს მომხმარებელის საბაზრო მოთხოვნილებების ერთობლიობათა ხარისხიანი უზრუნველყოფის ზრდას.

„პაბლიკ რილეიშენის“ მთავარი ამოცანაა–შეაგროვოს, გაიაზროს და გაავრცელოს მეწარმეობის ისტორიულად შექმნილი პოზიტიური ტრადიციები. ჩვენმა სახელმწიფომ ახლად აღმოცენებული მეწარმეთა ფენები უნდა გამოიყვანოს ღრმა კრიზისიდან და მიიყვანოს აღორძინებამდე. ამიტომაც საჭიროა „პაბლიკ რილეიშენის“ (PR) მეცნიერების – მისი კანონების, მექანიზმებისა და მეთოდების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილიზაციასა და იმ საზოგადოების განვითარებას, რომელმაც საბაზრო რეფორმების რთული პერიოდი გადაიტანა.

„პაბლიკ რილეიშენის“ კონცეფცია მდგომარეობს მეწარმეობის განვითარებული კულტურის გამოვლენაში, ფირმის განსახლდრულ სტილსა და იმიჯში, ხელმძღვანელობისა და პერსონალის ურთიერთდამოკიდებულებასა და

საზოგადოებაში ქცევის სტილში. საზოგადოებასთან კავშირი თავისთავში აერთიანებს სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას: საზოგადოებრივი აზრის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას, ეხმარება საპასუხო ზომების გამომუშავებაში; უზრუნველყოფს მიზნებისა და ბიზნესის ამოცანების წარმატებით შესრულებას საზოგადოების ინტერესებისათვის; მზადყოფნაში ჰყავს მიზნობრივი აუდიტორია სხვადასხვა ცვლილებებისათვის. „პაბლიკ რილეიშნის“ საშუალებები არ წარმოადგენს პროპაგანდას, მისწრაფებას სიმართლის, ეთიკური ნორმების და საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ისინი არ არის სარეკლამო კამპანიები, მიმართული უშუალოდ შემოსავლის ზრდაზე საზოგადოებაში მიღებული საშუალებების და სარეკლამო ტრიუკების დახმარებით.

ბიზნესის რეალიზებისას, ნებისმიერი ფირმის მუშაკებს შეეხება აქვთ საზოგადოებრივ წრეებთან, მათ შორის ბანკებსა და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებთან, ხელისუფლების მუნიციპალურ და ფედერალურ ორგანოებთან, საკუთარ აქციონერებსა და პარტნიორებთან. ამიტომ აუცილებელია, თავის დროზე გამომუდგანდეს ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების შესაძლებელი დისპარმონია.

დღეს PR-ის ხელოვნების მთავარი ამოცანაა – გადოს ხიდი ახალგაზრდა მეწარმე ფენასა და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შორის, დაამსხვრიოს უნდობლობით, შურით, წყენითა და მტრობით გამოწვეული დაბრკოლება. PR-ის კიდევ ერთ ამოცანას წარმოადგენს ფირმის მეგობრებისა და კეთილისმსურველების წრის ფორმირება ავტორიტეტულ, ცნობილ და გავლენიან ბიზნესმენებს შორის, მმართველ სტრუქტურებში, პოლიტიკოსებში, მეცნიერებსა და განათლების სფეროს მოღვაწეებში.

საქართველოში ათწლეულების მანძილზე არ არსებობდა ანგარიშგაღებულულების აუცილებლობა საზოგადოებასთან, ამიტომაც საზოგადოებასთან ურთიერთობებიც ისეთივე იყო, როგორც ზოგადად სახელმწიფოს მართვის სიტემა. მართალია, არსებობდა გაზეთები, ჟურნალები, სახელმწიფო დაწესებულებების პრესსამსახურები, მაგრამ მათ მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული ინფორმაციის გაცემის უფლება ჰქონდათ. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული იდეოლოგიის პირობებში შეუძლებელი იყო ისეთი ამოცანის არსებობა, როგორცაა ორმხრივი ურთიერთობის წარმართვა და დიალოგი. იმ პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობა ძირითადად ეფუძნებოდა სიყალბეს, ტყუილსა და ფარსს.

PR-ის უმნიშვნელოვანესი პრინციპია ნდობა და დამაჯერებლობა, რაც საქართველოში ძნელად მოსაპოვებელია. ადრე იშვიათობა იყო რომელიმე კომპანია, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ნდობა ჰქონოდა მოპოვებული. ამის მაგალითად თუნდაც 90-იანი წლებში არსებული ბანკების საქმიანობაც კმარა, რომელმაც შემდგომ წლებში მოსახლეობის მხრიდან სრული უნდობლობა გამოიწვია, ხოლო დროთა განმავლობაში ეს პროცესი შედარებით დარეგულირდა და დღეისთვის საბანკო სფერო მოსახლეობის მხრიდან ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს. თუმცა არსებობს გარკვეული სფეროები, სადაც კვლავ არსებობს უნდობლობის მომენტი და სწორედ ამიტომ ინტენსიურად უნდა იქნეს გამოყენებული PR-ტექნოლოგიები, რათა მოხდეს საზოგადოების ნდობის მოპოვება მასთან უშუალო კავშირის და კომუნიკაციის შედეგად. საქართველოში ნდობის პრობლემა დღესდღეობით კვლავაც პრობლემატურია, ამიტომაცაა საჭირო უფრო მეტი მუშაობა საზოგადოებასთან და PR-ის უმნიშვნელოვანესი პრინციპების დანერგვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ხახუტაიშვილი, ლ. კაპანაძე. PR-საზოგადოებასთან ურთიერთობა. 2010.
2. რ. ჯავახიშვილი, ნ. ოქრუაშვილი. მარკეტინგი, სახელმძღვანელო. 2007.
3. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები, სახელმძღვანელო. 2014.
4. ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი. მარკეტინგის საფუძვლები, სახელმძღვანელო. 2009.
5. Беляев В. И. Маркетинг – основы теории и практики. Учебник. Москва, 2007.
6. <http://www.statistics.ge>
7. <http://www.voanews.com>
8. <http://www.businessnews.ge>

*Leila Mamulashvili
Maka Sosanidze*

PR – MODERN TECHNOLOGY IN ECONOMIC DEVELOPMENT Annotation

Public Relationship - (Public Relations – PR) was less known and uncommon for former Soviet Political Culture and mentality not so long ago. It appeared in our lives for last years and PR became visit card for XXI century.

Formation of Public Relations services in companies can solve major problems, in connection with product assortment and quality, it stimulates the sales process, forms normal psychological climate. All the above mentioned issues help to form atmosphere of understanding and business sense between organizations and society that serves to meet interests of both – business and society.

The main principal of PR is trust and reliability. The problem of trust is still problematic in Georgia even today. That's why we need more work with society and implementation the significant principals of PR.

*გელა მამულაძე
ნინო მამულაძე*

მარკეტინგული კონცეფციები და მისი განვითარების პირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე

თანამედროვე ბიზნესის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობა მარკეტინგია. მას აქტიურად იყენებენ მოწინავე საწარმოები. მათთვის მარკეტინგი საქონელზე მოთხოვნის შექმნის, რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი შენარჩუნების და ამ გზით მოგების მიღების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ბიზნესით დაკავებულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ხარისხიანი საქონლის შექმნა არ არის საკმარისი ბაზარზე დამკვიდრებისა და არსებობის გახანგრძლივებისათვის. იმავდროულად, საჭიროა საქონლის მყიდველის მოძიება, რაც მიიღწევა ეფექტიანი მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებით. თანამედროვე პირობებში ეფექტიან მარკეტინგად მომხმარებელზე ორიენტირებული საქმიანობა ითვლება, საწარმოების მომხმარებელზე ორიენტაცია კი შესაძლებელია მათი სურვილების, შეხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე. ამის განხორციელება, თავის მხრივ, მოითხოვს მარკეტინგის არსში საფუძვლიანად გარკვევას, მარ-

კეტინგული მიდგომებისა და სტრატეგიების შემუშავების მეთოდების დაუფლებას, მარკეტინგის კომპლექსის ელემენტების და მარკეტინგული კონცეფციების შესწავლას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო შეიცვალა ტექნოლოგიების ევოლუციის წყალობით. შეიცვალა თვით მარკეტინგიც. თავდაპირველად მარკეტინგი გულისხმობდა განსაზღვრულ ბაზრებზე საქონლის გაყიდვას და გარკვეულწილად არც ითვალისწინებდა მომხმარებელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ეს იყო მარკეტინგი 1.0-ის ეპოქა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქონელზე ორიენტირებული მარკეტინგის ერა [1].

თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საინფორმაციო ტექნოლოგიები, შესაბამისად მარკეტინგის ამოცანა არც ისე მარტივია. მომხმარებლები კარგად არიან ინფორმირებულნი და შეუძლიათ ერთმანეთს შეადარონ მსგავსი საქონელი. სარგებელს ამა თუ იმ საქონლიდან განსაზღვრავს მომხმარებელი. მიტომ მარკეტოლოგების ამოცანა ხდება მომხმარებლების იმ საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლა, რომელიც მათ მოგების მიღების საშუალებას მისცემს. ეს არის მარკეტინგი 2.0-ის ეპოქა, ანუ მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგის ერა [7].

ბოლო პერიოდში ჩვენ ვართ მარკეტინგი 3.0-ის, იგივე ადამიანზე ორიენტირებული მარკეტინგის განვითარების მომწრეები. მარკეტინგისა, რომელიც მომხმარებელს ექცევა ისე, როგორც ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ აქტიური სასიცოცხლო პოზიცია, მიისწრაფიან სიახლისკენ და სურთ შექმნან რაღაც განსხვავებული. ეს გარემოება მოითხოვს დიდი რაოდენობის მომხმარებლის მონაწილეობას ფასეულობების შექმნაში. მომხმარებლები მოითხოვენ არა მარტო მათი ჩვეულებრივი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებას, არამედ იმასაც, რომ მათი ყველაზე ღრმა შეგრძნებები და სურვილები იქნეს შეცნობილი და დაკმაყოფილებული. ისინი მოითხოვენ მათი კრეატიულობის დაფასებასაც [5].

ბოლო 60 წლის განმავლობაში მარკეტინგი იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პრობლემური თემა ბიზნესში. მარკეტინგული კონცეფციების ცვლილება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საყოველთაო განხილვის საგნად ხდის მარკეტინგს.

მას შემდეგ, რაც 1950 წელს ნეილ ბორდენმა მოიფიქრა „მარკეტინგული კომპლექსი“ და ჯერო მაკარტიმ 1960 წელს შემოგვთავაზა „4P-ის კონცეფცია“, შედეგად მარკეტინგულმა კონცეფციებმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1950-იან წლებში ამერიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საწარმოო სექტორს. 1960 წელს მისი განვითარება დაჩქარდა. ასეთ გარემოებაში საქონლის მართვა წარმოადგენდა მარკეტინგული კონცეფციების საკმაოდ ლოგიკურ განვითარებას [8]. ამ პერიოდში მარკეტინგის ძირითად ფუნქციად მიიჩნევენ ფირმის საქონელზე მოთხოვნის ფორმირებას. „4P-ის კონცეფცია“ გვიჩვენებდა საქონლის მართვის პრაქტიკულ მხარეს. საქონლის შექმნა, ფასის განსაზღვრა, სტიმულირება და საქონლის გავრცელების ადგილის განსაზღვრა. რადგანაც იმ წლების განმავლობაში ბიზნესი განვითარების სტადიაზე იმყოფებოდა, დასახელებული ქმედებების გარდა მარკეტინგისგან სხვა არც არაფერი მოითხოვებოდა.

თუმცა, 1970 წელს მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა, როცა აშშ-ის ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისის ზღვარზე. ასეთ რთულ პირობებში საკმაოდ რთული იყო საქონელზე მოთხოვნის შექმნა და შესაბამისად „4P-ის კონცეფცია“ უკვე აღარ იყო საკმარისი. მოთხოვნა საქონელზე იყო ძალზე უმნიშვნელო. ზოგიერთი საქონელი ბაზარზე იმისათვის გამოიტანეს, რომ ერთ-

მანეთისათვის გაეწიათ კონკურენცია მომხმარებლის მოსაპოვებლად. მაგრამ, ბოლო 20 წლის განმავლობაში შეიცვალა თვითონ მომხმარებელიც, ისინი გახდნენ უფრო მოხერხებულნი და მომთხოვნი. მომხმარებლების თვალში ზოგიერთი საქონელი მასშტაბურად გამოიყურებოდა, რადგან არ იყო კარგად განლაგებული.


ცვალებადმა გარემომ აიძულა მარკეტინგის სპეციალისტები ეფიქრათ ბევრი და შეექმნათ ბევრად უფრო ხარისხიანი კონცეფციები. არსებულ „4P-ის კონცეფციას“ დაემატა რამდენიმე ელემენტი: პერსონალი, პროცესი, ფიზიკური გარემოცვა, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ძალაუფლება. ეკონომიკური დაცემის წყალობით, რომელიც საქონელზე დაბალი მოთხოვნის საფუძველი გახდა, განაპირობა ის, რომ მარკეტინგმა როგორც იქნა თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ბიზნესში.

იმისათვის, რომ მოთხოვნის სტიმულირება მოეხდინათ საქონელზე, მარკეტინგი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის საგნად. ახლა ფირმებისათვის ცხადი გახდა გარემოება, იმისათვის, რომ მომხმარებელი ეფექტური და მაღალი მოთხოვნის შექმნა, მარკეტინგულ საქმიანობაში საქონლის ადგილი უნდა დაეკავებინა მომხმარებელს. სწორედ ეს არის მარკეტინგი 2.0-ის დასაწყისი [4. გვ. 15].

1989 წელი იყო მთელი რიგი პარადოქსული ცვლილებების წელი. ეს წელი მარკეტინგისთვისაც აღმოჩნდა გარდამტეხი. დაიწყო პერსონალური კომპიუტერების საყოველთაო გამოყენება, ხოლო 1990 წლებში გაჩნდა ინტერნეტი, რომელიც გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დამატებითი ძალა მარკეტინგისათვის. კომპიუტერების გაერთიანება ერთ ქსელში, თავისთავად გულისხმობდა მომხმარებლების გაწვევრიანებას ერთ სივრცეში. კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით გახდა შესაძლებელი ადამიანებს შორის ურთიერთობა და შესაბამისად უფრო ადვილი გახდა ინფორმაციის საზოგადოების მასებს შორის გაერცვლება. ინფორმაცია უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. მისი ნაკლებობის შესახებ მოგონებებიც დარჩა. მომხმარებლებმა მიიღეს კავშირის კარგი საშუალება, რის შედეგადაც გაიზარდა მათი ინფორმირებულობა.

იმისათვის, რომ გამოეყენებინათ ეს ცვლილებები, მარკეტოლოგებმა გააფართოვეს მარკეტინგის კონცეფცია. ახლა უკვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ადამიანური ემოციები. მარკეტოლოგებმა შეიმუშავეს ახალი კონცეფციები: ემოციური მარკეტინგი, შთაბეჭდილებების მარკეტინგი და ბრენდის კაპიტალი (სავაჭრო მარკის კაპიტალი). ბრენდი ადამიანის თვალში უკვე წარმოადგენდა ფასეულობას. იმისათვის, რომ მომხმარებელი მოთხოვნის გაზრდა, უკვე საკმარისი აღარ იყო მომხმარებლის გონებაზე ზემოქმედება პოზიციონირების მხოლოდ კლასიკური მოდელის საშუალებით. საჭირო გახდა ადამიანის გულზე ზემოქმედება. მარკეტინგული კონცეფციები, რომელიც წარმოიშვა 1990-2000-იან წლებში, გარკვეულწილად ასახავდა ბრენდის მართვის თეორიას.

თუ გადავხედავთ ყოველივე ზემოთქმულს, დავინახავთ, რომ მარკეტინგულმა თეორიამ თავისი განვითარების ეტაპებზე შეიძინა სხვადასხვა სახის კონცეფციები. ნახაზე ასახულია კონცეფციები რომელიც წარმოიშობოდა ყოველ ათწლეულში (ნახ. 1). ფაქტია, რომ მარკეტინგის თეორიის დინამიზმმა და განუწყვეტელმა მცდელობამ იმისა, რომ მომხმარებელი ახალი მეთოდების შემუშავება ბაზრების, მომხმარებლების, კონკურენტების და პარტნიორების შესწავლისათვის, წარმოქმნა ახალი შეხედულებები და ახალი ინსტრუმენტები [1. გვ. 18-30].



ნახ. 1. მარკეტინგული კონცეფციების განვითარება

რადგანაც კონცეფციები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მარკეტინგში, აუცილებელია ფორმებმა ყურადღება გაამახვილონ არა მარტო არსებული „4P-ის კონცეფციაზე“, არამედ ისეთ ახალ კონცეფციებზეც, როგორცაა: ემოციური მარკეტინგი, შთაბეჭდილებების მარკეტინგი და ბრენდის კაპიტალი.

დასასრულ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მარკეტინგი იმყოფება ევოლუციის აქტიურ ფაზაში და კონკურენცია დღითი დღე იზრდება, კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მარკეტინგულ კონცეფციებს, დახეწონ ისინი და გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას, ჰქონდეთ ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი და წარმატებული ფორმა ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ. მარკეტინგის საფუძვლები. თბილისი, 2009.
2. Котлер Ф. Маркетинг 3.0. От продуктов к потребителям и далее – к человеческой душе“. Москва, 2011.
3. Котлер Ф. Маркетинг от А до Я. Москва, 2010.
4. Borges B. „Marketing 2.0“.
5. http://www.e-xecutive.ru/blog/nich_marketing/4798.php
6. <http://www.noomarketing.net/marketing-1.0>
7. <http://www.noomarketing.net/marketing-2.0>
8. <http://www.noomarketing.net/marketing-3.0>

MARKETING CONCEPTS AND MAIN DIRECTIONS OF DEVELOPMENT AT THE PRESENT STAGE

Annotation

The paper discusses and analyzes evolution stages of marketing concepts, the relevant concepts, current state and trends of development.

Marketing has been one of the most active and problematic sphere in business for the last 60 year. Marketing theory has adopted different types of conceptions in its development stage. It is pointed, that nowadays „4P conception” is not enough to resolve problems in the business sphere. That is why, the unsteady environment has promoted marketing specialists to think and create more high-quality concepts. Several elements were added to the „4P conception”, such as: personnel, process, physical environment, public opinion and political power. Later, when concurrence became more active and dynamic, marketers were forced to create new conceptions, such as: emotional marketing, experiential marketing and brand equity marketing. Above cited marketing conceptions determines companies success in the market.

ცოტნე ჟღერტი

სუვერენული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ტრანსფორმაციის პროცესში

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი ვადების განსაზღვრისათვის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაა, რაც ძირითადად გულისხმობს ინფლაციის დაბალ დონეს და გამოშვების ზრდის დადებით მახვენებელს. თითქმის ყველა რესპუბლიკაში პიპერინფლაციის დაძლევა წინ უსწრებდა ეკონომიკური ზრდის მიღწევას. ეს იმის დადასტურებაა, რომ ფასების სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია დადებითი ეკონომიკური გამოშვების არსებობა. ქვეყნებს მომავალ ეკონომიკურ ზრდაზე რომ ეფიქრათ, ჯერ ინფლაციური პრობლემები უნდა დაეძლიათ.

პოსტკომუნისტურმა ტრანსფორმაციამ შეუქცევადი სახე მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელში დარჩა მონეტარული ბერკეტები. საბჭოური რუბლი რჩებოდა რუსეთის ეროვნულ ვალუტად 1998 წლამდე, როდესაც კრიზისის პერიოდში განხორციელდა რუბლის რეფორმა. დანარჩენ რესპუბლიკებს მოუწიათ, რიგ შემთხვევებში, კუპონის და საბოლოო ეროვნული სუვერენული ვალუტის შემოღება. გარდა წმინდა მონეტარული თვალსაზრისისა, ეროვნული ვალუტის არსებობა უფრო სტაბილურს ხდის ფორმალური ინსტიტუციების არსებობას და ამჟღავნებს დამოუკიდებლობის შეგრძნებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. პირველი ეროვნული ვალუტა 1991 ივლისში იქნა გამოშვებული ერთი თვით ადრე დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ეს იყო ლატვიური რუბლი, მხოლოდ გარდამავალი პერიოდისთვის. ის მიმოქცევაში გავიდა რუსული რუბლის პარალელურად. 1993 წელს მოხდა ლატვიური რუბლის ჩანაცვლება ლატით (ფარდობით 1-100). აღსანიშნავია, რომ 1920-იანი წლების ლატვიის რესპუბლიკაში ვალუტად ჯერ ლატვიური რუბლი, შემდეგ კი ლატი გამოიყენებოდა. როგორც ლატვიას, ისე დანარჩენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს საქმეს უადვილებდა ის გარემოება, რომ მათ მიერ 90-იან წლებში მიმოქცევაში გამოშვებული ვალუტა ვერბალურად იმეორებდა მათი პრესაბჭოთა რესპუბლიკის ვალუტას, შესაბამისად, საზოგადოებაში ის უფრო დიდ ნდობას იმსახურებდა.

ესტონეთმა, მსგავსად ლატვიისა, ყოველგვარი კუპონიზაციის გარეშე, 1992 წლის ივნისში ჩაანაცვლა საბჭოური რუბლი, ხოლო ლიტვამ 1993 წლის ივნისში ეროვნული ვალუტა ლიტათი ჩაანაცვლა მანამდე არსებული ტალონები (1991-1993). 1993 წლისათვის ქვეყანათა ნაწილმა შემოიღო ეროვნული ვალუტა, მათ შორის გამოსარჩევია აზერბაიჯანის მიერ მანათის შემოღება 1992 წლის სექტემბერში. დანარჩენი ქვეყნების მიერ ეროვნული ვალუტის შემოღება 1995-1996 წლებში შეიძლება უკვე დაგვიანებულად ჩავთვალოთ. სამწუხაროდ, ასეთი ქვეყანა იყო საქართველოც, სადაც ლარი 1995 წლის 2 სექტემბრიდანაა მიმოქცევაში. ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით საქართველოს ცენტრალურ ბანკს არსებობის მოკლე, თუმცა საინტერესო ისტორია ჰქონდა. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში მოქმედებდა და მას „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდებოდა, რომლის შექმნამდე მის ფუნქციებს რუსეთის საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება ასრულებდა, რომელსაც, თავის მხრივ, 1917 წლიდან კავშირი გაწვევტილი ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო დამოუკიდებელი იყო მთავრობისგან, რაც განსხვავებული იყო რუსეთში არსებულ საბანკო პრაქტიკასთან შედარებით. ფუნქციონირების მხოლოდ ორი წლის მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა მოასწრო განხორციელებინა ფული რეფორმა, შეექმნა უცხოური ვალუტის რეზერვები, ამოეღო მიმოქცევიდან ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები, რომლის თავისუფალი მიმოქცევა ზღუდავდა სუვერენული ქართული სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო სფეროს. საქართველოს სახელმწიფო ბანკის“ პირველი პრეზიდენტი იასონ ლორთქიფანიძე წერდა: „ვერც ოქროს ფონდი, მით უმეტეს სხვა გარანტიები, ემისიას ძირს ვერ გაუმაგრებენ, თუ ბანკის ორგანიზაცია, ან მისი მართვა რაიმე ეჭვს დაბადებს.“; ასევე ის წერს: „ყოველი ბანკის დაარსების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზედაა მიქცეული, თუ რამდენად დაიმსახურებს თავიდანვე ეს ბანკი შინაური და გარეშე კლიენტებისა და საზოგადოების ნდობას“. როგორც ჩანს, ახლად შექმნილ რესპუბლიკაში ცენტრალური ბანკის უმთავრესი ინსტრუმენტი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი გატარებისათვის მოსახლეობისა და საფინანსო წრეების ნდობა იყო. სწორედ საზოგადოებრივ ნდობასა და ეფექტიან მართვასთან დაკავშირებით იყო 90-იან წლებში მთავარი პრობლემები როგორც ფინანსურ სისტემაში, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში. 1991 წელს შექმნილი ცენტრალური ბანკი (საქართველოს ეროვნული ბანკი) პირველ წლებში მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიდა მთავრობისგან, რადგან მაშინდელი საბანკო კანონმდებლობა ამაში ხელს ვერ უშლიდა. ამან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მონეტარული პოლიტიკის გატარების კუთხით და ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პიპერინფლაციის.

როგორც აღვნიშნეთ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელშემწყობი, 1920-1940-იანი წლების ცენტრალური ბანკის ისტორიის გარდა, პოსტ-საბჭოური სუვერენული ვალუტები იყო. საქართველოს 1919-1921 წლების ცენტრალურმა ბანკმა ვერ მოასწრო ეროვნული ვალუტის შემოღება. 1919 წლიდან მიმოქცევაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები იყო, რომლის წინა მხარეს ქართული, ხოლო უკანა მხარეს რუსული და ფრანგული წარწერები ჰქონდა. უკვე არსებობდა სუვერენული ვალუტის ესკიზები, რომლის სახელად მოიაზრებოდა „მარჩილი“ და მიმოქცევაში გერმანულ მარკასთან პარიტეტული კურსით უნდა გაშვებულიყო. ფულადი ერთეული, სახელწოდებით „მარჩილი“ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო მე-16 საუკუნიდან. შემორჩენილია 25 მარჩილის ნომინალის მქონე ფულადი ერთეულის ესკიზი. წითელი არმიის ანექსიამ როგორც ეროვნული ვალუტის შემოღების, ასევე ყველა სხვა დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის საჭირო

პროცესი შეაჩერა, სახელმწიფო განვითარების ბანკი კი საბჭოეთის ცენტრალური ბანკმა ჩაანაცვლა. სუვერენული ვალუტის თუნდაც რამდენიმე წლით არსებობა, სავარაუდოდ, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოუტანდა სრულიად ქართულ საზოგადოებას მომავალში.

რამდენად მოქმედებს სუვერენული ვალუტის შემოღება ჰიპერინფლაციის მოთოკვასა და სტაბილური ინფლაციის დონის მიღწევაზე? გრაფიკ 1-ზე გამოსახულია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მიერ სუვერენული ვალუტის შემოღება თვის დონეზე სიზუსტით, წელი, როდესაც დაძლეულ იქნა ჰიპერინფლაცია და ასევე წელი, როდესაც მიღწეულ იქნა დაბალი სტაბილური ინფლაცია. მოცემულ მაგალითში ჰიპერინფლაციად ითვლება ინფლაცია, რომელიც თვეში 50%-ს აღემატება წლის მანძილზე, ხოლო დაბალ ინფლაციად ერთიწნა წლიური ინფლაცია. ორივე მაჩვენებელი აღებულია საშუალო წლიური ინფლაციის დონით. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ვალუტის შემოღების თარიღიდან უმეტესად 2-4 წელში ხდებოდა ჰიპერინფლაციის დაძლევა, ხოლო ერთიწნა ინფლაციის მიღწევას უფრო მეტი დრო სჭირდება, დამოკიდებულია უფრო მეტ ეკონომიკურ თუ ინსტიტუციურ ფაქტორზე. ახალი ვალუტა დადებითი შოკია ფულად ბაზარზე, ჰიპერინფლაციითა უმეტესობა ხომ ახალი ვალუტის შემოტანით მთავრდება. დაბალი და სტაბილური ინფლაცია კი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ხელშემწყობია, რომლის მისაღწევად საჭიროა გამართულ ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო ორგანოების ნდობა, საზოგადოების რაციონალური ქცევა

1994 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა გაზარდა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა ბანკებისათვის 200 მლნ კუპონიდან 500 მლნ კუპონამდე, რაც მხოლოდ 2500 აშშ დოლარს უდრიდა, თუმცა ერთი წლის შემდეგ მისი ღირებულება 385 აშშ დოლარამდე დავიდა. 2000 წელს მოხდა ბანკებისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ზრდა სამ მლნ ლარამდე, რაც დაახლოებით 1.5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო. 1995 წლიდან ეროვნული ბანკი იწვებს სხვა ახალი საჭირო რეგულაციების შემოღებას.

- კომერციული ბანკები ვალდებული გახდნენ, 5%-ის მაგივრად აქტივების 8% ყოფილიყო უზრუნველყოფილი საკუთარი კაპიტალით;

- შინამეურნეობების მიერ განთავსებული დეპოზიტების მოცულობა არ უნდა ყოფილიყო კომერციული ბანკის კაპიტალის 100%-ზე მეტი;

- ერთ პირზე გაცემული სესხის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო ბანკის კაპიტალის 10%-ზე მეტი, ნაცვლად მანამდე არსებული 50%-ისა;

- სესხები კომერციული ბანკთან დაკავშირებულ პირზე არ უნდა ყოფილიყო ბანკის კაპიტალის 5%-ზე მეტი, ხოლო ჯამური სესხები ყველა დაკავშირებულ პირზე 10%-ზე მეტი;

- ლიკვიდური აქტივების მოცულობის ფარდობა არ უნდა ყოფილიყო მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობის 30%-ზე ნაკლები.

ცხრილი 1

კომერციული ბანკების რაოდენობა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციის პერიოდში			
ქვეყანა	კომერციულ ბანკთა მაქსიმალური რაოდენობის დაფიქსირების წელი	კომერციული ბანკების რაოდენობა ხსენებული წლის ბოლოს	მოსახლეობის რაოდენობა ერთ ბანკზე
საქართველო	1994	226	20,947
აზერბაიჯანი	1994	210	36,595
ლატვია	1993	62	40,657
რუსეთი	1996	2,576	57,421
თურქმენეთი	1996	68	63,697
ესტონეთი	1994	22	65,302
სომხეთი	1994	41	78,614
ყაზახეთი	1993	204	78,898
ლიტვა	1993	26	140,659
მოლდოვა	1998	23	158,565
ყირგიზეთი	1998	23	210,452
ბელარუსი	1994	48	212,375
ტაჯიკეთი	1997	28	214,748
უკრაინა	1995	230	220,898
უზბეკეთი	1999	35	704,297

„EBRD, Transition Report 2000“

იმისათვის, რომ უფრო ნათლად დავინახოთ დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის ფუნქციონირებას და მაღალი ინფლაციური პროცესების დაზღვევასთან, შეგვიძლია დავიხმაროთ რეგრესიული ანალიზი და გამოვსახოთ დამოკიდებულება მოცემულ ცვლადებს შორის:

$$INFY = \alpha + \beta CURM$$

სადაც INFY არის ჰიპერინფლაციის დაძლევის წლის რიგითობა, მოყოლებული 1990 წლიდან (მაგალითად: თუ 1991 წელს მოხდა ჰიპერინფლაციის დაძლევა, საშედეგო ცვლადის მნიშვნელობა იქნება “1”), ხოლო CURM – სუვერენული ვალუტის შემოღების თვის თარიღის რიგითობა 1991 წლის იანვრიდან (მაგალითად, თუ ვალუტის შემოღება მოხდა 1991 წლის ივნისში, ფაქტობრივი ცვლადის მნიშვნელობა იქნება “6”). მოდელში გამოყენებულია 15 პოსტსაბჭოთა ქვეყნის მონაცემები ტრანსფორმაციის პირველ წლების შესახებ. წრფივი რეგრესიის შედეგად შეფასებული მოდელის შედეგები სტატისტიკურად სანდოა (ცხრილი 2).

ცხრილი 2


Multiple R	0,5466		Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%
R Square	0,2987	α	3,4801	0,8716	3,9929	0,0015	1,5972	5,3629
Adjusted R Square	0,2448	β	0,0569	0,0242	2,3532	0,0350	0,0047	0,1091

Standard Error	1,6576						
Observations	15						

მოდელის ეკონომიკური შინაარსი არის ის, რომ დამოუკიდებლად სუვერენული ვალუტის შემოდებიდან, ქვეყნებს დაახლოებით 3.5 წელი სჭირდებათ ჰიპერინფლაციის დასაძლევად, ხოლო ვალუტის გამოშვების ყოველი დაგვიანებული 12 თვე (ანუ ერთი წელი) იწვევს ჰიპერინფლაციური პროცესების გაგრძელებას 0.68 წლით.

განსხვავებულია ბალტიისპირეთის ქვეყნების მონაცემები, სადაც, სხვა ეკონომიკურ უპირატესობებთან ერთად, ეროვნული ვალუტის დაუყოვნებლივმა შემოდებამ ჰიპერინფლაციურ პროცესებს გაფართოების საშუალება არ მისცა. დანარჩენ ქვეყნებში დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის არარსებობას დაემატა რიგი ინსტიტუციური თუ პოლიტიკური პრობლემები.

სუვერენული ვალუტა და ინფლაციის სტაბილიზაცია



გრაფიკი 1

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზა
IMF Economic Outlook 2015 Database, April 2015

ქვეყნების უმეტესობამ ჰიპერინფლაციას 1995-1996 წლებში დააღწია თავი. საინტერესოა რუსეთის მაგალითი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურმა რუბლმა გააგრძელა არსებობა როგორც რუსულ ვალუტად, რუსეთს გაუჭირდა ჰიპერინფლაციური სპირალიდან გამოსვლა. ამას დაემატა 1998 წლის კრიზისი, რუბლის რეფორმა და ახალი რუსული რუბლის შემოდება. ინფლაცია კიდევ საკმაო ხანი რჩებოდა მაღალ დონეზე და ერთნიშნა მაჩვენებელს მხოლოდ 2006 წელს მიაღწია. პიონერები ერთნიშნა ინფლაციის მიღწევაში ლატვია და ესტონეთი იყვნენ (შესაბამისად 1995 და 1996 წლებში). თვალსაჩინოა, რომ 1996 წელს საქართველოში საშუალო წლიური ინფლაციის დონე ჩამოსცილდა ჰიპერინფლაციურ მაჩვენებელს (39.2%), ხოლო ინფლაცია პერიოდის ბოლოსათვის - 13.7%. მომდევნო 1997 წელს ქვეყანაში საშუალო

წლიური ინფლაციის დონე 7% იყო. 1994-1995 წლებში საქართველოს გადავლილი ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, იწყება გააზრებული ეკონომიკური რეფორმები და ამ პერიოდში შემოდის ლარი ქართულ ეკონომიკაში. ორ წელიწადში მიჯრით დაძლევა ჰიპერინფლაციისა და დაბალ ინფლაციაზე გასვლა ხსენებულ ეკონომიკურ ფონზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმის, რომ ლარის რეფორმა საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა და მისი დაგვიანებული განხორციელება ძვირად დაუჯდა ქვეყანას.

დასკვნა

ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჰიპერინფლაცია პიკს ეროვნული ვალუტის შემოღებამდე აღწევდა და შემდეგ მკვეთრად იკლებდა. ეს პიკი ქვეყნების უმეტესობისათვის 1993-1994 წლებია. ქვეყნებმა, რომლებიც მალე გამოვიდნენ მაღალი ინფლაციური პროცესებიდან, დააფიქსირეს მკვეთრად დაბალი ინფლაციური მაქსიმუმი. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჰიპერინფლაცია დროის განმავლობაში იკრებს ძალებს, ქმნის ინფლაციურ სპირალებს, სანამ მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული მკვეთრი და რადიკალური ზომები. მათ შორის, ერთ-ერთ რადიკალურ და ეფექტიან ნაბიჯად ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული სუვერენული მონეტარული პოლიტიკა მოიაზრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა. ვ. 1995. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი “შოკური თერაპიიდან” – “სოციალურ სტიმულირებამდე”. თბ., სმკ.
2. კაკულია. ნ. 2009. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური თავისებურებები და “ეკოლუციური თეორია”. თბ. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, № 3, გვ. 37-46.
3. „საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“. თბ., 2008.
4. IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development
5. IMF Economic Outlook 2015 Database, April 2015
6. „EBRD, Transition Report 2000“

Tsotne Zhghenti

THE ROLE OF THE INDEPENDENT MONETARY POLICY AND NATIONAL CURRENCY IN THE TRANSITION PROCESS FOR MACROECONOMIC STABILIZATION

Annotation

To analyze Post-communist transition process, one of the main important determinant is time to achieve macroeconomic stabilization, which is primarily related to the stable and low rate of inflation. The reduction of hyperinflation improves the achievement of positive economic growth. This empirical evidence shows us that positive economic output growth is not possible without price stability. All post-soviet Countries firstly solve inflationary problems and then thought about future economic growth.

Post-communist transition became irreversible after the Soviet collapse. Because Russia had the monetary policy tools, Soviet Ruble remained until 1998, when the Ruble reform was implemented during the Russian financial crisis. Other countries, in some cases had the coupons instead of national currency at the first stages of transition.

What is the role of the independent monetary policy and national currency and stable inflation in the currency hyperinflation? How formal and informal monetary intuitions are changing over the time?

სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობისა და ფასწარმოქმნის კონცეპტუალური პრობლემები

შესავალი

გთავაზობთ ნაშრომების ციკლს, სადაც ახალ პარადიგმებზე დაყრდნობით, სამომხმარებლო საქონელთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით და მოთხოვნა-მიწოდების ელასტიკურობის ფაქტორის გათვალისწინებით, სისტემურადაა გამოკვლეული ბაზრის ფინანსური წონასწორობის პრობლემა. მათ შორის, პირველ ნაწილში იგი განხილულია განზოგადებული სახით ელასტიკური მოთხოვნა-მიწოდებისათვის.

ციკლის მომდევნო ნაშრომებში, აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ლოგიკური თანმიმდევრობით სივრცობრივ-დროით ჭრილში დეტალურად გაეცნობით როგორც ნატურალური, ისე ღირებულებითი მოთხოვნა-მიწოდების კანონებს და ფასობრივი ელასტიკურობის უცნობ დეტალებს, მათემატიკური ანალიზის გამოყენებით გამოკვლეული იქნება მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობის გაგენა მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებსა და ფირმების საწარმოო შემოსავლებზე. ბოლო ნაშრომი დაეთმობა სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობის კანონზომიერებათა გამოვლენას მოთხოვნა-მიწოდების ფასობრივი ელასტიკურობის სხვადასხვა კომბინაციის გათვალისწინებით.

I. სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობა და ფასწარმოქმნა ფასის მიმართ ელასტიკური მოთხოვნა-მიწოდებისათვის

1. ფასწარმოქმნის ნეოკლასიკური კონცეფციის არსი და კრიტიკა.

ფასის არსის და ჩამოყალიბების კანონზომიერებათა ფუნდამენტური კვლევა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა დაიწყეს, რამაც დასრულებული კონცეპტუალური სახე ნეოკლასიკურ თეორიაში, კერძოდ, ა. მარშალის ნაშრომებში მიიღო. მან ორგანულად შეურყვია საზღვრითი სარგებლიანობის, წარმოების ხარჯების და მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციები. ეს კონცეფცია დღემდეა ძალაში და შემდეგ პარადიგმებს ემყარება: კონკურენციულ ბაზარზე წონასწორული ფასი ბუნებრივი გზით, ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება; მოთხოვნა და მიწოდება ნატურალურ ერთეულებშია მოცემული; პროცესი მიმდინარეობს დროის მოკლევადიან მონაკვეთში, როდესაც ფასების შემოუსაზღვრელ ზრდას მოთხოვნა-მიწოდების ასეთივე ცვლილება მოსდევს შედეგად.

ფასწარმოქმნის ნეოკლასიკური კონცეფციის ძირითად ნაკლოვანებებად მიგვაჩნია: პირველი, ფასწარმოქმნა დინამიური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად განიხილება; მეორე, სრულფასოვნად ვერ ასაბუთებს, თუ როგორ აღწევს თავს საბაზრო მექანიზმი საქონლის სიტყარბით გამოწვეულ კრიზისს და, ამასთან, ბაზრის უარყოფითი ეფექტების შესაძლებლობასაც კი გამოირიცხავს; მესამე, პროცესი ეკონომიკური ზრდისაგან დამოუკიდებლად განიხილება და შესაბამისად, ეს ფაქტორი არ გაითვალისწინება; მეოთხე, ფასი ყალიბდება დროის მოკლევადიან პერიოდში მისი და მოთხოვნა-მიწოდების შემოუსაზღვრელი ცვლილების დაშვებით, რაც რეალობას არ შეესაბამება; მეხუთე, ვერ ხსნის სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობის კანონზომიერებებს; მეექვსე, ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის ოპტიმალური ფასობრივი პოლიტიკის შემუშავებას.

2. ბაზრის ფინანსური წონასწორობის კონცეფციის ალტერნატიული პარადიგმები.

საბაზრო წონასწორობის ნეოკლასიკური კონცეფცია ასახავს ნატურალურ ერთეულებში გამოხატული მოთხოვნა-მიწოდების პირობებში სტატიკური ფასის ჩამოყალიბების მექანიზმს რეალიზაციის თვალსაზრისით. მაგრამ, ბაზრის სუბიექტთა ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო აქტუალურია მისი ფინანსური წონასწორობა, რადგან საქონლის რეალიზაცია თვითმიზანი კი არაა, არამედ შემოსავლების მიღების საშუალებას წარმოადგენს. ამ პრობლემის გამოკვლევა შესაძლებელია მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯების და მიმწოდებელი ფირმების საწარმოო შემოსავლების ამსახველი ფუნქციების (მრუდების) სინთეზური განხილვით, რომლებიც ღირებულებებითი მოთხოვნა-მიწოდების მოდელირებით მიიღება.

ბაზრის ფინანსური წონასწორობის და ფასწარმოქმნის ახალი კონცეფციის შემუშავებას, შესაბამისი რეალური პროცესებიდან გამომდინარე, შემდეგი პარადიგმები დაგუდეთ საფუძვლად: **პირველი**, მოთხოვნა და მიწოდება განიხილება ფულადი ფორმით და იცვლება რეალური პროცესების ადეკვატურ შემოსაზღვრულ დროსა და სივრცეში; **მეორე**, ფასისა და მოთხოვნის ცვლილების დასაშვებ არეალში მათი ურთიერთზემოქმედება ქმნის **სამომხმარებლო ციკლს**, ხოლო ფასისა და მიწოდების ცვლილების არეალში ყალიბდება **მიწოდების დარგობრივი საწარმო-საინვესტიციო ციკლი**; **მესამე**, მოცემული დარგის საწარმოო სიმძლავრეები და, ამდენად, მაქსიმალური საბაზრო მიწოდება შეესაბამება ამავე საქონლის მაქსიმალურ ანუ გაჯერებულ საბაზრო მოთხოვნას; **მეოთხე**, სამომხმარებლო და მიწოდების საინვესტიციო-საწარმოო ციკლები ერთმანეთს ემთხვევა და **მოთხოვნა-მიწოდების ერთიან საწარმო-სამომხმარებლო ციკლს** ქმნიან; **მეხუთე**, ღირებულებებითი ფორმით გამოხატული მოთხოვნა განსაზღვრავს მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო ასეთივე მიწოდება – ფირმების საწარმოო შემოსავლებს; **მექვსე**, ფასწარმოქმნისა და ფინანსური წონასწორობის მექანიზმი დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდების ფასობრივი ელასტიკურობის ფორმაზე; **მეშვიდე**, ბაზრის ფინანსური წონასწორობა და ფასები ყალიბდება სამომხმარებლო ხარჯებისა და მიმწოდებელი ფირმების საწარმოო შემოსავლების ტოლობის პირობებში; **მერვე**, გაითვალისწინება მხოლოდ ზომიერი ინფლაცია და შესაბამისად იგულისხმება, რომ ინფლაციურ შოკებს ადგილი არ აქვს.

3. მოთხოვნის, მიწოდების და ფასის ცვლილების საზღვრები და შესაბამისი მრუდები.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ფასწარმოქმნის ნეოკლასიკური კონცეფცია უკვე მთელი საუკუნეა ერთ ადგილას ტკეპნის, ისაა, რომ ფასის, მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებას განუსაზღვრებლ არეალში განიხილავს, მაშინ როდესაც მათ რეალური, მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები აქვთ. ამდენად, დასაზუსტებელია შესაბამისი ფუნქციები და მრუდები.

ფასზე მოქმედი, ერთი მხრივ, საქონლის სარგებლიანობასა და მოთხოვნასთან, ხოლო მეორე მხრივ, მიწოდებასა და წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტორები მის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს აყალიბებს. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების პრინციპიდან გამომდინარე, ფასის უმცირესი ნორმატიული სიდიდე (გრაფიკზე შესაბამისი ვერტიკალური ასიმპტოტი) არ შეიძლება წარმოების ხარჯებზე ნაკლები იყოს და, ამდენად, იგი ფასის დაკლების ქვედა ბარიერია. ფასის მაქსიმალური დონე შემოსაზღვრულია მყიდველთა სამომხმარებლო ბიუჯეტის იმ ნაწილით, რომელიც ასეთი კატეგორიის საქონლის შესაძენადაა განკუთვნილი. კერძოდ, მისი

მაქსიმალური მიჯნაა ისეთი დონე, რომლის გადახდა მყიდველებს შეუძლიათ თავიანთი შემოსაზღვრული სამომხმარებლო ბიუჯეტით, გადახდისუნარიანი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, სხვა დანარჩენ საქონელთა მოხმარების შემცირების ხარჯზე, იმ პირობით, რომ მათზე მოხმარების თუნდაც მინიმალური ნორმები შენარჩუნდება.

მოთხოვნის ბუნებიდან გამომდინარე, მინიმალური ფასის პირობებში წარმოიშობა მაქსიმალური მოთხოვნა, ხოლო მაქსიმალური ფასისათვის – მინიმალური მოთხოვნა. ამ პირობებში მისი ზედა ბარიერი იქნება გაჯერებული მოთხოვნა, შესაბამისი ჰორიზონტალური ასიმპტოტით, რომელიც მინიმალური ფასისთვის ყალიბდება. ფასის ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნის სიდიდე მცირდება, მაგრამ ნულის ტოლი ვერ გახდება, რადგან ყოველთვის არსებობს მოსახლეობის იმდენად შეძლებული ფენა, რომელიც გაძვირებული საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას ნებისმიერ გონივრულ მაღალ ფასად შეიძენს.


ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში მინიმალური ნულის ტოლი მიწოდება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ფასი წარმოების ხარჯების ტოლია. მაქსიმალური მიწოდება კი საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის პირობებში წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვარზე მიიღწევა.

კაპიტალის დაბანდების რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე, ქვეყნის მასშტაბით მოცემული საქონლის მწარმოებელი დარგის საწარმოო სიმძლავრეები ისე ყალიბდება, რომ მათ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას არ გადააჭარბონ. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მიწოდების დინამიკა გამოისახება აღმავალი მრუდის სახით, მისი ცვლილების საზღვრების შესაბამისი ასიმპტოტებით. მათ შორის, მარცხენა ასიმპტოტი წარმოების ხარჯებს შეესაბამება, ხოლო ზედა ჰორიზონტალური – წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვარს.

მიწოდების ცვლილების მთლიან პროცესს, რომელიც იწყება წარმოების გაფართოების წინა ეტაპის დასასრულს წარმოების ხარჯების ადეკვატურ ფასად საქონლის მინიმალური მიწოდებით და წარმოებრივ შესაძლებლობათა ზღვარზე მაქსიმალური მიწოდებით სრულდება, მიწოდების საინვესტიციო-საწარმოო ციკლი ვუწოდოთ. ეს პერიოდი საქონელზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაჯერებას ანუ სამომხმარებლო ციკლს ემთხვევა.

4. მოთხოვნის კანონის კრიტიკული ანალიზი და ღირებულებითი ფორმა.

მოთხოვნის კანონის ტრადიციული გაგების თანახმად, ფასის ზრდა მომხმარებლის მყიდველობით უნარს – ნატურალურ ერთეულებში გამოხატული მოთხოვნის სიდიდეს ამცირებს და, პირიქით, საქონელზე ფასის შემცირების პირობებში მოთხოვნის სიდიდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ასეთი დამოკიდებულების არსებობა ეჭვს არ იწვევს, ეკონომიკის მეცნიერებაში მოთხოვნის გრაფიკის ფორმის შესახებ აზრთა ერთიანობა არ არსებობს.




ბრაზიკი 1. მოთხოვნის ტრაღიციული მრუდი

უცხოელ ავტორთა ერთი ნაწილი (რ. ბარი, კ. მაკონელი, ს. ბრიუ, პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, დ. სლომანი და სხვ.), ამ ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულებას არაწრფივი ფორმით – მრუდით გამოსახავს [1, გვ. 456-464, 479-480], [4, გვ. 4-50], [6, გვ. 125-149], [7, გვ. 35-46], რომელიც კოორდინატთა სისტემის დადებით მეოთხედში ზედა მარცხენა კუთხიდან ქვედა მარჯვენა კუთხისაკენ ეშვება და თანდათანობით ნულს უახლოვდება (გრაფიკი 1).

ავტორთა მეორე ნაწილს (გ. მენქიუ, ე. დოლანი, დ. ლინდსეი, უ. ბომლი, ა. ბლანდერი, ს. ფიშერი, რ. დობრუში, რ. შმალენზი და სხვ.) აღნიშნული დამოკიდებულების შესატყვისად დადამავალი წრფე მიაჩნია [5, გვ. 67-74], [3, გვ. 31-58], [2, გვ. 97-145], [8, გვ. 122-154]. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ქართველ ავტორთა ნაწილისთვისაც, რაც პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია რეალურ პროცესებთან შეუსაბამობის თვალსაზრისით. ქვემოთ ვნახავთ, რომ ასევე წრფივი ფორმით განიხილება მიწოდების დამოკიდებულება ფასთან, რაც არა მარტო პრობლემის გაღრმავებულ თეორიულ შესწავლას ხდის შეუძლებელს, არამედ გამოყენებითი ხასიათის ამოცანების პრაქტიკასთან შეუსაბამო

გადაწყვეტამდე მივყავართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ მოთხოვნა-მიწოდების მრუდები და ფუნქციები რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ფორმით გამოგვესახა და შესაბამისად, ფასწარმოქმნის პრობლემა ამ თვალსაზრისით გამოგვეკვლია.



ბრაზიკი 2. მოთხოვნის მრუდი ცვლილების საზღვრებით

ფასსა და მოთხოვნის სიდიდეს შორის წრფივ დამოკიდებულებას თუნდაც ის გარემოება გამორიცხავს, რომ იგი ფასის განსაზღვრული მნიშვნელობის შემდეგ უარყოფითი მოთხოვნის არსებობას უშვებს, რაც არარეალურია. საანალიზო მოვლენებს შორის მრუდხაზოვანი დამოკიდებულებები კი მათი განმსაზღვრელი ობიექტური ფაქტორებისა და ეკონომიკური კანონზომიერების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს. ამასთან, იმის გამო, რომ მოთხოვნა ნატურალურ ერთეულებშია გამოსახული, ფასთან ჩამოყალიბებულ მის არა-წრფივ მიზეზშედეგობრივ კავშირს **ნატურალური მოთხოვნის კანონი** ვუწოდოთ.

ფასისა და მოთხოვნის ცვლილების საზღვრებისა და შესაბამისი ასიმპტოტების გათვალისწინებით მოთხოვნის მრუდი

უკუპროპორციული დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკით (გრაფიკი 2) და ადეკვატური მოდიფიცირებული ჰიპერბოლას ფუნქციით გამოიხატება:

$$Q_D = Q_{\min} + \frac{a}{\varphi\varphi - \varphi\varphi_{\min}} \quad (1)$$

სადაც Q_D არის მოთხოვნის სიდიდე; Q_{\min} – მინიმალური მოთხოვნა; φ – ფასი; a – მუდმივი კოეფიციენტი; $\varphi\varphi_{\min}$ – წარმოების ხარჯებით განპირობებული მინიმალური ფასი.

მოლიან პროცესს, რომელშიც ფასის ცვლილების დასაშვებ საზღვრებში მოთხოვნა მაქსიმალური მნიშვნელობიდან მინიმუმამდე მცირდება, მოთხოვნის სრული ციკლი ვუწოდოთ.

ნატურალურ ერთეულებში გამოხატული მოთხოვნის დაზუსტებული ფუნქცია შესაძლებელს ხდის, ღირებულებებითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნა მისი დინამიკის სრულ ციკლში გამოისახოს. ამისათვის (1) გამოსახულების ორივე მხარე ფასზე გავამრავლოთ:

$$Q_{\varphi d} = \varphi\varphi \cdot Q_D = \varphi \cdot \varphi \left(Q_{\min} + \frac{a}{\varphi\varphi - \varphi\varphi_{\min}} \right) = \varphi\varphi \cdot Q_D + \frac{a \cdot \varphi\varphi}{\varphi\varphi - \varphi\varphi_{\min}} \quad (2)$$


სადაც $Q_{\phi d}$ არის ღირებულებითი მოთხოვნა ϕ ფასის პირობებში.

ახალი ფუნქცია ასახავს მოცემული საქონლის მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებს, რაც, თავის მხრივ, მათ მსყიდველობით უნარსაც განსაზღვრავს. (2) გამოსახულებიდან ჩანს, რომ ფასის ცვლილება სამომხმარებლო ხარჯებზე წინააღმდეგობრივ გავლენას ახდენს ზრდისა და შემცირების მიმართულებით. ეს კი საანალიზო ფუნქციის ექსტრემალური მნიშვნელობის არსებობის ვარაუდის საფუძველს ქმნის. საკითხის გადასაწყვეტად გამოვითვალოთ მისი პირველი რიგის წარმოებული და მიღებული შედეგი ნულს გავუტოლოთ:

$$Q'_{\phi d} = Q_{\min} - \frac{a \cdot \phi_{\min}}{(\phi - \phi_{\min})^2} = 0$$

განტოლების ამოხსნით მიიღება, რომ ფასის კრიტიკული მნიშვნელობა, რომლისთვისაც სამომხმარებლო ხარჯები ექსტრემალურია, განსაზღვრულია ფორმულით:

$$\phi^* = \phi_{\min} + \sqrt{\frac{a \cdot \phi_{\min}}{Q_{\min}}} \quad (3)$$



ბრაზიკი 3. სამომხმარებლო ხარჯების დინამიკა ერთი სამომხმარებლო ციკლის განმავლობაში

ფასის კრიტიკული დონისათვის სამომხმარებლო ხარჯები მინიმალურია, რაც ფუნქციის მეორე რიგის წარმოებულის დადებითი ნიშნით დასტურდება:

$$Q''_{\phi d} = \frac{2a \cdot \phi_{\min}}{(\phi - \phi_{\min})^3} > 0$$

მესამე გრაფიკის შესაბამისად, რომელიც ფასთან ღირებულებითი მოთხოვნის (სამომხმარებლო ხარჯების) დამოკიდებულებას ასახავს, ფასის ზრდის პირობებში სამომხმარებლო ხარჯები მცირდება, φ^* მნიშვნელობისათვის აღწევს მინიმუმს, ხოლო შემდეგ მაქსიმალურ დონემდე იზრდება. ამრიგად, სახეზე გვაქვს მოთხოვნის კანონის ახალი, ტრადიციულისაგან განსხვავებული ფორმა, რასაც შეუძლია მასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხზე არსებული შეხედულება რადიკალურად შეცვალოს. აღნიშნული დამოკიდებულება ღირებულებითი მოთხოვნის კანონს შეესაბამება.

ფასობრივი ელასტიკურობის პირობებში ღირებულებითი მოთხოვნის კანონი ასახავს მიზეზშედეგობრივ და შესაბამის ფუნქციურ დამოკიდებულებას საქონლის ფასსა და ღირებულებითი ფორმით გამოხატულ მოთხოვნას შორის, რომლის თანახმად არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები და, შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნა მინიმალურია.

ამ კანონის ცოდნა მიმწოდებელ ფირმებს საშუალებას აძლევთ, ასეთ კრიტიკულ ფასებში თავი შეიკავონ საქონლის რეალიზაციისაგან.

5. მიწოდების კანონის კრიტიკული ანალიზი და ღირებულებითი ფორმა.


მიწოდების კანონის ტრადიციული გაგებით საქონლის ფასსა და ნატურალური მიწოდების სიდიდეს შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს – ფასის მატება საქონლის მიწოდებას ზრდის.

სწავლულ-ეკონომისტთა ნაწილი, სავსებით სამართლიანად, დამოკიდებულებას ამ ორ სიდიდეს შორის არაწრფივი ფორმით – აღმავალი მრუდით გამოსახავს (გრაფიკი 4), რომლის შესაბამისად, ფასის ზრდა მიწოდების შენელებული ტემპით გადიდებას იწვევს. იმის გამო, რომ საანალიზო დამოკიდებულებაში მიწოდება ნატურალურ ერთეულებშია გამოხატული, მას **ნატურალური მიწოდების კანონი** ვუწოდოთ. ასეთ დამოკიდებულებას ხარისხობრივი ფუნქცია შეესაბამება:


$$Q_5 = a \cdot \varphi \varphi^b \quad (b < 1) \quad (4)$$

სადაც Q_5 არის **საქონლის** მიწოდების სიდიდე ნატურალურ ერთეულებში; a, b – მუდმივი კოეფიციენტები; φ – ფასი.

ბრაზიკი 4. მიწოდების ტრადიციული მრუდი



ბრაზიკი 5. მიწოდების მრუდი (ფირმის საწარმოო სიმძლავრით)



მიწოდებისა და ფასის ცვლილების საზღვრების და შესაბამისი ასიმპტოტების გათვალისწინებით მიწოდების კანონის ამსახველი მრუდი მეხუთე გრაფიკზეა წარმოდგენილი. ავტორის გამოკვლევით, ასეთ დამოკიდებულებას გამოხატავს მოდიფიცირებული ექსპონენციალური ფუნქცია ზედა პორიზონტალური და მარცხენა ვერტიკალური ასიმპტოტებით:

$$Q_s = Q_{\max} \left(1 - e^{-a(\varphi - \varphi_{\min})} \right) = Q_{\max} \left(1 - \frac{1}{e^{a(\varphi - \varphi_{\min})}} \right) \quad (5)$$

სადაც, Q_s არის საქონლის მიწოდება ნატურალურ ერთეულებში; Q_{\max} – ფირმის საწარმოო სიმძლავრე; φ – ფასი; φ_{\min} – ფასის მინიმალური საზღვარი; a – მუდმივი კოეფიციენტი; e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე.

ნატურალური მიწოდების დაზუსტებული (5) ფუნქციის საფუძველზე გამოითვლება მისი ღირებულებითი ოდენობა ფუნქციის მნიშვნელობის ფასზე გამრავლების გზით:

$$Q_{\varphi} = \varphi \cdot Q_s = \varphi \cdot Q_{\max} \cdot \left(1 - \frac{1}{e^{a(\varphi - \varphi_{\min})}} \right) \quad (6)$$

სადაც Q_{φ} არის მიწოდების ღირებულებითი ოდენობა φ ფასის პირობებში.

ღირებულებით მახვენებელში გამოხატულ მიწოდებასთან ერთად, (6) ფუნქცია განსაზღვრავს მწარმოებელი ფირმის პოტენციურ საწარმოო შემოსავალს. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოცემულ შემთხვევაშიც არგუმენტის ზრდა წინააღმდეგობრივ გავლენას ახდენს შედეგზე – ერთი მხრივ ზრდის, ხოლო მეორე მხრივ ამცირებს მას. ეს საფუძველს გვაძლევს დავუშვათ, რომ აქაც არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც ფირმის საწარმოო შემოსავალი ექსტრემალურია. ეს უკანასკნელი ფასის იმ დონისათვის მიიღწევა, რომლისთვისაც ფუნქციის პირველი რიგის წარმოებული ნულს უტოლდება:

$$Q'_{\phi S} = Q_{\max} \cdot (1 - a\phi) \cdot [1 - e^{-a(\phi - \phi_{\min})}] = 0$$

განტოლების ამოხსნით მიიღება, რომ ფასის საძიებელი მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით გამოითვლება:


$$\phi^* = \frac{1}{a}$$

იმის გამო, რომ საანალიზო ფუნქციის მეორე რიგის წარმოებული ფასის კრიტიკული დონისათვის უარყოფითია:

$$Q''_{\phi S} = -a \cdot Q_{\max} [(1 - a\phi) \cdot e^{-a(\phi - \phi_{\min})} + (1 - e^{-a(\phi - \phi_{\min})})] = -a \cdot Q_{\max} (1 - e^{-a(\phi - \phi_{\min})}) < 0$$

მიმწოდებლის საწარმოო შემოსავალი მაქსიმალურ მნიშვნელობას იღებს.

ე. ი. მტკიცდება, რომ: არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც მიმწოდებელი ფირმის პოტენციური საწარმოო შემოსავალი მაქსიმუმს აღწევს. კერძოდ, ფასის ზრდის პირობებში შემოსავალი ჯერ იმატებს, აღწევს მაქსიმალურ დონეს, შემდეგ იკლებს და ფასის უდიდეს ზღვართან კვლავ მინიმალური ხდება (გრაფიკი 6). ამასთან, იმის გამო, რომ მიწოდება ფასის ცვლილებაზე მოთხოვნასთან შედარებით გვიან რეაგირებს, ფასის კრიტიკული დონე სამომხმარებლო ხარჯებისათვის უფრო ადრე დგება, ვიდრე საწარმოო შემოსავლებისათვის.



ბრაზიკი 6. ფირმის საწარმოო შემოსავლის დინამიკა მიწოდების ერთი საწარმოო-საინვანტიციო ციკლის განმავლობაში

შესწავლილი დამოკიდებულება საანალიზო მოვლენებს შორის ღირებულებებითი მიწოდების კანონს შეადგენს.

ფასობრივი ელასტიკურობის პირობებში ღირებულებებითი მიწოდების კანონი ასახავს მიზეზშედეგობრივ და შესაბამის ფუნქციურ დამოკიდებულებას საქონლის ფასსა და ღირებულებებითი ფორმით გამოხატულ მიწოდებას შორის, რომლის თანახმად არსებობს ფასის ისეთი კრიტიკული დონე, რომლისთვისაც მიმწოდებელი ფირმების პოტენციური საწარმოო შემოსავლები მაქსიმალურია.

ამდენად, მიმწოდებელ ფირმებში ფასის კრიტიკული დონის მიდამოებში კრიზისული სიტუაცია ყალიბდება სხვა თანაბარ პირობებში, როდესაც საქონლის წარმოებისა და ბაზარზე მიწოდების პოტენციალი მაქსიმალურია, მიედევლთა გადახდისუნარიანი მოთხოვნა მინიმუმამდე ეცემა. ამ კანონზომიერების ცოდნა ფირმებს შესაძლებლობას უქმნით, შეიმუშაონ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლითაც წარმოშობილ საბაზრო ხაფანგს თავს დაადწვევენ.

6. სამომხმარებლო ხარჯებისა და ფირმის შემოსავლის ანალიზის შედეგები.

ღირებულებითი მოთხოვნა-მიწოდების და, შესაბამისად, სამომხმარებლო ხარჯებისა და საწარმოო შემოსავლების ამსახველი ფუნქციების მოდელირება შემდეგი პრინციპული მნიშვნელობის დასკვნების გამოტანის უფლებას იძლევა: **პირველი**, სამომხმარებლო ხარჯებისა და საწარმოო შემოსავლების ამსახველ ფუნქციებს ექსტრემუმის თვისება ახასიათებს, შესაბამისი მრუდები გრაფიკზე საპირისპირო მიმართულებით არის განლაგებული და ერთმანეთს კვეთენ; **მეორე**, იმის გამო, რომ საანალიზო ფუნქციები ექსტრემუმის თვისებით ხასიათდებიან, შესაძლებელი ხდება ბიზნესის ისეთი ოპტიმალური ფასობრივი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალური შემოსავლის მიღებას უზრუნველყოფს, რაც ტრადიციული მეთოდებით ვერ მოხერხდებოდა.

ნეოკლასიკური კონცეფციისაგან განსხვავებული ეს შედეგები რადიკალურად ცვლის მოთხოვნა-მიწოდების შესახებ დამკვიდრებულ შეხედულებებს. ქვემოთ შესაძლებლობა გაქვთ გაეცნოთ ბაზრის წონასწორობისა და ფასწარმოქმნის ალტერნატიულ კონცეფციას, რომელსაც ავტორისეული დასკვნები უდევს საფუძვლად.

7. სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობა და ფასწარმოქმნა.

ბაზრის ფინანსური წონასწორობის გამოკვლევა შესაძლებელია სამომხმარებლო ხარჯების (ღირებულებითი მოთხოვნის) და მიმწოდებელი ფირმების საწარმოო შემოსავლების (ღირებულებითი მიწოდების) ამსახველი ფუნქციების შესაბამისი მრუდების სინთეზური განხილვით. ერთმანეთზე დადებული მე-3 და მე-6 გრაფიკებზე გამოსახული მრუდებისა და შესაბამისი გაერთიანებული გრაფიკის ანალიზი (გრაფიკი 7) შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

ლადი სახსრების სიჭარბე და საქონლის დეფიციტი, მეორე ფაზაში – ~~წინა წინა~~ მონაკვეთში, ფულადი სახსრების დეფიციტი და, ამდენად, საქონლის სიჭარბე წარმოიშობა, ხოლო მესამე ფაზაში – ~~წინა, წინა~~ მონაკვეთში, კვლავ ფულის სიჭარბე და საქონლის ნაკლებობა იჩენს თავს. ფირმის შიდა საფინანსო-ეკონომიკური წონასწორობის თვალსაზრისით სამივეგან ვითარება საკმაოდ რთულია. პირველ და მესამე ფაზებში, ბაზარზე ფულის სიჭარბისა და საქონლის დეფიციტის პირობებში მიწოდების შეზღუდულობის გამო, ფირმა საბაზრო მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და პოტენციურ შემოსავალს კარგავს. ფულის დეფიციტისა და საქონლის სიჭარბის ფაზაში (მეორე ფაზა) საქონლის მიწოდების პოტენციური მაქსიმუმს აღწევს, მაგრამ ამავე პირობებში მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარი მინიმალურია, რაც საქონლის რეალიზაციას უკიდურესად აფერხებს. ამ თვალსაზრისით ვითარება გაცილებით უკეთესია პირველ და მესამე ფაზებში, თუმცა პირველ ფაზაში, სამომხმარებლო ხარჯების კლების გამო, გაყიდვების მოცულობა სულ უფრო მცირდება, ხოლო ბოლო ფაზაში წარმოებრივ შესაძლებლობათა ამოწურვა მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას შეუძლებელს ხდის;

მეოთხე. საქონლის რეალიზაციისა და ფინანსური პრობლემები სრულად მხოლოდ ღირებულებითი მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ცენტრებში დაიძლევა, სადაც, თუნდაც დროებით, სტაბილური საბაზრო ფასები ყალიბდება. წონასწორობის პირველ ცენტრში თავს იჩენს ფინანსური წონასწორობის შენარჩუნების პრობლემა, რადგან მისი დარღვევა ჭარბწარმოების კრიზისში შესვლას გამოიწვევს. მეორე ცენტრის რღვევის შემდგომი ვითარება ასახავს ჭარბწარმოების კრიზისიდან გამოსული ფირმების საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობას, სადაც ფირმებს სასურველი დეფიციტური ბაზარი ელოდებოდა და მაღალი შემოსავლების მიღების რეალური შესაძლებლობა ექმნებათ;

მეხუთე. არც ერთ წონასწორობას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ხანგრძლივად შენარჩუნება არ უწყერია. ბაზრის სტატიკური საფინანსო წონასწორობის შენარჩუნებას შეუძლებელს ხდის, ერთი მხრივ, დინამიური მოთხოვნა-მიწოდება, ხოლო მეორე მხრივ სხვა ფაქტორები, რომლებიც ფასებისა და ღირებულებითი მოთხოვნა-მიწოდების ზრდას განაპირობებს. მათ შორის: ფასების ავტონომიური მატება მოთხოვნა-მიწოდებისაგან დამოუკიდებლად, უპირველესად მოსახლეობის შემოსავლების გადიდებისა და ზომიერი ინფლაციის შედეგად; ფირმების სწრაფვა ზემოგებისაკენ, რომლის მიღწევას მიწოდების გადიდებით ცდილობენ; კონკურენცია და სწრაფად განვითარებადი ფირმების აგრესიული შეტევითი სტრატეგია, რომლებიც მიწოდების გადიდებით ბაზრის დაპყრობას ესწრაფვიან; ხანგრძლივი გამოყენების საქონლის მწარმოებელ დარგებში წონასწორობის პირველ ცენტრს არღვევს და ჭარბწარმოების კრიზისის გამომწვევ ფაქტორებს ემატება ფირმებისა და მომხმარებლების რეალობას მოკლებული გადაჭარბებული ოპტიმიზმი, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის პირობებში ყალიბდება. შემოსავლების ზრდით დაიმედებული ნაკლებად შეძლებული მოსახლეობა კრედიტით მასობრივად ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, რაც მოთხოვნას ზრდის. ასევე, მოსახლეობის შეძლებული ფენა ანაბრების ხარჯზე უფრო მეტი ოდენობით იძენს ძვირადღირებულ საქონელს, რაც ფასებისა და მოთხოვნის გადიდების დამატებით ფაქტორად იქცევა. საყოვეთაო აუიოტაჟი ბიზნესს მცდარ ილუზიას უქმნის მიწოდების გაფართოების მიზანშეწონილობის შესახებ, რასაც უპირატესად დიდი მოცულობის კრედიტის გამოყენებითა და სხვა საინვესტიციო რესურსების მოზიდვით ახორციელებს. ამ ვითარებაში თავს იჩენს საქონლის

მზარდი სიჭარბე და მისი გარდაუვალი შედეგი – ჭარბწარმოების კრიზისი, რაც მათივე მიზეზით სულ უფრო ღრმავდება;

მეექვსე, იმის გამო, რომ ფინანსური წონასწორობის მეორე ცენტრის მარჯვნივ ღირებულებითი მოთხოვნა სულ უფრო აჭარბებს ღირებულებით მიწოდებას – ბაზარზე თავს იჩენს ფულადი სახსრების სიჭარბე და, ამდენად, ჩნდება შემოსავლების გადიდების რეალური პოტენციალი. ეს გარემოება ბიზნესს განაწყოებს, წარმოების მკვეთრი გაფართოების გზით გაზარდოს მიწოდება, რაც საფუძველს ამზადებს ეკონომიკური ზრდის მორიგი ტალღის დასაწყებად და მოთხოვნა-მიწოდების ახალ საწარმოო-სამომხმარებლო ციკლზე გადასასვლელად. **რომ არ არსებულებოდა საბაზრო წონასწორობის რღვევის ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები და მათი გარდაუვალი შედეგები, ეკონომიკურ ზრდას ადგილი არ ექნებოდა.**

საბაზრო ფასწარმოქმნისა და წონასწორობის ნეოკლასიკური და შემოთავაზებული ალტერნატიული კონცეფციის შედარებით ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ზოგადია და ასახავს ბაზარზე მიმდინარე როგორც საქონლის რეალიზაციის, ისე დინამიურ ფინანსურ პროცესებს. შესაბამისად, ნეოკლასიკური კონცეფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი კერძო შემთხვევა, რომელიც ბაზრის სტატიკური წონასწორობის მხოლოდ დროებითი შენარჩუნების მექანიზმს ხსნის. გარდა ამისა, ნეოკლასიკური კონცეფცია საბაზრო წონასწორობის ფორმირებას წარმოგვიდგენს მხოლოდ საქონლის რეალიზაციისა და მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ხოლო შემოთავაზებული კონცეფცია, ამასთან ერთად გვიჩვენებს, თუ როგორ ყალიბდება ფინანსური საბაზრო წონასწორობა მყიდველთა სამომხმარებლო ხარჯებსა და ფირმების საწარმოო შემოსავლებს შორის.

მიღებულ შედეგებს თეორიულთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია, რადგან ისინი ჯერ კიდევ უცნობ ფუნდამენტურ კანონზომიერებებს აღწერენ. ეს კი შესაძლებელს ხდის, უფრო საფუძვლიანად იქნეს ახსნილი მიკროეკონომიკაში მიმდინარე ურთულესი პროცესები, რაც, თავის მხრივ, პირობებს ამზადებს, შემუშავდეს ბიზნესის სასარგებლოდ გამოყენების ხელსაყრელი სიტუაციები და კრიზისული მოვლენების მართვის ეფექტური მეთოდები. გარდა ამისა, შესაძლოა არსებით გადასინჯვას დაექვემდებაროს მაკროეკონომიკაში ერთიანი სასაქონლო ბაზრის წონასწორობის არსებული მოდელიც, რადგან მასში აგრეგირებული მოთხოვნა-მიწოდება ფულადი ფორმითაა მოცემული და, ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ წონასწორობის არა ერთი, არამედ ორი ან მეტი ცენტრიც კი არსებობდეს.

მიღებული კვლევის შედეგები სამართლიანია მხოლოდ ფასის მიმართ ელასტიკური მოთხოვნა-მიწოდებისათვის. მომდევნო ეტაპზე ამ გარემოებასთან ერთად გათვალისწინებული იქნება ნეიტრალური ელასტიკურობისა და არაელასტიკური მოთხოვნა-მიწოდების სიტუაციებიც მათი სხვადასხვა კომბინაციის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბარი, პოლიტიკური ეკონომია, ტომი I, თარგმანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1995, გვ. 456-464, 479-480.
2. უ. ბომოდი, ა. ბლაინდერი, ეკონომიკის: პრინციპები და პოლიტიკა, ტომი I, თბილისი, 2006, გვ. 97-145.
3. ე. დოლანი, დ. ლინდსეი, ბაზარი: მიკროეკონომიკური მოდელი, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1996, გვ. 31-58.

4. კ. მაკონელი, ს. ბრიუ, ეკონომიკის, ნაწილი III, თბილისი, 1997, გვ. 4-50.
5. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2008, გვ. 67-74.
6. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა ტ. I, თბილისი, 2000, გვ. 125-149.
7. დ. სლომანი, ეკონომიკის საფუძვლები, თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2004, გვ. 35-46.
8. ს. ფიშერი, რ. დობრუში, რ. შმალენზი. ეკონომიკა, ტომი I, თბილისი, 1997, გვ. 122-154.

Ilia (Aziko) Sisvadze

CONCEPTUAL PROBLEMS OF FINANCIAL EQUILIBRIUM OF COMMODITY MARKET AND PRICING

Annotation

In the article on the basis of new paradigms we have proven that the curve of price elasticity of demand has a concave shape and thus it is characterized by the minima, but the corresponding function represents the dependence of consumption expenditures of buyers to a price. Under these conditions the curve of price elasticity of supply is convex by the maxima, but its corresponding function determines the dependence of production incomes of firms to a price. Within the production-consumption cycle the curves of demand- supply intersect twice, because of which two centers of financial equilibrium and two market prices in different time are formed.

The results of the research make the possibility to conceptualize the problem of pricing in a new way and on this basis to elaborate the new effective methods of marketing management, which will ensure the revelation of additional reserves of increasing the production incomes of a business.

ლილა ლულუშაური

ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელი კომერციულ ბანკებში

საბანკო სისტემის მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის საკრედიტო სისტემის ბევრი რთული საკითხის დაძლევა შეიძლება, თუ გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტური დაგეგმვის თანამედროვე მოდელები კომერციულ ბანკებში [2], [3].

ბიუჯეტური დაგეგმვის სისტემა, ანუ ხარჯებისა და ცალკეული ეკონომიკური ოპერაციებისა და ოპერატიული საქმიანობის პროცესში საქმიანობის სხვადასხვა სფეროებიდან ფულადი საშუალებების შემოსულობების დეტალიზებული ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების კონტროლის პროცესი თანამედროვე ბანკის მართვის უაღრესად წარმატებულ და ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მათი შესწავლა-გაანალიზება უაღრესად აქტუალურია.

განვიხილოთ ბიუჯეტური დაგეგმვის ორგანიზაციის თანამედროვე მოდელები – სატრანსფერტო ფასების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის ტრადიციული მოდელი და პირდაპირი დანახარჯებით ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელი (Direct Costing).

ბიუჯეტური დაგეგმვის ორგანიზაციის ტრადიციული მოდელი ყველაზე გავრცელებულია და ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ა) ქვეგანყოფილების

ვილებების დაყოფა დანახარჯების ცენტრებად და მოგების ცენტრებად, და ბ) შიდა სატრანსფერტო ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენება.

ბიუჯეტური დაგეგმვის ორგანიზაციის ტრადიციული მოდელის აგების ტექნოლოგია შემდეგში მდგომარეობს: ორგანიზაციაში გამოიყოფა ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრები, ანუ ბიუჯეტური ერთეულები (სტრუქტურული ქვეგანყოფილებები, ცალკეული პროექტები ან საქმიანობის მიმართულებები); შემდეგ, ბიუჯეტური ერთეულების მიერ რეალური შემოსავლების არსებობიდან გამომდინარე, გამოიყოფა *დანახარჯების ცენტრი და მოგების ცენტრი*. ბანკში მოგების ცენტრი შეიძლება იყოს ქვეგანყოფილება, რომელიც პასუხს აგებს რესურსების განთავსებაზე (მაგ., საკრედიტო განყოფილება, ფასიანი ქაღალდების განყოფილება და ა.შ., ანუ ე.წ. *განთავსების ცენტრები*) და, აგრეთვე, ის ქვეგანყოფილებაც, რომელსაც რესურსების განთავსებასთან კავშირი არ აქვს, მაგრამ აქვს შემოსავლები (მაგ., საოპერაციო განყოფილება, საერთაშორისო ანგარიშსწორებათა განყოფილება, ინდივიდუალური სეიფების განყოფილება და ა. შ., ანუ ე. წ. *მომსახურების ცენტრები*).

აღნიშნული სქემის მიხედვით დანახარჯების ცენტრებს წარმოადგენს მომსახურების უზრუნველყოფი სამსახურები და ქვეგანყოფილებები (მაგ., კადრების განყოფილება, სამეურნეო და სატრანსპორტო სამსახურები, ბანკის ავტომატიზებულ სისტემათა და ტექნოლოგიების ქვეგანყოფილებები, ბუღალტერია, იურიდიული განყოფილება, დაცვის სამსახური, მარკეტინგის განყოფილება, კანცელარია, საკასო განყოფილება (თუმცა ყოველთვის არა), აგრეთვე ბანკის ხელმძღვანელობაც (ანუ *უზრუნველყოფის ცენტრები*), რომლებიც, მართალია შემოსავლებს არ იღებენ, მაგრამ პასუხს აგებენ რესურსების მოზიდვაზე. მოზიდვის ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, სადეპოზიტო განყოფილებაა, გარდა ამისა, მასში შედის ის ქვეგანყოფილებებიც, რომლებიც ამავე დროს მომსახურების ცენტრის ფუნქციასაც ასრულებენ (მაგ., საოპერაციო განყოფილება ტრადიციულ საორგანიზაციო სტრუქტურაში ორმაგ ფუნქციას ასრულებს: იგი, ერთი მხრივ, ემსახურება კლიენტებს და ამით უზრუნველყოფს საკუთარ შემოსავლებს საკასო-საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან და, მეორე მხრივ, იმავედროულად წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ქვეგანყოფილებას, რომელიც მოიხიდავს ყველაზე იაფ რესურსებს, თუმცა თვითონ მათ არ განათავსებს).

ბიუჯეტური დაგეგმვის ორგანიზაციის აღნიშნული სქემა უზრუნველყოფს ე.წ. *შიდა სატრანსფერტო ფასწარმოქმნის მექანიზმის* გამოყენებას, რაც შემდეგში მდგომარეობს: მოგების ცენტრების რეალური ხარჯებისა და შემოსავლების გარდა, ანგარიშებში აისახება შიდა ე.წ. *ვირტუალური ხარჯები და შემოსავლები*, რომლებიც წარმოადგენენ ქვეგანყოფილებების ურთიერთ-კავშირების (სახელდობრ, ფულადი საშუალებების ყიდვა-გაყიდვისა და ურთიერთმომსახურების პროცესების) შედეგს.

მოზიდვის ცენტრები სპეციალური მეთოდიკის საფუძველზე განსაზღვრავენ რესურსების ფასს, რომელსაც ანაზღაურებენ (ვირტუალურად) განთავსების ცენტრები. ბუნებრივია, აღნიშნული ფასები რესურსების მოზიდვის ბანკთაშორისი ბაზრის დაახლოებით ანალოგიური ფასების ტოლი უნდა იყოს, არც მეტი და არც ნაკლები, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოზიდვის ცენტრებისთვის უფრო მომგებიანი იქნება არა საკუთარი ბანკის თავისუფალი რესურსების, არამედ გარე საშუალებების გამოყენება, რაც უმეტესწილად მიუწვედომელია.

დაახლოებით ანალოგიური სქემა ვრცელდება ურთიერთმომსახურების ანაზღაურებაზეც. ასე მაგ., ერთი ქვეგანყოფილების (მოგების ცენტრის) თანამშრომელთა მიერ სხვა მოგების ცენტრის კოლეგებისთვის გაწეული

კონსულტაციები უნდა ანაზღაურდეს, ვინაიდან თუ ეს სამუშაოები მნიშვნელოვან დროს საჭიროებს, მაშინ იგი დაკავშირებულია დანახარჯებთან, რომელიც საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების პირობებში მომხმარებლის მიერ ამა თუ იმ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ უნდა იქნეს კომპენსირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების შიდა ღირებულების განსაზღვრა საბანკო პრაქტიკაში საკმაოდ განსხვავებული და ინდივიდუალური პროცესია, ვინაიდან დამოკიდებულია არა მარტო განსახორციელებელი ოპერაციის სახეობაზე, სტრუქტურასა და თავისებურებებზე, არამედ მოზიდული რესურსების ტიპზე, ქვეგანყოფილებების ურთიერთკავშირების ტექნოლოგიასა და საშუალებათა ავტომატიზაციის შესაძლებლობებზე. თუმცა ხანდახან იყენებენ შედარებით მარტივ სქემასაც, რომლის მიხედვითაც რესურსების შიდა ღირებულება ყოველთვის საბაზრო ღირებულების ტოლია (*დაფინანსების ალტერნატიული წყაროების პრინციპი*).

რესურსების შიდა ღირებულების განსაზღვრის შემდეგ ხორციელდება დანახარჯების ცენტრების ხარჯების გადანაწილება მოგების ცენტრებს შორის, რომელთათვისაც აღნიშნული ხარჯები *საერთო საორგანიზაციო პირობით-მუდმივ დანახარჯებს* წარმოადგენს. ისინი, აგრეთვე, შეიძლება განაწილდეს ინდივიდუალური მეთოდითაც, მაგ.: კადრების განყოფილებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამადლების ხარჯები შეიძლება გადანაწილდეს მოგების ცენტრში თანამშრომელთა რაოდენობის პროპორციულად; ავტომატიზაციის ხარჯები – ქვეგანყოფილებაში არსებული კომპიუტერების პროპორციულად; ხოლო კანცელარიის დანახარჯები – თანაბრად მოგების ყველა ცენტრს შორის.

ამ მოდელის ფინანსური შედეგი ფასდება, როგორც წესი, თითოეული მოგების ცენტრის მიხედვით და გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფინანსური შედეგი (მოგება)} = \text{გარე რეალური შემოსავლები} + \text{შიდა სატრანსფერტო შემოსავლები} - \text{საკუთარი პირდაპირი ხარჯები} - \text{საერთო საორგანიზაციო ხარჯები} - \text{შიდა სატრანსფერტო ხარჯები.}$$

ამასთან, ყველა დანახარჯი, სახელდობრ, საკუთარი პირდაპირი ხარჯები, დამატებული საერთო საორგანიზაციო და შიდა სატრანსფერტო ხარჯები, ერთობლიობაში წარმოადგენს საბიუჯეტო ერთეულის თვითანაზღაურების სიდიდეს. ამ მნიშვნელობაზე უფრო დიდი შემოსავლების მიღება ნიშნავს ქვეგანყოფის რენტაბელობას, რომელიც გამოითვლება, როგორც პროცენტი დანახარჯებიდან.

რაც შეეხება *პირდაპირი დანახარჯებით ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელს (Direct Costing)*, იგი აიგება შემდეგი ტექნოლოგიით: ქვეგანყოფილებები იყოფა მოგებისა და დანახარჯების ცენტრებად იმავე პრინციპით, როგორც ბიუჯეტური დაგეგმვის ორგანიზაციის ტრადიციულ მოდელში, იმ განსხვავებით, რომ მოგების ცენტრები მხოლოდ ის ქვეგანყოფილებები ხდებიან, რომლებიც დამოუკიდებლად იღებენ რეალურ შემოსავლებს, სხვა დანარჩენი ბიუჯეტური ერთეულები დანახარჯების ცენტრს მიეკუთვნება. სახელდობრ, თუ რესურსების მოზიდვის ცენტრი, მაგალითად, დეპოზიტების განყოფილება მოგებას ვერ მიიღებს, მაშინ იგი მოგების ცენტრიდან დანახარჯების ცენტრის კატეგორიაში გადადის.

უზრუნველყოფის ცენტრების, ანუ სხვადასხვა დამხმარე სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები, ერთობლიობაში საერთო საორგანიზაციო დანახარჯებს შეადგენს. მაგრამ, წინა სქემისგან განსხვავებით,

დანახარჯები მოგების ცენტრებს შორის არ ნაწილდება. მათი მართვა და ოპტიმიზაცია ბანკის ადმინისტრაციის ან უმაღლესი ხელმძღვანელობის პრეროგატივას წარმოადგენს. ხშირად პრაქტიკაში ამ მიზნისთვის ბანკის მმართველობიდან გამოიყოფა კურატორი, რომლის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოფის ცენტრების საქმიანობის მართვა და კონტროლი, ანუ მინიმალური დანახარჯებით დამხმარე სამსახურების საქმიანობის მაქსიმალური ხარისხი.

ბიუჯეტური ერთეულები, რომლებიც რესურსების მოზიდვაში მონაწილეობენ, განსაზღვრავენ რესურსების მოზიდვის თვითღირებულებას (საპროცენტო ხარჯებს, პერსონალის შრომის ანაზღაურებას და ა. შ.). ბიუჯეტის ფორმირებისას ეს დანახარჯები მთლიანად გადადის განთავსების ცენტრების დანახარჯებში.

რესურსების მოზიდვის პირდაპირი დანახარჯების განაწილების აღნიშნული საორგანიზაციო პროცესი არ გამორიცხავს სხვადასხვა მოდელების გამოყენებას, რომლებიც წინა მოდელთან შედარებით გაცილებით უფრო მარტივია, ვინაიდან არაპირდაპირი დანახარჯები მხედველობაში არ მიიღება. ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე მარტივი *მოდელია რესურსების მოზიდვის თვითღირებულების საშუალოშეწონილი მაჩვენებლის განსაზღვრა*. კონკრეტული რესურსის მოზიდვის თვითღირებულება, რომელიც განთავსების ცენტრის დანახარჯებში შედის, ტოლია განთავსების ცენტრის მიერ გამოყენებული რესურსების მოცულობა გამრავლებული მათ საშუალო ღირებულებაზე. რესურსების საშუალო ღირებულების გაანგარიშების დროს ბანკის საკუთარი რესურსები ან კაპიტალი, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება იქნეს (ან არც იქნეს) გათვალისწინებული. ზოგჯერ კაპიტალს განიხილავენ როგორც ფასიან წყაროს, განსაზღვრავენ რა მისი შემოსავლიანობის მინიმალურ დონეს ან, როგორც მარჯას, რომელიც რესურსების ერთეულის საშუალოშეწონილი ფასის მინიმალური დონის დადგენისას გაითვალისწინება. სხვა შემთხვევაში კაპიტალი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უფასო რესურსი ან გაანგარიშებაში საერთოდ არც იქნეს გათვალისწინებული.

ბიუჯეტური დაფინანსების ასეთი სქემის დროს მოგების ცენტრის ფინანსური შედეგი ფასდება, როგორც სხვაობა პირდაპირი რეალური შემოსავლებისა და პირდაპირი რეალური ხარჯებისა, ანუ:

ფინანსური შედეგი (მოგება) = გარე რეალური შემოსავლები – საკუთარი პირდაპირი დანახარჯები – რესურსების მოზიდვის პირდაპირი დანახარჯები (მათი თვითღირებულება).

რესურსების მოზიდვის თვითღირებულების საშუალოშეწონილი მაჩვენებლის განსაზღვრის მოდელის მიხედვით მოგების ცენტრის თვითღირებულება მხოლოდ პირდაპირი დანახარჯების ჯამს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოდელით რენტაბელობის ნორმისა და საერთოდ ფინანსური შედეგის შეფასება არსებითად განსხვავდება შიდა სატრანსფერტო ფასწარმოქმნისგან, სახელდობრ, ფინანსური შედეგი (მოცემული სქემით) ეკონომიკური თვალსაზრისით ფარდობითია, ვინაიდან ყველა დანახარჯის მიხედვით სრულ შეფასებას არ მოიცავს. ამის შედეგად, როგორც წესი, ქვეგანყოფილებებს რენტაბელობის უფრო მაღალი ნორმები უწესდებათ.

განვიხილოთ ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელები მათი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

სატრანსფერტო ფასების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის ტრადიციული მოდელის უპირატესობებია:

- ფინანსური შედეგების შეფასების საკმაოდ მაღალი სიზუსტე;

• მოგების ცენტრების მიერ ახალი შემოსავლების მოძიებისა და არსებულის ზრდის პროცესების სტიმულირება;

• ბიუჯეტურ ერთეულებზე ხელმძღვანელობის მხრიდან ზეწოლის საკმაოდ მოხერხებული საშუალება საერთო-სამეურნეო დანახარჯების რეგულირების გზით, რამდენადაც სქემის სირთულე საშუალებას იძლევა საკმაოდ ლოგიკურად გაიზარდოს ან შემცირდეს კონკრეტული ერთეულების დანახარჯები მათი მოგების რეგულირებისთვის;

• მოდელის კარგი თეორიული და პრაქტიკული დამუშავება, რაც ძირითადად ამ მეთოდოლოგიის მცოდნე და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა საკმაოდ დიდი რაოდენობით არის განპირობებული.

სატრანსფერტო ფასების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის ტრადიციული მოდელის ნაკლოვანებებია:

• არ ახდენს დამხმარე სამსახურებისა და მცირე მოცულობის შემოსავლების მქონე მოგების ცენტრების დანახარჯების შემცირების სტიმულირებას;

• შიდა სატრანსფერტო ფასწარმოქმნა პრაქტიკაში უკიდურესად ნეგატიურად აისახება როგორც ბანკის ქვეგანყოფილებებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობაზე, ასევე მთლიანად კოლექტივში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატზე;

• მოცემული მოდელის აგების სირთულე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს სატრანსფერტო ფასების მექანიზმში, რომლის რეალიზაცია და მართვა საკმაოდ რთულია;

• მოდელის მუდმივი და საკმაოდ შრომატევადი დამატებითი რეგულირების აუცილებლობა;

• მოდელის რეალიზაციის საკმაოდ დიდი დანახარჯები, მათ შორის: თვით მოდელის შემუშავების, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების, ოპერატიული მართვისა და რეგულირების ხარჯები.

პირდაპირი დანახარჯების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელის (Direct Costing) უპირატესობებია:

• საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებს, როგორც დანახარჯების ოპტიმიზაციისა და შემცირების თვითრეგულირების მექანიზმი, როგორც მოგების ყველა ცენტრისთვის, ასევე დანახარჯების ცენტრისთვისაც;

• ვინაიდან მოცემული მოდელი გულისხმობს შიგა „საბაზრო ურთიერთობებს“, კონკურენციასა და მუდმივ ბრძოლას ფინანსებისთვის, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე (ვირტუალურად) არსებობს, ამიტომ კოლექტივში არსებულ ფსიქოლოგიურ კლიმატზე გავლენას არ ახდენს;

• ბიუჯეტური დაგეგმვის მოცემული მოდელის აგების, დანერგვისა და ოპერატიული მართვის შედარებითი სიმარტივე;

• როგორც წესი, მოდელი არ საჭიროებს მუდმივ რეგულირებას, ხოლო პირველადი შემუშავების პროცესი საკმაოდ მარტივია;

• ახდენს მოგების ცენტრების მიერ ახალი შემოსავლების მოძიებისა და არსებულის ზრდის პროცესების სტიმულირებას;

• მოდელი საკმაოდ ეფექტიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მისი რეალიზაციისა და ოპერატიული მართვის დანახარჯები შედარებით ნაკლებია.

პირდაპირი დანახარჯების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელის (Direct Costing) ნაკლოვანებებია:

• ფინანსური შედეგების ფარდობითობა (ეკონომიკური თვალსაზრისით), ვინაიდან იგი არ მოიცავს სრულ შეფასებას ყველა დანახარჯის გათვალისწინებით;

• სქემის გამჭვირვალობა ბანკის ხელმძღვანელობას ქვეგანყოფილებების მანიპულირებისა და ზეწოლის საშუალებას არ აძლევს;

• მოდელის არასაკმარისი თეორიული და პრაქტიკული დამუშავება, რაც ძირითადად ამ მეთოდოლოგიის მცოდნე და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა ნაკლებობით არის განპირობებული.

ამრიგად, ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სატრანსფერტო ფასების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის ტრადიციული მოდელის ძირითადი ნაკლოვანება არის ის, რომ იგი არ ახდენს დამხმარე სამსახურებისა და მცირე მოცულობის შემოსავლების მქონე მოგების ცენტრების დანახარჯების შემცირების სტიმულირებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ: ჯერ ერთი დანახარჯების ცენტრების ყველა დანახარჯი ნებისმიერ შემთხვევაში სრულად ეკისრება მოგების ცენტრებს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მათ შემცირებას; მეორე მხრივ, საერთო-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც მათზე გადანაწილდება, შეიძლება გაცილებით ჭარბობდეს საკუთარ დანახარჯებს და ამიტომ მათაც არ აძლევთ ხელს საკუთარი ხარჯების შემცირება, ვინაიდან საერთო-სამეურნეო ხარჯების ტვირთი მნიშვნელოვანი მოგების მიღების საშუალებას არ იძლევა.

ზემოაღნიშნულისა და ბიუჯეტური დაგეგმვის ტრადიციული მოდელის სხვა ნაკლოვანებების გაანალიზებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირდაპირი დანახარჯების გამოყენებით ბიუჯეტური დაგეგმვის მოდელი წარმოადგენს უფრო პროგრესულს და უკეთ გადაჭრის ბიუჯეტური დაგეგმვის ძირითად საბაზო ამოცანებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტური დაგეგმვის რომელიმე კონკრეტული მოდელისათვის უპირატესობის მინიჭება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ბიუჯეტური დაგეგმვის ამა თუ იმ მოდელის შერჩევა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და მისი გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის საქმიანობის თავისებურებებსა და მოთხოვნებთან.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრი ბანკთაშორისი კონკურენცია და ფინანსური მომსახურების ბაზრის მუდმივი ცვალებადობა, რაც ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი ნაკადით ხასიათდება, თანამედროვე ბანკს უბიძგებს, მუდმივად სრულყოს მართვის მექანიზმი, უპირატესობა მიანიჭოს ბიუჯეტური დაგეგმვის იმ კონკრეტულ მოდელს, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს მისი საქმიანობის თავისებურებებს და მდგრადი განვითარების პერსპექტივებს უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Пол Х. Аллен. Рейнжиниринг банка: программа выживания и успеха. / Пер. с англ. М.: Алпина Паблишер, 2002, - 264 с.
2. Лунин В.А. Минимизация рисков с помощью распределения его между подразделениями (бизнес-единицами) с помощью технологии Business Unit Management. М., 2010, - 12 с.
3. Тютюнник А.В. Рейнжиниринг в кредитных организациях. Управленческая аналитическая разработка. М.: «БДЦ-пресс», 2003. -154 с.

MODELS OF BUDGET PLANNING IN COMMERCIAL BANKS

Annotation

Budget planning system is a very successful and effective tool for managing modern bank, neglect of which seriously weaken the management and deprive the bank's management is not only one of the best means of regulation of financial flows, but also an effective mechanism for self-regulation and motivation.

The paper examines the modern model of fiscal planning, their essence, characteristics and mechanism of implementation in the banking sector.

ალექსანდრე შარაშენიძე

ეკონომიკური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია საქართველოში

ეკონომიკური ეკონომიკობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგად მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, კარგად შემუშავებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკის სტრატეგიული განვითარება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ, როგორებიცაა: კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და პროდუქტიულობა. ხშირ შემთხვევაში ხდება ამ ფაქტორების ერთმანეთში არევა, იმის მიუხედავად, რომ თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი როლი აქვს საბოლოო მიზნის – ეკონომიკური ეკონომიკობის მიღწევაში.

ინოვაცია კავშირშია პროდუქტიულობასთან და შესაბამისად კონკურენტუნარიანობასთან. იგი განვითარების პროცესის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს და გლობალური კონკურენციის პირობებში მის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა. ინოვაციის განმარტება მოცემულია ი. შუმპეტერის მიერ – „ინოვაცია ესაა საწარმოო მუტაციის პროცესი, რომელიც ეკონომიკურ სტრუქტურაში შიგნიდან ახდენს რევოლუციას და ძველის დანგრევის ხარჯზე ქმნის ახალს“⁶⁷. ინოვაციას იგი „კრეატიულ განადგურებას/კრახს“ (“creative destruction”) და კონკურენტუნარიანობის ძირითად გამწვევ ძალას უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ ინოვაციის გაწევა ერთადერთია, რაც მნიშვნელოვანია ისტორიაში. მეცნიერმა გააკეთა დასკვნა, რომ ყველას, ვისაც სურს ნახოს მოგება, უნდა იყოს ინოვაციური. იგი განარჩევდა 5 ტიპის ინოვაციას⁶⁸:

1. ახალი პროდუქტის ან უკვე არსებული პროდუქტის ახალი სახეობის გამოშვება;
 2. წარმოების ან გაყიდვების ახალი, აქამდე უცნობი მეთოდის დანერგვა;
 3. მრეწველობის რომელიმე დარგის აქამდე არარსებული ბაზრის შექმნა,
 4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების მიწოდების ახალი წყაროების აღმოჩენა;
 5. ახალი წარმოების სტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი მონოპოლიის შექმნას ან/და უკვე არსებული მონოპოლიის აღმოფხვრას.
- ეკონომიკის თეორეტიკოსებში ქრონოლოგიური თვალსაზრისით ინოვაციის შესახებ მოსაზრებები წარმოდგენილია კ. ფრიდმანთან სიტყვებით „არ გაწიო

⁶⁷Schumpeter, J.A. 1942. Capitalism, Socialism and Democracy, 3rd edition, London: George Allen and Unwin, 1976.

⁶⁸Schumpeter, J.A. 1934, The theory of economic development: an inquiry into profits, capital, credit, interest and the business cycle, Harvard Economic Studies, Vol. 46, Harvard College, Cambridge, MA

ინოვაცია ნიშნავს მოკვდე⁶⁹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ინოვაციას ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან აკავშირებდა, ცივილიზაციის უდიდესი მიღწევები, იქნება ეს არქიტექტურასა თუ ფერწერაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, არასოდეს არ არის დაკავშირებული ცენტრალიზირებულ ხელისუფლებასთან⁷⁰.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინოვაციის განმარტება შემდეგნაირია: „ინოვაცია არის ახალი პროდუქტის და პროცესის, ან არსებულის გაუმჯობესებისათვის ახალი ტექნოლოგიების, იდეებისა და მეთოდების კომერციულად წარმატებული ექსპლუატაცია. ინოვაცია არის ინტერაქტიული სწავლის პროცესის შედეგი, გულისხმობს რა კომპანიის მრავალი შიგა და გარე ფაქტორის ჩართულობას“⁷¹. დაახლოებით იმავენაირად განმარტავს ინოვაციას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – „ახალი ან საგრძნობლად გაუმჯობესებული პროდუქტის (მატერიალური პროდუქტის ან მომსახურების) პროცესის, ახალი საბაზრო მეთოდის, სამუშაო ორგანიზაციის ან საგარეო ურთიერთობის შექმნა/დანერგვა“⁷². ინოვაცია სხვა თანამედროვე მკვლევართა სიტყვებით „კრეატიულობის კომერციალიზაციაა“⁷³ და გულისხმობს: „ორგანიზაციის (საწარმო – საქონლის მწარმოებელი, სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, კვლევითი ლაბორატორია) შიგნით წარმოების პროცესს (საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ავტომატიზაციით, ენერგოეფექტური სისტემებით და სხვა); პროდუქტის (ახალი პროდუქტები და სერვისები, ახალი პროდუქტების მოდელის, გაუმჯობესებული ხარისხით...); ორგანიზაციული მოქნილობის (მიწოდების სისტემის გაუმჯობესება, ქსელური კავშირები, მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობის გაუმჯობესება, და ა.შ.) ტრანსფორმაცია“⁷⁴. არსებული განმარტებების შეჯერებისას ეკონომისტი დავით დარსაველიძე ასკვნის, რომ ინოვაცია არის ახალი და არსებული ცოდნის გამოყენების ახლებური კომბინაცია, რათა შეიქმნას ან გაუმჯობესდეს (1) პროდუქტი, (2) საწარმოო პროცესი ან (3) ორგანიზაცია დამატებითი კომერციული სარგებლის/წარმატების მისაღებად⁷⁵. მოცემული განმარტებების საფუძველზე, დ. დარსაველიძის აზრით, ინოვაცია სხვადასხვა ფორმით, მიმართულებით შეიძლება განვითარდეს და ტერიტორიის, მისი განვითარებით დაინტერესებული მხარეებისა და მათ მიერ შერჩეულ მოდელზე არის დამოკიდებული. ინოვაცია ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს. არ შეიძლება ის აღვიქვათ, როგორც მარტივი სისტემა. მას კომპლექსური ხასიათი აქვს და მრავალი, ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორის ზემოქმედებით ყალიბდება. მის წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილი და დრო. ხდება რა ინოვაციით ოპერირება ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე, იგი

⁶⁹ Hart D.A., Innovation Clusters: Key Concepts, Department of Land Management and Development, and School of Planning Studies, the University of Reading, UK., 2000, p. 4. available at: <http://www.reading.ac.uk/LM/LM/fulltxt/0600.pdf>

⁷⁰ Milton Friedman, Rose D. Friedman Capitalism and Freedom: Fortieth Anniversary Edition

⁷¹ Green Paper on Innovation, European Commission, The Innovation Programme, DG XIII, Luxembourg, 1996, p. 54.

⁷² Ministerial Report on the OECD Innovation Strategy” (Organization for Economic Cooperation and Development, March 2010), <http://www.oecd.org/sti/45326349.pdf>

⁷³ Simmie J., Hart D., Innovation Projects and Local Production Networks: A Case Study of Hertfordshire, “European Planning Studies”, 7, 1999, p. 447.

⁷⁴ Komninos N., Intelligent Cities, Spon Press, UK, USA, Canada, 2002, p. 18.

⁷⁵ დარსაველიძე დ., ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტები, თესალონიკის, ნაპა ვალისა და თბილისის ტურისტული კლასტერების მაგალითზე ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, 2014, გვ. 35.

აქტიურ მონაწილეობას იღებს მოთხოვნა-მიწოდების ფორმირებაში და გამუდმებით პასუხობს აწმყოსა თუ მომავლის გამოწვევებს. დ. დარსაველიძის მიხედვით, ინოვაცია თანმიმდევრულ პროცესთა ჯაჭვს მოიცავს: (1) შემოქმედება/კრეატიულობა, (2) კვლევა, (3) განვითარება და (4) კომერციალიზაცია. ის დაფუძნებულია ორ უმთავრეს ფაქტორთა ბლოკზე (1) საზოგადოების, თანამდგომარეობის, მრეწველობის მოთხოვნასა და (2) კრეატიული იდეების, კრეატიული სამუშაო ძალის და კვალიფიციური შრომითი რესურსების მიწოდებაზე⁷⁶.

ინოვაცია კავშირშია კონკურენტუნარიანობასა და პროდუქტიანობასთან, მაგრამ მათი სრული გაიგივება არ არის მართებული. მაგალითად, ცალკეული ტექნიკური დეტალის დახვეწამ შესაძლოა გააუმჯობესოს განსაზღვრული წარმოება, მაგრამ ამან შესაძლებელია გავლენა ვერ მოახდინოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე. ცალკეულმა ინოვაციამ შესაძლოა გააუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, მაგალითად, ამინდის პროგნოზის მეთოდის გაუმჯობესების შედეგად გამოწვეულმა ძვრებმა ირიბად შესაძლოა იმოქმედოს კონკურენტუნარიანობაზე. მაგრამ ახალი სამკურნალო/სატრანსპორტო საშუალებების ან კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოგონება არა მარტო ზრდის მოცემული სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობას, არამედ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხსა და პროდუქტიულობასაც. ამგვარად, ინოვაციამ შესაძლებელია გააუმჯობესოს კონკურენტუნარიანობა და პროდუქტიულობა, მაგრამ არა ყოველთვის.

პროდუქტიულობის ზრდა მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს გლობალურ ბაზარზე გაყიდოს მეტი პროდუქცია და სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე მიაწოდოს იგი ბაზარს, რაც აისახება მათ კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. პროდუქტიულობის ყველაზე მარტივი განსაზღვრება ასეთია – დანახარჯის ერთ ერთეულზე მიღებული ეკონომიკური შედეგი. დახარჯი შესაძლოა იყოს შრომის ნაყოფიერება, გამოხატული დროით ერთეულში ან მოიცავდეს ყველა პროდუქციის ფაქტორს – დროის, დანადგარებისა და ენერჯის გამოყენებას (მთლიანი ფაქტორების გამოყენებას). მიუხედავად საკმაოდ მარტივი განმარტებისა, მისი სხვადასხვანაირი გაგება ხდება. მაგალითად, ჩინეთში წარმოების გადატანამ ზოგიერთის მტკიცებით, იქ არსებული დაბალხელფასიანი სამუშაო ძალის არსებობის მიზეზით, შესაძლებელია გამოიწვიოს პროდუქტიულობის გაზრდა. ფაქტობრივად კი სამუშაო ადგილების გადატანით შესაძლოა შემცირდეს პროდუქტიულობა, რადგან ჩინურ ფირმებში დასავლურ ევროპულ ფირმასთან შედარებით უფრო ნაკლებად გამოიყენება მანქანა-დანადგარები და შესაბამისად ისინი ნაკლებად ეფექტიანია.

პროდუქტიულობის არსის უკეთ დასადგენად საჭიროა დავაზუსტოდ, რომ ეკონომიკის ზრდა შესაძლოა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სხვადასხვანაირად გამოიხატოს: სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდით, რომელიმე დარგში მაღალტექნოლოგიური სექტორის წილის ზრდით. დასაქმებულების ზრდა არამდგრადი სტრატეგიაა, ამ შემთხვევაში არ ხდება არც პროდუქტიულობის და არც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა. სექტორულ ზრდას „ზრდის ეფექტს“ უწოდებენ⁷⁷. იგი განისაზღვრება არა ცალკეული სექტორის ქვეყნის ეკონომიკაში წილის ზრდით, არამედ მაშინ, როცა მაღალი და დაბალპროდუქტიანი სექტორები ერთბაშად ხდებიან უფრო

⁷⁶ იქვე, გვ. 35.

⁷⁷ Robert D. Atkinson, Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion, August 2013.

პროდუქტიული. ეს შეიძლება ორი გზით განვითარდეს: 1) როდესაც ყველა ფირმის პროდუქტიულობა იზრდება; 2) დაბალი პროდუქტიულობის ფირმები კარგავენ ბაზრის წილს მაღალპროდუქტიული ფირმების სასარგებლოდ (მაგ., ნაკლებად ეფექტიანი ნაბჭკდი წიგნების გამომცემლობის ნაცვლად მყიდველთა პრიორიტეტის ცვლილების გამო ბაზრის წილს იკავენ უფრო მაღალ-პროდუქტიული ელექტრონული წიგნების გამოცემა). მესამე სახის ზრდა მსგავსია ზემოთ მოყვანილი ბოლო მაგალითისა. ამ შემთხვევაში ხდება დაბალპროდუქტიული სექტორის მიზნობრივი ჩანაცვლება მაღალპროდუქტიანი სექტორით. ასეთ ცვლილებას „გადატანის ეფექტს“ უწოდებენ. „გადატანის ეფექტის“ მაგალითია სოფლის მეურნეობის დაბალპროდუქტიანი სექტორის სამუშაო ადგილების გადანაცვლება განვითარებული ტექნოლოგიების მაღალ-პროდუქტიულ სექტორში⁷⁸.

ისმის კითხვა თუ რომელი სტრატეგია „ზრდის ეფექტი“ თუ „გადატანის ეფექტია“ უფრო მნიშვნელოვანი. პასუხი დამოკიდებულია ეკონომიკის სიდიდესა და სექტორის ტიპზე. დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სავაჭრო სექტორის დიდი წილის გამო უფრო ეფექტიანია „ზრდის ეფექტი“. რაც უფრო განკუთვნილია სექტორი შიდა მოხმარებაზე მით უფრო მნიშვნელოვანია ზრდის ეფექტი. მაგალითად, პატარა ქალაქში ავტომობილების მწარმოებელ ქარხანაში მაღალკვალიფიციური ტექნოლოგიის დანერგვისას იზრდება პროდუქტიულობა, შემცირებული ფასების შედეგად სარგებელს ნახავს მოცემული ფირმის ყველა მომხმარებელი ქვეყნის საზღვრებს შიგნით და მის გარეთ. თავად ქალაქი, სადაც ავტომობილების ქარხანა განთავსებული, ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, თუ ქარხნის პროდუქტიულობა აისახება მუშახელისთვის ხელფასების მომატებასა და მუშახელის რაოდენობის გაზრდაში. ზოგადად მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სამრეწველო პოლიტიკა ფოკუსირებულია პროდუქტიულობის წახალისებაში. მრეწველობის სექტორის შეცლა ძირითადად ხდება მრეწველობის სექტორების ნაკრების – მაღალი პროდუქტიულობით ჩანაცვლებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მრეწველობის სექტორი, დაბალპროდუქტიულიც კი, ცდილობს თავისი შედეგის გაზრდას⁷⁹.

მასაშადამე, კონკურენტუნარიანობა, ინოვაცია და პროდუქტიულობა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთის ახლო მდგომი ცნებებია. სტიმულირებული ინოვაცია ხელს უწყობს პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას. ინოვაცია ნიშნავს, რომ მომავლის პროდუქტი არა მარტო უფრო იაფი, არამედ უკეთესიც იქნება. ასევე მნიშვნელოვანია სტიმულირებული კონკურენტუნარიანობა. კონკურენტუნარიანი სექტორების გარეშე ქვეყნის ცხოვრების დონე შემცირდება, ვინაიდან მეტი ფული დაიხარჯება იმპორტზე. დაბალი კონკურენტუნარიანობა უმაღლეს გამოიწვევს გავლენას ზრდის სხვა მაჩვენებლებზე (სავაჭრო სექტორის ინოვაციებსა და პროდუქტიულობაზე). პროდუქტიულობა კი ეროვნულ დონეზე გამოიხატება როდესაც ფირმების პროდუქტიულობა იზრდება ან/და დაბალი პროდუქტიულობის ფირმები/სექტორები კარგავენ ბაზრის წილს მაღალპროდუქტიული ფირმების/სექტორების სასარგებლოდ.

ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამადლების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მიზნობრივ საკითხებზე: ვაჭრობაზე, გადასახადებზე, ტექნოლოგიებზე. ეს გააძლიერებს რეგიონის საერთაშორისო კონკურენტ-

⁷⁸ Robert D. Atkinson, *Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion*, August 2013.

⁷⁹ James Manyika et al., “How to Compete and Grow: A Sector Guide to Policy” (McKinsey & Company, March 2010), http://www.mckinsey.com/insights/economic_studies/how_to_compete_and_grow.

უნარიანობას. ინოვაციის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ინოვაციებისკენ მიმართულ გზაზე არსებული ბარიერების აღმოფხვრა (მაგ., ნორმატიულ რეგულირება) და მხარდამჭერი სისტემების გამართული მუშაობა (სამეცნიერო-კვლევითი ინსტრუქტები, განათლება), ეს მიგვიყვანს სამივე სექტორში (სამრეწველო, არასამრეწველო, სამთავრობო) ინოვაციების სტიმულირებასთან. პროდუქტიულობის სტრატეგია მისი ზრდის ხელის შემშლელი ბარიერების დასადგენად შეისწავლის ქვეყნის ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორს და მის ფუქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ სტრატეგიას სხვადასხვა მიზანი აქვს, მათი ხშირი ურთიერთგადაკვეთის გამო, უმეტეს შემთხვევაში, მათი თავმოყრა და ერთი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გაერთიანება ხდება, რომელიც ფორმირდება ქვეყანაში არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებაზე გავლენას ახდენს როგორც გარე – ზოგადად მსოფლიოში არსებული, ასევე, შიდა – თავად ქვეყანაში არსებული ფაქტორები. გარე ფაქტორები შესაძლოა იყოს ზოგადად მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა – მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს შორის არსებული დისბალანსი, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ზეგავლენა მსოფლიო ვაჭრობაზე, ენერგომატარებლების ფასის ცვლილებაზე, პოლიტიკური გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სატრანზიტო დერეფნისთვის უპირატესობის მინიჭების შესახებ და ასე შემდეგ. ცალკე გამოსაყოფია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაზე, რაც უდიდეს გავლენას ახდენს როგორც პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე შრომის გადანაწილებაზე, ახალი მოთხოვნების გაჩენაზე და შესაბამისად ახალი დარგების წინ წამოწევაზე. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირებაზე შიდა ფაქტორებზე უპირატესად გავლენას ახდენს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და ქვეყნის მოქმედი ხელისუფლების ნება, მოკლევადიანი (ქვეყნის საბიუჯეტო წლის დაგეგმვა) და საშუალო/გრძელვადიანი (ქვეყნის და სხვადასხვა დარგის განვითარების სტრატეგიები) დაგეგმილი დონისძიებებით საფუძველი ჩაუყაროს და წარმართოს ესა თუ ის სტრატეგიული მიმართულება, ასევე, საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებული უნდა იყოს რომელიმე ეკონომიკური დარგის განვითარებაზე ან პასუხობდეს ქვეყნის მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფის ინტერესებს.

კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების საფუძველია მიმდინარე ბიუჯეტის დაგეგმვა, რადგან სწორედ ქვეყნის ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების და ვალდებულებების შესრულებით ეტაპობრივად ხდება გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელება, მათ შორის შესაძლოა მოვიხსნათ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაც, ბიუჯეტი კი ამ ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა⁸⁰. ბიუჯეტის დაგეგმარებაში საყურადღებოა დანახარჯების სტრუქტურა, რომელიც, თავის მხრივ, შემოსავლების წყაროებს განაპირობებს. ხანგრძლივ პერსპექტივაში დანახარჯების ერთი მიმართულებით გაწევა, საბოლოო ჯამში, საფუძველს უქმნის ქვეყნის სტრატეგიულ ეკონომიკურ მიმართულებას, შესაბამისად, გლობალური კონკურენციის სამყაროში ხდება ამა თუ იმ ნიშნით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და მასთან დაკავშირებული კონკურენტ-

⁸⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 2, 2014.

უნარიანობის ხარისხის ამაღლება. დანახარჯების თეორია განარჩევს პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ დანახარჯებს. პროდუქტიული დანახარჯები მიზანმიმართულია პროდუქციის ფაქტორთა ნაყოფიერების ასამაღლებლად, სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის მდგრადი ზრდის მხარდასაჭერად. შესაბამისად, პროდუქტიული დანახარჯები, რომლებიც შესაძლებელია სხვანაირად საინვესტიციო დანახარჯებად მოვიხსენიოთ, მიმართული უნდა იყოს საჯარო სერვისებისკენ - ჯანდაცვის, განათლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისკენ. ის ასევე მიზნად უნდა ისახავდეს ბიზნესკლიმატისა და სტაბილური შრომის ბაზრის დახვეწას, ხელს უნდა უწყობდეს კვლევასა და განვითარებას. არაპროდუქტიული დანახარჯების საპირისპიროდ, მიმართულია მიმდინარე საჭიროებებისკენ, როგორებიცაა სოციალური დანახარჯები და ცალკეული დარგების სუბსიდირება. სხვადასხვა ქვეყნის დანახარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ პროდუქტიულ დანახარჯებს მიყვავართ ეკონომიკური ზრდისკენ, მაშინ, როცა არაპროდუქტიული დანახარჯების ზეგავლენა ამ კუთხით უმნიშვნელოა. ცალკეულმა კვლევებმა აჩვენა კავშირი საინვესტიციო დანახარჯებსა (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის სფეროებში) და ეკონომიკის ზრდასა და შემოსავლების გადანაწილებასთან⁸¹. ზოგიერთმა განვითარებულმა ქვეყანამ შეძლო წარმატებით გაეზარდა პროდუქტიული დანახარჯები და შესაბამისად მიიღეს მაღალი ზრდის ტემპები, რამაც, თავის მხრივ, შემოსავლების უფრო სამართლიანი გადანაწილება გამოიწვია. ამ ქვეყნების მაგალითი მოწმობს, რომ სახელმწიფო დანახარჯების პოლიტიკა უფრო ეფექტიანია, ვიდრე საგადასახადო პოლიტიკა სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების გათვალისწინებით. სახელმწიფო დანახარჯები, თუ მას მიზანმიმართულად, კვალიფიკაციისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისკენ წარემართავთ და შესაბამის ჩარჩოებში მოგაქცევთ, შესაძლოა ეფექტიანი ინსტრუმენტი გახდეს, პროდუქტიულობის მდგრადი ზრდისა და დასაქმებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად, შემოსავლების გადანაწილებისა და სიღარიბის დასაძლევად. შესაბამისად, სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურის ცვლილებას ინვესტიციების გაზრდის კუთხით მიყვავართ ეკონომიკის მდგრადი ზრდისაკენ. პროდუქტიული დანახარჯები ასევე მოიცავს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოციალურ დაცვას. პროგრამები, რომლებიც მიმართულია არაკვალიფიციური მუშახელის გადამზადებაზე, პროდუქტიული დანახარჯების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მსგავსი პროგრამების მიზანია სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება, არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასეთი პროგრამები მოქმედებს როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნის მიზნითა და გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის შესასუსტებლად.

მოკლევადიან პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებად შესაძლებელია მივიჩნიოთ სუბსიდები და პირდაპირი ტრანსფერები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდები გრძელვადიან სტრატეგიაში ვერ გამოიყენება, რადგან მათ მიზნობრივი დანიშნულება აქვთ განსაზღვრულ ფოკუსჯგუფებში. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითით კი პირიქით, ისინი ეკონომიკის ზრდის შეფერხებას განაპირობებენ, ანუ სუბსიდები და პირდაპირ ტრანსფერებს რეგრესიული ხასიათი აქვს, ისინი ხელს არ უწყობენ შრომის ბაზრის განვითარებას, არ განაპირობებენ დასაქმებულთა თანაბარ შესაძლებლობებს

⁸¹ Towards Sustainable Competitiveness Restructuring Institutions in Egypt The Egyptian Competitiveness Report 2013

და არ ზრდიან სამუშაო ადგილებს. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სუბსიდირება აზრს უკარგავს მწარმოებლურობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. ამგვარად, ქვეყნის განვითარებისათვის პროდუქციულ დანახარჯებს უპირატესობა ენიჭება არაპროდუქტიულ დანახარჯებთან მიმართებაში.

მეორე მხრივ კი, განვითარებად ქვეყნებში, ისეთი, როგორც საქართველოა, მოსახლეობის საკმაო ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, შესაბამისად ქვეყანას უწევს სიღარიბესთან ბრძოლა, რაც გულისხმობს არაპროდუქტიული დანახარჯების დაშვების აუცილებლობას, რათა მოსახლეობის ყველა ფენამ შეიტანოს წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში და, ამავე დროს, საჭიროების მიხედვით სარგებლობდეს ეკონომიკური ზრდის სიკეთებით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დროს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის ხდებოდეს თანაბარი შესაძლებლობების მიცემა, ანუ დაცული იყოს ინკლუზიური ზრდის პრინციპები.

Alexander Sharashenidze

NATIONAL COMPETITIVENESS IMPROVEMENT STRATEGY IN GEORGIA

Annotation

The National Competitiveness is considered in the article, as well as short and long period improvement strategy. Innovation and Productivity, with their points of intersections and differences are presented on the base of Comparative analysis. Elements of the formation of development strategies of economic categories are analyzed with the opportunity to merge them into unified economic competitiveness strategy on the basis of existing practice. Formation of Priorities of Competitiveness Policy is also described in the article, from the planning of budget revenues and expenditures. The aim of productive and unproductive expenditures and the importance of productive and unproductive expenditures is discussed as well.

ხალიანა ჩიტაძე

ფულადი სახსრების ანგარიშსწორების აღრიცხვა სალაროში

საქართველოში, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ისეთი სისტემით, რომ იგი აკმაყოფილებდეს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს. საქმიანი ორგანიზაციების მიერ თავის ფინანსურ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილება პირველ რიგში დაკავშირებულია ფულადი სახსრების სწორად აღრიცხვასა და მართვაზე. ამიტომ ფირმები თვალყურს ადევნებენ ფულადი სახსრების მოძრაობას და აწარმოებენ ამ მოძრაობის გამომწვევი ოპერაციების აღრიცხვას.

ნაღდი ფული საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის ანგარიშსწორების ერთ-ერთი საშუალებაა. ნაღდი ფულის დამახასიათებელი თვისება არის მაღალი ლიკვიდურობა, რაც გულისხმობს, სწრაფად განხორციელდეს გაცვლა სხვა აქტივებზე. ნაღდი ფული საწარმოში შემოდის საქონლის რეალიზაციიდან, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურებიდან, სესხების სახით, საბანკო ანგარიშიდან გამოტანის გზით და ა. შ. ნაღდი ფული საწარმოებს, ორგანიზაციებს ესაჭიროებათ ძირითადად ხელფასების, პენსიების, დახმარებების, დივიდენდების და სხვა სახის ვალდებულებების დასაფარავად, შესაძლებელია ანგარიშგაღებულ პირებზე თანხის გაცემა სალაროდან მივლინებისათვის, ასევე მომწოდებლებზე ავანსის სახით თანხის გაცემა, ნაღდი ფულის შეტანა ხდება საბანკო ანგარიშზე და ა. შ. აღნიშნული ოპერაციების განსახორციელებლად ყოველ საწარმოსთან იხსნება სალარო, რომელსაც მო-

ლარე განავებს. მოლარე მატერიალურად პასუხისმგებელი პირია. მის ფუნქციაში შედის არა მარტო სალაროს ოპერაციების წარმოება, არამედ საბანკო ოპერაციებისაც. დოკუმენტების წარდგენა ბანკში, ამონაწერების მიღება ბანკში გასხნილი ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის შეტანა-გამოტანის ოპერაციები და სხვა. მოლარე ვალდებულია, კარგად ერკვეოდეს ბანკოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრაში, შეეძლოს დამცავი ნიშნების მეშვეობით ყალბი ფულის გამოვლენა და სათანადო სწრაფი რეაგირება.

საქართველოს 1996 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული იყო დებულება „სალაროს მეურნეობის შესახებ“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ნაღდი ფულის მიმოქცევის ოპტიმიზაცია და ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მოწესრიგება. აღნიშნული დებულება საკმაოდ მოძველდა, დებულების რიგი ნორმები ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს, რიგ შემთხვევაში კი ეწინააღმდეგებოდა კიდევ მოქმედ საკანონმდებლო აქტებს. ამიტომ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით № 110/01, აღნიშნული დებულება გაუქმდა.

სალაროში ნაღდი ფულის მიღებისა და გასაგვლის დოკუმენტებია სალაროს შემოსავლის და სალაროს გასაგვლის ორდერი. სალაროში შემოსულ ყველა თანხაზე იწერება სალაროს შემოსავლის ორდერი, ხოლო ყველა გასაცემ თანხაზე – სალაროს გასაგვლის ორდერი. სალაროს შემოსავალ-გასაგვლის ორდერის გამოწერის უფლება აქვს მთავარ ბუღალტერს ან მისი დავალებით ბუღალტერიის ნებისმიერ მუშაკს. აკრძალულია ორდერებში რაიმე შესწორების შეტანა. შეცდომის დაშვებისას იგი დაიხვევა და ახალი გამოიწერება. სალაროს შემოსავლისა და გასაგვლის ორდერებს მოლარე შესრულებამდე უკეთებს რეგისტრაციას სპეციალურ ჟურნალში და მიაკუთვნებს ნომერს.

სალაროში შემოსული და სალაროდან გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება სალაროს წიგნში. სალაროს წიგნი ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი რეგისტრია. სალაროს წიგნი უნდა იყოს ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებული ხელმძღვანელის და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით. სალაროს წიგნში ჩანაწერები კეთდება პირის გადამღები ქაღალდის მეშვეობით, რომელიც ივსება ბუთულიანი კაღმით, რაც საშუალებას იძლევა, თითოეული ფურცელი შეივსოს ორ ცალად. ერთი პირი რჩება სალაროს წიგნში, ხოლო მეორე ეგზემპლარი, დოკუმენტებთან ერთად გადაეცემა ბუღალტერიას. სალაროს წიგნში პირველ რიგში იწერება ნაშთი დღის დასაწყისისათვის, რომელიც გადმოიწერება წინა დღის გვერდიდან, შემდეგ წიგნში ცალ-ცალკე სვეტებში აისახება დღის განმავლობაში შემოსული ყველა შემოსავლის და გასაგვლის ორდერის ნომერი, ოპერაციის მოკლე შინაარსი, დღის ბოლოს ჯამდება შემოსავალ-გასაგვლის სვეტები და გამოიყვანება დღის საბოლოო ნაშთი.

სალაროს წიგნში ჩანაწერების წაშლა და გადასწორება აკრძალულია. შესწორება დამოწმებული უნდა იყოს მოლარის და მთავარი ბუღალტრის მიერ. სალაროს დისციპლინის დაცვისათვის პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი და მოლარე. სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობის აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშთა გეგმის 1100 ჯგუფის – „ნაღდი ფული სალაროში“ – შემდეგი ანგარიშები:

1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში;

1120 – ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში.

აღნიშნული ანგარიშები ბუნებით აქტიურია, რაც ნიშნავს რომ ამ ანგარიშის სადებეტო მხარის ჩანაწერები გულისხმობს საწარმოში ნაღდი ფულის მიღებას სხვადასხვა ოპერაციების მიხედვით, ხოლო საკრედიტო ჩანაწერები კი აფიქსირებს საწარმოდან ნაღდი ფულის გაცემას სხვადასხვა დანიშნულებისათ-

ვის. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი ანგარიშებიც. ოპერაციების ბუღალტრული გატარებისას ზოგჯერ გამოყენებული იქნება ზოგადად ჯგუფის დასახლება. მაგალითად:

გამოტანილია ბანკიდან ჩეკით ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 550 ლარი:

დებეტი – 1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 550 ლარი;

კრედიტი – 1210 – ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 550 ლარი.

შემოსულია საწარმოში მყიდველისაგან პროდუქციის რეალიზაციის თანხა ნაღდი ფულით მიწოდების მომენტში 6 000 ლარი:

დებეტი – 1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 6 000 ლარი;

კრედიტი – 6110 – შემოსავალი რეალიზაციიდან 6 000 ლარი.

მყიდველისაგან პროდუქციის ღირებულების გადახდა ნაღდი ფულით მიწოდების შემდეგ:

დებეტი – 1100 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2600 ლარი;

კრედიტი – 1410 – მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2600 ლარი.

მოკლევადიანი სესხის მიღება ნაღდი ფულით 5 600 ლარის:

დებეტი – 1100 – ნაღდი ფული საღაროში 5 600 ლარი;

კრედიტი – 3200 – მოკლევადიანი სესხები 5 600 ლარი.

გაცემულია საღაროდან ხელფასი ნაღდი ფულით 560 ლარი:

დებეტი – 3130 – გადასახდელი ხელფასები 560 ლარი;

კრედიტი – 1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 560 ლარი.

შეიძინა საწარმომ ნედლეული მასალები ნაღდი ფულით 3 000 ლარის:

დებეტი – 1620 – ნედლეული და მასალები 3 000 ლარი;

კრედიტი – 1100 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 3 000 ლარი.

შექნინილია ძირითადი საშუალებები ნაღდი ფულით 15 000 ლარის:

დებეტი – 2100 – ძირითადი საშუალებები 15 000 ლარი;

კრედიტი – 1100 – ნაღდი ფული საღაროში 15 000 ლარი.

საწარმოს საღაროში ნაღდი ფულის გარდა შეიძლება ინახებოდეს ფულადი დოკუმენტები, მკაცრი ანგარიშგების ბლანკები და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში დანერგილი საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული აღრიცხვის ახალი სისტემები, რომელთა ფუნქციონირება და გამოყენება შესაძლებელია ინფორმაციული პროგრამების საშუალებით, ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების, მათ შორის საღაროს ოპერაციების ზუსტ და დროულ აღრიცხვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიტაძე ხ., თენაძე გ. ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები. გორი, 2009.

2. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა – თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით. თბილისი, 2014.

3. Internatinal Accounting: A User Perspective (Fourth Edition) by Shahrokh M. Saadagran and L. Murphy Smith (Junis 2013).

4. <http://www.parliament.ge>

5. www.economists.ge

ACCOUNTING OF CASH PAYMENTS IN THE CASH REGISTER

Annotation

The work discusses that, in Georgia according to international standards, accounting must satisfy the requirements of international economic relationships of business. Focusing on their financial condition by business organisations, firstly is connected to accounting properly and managing of funds. That is why the firms watch over the thresholds to funds and provide accounting operations which cause the above mentioned movement.

In this work it is discussed that cash is one of the means of payment for enterprises and organisations. The characteristic feature of cash is high liquidation, which means the quick exchange of assets. Cash revenue is made by selling goods, doing work or providing service , loans, withdrawal from a bank account and so on. Enterprises and organisations need cash to cover basic salaries, pensions, allowances, dividends and other liabilities. It is possible to withdraw the money from the cash register to accountable persons, for business trips, also to pay in advance to providers, cash deposits are made on a bank account and so on. In order to do this transaction cash register should be opened for each enterprise, which is implemented by the cashier. The cashier is financially responsible. His/her duty is not only desk operations, but bank operations too.

This work will help the readers, students, accountants with doing the operations of cash register properly.

ელენე ჩიტაძე

სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური რეზულირება საქართველოში

მსოფლიოს სურსათის სამიტზე 1996 წელს სასურსათო უსაფრთხოება განმარტებულ იქნა, როგორც მდგომარეობა, როცა „ყველა ადამიანს, ყველა დროს აქვს მისაწვდომლობა საკმარის, უსაფრთხო, და ნოყიერ სურსათზე, რათა შეინარჩუნოს ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების პირობები“⁸². საზოგადოდ, სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია გულისხმობს სურსათზე როგორც ეკონომიკურ, ასევე ფიზიკურ მისაწვდომლობას, რომელიც პასუხობს როგორც ადამიანთა კვების საჭიროებებს, ისე მათი არჩევანის უპირატესობებს. იგი მოიცავს სურსათით უზრუნველყოფას, სურსათის ხელმისაწვდომობასა და სურსათის მოხმარებას. სურსათით უზრუნველყოფა სურსათის საკმარისობის იდენტიფიკაცია, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იგი მოიცავს ეროვნულ წარმოებას, იმპორტსა და მარაგებს. სურსათის ხელმისაწვდომობა კი გულისხმობს, რომ ინდივიდს საკვების მისაღებად საკმარისი რესურსები აქვს.

შემოსავალი, ტრანსფერები და სურსათის ფასები სურსათის ხელმისაწვდომობის მთავარი დეტერმინანტებია. რაც შეეხება სურსათის მოხმარებას, იგი გულისხმობს მოსახლეობის უნარს, მოხმაროს ბიოლოგიურად ადეკვატური და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვებითი ღირებულებების შემცველი პროდუქცია.

საქართველოს მსგავსი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც სურსათით უზრუნველყოფის, სურსათისადმი ხელმისაწვდომობის და სურსათის მოხმარების, ასევე სურსათის უვნებლობის საკითხები, რაც მთლიანობაში განსაკუთრებით რთულ და

⁸² Rome declaration on world food security. World Food Summit, Rome, 13-17 November 1996. FAO, Rome.

კომპლექსურ პრობლემას შეადგენს და მრავალმხრივ გადაწყვეტას მოითხოვს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქვეყნის სინამდვილეში სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არც ერთი პრობლემა დღეისათვის ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი.

მიუხედავად სახელმწიფოში განხორციელებული არაერთი რეფორმისა და წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ქვეყნის სოფლის მეურნეობა და შესაბამისად, სასურსათო პოლიტიკა გარკვეული საფრთხეების წინაშე იმყოფება. ამასთანავე, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ აქტუალურია, რაც თავისთავად განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ მოხმარებული საკვების მოცულობასა და ხარისხს. თავის მხრივ, სურსათის მიწოდებაში არსებული პრობლემები, იმპორტზე დამოკიდებულება, სასურსათო პროდუქციაზე ფასების დრამატული ზრდა, ეკონომიკაში მიმდინარე მოკლევადიანი რყევები, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა და შემოსავლების განაწილების უთანაბრობა, მკვეთრად ამძაფრებს ქვეყანაში არსებულ სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის ეკონომიკურ ფონს. შესაბამისად, ბუნებრივია, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, პრიორიტეტულ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა რიგში დგას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმის გარანტიები, რომ ქვეყანაში არსებობდეს საკმარისი მოცულობის საკვები, ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის და იყოს ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ იგი იქნეს ათვისებული. შესაბამისად უნდა განისაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების სისტემის რეგულირების ინსტიტუციური ჩარჩოები, რომლითაც სასურსათო უსაფრთხოების სისტემის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტი იქნება დაფარული და გაითვალისწინებს ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გარანტიებსა და ნორმებს.

თანამედროვე პირობებში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად და სხვა სახელმწიფოსაგან იზოლირებულად სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეროვნული წარმოებით. ამიტომაც, იმპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო უსაფრთხოების რეგულირება ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, ბუნებრივია, ამ მდგომარეობამ ხელი არ უნდა შეუშალოს საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებას. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებები სწორედ იმ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომ დაცული იყოს თითოეული ქვეყნის ინტერესი და, რაც მთავარია, მომხმარებელი მავნე პროდუქციისაგან. შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შესახებ ძირითადად სურსათის უვნებლობას შეეხება, შეთანხმება ტექნიკური ბარიერების შესახებ კი იმ ტექნიკურ სტანდარტებს მოიცავს, რომლებიც სურსათით ვაჭრობას ეხება. ხოლო სურსათით უზრუნველყოფა და სურსათისადმი ხელმისაწვდომობა ცალკეული ქვეყნების შესაბამისი სამსახურების პრეროგატივად რჩება. შესაბამისად, სურსათზე ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა მოითხოვს ისეთი უწყებების კოორდინირებულ საქმიანობას, რომლებიც პასუხს აგებენ ქვეყანაში სურსათის წარმოებასა და იმპორტზე, სურსათით დაუცველობის პროფილის განსაზღვრასა და ამ ნიშნით დაუცველი მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების შემუშავებაზე. ამ მიმართებით გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს. ეს უკანასკნელი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სიღარიბის პროფილის განსაზღვრისა და სურსათით დაუცველობის დეტალური ანალიზის საფუძველზე ქმედით

იმპულსებს უნდა იძლეოდეს ქვეყანაში სურსათით დაუკველი მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

რა თქმა უნდა, ცალკე აღებულ პრობლემას წარმოადგენს სურსათის უვნებლობის რეგულირება, რომელიც ევროკავშირის საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დინამიური საკითხია. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ რისკებს პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. წლების მანძილზე სასურსათო უვნებლობის რეგულირების მექანიზმი არაერთხელ იქნა შეცვლილი და განახლებული. ხოლო მისი ტრანსფორმაციისა და სრულყოფის პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს.

ევროკავშირის დონეზე სასურსათო უვნებლობის სფეროში მიმდინარე ყველა ძირითადი ინსტიტუციური ცვლილება საფუძვლად ემყარება ახალ ინტეგრირებულ მიდგომას – „ფერმიდან სუფრამდე“, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს: სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკების მრავალ-მხრივი შეფასებისა და მათი მართვის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობის დანერგვას, აქცენტირებას მომხმარებლის დაცვაზე, დემოკრატიული ნორმების ჩამოყალიბებისა და ახალი სახის მარეგულირებელი ორგანოების შექმნაზე.

ევროკავშირის სასურსათო პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას, რისკების ანალიზს გულისხმობს. მთავარი სამი სახის საქმიანობა, რასაც რისკების ანალიზი მოიცავს, არის: ა) რისკების გამოვლენა და შეფასება; ბ) რისკების მართვა; გ) რისკების შეტყობინება და კომუნიკაცია⁸³.

შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა უფრო სურსათის უვნებლობაზე არის აქცენტირებული. რაც შეეხება საქართველოს, ეს ტერმინი ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში არცთუ დიდი ხანია დამკვიდრდა. იგი აქამდე ძირითადად ხარისხსა და უსაფრთხოებასთან იყო გაიგივებული. სურსათის უვნებლობა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების – ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, იგი სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვას გულისხმობს, ხოლო „სასურსათო უსაფრთხოება – ეს არის ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვების ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“⁸⁴. სასურსათო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მიდგომებს აყალიბებს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის N22 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის ეროვნული პროგრამა“, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში მიღებულ კანონს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. კანონით განისაზღვრა სურსათის უვნებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, მისი განხორციელებისა და კოორდინაციის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც სრულიად შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია EC№178/2002-ს, ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს.

კანონის მიზანია მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა მომხმარებელთათვის განკუთვნილ სურ-

⁸³ Council Resolution of 14 April 1975 on a preliminary programmed of Europe Economic Community for a consumer protection and information policy.

⁸⁴ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები. მერაბ ვანიშვილი, თბილისი, 2003.

სათან მიმართებაში, შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. კანონი არეგულირებს სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის, ხარისხის, ეტიკეტირების ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელთა (ბიზნესოპერატორთა) და დისტრიბუტორთა ვალდებულებებს, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის და ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს, განსაზღვრავს სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციებს. კანონი არ ვრცელდება პირადი და ოჯახური მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა:

- რისკის ანალიზი;
- გაფრთხილების ანუ პრევენციის პრინციპი;
- გამჭვირვალობა;

პირველად ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, შემოვიდა რისკის ანალიზის ცნება და ზოგადად რისკის ანალიზზე დამყარებული მიდგომა, აღიარებულ იქნა ინტეგრირებული მიდგომა „მინდვირდანი მაგიდამდე“, რომლის მიხედვითაც აქცენტი საბოლოო პროდუქტის სერტიფიცირებიდან გადადის სურსათის წარმოების პროცესის კონტროლზე.

შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (2010 წლიდან მას ეწოდება „სურსათის ეროვნული სააგენტო“), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სურსათისა და ცხოველის კვების უვნებლობის, ხარისხის, სანიტარულ-ჰიგიენური, ვეტერინარული, მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური ღონისძიებების ზედამხედველობას, მონიტორინგსა და სახელმწიფო კონტროლს. მხოლოდ აღნიშნული სამსახურია დღეისათვის უფლებამოსილი, ქვეყანაში განახორციელოს სურსათის სფეროში აღნიშნული ქმედებები.

კანონით დადგენილია სურსათის უვნებლობის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც დაუშვებელია სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი არ არის უვნებელი. თუმცა მისი მავნებლობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რამდენადაა დაცული სურსათის წარმოებისა და დისტრიბუციისადმი, აგრეთვე, ეტიკეტირებისადმი დადგენილი მოთხოვნები. გათვალისწინებული უნდა იქნეს სურსათის არა მარტო შესაძლო ხანმოკლე, მყისიერი ან გრძელვადიანი გავლენა, არამედ ეფექტი მომავალ თაობაზე, კუმულაციური ეფექტი, განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის ხარისხი და სხვა.

საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირებული მნიშვნელოვანი სიახლეა მოთხოვნები საფრთხეების შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მწარმოებელი ვალდებულია, დანერგოს საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემა, განსაზღვროს წარმოებულ პროდუქციასა და ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეები, დაადგინოს კრიტიკული საკონტროლო წერტილები და შეიმუშაოს მონიტორინგისა და მაკორექტირებელი ქმედებების პროცედურები.

დადგენილია სურსათის ხარისხის რეგულირების საკითხები, რომლის თანახმად, მწარმოებელს (ბიზნესოპერატორს)/დისტრიბუტორს უფლება აქვს გაყიდოს ან შეიძინოს ნებისმიერი ხარისხის სურსათი, თუ იგი აკმაყოფილებს უვნებლობის დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო სახელმწიფო კონტროლი ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში, რომელიც ხორციელდება საცალო

ვაჭრობის დონეზე, მოიცავს დადგენილი წესით ნიმუშის აღებას და ლაბორატორიული გამოცდის ჩატარებას, ასევე დოკუმენტური მასალის შემოწმებას. სურსათის სახელწიფო კონტროლის მიზნით აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზი ტარდება სპეციალურად შერჩეულ დასახელებულ საგამოცდო ლაბორატორიაში, რომლის ნუსხას აქვეყნებს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს ჩამოთვლილ ქმედებათაგან ერთ-ერთს ან მათ ერთობლიობას. ეს ქმედებებია: ა) ინსპექტირება; ბ) დადგენილი წესით ნიმუშის აღება; გ) პერსონალის ჰიგიენის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება; დ) მონაცემებისა და დოკუმენტური მასალის შემოწმება.

სახელმწიფო კონტროლის მიზნით განხორციელებული ინსპექტირების დროს უფლებამოსილი მოხელის მიერ შემოწმებას ექვემდებარება სურსათის წარმოების ადგილი, საწარმოს, ოფისების, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და გამოყენების პირობები, ასევე ნედლეული, ინგრედიენტები, ნახევარფაბრიკატები, ტექნოლოგიური საშუალებები და სხვა პროდუქტები, სურსათთან შეხებაში მყოფი მასალები და საგნები, სარეცხი სადეზინფექციო საშუალებები, სურსათის მიმოქცევის ეტაპები და ეტიკეტი.

სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რაც შეეხება მონიტორინგს, იგი ტარდება ხარისხობრივ და უვნებლობის პარამეტრებზე სისტემატური დაკვირვებით, სარეალიზაციო ობიექტებიდან ნიმუშის აღებისა და მათი ლაბორატორიული შემოწმების გზით, რომლის დროსაც მიღებული შედეგები გამოიყენება რისკის შესაფასებლად. დადგენილია რეფერენტული გამოცდების ჩატარების, სურსათთან დაკავშირებული საგანგებო ზომების ორგანიზებისა და კრიზისული მდომარეობის მართვის საკითხები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციები სურსათის უვნებლობის სფეროში. კერძოდ:

- სურსათის უვნებლობის პარამეტრებისა და მახასიათებლების განსაზღვრა;
- ჯანსაღი კვებისა და სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება;
- ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობა.

ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურება კანონის მიღებიდან დღემდე სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტები⁸⁵.

⁸⁵ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი (2005 წლის 28 დეკემბერი); „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნები“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის 2-231 ბრძანება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 301/6 – „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ (2001); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 311/6 „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესები და ნორმები“ (2001); „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნები“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის 2-231 ბრძანება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის 182/6 ბრძანებით დამტკიცებული „სურსათ-

როგორც ევროკავშირის ქვეყნებში არსებულმა სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური რეგულირების გამოცდილებამ გვჩვენა, რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის უმთავრეს მიზანს შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს. რეფორმა გულისხმობს ადეკვატური სასურსათო უსაფრთხოების მართვის ერთიანი სისტემის შექმნას, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. საერთაშორისო და ევროკავშირის გამოცდილება იძლევა საშუალებას, რათა განისაზღვროს რეალური მიდგომები ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მარეგულირებელი თანამედროვე და ეფექტიანი სამსახურის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც შეაფასებს სასურსათო უსაფრთხოების შესახებ არსებულ მდგომარეობას და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს.

ინსტიტუციური რეფორმა საქართველოში ძირითადად მიჰყვება იმ გამოცდილებას, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში არის მიღებული. თუმცა, საქართველოში ამ საქმეში ძირითადად ჩართულია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან არსებული სურსათის ეროვნული სააგენტო, საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი. საქართველოში, რისკის კონტროლის სისტემა შიდა და გარე კონტროლის სისტემებად არის გათიშული. შიდა კონტროლზე პასუხისმგებელია სურსათის ეროვნული სააგენტო. გარე კონტროლი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის პრეროგატივას წარმოადგენს, რომელიც პასუხისმგებელია საზღვრებზე ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელებაზე, რაც უმეტეს წილად დოკუმენტური კონტროლის, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული სერტიფიკატებისა და ნებართვების შემოწმებით შემოიფარგლება და საბაჟო ლაბორატორიების არარსებობის გამო მოკლებულია ლაბორატორიული კონტროლის შესაძლებლობას. მოუწესრიგებელია კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი საბაჟო ინფრასტრუქტურაც. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით რისკის შეფასებისა და რისკის მენეჯმენტის საკითხებში არ არის ჩართული ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც სხვა ქვეყნებში არა მარტო სურსათის სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება ევალება, არამედ მომხმარებლის ინტერესების დაცვაც, რომელიც ჩვენს შემთხვევაში შეიძლება საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ იქნეს განხორციელებული (რომელიც ამჟამად დამოუკიდებელ უწყებას წარმოადგენს). ქვეყანაში ყურადღების მიღმა არის დარჩენილი სურსათთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკების შეფასების საკითხები, ასევე, სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასება, რომელიც კლიმატის ცვლილების გავლენით შეიძლება ჩამოყალიბდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რისკების მართვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უშუალო პრეროგატივას წარმოადგენს. სამინისტრო ასევე აუცილებლად უნდა იქნეს ჩართული სასურსათო უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგის საკითხებში, შესაბამისად, ქვეყანაში აუცილებელია მოინახოს ინსტიტუციური ჩარჩოები, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, გაითვალისწინოს სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და მართვის ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი ასპექტები. იმისათვის რომ ქვეყანაში არ მოხდეს ისეთი საქონლის შემოტანა, რომელიც საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, უნდა აღდგეს და ფუნქციონირება დაიწყოს საბაჟო ლაბორატორიებმა, ასევე

თან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები“; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 1.

აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების სრულყოფილი ინფორმაციული სისტემების ჩამოყალიბება, საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევა, საბაჟო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებული სისტემური ღონისძიებების გატარება.

განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს ინფორმირებულობაზე უფლების რეალიზაცია, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს უნდა გააჩნდეს საკმარისი ინფორმაცია, რათა შეძლოს სურსათისა და მისი ხარისხის შეფასება, მსგავსი სასურსათო პროდუქტების შედარება და შესაბამისად თავისი სურვილისამებრ არჩევა და გამოყენება. ამისათვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია წარმოების ეტიკეტი, იგი უნდა იყოს მკაფიო, გასაგები, სანდო და შეიცავდეს მომხმარებლისათვის საჭირო ყველა სახის ინფორმაციას.

სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი პოლიტიკის განმახორციელებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა. სურსათის ფასები, სურსათის წარმოება, საგარეო ვაჭრობა და სურსათის ექსპორტ/იმპორტის მდგომარეობა. სურსათზე მისაწვდომლობა უნდა დახასიათდეს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა საშუალო თვიური მედიანური სამომხმარებლო ხარჯები გეოგრაფიული მდებარეობისა და კონტილური ჯგუფების მიხედვით, სასურსათო ხარჯების ხვედრითი წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში, სიღარიბის ოფიციალურ ზღვარზე დაბალი სამომხმარებლო ხარჯების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წილი და განაწილება, კალორიების მედიანური მოხმარება, შერჩეულ ზღვრებზე დაბალი კალორიების მოხმარების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი და განაწილება ქალაქ/სოფლისა და რეგიონულ ჯრილში, დიეტის შემადგენლობა (კალორიების მოხმარების მაჩვენებლები პროცენტულ გამოსახელებაში), მოსახლეობის საშუალო დიეტის შემადგენლობა (კალორიების მოხმარების %), როგორც სასურსათო დანახარჯების პროცენტი. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობის ანალიზს, რისთვისაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით აღდგა სურსათის ბალანსების წარმოება და განხორციელდა მისი მეთოდოლოგიის შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიო სტანდარტებთან, რაზეც 2000-2004 წლებში საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარდა არაერთი საერთაშორისო კონფერენცია მსოფლიოს 18 ქვეყნის, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის, ასევე აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ექსპერტთა მონაწილეობით⁸⁶. მნიშვნელოვანი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მოსავლის პროგნოზირების მეთოდოლოგიისა და ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემების დანერგვის მიმართულებით. მთავრობამ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს სურსათით დაუცველობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გატარებული სოციალური პოლიტიკის ანალიზს, გაწეული სასურსათო დახმარების განაწილებას რეგიონების, ასევე დონორების

⁸⁶ საქართველო: სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში. სტატისტიკური ბიულეტენი, N1-19, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამომცემლობა. თბილისი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, 2000-2005 წწ. რედაქტორი ე. ჩიქოვანი.

მიხედვით, სასურსათო დახმარების განაწილებას დახმარების მიმღები ჯგუფების მიხედვით და სხვა. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ისეთი სპეციალური საკითხების კვლევას, როგორცაა გვალვა და მისი გავლენა სურსათით უზრუნველყოფაზე, ადრეული გაფრთხილების ინფორმაციული სისტემის დანერგვას და მის დაკავშირებას კლიმატის ცვლილებებთან და შესაბამის აგრარულ პოლიტიკასთან, რაც კვლევის ერთ-ერთ სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

Elene Chikovani

INSTITUTIONAL REGULATION OF THE FOOD SECURITY IN GEORGIA

Annotation

The article is devoted to the problems of institutional regulation of the food security in Georgia. The concept of food security is characterized. Different aspects of food security - food availability, food accessibility and food consumption are evaluated. The article characterizes circle of the complex problems related to the sustainable economic development including quality of the goods produced, food safety, malnutrition, health protection, ecology and trade. The article underlines problems related to the institutional regulation of the food security in Georgia. The measures of improvement of the food security institutional regulation in the country are given.

ნათელა ჯანელიძე

ინსტიტუციური ტერიზმი და მისი როლი სოციალურ ეკონომიკაში

საქართველოს ეკონომიკაში ტერიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად მიიჩნევა, რადგან საქართველო მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით არის გამორჩეული. საქართველოში 102 კურორტი და 340 საკურორტო ადგილია, უმდიდრესი პიდრომინერალური რესურსები, სამკურნალო კლიმატი, კონტრასტული ბუნება და თვალწარმტაცი ლანდშაფტი, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების მრავალფეროვნება, საზღვაო და მთის კურორტები ინვესტიციების დაბანდების ფართო არჩევანს იძლევა. მდგრადი ტურისტული განვითარება, ტურისტების რაოდენობის ზრდა, პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიზმის განვითარება მაღალმთიანი რეგიონებისათვის, სოფლად, რაც ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობას. დღეს ქართული სოფელი ცხოვრობს არა ფერმერობითა და პლანტატორობით, არამედ პენსიით, რადგან იქ რეალურად დარჩენილი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საპენსიო ასაკშია. სოფლის მეურნეობა ამ გლეხებს შესაძლოა დაეხმაროს მხოლოდ იმაში, რომ პროდუქტის გაყიდვით საარსებო მინიმუმამდე შეივსონ თანხა, რომელსაც პენსიის სახით იღებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში პენსია 180 ლარს შეადგენს, შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისათვის (800 000-ზე მეტი პენსიონერისათვის) ამ თანხებით დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელია. პროდუქტის მისაღები ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა. ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს. მეწარმე დამსვენებელს, სოფლად ტურისტულ მომსახურებასთან ერთად, სთავაზობს ადგილობრივ

ტრადიციულ პროდუქტებს. პროდუქტი ადგილზე რეალიზდება, ანუ მყიდველი თავად მიდის მიმწოდებელთან, რაც სარეალიზაციო ხარჯებს ამცირებს და „უხილავი ექსპორტის“ სახედ გვევლინება. ტურისტი ტურისტულ მომსახურებაში იხდის უცხოურ ვალუტას (ან უკვე კონვერტირებულ ვალუტას) და ქვეყანაში შემოაქვს სავალუტო შემოსავალი. ტურიზმის წარმატებით განვითარება განსაკუთრებით მთიან რეგიონებში და სოფელ ადგილებში, ასტიმულირებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, ხალხური რეწვის განვითარებას, კულტურათაშორის გაცვლას, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, განათლებას საკუთარი ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას, სეზონური მიგრაციის შესაძლებლობას.

ტურიზმის ეკონომიკური ფუნქციები კი ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანაა, ვიზიტორებისთვის ერთგვარი აღმოჩენა, რომელიც თავის პოტენციალითა და მრავალფეროვნებით ქვეყნის განვითარების მონახულების სურვილს აღძრავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ტურიზმის ზრდა გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე მსოფლიო ტურიზმისა. ეს ტენდენცია აისახა მსოფლიო მოგზაურების რაოდენობაში საქართველოს უცხოელი მოგზაურების წილში.

საერთაშორისო მოგზაურების სტატისტიკა შესაძლებელია მიმოვიხილოთ ციფრებში 2007-2015 წლების მიხედვით. მსოფლიოს და საქართველოს ზრდის ტემპები აჩვენებს, რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადში მოგზაურების რაოდენობა საქართველოში გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მსოფლიოში. 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როცა მსოფლიო საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 4%-ით დაეცა, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა საქართველოში 37%-ით გაიზარდა. 2007 წ. – 184 934; 2008 წ. – 253 675; 2009 წ. – 239 621; 2010 წ. – 343 922; 2011 წ. – 485 835; 2012 წ. – 677 204; 2013 წ. – 935 358; 2014 წ. – 1 010 323; 2015 წ. – 986 363. აღნიშნულ წლებში პროცენტული ზრდა შემდეგი სახით გამოსახება: 2007-2008 წწ. – 37%; 2008-2009 წწ. – 6%; 2009-2010 წწ. – 44%; 2010-2011 წწ. – 41%; 2011-2012 წწ. – 39%; 2012-2013 წწ. – 38%; 2013-2014 წწ. – 8%; 2014-2015 წწ. – 7%. კვლავ ლიდერ პოზიციას იკავებს ხუთი ქვეყანა: სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა. მათგან აღსანიშნავია 14,1%-იანი ზრდა რუსი მოგზაურების, 10,8% – სომეხი, 8,6% – აზერბაიჯანელი. კლების ტენდენცია შეიმჩნევა უკრაინასა და თურქეთთან მიმართებაში, შესაბამისად – 3,5% და 1,2%.

საერთაშორისო ვიზიტორის საშუალო ხარჯი საქართველოში 536 ლარია. ვიზიტორების ხარჯების უდიდესი წილი (23%) მოდის საკვებსა და სასმელზე, 18% კი – შოპინგზე. ხარჯების დაახლოებით იგივე წილი აღინიშნება განთავსების საშუალებებზე – 18%, მაშინ, როცა მათი თანხების 7% ადგილობრივ ტრანსპორტზე იხარჯება. განთავსების ადგილების საშუალებები რაოდენობის მიხედვით 1 310 შეადგენს, საწოლი ადგილების მიხედვით 46 363, აღნიშნულ მაჩვენებელში აჭარის რეგიონი ლიდერია, მასზე განთავსების საშუალებების 23% მოდის.

საერთაშორისო შემოსავლების სტატისტიკა 2007-2014 წლებში შედგენს: 2007 წ. – 1 051 749; 2008 წ. – 1 290 108; 2009 წ. – 1 500 049; 2010 წ. – 2 031 717; 2011 წ. – 2 822 363; 2012 წ. – 4 428 221; 2013 წ. – 5 392 303; 2014 წ. – 5 515 559.

2015 წ. – 5 901 094 ლარს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4,7%-ით აღემატება.

„საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ინვესტიციები საქართველოს ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციისათვის შეადგენს 2 721,1 ათას ლარს, მარკეტინგული ღონისძიებებისთვის განხორციელებული ინვესტიციები 8 526,7 ათას ლარს, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის 1 182 ათასი ლარია, რომელიც ემსახურებოდა: ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარებას და არსებულის დივერსიფიკაციას; ტურისტულად მიმზიდველი ადგილების პოპულარიზაციას შიდა და საერთაშორისო ბაზარზე; შიდა და საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესებას, ცნობადობის ამაღლებას და შესაბამისად ტურისტული ნაკადების ზრდას; ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ზრდას.

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით ჩატარდა 19 საერთაშორისო გამოფენა, 46 პრეს- და გაცნობითი ტური და 2 საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია.

ჩატარებული ტურისტული კვლევების შედეგად გამოვლინდა ტურიზმის სექტორში არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას:

1. სერვისის დაბალი დონე – მომსახურების სფერო. საჭიროა ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს საინვესტიციო პროექტები, რომლებიც გამოიხატება მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრებისათვის სპეციალური გადამზადებელი პროფესიული ჯგუფების შექმნით. ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც დასაქმებული არიან მომსახურების სფეროში, უნდა გადამზადდნენ უცხოელი ექსპერტების მეთვალყურეობით და მათი რჩევების გათვალისწინებით.

2. ინფრასტრუქტურის სიმცირე, რაც ცხელ სეზონზე ფასების ზრდას განაპირობებს და შიდა ტურიზმის პოტენციური მომხმარებლები ხშირ შემთხვევაში ამჯობინებენ სხვა ქვეყნებში, (მაგალითად თურქეთში, ეგვიპტეში და ა.შ.) დასვენებას უფრო კომფორტულ, უსაფრთხო გარემოსა და დაბალ ფასებში. სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, რათა აშენდეს ორ, სამგარსკვლავიანი სასტუმროები საშუალო ფენებისათვის. ბოლო პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობაში („შერატონი“, „ჰილტონი“, „რედისონი“ და ა.შ.).

3. სასტუმროების და რესტორნების სტანდარტების შემუშავება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

4. მეტი ინვესტიციის ჩადებას საჭიროებს ინფრასტრუქტურა (გზები, საკანალიზაციო არხები, საქალაქო ტრანსპორტი).

5. მიუხედავად „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ მიერ განხორციელებული მარკეტინგული სამუშაოებისა, სასურველია ჩატარდეს კიდევ უფრო მასშტაბური მარკეტინგული კამპანიები, ახალი ბაზრების ათვისება და ტურისტული პროდუქტების განვითარება. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს გამარტივებული სავიზო რეჟიმი აქვს 87 ქვეყანასთან. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომელთა მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით შეუძლიათ. მოგზაურთა რაოდენობის სტრუქტურა მეზობელი ქვეყნებიდან შეადგენს 91%-ს, სხვა ქვეყნებიდან 9%-ს.

6. საჭიროა გონივრული და დროული სარეკლამო კამპანიების წარმოება შიდა და გარე ბაზარზე, პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზება, საერ-

თაშორისო გამოფენა-ბაზრობებში კიდევ უფრო აქტიურად ჩართვა, ბექტური მასალების გავრცელება. სწორი ბაზრების არჩევა მარკეტინგის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ამიტომ სახელმწიფო არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტრირებული უნდა იყოს ახალი ბაზრების ათვისებაზე.

7. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი ქვეყნის ცნობადობის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის დადებითი მხარეების სწორი წარმოჩინებისათვის, ქართული სახელმწიფოს ბრენდების, როგორცაა: მინერალური წყლები, ღვინო, ციტრუსი და ა.შ. კიდევ უფრო პოპულარიზაცია, ხარისხის მაღალი სტანდარტული მოთხოვნების დაკმაყოფილება. მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების მაქსიმალური გამოყენება და ახალი ტურისტული პროდუქტების, რესურსების შეთავაზებით შესაძლებელია სხვადასხვა ინტერესების მქონე ტურისტების მოზიდვა.

ტურიზმის განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მდგრად განვითარებას, ქვეყნის იმიჯს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, საგადასახადო სისტემას და სხვა მრავალ ფაქტორს რაც აუცილებელია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით მასტიმულირებელი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს გონივრული ღონისძიებების გატარებით, საკანონმდებლო ბაზების შექმნით, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, სანიტარული ნორმების დაცვით (რითაც ქართველები, სამწუხაროდ, ვერ ვიამაყებთ), კრიმინოგენური მდგომარეობის შენარჩუნებით და გაუმჯობესებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად გაიზრდება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციები. ტურიზმის გავლენა ეკონომიკაზე ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივია, ეს გამოიხატება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. პირდაპირი ზრდა გულისხმობს სახელმწიფო და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, დასაქმებას. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება ტურიზმის განვითარებით ეკონომიკის სხვა დარგების სტიმულირებაში. რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., არაბული კ., გრძელიშვილი ნ. საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2012, გვ. 357-366.
2. ჯანელიძე ნ. სოციალური ინვესტირების თანამედროვე ფორმები საქართველოში. ქუთაისი, 2013, გვ. 137.
3. ჯანელიძე ნ. ინვესტიციები ტურიზმში როგორც ქვეყნის ეკონომიკის მასტიმულირებელი ფაქტორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, V საერთაშორისო კონფერენცია, გვ. 98.
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
<http://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/>

Natela Janelidze

INVESTMENTS IN TOURISM AND ITS ROLE IN THE SOCIAL ECONOMY

Annotation

Tourism is considered to be one of the priority sectors of the economy, as Georgia is distinguished by unique tourism potential and diversity of the world. Increasing number of tourists directly affects the country's socio-economic development. The investments of “ The National

Tourism Administration " are 2721,1 thousand for tourism development and promotion, 8 526,7 thousand for marketing activities, 1 182 thousand for the local tourism development.

Tourism is an important emphasis on sustainable development at all stages of development, the country's image, economic and political stability, the tax system and other factors, which are essential for the creation of an attractive investment environment. Tourism impact on the economy is large-scale and diverse, it is expressed by direct or indirect influence. The direct growth implies the increase of state and budget revenues, employment. Indirect impact is reflected in other economic sectors, to stimulate the development of tourism, which ultimately will lead to social and economic prosperity.

*სოფიკო ჯვარშიეშვილი
უნა გოგიშვილი*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტების ანალიზი

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტები შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც მაკროეკონომიკურ, ასევე ცალკეული მრეწველობის და კომპანიების დონეზე. ნაშრომში წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში, პირდაპირი უცხოური და პირდაპირი შიგა კაპიტალდაბანდებების ურთიერთკავშირი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა დასაქმებაზე, ტექნოლოგიების შემოდინება და მასთან დაკავშირებული შიგა კომპანიების მწარმოებლურობა, ასევე, ადგილობრივ ბაზარზე შიგა ფირმების კონკურენცია სხვა უცხოურ კომპანიებთან მიმართებაში.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება, როგორც საერთაშორისო კაპიტალის გადაადგილების ერთ-ერთი შესაძლებლობა⁸⁷. ლიპსეი⁸⁸ აღნიშნავს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენს კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების მოცულობის მეოთხედს და მათი მნიშვნელობა წარმოების დაფინანსებაში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში იზრდება⁸⁹. რაზინმა⁹⁰ ემპირიულად წარმოადგინა 64 განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე, რომ პორტფელური ინვესტიციებისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში გაცილებით მეტია, ხოლო რაისენმა და სოტომ⁹¹ 44 განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე დაასკვნეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სასესხო კაპიტალთან შედარებით, უფრო სტიმულირებენ ეკონომიკურ ზრდას. სხვადასხვა ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიგა პროდუქტში მკვეთრად განსხვავდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს

⁸⁷ Blanchet M., Burr ridge P., Claessens S., Fry M., Foreign Direct Investment, Other Capital Flows, and Current Account Deficit: What Causes what?// The World Bank, October 1995, Working Paper.

⁸⁸ Lipsey R., The Role of Foreign Direct Investment in International Capital Flows//NBER Working paper 7094, , April 1999.

⁸⁹ Goldberg L., Klein M., International Trade and Factor Mobility: An Empirical Investigation// NBER Working Paper, jun 1999, W7196, <http://papers.nber.org/papers/w7196>.

⁹⁰ Razin A., FDI Contribution to Capital flows and investment in capacity//NBER Working Paper 9204, 2002.

⁹¹ Reisen, Helmut,Soto,Marcelo, Which types of capital inflows Foster Developing-Country Growth?//International Finance; Apr 2001, vol.4 Issue1, pp1-14.

აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის როგორც ეკონომიკურ⁹², ასევე სოციალურ განვითარებაზე⁹³, რაც აიძულებს მთავრობას, გაითვალისწინოს მათი მნიშვნელობა სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში⁹⁴. ამასთან ერთად, თანამედროვე ნაშრომებში აღინიშნება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნების საერთაშორისო ინტეგრაციას⁹⁵ და გლობალიზაციას⁹⁶. მოზისის მოსაზრების თანახმად⁹⁷, „ინტერნაციონალიზაცია არ გამორიცხავს ხარისხობრივ განსხვავებებს მსოფლიო ეკონომიკის ცალკეულ კომპონენტებს შორის. რაციონალური ეკონომიკები სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება, ძირითად შემთხვევაში ეს კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებზეა დამყარებული. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმდებარე ქვეყნის ეკონომიკაზე განსხვავებულია. აღნიშნული დამოკიდებულება უცხოელი ინვესტორების მოტივაციაზე, იმაზე, თუ რა მიზნები ამოძრავებს მიმდებარე სახელმწიფოს და როგორ პოლიტიკას ეწევა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება და როგორც იოჰუკის, კვანინას ანალიზმა გვიჩვენა⁹⁸ და ლიპსეის⁹⁹ მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში, ფინანსური კრიზისის პირობებში სხვა ფორმის კაპიტალდაბანდებაზე განსხვავებით, სტაბილურია. ამავე დროს, შნიცერის მოსაზრებით¹⁰⁰, ინვესტორის მხრიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უფრო რისკიანია ვიდრე სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები. სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება ეხებოდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მოიხიდავენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს¹⁰¹ მაგალითად: ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატის ჩამოყალიბება¹⁰² და სხვადასხვა სახის სუბსიდიების მიწოდება¹⁰³, კორუფციის შემცირება ბიუროკრატიული პროცედურების ფონზე, კომერციული საქმიანობის

⁹² Blomström M., Kokko A., How Foreign Investments Affects Host Countries// The World Bank, NZ March 1997; Cypher J., Dietz J., The Process of Economic Development// Routledge: UK; 2002; Meier G., The Economics of Development theory and Policy // Harper 1968.

⁹³ Blomstrom M., Host Country benefits of foreign investment // NBER Working paper series no.3615; Blonigen B., Figlio D., The effects of direct foreign investment on local communities// NBER Working paper, jul 199, W 7274.

⁹⁴ Thomsen S., Southeast Asia: the Role of Foreign Direct Investment Policies in Development// OECD 1991/1; Kawaguchi O., Foreign Direct Investment in East Asia: Trends, Determinants and Policy Implications // World Bank Internal Discussion Paper 1994, no. IDP-139.

⁹⁵ Blomström M., Konan D., Lipsez R., FDI IN THE Restructuring of the Japanese Economy// NBER Working Paper 7693 May 2000; Egger, P. 2000 “Economic Integration in Trade and Foreign Direct Investment: Dynamic Considerations of Potential and Adjustment.” Journal of international Relations and Development 3, no.2: 173-183; Repkine A., Walsh R., European Trade and Foreign Direct Investment: Theory and Evidence// IMF Working paper, NY October 1998, WP/98/150.

⁹⁶ Thomsen S., Investment Patterns in a Longer-Term Perspective//OECD 2000/2.

⁹⁷ Мозиас П., Прямые иностранные инвестиции: современные тенденции//М., 2002 г. - Стр. 1.

⁹⁸ Иовчук, С.М.; Квашнина И.А., Российский кризис и международное движение капитала// Проблемы прогнозирования. – М., 1997. Вып. 2. стр. 80-89.

⁹⁹ Lipsey R.E. Foreign Direct Investors in the Financial Crises// Working Paper 8084, 2001.

¹⁰⁰ Schnitzer M. Foreign Direct Investment: The Impact of Sovereign Risk on the Structure of international capital flows//Economic ; Feb. 2002 Vol. 69 Issue 273, pp. 41-67.

¹⁰¹ Blomstrom M., Kokko A., The Economics of Foreign Direct Investment Incentives// NBER Working Paper. 9489, 2003

¹⁰² Lim D., Fiscal incentives and direct foreign investment in less developed countries// Journal of Development Studies, Bradford, 1983, vol. 19, no.2 pp. 207-212.

¹⁰³ Strange R., Production Subsidies Local Content Requirements and Foreign Direct Investment: A theoretical Analyses//kobe economic analysis Business Review, Kobe 1995, no.40-pp.129-141.

ხელშეწყობა¹⁰⁴, ასევე იმპორტსა და ექსპორტზე ტარიფების რეგულირება უცხოური წარმოების (იმპორტის ჩანაცვლების) ხელშეწყობის მიზნით¹⁰⁵. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირად მიზანმიმართულია არა მხოლოდ იმპორტის ჩანაცვლებაზე¹⁰⁶, არამედ წარმოების ორგანიზებაზეც. თავის მხრივ წარმოება ორიენტირებულია გამოშვებული პროდუქციის შემოდგომ ექსპორტზე¹⁰⁷. ბაიუმიმ და ლიპვორსმა¹⁰⁸ განსაზღვრეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გრძელვადიანი გავლენა გააჩნია იმპორტზე, ხოლო მოკლევადიანი გავლენა – ექსპორტზე. ამავე დროს, როგორც დევერის და რობერტსონის კვლევებში ჩანს¹⁰⁹, იმპორტზე დაბალი, ხოლო ექსპორტზე მაღალი ტარიფების პირობებში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიყვავართ ქვეყნის კეთილდღეობის შემცირებისაკენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და პირდაპირი შიგა ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და პირდაპირი შიგა ინვესტიციების ურთიერთქმედებას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც ურთიერთდამატებითი, ასევე ურთიერთჩანაცვლებითი ხასიათი, რაც თეორიულ მოდელებში ასახავს მათ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. შიგა ინვესტიციების ჩანაცვლება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, უარყოფით შედეგებს იწვევს. შიგა ინვესტიციების შევსება უცხოური ინვესტიციებით ნიშნავს, რომ თუ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შემოაქვს ინოვაციები, მაშინ შესაძლებელია, რომ უკუგება ძველი ტექნოლოგიებიდან გაიზარდოს. ამ შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კაპიტალური რესურსების მოცულობას, რომელიც ხელმისაწვდომია წარმოების განვითარებისათვის, როგორც პარისონი, ლავი და მაკმილანი¹¹⁰ ადასტურებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აფართოებენ ინვესტიციურ შეზღუდვებს. ასე რომ, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ზრდაზე, მაშინ ისინი გარკვეულ ეტაპამდე შიგა კაპიტალდაბანდებისათვის უნდა იყვნენ ურთიერთშემავსებელი¹¹¹. ზოგადად, ინოვაციური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკის მწარმოებლურობაზე დადებითია, ამ შემთხვევაში ძველი ტექნოლოგიები ეტაპობრივად ჩანაცვლდება ახალი ტექნოლოგიებით¹¹². ენდოგენური

¹⁰⁴ Smarzynska B., Wei Sh., Corruption and Composition of Foreign Direct Investment: Firm-Level Evidence// NBER Working Paper, Oct 2000.

¹⁰⁵ Belderbos R., Antidumping and Tariff Jumping: Japanese Firms DFI in the European Union and United States// Weltwirtschaftliches Archiv, Tuebingen 1997; Qing Zhang; Felmingham, Bruce. The Role of FDI, Exports and Spillover Effects in the Regional Development of China//Journal of Development Studies, Apr.2002, Vol.38 Issue 4.

¹⁰⁶ Kyrkilis D., Pantelidis P., Foreign Direct Investment and Trade Patterns of Eastern European Economies// Economia Internazionale, Geneva 1995, vol.48, no.3, pp.1-16; Nakamura Sh., Oyama T., The Determinants of Foreign Direct Investment from Japan and the United States to East Asian Countries, and the Linkage between FDI and Trade, Bank of Japan Working Paper.

¹⁰⁷ Kojima K, International Trade and Foreign Investment: Substitutes of Complements// Hitotsubashi Journal of Economics, June 1973.

¹⁰⁸ Bayoumi T., Lipworth G., Japanese Foreign Direct Investment and Regional Trade// IMF Working Paper, Asia Pacific Department 1997.

¹⁰⁹ Devereux J., Roberts B., Direct Foreign Investment and Welfare in the Transforming Economies: The Case of Central Asia// Journal of Comparative Economics, 1997.

¹¹⁰ Harrison A.E. Love I., McMillan, M.S. Global Capital Flows and Financial Constraints// NBER Working Paper 8887, 2002.

¹¹¹ Fry M., Foreign Direct Investment, Financing and Growth// in Fisher B., ed. Investment and Financing in Developing Countries, Baden-Baden 1994, - pp.181-214.

¹¹² De Mello, Luiz R., Foreign direct investment in developing countries and growth: A selective survey. // Journal of Development Studies, Oct97, Vol.34 Issue pp. 1-34.

ზრდის თეორიის მიხედვით, ქვეყნები იყოფა ორ ჯგუფად: განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები – ტექნოლოგიური ლიდერები და განვითარებადი ქვეყნები – ტექნოლოგიური მიმდევრები¹¹³. განვითარებადი ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხდება ძველი ტექნოლოგიების ახლით ურთიერთშევისება. განვითარებულ ქვეყნებში კი პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩაანაცვლებს შიგა ინვესტიციებს. ამ ქვეყნებში განვითარება ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და მწარმოებლურობის ზრდით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას, რაც აიძულებს შიგა კომპანიებს ეფექტიანი მუშაობის ან გაკოტრებისკენ. მეცნიერმა დე გრიგორიომ¹¹⁴ 1992 წელს ჩაატარა ემპირიული კვლევა, თუ როგორი ზეგავლენა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს პირდაპირ შიგა ინვესტიციებზე. მან დაამტკიცა, რომ უცხოური და შიგა კომპანიების კონკურენციის შედეგად ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, რომ შიგა კომპანიები ბაზრიდან გამოიდევნონ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ავსებს შიგა ინვესტიციებს, ახალი ტექნოლოგიების დაბანდებით ხელს უწყობს მწარმოებლურობის ზრდას. მან აღნიშნა ასევე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდა 1 დოლარით იწვევს შიგა ინვესტიციების ზრდას 1 დოლარზე მეტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

თანამედროვე ლიტერატურაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აღნიშნულია, როგორც ძალის და ეფექტურობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე¹¹⁵. არსებობს კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და კვალიფიციურ პერსონალს შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირ კავშირშია მიმღები ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასთან¹¹⁶. ასევე აღსანიშნავია, რომ ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო ეფექტურია ვიდრე შიგა ინვესტიციები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიმღებ სახელმწიფოში არსებობს მინიმალური ადამიანური კაპიტალის ფონდი¹¹⁷. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ უცხოური კაპიტალით დაფუძნებულ ორგანიზაციებში ხელფასი უფრო მეტია ვიდრე საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით არსებულ რეზიდენტ ორგანიზაციებში, რაც ზრდის მოსახლეობის გადახდისუნარიანობას და შესაბამისად

¹¹³ Choe, J.I Do Foreign Direct Investment and Gross Domestic Investment Promote Economic Growth?//Review of Development Economics; Feb2003, Vol.7 Issue 1,p44, 14p.; Borensztein E., de Gregorio J., Lee J., How Does Foreign Direct Investment Affect Growth?//NBER Working Paper no.5057, 1995.

¹¹⁴ De Gregorio J., Economic growth in Latin America// Journal of development economics, July 1992, no. 39, pp. 58-84.

¹¹⁵ Bertschek I., Product and Process Innovation as a Response to increasing imports and FDI// Journal of industrial economics, Oxford, 1995.

¹¹⁶ Borensztein E.,de Gregorio J., Lee J., How does foreign direct investment affect growth?// NBER Working Paper no.5057, 1995.

¹¹⁷ Barell R., Pain N., Foreign Direct Investment, technological change, and economic growth within Europe// The Economic journal, November 1997, vol.107, no.445- pp. 1770-1786.

სამომხმარებლო საქონლის წარმოებას¹¹⁸. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადებითი გარე ეფექტის გავლენა დამოკიდებულია, თუ რომელ დარგშია თავდაპირველად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიმართულია დარგში, რომელიც ექსპორტთან არის დაკავშირებული, მაშინ მათი დადებითი გავლენა ეკონომიკაზე იქნება მინიმალური. ხოლო თუ გააზრებული სწორი პოლიტიკის შედეგად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხორციელდება იმ დარგში, რომელის წარმოებაც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მათ ექნებათ მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე იყო ემპირიულად გამოკვლეული ბილშოვსკის¹¹⁹, კოკოს, ტანზინის, ზეხანის¹²⁰ და რამირესის¹²¹, ბაკკლის, კლეგტის და ვანგის¹²² მიერ. მიღებულ იქნა შედეგი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილი შრომის მწარმოებლურობაში დადებით დამოკიდებულებაშია წარმოების სიმძლავრესა და საწარმოს კაპიტალშიარაღებაზე. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო განიცდის ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, მაშინ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება დამოკიდებულია საწარმოს სიდიდეზე, საწარმოში დასაქმებულები მენეჯერების რაოდენობის წილზე და ახალ ტექნოლოგიებზე გაწეულ ხარჯებზე ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღსანიშნავია ასევე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს სამუშაოს ადგილების ოდენობაზე¹²³, ასევე მცირე ფირმებში დასაქმებულების რაოდენობაზე მათი გავლენა უარყოფითია – აღნიშნავს ბრაუნი¹²⁴. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოთხოვნის ზრდა განვითარებად ქვეყნებში ქმნის სტიმულს დამატებითი განათლებული პერსონალის მიღებაზე. მიშემ¹²⁵ აღნიშნა, რომ მოთხოვნა მაღალ კვალიფიციურ პერსონალზე არის არა მხოლოდ უცხოური კომპანიების მხრიდან, არამედ ადგილობრივების მხრიდანაც, რომელთაც აქვთ წვდომა ახალ ტექნოლოგიებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფომ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში იმისათვის, რომ ინვესტირება ხდებოდეს დარგებში განსაკუთრებული მაღალი დამატებითი ღირებულების უკუგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც აღნიშნულია მაკკაუსლანდის და გაციგ-

¹¹⁸ Sjolholm F., Joint Ventures, technology transfer and spillovers: Evidence from Indonesian Establishment Data// Tokyo, 1998, Economic planning agency - pp.193-227.

¹¹⁹ Bielschowsky R., Two studies on transnational corporations in the Brazilian manufacturing sector: The 1980s and Early 1990s//Division of Production, productivity and Management Working Paper no.18, ECLAC, 1994.

¹²⁰ Kokko A., Tansini R., Zehan M. Local technological capability and productivity spillovers from FDI in the Uruguayan Manufacturing Sector// Journal of development studies, Bradford 1996, vol.32, no.2 – pp.602-611.

¹²¹ Ramirez, Miguel D., Foreign direct investment in Mexico: A co-integration analyses// Journal of development studies; Oct. 2000, Vol.37 Issue 1, pp.138-161.

¹²² Buckley, Peter J; Clegg Jeremy; Wang, Chengqi, The impact of inward FDI on the performance of Chinese Manufacturing Firms//. Journal of international business studies, 2002 4th Quarter, Vol. 33 Issue 4, pp.637-646.

¹²³ Egger, P. 2000 “Economic Integration in Trade and Foreign Direct Investment: Dynamic considerations of potential and adjustment” Journal of international relations and development 3, no.2: 173-183.

¹²⁴ Brown, Cynthia J., FDI and small firm employment in northern Mexico: 1987-1996// Entrepreneurship and regional development; Apr 2002, Vol. 14 Issue2, pp.175-191.

¹²⁵ Miche, Jonathan FDI and Human capital enhancement in developing countries// Competition and change; dec. 2002, vol. 6, issue 4, pp. 363-372.

ლოუს¹²⁶ კვლევებში, ხდება შემოსავლის გადანაწილება შრომიდან კაპიტალზე, რაც ქვეყნის კეთილდღეობის შემცირებას იწვევს.

ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების კონკურენცია

ტრადიციულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განიხილება, როგორც კერძო კაპიტალდაბანდება კორპორაციულ სექტორში, რაც იწვევს ინვესტორის მიერ კომპანიაზე კონტროლს. კონტროლი გულისხმობს წარმოების მართვაში პირდაპირ მონაწილეობას და, ასევე, ხშირად ტექნოლოგიების დანერგვას. მეცნიერების უმრავლესობა თვლის, რომ ინვესტიციები ტექნოლოგიებში უფრო ეფექტურია ვიდრე სხვა ტიპის ინვესტიციები¹²⁷. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის რეკონსტრუქციას¹²⁸ და მრეწველობაში კონკურენციის ამაღლებას¹²⁹. ბრაუნერხელმის და სვენსონის¹³⁰ კვლევებში ნაჩვენებია, რომ ადამიანისეული კაპიტალი და ტექნოლოგიური ხარისხი, ქვეყნების და მრეწველობის თავისებურებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. მიმღებ ქვეყანაში უცხოური ფირმების კონცენტრაცია მაღალია მაშინ, როდესაც ისინი საკმარისად ძლიერები არიან და ბაზარზე დომინირებენ. მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური განვითარების სხვაობა ქვეყანა-ინვესტორის და მიმღებ ქვეყანას შორის არ არის მნიშვნელოვანი დაბრკოლება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელებისათვის. უცხოური კაპიტალდაბანდება შესაძლებელია ასევე ისეთ საწარმოში, რომლის ბაზაც განიცდის ტექნოლოგიურ დაძველებას¹³¹. მიუხედავად აღნიშნულისა, თუ ინოვაციები ამცირებს ხარჯებს შრომის გამოყენების შემცირების მეშვეობით, მაშინ ქვეყნები სადაც შრომის ანაზღაურება დაბალია, უცხოელი ინვესტორისათვის ნაკლებად მიმზიდველი ხდება წარმოების ფაქტორების ღირებულების თვალსაზრისით.

არასრულყოფილი ინფორმაციის თეორიამ, რომელიც განავითარა რაზინმა, სადკომ და იუენომ¹³², წარმოგვიდგინა ადგილობრივი და უცხოური წარმოების კონკურენციის სხვა ასპექტები, რომელიც ყალიბდება ტრანს-ნაციონალური კომპანიის მიერ ადგილობრივი საწარმოს შესყიდვისას. თეორიის განვითარებამ და პრაქტიკაში გამოყენებამ¹³³ დაადგინა, რომ კომპანიების გახსნილობა და გამჭვირვალობა ხელს უწყობს უცხოელი ინვესტორის მიერ საწარმოს მაღალ შეფასებას, რაც კომპანიისათვის უფრო მომგებიანია.

ტექნოლოგიების შემოღინება და ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობა

¹²⁶ McCausland, W.D., The costs of inward direct foreign investment to developing countries.// Applied economics letters; July, 2002, vol. 9, Issue 8, pp.505-506.

¹²⁷ Goldberg L., Klein M., International trade and factor mobility: An empirical investigation//NBER Working Paper, June, 1999.

¹²⁸ Barell R., and Holland D., 2000. Foreign direct investment and enterprise restructuring in central Europe// Economics of Transition, vol.8, no 2, pp. 477-504.

¹²⁹ Rao V., Thangavelu S., TFP Growth in manufacturing industries in ASEAN: A study on FDI intensive and other industries in Singapore// Papers and Proceedings of the international Symposium on Foreign Direct Investment in East Asia, Tokio 1998, Economic Planning Agency – pp. 231 – 264.

¹³⁰ Braunerhielm P., Svensson J., Host country characteristics and agglomeration in FDI// Appl. Economics, Andover 1996, vol.28, no.7, pp. 833-840.

¹³¹ Potterie B., Lichtenberg F., Does foreign direct investment transfer technology across borders?// Review of Economics and Statistics, Aug. 2001, vol.83, pp. 490-498.

¹³² Razin A. Sadka E. Yuen Ch. An information-based model of foreign direct investment: The gains from trade revisited//NBER Working Paper, Jan 1999.

¹³³ Mody A., Razin A., Sadka E., The role of information in driving FDI Flows: Host - country transparency and Source –country Specialization//NBER, Working paper; 2003.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე დადებით ეფექტებს მიეკუთვნება ახალი ტექნოლოგიების შემოღინება, რომელიც ზრდის მიმღებ ქვეყანაში ფაქტორების მწარმოებლურობას¹³⁴. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილების შედეგად მრეწველობებში აქვს ადგილი ადგილობრივი კაპიტალის მორალურ ცვეთას. ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად ხდება დაჩქარებული ამორტიზაციის აუცილებლობა, წმინდა კაპიტალის მარაგი კლებულობს, წარმოების პროდუქტიულობა კი იზრდება. პირდაპირ უცხოურ კაპიტალდაბანდებას შეუძლია განვითარებად ქვეყნებში გამოიწვიოს მწარმოებლურობის ზრდა, მაგრამ მათი ეფექტები ძირითად შემთხვევებში დამოკიდებულია მრეწველობის სპეციფიკაზე¹³⁵ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაზე¹³⁶. თეორიაში ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდას ინოვაციების მოზიდვის დადებითი გარე ეფექტების ხარჯზე¹³⁷. ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი იმდენად მეტია, რამდენადაც მაღალია მიმღები ქვეყნის განათლების დონე და სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, ასევე კონკურენცია იმდენად მაღალია, რამდენადაც ნაკლებია შეზღუდვა არარეზიდენტი კომპანიების საქმიანობაში¹³⁸. მიუხედავად აღნიშნულისა, არის გარკვეული კვლევები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებს. აიტკენმა, ჰარისონმა¹³⁹, ჰადდამა და ჰარისონმა¹⁴⁰ აღმოაჩინეს, რომ დარგის დონეზე ტრანსნაციონალურ კომპანიებს და ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობას შორის კორელაცია არ არის ან არის მაგრამ უარყოფითია. ბლომსტრომის, ლიპსის, ზეჯანის კვლევებში¹⁴¹ შეფასებულია ტექნოლოგიური ცვლილებების მატერიალური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, სადაც გამოყენებულია დანადგარების იმპორტი სატრანსპორტო მოწყობილობები, როგორც დამატებითი ცვლადი გაფართოებულ საწარმოო ფუნქციაში, რომელიც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი $Y = A\Phi(K, L, F, \Omega)$, სადაც Y მთლიანი შიგა პროდუქტია, K – კაპიტალი, L – შრომა, F – პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და Ω – დამატებითი ცვლადები. ავტორებმა დაასკვნეს, რომ დანადგარების იმპორტი ეკონომიკურ ზრდაზე უმნიშვნელოა, რადგანაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის განვითარების დონეზე. შემთხვევა, როდესაც ტექნოლოგიების გასესხება არის ინოვაციების პირდაპირი იმპორტის შედეგი, იყო განხილული ცაოს მიერ¹⁴², რომელმაც აჩვენა, რომ

¹³⁴ Liu X., Siler P., Wang Ch., Wei Yi. Productivity spillovers from foreign direct investment: Evidence from UK industry level panel data.// Journal of International business studies, 2000 3rd Quarter, vol.31 Issue 3, pp. 407-419.

¹³⁵ Findlay R., Relative Backwardness, Direct foreign investment and the transfer of technology: a simple dynamic model// quarterly journal of economics, 1978, vol.92 pp. 1-16.

¹³⁶ Blomstrom M , Kokko A., How foreign direct investment affects host countries// The world bank, NY March 1997.

¹³⁷ Blomstrom M., Person H., Foreign Investment and spillover efficiency in an underdeveloped economy: Evidence from Mexican manufacturing industry // world development, 1983, vol. 11-pp. 493-501.

¹³⁸ McVicar D., Spillovers and foreign direct investment in UK manufacturing.// Applied economics letters, Apr. 2002, vol.9 Issue 5, pp. 297-231.

¹³⁹ Aitken B., Harrison A., Are there spillovers from Foreign direct investment? Evidence from panel data for Venezuela//Mimeo 1991, MIT AND THE World Bank.

¹⁴⁰ Haddad M., Harisson A., Are the positive spillovers from direct foreign investment?// Journal of development economics, 1993, vol.42, pp. 51-74

¹⁴¹ Blomstrom M., Lipsey R., Zejan M., What explains growth in developing countries?// NBER Discussion paper no. 1924, 1994.

¹⁴² Zhao H., Technology imports and their impacts on the enhancement of china's technological capability// Journal of development studies, Bradford 1995, vol., 31-pp. 585-602.

ტექნოლოგიების იმპორტი პოზიტიურ გავლენას ახდენს საწარმოო პოტენციალზე, გამოშვების ზრდაზე, შიგა სამეცნიერო-კვლევით კონსტრუქციულ სამუშაოებზე და საბოლოო პროდუქციის ექსპორტზე. დროთა განმავლობაში ქვეყანა ტექნოლოგიების კაპიტალტექვადიანი იმპორტიდან გადადის ტექნოლოგიების შრომატევადიან იმპორტზე, ხოლო შემდგომ წარმოების დივერსიფიკაციაზე. კომპანიების ანალიზი, ჩატარებული ჩუანის და ლინის მიერ¹⁴³ მაკროეკონომიკურ დონეზე, გვიჩვენებს, რომ პოზიტიურ გავლენას გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე ახდენს მხოლოდ პირდაპირი უცხოური კაპიტალ-დაბანდებები, რომლებიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

*Sofiko Jvarsheishvili
Ucha Gogishvili*

EXTERNAL EFFICIENCY ANALYSIS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT Annotation

Issue of foreign direct investments is quite actual nowadays and is under attention of international economic theory as it is well discussed in foreign economical literature. Foreign direct investments mean organization of new enterprise, purchasing of existing enterprise and creating of joint enterprise in nonresident country. As foreign direct investment is long-term investment, it significantly effects on economic growth, which means long-term growth tendency of production, consumption and welfare. From scientists' point of view, foreign direct investments support economic growth of all transitional country. Macroeconomic factor plays important role in attraction of direct foreign investments, namely, volume of domestic market, stability of currency and politics, development of infrastructure and qualified human resources; also, investment politics of country receiver is also very important as it provides effective guarantee of legal systems and stabile functionality.

ემზარ ჯულაყიძე **თანამედროვე მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი გამოწვევები**

მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებები იკვეთება. საქმე ისაა, რომ დღეს კომპანიებს საჭიროა უწევთ უწყვეტი ცვლილებების პირობებში და, შესაბამისად, წარმატების მსურველი მენეჯმენტი სამუწარმო გარემოს მუდმივად ცვლადი პირობების მიმართ მაღალი ადაპტირების უნარის გამომუშავებას მოითხოვს. ანუ, თანამედროვე ეტაპზე, მენეჯერთა უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მისი წინასწარ განჭვრეტა და მათზე სწორი რეაგირება. როგორც თანამედროვეობის ცნობილი თეორიტიკოსი გ. ჰემელი აღნიშნავს – „მენეჯმენტი მოითხოვს მის ახლიდან გამოგონებას, ანუ წინსვლისათვის საჭიროა, რომ თანამედროვე მენეჯერებმა, უპირველეს ყოვლისა, გაითვითცნობიერონ და სრულად აღიქვან ცვლილებათა გარდუვალობა“ [1]. ცვლილებები კი უამრავი მიმართულებით ხდება. მათ შორის: კონკურენციის გამწვავება; წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება; ტექნოლოგიათა სწრაფი განახლება; კომბინირებული პროდუქციის წარმოების მეტი შესაძლებლობა; საქონლის სასიცოცხლო ციკლის მკვეთრი შემცირება; თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელი დემოგრაფიული ცვლილებები; ბიზნესმონაწილეთა მჭიდრო ურთიერთკავშირი [3; გვ.4] და

¹⁴³ Chuang Yi., Lin Ch., FDI and spillover efficiency: evidence from Taiwan's manufacturing firms// Journal of development studies; Apr 99, Vol.35 Issue 4, pp.117-137.

მრავალი სხვა. შესაბამისად, კომპანიათა მენეჯერების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სწორი სტრატეგიული ხედვის ფორმირება, ბიზნესგარემოს ყველა შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციებზე სრული ინფორმაციის მოძიება და მისი შესამება კომპანიის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებთან, რათა შეინარჩუნოს მისი კონკურენტუნარიანობა და ცვლილებებთან ადაპტაცია იოლად მოახერხოს.

როგორც წესი, კონკურენციაში წარმატების ინდიკატორი შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს. ერთისთვის იგი პროდუქციის დაბალ ხარჯებზე ორიენტირებული წარმოებაა, მეორისთვის – ადგილმდებარეობა, მესამისთვის – საუკეთესო საწარმოო სიმძლავრეები, მეოთხესთვის – კვალიფიციური სპეციალისტები, მეხუთესთვის – გამოცდილებაზე ორიენტაცია და ა.შ. შესაბამისად, მენეჯერთა მცდელობა მიადწიონ წარმატებას, დაფუძნებულია სწორედ ინდუსტრიაში წარმატების ინდიკატორის გამოცნობაზე, ანუ, თუ რა განაპირობებს ინდუსტრიაში წარმატების მოპოვებას და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წარმატების ინდიკატორის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი გააჩნდეს ჩვენს კომპანიას.

წარმატების ინდიკატორის ამოცნობა რთული არ არის. მისი დადგენა შესაძლებელია ძლიერ კონკურენტებზე გარეგანი დაკვირვებითაც. რატომ აქვთ მათ უკეთესი პოზიციები ბაზარზე? რატომ იყიდება მათი პროდუქცია ჩვენზე უფრო სწრაფად? რა ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ისინი ჩვენზე უკეთეს პირობებში იმყოფებიან? ზოგადად, მსოფლიო გამოცდილებით ცნობილია, რომ ნებისმიერ ინდუსტრიაში კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს დაბალ ხარჯებზე ორიენტირებული ლიდერობა ინდუსტრიაში ან დიფერენცირებული პროდუქციით ლიდერობა ინდუსტრიაში, ან/და ბაზრის ვიწრო სეგმენტზე ფოკუსირება-ლიდერობა. მაგრამ ბევრად უფრო რთულია დავადგინოთ, თუ რა ფაქტორებს ეყრდნობა მათი ასეთი უპირატესობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიაში კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მრავალი ფაქტორი არსებობს, როგორცაა: მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, უმაღლესი სამომხმარებლო სერვისის შეთავაზება, კონკურენტებზე ნაკლები დანახარჯების მიღწევა, მოსახერხებელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, პროდუქციის უკეთესი დიზაინი, კომპანიის უკეთესი იმიჯის შექმნა და მრავალი სხვა. მათ შორის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პერსონალის სწორი დაგეგმვა და რაციონალური გამოყენება. უფრო მეტიც, კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ზემოაღნიშნული ფაქტორები აზრს კარგავს, თუ პერსონალის კომპეტენციები სწორად არ არის გამოყენებული. საქმე ისაა, რომ თუ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საწარმოო რესურსების ტრიადაში (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები) კომპანიის სამეწარმეო გარემოს, მისი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად იცვლებოდა თითოეული მათგანის სტრატეგიული მნიშვნელობა, დღეს კომპანიის წარმატების ძირითად გამოწვევად სწორედ ადამიანური რესურსების შესაძლებლობებია მიჩნეული.

თანამედროვე მენეჯმენტში საწარმოო პერსონალის ეფექტურ გამოყენებაზე აქცენტის გადატანას განაპირობებს ის გარემოება, რომ ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსის საერთო თავისებურებებთან (შეზღუდული რაოდენობით არსებობა, ცვეთა და განახლების აუცილებლობა) ერთად, ადამიანური რესურსები გამოირჩევა მთელი რიგი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, რითაც ფაქტობრივად ადამიანის ხატება მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი წარმატების მიღწევაში. კერძოდ, მანქანა-დანადგარებისა და მატერიალური რესურსებისაგან განსხვავებით, ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც ინტელექტი და ემოცია ახასიათებს. ამ სახის რესურსის პროდუ-

ქტიულობას საზღვარი არ აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი კომპანიის ეფექტიანობის ამღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. მართლაც, მტიცებას არ საჭიროებს ის, რომ ტექნოლოგიური თუ ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირებული და კოორდინირებულია საკადრო პოლიტიკასთან.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევას ძირითად განაპირობებს ორგანიზაციაში არსებული ადამიანური ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული ყველა ის გამოწვევა, რომელიც ამ ურთიერთობების სრულყოფას უწყობს ხელს. მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ თანამედროვე მენეჯერი დაქვემდებარებული პერსონალისათვის უნდა იყოს რაციონალური ავტორიტეტი; მას უნდა გააჩნდეს ბიზნესის სტრატეგიული ხედვის უნარი; მკვეთრად უნდა ამღლდეს ნდობის ფაქტორი მენეჯერსა და მის დაქვემდებარებულ პერსონალს შორის; საჭიროა სისტემური მოტივაციის უზრუნველყოფა; პერსონალის გუნდურობა; აუცილებელია ასევე, რომ დაქვემდებარებული პერსონალისათვის შეიქმნას ნორმალური სამუშაო პირობები და ა.შ., ვინაიდან ისინი თანამედროვე ადამიანის, როგორც პიროვნების მნიშვნელოვან მოტივატორებს წარმოადგენენ.

მენეჯერის ავტორიტეტი. როგორც ცნობილია, არსებობს ავტორიტეტის ორი ძირითადი ფორმა: რაციონალური და ირაციონალური. კონკურენტულ უპირატესობაზე ორიენტირებული მენეჯერი დაქვემდებარებული პერსონალისთვის რაციონალურ ავტორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, ანუ იყოს ამ ორგანიზაციის ფაქტობრივი ლიდერი. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი შეძლებს თვითგანვითარებასა და სასურველ შედეგებზე ორიენტირებული ადამიანების შერჩევას და მათგან ერთიანი გუნდის შეკვრას. ირაციონალური ავტორიტეტი კი მენეჯმენტს პერსონალის შიშზე ააწყობს, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ორგანიზაციის საბოლოო შედეგებზე.

სტრატეგიული ხედვა. თანამედროვე, მკაცრ კონკურენტულ გარემოში ორგანიზაციის მართვა მენეჯერისაგან განსხვავებულ მიდგომასა და სათანადო ხედვას მოითხოვს. როგორც წესი, მენეჯერმა ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს მისი სამომავლო ხედვა და, მასთან ერთად შეარჩიოს ამ მიზნის განხორციელების სხვადასხვა ალტერნატიული გზებიდან საუკეთესო. მხოლოდ კარგად გათვლილი და დაგეგმილი, თანმიმდევრული კონკურენტუნარიანი სტრატეგია წარმოადგენს ინდუსტრიაში აღიარებისა და წარმატების გარანტიას.

ურთიერთნდობა. მომავლის მენეჯმენტი უნდა დაეყრდნოს უპირატესად ნდობის პრინციპს, ვინაიდან მკაცრი ადმინისტრირება, ანუ შიშზე დაფუძნებული მენეჯმენტი ზღუდავს ინიციატივას და აღვივებს უნდობლობას, რაც მართვაში ხელს უშლის შემოქმედებითობის განვითარებას და ხელქვეითთა მიერ დამოუკიდებელი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებას, ანუ უნდა შეიქმნას ორმხრივი ნდობა – ხელმძღვანელის ხელქვეითების მიმართ და პირიქით, რაც შეამცირებს შიშის გავლენას როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე მისი აღსრულების პროცესშიც. მარტივად, ნდობა – ეს არის პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ მეორე მხარე არ იმოქმედებს საკუთარი მერკანტილური მოსაზრებებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, ნდობა პროცესია, რომელიც დროში ვითარდება. გავიხსენოთ ქართული ანდაზა – „ადამიანი რომ შეიცნო, მასთან ერთად მისი წონა მარილი უნდა ჭამო“. შესაბამისად, ურთიერთობის პროცესის ინტენსივობა და მისი ხანგრძლივობა ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანთან და მისადმი ნდობას.

სისტემური მოტივაცია. თანამედროვე მენეჯმენტი მოტივაციას განიხილავს როგორც მენეჯერის უნარს, ისე მართოს ადამიანები, რომ თითოეულმა

მათგანმა გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როცა საჭიროა და როგორც საჭიროა იმიტომ, რომ ეს თვითონ მას სურს. როგორც ცნობილია, მოტივაცია დაკავშირებულია ინდივიდის შიდა სურვილთან და ის არ შეიძლება იყოს გარე სტიმულის მოქმედებაზე გაცემული პასუხი. აღნიშნულის გამო, თანამედროვე მენეჯმენტში საუბრობენ ორ ტერმინზე: მოტივაციაზე, როგორც თვითგანვითარებასთან დაკავშირებულ შიდა მოთხოვნაზე, და მოტივირებაზე, როგორც გარე სტიმულით გამოწვეულ რეაქციაზე. შესაბამისად, არ შეიძლება არ დავთანხმდეთ წარმატებული მოტივირების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ დასკვნას – „წარმატებული მოტივირების ამოსავალი ის უნდა იყოს, რომ შრომის შედეგები წარმოქმნის მოტივაციას და არა პირიქით, როგორც ამას აქამდე მივიჩნევდით“ [2; გვ.56]. მხოლოდ ასე მივალთ მაღალი კულტურის, ღია თვითგანვითარებადი ორგანიზაციის ცნებამდე, პერსონალის გუნდურობამდე, რომელშიც მთელი ორგანიზაციის წარმატება პირდაპირ აისახება მასში მომუშავე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს ასევე, რომ მოტივაცია ამით არ მთავრდება. საჭიროა მისი სისტემურობის შენარჩუნება. სწორედ აქ დგება წარმატებული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყობს პერსონალის თვითმოტივაციას და ამ მოტივაციის კომპანიის მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს.

პერსონალის გუნდურობა. კომპანიის წარმატების მიღწევის საქმეში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეფექტური გუნდის ფორმირებას. გუნდი – ეს უფრო მეტია, ვიდრე თანამშრომელთა ერთობლიობა, რომელიც ერთად მუშაობენ. ესენი არიან პერსონები, რომელიც მოქმედებენ როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. გუნდის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ენდობიან, მხარს უჭერენ, პატივს სცემენ, კომფორტულად გრძნობენ ერთად თავს გუნდის წევრები. ჩვენი აზრით კი, მას შემდეგ, როდესაც ცნობილია მიზანი, როდესაც გარკვეულია თითოეულის როლი და სტრატეგია, მუშაობის პროცესი და პროცედურები შეთანხმებულია და გუნდი შეწყობილად მუშაობს, მაშინ მიზნის მიღწევაც ადვილდება და მათ შორის ურთიერთობაც შესანიშნავია. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ყველა დროის ერთ-ერთი დიდი მენეჯერის ლი იაკოკას აზრი. როგორც ის წერს – „ყველა სამეურნეო ოპერაცია საბოლოო ანგარიშით შეიძლება დავიყვანოთ სამ სიტყვამდე: ხალხი, პროდუქტი, მოგება. პირველ ადგილზე არიან ადამიანები. თუ თქვენ არ გყავთ საიმედო გუნდი, მაშინ დანარჩენი ფაქტორებით ცოტას გააკეთება თუ შეიძლება“ [4, გვ. 38].

სამუშაო პირობები. პერსონალის სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისა და საერთოდ, მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა შრომის ნორმალური პირობები და შრომისა და დასვენების რაციონალური შინაგანაწესის დამკვიდრება. შრომა ნორმალურ, კეთილსასურველ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო სამუშაო ადგილების დაგეგმარება და მისი ტექნოლოგიური აღჭურვა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებს. იგი არსებითად უწყობს ხელს პერსონალის დადლილობის შემცირებას, დროის დაზოგვას, შრომისუნარიანობის ამაღლებას და საბოლოო ანგარიშით – შრომის ეფექტიანობის ზრდასა და წარმატებას.

ამრიგად, როცა ორგანიზაციის წარმატებულ მართვაზეა საუბარი, მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ადამიანის ფაქტორის იგნორირება, პერსონალის არასათანადო მოტივაცია, მასზე ზრუნვის შემცირება და სოციალური დაუცველობა ბუმერანგივით უბრუნდება ორგანიზაციის განვითარებასა და მის წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეჯიბაძე ო., მართვის მომავალი, ელექტრონული ჟურნალი „საზოგადოებრივი მეცნიერებები“, 2011, № 2, www.education.ge
2. მარკოზაშვილი ნ., მოტივირება და შესრულების შეფასება. ჟურნალი - ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. ივლისი, 2007, №5, გვ. 55-57. www.sapientisat.ge/index.php?section=24
3. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თავი I. სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, თბილისი, 2013. old.press.tsu.ge/GEO/internet
4. Ли Якокка „Карьера менеджера“, [www.management.com: ua/vp/vp006.html](http://www.management.com:ua/vp/vp006.html)

Emzar Julakidze

THE MOST IMPORTANT CHALLENGES OF MODERN MANAGEMENT

Annotation

The main challenge of the modern management is not only identifying the current changes into the business environment, but also foreseeing and conducting the correct reaction regarding to them. Changes are happening through different directions. Accordingly, the main reason of managers, willing to achieve success is to acquire the full information about all of positive and negative entrepreneurial circumstances and combine them to the company's strengths and weaknesses, to exercise the company's adaptation towards the changes and to achieve the success as well.

In order to achieve the success, first of all, we have to define the success indicator of our acting industry. Or what indicator implements success's achievement through the industry and what we should do for our company to have the best index of this indicator.

Here it must be said, that guessing the success's indicator isn't a problem. Defining it is possible with an external observation of powerful rivals. But it's far too hard to define, on what kind of factors is based their advantage. We suppose, that for success in the company, one of the important is human relations and connected with all of those challenges, which encourage the improvement of these relationships. Moreover, other factors acquiring the competitive advantage (Making the high-quality production, Offering the highest-quality consumer service, achieving less costs comparing with competitors, easy geographic location, production with better design, creating better image to the company) has no sense if the staff's competence isn't correctly applied.

For implementing the successful management, in our opinion, it is necessary, that the modern manager should be rational authority for the staff; The manager should have ability to see the business strategy; There should be sharply increased factors of trust and respect between the manager and the staff; There is a need to ensure the staff with system motivation and being them as a group; It is necessary to create the relevant working conditions for staff, etc. because they represent the modern human, like person and accordingly the key challenges of their management.

ს ვ ტ ო რ ე ბ ი

1.	აბუნაძე რამაზი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2.	არქვამი ნანუღი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
3.	ბარბაქაძე ელიზბარ	- აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
4.	ბენიძე ნანა	- ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
5.	ბერულავა ბიორგი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
6.	ბიბილაშვილი ნანა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
7.	ბიჭაძე ჯამბულ	- ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
8.	ბრეგვაძე ბიორგი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
9.	ბურღული ვახტანგი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
10.	ბობიშვილი უჩა	- თსუ დოქტორანტი
11.	ბობოხია თეიმურაზი	- ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12.	დავლაშვიტი ნატა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
13.	დათუნაშვილი ლინა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
14.	დვალისხვილი ლია	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
15.	ელიაშა ლია	- ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
16.	თაფლაძე თამარი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
17.	თეთრაული ციციწო	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
18.	თოღუა ხათუნა	- ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
19.	თუთბერიძე გოჩა	- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ვეროპის უნივერსიტეტის პროფესორი
20.	კაკაბაძე ვაჟა	- ეკონომიკის დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
21.	კაკულია შთერი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

22.	პირპიტაქმ ზურაბ	- თსუ დოქტორანტი
23.	კვარაცხელია მურმანი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
24.	კონჯარია ელგუჯა	- სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
25.	კუნჭულია პაატა	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სდასუ-ს ასოცირებული პროფესორი
26.	კურატაშვილი ალფრედი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
27.	ლაზარაშვილი თეა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
28.	ლომინაძე დინარა	- ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ
29.	მაისურაძე ნანა	- ეკონომიკის დოქტორი
30.	მამულაშვილი ლელია	- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
31.	მამულაძე ბელა	- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
32.	მამულაძე ნინო	- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
33.	მელაშვილი მელეა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
34.	ნათელაური იზა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
35.	ნოზაძე ზურაბი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
36.	პაპავა ვლადიმერი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ემდ, პროფესორი
37.	ქლენტი ციტენე	- თსუ დოქტორანტი
38.	რევიშვილი ზურაბი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
39.	სარჩიშვილია როლანდი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ
40.	სიბუა ბიორბი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
41.	სისვაძე ილია (აზიკო)	- ეკონომიკის დოქტორი
42.	სოსანიძე მაკა	- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
43.	ფიფია ქეთევან	- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
44.	ქავთარაძე თენგიზი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

45.	ქველამე ქეთევანი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
46.	ქისტაური ნუნუ	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
47.	ღუღუშაური ლეილა	- ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
48.	შარაშენიძე ალექსანდრე	- თსუ დოქტორანტი
49.	ჩიტაძე ხალიანა	- ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
50.	ჩიქოვანი ელენე	- ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნესის აკადემიის პროფესორი
51.	ჩხეიძე თინა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
52.	ცუცქერიძე მარინე	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
53.	ძაძუა მაღხაზი	- აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
54.	ხოშთარია თორნიკე	- თსუ დოქტორანტი
55.	ხუსკიშაძე მამუკა	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
56.	ჯავახიშვილი რევაზი	- თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
57.	ჯანელიძე ნათელა	- ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
58.	ჯვარშიშვილი სოფიკო	- თსუ დოქტორანტი
59.	ჯულაყიძე ემზარ	- ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

A U T H O R S

1.	ABESADZE RAMAZ	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
2.	AREVADZE NANULI	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
3.	BARBAKADZE ELIZBAR	– PhD Student of Akaki Tsereteli Kutaisi State University
4.	BENIDZE NANA	– Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
5.	BERULAVA GEORGE	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
6.	BIBILASHVILI NANA	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
7.	BITSADZE JAMBUL	– Doctor of Economics, Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
8.	BREGVADZE GIORGI	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9.	BURDULI VAKHTANG	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10.	CHIKOVANI ELENE	– Doctor of Economics, Professor of Business Academy of Georgia
11.	CHITADZE KHALIANA	– Doctor of Economics, Associated Professor of Gori State Teaching University
12.	CHKHEIDZE TINA	– Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
13.	DATUNASHVILI LINA	– Candidate of Economic Sciences, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
14.	DAVLASHERIDZE NATA	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
15.	DVALISHVILI LIA	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16.	DZADZUA MALKHAZ	– PhD Student of Akaki Tsereteli Kutaisi State University
17.	ELIAVA LIA	– Doctor of Economics, Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
18.	GHUDUSHAURI LEILA	– Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
19.	GOGISHVILI UCHA	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
20.	GOGOKHIA TEIMURAZ	– Doctor of Business Administration, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21.	JANELIDZE NATELA	– Doctor of Economics, Assistant Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
22.	JAVAKHISHVILI REVAZ	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
23.	JULAKIDZE EMZAR	– Doctor of Economics, Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University

24.	JVARSHEISHVILI SOFIKO	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
25.	KAKABADZE VAZHA	– Doctor of Economics, Geologic Engineer, Professor, Corresponding Member of the Georgian Engineering Academy
26.	KAKULIA ETER	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
27.	KAVTARADZE TENGIZ	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
28.	KHOSHTARIA TORNIKE	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
29.	KHUSKIVADZE MAMUKA	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
30.	KIRKITADZE ZURAB	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
31.	KISTAURI NUNU	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
32.	KONJARIA ELGUJA	– Doctor of Economics, Associated Professor of Teaching University European Academy
33.	KUNCHULIA PAATA	– Doctor of Economic Sciences, Professor of David Agmashenebeli University of Georgia
34.	KURATASHVILI ALFRED	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
35.	KVARATSKHELIA MURMAN	– Doctor of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
36.	KVELADZE KETEVAN	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
37.	LAZARASHVILI TEA	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
38.	LOMINADZE DINARA	– Doctor of Business Administration, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
39.	MAISURADZE NANA	– Doctor of Economics
40.	MAMULADZE GELA	– Professor of Batumi Shota Rustaveli State University
41.	MAMULADZE NINO	– PhD Student of Batumi Shota Rustaveli State University
42.	MAMULASHVILI LEILA	– Professor of Gori State Teaching University
43.	MELASHVILI MEDEA	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
44.	NATELAURI IZA	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
45.	NOZADZE ZURAB	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
46.	PAPAVA VLADIMER	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
47.	PIPIA KETEVAN	– PhD Student of Samtskhe-Javakheti State University

48.	REVISHVILI ZURAB	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
49.	SARCHIMELIA ROLAND	– Doctor of Economic Sciences, Professor, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
50.	SHARASHENIDZE ALEXANDER	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
51.	SIGUA GEORGE	– Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
52.	SISVADZE ILIA (AZIKO)	– Doctor of Economics
53.	SOSANIDZE MAKA	– Associated Professor of Gori State Teaching University
54.	TAPLADZE TAMAR	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
55.	TETRAULI TSITSINO	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
56.	TODUA KHATUNA	– Candidate of Economic Sciences, Akaki Tsereteli Kutaisi State University
57.	TSUTSKIRIDZE MARINE	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
58.	TUTBERIDZE GOCHA	– Doctor of Economic Sciences, Professor of European University
59.	ZHGHEI TSOTNE	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	5
სამეცნიერო ნაშრომები	
პრობლემა 1.	
<i>რამაზ აბესაძე</i> ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა	7
<i>ნანული არევაძე</i> სინგაპურის ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები	14
<i>ციცილო თეთრაული</i> სორვატიის ინოვაციური პოლიტიკა	21
პრობლემა 2.	
<i>ვლადიმერ პაპავა</i> რეპროდუქციონიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პერსპექტივები საქართველოს ევრაზიული ინტეგრაციის შემთხვევაში	30
<i>ალფრედ კურატა შეილი</i> სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები	40
<i>რევაზ ჯაგახიშვილი</i> უნბრეთის ინოვაციური პოლიტიკა და მისი განხორციელების ინსტრუმენტები	54
<i>მურმან კვარაცხელია</i> ინოვაციური პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაკონიაში	61
<i>Ната Давлашериძე</i> ОБЕСПЕЧЕНИЕ ИННОВАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ ГОСУДАРСТВЕННЫМИ ИНСТИТУТАМИ И ПРОГРАММАМИ В ПОЛЬШЕ	65
პრობლემა 3.	
<i>ვახტანგ ბურდული</i> დარბობრივი სტრუქტურული (სამრეწველო) პოლიტიკა, საწარმოების პოლიტიკა და მათი წინასწარი უზრუნველყოფის პრინციპები ევროინტეგრაციის პირობებში	76
<i>გიორგი ბრეგვაძე</i> ბელგიის ინოვაციური პოლიტიკა	102
<i>ქეთევან ქველაძე</i> ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ტურიზმის დარბში	105
<i>ქეთევან ქველაძე</i> იტალიის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა	114
პრობლემა 4.	
<i>გიორგი ბერულავა, თეიმურაზ გოგონია</i> ევროკავშირის სამეწარმეო პოლიტიკა	129
<i>გიორგი ბერულავა</i> ინოვაციური პოლიტიკა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში	137

<i>ეთერ კაკულია, ნანა ბიბილაშვილი</i> ინოვაციური მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა ევროკავშირში	144
<i>მარინე ცუცქერიძე</i> ევროინტეგრაციის პროცესში სლოვენის სამეწარმეო სისტემის განვითარების ასპექტები	163
პრობლემა 5.	
<i>თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი</i> ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკის ფინანსური ბერკეტები	169
<i>თეა ლაზარაშვილი</i> ბერმანის ინოვაციური პოლიტიკა	176
<i>მედეა მელაშვილი</i> ჩინეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა	183
<i>გიორგი სიგუა</i> ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში	194
პრობლემა 6.	
<i>იზა ნათელაური, როლანდ სარჩიმელია, თამარ თაფლაძე</i> ევროკავშირის ინოვაციური საბარემო ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს საბარემო ეკონომიკური პერიორიტეტები	202
<i>ნუნუ ქისტაური</i> ჩინეთის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკის შესახებ	208
პრობლემა 7.	
<i>მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე</i> ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები და მათი დაკლავის ძირითადი ბზები საქართველოში	220
<i>მამუკა ხუსკივაძე</i> ნიდერლანდების ინოვაციური პოლიტიკა	235
<i>თინა ჩხეიძე, ლია დვალიშვილი</i> ევროკავშირის ინოვაციური ეკოლოგიური პოლიტიკა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური ინსტრუმენტები	240
<i>თინა ჩხეიძე</i> კორტუგალიის ინოვაციური პოლიტიკა	246
<i>ზურაბ ნოზაძე</i> რუმინეთის ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკა	250
<i>ლია დვალიშვილი</i> დანის ინოვაციური პოლიტიკა	256
პრობლემა 8.	
<i>ზურაბ რვეიშვილი</i> ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკა	266
<i>ლინა დათუნაშვილი</i> სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა ევროინტეგრაციის პირობებში	297
<i>ლინა დათუნაშვილი</i> საშრანბეთის ინოვაციური პოლიტიკა	306
<i>თენგიზ ქავთარაძე</i> ინოვაციები აშშ-ის დასურული ბრუნტის მებოსტნეობაში და მათი გამომცდილებების გამოყენების მიზანშეწონილობა საქართველოში	315

სხვა სამეცნიერო ნაშრომები	
<i>Альфред Кураташвили</i> ИННОВАЦИОННЫЙ ПОДХОД К УПРАВЛЕНИЮ ГОСУДАРСТВОМ – КАК НЕОБХОДИМОЕ УСЛОВИЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО ПРОГРЕССА	322
<i>ვახტანგ ბურდული, ნანული არევაძე</i> მრეწველობისა და მომსახურების მომიჯნავე დარგებთან სოფლის მეურნეობის დარგების შმთანხმებული განვითარების პრობლემები	336
<i>როლანდ სარჩიშელია</i> ინოვაციური ეკონომიკა საქართველოს მეცნიერებაში	356
<i>როლანდ სარჩიშელია, გიორგი ბრეგვაძე</i> თვლის სისტემები, მისი ალრიცხვის პროცესის და ინოვაციური მეცნიერების ეკონომიკა	363
<i>მამუკა ხუსკივაძე, თორნიკე ხოშტარია</i> ბიზნესის სტრატეგიის ფორმულირების ზოგიერთი მოდელის თეორიული ანალიზი	366
<i>ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი</i> ინოვაციური ინვესტიციური პოლიტიკა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური ბერკეტები	384
<i>ელიზბარ ბარბაქაძე</i> წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების ძირითადი ნიშან-თვისებები	395
<i>ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიჭაძე</i> სადაზღვევო სექტორის ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში	397
<i>ლია ელიავა, მალხაზ ძაძუა</i> მიკროფინანსები და სოციალური პასუხისმგებლობა	401
<i>ხათუნა თოდუა</i> მოსახლეობის ფულადი შემოსავლების სტრუქტურული ანალიზის ზოგიერთი საკითხი	407
<i>Gocha Tutberidze, Ketevan Pipia, Paata Kunchulia</i> ON ELECTROSTATIC MODELS OF MIGRATION	410
<i>Vazha Kakabadze, Nana Maisuradze</i> THE PLACE AND THE ROLE OF D. UZNADZE'S THEORY OF "ATTITUDE" IN THE DECISION-MAKING PROCESS OF THE ADMINISTRATION AND MANAGEMENT	414
<i>ზურაბ კირკიტაძე</i> საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი საქართველოში	418
<i>ელგუჯა კონჯარია</i> კონტროლის არსი, მიზანი და ამოცანები კომპანიებში	424
<i>დინარა ლომინაძე</i> მარკეტინგი ჯანდაცვაში	428
<i>ლეილა მამულაშვილი, მაკა სოსანიძე</i> PR-ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტექნოლოგია	430
<i>გელა მამულაძე, ნინო მამულაძე</i> მარკეტინგული კონცეფციები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე	433
<i>ცოტნე ჟღენტო</i> სუპერენული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ტრანსფორმაციის პროცესში	437

<i>ილია (აზიკო) სისვაძე</i> სასაქონლო ბაზრის ფინანსური წონასწორობისა და ფასწარმოქმნის კონცეპტუალური პრობლემები	443
<i>ლევია ღუღუშაური</i> ბიუჯეტური დაბეგმვის მოდელები კომერციულ ბანკებში	456
<i>ალექსანდრე შარაშენიძე</i> ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია საქართველოში	462
<i>ხალიანა ჩიტაძე</i> ფულადი სახსრების ანბარიშსწორების აღრიცხვა სალაროში	468
<i>ელენე ჩიქოვანი</i> სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური რეგულირება საქართველოში	471
<i>ნათელა ჯანელიძე</i> ინვესტიციები ტურიზმში და მისი როლი სოციალურ ეკონომიკაში	478
<i>სოფიკო ჯვარშიშვილი, უნა გოგიშვილი</i> პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარე ეფექტების ანალიზი	482
<i>ემზარ ჯუღაყიძე</i> თანამედროვე მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი გამოწვევები	489
ავტორები	494

C O N T E N T S

PREFACE	5
SCIENTIFIC WORKS	
PROBLEM 1.	
<i>Ramaz Abesadze</i> EU INNOVATION POLICY	7
<i>Nanuli Arevadze</i> FEATURES OF THE INNOVATIVE POLICY OF SINGAPORE	14
<i>Tsitsino Tetrauli</i> INNOVATION POLICY OF CHROATIA	21
PROBLEM 2.	
<i>Vladimer Papava</i> PROSPECTS OF TRANSITION FROM THE RETROECONOMY TO THE INNOVATION ECONOMY IN A CASE OF GEORGIA'S EURASIAN INTEGRATION	30
<i>Alfred Kuratashvili</i> THEORETICAL BASIS OF INNOVATION POLICY OF THE STATE	40
<i>Revaz Javakhishvili</i> HUNGARY'S INNOVATION POLICY AND ITS IMPLEMENTATION INSTRUMENTS	54
<i>Murman Kvaratskhelia</i> INNOVATION POLICY IN USA AND JAPAN	61
<i>Nata Davlasheridze</i> PROVIDING INNOVATION POLICY BY STATE INSTITUTIONS AND PROGRAMS IN POLAND	65
PROBLEM 3.	
<i>Vakhtang Burduli</i> SECTORAL STRUCTURAL (INDUSTRIAL) POLICY, THE POLICY OF ENTERPRISES AND THE PRINCIPLES FOR THEIR FINANCIAL SUPPORT IN TERMS OF EUROPEAN INTEGRATION	76
<i>Giorgi Bregvadze</i> INNOVATIVE POLICY OF BELGIUM	102
<i>Ketevan Kveladze</i> EU INNOVATION POLICY IN THE FIELD OF TOURISM	105
<i>Ketevan Kveladze</i> INNOVATION POLICY OF THE ITALIAN REPUBLIC	114
PROBLEM 4.	
<i>George Berulava, Teimuraz Gogokhia</i> ENTREPRENEURIAL POLICY IN THE EU	129
<i>George Berulava</i> THE UK'S INNOVATION POLICY	137
<i>Eter Kakulia, Nana Bibilashvili</i> POLICY OF SUPPORT OF INNOVATIVE SMALL BUSINESS IN THE EU	144

<i>Marine Tsutskiridze</i> THE ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF ENTREPRENEURIAL SYSTEM OF SLOVENIA IN THE EUROINTEGRATION PROCESS	163
PROBLEM 5.	
<i>Tea Lazarashvili, Medea Melashvili</i> FINANCIAL LEVERS OF EU INNOVATION POLICY	169
<i>Tea Lazarashvili</i> INNOVATION POLICY OF GERMANY	176
<i>Medea Melashvili</i> INNOVATION POLICY OF CZECH REPUBLIC	183
<i>Giorgi Sigua</i> DOMINANT DIRECTIONS OF NATIONAL ECONOMIC DEVELOPMENT IN EU COUNTRIES AND GEORGIA	194
PROBLEM 6.	
<i>Iza Natelauri, Roland Sarchimelia, Tamar Tapladze</i> EU INNOVATION FOREIGN ECONOMIC POLICY AND FOREIGN ECONOMIC PRIORITIES OF GEORGIA	202
<i>Nunu Kistauri</i> INNOVATION POLICY OF THE REPUBLIC OF FINLAND	208
PROBLEM 7.	
<i>Mamuka Khuskivadze, Zurab Nozadze</i> PROBLEMS OF FORMATION OF INNOVATION ECOLOGICAL POLICY AND MAIN WAYS OF THEIR OVERCOMING IN GEORGIA	220
<i>Mamuka Khuskivadze</i> INNOVATION POLICY OF NETHERLANDS	235
<i>Tina Chkheidze, Lia Dvalishvili</i> EU INNOVATION ECOLOGICAL POLICY AND ECONOMIC TOOLS OF ITS IMPLEMENTATION	240
<i>Tina Chkheidze</i> INNOVATION POLICY OF PORTUGAL	246
<i>Zurab Nozadze</i> INNOVATION ECONOMIC POLICY OF ROMANIA	250
<i>Lia Dvalishvili</i> INNOVATION POLICY OF DENMARK	256
PROBLEM 8.	
<i>Zurab Revishvili</i> EU AND EUROPEAN COUNTRIES AGRICULTURAL INNOVATION POLICY	266
<i>Lina Datunashvili</i> AGRICULTURAL INNOVATION POLICY IN EURO INTEGRATION CONDITIONS	297
<i>Lina Datunashvili</i> INNOVATION POLICY OF FRANCE	306
<i>Tengiz Kavtaradze</i> INNOVATIONS IN USA INDOOR GROUND VEGETABLE-GROWING AND THE EXPEDIENCY OF ADOPTION OF THEIR EXPERIENCE IN GEORGIA	315

OTHER SCIENTIFIC WORKS	
<i>Alfred Kuratashvili</i> INNOVATIVE APPROACH TO STATE MANAGEMENT – AS NECESSARY CONDITION OF SOCIAL-ECONOMIC PROGRESS	322
<i>Vakhtang Burduli, Nanuli Arevadze</i> THE PROBLEMS OF COORDINATED DEVELOPMENT OF BRANCHES OF AGRICULTURE WITH RELATED INDUSTRIES AND SERVICES	336
<i>Roland Sarchimelia</i> INNOVATIVE ECONOMY IN GEORGIAN SCIENCE	356
<i>Roland Sarchimelia, Giorgi Bregvadze</i> COUNTING SYSTEMS, ECONOMY OF ITS ACCOUNTING PROCESS AND INNOVATIVE SCIENCE	363
<i>Mamuka Khuskivadze, Tornike Khoshtaria</i> THEORETICAL ANALYSIS OF SOME MODELS OF BUSINESS STRATEGY FORMULATION	366
<i>Nunu Kistauri, Medea Melashvili</i> INNOVATION INVESTMENT POLICY AND ECONOMIC LEVERS OF ITS IMPLEMENTATION	384
<i>Elizbar Barbakadze</i> KEY FEATURES OF SUCCESSFUL STRATEGIC DECISIONS	395
<i>Nana Benidze, Jambul Bitsadze</i> THE INSURANCE COMPANIES INVESTMENTS IN THE GEORGIAN ECONOMY	397
<i>Lia Eliava, Malkhaz Dzadzua</i> MICROFINANCES AND SOCIAL RESPONSIBILITY	401
<i>Khatuna Todua</i> SOME ASPECTS OF THE STRUCTURAL ANALYSIS OF THE POPULATION'S MONETARY INCOMES	407
<i>Gocha Tutberidze, Ketevan Pipia, Paata Kunchulia</i> ON ELECTROSTATIC MODELS OF MIGRATION	410
<i>Vazha Kakabadze, Nana Maisuradze</i> THE PLACE AND THE ROLE OF D. UZNADZE'S THEORY OF "ATTITUDE" IN THE DECISION-MAKING PROCESS OF THE ADMINISTRATION AND MANAGEMENT	414
<i>Zurab Kirkitadze</i> REGRESSION ANALYSIS OF FDI BY USING ECONOMETRIC TESTS	418
<i>Elguja Konjaria</i> CONTROL'S ESSENCE, GOAL AND OBJECTIVES	424
<i>Dinara Lominadze</i> MARKETING IN HEALTHCARE	428
<i>Leila Mamulashvili, Maka Sosanidze</i> PR – MODERN TECHNOLOGY IN ECONOMIC DEVELOPMENT	430
<i>Gela Mamuladze, Nino Mamuladze</i> MARKETING CONCEPTS AND MAIN DIRECTIONS OF DEVELOPMENT AT THE PRESENT STAGE	433
<i>Tsotne Zhghenti</i> THE ROLE OF THE INDEPENDENT MONETARY POLICY AND NATIONAL CURRENCY IN THE TRANSITION PROCESS FOR MACROECONOMIC STABILIZATION	437

<i>Ilia (Aziko) Sisvadze</i> CONCEPTUAL PROBLEMS OF FINANCIAL EQUILIBRIUM OF COMMODITY MARKET AND PRICING	443
<i>Leila Ghudushauri</i> MODELS OF BUDGET PLANNING IN COMMERCIAL BANKS	456
<i>Alexander Sharashenidze</i> NATIONAL COMPETITIVENESS IMPROVEMENT STRATEGY IN GEORGIA	462
<i>Khaliana Chitadze</i> ACCOUNTING OF CASH PAYMENTS IN THE CASH REGISTER	468
<i>Elene Chikovani</i> INSTITUTIONAL REGULATION OF THE FOOD SECURITY IN GEORGIA	471
<i>Natela Janelidze</i> INVESTMENTS IN TOURISM AND ITS ROLE IN THE SOCIAL ECONOMY	478
<i>Sofiko Dzhvarsheishvili, Ucha Gogishvili</i> EXTERNAL EFFICIENCY ANALYSIS OF FOREIGN DIRECT INVESTMENT	482
<i>Emzar Julakidze</i> THE MOST IMPORTANT CHALLENGES OF MODERN MANAGEMENT	489
AUTHORS	497

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128
t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736
www.press.tsu.ge